Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

17

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

17

დეკემბერი *1910*—აპრილი *1912*

წინასიტყვაობა

მეჩვიდმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1910 წლის დეკემბრიდან 1912 წლის აპრილამდე.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ ის ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ ბრძოლას პარტიისათვის, ბრძოლას რევოლუციის რენეგატების — ლიკვიდატორებისა და მათი ხელშემწყობების წინააღმდეგ.

ნაშრომებში: «პარტიაში არსებული ვითარების შესახებ», «ჩვენი გამაუქმებელნი (ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის შესახებ)», «ძალაუფლების სოციალური სტრუქტურისა, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის შესახებ», «პარტიის დამრღვევნი «ლეგენდების დამრღვევთა» როლში», «ლეგალისტის საუბარი ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგესთან», «ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი», «სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან» ვ. ი. ლენინი ააშკარავებს ლიკვიდატორობის იდეურ ფესვებსა და დედაარსს და ამხელს ლიკვიდატორების მიერ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის სისტემატურად ჩაშლას.

სტატიაში «შემარიგებელთა ანუ სათნოიანთა ახალი ფრაქციის შესახებ» ნაჩვენებია შემარიგებლების უპრინციპო მერყეობა ლიკვიდატორობისაკენ.

სტატიებში: «კადეტები და ოქტიაბრისტები», «მხილებათა დასაწყისი კადეტთა პარტიის მოლაპარაკების შესახებ მინისტრებთან», «პოლიტიკური პარტიები მესამე სათათბიროს 5 წლის მანძილზე», «კადეტების ბლოკი პროგრესისტებთან და

მისი მნიშვნელობა» ლენინი გვიჩვენებს კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის პარტიის — კადეტთა პარტიის კლასობრივ ბუნებას.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი მიძღვნილია ნაწარმოებები «საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ», «IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია», «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები».

ტომში დიდი ადგილი უჭირავთ დოკუმენტებს, რომლებიც შუქს ჰფენენ პრაღის პარტიული კონფერენციის მნიშვნელობას, კონფერენციისას, რომელმაც პარტიიდან განდევნა მენშევიკები და გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა. ამ დოკუმენტებს მიეკუთვნება: სტატია «პარტიული კრიზისის დასასრული», «პროექტი რეზოლუციისა ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ», პრაღის კონფერენციის რეზოლუციები, «მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ», ბროშურა ««**Vorwärts**»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში», «წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰუისმანსს».

ტომში შედის ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატია «მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ».

თხზულებებში პირველად არის შეტანილი ორი წერილი რსდმ პარტიის ც. კ.-ის რუსეთის კოლეგიას (1910 — 1911 წლები), რომლებშიც ვ. ი. ლენინი გვიჩვენებს პარტიული მუშაობის ჩაშლას ლიკვიდატორების, ოტზოვისტების, ვპერიოდელების, ტროცკისტების მიერ და აყენებს პარტიის აღდგენისათვის საბრძოლველად პარტიული ძალების შემჭიდროების ამოცანას. თხზულებებში პირველად შედის შენიშვნა «იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლის შესახებ»; ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის თათბირის მასალები: «წერილი რსდმპ ცკ-ის წევრთა თათბირს საზღვარგარეთ», «კონსპექტი (გეგმა) სამი ცეკისტი ბეკის მოხსენებისა ცენტრალური კომიტეტის ცხრა წევრის კერძო თათბი-

რისათვის», «პროექტი რეზოლუციისა კონსტიტუირების შესახებ»; სტატიები: «II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ», «ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურა»; დოკუმენტები საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირისა: «პროექტი რეზოლუციისა პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო», «რეზოლუცია კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ»; დოკუმენტები პრაღის კონფერენციისა: პროექტები რეზოლუციებისა კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ, თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში; «რსდმპ პარტიის საარჩევნო პლატფორმა», წერილი «გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას» და სტატია «გადმოშალეთ თქვენი ბანქო».

წერილი რსდმ პარტიის ც. კ.-ის რუსეთის კოლეგიას [1]

სულ უკანასკნელ ხანებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთულ ცხოვრებაში მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ პარტიის «გაერთიანების კრიზისი» დასასრულს უახლოვდება. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ, მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის მიზნით, — რა მნიშვნელობა აქვთ უკანასკნელ ამბებს, როგორი უნდა იყოს (მოვლენათა მთელი მსვლელობის მიხედვით) ეს მომავალი დასასრული და რა პოზიცია უჭირავთ ორთოდოქსულ ბოლშევიკებს.

მარტოვი «გოლოსის» [2] 23-ე ნომრის ფურცლებზე მოთავსებულ სტატიაში «სად მივედით?» აბუჩად იგდებს პლეხანოვს [3] — იმას, რომ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგია ერთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეკრებილა და არაფერი გაკეთებულა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. რასაკვირველია, მას «ავიწყდება» დაუმატოს, რომ სწორედ ბატონ პოტრესოვების ლიკვიდატორულმა ჯგუფმა ჩაშალა რუსეთის ცენტრალური კომიტეტი: მიხეილის, რომანისა და იურის [4] უარის ცნობილი ფაქტი და მათი განცხადება, რომ ცენტრალური კომიტეტის თვით არსებობაც მავნებელია. ცენტრალური კომიტეტი რუსეთში ჩაშლილია. მარტოვი ზეიმობს ამის გამო. ვპერიოდელებიც [5] რომ ზეიმობენ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია (კრებულ «ვპერიოდის» № 1-ში ეს ზეიმი უკვე ჩანს). ამ ზეიმის დროს მარტოვი მეტისმეტად აჩქარდა და გულის ნადები წამოაყრანტალა. იხ აღტაცებული

გაჰყვირის: «ლეგალობა მათ (ბოლშევიკებს თუ «პოლონელთა და ბოლშევიკთა ბლოკს») ჰკლავსო». ამით ის გულისხმობს, რომ ლიკვიდატორების მიერ ცენტრალური კომიტეტის ჩაშლის წყალობით არსებული მდგომარეობიდან ლეგალური პარტიული გამოსავალი არ არისო. ლიკვიდატორებს კი, რასაკვირველია, იმაზე უფრო არაფერი ახარებთ, როგორც პარტიის გამოუვალი მდგომარეობა.

მაგრამ მარტოვმა მეტისმეტად იჩქარა. ბოლშევიკებს კიდევ მოეპოვებათ არქილეგალური, პლენუმის მიერ სპეციალურად გათვალისწინებული და (პლენუმის სახელით) ცენტრალური ორგანოს[6] მე-11 ნომერში დაბეჭდილი საშუალება. ეს საშუალებაა — განცხადება ფულის უკანვე დაბრუნების შესახებ იმის გამო, რომ გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა აშკარად არ შეასრულეს ფრაქციათა დაშლისა და ლიკვიდატორობასთან და ოტზოვიზმთან ბრძოლის პირობა. რადგან სწორედ ამ პირობით, რაც ზუსტადაა დათქმული, გადასცეს ბოლშევიკებმა თავიანთი ქონება ცენტრალურ კომიტეტს.

და აი 1910 წლის 5 დეკემბერს (ახალი სტილით) ბოლშევიკებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს პირობებს პლენუმზე[7], შეიტანეს განცხადება ფულის უკანვე დაბრუნების შესახებ. კანონით ასეთი განცხადების გამო მოწვეულ უნდა იქნას პლენუმი. ხოლო თუ, — ამბობს პლენუმის გადაწყვეტილება, — 3 თვის განმავლობაში დღიდან განცხადების შეტანისა «არ მოხერხდება» (სიტყვასიტყვით!) პლენუმის მოწვევა, მოწვეულ უნდა იქნას კომისია ცენტრალური კომიტეტის 5 წევრის შემადგენლობით: სამი — ეროვნებათა წარმომადგენელი, 1 — ბოლშევიკი და ერთი — მენშევიკი.

გოლოსელებმა აქ ერთბაშად გამოამჟღავნეს თავიანთი ზრახვები. გოლოსელმა იგორმა[8], ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრმა[9], შეიცნო რუს ლიკვიდატორთა პოლიტიკა და შეიტანა განცხადება — წინააღმდეგი ვარ პლენუმისაო. კომისიის მოწვევის მომხრე ვარო. გოლოსელების მხრივ ლეგალობის ჩაფუშვა აქ აშკარაა, რადგან პლენუმის მოწვევა სამი თვის გასვლამდეც შეიძლება. განცხადე-

ბის შეტანის შემდეგ კომისიის შესახებ საკითხის აღძვრაც კი არ შეიძლება.

ანგარიში ლიკვიდატორ იგორისა, რომელიც ერთგულად ემსახურება პარტიის მოღალატეებს, ბ. ბ. პოტრესოვსა და კომპანიას, ძალიან მარტივია: პლენუმი სუვერენულია და, მაშასადამე, მისი მოწვევა შესაძლებლობას იძლევა თავი დავაღწიოთ მთელ პარტიულ კრიზისს. კომისია კი სუვერენული არ არის, მას არა აქვს არავითარი უფლება, გარდა განცხადების შესახებ პრეტენზიის გარჩევისა (მას, ამ პრეტენზიას, წყვეტს სამი გერმანელი). მაშასადამე, რუსეთის ცენტრალური კომიტეტის ჩაფუშვის შემდეგ ლიკვიდატორები (და მათი საზღვარგარეთელი მსახურნი — გოლოსელები) ახლა ფუშავენ ყოველგვარ ცენტრალურ კომიტეტს. ვნახოთ, შესძლებენ თუ არა ამ მეორე ჩაფუშვას. პოლონელები ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში ხმას აძლევენ პლენუმის სასარგებლოდ. ახლა საქმე დამოკიდებულია ლატვიელებსა და ბუნდელებზე, რომელთა პასუხი ჯერ კიდევ არა ჩანს. ჩვენმა წარმომადგენელმა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში შეიტანა და დაგზავნა კატეგორიული პროტესტი იგორის წინააღმდეგ (როგორც იგორის განცხადების, ისე ამ პროტესტის ასლები დართულია).

საკითხი ნათლად დადგა. პლენუმისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა ლეგალობისათვის, ბრძოლა პარტიისათვის. გოლოსელთა ბრძოლა პლენუმის წინააღმდეგ — ეს არის ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ პარტიული საშუალებებით დავაღწიოთ თავი კრიზისს, არის ბრძოლა ლეგალობის წინააღმდეგ.

პლეხანოვი და მისი მეგობრები [10], რომელთაც ყოველ ფეხის გადადგმას ვაცნობებდით, სავსებით გვეთანხმებიან, რომ საჭიროა პლენუმის მოწვევა. ისინიც მომხრე არიან პლენუმისა; ამ მხრივ ჩვენი საერთო გამოსვლის პროექტს ამჟამად ვიხილავთ, და უახლოეს მომავალში ან პლეხანოველებთან ერთად გამოვალთ განცხადებით, ანდა ამ საკითხზე სტატია მოთავსდება ცენტრალურ ორგანოში.

შემდეგ, 1910 წლის 26 ნოემბერს (ახალი სტილით) ეგრეთწოდებულ ვენის პარტიულ კლუბში (ტროცკისტების, საზღვარგარეთლების წრე, — ტროცკის მაჩანჩალები არიან) ტროცკიმ გაიყვანა რეზოლუცია, რომელიც მან კიდევაც გამოსცა ცალკე ანაბეჭდის სახით. თან ვურთავ მას.

აქ აშკარად აქვს ომი გამოცხადებული «რაბოჩაია გაზეტას»[11], ბოლშევიკებისა და პლეხანოველების ორგანოს. საბუთები ძველია. გოლოსელებთან და ვპერიოდელებთან ბრძოლის «პრინციპული საფუძველი» ახლა არ არსებობსო, — ეს განცხადება კომიზმისა და თვალთმაქცობის მწვერვალია. ყველამ იცის, რომ გოლოსელებსა და ვპერიოდელებს არც უფიქრნიათ თავიანთი ფრაქციების დაშლა, რომ სინამდვილეში გოლოსელები სავსებით მხარს უჭერენ ლიკვიდატორებს, პოტრესოვსა და კომპანიას, რომ ვპერიოდელებმა საზღვარგარეთ (გარკვეული ხასიათის სახსრებით) მოაწყვეს ფრაქციული სკოლა[12], სადაც ასწავლიან მახიზმს, ასწავლიან იმას, რომ ოტზოვიზმი «კანონიერი ელფერია» (სიტყვასიტყვით მათი პლატფორმიდანაა) და სხვ. და ა. შ.

ტროცკის მოწოდება — პარტიამ «ერთსულოვნად» უნდა იმუშაოს გოლოსელებთან და ვპერიოდელებთანაო, აღმაშფოთებელი თვალთმაქცობა და ფრაზაა. ყველამ იცის, რომ პლენუმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში გოლოსელები და ვპერიოდელები (ტროცკის ფარული მხარის დაჭერით) «ერთსულოვნად» მუშაობდნენ პარტიის წინააღმდეგ. სინამდვილეში ერთსულოვან პარტიულ მუშაობას მთელი წლის განმავლობაში ერთად ეწეოდნენ მხოლოდ ბოლშევიკები და პლეხანოველები ცენტრალურ ორგანოშიც, «რაბოჩაია გაზეტაშიც», კოპენჰაგენშიც[13] და რუსეთის ლეგალურ ორგანოებშიც.

მაგრამ თუ ტროცკის გამოსვლები ბოლშევიკებისა და პლეხანოველების ბლოკის წინააღმდეგ ძველი ამბავია, სამაგიეროდ ახალია მისი რეზოლუციის დასკვნა: ვენის კლუბმა (ესე იგი ტროცკიმ) შექმნა «საერთო-პარტიული ფონდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის მოსამზადებლად და მოსაწვევადაო».

აი ეს კი ახალი ამბავია. ეს არის პირდაპირი გამოსვლა გათიშვის სასარგებლოდ. ეს არის პარტიული ლეგალობის პირდაპირი დარღვევა და ავანტიურის დასაწყისი ტროცკის მხრივ, რომელიც კისერს მოიტეხს ამაზე. ცხადია, ეს გათიშვაა. ტროცკის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, ტროცკის «ფონდს» მხარს უჭერენ მხოლოდ გოლოსელები და ვპერიოდელები. ბეკებისა და პლეხანოველების მონაწილეობაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ლიკვიდატორებმა (გოლოსელებმა) ციურიხში უკვე დაუჭირეს მხარი ტროცკის, — ეს გასაგებია. სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია, რომ ვპერიოდელების «ერთგვარი» «ფონდები» გაიხსნება ტროცკისთვის. ამით მისი წამოწყების ავანტიურისტული ხასიათი, თქვენ ეს იცით, მხოლოდ გაძლიერდება.

ცხადია, ეს წამოწყება არღვევს პარტიულ ლეგალობას, რადგან ცენტრალურ კომიტეტზე კრინტიც არ არის დაძრული. კონფერენციის მოწვევა შეუძლია მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტს. ეგ კიდევ არაფერი. ტროცკიმ, რომელმაც 1910 წლის აგვისტოში გააგდო ც. კ.-ის წარმომადგენელი «პრავდის»[14] რედაქციასთან, სწორედ ამით თვითონ დაკარგა ყოველგვარი ლეგალობა და «პრავდა» იმ ორგანოდან, რომელსაც მხარს უჭერდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, წმინდა ფრაქციულ ორგანოდ გადააქცია.

ამრიგად: საქმე გამოისახა, მდგომარეობა გამოირკვა. ვპერიოდელებმა შეაგროვეს «ერთგვარი» «ფონდები» პარტიასთან საბრძოლველად, «კანონიერი ელფერის» (ოტზოვიზმის) დასაცავად. ტროცკი «პრავდის» უკანასკნელ ნომერში (და ციურიხს წაკითხულ რეფერატში) გატაცებით ეკეკლუცება ვპერიოდელებს. რუსეთში ლიკვიდატორებმა ჩაშალეს რუსეთის ცენტრალური კომიტეტი. საზღვარგარეთ ლიკვიდატორები აპირებენ საზღვარგარეთული პლენუმის, ე. ი. ყოველგვარი ცენტრალური კომიტეტის ჩაშლას. ტროცკი სარგებლობს ამ «ლეგალობის დარღვევით», იწყებს ორგანიზაციულ გათიშვას და აარსებს «თავის» ფონდს «თავისი» კონფერენციისათვის.

როლები განაწილებულია. გოლოსელები იცავენ პოტრესოვსა და კომპანიას, როგორც «კანონიერ ელფერს». ვპერიოდელები იცავენ ოტზოვიზმს, როგორც «კანონიერ ელფერს». ტროცკის სურს «პოპულარულად» დაიცვას ერთიც და მეორეც და მოიწვიოს თავისი კონფერენცია (შესაძლოა, ვპერიოდელების ფულითაც). სამთა კავშირი (პოტრესოვი + ტროცკი + მაქსიმოვი) ორთა კავშირის (ბეკები პლუს პლეხანოველები) წინააღმდეგ. დისპოზიცია დამთავრდა. ბრძოლა დაიწყო.

თქვენ იცით, რატომ ვუწოდებ მე ტროცკის ნაბიჯს ავანტიურას. ეს ყოველმხრივ ავანტიურაა.

ეს არის ავანტიურა იდეური თვალსაზრისით. ტროცკი თავს უყრის მარქსიზმის ყველა მტერს, აერთიანებს რა პოტრესოვსა და მაქსიმოვს, რომელთაც სძაგთ «ლენინ-პლეხანოვის» ბლოკი (როგორც მათ უყვართ თქმა). ტროცკი აერთიანებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და სანუკვარია იდეური დაშლა; ყველას, ვისაც არაფრად მიაჩნია მარქსიზმის დაცვა; ყველა ობივატელს, რომლებმაც არც კი იციან, რის გამოა ბრძოლა და არცა სურთ ისწავლონ, ჩაფიქრდნენ, მიაგნონ უთანხმოების იდეურ ფესვებს. ამჟამად, როცა ასე გავრცელებულია დაბნეულობა, დაშლა და მერყეობა, ტროცკის ადვილად შეუძლია იქცეს «ერთი საათის გმირად», გარს შემოიკრიბოს მთელი უხამსობა. მაგრამ ასეთი ცდის ჩაფუშვა მით უფრო გრანდიოზული იქნება, რაც უფრო აშკარად მიმართავენ ამგვარ ცდას.

ეს არის ავანტიურა პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამჟამად ყველა ნიშანია იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეალური გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის გულწრფელი და სამუდამო უარყოფის ნიადაგზე. ცხადია, პოტრესოვსა (და გოლოსელებს) და ვპერიოდელებს არც ერთი და არც მეორე არ უარუყვიათ. ტროცკი ამჭიდროებს მათ, გაიძვერულად ატყუებს თავის თავს, ატყუებს პარტიას, ატყუებს პროლეტარიატს. ნამდვილად ტროცკი მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ გა-

ნამტკიცებს პოტრესოვისა და მაქსიმოვის ანტიპარტიულ ჯგუფებს. ამ ავანტიურის ჩაფუშვა გარდუვალია.

დასასრულ, ეს არის ორგანიზაციული ავანტიურა. კონფერენცია ტროცკის «ფონდით» ცენტრალური კომიტეტის გარეშე — ეს არის გათიშვა. დაე ინიციატივაც ტროცკის დარჩეს. დაე პასუხისმგებლობაც მას დაეკისროს.

თანამედროვე პარტიული მდგომარეობის არსს ამოსწურავს 3 ლოზუნგი:

1) განმტკიცება და ყოველგვარი მხარის დაჭერა პლეხანოველებისა და ბოლშევიკების შეკავშირებისა და თავმოყრისათვის მარქსიზმის დასაცავად, იდეური დაშლისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ლიკვიდატორობასთან და ოტზოვიზმთან საბრძოლველად.

2) ბრძოლა პლენუმისათვის — პარტიული კრიზისიდან ლეგალური გზით თავის დაღწევისათვის.

3) ბრძოლა ტროცკის გამთიშველ და უპრინციპო ავანტიურასთან, ტროცკისა, რომელიც პოტრესოვსა და მაქსიმოვს აერთიანებს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

დაწერილია 1910 წ. შუა დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა
1941 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 1

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ასლიდ მიხედვით

პარტიაში არსებული ვითარების შესახებ

ჩვენი პარტიული კრიზისის საკითხი ისევ პირველ რიგში წამოაყენა საზღვარგარეთულმა სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, რაც დიდ მითქმა-მოთქმას, გაუგებრობასა და მერყეობას იწვევს ფართო პარტიულ წრეებში. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ სავსებით უნდა გააშუქოს ეს საკითხი. «გოლოსის» 23-ე ნომერში მოთავსებული მარტოვის სტატია და ტროცკის გამოსვლა «ვენის კლუბის» 1910 წ. 26 ნოემბრის ცალკე ფურცლად დაბეჭდილი რეზოლუციის ფორმით კრიზისის საკითხს აყენებენ მკითხველების წინაშე და ამავე დროს სრულიად ამახინჯებენ საქმის დედაარსს.

მარტოვის სტატიისა და ტროცკის რეზოლუციის ზურგს უკან იმალება გარკვეული პრაქტიკული მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც — მოქმედება; მ ი მ ა რ თ უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მარტოვის სტატია მხოლოდ ლიტერატურული ფორმაა, რომელშიც გახვეულია გ ო ლ ო ს ე ლ ე ბ ი ს მ ი ე რ დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი კ ა მ პ ა ნ ი ა ჩვენი პარტიის ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ჩ ა ს ა შ ლ ე ლ ა დ. ტროცკის რეზოლუცია, რომელიც ადგილობრივ ორგანიზაციებს მოუწოდებს «საერთო-პარტიული კონფერენციის» მომზადებისაკენ ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად და მის წინააღმდეგ, — იმასვე გამოხატავს, რაც გოლოსელთა მიზანს შეადგენს: დ ა ა ნ გ რ ი ო ნ ლ ი ქ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ს ა ძ უ ლ ვ ე ლ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი, ხ ო ლ ო მ ა თ თ ა ნ ე რ თ ა დ — პ ა რ ტ ი ა ც, რ ო გ ო რ ც ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. საკმარისი არაა გამოვააშკარაოთ გოლოსე-

ლებისა და ტროცკის ეს ანტიპარტიული მოქმედება, საჭიროა **მას** ვ ე ბ რ ძ ო ლ ო თ. იმ ამხანაგებმა, რომელთათვისაც ძვირფასია პარტია და მისი აღორძინების საქმე, გაბედულად უნდა გაილაშქრონ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც წმინდა ფრაქციული და წრეობრივი მოსაზრებებისა და ინტერესების გამო ცდილობს დაანგრიოს პ ა რ ტ ი ა.

მარტოვის სტატია «სად მივედით?» ცუდად შენიღბული აბუჩად აგდებაა პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ლიკვიდატორული ზეიმია პარტიის წარუმატებლობათა გამო. «ე რ თ ხ ე ლ ა ც ვერ მოხერხდა რ უ ს ე თ შ ი ცენტრალური კომიტეტის მცირერიცხოვანი კოლეგიის შ ე კ რ ე ბ ა ო», — ასე წერს და წერს ხაზგასმით მარტოვი, თითქოს ტკბებოდეს იმ სიამოვნებით, რომელსაც აგრძნობინებს ამგვარი ფაქტის გამოქვეყნება ყველა ლიკვიდატორს.

სამწუხაროდ, მარტოვი მართალია. რუსეთის ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ მოახერხა შეკრება. ოღონდ ტყუილად ფიქრობს მარტოვი მიჩქმალოს ის საკითხი, თუ ვ ი ნ ჩაშალა ცენტრალური კომიტეტი რუსეთში. გარდა პოლიციურ დაბრკოლებათა, მის მოწვევას ხელს უშლიდა ერთი არა პოლიციური, არამედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დაბრკოლება. ეს არის მიხეილის, რომანისა და იურის ცნობილი უარი — თ უ ნ დ ა ც მარტო კოოპტაციისთვის გამოცხადებულიყვნენ ცენტრალური კომიტეტის ერთ სხდომაზე; ეს არის იმავე პირთა განცხადება, რომ მათ «თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობა მავნებლად მიაჩნიათ».

არ შეიძლება დავა იმაზე, რომ თუნდაც ერთ სხდომაზე მისვლა კოოპტაციისათვის, მისვლა იმ ადამიანთა მოწვევით, რომელნიც მუშაობენ უამრავ პოლიციურ დაბრკოლებათა პირობებში, წარმოადგენს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ჩ ა შ ლ ა ს. არ შეიძლება დავა იმაზე, რომ ეს, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ დასაბუთებული პოლიტიკური აქტი, ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, რომლებიც შედიან «გოლოსის» «უთვალსაჩინოეს» რუს თანამშრომელთა ჯგუფში (16-ის [15] წერილი «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში), რომელნიც თავის მხრივ შე-

დიან ბ-ნ პოტრესოვისა და კომპ. ლიკვიდატორულ ლეგალურ ჯგუფებში. ყოველივე ეს ფაქტია. ლეგალისტ-დამოუკიდებლების, სოციალ-დემოკრატიის მტრების ჯგუფი,—აი ვინ ჩაშალა ცენტრალური კომიტეტი რუსეთში.

თუ აქსელროდი გვარწმუნებს («გოლოსის» № 23-ში), თითქოს ლიკვიდატორის «სახელწოდება» «განურჩევლად» იხმარება, თუ ის ისეთ უაზრობამდეც კი მიდის, თითქოს ჩვენ შეგვეძლოს ლიკვიდატორებად მონათვლა იმ ადამიანებისა, რომელნიც პირადად დაიღალნენ ან დაუძლურებული არიან ლუკმა პურისათვის ბრძოლით, თუ ის ამგვარ ბავშვურ სისულელეს ლაპარაკობს და დუმილით გვერდს უვლის ლიკვიდატორების სწორედ იმ ჯგუფსა და ჯგუფებს, რომელნიც პიროვნულად დასახელებული არიან პარტიის ცენტრალურ ორგანოში,—ასეთი თავდაძვრენის არაკეთილსინდისიერების მტკიცება სრულიად ზედმეტია. თუ მარტოვი და სხვა გოლოსელები ვითომ «ეკამათებიან» «გოლოსის» ფურცლებზე რუსეთში მყოფ ლიკვიდატორებს, «მოუფიქრებლობად» (!!) აცხადებენ მათს მოქმედებას, «არწმუნებენ» მათ ჯერ კიდევ მოიცადონ (მარტოვი ლევიცკის შესახებ 23-ე ნომერში), და ამავე დროს მთლად მათთან ერთად მუშაობენ, მათთან ხელიხელჩაკიდებულნი ქმნიან საზღვარგარეთ განსაკუთრებულ ფრაქციას პარტიასთან საბრძოლველად და პარტიის მტრების—ბატონ პოტრესოვების—მხარის დასაჭერად, ჩვენს წინაშე პოლიტიკური თვალთმაქცობის მხოლოდ ერთი გამოხატულებაა მრავალთა შორის. არც ერთი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი არ იტყვის, თითქოს ბ-ნი მილიუკოვი სერიოზულად ებრძოდეს ვეხელებს [16], როცა მათ «ეკამათება», აცხადებს მათ «მოუფიქრებელ ადამიანებად» და ამავე დროს პოლიტიკურად მუშაობს მათთან ხელიხელჩაკიდებული. ყველა იტყვის, რომ ბ-ნი მილიუკოვი ამით მხოლოდ თავის თვალთმაქცობას ამტკიცებს, და ეს სრულებითაც არ უარყოფს ვეხელებთან მისი პოლიტიკური სოლიდარობის ფაქტს. არც

ერთი პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი არ იტყვის, თითქოს ბ-ნი სტოლიპინი და მისი მთავრობა სერიოზულად ებრძოდეს შავრაზმელებს, როდესაც ის მათ «ეკამათება» («როსსიაში» [17]), აბრალებს მათ «მოუფიქრებლობას», მაგრამ ამავე დროს მ უ შ ა ო ბ ს მათთან ხელიხელჩაკიდებული. ყველა იტყვის, რომ ბ-ნი სტოლიპინი და მეფის მთავრობა ამით მხოლოდ თავის თვალთმაქცობას ამტკიცებენ, და ეს სრულებითაც არ უარყოფს პურიშკევიჩებთან მათი პოლიტიკური სოლიდარობის ფაქტს.

მაგრამ თუ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს «გოლოსის» პოლიტიკური თვალთმაქცობა, სამაგიეროდ მარტოვის გ ა დ ა კ რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა, თითქოს «ლეგალობა ჰკლავდეს» პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლებს, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნ ა თ ე ლ ი ი ყ ო ს ათასიდან 999 მკითხველისათვის, ვინაიდან ეს გადაკრული სიტყვა განზრახ არის გაბუნდოვანებული.

ცენტრალური ორგანოს მოვალეობაა გაფანტოს ბუნდოვანება პარტიული საქმეების გარშემო, რათა ყ ვ ე ლ ა მ გაიგოს, რაში მდგომარეობს უთანხმოების არსი.

მარტოვს მხედველობაში აქვს ის, რომ, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების გ ა რ დ ა, ა რ ა ვ ი თ ა რ ი პარტიულ-ლეგალური გამოსავალი კრიზისიდან არ არსებობს. მაშასადამე, თ უ რუსეთში მყოფმა ლიკვიდატორებმა მოახერხეს რუსეთში ცენტრალური კომიტეტის ჩაშლა (და თ უ ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი მ ო ა ხ ე რ ხ ე ბ ე ნ ჩ ა შ ა ლ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ო წ ვ ე ვ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ მ ა ი ნ ც), მაშინ ლეგალურად გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნება. და მარტოვიც წინდაწინვე ზეიმობს: ცენტრალური კომიტეტი საბოლოოდ ჩაშლილია, ლეგალური გამოსავალი ა რ ა რ ი ს, ლიკვიდატორების თამაში მოგებულიაო.

მარტოვი აჩქარდა. ის, რაც ბ-ნ პოტრესოვსა და პარტიის სხვა მტრებს გ უ ლ შ ი აქვთ, ძალიან ნაადრევად თ ქ ვ ა მარტოვმა.

დიახ, მარტოვი მართალია! ერთადერთი გამოსავალი პარტიის კრიზისიდან ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია მონახოს. მაშასადამე, თუ პოლიციურ და ზემოხსენებულ პოლიტიკურ დაბრკოლებათა გამო ცენტრალური კომიტეტის შეკრება რუსეთში ვერ ხერხდება, — ის უნდა შეიკრიბოს საზღვარგარეთ. ეს ერთადერთი საშუალებაა კრიზისიდან გამოსავალის მოსანახავად. და ერთ-ერთმა პარტიულმა მიმდინარეობამ იმ მიმდინარეობათაგან, რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე პარტიული მუშაობის ერთად წარმართვის შესახებ ფრაქციულ ჩარჩოებს გარეთ, ბოლშევიკებმა გადადგეს ნაბიჯი, რათა დაეჩქარებინათ ერთადერთი გამოსავალი პარტიული კრიზისიდან. ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა ბოლშევიკური ფრაქციის ქონება გადასცეს პარტიას იმ პირობით, რომ მათი, ბოლშევიკური, ფრაქციული ცენტრის მოსპობასთან ერთად მოისპობოდნენ აგრეთვე მენშევიკებისა (გოლოსელების) და ოტზოვისტების («ვპერიოდელების») ფრაქციული ცენტრებიც. ეს პირობა არ შესრულებულა. ეგ კიდევ არაფერი. გოლოსელთა ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანო «გოლოს სოციალ-დემოკრატა» აშკარად ჰფარველობს და ხელს აფარებს პარტიის იმ შინაურ მტრებს, რომელთაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ერთხმივი დავალებით ჩვენ გადაჭრით უნდა შევბრძოლებოდით, როგორც სოციალ-დემოკრატიისაგან ბურჟუაზიულ და პარტიისადმი მტრულად განწყობილ გადახრებს. პლენუმზე ყველა პარტიულ მიმდინარეობასა და ჯგუფს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ასეთი აშკარა დარღვევის გამო, ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ასეთი აშკარა ანტიპარტიული პოლიტიკის გამო, — ბოლშევიკებმა საჭიროდ დაინახეს უკანვე მოეთხოვათ ის ფული, რომელიც მათ პირობით გადასცეს პარტიას ერთი წლის წინათ. 1910 წლის 5 დეკემბერს მათ ამის შესახებ სათანადო განცხადება შეიტანეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში. სწორად მოიქცნენ თუ არა ბოლშევიკები ამ შემთხვევაში, ამას განსჯის პლენუმის

მიერ გათვალისწინებული ინსტანცია. საქმის არსი ისაა, რომ ახლა, ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლების მიერ განცხადების შეტანის მომენტიდან, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საზღვარგარეთ მოწვევა წარმოადგენს უკვე არა მარტო აუცილებლობას პარტიის შინაგანი კრიზისიდან გამოსავალის მოსანახავად: იგი წარმოადგენს აუცილებლობას, რომელიც ევალება ყველა იმ მიმდინარეობასა და ჯგუფს, რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს 1910 წლის 6 იანვარს, მათივე საკუთარი საამისო ვალდებულებით — მათივე ერთხმად მიღებული რეზოლუციით*. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა გახდა არა მარტო პარტიული აუცილებლობა, იგი გადაიქცა იურიდიულ მოვალეობად. ჩვენ ვხედავთ ისევ, რომ შეუძლებელია სხვა ლეგალური გამოსავალი მდგომარეობიდან — გარდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევისა...

და აი სწორედ აქ ერთბაშად გამომჟღავნდა გოლოსელების პოლიტიკა.

ცენტრალური კომიტეტის ნათელი და აშკარა დადგენილების თანახმად ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ

* საქმე ისაა, რომ პლენუმზე დაიდო, აღიარებულ იქნა პარტიულ კანონად, პარტიის ლეგალობის წყაროდ, ცენტრალური კომიტეტის ხელშეკრულება ბოლშევიკური მიმდინარეობის განსაზღვრულ წარმომადგენლებთან პარტიისთვის მათი ქონების პირობითი გადაცემის შესახებ. ეს ხელშეკრულება გამოქვეყნებულია ცენტრალურ ორგანოში (№ 11), სადაც გამოცხადებულია აგრეთვე მთელი პროცედურა, რომელსაც პლენუმი ითვალისწინებს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მთავარი, რაც გათვალისწინებულია იმ შემთხვევისთვის, თუ ბოლშევიკები განაცხადებენ, რომ გოლოსელებმა და ეპერიოდელებმა გაერთიანების პირობები დაარღვიესო, ეს არის პლენუმის მოწვევა (საზღვარგარეთ). «თუ ამა თუ იმ მიზეზით, — ამბობს ცენტრალური ორგანოს № 11-ში დაბეჭდილი პლენუმის დადგენილება, — ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლების მოთხოვნის გამოცხადების მომენტიდან სამი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდება პლენუმის მოწყობა, მოწვეულ უნდა იქნას» საგანგებო კომისია.

ბიუროს, ბოლშევიკების განცხადების გამო, თითქოს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ მოეწვია პლენუმი, — და თუ მისი მოწვევის ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა სამი თვის განმავლობაში, მხოლოდ მაშინ უნდა მიემართა მას საკითხის გადაჭრის სხვა, ცენტრალური კომიტეტის მიერ გათვალისწინებული, საშუალებისათვის. მაგრამ გოლოსელები სულ სხვანაირად მოიქცნენ.

12 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრმა გოლოსელმა იგორევმა გააკეთა წერილობითი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ა პ ლ ე ნ უ მ ი ს მ ო წ ვ ე ვ ი ს ა და თანახმაა მხოლოდ კომისიის მოწვევისა!

ცხადია, თუ სადაა ძაღლის თავი დამარხული: პლენუმი სუვერენულია და, რაკი შეიკრიბება, მას შ ე უ ძ ლ ი ა გამონახოს ლ ე გ ა ლ უ რ ი გამოსავალი კრიზისიდან, რუსეთში არსებული აუტანელი მდგომარეობიდან. კომისია კი ა რ ა რ ი ს სუვერენული, არავითარი უფლება (გარდა ფულის შესახებ ბოლშევიკების პრეტენზიის გარჩევისა) მას არა აქვს, ა რ ა ვ ი თ ა რ ი ლ ე გ ა ლ უ რ ი გამოსავალის გამონახვა კრიზისიდან მას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა.

გამართლდა ანდაზა: სხვას ორმოს ნუ უთხრი, თვითონ ჩავარდებიო!

მარტოვმა ვერც კი მოასწრო თავაზიანად მიეთითებინა პარტიისათვის იმ ვითომ ლეგალურად გამოუვალი მდგომარეობის «ორმოზე», რომელშიც ლიკვიდატორებს ასე უნდოდათ დაენახათ ოფიციალური პარტია, რომ ა მ ო რ მ ო შ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა გ ო ლ ო ს ე ლ ი ი გ ო რ ე ვ ი!

რუსეთში მყოფმა ლიკვიდატორებმა ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტი რუსეთში. ახლა საზღვარგარეთელი ლიკვიდატორები ფუშავენ ცენტრალური კომიტეტის მოწვევას საზღვარგარეთაც. ლიკვიდატორები ზეიმობენ უდიდესი სიხარულის (სტოლიპინისა და ლიკვიდატორების სიხარულის) მოლოდინში: ა რ ა ვ ი თ ა რ ი ცენტრალური კომიტეტი ალარ იქ-

ნება. სწორედ ესაა ბედნიერება ბატონ პოტრესოვებისათვის, «ვპერიოდელთა» ფრაქციისათვის!

ჩვენ აქ არ შევეხებით გოლოსელ იგორევის ფანდებსა და არ შევუდგებით მათს გაბათილებას ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრის — ბოლშევიკის კონტრგანცხადებით *. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გოლოსელი იგორევი იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ პირდაპირ განაცხადა თავისი პროტესტი პლენუმის წინააღმდეგ, ს ა ე რ თ ო წ ე ს დ ე ბ ი თ ა ც რ ო მ ყოფილიყო უკანასკნელი მოწვეული (ამისთვის საჭირო ერთხმივობა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში) და არა სპეციალური დადგენილებით, განცხადების თანახმად. გოლოსელ იგორევს პლენუმის მოწვევა მიაჩნია «საძნელო» საქმედ და სხვა. ეს გასაგებიცაა: ლიკვიდატორებისთვის ხომ თვით ჩვენი არალეგალური პარტიის არსებობაც მეტისმეტად «ძნელი» საქმეა. პლენუმი უმთავრესად ემიგრანტული იქნებაო, — ასეთია გოლოსელ იგორევის მეორე «საბუთი». მაგრამ ეს არ უშლის ხელს გოლოსელებს ყოველნაირად მხარი დაუჭირონ ტროცკის მიერ, ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად და მის წინააღმდეგ, «საერთო-პარტიული» კონფერენციის მოწვევის წ მ ი ნ დ ა ე მ ი გ რ ა ნ ტ უ ლ გეგმას...

გოლოსელებმა ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი გადაწყვიტეს ჩაშალონ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ცენტრალური კომიტეტი!

შემდეგ, ჩვენ პარტიის წევრთა ყურადღება უნდა მივაქციოთ უფრო ზოგად საკითხს — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში არსებულ მდგომარეობას. როგორც ყოველ რევოლუციურ პარტიას, ჩვენს პარტიას შეუძლია არსებობა და განვითარება მხოლოდ იმ პირობით, თუ რევოლუციონერებს ელემენტარული ს უ რ ვ ი ლ ი მაინც ექნებათ დაეხმარონ ერთმანეთს ს ა ე რ თ ო მუშაობის ჩატარების დროს.

* ეს ამხანაგი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში გამოგზავნილი წერილით გვთხოვს დავეხმაროთ მას, რათა პარტიამ გაიგოს, როგორ ცდილობდნენ გოლოსელები პლენუმის ჩაშლას.

თუ პარტიული წესდებანი და გადაწყვეტილებანი (პარტიის «ლეგალობა») არსებობენ არა ამ საერთო მუშაობის შესამსუბ.უქ ებლად, არამედ ისეთი ხრიკების შესაქმნელად, რომელნიც აფერხებენ ამ მუშაობას უმნიშვნელოვანესი პარტიული კოლეგიების შიგნით, მაშინ პარტიული მუშაობა არასაკადრის კომედიად იქცევა. ყოველ სხვა პარტიაში ცენტრალური კომიტეტის მოწვევის სიძნელენი მაშინვე გამოიწვევდნენ ათასნაირ საშუალებასა და გზას პოლიციურ სიძნელეთა დასაძლევად და მუშაობის ახალ-ახალი ფორმების გამოსანახავად. ჩვენში კი ფრაქციონერები პარტიის შიგნით ემსახურებიან: ზოგნი — ბატონ პოტრესოვებს, ზოგნი — აშკარა ოტზოვისტებსა და ნახევრადანარქისტებს პარტიის გარეთ. ისეთებისთვის, როგორიც გოლოსელი იგორევია, «ლეგალობა» იქცევა საშუალებად — პარტიის შიგნით ავნოს მას, შეაფერხოს მისი მუშაობა, დაეხმაროს ბატონ პოტრესოვებს პარტიის დანგრევაში *. ასეთი მდგომარეობა აუტანელია. და ამას ვერ უშველის «კეთილსასურველი რეზოლუციები», რომელთაც სამართლიანად დასცინის იგივე მარტოვი. საქმეს რომ ვუშველოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავიგოთ იგი. უნდა გავიგოთ, რატომაა უაზრობა, არასაკადრისი, სასაცილო — შეთხზვა კეთილი სურვილების შემცველი რეზოლუციებისა ისეთ ვაჟბატონებთან ერთად მუშაობის შესახებ, როგორიც არიან პოტრესოვები და კომპანია. როდესაც პარტია მიხვდება, რომ აქ ორი შეუთავსებელი პოლიტიკაა, რომ აქ საკითხი დგას სოციალ-დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის შესახებ, მაშინ პარტია გამოსავალს მალე იპოვნის. მაშინ ჩვენ შევძლებთ შევქმნათ «ლე-

---

* როდესაც მარტოვი აბუჩად იგდებს ოფიციალურ პარტიულ დაწესებულებებს და ამბობს: «ლეგალობა ჰკლავს მათო», ის მართალია იმდენად, რამდენადაც მუშაობის ნაყოფიერებას «ჰკლავენ» ამ დაწესებულებათა ისეთი «ლეგალური» (ე. ი. პარტიული წესდებით ან პლენუმის გადაწყვეტილებით შექმნილი) ფორმები, რომელნიც მუშაობის შეფერხების საშუალებას აძლევენ მიხეილს, რომანს, იურის, გოლოსელებს (იგორევის მეშვეობით) და სხვ.

გალობა» ა რ ა იმისათვის, რომ ლიკვიდატორებმა მ ი თ სარმა გამოსდონ პარტიას.

უნდა გამოვტყდეთ, ბ-ნი პოტრესოვი და მისი მეგობრები, აგრეთვე გოლოსელი იგორევი და მისი მეგობრები მ ა დ ლ ო ბ ი ს ღ ი რ ს ნ ი არიან იმისათვის, რომ ისინი დიდად უადვილებენ პარტიას ამის გ ა გ ე ბ ა ს.

ტროცკის გამოსვლა გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ სრულებით არ უკავშირდება მარტოვის მხრივ პარტიის აბუჩად აგდებას მისი წარუმატებლობის გამო, გოლოსელების მიერ ცენტრალური კომიტეტის ჩაშლას, ნამდვილად კი ერთსაც და მეორესაც უკავშირდება განუწყვეტელი კავშირით, «ინტერესის» კავშირით. ბევრს პარტიაში ჯერ კიდევ არ ესმის, რაში მდგომარეობს ეს კავშირი. ვენის 1910 წ. 26 ნოემბრის რეზოლუცია, ალბათ, დაეხმარება მათ საქმის დედაარსის გაგებაში.

რეზოლუცია შესდგება სამი ნაწილისაგან: 1) ომის გამოცხადება «რაბოჩაია გაზეტასთვის» (მოწოდება — «გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა გაუწიონ» მას, როგორც «ახალ ფრაქციულ-წრეობრივ წამოწყებას», როგორც ტროცკი ამბობს); 2) პოლემიკა ბოლშევიკებისა და პლეხანოვის «ბლოკის» ხაზის წინააღმდეგ; 3) განცხადება, რომ «ვენის კლუბის კრება (ე. ი. ტროცკი და მისი წრე) ადგენს: მოეწყოს საერთო-პარტიული ფონდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის მოსამზადებლად და მოსაწვევად».

პირველ ნაწილზე ჩვენ სულაც არ შევჩერდებით. ტროცკი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ «რაბოჩაია გაზეტა» «კერძო წამოწყებაა» და რომ ის «უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ი არ არის ილაპარაკოს მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ს ა ხ ე ლ ი თ».

მაგრამ ტროცკი ტყუილად ივიწყებს, რომ თვითონაც და მისი «პრავდაც» ა ს ე ვ ე უფლებამოსილი არ არიან ხაამისოდ. როდესაც ტროცკი ლაპარაკობს, პლენუმმა სასარგებლოდ მიიჩნია «პრავდის» მუშაობაო, ის ტყუილად ჩქმალავს

იმ ფაქტს, რომ პლენუმმა დანიშნა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი «პრავდის» რედაქციაში. «პრავდის» შესახებ პლენუმის გადაწყვეტილებების გახსენების დროს ამაზე დუმილს შეიძლება ეწოდოს მხოლოდ მუშების მოტყუება. და ტროცკის ეს ტყუილი მით უფრო ბოროტგანზრახულია, რომ 1910 წლის აგვისტოში ტროცკიმ «პრავდიდან» განდევნა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი. ამ ამბის შემდეგ, ცენტრალურ კომიტეტთან «პრავდის» კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ტროცკის გაზეთი არის მხოლოდ «კერძო წამოწყება», რომელმაც ამასთანავე ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. ვიდრე ხელახლა არ შეკრებილა ცენტრალური კომიტეტი, არ არსებობს სხვა მსჯელი «პრავდისა» და ცენტრალური კომიტეტის ურთიერთობის საქმეში, გარდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლისა, რომელიც პლენუმმა დანიშნა და რომელმაც ტროცკის მოქმედება ანტიპარტიულ მოქმედებად აღიარა.

აი რა გამომდინარეობს ტროცკის მიერ ასე დროულად აღძრული საკითხიდან იმის შესახებ, თუ ვინ «არის უფლებამოსილი ილაპარაკოს მთელი პარტიის სახელით».

ეს კიდევ ცოტაა. რამდენადაც (და სანამ) ლიკვიდატორი-დამოუკიდებელი ლეგალისტები ჰფუშავენ რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს, რამდენადაც (და სანამ) საზღვარგარეთულ ცენტრალურ კომიტეტს ჰფუშავენ გოლოსელები, ერთადერთ დაწესებულებად, რომელიც უფლებამოსილია «ილაპარაკოს მთელი პარტიის სახელით», რჩება ცენტრალური ორგანო.

ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ მთელი პარტიის სახელით, რომ ტროცკი აწარმოებს ანტიპარტიულ პოლიტიკას; — რომ ის არღვევს პარტიულ ლეგალობას, იდგება ავანტიურისა და გათიშვის გზას, როდესაც თავის რეზოლუციაში კრინტს არა სძრავს ცენტრალურ კომიტეტზე (თითქოს ის უკვე შეუთანხმდა გოლოსელებს,

რომ ცენტრალური კომიტეტი ჩაშლილი იქნება!) და ერთი საზღვარგარეთული ჯგუფის სახელით აცხადებს, «შექმნილია ფონდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის მოსაწვევადაო». ცენტრალური კომიტეტის ჩასაშლელად ლიკვიდატორების მიერ მიღებული ღონისძიებანი რომ წარმატებით დაგვირგვინდეს, ჩვენ, როგორც ერთადერთი, მთელი პარტიის სახელით ლაპარაკის უფლების მქონე დაწესებულება, დაუყოვნებლივ განვაცხადებდით, რომ ტროცკის «ფონდსა» და წამოწყებაში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ და საერთო-პარტიულად ჩავთვლით მხოლოდ იმ კონფერენციას, რომელსაც მოიწვევს ცენტრალური ორგანო და არა ტროცკის წრე *.

მაგრამ, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის ჩაშლის საკითხი მოვლენების ძალით ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, არის იმედი მოინახოს სავსებით ლეგალური პარტიული გამოსავალი.

ჩვენ მოვუწოდებთ პარტიის წევრებს მედგრად იბრძოლონ ამ პარტიულ-ლეგალური გამოსავალისთვის, ამავე დროს გამოვარკვევთ იმ უთანხმოების «პრინციპულ საფუძვლებს», რომელიც გოლოსელებსა და ტროცკის საჩქაროდ უნდათ გათიშვამდე მიიყვანონ, — პირველთ ეს უნდათ ცენტრალური კომიტეტის ჩაშლით, ხოლო მეორეს — იმით, რომ უგულებელყოს იგი და «მოაწყოს ფონდი» (ხუმრობა არ გეგონოთ!) ტროცკის წრის მიერ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის» მოსაწვევად.

ტროცკი თავის რეზოლუციაში წერს, რომ ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ «ლენინელები და პლეხანოველები» (ბოლშევიზმისა და პარტიული მენშევიზმის მიმდინარეობათა ნაცვლად პიროვნებათა ასეთი დასახელებით ტროცკის სურს გამოხატოს თავისი ათვალწუნება,

* პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული საერთო-პარტიული კონფერენცია რომ მართლა აუცილებელია რაც შეიძლება ჭალე, — ამის შესახებ დავა შეუძლებელია.

მაგრამ მხოლოდ თავის გაუგებლობას გამოხატავს), ეს ბრძოლა «ამჟამად მოკლებულია ყოველგვარ პრინციპულ საფუძველს».

აი ამ პრინციპული საფუძვლების გამორკვევისაკენ მოუწოდებს ცენტრალური ორგანო მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიას: განვიხილოთ სწორედ ეს საინტერესო საკითხი, სანამ «არასაინტერესო» ბრძოლა წარმოებს პლენუმის მოწვევის გამო!

ამოვიწეროთ მთლიანად ის მოტივები, რომლების მიხედვითაც ტროცკი ცენტრალური ორგანოს ბრძოლას ყოველგვარ პრინციპულ საფუძველს მოკლებულად აცხადებს:

...«ყ ვ ე ლ ა (ხაზგასმა ტროცკისაა) პარტიულ მიმდინარეობაში მტკიცედ დამკვიდრდა რწმენა, რომ აუცილებელია არალეგალური ორგანიზაციის აღდგენა, ლეგალური და არალეგალური მუშაობის გაერთიანება, მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გატარება, — და ეს ძირითადი დირექტივები დასახა უკანასკნელმა პლენუმმა ე რ თ ხ მ ა დ.

ამჟამად, პლენუმიდან ერთი წლის შემდეგ, სიძნელეს წარმოადგენს არა ამ ჭეშმარიტებათა აღიარება, არამედ მ ა თ ი გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა. ხოლო ამის მიღწევა შეიძლება პარტიის ყველა ნაწილის — «გოლოსელების», «პლეხანოველების», «ლენინელების», «ეპერიოდელების», უფრაქციოების შეთანხმებული ერთობლივი მუშაობით, რადგან პარტია სულიერად უკვე გამოვიდა ბავშვობის პერიოდიდან, და დროა ყველა მისმა წევრმა თავისი თავი შეიგნოს და იმოქმედოს როგორც რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ მ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ მ ა, თავისი პარტიის პატრიოტმა, ისე, რომ ამიერიდან აღარ ატაროს რაიმე ფრაქციული სახელწოდება. და ეს თანამშრომლობა უნდა მოხდეს საერთო-პარტიულ ფარგლებში და არა ფრაქციული ორგანოების გარშემო».

აი იმის ნიმუში, თუ როგორ აქცევენ ფრაზად და აუკუღმართებენ კარგ სიტყვებს, მალავენ უდიდეს სიცრუეს, როგორც იმათ უდიდეს მოტყუებას, ვინც ფრაზას ეწაფება, ისე მთელი პარტიისას.

ხომ აშკარა და აღმაშფოთებელი ტ ყ უ ი ლ ი ა, თითქოს ყ ვ ე ლ ა პარტიულ მიმდინარეობაში მტკიცედ დამკვიდრებულიყოს არალეგალური ორგანიზაციის აღდგენის აუცილებელი საჭიროების რწმენა. «გოლოსის» ყოველი ნომერი ცხადყოფს, რომ გოლოსელები ბ-ნ პოტრესოვისა და კომპა-

ნიის ჯგუფს პ ა რ ტ ი უ ლ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა დ თვლიან და რომ ისინი არა მარტო ასეთად «თვლიან» მას, არამედ ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ ა ც იღებენ მონაწილეობას მის «მუშაობაში». განა სასაცილო და სამარცხვინო არ არის ახლა, პლენუმიდან ერთი წლის შემდეგ, კეკემალულობას თამაში, თავის მოტყუება და მუშების მოტყუება, სიტყვებით თავის დაძვრენა, როდესაც ლაპარაკია «გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ზ ე» და არა ფრაზებზე?

ჰო თუ არა? თვლის თუ არა ტროცკი ცენტრალურ ორგანოში მკაფიოდ დასახელებულ ბ-ნ პოტრესოვს და კომპანიას «პარტიულ მიმდინარეობად»? სწორედ ეს საკითხი არის პლენუმის გადაწყვეტილებათა «განხორციელების» საკითხი, — და ცენტრალურმა ორგანომ ა გ ე რ უ კ ვ ე ე რ თ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ა ნათლად, მკვეთრად, აშკარად დააყენა ეს საკითხი, დააყენა ისე, რომ არავითარი თავის დაძვრენა არ შეიძლება.

ტროცკი ცდილობს ისევ და ისევ მიფუჩეჩებით ან ფრაზით დაიძვრინოს თავი, ვინაიდან მისთვის ს ა ჭ ი რ ო ა დ ა უ მ ა ლ ო ს მკითხველებს და პარტიას ს ი მ ა რ თ ლ ე, სახელდობრ ის, რომ ბ-ნ პოტრესოვის, 16-ისა და სხვა ჯგუფები აბსოლუტურად დამოუკიდებელი არიან პარტიისაგან, სავსებით განცალკევებული არიან ფრაქციულად, არათუ არ აღადგენენ არალეგალურ ორგანიზაციას, არამედ ჰფუშავენ მისი აღდგენის საქმეს, ა რ ა ვ ი თ ა რ სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას არ ატარებენ. ტროცკისთვის საჭიროა დაუმალოს პარტიას ის სიმართლე, რომ გოლოსელები წარმოადგენენ პარტიისაგან ასევე განცალკევებულ საზღვარგარეთულ ფრაქციას, რომელიც სინამდვილეში რუსეთის ლიკვიდატორებს ემსახურება.

«ვპერიოდელები»? ტროცკიმ მშვენივრად იცის, რომ პლენუმის შ ე მ დ ე გ მათაც გაამაგრეს და განავითარეს თავიანთი განსაკუთრებული ფრაქცია, პარტიისაგან დამოუკიდებელი საშუალებებით, საგანგებო ფრაქციული სკოლით, სადაც ასწავლიან სრულიადაც არა «მტკიცე სოციალ-დემოკ-

რატიულ ტაქტიკას», არამედ იმას, რომ «ოტზოვიზმი კანონიერი ელფერია», სადაც ასწავლიან ოტზოვისტურ შეხედულებებს III სათათბიროს როლზე, ასწავლიან იმ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია «ვპერიოდის» ფრაქციულ პლატფორმაში.

ტროცკი ამ უდავო სიმართლეზე კრინტს არა სძრავს იმიტომ, რომ მისი პოლიტიკის რ ე ა ლ უ რ ი მიზნებისთვის სიმართლე მიუღებელია. ხოლო რეალური მიზნები თანდათან უფრო ირკვევა და აშკარა ხდება ყველაზე ნაკლებ შორსმჭვრეტელ პარტიელთათვისაც კი. ეს რეალური მიზნებია — პ ო ტ რ ე ს ო ვ ე ბ ი ს ა და ვ პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ი ს ა ნ ტ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ბ ლ ო კ ი, რომელსაც ტროცკი მხარს უჭერს და აწყობს. ტროცკის რეზოლუციების (როგორიცაა «ვენის» რეზოლუცია) მიღება გოლოსელების მიერ, «პრავდის» კეკლუცობა ვპერიოდელებთან, «პრავდის» ლაყბობა იმის შესახებ, თითქოს რუსეთში ადგილობრივ მხოლოდ ვპერიოდელები და ტროცკისტები მოქმედებენ, «პრავდის» მიერ ვპერიოდელების ფრაქციული სკოლის ქება-დიდება, ამ სკოლის პირდაპირი მხარის დაჭერა ტროცკის მიერ — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა დამალვა დიდხანს არ შეიძლება. შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ტროცკის პოლიტიკის შინაარსია «პრავდის» «ერთსულოვანი მუშაობა» ბატონ პოტრესოვებისა და ვპერიოდელების ფრაქციებთან. ამ ბლოკში როლები ნათლადაა განაწილებული: ბატონი პოტრესოვები პარტიის დამოუკიდებლად განაგრძობენ თავიანთ ლეგალისტურ მუშაობას, სოციალ-დემოკრატიის რღვევას, «გოლოსელები» ქმნიან ამ ფრაქციის საზღვარგარეთულ განყოფილებას, ხოლო ტროცკი გამოდის ადვოკატად, რომელიც არწმუნებს გულუბრყვილო საზოგადოებას, თითქოს «ყ ვ ე ლ ა პარტიულ მიმდინარეობაში მტკიცედ დამკვიდრდა» «მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა». ვპერიოდელებიც იძენენ ასეთსავე ადვოკატს, რომელიც იცავს მათი ფრაქციული სკოლის თავისუფლებას და რომელიც მათს პოლიტიკას ჰფარავს ფარისევლური, გაცვეთილი

ფრაზით. ეს ბლოკი, რაღა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს ტროცკის «ფონდს» და ანტიპარტიულ კონფერენციას, რომელსაც ის იწვევს, რადგან აქ ბატონი პოტრესოვებიც და ვპერიოდელებიც ღებულობენ იმას, რაც მათ ესაჭიროებათ: თავიანთი ფრაქციების თავისუფლებას, მათ დაკანონებას, მათი საქმიანობის დაფარვას, მუშების წინაშე ამ საქმიანობის ადვოკატურ დაცვას.

და აი სწორედ «პრინციპულ საფუძველთა» თვალსაზრისით ჩვენ არ შეგვიძლია ეს ბლოკი არ აღვიაროთ ა ვ ა ნ ტ ი უ რ ი ზ მ ა დ ამ სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობით. ტროცკი ვ ე რ ბ ე დ ა ვ.ს თქვას, რომ მას პოტრესოვი, ოტზოვისტები მიაჩნია ნამდვილ მარქსისტებად, სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპულობის ჭეშმარიტ დამცველებად. ავანტიურისტის პოზიციის არსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას პერმანენტულად უხდება თავის დაძვრენა. ვინაიდან ყველა და თვითეული ხედავს და მიმხვდარია, რომ ბატონ პოტრესოვებსა და ოტზოვისტებს ყ ვ ე ლ ა ს თ ა ვ ი ა ნ თ ი ხაზი (ანტისოციალ-დემოკრატიული ხაზი) აქვთ და ამ ხაზს ა ტ ა რ ე ბ ე ნ, მაშინ როდესაც «გოლოსელი» და «ვპერიოდელი» დიპლომატები მხოლოდ საფარს წარმოადგენენ.

ყველაზე ღრმა მიზეზი იმისა, თუ რატომაა გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ჩასაშლელად ახალი ბლოკი, რაც უნდა დიდი იყოს მისი წარმატება ობივატელურ ელემენტებში, რანაირი «ფონდებიც» უნდა შეაგროვოს ტროცკიმ ვპერიოდელთა და პოტრესოვის «წყაროების» საშუალებით, — მდგომარეობს იმაში, რომ ეს ბლოკი უ პ რ ი ნ ც ი პ ო ა. მარქსიზმის თეორია, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობის, მთელი ჩვენი პარტიული პროგრამისა და ტაქტიკის «პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი» ამჟამად შემთხვევით კი არა, აუცილებლობის გამო წამოიჭრა ერთ-ერთ პირველ ადგილზე პარტიის მთელ ცხოვრებაში. შემთხვევითი კი არა, გარდუვალი იყო ის, რომ რევოლუციის წარუმატებლობის შემდეგ საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასში, ხალხის უაღრესად ფართო მ ა ს ე ბ შ ი აღიძრა ინტერესი მთელი მსოფლმხედველობის ღრმა საფუძვლებისადმი, მათ შო-

რის თვით რელიგიისა და ფილოსოფიის საკითხებისადმი, საერთოდ მთელი ჩვენი, მარქსისტული მოძღვრების პრინციპებისადმი. შემთხვევითი კი არა, გარდუვალი იყო ის, რომ რევოლუციის მიერ ტაქტიკის საკითხების გარშემო გაჩაღებულ მწვავე ბრძოლაში ჩაბმულმა მასებმა, აშკარა გამოსვლების არარსებობის ხანაში, ზოგადთეორიული ცოდნის მოთხოვნილება წამოაყენეს. მარქსიზმის საფუძვლები ხელახლა უნდა განემარტოს ამ მასებს, მარქსიზმის თეორიის დაცვის საკითხი ისევ რიგში დგება. თუ ტროცკი პარტიელი მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაახლოებას «პოლიტიკურად უშინაარსოდ» და «მერყეევად» აცხადებს, ეს მხოლოდ მისი უმეცრების სიღრმეს ააშკარავებს, ეს მხოლოდ მის საკუთარ სრულ უშინაარსობას ახასიათებს. სწორედ მარქსიზმის პრინციპულმა საფუძვლებმა გაიმარჯვეს ბოლშევიკების ბრძოლაში «ვპერიოდის» არასოციალდემოკრატიულ იდეებთან, პარტიელი მენშევიკების ბრძოლაში ბ. ბ. პოტრესოვებთან და გოლოსელებთან. სწორედ ეს დაახლოება მარქსიზმის პრინციპულ საფუძველთა საკითხში წარმოადგენდა პარტიელი მენშევიკებისა და ბოლშევიკების მართლაცდა ერთსულოვანი მუშაობის რეალურ ბაზას პლენუმის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში. ეს ბრის ფაქტი და არა სიტყვები, არა დაპირებანი, არა «კეთილი სურვილების შემცველი რეზოლუციები». და რა უთანხმოებაც უნდა იყოს მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის წარსულსა და მომავალში (მხოლოდ ავანტიურისტებს შეუძლიათ მიიზიდონ ხალხი დაპირებებით უთანხმოებათა მოსპობის შესახებ, მათი ამა თუ იმ რეზოლუციით «ლიკვიდაციის» შესახებ), ამ ისტორიული ფაქტის წაშლა არ შეიძლება. მხოლოდ თვით მთავარი ფრაქციების შინაგანი განვითარება, მხოლოდ მათი საკუთარი იდეური ევოლუცია შეიძლება გახდეს საწინდარი ფრაქციების ნამდვილი მოსპობისა მათი დაახლოების გზით, საერთო მუშაობაში მათი გამოცდის გზით. და ეს დაიწყო პლენუმის შემდეგ. პოტრესოვის ერთსულოვანი მუშაობა ვპერიოდელებსა და ტროცკისთან ჩვენ ჯერ

ა რ გვინახავს, ჩვენ ვნახეთ მხოლოდ წრეობრივი დიპლომატია, სიტყვების რახარუხი, სოლიდარობა თავის დაძვრენაში. პარტიელი მენშევიკებისა და ბოლშევიკების ერთსულოვან მუშაობას პარტია ხედავდა მთელი წლის განმავლობაში, და არც ერთი ადამიანი, ვისაც კი შეუძლია დააფასოს მ ა რ ქ ს ი ზ მ ი, არც ერთი ადამიანი, ვისთვისაც კი ძვირფასია სოციალ-დემოკრატიზმის «პრინციპული საფუძვლები», ერთი წუთითაც არ დაეჭვდება იმაში, რომ ო რ ი ვ ე ფრაქციის მუშების ცხრა მეათედი ა მ დაახლოების მომხრე იქნება.

ტროცკის ბლოკი პოტრესოვთან და ვპერიოდელებთან არის ავანტიურა სწორედ «პრინციპული საფუძვლების» თვალსაზრისით. არა ნაკლებ მართალია ეს პ ა რ ტ ი უ ლ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ამოცანების თვალსაზრისითაც. ეს ამოცანები მართლაც ე რ თ ხ მ ა დ ა ა აღნიშნული პლენუმის მიერ, მაგრამ ისინი სულაც არ წარმოადგენენ იმ ბანალურ ფრაზას: გაერთიანება ლეგალური და არალეგალური მუშაობისა (კადეტებიც ხომ «აერთიანებენ» ლეგალურ «რეჩს»[18] არალეგალურ «კადეტურ» ცენტრალურ კომიტეტთან), რომელსაც ტროცკი განგებ ირჩევს, რათა ასიამოვნოს ბ. ბ. პოტრესოვებსა და ვპერიოდელებს, რომელთაც უშინაარსო ფრაზებისა და ბანალობის წინააღმდეგ არაფერი აქვთ.

«სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიული ვითარება ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ეპოქაში» — ამბობს პლენუმის რეზოლუცია — «გარდუვალად წარმოშობს, როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებას, ერთი მხრივ, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფას, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირებას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდებს და სხვა; მეორე მხრივ, სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული მუშაობისა და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფას, მათი მნიშვნელობის შეუგნებლობას, თანამედროვე მომენტის თავისებურ ისტორიულ პირობებთან რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის შეგუების უუნარობას და სხვ.».

მ თ ე ლ ი წ ლ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს შემდეგ არ შეიძლება თავი ავარიდოთ პირდაპირ პასუხს ამ მითითებათა რ ე ა-

ლ ო ბ ი მნიშვნელობის კითხვაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პლენუმზე ყ ვ ე ლ ა ნაციონალმა (რომელთაც მაშინ მიემხრო ამა თუ იმ მომენტის ყ ო ვ ე ლ ი უმრავლესობის მუდამ ამ-ყოლი ტროცკი) წერილობით განაცხადა, «ა რ ს ე ბ ი თ ა დ სასურველი იქნებოდა ლიკვიდატორობა ეწოდოს რეზოლუციაში აღნიშნულ მიმდინარეობას, რომელსაც აუცილებლად უნდა ვებრძოლოთო».

პლენუმის შემდეგ ერთი წლის გამოცდილებამ საქმით გვიჩვენა, რომ სწორედ პოტრესოვის ჯგუფები, სწორედ ვპერიოდელთა ფრაქცია ა ს ა ხ ი ე რ ე ბ ე ნ ამ ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე. ამ აშკარა ფაქტის გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ა წარმოადგენს სწორედ ავანტიურიზმს, ვინაიდან დღემდე ჯერ არავის გაუბედნია პირდაპირ ეთქვა, რომ პოტრესოვებსა და კომპანიას ა რ ა ა ქ ვ თ ლიკვიდატორობის ხაზი, რომ ოტზოვიზმის «კანონიერ ელფერად» აღიარება პარტიის ხაზს შ ე ე ფ ე რ ე ბ ა ო. ჩვენთვის ამაოდ არ ჩაუვლია მთელ წელიწადს პლენუმის შემდეგ. ჩვენ უფრო მდიდარი გავხდით გამოცდილებით. ჩვენ დავინახეთ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მაშინ აღნიშნულ ტენდენციათა გამოვლინება. ჩვენ დავინახეთ ფ რ ა ქ ც ი ე ბ ი, რომელნიც ასახიერებდნენ ამ ტენდენციებს. და ამ ა ნ ტ ი პ ა რ ტ ი უ ლ ფრაქციათა ვითომდა «პარტიული» სულისკვეთებით «ერთსულოვანი მუშაობის» შესახებ ლ ა პ ა რ ა კ ი თ ახლა მუშათა ცოტად თუ ბევრად ფართო ფენები აღარ მოტყუვდებიან.

ბოლოს, მესამეც, ტროცკის პოლიტიკა ავანტიურაა ო რ-გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი აზრითაც, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის არღვევს პარტიულ ლეგალობას და ერთი საზღვარგარეთული ჯგუფის სახელით (ან ო რ ი ანტი-პარტიული ფრაქციის, გოლოსელებისა და ვპერიოდელების, ბლოკის სახელით) კონფერენციის მოწყობით პირდაპირ ადგება გათიშვის გზას. ჩვენ უფლებამოსილი ვართ მთელი პარტიის სახელით ვილაპარაკოთ, ამიტომ მოვალე ვართ ბოლომდე დავიცვათ პარტიული ლეგალობა.

მაგრამ ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ პარტიის წევრები «ლეგალობის» ფორმების გამო ვეღარ ხედავდნენ საქმის დ ე დ ა ა რ ს ს. პირიქით, ჩვენ სოციალ-დემოკრატების მ თ ა ვ ა რ ყურადღებას მივაქცევთ სწორედ საქმის დ ე დ ა ა რ ს ზ ე, რაც გამოიხატება გოლოსელთა და ვპერიოდელთა ბ ლ ო კ ი თ, რომელიც იცავს ბატონ პოტრესოვების ლიკვიდატორული მოქმედებისა და პარტიის ოტზოვისტური დარღვევის სრულ თავისუფლებას.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა სოციალ-დემოკრატს მედგრად იბრძოლონ პარტიული ლეგალობისათვის, ებრძოლონ ანტიპარტიულ ბლოკს მარქსიზმის პრინციპული საფუძვლების გულისთვის, ლიბერალიზმისა და ანარქიზმისაგან სოციალ-დემოკრატიზმის გაწმენდის გულისთვის.

P. S.* ზემოთ დაბეჭდილი სტატიის ცალკე ამონაბეჭდად გამოცემამ (რაც მოხდა რედაქციის უმრავლესობის — ბოლშევიკური მიმდინარეობის ორი წარმომადგენლისა და პოლონეთის ორგანიზაციის წარმომადგენლის — გადაწყვეტილებით) გამოიწვია რედაქციის დანარჩენი ორი წევრის — გოლოსელების—პროტესტი, რომელიც გამოიცა ცალკე ფურცლად. ამ ფურცელში მისი ავტორები არსებითად არ ეხებიან შინაარსს სტატიისას: «პ ა რ ტ ი ა შ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» და რედაქციის უმრავლესობას აბრალებენ: 1) მათი, ორი თანარედაქტორის, ფორმალური უფლებების დარღვევას, 2) «პოლიციურ დაბეზღებას». რაკი დავა წარმოებს არა პრინციპებისა და ტაქტიკის ნიადაგზე, არამედ ორგანიზაციული კინკლაობისა და პირად თავდასხმათა სფეროში, ყველაზე მართებულად მიგვაჩნია იგი მთლიანად გადავიტანოთ ცენტრალურ კომიტეტში. ვფიქრობთ, ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების გამოტანამდეც ყველა პ ა რ ტ ი უ ლ ი ამხანაგი ღირსეულად შეაფასებს რედაქციის ორი წევრის, მარტოვისა და დანის, «პოლემიკის» მეთოდებს.

დაიბეჭდა 1910 წ. 23 თუ 24 დეკემბერს (1911 წ. 5 თუ 6 იანვარს) გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 19-ის ცალკე ანაბეჭდად

იბეჭდება ანაბეჭდის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია «სოციალ-დემოკრატის» № 19—20-ის დამატებაში დაბეჭდილ ტექსტთან

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ[19]

ჩვენი მოძღვრება, — ამბობდა ენგელსი თავის თავზე და თავის სახელგანთქმულ მეგობარზე, — მოქმედების სახელმძღვანელოა და არა დოგმაო. ამ კლასიკურ დებულებაში შესანიშნავი სიძლიერითა და სიცხადით არის ხაზგასმული მარქსიზმის ის მხარე, რომელსაც ხშირად არ ექცევა ყურადღება. ხოლო ამის უყურადღებოდ დატოვებით ჩვენ მარქსიზმს ვაცალმხრივებთ, ვამახინჯებთ, ვკლავთ, ჩვენ ვართმევთ მას ცოცხალ სულს, ძირს ვუთხრით მის უმთავრეს თეორიულ საფუძვლებს — დიალექტიკას, მოძღვრებას ყოველმხრივი და წინააღმდეგურობით სავსე ისტორიული განვითარების შესახებ; ჩვენ ვარყევთ მის კავშირს ეპოქის განსაზღვრულ პრაქტიკულ ამოცანებთან, რომელნიც შეიძლება შეიცვალონ ისტორიის ყოველი ახალი შებრუნების დროს.

და სწორედ დღე', მათ შორის, ვისაც აინტერესებს მარქსიზმის ბედი რუსეთში, განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომელნიც მარქსიზმის სწორედ ამ მხარეს სტოვებენ უყურადღებოდ. ამავე დროს კი ყველასათვის ცხადია, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთმა განიცადა ისეთი მძაფრი გარდატეხანი, რომლებიც არაჩვეულებრივი სისწრაფითა და არაჩვეულებრივი სიმკვეთრით სცვლიდნენ ვითარებას, სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც უახლოესად და უშუალოდ საზღვრავს მოქმედების პირობებს და, მაშასადამე, მოქმედების ამოცანებსაც. მე, რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობ ზოგად და ძირითად ამოცანებზე, რომ-

ლებიც არ იცვლება ისტორიის შებრუნების დროს, რაკი არ იცვლება ძირითადი თანაფარდობა კლასთა შორის. სავსებით აშკარაა, ეს ზოგადი მიმართულება რუსეთის ეკონომიური (და არა მარტო ეკონომიური) ევოლუციისა, ისე როგორც ძირითადი თანაფარდობა რუსი საზოგადოების სხვადასხვა კლასს შორის, არ შეცვლილა, ვთქვათ, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში.

მაგრამ უახლოესი და უშუალო მოქმედების ამოცანები ამ ხნის განმავლობაში მეტად მკვეთრად იცვლებოდა, როგორც იცვლებოდა კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, — მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, მარქსიზმშიც, როგორც ცოცხალ დოქტრინაში, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა წინ ა რ წამოწეულიყო მისი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მხარე.

ამ აზრის ნათელსაყოფად ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში. ჩვენს წინ ერთბაშად ისახება ორი სამწლედი, რომელზედაც იყოფა ეს პერიოდი: ერთი თავდება, დაახლოებით, 1907 წლის ზაფხულით, მეორე — 1910 წლის ზაფხულით. პირველი სამწლედი, წმინდა თეორიული თვალსაზრისით, ხასიათდება რუსეთის სახელმწიფო წყობილების ძირითადი ნიშნების სწრაფი ცვლილებით, ამასთან ამ ცვლილების მსვლელობა ძალიან უსწორმასწორო იყო, იქით-აქეთ ქანაობის ამპლიტუდა — ძალიან დიდი. «ზედნაშენის» ამ ცვლილების სოციალურ-ეკონომიური ბაზა ისეთი აშკარა, დამარწმუნებელი, მასობრივი გამოსვლა იყო რუსი საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასისა ს უ ლ ს ხ ვ ა დ ა-ს ხ ვ ა სარბიელზე (მოღვაწეობა სათათბიროში და სათათბიროს გარეთ, პრესა, კავშირები, კრებები და სხვ.), როგორიც ხშირად როდი გვხვდება ისტორიაში.

პირიქით, მეორე სამწლედი ხასიათდება — ვიმეორებთ, ჩვენ ამხანად ვჯერდებით წმინდა თეორიულ «სოციოლოგიურ» თვალსაზრისს — ისეთი ნელი ევოლუციით, რომელიც თითქმის შეჩერებას უდრის. არავითარი, ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი, ცვლილება სახელმწიფო წყობილებაში. არავი-

თარი ან თითქმის არავითარი აშკარა და სხვადასხვამხრივი გამოსვლები კ ლ ა ს ე ბ ი ს ა იმ «სარბიელთა» უმრავლესობაზე, სადაც გაიშალა ეს გამოსვლები წინა პერიოდში.

ორივე პერიოდის მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ევოლუცია როგორც პირველის, ისე მეორე პერიოდის განმავლობაში დარჩა წინანდელ, კაპიტალისტურ ევოლუციად. წინააღმდეგურობა ასეთი ეკონომიური ევოლუციისა მთელ რიგ ფეოდალურ, შუასაუკუნებრივ დაწესებულებათა არსებობასთან არ მოსპობილა, რჩებოდა ისევ უწინდებური, იგი კი არ შერბილებულა, არამედ უფრო მწვავდებოდა ერთგვარი ნაწილობრივი ბურჟუაზიული შინაარსის შეჭრით ამა თუ იმ ცალკეულ დაწესებულებაში.

ამ ორი პერიოდის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი პერიოდის დროს ისტორიული მოქმედების ავანსცენაზე იდგა საკითხი, თუ სახელდობრ როგორ ჩამოყალიბდებოდა ზემოხსენებულ სწრაფ და უსწორმასწორო ცვლილებათა შედეგი. ამ ცვლილებათა შინაარსი, რუსეთის ევოლუციის კაპიტალისტური ხასიათის გამო, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ბურჟუაზიული, მაგრამ ბურჟუაზიაც არის და ბურჟუაზიაც. საშუალო და მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც ცოტად თუ ბევრად ზომიერი ლიბერალიზმის პოზიციაზე იდგა, თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო ეშინოდა მკვეთრი ცვლილებისა და ცდილობდა შეენარჩუნებინა ძველ დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაშთები როგორც აგრარულ წყობაში, ისე პოლიტიკურ «ზედნაშენში». სოფლის წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც გადახლართულია «თავისი შრომით» მცხოვრებ გლეხობასთან, არ შეეძლო არ მოეთხოვა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ბურჟუაზიული გარდაქმნა, რომელიც გაცილებით ნაკლებ ადგილს უტოვებდა ყოველგვარ შუასაუკუნებრივ სიძველეს. დაქირავებულ მუშებს, რამდენადაც ისინი შეგნებულად ეკიდებოდნენ მათს გარშემო მომხდარ ამბებს, არ შეეძლოთ არ შეემუშავებინათ განსაზღვრული დამოკიდებულება ამ შეხლა-შემოხლისადმი ორ სხვადასხვა ტენდენციას შორის; ორივე ეს ტენდენცია დარჩა ბურჟუა-

ზიული წყობილების ფარგლებში, მაგრამ განსაზღვრავდა მის სრულიად სხვადასხვა ფორმას, მისი განვითარების სრულიად სხვადასხვა სისწრაფეს, მის პროგრესულ გავლენათა სფეროს სხვადასხვა სიფართოვეს.

ამრიგად, გასული სამწლედის ეპოქამ არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობით წინ წამოსწია მარქსიზმში ის საკითხები, რომელთაც ჩვეულებრივ ტაქტიკის საკითხებს უწოდებენ. ყოვლად მცდარია ის აზრი, თითქოს ამ საკითხების გამო ამტყდარი დავა და უთანხმოება «ინტელიგენტური» დავა, «მოუმწიფებელ პროლეტარიატზე გავლენისათვის ბრძოლა» იყო, თითქოს იგი გამოხატავდა «ინტელიგენციის შეგუებას პროლეტარიატთან», როგორც ფიქრობენ ყოველი ჯურის ვეხელები. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ამ კლასმა მიაღწია სიმწიფეს, მას არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო რუსეთის მთელი ბურჟუაზიული განვითარების ორი სხვადასხვა ტენდენციის შეხლა-შემოხლის მიმართ, და ამ კლასის იდეოლოგებს არ შეეძლოთ არ მოეცათ თეორიული ფორმულირებანი, რომელნიც შეესაბამებიან (უშუალოდ თუ არაპირდაპირ, პირდაპირი თუ შებრუნებული ასახვით) ამ სხვადასხვა ტენდენციას.

მეორე სამწლედში რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების სხვადასხვა ტენდენციის შეტაკება ა რ იდგა დღის წესრიგში, რადგან ო რ ი ვ ე ეს ტენდენცია «ზუბრმა» რამდენიმე ხნით ჩაახშო, უკან დასწია, გააყრუა, მიჩქმალა. შუასაუკუნებრივმა ზუბრებმა არათუ მთელი ავანსცენა დაიკავეს, არამედ ბურჟუაზიული საზოგადოების უაღრესად ფართო ფენების გულიც აავსეს ვეხელთა სულისკვეთებით, სასოწარკვეთილებისა და განდგომილობის სულით. ძველის გარდაქმნის ორი წესის შეტაკება კი არა, არამედ ყოველგვარი გარდაქმნის რწმენის დაკარგვა, «მორჩილებისა» და «მონანიების» სული, ანტისაზოგადოებრივი მოძღვრებით გატაცება, მისტიციზმის მოდა და სხვა, — აი რა აღმოჩნდა ცხოვრების ზედაპირზე.

და ეს გასაოცრად მკვეთრი ცვლა არ ყოფილა არც შემთხვევითობა, არც მარტოოდენ «გარეგნული» ზეგავლენის შედეგი. წინა ეპოქამ ისე ღრმად შეარხია მოსახლეობის ფენები, რომელნიც მთელ თაობათა და საუკუნეთა განმავლობაში განზე უდგნენ პოლიტიკურ საკითხებს და რომელთაც ეუცხოებოდათ ეს საკითხები, — რომ «ყველა ღირებულების გადაფასება», ძირითად პრობლემებზე ახალი მუშაობა, ახალი ინტერესი თეორიისადმი, ანბანისადმი, ანაბანათი დაწყებული სწავლისადმი ბუნებრივად და აუცილებლად აღიძრა. ხანგრძლივი ძილისაგან ერთბაშად გამოღვიძებულ, ერთბაშად უმნიშვნელოვანესი პრობლემების წინაშე დაყენებულ მილიონობით ადამიანებს დიდხანს არ შეეძლოთ შერჩენოდნენ ამ სიმაღლეს, არ შეეძლოთ არ შეესვენებინათ, არ დაბრუნებოდნენ ელემენტარულ საკითხებს, არ შეეძლოთ არ დაეწყოთ ახალი მზადება, რომელიც ხელს შეუწყობდა გაუგონრად მდიდარი გაკვეთილების «მონელებას» და საშუალებას მისცემდა შეუდარებლად უფრო ფართო მასას წასულიყო ისევ წინ, უკვე ბევრად უფრო მტკიცედ, უფრო შეგნებულად, უფრო დარწმუნებით, უფრო ურყევად.

ისტორიული განვითარების დიალექტიკა ისეთი აღმოჩნდა, რომ პირველ პერიოდში დღის წესრიგში იდგა უშუალო გარდაქმნათა განხორციელება ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო მეორე პერიოდში — გამოცდილების გადამუშავება, მისი შეთვისება უფრო ფართო ფენების მიერ, მისი ღრმად ჩასვლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვენიადაგში, სხვადასხვა კლასის ჩამორჩენილ რიგებში.

სწორედ იმიტომ, რომ მარქსიზმი არ არის მკვდარი დოგმა, არ არის რომელიმე დასრულებული, მზამზარეული, უცვლელი მოძღვრება, არამედ მოქმედების ცოცხალი სახელმძღვანელოა, სწორედ ამიტომ მას არ შეეძლო არ აესახა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გასაოცრად მკვეთრი ცვლა. ამ ცვლის გამოხატულება იყო ღრმა რღვევა, დაქსაქსულობა, ყოველგვარი მერყეობა, ერთი სიტყვით, — მარქსიზმის უაღრესად სერიოზული შინაგანი კრიზისი. გადა-

მწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა ამ რღვევის მიმართ, გადამწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლა მარქსიზმის საფუძვლებისათვის ისევ დღის წესრიგში დადგა. იმ კლასთა უაღრესად ფართო ფენებმა, რომელნიც გვერდს ვერ აუვლიან მარქსიზმს თავიანთი ამოცანების ფორმულირების დროს, წინა ეპოქაში მარქსიზმი მეტად ცალმხრივად, დამახინჯებულად შეითვისეს, მათ დაიზეპირეს ესა თუ ის «ლოზუნგი», ესა თუ ის პასუხი ტაქტიკურ კითხვებზე და ამავე დროს ვერ გაიგეს ამ პასუხთა მარქსისტული კრიტერიუმი. «ყველა ღირებულების გადაფასებამ» საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოიწვია მარქსიზმის ყველაზე აბსტრაქტული და ზოგადი ფილოსოფიური საფუძვლების «რევიზია». ბურჟუაზიული ფილოსოფიის გავლენა მისი მრავალგვარი იდეალისტური ელფერით გამოისახა მახიზმის მოარული სენით მარქსისტებს შორის. დაზეპირებული, მაგრამ ვერ გაგებული, მოუფიქრებელი «ლოზუნგების» განმეორებამ გამოიწვია ის, რომ ფართოდ გავრცელდა ცარიელი, უშინაარსო ფრაზა, რომელიც ნამდვილად შეიცავდა სრულიად არამარქსისტულ, წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებს, როგორიც არის, მაგალითად, აშკარა თუ მორცხვი «ოტზოვიზმი» ან ოტზოვიზმის აღიარება მარქსიზმის «კანონიერ ელფერად».

მეორე მხრივ, ვეხელობის სული, განდგომილობის სული, ბურჟუაზიის უაღრესად ფართო ფენებს რომ მოედო, შეიჭრა იმ მიმდინარეობაშიც, რომელიც ცდილობს მარქსისტული თეორია და პრაქტიკა მოაქციოს «ზომიერებისა და წესიერების» კალაპოტში. აქ მარქსისტული დარჩა მხოლოდ ფრაზეოლოგია, რომლითაც შემოსილია მთლად ლიბერალური სულით გამსჭვალული მსჯელობანი «იერარქიისა» და «ჰეგემონიის» შესახებ და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩვენი სტატიის ამოცანას ამ მსჯელობათა განხილვა არ შეადგენს. საკმარისია მათი აღნიშვნა, რომ დავასურათოთ ზემონათქვამი მარქსიზმის ახლანდელი კრიზისის სიღრმეზე და მის კავშირზე ახლანდელი პერიოდის მთელ

საზოგადოებრივ-ეკონომიურ ვითარებასთან. ამ კრიზისით აღძრული საკითხების თავიდან არიდება არ შეიძლება. იმაზე უფრო მავნებელი და მეტი უპრინციპობა არაფერი იქნება, რომ ფრაზის საშუალებით ვეცადოთ ამ საკითხების თავიდან არიდებას. უაღრესად მნიშვნელოვანია შეკავშირება ყ ვ ე ლ ა მარქსისტისა, რომელთაც შეიგნეს კრიზისის სიღრმე და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა მარქსიზმის თეორიულ საფუძველთა და მის ძირითად დებულებათა დასაცავად, რომლებსაც სულ სხვადასხვა მხრიდან ამახინჯებენ მარქსიზმის სხვადასხვა «თანამგზავრზე» ბურჟუაზიული გავლენის გავრცელებით.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობის მისაღებად წინა სამწლედმა სარბიელზე გამოიყვანა ისეთი ფართო ფენები, რომელნიც ხშირად დღეს პირველად ეცნობიან მარქსიზმს ჯეროვანად. ბურჟუაზიული პრესა ამის შესახებ წინანდელზე გაცილებით უფრო მეტ არევ-დარევას ქმნის და უფრო ფართოდ ავრცელებს მას. რღვევა მარქსიზმის შიგნით ასეთ პირობებში განსაკუთრებით საშიშია. ამიტომ ახლანდელ დროში ამ რღვევის აუცილებლობის მიზეზების გაგება და მის წინააღმდეგ თანამიმდევარი ბრძოლისათვის შეკავშირება მარქსისტებისთვის ეპოქის ამოცანას წარმოადგენს ამ სიტყვის პირდაპირი და ზედმიწევნითი მნიშვნელობით.

«ზვეზდა» № 2, 1910 წ. 23 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლის შესახებ

იუდუშკა ტროცკი პლენუმზე თავგამოდებით ილაშქრებდა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ. ღმერთსა და ხატს ფიცულობდა, პარტიელი ვარო. სუბსიდიას ღებულობდა.

პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტი შესუსტდა, ვპერიოდელები გაძლიერდნენ — ფული გაუჩნდათ. გამაგრდნენ ლიკვიდატორები, რომლებიც «ნაშა ზარიაში»[20] სტოლიპინის თვალწინ აფურთხებდნენ არალეგალურ პარტიას.

იუდუშკამ «პრავდიდან» განდევნა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და ლიკვიდატორული სტატიების წერა დაიწყო «Vorwärts»-ში[21]. წინააღმდეგ პლენუმის მიერ დანიშნული სასკოლო კომისიის პირდაპირი გადაწყვეტილებისა, რომ არც ერთი პარტიული ლექტორი არ უნდა წავიდეს ვპერიოდელთა ფრაქციულ სკოლაშიო, იუდუშკა ტროცკი მაინც წავიდა იქ და ვპერიოდელებთან ერთად განიხილა კონფერენციის მოწვევის გეგმა. ეს გეგმა ახლა ფურცლად გამოაქვეყნა «ვპერიოდის» ჯგუფმა.

და ეს იუდუშკა მკერდზე ხელს იცემს და გაჰყვირის პარტიელი ვარო, თან ირწმუნება, ვპერიოდელებისა და ლიკვიდატორების წინაშე არასდროს მუცელზე არ მიხოხნიაო.

ასეთია იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლე.

დაწერილია 1911 წლის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1932 წ.
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში», № 21

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსი ტერორისტის კარიერა

ასეთი ქვესათაური მისცა ს.-რ. პარტიის წარმომადგენელმა ბ-მა რუბანოვიჩმა თავის სტატიას კარაულოვის სიკვდილის შესახებ ფრანგულ სოციალისტურ გაზეთში «L'Humanité» [22]. კარიერა, მართლაც, საგულისხმოა.

1881 წ. 1 მარტის შემდეგ კარაულოვი ჩავიდა პარიზში და «ნაროდნაია ვოლიას» მეთაურს წინადადება მისცა მიენდოთ მისთვის ორგანიზაციის აღდგენა. «ვესტნიკ ნაროდნოი ვოლის» [23] რედაქტორმა, მომავალმა რენეგატმა ტიხომიროვმა, მისცა მას რწმუნებულება. კარაულოვი დაბრუნდა რუსეთში ლოპატინსა, სუხომლინსა და სხვებთან ერთად. 1884 წელს მას აპატიმრებენ კიევში და სასამართლოს წესით უსჯიან ოთხი წლის კატორღას, მაშინ როდესაც მისი კოლეგები ღებულობენ სასიკვდილო განაჩენს ან სამუდამო კატორღას.

რით აიხსნება ეს — ბ-ნ რუბანოვიჩის სიტყვით — «უცნაური ლმობიერება». ამბობენ, — გვატყობინებს ბ-ნი რუბანოვიჩი, — სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე განცვიფრებული იყო კარაულოვის მსგავსებით მის ტრაგიკულად გარდაცვლილ შვილთანო. მაგრამ «არსებობს ამ უცნაური ლმობიერების სხვა ახსნაო», — დასძენს ბ-ნი რუბანოვიჩი, იმას კი არ ამბობს, თუ როგორია ეს სხვა ახსნა *.

სამაგიეროდ კარაულოვის უახლესი «კარიერა» არავითარ ეჭვს არ იწვევს. 1905 წელს ის იმდენად აშკარად გამოდიოდა რევოლუციონერების წინააღმდეგ, რომ ამომრჩევლებმა ის გააშავეს როგორც I, ისე II სათათბიროს არჩევ-

* ლაპარაკია, ალბათ, გამოთქმულ ეჭვებზე, რომ კარაულოვმა «გულახდილი ჩვენება» მისცაო.

ნებში. «თუ ჩემს წინაშე ორი ბანაკი იქნება, — უთქვამს ერთ მიტინგზე კარაულოვს («ბირჟევიე ვედომოსტის»[24] ცნობით), — ერთში — მთავრობის ჯარები, მეორეში — რევოლუციონერები პროლეტარიატის დიქტატურის ყბადაღებული ლოზუნგით, მე დაუფიქრებლად წავალ მთავრობის ჯარებთან ერთად რევოლუციონერების წინააღმდეგო». გასაკვირველი არ არის, რომ ვიტე ამდენს ზრუნავდა ასეთი კაცის უფლებების აღსადგენად. გასაკვირველი არ არის, რომ კარაულოვმა III სათათბიროში დაიკავა ერთ-ერთი პირველი ადგილი ყველაზე საზიზღარ, მუდამ ფარისევლური ფრაზებით მოლაპარაკე კონტრრევოლუციონერ კადეტებს შორის.

საკვირველი ისაა, რომ არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თავი დემოკრატიის თანამგრძნობლებად ჩათვალონ, რომელნიც ახლა, კარაულოვის სიკვდილის გამო, ადიდებენ მას როგორც «დემოკრატს», «მებრძოლს» და სხვ.

საკვირველი ისაა, რომ ბ-ნ რუბანოვიჩს, ს.-რ. პარტიის წარმომადგენელს, შეუძლია ფრანგულ სოციალისტურ ორგანოში დაწეროს: «ბევრი ეპატიება ზომიერთა ბანაკში გადასულ ყოფილ ესერს იმისათვის, რომ იგი შეეხო საუკეთესო სიმებს» (ლაპარაკია სათათბიროს იმ სხდომაზე, როდესაც მემარჯვენეებმა კარაულოვს კატორღელი უწოდეს, ხოლო მან უპასუხა, ვამაყობ ამითო).

ეფექტური ფ რ ა ზ ი ს ა თ ვ ი ს რენეგატის კარიერის «პატიება» — ეს ესერების დამახასიათებელია. რენეგატები არიან ყველა რევოლუციურ პარტიაში, ყველა ქვეყანაში, და მათ შორის ყოველთვის მოიძებნებიან ეფექტის ოსტატები. მაგრამ რევოლუციონერებს, «რევოლუციური» პარტიების წარმომადგენლებს რომ საჯაროდ განეცხადებინოთ: «ბევრი ეპატიება» რენეგატს მოსწრებული წამოძახილისთვისაო, — ეს ხშირად როდი ხდება. ამისათვის საჭიროა, რომ ვითომ «რევოლუციურ» პარტიაში იყოს დიდი პროცენტი ყ უ მ ბ ა რ ი თ შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს ა. ამისათვის საჭიროა, რომ ამ, უყუმბაროდ დარ-

ჩენილ, ლიბერალებს შეეძლოთ ყოფნა «რევოლუციურ» პარტიებში, რომელნიც სრულიად არ ზრუნავენ რევოლუციური პრინციპების, რევოლუციურ აღთქმათა, რევოლუციური სახელისა და მოვალეობის დაცვის საქმეზე.

არის კიდევ სხვა, უფრო ღრმა გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს «რუსი ტეროორისტის კარიერიდან». ეს არის კლასობრივი ბრძოლის გაკვეთილი, ეს არის იმის ილუსტრაცია, რომ ამჟამად რუსეთში მხოლოდ რევოლუციურ კ ლ ა ს ებ ს შეუძლიათ ოდნავ მაინც სერიოზული რევოლუციური პარტიების დასაყრდენი იყვნენ. არა მარტო კარაულოვმა, არამედ ბურჟუაზიული ინტელიგენციის მ ა ს ა მ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დემოკრატიული და რევოლუციურიც კი იყო, ახლა ზ უ რ გ ი შ ე ა ქ ც ი ა დემოკრატიასა და რევოლუციას. ეს შემთხვევითი მოვლენა კი არაა, არამედ აუცილებელი შედეგია რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი შეგნების განვითარებისა, ბურჟუაზიისა, რომელმაც გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ გაიგო, თუ რა ახლოა ის მომენტი, როცა მონარქიის «ბანაკი» და რევოლუციის ბანაკი ერთმანეთის პირისპირ დადგებიან, — რომელმაც გამოცდილებით გაიგო, თუ რ ო გ ო რ ი არჩევანი უნდა მოახდინოს მან, ბურჟუაზიამ, ამ დროს.

ვისაც სურს გამოიყენოს რუსეთის რევოლუციის დიადი გაკვეთილები, მან უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების განვითარებას, მხოლოდ ა მ კლასის ორგანიზაციას, მხოლოდ მისი პარტიის გაწმენდას წვრილბურჟუაზიული «თანამგზავრებისაგან», მათი დამახასიათებელი უპრინციპობისა, მერყეობისა და სისუსტისაგან შ ე უ ძ ლ ი ა ისევ მიიყვანოს ხალხი — და უსათუოდ მიიყვანს კიდეც — რომანოვთა მონარქიაზე გამარჯვებამდე.

«სოციალ-დემოკრატი» № 19 — 20,
1911 წ. 13 (26) იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა

ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის ლ. ტოლსტოი და რომელიც შესანიშნავი სიცხადით აისახა როგორც მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე მის მოძღვრებაში, არის 1861-დან 1905 წლამდე განვლილი ეპოქა. მართალია, ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო და უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე ეს პერიოდი დაიწყებოდა და დამთავრდებოდა, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, სავსებით ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში, რომლის გარდამავალმა ხასიათმა წარმოშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა და «ტოლსტოველობის» ყ ვ ე ლ ა განმასხვავებელი თვისება.

ლ. ტოლსტოიმ «ანა კარენინაში» კ. ლევინის პირით მეტად მკაფიოდ გამოხატა, თუ რა შეადგენდა რუსეთის ისტორიის უღელტეხილს ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

...«მოსავალზე, მუშების დაქირავებაზე და სხვა ამისთანაზე ლაპარაკი, რომელიც, — ლევინმა ეს იცოდა, — რაღაც ძალიან უღირს რამედ ითვლებოდა,... ახლა ლევინს მხოლოდ ეს მიაჩნდა დიდმნიშვნელოვან რამედ. «შეიძლება ეს მნიშვნელოვანი არ იყო ბატონყმობის დროს, ან არაა მნიშვნელოვანი ინგლისში. ორივე შემთხვევაში თვით პირობები გამორკვეულია; მაგრამ ჩვენში ახლა, როცა ყოველივე ეს გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობა, ის საკითხი, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს პირობები, ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთში», — ფიქრობდა ლევინი» (თხზ., ტ. X, გვ. 137).

«ჩვენში ახლა ყოველივე ეს გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობა», — ძნელია წარმოიდგინოთ 1861 — 1905 წლების

პერიოდის უფრო მარჯვე დახასიათება. ის, რაც «გადატრიალდა», კარგად ცნობილია, ან, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ნაცნობია ყოველი რუსისათვის. ეს არის ბატონყმობა და მისი შესაბამისი მთელი «ძველი წესწყობილება». ის, რაც «მხოლოდ ეწყობა», სრულიად უცნობია, უცხო, გაუგებარია მოსახლეობის უფართოესი მასისათვის. ეს ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც «მხოლოდ ეწყობა», ტოლსტოის ბუნოვანად ეხატება საფრთხობელას სახით — ინგლისის სახით. სწორედ რომ საფრთხობელას სახით, რადგან ტოლსტოი, ასე ვთქვათ, პრინციპულად უარყოფს ყოველგვარ ცდას — გამოარკვიოს ამ «ინგლისის» საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ნიშნები, ამ წყობილების კავშირი კაპიტალის ბატონობასთან, ფულის როლთან, გაცვლა-გამოცვლის წარმოშობასა და განვითარებასთან. ნაროდნიკების მსგავსად, მას არა სურს დაინახოს, ის თვალს ხუჭავს, გაურბის ფიქრს იმაზე, რომ რუსეთში «ეწყობა» მხოლოდ ბურჟუაზიული და არა სხვა რაიმე წყობილება.

სიმართლეა ის, რომ რუსეთში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის უახლოესი ამოცანების თვალსაზრისით, 1861 — 1905 წლების პერიოდისათვის (და ჩვენი დროისთვისაც), თუ «ერთადერთ მნიშვნელოვანს» არა, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა საკითხი, თუ «როგორ ჩამოყალიბდება» ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მეტად სხვადასხვაგვარ ფორმებს ღებულობს «ინგლისში», გერმანიაში, ამერიკაში, საფრანგეთში და სხვაგან. მაგრამ ტოლსტოისათვის საკითხის ასეთი გარკვეული, კონკრეტულ-ისტორიული დაყენება სრულიად უცხო რამეა. ის მსჯელობს განყენებულად, ის იწყნარებს მხოლოდ ზნეობის «მარადი» საწყისების, რელიგიის მარად ჭეშმარიტებათა თვალსაზრისს, და ვერ მიმხვდარა, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ იდეოლოგიური ანარეკლია ძველი («გადატრიალებული») წყობილებისა, ბატონყმური წყობილებისა, აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების წყობილებისა.

«ლიუცერნში» (დაწერილია 1857 წელს) ლ. ტოლსტოი აცხადებს, «ცივილიზაციის» აღიარება სიკეთედ — «მოჩვენებითი ცოდნაა», რომელიც «სპობს ადამიანის ბუნებაში არსებულ სიკეთის ინსტინქტურ, უნეტარეს პირველყოფილ მოთხოვნილებებსაო». «ერთი, მხოლოდ ერთი უცოდველი ხელმძღვანელი გვყავს ჩვენ, — ამბობს ტოლსტოი, — მსოფლიო სული, რომელიც გვმსჭვალავს ჩვენ» (თხზ., II, 125).

«ჩვენი დროის მონობაში» (დაწერილია 1900 წელს) ტოლსტოი კიდევ უფრო გულმოდგინედ მიმართავს მსოფლიო სულს და «ცრუ მეცნიერებად» აცხადებს პოლიტიკურ ეკონომიას იმიტომ, რომ იგი «ნიმუშად» იღებს «პატარა, სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ, ინგლისს», — იმის ნაცვლად, რომ ნიმუშად აიღოს «მთელი ქვეყნიერების ადამიანთა მდგომარეობა მთელი ისტორიული დროის მანძილზე». როგორია ეს «მთელი ქვეყნიერება», ამას ჩვენ გვიხსნის სტატია «პროგრესი და განათლების განსაზღვრა» (1862 წ.). «ისტორიკოსების» შეხედულებას, თითქოს პროგრესი იყოს «ზოგადი კანონი კაცობრიობისათვის», ტოლსტოი აბათილებს «მთელი ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის» დამოწმებით (IV, 162). «კაცობრიობის წინსვლის ზოგადი კანონი არ არსებობს, — აცხადებს ტოლსტოი, — როგორც ამას გვიმტკიცებენ აღმოსავლეთის უმოძრაო ხალხები».

აი სწორედ აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგიას წარმოადგენს ტოლსტოველობა თავისი რეალური ისტორიული შინაარსით. აქედან გამომდინარეობს ასკეტიზმიც, ბოროტების წინააღუდგომლობაც ძალმომრეობით, ღრმა პესიმიზმის ჰანგებიც, იმის რწმენაც, რომ «ყველაფერი — არარაობაა, ყველაფერი — მატერიალური არარაობაა» («ცხოვრების აზრის შესახებ», გვ. 52), და რწმენაც «სულისა», «ყოველივეს დასაბამისა», რომლის მიმართაც ადამიანი მხოლოდ «მუშაკია», «თავისი სულის სახსნელად მიჩენილი», და სხვა. ტოლსტოი არ ღალატობს ამ იდეოლო-

გიას არც «კრეიცერის სონატაში», როცა ის ლაპარაკობს: «ქალის ემანსიპაცია კურსებსა და პალატებში კი არა, არამედ დასაძინებელ ოთახშიაო», — არ ღალატობს არც 1862 წლის სტატიაში, სადაც აცხადებს, რომ უნივერსიტეტები ამზადებენ მხოლოდ «გაღიზიანებულ, ავადმყოფ ლიბერალებს», რომლებიც «სრულებით არ ესაჭიროება ხალხს», «უმიზნოდ მოწყვეტილან წინანდელ წრეს», «ვერ პოულობენ ადგილს ცხოვრებაში» და სხვ. (IV, 136 — 137).

პესიმიზმი, წინააღუდგომლობა, მიმართვა «სულისადმი» წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც აუცილებლად ჩნდება ისეთ ხანაში, როცა მთელი ძველი წყობილება «გადატრიალდა», და როდესაც ამ ძველ წყობილებაში აღზრდილი მასა, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად შეუწოვია ამ წყობილების საფუძვლები, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, რწმენანი, — ვერ ხედავს და არც შეუძლია დაინახოს, რ ო გ ო რ ი ა ის ახალი წყობილება, რომელიც «ეწყობა», რ ა საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ «აწყობენ» მას, რა საზოგადოებრივ ძალებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ხსნა უამრავ, განსაკუთრებით მწვავე უბედურებათაგან, რომელნიც «მსხვრევის» ეპოქებს ახასიათებენ.

1862 — 1904 წლების პერიოდი იყო სწორედ ასეთი მსხვრევის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა, ამასთან ამ მოწყობის შემოქმედი საზოგადოებრივი ძალები საქმით, ფართო საერთო-ნაციონალური მასშტაბით, მასობრივი, აშკარა მოქმედებით სულ სხვადასხვაგვარ ასპარეზზე პირველად მხოლოდ 1905 წელს მოგვევლინენ. რუსეთის 1905 წლის ამბებს კი მოჰყვა ანალოგიური ამბები სწორედ იმ «აღმოსავლეთის» მთელ რიგ სახელმწიფოებში, რომლის «უმოძრაობასაც» იმოწმებდა ტოლსტოი 1862 წელს. 1905 წელი იყო «აღმოსავლური» უმოძრაობის დასასრულის დასაწყისი. ამიტომაც სწორედ ამ წელმა მოგვიტანა ისტორიული დასასრული ტოლსტოველობისა, დასასრული მთელი იმ ეპო-

ქისა, რომელსაც შეეძლო და უნდა წარმოეშვა ტოლსტოის მოძღვრება — არა როგორც რაღაც ინდივიდუალური, არა როგორც კაპრიზი ან ორიგინალობა, არამედ როგორც იდეოლოგია ცხოვრების პირობებისა, რომლებშიც მართლაც იმყოფებოდა მრავალი მილიონი ადამიანი განსაზღვრული ხნის განმავლობაში.

ტოლსტოის მოძღვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციულია ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი და უაღრესად ღრმა მნიშვნელობით. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, და არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ საგულისხმო მასალა მოწინავე კლასების გასათვითცნობიერებლად.

სოციალიზმიც არის და სოციალიზმიც. ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს წარმოების კაპიტალისტური წესი, არის სოციალიზმი, გამომხატველი იმ კლასის იდეოლოგიისა, რომელიც მოდის ბურჟუაზიის შესაცვლელად, — და არის სოციალიზმი, შესაბამისი იმ კლასთა იდეოლოგიისა, რომელთა შესაცვლელად მოდის ბურჟუაზია. ფეოდალური სოციალიზმი, მაგალითად, წარმოადგენს უკანასკნელი სახის სოციალიზმს, და ამგვარი სოციალიზმის ხასიათი დიდი ხანია, 60 წელზე მეტია, შეაფასა მარქსმა სოციალიზმის სხვა სახეთა შეფასებასთან ერთად [25].

შემდეგ. ლ. ტოლსტოის უტოპიურ მოძღვრებას კრიტიკული ელემენტები ისევე მოსდგამს, როგორც მოსდგამს ისინი მრავალ უტოპიურ სისტემას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მარქსის ღრმა შენიშვნა, რომ უტოპიური სოციალიზმის კრიტიკული ელემენტების მნიშვნელობა «უკუ მიმართებაშია ისტორიული განვითარებისადმი». რაც უფრო ვითარდება, რაც უფრო გარკვეულ ხასიათს იღებს იმ საზოგადოებრივი ძალების მოქმედება, რომელნიც «აწყობენ» ახალ რუსეთს და რომელთაც ხსნა მოაქვთ თანამედროვე სოციალურ უბედუ-

რებათაგან, მით უფრო ჩქარა «ჰკარგავს» კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი «ყოველგვარ პრაქტიკულ აზრს და ყოველგვარ თეორიულ გამართლებას».

მეოთხედი საუკუნის წინათ ტოლსტოის მოძღვრების კრიტიკულ ელემენტებს პრაქტიკულად ზოგჯერ შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ მოსახლეობის ზოგიერთი ფენისათვის მიუხედავად ტოლსტოველობის რეაქციული და უტოპიური თვისებებისა. უკანასკნელი, ვთქვათ, ათეული წლის განმავლობაში ეს ასე ველარ იქნებოდა, იმიტომ რომ 80-იანი წლებიდან გასული საუკუნის დამლევამდე ისტორიულმა განვითარებამ საკმაოდ წინ წაიწია. ჩვენს დროში კი, მას შემდეგ, რაც მთელმა რიგმა ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა ბოლო მოუღეს «აღმოსავლურ» უმოძრაობას, ჩვენს დროში, როცა ასე დიდად გავრცელდა «ვეხელების» შეგნებულად-რეაქციული, — ვიწრო-კლასობრივი, ანგარებიან-კლასობრივი აზრით, — რეაქციული იდეები ლიბერალურ ბურჟუაზიაში, — როცა ეს იდეები მოედო ვითომდა მარქსისტთა ერთ ნაწილსაც კი, შეჰქმნა რა «ლიკვიდატორული» მიმდინარეობა, — ჩვენს დროში ტოლსტოის მოძღვრების იდეალიზაციის, მისი «წინააღუდგომლობის», «სულისადმი» მისი აპელაციის, «ზნეობრივი თვითსრულყოფისადმი» მოწოდების, «სინდისისა» და საყოველთაო «სიყვარულის» დოქტრინის, ასკეტიზმისა და კვიეტიზმის ქადაგების და მისთანათა გამართლების ან შერბილების ყოველგვარ ცდას უაღრესად უშუალო და უაღრესად დიდი ვნება მოაქვს.

«ზვეზდა» № 6, 1911 წ. 22 იანვარი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

მარქსიზმი და «ნაშა ზარია»[26]

«ზვეზდას» მე-4 ნომრის პრესის მიმოხილვაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ლიკვიდატორობა, და მასთან დაკავშირებით ჰეგემონიის საკითხის შეფასება, ამჟამად აინტერესებს მარქსისტულ წრეებს, და რომ პოლემიკა. ამ მნიშვნელოვან საკითხზე, თუ გვინდა ნაყოფიერი იყოს ის, უნდა იყოს პრინციპული, «და არა «ნაშა ზარიას» პირადული და ღვარძლიანი პოლემიკა».

სავსებით ვიზიარებ რა ამ აზრს, სრულიად უყურადღებოდ დავტოვებ ამ ჟურნალის საქციელს იმის გამო, თითქოს გაგება შეიძლებოდეს მხოლოდ იმისა, თუ ვისზეა ლაპარაკი, და არა რაზეო («ნაშა ზარია» № 11 — 12, გვ. 47). ვიღებ პირდაპირ მთელი წლის ჟურნალს «ნაშა ზარიას» — ეს სწორედ შესაფერიც იქნება ამ ორგანოს ერთი წლის იუბილეს გამო — და შევეცდები განვიხილო, თუ რაზეა იქ ლაპარაკი.

«ნაშა ზარიას» პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წ. იანვარში. უკვე მეორე ნომერში, თებერვლისაში, ბ-მა პოტრესოვმა გამოაცხადა, მარქსისტებთან მახისტების კამათიც და ლიკვიდატორობის საკითხიც «უბრალო რამეაო». «ვინაიდან შეიძლება განა არსებობდეს, შეეკითხები მკითხველს — წერდა ბ-ნი პოტრესოვი — 1909 წლის ზაფხულში, არა როგორც ფანტომი დაავადებულ წარმოდგენაში, არამედ როგორც ნამდვილი რეალობა, სალიკვიდაციო მიმდინარეობა, მიმდინარეობა, რომელიც ლიკვიდაციას უკეთებდეს იმას, რაც უკვე ლიკვიდაციას არ ექვემდებარება, რაც ნამდვილად უკვე აღარ არსებობს, როგორც ორგანიზებული. მთელი?» (გვ. 61).

ბ-მა პოტრესოვმა საკითხის გვერდის აქცევის ამ უხეირო ცდით საუკეთესოდ, მოულოდნელად, ჰეროსტრატესებური სითამამით დაადასტურა ის შეხედულება, რომლის გაბათილებაც მას უნდოდა. სწორედ 1910 წლის იანვარსა და თებერვალში ბ-ნ პოტრესოვს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ მისი მხრით ფაქტიური მდგომარეობის შეფასებას არ დაეთანხმებოდნენ მისი მოწინააღმდეგენი. მაშასადამე, შეუძლებელია საკითხის თავიდან აცილების ცდა იმით, რომ «არ არისო», «რაც არ არის, არ არისო». საქმე ის კი არ არის, უდრის თუ არა სინამდვილეში ნულს ერთი მეათედი ან ერთი მეოცედი, ან ერთი მეასედი, ან სხვა რომელიმე წილადი. საქმე ისაა, ა რ ს ე ბ ო ბ ს თ უ ა რ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, რომელიც ზედმეტად თვლის ამ წილადს. საქმე ისაა, არის თუ არა პრინციპული უთანხმოება წილადის მნიშვნელობაზე, მისდამი დამოკიდებულებაზე, მის გადიდებაზე და სხვა: როდესაც ბ-მა პოტრესოვმა არსებითად ს წ ო რ ე დ ა მ საკითხზე უპასუხა, რომ «არ არის», «ნულია», «ნული ნულიაო», ამით მან სავსებით გამოხატა ლიკვიდატორული მიმდინარეობა, რომელსაც ის უარყოფს. მის საქციელში იყო მხოლოდ გაორკეცებული «ღვარძლი» («ზვეზდას» მე-4 ნომრის პრესის მიმოხილვის მოსწრებული თქმით), იყო მხოლოდ არასაკმაო პირდაპირობა, არასაკმაო პუბლიცისტური სიცხადე. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საკითხი ეხება არა პიროვნებებს, არამედ მიმდინარეობას, პეტერბურგს მიეშველა მოსკოვი. მოსკოვის «ვოზროჟდენიეს»[27] თავის მე-5 ნომერში 1910 წლის 30 მარტს თანაგრძნობით მოჰყავდა ციტატი ბ-ნ პოტრესოვის სტატიიდან და წერდა: «სალიკვიდაციო აღარაფერია, და, დავძენთ ჩვენდა თავად, — ოცნება ამ იერარქიის აღდგენაზე — მისი ძველი» და სხვა «სახით პირდაპირ მავნე, რეაქციული უტოპიაო» (გვ. 51).

სრულიად აშკარაა, რომ ლაპარაკია სწორედ არა ძველ ს ა ხ ე ზ ე, არამედ ძველ დ ე დ ა ა რ ს ზ ე. სრულიად აშკარაა აგრეთვე, რომ «ლიკვიდირების» საკითხი განუყრელად

დაკავშირებული «აღდგენის» საკითხთან. «ვოზროჟდენიეს» პატარა ნაბიჯი გადადგა წინ ბ-ნ პოტრესოვთან შედარებით, ოდნავ უფრო ნათლად, უფრო პირდაპირ, უფრო პატიოსნად გამოთქვა ი გ ი ვ ე აზრი. აქ პიროვნებები კი არა, მიმდინარეობაა. პიროვნებებს შეიძლება ახასიათებდეთ არა პირდაპირობა, არამედ გაქნილობა, მიმდინარეობანი კი თავს ააშკარავებენ სრულიად სხვადასხვა შემთხვევებით, სახეებით და ფორმებით.

აი, მაგალითად, ბ-ნი ბაზაროვი ოდესღაც ბოლშევიკი იყო და, შეიძლება, ახლაც სთვლიდეს თავს ბოლშევიკად, — ჩვენს დროში ყოველგვარი კურიოზია შესაძლებელი. ხოლო «ნაშა ზარიას» აპრილის წიგნში ის ისე მარჯვედ, ისე ბედნიერად (პოტრესოვისთვის) აბათილებდა ბ-ნ პოტრესოვს, რომ «ყბადაღებული ჰეგემონიის საკითხი» პირდაპირ «ერთ-ერთ უდიდეს და სრულიად უბრალო გაუგებრობად» გამოაცხადა (გვ. 87). დაიხსომეთ: ბ-ნი ბაზაროვი ამ საკითხს უწოდებს «ყბადაღებულს», ე. ი. უკვე აღძრულს, უკვე ცნობილს 1910 წლის აპრილში! აღვნიშნავთ ამ ფაქტს — იგი მეტად მნიშვნელოვანია. აღვნიშნავთ, რომ ბ-ნ ბაზაროვის განცხადება, თითქოს «ჰეგემონიის ხსენებაც არ იქნება» (გვ. 88), თუ ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია «საკმაოდ რადიკალურად იქნება განწყობილი პოლიტიკური პრივილეგიების წინააღმდეგ» და სხვა, «მაგრამ გამსჭვალული იქნება მკვეთრი ნაციონალისტური სულით», — ნამდვილად წარმოადგენს ჰეგემონიის იდეის სრულ გაუგებლობას და მის უარყოფას. სწორედ «ნაციონალიზმთან» ბრძოლა, სწორედ ბაზაროვის მიერ ნავარაუდევი «სულისკვეთების» მისგან გაწმენდა შეადგენს «ჰეგემონის» საქმეს. ამ საქმის წარმატება არ განიზომება დაუყოვნებლივი, უშუალო, დღევანდელი შედეგებით. არის ხოლმე ისეთი ხანა, როცა შედეგები ნაციონალიზმისადმი წინააღმდეგობისა, ჭაობის სულისკვეთებისადმი წინააღმდეგობისა, ლიკვიდატორობისადმი წინააღმდეგობისა, — ლიკვიდატორობისა, რომელიც, უნდა ით-

ქვას, ისეთივე გამოხატულებაა ბურჟუაზიის გავლენისა პროლეტარიატზე, როგორც ნაციონალიზმი, რომელიც ხანდახან მუშების ნაწილსაც ედება, — არის ხოლმე ისეთი ხანა, როცა ეს შედეგები თავს იჩენენ მხოლოდ წლების, ხანდახან მრავალი წლის შემდეგ. ხდება ხოლმე, რომ მთელი წლობით ოდნავ ბჟუტავს ნაპერწკალი, რომელსაც წვრილი ბურჟუაზია სთვლის, აცხადებს, აღიარებს არარსებულად, მოსპობილად, გამქრალად და სხვა, და რომელიც ნამდვილად ცოცხლობს, წინააღმდეგობას უწევს სასოწარკვეთილებისა და განდგომილობის სულისკვეთებას, თავს იჩენს დიდი ხნის შემდეგ. ოპორტუნიზმი ამ ქვეყნად ყოველთვის და ყველგან ებღაუჭება წუთს, მომენტს, დღევანდელ დღეს, არ ძალუძს გაიგოს კავშირი «გუშინდელსა» და «ხვალინდელს» შორის. მარქსიზმი მოითხოვს ამ კავშირის ნათლად შეგნებას, შეგნებას არა სიტყვიერად, არამედ საქმით. ამიტომ მარქსიზმი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა საერთოდ ლიკვიდატორული მიმდინარეობისა და კერძოდ ჰეგემონიის უარყოფისა.

პეტერბურგს მიჰყვება მოსკოვი. მენშევიკ ბ-ნ პოტრესოვს — ყოფილი ბოლშევიკი ბ-ნი ბაზაროვი. ბაზაროვს — ბ-ნი ვ. ლევიცკი, რომელიც უფრო პირდაპირი, უფრო პატიოსანი მოწინააღმდეგეა, ვიდრე ბ-ნი პოტრესოვი. «ნაშა ზარიას» ივლისის ნომერში ბ-ნი ვ. ლევიცკი წერს: «თუ წინანდელი (ფორმა შეგნებული მუშების შეკავშირებისა) ჰეგემონი იყო საერთო-ნაციონალურ ბრძოლაში პოლიტიკური თავისუფლებისათვის, მომავალი ფორმა იქნება კლასობრივი (ხაზგასმა ბ-ნ ლევიცკისაა) პარტია მასებისა, რომლებიც თავის ისტორიულ მოძრაობაში ებმიან». (გვ. 103.)

ამ ერთ ფრაზაში შესანიშნავად არის გამოხატული, კონცენტრირებული, აღბეჭდილი ბატონ ლევიცკების, პოტრესოვების, ბაზაროვების ყველა ნაწერის, მთელი «ვოზროჟდენიეს», მთელი «ნაშა ზარიას» და მთელი «დელო ჟიზნის» სული. ასობით ციტატით შეიძლებოდა შეგვევსო,

შეგვეცვალა, გაგვევითარებინა, გაგვემარტა ვ. ლევიცკის სტატიიდან მოყვანილი ციტატი. ეს ისეთივე «კლასიკური» ფრაზაა, როგორც ბერნშტეინის განთქმული «მოძრაობა — ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არაფერი», ან როგორც პროკოპოვიჩის (1899 წ. «Credo» *-დან): მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლაო.

ბ-ნი ლევიცკი თეორიულად არ არის მართალი, როდესაც ჰეგემონიას უპირისპირებს კლასობრივ პარტიას. მართალ ეს დაპირისპირება კმარა, რომ ვთქვათ: არა მარქსიზმი, არამედ ლიბერალიზმი შეადგენს იმ პარტიას, რომელსაც ნამდვილად მიჰყვება «ნაშა ზარია». მხოლოდ ლიბერალიზმის თეორეტიკოსებს მთელ მსოფლიოში (მოიგონეთ თუნდაც ზომბარტი და ბრენტანო) ესმით კლასობრივი მუშათა პარტია ისე, როგორც იგი «ესმის» ლევიცკის. მარქსიზმის თვალსაზრისით, კლასი, რომელიც უარყოფს ჰეგემონიის იდეას ან რომელსაც არ ესმის იგი, არის არა კლასი ან ჯერ კიდევ არა კლასი, არამედ ამქარი ან სხვადასხვა ამქართა ჯამი.

მაგრამ ბ-ნი ლევიცკი, რომელიც მარქსიზმს ღალატობს, სავსებით ერთგულია «ნაშა ზარიასი», ესე იგი, ლიკვიდატორული მიმდინარეობისა. მან წმინდა ჰეშმარიტება თქვა ამ მიმდინარეობის დედაარსის შესახებ. წარსულში (ამ მიმდინარეობის მომხრეებისათვის) იყო «ჰეგემონია», მომავალში იგი არ იქნება, აღარ უნდა იყოს. დღეს კი? დღეს არის ის უფორმო აგლომერატი, რომელსაც შეადგენს «ნაშა ზარიას», «ვოზროჟდენიეს», «დელო ჟიზნის» მწერალთა და მეგობარ-მკითხველთა წრე, და რომელიც ამჟამად, 1911 წლის ზაფხულს, ქადაგებს სწორედ წარსული ჰეგემონიიდან მომავალ ბრენტანოსეულ-კლასობრივ (ასეთივე უფლებით შეიძლება ითქვას: სტრუვესეულ ან იზგოევისეულ-კლასობრივ) პარტიაზე გადასვლის აუცილებლობას, სავალდებულობას, სარგებლიანობას. კანონზომიერე-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის კადმოცემა. რ ე დ.

ბას. უფორმობა რომ ლიკვიდატორობის ერთ-ერთი პრინციპია, ეს პირდაპირ თქვეს მისმა მოწინააღმდეგეებმა ჯერ კიდევ 1908 წელს, ერთი წლით ადრე «ნაშა ზარიამდე». თუ ბ-ნი მაევსკი[28] 1910 წლის დეკემბერში კითხულობს, რა არის ლიკვიდატორობაო, დაე მან მიმართოს იმ პასუხს, რომელიც ოფიციალურად გაცემულია სწორედ ორი წლის წინათ. ამ პასუხში ის დაინახავს უაღრესად ზუსტ და სრულ დახასიათებას «ნაშა ზარიასას», რომელიც ამ შეფასების ერთი წლის შემდეგ წარმოიშვა. როგორ შეიძლება ეს? ეს შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ ლაპარაკი იყო და არის არა პიროვნებებზე, არამედ მიმდინარეობაზე, რომელიც 1907 წელს ისახებოდა (იხ. თუნდ თვით ბ-ნ ჩერევანინის ბროშურის ბოლო 1907 წლის გაზაფხულის ამბების შესახებ[29]), 1908 წელს აშკარად გამოისახა, 1908 წლის დამლევს შეფასებულ იქნა მისი მოწინააღმდეგეების მიერ, 1910 წელს შეჰქმნა თავისთვის აშკარა ბეჭდვითი ორგანო და ორგანოები.

თქმა ამისა: წარსულში ჰეგემონია იყო, ხოლო მომავალში «კლასობრივი პარტია» უნდა იყოსო, ნიშნავს იმას, რომ თვალსაჩინოდ გამოააშკარავო ლიკვიდატორობის კავშირი ჰეგემონიის უარყოფასთან და ამ მიმდინარეობის კავშირის გაწყვეტა მარქსიზმთან. მარქსიზმი ამბობს: რადგან წარსულში «ჰეგემონია» იყო, მაშასადამე, პროფესიათა, სპეციალობათა და ამქართა ჯამიდან წარმოიშვა კლასი, ვინაიდან სწორედ ჰეგემონიის იდეის შეგნება, სწორედ მისი განხორციელება თავისი მოქმედებით ამქართა ჯამს გარდაჰქმნის კლასად. ხოლო რაკი «კლასამდე» გაიზარდნენ, ვერავითარი გარეშე პირობები, ვერავითარი სიმძიმე, ვერავითარი დაყვანა მთელისა წილადამდე, ვერავითარი ზეიმი ვეხელებისა, ვერავითარი ‘სულმოკლეობა ოპორტუნისტებისა ვერ ჩაახშობს ამ აღმონაცენს. ვთქვათ, ის არა «ჩანს» ზედაპირზე (ბატონი პოტრესოვები ვერ ხედავენ ან ისე იჭერენ თავს, თითქოს ვერ ხედავენ მას, იმიტომ რომ არ უნდათ დაი-

ნახონ), მაგრამ ის ცოცხალია, ის ცოცხლობს, ის აწმყოშიც ინახავს «წარსულს», გადააქვს ის მომავალში. რადგან ჰეგემონია იყო წარსულში, ამიტომ მარქსისტები ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი არიან, წინააღმდეგ ყველა და ყოველგვარ განდგომილთა, დაიცვან მისი იდეა აწმყოსა და მომავალში, — და ეს იდეოლოგიური ამოცანა სავსებით შეესაბამება იმ მატერიალურ პირობებს, რომლებმაც ამქრებიდან შეჰქმნეს კლასი, რომლებიც კვლავაც ქმნიან, აფართოებენ, განამტკიცებენ კლასს, აძლიერებენ მის წინააღმდეგობას «ბურჟუაზიის გავლენის» ყველა «გამოხატულებისადმი».

ჟურნალი «ნაშა ზარია» კი მთელი წლის განმავლობაში სწორედ აკონცენტრირებს პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულებას. ლიკვიდატორობა არათუ არსებობს, როგორც მიმდინარეობა იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სურთ ამა თუ იმ კლასის მომხრეები იყვნენ. იგი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ნაკადულს იმ ფართო, რამდენიმე კლასისათვის საერთო «უკუსვლითი» ნიაღვრისას, რომელიც ახასიათებს 1908 — 1910 წლების მთელ სამწლეულს და, შესაძლოა, კიდევ იყოს რამდენიმე წლის დამახასიათებელი. ამ სტატიაში მე უნდა დავჯერებოდი ამ ნაკადულის დახასიათებას «ნაშა ზარიას» №-2 — 7 ნომრების ციტატების მიხედვით. შემდგომ სტატიებში ვფიქრობ შევჩერდე ამ ჟურნალის №-10, 11 და 12 ნომრებზე, აგრეთვე იმ აზრის უფრო დაწვრილებით დამტკიცებაზე, რომ ლიკვიდატორობის ნაკადული მხოლოდ ვეხელობის ნიაღვრის ნაწილია.

დაწერილია 1911 წ. იანვარს
პირველად დაიბეჭდა 1911 წ.
22 აპრილს ჟურნალ
«სოვრემენნაია ჟიზნის» (ბაქო)
№-3 ნომერში
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

ჩვენი გამაუქმებელნი

(ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის შესახებ) [30]

არის ხოლმე ისეთი ლიტერატურული გამოსვლები, რომელთა მთელი მნიშვნელობა მათს ჰეროსტრატესებურ ხასიათში მდგომარეობს. სრულიად ჩვეულებრივი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორიცაა, მაგალითად, ედ. ბერნშტეინის ცნობილი «წანამძღვარნი», დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს, ხდება მანიფესტად მარქსიზმის შიგნითი მიმდინარეობისა, რომელიც მთელი ხაზით შორდება მარქსიზმს. თავისი ჰეროსტრატესებური ხასიათით უეჭველად ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ბ-ნ პოტრესოვის სტატიას უბრალო რამეებზე «ნაშა ზარიას» გასული წლის თებერვლის ნომერში და ვ. ბაზაროვის პასუხს «ნაშა ზარიას» აპრილის წიგნში. რა თქმა უნდა, ამ სტატიებში აღძრული საკითხები სრულიადაც არაა ისე ღრმა, ისე ფართო, მათ არა აქვთ ის საერთაშორისო მნიშვნელობა, როგორც ბერნშტეინის მიერ აღძრულ (უფრო სწორად: ბურჟუაზიის კვალდაკვალ წამოყენებულ) საკითხებს; მაგრამ ჩვენთვის, რუსეებისთვის, 1908 — 9 — 10 — ? წლების პერიოდში, ეს არის დიდი, კარდინალური მნიშვნელობის საკითხები. ამიტომ ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის სტატიები არ მოძველებულან, და მათზე ლაპარაკი საჭიროა, სავალდებულოა.

I

ხელოვნურ, ღვლარჭნილ, ნაჯახირევ სიტყვათა მოყვარული ბ-ნი პოტრესოვი თავის სტატიას უძღვნის «ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებათა თანამედროვე დრამას». ნამდვილად კი მას არავითარი დრამატული რამ არ

აღუნიშნავს და არც შეეძლო აღენიშნა ლიბერალიზმის, ნაროდნიკობისა და მარქსიზმის იმ რევოლუციისშემდგომ ევოლუციაში, რაზედაც მან ლაპარაკი იკისრა. სამაგიეროდ ბ-ნ პოტრესოვის მსჯელობაში კომიკური რამდენიც გნებავთ იმდენია.

«სწორედ ლიბერალიზმი, — წერს ბ-ნი პოტრესოვი, — როგორც იდეური მიმდინარეობა, წარმოადგენს უდიდესი გახრწნისა და უდიდესი უმწეობის სურათს. ავიღოთ თუნდ ეს თანდათან გაღრმავებული ნაპრალი, რომელიც გაჩნდა პრაქტიკულ ლიბერალიზმსა და მოთეორეტიკოსო ლიბერალიზმს შორის», — მილიუკოვის «რეჩის» «ემპირიზმსა» და ვეხელების თეორიებს შორის.

— გეყოფათ, ძვირფასო ადამიანო! თანდათან გაღრმავებული ნაპრალი გაჩნდა იმას შორის, რასაც თქვენ და თქვენი მსგავსი ნახევრადლიბერალები ამბობდით და ფიქრობდით კადეტებზე 1905 — 1906 — 1907 წლებში, და იმას შორის, რაც თქვენ იძულებული ხართ აღიაროთ 1909 — 1910 წლებში ისე, რომ თქვენ თვითონვე იბნევით და წინააღმდეგობაში ვარდებით. წინააღმდეგობა ლიბერალი პრაქტიკოსების «ემპირიზმსა» და **à la** * სტრუვე ვაჟბატონების თეორიებს შორის სავსებით გამოაშკარავდა 1905 წელზე ადრეც კი: აბა, მოიგონეთ, როგორ იბნეოდა მაშინდელი «ოსვობოჟდენიე»[31] «თეორეტიზების» პირდაპირ ყოველი ცდის დროს. თუ თქვენ ა ხ ლ ა იწყებთ იმის მოფიქრებას, რომ ლიბერალიზმი «აღმოჩნდა» ვითომ «გათიშული» (ეს ისევ და ისევ სიტყვიერი ფანდია, ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან ვეხელები სწორედ არ გასთიშვიან «რეჩს» და არც «რეჩი» მათ, არამედ შეეგუენ ერთმანეთს, ეგუებიან და შეეგუებიან ჩინებულად), «უნაყოფო», «ჰაერში გამოკიდებული», რომ ეს მხოლოდ «ბურჟუაზიული დემოკრატიის» «ყველაზე ნაკლებ მტკიცე» (sic! **) «ნაწილია», «საარჩევნო ბიულეტენების გვარიანი

* — მსგავსი. რ ე დ.
** — ასეა! რ ე დ.

მიმცემი» და სხვა, — მაშინ თქვენი ყვირილი ლიბერალიზმის «დრამის» შესახებ მოასწავებს მხოლოდ თქვენი ილუზიების კრახის ტრაგიკომედიას. ლიბერალიზმი «აღმოჩნდა» ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველაზე ნაკლებ მტკიცე ნაწილი სწორედ არა დღეს, არა 1908 — 1910 წლების სამწლეულში, არამედ სწორედ წინა სამწლეულში. «ყველაზე ნაკლებ მტკიცენი» არიან ის კვაზი-სოციალისტები, რომელნიც მდოგვს ვახშმის შემდეგ სთავაზობენ საზოგადოებას. წინა სამწლეულის განმასხვავებელ ნიშანს, ბ-ნ პოტრესოვის მიერ განხილულ საკითხში, წარმოადგენს «ჰაერში გამოკიდებული» ლიბერალიზმი, «საარჩევნო ბიულეტენების» «უნაყოფო მიმცემი» და სხვა. მ ა შ ი ნ ლიბერალიზმის ამგვარი ხასიათის აღიარება წარმოადგენდა დღის პოლიტიკურ ამოცანას, მასების გაფრთხილება საჭირბოროტო მოვალეობა იყო არა მარტო სოციალისტებისთვის, არამედ თანამიმდევარი დემოკრატებისთვისაც. 1906 წლის მარტში, და არა 1910 წლის თებერვალში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ კადეტების ლიბერალიზმი ჰაერშია გამოკიდებული, რომ ის უნაყოფოა, რომ ობიექტური პირობები პირდაპირ არარაობად, კომედიად აქცევენ «საარჩევნო ბიულეტენების გვარიან მიმცემთ», რომ კადეტების გამარჯვებანი — მერყეევი ზიგზაგია შიპოვებისა თუ გუჩკოვების «სერიოზულ» კონსტიტუციონალიზმსა (წაიკითხე: ვითომდა კონსტიტუციონალიზმსა) და დემოკრატიისათვის იმ ელემენტების ბრძოლას შორის, რომლებიც ჰაერში ა რ არიან გამოკიდებულნი და ა რ სჯერდებიან საარჩევნო ბიულეტენების სიყვარულით ჭვრეტას. აბა, მოიგონეთ, ჩემო ძვირფასო, ვინ ამბობდა ამ სიმართლეს ლიბერალების შესახებ თავის დროზე, 1906 წლის მარტში[32]?

ჩვენი ახლანდელი სამწლეულის (1908 — 1910) განმასხვავებელ ნიშანს, თავისებურ ნიშანს სულაც არ წარმოადგენს «ჰაერში გამოკიდებული» და სხვა ამისთანა ლიბერალიზმის «უნაყოფობა». პირიქით. ლიბერალიზმის კლასობ-

ЦѢНА 30 КОП.

МЫСЛЬ

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ
ФИЛОСОФСКІЙ и ОБЩЕСТВЕННО-ЭКОНОМИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ.

№ 2.
ЯНВАРЬ.
1911.

СОДЕРЖАНІЕ:

Г. ПЛЕХАНОВЪ. Столѣтіе представленій (окончаніе).—И. Р—КОВЪ. Современная русская аграрная политика и виды на будущее (окон.).—В. ИЛЬИНЪ. О статистикѣ стачекъ въ Россіи (кл. Ц).—Г. Ц—ЧЪ. Къ вопросу объ иностранныхъ капиталахъ въ Россіи.—В. ИЛЬИНЪ. Наши упразднители (о т. *Потресовѣ и В. Базаровѣ*). НА ТЕМЫ ДНЯ:—ГР. Законъ о лишеніи отдыха торгово-промышленныхъ служащихъ.—ПОЛЕМИЧЕСКІЯ ЗАМѢТКІЯ: Р.—1) «Вѣхи» о Толстомъ. 2) Благодушный либералъ. 3) Совѣтъ г. Клейнборту.—ИНОСТРАННОЕ ОБОЗРѢНІЕ: Х. Л. РАППОПОРТЪ. Дѣйствительность и мечты. П. ОРЛОВСКІЙ. Литературные наброски.—ОБЩЕСТВЕННО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЖИЗНЬ.—БИБЛІОГРАФІЯ.—НЕКРОЛОГЪ: П. Зингеръ.

МОСКВА.

გაჩეკანი ჟურნალისა «მისლ» № 2, 1911 წ. იანვარი, სადაც დაიბეჭდა: II თავი ვ. ი. ლენინის ნაშრომისა «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» და დასაწყისი სტატიისა «ჩვენი გამაუქმებელნი (ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის შესახებ)»

დაპატარავებულია

რივ უძლურებაში, მის შიშში დემოკრატიის წინაშე, მის პოლიტიკურ უბადრუკობაში არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ უძლურებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო ძალის გამოჩენა, როდესაც არსებობდა პირობები, რამაც ლიბერალებს სრული უპირატესობა მიანიჭა მოქმედების თუნდაც განსაზღვრულ სარბიელზე. აი, როცა კადეტებს უმრავლესობა ჰყავდათ, მაგალითად, პირველ სათათბიროში, მაშინ მათ შეეძლოთ ეს უმრავლესობა გამოეყენებინათ დემოკრატიის სამსახურისათვის და დემოკრატიის საქმის შეფერხებისათვის, დემოკრატიის ხელის შეწყობისათვის (თუნდაც მცირე საქმეში, ვთქვათ, ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების ორგანიზაციაში) და დემოკრატიის ზურგში ლახვარის ჩაცემისათვის. აი ამ პერიოდისათვის დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ა, რომ კადეტები «ჰაერში იყვნენ გამოკიდებული», რომ «საარჩევნო ბიულეტენების გვარიანი მიმცემი» — განაწესების მთხზველი აღმოჩნდა მომავალი ოქტიაბრისტული სათათბიროსთვის, და მეტი არაფერი.

შემდგომ სამწლეულში კი კადეტები, რომლებიც დარჩნენ იმად, რაც არიან, რაც ყოველთვის იყვნენ, უფრო ნ ა კ ლ ე ბ ა დ არიან «გამოკიდებული ჰაერში», ვიდრე წინათ. თქვენ, ბ-ნო პოტრესოვ, ჰგევხართ სწორედ ხალხური ეპოსის იმ გმირს, რომელიც უდროო დროს წამოიძახებს ხოლმე თავის სურვილებსა და თავის აზრს. 1909 წლის ვეხელები უფრო ნ ა კ ლ ე ბ ა დ არიან «გამოკიდებული ჰაერში», ვიდრე 1906 წლის მურომცევი, ვინაიდან ვეხელებს ს ე რ ი ო ზ უ ლ ი სარგებლობა მოაქვთ და ს ა ქ მ ი ა ნ სამსახურს უწევენ ისეთ კლასს, რომელსაც დიდი ძალა აქვს რუსეთის სახალხო მეურნეობაში, სახელდობრ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს. ვეხელები ეხმარებიან ამ დიდად პატივცემულ ადამიანებს — დააგროვონ იარაღის არსენალი დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკური ბრძოლისათვის: ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ვ ე რ დ ა ა რ ღ ვ ე ვ ს

სათათბიროს ვერავითარი გარეკვა, საერთოდ დღევანდელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილი ვერავითარი პოლიტიკური მღელვარება. ვიდრე არსებობს მიწათმფლობელ-მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასი, იარსებებენ მათი პუბლიცისტი ნოქრებიც: იზგოევები, სტრუვეები, ფრანკები და კომპანია. ხოლო მურომცევებისა და საერთოდ პირველი სათათბიროს კადეტების «საქმე» შეიძლებოდა «დარღვეულიყო» სათათბიროს გარეკვით (ვინაიდან მათ სწორედ საქმე არა ჰქონდათ, არამედ ჰქონდათ მხოლოდ სიტყვები, რომელნიც სამსახურს კი არ უწევდნენ ხალხს, არამედ რყვნიდნენ ხალხს).

მესამე სათათბიროს კადეტები — იგივე პარტიაა, იმავე იდეოლოგიით, იმავე პოლიტიკით, მეტწილად იმავე პირადი შემადგენლობით, როგორც პირველი სათათბიროს კადეტები. და სწორედ ამიტომ მესამე სათათბიროს კადეტები გაცილებით უფრო ნაკლებად არიან «გამოკიდებული ჰაერში», ვიდრე პირველი სათათბიროსი. თქვენ ეს არ გესმით, პატივცემულო ბ-ნო პოტრესოვ? მაშ სულ ამაოდ დაგიწყიათ მსჯელობა «ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებათა თანამედროვე დრამაზე»! იმასაც კი გეტყვით საიდუმლოდ, რომ კვლავაც, ალბათ, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კადეტების პოლიტიკური მოღვაწეობა არ იქნება «უნაყოფო» — არა მარტო ვეხელების რეაქციული «დიდნაყოფიერების» გამო, არამედ იმის გამოც, რომ, ვიდრე დემოკრატიას პოლიტიკური კარჩხანა თევზები ჰყავს, ლიბერალიზმის ღლაბებსაც ეცხოვრებათ. ვიდრე ასეთი მერყეობაა სოციალიზმში, ასეთი მოდუნებაა დემოკრატიაში, რაც მეტად თვალნათლივ გამოხატულია პოტრესოვისთანა პირებით, მანამდე ლიბერალიზმის «ემპირიკოსებს» ყოველთვის ეყოფათ მოხერხება ამ კარჩხანების დასაჭერად. ნუ სწუხართ, კადეტებო: ვიდრე პოტრესოვები ცოცხლები არიან, თქვენ შეგიძლიათ არხეინად იყოთ!

II

როცა ნაროდნიკობაზე ლაპარაკობს, ბ-ნი პოტრესოვი კიდევ უფრო ნაკლებად აბამს თავსა და ბოლოს. კადეტებს ის უწოდებს «ყოფილ დემოკრატებს» და «ყოფილ ლიბერალებსაც» კი. გლეხობაზე ის ამბობს: «პოლიტიკურ ცხოვრებაში შესული გლეხობა» (ბ-ნ პოტრესოვის აზრით გლეხობა ჯერ კიდევ არ შესულა ამ ცხოვრებაში) «დაიწყებდა ისტორიის სრულიად ახალ თავს — გლეხური დემოკრატიის ისტორიას — და ამით ჯვარს დაუსვამდა ძველ, ინტელიგენტურ, ნაროდნიკულ დემოკრატიასაო».

ამრიგად, კადეტები — ყოფილი დემოკრატები არიან, ხოლო გლეხობა — მომავალი დემოკრატები. ახლანდელი დემოკრატები სადღა არიან? ან იქნებ დემოკრატია, მასობრივი დემოკრატია არ ყოფილა 1905 — 1907 წლების რუსეთში? არ ყოფილა 1908 — 1910 წლების რუსეთში? აწმყო პოტრესოვს მიმალული აქვს სხვადასხვა «შემოვლითი», საკითხის არსის გვერდის ამქცევი ფრაზებით, ვინაიდან ნამდვილი აწმყოს პირდაპირი და უბრალო აღიარება ეწინააღმდეგება ბატონ პოტრესოვების მთელ ლიკვიდატორულ ფილოსოფიას. ამჟამად სავსებით უდავო ისტორიული ფაქტის ეს უბრალო და პირდაპირი აღიარება იმაში მდგომარეობს, რომ კადეტები რუსეთში ა რ ა ს ო დ ე ს არ წარმოადგენდნენ ცოტად თუ ბევრად მასობრივ დემოკრატიას, არასოდეს დემოკრატიულ პოლიტიკას არ აწარმოებდნენ, ხოლო გლეხობა — სწორედ ის «მრავალმილიონიანი გლეხობა», რომელზედაც ბ-ნი პოტრესოვიც ლაპარაკობს, ამ ბურჟუაზიულ დემოკრატიას (ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი შეზღუდულობით) წარმოადგენდა და წარმოადგენს. ბ-ნი პოტრესოვი გაურბის ამ ძ ი რ ი თ ა დ საკითხს, რათა იხსნას სწორედ ლიკვიდატორული ფილოსოფია. ვერ იხსნით!

ბ-ნი პოტრესოვი ცდილობს გვერდი აუაროს გლეხური დემოკრატიის წარსულსა და აწმყოს, მაგრამ ის კვლავ უხერ-

ხულ მდგომარეობაში ვარდება, როდესაც დარწმუნებით ლაპარაკობს მომავალზე. ისევ დაგაგვიანდათ, პატივცემულო! თქვენ თვითონ ლაპარაკობთ «9 ნოემბრის კანონის შესაძლებელ შედეგებზე», — მაშასადამე, თვითონვე აღიარებთ მისი წარმატების შესაძლებლობას (რა თქმა უნდა, წმინდა აბსტრაქტულ შესაძლებლობას). ხოლო ასეთი წარმატების შემთხვევაში «ისტორიის ა ხ ა ლ ი თავი» შეიძლება იყოს არა მარტო გ ლ ე ხ უ რ ი დემოკრატიის ისტორიის თავი, არამედ აგრეთვე გლეხი ა გ რ ა რ ი ე ბ ი ს ისტორიისაც.

რუსეთის გლეხური მეურნეობა და, მაშასადამე, გლეხური მიწათმფლობელობაც და გლეხური პოლიტიკაც მხოლოდ კაპიტალისტურად შეიძლება განვითარდეს. ნაროდნიკული აგრარული პროგრამა არსებითად, მაგალითად, 104-ის[33] ცნობილი პლატფორმის სახით (I და II სათათბიროში), არათუ არ ეწინააღმდეგება ამ კაპიტალისტურ განვითარებას, არამედ, პირიქით, მოასწავებს პირობების შექმნას უაღრესად ფართო და უაღრესად ჩქარი კაპიტალისტური განვითარებისათვის. თანამედროვე აგრარული პროგრამა, პირიქით, მოასწავებს მეტად ნელ, მეტად ვიწრო, ბატონყმობის ნაშთებით ყველაზე დამძიმებულ კაპიტალისტურ განვითარებას. ობიექტურ, ისტორიულ-ეკონომიურ პირობებს ჯერ კიდევ არ გადაუჭრიათ, თუ საბოლოო ანგარიშით რომელი პროგრამა განსაზღვრავს ამ პროგრამებიდან ახალი რუსეთის ბურჟუაზიული აგრარული ურთიერთობის ფორმას.

ასეთია ის უბრალო ფაქტები, რომელთა დახლართვა სჭირდებათ ლიკვიდატორობის წარმომადგენლებს.

«ყოველნაირი ცვლილებისას — წერს ბ-ნი პოტრესოვი ინტელიგენტურ, ნაროდნიკულ დემოკრატიაში მომხდარ ცვლილებებზე — უცვლელი დარჩა ერთი რამ: გლეხურ სარჩულზე დამყარებულ ინტელიგენტურ იდეოლოგიაში კონკრეტულ გლეხობას დღემდე (!) ვერ შეუტანია თავისი კორექტივი».

ეს წმინდა ვეხური და ერთიანად ყალბი ფრაზაა. 1905 წელს აშკარა ისტორიულ სცენაზე გამოსული იყო უაღრე-

სად «კონკრეტული» და უაღრესად რიგითი, მასობრივი გლეხობა, რომელმაც მ თ ე ლ ი რ ი გ ი «კორექტივები» შეიტანა ნაროდნიკებისა და ნაროდნიკული პარტიების «ინტელიგენტურ იდეოლოგიაში». ნაროდნიკებმა ყველა ეს კორექტივი როდი შ ე ი გ ნ ე ს, მაგრამ გლეხობამ ისინი შ ე ი ტ ა ნ ა. 1906 და 1907 წლებში უაღრესად «კონკრეტულმა» გლეხობამ შეჰქმნა შრომის ჯგუფები და 104-ის პროექტი და ამით შეიტანა მ თ ე ლ ი რ ი გ ი კ ო რ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი, რომელნიც ნაწილობრივ ნაროდნიკებმაც კი აღნიშნეს. საყოველთაოდ აღიარებულია, მაგალითად, რომ «კონკრეტულმა» გლეხობამ გამოამჟღავნა თავისი მ ე პ ა ტ რ ო ნ უ ლ ი მისწრაფება და «თემის» ნაცვლად პიროვნული და ამხანაგური მიწათმფლობელობა მოიწონა.

ვეხელები, რომლებიც ლიბერალიზმს სწმენდენ დემოკრატიისაგან და მას სისტემატურად აქცევენ ფულის ქისის მსახურად, სწორად ასრულებენ თავიანთ ისტორიულ დანიშნულებას, როდესაც 1905 — 1907 წლების მოძრაობას ინტელიგენტურ მოძრაობად აცხადებენ და ირწმუნებიან, კონკრეტულ გლეხობას თავისი კორექტივი არ შეუტანია ინტელიგენტურ იდეოლოგიაშიო. ლიკვიდატორობის ტრაგიკომედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ივი ვერ ამჩნევს, როგორ გადაიქცნენ მისი მტკიცებანი ვეხელთა იდეების უბრალო განმეორებად.

III

ეს გარდაქმნა კიდევ უფრო აშკარა ხდება, როდესაც ბ-ნი პოტრესოვი მსჯელობას იწყებს მარქსიზმზე. ინტელიგენცია — წერს ის — «თავისი პარტიულ-წრეობრივი მშენებლობით... ჩრდილავდა პროლეტარიატს». თქვენ ვერ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ეს იდეა ფრიად ფართოდ გაავრცელა ბურჟუაზიამ როგორც «ვეხის», ისე მთელი ლიბერალური პრესის საშუალებით, გამოიყენა მან პროლეტარიატის წინააღმდეგ. აქსელროდი სწორედ იმ ფელეტონში, სადაც ის აყენებდა ამ იდეას, წერდა «დაუდეგარი ისტორიის» შესახებ,

რომელსაც შეეძლო ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მიეცა ბელადი მარქსიზმის სკოლიდანაო. დაუდეგარმა ისტორიამ ისარგებლა იმ ორმოთი, რომლის ამოთხრას ბოლშევიკებისათვის აქსელროდი თავაზიანად იმუქრებოდა, რათა ამ ორმოში თვითონ აქსელროდი მოეთავსებინა!

თუ თქვენ გადახვალთ ობიექტურ ისტორიულ ფაქტებზე, მთელმა ამ ფაქტებმა, 1905—1907 წლების მთელმა ეპოქამ, თუნდაც II სათათბიროს არჩევნებმა (თუ ავიღებთ მაგალითისათვის არა ყველაზე დიდ, არამედ სულ უბრალო ფაქტს) უცილობლად დაამტკიცეს, რომ «პარტიულ-წრეობრივი მშენებლობა» კი არ «ჩრდილავდა» პროლეტარს, არამედ უშუალოდ გადაიქცა პროლეტარიატის ფართო მასების პარტიულ და პროფესიულ-საკავშირო მშენებლობად.

მაგრამ გადავიდეთ მთავარზე, ბ-ნ პოტრესოვის ჰეროსტრატესებური გამოსვლის «დედააზრზე». ის ამტკიცებს, რომ მარქსისტული აზროვნება «თავს იბრუებს უბრალო რამეების ბანგით», — მახიზმთან ბრძოლა და ლიკვიდატორობასთან ბრძოლა — «კამათობს ყველაფერზე, რაზედაც გნებავთ, ოღონდ არა იმაზე, რაც წარმოადგენს ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ნერვს, როგორიცაა მარქსისტული მიმართულება, ოღონდ არა ეკონომიკის საკითხებზე, არა პოლიტიკის საკითხებზე». მერე რამდენია ეს საკითხებიო, ამბობს ბ-ნი პოტრესოვი. «როგორ მიმდინარეობს რუსეთის ეკონომიური განვითარება, ძალთა რა გადაჯგუფებას ახდენს იგი რეაქციის საფარქვეშ, რა ხდება სოფლად და ქალაქად, რა ცვლილებანი შეაქვს ამ განვითარებას რუსეთის მუშათა კლასის სოციალურ შემადგენლობაში და სხვა და სხვა? სადაა პასუხი ან პასუხის დასაწყისი ამ კითხვებზე, სადაა რუსული მარქსიზმის ეკონომიური სკოლა?»

პასუხს, ყოველ შემთხვევაში პასუხის დასაწყისს, იძლევა თვით ის «იერარქია», რომლის არსებობას ბ-ნი პოტრესოვი ბოროტად და ფარისევლურად უარყოფს. რუსეთის სახელ-

მწიფო წყობილების განვითარება უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ იგი თავის კლასობრივ ხასიათს იცვლიდა ერთი განსაზღვრული მიმართულებით. XVII საუკუნის მონარქია ბოიარინთა სათათბიროთი არა ჰგავს XVIII საუკუნის მოხელეურ-თავადაზნაურულ მონარქიას. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მონარქია ის არ არის, რაც 1861 — 1904 წლების მონარქია. 1908 — 1910 წლებში აშკარად გამოისახა ახალი ხანა, რაც მოასწავებს კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას იმავე მიმართულებით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მიმართულება ბურჟუაზიული მონარქიისაკენ. ამ ნაბიჯთან მჭიდროდ დაკავშირებულია III სათათბიროც და ჩვენი თანამედროვე აგრარული პოლიტიკაც. ამრიგად, ახალი ხანა შემთხვევითი მოვლენა როდია, არამედ თავისებური საფეხურია ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ევოლუციაში. ეს ახალი ხანა არა სწყვეტს ძველ პრობლემებს, მას არც ძალუძს მათი გადაწყვეტა, მაშასადამე, ვერც იცილებს მათ, იგი მოითხოვს მომზადების ახალი ხერხების გამოყენებას ძველი პრობლემების ძველებურად გადაწყვეტისათვის. ესაა თავისებურება ამ უსიხარულო, უფერული, მძიმე, მაგრამ აუცილებელი ხანისა. მისი ეკონომიური და პოლიტიკური თვისების ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს მარქსიზმის შიგნით იდეურ დაჯგუფებათა თავისებურება. ისინი, ვინც აღიარებს მომზადების ახალ ხერხებს ძველი პრობლემების ძველებურად გადაწყვეტისათვის, უახლოვდებიან ერთმანეთს საერთო საქმიან ნიადაგზე, ამ პერიოდის საერთო ამოცანის საფუძველზე, თუმცა მათ ისევ ჰყოფს საკითხი, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ წინა პერიოდის მანძილზე ამა თუ იმ მომენტში ან წაეწიათ წინ ძველებური გადაწყვეტა. ისინი, ვინც უარყოფს (ან ვისაც არ ესმის) მომზადების ახალი ხერხები ან ის, რომ ჩვენს წინაშე ძველი პრობლემები დგას, რომ ჩვენ გვინდა მათი ძველებური გადაწყვეტა, ისინი ნამდვილად სტოვებენ მარქსიზმის ნიადაგს, ისინი ნამდვილად ტყვედ უვარდებიან ლიბერალებს (როგორც პოტრე-

სოვი, ლევიცკი, და სხვ.) ან იდეალისტებსა და სინდიკალისტებს (როგორც ვ. ბაზაროვი და სხვ.).

უცხო ადამიანებისა და უცხო იდეების ტყვეობაში მყოფნი პოტრესოვიც და ბაზაროვიც თავიანთი თანამოაზრეებითურთ აუცილებლად იბნევიან და ვარდებიან მეტად კომიკურ, მეტად ყალბ მდგომარეობაში. ბ-ნი პოტრესოვი მკერდზე იცემს ხელს და ყვირის: «ს ა დ ა ა ეს დ ა ს ა წ ყ ი ს ი და როგორია ეს პ ა ს უ ხ ი?». მარტოვი, რომელიც აგრეთვე კარგად იცნობს ამ პასუხს, ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, თითქოს ეს პასუხი აღიარებს «ბურჟუაზიას ხელისუფლების საფავეში»: ლიბერალების ჩვეულებრივი ხერხია — გამოიყენონ მოწინააღმდეგის იძულებითი დროებითი დუმილი! ამასთანავე ჩვენც გვეკითხებიან შეურაცხყოფილი სახით: რა არის ლიკვიდატორობა? აი სწორედ ეს ხერხი, უპატივცემულესნო, როდესაც ადამიანები, რომელნიც ჩემულობენ «მთელს» ვეკუთვნითო, სარგებლობენ რა მისი დასუსტებით, არწმუნებენ საზოგადოებას, «პასუხი» არ არისო (მაშინ როცა «პასუხი» მოცემულია სწორედ «მთელის» მიერ), — აი ეს არის უკვე ლიკვიდატორობის (თუ რენეგატობისა არა) ერთ-ერთი ხერხი.

ლიკვიდატორობა «ფანტომია დაავადებული წარმოსახვისა», — წერს ბ-ნი პოტრესოვი, — ვინაიდან შეუძლებელია იმის ლიკვიდაცია, «რასაც უკვე ლიკვიდაცია აღარ ესაჭიროება, რაც ნამდვილად აღარ არსებობს, როგორც ორგანიზებული მთელი».

მე მოკლებული ვარ საშუალებას სავსებით გადავცე მკითხველს ჩემი შეხედულება ამ სტრიქონებზე; დაახლოებით მაინც რომ გადავცე, შევეკითხები მკითხველს: რა ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელთანაც უახლოესი თანამოაზრენი და კოლეგები ღებულობენ მათთვის ხელსაყრელს «მთელის» (სწორედ როგორც «მთელის») წინადადებებს, და რომელიც მეორე დღეს პრესაში აცხადებს: «მთელი» არ არსებობსო?

ამაზე წერტილი დავსვათ.

იბადება პრინციპული საკითხი: შეიძლება თუ არა შეხედულება ძველი პრობლემების ძველებურად გადაწყვეტის აუცილებლობაზე იცვლებოდეს «მთელის» რღვევის ოდენობის მიხედვით — ან, თუ გნებავთ, მისი მოსპობის მიხედვით? ყველასათვის ზშკარაა, რომ არ შეიძლება. თუ ობიექტური პირობები, თუ თანამედროვე ეპოქის ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური ნიშნები მოითხოვენ ძველებურ გადაწყვეტას, მაშინ, რაც უფრო ძლიერია რღვევა, რაც უფრო ნაკლები რჩება «მთელისაგან», მით უფრო მეტი ზრუნვაა საჭირო, მით უფრო მგზნებარედ უნდა ილაპარაკოს პუბლიცისტმა «მთელის» საჭიროებაზე. საჭიროდ უნდა ვიცნოთ მომზადების ახალი ხერხები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ ვინ უნდა გამოიყენოს ისინი? ცხადია, «მთელმა». ცხადია, პუბლიცისტის ამოცანები იმათთვის, ვინც შეიგნო დღევანდელი პერიოდის მნიშვნელობა, მისი ძირითადი პოლიტიკური თავისებურებანი, დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან ბატონ პოტრესოვების მთელ ხაზს. შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ ვინმემ სერიოზულად უარყოს კავშირი ჩემ მიერ ზემოთ გადმოცემული «პასუხისა» (დღევანდელი მომენტის ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხზე) ანტილიკვიდატორობასთან.

საკითხის ზოგადპრინციპული დაყენებიდან გადავიდეთ კონკრეტულ-ისტორიულ დაყენებაზე. 1908 — 1910 წლების პერიოდში სავსებით გამოისახა მარქსიზმის ის მიმდინარეობა, რომელიც ქადაგებს ძველებური გადაწყვეტის საჭიროებას და ახორციელებს სათანადო ხაზს. გამოისახა მეორე მიმდინარეობაც, რომელიც მთელი ეს სამი წელიწადი ეწინააღმდეგებოდა «ძველებური გადაწყვეტის» აღიარებას და მთელის ძველი ძირითადი ფორმების შექმნას. ამ ფაქტის უარყოფა სასაცილოა. გამოისახა მესამე მიმდინარეობაც, რომელმაც მთელი ეს სამი წელიწადი ვერ გაიგო მომზადების ახალი ფორმები, III სათათბიროს შიგნიდან მოქმედების მნიშვნელობა და სხვა. ასეთმა ადამიანებმა ძველე-

ბური გადაწყვეტის აღიარება გადააქციეს ფრაზად, გაზეპირებულ, მაგრამ არგაგებულ ფრაზად, რომელსაც შეჩვევის გამო იმეორებენ და შეგნებულად, მოფიქრებულად კი არ უფარდებენ შეცვლილ ვითარებას (შეცვლილს თუნდაც სათათბიროს ხაზით მუშაობის სფეროში, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მარტო ამ სფეროში).

ლიკვიდატორობის კავშირი «დაღლილობის» საყოველთაო ობივატელურ განწყობილებასთან აშკარაა. «დაღლილნი» (განსაკუთრებით უსაქმურობით დაღლილნი) არ ზრუნავენ იმაზე, რომ შეიმუშაონ ზუსტი პასუხი მიმდინარე მომენტის ეკონომიური და პოლიტიკური შეფასების საკითხზე: ისინი არ ეთანხმებიან ზემოთ მოცემულ და ფორმალურად საყოველთაოდ აღიარებულ შეფასებას, როგორც შეფასებას მთელის სახელით, მაგრამ მათ ყველას აშინებს იმაზე ფიქრიც კი, რომ დაუპირისპირონ მას თავიანთი ნამდვილი შეფასება, თუნდაც ლიკვიდატორული «ნაშა ზარიას», «ჟიზნის»[34] და სხვათა თანამშრომლების შეფასება. «დაღლილნი» დაჟინებით იმეორებენ: ძველი აღარ არის, ძველი მოკლებულია სიცოცხლის უნარს, მკვდარიაო და სხვა და სხვა, მაგრამ თავს არ იწუხებენ პასუხით, წმინდა პოლიტიკური, ზუსტად ფორმულირებული პასუხით სავალდებულო (ყოველი პატიოსანი პუბლიცისტისათვის სავალდებულო) კითხვაზე: სახელდობრ რა არის საჭირო ძველის ნაცვლად, უნდა აღვადგინოთ თუ არა «ის, რაც ლიკვიდაციას (ვითომ) აღარ საჭიროებს, როგორც უკვე ლიკვიდირებული» (პოტრესოვის მიხედვით), — ამით თავის შეწუხებას ისინი არც კი ფიქრობენ. სამი წელიწადია ისინი აგინებენ ძველს, ლანძღავენ მას — განსაკუთრებით ისეთი ტრიბუნებიდან, სადაც ძველის დამცველებს ასვლა აკრძალული აქვთ, და, ეალერსებიან რა იზგოევებს *, გაიძახიან: ეს რა

* იხ. მისი სტატია «რუსკაია მისლში»[35], 1910 წ., ვეხელ პოტრესოვზე. ამგვარი ალერსისაგან ბ-ნი პოტრესოვი ვერასოდეს ვერ გაიწმინდება.

უბრალო რამეებია, რა ფანტომია ლიკვიდატორობაზე ლაპარაკიო!

ასეთ «დაღლილებზე», ბ-ნ პოტრესოვსა და კომპანიაზე, არ შეიძლება გავიმეოროთ ცნობილი ლექსი: «მათ არვინ გასცეს, ეს კაცნი დაღალა მძიმე ჯვრის ზიდვამა; შუა გზა გავლილნი დასტოვა ნაღველმა, დასტოვა რისხვამა» [36].

ასეთი «დაღლილნი», რომელნიც ადიან პუბლიცისტის ტრიბუნაზე და იქიდან ამართლებენ ძველისაგან თავიანთ «დაღლილობას», ძველზე მუშაობის სურვილის უქონლობას, — წარმოადგენენ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც არა მარტო «დაიღალნენ», არამედ მათ გაგვცეს კიდეც.

IV

«უბრალო რამეების» რიცხვს აკუთვნებს ბ-ნი პოტრესოვი აგრეთვე მატერიალისტების, მარქსისტების ფილოსოფიურ ბრძოლას მახისტებთან, ე. ი. იდეალისტებთან. ბ-ნი პოტრესოვი დიდად აღშფოთებულია «ამ ფილოსოფოსობის ვაკხანალიით» (— «ჩემო მეგობარო, არკადი ნიკოლოზის-ძევ, ნუ ლაპარაკობ ლამაზად!»), ამასთან მატერიალისტების მხრივ გვასახელებს პლეხანოვსა და მე, და გვახასიათებს როგორც «გუშინდელ პოლიტიკოსებს». ამ გამოთქმაზე დიდხანს ვიცინე. ჭეშმარიტად, ტრაბახი აქ იმდენად აშკარა და ისე სასაცილოა, რომ ჩვენი კურდღლისათვის დათვის ყურის ნაგლეჯი უნდა მიგვეცა. პლეხანოვი და სხვ. — «გუშინდელი პოლიტიკოსები არიან»! დღევანდელი პოლიტიკოსი, ცხადია, პოტრესოვი და მისი «ძმა-ბიჭებია». ჩინებულად და გულახდილადაა ნათქვამი.

როდესაც არკადი ნიკოლოზის-ძეს, გამონაკლისის სახით, მიუკიბ-მოუკიბავად და უპრანჭვაგრეხოდ უხდება ხოლმე სიტყვის თქმა, ის საუცხოოდ იმათრახებს თავს. აბა, დაატანეთ თავს ძალა, არკადი ნიკოლოზის-ძევ, სცადეთ დაფიქრდეთ: თქვენ უარყოფთ ლიკვიდატორობას, როგორც პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც განასხვავებს არა

მენშევიზმს ბოლშევიზმისაგან, არამედ პოტრესოვსა და კომპანიას ერთად აღებულ პლეხანოვისა და ბოლშევიკებისაგან. და ამ უარყოფასთან ერთად თქვენ უწოდებთ პლეხანოვს და სხვებს «გუშინდელ პოლიტიკოსებს». აბა, დაუკვირდით, რამდენად მოუხერხებელი ხართ: ჩვენ ხომ პლეხანოვთან ერთად შეიძლება გვეწოდოს გუშინდელი პოლიტიკოსები სწორედ იმ აზრით, რომ ჩვენთვის გუშინდელი ორგანიზაცია, როგორც ფორმა გუშინდელი (თავისი საფუძვლებით გუშინდელი) მოძრაობისა, სავალდებულოა დღესაც. ჩვენ პლეხანოვისაგან მკვეთრად გვყოფდა და ახლაც გვყოფს ის საკითხები, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაედგა ამა თუ იმ დროს ამ გუშინდელ ორგანიზაციას ამ გუშინდელი მოძრაობის საფუძველზე, მაგრამ ჩვენ გვაახლოებს ბრძოლა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც დღეს უარყოფენ სწორედ გუშინდელი მოძრაობის საფუძვლებს (აქ შედის ჰვეგემონიის საკითხიც, რომელზედაც მე ახლა გადავალ), სწორედ გუშინდელი ორგანიზაციის საფუძვლებს.

რას იტყვით, არკადი ნიკოლოზის-ძევ, ახლაც არ გესმით, რა არის ლიკვიდატორობა? ახლაც ფიქრობთ, რომ ჩვენ პლეხანოვთან გვაახლოებს რომელიღაც მაკიაველისტური გეგმა ან ღვარძლიანი სურვილი — «ორ ფრონტზე ბრძოლით» შეცვალოთ ლიკვიდატორობის «დაძლევა»?

მაგრამ დავუბრუნდეთ «ფილოსოფოსობის ვაკხანალიას».

«ჩვენ ვიცით, — წერს ბ-ნი პოტრესოვი, — რა ღრმა კვალი გაავლო თავის დროზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შეგნებაში ენგელსის ბრძოლამ დიურინგთან და ნამდვილად რა ცხოველი კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანიის მუშათა კლასის მოძრაობისათვის, თითქოს, უაღრესად განყენებულ თეზისებს»... უაღრესად განყენებულ თეზისებს ცხოველი კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდათ! ისევ ფრაზა და არაფერი ფრაზის გარდა. სცადეთ და აგვიხსენით, თუ «თქვენ იცით», რა «ცხოველი კონკრეტული მნიშვნელობა» ჰქონდა ენგელსის იმ თეზისს, რომ დიურინგის ფილოსოფიური მსჯელობანი დროსა და სივრცეზე — მცდარია! თქვენი უბე-

ღურებაც ისაა, რომ მოწაფესავით დ ა გ ი ზ ე პ ი რ ე ბ ი ა თ: «ენგელსის დავას დიურინგთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო», მაგრამ კარგად არ ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ხ ა რ თ, თუ რას ნიშნავს ეს, — ამიტომაც იმეორებთ დაზეპირებულს მცდარი ფორმით, მცდარი მახინჯი ფორმით. არ შეიძლება ითქვას, რომ «უაღრესად განყენებულ თეზისებს (ენგელსისას დიურინგის წინააღმდეგ) ნამდვილად ჰქონდათ ცხოველი კონკრეტული მნიშვნელობა გერმანიის მუშათა კლასის მოძრაობისათვის». ენგელსის უაღრესად განყენებულ თეზისებს ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ მუშათა კლასის იდეოლოგებს განუმარტავდნენ, თუ რაშია მატერიალიზმისაგან გადახვევისა და პოზიტივიზმსა და იდეალიზმზე გადასვლის მცდარობა. აი, თქვენ რომ ენგელსის შეხედულებათა ასეთი, ესე იგი ფილოსოფიურად ცოტად თუ ბევრად გარკვეული განმარტება მოგეცათ ნაცვლად მაღალფარდოვანი, მაგრამ უშინაარსო ფრაზებისა «ღრმა კვალის», «უაღრესად განყენებული თეზისების ცხოველი კონკრეტული მნიშვნელობის» შესახებ, — მაშინვე დაინახავდით, რომ დიურინგთან ენგელსის დავის დამოწმება თქვენს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს.

...«ჩვენ ვიცით — განაგრძობს ბ-ნი პოტრესოვი — სუბიექტურ სოციოლოგიასთან ბრძოლის როლი რუსული მარქსიზმის ჩამოყალიბების ისტორიაშიო»...

და არა ლავროვისა და მიხაილოვსკის პოზიტივისტურ და იდეალისტურ მოძღვრებათა როლი სუბიექტური სოციოლოგიის შეცდომებში? თქვენ ხომ, არკადი ნიკოლოზის-ძევ, ისე ნაბიჯს არ გადადგამთ, რომ შეცდომა არ მოგივიდეთ. თუ ისტორიულ პარალელს იღებთ, უნდა გამოჰყოთ და ზუსტად უჩვენოთ ის, რაც მსგავსია სხვადასხვა მოვლენაში, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიული შედარების ნაცვლად გამოვა სიტყვების რახარუხი. თუ თქვენს მიერ აღებულ ისტორიულ პარალელს განვიხილავთ, უნდა ვიკითხოთ: შეიძლებოდა განა რ უ ს უ ლ ი მარქსიზმის «ჩამოყალიბება», ბელტოვს[37] რომ ა რ გამოერკვია ფილოსოფიური მატერიალიზმის საფუძვლები და მათი მნიშვნელობა ლავროვისა და

მიხაილოვსკის შეხედულებათა გასაბათილებლად? ამ კითხვის პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, და ეს პასუხი — თუ დასკვნას გამოიყვანთ ისტორიული პარალელიდან მახისტების წინააღმდეგ დავასთან შეფარდებით — ბ-ნ პოტრესოვის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს.

...«მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ყოველივე ეს» (რა თქმა უნდა! ჩვენ ახლა ვნახეთ, თუ რას ნიშნავს, როდესაც ბ-ნი პოტრესოვი წერს: «ჩვენ ვიცით ყოველივე ეს»), «ჩვენ სწორედ ის გვინდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დამყარდეს ცოცხალი რეალური კავშირი ჩვენთვის საინტერესო ამ ფილოსოფიურ დავასა და მარქსისტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობასა, მის ამოცანებსა და საჭიროებას შორის. ჯერჯერობით კი»... — ამას მოსდევს მითითება კაუცკის წერილზე, იმაზე, რომ მახიზმი — Privatsache (კერძო საქმეა), რომ დავა მის შესახებ — «ფატა-მორგანაა» და სხვ.

კაუცკის დამოწმება ობივატელური მსჯელობის ნიმუშია. საქმე ის კი არაა, რომ კაუცკი «უპრინციპოა», როგორც ენამახვილობს (იზგოევისებურად ენამახვილობს) ბ-ნი პოტრესოვი, არამედ ის, რომ კაუცკიმ ა რ ი ც ი ს რუსული მახიზმის ასავალ-დასავალი, ის არც ჩემულობს ამის ცოდნას. კაუცკი თავის წერილში პლეხანოვს აღიარებს მარქსიზმის მცოდნედ, გამოთქვამს თავის რწმენას იდეალიზმისა და მარქსიზმის შეუერიგებლობის შესახებ, აგრეთვე იმ აზრს, რომ მახიზმი არ არის იდეალიზმი (ან: ყოველი მახიზმი როდია იდეალიზმი). კაუცკი რომ ს ც დ ე ბ ა უკანასკნელ პუნქტში და განსაკუთრებით რუსული მახიზმის შესახებ, ეს უეჭველია. მისი შეცდომა სავსებით მისატევებელია, რადგან მთლიანად მახიზმი მას ა რ შ ე უ ს წ ა ვ ლ ი ა, ის წერდა კერძო წერილს იმ აშკარა მიზნით, რომ გაფრთხილება მოეცა უთანხმოების გაზვიადების თავიდან ასაცილებლად. ასეთ პირობებში რ უ ს ი მწერალ-მარქსისტისათვის კაუცკის დამოწმება ნიშნავს აზროვნების წმინდა ობივატელური სიზანტისა და ბრძოლაში სილაჩრის გამოჩენას. კაუცკის შ ე ე ძ ლ ო ი მ ე დ ი ჰ ქ ო ნ ო დ ა 1908

წელს, როდესაც თავის წერილს წერდა, რომ ერთგვარი გაგებით მახიზმი «შესათავსებელია» მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ თ ა ნ, მაგრამ 1909 — 1910 წლების რუსეთში ამ საკითხზე კაუცკის დამოწმება ნიშნავს ი კ ი ს რ ო რუსი მახისტების შერიგება მატერიალისტებთან. განა ბ-ნი პოტრესოვი ან სხვა ვინმე სერიოზულად კისრულობს ამას?

კაუცკი უპრინციპო არ არის, ხოლო პოტრესოვი და კომპანია, რომელთაც სურთ მახიზმი «კერძო საქმედ» გამოაცხადონ, უ პ რ ი ნ ც ი პ ო ბ ი ს ნ ი მ უ შ ი არიან თანამედროვე რუსულ მარქსიზმში. კაუცკი სავსებით გულწრფელი იყო და ოდნავაც არ იყო უპრინციპო, როდესაც 1908 წელს, როცა რუსი მახისტების ნაწერები წაკითხული არ ჰქონდა, ურჩევდა მ ა თ მშვიდობა დაემყარებინათ პლეხანოვთან, როგორც მარქსიზმის მცოდნესთან, როგორც მატერიალისტთან, რადგან კაუცკი ყოველთვის მატერიალიზმის სასარგებლოდ და იდეალიზმის წინააღმდეგ ლაპარაკობდა და იმ წერილშიც ასე ლაპარაკობს. ხოლო ბატონ პოტრესოვებსა და კომპანიას, რომელნიც 1909 — 1910 წლებში კაუცკის ამოჰფარებიან, არ გააჩნიათ ო დ ნ ა ვ ი გულწრფელობა, ე რ თ ი ბ ე წ ო პატივისცემა პრინციპულობისადმი.

თქვენ ვერ ხედავთ, ბ-ნო პოტრესოვ, ცოცხალ რეალურ კავშირს ფილოსოფიურ დავასა და მარქსისტულ მიმდინარეობას შორის? მაშ ნება მომეცით მე, გუშინდელ პოლიტიკოსს, მოწიწებით მიგითითოთ თუნდაც შემდეგ გარემოებასა და მოსაზრებაზე: 1) დავა იმაზე, თუ რა არის ფილოსოფიური მატერიალიზმი, რატომ არის მცდარი, რით არის საშიში და რეაქციული მისგან გადახვევა, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დაკავშირებულია «ცოცხალი რეალური კავშირით» «მარქსისტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობასთან», — წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი არ იქნებოდა არც მარქსისტული, არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური და არც მიმდინარეობა. ამ კავშირის «რეალობის» უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ რეფორმიზმის ან ანარქიზმის გონებაშეზღუდულ «რეალურ პოლიტიკოსებს». 2) მარქსიზმის იდეური შინაარსი

იმდენად მდიდარი და მრავალმხრივია, რომ არაფერი გასაკვირველი არ არის, თუ რუსეთში, ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც, სხვადასხვა ისტორიული პერიოდები განსაკუთრებით წინ აყენებენ მარქსიზმის ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს. გერმანიაში 1848 წლამდე განსაკუთრებით წინ აყენებდნენ მარქსიზმის ფილოსოფიურ ფორმირებას, 1848 წელს — მარქსიზმის პოლიტიკურ იდეებს, 50-იან და 60-იან წლებში — მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას. რუსეთში რევოლუციამდე განსაკუთრებით წამოიწია მარქსის ეკონომიური მოძღვრების შეფარდებამ ჩვენს სინამდვილესთან, რევოლუციის დროს — მარქსისტულმა პოლიტიკამ, რევოლუციის შემდეგ — მარქსისტულმა ფილოსოფიამ. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს შესაწყნარებელი იყოს როდისმე მარქსიზმის ერთ-ერთი მხარის უგულებელყოფა; ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მხარისადმი ინტერესის გაძლიერება დამოკიდებულია არა სუბიექტურ სურვილებზე, არამედ ისტორიული პირობების ერთობლიობაზე. 3) საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეაქციის დრო, რევოლუციის მდიდარი გაკვეთილების «მონელების» დრო შემთხვევით როდი წარმოადგენს იმ ხანას, როდესაც ძირითადი თეორიული საკითხები, და მათ შორის ფილოსოფიური საკითხები ყოველი ცოცხალი მიმართულებისათვის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებენ. 4) რუსული აზროვნების მოწინავე მიმდინარეობებში არ არის ისეთი დიადი ფილოსოფიური ტრადიცია, როგორიც ფრანგებში დაკავშირებულია XVIII საუკუნის ენციკლოპედისტებთან, გერმანელებში — კლასიკური ფილოსოფიის ეპოქასთან კანტით დაწყებული ჰეგელამდე და ფეიერბახამდე. ამიტომ სწორედ რუსეთის მოწინავე კლასისათვის ფილოსოფიური «გარჩევა» აუცილებელი იყო, და არაფერია გასაკვირველი, რომ ეს დაგვიანებული «გარჩევა» მოხდა მას შემდეგ, რაც ეს მოწინავე კლასი სავსებით მომწიფდა თავისი დამოუკიდებელი ისტორიული როლისათვის ამასწინანდელი დიადი ამბების დროს. 5) ეს ფილოსოფიური «გარჩევა» დიდი ხანია მზადდებოდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებ-

შიც იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, ახალმა ფიზიკამ წამოაყენა მთელი რიგი ახალი საკითხები, რომელთაც უნდა «შესწყობოდა» დიალექტიკური მატერიალიზმი. ამ მხრივ «ჩვენს» (პოტრესოვის თქმით) ფილოსოფიურ დავას აქვს არა მარტო ერთგვარი, ე. ი. რუსული, მნიშვნელობა. ევროპამ მოგვცა მასალა ფილოსოფიური აზროვნების «გასაახლებლად», ხოლო ჩამორჩენილი რუსეთი 1908 — 1910 წლების იძულებითი მყუდროობის დროს განსაკუთრებული «სიხარბით» დაეწაფა ამ მასალას. 6) ამას წინათ ბელოუსოვმა III სათათბიროს ღვთის მლოცველი სათათბირო უწოდა. ის ამ მხრივ სწორად ჩასწვდა III სათათბიროს კლასობრივ თავისებურებას და სამართლიანად გააკრა სამარცხვინო ბოძზე კადეტების ფარისევლობა.

შემთხვევით კი არა, არამედ აუცილებლობის გამო მოხდა, რომ საერთოდ მთელი ჩვენი რეაქცია და კერძოდ ლიბერალური (ვეხური, კადეტური) რეაქცია რელიგიას «დაეწაფა». მარტო ჯოხი, მარტო მათრახი არ კმარა; ჯოხი, რაც უნდა იყოს, მაინც გადამტყდარია. ვეხელები ეხმარებიან მოწინავე ბურჟუაზიას, რომ მან შეიძინოს უახლესი იდეური ჯოხი, სულიერი ჯოხი. მახიზმი, როგორც იდეალიზმის ნაირსახეობა, ობიექტურად რეაქციის იარაღია, რეაქციის გამტარებელია. ამიტომ მახიზმთან ბრძოლა «ქვემოთ» შემთხვევითი კი არა, აუცილებელია ისეთ ისტორიულ პერიოდში (1908 — 1910 წლები), როდესაც «ზემოთ» ჩვენ ვხედავთ არა მარტო ოქტიაბრისტებისა და პურიშკევიჩების «ღვთისმლოცველ სათათბიროს», არამედ აგრეთვე ღვთისმლოცველ კადეტებსაც, ღვთისმლოცველ ლიბერალურ ბურჟუაზიას.

ბ-ნი პოტრესოვი «შენიშნავს», რომ ის «ღვთისმშენებლობას» «ამჟამად არ ეხება». აი სწორედ ამით განსხვავდება უპრინციპო და ობივატელი პუბლიცისტი პოტრესოვი კაუცკისაგან. კაუცკიმ არაფერი იცოდა არც მახისტების ღვთისმშენებლობაზე, არც ღვთისმლოცველ ვეხელებზე, ამიტომ მას შეეძლო ეთქვა, ყოველი მახიზმი — იდეალიზმი როდიაო. პოტრესოვმა ეს იცის და, «არ ეხებარა»

უმთავრესს (უმთავრესს იმისთვის, ვინც საკითხს ვიწრო-«პუბლიცისტურად» უყურებს), თვალთმაქცობს. ბ-ნი პოტრესოვი და ძმანი მისნი მახიზმთან ბრძოლას «კერძო საქმედ» აცხადებენ და ამით «საზოგადოებრივ-პოლიტიკური» აზრით ვეხელების ხელშემწყობნი ხდებიან.

V

გადავდივართ რა ბ-ნ პოტრესოვისგან ბაზაროვზე, უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ფილოსოფიური დავის საკითხზე პირველს ვუპასუხეთ, ამით ვუპასუხეთ მეორესაც. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ დავუმატოთ: ვ. ბაზაროვის შემწყნარებლობა ბ-ნ პოტრესოვის მიმართ, მისი მისწრაფება — მოუნახოს პოტრესოვს «სიმართლის ნატამალი», სავსებით გასაგებია, რადგან ბ-ნი პოტრესოვი (ისე როგორც ყველა ლიკვიდატორი) მხოლოდ სიტყვიერად და ფორმალურად ემიჯნება მახიზმს, არსებითად კი მას უთმობს ყველაზე არსებითს. მახიზმი, როგორც მიმდინარეობა და როგორც «პლატფორმიანი» ჯგუფი, მხოლოდ იმის მოთხოვნას ბედავს, რომ მისი გათიშვა მარქსიზმთან «კერძო საქმედ» აღიარონ! ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ პოტრესოვი და ბაზაროვი თვალს უკრავენ ერთმანეთს. ლიკვიდატორ ლიტერატორთა ჯგუფი და მახისტ ლიტერატორთა ჯგუფი მართლაც სოლიდარულნი არიან იმაში, რომ ახლანდელ რღვევის ხანაში დაიცვან «რღვევის თავისუფლება» მარქსიზმის მომხრეთაგან, მარქსიზმის თეორიული საფუძვლების დამცველთაგან. და ეს სოლიდარობა არ განისაზღვრება ფილოსოფიური საკითხებით, როგორც ამას გვიჩვენებს ვ. ბაზაროვიც კი თავისი სტატიით.

ვამბობ: ბაზაროვიც კი, ვინაიდან სწორედ ბაზაროვი განირჩეოდა ყოველთვის ყველაზე უფრო დაკვირვებული დამოკიდებულებით პოლიტიკის სერიოზული საკითხებისადმი. ეს უნდა ითქვას, რათა შევაფასოთ ასეთი ადამიანის წარმოუდგენელი მერყეობის მნიშვნელობა, მარტო იმიტომ არა, რომ

ხაზგასმით აღვნიშნოთ წარსულში უაღრესად სასარგებლო მოღვაწეობა ლიტერატორისა, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს ჰეროსტრატეს დაფნის გვირგვინი.

ჰეროსტრატესებურია, მაგალითად, ბაზაროვის განცხადება: «ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს და სრულიად უმნიშვნელო გაუგებრობად მიმაჩნია «ჰეგემონიის» ყბადაღებული საკითხი». ჩვენი წრის მახისტებს რაღაც ბედისწერა დასტრიალებთ თავს. ზოგნი «რღვევის თავისუფლებას» იცავენ და ოტზოვიზმს კანონიერ ელფერად აცხადებენ, ზოგნი კი, რომელთაც ესმით ოტზოვიზმის სისულელე და მავნებლობა, პირდაპირ ხელს უწვდიან ლიკვიდატორებს პოლიტიკაში. სწორედ ლიკვიდატორები «ნაშა ზარიაშიც», «ჟიზნსაცა» და «საზოგადოებრივ მოძრაობაშიც»[38] პირდაპირ და არაპირდაპირ ომს ეწევიან ჰეგემონიის იდეის წინააღმდეგ. მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ბაზაროვი მ ა თ ს ბ ა ნ ა კ შ ი გ ა დ ა ბ ა რ გ დ ა.

როგორია მისი საბუთები არსებითად? ხუთი წლის წინათ ჰეგემონია ფაქტი იყო. «ამჟამად, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ეს ჰეგემონია არათუ გაჰქრა, არამედ თავის სრულ წინააღმდეგობადაც გადაიქცა». დამამტკიცებელი საბუთი: «დღეს მარქსიზმის ჩაწიხვლა პოპულარობის აუცილებელი პირობაა საზოგადოების დემოკრატიულ წრეებში». მაგალითია — ჩუკოვსკი.

კითხულობ — და თვალს არ უჯერი: ბაზაროვი, რომელსაც უნდოდა მარქსისტი ყოფილიყო, გადაქცეულა ყოფილ ადამიანად, რომელსაც შეუძლია ბატონ პოტრესოვებთან ხელიხელჩაკიდებული იაროს.

ღ მ ე რ თ ი ს ა მაინც არ გეშინიათ, ვ. ა. ბაზაროვ? ჩუკოვსკები და სხვა ლიბერალები, აგრეთვე მრავლისაგან-მრავალი დემოკრატ-ტრუდოვიკები მარქსიზმს ყოველთვის «წიხლავდნენ», 1906 წლიდან კი უფრო გაძლიერებულადაც, ხოლო «ჰეგემონია» არ იყო «ფაქტი» 1906 წელს? თავი გამოჰყავით ლიბერალურ-ლიტერატორულ საკუჭნაოდან, შეხედეთ თუნდაც მესამე სათათბიროს დეპუტატ გლეხების დამოკიდე-

ბულებას მუშათა დეპუტატებისადმი. სამი წლის განმავლობაში მათი პოლიტიკური მოქმედების უდავო ფაქტების უბრალო დაპირისპირება, სულ უბრალო შედარებაც კი მათი გადასვლის ფორმულებისა და კადეტების ფორმულებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ სათათბიროში პოლიტიკურ განცხადებათა დაპირისპირებაზე მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების პირობებთან ამ ხნის განმავლობაში, — ურყევად ამტკიცებს, რომ ჰეგემონია დღესაც ფაქტია. მუშათა კლასის ჰეგემონია არის მისი (და მისი წარმომადგენლების) პოლიტიკური ზემოქმედება მოსახლეობის სხვა ელემენტებზე მათი დემოკრატიზმის (როდესაც არის დემოკრატიზმი) არადემოკრატიული შენაერთებისაგან გაწმენდის აზრით, ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატიზმის შეზღუდულობისა და სიბეცის კრიტიკის აზრით, «კადეტობასთან» (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ლიბერალების სიტყვებისა და პოლიტიკის იდეურად გამხრწნელ შინაარსს) ბრძოლის აზრით და სხვა და სხვა. ჩვენი დროისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის, რომ ბაზაროვს შ ე ე ძ ლ ო დაეწერა ასეთი წარმოუდგენელი რამეები, და რომ იმ ჟურნალისტების ჯგუფმა, რომლებიც აგრეთვე მუშათა მეგობრებად და მარქსიზმის მომხრეებად თვლიან თავს, ამის გამო მოწყალებით გადაუსვა ხელი თავზე!

«როგორი მდგომარეობა იქნება მომავალი აღმავლობის მომენტისათვის, ამის წინასწარმეტყველება ყოვლად წარმოუდგენელია», — არწმუნებს ბაზაროვი ლიკვიდატორული ჟურნალის მკითხველებს. — «თუ ქალაქისა და სოფლის დემოკრატიის სულიერი სახე დაახლოებით იგივე იქნება, როგორც 5 წლის წინათ იყო, მაშინ მარქსიზმის ჰეგემონია ისევ ფაქტი გახდება... მაგრამ სრულიადაც არ არის შეუძლებელი ვივარაუდოთ, რომ დემოკრატიის ფიზიონომია არსებითად შეიცვლება. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ რუსეთის სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია საკმაოდ რადიკალურად იქნება განწყობილი გაბატონებული კლასების პოლიტიკური პრივილეგიების წინააღმდეგ, საკმაოდ შეკავშირებული და აქტიური იქნება, მაგრამ ამავე დროს გამსჭვალული იქნება მკვეთრი ნაციონალისტური სულისკვეთებით. რადგან მარქსისტები სრულიად არაფერს არ დაუთმობენ ნაციონალიზმს ან ანტისემიტიზმს, ამიტომ, ცხადია, აღნიშნულ პირობებში ჰეგემონიის ხსენებაც არ იქნება».

ეს არათუ სწორი არ არის, არამედ საშინელი უაზრობაა. თუ პრივილეგიებისადმი მტრობა განსაზღვრულ ფენებში შეერთებული იქნება ნაციონალიზმთან, განა იმის განმარტება, რომ ასეთი შეერთება ხელს უშლის პრივილეგიების მოსპობას, ჰეგემონის საქმე არ არის? განა შეიძლება პრივილეგიებთან ბრძოლა ა რ იყოს შეერთებული იმ ბრძოლასთან, რომელსაც აწარმოებენ ნაციონალიზმით დაჩაგრული წვრილი ბურჟუები ნაციონალიზმით მოგებული წვრილი ბურჟუების წინააღმდეგ? ყოველი წვრილი ბურჟუაზიის ყოველი ბრძოლა ყოველგვარი პრივილეგიების წინააღმდეგ ყ ო ვ ე ლ - თ ვ ი ს ატარებს წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობის, ორჭოფობის ნიშნებს, ხოლო ამ თვისებებთან ბრძოლა სწორედ «ჰეგემონის» საქმეა. ბაზაროვი მსჯელობს კადეტურად, ვეხურად. უფრო სწორად რომ ვთქვათ: ბაზაროვი გადაბარგდა პოტრესოვებისა და კომპანიის ბანაკში, რომელნიც უკვე დიდი ხანია ასე მსჯელობენ.

რაც ზედაპირზე არ არის, ის სულაც არ არსებობსო. რასაც ჩუკოვსკები და პოტრესოვები ვერ ხედავენ, ის არარეალურიაო. აი როგორია ბაზაროვის მსჯელობის წანამძღვარნი, რომელნიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მარქსიზმს. მარქსიზმი გვასწავლის, რომ წვრილბურჟუაზიული მასები, ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, აუცილებლად იქნებიან შევიწროებულნი ანტიდემოკრატიული პრივილეგიებით (ასეთი პრივილეგიები თეორიულად «სავალდებულო არაა» წ მ ი ნ დ ა კაპიტალიზმის დროს, მაგრამ მისი გ ა ნ წ მ ე ნ დ ა გაგრძელდება მის სიკვდილამდე), შევიწროებულნი იქნებიან ეკონომიური ჩაგვრით. ამიტომ, ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, «ჰეგემონის» მ უ დ მ ი ვ ი ამოცანაა „განმარტოს ამ პრივილეგიებისა და ამ ჩაგვრის წყარო, გამოააშკარაოს მათი კლასობრივი ფესვები, გვიჩვენოს მათ წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითი, ამხილოს ბრძოლის ლიბერალური მეთოდების სიყალბე და სხვა და სხვა.

ასე ფიქრობენ მარქსისტები. ასე უყურებენ ისინი «ჰეგემონის» ამოცანებს იმ ბანაკში, რომლის ცხოვრების პირობები

პრივილეგიებთან შერიგების ნებას არ იძლევიან, არა მარტო პროლეტარების, არამედ ნახევრადპროლეტარული და წვრილ-ბურჟუაზიული მასების ბანაკშიც. ჩუკოვსკები კი ფიქრობენ, რომ, რაკი ეს ბანაკი შევიწროებულია, ჩახშობილია, შერეკილია იატაკქვეშ, მაშასადამე, «გაჰქრა ჰეგემონია», მაშასადამე, «ჰეგემონიის საკითხი სულ უმნიშვნელო გაუგებრობად გადაიქცა».

როდესაც ვხედავ ასეთი სამარცხვინო რამეების მოლაპარაკე ბაზაროვს, ხელიხელჩაკიდებულს პოტრესოვებთან, ლევიცკებთან და კომპანიასთან, რომელნიც არწმუნებენ მუშათა კლასს, რომ მას ესაჭიროება არა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია, როდესაც ვხედავ, მეორე მხრივ, პლეხანოვს, რომელმაც (საუცხოო პოტრესოვის მხრივ აბუჩად ამგდები თქმით) «ალიაქოთი» ასტეხა ჰეგემონიის საკითხის გამო სერიოზული მერყეობის სულ მცირედი ნიშნების გამომჟღავნებისას, ვეუბნები ჩემს თავს: ბოლშევიკები ფრაქციული დოგმის სწორედ ისეთი ურჯუკები იქნებოდნენ, როგორადაც მტრები სახავდნენ, მათ რომ ასეთ მდგომარეობაში თუნდაც ერთი წუთით მერყეობა გამოეჩინათ, ისინი რომ თუნდ ერთი წამით დაეჭვებულიყვნენ იმაში, რომ მათი მოვალეობაა, ბოლშევიზმის ყველა ტრადიციის, მისი მოძღვრებისა და მისი პოლიტიკის მთელი დედაარსის მოვალეობაა ხელი გაუწოდოს პლეხანოვს, სრული ამხანაგური თანაგრძნობა გამოუცხადოს მას. ჩვენ ერთმანეთისაგან გვაშორებდნენ და გვაშორებენ ის საკითხები, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ «ჰეგემონებს» ამა და ამ დროს, მაგრამ ჩვენ — ამხანაგები ვართ რღვევის ხანაში, იმ ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებისთვისაც ჰეგემონიის საკითხი «სულ უმნიშვნელო გაუგებრობაა». პოტრესოვები, ბაზაროვები და სხვები კი — ჩვენთვის უცხონი არიან, არა ნაკლებ უცხონი, ვიდრე ჩუკოვსკები.

დაე ყურადიღონ ეს იმ გულკეთილმა ადამიანებმა, რომელთაც ჰგონიათ, რომ პლეხანოვთან დაახლოების პოლიტიკა

«ფრაქციული», ვიწრო პოლიტიკაა, და რომელთაც სურთ ეს პოლიტიკა «გააფართოონ» პოტრესოვებთან, ბაზაროვებთან და სხვებთან შერიგებამდე; მათ არასგზით არ სურთ გაიგონ, რატომ ვთვლით ჩვენ ამგვარ «შემარიგებლობას» უიმედო სისულელედ, ანდა უბადრუკ ინტრიგანობად.

«მისლ» № 2 და 3,
1911 წ. იანვარი და თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ.

იბეჭდება ჟურნალ «მისლის» ტექსტის მიხედვით

კადეტები «ორი ბანაკისა» და «ბონივრული კომპრომისის» შესახებ

ის პასუხი, რომელიც გასცა «რეჩმა» სამინისტროს ოფიციოზს IV სათათბიროს საარჩევნო «ლოზუნგისა» და თანამედროვე პოლიტიკური დაჯგუფების საკითხის გამო, საინტერესო და ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს.

«რეჩი» ეთანხმება «რუსსკიე ვედომოსტის»[39], რომ «IV სათათბიროს არჩევნები მოხდება მხოლოდ ორ ბანაკს — პროგრესისტებსა და მემარჯვენეებს შორის». «ხმას მისცემენ არა პარტიებს, არა ცალკეულ კანდიდატებს, არამედ კონსტიტუციური წყობილების განმტკიცებას რუსეთში ან მის წინააღმდეგ». (მეტისმეტად ლამაზია ეს სიტყვა: «განმტკიცება»!) «ამ ლოზუნგის პოლიტიკური აზრი... — ობიექტური აღიარებაა იმ უდავო ფაქტისა, რომ მთავრობის გეზმა კვლავ გააერთიანა კადეტებზე მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი მთელი ოპოზიცია». კადეტები იქნებიან «ამ პოლიტიკურად მრავალგვაროვანი ჯგუფის ცენტრი», ამასთან ისინი ამ ჯგუფში შესვლით «ისევე არ უარყოფენ თავიანთ წინანდელ პროგრამასა და ტაქტიკას, როგორც არ უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატები თავიანთ პროგრამასა და ტაქტიკას ოქტომბრის წინ არსებულ კავშირებში შესვლით» (მოწინავე, 21 იანვარი).

«ბატონებო, შეგვიძლია ვუპასუხოთ ყველა ოფიციოზსა და ოფიციალს, თქვენ თვითონ — და არა სხვა ვინმემ — გაგვაერთიანეთ ჩვენ... დღეს რუსეთში რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო ერთდებიან პოლიტიკური მიმდინარეობანი ორ დიდ ბანაკად, კონსტიტუციის დასაცავად და კონსტიტუციის

წინააღმდეგ... ჩვენი ამოცანა ახლა ერთია, ისევ ერთი, როგორც ეს იყო 17 ოქტომბრამდე»... (იქვე).

ამ მსჯელობის შეფასების დროს უნდა განვასხვაოთ IV სათათბიროს არჩევნების პირობების საკითხი განსახილველ ცვლილებათა («ლოზუნგისა» და დაჯგუფებების) სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხისაგან. არჩევნების პირობები საერთოდ და პროვინციაში განსაკუთრებით, ალბათ, აიძულებენ «ოპოზიციას» ისარგებლოს გაურკვეველი უპარტიო ტერმინით: «პროგრესისტები» [40] კიდევ უფრო ფართოდ, ვიდრე წინათ. ლეგალიზაციაზე უარისთქმა ისეთი პარტიებისთვისაც კი, როგორიც კადეტებია, აუცილებლად გამოიწვევს ამას, და ამის გამო სამინისტროს ოფიციოზის მიუხვედრელობა, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე თვალთმაქცობაა. დიდ ქალაქებში, როგორც თვითონ კადეტები აღიარებენ, თუნდაც იმავე მოწინავეში, წამოყენებული იქნებიან, «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს» თქმით, «უფრო მემარცხენე ჯგუფთა» დამოუკიდებელი კანდიდატები. უკვე აქედან ჩანს, რომ ო რ ბანაკზე ლაპარაკი ზედმეტია.

შემდეგ, «რ ე ჩ ს» უნებებია სავსებით დაევიწყნა თანამედროვე საარჩევნო კანონებით გამოყოფილი მუშათა კურიის არსებობა. ბოლოს, სოფლად (გლეხთა) არჩევნების შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ, უეჭველია, ს ი ტ ყ ვ ა «პროგრესისტებსაც» კი მოერიდებიან, მაგრამ «პოლიტიკურად მრავალგვაროვანი» თუ პოლიტიკურად-გაურკვეველი ჯგუფების რ ე ა ლ უ რ ი «ცენტრი», ალბათ, კადეტები არ იქნებიან.

მაშ რას შეიცავს ლაპარაკი ო რ ი ბანაკის შესახებ? იმას, რომ კადეტებს, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობის დროს, კეთილუნებებიათ და თავისი გარსახედველი განუსაზღვრავთ მ ხ ო ლ ო დ იმ ელემენტებით, რომელთაგანაც შესდგება მესამე სათათბიროს უმრავლესობა. ბატონ კადეტებს პოლიტიკურ «ბანაკებად» ნებავთ მიიჩნიონ მოსახლეობის მხოლოდ ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელსაც ეს ელემენტები წარმოადგენენ. დღემდე სამი ივნისის ამ პა-

ტარა კუთხეში ძ ი რ ი თ ა დ ი დაყოფა ასეთი იყო: მემარჯვენეები, ოქტიაბრისტები, კადეტები. (ცნობილია, რომ III სათათბიროს ფიზიონომია, საბოლოო ანგარიშით, განისაზღვრებოდა ორი უმრავლესობით: მემარჯვენე-ოქტიაბრისტულით და ოქტიაბრისტულ-კადეტურით.) ახლა («რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს» წინასწარმეტყველებით, რასაც ეთანხმება «რ ე ჩ ი») ე ს ს ა მ ი ელემენტი დაიყოფა ორ «ბანაკად»: მემარჯვენეებად და პროგრესისტებად.

ჩვენ საესებით ვცნობთ, რომ ამ ლიბერალურ წინასწარმეტყველებას საფუძვლად უდევს არა მარტო ლიბერალური სურვილები, არამედ ობიექტური ფაქტებიც: ცვლილებანი პოლიტიკურ მდგომარეობასა და რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკურ სულისკვეთებაში. ოღონდ შეუწყნარებელი იქნებოდა იმის დავიწყება, რომ ო რ ბანაკზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ დაკვირვების არეს შევზღუდავთ მესამე სათათბიროს უმრავლესობით. შეუწყნარებელია იმის დავიწყება, რომ მთელი ამ ლაპარაკის რ ე ა ლ უ რ ი მნიშვნელობა განისაზღვრება ოქტიაბრისტულ და კადეტურ «ბანაკთა» დაახლოების, შედუღების, შეერთების ტენდენციით პროგრესისტულ «ბანაკად» (რასაკვირველია, ოქტიაბრისტული ბანაკის დიდი თუ მცირე ნაწილის ჩუმად ნაგულისხმევი გადასვლით მემარჯვენე ბანაკში). როდესაც კადეტები ამბობენ: «ჩვენ» გაგვაერთიანეს, «ჩვენი» ამოცანა ისევ ერთიაო და სხვა, ეს სიტყვები: «ჩვენ», «ჩვენი» რ ე ა ლ უ რ ა დ ნიშნავს ოქტიაბრისტებსა და კადეტებს, და მეტს არაფერს.

რა ნიადაგზე გააერთიანეს «ისინი»? როგორია «მათი» ამოცანა? როგორია «მათი» ლოზუნგი IV სათათბიროს არჩევნებში? «კონსტიტუციის განმტკიცებაო», — გვიპასუხებენ «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» და «რ ე ჩ ი». ეს პასუხი მხოლოდ ჩანს გარკვეულად, ნამდვილად კი ის სრულიად არაფერს არ არკვევს და ამასთანავე შეიცავს მხოლოდ სრულიად უშინაარსო მითითებას რაღაც გაურკვეველ «საშუალოზე» ოქტიაბრისტებსა და კადეტებს შორის. ვინაიდან მილიუკოვიც და გუჩკოვიც თანახმანი არიან იმაში, რომ «ჩვენ, მად-

ლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს», მაგრამ ისინი ოცნებობენ შეთანხმდნენ არა იმის «განმტკიცებაში», რაც «ჩვენ» გ ვ ა ქ ვ ს, არამედ იმისა, რაც ჩვენ არა გვაქვს. ოცნება, და თანაც არცთუ მაინცდამაინც გონივრული ოცნებაა აგრეთვე ისიც, რომ მილიუკოვსა და გუჩკოვს, კადეტებსა და ოქტიაბრისტებს დღეს, «პროგრესისტებს» ხვალ, შეეძლოთ შეთანხმება სასურველი კონსტიტუციის შინაარსის განსაზღვრაში. ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ ვერც კონსტიტუციის გამომხატველ უფლებრივ ფორმულებში, ვერც იმის განსაზღვრაში, თუ რომელი რეალური კლასების რა რეალური ინტერესები უნდა დააკმაყოფილოს და დაიცვას ამ კონსტიტუციამ. ამიტომ ამ ზოგადი ლოზუნგის ნ ა მ დ ვ ი ლ ი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ოქტიაბრისტებსა და კადეტებს, მართალია, აახლოებს «უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ამოცანა: საერთო მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ამოცანა» («რეჩის» სიტყვებია იმავე მოწინავიდან), მაგრამ მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი დადებითი ამოცანები, არ შეუძლიათ მონახონ თავიანთ ბანაკებში ის ძალები, რომელთაც მკვდარი წერტილიდან დაძვრის უნარი ექნებათ.

ეს აღიარება იმისა, რომ წერტილი მართლაც მკვდარია, რომ მისგან დაძვრა საჭიროა, საჭიროა ოქტიაბრისტებისთვისაც და კადეტებისთვისაც, რომ მისგან დაძრულნი ერთნიც და მეორენიც, თავისთავად აღებულნი, სრულიად უძლურნი არიან, — განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა «რ ე ჩ ი ს» მსჯელობაში ერთი კერძო საბაბის გამო «გონივრული კომპრომისის» შესახებ.

«და თუ პეტერბურგის კანალიზაციის შესახებ სათათბიროში კამათის დროს, — ვკითხულობთ 20 იანვრის «რ ე ჩ ი ს» მოწინავეში, — კამათის არაჯანსაღი სარჩული ცოტათი მიიჩქმალა, თუ ცენტრისთვისაც კი (ე. ი. ოქტიაბრისტებისთვის) შესაძლებელი აღმოჩნდა მიმხრობოდა იმ გონივრულ კომპრომისს, რომელიც წამოაყენა სახალხო თავისუფლების ფრაქციამ და მიიღო ქალაქის თვითმმართველობამ, — პ. ა. სტოლიპინის ჩარევამ უხეშად ახადა ფარდა (თქვენ კი, ბატონო

კადეტებო, გინდოდათ, რომ საჭირბოროტო საკითხები დაფარული ყოფილიყო?) და გამოააშკარავა ისევ ის ძველი, თვითმმართველობასთან სახელმწიფოს პოლიტიკური ბრძოლის ყველასათვის უკვე დიდი ხნის მობეზრებული სარჩული».

ლიბერალური ბურჟუაზია გვევლინება ვით სავსებით უმანკო არსება, რომელიც ოცნებობს «გონივრული კომპრომისებისათვის» საქმიან, არა პოლიტიკურ ნიადაგზე, ხოლო «არაკონსტიტუციურ», ძველ საწყისთა წარმომადგენელნი — პოლიტიკურ აღმზრდელთა როლში, რომელნიც ფარდას ხდიან და ააშკარავებენ კლასობრივ სარჩულს! გონივრული კომპრომისი იმაში მდგომარეობს, — ოხრავს ლიბერალი,—რომ დაკმაყოფილებულ იქნას ის, რაშიც შეთანხმდნენ კადეტები, ოქტიაბრისტები და კაპიტალის უპარტიო ბობოლები (პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობა). არაფერი გონივრული არაა იმაში, რომ ჩვენ გითმობდეთ, უპასუხებს მთავრობა; გონივრულია მხოლოდ ის, რომ თქვენ გვითმობდეთ.

პატარა საკითხი პეტერბურგის გაჯანსაღების, თვითმმართველობასა და თვითმპყრობელობას შორის როლებისა და უფლებების განაწილების შესახებ საბაბს იძლევა იმ ჭეშმარიტებათა გასარკვევად, რომელთაც მცირე მნიშვნელობა როდი აქვთ. მართლაც, რა უფრო «გონივრულია»: მთელი ბურჟუაზიის სურვილები, ოცნება, მოთხოვნები თუ, თუნდაც, ვთქვათ, გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს ძალაუფლება? [41]

«რეჩისთვის», ისე როგორც მთელი კადეტური პარტიისთვის, კომპრომისის «გონივრულობის» კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ ის მოიწონეს საქმიანმა პირებმა, საქმოსნებმა, ბობოლებმა, თვით ოქტიაბრისტებმა, თვით პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობის მესვეურებმა. მაგრამ რეალური სინამდვილე,—როგორც უნდა შეალამაზოთ ის თუნდ ასეთი ფრაზის საბურველით: «ჩვენ, მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვსო», — ამ კომპრომისებს და ამ საბურველს საკმაოდ უხეშად ჰფუშავს და ჰგლეჯს.

შედეგი: ჩვენ გაგვაერთიანეთ, ეუბნება «რ ე ჩ ი» სამინისტროს ოფიციოზს. — ვინ «ჩვენ»? — თურმე, ოქტიაბრისტები და კადეტები. — რა ნიადაგზე გააერთიანეს? — საერთო ამოცანის — კონსტიტუციის განმტკიცების — ნიადაგზე. — მერე, რა უნდა ვიგულისხმოთ კონსტიტუციად და მის განმტკიცებად? — გონივრული კომპრომისი ოქტიაბრისტებსა და კადეტებს შორის. — რა არის ამგვარი კომპრომისების გონივრულობის კრიტერიუმი? — მათი მოწონება რუსეთის «კოლუპაევური» კაპიტალიზმის უცუდესი წარმომადგენლების მიერ, როგორიც არიან, მაგალითად, პეტერბურგის საბჭოს წევრები. — მერე როგორია პრაქტიკული შედეგი ამ გონივრული კომპრომისებისა? — პრაქტიკული შედეგი ისაა, რომ პ. ა. სტოლიპინი, ან სახელმწიფო საბჭო, ან ტოლმაჩევი[42] და სხვანი და სხვანი ამ კომპრომისებს «უხეშად ჰფუშავენ»... ოჰ, რა საქმიანი პოლიტიკოსები არიან!..

...როგორ გგონიათ, IV სათათბიროს არჩევნებში არ იქნება განა მესამე ბანაკი, რომელსაც დაახასიათებს იმის შეგნება, თუ რარიგ უგუნური, სასაცილო, გულუბრყვილოა «გონივრული კომპრომისის» კადეტური პოლიტიკა? რას ფიქრობთ ამაზე, «რ ე ჩ ე ლ ო» და «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ე ლ ო» ვაჟბატონებო?

«ზვეზდა» № 8, 1911 წ. 5 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წლისთავი

1911 წ. 19 თებერვალს სრულდება 50 წელი, რაც რუსეთში ბატონყმობა გადავარდა. ყველგან ემზადებიან ამ იუბილეს სადღესასწაულოდ. მეფის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ ეკლესიებსა და სკოლებში, ყაზარმებსა და საჯარო კითხვებზე იქადაგონ მხოლოდ და მხოლოდ შავრაზმული შეხედულებანი ეგრეთწოდებული გლეხთა «განთავისუფლების» შესახებ. პეტერბურგიდან სასწრაფოდ იგზავნება მთელ რუსეთში ცირკულარები იმის შესახებ, რომ ყველა და ყოველგვარმა დაწესებულებამ ხალხში გასავრცელებლად გამოიწეროს მხოლოდ და მხოლოდ «ეროვნული კლუბის», ე. ი. მესამე სათათბიროს ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული პარტიის მიერ გამოცემული წიგნები და ბროშურები. ზოგიერთ ადგილას გულმოდგინე გუბერნატორები უკვე იქამდე მივიდნენ, რომ შლიან საგლეხო «რეფორმის» იუბილეს სადღესასწაულოდ დაარსებულ (მაგალითად, საერობო) კომიტეტებს, თუ ისინი პოლიციის «ხელმძღვანელობით» არ არის მოწყობილი, — შლიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს კომიტეტები საკმაოდ არ არიან მზად ჩაატარონ ეს დღესასწაული ისე, როგორც ამას შავი რაზმის მთავრობა მოითხოვს.

მთავრობა შეშფოთებულია. იგი ხედავს, რომ რაც უნდა დაბეჩავებული, დაშინებული, შეუგნებელი და უმეცარი იყოს ესა თუ ის მუშა ან გლეხი, მაინც შეუძლებელია იმის უბრალო გახსენებამ, რომ ნახევარი საუკუნის წინათ გამოცხადდა

ბატონყმობის გაუქმება, არ შეარხიოს, არ ააღელვოს მემამულეთა, დიდკაცთა სათათბიროს მიერ შევიწროებული ხალხი, რომელიც წინანდელზე უფრო იტანჯება მემამულე-მებატონეების და მათი პოლიციისა და მოხელეების თვითნებობით, ძალმომრეობითა და ჩაგვრით.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბატონყმობის უკანასკნელი ნაშთები მოსპო 1789 წლის რევოლუციამ საფრანგეთში, 1848 წლის რევოლუციამ — დანარჩენი ქვეყნების უმეტეს ნაწილში. რუსეთში 1861 წელს ასწლობით მემამულეთა მონობაში მყოფ ხალხს არ შეეძლო ამდგარიყო და დაეწყო ფართო, აშკარა, შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. იმდროინდელ გლეხთა აჯანყებებს განმარტოებული, დაქუცმაცებული, სტიქიური «ჯანყის» ხასიათი ჰქონდათ, და მათ ადვილად ახშობდნენ. ბატონყმობა გააუქმა არა აჯანყებულმა ხალხმა, არამედ მთავრობამ, რომელმაც ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ დაინახა ბატონყმური წესწყობილების შენარჩუნების სრული შეუძლებლობა.

რუსეთში გლეხებს «ათავისუფლებდნენ» თვით მემამულეები, თვითმპყრობელი მეფის მემამულური მთავრობა და მისი მოხელეები. და ამ «განმათავისუფლებლებმა» ი ს ე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები «განთავისუფლდნენ» გაძარცულ-გაღატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ.

რუსეთის გლეხებს ბატონი კეთილშობილი მემამულეები ისე «ათავისუფლებდნენ», რომ გლეხთა მიწის მ ე ხ უ თ ე დ ზ ე მ ე ტ ი მემამულეთა სასარგებლოდ ჩამოსჭრეს. საკუთარი, ოფლითა და სისხლით მორწყული, გლეხთა მიწები გლეხებს უნდა გ ა მ ო ე ყ ი დ ა თ, ესე იგი ეძლიათ გამოსაყიდი ხ ა რ კ ი გუშინდელ მონათმფლობელთათვის. მრავალი ასეული მილიონი მანეთის ასეთი ხარკი გადაუხადეს მებატონეებს გლეხებმა, რომელნიც სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდნენ. მემამულეებმა არათუ დაიტაცეს გლეხთა მიწები, არათუ მიუზომეს გლეხებს უცუდესი, ხანდახან სრულიად უვარგისი მიწა, არამედ ყოველ ნაბიჯზე მახესაც უგებდნენ მათ, ესე იგი

ისე გამიჯნეს მიწა, რომ გლეხები ხან უსაძოვროდ რჩებოდნენ, ხან უსათიბოდ, ხან უტყეოდ და ხან უწყალსალეკოდ. ძირითადი რუსეთის გუბერნიების უმეტეს ნაწილში გლეხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც მემამულეების წინანდელ, აუტანელ კაბალაში დარჩნენ. გლეხები განთავისუფლების შემდეგაც დარჩნენ «დაბალ» წოდებად, მოხარკე პირუტყვად, შავ სისხლად, რომელსაც მასხარად იგდებდნენ მემამულეების მიერ დაყენებული ხელისუფალნი, ართმევდნენ გადასახადს, ამათრახებდნენ, სცემდნენ და უტიფრად დასცინოდნენ.

მსოფლიოს არც ერთს ქვეყანაში არ განუცდია გლეხობას «განთავისუფლების» შემდეგაც ისეთი გაჩანაგება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და ისეთი აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში.

მაგრამ ბატონყმობის გადავარდნამ შეარხია მთელი ხალხი, გამოაღვიძა იგი საუკუნოვანი ძილისაგან, ასწავლა მას თვითონ ეძებნა გამოსავალი, თვითონ ეწარმოებინა ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ რუსეთში სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა ქალაქები, მრავლდებოდა ფაბრიკები და ქარხნები, შენდებოდა რკინიგზები. ბატონყმური რუსეთის ადგილს კაპიტალისტური რუსეთი იჭერდა. ბინადარი, დაბეჩავებული, თავის სოფელზე მიკრული, ხუცების მორწმუნე, «უფროსების» მოშიშარი ყმა-გლეხის ნაცვლად იზრდებოდა ახალი თაობა გლეხებისა, რომელთაც მოვლილი ჰქონდათ გარესამუშაოები, ქალაქები და ზოგი რამ ესწავლათ მაწანწალური ცხოვრებისა და დაქირავებული მუშაობის მწარე გამოცდილებით. დიდ ქალაქებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში სულ უფრო და უფრო მატულობდა მუშათა რიცხვი. მუშებმა თანდათან დაიწყეს შეერთება შეთანხმებული ბრძოლისათვის კაპიტალისტებისა და მთავრობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლით რუსეთის მუშათა კლასი ეხმარებოდა მრავალმილიონიან გლეხობას ფეხზე დამდგარიყო, წელში გამართულიყო და თავიდან მოეშორებინა ყმა-მონათა ჩვეულებანი.

1861 წელს გლეხებს მხოლოდ «ჯანყის» უნარი შესწევდათ. 1861 წლის შემდეგ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რუსეთის რევოლუციონერები გმირულად ცდილობდნენ აემხედრებინათ ხალხი საბრძოლველად, მაგრამ განმარტოებული რჩებოდნენ და ილუპებოდნენ თვითმპყრობელობის კლანჭებში. რუსეთის მუშათა კლასი ხანგრძლივ საგაფიცვო ბრძოლაში, ხანგრძლივ საპროპაგანდო, სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობაში, რომელსაც აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, მომაგრდა და გაიზარდა 1905 წლისთვის. და მუშათა კლასი გაუძღვა მთელ ხალხს, გაუძღვა მილიონობით გლეხობას რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ო ს ა ხ დ ე ნ ა დ.

მეფის თვითმპყრობელობა მოსტეხა 1905 წლის რევოლუციამ. ამ რევოლუციამ რუსეთში პირველად შეჰქმნა წყევლაკრულვით მოსაგონარი ბატონყმური მონობით დაბეჩავებულ გლეხთა ბრბოსაგან ხალხი, რომელმაც იწყო თავისი უფლებების შეგნება, თანდათან იგრძნო თავისი ძალა. 1905 წლის რევოლუციამ პირველად დაანახვა მეფის მთავრობას, რუსეთის მემამულეებს, რუსეთის ბურჟუაზიას, რომ მილიონები და ათეული მილიონები — მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი ხდებიან, მ ე ბ რ ძ ო ლ ნ ი ხდებიან, ნებას არავის აძლევენ აბუჩად აიგდონ როგორც პირუტყვი, როგორც ბრბო. ხოლო მასების ნამდვილი განთავისუფლება ჩაგვრისა და თვითნებობისაგან არსად ამ ქვეყნად და არასდროს არ მომხდარა თვით ამ მასების დამოუკიდებელი, გმირული, შეგნებული ბრძოლის გარეშე.

1905 წლის რევოლუციამ თვითმპყრობელობა მხოლოდ მოსტეხა, მაგრამ არ მოუსპია. თვითმპყრობელობა ახლა შურს იძიებს ხალხზე. მემამულეთა სათათბირო კიდევ უფრო ძლიერად ჩაგრავს და ავიწროებს ხალხს. უკმაყოფილება და აღშფოთება ისევ იზრდება ყველგან. პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვება. ბრძოლის დასაწყისს გაგრძელება მოჰყვება. 1905 წლის რევოლუციას მოსდევს ახალი, მეორე რევოლუცია. ბატონყმობის გადავარდნის იუბილე ამ რევოლუციას მოგვაგონებს, მისკენ მოგვიწოდებს.

ჩვენ «მეორე 19 თებერვალი» გვესაჭიროებაო, წუწუნებენ ლიბერალები. ტყუილია. ასე ლაპარაკობენ მხოლოდ ბურჟუაზიული ლაჩრები. მეორე «19 თებერვალი» შეუძლებელია 1905 წლის შემდეგ. არ შეიძლება «ზევიდან განთავისუფლება» იმ ხალხისა, რომელმაც ისწავლა (და ს წ ა ვ ლ ო ბ ს — მემამულეთა სათათბიროს, III სათათბიროს გამოცდილებით სწავლობს) ქვევიდან ბრძოლა. არ შეიძლება «ზევიდან განთავისუფლება» იმ ხალხისა, რომლის მეთაურად თუნდაც ერთხელ გამოსულა რევოლუციური პროლეტარიატი.

შავრაზმელებს ეს ესმით და ამიტომ აშინებთ 1861 წლის იუბილე. «61-მა წელმა, — წერდა გაზეთ «ნოვოე ვრემიაში» მეფის შავი რაზმის ერთგული ქოფაკი, მენშიკოვი, — 61-მა წელმა თ ა ვ ი დ ა ნ ვ ე რ ა გ ვ ა ც ი ლ ა ც ხ რ ა ა ს ხ უ თ ი ო».

შავრაზმული სათათბირო და მეფის მთავრობის გააფთრება თავისი მტრების დევნაში თავიდან კი არ გვაცილებს, არამედ აჩქარებს ახალ რევოლუციას. 1908 — 1910 წლების მძიმე გამოცდილება ასწავლის ხალხს ახალ ბრძოლას. მუშების (1910 წლის) ზაფხულის გაფიცვებს მოჰყვა სტუდენტების ზამთრის გაფიცვები. ახალი ბრძოლა იზრდება, — შეიძლება, უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვინდა, მაგრამ ნამდვილად, გარდუვალად იზრდება.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია იწმინდება მცირედ მორწმუნეთაგან, რომლებმაც ზურგი შეაქციეს რევოლუციას და მუშათა კლასის არალეგალურ პარტიას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ამჭიდროებს თავის რიგებს და ირაზმება მომავალი დიადი ბრძოლებისათვის.

«რაბოჩაია გაზეტა» № 3,
1911 წ. 8 (21) თებერვალი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

პავლე ზინგერი

გარდაიცვალა 1911 წ. 18 (31) იანვარს

მიმდინარე წლის 5 თებერვალს გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დაკრძალა ერთ-ერთი თავისი უხუცესი ბელადი, პავლე ზინგერი. ბერლინის მთელი მუშა მოსახლეობა — მრავალი ასეული ათასი — პარტიის მოწოდებით გამოცხადდა გასვენებაზე, მოვიდა, რათა პატივი ეცა იმის ხსოვნისთვის, ვინც მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმის სამსახურს. სამმილიონიან ბერლინს არასდროს ერთად არ უნახავს ამდენი ხალხი: მილიონი ადამიანი მაინც იყო პროცესიის მონაწილე და მაყურებელი. არასდროს არც ერთ ამა ქვეყნის ძლიერთაგანს არ ღირსებია ასეთი დაკრძალვა. შეიძლება ბრძანებით ათიათასობით ჯარისკაცი გამოიყვანო და ჩაამწკრივო ქუჩებში რომელიმე მეფისა ან გარეშე და შინაური მტრების ხოცვა-ჟლეტით განთქმული გენერლის ცხედრის გასაცილებლად, მაგრამ შეუძლებელია ფეხზე დააყენო უზარმაზარი ქალაქის მოსახლეობა, თუ მთელი მილიონიანი მშრომელი მასის გულში არ ღვივის მხურვალე სიყვარული თ ა ვ ი ს ი ბელადისადმი, თვით ამ მასის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბრძოლისადმი მთავრობისა და ბურჟუაზიის მჩაგვრელობის წინააღმდეგ.

პავლე ზინგერი თვითონ ეკუთვნოდა ბურჟუაზიას, გამოსული იყო ვაჭრის ოჯახიდან და საკმაოდ დიდხანს ითვლებოდა მდიდარ მეფაბრიკედ. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ის ემხრობოდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას. მაგრამ, წინააღმდეგ მრავალი ბურჟუაზიული დემოკრატისა და ლიბერალისა, რომელნიც ძალიან მალე ივიწყებენ თავისუფლებისადმი სიყვარულს მუშათა მოძრაობის წარმატების ში-

შით, — ზინგერი იყო მხურვალე, გულწრფელი, ბოლომდე თანამიმდევარი და უშიშარი დემოკრატი. ბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეობა, სიმხდალე, ღალატი კი არ იტაცებდა მას, არამედ მასში წინააღმდეგობას იწვევდა, სულ უფრო მტკიცე რწმენას უქმნიდა, რომ მხოლოდ რევოლუციური მუშათა კლასის პარტიას შეუძლია მიიყვანოს ბოლომდე დიადი ბრძოლა თავისუფლებისათვის.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზია ლაჩრულად აქცევდა ზურგს გერმანიის მზარდ რევოლუციას, ევაჭრებოდა მემამულეთა მთავრობას, ურიგდებოდა მეფის სრულძალაუფლებიანობას, ზინგერი გადაჭრით მიემხრო სოციალიზმს. 1870 წელს, როდესაც მთელი ბურჟუაზია გაბრუებული იყო საფრანგეთზე გამარჯვებით, და როდესაც მოსახლეობის ფართო მასები ძალაუნებურად გაიტაცა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის საზიზღარმა, კაცთმოძულე, «ლიბერალურმა» ქადაგებამ, — ზინგერმა ხელი მოაწერა პროტესტს საფრანგეთისათვის ელზას-ლორენის წართმევის წინააღმდეგ. 1878 წელს, როცა ბურჟუაზია ეხმარებოდა რეაქციონერ, მემამულეთა («იუნკერთა», როგორც გერმანელები ამბობენ) მინისტრ ბისმარკს გაეტარებინა განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, დაეშალა მუშათა კავშირები, დაეხურა მუშათა გაზეთები, ათასნაირი დევნა დაეტეხა თავზე შეგნებული პროლეტარიატისათვის, — ზინგერი საბოლოოდ შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

და მას აქეთ ზინგერის ცხოვრების ისტორია განუყოფელად დაკავშირებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიასთან. ის თავდადებით შეუდგა რევოლუციური მშენებლობის ძნელ საქმეს. მან პარტიას შესწირა მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი სიმდიდრე, მთელი თავისი არაჩვეულებრივი ორგანიზატორული უნარი, მთელი ნიჭი პრაქტიკოსისა და ხელმძღვანელისა. ზინგერი ეკუთვნოდა იმ მცირერიცხოვან — შეიძლება ითქვას: ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ იმ განსაკუთრებით იშვიათ ადამიანთა წრეს,

რომელთაც ლიბერალიზმის ხანგრძლივი ისტორია, ბურჟუაზიული პოლიტიკანების ღალატის, სილაჩრის, მთავრობასთან მორიგების, მაამებლობის ისტორია კი არ ასუსტებს, კი არა რყვნის, არამედ აწრთობს, ხდის მათ რევოლუციონერებად მთელი არსებით. იშვიათია ბურჟუაზიის წრიდან გამოსული ასეთი პირები, რომელნიც ემხრობიან სოციალიზმს, და მხოლოდ ასეთ იშვიათს, ხანგრძლივი ბრძოლით გამობრძმედილ ადამიანებს უნდა ენდოს პროლეტარიატი, თუ მას სურს გამოსჭედოს მუშათა პარტია, რომელსაც შეეძლება დაამხოს თანამედროვე ბურჟუაზიული მონობა. ზინგერი იყო ულმობელი მტერი გერმანიის მუშათა პარტიაში ფეხმოკიდებული ოპორტუნიზმისა და სიკვდილამდე მტკიცედ ერთგული დარჩა შეურიგებელი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისა.

ზინგერი არ იყო არც თეორეტიკოსი, არც პუბლიცისტი, არც ბრწყინვალე ორატორი. უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ის იყო არალეგალური პარტიის პრაქტიკოსი-ორგანიზატორი განსაკუთრებული კანონის დროს, ქალაქის (ბერლინის) საბჭოს ხმოსანი და პარლამენტარი ამ კანონის გაუქმების შემდეგ. და ეს პრაქტიკოსი, რომელიც თავისი დროის დიდ ნაწილს წვრილმან, ყოველდღიურ, ტექნიკურ-პარლამენტურ და ყოველგვარ «საქმიან» მუშაობას ანდომებდა, დიდი იყო იმით, რომ ამ წვრილმანებისგან კერპს არ იქმნიდა, არ ემორჩილებოდა ესოდენ გავრცელებულ და ესოდენ უგვანო მისწრაფებას, როცა ადამიანი გაურბის მკვეთრ და პრინციპულ ბრძოლას ვითომდა ამ «საქმიანი» თუ «დადებითი» მუშაობის გულისთვის. პირიქით, ზინგერი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ამ მუშაობას, ყოველთვის, როდესაც კი იბადებოდა საკითხი მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის ძირითად ხასიათზე, მის საბოლოო მიზნებზე, ბურჟუაზიასთან ბლოკზე (კავშირზე), მონარქიზმისადმი დათმობაზე და სხვა, — ყოველთვის სათავეში ედგა ყველაზე მტკიცე და ყველაზე გაბედულ მებრძოლებს ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. სოციალისტების

საწინააღმდეგო განსაკუთრებული კანონის დროს ზინგერი ენგელსთან, ლიბკნეხტთან და ბებელთან ერთად ორ ფრონტზე იბრძოდა: ის ებრძოდა როგორც «ახალგაზრდებს», ნახევრად ანარქისტებს, რომელნიც უარყოფდნენ საპარლამენტო ბრძოლას, ისე ზომიერ «ლეგალისტებსაც რადაც უნდა დამჯდარიყო». შემდეგ ხანებში ზინგერი ასევე გადაჭრით ებრძოდა რევიზიონისტებს.

მან დაიმსახურა ბურჟუაზიის ის სიძულვილი, რომელიც თან ჩაატანეს საფლავში. ზინგერის ბურჟუაზიული მოძულენი (გერმანელი ლიბერალები და ჩვენებური კადეტები) ნიშნის მოგებით აღნიშნავენ, რომ ზინგერის სიკვდილით საფლავში ჩაესვენა ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის «გმირული» პერიოდისა, ესე იგი იმ პერიოდისა, როდესაც წინამძღოლებს რევოლუციის ესოდენ ძლიერი, ცოცხალი, უშუალო რწმენა და პრინციპულ-რევოლუციური პოლიტიკის დაცვა ასულდგმულებდათ. ზინგერის ადგილას — ამბობენ ეს ლიბერალები — მოდიან ზომიერი, წესიერი წინამძღოლი «რევიზიონისტები», მცირე პრეტენზიებისა და წვრილმანი ანგარიშის ადამიანებიო. თქმა არ უნდა, მუშათა პარტიის ზრდა ხშირად იზიდავს მის რიგებში მრავალ ოპორტუნისტს. თქმა არ უნდა, ჩვენს დროში ბურჟუაზიიდან გამოსულებს გაცილებით უფრო ხშირად შეაქვთ პროლეტარიატში თავისი სილაჩრე, აზროვნების სივიწროვე თუ ფრაზის სიყვარული, ვიდრე რევოლუციური რწმენის სიმტკიცე. მაგრამ ნაადრევია მტრების სიხარული! მუშათა მ ა ს ა, როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებში, სულ უფრო და უფრო ირაზმება რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა რ მ ი ა დ, და ეს არმია თავის ძალებს გაშლის ახლო მომავალში, ვინაიდან რევოლუცია მწიფდება გერმანიაშიც და სხვა ქვეყნებშიც.

კვდებიან ძველი რევოლუციური ბელადები — იზრდება და მაგრდება რევოლუციური პროლეტარიატის ახალგაზრდა არმია.

«რაბოჩაია გაზეტა» № 3,
1911 წ. 8 (21) თებერვალი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

მენშიკოვი, გრომოგლი, იზგოევი[43]

მოსკოვის იმ 66 მრეწველის გამოსვლამ[44], რომელნიც, მოსკოვის რომელიღაც გაზეთის გამოანგარიშებით, ნახევარი მილიარდი მანეთის კაპიტალს წარმოადგენენ, გამოიწვია მთელი რიგი უაღრესად საგულისხმო და დამახასიათებელი სტატიების გამოქვეყნება სხვადასხვა ბეჭდვითს ორგანოში. გარდა იმისა, რომ ეს სტატიები მეტად მკაფიოდ აშუქებენ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, ისინი საინტერესო მასალას იძლევიან მრავალ ძირითად და პრინციპულ საკითხზე, რომელიც ეხება რუსეთის მთელ ევოლუციას XX საუკუნის მანძილზე.

აი ბ-ნი მენშიკოვი როგორ გადმოსცემს «ნოვოე ვრემიაში» მემარჯვენე პარტიებისა და მთავრობის თვალსაზრისს:

«როგორ არ ესმით ამ რიაბუშინსკებს, მოროზოვებსა და სხვებს, რომ თუ ვინიცობაა გადატრიალება მოხდა, მათ ყველას ჩამოახრჩობენ, უკეთეს შემთხვევაში კი მათხოვრები გახდებიან?» «ეს ენერგიული ფრაზა» ბ-ნ მენშიკოვს მოჰყავს, როგორც თვითონ ამბობს («ნოვოე ვრემია» № 12549), «ერთი უაღრესად რევოლუციური ინსტიტუტის სტუდენტის წერილიდან». და ავტორი თავის მხრივ დასძენს: «მიუხედავად 1905 წლის მრისხანე გაფრთხილებისა, რუსეთის მაღალი კლასები, ვაჭრების ჩათვლით, ძალიან ცუდად ერკვევიან მოახლოებულ კატასტროფაში». «დიახ, ბატონო რიაბუშინსკებო, მოროზოვებო და მათთა მსგავსნო! მიუხედავად რევოლუციასთან თქვენი კეკლუცობისა და ლიბერალიზმის ყოველ-

გვარი ატესტატისა, რომელიც თქვენ გინდათ დაიმსახუროთ, პირველნი სწორედ თქვენ გახდებით იმ გადატრიალების მსხვერპლი, რომელიც მზადდება. პირველად თქვენ ჩამოგახრჩობენ, — არა რაიმე დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რაც თქვენ სათნოებად გეჩვენებათ, — იმ ნახევარი მილიარდის ფლობისათვის, რომლითაც თქვენ ასე მოგაქვთ თავი». «ლიბერალური ბურჟუაზია, საშუალო თავადაზნაურობის, მოხელეობისა და ვაჭრების ჩათვლით, უდარდელად უახლოვდება რევოლუციური უფსკრულის პირს თავისი ტიტულებით, ხარისხებითა და კაპიტალებით». «თუ ჯანყის ლიბერალური წამქეზებლები მოესწრებიან იმ დროს, როცა მათ წაათრევენ სახრჩობელაზე, — დაე გაიხსენონ მაშინ, რა ლმობიერებას იჩენდა მათდამი ძველი სახელმწიფო ხელისუფლება, როგორ თავაზიანად უსმენდა მათ, როგორ ზრუნავდა მათზე და რა მცირე პრეტენზიას აცხადებდა მათს ცარიელ თავებზე. დაე სწორედ იმ, მათთვის შავბნელ, ჟამს შეადარონ მათ რადიკალური რეჟიმის სიკეთენი ძველ, პატრიარქალურ რეჟიმს».

ამას წერს მთავრობის არაოფიციალური ოფიციოზი 17 თებერვალს, სწორედ იმ დღეს, როცა ოფიციალური ოფიციოზი «როსსია» წელებზე ფეხს იდგამს, რათა «გოლოს მოსკვის»[45] დახმარებით დაამტკიცოს, რომ 66-ის «გამოსვლა» «არ შეიძლება ჩაითვალოს მოსკოველი ვაჭრების აზრის გამოხატულებად». «თავადაზნაურთა ყრილობა — ორგანიზაციაა, — წერს «როსსია», — ხოლო 66 ვაჭარი, რომელნიც თვითონვე ამბობენ — ჩვენ ვმოქმედებდით როგორც კერძო პირნიო, არ არის ორგანიზაცია».

უხერხულია ორი ოფიციოზი გქონდეს! ერთი მეორეს აბათილებს. ერთი ამტკიცებს, 66-ის «გამოსვლა» შეუძლებელია ჩაითვალოს თუნდაც მარტო მოსკოველი ვაჭრების აზრის გამოხატულებადაო. ხოლო მეორე ამტკიცებს, «გამოსვლას» გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, იგი გამომხატველია არა მარტო მოსკოვის და არა მარტო ვაჭრების, არამედ საერთოდ მთელი რუსეთის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს აზრისაო. ბ-ნი მენშიკოვი, «ძველი სა-

ხელმწიფო ხელისუფლების» სახელით, აფრთხილებს ამ ლიბერალურ ბურჟუაზიას: ჩვენ ხომ შენზე ვზრუნავთო?

ალბათ არ არის ევროპაში არც ერთი ქვეყანა, სადაც XIX საუკუნის განმავლობაში «ძველ სახელმწიფო ხელისუფლებას», აგრეთვე თავადაზნაურობას და რეაქციულ პუბლიცისტიკას, ასჯერ მაინც არ მიემართოს ასეთი მოწოდებით ლიბერალური ბურჟუაზიისადმი, მოწოდებით — «ნუ აქეზებთო»... და მოწოდებებს არასდროს არ უშველნია, თუმცა «ლიბერალურ ბურჟუაზიას» არათუ ა რ უ ნ დ ო დ ა «წაქეზება», არამედ, პირიქით, იგი ისეთივე ენერგიითა და გულწრფელობით ებრძოდა «წამქეზებლებს», როგორითაც 66 ვაჭარი გმობს გაფიცვებს. როგორც დაგმობა, ისე მოწოდება უძლურია, როცა საქმე ეხება საზოგადოების ცხოვრების ყველა პირობებს, რომლებიც აიძულებენ ამა თუ იმ კლასს იგრძნოს მდგომარეობის აუტანლობა და ილაპარაკოს ამაზე. ბ-ნი მენშიკოვი სწორად გამოხატავს მთავრობისა და თავადაზნაურობის ინტერესებსა და თვალსაზრისს, როცა აშინებს ლიბერალურ ბურჟუაზიას რევოლუციით და უსაყვედურებს მას ფუქსავატობას. 66 ვაჭარი სწორად გამოხატავს ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებსა და თვალსაზრისს, როცა უსაყვედურებს მთავრობას და გმობს «გაფიცულებს». მაგრამ ურთიერთ საყვედური — მხოლოდ სიმპტომია, რომელიც ურყევად მოწმობს «მექანიზმის» დიდ «ნაკლოვანებებს», იმას, რომ, მიუხედავად «ძველი სახელმწიფო ხელისუფლების» დიდი სურვილისა — დააკმაყოფილოს ბურჟუაზია, გადადგას მისკენ ნაბიჯი, შეუქმნას მას სათათბიროში მეტად გავლენიანი ადგილი, მიუხედავად ბურჟუაზიის უძლიერესი და უგულწრფელესი სურვილისა — მოეწყოს, შეუთავსდეს, შეურიგდეს, შეეგუოს, — «შეგუება» მაინც არ გამოდის! აი რაშია საქმე, აი სადაა ქარგა, ურთიერთი საყვედური კი — მხოლოდ სურათოვანი სახეებია.

ბ-ნი გრომობოი «გოლოს მოსკვიში» საჭირო გაფრთხილებას უთვლის «მთავრობას» (№ 38, 17 თებერვალი, სტატია «საჭირო გაფრთხილება»). «არავითარი გამოხატულება «მაგა-

რი» ხელისუფლებისა, — წერს ის, — არავითარი ნებისმიერი იმპულსი არ მიანიჭებს სამშობლოს სიმშვიდეს, ვიდრე ხელიხელჩაკიდებული არ იმოქმედებენ მეტად გაჭიანურებული რეფორმების საქმეში». (მაინცდამაინც კარგად ვერ წერს ბ-ნი გრომობოი, მაგრამ მისი სიტყვის აზრი მაინც სავსებით ნათელია.) «და არეულობა, როგორც გაჭიანურებული კრიზისის შედეგი, არ შეიძლება გამოცხადდეს როგორც «force majeure» თამასუქების გაუნაღდებლობისათვის». (უხერხული შედარებაა, ბატონო ოქტიაბრისტ კომერსანტთა პუბლიცისტო: ჯერ-ერთი, თამასუქები ხომ ხელმოუწერელია; ხოლო, მეორეც, ხელმოწერილიც რომ იყოს, სად არის ის კომერციული სასამართლო, სადაც უნდა მიმართოთ, და ვინაა სასამართლოს ის ბოქაული და სხვანი, რომელთაც შეუძლიათ გადახდევინება? აბა, დაფიქრდით, ბ-ნო გრომობოი, და დაინახავთ, რომ არათუ ოქტიაბრისტული, არამედ კადეტური პარტიაც ბრინჯაოს თამასუქების პარტიაა პოლიტიკაში.) «ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ გაძლიერდება... სტუდენტთა მღელვარებას მოჰყვება ბევრი სხვა რამ, უკვე განცდილი. წაიყვანთ ხომალდს უკან — დაინახავთ განვლილ გზას». «სუსტებზე დაყრდნობა დამარცხდა, შეიძლება დამარცხდეს აგრეთვე ძლიერებზე დაყრდნობაც. ხელისუფლებას ვეღარაფერს წარუდგენ. მისი იმედი დამშვიდებისა შეიძლება კვამლივით გაიფანტოს ყოველნაირი არჩევნების პირობებში». (ბ-ნ გრომობოის მხედველობაში აქვს IV სათათბიროს არჩევნები.) «თუ ოპოზიციის ქარავნები დაიწყებენ იმ კლდეების გავლას, სადაც მხოლოდ ხელისუფლების ნისლი იდგა, თუ ზომიერი ელემენტების თავიდან მომშორებელი ხელისუფლება განმარტოებული დარჩება, — არჩევნები გადაიქცევა მის მწარე დამარცხებად, და მთელი წესწყობილება შეირყევა იმის გამო, რომ ის არ არის უფლებრივი წესწყობილება».

მენშიკოვი უსაყვედურებს ბურჟუაზიას, რომ ის «აქეზებს» «რევოლუციას», — ბურჟუაზია უსაყვედურებს მენშიკოვებს, რომ ისინი «იწვევენ არეულობის გაძლიერებას»: «ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ისტორიაა».

რენეგატი იზგოევი კადეტურ «რეჩში», იმავე თემის გამო, ცდილობს შეაჯამოს ზოგიერთი სოციოლოგიური დასკვნა, — და ის კი ვერ მოუსაზრებია, რამდენად სახიფათოა ამ საქმის ხელის მოკიდება საერთოდ კადეტებისა და კერძოდ რენეგატებისათვის. სტატიაში «ერთმანეთთან შედარება» (14 თებერვალს) ის ერთმანეთს ადარებს გაერთიანებული თავადაზნაურობის ყრილობას და 66 მოსკოველი ვაჭრის გამოსვლას. «გაერთიანებული თავადაზნაურობა, — წერს ის, — ჩამოქვეითდა პურიშკევიჩამდე, მოსკოველი მრეწველები ალაპარაკდნენ სახელმწიფოებრიობის ენით». წარსულშიო, — განაგრძობს ბ-ნი იზგოევი, — «თავადაზნაურობა ხალხს სერიოზულ კულტურულ სამსახურს უწევდა», მაგრამ «კულტურულ მუშაობას ეწეოდა მხოლოდ უმცირესობა, უმრავლესობა კი მას სდევნიდა». «მაგრამ ასეთია, საერთოდ, ისტორიული კანონი, რომ პროგრესულად მოქმედებს ამა თუ იმ კლასის მხოლოდ უმცირესობა».

კარგი, ძალიან კარგი: «ასეთია, საერთოდ, ისტორიული კანონი». ასე ლაპარაკობს კადეტური «რეჩი» ბ-ნ იზგოევის პირით. მაგრამ, როცა ახლოს დავუკვირდით საქმეს, განცვიფრებით გავიგეთ, რომ «საერთო ისტორიული კანონები» თავის მოქმედებას არ ავრცელებენ ფეოდალური თავადაზნაურობისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ფარგლებს იქით. მართლაც. მოვიგონოთ «ვეხი», რომელშიც წერდა იგივე ბ-ნი იზგოევი და რომელსაც ეკამათებოდნენ გამოჩენილი კადეტები იმგვარად, რომ ეხებოდნენ წვრილმანებს და გვერდს უვლიდნენ ძირითადს, უმთავრესს, არსებითს. «ვეხის» არსებითი მხარე, რომელსაც იზიარებს ყველა კადეტი, და რომელიც ათასჯერ გამოუთქვამთ ბატონ მილიუკოვებსა და კომპანიას, ისაა, რომ რუსეთის დანარჩენმა კლასებმა, გარდა რეაქციული თავადაზნაურობისა და ლიბერალური ბურჟუაზიისა, თავი იჩინეს (მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში) იმ თავისი უმცირესობის მოქმედებით, რომელიც «გაბრუებულია», გატაცებულია «ინტელიგენტი» «წინამძღოლებით» და რომელსაც არ შეუძლია ამაღლდეს «სახელმწიფოებრივ» თვალ-

საზრისამდე. «ბოლოს, უნდა ვიქონიოთ გამბედაობა გამოვტყუდეთ, — წერდა ბ-ნი იზგოევი «ვეხი»-ში, — რომ ჩვენს სახელმწიფო სათათბიროებში დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ, სამი-ოთხი ათეული კადეტისა და ოქტიაბრისტის გამოკლებით, ვერ გამოიჩინა ის ცოდნა, რომლითაც შეეძლებოდათ შესდგომოდნენ რუსეთის მართვა-გამგეობასა და გარდაქმნას». როგორც ყველა ხედავს, აქ ლაპარაკია გლეხთა დეპუტატებზე, ტრუდოვიკებზე და მუშათა დეპუტატებზე.

ამრიგად, «საერთოდ ისტორიული კანონი» იმაში მდგომარეობს, რომ «პროგრესულად მოქმედებს ამა თუ იმ კლასის მხოლოდ უმცირესობა». თუ ბურჟუაზიის უმცირესობა მოქმედებს, ეს პროგრესული უმცირესობაა, რომელსაც ამართლებს «საერთო ისტორიული კანონი». «მორალური ავტორიტეტი ვრცელდება მთელ კლასზე, თუ კი უმცირესობას მუშაობის საშუალება ეძლევა», — გვასწავლის ბ-ნი იზგოევი. მაგრამ, თუ გლეხების ან მუშების უმცირესობა მოქმედებს, ეს სრულიადაც არ შეესაბამება «ისტორიულ კანონს», ეს სრულიადაც არ არის «ამა თუ იმ კლასის პროგრესული უმცირესობა», ამ უმცირესობას სრულიადაც არა აქვს «მორალური ავტორიტეტი», რომ «მთელი» კლასის სახელით ილაპარაკოს, — სრულებითაც არა, ეს უმცირესობა, რომელსაც «ინტელიგენტობამ» აუბნია გზა-კვალი, ანტისახელმწიფოებრივია, ანტიისტორიულია, უნიადაგოა და სხვა, როგორც ეს დაწერილია «ვეხი»-ში.

საერთოდ კადეტებისა და კერძოდ ვეხელებისათვის სახიფათოა განზოგადებანი იმიტომ, რომ მათ მიერ ამ განზოგადებათა დაწყება ყოველთვის აუცილებლად ააშკარავებს კადეტებისა და მენშიკოვების მსჯელობათა სრულ შინაგან ნათესაობას.

«როსსია» და «ზემშჩინა»[46] ასე მსჯელობენ: 66 ვაჭარი, ეს — უმცირესობაა, რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენს კლასს, ვერ იჩენს ვერც ცოდნას, ვერც ნიჭს «რუსეთის მართვა-გამგეობისა და გარდაქმნისათვის», ეს ვაჭრებიც კი არ

არიან, არამედ გზააბნეული «ინტელიგენტებიო» და სხვა და სხვა.

იზგოევები და მილიუკოვები კი ასე მსჯელობენ: ტრუდოვიკები და მუშათა დეპუტატები ჩვენს, ვთქვათ, მაგალითისათვის, სახელმწიფო სათათბიროებში, ეს — უმცირესობაა, რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენს თავის კლასებს (ე. ი. მოსახლეობის ცხრა მეათედს), მას გზა-კვალი აუბნია «ინტელიგენტობამ», ის ვერ იჩენს ვერც ცოდნას, ვერც ნიჭს «რუსეთის მართვა-გამგეობისა და გარდაქმნისათვისაო» და სხვა და სხვა.

რით აიხსნება, ერთი მხრივ, «როსსიისა» და «ზემშჩინის» და, მეორე მხრივ, «რეჩისა» და «რუსსკიე ვედომოსტის» მსჯელობის ეს სრული შინაგანი ნათესაობა? იმით, რომ, მიუხედავად მათ მიერ წარმოდგენილ კლასთა მთელი განსხვავებისა, აღნიშნული ორგანოების ორივე ჯგუფი წარმოადგენს ისეთ კლასებს, რომელთაც უ კ ვ ე აღარ შეუძლიათ არავითარი არსებითი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, გადამწყვეტი პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ისტორიული მოქმედება. იმით, რომ ამ ორგანოების არა მარტო პირველი, არამედ მეორე ჯგუფიც, არა მარტო რეაქციონერები, არამედ ლიბერალებიც, წარმოადგენენ ისეთ კლასს, რომელსაც ე შ ი ნ ი ა მოსახლეობის სხვა, უფრო ფართო ფენების, ჯგუფებისა და მასების, სხვა — უფრო მრავალრიცხოვანი კლასების ისტორიული თვითმოქმედებისა.

ბ-ნი იზგოევი, როგორც «მარქსისტთა წრიდან» გამოსული რენეგატი, ალბათ, აქ საშინელ წინააღმდეგურობას დაინახავს: ერთი მხრივ, აღიარო რუსეთის კაპიტალისტური განვითარება, და, მაშასადამე, ამ განვითარების იმანენტური ტენდენცია ბურჟუაზიის მაქსიმალურად-სრული და მაქსიმალურად-წმინდა ბატონობისადმი როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, ლიბერალური ბურჟუაზია გამოაცხადო უ კ ვ ე უნარმოკლებულად დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, ისტორიული მოქმედებისათვის!

ეს «წინააღმდეგურობა» თვით ცოცხალი ცხოვრების წინააღმდეგურობაა და არა შემცდარი მსჯელობის წინააღმდეგურობა. ბურჟუაზიული ბატონობის აუცილებლობა სრულიადაც არ მოასწავებს იმას, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიას შ ე უ ძ ლ ი ა ისეთი ისტორიული თვითმოქმედების გამოჩენა, რომელიც დაიხსნიდა მას პურიშკევიჩთა «ტყვეობისაგან». ჯერ-ერთი, ისტორია სულაც არ მიდის ისეთი მარტივი და სწორი გზით, რომ ყოველი ისტორიულად მომწიფებული გარდაქმნა ი მ ა ვ ე დ რ ო ს მოასწავებდეს საკმაო სიმწიფეს და ძალას ამ გარდაქმნის გასატარებლად სახელდობრ იმ კლასის მიერ, რომლისთვისაც ის ხელსაყრელია პირველ რიგში. მეორეც, გარდა ლიბერალური ბურჟუაზიისა არის კიდევ სხვა ბურჟუაზია, — მაგალითად, მთელი გლეხობა, მასობრივად აღებული, სხვა არა არის რა, თუ არა დემოკრატიული ბურჟუაზია. მესამე, ევროპის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოფილა თავისი საზოგადოებრივი შინაარსით ისეთი ბურჟუაზიული გარდაქმნები, რომელთაც ახორციელებდნენ სრულიადაც არა ბურჟუაზიული ელემენტები. მეოთხე, რუსეთის ისტორია უკანასკნელი ნახევარი საუკუნისა ამასვე გვიჩვენებს...

როდესაც ლიბერალიზმის იდეოლოგები და ბელადები იწყებენ ისე მსჯელობას, როგორც მსჯელობენ ვეხელები, კარაულოვები, მაკლაკოვები, მილიუკოვები, ე ს ი მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ მთელმა რიგმა ისტორიულმა პირობებმა მთელ ლიბერალურ ბურჟუაზიაში გამოიწვია ისეთი «უკან სწრაფვა», ისეთი შიში წინსვლითი მოძრაობისა, რომ ეს მოძრაობა გვერდზე ჩაუვლის მას, გადააბიჯებს მას, მიუხედავად მისი შიშისა. ხოლო ერთმანეთის ისეთი ლანძღვა, როგორიცაა «არეულობის გაძლიერების» ერთმანეთისთვის დაბრალება, — მენშიკოვისთვის გრომობოის მხრივ, და გრომობოისთვის მენშიკოვის მხრივ *, — მხოლოდ სიმპტომია იმისა, რომ ამ ისტორიულ წინსვლითს მოძრაობას ყველა გრძნობს...

---

* თავადაზნაურებისთვის ლიბერალური ვაჭრების მხრივ და ლიბერალური ვაჭრებისთვის თავადაზნაურების მხრივ.

«თანამედროვე საზოგადოება, — წერს იმავე სტატიაში ბ-ნი იზგოევი, — რომელიც თავისი არსით აგებულია პირადი საკუთრების საწყისზე, არის კლასობრივი საზოგადოება და ჯერჯერობით სხვანაირი არც შეიძლება იყოს. დასამხობი კლასის ადგილის დაკავებას ყოველთვის მიისწრაფის მეორე კლასი».

რა ჭკუის კოლოფია, — ფიქრობს ბ-ნი მილიუკოვი, როცა ამგვარ ტირადებს კითხულობს თავის «რეჩში». — რაც უნდა იყოს, მაინც სასიამოვნოა გყავდეს ისეთი კადეტი, რომელიც 25 წლისა სოციალ-დემოკრატი იყო, ხოლო 35 წლისა «დაჭკვიანდა» და მოინანია შეცდომებიო.

სახიფათო საქმეა თქვენთვის, ბ-ნო იზგოევ, განზოგადებანი. თანამედროვე საზოგადოება კლასობრივი საზოგადოებაა, — ძალიან კარგი. მერე, შეიძლება კლასობრივ საზოგადოებაში გარეკლასობრივი პარტია იყოს? ალბათ, თქვენ ხვდებით, რომ არ შეიძლება. მაშ რატომ ქმნით ისეთ უხერხულობას, რომ ორატორობთ «კლასობრივ საზოგადოებაზე» ისეთი პარტიის ორგანოში, რომელიც თავის სიამაყესა და დამსახურებას ხედავს სწორედ იმაში (იმათი აზრით კი, ვინც მარტო სიტყვიერად და მარტო საფელეტონო ლაყბობისთვის არ აღიარებს თანამედროვე საზოგადოებას კლასობრივ საზოგადოებად, — თავის თვალთმაქცობას თუ სიბეცეს ააშკარავებს ა მ ი თ, —) — რომ თავის თავს გარეკლასობრივ პარტიად აცხადებს?

როდესაც თქვენ პირს იბრუნებთ გაერთიანებული თავადაზნაურობისა და მოსკოველი ლიბერალური ვაჭრებისაკენ, მაშინ თქვენ ყვირით, თანამედროვე საზოგადოება კლასობრივი საზოგადოებაა. ხოლო როცა თქვენ იძულებული ხართ, როცა არასასიამოვნო (უჰ, რა საშინლად არასასიამოვნო!) მოვლენები გაიძულებენ თუნდ სულ მოკლე ხნით პირი იბრუნოთ გლეხობისა ან მუშებისაკენ, მაშინ თქვენ აცამტვერებთ კლასობრივი ბრძოლის ვიწრო, მკვდარ, გაქვავებულ, უზნეო, მატერიალისტურ, უღვთო, არამეცნიერულ «დოქტრინას». დიახ,

თქვენთვის, ბ-ნო იზგოევ, უმჯობესია თავი დაანებოთ სოციოლოგიურ განზოგადებას. **Ой, не ходи, Грицю, та на вечерниці!**

...«დასამხობი კლასის ადგილის დაკავებას ყოველთვის მაისწრაფის მეორე კლასი»...

ყოველთვის არა, ბ-ნო იზგოევ. ხდება ხოლმე, რომ ორივე კლასი, დასამხობიც და ისიც, რომელიც «მაისწრაფის», უკვე საკმაოდ დამპალია — ერთი უფრო მეტად, მეორე უფრო ნაკლებად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ორივე საკმაოდ დამპალია. ხდება ხოლმე, რომ კლასი, რომელიც წინ «ისწრაფის», გრძნობს ამ თავის სიდამპლეს, ე შ ი ნ ი ა წინ გადადგას ნაბიჯი, ხოლო თუ დგამს, ამავე დროს იჩქარის, აუცილებლად ორი ნაბიჯით უკან დაიხიოს. არის ხოლმე ისეთი ლიბერალური ბურჟუაზია (მაგალითად, გერმანიაში და განსაკუთრებით პრუსიაში იყო ასე), რომელსაც ეშინია «დაიკავოს» დასამხობი კლასის «ადგილი» და მ თ ე ლ ძალღონეს იქითკენ მიმართავს, რომ «გაინაწილოს ადგილი» ან, უფრო სწორად, მიიღოს ადგილი საფარეშოში მაინც, — ოღონდ არ დ ა ი კ ა ვ ო ს «დასამხობის» ადგილი, არ მიიყვანოს დასამხობი «დამხობამდე». ხდება ხოლმე ასე, ბ-ნო იზგოევ.

ისეთ ისტორიულ ეპოქებში, როცა ეს ხდება, ლიბერალებს შეუძლიათ უდიდესი ზიანი მიაყენონ (და აყენებენ) მთელ საზოგადოებრივ განვითარებას, თუ მათ მოახერხეს და დემოკრატებად გაასაღეს თავი, ვინაიდან განსხვავება მათ შორის, ლიბერალებსა და დემოკრატებს შორის, სწორედ ის არის, რომ პირველთ ეშინიათ «დაიკავონ ადგილი», ხოლო მეორეთ არ ეშინიათ ამისი. ერთნიც და მეორენიც ახორციელებენ ისტორიულად მომწიფებულ ბურჟუაზიულ გარდაქმნას, მაგრამ ერთნი უფრთხიან განახორციელონ იგი, აფერხებენ მას თავისი შიშით, მეორენი, — რომელნიც ხშირად იზიარებენ მრავალ ილუზიას ბურჟუაზიული გარდაქმნის შედეგების შესახებ, — მთელ თავიანთ ძალღონეს, სულსა და გულს არ ზოგავენ მის განსახორციელებლად.

ამ ზოგადი სოციოლოგიური მსჯელობის საილუსტრაციოდ ნებას მივცემ ჩემ თავს მოვიყვანო ერთი მაგალითი ლიბერალისა, რომელიც კი არ მიისწრაფის, არამედ ეშინია «დაიკავოს» დასამხობი კლასის «ადგილი», და რომელიც ამიტომ (სულ ერთია, შეგნებულად თუ შეუგნებლად) უბოროტესად ატყუებს მოსახლეობას, როცა თავის თავს «დემოკრატს» უწოდებს. ეს ლიბერალია III სათათბიროს წევრი, მემამულე ა. ე. ბერეზოვსკი პირველი, კადეტი; მან აგრარულ საკითხზე კამათის დროს (1908 წელს) სათათბიროში წარმოთქვა შემდეგი სიტყვა, რომელიც მოიწონა და «მშვენიერი» უწოდა პარტიის ლიდერმა ბ-მა მილიუკოვმა. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამ სიტყვის გახსენება მოახლოებული არჩევნების გამო.

...«ჩემი ღრმა რწმენით, — ამბობდა ბ-ნი ბერეზოვსკი სახელმწიფო სათათბიროში 1908 წლის 27 ოქტომბერს, იცავდა რა მიწის პროექტს, — ეს პროექტი გაცილებით უფრო სასარგებლოა მიწის მფლობელთათვისაც, და მე ამას ვამბობ, ბატონებო, რადგან ვიცნობ მიწათმოქმედებას, თვითონ მივდევ მას მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში და მიწასაც ეფლობ... იძულებითი განსხვისების შიშველი ფაქტი კი არ უნდა აიღო, კი არ უნდა აღშფოთდე ამით, კი არ უნდა თქვა, ეს ძალადობაა, არამედ უნდა ნახო, რა სახეს იღებს ეს წინადადება, რას გვირჩევდა, მაგალითად, თავის პროექტში I სახელმწიფო სათათბიროს 42 წევრი. იქ მხოლოდ აღიარებული იყო საჭიროება პირველ რიგში იმ მიწების განსხვისებისა, რომელთაც არ ამუშავებენ თვითონ მფლობელები, რომელთაც ამუშავებენ გლეხთა ინვენტარით და, ბოლოს, რომელთაც იჯარით სცემენ. შემდეგ, სახალხო თავისუფლების პარტია მხარს უჭერდა იმას, რომ ადგილობრივ შეექმნათ კომისიები, რომელნიც განსაზღვრულ დროს, შეიძლება რამდენიმე წელიწადსაც, იმუშავებდნენ და გამოარკვევდნენ, რომელი მიწები უნდა განსხვისდეს, რომელი არ უნდა განსხვისდეს და რამდენი მიწა ესაჭიროებათ გლეხებს თავიანთი საჭიროე-

ბის დასაკმაყოფილებლად. ეს კომისიები ისე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომ მათი შემადგენლობის ნახევარი — გლეხები იქნებოდნენ, ნახევარი — არა გლეხები, და მე მგონია, ამ საერთო კონკრეტულ ვითარებაში ადგილობრივ კარგად გამოირკვეოდა როგორც განსასხვისებელი მიწის რაოდენობა, ისე გლეხებისათვის საჭირო მიწის რაოდენობა; ბოლოს, თვითონ გლეხები დარწმუნდებოდნენ, რამდენად შეიძლებოდა მათი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება და ხშირად რამდენად უმართებულო და უსაფუძვლოა მათი სურვილი ბევრი მიწის მიღებისა. შემდეგ ეს მასალა დაუბრუნდებოდა სათათბიროს, რომელიც მას გადაამუშავებდა, მერე იგი გადაეგზავნებოდა სახელმწიფო საბჭოს და, ბოლოს, მიაღწევდა უმაღლეს სანქციამდე. აი, არსებითად, ის წესი, რომლისაც რატომღაც შეეშინდა მთავრობას, მან დაითხოვა სათათბირო და მიგვიყვანა საქმის დღევანდელ მდგომარეობამდე. უეჭველია, ამ გეგმაზომიერი მუშაობის შედეგი იქნებოდა მოსახლეობის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილება, ამასთან დაკავშირებული დაწყნარება და იმ კულტურულ მეურნეობათა შენარჩუნება, რომელთა დანგრევა, თუ არ უკიდურესი საჭიროებისას, არასოდეს არ ნდომებია სახალხო თავისუფლების პარტიას». (სტენოგრაფიული ანგარიშები, გვ. 398.)

თუ ბ-ნი იზგოევი, რომელიც იშავე პარტიას ეკუთვნის, რომელსაც ეკუთვნის ბ-ნი ბერეზოვსკიც, წერს სტატიაში «ერთმანეთთან შედარება»: «რუსეთი — დემოკრატიული ქვეყანაა და ის ვერ მოითმენს ვერავითარ ოლიგარქიას, ვერც ახალს და ვერც ძველსაო», — ჩვენთვის ახლა სავსებით ნათელია ამგვარი სიტყვების აზრი. რუსეთი სრულიადაც არ არის დემოკრატიული ქვეყანა, და იგი არასდროს არავითარ შემთხვევაში არ გახდება დემოკრატიულ ქვეყნად, ვიდრე მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად ფართო წრეები დემოკრატიულად თვლიან ისეთ პარტიას, როგორიც არიან კადეტები. ეს მწარე სიმართლეა, რაც ათასჯერ უფრო ესაჭიროება ხალხს,

ვიდრე ის მოშაქრული სიცრუე, რომელსაც ლაპარაკობენ ორ-ჭოფი, უხერხემლო, უპრინციპო ლიბერალური ოლიგარქიის წარმომადგენლები, ბატონი კადეტები. ამ მწარე სიმართლის გახსენება მით უფრო საჭიროა, რაც უფრო წინ დგება დღის წესრიგში ისეთი «დავა», როგორიცაა მენშიკოვების დავა 66-თან და გრომობოისთან.

«ზვეზდა» № 11, 1911 წ. 26 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიას

რადგან შესაძლებელი და მოსალოდნელია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა რუსეთში, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენს მდგომარეობას, როგორც პარტიის წინაშე პასუხისმგებელი პირებისას.

1. 1910 წლის იანვრის პლენუმზე ჩვენ, როგორც ბოლშევიკური მიმდინარეობის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა, ცენტრალურ კომიტეტთან დავდეთ ხელშეკრულება, რომელიც დაიბეჭდა ცენტრალური ორგანოს მე-11 ნომერში. ჩვენი განცხადება, შემოტანილი სამი თანამდებობის პირის მიერ, რომელთაც აქვთ მეშკოვსკის[47] მინდობილობა, ფორმალურად წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შეწყვეტას, რაც გამოწვეულია გოლოსელებისა და ვპერიოდელების მიერ ამ ხელშეკრულების ზუსტად აღნიშნული პირობების შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი თ. ცენტრალური კომიტეტის ფაქტიურად უყოლობისა და საზღვარგარეთ გათიშვის დაწყების გამო ჩვენ იძულებული გავხდით შემოგვეტანა ეს განცხადება, რომელსაც, თავისთავად ცხადია, სიამოვნებით წავიღებთ უკან ან დავთანხმდებით ხელშეკრულების გადასინჯვას, თუ ცენტრალური კომიტეტი შესძლებს შეიკრიბოს და აღადგინოს აღნიშნული ფრაქციების მიერ დარღვეული პარტიული მუშაობა და პარტიული ხაზი.

2. ეს პარტიული ხაზი ნათლად არის განსაზღვრული პლენუმის მიერ და ამაოდ ცდილობენ გოლოსელები, ტროცკი და

კომპანია მის გაბუნდოვანებას. ეს ხაზი პროლეტარიატზე დამღუპველად მოქმედ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ თეორიად აღიარებს ლიკვიდატორობასაც და ოტზოვიზმსაც. ორივე ეს მიმდინარეობა, პლენუმის შემდეგ და მის გადაწყვეტილებათა დასარღვევად, განვითარდა და ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, პოტრესოველებისა და გოლოსელების, ხოლო მეორე მხრივ, ვპერიოდელების ანტიპარტიულ ფრაქციებად. პლენუმის მიერ მითითებულ პარტიულ გზას დაადგნენ მენშევიკებიდან მხოლოდ ეგრეთწოდებული პარტიელები ანუ პლეხანოველები, ე. ი. ისინი, ვინც გ ა დ ა ჭ რ ი თ იბრძოდნენ და იბრძვიან პოტრესოველებისა და გოლოსელების წინააღმდეგ.

3. ამიტომ ჩვენ, როგორც ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ გ ო ლ ო ს ე ლ ე ბ ი თავს ესხმიან ი ნ ო კ ე ნ ტ ი ს[48] იმის გამო, რომ მან 1910 წლის ზაფხულში უარი თქვა საკოოპტაციო კანდიდატებად ეცნო ის მენშევიკები, რომელნიც გოლოსელებად დარჩნენ ანდა საქმით სავსებით ვერ დაამტკიცეს თავიანთი პარტიელობა. ი ნ ო კ ე ნ ტ ი ს — ბოლშევიზმში ჩვენგან განსხვავებული ელფერის მთავარი წარმომადგენლის — ასეთი მოქმედება სწორი იყო, და ჩვენ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი დამამტკიცებელი საბუთები გვაქვს იმისა, რომ ის, სწორედ როგორც განსაკუთრებული ელფერის წარმომადგენელი, P. S. D *-ის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ამ გზით განსაზღვრავდა ყ ვ ე ლ ა ბოლშევიკის გამაერთიანებელ პარტიულობის პრინციპებს.

4. გოლოსელების ცდა საზღვარგარეთიდან, რომ საზღვარგარეთული, გამთიშველად მოქმედი ფრაქციის სახელით, ცენტრალურ კომიტეტში საკოოპტაციოდ წამოაყენონ «თავიანთი» კანდიდატები, აღმაშფოთებელი აბუჩად აგდებაა. თუ პლენუმზე კიდევ მოიძებნებოდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გულწრფელად სწამდათ მენშევიკების დაპირება ლიკვიდატორების წინააღმდეგ ვიბრძოლებთო, ერთი წლის

* — პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის. რ ე დ.

შემდეგ უკვე სავსებით ცხადი გახდა, რომ ამ საკითხში გოლოსელების ნდობა აღარ შეიძლება. ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ლიკვიდატორების საზღვარგარეთული ფრაქციის კანდიდატურების კენჭისყრის წინააღმდეგ და მოვითხოვთ შეკითხვას რუსეთში მყოფი პლეხანოველებისას, რომ ლებსაც უსათუოდ შეუძლიათ მოგვცენ კანდიდატები მენშევიკ-პარტიელთა წრიდან.

5. გოლოსელთა, ვპერიოდელთა და ტროცკის გამთიშველი ნაბიჯების გადადგმას ამჟამად სავსებით აღიარებენ არა მარტო ბოლშევიკები და პოლონელები (ცენტრალურ ორგანოში), არამედ პლეხანოველებიც (იხ. პარიზელ პლეხანოველთა რეზოლუცია). ჩვენ აღვნიშნავთ, რომ გათიშვისაკენ პირველი გაბედული ნაბიჯი — განცხადება კონფერენციის მოწვევისა და საამისო «ფონდის» შესახებ, ცენტრალური კომიტეტის გვერდის აქცევით, გადადგა ტროცკიმ 1910. 27. XI; ჩვენი განცხადება (1910. 5. XII) ამის იძულებითი პასუხი იყო. ვპერიოდელთა სკოლა ამ გათიშვის ერთ-ერთი ცენტრი გახდა: წინააღმდეგ პარტიული სასკოლო კომისიის პირდაპირი დადგენილებისა, ტროცკიმ მიიღო მონაწილეობა ამ სკოლაში. გოლოსელებმა პრესაში ბრალი დაგვდეს — ამ სკოლის «დეზორგანიზაციას» ახდენთო. ჩვენს მოვალეობად ვთვლით ანტიპარტიული საზღვარგარეთული ფრაქციების დეზორგანიზაციას და მოვითხოვთ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნას ამ სკოლის «ფონდების» და ტროცკისა და გოლოსელების მხრივ ამ სკოლისთვის ხელშეწყობის შესახებ. როცა გოლოსელები გაჰყვირიან ექსპროპრიაციის საქმეებზე, რომელთა ლიკვიდაცია ჩვენ საბოლოოდ მოვახდინეთ პლენუმზე, ისინი ამ ყვირილით არათუ შანტაჟს ეწევიან, არამედ ჩქმალავენ კიდევაც თავიანთ მორალურ (და არა მარტო მორალურ) დახმარებას პლენუმის რეზოლუციის დამრღვევთადმი.

6. პლეხანოველმა ოლგინმა[49] გამოააშკარავა ასეთი ფაქტი, რომ ცენტრალური კომიტეტის რუსეთში გადატანის გოლო-

სელთა სურვილს დანი პირდაპირ ხსნიდა მისი ჩავარდნის შესაძლებლობით (ან გარდუვალობით). პარტიულმა სამსჯავროომ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამაზე. ვინც თვალყურს ადევნებდა გოლოსელთა პოლიტიკას მთელი წლის განმავლობაში, მას ეჭვი არ შეეპარება, რომ სინამდვილეში ისინი მუდამ ფუშავდნენ და აფერხებდნენ ცენტრალურ კომიტეტს. გოლოსელი ლონდონელი კანდიდატები არა მარტო ცოცხლობენ, არამედ ანტიპარტიულ პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან როგორც მუშათა კავშირებში, ისე პრესაში. ცენტრალური კომიტეტის კრებაზე გამოუცხადებლობით ისინი ადასტურებენ თავიანთ ლიკვიდატორობას. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ გავაფრთხილოთ რუსეთში მომუშავე ამხანაგები ცენტრალური კომიტეტიდან, რომელთაც მუშაობა უხდებათ საშინლად ძნელ პირობებში (რადგან ყველას ვინაობა იცის პოლიციამ), რომ პარტიაში მათ საფრთხე მოელით შინაური მტრისგანაც. შეუძლებელია არ გვქონდეს თუნდაც რაიმე საზღვარგარეთული ბაზა, თუ არ გვინდა რისკი გავწიოთ იმისა, რომ ერთ ჩავარდნას შეუძლია ხელ-ფეხი გაუხსნას გამთიშველად მოქმედ პოტრესოველებს. არ შეიძლება დავტოვოთ საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო, რომელიც ამჟამად ვპერიოდელთა, გოლოსელთა და ტროცკის დახმარების პოლიტიკას ატარებს. არ შეიძლება ცარიელ დაპირებებს ან რეზოლუციების «ხელმოწერას» დავუჯეროთ: თუ გინდა რეალური პოლიტიკოსი იყო და მარტო ფორმალობით არ მოიტყუო თავი, უნდა შეხედო იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს, რომელნიც წარმოსდგებიან მუშათა მოძრაობიდან და მასზე კონტრრევოლუციური გავლენიდან.

ეს მიმდინარეობანი იზრდებოდნენ და გაიზარდნენ 1908 წლიდან, მათ პლეხანოველები დაუახლოვეს ბეკებს, მათ შექმნეს რღვევის მომხრეთა და მფარველთა — გოლოსელების, ვპერიოდელებისა და ტროცკის ბლოკი. ჩვენი პარტიის უახლოესი მომავალი (ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია)

უეჭველად გამოირკვევა სწორედ ამ ხაზზე ბრძოლით, — ასეთ ბრძოლას იწვევს არა პიროვნებათა და ჯგუფთა ნება, არამედ ეპოქის ობიექტური პირობები, რომელნიც აღნიშნულია პლენუმის რეზოლუციაში.

ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომლებმაც 1910 წლის იანვარში ხელშეკრულება დასდეს ცენტრალურ კომიტეტთან (სამნი და მეოთხის, მეშკოვსკის, მინდობილობით) [50].

დაწერილია 1911 წ. თებერვალს
პირველად დაიბეჭდა
1931 წ. ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

იუბილეს გამო

ეგრეთწოდებული საგლეხო რეფორმის ორმოცდაათი წლისთავი მრავალ საინტერესო საკითხს აყენებს. მათგან ჩვენ აქ შეგვიძლია შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ ეკონომიურ და ისტორიულ საკითხს და სხვა დროისთვის გადავდებთ პუბლიცისტურ თემებს სიტყვის უფრო ვიწრო მნიშვნელობით.

10 — 15 წლის წინათ, როდესაც ფართო საზოგადოების წინაშე პირველად იქნა გამოტანილი ნაროდნიკებისა და მარქსისტების დავა, ამ დავის დროს არა ერთხელ ამოტივტივებულა და ერთ-ერთ პირველ ადგილზე მოქცეულა უთანხმოება ეგრეთწოდებული საგლეხო რეფორმის შეფასების საკითხში. ნაროდნიკობის თეორეტიკოსებს, — მაგალითად, ცნობილ ბ-ნ ვ. ვ-ს ან ნიკოლაი — ონს, — 1861 წლის საგლეხო რეფორმის საფუძვლები წარმოედგინათ როგორც კაპიტალიზმისაგან რაღაც პრინციპულად განსხვავებული და მისი პრინციპულად საწინააღმდეგო რამ. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ 19 თებერვლის დებულება აკანონებდა «მწარმოებლის აღჭურვას წარმოების საშუალებებით», სანქციას აძლევდა «სახალხო წარმოებას» კაპიტალისტური წარმოებისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ. 19 თებერვლის დებულებაში ხედავდნენ რუსეთის ა რ ა კაპიტალისტური ევოლუციის საწინდარს.

ამ თეორიას მარქსისტები უკვე მაშინ უპირისპირებდნენ პრინციპულად განსხვავებულ შეხედულებას. 19 თებერვლის დებულება ერთ-ერთი ე პ ი ზ ო დ ი ა წარმოების ბატონყმური (ან ფეოდალური) წესის შეცვლისა წარმოების ბურჟუა-

ზიული (კაპიტალისტური) წესით. ამ შეხედულების მიხედვით, დებულებაში არავითარი სხვა ისტორიულ-ეკონომიური ელემენტები არ არის. «მწარმოებლის აღჭურვა წარმოების საშუალებებით» ცარიელი ლამაზი ფრაზაა, რომელიც ჩქმალავს იმ უბრალო ფაქტს, რომ გლეხები, როგორც წვრილი მწარმოებლები მიწათმოქმედებაში, უმთავრესად ნატურალური მეურნეობის მქონე მწარმოებლებიდან საქონლის მწარმოებლები ხდებოდნენ. ამასთან რამდენად ძლიერად ან სუსტად იყო განვითარებული სწორედ სასაქონლო წარმოება იმ ეპოქის რუსეთის სხვადასხვა ადგილის გლეხურ მეურნეობაში, — ეს სხვა საკითხია. მაგრამ უეჭველია, რომ «განთავისუფლებული» გლეხი შედიოდა სწორედ სასაქონლო, და არა სხვა რომელიმე წარმოების ვითარებაში. ამრიგად, «თავისუფალი შრომა» ბატონყმური შრომის ნაცვლად* ნიშნავდა მხოლოდ დაქირავებული მუშის ან წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლის თავისუფალ შრომას სასაქონლო წარმოების პირობებში, ე. ი. ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში. გამოყიდვა კიდევ უფრო მკაფიოდ ააშკარავებს რეფორმის ამგვარ ხასიათს, ვინაიდან გამოყიდვა ბიძგს აძლევს ფულადს მეურნეობას, ე. ი. ბაზრისაგან გლეხის დამოკიდებულების ზრდას.

ნაროდნიკები გლეხთა მიწიანად განთავისუფლებაში ხედავდნენ არაკაპიტალისტურ პრინციპს, იმის «დასაწყისს», რასაც ისინი «სახალხო წარმოებას» უწოდებდნენ. გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებაში ისინი ხედავდნენ კაპიტალისტურ პრინციპს. ნაროდნიკები (განსაკუთრებით ბ-ნი ნიკოლაი — ონი) ასეთ შეხედულებას ამყარებდნენ მარქსის მოძღვრებაზე, იმოწმებდნენ რა იმას, რომ წარმოების საშუალებათაგან მუშაკის განთავისუფლება ძირითადი პირობაა წარმოების კაპიტალისტური წესისა. ორიგინალური მოვ-

* რამდენადაც ასეთი შენაცვლება ნამდვილად ხორციელდებოდა, — ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს შენაცვლება გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობდა, ვიდრე პირველი შეხედვით ჩანდა.

ლენაა: მარქსიზმი უკვე 80-იანი წლებიდან (თუ უფრო ადრე არა) წარმოადგენდა ისეთ უდავო, ფაქტიურად გაბატონებულ ძალას დასავლეთ ევროპის მოწინავე საზოგადოებრივ მოძღვრებათა შორის, რომ რუსეთში მარქსიზმისადმი მტრულ თეორიებს დიდხანს არ შეეძლოთ აშკარად გამოსულიყვნენ მარქსიზმის წინააღმდეგ. ეს თეორიები ასოფისტურებდნენ, აყალბებდნენ (ხშირად შეუგნებლად) მარქსიზმს, ეს თეორიები თითქოს თვითონ დგებოდნენ მარქსიზმის ნიადაგზე და «მარქსის მიხედვით» ცდილობდნენ უარეყოთ მარქსის თეორიის მიყენება რუსეთისადმი! ბ-ნ ნიკოლაი — ონის ნაროდნიკული თეორია «მარქსისტულის» სახელწოდებას ჩემულობდა (1880 — 1890-იანი წლები), ხოლო შემდეგ ბბ. სტრუვეს, ტუგან-ბარანოვსკისა და კომპანიის ლიბერალურ-ბურჟუაზიული თეორია იწყებდა მარქსის «თ ი თ ქ მ ი ს» სრული აღიარებით, ავითარებდა თავის შეხედულებებს, ატარებდა თავის ლიბერალიზმს მარქსიზმის «შემდგომი კრიტიკული განვითარების» საფარით. რუსეთის საზოგადოებრივი თეორიების განვითარების ამ თავისებურ თვისებაზე XIX საუკუნის დასასრულიდან (თვით თანამედროვე ოპორტუნიზმამდე — ლიკვიდატორობამდე, რომელიც მარქსისტულ ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი ა ს ებღაუჭება ანტიმარქსისტული შინაარსის დასაფარავად) ჩვენ, ალბათ, არა ერთხელ მოგვიხდება შეჩერება.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს «დიდი რეფორმის» ნაროდნიკული შეფასება. ძირფესვიანად მცდარია ის შეხედულება, თითქოს 1861 წელს გლეხთა უმიწაწყლოდ დატოვების მისწრაფება კაპიტალისტური მისწრაფება ყოფილიყოს, ხოლო მათთვის მიწის მიცემის მისწრაფება — ანტიკაპიტალისტური, სოციალისტური (საუკეთესო ნაროდნიკებს ტერმინი — «სახალხო წარმოება» ც ე ნ ზ უ რ უ ლ ი დაბრკოლებებით ნაკარნახევი სოციალიზმის ფსევდონიმად მიაჩნდათ). ასეთ შეხედულებას ახასიათებს აშკარა ანტიისტორიულობა, მარქსის «მზა» ფორმულის («ფორმულისა», რომელიც შეეფერება მხოლოდ დიდად განვითარებულ სასაქონლო წარმოებას) გადატანა ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ნიადაგზე. სინამდვილეში 1861

წელს გლეხთა უმიწაწყლოდ დატოვება უმეტეს შემთხვევაში მოასწავებდა არა თავისუფალი მუშის შექმნას კაპიტალისტურ წარმოებაში, არამედ იმავე «საბატონო», მემამულური მიწის კაბალური (ე. ი. ფაქტიურად ნახევრადყმა ან თითქმის ყმა) მოიჯარადრის შექმნას. სინამდვილეში 1861 წლის «ნადელები» უმეტეს შემთხვევაში ნიშნავდა არა თავისუფალი დამოუკიდებელი მიწათმოქმედის შექმნას, არამედ იმას, რომ მიწაზე ამაგრებდნენ კაბალურ მოიჯარადრეს, რომელიც ფაქტიურად იძულებული იყო იგივე საბატონო ბეგარა ეხადა თავისი ინვენტარით მემამულის მიწის დამუშავების სახით საძოვრის, პირუტყვის გასარეკი ადგილის, სათიბის, საჭირო სახნავი მიწის გულისთვის და სხვ.

რამდენადაც გლეხი ნამდვილად, და არა მხოლოდ ნომინალურად, თავისუფლდებოდა ბატონყმური ურთიერთობისაგან (უკანასკნელის დედაარსი: «შრომამიგების რენტა», ე. ი. ნადელიანი გლეხის მუშაობა მემამულის სასარგებლოდ), იმდენად ის შედიოდა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის ვითარებაში. მაგრამ ბატონყმური ურთიერთობისაგან ეს ნამდვილი განთავისუფლება ბევრად უფრო რთულად მიმდინარეობდა, ვიდრე ნაროდნიკები ფიქრობდნენ. უმიწაწყლოდ განთავისუფლების მომხრეებისა და მიწის მიცემის მომხრეების ბრძოლა მაშინ ხშირად გამოხატავდა მხოლოდ ორი ბატონყმური ბანაკის ბრძოლას, დავას იმაზე, თუ რა უფრო ხელსაყრელია მემამულისათვის: მოიჯარადრე (ანუ «შრომამიმგები» გლეხი) მთლად უმიწაწყლოდ, თუ «ნადელიანი», ე. ი. ადგილზე მიმაგრებული მოიჯარადრე, მიჯაჭვული მიწის ნაკვეთით, რომლითაც შეუძლებელია ცხოვრება და რომელზედაც აუცილებელი ხდება «საშოვრის» ძებნა (= მემამულის კაბალაში ჩავარდნა).

მეორე მხრივ, უეჭველია, რომ, რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები განთავისუფლების დროს, რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო ჩქარა, უფრო ფართოდ, უფრო თავისუფლად განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში, მით უფრო მალე გაჰქრებოდა ბატონყმური და კაბალური

ურთიერთობის ნაშთები, მით უფრო დიდი იქნებოდა შინაური ბაზარი, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა ქალაქების, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება.

ნაროდნიკების შეცდომა ის იყო, რომ ისინი საკითხს აყენებდნენ უტოპიურად, განყენებულად, კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან დამოუკიდებლად. ისინი «ნადელს» აცხადებდნენ დამოუკიდებელი წვრილი მიწათმოქმედების ბაზად: რამდენადაც ეს სწორია, იმდენად «ნადელიანი» გლეხი ხდებოდა საქონლის მწარმოებელი, ვარდებოდა ბურჟუაზიულ პირობებში. სინამდვილეში კი ძალიან ხშირად «ნადელი» ისე მცირე იყო, იმდენად დატვირთული იყო მეტისმეტი გადასახადებით, ისე მოუხერხებლად იყო გამიჯნული გლეხისათვის და «მოხერხებულად» — მემამულისათვის, რომ «ნადელიანი» გლეხი აუცილებლად ვარდებოდა გამოუვალი კაბალის მდგომარეობაში, ფაქტიურად რჩებოდა ბატონყმურ ურთიერთობაში, იხდიდა იმავე საბატონო ბეგარას (შრომამიგებისათვის იჯარის სახით და სხვ.).

ამრიგად, ნაროდნიკობაში იმალებოდა ორგვარი ტენდენცია, რომელსაც მარქსისტები ახასიათებდნენ მაშინვე, როცა ლაპარაკობდნენ ლიბერალურ-ნაროდნიკულ შეხედულებებზე, ლიბერალურ-ნაროდნიკულ შეფასებაზე და სხვა. რამდენადაც ნაროდნიკები 1861 წლის რეფორმას ალამაზებდნენ, ივიწყებდნენ იმას, რომ «მიწის მიცემა» უმეტეს შემთხვევაში რეალურად ნიშნავდა მემამულურ მეურნეობათა უზრუნველყოფას იაფი და ადგილზე მიმაგრებული მუშახელით, იაფი კაბალური შრომით, იმდენად ნაროდნიკები ეშვებოდნენ (ხშირად შეუგნებლად) ლიბერალიზმის თვალსაზრისამდე, ლიბერალური ბურჟუას, ანდა ლიბერალური მემამულის თვალსაზრისამდეც კი; — იმდენად ისინი ობიექტურად ხდებოდნენ ისეთი ტიპის კაპიტალისტური ევოლუციის დამცველებად, რომელიც ყველაზე მეტადაა დამძიმებული მემამულური ტრადიციებით, ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ბატონყმურ წარსულთან, ყველაზე ნელა და ყველაზე ძნელად თავისუფლდება მისგან.

ხოლო რამდენადაც ნაროდნიკები არ აიდეალებდნენ 1861 წლის რეფორმას და მხურვალედ და გულწრფელად იცავდნენ უმცირეს გადასახდელებს და უდიდეს, სრულიად შეუზღუდველ «ნადელებს», გლეხის უდიდესი კულტურული, უფლებრივი და სხვა დამოუკიდებლობის აღიარებით, იმდენად ისინი ბურჟუაზიული დემოკრატები იყვნენ. მათი ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ მათი დემოკრატიზმი სრულიადაც არ იყო ყოველთვის თანამიმდევარი და გაბედული, ამასთან მისი ბურჟუაზიული ხასიათი მათთვის შეუგნებელი რჩებოდა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდისაც კი ყველაზე უფრო «მემარცხენე» სოციალ-ნაროდნიკებს ხშირად სიტყვა «ბურჟუაზიული» ესმით აღნიშნული შეხამებით, როგორც რაღაც... «პოლიტიკის» მაგვარი, მაშინ როცა ნამდვილად ტერმინი ბურჟუაზიული დემოკრატია, მარქსიზმის თვალსაზრისით, ერთადერთი სწორი მეცნიერული დახასიათებაა.

ეს ორგვარი, ლიბერალური და დემოკრატიული ტენდენცია ნაროდნიკობაში სავსებით ნათლად გამოისახა უკვე 1861 წლის რეფორმის ხანაში. ჩვენ აქ არ შეგვიძლია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ტენდენციების ანალიზზე, კერძოდ მეორე მათგანთან უტოპიური სოციალიზმის კავშირზე, და დავჯერდებით, ერთი მხრივ, ვთქვათ, კაველინისა და, მეორე მხრივ, ჩერნიშევსკის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებათა განსხვავების უბრალო აღნიშვნას.

თუ ზოგადად თვალს გადავავლებთ რუსეთის სახელმწიფოს მთელი წყობის ცვლილებას 1861 წელს, უნდა აღვიაროთ, რომ ეს ცვლილება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ფეოდალური მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. ეს სწორია არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. საკმარისია გავიხსენოთ რეფორმის ხასიათი სასამართლოს, მართვა-გამგეობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ამგვარი რეფორმების სფეროში, რომლებიც მოჰყვა 1861 წლის საგლეხო რეფორმას, — რომ დავრწმუნდეთ ამ დებულების სისწორეში. შეიძლება ვიკამათოთ იმის შესახებ, დიდი იყო თუ მცირე, სწრაფი იყო

თუ ნელი ეს «ნაბიჯი», მაგრამ ის მიმართულება, რომლითაც ეს ნაბიჯი გადაიდგა, ისე აშკარაა და ისე გამორკვეულია მთელი შემდგომი ამბებით, რომ მის შესახებ არა მგონია ორი აზრი არსებობდეს. ხოლო ამ მიმართულების ხაზგასმით აღნიშვნა მით უფრო საჭიროა, რაც უფრო ხშირად გვესმის დღეს მოუფიქრებელი მსჯელობა იმაზე, თითქოს რუსეთი «ნაბიჯებს» ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე სულ უკანასკნელ წლებში სდგამდეს.

ნაროდნიკობის ორი აღნიშნული ტენდენციიდან დემოკრატიული ტენდენცია, რომელიც ეყრდნობა არა მემამულური, არა მოხელური და არა ბურჟუაზიული წრეების შეგნებასა და თვითმოქმედებას, მეტისმეტად სუსტი იყო 1861 წელს. ამიტომ საქმე არც გაშორებია სულ მცირე «ნაბიჯის» გადადგმას ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. მაგრამ ეს სუსტი ტენდენცია უკვე მაშინ არსებობდა. ის თავს იჩენდა შემდეგშიც, ხან უფრო ძლიერად, ხან უფრო სუსტად, როგორც საზოგადოებრივ იდეათა სფეროში, ისე მთელი რეფორმისშემდგომი ეპოქის საზოგადოებრივი მოძრაობის სფეროში. ეს ტენდენცია იზრდებოდა ამ ეპოქის ყოველ ათწლეულთან ერთად, იგი საზრდოობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ევოლუციის ყოველი ნაბიჯით, და, მაშასადამე, სოციალური, უფლებრივი და კულტურული პირობების ერთობლიობითაც.

საგლეხო რეფორმის დღიდან 44 წლის შემდეგ ორივე ტენდენციამ, რომელიც 1861 წელს მხოლოდ გამოისახა, საკმაოდ სრული და აშკარა გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა სარბიელზე, საზოგადოებრივი მოძრაობის სხვადასხვა პერიპეტიაში, მოსახლეობის ფართო მასებისა და დიდი პოლიტიკური პარტიების მოქმედებაში. კადეტები და ტრუდოვიკები, — თუ ორივე ამ ტერმინს გავიგებთ უაღრესად ფართო აზრით, — პირდაპირი შთამომავალნი და მემკვიდრენი, უშუალო გამტარებელნი არიან ორივე ტენდენციისა, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნის წინათ გამოისახა. უეჭველი და აშკარაა კავშირი 1861 წელსა და

იმ მოვლენებს შორის, რომლებიც 44 წლის შემდეგ მოხდა. და ის გარემოება, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე ორივე ტენდენცია გადარჩა, განმტკიცდა, განვითარდა, გაიზარდა, უდავოდ მოწმობს ამ ტენდენციების ძალას, მოწმობს იმას, რომ მათ ღრმად აქვთ გადგმული ფესვები რუსეთის მთელ ეკონომიურ სტრუქტურაში.

ნოვოევრემიელმა მწერალმა მენშიკოვმა ეს კავშირი საგლეხო რეფორმასა და უახლოესი წარსულის ამბებს შორის შემდეგი თავისებური ტირადით გამოხატა: «61-მა წელმა ვერ აგვაცილა თავიდან ცხრაას ხუთი წელი, — მაშასადამე, რაღა საჭიროა ყვირილი ასე საცოდავად ჩაშლილი რეფორმის სიდიადეზე?» («ნოვოე ვრემია»[51] № 12512, 11 იანვარი, «უმაქნისო იუბილე»).

ამ სიტყვებით მენშიკოვი უცაბედად შეეხო მეტად საინტერესო მეცნიერულ-ისტორიულ საკითხს, ჯერ-ერთი, საზოგადოდ რეფორმისა და რევოლუციის თანაფარდობის შესახებ და, მეორეც, 1861 და 1905 — 1907 წლების საზოგადოებრივ-ისტორიულ მიმართულებათა, მისწრაფებათა, ტენდენციათა კავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და ნათესაობის შესახებ.

რეფორმის ცნება, უეჭველია, უპირდაპირდება რევოლუციის ცნებას; ამ მოპირდაპირობის დავიწყება, დავიწყება იმ მიჯნისა, რომელიც ჰყოფს ორივე ამ ცნებას, მუდამ იწვევს უაღრესად სერიოზულ შეცდომებს ყველა ისტორიული ხასიათის მსჯელობაში. მაგრამ ეს მოპირდაპირობა აბსოლუტური არაა, ეს მიჯნა მკვდარი კი არაა, არამედ ცოცხალი, მოძრავი მიჯნაა, რომლის განსაზღვრა უნდა ვიცოდეთ ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში. 1861 წლის რეფორმა მხოლოდ რეფორმად დარჩა იმ საზოგადოებრივი ელემენტების უკიდურესი სისუსტის, შეუგნებლობისა და დაქსაქსულობის გამო, რომელთა ინტერესები მოითხოვდნენ გარდაქმნას.

ამიტომ იყო ასე ძლიერი ბატონყმური ნიშნები ამ რეფორმისა, ამიტომაა მასში ასე ბევრი ბიუროკრატიული სიმახინჯე, ამიტომ იყო ასე უზომო ის უბედურება, რომელიც მან დაა-

ტეხა თავს გლეხობას. ჩვენი გლეხობა გაცილებით უფრო მეტად იჩაგრებოდა კაპიტალიზმის არასაკმარისი განვითარებით, ვიდრე კაპიტალიზმით.

მაგრამ ამ რეფორმამ, რომელიც რეფორმად დარჩა განსაზღვრული საზოგადოებრივი ელემენტების სისუსტის გამო, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხებისა, შეჰქმნა პირობები ამ ელემენტთა შემდგომი განვითარებისათვის, — პირობები, რამაც გააფართოვა ის ბაზა, სადაც ვითარდებოდა ძველი წინააღმდეგურობა, რამაც გააფართოვა მოსახლეობის იმ ჯგუფების, ფენებისა და კლასების წრე, რომელთაც შეეძლოთ შეგნებულად მიეღოთ მონაწილეობა ამ წინააღმდეგურობათა «განვითარებაში». ამიტომ გამოვიდა ისე, რომ 1861 წლის რეფორმაში ლიბერალიზმისადმი შეგნებულად მტრული დემოკრატიული ტენდენციის წარმომადგენლები, რომელნიც მაშინ (და დიდხანს შემდეგაც) უნიადაგო ერთეულებად ჩანდნენ, ნამდვილად ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ განუზომლად უფრო «ნიადაგიანნი», — აღმოჩნდნენ მაშინ, როცა მომწიფდა ის წინააღმდეგურობა, რომელიც 1861 წელს თითქმის ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1861 წლის რეფორმის მონაწილენი, რომელნიც მას რეფორმისტული თვალსაზრისით უყურებდნენ, უფრო «ნიადაგიანნი» აღმოჩნდნენ, ვიდრე ლიბერალური რეფორმისტები. ისტორია სამუდამოდ შეინახავს ხსოვნას პირველთა შესახებ, როგორც ეპოქის მოწინავე ადამიანთა შესახებ, — ხოლო მეორეთა შესახებ, როგორც ორჭოფ, მერყევ, ძველისა და დრომოჭმულის ძალების წინაშე უძლურ ადამიანთა შესახებ.

ნაროდნიკები თავის თეორიებში ყოველთვის ქადაგებდნენ, 1861 წლიდან დაწყებული (ხოლო მათი წინამორბედნი კიდევ უფრო ადრე, 1861 წლამდე) და შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, ს ხ ვ ა, ე ს ე ი გ ი ა რ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ გზას რუსეთისათვის. ისტორიამ სავსებით უარყო ეს მათი შეცდომა. ისტორიამ სავსებით დაამტკიცა, — დ. 1905 — 1907 წლების ამბებმა, რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასების გამოსვლებმა იმ დროს განსაკუთრებით თვალ-

საჩინოდ დაადასტურეს, — რომ რუსეთი ვითარდება კაპიტალისტურად და შეუძლებელია არსებობდეს მისი განვითარების სხვაგვარი გზა. მაგრამ ცუდი იქნებოდა ის მარქსისტი, რომელიც იმავე ნახევარი საუკუნის ისტორიიდან აქამდე ვერ ისწავლიდა იმას, თუ რაში მდგომარეობდა რ ე ა ლ უ რ ი მნიშვნელობა მცდარი იდეოლოგიით მოსილი ნახევარსაუკუნოვანი მისწრაფებისა სამშობლოსათვის «სხვაგვარი» გზის განხორციელების შესახებ.

1861 წლის შედარება 1905 — 1907 წლებთან ცხადზეუცხადესად გვიჩვენებს, რომ ნაროდნიკული იდეოლოგიის ეს რ ე ა ლ უ რ ი ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობდა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი განვითარების ო რ ი გზის დაპირისპირებაში: ერთი გზა ახალ, კაპიტალისტურ რუსეთს უგუებდა ძველ რუსეთს, პირველს უმორჩილებდა მეორეს, ანელებდა განვითარების მსვლელობას, — მეორე გზა ცვლიდა ძველს ახლით, სავსებით სპობდა დრომოჭმულ დაბრკოლებებს ახლის გზაზე, აჩქარებდა განვითარების მსვლელობას. კადეტებისა და ტრუდოვიკების პროგრამებმა, როგორც ლიბერალურმა და დემოკრატიულმა პროგრამებმა — მიუხედავად ო რ ი ვ ე პროგრამის არათანამიმდევრობისა, ზოგჯერ დაბნეულობისა და შეუგნებლობისა — მკაფიოდ გამოხატეს ეს განვითარება რ ე ა ლ უ რ ი გზებისა, რომელნიც ორივენი კაპიტალიზმის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი არიან მოქცეულნი და განუხრელად ტარდებიან ცხოვრებაში ნახევარ საუკუნეზე მეტია.

და ახლანდელი ეპოქა განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან ერთისა და მეორე გზის პირობების ნათლად გაგებას, მკაფიო წარმოდგენას 1861 წლის ორ ტენდენციაზე და მათს შემდგომ განვითარებაზე. ჩვენ განვიცდით რუსეთის სახელმწიფოს მთელი წყობის შემდგომ განვითარებას, კ ი დ ე ვ ე რ თ ნაბიჯს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. ეს ახალი ნაბიჯი, ისეთივე გაუბედავი, ისეთივე მერყევი, ისეთივე უხეირო, ისეთივე უილაჯო, როგორც წინათ, — ჩვენს წინაშე ძველ საკითხებს აყენებს. რუსეთის კაპიტალისტური განვითარების ორი გზიდან რომელი განსაზღვრავს საბო-

ლოოდ მის ბურჟუაზიულ წყობას, — ეს ისტორიას ჯერ არ გადაუწყვეტია: ჯერ კიდევ არ ამოწურულან ის ობიექტური ძალები, რომლებზედაც დამოკიდებულია გადაწყვეტა. შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინება, როგორი იქნება ეს გადაწყვეტა ყველა იმ შეხლა-შემოხლის, შეჯახებისა და კონფლიქტის გამოცდილებამდე, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების ცხოვრებას. შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინება, როგორი იქნება ტოლქმედი იმ ორი ტენდენციისა, რომელიც 1861 წლიდან იჩენს თავს. მაგრამ შეიძლება — და საჭიროცაა — ნათლად შევიგნოთ ორივე ტენდენცია, მივაღწიოთ იმას, რომ მარქსისტებმა (ამაშია მათი ერთ-ერთი ამოცანა, როგორც «ჰეგემონებისა» რღვევის, დაბნეულობის, მცირედმორწმუნეობისა და წუთიერი წარმატების წინაშე ქედის მოხრის ქაოსში) შეიტანონ თავისი მოღვაწეობა — ამ ტოლქმედში — არა მინუსის სახით (როგორიცაა ლიკვიდატორობა და საერთოდ ამა თუ იმ დაცემულობის სულისკვეთებისადმი ყოველი უმწეო ჩანჩალით გამოკიდება), არამედ პლუსის სახით, საერთოდ მთელი ევოლუციის ინტერესების, მისი ძირითადი და უაღრესად არსებითი ინტერესების დაცვის სახით.

დემოკრატიული ტენდენციის წარმომადგენლები მიდიან თავიანთი მიზნისაკენ, თანაც მუდამ მერყეობენ და ვარდებიან ლიბერალიზმისაგან დამოკიდებულებაში. ამ მერყეობისადმი წინააღმდეგობა, ამ დამოკიდებულების დარღვევა — მარქსიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანაა რუსეთში.

«მისლ» № 3, 1911 წ. თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ «მისლის» ტექსტის მიხედვით

«საგლეხო რეფორმა» და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია

იუბილე, რომლისაც ასე ეშინოდა ბატონ რომანოვების მონარქიას და რომლის გამო ასე გულითადად ხარობდნენ რუსეთის ლიბერალები, გადახდილია. მეფის მთავრობამ ეს იუბილე იმით იდღესასწაულა, რომ გაძლიერებით ასაღებდა «ხალხში» «ეროვნული კლუბის» შავრაზმულ საიუბილეო ბროშურებს, გაძლიერებით აპატიმრებდა ყველა «საეჭვო» პირს, კრძალავდა კრებებს, სადაც მოსალოდნელი იყო ოდნავ მაინც დემოკრატიული სიტყვების წარმოთქმა, აჯარიმებდა და ახშობდა გაზეთებს, სდევნიდა «კრამოლურ» კინემატოგრაფებს.

ლიბერალებმა იუბილე იმით იდღესასწაულეს, რომ კვალად და კვალად ცრემლი ჰღვარეს «მეორე 19 თებერვლის» საჭიროების შესახებ («ვესტნიკ ევროპი»[52]), გამოთქვეს თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობები (მეფის სურათი «რეჩში» პირველ ადგილას), ილაპარაკეს თავის მოქალაქობრივ ჭმუნვარებაზე, მშობლიური «კონსტიტუციის» უმტკიცობაზე, სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის მიერ «ძველისძველ საადგილმამულო საწყისთა» «დამღუპველ რღვევაზე» და სხვა და სხვა.

სტოლიპინისადმი მიმართულ რესკრიპტში ნიკოლოზ II-ემ განაცხადა, რომ სწორედ 1861 წლის 19 თებერვლის «დიდი

რეფორმის» დაგვირგვინებას წარმოადგენს სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა, ე. ი. გლეხის მიწის გადაცემა წასალეკად და დასარბევად ერთი მუჭა სოფლის წურბელებისა, კულაკებისა და შეძლებული გლეხებისათვის და სოფლის მოქცევა მებატონე-მემამულეების უფროსობის ქვეშ.

და უნდა აღვიაროთ, რომ ნიკოლოზ პირსისხლიანი, რუსეთის პირველი მემამულე, უფრო ახლოსაა ისტორიულ ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ჩვენი გულჩვილი ლიბერალები. პირველმა მემამულემ და მთავარმა მებატონემ შეიგნო — უფრო სწორად: შეითვისა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს სწავლებით — კლასობრივი ბრძოლის ის ჭეშმარიტება, რომ მებატონეების მიერ გატარებული «რეფორმები» არ შეიძლება ბატონყმური არ იყოს მთელი თავისი სახით, არ შეიძლება თან არ ახლდეს ყოველგვარი ძალმომრეობის რეჟიმი. ჩვენებურ კადეტებს, და საერთოდ ჩვენებურ ლიბერალებს, ეშინიათ მასების რევოლუციური მოძრაობისა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია აღგავოს დედამიწის პირისაგან მებატონე-მემამულეები და მათი ყოვლისშემძლებლობა რუსეთის სახელმწიფოში; და ეს შიში ხელს უშლის მათ შეიგნონ ის ჭეშმარიტება, რომ, ვიდრე მებატონეები არ არიან დამხობილნი, ყოველგვარი რეფორმები — და განსაკუთრებით აგრარული რეფორმები — შეიძლება იყოს მხოლოდ ბატონყმური სახისა, ბატონყმური ხასიათისა და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბატონყმური წესით. რევოლუციის შიში, რეფორმაზე ოცნებობა და წუწუნი იმის გამო, რომ «რეფორმებს» ნამდვილად ახორციელებენ მებატონენი ბატონყმურად, ეს უაღრესი სიმდაბლე და ჭკუამოკლეობაა. გაცილებით უფრო მართალია და გაცილებით უკეთ ასწავლის რუს ხალხს ჭკუას ნიკოლოზ II, რომელიც თვალსაჩინოდ «აყენებს» არჩევანს: ბატონყმური «რეფორმები» თუ მებატონეთა დამამხობელი სახალხო რევოლუცია.

1861 წლის 19 თებერვალი ბატონყმური რეფორმა იყო, რომელიც ჩვენს ლიბერალებს შეუძლიათ შეალამაზონ და წარმოგვიდგინონ «მშვიდობიან» რეფორმად მხოლოდ იმიტომ,

რომ მაშინ რუსეთში რევოლუციური მოძრაობა არარაობამდე სუსტი იყო, ხოლო რევოლუციური კლასი დაჩაგრულ მასებში ჯერ კიდევ სულაც არ არსებობდა. 1906 წ. 9 ნოემბრის ბრძანებულება და 1910 წლის 14 ივნისის კანონი[53] წარმოადგენენ ისეთივე ბურჟუაზიული შინაარსის ბატონყმურ რეფორმებს, როგორიც 61 წლის რეფორმა იყო, მაგრამ ლიბერალებს არ შეუძლიათ იგი «მშვიდობიან» რეფორმად წარმოიდგინონ, არ შეუძლიათ ისე ადვილად დაიწყონ მისი შელამაზება (თუმცა ისინი უკვე იწყებენ ამას, მაგალითად, «რუსსკაია მისლში»), ვინაიდან შეიძლება დაივიწყო 1861 წლის ერთეული რევოლუციონერები, მაგრამ შეუძლებელია დაივიწყო 1905 წლის რევოლუცია. 1905 წელს რუსეთში წარმოიშვა რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელმაც შესძლო გლეხთა მასის ჩაბმაც რევოლუციურ მოძრაობაში. ხოლო როდესაც რევოლუციური კლასი ჩნდება რომელიმე ქვეყანაში, მას ვერ ჩაახშობს ვერავითარი დევნა, ის შეიძლება დაიღუპოს მხოლოდ მთელი ამ ქვეყნის დაღუპვასთან ერთად, ის შეიძლება მოკვდეს მხოლოდ გამარჯვების შემდეგ.

მოვიგონოთ 61 წლის საგლეხო რეფორმის ძირითადი ნიშნები. ყბადაღებული «განთავისუფლება» იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას. «განთავისუფლების» გამო, გლეხთა მიწებს შავნიადაგიან გუბერნიებში ჩამოაჭრეს ერთ მეხუთედზე მეტი. ზოგიერთ გუბერნიაში ჩამოაჭრეს, წაართვეს გლეხებს მათი მიწის ერთ მესამედამდე და ორ მეხუთედამდეც კი. «განთავისუფლების» გამო, გლეხთა მიწებს ისე მიჯნავდნენ მემამულეთა მიწებისაგან, რომ გლეხები ესახლებოდნენ «ქვიშაზე», ხოლო მემამულეთა მიწები სოლებად იჭრებოდა გლეხთა მიწებში, რათა კეთილშობილ თავადაზნაურთ უფრო ადვილად შესძლებოდათ გლეხების დამონება და მათთვის სავახშო ფასებში მიწის მი-

ცემა იჯარით. «განთავისუფლების» გამო, გლეხები აიძულეს «გამოეყიდათ» მათი საკუთარი მიწები, ამასთან მათ წაჰგლიჯეს მიწის ნამდვილ ფასზე ორჯერ და სამჯერ მეტი. საერთოდ 60-იანი წლების მთელმა «რეფორმათა ეპოქამ» გლეხი გაღატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დასტოვა სასამართლოშიც, მართვა-გამგეობაშიც, სკოლაშიც, ერობაშიც.

«დიდი რეფორმა» ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები. რა ძალამ აიძულა ისინი ხელი მოეკიდნათ რეფორმისათვის? ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს. მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალნათ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლის პროცესში მყოფი ფორმები. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა «ამბოხებებმა», რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ქ ვ ე ვ ი დ ა ნ დაგვამხობდნენო.

«საგლეხო რეფორმა» იყო მებატონეების მიერ გატარებული ბურჟუაზიული რეფორმა. ეს იყო ნაბიჯი რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. საგლეხო რეფორმის შინაარსი ბურჟუაზიული იყო, და ეს შინაარსი მით უფრო ძლიერად აშკარავდებოდა, რაც უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ა დ იკვეცებოდა გლეხთა მიწები, რაც უ ფ რ ო სრ უ ლ ა დ ეყოფოდნენ ისინი მემამულეთა მიწებს, რაც უ ფ რ ო მ ც ი რ ე იყო მებატონეთათვის მისაცემი ხარკის (ე. ი. «გამოსაყიდის») ოდენობა, რაც უ ფ რ ო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ ეწყობოდნენ მებატონეთა გავლენისა და ზემოქმედებისაგან ამა თუ იმ ადგილის გლეხები. რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც გლეხი თავს აღწევდა მებატონის ძალაუფლებას, ი მ დ ე ნ ა დ იგი ემორჩილებოდა ფულის ბატონობას, ვარდებოდა სასაქონლო წარმოების პირობებში, და-

მოკიდებული ხდებოდა ახლად აღმოცენებული კაპიტალისაგან. და 61 წლის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი, რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოუნდა.

მებატონეთა და ლიბერალთა ყბადაღებული ბრძოლა, რომელსაც ესოდენ აზვიადებენ და ალამაზებენ ჩვენი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ისტორიკოსები, წარმოადგენდა ბრძოლას გაბატონებული კლასების შ ი გ ნ ი თ, მეტწილად მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს შ ი გ ნ ი თ, ბრძოლას მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ოდენობისა და ფორმის გულისთვის. ლიბერალები ისევე, როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის ს რ უ ლ ი დ ა ა მ ხ ო ბ ი ს შესახებ.

ეს რევოლუციური აზრები არ შეიძლებოდა თავში არ მოსვლოდათ ყმა-გლეხებს. და თუ მთელი საუკუნეების მონობამ იმდენად დააბეჩავა და დააჩლუნგა გლეხთა მასები, რომ მათ რეფორმის დროს არაფრის უნარი არ შესწევდათ, გარდა დაქსაქსული, განცალკევებული აჯანყებებისა, უფრო კი «ბუნტებისა», რომლებიც არავითარი პოლიტიკური შეგნებით არ იყო გაშუქებული, — სამაგიეროდ მაშინაც იყვნენ რუსეთში რევოლუციონერები, რომელნიც გლეხობის მხარეზე იდგნენ და რომელთაც ესმოდათ ყბადაღებული «საგლეხო რეფორმის» მთელი შეზღუდულობა, მთელი უბადრუკობა, მთელი მისი ბატონყმური ხასიათი. მაშინ მეტად მცირერიცხოვან ამ რევოლუციონერებს სათავეში ედგა ნ. გ. ჩერნიშევსკი.

1861 წლის 19 თებერვალი მოასწავებს ახალი, ბურჟუაზიული რუსეთის დასაწყისს, რომელიც იბადებოდა ბატონყმური ეპოქიდან. 1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენ-

ციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს. ამიტომაც 19 თებერვლის ორმოცდაათ წლისთავზე შეგნებულმა პროლეტარიატმა რაც შეიძლება ნათლად უნდა წარმოიდგინოს, თუ როგორი იყო ორივე ტენდენციის დედაარსი და როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება.

ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი «გაეთავისუფლებინათ» «ზევიდან», არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ «დაეთმოთ» დროის მოთხოვნილებისათვის. ✓ ლიბერალები იყვნენ და დარჩნენ ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ბურჟუაზიისა, რომელსაც არ შეუძლია შეურიგდეს ბატონყმობას, მაგრამ ეშინია რევოლუციისა, ეშინია მასების მოძრაობისა, რასაც შეუძლია მონარქიის დამხობა და მემამულეთა ბატონობის მოსპობა. ამიტომ ლიბერალები სჯერდებიან «რეფორმებისათვის ბრძოლას», «უფლებებისათვის ბრძოლას», ე. ი. მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების გაყოფას. ძალთა ამგვარი თანაფარდობის დროს შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მივიღოთ სხვა რაიმე «რეფორმები», გარდა მებატონეების მიერ გატარებული რეფორმებისა, სხვა რაიმე «უფლებები», გარდა მებატონეთა თვითნებობით შეზღუდული «უფლებებისა».

ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეჰქმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტი-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკო-

ლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას. 61 წლის «საგლეხო რეფორმას», რომელსაც ლიბერალები ჯერ ალამაზებდნენ და შემდეგ კიდეც ადიდებდნენ, მან სისა-ძაგლე უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის ბატონ-ყმურ ხასიათს, ნათლად ხედავდა, რომ ბატონი ლიბერალური განმათავისუფლებელნი გლეხებს პირდაპირ ტყავს აძრობდნენ. 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ «მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი დ ა ს უ ლ ე ლ ე ბ ი»[54] უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უხასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე.

ეს ორი ისტორიული ტენდენცია ვითარდებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში 19 თებერვლის შემდეგ, ეს ტენდენციები უფრო და უფრო ნათლად, გარკვეულად და აშკარად შორდებოდნენ ერთმანეთს. იზრდებოდნენ ძალები ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელიც ქადაგებდა «კულტურული» მუშაობით დაკმაყოფილებას და გაურბოდა რევოლუციურ იატაკქვეშ მუშაობას. იზრდებოდა დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, რომელნიც თავდაპირველად ერთად იყვნენ არეული ნაროდოვოლცებისა და რევოლუციური ნაროდნიკების უტოპიურ იდეოლოგიასა და ინტელიგენტურ ბრძოლაში, ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შორდებოდნენ ერთმანეთს, რამდენადაც ხდებოდა გადასვლა ტერორისტთა და ერთეულ-პროპაგანდისტთა რევოლუციური ბრძოლიდან თვით რევოლუციურ კლასთა ბრძოლაზე.

რევოლუციის წინა ათწლეული, 1895-დან 1904 წლამდე, გვიჩვენებს პროლეტარული მასის უკვე აშკარა გამოსვლებს და შეუჩერებელ ზრდას, საგაფიცვო ბრძოლის ზრდას, სოციალ-დემოკრატიული მუშათა აგიტაციის, ორგანიზაციისა და პარტიის ზრდას. პროლეტარიატის სოციალისტური ავანგარდის კვალდაკვალ მასობრივ ბრძოლაში ებმოდა, განსაკუთრებით 1902 წლიდან, რევოლუციურ-დემოკრატიული გლეხობაც.

1905 წლის რევოლუციაში ის ორი ტენდენცია, რომელნიც 61 წელს მხოლოდ დაისახა ცხოვრებაში და ის-ის იყო გამოისახა ლიტერატურაში, — განვითარდა, გაიზარდა და თავისი გამოხატულება ჰპოვა მ ა ს ე ბ ი ს მოძრაობაში, პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ბრძოლაში სულ სხვადასხვა ასპარეზზე, პრესაში, მიტინგებზე, კავშირებში, გაფიცვებში, აჯანყებაში, სახელმწიფო სათათბიროებში.

ლიბერალურ-მონარქისტულმა ბურჟუაზიამ შეჰქმნა კადეტთა და ოქტიაბრისტთა პარტიები, რომელნიც თავდაპირველად თავსდებოდნენ ერთს საერობო-ლიბერალურ მოძრაობაში (1905 წლის ზაფხულამდე), შემდეგ ჩამოყალიბდნენ ცალკეულ პარტიებად, რომელნიც დიდ მეტოქეობას უწევდნენ (და უწევენ) ერთმანეთს; ერთი მათგანი უმთავრესად აჩენდა თავის ლიბერალურ, ხოლო მეორე — უმთავრესად მონარქისტულ «ს ა ხ ე ს», მაგრამ ისინი ყოველთვის ეთანხმებოდნენ ერთმანეთს უაღრესად არსებითში — რევოლუციონერთა გაკიცხვაში, დეკემბრის აჯანყების აბუჩად აგდებაში, აბსოლუტიზმის «კონსტიტუციური» საფარველის, როგორც დროშის, თაყვანისცემაში. ორივე პარტია იდგა და დგას «მტკიცე კონსტიტუციურ» ნიადაგზე, ე. ი. ისინი სჯერდებიან მოღვაწეობის იმ ფარგლებს, რომლების შექმნაც კი შეეძლო მეფისა და მებატონეების შავ რაზმს ისე, რომ არ დაეთმო ძალაუფლება, ხელიდან არ გაეშვა თავისი თვითმპყრობელობა, არც ერთი კაპიკი არ შეეწირა თავისი «საუკუნეებით დაკანონებული» მონათმფლობელური შემოსავლიდან, არ დაეთმო არავითარი პრივილეგია თავისი «კეთილშენაძენი» უფლებებიდან.

დემოკრატიული და სოციალისტური ტენდენციები გამოეყვნენ ლიბერალურს და ერთმანეთს გაემიჯნენ. პროლეტარიატი შეკავშირდა და გლეხობისაგან ცალკე გამოდიოდა თავისი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ირგვლივ დარაზმული. გლეხობა რევოლუციაში შეკავშირებული იყო გაცილებით უფრო სუსტად, მისი გამოსვლები ბევრად უფრო დაქსაქსული და სუსტი იყო, მისი შეგნებულობა გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ამიტომ მონარქისტული

ილუზიები (აგრეთვე მათთან განუყრელად დაკავშირებული კონსტიტუციური ილუზიები) ხშირად ადუნებდა მის ენერგიას, ლიბერალების, ზოგჯერ კი შავრაზმელების დამოკიდებულებაში აგდებდა მას, ჰბადებდა ამაო ოცნებას «ღვთის მიწაზე», ნაცვლად თავადაზნაურ-მიწათმფლობელთა წინააღმდეგ შეტევისა ამ კლასის სრული მოსპობის მიზნით. მაგრამ მაინც, საერთოდ და მთლიანად, გლეხობა, როგორც მასა, ებრძოდა სწორედ მემამულეებს, გამოდიოდა რევოლუციურად, და ყველა სათათბიროში — მესამეშიც კი, სადაც წარმომადგენლობა მებატონეთა სასარგებლოდ იყო დამახინჯებული — მან შეჰქმნა შრომის ჯგუფები, რომლებიც, მიუხედავად ხშირი მერყეობისა, ნამდვილ დემოკრატიას წარმოადგენდნენ. 1905 — 1907 წლების კადეტებმა და ტრუდოვიკებმა მასობრივ მოძრაობაში გამოხატეს და პოლიტიკურად ჩამოაყალიბეს პოზიცია და ტენდენციები, ერთი მხრივ, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, ხოლო, მეორე მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიისა.

1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი. პირველი «დიდი» ბურჟუაზიული რეფორმის ბატონყმურმა ხასიათმა შეაფერხა განვითარება, გლეხებს თავს დაატეხა ათასი უარესი და უმწარესი ტანჯვა, მაგრამ ვერ შესცვალა განვითარების მიმართულება, ვერ აიცილა 1905 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია. 61 წლის რეფორმამ დროებით გადასდო კვანძის გახსნა, ერთგვარი სარქველი გაუხსნა, ერთგვარი გზა მისცა კაპიტალიზმის ზრდას, მაგრამ ვერ აიცილა ამ კვანძის აუცილებელი გახსნა, რაც 1905 წელს მოხდა გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე, მასების შეტევით მეფისა და მებატონე-მემამულეების თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რეფორმამ, რომელიც მებატონეებმა გაატარეს ჩაგრული მასების სრული განუვითარებლობის ხანაში, წარმოშვა რევოლუცია იმ დროისათვის, როცა ამ მასებში მომწიფდა რევოლუციური ელემენტები.

მესამე სათათბირო და სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა მეორე ბურჟუაზიული რეფორმაა, რომელსაც მებატონეები

ატარებენ. თუ 61 წლის 19 თებერვალი პირველი ნაბიჯი იყო წმინდა ბატონყმური თვითმპყრობელობის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გ ზ ა ზ ე, 1908 — 1910 წლების ხანა გვიჩვენებს მეორე, უფრო სერიოზულ ნაბიჯს ი მ ა ვ ე გ ზ ა ზ ე. თითქმის 4½ წელიწადი გავიდა 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულების გამოცემის დროიდან, 3½ წელიწადზე მეტი გავიდა 1907 წლის 3 ივნისიდან, და ახლა უკვე არა მარტო კადეტური, არამედ ოქტიაბრისტული ბურჟუაზიაც დიდად რწმუნდება სამი ივნისის «კონსტიტუციისა» და სამი ივნისის «გრარული პოლიტიკის «მარცხში». «კადეტთა შორის უმემარჯვენესს» — როგორც სამართლიანად უწოდეს ამას წინათ ნახევრადოქტიაბრისტ ბ-ნ მაკლაკოვს — სრული უფლება ჰქონდა ეთქვა 25 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში კადეტებისა და ოქტიაბრისტების სახელით, რომ «ამჟამად უკმაყოფილონი არიან ჩვენი ქვეყნის ის ცენტრალური ელემენტები, რომელთაც ყველაზე უფრო სწადიათ მტკიცე მშვიდობა და ეშინიათ რევოლუციური ტალღის ახალი აზვირთებისა». საერთო ლოზუნგი ერთია: «ყველა ამბობს, — განაგრძობდა ბ-ნი მაკლაკოვი, — რომ თუ შემდეგშიც იმავე გზით ვივლით, რომლითაც ახლა მივყავართ, მეორე რევოლუციამდე მიგვიყვანენო».

კადეტურ-ოქტიაბრისტული ბურჟუაზიის საერთო ლოზუნგი 1911 წლის გაზაფხულზე ადასტურებს მდგომარეობის იმ შეფასების სისწორეს, რომელიც მოგვცა ჩვენმა პარტიამ 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციაში. «ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფაქტორები, — ამბობს ეს რეზოლუცია, — რომლებმაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვიეს, განაგრძობენ მოქმედებას, და ახალი რევოლუციური კრიზისი ასეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში გარდუვალად მწიფდება».

ამას წინათ მეფის შავრაზმული მთავრობის დაქირავებულმა მჯღაბნელმა მენშიკოვმა განაცხადა «ნოვოე ვრემიაში», 19 თებერვლის რეფორმა «სამარცხვინოდ ჩავარდა», ვინაიდან

«61 წელმა ვერ აგვაშორა ცხრაას ხუთი წელიო». ახლა ლიბერალური ბურჟუაზიის დაქირავებული ადვოკატები და პარლამენტარიები აცხადებენ 1906 წ. 9. XI და 1907 წ. 3. VI «რეფორმების» ჩავარდნას, ვინაიდან ამ «რეფორმებს» მეორე რევოლუციისაკენ მ ი ვ ყ ა ვ ა რ თ ო.

ორივე ეს განცხადება, ისე როგორც 1861 — 1905 წლების ლიბერალური და რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია, მეტად საინტერესო მასალას იძლევა უმნიშვნელოვანესი საკითხის გამოსარკვევად — რევოლუციისადმი რეფორმის დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივ ბრძოლაში რეფორმისტებისა და რევოლუციონერების როლის შესახებ.

რევოლუციის მოწინააღმდეგენი, ზოგი სიძულვილითა და კბილთა ღრჭენით, ზოგიც გულისტკენით და წუხილით, 61 წლისა და 1907—1910 წლების «რეფორმებს» უხეირო რეფორმებად აღიარებენ, იმიტომ რომ ისინი რევოლუციას თავიდან ვერ გვაშორებენო. სოციალ-დემოკრატია, როგორც ჩვენი დროის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის წარმომადგენელი, ამ აღიარებაზე უპასუხებს: რევოლუციონერები უდიდეს ისტორიულ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ბრძოლასა და ყველა სოციალურ კრიზისში მ ა შ ი ნ ა ც კ ი, როცა ამ კრიზისებს უშუალოდ მხოლოდ ნახევრადი რეფორმები მოსდევდა ხოლმე. რევოლუციონერები არიან იმ საზოგადოებრივ ძალთა ბელადები, რომელნიც ქმნიან ყოველგვარ გარდაქმნას; რეფორმები — რევოლუციური ბრძოლის თანაპროდუქტია.

61 წლის რევოლუციონერები ერთეულებად დარჩნენ და მათ, თითქოს, სრული დამარცხებაც განიცადეს. ნამდვილად კი სწორედ ისინი იყვნენ იმ ეპოქის დიდი მოღვაწენი, და რაც უფრო ვმორდებით ამ ეპოქას, მით უფრო ცხადი ხდება ჩვენთვის მათი სიდიადე, მით უფრო აშკარაა მაშინდელი ლიბერალური რეფორმისტების არარაობა და უბადრუკობა.

1905 — 1907 წლების რევოლუციურმა კლასმა, სოციალისტურმა პროლეტარიატმა, თითქოს, სრული დამარცხება განიცადა. ლიბერალურმა მონარქისტებმაც და ვითომ-მარქსისტთა

ბანაკის ლიკვიდატორებმაც ყურები გამოგვიჭედეს იმაზე ყვირილით, რომ პროლეტარიატი ვითომდა «ძალიან შორს» წავიდა, «ექსცესებამდე» მივიდა, «სტიქიურ კლასობრივ ბრძოლას» აჰყვა, თავი გაატაცებინა «პროლეტარიატის ჰეგემონიის» დამღუპველ იდეასაო და სხვა და სხვა. ნამდვილად კი პროლეტარიატის მთელი «დანაშაული» მხოლოდ ის იყო, რომ იგი საკმაოდ შორს არ წავიდა, მაგრამ ამ «დანაშაულს» ამართლებს მისი ძალების მაშინდელი მდგომარეობა და მას გამოისყიდის დაუღალავი რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული მუშაობა უბოროტესი რეაქციის ხანებშიც, მედგარი ბრძოლა რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ნამდვილად ყველაფერი, რაც კი ბრძოლით გამოვგლიჯეთ მტრებს, ყველაფერი, რაც კი მტკიცედ მოვიპოვეთ, მოპოვებულია და მკვიდრია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ძლიერია და ცოცხალია რევოლუციური ბრძოლა პროლეტარული მუშაობის ყველა ასპარეზზე. ნამდვილად მხოლოდ პროლეტარიატი იცავდა ბოლომდე თანამიმდევარ დემოკრატიზმს, ამხელდა ლიბერალიზმის მთელ მერყეობას, ათავისუფლებდა გლეხობას მისი გავლენისაგან, გმირული გამბედაობით იწყებდა შეიარაღებულ აჯანყებას.

არავის არ ძალუძს იწინასწარმეტყველოს, რამდენად განხორციელდება რუსეთის ნამდვილი დემოკრატიული გარდაქმნა მისი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა განსაზღვრავს გარდაქმნის ოდენობასა და წარმატებას. ბურჟუაზიული სულისკვეთების ბატონყმურ «რეფორმებსა» და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მიმდინარე დემოკრატიულ რევოლუციას შორის შეიძლება იყოს მხოლოდ ლიბერალიზმისა და ოპორტუნისტული რეფორმიზმის უძლური, უხასიათო და უიდეო მერყეობანი.

თუ თვალს გადავავლებთ საერთოდ რუსეთის უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ისტორიას, 1861 და 1905 წლებს, შეგვიძლია კიდევ უფრო მეტი რწმენით გავიმეოროთ ჩვენი პარტიული რეზოლუციის სიტყვები: «ჩვენი ბრძოლის მიზანს კვლავინ-

დებურად წარმოადგენს ცარიზმის დამხობა, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ, რომელიც ეყრდნობა გლეხობის რევოლუციურ ფენებს და ახდენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადატრიალებას საყოველთაოსახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის გზით».

«სოციალ-დემოკრატი» № 21 — 22,
1911 წ. 19 მარტი (1 აპრილი)

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით.

პარტიის დამრღვევნი «ლეგენდების დამრღვევთა» როლში

სწორედ ერთი წლის წინათ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გამოაქვეყნა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შემდეგი კარდინალური მნიშვნელობის წერილი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროსადმი:

...«ჩვენ (ე. ი. ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ) წინადადებით მივმართეთ ამხანაგებს მიხეილს, რომანისა და იურის დაეწყოთ მუშაობა, მაგრამ მათგან მივიღეთ პასუხი, რომელიც იუწყება, რომ ისინი არა მარტო პლენუმის გადაწყვეტილებებს თვლიან საზიანოდ, არამედ საზიანოდ თვლიან თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობას. ამის გამო ისინი იმაზედაც კი უარს ამბობენ, რომ გამოცხადდნენ ერთ სხდომაზე კოოპტაციისათვის» *.

საქმის ვითარება მეტად ნათელი იყო. მიხეილის, რომანისა და იურის სახით ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა რენეგატებთან, რომელნიც გოლოსისებურ «დიპლომატიას» და ლაქუცობას ზედმეტად თვლიან და გულახდილად აცხადებენ ჩვენს პარტიასთან კავშირის გაწყვეტას. ერთმანეთს შეეჯახა ორი «ტაქტიკა»: ერთი — მარტოვის, დანისა და კომპანიისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შიგნიდან გახრწნან «ძველი» პარტია, ავადმყოფურ მდგომარეობაში ჰყავდეთ ძველი პარტია, ვიდრე მომაგრდებოდნენ სტოლიპინური «სოციალ-დემოკრატები» — ლიკვიდატორები; მეორე — პოტრესოვის, ლევიცკის, მიხეილის, რომანის, იურისა და კომპანიისა, რომელიც

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 16, გვ. 196. რ ე დ.

გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომ ძველი პარტიის წინააღმდეგ შიგნით ჩასაფრება ჩირად არა ღირს და რომ ახლავე აშკარად უნდა გავწყვიტოთ კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთანაო.

ბ. ბ. მიხეილის, რომანისა და იურის განცხადების გამოქვეყნება საშინლად უფუჭებდა საქმეს მათს «გოლოს სოციალ-დემოკრატელ» მეგობრებსა და მფარველებს. მაგრამ რა გაეწყობოდა: დანი, მარტოვი და კომპანია იძულებული იყვნენ ისევ დაეფარათ კვალი, და «ერთი მხრივ», სოლიდარობა გამოეცხადებინათ ხსენებული სამი რენეგატისთვის, ხოლო «მეორე მხრივ» — ოდნავ «გამიჯნოდნენ» მათ. მარტოვი ისეთი გულადიც კი გამოდგა, რომ პარტიისაგან მისი სამი მეგობრის განდგომის გამოქვეყნების დღიდან 10 თვის შემდეგ ამ სამ ვაჟბატონს («გოლოსის» წინა, 23-ე ნომერში) «ფუქსავატობა» უსაყვედურა...

მაგრამ აი «ისტორიის» (ლიკვიდატორობის ისტორიის) ჩარხი ერთხელ კიდევ გადატრიალდა. მთელმა რიგმა გარემოებამ — უმთავრესად კი აშკარა ასპარეზზე მოქმედი ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წინააღმდეგობამ ლიკვიდატორობისადმი — აიძულა ბატონი პოტრესოვები, ლევიცკები, მიხეილები, რომანები და კომპანია კუნტრუში შეენელებინათ და მიახლოებოდნენ კვალის დაფარვის «ბრძნულ» და უფრო ფრთხილ «ტაქტიკას» à la * დანისა და მარტოვისა. ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა ზემოთ მოყვანილი დოკუმენტის «უარყოფის» გამოქვეყნებაც — **ერთი წლის შემდეგ!**

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ «გოლოსში» (მყვირალა სათაურით: «დარღვეული ლეგენდა») გამოქვეყნებული «უარყოფა» — ერთიანად ყალბია. თურმე, ზემოხსენებულმა სამმა რენეგატმა მხოლოდ «პირადი მოტივებით» თქვა «ოფიციალურად» უარი ცენტრალურ კომიტეტში შესვლაზე ან კოოპტაციისათვის ერთ კრებაში მაინც მონაწილეობის მიღებაზე. და მხოლოდ «შემდეგ, კერძო (დიახ, სრულიად «კერძო») საუბარში გავუზიარეთო მას (ე. ი. ცენტრალური კომიტე-

* — მსგავსად. რედ.

ტის წარმომადგენელს) მთელი რიგი (უკვე პოლიტიკური ხასიათის) მოსაზრებანი, რომელთა გამო ჩვენ (ე. ი. რომანი, მიხეილი და იური) იძულებული შევიქენ ით უარი გვეთქვა ჩვენთვის მოცემულ წინადადებაზე».

ამრიგად, — «უარყოფის» 1-ლი მუხლი: განცხადება, რომელსაც იმოწმებდა ცენტრალური ორგანო, გაკეთებული იყო მხოლოდ «კერძო საუბარში», ოფიციალური მუნდირის გახდის შემდეგ. ხომ ხედავთ, რა რადიკალურად სცვლის საქმეს «დანაშაულის» ეს მეტისმეტად «შემამსუბუქებელი გარემოება»?..

მაგრამ რა თქვეს ბატონებმა — მიხეილმა, რომანმა და იურიმ მ ა თ ი ვ ე ს ა კ უ თ ა რ ი ს ი ტ ყ ვ ი თ ამ «კერძო საუბარში»? მათ არ უთქვამთ, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი მავნებელიაო, მათ, თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ ნება მისცეს თავის თავს შეენიშნათ, რომ «პ ლ ე ნ უ მ ი ს ნ ა კ ა რ ნ ა ხ ე ვ ი გ ზ ა კ ი ა რ ა ძ ლ ი ე რ ებ ს, ა რ ა მ ე დ ა ს უ ს ტ ებ ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ს», რომ ლეგალურ შესაძლებლობათა ის გამოყენება, რომელსაც ურჩევდა პარტიას ცენტრალური კომიტეტი, «შ ე ი ც ა ვ დ ა დ ა შ ე ი ც ა ვ ს მ უ შ ა თ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს», რომ ამ გზაზე ცენტრალური კომიტეტის მიერ გადადგმულმა პირველმავე ნაბიჯმა (რეზოლუციის გამოქვეყნება პარტიული კონფერენციის შესახებ) «მ თ ა ვ რ ო ბ ა ს მ ი ს ც ა ს ა ფ ა რ ი» მუშათა ორგანიზაციების დასარღვევადაო. ხომ მართალია, ეს — სრულებით ის არ არის, რაც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მტკიცება, რომლის თქმითაც ლონდონელ კანდიდატთაგან სამი ლიკვიდატორი «ადარებს ცენტრალური კომიტეტის ჩარევას ლეგალურ ორგანიზაციათა სოციალ-დემოკრატიული ძალების დაჯგუფების სტიქიურ პროცესში დედის მუცლიდან ნაყოფის ამოგლეჯას ორსულობის მეორე თვეზე»? კარგი «უარყოფა» კია, თქვენმა მზემ!

შემდეგ, მათ სულაც არ უთქვამთ, ცენტრალური კომიტეტის არსებობა მავნებელიაო, ღმერთმა დაგვიფაროს! მათ მხო-

ლოდ — რა თქმა უნდა, სრულიად «კერძო» საუბარში, — გამოთქვეს ის აზრი, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ცენტრალური კომიტეტის ნაცვლად რომ ყოფილიყო «საინიციატივო ჯგუფი», რომელსაც «არავინ მოსთხოვდა პასპორტს» (ე. ი. პ ა რ ტ ი ო ს ლ პასპორტს), როგორც თავის დროზე მას (ე. ი. «პასპორტს») არავინ სთხოვდა «ისკრისა» და «ზარიას» ჯგუფსაო *. — მთავარი ბრალდება მიხეილმა, რომანმა და იურიმ «უარყვეს» თითქმის ისეთივე წარმატებით, როგორც ამას წინათ მათმა კოლეგამ იგორევმა «უარყო» ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის საწინააღმდეგო შეთქმულების ის ბრალდებები, რომლებიც წაუყენეს ამ იგორევს ამხანაგმა პარტიელმა მენშევიკებმა, პლეხანოვმა და ა. მოსკოვსკიმ [55]... როგორც ხედავთ, საჭირო ყოფილა არა ცენტრალური კომიტეტი, არამედ ისეთი «საინიციატივო ჯგუფი», როგორიცაა ««ისკრისა» და «ზარიას» ჯგუფი». რასაკვირველია, «ისკრისა» და «ზარიას» ჯგუფი რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი იყო, ხოლო ბატონ მიხეილებს, რომანებსა და იურებს უნდათ ლიკვიდატორული საინიციატივო ჯგუფი. მაგრამ ახლა საქმე ამაში როდია. საქმე ისაა, რომ მარტოვისა და დანის სამი მოკავშირე — მ ა თ ი ვ ე ს ა კ უ თ ა რ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ — მოითხოვდა ცენტრალური კომიტეტის შეცვლას კერძო საინიციატივო ჯგუფით, რომელსაც ვერავინ მოსთხოვდა საძულველ «პასპორტს» და რომელიც «ლიკვიდაციის» საქმეში სრულიად თავისუფლად იმოქმედებდა. «უარყვეს»!..

რომანის, მიხეილისა და იურის «უარყოფის» ერთ-ერთ დედააზრს წარმოადგენს კიდევ იმის ამბავი, ვითომ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, როცა სთხოვდა მათ, რომ დასწრებოდნენ კოლეგიის «ერთ კრებას მაინც», აცთუნებდა იმით, რომ მას (ე. ი. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს) და სხვა «რუს ბოლშევიკებს» ძალიან უნდათ «თავი განითავისუფლონ ლენინის წრის ხელმძღვანელი გავ-

* იხ. «ვოლოსი», 24-ე ნომრის დამატება, გვ. 3.

ლენისაგანაო». ეს სამი ლიკვიდატორის მიერ გადმოცემული რუსი ბოლშევიკის განცხადება განსაკუთრებით მოსწონს «გოლოსის» რედაქციას, რომელსაც იმედი აქვს ამით ვიღაცა და რაღაცა გაამართლოს. მაგრამ ბატონ «გოლოსელებს» აშკარად გზაკვალი აებნათ და თვითონ თავისივე წინააღმდეგ ლაპარაკობენ. რას ბრძანებთ, «გოლოსის» პატივცემულო რედაქტორებო. ვთქვათ, ბოლშევიკი, რომელიც თქვენს მეგობრებთან მივიდა ცენტრალური კომიტეტის სახელით, წინააღმდეგი იყო იმისა, რასაც თქვენ «ლენინის წრეს» უწოდებთ. მით უარესი თქვენთვის. ვინაიდან ხომ სწორედ ამ ბოლშევიკმა დაწერა ის წერილი პარტიისაგან თქვენი სამი მეგობრის განდგომის შესახებ, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ ცენტრალური ორგანოს მე-12 ნომერში. თუ ეს ბოლშევიკი არ ემხრობა თქვენს მიერ ეგრეთწოდებულ «ლენინის წრეს», მით უფრო პირუთვნელი უნდა იყოს თქვენს თვალში მისი ჩვენება. ვთქვათ, თქვენი მომწვევი ცეკისტები მოწინააღმდეგენი იყვნენ «ლენინის წრისა» *, — მით უფრო დიდი უნდა იყოს თქვენი თვალსაზრისით იმ სამი ლიკვიდატორის დანაშაული, რომელთაც არ მოისურვეს ცენტრალურ კომიტეტში შესვლა ასეთ ხელსაყრელ პირობებშიც კი. — რა მოუვიდათ ბატონ «გოლოსელებს»? ჩვეულებრივ ისინი.. უფრო მოხერხებულად ჰფარავენ კვალს. მეტისმეტად უხერხულად გამოგვიდათ ეს, ბატონებო! უფრო სულელურად, ვიდრე თვით სტოლიპინის «საინფორმაციო ბიუროს» «უარყოფაა».

---

* მეორე «რუს ბოლშევიკ» ცეკისტს გოლოსელები შემდეგს საყვედურს უთვლიან: მან, თურმე, «დააბრკოლა ცენტრალურ კომიტეტში გოლოსელების კოოპტაცია, როცა განაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკი წევრები... დაუშვებენ მხოლოდ ისეთი კანდიდატების კოოპტაციას, რომელნიც წინასწარ მოაწერენ ხელს თავისი «ლიკვიდატორობის» უარყოფასაო». ცეკისტს, რომელსაც ასეთ საშინელ საყვედურს უთვლიან გოლოსელები, ამჟამად არ შეუძლია თვითონ უპასუხოს ბატონ ლიკვიდატორებს [56]. ამიტომ მის მაგივრად ვიტყვით: თუ სწორია ის, რასაც თქვენ იტყობინებით მის შესახებ, მაშინ იგი პარტიული თვალსაზრისით სრულიად მართალი ყოფილა და სავსებით პლენუმის დადგენილების მიხედვით უმოქმედნია.

ბედმა არ გაუღიმა თქვენს «უარყოფას», ბატონო «გოლოსელებო», ისე როგორც არ გაუღიმა ბედმა თქვენს უკანასკნელ «საკინკლაო» ფურცლებს. თქვენ მოინდომეთ «დაგემტკიცებინათ მეტად ბევრი რამ», — დაგემტკიცებინათ, თითქოს სოციალ-დემოკრატები ყველანი პარტიელები იყვნენ, — ამიტომ ვერაფერი დაამტკიცეთ. აბა, ოდნავ მაინც დაფიქრდით: გუშინ თქვენ გამოუშვით 58-ის ფურცელი (რამდენია ამ 58-ში ფარისეველი და რამდენი — გაბრიყვებული?), რომელშიაც თქვენი მოწინააღმდეგენი («ლენინის წრე») გამოგყავთ უსაშინელეს ურჩხულებად, «ბანდად» და სხვა. მეორე დღეს კი თქვენვე («გოლოსის» რედაქცია) უშვებთ ფურცელს «რეფორმების პროგრამით», რომელშიაც აცხადებთ: ყველაფერი ჩინებულად იქნება, თუ ჩვენ (ე. ი. გოლოსელებს) მოგვეცემა პარტიის ყველა ცენტრალურ დაწესებულებაში თანასწორი ხმა ამ ურჩხულებთან ერთად, იმ ადამიანებთან ერთად, რომელთაც მთელი რიგი «ბოროტმოქმედებანი» ჩაიდინესო და სხვა და სხვა. როდის-ღა მოქმედებთ თქვენ «პარტიის საკეთილდღეოდ», და როდის ზრუნავთ თქვენი საკუთარი თავისთვის, ბატონებო?—პირველ, თუ მეორე შემთხვევაში? — გახსენებაც კი არ ღირდა «გოლოსის» ამ... კეთილსურნელოვანი ფურცლებისა, ისე როგორც მისი დამატებებისა, სადაც «ყველაფერი გამოყენებულია», თვით ჟენეველ ოტზოვისტებამდე, რომელნიც თავიანთ თავს «ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს იდეურ წრეს» უწოდებენ, — ისინი რომ ასეთ ნათელ შუქს არ ჰფენდნენ გოლოსელთა მთელ პოლიტიკას...

ეცადეთ, «ლეგენდების დამრღვევო» ბატონებო, ეცადეთ! ერთი ლეგენდის დარღვევაში თქვენ მართლაც გვეხმარებით: ეს არის ლეგენდა იმაზე, თითქოს თქვენ კიდევ რაიმე საერთო დაგრჩენოდეთ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან.

«სოციალ-დემოკრატი» № 21 — 22,
1911 წ. 19 მარტი (1 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

კადეტები და ოქტიაბრისტები

ყბადაღებული «სამინისტრო კრიზისი» და სახელმწიფო სათათბიროს ახალი თავმჯდომარის არჩევა[57] კიდევ ერთხელ იძლევა მასალას კადეტთა და ოქტიაბრისტთა პარტიების სოციალური ბუნებისა და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხზე. რუსეთის, უკაცრაული პასუხია, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ ასჯერ და ათასჯერ დაიხასიათა თავი. ყოველდღიური გაზეთებიდან და «ზვეზდის» წინა ნომრიდან მკითხველმა უკვე იცის, თუ როგორია ეს დახასიათება. ზოგიერთი დასკვნის გამოყვანა მაინც არ იქნება ზედმეტი იმის გამო, რომ ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებული კადეტური პრესა სიამოვნებით «ანადგურებს» ოქტიაბრისტებს, მაგრამ ასევე სიამოვნებით როდი ჩერდება თავისი საკუთარი საქციელის შ ე დ ე გ ე ბ ზ ე.

მოვიგონოთ «სახალხო თავისუფლების» პარტიის საქციელი სახელმწიფო სათათბიროს ახალი თავმჯდომარის არჩევის დროს. 21 მარტს «რეჩი» იჩქარის გვაცნობოს: «სახალხო თავისუფლების ფრაქციამ დაადგინა ხმა მისცეს მ. ალექსეენკოს, თუ მისი კანდიდატურა წამოყენებული იქნება სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ხოლო თუ წამოყენებული იქნება როძიანკოს კანდიდატურა, ფრაქცია ხმას მისცემს მის წინააღმდეგ». კონსტიტუციური «დემოკრატები» მზად არიან სამსახური გაუწიონ «მემარცხენე» ოქტიაბრისტებს. ეგ კიდევ არაფერი. იმავე რიცხვის «რეჩის» მოწინავე ალექსეენკოს «ყველას მიერ პატივცემულად» აცხადებს და ცდილობს დადგეს მ თ ე ლ ი სახელმწიფო სათათბიროს

თვალსაზრისზე: თუ მემარჯვენენი მხარს დაუჭერენ ოქტიაბრისტთა უმრავლესობის კანდიდატურას (ე. ი. ალექსეენკოს კანდიდატურას), შესაძლებელია, სახელმწიფო სათათბირო «დაუბრუნდეს იმ ერთსულოვნებას», რომლითაც შეხვდნენ თავდაპირველად ხომიაკოვის კანდიდატურას. «ეს ერთსულოვნება დაგვანახვებდა, რომ საერთოდ მთელ სათათბიროს შეგნებული აქვს მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელობაო».

ასე წერდა «რეჩი». «საერთოდ მთელ სათათბიროსაო», არც მეტი, არც ნაკლები. ეს ხშირად უნდა გავიხსენოთ ხოლმე IV სათათბიროს არჩევნების დროს!

კადეტებმა მშვენივრად იციან, რომ მემარჯვენენი პრინციპულად იცავენ სათათბიროს უუფლებობას, რომ ნაციონალისტები ამართლებენ და იცავენ სტოლიპინს და 87-ე მუხლის დარღვევას. მაგრამ მაინც, მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსეენკოს ხმა მისცენ, კადეტები მზად არიან დაივიწყონ ყოველივე და ერთსულოვანი უწოდონ «საერთოდ მთელ სათათბიროს», თუმცა მათ აგრეთვე მშვენივრად იციან, რომ მუშათა დეპუტატების გულის მონადირება III სათათბიროს «ერთსულოვნებით» არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდება, როგორც არ მოხერხდა ეს ხომიაკოვის არჩევის დროსაც.

საქმის ვითარება ნათელია: მუშათა დეპუტატებსა და ტრუდოვიკებს კადეტები სათვალავში არ აგდებენ. უმათოდ, მაგრამ მემარჯვენეებთან ერთად, მარკოვ მეორესა და პურიშკევიჩთან ერთად, III სათათბირო არის «საერთოდ მთელი სათათბირო». ასე გამოუდის «რეჩს». და მის ასეთ მსჯელობას სწორად გაჰყავს მიჯნა, რომელიც ძალიან ხშირად და ძალიან ბევრს უკულმართად ესმოდა: ესაა მიჯნა, ერთი მხრივ, ფეოდალებსა და ბურჟუაზიასა (თვით ყველაზე «ლიბერალურ», ე. ი. კადეტურ ბურჟუაზიასა) და, მეორე მხრივ, გლეხებსა და მუშებს, ე. ი. დემოკრატიას შორის. უდემოკრატიოდ, მაგრამ მემარჯვენეებთან ერთად ჩვენ — «საერთოდ მთელი სათათბირო» ვართო, ამბობენ კადეტები. ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ, როცა კადეტები დემოკრატების სახელწოდებას იჩემებენ, ისინი ატყუებენ ხალხს. ეს იმას ნიშნავს, რომ კადეტებისათვის ფეოდალები და ბურჟუაზია არიან «ჩვენ», ხოლო ყველა დანარჩენი სათვალავში არ არის მისაღები.

სახელმწიფო სათათბიროს ახალი თავმჯდომარის არჩევის პატარა საკითხმა კიდევ ერთხელ მოგვაგონა მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, რომ კადეტები დემოკრატები კი არ არიან, არამედ ლიბერალურ-ზომიერი ბურჟუები, რომელთაც სწყურიათ. ზუბრებისა და ოქტიაბრისტების «მთელი» პალატის «ერთსულოვნება». ოქტიაბრისტებთან კონკურენცია — აი მათთან კადეტთა «ბრძოლის» ხასიათი. კადეტები ებრძვიან ოქტიაბრისტებს, ეს უეჭველია. მაგრამ ისინი მათ ებრძვიან არა როგორც კლასის წარმომადგენელნი, არა როგორც მოსახლეობის უფრო ფართო ფენების წარმომადგენელნი, არა იმ ძველი ხელისუფლების გადასაყენებლად, რომელსაც ეგუებიან ოქტიაბრისტები, არამედ როგორც მათი კონკურენტები, რომელთაც სურთ შეეგუონ იმავე ხელისუფლებას, ემსახურონ იმავე კლასის ინტერესებს, დაიფარონ ის მოსახლეობის უფრო ფართო ფენების (საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით პროლეტარული დემოკრატიის) მომთხოვნელობისაგან. ცოტა სხვანაირად შეგუება იმავე ხელისუფლებასთან — აი რა სწადიათ კადეტებს, აი რა არის მათი პოლიტიკის, ლიბერალური ბურჟუების პოლიტიკის დედაარსი. და ეს კონკურენცია ოქტიაბრისტებთან, მათი ადგილის გულისთვის ბრძოლა თავისებურ «სიმწვავეს» აძლევს კადეტთა ბრძოლას. ამით აიხსნება მემარჯვენეთა და ოქტიაბრისტთა თავისებური მტრობა კადეტებისადმი, განსაკუთრებული სახის მტრობა: «ისინი» (დემოკრატები) მოსპობენ, «ესენი» (კადეტები) უკან დასწევენ პირველი ადგილიდან მეორეზე; პირველი პერსპექტივა იწვევს პრინციპულად შეურიგებელ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს; მეორე პერსპექტივა იწვევს პირველობისათვის ბრძოლას, ინტრიგებში შეცილებას, შეჯიბრებას იმავე მიწათ-

მფლობელურ-ბურჟუაზიული უმრავლესობის მიმხრობის ან იმავე ძველი ხელისუფლების ნდობის მოპოვების ხერხებში.

III სათათბიროს სურათი ახალი თავმჯდომარის არჩევის დღეს ამ განსხვავების აშკარა მაჩვენებელია.

«საპარლამენტო წრეებში» მომხდარი ამბების კადეტი აღმნუსხველი განაგრძობს 23 მარტის «რეჩში» ალექსეენკოს ქებას: «ადამიანი სავსებით დამოუკიდებელი» (ამას ამბობს ოქტიაბრისტზე, რომელსაც სიამოვნებას ჰგვრის სამი ივნისი!) «და საკუთარი ღირსების დიდი გრძნობის მქონე» და სხვა და სხვა.

აი როგორია კადეტური საზომი მკაცრი კანონიერებისა: პროტესტი არ განაცხადო სამი ივნისის გამო და პროტესტი განაცხადო 14 მარტის წინააღმდეგ. ეს მოგვაგონებს ამერიკულ ანდაზას: თუ პურის ნატეხს მოიპარავთ, საპყრობილეში ჩაგსვამენ, ხოლო თუ რკინიგზას მოიპარავთ, სენატორად დაგნიშნავენო.

ბ-ნი ლიტოვცევი, რომელიც «რეჩში» უძღვება განყოფილებას «საპარლამენტო წრეებში», 23 მარტს წერდა, მემარცხენე ოქტიაბრისტებმა და კადეტებმა «ნახევარი დღე მღელვარებაში გაატარეს: ერთიც ვნახოთ და დათანხმდაო» (როძიანკო, რომელიც ვითომდა უარს ამბობდა).

როგორ არ უნდა ჰქონდეთ კადეტებს მწვავე ბრძოლა თავის მოწინააღმდეგეებთან, როდესაც საკითხი ტრიალებს ასე მახლობელ, მთელი III სათათბიროსათვის უშუალოდ საგრძნობ სფეროში: «ერთიც ვნახოთ, როძიანკო ადგა და დათანხმდაო»!

როძიანკო ადგა და დათანხმდა. არჩევნების სურათი ისეთი გამოვიდა, რომ მემარჯვენენი და ნაციონალისტები მხიარულად იცინოდნენ, აღტაცებით ტაშს უკრავდნენ. «მემარცხენე» ოქტიაბრისტები და კადეტები ხმას არ იღებდნენ, სისტემატურად სდუმდნენ: მათ წააგეს ბრძოლა იმ ასპარეზზე, რომელზედაც თვითონვე დადგნენ; მათ არ შეეძლოთ მხიარულება; მათ ხმა უნდა ჩაეკმინდათ. კადეტებმა «პროტესტის ნიშნად» ხმა მისცეს ნაციონალისტ ვოლკონსკის. დემოკრატებმა

და მხოლოდ დემოკრატებმა განაცხადეს ხმამაღლა, პირდაპირ და ნათლად, III სათათბიროს ახალი თავმჯდომარის არჩევაში მონაწილეობას არ ვიღებთ, ა რ ა ვ ი თ ა რ პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთ «III სათათბიროს მთელი ერთობლივი მოქმედებისთვისაო» (ვოილოშნიკოვის სიტყვები).

არჩევნების დღეს, სათათბიროს 86-ე სხდომაზე, კონკურენტთა შეჯიბრებისას ი ლ ა პ ა რ ა კ ე ს მხოლოდ III სათათბიროს მეთაურმა, როძიანკომ, ბულატმა და ვოილოშნიკოვმა. დანარჩენები სდუმდნენ.

ვოილოშნიკოვმა, ყველა თავისი ფრაქციული კოლეგის სახელით, სამართლიანად აღნიშნა, რომ კადეტები «თავიანთი პოლიტიკური პოზიციის დამახასიათებელი ნიშნების გამო მთელ იმედებს ყოველთვის სათათბიროს შინაგან კომბინაციებზე ამყარებდნენ», და დასცინა მათ, როგორც ფუქსავატ ლიბერალებს.

კადეტების პოლიტიკური პოზიცია და მისი დამახასიათებელი ნიშნები დამოკიდებულია ამ პარტიის კლასობრივ ბუნებაზე. ეს არის ანტიდემოკრატიული ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია. ამიტომაც ისინი «ყოველთვის მთელ თავიანთ იმედებს სათათბიროს შინაგან კომბინაციებზე ამყარებენ». ეს სწორია ორი მხრივ: ჯერ-ერთი, სათათბიროს შინაგანი ამბავისა და სათათბიროს გარეშე ამბავის დაპირისპირების მხრივ, მეორე, იმ სოციალური ელემენტების, იმ კლასების «კომბინაციის» მხრივ, რომელნიც «მთელ» III სათათბიროს წარმოადგენენ.

როძიანკოს არჩევის გამო, რაც ნაციონალისტების გამარჯვებას მოასწავებდა, მხოლოდ მუშათა დეპუტატები და ტრუდოვიკები გამოვიდნენ განცხადებით, რომელიც «სათათბიროს შინაგან» კომბინაციებს ა რ ემყარებოდა, განცხადებით, რომელიც ახასიათებდა საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით პროლეტარული დემოკრატიის დამოკიდებულებას მ თ ე ლ ი მესამე სათათბიროსადმი, დამოკიდებულებას 3 ივნისისადმი, ოქტიაბრისტებისა და კადეტებისადმი ერთად. ეს განცხადება — კარგი გზის დალოცვაა როძიანკოსა და მთელი «მისი»

უმრავლესობისთვის, კარგი გაფრთხილებაა «პასუხისმგებელი» ლიბერალური «ოპოზიციისა», მესამე სათათბიროს და სამივნისელების წინაშე პასუხისმგებელი ლიბერალური «ოპოზიციისა» იმ პოლიტიკური პარტიების მხრივ, რომლებიც «პასუხისმგებლები» არიან სხვა ვინმეს წინაშე.

«ზვეზდა» № 16, 1911 წ. 2 აპრილი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

კომუნის ხსოვნას

ორმოცი წელიწადი გავიდა პარიზის კომუნის გამოცხადებიდან. საფრანგეთის პროლეტარიატმა, დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ, მიტინგებითა და დემონსტრაციებით სცა პატივი 1871 წლის 18 მარტის რევოლუციის მოღვაწეთა ხსოვნას; ხოლო მაისის დამლევს იგი კვლავ გვირგვინებით შეამკობს დახვრეტილ კომუნართა, საშინელი «მაისის კვირის» მსხვერპლთა საფლავებს და იქ ხელახლა ფიცს დასდებს, რომ დაუღალავად იბრძოლებს მათი იდეების სრულ გამარჯვებამდე, მათგან ნაანდერძევი საქმის სრულ განხორციელებამდე.

რატომ სცემს პატივს არა მარტო საფრანგეთისა, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატიც თავის წინამორბედებს პარიზის კომუნის მოღვაწეთა სახით? და რა შეადგენს კომუნის მემკვიდრეობას?

კომუნა წარმოიშვა სტიქიურად, მას შეგნებულად და გეგმაშეწონილად არავინ ამზადებდა. მარცხიანი ომი გერმანიასთან, ტანჯვა-წამება ალყის დროს, პროლეტარიატის უმუშევრობა და წვრილი ბურჟუაზიის გაღატაკება; მასის აღშფოთება მაღალი კლასებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სრული უუნარობა გამოიჩინა; ყრუ დრტვინვა მუშათა კლასში, რომელიც უკმაყოფილო იყო თავისი მდგომარეობით და სხვანაირი სოციალური წყობილებისაკენ მიისწრაფოდა; ეროვნული კრების რეაქციული შემადგენლობა, რაც საფრთხეს უქმნიდა რესპუბლიკის ბედს, — ყოველივე ეს და მრავალი სხვა რამ შეერთდა იმისათვის, რომ პარიზის

მოსახლეობა აემხედრებინა 18 მარტის რევოლუციისათვის, ხოლო 18 მარტის რევოლუციამ მოულოდნელად გადასცა ძალაუფლება ნაციონალურ გვარდიას, მუშათა კლასს და მის მხარეზე გადასულ წვრილ ბურჟუაზიას.

ეს იყო ისტორიაში უნახავი ამბავი. მანამდე ძალაუფლება ჩვეულებრივ ხელთ ეპყრათ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ე. ი. მათს რწმუნებულთ, რომელნიც ეგრეთწოდებულ მთავრობას შეადგენდნენ. ხოლო 18 მარტის რევოლუციის შემდეგ, როცა ბ-ნ ტიერის მთავრობა გაიქცა პარიზიდან თავის ჯარებთან, პოლიციასა და მოხელეებთან ერთად, — ხალხი დარჩა მდგომარეობის ბატონ-პატრონი, და ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალის მიერ ეკონომიურად დამონებულ პროლეტარიატს არ შეუძლია პოლიტიკურად გაბატონდეს, თუ არ დაამსხვრია თავისი ბორკილები, რომლითაც იგი კაპიტალზეა მიჯაჭვული. სწორედ ამიტომ კომუნის მოძრაობას გარდუვალად უნდა მიეღო სოციალისტური ელფერი, ე. ი. ის უნდა ცდილიყო ბურჟუაზიის ბატონობის, კაპიტალის ბატონობის დამხობას, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების თვით საფუძვლების დანგრევას.

თავდაპირველად ეს მოძრაობა მეტად შერეული და გაურკვეველი იყო. მას მიემხრნენ პატრიოტებიც, რომელნიც იმედოვნებდნენ, რომ კომუნა განაახლებდა ომს გერმანელებთან და საკეთილოდ დააბოლოებდა მას. მას მხარი დაუჭირეს წვრილმა მედუქნეებმაც, რომელთაც გადატაკება მოელოდათ, თუ თამასუქების განაღდებისა და ბინის ქირის გასტუმრების ვადები არ იქნებოდა გადადებული (მთავრობას არ უნდოდა მათთვის ამ ვადების გადადება, სამაგიეროდ კომუნამ შეასრულა ეს). ბოლოს, პირველ ხანებში ამ მოძრაობას რამდენადმე თანაუგრძნობდნენ ბურჟუაზიული რესპუბლიკელებიც, რომელნიც შიშობდნენ — რეაქციული ეროვნული კრება («სოფლელობა», ველური მემამულენი) მონარქიას აღადგენსო. მაგრამ მთავარ როლს ამ მოძრაობაში, რა თქმა უნდა, ასრულებდნენ მუშები (განსაკუთრებით პარიზელი ხელოსნები), რო-

მელთა შორის მეორე იმპერიის უკანასკნელ წლებში გაცხოველებული სოციალისტური პროპაგანდა წარმოებდა და რომელთაგან ბევრი ინტერნაციონალსაც კი ეკუთვნოდა.

ბოლომდე მხოლოდ მუშები დარჩნენ კომუნის ერთგულნი. ბურჟუაზიული რესპუბლიკელები და წვრილი ბურჟუები მალე ჩამოშორდნენ მას: ზოგნი დააშინა მოძრაობის რევოლუციურ-სოციალისტურმა, პროლეტარულმა ხასიათმა; ზოგნი ჩამოშორდნენ მას, როცა დაინახეს, რომ ამ მოძრაობას გარდუვალი დამარცხება მოელოდა. მხოლოდ ფრანგი პროლეტარები უჭერდნენ მხარს თ ა ვ ი ა ნ თ მთავრობას უშიშრად და დაუღალავად, მხოლოდ ისინი იბრძოდნენ და იხოცებოდნენ მისი გულისთვის, ესე იგი მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისთვის, ყველა მშრომელთა საუკეთესო მომავლისთვის.

კომუნა, რომელიც მიატოვეს გუშინდელმა მოკავშირეებმა და რომელსაც მხარი აღარავინ დაუჭირა, აუცილებლად უნდა დამარცხებულიყო. მის წინააღმდეგ შეერთდნენ საფრანგეთის მთელი ბურჟუაზია, ყველა მემამულე, ბირჟელი, მეფაბრიკე, ყველა დიდი და პატარა ქურდი, ყველა ექსპლოატატორი. ამ ბურჟუაზიულმა კოალიციამ, რომელსაც მხარს უჭერდა ბისმარკი (მან გერმანიის ტყვეობიდან გაათავისუფლა 100 000 ფრანგი ჯარისკაცი რევოლუციური პარიზის დასაპყრობად), მოახერხა აემხედრებინა უმეცარი გლეხები და წვრილი პროვინციული ბურჟუაზია პარიზის პროლეტარიატის წინააღმდეგ და რკინის სალტედ შემორტყმოდა ნახევარ პარიზს (მეორე ნახევარი გერმანელთა არმიით იყო გარშემორტყმული). საფრანგეთის ზოგიერთ დიდ ქალაქში (მარსელში, ლიონში, სენტ-ეტიენში, დიჟონში და სხვ.) მუშებმა სცადეს აგრეთვე ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, გამოეცხადებინათ კომუნა და მიშველებოდნენ პარიზს, მაგრამ ეს ცდა მალე მარცხით დამთავრდა. და პარიზი, რომელმაც პირველმა აღმართა პროლეტარული აჯანყების დროშა, საკუთარი ძალების ამარა დარჩა და აუცილებლად უნდა დაღუპულიყო.

ძლევამოსილი სოციალური რევოლუციისათვის საჭიროა ორი პირობა მაინც: საწარმოო ძალთა მაღალი განვითარება

და პროლეტარიატის მომზადებულობა. მაგრამ 1871 წელს არც ერთი ეს პირობა არ იყო. საფრანგეთის კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული, და საფრანგეთი მაშინ წარმოადგენდა უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიის (ხელოსნების, გლეხების, მედუქნეებისა და სხვ.) ქვეყანას. მეორე მხრივ, არ არსებობდა მუშათა პარტია, არ იყო მომზადებული და ხანგრძლივ გაწვრთნილი მუშათა კლასი, რომელსაც მასობრივად სავსებით არც კი ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი თავისი ამოცანები და მათი განხორციელების საშუალებები. არ იყო პროლეტარიატის არც სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია და არც ფართო პროფესიული კავშირები და კოოპერაციული ამხანაგობები...

მაგრამ მთავარი, რაც აკლდა კომუნას, ეს იყო ის, რომ მას არა ჰქონდა საკმაო დრო და თავისუფლება, რათა მიმოეხედა და თავისი პროგრამის განხორციელებას შესდგომოდა. კომუნას ჯერ არც კი მოეკიდა ხელი თავისი საქმისათვის, რომ ვერსალში გამაგრებულმა მთავრობამ, რომელსაც მთელი ბურჟუაზია უჭერდა მხარს, სამხედრო მოქმედება დაიწყო პარიზის წინააღმდეგ. და კომუნა იძულებული შეიქნა უწინარეს ყოვლისა თავდაცვაზე ეფიქრნა. თვით აღსასრულამდე, რაც 21 — 28 მაისს დადგა, მას დრო არა ჰქონდა სხვა რაიმეზე სერიოზულად ეფიქრნა.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, კომუნამ მოასწრო მიეღო რამდენიმე ღონისძიება, რომელიც საკმაოდ ახასიათებს მის ნამდვილ აზრსა და მიზნებს. მუდმივი ჯარი, ეს ბრმა იარაღი გაბატონებული კლასების ხელში, კომუნამ შესცვალა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მან გამოაცხადა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა, მოსპო საკულტო ბიუჯეტი (ე. ი. ხუცების სახელმწიფო ჯამაგირი), სახალხო განათლებას წმინდა საერო ხასიათი მისცა — და ამით ძლიერი ლახვარი ჩასცა ანაფორიან ჟანდარმებს. წმინდა სოციალურ სფეროში მან ცოტა რამის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ეს ცოტა რამეც საკმაო სიცხადით ააშკარავებს მის, როგორც

სახალხო, მუშათა მთავრობის, ხასიათს: აიკრძალა ღამით მუშაობა ფურნეებში; გაუქმდა ჯარიმების სისტემა, ეს დაკანონებული ძარცვა მუშებისა; ბოლოს, გამოიცა განთქმული დეკრეტი (ბრძანებულება), რომლის ძალით მეპატრონეთაგან მიტოვებული ან შეჩერებული ყველა ფაბრიკა, ქარხანა და სახელოსნო ეძლეოდა მუშათა არტელებს წარმოების განსაახლებლად. და თითქოს იმისათვის, რომ ხაზგასმით აღენიშნა თავისი, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული, პროლეტარული მთავრობის ხასიათი, კომუნამ დაადგინა, ადმინისტრაციისა და მთავრობის თანამდებობის პირთა ჯამაგირი არ ყოფილიყო მუშათა ნორმალურ ხელფასზე მეტი და არავითარ შემთხვევაში არ გასცილებოდა 6 000 ფრანკს წელიწადში (200 მანეთზე ნაკლები თვეში).

ყველა ეს ღონისძიება საკმაოდ ნათლად მოწმობდა იმას, რომ კომუნა სასიკვდილო მუქარას წარმოადგენს ძველი სამყაროსათვის, რომელიც დაფუძნებულია დამონებასა და ექსპლოატაციაზე. ამიტომ ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეეძლო მშვიდად სძინებოდა, ვიდრე პარიზის ქალაქის საბჭოს თავზე პროლეტარიატის წითელი დროშა ფრიალებდა. და, ბოლოს, როდესაც მთავრობის ორგანიზებულმა ძალამ შესძლო გაემარჯვნა რევოლუციის ცუდად ორგანიზებულ ძალაზე, ბონაპარტეს გენერლებმა, დამარცხებულებმა გერმანელების მიერ და მამაცებმა დამარცხებულ თანამემამულეთა წინააღმდეგ, ამ ფრანგმა რენენკამპფებმა და მელერ-ზაკომელსკებმა მოაწყვეს ისეთი ჟლეტა, როგორიც პარიზს ჯერ არ ენახა. 30 000-მდე პარიზელი მოკლეს გამხეცებულმა ჯარისკაცებმა, 45 000-მდე დააპატიმრეს და მრავალი მათგანი შემდეგ სიკვდილით დასაჯეს, ათასობით ადამიანი გაგზავნეს კატორღაში და გადაასახლეს სამუდამოდ. საერთოდ, პარიზმა დაახლოებით 100 000 შვილი დაჰკარგა, მათ შორის — ყველა პროფესიის საუკეთესო მუშები.

ბურჟუაზია კმაყოფილი იყო. «ახლა სოციალიზმის საქმე დიდი ხნით გათავებულიაო!» — ამბობდა ბურჟუაზიის ბელადი, სისხლისმსმელი ქონდრისკაცი ტიერი იმ საშინელი სისხ-

ლისღვრის შემდეგ, რომელიც მან თავის გენერლებთან ერთად მოუწყო პარიზის პროლეტარიატს. მაგრამ ამაოდ ჩხაოდნენ ეს ბურჟუაზიული ყორნები. კომუნის დამარცხების დღიდან რაღაც ექვსი წლის შემდეგ, როცა მისი მრავალი მებრძოლი კიდევ იტანჯებოდა კატორღასა და გადასახლებაში, საფრანგეთში უკვე იწყებოდა ახალი მუშათა მოძრაობა. ახალმა, თავის წინამორბედთა გამოცდილებით გამდიდრებულმა სოციალისტურმა თაობამ, რომელიც სრულებითაც არ დაძაბუნებულა მათი დამარცხებით, ჩასჭიდა ხელი დროშას, რომელიც ხელიდან გაუვარდათ კომუნის მებრძოლთ, და მტკიცედ და მედგრად წაიღო იგი წინ ყიჟინით: «გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას! გაუმარჯოს კომუნას!» ხოლო ორიოდე წლის შემდეგ ახალმა მუშათა პარტიამ და საფრანგეთში მის მიერ გაჩაღებულმა აგიტაციამ აიძულა გაბატონებული კლასები გაეთავისუფლებინათ დატყვევებული კომუნარები, რომელნიც ჯერ კიდევ მთავრობის ხელში იყვნენ.

კომუნის მებრძოლთა ხსოვნას პატივით მოსავენ არა მარტო საფრანგეთის მუშები, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატიც. ვინაიდან კომუნა იბრძოდა არა რომელიმე ადგილობრივი ან ვიწრო ნაციონალური ამოცანისათვის, არამედ მთელი მშრომელი კაცობრიობის, ყველა დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა განთავისუფლებისათვის. კომუნამ, როგორც სოციალური რევოლუციისათვის მოწინავე მებრძოლმა, თანაგრძნობა მოიპოვა ყველგან, სადაც კი იტანჯება და იბრძვის პროლეტარიატი. კომუნის სიცოცხლისა და სიკვდილის სურათმა, სახემ მუშათა მთავრობისამ, რომელმაც ხელთ იგდო და ორ თვეზე მეტხანს ეპყრა მსოფლიოს დედაქალაქი, პროლეტარიატის გმირული ბრძოლისა და დამარცხების შემდეგ მისი ტანჯვის სანახაობამ, — ყოველივე ამან სულით აამაღლა მრავალი მილიონი მუშა, აღძრა მათი იმედი და მათი თანაგრძნობა მოუპოვა სოციალიზმს. პარიზის ზარბაზნების გრგვინვამ ღრმა ძილისაგან გამოაღვიძა პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილი ფენები და ყველგან გააძლიერა რევოლუციურ-

სოციალისტური პროპაგანდა. აი ამიტომაა, რომ კომუნის საქმე არ მომკვდარა; იგი დღემდე ცოცხლობს თვითეულ ჩვენგანში.

კომუნის საქმე — ეს სოციალური რევოლუციის საქმეა, მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმეა, ეს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა. და ამ აზრით იგი უკვდავია.

«რაბოჩაია გაზეტა» № 4 — 5,
1911 წ. 15 (28) აპრილი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

ძალაუფლების სოციალური სტრუქტურისა, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის შესახებ

სათაურში აღნიშნულ საკითხებს თავისი მნიშვნელობით, თუ უპირველესი არა, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს იმ მარქსისტის შეხედულებათა სისტემაში, რომელსაც სურს გაერკვეს მის გარემომცველ სინამდვილეში. 1908 — 1910 წლების პერიოდი უეჭველად რაღაც თავისებურს წარმოადგენს. საზოგადოებისა და ძალაუფლების სოციალური სტრუქტურა ხასიათდება იმ ცვლილებებით, რომელთა გაურკვევლად შეუძლებელია ნაბიჯის გადადგმა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროში. ამ ცვლილებათა გარკვევაზეა დამოკიდებული პერსპექტივების საკითხი, რაც ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის არა როგორც უსაფუძვლო მკითხაობა იმაზე, რაც არავინ იცის, არამედ როგორც ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები, — ის ტენდენციები, რომელთა ტოლქმედი განსაზღვრავს ქვეყნის უახლოეს მომავალს, ის ტენდენციები, რომელნიც განსაზღვრავენ ყოველი შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწის მუშაობის ამოცანებს, მიმართულებასა და ხასიათს. ხოლო ეს უკანასკნელი საკითხი მუშაობის ამოცანების, მიმართულებისა და ხასიათის შესახებ მჭიდროდ უკავშირდება ლიკვიდატორობის საკითხს.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ უკვე 1908 წელს, როგორც კი გამოირკვა ან დაიწყო გამორკვევა, რომ ჩვენს წინაშეა რუსეთის ისტორიის ერთგვარი ახალი, თავისებური პერიოდი, მარქსისტებმა დღის წესრიგში დააყენეს სწორედ

ძალაუფლების სოციალური სტრუქტურის, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის საკითხი, მათ აღნიშნეს ამ საკითხების განუყრელი კავშირი, სისტემატურად განიხილეს ისინი. შემდეგ, მარქსისტები მარტო მათს განხილვას როდი დასჯერდნენ, — ეს იქნებოდა სწორედ მოლიტერატორობა ამ სიტყვის ცუდი აზრით, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ ინტელიგენტთა სადისკუსიო წრეში, რომელნიც არ გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას და უდარდელნი არიან პოლიტიკაში, — არა, მარქსისტებმა გამოიმუშავეს განხილვის შედეგების ზუსტი ფორმულირება, ისეთი ფორმულირება, რომლითაც შეეძლო ეხელმძღვანელნა არა მარტო ამა თუ იმ ლიტერატურული წრის წევრს, არა მარტო განსაზღვრულ ინტელიგენტურ კატეგორიასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ ადამიანს, არამედ კლასის ყველა, ყოველ და თვითეულ შეგნებულ წარმომადგენელს, რომელიც მარქსიზმს თავის იდეოლოგიად თვლის. 1908 წლის დამლევისთვის ეს აუცილებელი მუშაობა დამთავრებული იყო.

თუ როგორია ამ მუშაობის უმთავრესი შედეგები, მე უკვე ვთქვი ჩვენი ჟურნალის მე-2 ნომერში. იმისთვის, რომ შემდგომი გადმოცემა გასაგები გახდეს, ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო იქიდან რამდენიმე სტრიქონი.

«რუსეთის სახელმწიფო წყობილების განვითარება უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე გვიჩვენებს, რომ იგი თავის კლასობრივ ხასიათს იცვლიდა ერთი განსაზღვრული მიმართულებით. XVII საუკუნის მონარქია ბოიარინთა სათათბიროთი არა ჰგავს XVIII საუკუნის მოხელურ-თავადაზნაურულ მონარქიას. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მონარქია ის არ არის, რაც 1861 — 1904 წლების მონარქია. 1908 — 1910 წლებში აშკარად გამოისახა ახალი ხანა, რაც მოასწავებს კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას იმავე მიმართულებით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მიმართულება ბურჟუაზიული მონარქიისაკენ. ამ ნაბიჯთან მჭიდროდ დაკავშირებულია III სათათბიროც და ჩვენი თანამედროვე აგრარული პოლიტიკაც. ამრიგად, ახალი ხანა შემთხვევითი მოვ-

ლენა როდია, არამედ თავისებური საფეხურია ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ევოლუციაში. ეს ახალი ხანა არა სწყვეტს ძველ პრობლემებს, მას არც ძალუძს მათი გადაწყვეტა, მაშასადამე, ვერც იცილებს მათ, იგი მოითხოვს მომზადების ახალი ხერხების გამოყენებას ძველი პრობლემების ძველებურად გადაწყვეტისათვის» (№ 2, გვ. 43). და რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ: «ისინი, ვინც უარყოფს, ან ვისაც არ ესმის... რომ ჩვენს წინაშე ძველი პრობლემები დგას, რომ ჩვენ გვინდა მათი ძველებური გადაწყვეტა, ისინი ნამდვილად სტოვებენ მარქსიზმის ნიადაგს, ისინი ნამდვილად ტყვედ უვარდებიან ლიბერალებს (როგორც ბ-ნი პოტრესოვი, ბ-ნი ლევიცკი და სხვ.)» (გვ. 44) *.

ვინც და რანაირადაც უნდა შეხედოს ამ დებულებებში გამოხატულ იდეათა წრეს, არა მგონია შეიძლებოდეს იმის უარყოფა, რომ აღნიშნული პერიოდის ამ შეფასებაში ცალკე ნაწილთა უაღრესად მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. აიღეთ, მაგალითად, 1906 წ. 9 ნოემბრის ბრძანებულება (1910 წლის 14 ივნისის კანონი): სრულიად უდავოა, რომ მას აქვს აშკარად გამოსახული ბურჟუაზიული ხასიათი, რაც მოასწავებს პრინციპულ შებრუნებას იმ აგრარულ პოლიტიკაში, რომელსაც დიდი ხანია ატარებდნენ «ზედაფენები» თემისა და სანადელო მიწათმფლობელობის მიმართ. მაგრამ, ამ პრინციპულ შებრუნებას რომ უკვე გადაეწყვიტოს საკითხი, უკვე შეექმნას კაპიტალისტური გლეხური მეურნეობის ახალი ბაზები, უკვე თავიდან მოეცილებინოს ძველი პრობლემები, ამის მტკიცებას დღემდე ვერ ბედავდნენ თვით ყველაზე უპრინციპო და ფეხის ხმის ამყოლი კადეტების მაგვარი ადამიანებიც კი. 1910 წ. 14 ივნისის კანონის კავშირი III სათათბიროს არჩევნების სისტემასა და მის სოციალურ შემადგენლობასთან აშკარაა: ფეოდალურ (ვიხმაროთ ეს არა სავსებით ზუსტი, ზოგადევროპული გამოთქმა) მემამულეებსა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ზედაფენებთან ცენტრალური ხელისუფლების კავშირის გა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 62 — 64. რედ.

რეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ კანონის განხორციელება, მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება მის შემოსაღებად. მაშასადამე, ჩვენს წინაშეა ქვეყნის მ თ ე ლ ი კაპიტალისტური ევოლუციის თავისებური საფეხური. სპობს თუ არა ეს საფეხური ფეოდალური ტიპის მიწათმფლობელთა ხელში — სოციოლოგიურად რომ ვთქვათ — «ძალაუფლებისა და შემოსავლის» შენარჩუნებას? არა, არა სპობს. როგორც ამ, ისე ყველა სხვა სფეროში მომხდარი ცვლილებები არ სპობენ ძველი რეჟიმის ძ ი რ ი თ ა დ ნიშნებს, სოციალურ ძალთა ძველ ურთიერთდამოკიდებულებას. აქედან გასაგებია შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწის ძირითადი ამოცანა: ანგარიში გაუწიოს ამ ახალ ცვლილებებს, «გამოიყენოს» ისინი, მოიცვას ისინი — თუ შეიძლება ასე ითქვას — და ამავე დროს უმწეოდ არ გაჰყვეს მდინარებას, არ უკუაგდოს ძველი ბაგაჟი, შეინარჩუნოს ძირითადი რამ მოქმედების ფორმებშიც, და არა მარტო თეორიაში, პროგრამაში, პოლიტიკის პრინციპებში.

იბადება კითხვა: როგორ შეხვდნენ «წყეულ საკითხებზე» ჩამოყალიბებულ ამ პასუხს, გარკვეულ შეხედულებათა ამ პირდაპირ და ნათელ გადმოცემას ის «იდეური ხელმძღვანელები», რომელნიც თავს იყრიან «ვოზროჟდენიეს», «ჟიზნის», «დელო ჟიზნის», «ნაშა ზარიას» და სხვა ამგვარი ტიპის გამოცემათა გარშემო, ბატონი პოტრესოვი და მარტოვი, დანი და აქსელროდი, ლევიცკი და მარტინოვი? ისინი ამას შეხვდნენ სწორედ არა როგორც პოლიტიკოსები, არა როგორც «იდეური ხელმძღვანელები», არა როგორც პასუხისმგებელი პუბლიცისტები, არამედ როგორც ლიტერატორთა კატეგორია, როგორც ინტელიგენტთა წრე, როგორც თანამოკალმეთა თავისუფალი ჯგუფების თავისუფალი მშვილდოსნები. მათ, — როგორც ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც კარგად იციან ლიბერალურ სალონებში დამყარებული მოდისა და დროების სულიერი განწყობილება, — ტუჩაკვრით დასცინეს ამ მოძველებულ, დრომოჭმულ, უცნაურ მიდრეკილებას წყეულ საკითხებზე ჩამოყალიბებული პასუხისადმი. რა საჭიროა ეს გარკვეულობა, როდესაც შეიძლება წეროთ სადაც

გინდათ, რაზედაც გინდათ, რაც გინდათ. და როგორც გინ-
დათ? როდესაც ბატონი მილიუკოვები და ბატონი სტრუვეები
იძლევიან ყველა იმ სარგებლობის, მოხერხებულობისა და
უპირატესობის მშვენიერ ნიმუშებს, რაც გამომდინარეობს
პირდაპირი პასუხის, შეხედულებათა ზუსტი გადმოცემის, ჩამო-
ყალიბებული **professions de foi**-ს * თავის არიდებიდან და
სხვა? როდესაც გულმავიწყი ივანეები (განსაკუთრებით ის
ივანეები, რომელთაც არ უყვართ წინანდელი გარკვეულობის
გახსენება) «საზოგადოების» უფართოეს წრეებში დიდი პატი-
ვისცემით სარგებლობენ?

ასე, მთელი სამი წლის განმავლობაში ლიტერატორთა
მთელ ამ კომპანიას ოდნავადაც კი არ უცდია დაეპირისპირე-
ბინა თ ა ვ ი ს ი ჩამოყალიბებული პასუხი «წყეულ საკითხებ-
ზე». იგავით ლაპარაკი და უშინაარსო ჰიპოთეზები რამდენიც
გნებავთ იმდენი იყო, ხოლო პირდაპირი პასუხი — არც ერთი.
ამ კომპანიის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თვისება იყო
სიყვარული უ ს ა ხ ო ბ ი ს ა დ მ ი, ე. ი. სწორედ ისეთი ნიშ-
ნისადმი, რომელიც ყველაზე გარკვეულად, ყველაზე ზუსტად
და ნათლად იყო აღიარებული ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ი ს
ცნების შემადგენელ ელემენტად მ ა შ ი ნ ვ ე, როცა პირდა-
პირ პასუხს იძლეოდნენ წყეულ საკითხებზე. უსახურად გაჰ-
ყვე მდინარებას, ისიამოვნო საკუთარი უსახობით, «ჯვარი
დაუსვა» იმას, რაც ეწინააღმდეგება უსახო აწმყოს, ეს არის
სწორედ ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ლიკვიდატორობისა.
ოპორტუნისტები ყველგან და ყოველთვის პასიურად მიჰყვე-
ბიან მდინარებას, სჯერდებიან პასუხს «შემთხვევიდან შემთხ-
ვევამდე», ერთი (მთვრალი) ყრილობიდან მეორე (საფაბრიკო)
ყრილობამდე [58], სჯერდებიან ხან ერთი (თუნდაც მეტად საპა-
ტიო და სასარგებლო: პროფესიული, სამომხმარებლო, კულ-
ტურული, სიფხიზლის საზოგადოებისა და სხვ.) «საზოგადო-
ების» გაერთიანებას, ხან მეორე საზოგადოებისა და სხვა.
ლიკვიდატორობა არის ერთობლიობა იმ ტენდენციებისა,

* — პროგრამებისა. რ ე დ.

რომლებიც ახასიათებენ საერთოდ ყოველ ოპორტუნიზმს, და რომლებიც რუსეთის ისტორიის ერთ-ერთ პერიოდში გარკვეული კონკრეტული ფორმებით იჩენენ თავს ერთ-ერთ ჩვენს სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებაში.

ისტორიამ შეგვინახა მხოლოდ ორი ზუსტი შეფასება, რაც ლიკვიდატორებმა მისცეს ზემოთ გადმოცემულ «პირდაპირ პასუხს» (წყეულ საკითხებზე). პირველი შეფასება: ზედსართავი — ბურჟუაზიული უნდა შეცვლილიყო ზედსართავით — პლუტოკრატიული. — მაგრამ ასეთი შეცვლა სრულიად უმართებულო იქნებოდა. 1861 — 1904 წლების ეპოქა გვიჩვენებს ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში პლუტოკრატიის გავლენის ზრდას, ხშირად კი მის უპირატეს გავლენასაც. 1908 — 1910 წლების ეპოქაში ჩვენ ვხედავთ, «პლუტოკრატიისაგან» გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, იმის შედეგებს, თუ თავისი თავის კლასად შემცნობი ბურჟუაზია, იმ გაკვეთილების გამთვალისწინებელი ბურჟუაზია, რომლებიც მისცა მის კლასობრივ თვითშეგნებას წინა სამმა წელიწადმა, როგორა ქმნის იდეოლოგიას, რომელიც პრინციპულად მტრობს სოციალიზმსაც (ამასთან არა საერთო-ევროპულს, არა სოციალიზმს საზოგადოდ, არამედ სწორედ რუსულ სოციალიზმს) და დემოკრატიასაც. ეს კიდევ ცოტაა. ბურჟუაზია ორგანიზებულია საერთო-ნაციონალური მასშტაბით, ე. ი. სწორედ როგორც კლასი, რომლის გარკვეული ნაწილი მუდამ წარმოდგენილია (და ძალიან გავლენიანად წარმოდგენილია) III სათათბიროში. ბოლოს, 1908 — 1910 წლების აგრარულ პოლიტიკაშიც არის სისტემა, რომელიც ატარებს ბურჟუაზიული აგრარული წყობის განსაზღვრულ გეგმას. ეს გეგმა დღემდე «არ გამოდის», ეს უეჭველია, მაგრამ ეს მარცხი ე რ თ-ე რ თ ი ბურჟუაზიული სისტემის მარცხია პ ლ უ ტ ო კ რ ა ტ ი ი ს უეჭველი «წარმატების» დროს სოფლად: ესე იგი სოფლის პლუტოკრატია 1908 — 1910 წლების აგრარული პოლიტიკით უსათუოდ იგებს, მაგრამ ის ბურჟუაზიული წყობა, რომელსაც დიდი მსხვერპლი ეწირება, ჯერ კიდევ არ «ეწყობა». ერთი სიტყვით, ტერმინის «პლუტოკრატიულის» წამოყენება არავითარ

შემთხვევაში არ ვარგა, და იმდენად არ ვარგა, რომ, ეტყობა, თვითონ ლიკვიდატორებიც ამჯობინებენ დაივიწყონ ეს წინადადება.

მეორე შეფასება: ზემოაღნიშნული პასუხი სწორი არ არისო იმიტომ, რომ შეიცავს რჩევას — «იქით მივაწვეთ, სადაც ერთხელ განვიცადეთ» [59]... მარცხიო. ეს მოკლე, მაგრამ ენერგიული შეფასება იმითია საგულისხმო, რომ მკაფიო ფორმით გამოხატა ლიკვიდატორების ყველა ლიტერატურული გამოსვლის შედეგები, დაწყებული პოტრესოვის «საზოგადოებრივი მოძრაობით» და გათავებული ბ-ნ ლევიცკით «ნაშა ზარიაში». ამ შეფასების შინაარსი — წმინდა უარყოფითია; იგი სჯერდება «იქით მიწოლის» მისწრაფების დაგმობას და ამავე დროს არავითარ დადებით მითითებებს არ იძლევა იმაზე, თუ ს ა ი თ უნდა «მივაწვეთ». გაჰყევით მდინარებას, როგორც გეხერხებოდეთ, როგორც «ყველა» მიჰყვება, ხოლო განზოგადებას იმის შესახებ, თუ ამას სად მივყავართ და სად უნდა მიგვიყვანოს, თავი დავანებოთო.

მაგრამ, ძალიანაც რომ უნდოდეთ ოპორტუნისტებს მოისვენონ ყოველგვარი განზოგადებისაგან, თავიდან აიცილონ «არასასიამოვნო» ლაპარაკი «წყეულ საკითხებზე» პირდაპირი პასუხის გაცემის შესახებ, ეს მაინც შეუძლებელი ხდება. ბუნება თავისას გაიტანსო. ისტორიის ირონიამ საქმე ისე მოაწყო, რომ იგივე ლიკვიდატორები, რომელთაც «კონსერვატიზმს» მოკლებულ «მოწინავე» ადამიანებად მოაქვთ თავი და რომელნიც 1908 წელს ზიზღით იჭმუხნიდნენ სახეს პირდაპირი პასუხის აუცილებლობაზე მითითებების გამო, — თ ი თ ქ მ ი ს წ ე ლ ი წ ა დ ნ ა ხ ე ვ რ ი ს შ ე მ დ ე გ, 1910 წლის ზაფხულში, იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ ამ მითითებებისათვის. და ისინი იძულებული გახადეს ასე მოქცეულიყვნენ მათს საკუთარ ბანაკში მომხდარმა ამბებმა. ის იყო სრულებით უნდა აეცილებინათ თავიდან პირდაპირი პასუხის გაცემა, რომელსაც მოითხოვდნენ სადღაც საზიზღარ, დრომოჭმულ, გაქვავებულ, ყოვლად უმაქნისო, მავნე «დაკარგულ ადგილებში», — და უცებ, წელიწადნახევრის შემდეგ, თვით

ლიკვიდატორთა შორის ჩნდება «მიმდინარეობა», რომელიც აგრეთვე პირდაპირ პასუხს მოითხოვს და თამამად იძლევა პირდაპირ პასუხს!

«თამამის» როლში, როგორც მოსალოდნელიც იყო, გამოვიდა ი. ლარინი, მაგრამ ამხანად ის უკვე მარტო არ არის. ლარინი, როგორც ვიცით, არის ოპორტუნიზმის **enfant terrible** *. მას ახასიათებს ის, ოპორტუნისტების თვალსაზრისით, უდიდესი ნაკლი, რომ სერიოზულად, გულწრფელად, მოფიქრებულად ეკიდება მათში დასახულ ტენდენციებს, ცდილობს შეაერთოს ისინი ერთ მთელად, ბოლომდე მოისაზროს, მიიღოს პირდაპირი პასუხი, გამოიყვანოს პრაქტიკული დასკვნები. მათ, ვინც იცნობს ლარინის წიგნს მუშათა ფართო პარტიის შესახებ, — ეს წიგნი გამოვიდა 3 — 4 წლის წინათ,— ალბათ, ემახსოვრებათ, როგორ დაახრჩო მან თავისი მხურვალე მოხვევნით აქსელროდის ყბადაღებული მუშათა ყრილობის იდეა.

1910 წლის მარტიდან ლარინმა «ვოზროჟდენიეში» დაიწყო მთელი რიგი სტატიების ბეჭდვა სწორედ ძალაუფლების სოციალური სტრუქტურის, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის საკითხზე. მას შეუერთდა ბ-ნი პილეცკი. ორივე ამ მწერალმა ნეოფიტური სიცხარით მოჰკიდა ხელი ამ საკითხებს, რომელთა პირდაპირ პასუხს ისინი თავის, ლიკვიდატორულ, ბანაკში ამაოდ ეძებდნენ, და დაიწყეს დაუფარავად ყველაფრის გადმოშლა. თანამედროვე რუსეთში ბატონყმობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ხელისუფლება უ კ ვ ე ბურჟუაზიულ ხელისუფლებად გადაგვარდაო. «როგორც პირველ, ისე მეორე ელემენტს, — ამბობს ლარინი, ცალკე გამოჰყოფს რა ყბადაღებულ «მესამე ელემენტს», — შეუძლიათ მშვიდად იძინონ: 1905 წ. ოქტომბერი დღის წესრიგში არა დგას» («ვოზროჟდენიე» № 9 — 10, გვ. 20). «სათათბირო რომ გაეუქმებინათ, მას კიდევ უფრო მალე აღადგენდნენ. ვიდრე ეს მოხდა რევოლუციის შემდეგდროინდელ ავსტრიაში, რომელ-

* — უტაქტო ბავშვი. რ ე დ.

მაც 1851 წელს გააუქმა კონსტიტუცია, რათა კვლავ ელიარებინა იგი 1860 წელს, 9 წლის შემდეგ, სრულიად ურევოლუციოდ, მხოლოდ თავისი მეურნეობის კაპიტალისტურად გარდამქმნელი გაბატონებულ კლასთა უაღრესად გავლენიანი ნაწილის ინტერესების გულისთვის. შემდეგში, როცა დამკვიდრდება ბურჟუაზიული ურთიერთობის საზოგადოებრივი წყობილება, გაბატონებულ კლასთა სხვადასხვა ფენების ურთიერთშორის ბრძოლა მათ აიძულებს ჩვენშიც, როგორც ყველგან, გააფართოონ საარჩევნო უფლების ფარგლები»... (იქვე, გვ. 26). «კაპიტალისტურ სამყაროსთან რუსეთის ზიარების პროცესი... გვირგვინდება პოლიტიკურ სფეროშიც. ეს დაგვირგვინებაა — ახლანდელ სტადიაზე იმ საერთო-ნაციონალური რევოლუციური მოძრაობის შეუძლებლობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს» (გვ. 27).

«ამრიგად» (ლარინის დასკვნით), «რაკი ძალაუფლება «თითქმის მთლად» სულაც არ უპყრიათ მიწათმფლობელ ფეოდალებს, ამიტომ «მიწისა და ქარხნის კაპიტალისტთა» ძალაუფლებისთვის ბრძოლაც ფეოდალების წინააღმდეგ — არ შეიძლება გადაიქცეს საერთო-ნაციონალურ ბრძოლად არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ» (№ 11, გვ. 9)... «მომავალი «საერთო-ნაციონალური აღმავლობის» იმედით საკუთარი ტაქტიკური გეზის გამომუშავება უნაყოფო მოლოდინის მომასწავებელი იქნებოდა» (იქვე, გვ. 11). «ორ სკამს შუა ჯდომა არ შეიძლება. თუ არაფერი შეცვლილა ძალაუფლების სოციალურ ხასიათში, მაშინ მოქმედების ამოცანებიცა და ფორმებიც წინანდელი უნდა დარჩეს, მაშინ დაგვრჩენია მხოლოდ «ვებრძოლოთ ლიკვიდატორებს». ხოლო თუ ვისმე უნდა წინ წავიდეს, ახალი აშენოს დაშლილის, უვარგისად ქცეულის, ძველის ნაცვლად, განსაგრძობად და სადიდებლად, — დაე მან თანამიმდევრად გაითვალისწინოს შენების პირობები» (იქვე, გვ. 14).

განა გულუბრყვილო არ არის ეს ლარინი? მოითხოვს, რომ ოპორტუნისტები «თანამიმდევარნი» იყვნენ, რომ ისინი «ორ სკამს შუა არ ისხდნენ»!

«ვოზროჟდენიეს» რედაქცია დაიბნა. მე-9 — 10 ნომერში ის აცხადებს, ლარინს არ ვეთანხმებიო, და წერს: «აზრის სიახლე» (ლარინს აქვს), მ ა გ რ ა მ «ი. ლარინის სტატიებმა ჩვენ ვერ დაგვარწმუნესო». მე-11 ნომერში, ჩანს, რედაქციის სახელით, ლარინის წინააღმდეგ გამოვიდა ვ. მიროვი, რომელმაც აღიარა, რომ ლარინისა და პილეცკის სახით «ჩვენს წინაშეა განსაზღვრული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, თეორიულად ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებული, მაგრამ მეტად მკაფიო ენით მოლაპარაკე» (უდიდესი ნაკლია, ოპორტუნისტების თვალსაზრისით!). «ლარინი — წერდა ბ-ნი მიროვი — გზადაგზა და სრულიად მოულოდნელად შეეხო» (ხედავთ? ეს «მეტად მკაფიო ენით მოლაპარაკე» მოუსვენარი ლარინი ყოველთვის უსიამოვნებას აყენებს თავის მეგობრებს!) «აგრეთვე მეორე საკითხს ლიკვიდატორობის შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ პარტიული მშენებლობის ფორმებსა და რუსეთის მთავრობის ბუნებას შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს, და ჩვენ უფლებას ვიტოვებთ ცალკე ვილაპარაკოთ ამაზეო» (გვ. 22, 1910 წ. 7 ივლისის ნომერი).

ამ «ჩვენის» სახელით «ჟიზნის» პირველ ნომერში (1910 წ. 30 აგვისტოს) «ცალკე ილაპარაკა» უკვე ლ. მარტოვმა, რომელმაც განაცხადა, «შემიძლია მხოლოდ შევუერთდე» (გვ. 4) ვ. მიროვს და რედაქციას ლარინის წინააღმდეგაო. ამრიგად, მთელ ამ დისკუსიაში ლიკვიდატორებს შორის უკანასკნელი სიტყვა თქვა ლ. მარტოვმა.

ჩავუკვირდეთ ლიკვიდატორობის ამ უკანასკნელ სიტყვას.

მარტოვი, როგორც ყოველთვის, საქმეს ძალიან მარჯვედ და ძალიან... «მოხერხებულად» ჰკიდებს ხელს. ის იწყებს იმით, რომ «ჩვენში მაშინვე, 1907 წლის 3 ივნისის შემდეგ, გულმოდგინედ დაუწყეს ძებნა ბურჟუაზიას ძალაუფლების სათავეში ანუ ძალაუფლების მქონე ბურჟუაზიას». «3 ივნისის რეჟიმი არის რეჟიმი რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ბატონობისა. ამ სქემას ერთნაირად ღებულობდნენ როგორც მენშევიკ-მწერალთა აღნიშნული ჯგუფი (ლარინი, პილეცკი), ისე მათი ანტიპოდები, მართლმორწმუნე ბოლშე-

ვიკები, რომელნიც 1908 წელს» წერდნენ «რუსეთში ბურჟუაზიული მონარქიის წარმოშობის შესახებ».

განა ეს «მოხერხებულობის» თვალმარგალიტი არ არის? ლარინი უსაყვედურებს მარტოვს ორ სკამს შუა ჯდომას, აღიარებს რა პირდაპირ, ყოველგვარი ლაქუცობისა და ეშმაკობის გარეშე, — უნდა ვებრძოლოთ ლიკვიდატორებს, თუ ხელახლა არ გადაკეთდა ის პასუხი წყეულ საკითხებზე, რომელიც «მართლმორწმუნეებმა» მოგვცესო.

მარტოვი კი «მარჯვედ» გადადის ყირამალას ჰაერში და ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები (რომელთაც 1910 წლის აგვისტოში არავითარი საშუალება არ ჰქონდათ მოესმინათ მეორე მხარე), რომ «ამ სქემას» «ერთნაირად ღებულობდნენ» როგორც ლარინი, ისე «მართლმორწმუნენი»!!

ეს მოხერხებულობა ბურენინისებური ან მენშიკოვისებური მოხერხებულობაა [60], ვინაიდან შეუძლებელია ჭეშმარიტებიდან ამაზე უფრო ურცხვი... გადახვევის წარმოდგენა.

«ლიტერატურულ დისკუსიებში ჩვეულებრივ ივიწყებენ, თუ სახელდობრ ვინ «დაიწყო», — წერს, სხვათა შორის, მარტოვი იქვე. მართალია, ეს ხდება ლიტერატორთა დისკუსიებში, როცა არავითარი ლაპარაკი არაა წყეულ საკითხებზე ზუსტი, ჩამოყალიბებული პასუხის შემუშავებაზე. მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ არა ლიტერატორთა და არა მხოლოდ ლიტერატურულ «დისკუსიასთან», როგორც ეს ჩინებულად, ზედმიწევნით, ნამდვილად და უშუალოდ იცის ლ. მარტოვმა, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს «ჟიზნის» მკითხველები. მარტოვმა მშვენივრად იცის, თუ როგორია ეს ჩამოყალიბებული პასუხი, რომელსაც მხარს უჭერენ «მართლმორწმუნენი». მარტოვმა მშვენივრად იცის, რომ სწორედ ამ პასუხს ებრძვის ლარინი, რომელიც მას უწოდებს «გაქვავებულ შაბლონს», «ჰაეროვანი კოშკების აგებას» და სხვა. მარტოვმა მშვენივრად იცის, რომ ის თვითონ და ყველა მისი თანამოაზრენი და კოლეგები უარყოფდნენ «მართლმორწმუნეთა» ჩამოყალიბებულ პასუხს. მარტოვმა მშვენივრად იცის, თუ «ვინ დაიწყო სახელდობრ»; ვინ და-

იწყო (და დაამთავრა) ზუსტი პასუხის შემუშავება, ვინ დასჯერდა ხითხითს და უთანხმოების გამოთქმას და ამავე დროს ა რ ა ვ ი თ ა რ ი პასუხი არ მოუცია და არც გვაძლევს.

შეუძლებელია წარმოიდგინო იმაზე უფრო აღმაშფოთებელი, უფრო არაკეთილსინდისიერი ოინბაზობა, როგორიც ლ. მარტოვის ეს ოინბაზობაა! ლარინმა თავისი პირდაპირობითა და გულახდილობით გული ატკინა ლიკვიდატორობის დიპლომატებს, როცა აღიარა (თუმცა 1½ წლის შემდეგ), ზუსტ პასუხს ვერ შეველევითო. სიმართლე თვალსა სჭრის. და ლ. მარტოვი ცდილობს მოატყუოს მკითხველი, ისე დაგვიხატოს საქმე, თითქოს ლარინი და მართლმორწმუნენი «ერთნაირ სქემას» ღებულობდნენ, — თუმცა ნამდვილად ეს სქემები ერთმანეთს ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ი ა ნ: ლარინის სქემიდან გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ლიკვიდატორობის გამართლება, «მართლმორწმუნეთა» სქემიდან კი — ლიკვიდატორობის დაგმობა.

თავისი ოინბაზობის დასაფარავად მარტოვი «სქემიდან» იღებს ე რ თ სიტყვას და ამით ამახინჯებს იმ კავშირს, რომელშიც იგი იმყოფება (ხერხი, რომელიც ბურენინმა და მენშიკოვმა ზედმიწევნით დაამუშავეს). მართლმორწმუნენი, გვარწმუნებს მარტოვი, წერდნენ «რუსეთში ბურჟუაზიული მონარქიის წარმოშობაზე», — ლარინი წერს იმაზე, რომ რუსეთში ბატონყმობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რომ ძალაუფლება უკვე ბურჟუაზიულია, — «მ ა შ ა ს ა დ ა მ ე», ლარინისა და მართლმორწმუნეთა სქემები «ე რ თ ნ ა ი რ ი ა ო»!! ფოკუსი გათავებულია. მარტოვის დამჯერე მკითხველი გაბრიყვებულია.

ნამდვილად კი მართლმორწმუნეთა «სქემა», უფრო სწორად: მართლმორწმუნეთა პასუხი ამბობს, რომ ძველი ხელისუფლება რუსეთში «კ ი დ ე ვ ე რ თ ნ ა ბ ი ჯ ს ს დ გ ა მ ს ბურჟუაზიულ მონარქიად გ ა დ ა ქ ც ე ვ ი ს გ ზ ა ზ ე», ამასთან იგი იცავს კაპიტალისტური განვითარების სწორედ ისეთ გზას, რომელიც «ს წ ო რ ე დ ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ტ ი პ ი ს მიწათმფლობელებს შ ე უ ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ დ ა ძალაუფლებას

და შემოსავალს», — რომ საქმის ამ ვითარების შედეგად «ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფაქტორები», XX საუკუნის დასაწყისის პირველი კრიზისი რომ «გამოიწვიეს», «განაგრძობენ მოქმედებას».

ლარინი ამბობს: ძალაუფლება უკვე ბურჟუაზიულია, ამიტომ ფეოდალების «ძალაუფლების შენარჩუნებაზე» მხოლოდ «გაქვავებული შაბლონის» მომხრენი ლაპარაკობენ, ამიტომ წინანდელი აღმავლობის «ძირითადი ფაქტორები» აღარ განაგრძობენ მოქმედებას, ამიტომ უნდა ვაშენოთ რაღაც ახალი ««უვარგისად ქცეული ძველის» ნაცვლადაო».

«მართლმორწმუნენი» ამბობენ: ხელისუფლება კიდევ ერთ ნაბიჯს სდგამს ბურჟუაზიულ (არა საერთოდ ხელისუფლებად, არამედ) მონარქიად გადაქცევის გზაზე, ამასთან რეალური ძალაუფლება რჩებათ, შენარჩუნებული აქვთ ფეოდალებს, ასე რომ წინანდელ ტენდენციათა «ძირითადი ფაქტორები», წინანდელი ტიპის ევოლუციები «განაგრძობენ მოქმედებას», და ამიტომ «უვარგისად ქცეულ ძველზე» მოლაპარაკენი არიან ლიკვიდატორები, რომელნიც სინამდვილეში ტყვედა ჰყავთ ლიბერალებს.

ორივე სქემის, ორივე პასუხის წინააღმდეგურობა აშკარაა. ჩვენს წინაშეა ორი სხვადასხვა მთლიანი პასუხი, რომლებსაც სხვადასხვა დასკვნებამდე მივყავართ.

მარტოვი თვალთმაქცობს à la * ბურენინ, იმოწმებს იმას, რომ ორივე პასუხში «ბურჟუაზიული მონარქიის წარმოშობაზეა ლაპარაკი». ასეთივე უფლებით შეიძლებოდა დაგვემოწმებინა ის, რომ ორივე პასუხი აღიარებს რუსეთის კაპიტალისტური განვითარების განგრძობას! კაპიტალისტური განვითარების საერთო აღიარების (ყველა მარქსისტისა და ყველა იმათ მიერ, ვისაც სურს მარქსისტი იყოს) ნიადაგზე წარმოებს დავა მისი სიმაღლის, ფორმისა და პირობების შესახებ. მარტოვი კი სადავოს ხლართავს, რათა უდავო გაასაღოს დისკუსიის საგნად! ძველი ხელისუფლების ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზით განვი-

* — მსგავსად. რედ.

თარების ს ა ე რ თ ო აღიარების (ყველა მარქსისტისა და ყველა იმათ მიერ, ვისაც სურს მარქსისტი იყოს) ნიადაგზე წარმოებს დავა ამ გარდაქმნის ოდენობის, ფორმის, პირობებისა და მსვლელობის შესახებ, — მარტოვი კი სადავოს ხლართავს (გრძელდება თუ არა წინანდელი ფაქტორების მოქმედება? დასაშვებია თუ არა ძველი ფორმების უარყოფა? და სხვ.), რათა უდავო გაასაღოს დისკუსიის საგნად!

XIX და XX საუკუნეების რუსეთში რომ ხელისუფლება საერთოდ ვითარდება «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზით», ამას ლარინი არ უარყოფს, როგორც დღემდე არ უარყოფდა ამას ა რ ც ე რ თ ი ჭკუათამყოფი ადამიანი, რომელსაც სურს მარქსისტი იყოს. წინადადება — ზედსართავი ბურჟუაზიული შეცვლილ იქნას სიტყვით პლუტოკრატიული — სწორად ვერ აფასებს გარდაქმნის ო დ ე ნ ო ბ ა ს, მაგრამ ის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ ვერ ბედავს უარყოს, რომ ნამდვილი «გზა», გზა რეალური ევოლუციისა სწორედ ამ გარდაქმნაში მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს. აბა გაბედოს მან მტკიცება, რომ 1861 — 1904 წლების მონარქია (ე. ი. უეჭველად ნაკლებ კაპიტალისტური თანამედროვესთან შედარებით) ა რ წარმოადგენს ნიკოლოზის ეპოქასთან, ბატონყმურ ეპოქასთან შედარებით ე რ თ-ე რ თ ნაბიჯს «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე»!

მარტოვი არათუ არ ცდილობს დაამტკიცოს ეს, არამედ, პირიქით, «უერთდება» ვ. მიროვს, რომელიც, უპასუხებს რა ლარინს, იმოწმებს სწორედ ვიტეს რეფორმებისა და აგრეთვე 60-იანი წლების რეფორმების ბურჟუაზიულ ხასიათს!

დაე ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს მიროვისა და მარტოვის «მოხერხებულობა». ჯერ ისინი ლარინის წინააღმდეგ იმეორებენ იმ საბუთებს, რომლებიც «მართლმორწმუნეებმა» წ ე ლ ი წ ა დ ნ ა ხ ე ვ რ ი ს წინათ მოიყვანეს მარტოვისა და მიროვის უახლოესი მეგობრების, თანამოაზრეებისა და კოლეგების წინააღმდეგ, — შემდეგ კი არწმუნებენ მკითხველს, რომ ლარინისა და «მართლმორწმუნეთა» «სქემები» ერთნაირია.

ეს არა მარტო ნიმუშია მოლიტერატორობისა პოლიტიკის წინააღმდეგ (ვინაიდან პოლიტიკა მოითხოვს ჩამოყალიბებულ პირდაპირ პასუხებს, ხოლო ლიტერატორები ხშირად სჯერდებიან უთავბოლო მასლაათს), ეს ნიმუშია ლიტერატურის დაქვეითებისა ბურენინობამდე.

მარტოვს მოჰყავს ლარინის ზემოთ მოყვანილი სიტყვები იმის შესახებ, რომ «თუ არაფერი შეცვლილა და სხვა, დაგვრჩენია მხოლოდ ვებრძოლოთ ლიკვიდატორებსაო», და უპასუხებს მას:

«ჩვენ აქამდე ვფიქრობდით, რომ ჩვენი ამოცანები განისაზღვრება იმ საზოგადოების სოციალური სტრუქტურით, რომელშიც ჩვენ ვმოქმედებთ, ხოლო ჩვენი მოქმედების ფორმები განისაზღვრება, ჯერ-ერთი, ამ ამოცანებით, ხოლო, მეორე, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი თ. ამიტომ ძალაუფლების სოციალურ ბუნებას უ შ უ ა ლ ო (ხაზგასმა მარტოვისაა) დამოკიდებულება არა აქვს ჩვენი მოქმედების ამოცანებისა და ფორმების განსაზღვრასთან».

ეს პასუხი კი არა, ბანზე აგდებული ცარიელი ფრაზაა. მარტოვი კვლავ ცდილობს დახლართოს საკითხი, გადაიტანოს დავა არა იქ, სადაც ის წარმოებს. საკითხი ის კი არ არის, უ შ უ ა ლ ო დ თუ ა რ ა უ შ უ ა ლ ო დ არის დაკავშირებული ძალაუფლების სოციალური ბუნება მოქმედების ამოცანებსა და ფორმებთან. დაე ეს კავშირი ა რ ა უ შ უ ა ლ ო იყოს, — საქმე ამით სულაც არ იცვლება, რაკი აღიარებულია მჭიდრო და განუყრელი კავშირი. მარტოვი კი კ რ ი ნ ტ ს ა ც ვ ე რ ა სძრავს მჭიდრო და განუყრელი კავშირის აღიარების წინააღმდეგ. მისი დამოწმება «პოლიტიკური პირობებისა» — ეს მკითხველის თვალის ახვევაა. «ძალაუფლების სოციალური ბუნებისა» და «პოლიტიკური პირობების» დაპირისპირება ისეთივე უაზრობაა, მე რომ ადამიანების მიერ დამზადებული კალოში დამეპირისპირებინა გარეწაღისთვის. გარეწაღა — ეს იგივე კალოშია. სხვანაირი კალოში კი, გარდა ადამიანების მიერ დამზადებულისა, არ არსებობს. ძალაუფლების

ბუნება — ეს იგივე პოლიტიკური პირობებია. ხოლო ძალაუფლების სხვა ბუნება, გარდა სოციალურისა, არ არსებობს.

შედეგი ისაა, რომ მარტოვმა უთავბოლოდ «იმასლაათა» და თავი აარიდა ლარინისთვის პასუხის გაცემას. ხოლო თავი აარიდა იმიტომ, რომ საპასუხო არაფერი აქვს. ლარინი სავსებით მართალია იმაში, რომ შეხედულება «ძალაუფლების სოციალურ ხასიათზე» (მის ეკონომიურ ბუნებაზე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით) მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული შეხედულებასთან «მოქმედების ამოცანებსა და ფორმებზე». ლარინსაც და «მართლმორწმუნეებსაც» ეს კავშირი შეგნებული და გატარებული აქვთ. მარტოვის (და მისი ჯალაბობის) შეხედულებათა შორის კავშირი არ არის. ამიტომ მარტოვი იძულებულია იოინბაზოს და თავი დაიძვრინოს «გარეწაღებით».

მოისმინეთ ქვემოთ:

«ცოტად თუ ბევრად გარკვევით ამ მენშევიკებს (მარტოვი იმოწმებს, მ ა გ ა ლ ი თ ი ს თ ვ ი ს, კოგანს, «ობრაზოვანიე», 1907 წ.) გაუელვებდა ხოლმე აზრი მუშათა კლასის თანდათანობითი, ასე ვთქვათ, ორგანული «შეზრდისა» იმ «კანონიერ ქვეყანასთან» *, რომელმაც მიიღო კონსტიტუციური რეჟიმის ჩანასახი: აზრი ბურჟუაზიის» (და არა «პლუტოკრატიისა»? ჰა?) «სამი ივნისის პრივილეგიების თანდათანობითი გავრცელებისა დემოკრატიის ფართო წრეებზე. ასეთი რომ იყოს თანამედროვე, ბრჭყალებში ჩასმული «ლიკვიდატორობის» ანუ თანამედროვე «ლეგალიზმის» ნამდვილი პრინციპული საფუძველი, მაშინ ჩვენ გვექნებოდა ჩვენი ტრადიციების ნამდვილი ლიკვიდაცია, ნამდვილი, პრინციპად

* შეიძლება, ყველა მკითხველს როდი ესმის ეს გალიციზმი, რომელიც მეტად უხეირო გამოთქმად მიმაჩნია. «კანონიერი ქვეყანა» — პირდაპირი თარგმანია ფრანგული გამოთქმისა **pays légal**. რომელიც გულისხმობს იმ კლასებსა თუ ჯგუფებს, მოსახლეობის იმ ფენებს, რომელთაც წარმომადგენლობა ჰყავთ პარლამენტში და რომელნიც, ხალხის მასისგან განსხვავებით, კონსტიტუციური პრივილეგიებით სარგებლობენ. სხვათა შორის, დამახასიათებელია მარტოვის მერყეობის შესაფასებლად. მას არ უნდა აღიაროს, რომ 1908 — 1910 წლების რუსეთმა გადადგა «კიდევ ერთი ნაბიჯი ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე». მაგრამ ის აღიარებს, რომ «ბურჟუაზიამ» (და არა «პლუტოკრატიამ») «მიიღო» 1907 წ. 3 ივნისს «კონსტიტუციური რეჟიმის ჩანასახი». გაიგე, ვისაც შეგიძლია!

ქცეული, ლეგალიზმი, მთელ ჩვენს წარსულთან კავშირის პრინციპული გაწყვეტა. ასეთ ლიკვიდატორობასთან ჩვენ სერიოზული ბრძოლა უნდა გაეწარმოებინა... ნუთუ ჩვენ გვიწერია ვიხილოთ რეფორმისტები, რომელნიც შ ე ც ო ც დ ე ბ ი ა ნ განახლებული ტოლმაჩევობის რეჟიმში?» და ამ ადგილას მარტოვის შენიშვნაა: «რასაკვირველია (!!), ლარინს მე რეფორმისტულ ტენდენციებს არ ვწამებ».

ეს გრძელი ამონაწერი ჩვენთვის საჭირო იყო, რათა მკითხველისათვის მთელი სიცხადით დაგვენახვებინა მარტოვის «მანერა». ის აღიარებს, რომ კოგანს (მენშევიკია, რომელიც სისტემატურად თანამშრომლობს პასუხსაგებ «შრომებში» მარტოვთან ერთად) «ცოტად თუ ბევრად გარკვევით გაუელვებს» ხოლმე რეფორმიზმი. ის აღიარებს, რეფორმიზმი რ ო მ ლიკვიდატორობის პრინციპული საფუძველი იყოს, ეს იქნებოდა «წარსულთან კავშირის გაწყვეტაო». ის ისვრის მაღალფარდოვან, მყვირალა, ეფექტურ ფრაზას იმ «რეფორმისტების» წინააღმდეგ, რომელნიც «შეცოცდებიან» და სხვა. და ამთავრებს,... როგორ გგონიათ, რით? — იმის მტკიცებით, რომ ლარინს ის, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, რეფორმისტულ «ტენდენციებს არ სწამებს»!!

ეს ხომ პირწავარდნილად ედუარდ ბერნშტეინის, ჟან ჟორესის ან რამსეი მაკდონალდის სიტყვაა. ყველა ისინი «აღიარებენ», რომ ზოგიერთ «უკიდურესობაში ჩავარდნილთ» «გაუელვებს ხოლმე»... რაღაც ცუდი, რეფორმიზმი, ლიბერალიზმი. ყველა ისინი აღიარებენ, რომ მ ა თ ი პოლიტიკის «პრინციპული საფუძველი» რ ო მ ლიბერალიზმი იყოსო, ეს იქნებოდა «კავშირის გაწყვეტა წარსულთან». ყველა ისინი ისვრიან მაღალფარდოვან, მყვირალა, ეფექტურ ფრაზებს «ლიბერალების, მლიქვნელებისა» და სხვათა წინააღმდეგ. და ყველა ისინი ამთავრებენ... იმის მტკიცებით, რომ ლარინებს... უკაცრავად, მათს უფრო გულახდილ, უფრო «მემარჯვენე» ამხანაგებს, თანამოაზრეებს, მეგობრებს, კოლეგებს, თანამშრომლებს, ისინი ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს «არ სწამებენ».

საქმეც ისაა, რომ ლარინმა ციტირებულ სტატიებში ყოვლად უეჭველი, ნამდვილი რეფორმიზმის შეხედულებათა «სისტემის» განმარტება მოგვცა! ამის უარყოფა ნიშნავს სინამდვი-

ლის წინააღმდეგ წასვლას, ნიშნავს იმას, რომ რეფორმიზმის ცნებას დაუკარგო ყოველგვარი აზრი. ხოლო თუ თქვენ დაიწყებთ ლარინის «უარყოფას», «პრინციპული» რეფორმიზმის «დაგმობას», მაღალფარდოვანი ფრაზების წამოსროლას იმათ წინააღმდეგ, ვინც «შეცოცავს», და ამავე დროს დაიწყებთ უსაბუთოდ რწმუნებას, რომ ლარინს თქვენ «არ სწამებთ» რეფორმიზმს, ამით თქვენ ხომ სავსებით ამხელთ თქვენს თავს. ამით თქვენ ხომ სავსებით ამტკიცებთ, რომ «პრინციპული რეფორმიზმისადმი» თქვენი «პრინციპული» მტრობის დამოწმება თქვენთვის ის ფიცია, რომელსაც ჩარჩი თავის ლაპარაკს ურთავს: «მერწმუნეთ, გულახდილად გეტყვით, მე მეტი მიღირსო».

მერწმუნეთ, გულახდილად გეტყვით: პრინციპულ რეფორმიზმს მე ვგმობ, მ ა გ რ ა მ ლარინს რეფორმიზმს არ «ვწამებ» (მართლაც, რა საზიზღარი ხალხია ეს ე ჭ ვ ი ა ნ ი მართლმორწმუნენი!) და სავსებით ვეთანხმები ლარინს ლიკვიდატორულ პრაქტიკაშიო.

ასეთია თანამედროვე რუსული ოპორტუნიზმის «გაშლილი ფორმულა».

აი როგორ იყენებს ამ ფორმულას თ ვ ი თ მარტოვი, რომელსაც გულუბრყვილო (ან ა ხ ა ლ ი გადაჯგუფების სილრმის ვერგამგები) ადამიანები დღემდე «უეჭველ» არალიკვიდატორად თვლიან:

«ტაქტიკა, რომელიც ისახება ეგრეთწოდებული «ლიკვიდატორების» მოღვაწეობაში, — წერს 9 — 10 გვ. მარტოვი, — წარმოადგენს «ტაქტიკას, რომელიც ცენტრში აშკარა მუშათა მოძრაობას აყენებს, მიისწრაფის ყველა შესაძლებელი მიმართულებით მისი გაფართოებისაკენ და ეძებს ამ აშკარა მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი თ (ხაზგასმა მარტოვისაა) — და მხოლოდ იქ» — (დაიხსომეთ: და მ ხ ო ლ ო დ იქ!) — «ელემენტებს პარტიული ცხოვრების ასაღორძინებლად».

ამას ამბობს ლ. მარტოვი. ეს კი სწორედ რეფორმიზმია, რომელიც შ ე ც ო ც ა ვ ს განახლებული ტოლმაჩევობის რეჟიმში. ხაზგასმულს: «შეცოცავს» მე იმავე მარტოვისაგან ვსესხულობ, ვინაიდან საყურადღებოა, რომ ის, მარტოვი, ახლა მოყ-

ვანილ სიტყვებში საქმით სწორედ შეცოცვას ქადაგებს. ასეთ ქადაგებასთან ერთად რამდენი ფიცი და აღთქმაც უნდა დასდოთ «პრინციპული რეფორმიზმის» წინააღმდეგ, საქმე ამით არ იცვლება. ნამდვილად, როცა მარტოვმა თქვა: «და მხოლოდ იქ», როცა თქვა: «ცენტრში», ის სწორედ რეფორმისტულ ხაზს (1908 — 1910 წლების რუსეთის განსაკუთრებულ ვითარებაში) ატარებს, ხოლო ფიცს, დაპირებას, დარწმუნებას, აღთქმას დაე პოლიტიკურმა ბალღებმა დაუჯერონ.

...«მარქსის დავა ვილიხ-შაპერთან 1850-იანი წლების დასაწყისში სწორედ (!!) ფარულ საზოგადოებათა მნიშვნელობისა და მათგან პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის შესაძლებლობის საკითხის გარშემო ტრიალებდა... ბლანკისტები (60-იანი წლების საფრანგეთში) «ემზადებოდნენ» ამ ამბებისათვის (ბონაპარტიზმის კრახისათვის), აწყობდნენ რა ფარულ საზოგადოებებს და მათს ნაჭუჭში ამწყვდევდნენ რა ცალკეულ მუშებს; მარქსისტების ფრანგული სექცია კი... მიდიოდა მუშათა ორგანიზაციებში, აარსებდა მათ, ყოველგვარი საშუალებით «იბრძოდა ლეგალობისათვის»»...

სწორედ არც ერთი და არც მეორე მაგალითი არ ეხება საკითხს. 50-იან წლებში მარქსსა და ვილიხს შორის, 60-იან წლებში ბლანკისტებსა და მარქსისტებს შორის დავა იყო სრულიადაც არა იმაზე, უნდა ვეძიოთ თუ არა «მხოლოდ» «მშვიდობიან, შესაწყნარებელ» (მარტოვი, «ჟიზნ» № 1, გვ. 10) ორგანიზაციებში «ელემენტები პარტიული ცხოვრების ასაღორძინებლად». მარტოვმა ეს ჩინებულად იცის და ამაოდ ცდილობს მკითხველები შეცდომაში შეიყვანოს. ორივე ეს დავა წარმოებდა არა მუშათა პარტიის «აღორძინების» შესახებ, ვინაიდან მაშინ დავაც კი შეუძლებელი იყო იმის აღორძინებაზე, რაც მანამდე სულაც არ არსებობდა. ორივე დავა წარმოებდა სწორედ იმაზე, საჭიროა თუ არა საერთოდ მუშათა პარტია, დაყრდნობილი მუშათა მოძრაობაზე, კლასობრივი პარტია. სწორედ ამას უარყოფდნენ ვილიხიც და 60-იანი წლების ბლანკისტებიც, როგორც ეს მშვენივრად იცის მარტოვმა, რომელიც ამაოდ ცდილობს იმაზე ლაპარაკით, რაც ახლა უდავოა, მიჩქმალოს ის, რაც

ახლა სადავოა. არათუ 50-იან და 60-იან წლებში მარქსი არასდროს არ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ «მხოლოდ» მშვიდობიან და შესაწყნარებელ ორგანიზაციებში ეძებნა ელემენტები პარტიული ცხოვრების ასაღორძინებლად ან წარმოსაშობად, არამედ 70-იანი წლების დასასრულსაც კი, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული მონარქიის განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, მარქსმა და ენგელსმა დაუნდობელი ომი გააჩაღეს გერმანელი ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც სპობდნენ გერმანიის «პარტიული ცხოვრების» უახლოეს წარსულს, დასტიროდნენ «უკიდურესობებს», ლაპარაკობდნენ მოძრაობის «უფრო ცივილიზებულ» ფორმებზე («ევროპეიზაციაზე», თანამედროვე რუს ლიკვიდატორთა ენით რომ ვთქვათ), იცავდნენ იმ აზრს, რომ «მხოლოდ» «მშვიდობიან და შესაწყნარებელ» ორგანიზაციებში უნდა «ვეძიოთ აღორძინების ელემენტები» და სხვ.

«დავასკვნი — წერს მარტოვი. — იმის თეორიული დასაბუთებისა და პოლიტიკური გამართლებისათვის, რასაც ახლა სჩადიან ის მენშევიკები, რომელნიც მარქსიზმის ერთგული დარჩნენ, სავსებით საკმარისია ის ფაქტი, რომ თანამედროვე რეჟიმი წარმოადგენს აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის შინაგანად წინააღმდეგურ შეერთებას, და რომ რუსეთის მუშათა კლასი მომწიფდა იმისთვის, რომ, დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მუშების მსგავსად, ჩასჭიდოს ხელი ამ რეჟიმს აღნიშნულ წინააღმდეგურობათა აქილესის ტერფში».

მარტოვის ეს სიტყვები («სავსებით საკმარისია») — სავსებით საკმარისია, რომ ჩვენც გამოვიყვანოთ ჩვენი დასკვნა. მარტოვი «სავსებით საკმარისად» ცნობს იმას, რასაც აღიარებენ კადეტებიც და ოქტიაბრისტების ნაწილიც. სწორედ «რეჩმა» დააყენა 1911 წლის იანვარში საკითხი ისე, როგორც 1910 წლის აგვისტოში მოითხოვდა მის დაყენებას მარტოვი: ანტიკონსტიტუციონალობასთან კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგური შეერთებაო; ორი ბანაკი — კონსტიტუციის მომხრე და მისი მოწინააღმდეგეო. მარტოვისთვის «სავსებით საკმარისია» ის, რაც სავსებით საკმარი-

სია «რეჩისთვის». აქ მარქსიზმის ნატამალიც არ არის. მარქსიზმი აქ სრულებით გამოფიტულია და შეცვლილია ლიბერალიზმით. მარქსისტისათვის არავითარ შემთხვევაში არაა «საკმარისი» ის, რომ ჩვენში «წინააღმდეგური შეერთებაა». მარქსიზმი იწყება მხოლოდ იქ, სადაც იწყება იმის შეგნება, იმის გაგება, რომ ეს ჭეშმარიტება არაა საკმარისი, რომ იგი შეიცავს ერთ კოვზს სიმართლეს და ერთ კასრ არასიმართლეს, რომ იგი ჩქმალავს წინააღმდეგურობათა სიღრმეს, ალამაზებს სინამდვილეს, უარყოფს მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ შესაძლებელ საშუალებას.

კონსტიტუციონალიზმთან ძველი რეჟიმის «წინააღმდეგური შეერთება» არის არა მარტო თანამედროვე რუსეთში, არამედ თანამედროვე გერმანიაშიც და თანამედროვე ინგლისშიც კი (ლორდთა პალატა; ტახტის დამოუკიდებლობა ხალხის წარმომადგენლებისაგან საგარეო პოლიტიკის საქმეებში და სხვ.). იბადება კითხვა: რა პოზიცია უჭირავს რეალურად (ე. ი. კეთილი სურვილებისა და კეთილგანზრახული სიტყვების დამოუკიდებლად) იმ პოლიტიკოსს, რომელიც აცხადებს, რომ რუსისთვის «სავსებით საკმარისია» აღიაროს ის, რაც სწორია გერმანიის მიმართაც და ინგლისის მიმართაც? ასეთ პოლიტიკოსს რეალურად უჭირავს ლიბერალის, კადეტის პოზიცია. ჩვენში ცოტად თუ ბევრად თანამიმდევარ ბურჟუაზიულ დემოკრატსაც კი არ შეუძლია იდგეს და არცა დგას ასეთ პოზიციაზე. მარტოვის უკანასკნელი სიტყვა, მისი დასკვნითი, ლიკვიდატორების მთელი დისკუსიის შემაჯამებელი ფორმულა იძლევა ლიბერალურ შეხედულებათა შესანიშნავად ზუსტ, საოცრად ნათელ, ამომწურავად სრულ გამოხატულებას, — იმ შეხედულებათა, რომელთაც ვითომდა მარქსისტული დროშით აპარებენ.

როდესაც ლიბერალები — და არა მარტო კადეტები, არამედ აგრეთვე ოქტიაბრისტთა ნაწილიც — ამბობენ: ჩვენი მოღვაწეობის თეორიული დასაბუთებისა და პოლიტიკური გამართლებისათვის სავსებით საკმარისია აღვიაროთ კონსტიტუციონალიზმთან ძველი რეჟიმის შინაგანად წინააღ-

მდეგური შეერთებაო, ამით ლიბერალები სავსებით ერთგულნი რჩებიან თავისი თავისა. ისინი ამ სიტყვებით იძლევიან ნამდვილად ზუსტ ლიბერალურ ფორმულას, 1908 — 1910 წლების (თუ 1906 — 1910 წლების არა) ლიბერალური პოლიტიკის ფორმულას. მარქსისტი კი მხოლოდ მაშინ და იმდენად ააშკარავებს თავის მარქსიზმს, როდესაც განმარტავს არაასაკმარისობას და სიყალბეს ამ ფორმულისას, რომელიც სპობს იმ სპეციფიკურს, რაც პრინციპულად, ძირითადად განასხვავებს რუსულ «წინააღმდეგურობას» ინგლისური და გერმანული წინააღმდეგურობისგან. «სავსებით საკმარისია მივიღოთ, რომ ჩვენში კონსტიტუციონალიზმს ძალიან ბევრი რამ ეწინააღმდეგურება», ამბობს ლიბერალი. «სრულებით არ კმარა ასეთი აღიარება, უპასუხებს მარქსისტი. უნდა შევიგნოთ, რომ საერთოდ «კონსტიტუციონალიზმისათვის» არ არსებობს ელემენტარული, ძირითადი, კარდინალური, არსებითი, აუცილებლად საჭირო ბაზა. ლიბერალიზმის ძირითადი შეცდომა მდგომარეობს სწორედ იმის აღიარებაში, რომ ეს ბაზა არსებობს, მაშინ როდესაც იგი არ არსებობს, და ეს შეცდომა გვიხსნის ლიბერალიზმის უძლურებას და აიხსნება ბურჟუაზიული გულჩვილობის უძლურებით».

თუ ამ პოლიტიკურ ანტინომიას ეკონომიურ ენაზე გადავიტანთ, შეიძლება იგი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. ლიბერალი ფიქრობს, რომ ეკონომიური (კაპიტალისტური) განვითარების გზა უკვე მოცემული, განსაზღვრული, დასრულებულია, რომ ლაპარაკია ამ გზის დაბრკოლებათაგან და წინააღმდეგურობათაგან გაწმენდაზე. მარქსისტი ფიქრობს, რომ კაპიტალისტური განვითარების ამ მოცემულ გზას არ გამოვყავართ დღემდე ჩიხიდან, მიუხედავად ეკონომიური ევოლუციის ისეთი უეჭველი ბურჟუაზიული პროგრესისა, როგორიცაა 1906 წ. 9 ნოემბერი (ან 14. VI. 1910), III სათათბირო და სხვა, და რომ არის აგრეთვე კაპიტალისტური განვითარების სხვა გზა, რომელსაც შეუძლია გამოგვიყვანოს დიდ შარაზე, გზა, რომელზედაც უნდა მივუთითოთ, რომელიც

უნდა განვმარტოთ, მოვამზადოთ, დავიცვათ, გავახორციელოთ, მიუხედავად ლიბერალიზმის ყოველგვარი მერყეობისა, მცირედმორწმუნეობისა და სულმოკლეობისა.

მარტოვი იმგვარად ეკამათება ლარინს, თითქოს ის ლარინზე გაცილებით «მემარცხენე» იყოს. და მრავალი გულუბრყვილო ადამიანი თავს იტყუებს, როდესაც ამბობს: რა თქმა უნდა, პოტრესოვი, ლევიცკი, ლარინი ლიკვიდატორები არიან, რა თქმა უნდა, ისინი უკიდურესი მემარჯვენეები არიან, ვთქვათ, მსგავსად ჩვენი რუანეებისა, მაგრამ მარტოვი, მარტოვი ხომ არ არის ლიკვიდატორი! ნამდვილად კი მარტოვის ეფექტური ფრაზები ლარინის წინააღმდეგ, იმ რეფორმატორების წინააღმდეგ, რომელნიც შეცოცავენ, მხოლოდ თვალის ახვევაა, ვინაიდან თავისი დ ა ს კ ვ ნ ი თ, თავისი უკანასკნელი სიტყვით, თავისი რეზიუმეთი მარტოვი ს წ ო რ ე დ ლარინს ამაგრებს. მარტოვი ლარინზე «მემარცხენე» სულაც არ არის, ის მხოლოდ უფრო დიპლომატიური, უფრო უპრინციპოა, ვიდრე ლარინი, უფრო ეშმაკურად ეფარება ვითომდა «მარქსისტული» სიტყვების აჭრელებულ თარგებს. მარტოვის დასკვნა: «სავსებით საკმარისია» აღვიაროთ წინააღმდეგური შეერთებაო — არის სწორედ ლიკვიდატორობის (და ლიბერალიზმის) ის დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ა, რომელიც ლარინს ესაჭიროება. მაგრამ ლარინს სურს ეს დასკვნა გაამართლოს, დაამტკიცოს, ბოლომდე მოიფიქროს, პრინციპული გახადოს. და მარტოვი ეუბნება ლარინს, როგორც ფოლმარი, აუერი და ოპორტუნიზმის სხვა გაქნილი წარმომადგენელნი ეუბნებოდნენ ახალგაზრდა ოპორტუნისტს ედუარდ ბერნშტეინს: «ძვირფასო ლარინ... ესე იგი: ძვირფასო ედია (კნინობითია ედუარდიდან), შენ — ვირი ხარ! ეს უნდა გააკეთო, მაგრამ ამაზე არ უნდა ილაპარაკო». «ძვირფასო ლარინ, ჩვენთვის «სავსებით საკმარისია» ლიკვიდატორული პრაქტიკა, «სავსებით საკმარისია» ლიბერალური აღიარება კონსტიტუციონალიზმთან ძველი რეჟიმის წინააღმდეგურობისა, მაგრამ — ღვთის გულისათვის — უფრო შორს ნუ წახვალთ, ნუ «აღრმავებთ», ნუ ეძებთ პრინციპულ სიცხადეს და მთლიანობას, ნუ მოახდენთ «მიმდი-

ნარე მომენტის» შეფასებას, ვინაიდან ეს ჩვენ თქვენთან ერთად გვამჟღავნებს. ვაკეთოთ, მაგრამ ნუ ვილაპარაკებთო».

მარტოვი ასწავლის ლარინს ოპორტუნისტობას.

არ შეიძლება ორ სკამს შუა ჯდომა, ეუბნება ლარინი მარტოვს და მოითხოვს ორივე მათთვის ძვირფასი ლიკვიდატორობის პრინციპულ ახსნასა და გამართლებას.

— აბა, ამის შემდეგ რა ოპორტუნისტი ხართ, უპასუხებს მარტოვი, თუ არ შეგიძლიათ ორ სკამს შუა ჯდომა? რა ოპორტუნისტი ხართ ამის შემდეგ, თუ თქვენ მოითხოვთ პრაქტიკის ზუსტ, პირდაპირ და ნათელ პრინციპულ გამართლებას? ნამდვილი ოპორტუნისტი სწორედ ორ სკამს შუა უნდა იჯდეს, სწორედ უნდა იცავდეს «ტაქტიკა-პროცესს» (მოიგონეთ 1901 წლის ეპოქის მარტინოვი და კრიჩევსკი), უნდა გაჰყვეს მდინარებას, დამალოს კვალი და გვერდი აუაროს ყოველგვარ პრინციპულობას. ხომ ახერხებს ახლა ბერნშტეინი (ფოლმარის, აუერისა და სხვ. გაკვეთილების შემდეგ) რევიზიონისტობას ისე, რომ არავითარ ცვლილებას არ მოითხოვს ერფურტის მართლმორწმუნეთა profession de foi-ში[61]. ჩვენც თქვენთან ერთად უნდა გვეხერხებოდეს ლიკვიდატორობა და ამავე დროს არავითარი ცვლილება არ მოვითხოვოთ (1908 წლის) მართლმორწმუნეობრივ ფორმალურ პასუხში მიმდინარე მომენტის «წყეულ კითხვებზე»[62]. ნამდვილი ოპორტუნისტი რომ გახდეთ, ძვირფასო და საყვარელო ლარინ, საჭიროა საქმით, საკუთარი პრაქტიკით, საკუთარი მუშაობის ხასიათით შეცოცდე, ხოლო სიტყვიერად, საზოგადოების წინაშე, წარმოთქმულ სიტყვებში, პრესაში არათუ არ უნდა ეძიოთ შეცოცვის გამამართლებელი თეორიები, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება ხმამაღლა უნდა იყვიროთ შემცოცავთა წინააღმდეგ, გულმოდგინედ იფიცოთ ღმერთი და ხატი, რომ ჩვენ შემცოცნი არა ვართ-თქო.

ლარინი დადუმდა. გულის სიღრმეში მას, ალბათ, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ მარტოვი უფრო დახელოვნებული დიპლომატია, უფრო გაქნილი ოპორტუნისტია.

საჭიროა კიდევ ერთი მხრივ მივუდგეთ მარტოვის დასკვნითს ფორმულას: «სავსებით საკმარისია» აღიაროთ კონსტიტუციონალიზმთან ძველი რეჟიმის შეერთების წინააღმდეგურობაო. შეადარეთ ეს ფორმულა ვ. ლევიცკის ც ნ ო ბ ი ლ ფორმულას: «ა რ ა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია» («ნაშა ზარია», № 7). ამ ფორმულით ლევიცკიმ (— «ნაშა ზარიას» ლარინმა) მხოლოდ უფრო პირდაპირ, უფრო აშკარად, უფრო პრინციპულად გამოხატა ის, რაც დააბნია, მიჩქმალა, ღელარჭნილ სიტყვებში გაახვია პოტრესოვმა, რომელმაც თავისი სტატია ჰეგემონიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შ ე ა ლ ა მ ა ზ ა და გადააკეთა პლეხანოვის ულტიმატუმების გავლენით.

მარტოვის ფორმულა და ლევიცკის ფორმულა — ერთი მედლის ორი მხარეა. ამ გარემოების განმარტება მარტოვისათვის, რომელიც ისე აჩვენებს თავს, თითქოს არც კი ესმოდეს ჰეგემონიის იდეის კავშირი ლიკვიდატორობის საკითხთან, შემდეგი სტატიის საგანს შეადგენს.

P. S. * ეს სტატია უკვე ასაწყობად იყო გადაცემული, როდესაც მივიღეთ «დელო ჟიზნის» მე-2 ნომერი, რომელშიც მოთავსებულია დასასრული ი. ლარინის სტატიისა: «მარჯვნივ — და ზურგისაკენ». რეფორმიზმს, რომელსაც ლ. მარტოვი, «რასაკვირველია, არ სწამებს» ი. ლარინს, ლარინი წინანდელი სიცხადით გადმოგვცემს ახალ ლიკვიდატორულ ჟურნალში. ჯერჯერობით დავჯერდეთ რეფორმისტული პროგრამის დ ე დ ა ა რ ს ი ს მოყვანას:

«გზააბნეულობისა და გაურკვევლობის მდგომარეობა, როდესაც ადამიანებმა პირდაპირ არ იციან, რას უნდა მოელოდნენ ხვალინდელი დღისაგან, რა ამოცანები დაისახონ, — აი რას ნაშნავს გაურკვეველი ლოდინის განწყობილება, ბუნდოვანი იმედი რევოლუციის განმეორებისა თუ «მერე ვნახოთ»-ისა. მორიგი ამოცანაა არა ზღვის პირას ამინდის უნაყოფო ლოდინი, არამედ ფართო წრეების გამსჭვალვა იმ ხელმძღვანელი იდეით, რომ რუსეთის ცხოვრების დაწყებულ ახალ ისტორიულ პერიოდში მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს არა «რევოლუციისათვის», არა «რევოლუციის მოლოდინში», არამედ მხოლოდ თავისი განსაკუთრებული ინტერესების მტკიცე

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

და გეგმაზომიერი დაცვისათვის ცხოვრების ყოველ სფეროში; თავისი ძალების მოგროვებისა და მათთვის ამ მრავალმხრივი და რთული მოღვაწეობის სწავლებისათვის. საერთოდ ამ გზით სოციალისტური შეგნების აღზრდისა და დაგროვებისათვის; კერძოდ, რუსეთის საზოგადოებრივი კლასების რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში ორიენტირების (გარკვევის) — და თავისი თავის დაცვის! — უნარისათვის მომავალი, ფეოდალური რეაქციის ეკონომიურად აუცილებელი თვითამოწურვის შემდეგ, მისი კონსტიტუციური განახლების დროს» (გვ. 18).

ეს ტირადა ზუსტად გამოხატავს ლარინის «პროგრამისა» და «ნაშა ზარიას», «ვოზროჟდენიეს», «დელო ჟიზნის» და ყ ვ ე ლ ა სხვა ლიკვიდატორული, თვით ჩვენს მიერ «სავსებით საკმარისად» განხილული ლ. მარტოვის ნაწერების მთელ სულსა და მთელ აზრს. ეს ტირადა წმინდა წყლის და უაღრესად სრული რეფორმიზმია. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია შევჩერდეთ ამ ტირადაზე; ჩვენ არ შეგვიძლია აქ გავარჩიოთ იგი ისე დაწვრილებით, როგორც მას შეეფერება. ამიტომ დავჯერდეთ მოკლე შენიშვნას. მემარცხენე კადეტები, უპარტიო სოციალისტები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები (როგორც «ენესები») და რეფორმისტები მარქსისტობის მსურველ ადამიანთა რიცხვიდან, მუშებს შემდეგ პროგრამას უქადაგებენ: მოიკრიბეთ საკუთარი ძალები, აღიზარდენით, ისწავლეთ, დაიცავით საკუთარი ინტერესები უ ბ რ ა ლ ო დ, რათა დაიცვათ თქვენი თავი მომავალი კონსტიტუციური განახლების დროსაო. ამგვარი პროგრამა ისევე ჰკვეცავს, ავიწროებს, ფიტავს მუშათა კლასის პოლიტიკურ ამოცანებს 1908 — 1911 წლებში, როგორც «ეკონომისტები» ფიტავდნენ ამ ამოცანებს 1896 — 1901 წლებში. ძველ ეკონომისტებს, რომელნიც ატყუებდნენ თავის თავსაც და სხვებსაც, უყვარდათ ბელგიის დამოწმება (ბელგიელებში რეფორმიზმის სიჭარბე ამას წინათ გამოირკვა დე-მანისა და ბრუკერის შესანიშნავი ნაშრომებით; ამ ნაშრომებს ჩვენ დავუბრუნდებით); ახალ ეკონომისტებს, ე. ი. ლიკვიდატორებს, უყვართ იმის დამოწმება, რომ 1867 წელს ავსტრიამ კონსტიტუცია მშვიდობიანად მიიღოო. როგორც ძველი ეკონომისტები, ისე ჩვენი ლიკვიდატორები ირჩევენ ისეთ მაგალითებს, შემთხვევებს, ეპიზოდებს ევროპის

მუშათა მოძრაობისა და დემოკრატიის ისტორიიდან, როდესაც მუშები ამა თუ იმ მიზეზის გამო სუსტნი, შეუგნებელნი, ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულნი იყვნენ, — და ამგვარ მაგალითებს სახავენ ნიმუშად რუსეთისათვის. ეკონომისტებიც და ლიკვიდატორებიც გამტარებლები არიან ბურჟუაზიული გავლენისა პროლეტარიატზე.

«მისლ» № 4, 1911 წ. მარტი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ «მისლის» ტექსტის მიხედვით

პოლემიკური შენიშვნები

«ნაშა ზარიას» მე-2 ნომრის ფურცლებზე მოთავსებულ სტატიაში: «ხელოსანთა ყრილობის შედეგები» ბ-ნი ბ. ბოგდანოვი თავის დასკვნებს შემდეგნაირად აყალიბებს:

«ძველ იატაკქვეშეთთან კავშირის გაწყვეტისა და ნამდვილად აშკარა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ხანაში შესვლის მისწრაფება, — ეი ის ახალი, რაც ახასიათებს ჩვენი მუშათა მოძრაობის უახლეს ხანასაც» (გვ. 73). «საზოგადოებრივი ცხოვრების გამწვავების ჟამს, მოსკოვში დამატებითი არჩევნებისა და IV სახელმწიფო სათათბიროს საერთო არჩევნების წინახანს, განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობთ იმას, რომ პროლეტარიატის პოლიტიკურად დარაზმული ნაწილის გავლენა არა ჩანს. მთელი მუშაობა, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩაატარეს ორგანიზებულმა მუშებმა, ამ დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის აღორძინების გზით მიმდინარეობს. ამ მოძრაობის ყველა მონაწილენი — შეგნებულად თუ უნებლიეთ — პროლეტარიატის აღორძინების გზაზე შემდგარი პარტიის აგენტები ხდებიან. და მისი ორგანიზებული ნაწილის ამოცანაა არა იმდენად დააჩქაროს ეს მოძრაობა, არა იმდენად ნაადრევად ჩამოაყალიბოს და აღნუსხოს იგი, რამდენადაც იმოქმედოს ამ მოძრაობის განვითარების მიმართულებით, მისცეს მას რაც შეიძლება მეტი გაქანება, ჩაითრიოს მასში რაც შეიძლება უფრო ფართო მასები და ენერგიულად გაწყვიტოს კავშირი იატაკქვეშეთის უმოქმედობასთან, მის გამაბრუებელ გარემოსთან» (გვ. 74 — 75).

დღემდე ამგვარი გოდება «გამაბრუებელ» გარემოზე და ამგვარი ისტერიული ყვირილი და მოწოდება მასთან «კავშირის გაწყვეტაზე» ჩვენ გვხვდებოდა მხოლოდ «ნოვოე ვრემიას» ტიპის გაზეთებში და შეიძლება კიდევ ლიბერალიზმის გაბოროტებული რენეგატების — ბ-ნ სტრუვეს და კომპანიის მსგავსთა ნაწერებში. დღემდე რამდენადმე რიგიან, პატიოსან

პოლიტიკურ პრესას წესად ჰქონდა: განსაზღვრული პოზიციიდან თავს არ დასხმოდა იმას, რის დაცვაც არ შეიძლებოდა იმავე პოზიციიდან. ლიკვიდატორთა კომპანია, რომელსაც ეკუთვნიან ბატონნი ბ. ბოგდანოვი, ლევიცკი, პოტრესოვი და სხვანი, აგერ მეორე წელიწადია წარმატებით «სძლევს» ამ მოძველებულ დემოკრატიულ ცრურწმენას, მოწოდებისათვის — «ენერგიულად გაწყვიტონ კავშირი» და სხვა სისტემატურად ირჩევს სწორედ იმგვარ და მხოლოდ იმგვარ პოზიციას, რომელზედაც ლიკვიდატორებს ამ საკითხში მონოპოლია აქვთ უზრუნველყოფილი. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ ეს «დაჯავშნული» ომი «გამაბრუებელ გარემოსთან» და მეომრები გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე.

ბატონნი ბ. ბოგდანოვები, ლევიცკები, პოტრესოვები სიყალბეს სჩადიან, როცა აღნიშნავენ მუშების აშკარად გამოსვლის მისწრაფებას და გამოჰყავთ თ ა ვ ი ა ნ თ ი დასკვნა მ უ შ ა თ ა მისწრაფებაზე — კავშირი გაწყვიტონ «გამაბრუებელ გარემოსთან». სიყალბე ჩადენილია იმ ვარაუდით, რომ იმ ფაქტების მოთხრობა, რომლებიც იციან ამ ბატონმა ბ. ბოგდანოვებმა და რომლებიც მოწმობენ სხვადასხვა ყრილობაზე აშკარად გამოსულ მუშათა ა ღ შ ფ ო თ ე ბ ა ს «კავშირის გაწყვეტის» რჩევის მიმცემ ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ტ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, — ჩვენ, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეებს, არ შეგვიძლია. მუშები 1911 წლის დამდეგს — უნდა ითქვას მათდა სასახელოდ — ისევე ენერგიულად ესწრაფიან აშკარა პოლიტიკურ მოღვაწეობას, როგორც ისინი ესწრაფოდნენ მას, მაგალითად, 1905 წლის დამდეგს, მაგრამ არც მაშინ და არც ახლა მ უ შ ე ბ ი «გამაბრუებელი გარემოს» წინააღმდეგ არ ამხედრებულან, მასთან «კავშირის გაწყვეტა» არ უნდოდათ და არც უნდათ. «კავშირის ენერგიულად გაწყვეტის» მისწრაფების შესახებ მართებული იქნება ლაპარაკი მხოლოდ როგორც მორენეგატე ინტელიგენტების მისწრაფების შესახებ.

მართლაც, კარგად ჩაუკვირდეს მკითხველი შემდეგ ფაქტს. ლიტერატორთა ჯგუფი დაჟინებით ლაპარაკობს — განსაკუთ-

რებით 1910 წლის იანვრიდან — «ძველთან კავშირის გაწყვეტისა» და «ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის ხანაში შესვლის მისწრაფებაზე». ამ ჯგუფმა მხოლოდ აღნიშნული ხნის განმავლობაში ოც ნომერზე მეტი თავისი ჟურნალები («ნაშა ზარია», «ვოზროჟდენიე», «ჟიზნ», «დელო ჟიზნი») გამოუშვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ წიგნებზე, ბროშურებზე და იმ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ სტატიებზე, რომელთაც სპეციფიკურად ლიკვიდატორული ხასიათი არა აქვთ. იბადება კითხვა: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ლიტერატორებს, ასე ენერგიულად რომ მუშაობდნენ პუბლიცისტურ ასპარეზზე და ასე დარწმუნებით რომ ლაპარაკობენ «ძველთან ენერგიულად კავშირის გაწყვეტისა» და «ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის ხანაში შესვლის» აუცილებლობაზე, დღემდე თვითონ, თავიანთი ჯგუფის შემადგენლობაში, ვერ გადაუწყვეტიათ, ვერ გაუბედნიათ «ენერგიულად გაწყვიტონ კავშირი ძველთან» და «შევიდნენ ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის ხანაში» ისეთი პროგრამით, პლატფორმით, ტაქტიკით, რომელნიც «ენერგიულად წყვეტენ კავშირს» «გამაბრუებელ გარემოსთან»??

ეს რა კომედიაა? ეს რა თვალთმაქცობაა? ილაპარაკო «პოლიტიკური ძალის აღორძინებაზე», ამასთან გაანადგურო «გამაბრუებელი გარემო», მოითხოვო ძველთან კავშირის გაწყვეტა, იქადაგო «ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობა» — და ამავე დროს არავითარი პროგრამით, არავითარი პლატფორმით, არავითარი ტაქტიკით, არავითარი ორგანიზაციით არ შესცვალო ეს ძველი! რატომ არის, რომ ჩვენს, მარქსისტობის მოსურნე, ლეგალისტებს ისეთი პოლიტიკური პატიოსნებაც კი არ გააჩნიათ, როგორც ბატონ პეშეხონოვებს და «რუსსკოე ბოგატსტვოს» [ა] სხვა პუბლიცისტებს, რომელნიც გაცილებით უფრო ადრე (1905 — 1906 წლიდან) ალაპარაკდნენ გამაბრუებელი გარემოს და «ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის

ხანაში შესვლის» აუცილებლობის თემაზე და რომელნიც ისე იქცეოდნენ, როგორც ლაპარაკობდნენ, მართლაც «ენერგიულად წყვეტდნენ კავშირს ძველთან», ნამდვილად გამოდიოდნენ «აშკარა» პროგრამით, პლატფორმით, ტაქტიკით, ორგანიზაციით?

პოლიტიკაში პატიოსნება შედეგია ძალისა, თვალთმაქცობა—შედეგია უძლურებისა. ბატონნი პეშეხონოვები და კომპანია ძლიერნი არიან ნაროდნიკებს შორის და ამიტომ გამოდიან მართლა «აშკარად». ბატონნი ბ. ბოგდანოვები, ლევიცკები, პოტრესოვები და კომპანია სუსტნი არიან მარქსისტებს შორის, ყოველ ფეხის გადადგმაზე წინააღმდეგობას ხვდებიან შეგნებული მუშების მხრივ, ამიტომაც ისინი თვალთმაქცობენ, იმალებიან, ვერ ბედავენ აშკარად გამოსვლას «ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის» პროგრამითა და ტაქტიკით.

ბატონნი პეშეხონოვები და კომპანია იმდენად ძლიერნი არიან ნაროდნიკებს შორის, რომ თავიანთი საქონელი საკუთარი ბაირაღით მიაქვთ. ბატონნი ბ. ბოგდანოვები, ლევიცკები, პოტრესოვები, მარტოვები იმდენად სუსტნი არიან მარქსისტებს შორის, რომ იძულებული არიან თავიანთი საქონელი სხვისი ბაირაღით გააპარონ. ინტელიგენტურ პატარა ჟურნალში («ნაშა ზარია») ისინი მამაცობენ და იძახიან: «იერარქია» აღარაა, «ენერგიულად გავწყვიტოთ კავშირი ძველთან», «შევიდეთ ნამდვილად აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის ხანაშიო». მუშების წინაშე კი ჩვენი ლიკვიდატორი ამართლებს ანდაზას: «ვაჟკაცთან თვითონ ცხვარიაო».

მუშების წინაშე ჩვენი გმირები, აღტაცებით სცემენ რა თაყვანს «აშკარა პოლიტიკურ მოღვაწეობას», სწორედ არა აშკარად მოქმედებენ, არ იძლევიან არავითარ აშკარა პროგრამას, ტაქტიკასა და ორგანიზაციას. აქედან წარმოსდგება ბრძნული დიპლომატია ხელოსანთა ყრილობის «შედეგების» შემჯამებლის ბ-ნ ბ. ბოგდანოვისა, რომელიც გვირჩევს «არ ავაჩქაროთ» მოძრაობა მართლაც აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობისაკენ, არ «ჩამოვაყალიბოთ იგი ნაადრევად». ისე

ჰგავს, რომ ბ-მა ბ. ბოგდანოვმა სცადა ჩ ა მ ო ე ყ ა ლ ი ბ ე-ბ ი ნ ა მუშების წინაშე თავისი ლიკვიდატორული გეგმები, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მორენეგატე ინტელიგენტი წინააღმდეგობას წააწყდა მუშებში, რომელნიც თავის შეცდომებშიც უფრო პირდაპირ იქცევიან, პირდაპირს პასუხს მოითხოვენ («ძველთან კავშირის გაწყვეტა? მაშ, აშკარად გამოდით და პატიოსნად დაგვანახვეთ თქვენი ახალი!»). ბ-ნი ბ. ბოგდანოვი თავს ინუგეშებს კრილოვის მელიასავით: ყურძენი მკვახეაო! ნაადრევად არ უნდა ჩამოვაყალიბოთ — ძველთან კავშირი გავწყვიტოთ, მაგრამ კავშირი გავწყვიტოთ ისე, რომ მუშებში ამ ძველის ბაირაღი ვაფრიალოთ, — ახლის გამოჩენა კი არ დავაჩქაროთო.

თქვენ იტყვით: ეს ნიშნავს ორ სკამს შუა ჯდომასაო. მაგრამ ესაა სწორედ ყოველი ოპორტუნიზმის დედაარსი: სწორედ ამაში გამოიხატება მარქსიზმის მ ო თ ა მ ა შ ე თანამედროვე ბურჟუაზიული ინტელიგენტის ბუნება. ბ-ნი სტრუვე მარქსიზმს თამაშობდა 1894 — 1898 წლებში. ბატონნი ბ. ბოგდანოვები, ლევიცკები, პოტრესოვები მარქსიზმს თამაშობენ 1908 — 1911 წლებში. იმ დროის «ეკონომისტები» და ჩვენი დროის ლიკვიდატორები გამტარებლები არიან ერთი და იმავე ბურჟუაზიული გავლენისა პროლეტარიატზე.

«მისლ» № 4, 1911 წ. მარტი

იბეჭდება ჟურნალ «მისლის» ტექსტის მიხედვით

კრიზისის მნიშვნელობის შესახებ

ყბადაღებული სამინისტრო და პოლიტიკური კრიზისი, რომელზედაც ამდენს სწერდნენ და სწერენ გაზეთები, უფრო დიდ საკითხებს აყენებს, ვიდრე ყველაზე მეტად მოხმაურე ლიბერალები ფიქრობენ. ამბობენ: კრიზისი კონსტიტუციის დარღვევის საკითხს აყენებსო. ნამდვილად კი კრიზისი აყენებს საკითხს ოქტიაბრისტებისა და კადეტების არასწორ წარმოდგენაზე კონსტიტუციის შესახებ, ორივე ამ პარტიის ძირითად შეცდომებზე ამ მხრივ. რაც უფრო ფართოდ ვრცელდება ეს შეცდომა, მით უფრო დაჟინებით არის საჭირო მისი განმარტება. რაც უფრო მეტად ცდილობენ კადეტები ოქტიაბრიზმის გამტყუნების ხმაურში გაატარონ არასწორი იდეები კრიზისის ვითომდა «კონსტიტუციური» ხასიათის შესახებ, ოქტიაბრისტებისა და კადეტების საერთო იდეები, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ახლა გამოააშკარავებული ერთობის გარკვევას.

მოვიგონოთ «რეჩისა» და «რუსსკიე ვედომოსტის» ამასწინანდელი მსჯელობა IV სათათბიროს არჩევნების ლოზუნგის შესახებ. კონსტიტუციისთვის მხარის დაჭერა თუ მის წინააღმდეგ გალაშქრება — ასე დადგება და დგას უკვე საკითხიო, გვარწმუნებდა ორივე მთავარი კადეტური ორგანო.

ახლა ვნახოთ ოქტიაბრისტების მსჯელობა. აი ბ-ნ გრომოზოის დამახასიათებელი სტატია «გოლოს მოსკვიში» (30 მარტი): «ჭიანჭველის გათხრილი სორო». ოქტიაბრისტი პუბლიცისტი არწმუნებს ბ-ნ სტოლიპინის იმ, მისი აზრით,

კეთილსინდისიერ დამცველებს, რომელთაც «აშინებს ოპოზიციაში გადასვლა», და ამტკიცებს, რომ ისინი «მცდარ ნაბიჯებს სდგამენო». «კონსტიტუციონალისტებისთვის, — გაიძახის ბ-ნი გრომობოი, — კონსტიტუციის დარღვევის ცოდვა იმდენად მძიმეა, რომ სხვა ვერავითარი საწონი ვერ გადასძლევს მას». რა შეიძლება ითქვას არსებითად? — კითხულობს ბ-ნი გრომობოი და უპასუხებს:

«ისევ კაჟიანი თოფი, ნაციონალიზმი, ნებისმიერი იმპულსები, სახელმწიფოებრივი აუცილებლობა? სამწუხაროდ, ყოველივე ეს უკვე გვსმენია, გვსმენია დაპირებანიც, რომელნიც არ გამართლებულან შემდეგ».

სტოლიპინის პოლიტიკა ოქტიაბრისტებისათვის მაცთუნებელი «დაპირება» იყო (როგორც «ვეხელი» მწერლებისთვისაც, რომლებმაც ყველაზე ღრმად გაიგეს და ყველაზე მკაფიოდ გამოხატეს კადეტიზმის სული). «დაპირება», ოქტიაბრისტების აღიარებით, არ გამართლდა.

რას ნიშნავს ეს?

ნამდვილად სტოლიპინის პოლიტიკა იყო არა დაპირება, არამედ რუსეთის ცხოვრების უკანასკნელი ოთხწლეულის (თუ ხუთწლეულისა არა) პოლიტიკური და ეკონომიური რეალობა. 1907 წლის სამი ივნისიც და 1906 წლის 9 ნოემბერიც (1910 წ. 14 ივნისი) — რეალობაა და არა დაპირება. ნაციონალური მასშტაბით ორგანიზებული თავადაზნაურული მსხვილი მიწათმფლობელობისა და სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ზედაფენების წარმომადგენელნი ამ რეალობას ატარებდნენ, ახორციელებდნენ. და თუ ახლა ოქტიაბრისტული კაპიტალის, მოსკოვის (და მაშასადამე, სრულიად რუსეთის) კაპიტალის ხმა ამბობს: «არ გამართლდაო», ამით ჯამი უკეთდება პოლიტიკური ისტორიის განსაზღვრულ ხანას, ეპოქის მოთხოვნათა «გამართლების» ცდის განსაზღვრულ სისტემას, III სახელმწიფო სათათბიროს საშუალებით, სტოლიპინის აგრარული პოლიტიკისა და სხვათა საშუალებით რუსეთის კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნათა «გამართლების» ცდის განსაზღვრულ სისტემას. ოქტიაბრისტული კაპიტალი მთელი თავისი კეთილსინდისიერებით, მთელი გულმოდგინე-

ბით, სიცოცხლის დაუზოგავად, თავისი ქისის დაუზოგავადაც კი, ხელს უწყობდა ამ ცდებს და ახლა იძულებულია აღიაროს: არ გამართლდაო.

მაშასადამე, საქმე სრულებითაც დაპირებათა დარღვევა კი არა, «კონსტიტუციის დარღვევა» კი არ არის, — ვინაიდან სასაცილოა 1911 წლის 14 მარტის მოწყვეტა 1907 წლის 3 ივნისისაგან, — არამედ ეპოქის მოთხოვნათა აუსრულებლობა იმ გზით, რასაც ოქტიაბრისტები და კადეტები «კონსტიტუციას» უწოდებენ.

აუსრულებელია დროის ეს მოთხოვნები «კონსტიტუციის» გზით, რომელიც უმრავლესობას აძლევდა კადეტებს (I და II სათათბირო), აუსრულებელია «კონსტიტუციის» გზით, რომელმაც გადამწყვეტ პარტიად ოქტიაბრისტები გახადა (III სათათბირო). და როდესაც ახლა ოქტიაბრისტები ამბობენ: «არ გამართლდაო», ამ აღიარების მნიშვნელობა, მნიშვნელობა ამ აღიარების მაიძულებელი კრიზისისა მდგომარეობს როგორც კადეტიზმის, ისე ოქტიაბრიზმის კონსტიტუციური ილუზიების გაძლიერებულ, განმეორებულ, საბოლოო კრახში.

დემოკრატიამ ძველი დასძრა ადგილიდან. კადეტები, კიცხავდნენ რა დემოკრატიას «ექსცესებისათვის», გვპირდებოდნენ ახლის განაღდებას მშვიდობიანი «კონსტიტუციის», გზით. არ გამართლდა. ახლის განაღდება დაიწყო ბ-მა სტოლიპინმა იმგვარად, რომ შეცვლილ ფორმებს შესძლებოდათ ძველის განმტკიცება, რომ ზუბრ-მემამულეთა და კაპიტალის ბურჯთა ორგანიზაციას განემტკიცებინა ძველი, რომ მიწის კერძო საკუთრებას თემის ნაცვლად შეექმნა ძველის დამცველთა ახალი ფენა. ბ-ნ სტოლიპინთან ერთად მთელი წლების განმავლობაში ამ ამოცანის გადასაჭრელად შრომობდნენ ოქტიაბრისტები, «რომლებსაც არ მოელოდათ საფრთხე» დროებით ჩახშობილი დემოკრატიის მხრივ.

არ გამართლდა.

გამართლდა იმათი სიტყვები, ვინც ლაპარაკობდა კონსტიტუციური ილუზიების ამაოებასა და მავნებლობაზე სწრაფი

და ძირითადი ცვლილებების ისეთ ეპოქებში, როგორიცაა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისის ეპოქა.

ოქტიაბრისტული III სათათბიროს, ოქტიაბრისტული «კონსტიტუციის», სტოლიპინთან ოქტიაბრისტული «მშვიდობიანი და სასიყვარულო ცხოვრების» სამწლეულს უკვალოდ არ ჩაუვლია: წინ წავიდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, განვითარდნენ, გაიშალნენ, გამოაშკარავდნენ (და ამოიწურნენ) «მემარჯვენე», ყველა და ყოველგვარი «მემარჯვენე» პოლიტიკური პარტიები.

მესამე სათათბიროს აგრარულმა პოლიტიკამ ს ა ქ მ ი თ გამოამჟღავნა თავი რუსეთის მრავალ სოფელსა და მივარდნილ კუთხეში, შეარხია საუკუნეებით დაგუბებული დრტვინვა, უხეშად გამოააშკარავა და გაამწვავა არსებული წინააღმდეგობანი, გაათავხედა კულაკი და გაათვითცნობიერა მისი ანტიპოდები. ტყუილად არ ჩაუვლია მესამე სათათბიროს. არ ჩაუვლია ტყუილად არც პირველ ორ სათათბიროს, რომელთაც ამდენი კარგი, კეთილი, უმწიკვლო და უძლური სურვილები დაბადეს. 1911 წლის «კონსტიტუციური» კრიზისის გარსში გამოაშკარავდა წინანდელზე გაცილებით უფრო ღრმა კრახი 1906 — 1910 •წლების კონსტიტუციური ილუზიებისა.

არსებითად, კადეტებიც და ოქტიაბრისტებიც ერთმანეთს ეთანხმებოდნენ იმაში, რომ თავის პოლიტიკას ამ ილუზიებზე ამყარებდნენ. ეს იყო ლიბერალური ბურჟუაზიის ილუზიები, ცენტრის ილუზიები — «მემარცხენე» ცენტრსა (კადეტებსა) და «მემარჯვენე» ცენტრს (ოქტიაბრისტებს) შორის არსებითი განსხვავება არ არის, რახან ერთსაც და მეორესაც, ობიექტური პირობების ძალით, კრახი მოელოდათ. ძველი დაძრულია ადგილიდან. ახალი ვერ გაანაღდა ვერც მემარცხენე და ვერც მემარჯვენე ცენტრმა. ვინ და როგორ განახორციელებს ამ გარდუვალ, ისტორიულად აუცილებელ ახალს, — ეს საკითხი ღიად რჩება. «კონსტიტუციური» კრიზისის მნიშვნელობა ისაა, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონებმა, ოქტიაბრისტებმა, ეს საკითხი კ ვ ლ ა «ღიად» აღიარეს,

'რაკი თავის, თითქოს უაღრესად «საფუძვლიან», ვაჭრულად-საფუძვლიან, მეწვრილმანურად-ფხიზელ, მოსკოვურად-მცირედს სასოებას ქვეშ მოაწერეს: «არ გამართლდა». «კონსტიტუციური» კრიზისის მნიშვნელობა ის არის, რომ კადეტების მიერ წამოყენებული ლოზუნგის (ვინაა მომხრე და ვინაა წინააღმდეგი კონსტიტუციისა) მთელი შეზღუდულობა, მთელი უბადრუკობა, მთელი უძლურება გამოააშკარავა ბატონ ოქტიაბრისტების გამოცდილებამ.

დემოკრატია ამტკიცებს ამ ლოზუნგის უკმარისობას. ოქტიაბრიზმმა ეს მტკიცება დაადასტურა რუსეთის ისტორიის კიდევ ერთი ხანის გამოცდილებით. კადეტები მას ვერ დაახევინებენ უკან, წინანდელი გულუბრყვილო კონსტიტუციური ილუზიებისაკენ.

«მართლმორწმუნე ოქტიაბრისტები — წერს ბ-ნი გრომმობი — ნერვიულობენ, აცხადებენ, ბიუროდან გამოვდივართო, არ იციან, რა უყონ თავის ამხანაგებს კონსტიტუციონალიზმის საქმეში. ამაო მღელვარებაა. ისინი დამშვიდებულნი უნდა იყვნენ იმ შეგნებით, რომ ჭეშმარიტება მათს მხარეზეა და რომ ეს ჭეშმარიტება იმდენად ანბანურია, იმდენად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მის დასაცავად კოპერნიკები და გალილეიები საჭირონი არ არიან. მათ დამშვიდებით უნდა აკეთონ თავიანთი საქმე, — არაკანონიერად აღიარონ უკანონო მოქმედებანი და, ყოველგვარი კომპრომისის დაუშვებლად, უეჭველად უარყონ უკანონო კანონი».

ილუზიაა, ბ-ნო გრომმობი! «კოპერნიკებსა და გალილეიებს» ვერ შეელევით. თქვენ «არ გაგიმართლდათ», მათ ვერ შეელევით.

...«როცა ხედავ ჭიანჭველის მთელს ამ გათხრილ, აფუსფუსებულ სოროს — მაამებელ პრესას, მაამებელ ორატორებს, მაამებელ დეპუტატებს» (დაასრულეთ, ბ-ნო გრომმობი: მაამებელ, მონურ ბურჟუაზიას), «შეიძლება მხოლოდ ადამიანურად შევიცოდოთ ისინი და უწყინრად გავახსენოთ, რომ პ. ა. სტოლიპინს უკვე ვეღარ გაუწევ სამსახურს, — შეიძლება მხოლოდ მოემსახურო».

მაგრამ პ. ა. სტოლიპინი ერთეული კი არაა, არამედ ტიპია, მარტოხელა კი არაა, არამედ გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს «ტოლ-მეგობარია». ბატონმა ოქტიაბრისტებმა სცადეს მასთან შეგუება ახლებურად, სათათბიროს დროს, «კონსტიტუციის» დროს, თემის ტოლმაჩევური განადგურების ბურჟუაზიული პოლიტიკის დროს, და თუ ეს ცდა მარცხით დამთავრდა, ეს სტოლიპინის ბრალი როდია.

...«სახალხო წარმომადგენელთა მთელი ძალა ხომ ხალხთან კავშირში მდგომარეობს, — და თუ ისინი (მემარჯვენე ოქტიაბრისტები) თვით ამგვარი მხარის დაჭერის (სტოლიპინისა და კონსტიტუციის სტოლიპინური დარღვევის მხარის დაჭერის) ფაქტით ჰკარგავენ თავიანთ «სახეს», რაღა ფასი აქვთ მათ ამის შემდეგ?»

რას მოვესწარით! ოქტიაბრისტები ლაპარაკობენ «ხალხთან კავშირზე», როგორც «სახალხო წარმომადგენელთა ძალაზე»! ეს სასაცილოა, რა თქმა უნდა! მაგრამ ეს უფრო სასაცილო არაა, ვიდრე კადეტთა სიტყვები I და II სათათბიროში «ხალხთან კავშირის» შესახებ მათივე სიტყვებთან ერთად, ვთქვათ, ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების წინააღმდეგ. სიტყვები, რომლებიც სასაცილოა კადეტებისა და ოქტიაბრისტების მხრივ, თავისთავად სულაც არ არის სასაცილო, — ისინი მნიშვნელოვანია. ისინი კიდევ ერთხელ გამოხატავენ, — წინააღმდეგ იმათი ნებისა, ვინც ახლა ამ სიტყვებს ამბობს, — გამოხატავენ კონსტიტუციური ილუზიების კრახს, როგორც «კონსტიტუციური» კრიზისის სასარგებლო ნაყოფს.

«ზვეზდა» № 18, 1911 წ. 16 აპრილი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესი

აღდგომის უქმეებით (16 აპრ. ახ. სტ.) ევროპის ბევრმა სოციალისტურმა პარტიამ ისარგებლა თავიანთი კონგრესების მოსაწყობად: საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის (მისმა ოპორტუნისტულმა ნაწილმა) სოციალისტურმა პარტიებმა, ინგლისის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ინგლისის «დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ». ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ორი უკანასკნელი პარტიის ყრილობების მიერ განხილულ ზოგიერთ საკითხზე.

ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (S. D. P.) ოცდამეთერთმეტე წლიური ყრილობა შესდგა კოვენტრში. ყველაზე საინტერესო საკითხი იყო «შეიარაღებისა და საგარეო პოლიტიკის» საკითხი. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში ინგლისიც და გერმანიაც მეტისმეტად აძლიერებენ შეიარაღებას. ამ ქვეყნების კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო და უფრო მწვავდება. სამხედრო შეტაკება სულ უფრო მრისხანედ ახლოვდება. ორივე ქვეყნის ბურჟუაზიული შოვინისტური პრესა ხალხის მასებში მილიონობით ისვრის აღმგზნებ სტატიებს, რომლებიც სავსეა «მტერზე» წასისიანებით, «გერმანიის შემოსევის» თუ «ინგლისის თავდასხმის» გარდუვალ საფრთხეზე გოდებით, გაძლიერებული შეიარაღების აუცილებელ საჭიროებაზე ყვირილით. სოციალისტები ინგლისისა და გერმანიისა, აგრეთვე საფრანგეთისაც (რომელსაც ინგლისი განსაკუთრებული სიამოვნებით ჩაითრევდა ომში, რომ კონტინენტისა და ხმელეთის არმია ჰყავდეს გერმა-

ნიის წინააღმდეგ) დიდ ყურადღებას აქცევენ მოსალოდნელ ომს, მთელი ძალღონით ებრძვიან ბურჟუაზიულ შოვინიზმსა და შეიარაღებას, ყოველნაირად ცდილობენ განუმარტონ პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებსა და წვრილ ბურჟუაზიას, თუ რა უბედურება მოაქვს ომს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მარტოოდენ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება.

სოციალისტებს შორის სამწუხარო გამონაკლისს წარმოადგენდნენ ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი გამოჩენილი ბელადი და მათ შორის ჰაინდმანი. ის დააფრთხო ინგლისის ბურჟუაზიული პრესის ყვირილმა «გერმანიის საფრთხის» შესახებ და მივიდა იმის დაცვამდე, რომ ინგლისი იძულებულია შეიარაღდეს თავდასაცავად, რომ ინგლისს ესაჭიროება ძლიერი ფლოტი, რომ ვილჰელმი — თავდამსხმელი მხარეაო.

თუმცა, წინააღმდეგობა — და ძლიერი წინააღმდეგობაც — გაუწიეს ჰაინდმანს თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით. ადგილობრივი ჯგუფების მთელი რიგი რეზოლუციები გადაჭრით ილაშქრებენ მის წინააღმდეგ.

კოვენტრის ყრილობას — ანუ, თუ ვიხმართ ინგლისურ გამოთქმას, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ შეესაბამება ჩვენებურს, «კონფერენციას» — უნდა გადაეწყვიტა სადავო საკითხი. ყოველგვარი შოვინიზმისადმი გადაჭრით მტრულ თვალსაზრისს წარმოადგენდა ჰეკნის (Hackney — ოლქია ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთით) ჯგუფის რეზოლუცია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოს «Justice»-ს * თავის ანგარიშში ყრილობის შესახებ მოჰყავს მხოლოდ ბოლო ამ (ვითომ «გრძელი») რეზოლუციისა, რომელიც მოითხოვს მედგარ ბრძოლას შეიარაღების ყოველგვარი გაძლიერების, ყოველგვარი კოლონიური და ფინანსური აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ზელდა კაგანი, რომელიც ამ რეზოლუციას იცავდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სწორედ ინგლისი აწარმოებს უკანასკნელი 40

* — «სამართლიანობა». რ ე დ.

წლის განმავლობაში აგრესიულ პოლიტიკას, რომ გერმანია ვერაფერს მოიგებდა იმით, თუ ინგლისს თავის პროვინციად გადააქცევდა, რომ ამგვარი საფრთხე არ არსებობსო. «ინგლისის ფლოტი არსებობს იმპერიის შესანარჩუნებლად. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჯერ არასოდეს არ ჩაუდენია ასეთი სერიოზული, ასეთი მძიმე შეცდომა, როგორც ახლა, როცა პარტიას აიგივებენ შოვინისტებთან, რომლებიც ომით გვაშინებენ; ამ შეცდომის გამო, — ამბობდა კაგანი, — ინგლისელმა სოციალ-დემოკრატებმა თავისი თავი საერთაშორისო მოძრაობის გარეთ დააყენესო».

ჰაინდმანის დასაცავად გამოვიდა პარტიის მთელი ცენტრალური კომიტეტი («აღმასრულებელი კომიტეტი») და მათ შორის — გვრცხვენია ამის თქმა — გ. კველჩი. მის მიერ წარდგენილი «შესწორება» ამბობდა — არც მეტი, არც ნაკლები — შემდეგს: «კონფერენცია ამჟამად უშუალო მიზნად თვლის საკმაო (**adequate**) ფლოტის შენახვას ნაციონალური თავდაცვისათვის»!.. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, მეორდება ყველა «კარგი და ძველი სიტყვაც» — იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ბრძოლაზედაც, კაპიტალიზმთან ომზედაც და სხვა. მაგრამ ყოველივე ამას, რასაკვირველია, ფასს უკარგავს ერთი წვეთი შხამი: ბურჟუაზიულად მიკიბულ-მოკიბული და ამავე დროს წმინდა ბურჟუაზიული, შოვინისტური ფრაზა, რომელიც აღიარებს «საკმაო» ფლოტის საჭიროებას. და ეს ხდება 1911 წელს, როდესაც ინგლისის საზღვაო ბიუჯეტმა ცხადზე-უცხადესად გვიჩვენა უსაზომო ზრდის ტენდენცია, — და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის ფლოტი «იცავს და იფარავს» «იმპერიას», ე. ი. ინდოეთსაც, სადაც თითქმის 300 მილიონი მოსახლეობა ინგლისის ბიუროკრატიას ხელში ჰყავს ჩაგდებული ძარცვისა და ძალმომრეობისათვის, სადაც ინგლისელი «განათლებული» სახელმწიფო კაცები — როგორც, მაგალითად, ლიბერალი და «რადიკალი» მორლი (**Morley**) — პოლიტიკური დანაშაულისათვის ასახლებენ, პოლიტიკური დანაშაულისათვის ამათრახებენ მკვიდრ მცხოვრებთ!

თუ რა საცოდავ სოფიზმებს მიმართავდა კველჩი, ეს ჩანს მისი სიტყვის თუნდ შემდეგი ადგილებიდან (ჰაინდმანის დამცველი «Justice»-ს ანგარიშის მიხედვით)!.. «თუ ჩვენ ნაციონალურ ავტონომიას აღვიარებთ, უნდა გვქონდეს ნაციონალური თავდაცვაც, — ხოლო ასეთი თავდაცვა საკმაო უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უსარგებლოა. ჩვენ იმპერიალიზმის მტრები ვართ, სულ ერთია — ინგლისურის თუ გერმანულისა; პრუსიის ბატონობის ქვეშ მყოფ პატარა ეროვნებებს სძაგთ მისი დესპოტიზმი, და პატარა ერები, რომელთაც იგი ემუქრება, ბრიტანეთის ფლოტს და გერმანიის სოციალ-დემოკრატიას უყურებენ, როგორც თავის ერთადერთ იმედს»...

აი რა ჩქარა ეშვებიან დაბლა ის ადამიანები, რომლებიც ოპორტუნიზმის მოლიპულ გზას დასდგომიან! ბრიტანეთის ფლოტი, რომელიც ხელს უწყობს ინდოეთის (არცთუ ძალიან «პატარა» ეროვნების) დამონებას, დაყენებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გ ვ ე რ დ ი თ ხალხთა თავისუფლების დამცველად... მართალი იყო ზ. კაგანი, რომ ინგლისის სოციალ-დემოკრატიას ჯერ არასდროს ასე არ შეურცხვენია თავიო. არასდროს არაფერს არ გამოუმჟღავნებია ასე მკაფიოდ მისი სექტანტური ხასიათი, რომელიც დიდი ხანია აღნიშნა და დაჰგმო ენგელსმა [64], როგორც შოვინისტების მხარეზე ამ ა დ ვ ი ლ ა დ გ ა დ ა ს ვ ლ ა ს კველჩისთანა ადამიანებისაც კი.

კენჭისყრისას ხმები თანასწორად გაიყო: 28 მომხრე «აღმასრულებელი კომიტეტისა» და 28 წინააღმდეგი. სავალალო გამარჯვების მოსაპოვებლად ჰაინდმანსა და კველჩს უნდა მიემართნათ ჯგუფობრივი კენჭისყრისათვის. ამან მისცა მათ 47 ხმა 33-ის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაბედულად აღიმაღლეს საპროტესტო ხმა შოვინიზმის წინააღმდეგ თავიანთ რიგებში, აღმოჩნდა მეტად ძლიერი უმცირესობა სერიოზული ბრძოლისათვის. «დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში» მდგომარეობა უარესია: იქ

ოპორტუნიზმი არავის ეუცხოება. იქ საკითხს იმის შესახებ, უნდა დაუჭირონ თუ არა მხარი შეიარაღებას სოციალისტებმა და მუშებმა, სრულიად დამშვიდებით იხილავენ პარტიის ოფიციალური ორგანოს — «The Labour Leader»-ის * (№ 16, 1911 წ. 21 აპრილი) «სადისკუსიო» სტატიებში.

«Vorwärts»-ის ** ლონდონელი კორესპონდენტი სამართლიანად შენიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის საუკეთესო კრიტიკას წარმოადგენს ულტრა-შოვინისტური გაზეთის «Daily Mail»***-ის სტატია, რომელიც აქებ-ადიდებს სოციალ-დემოკრატიის ბელადების სიბრძნეს. «სასიხარულოა — ასე იწყება ინგლისური შოვინისტური გაზეთის სტატია, — სასიხარულოა იმის დანახვა, რომ, რაგინდ შეუსაბამო უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი იდეა ჩვენს ქვეყანაში, რაგინდ განუხორციელებელი უნდა იყოს ზოგიერთი მისი იდეალი, ყოველ შემთხვევაში არსებობს ერთი, სერიოზული მნიშვნელობის საკითხი, რომელშიც ეს პარტია ხელმძღვანელობს ფონებითა და ადამიანის საღი აზრით».

მართლა სასიხარულო მოვლენას «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ყრილობაზე ბირმინგამში წარმოადგენდა ის, რომ მისი რიგებიდან გაისმა მტკიცე და მედგარი საპროტესტო ხმა იმ ოპორტუნისტული პოლიტიკის, ლიბერალებზე დამოკიდებულების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს ეს პარტია საერთოდ და მეტადრე პარტიის მეთაური, რამსეი მაკდონალდი. იმ საყვედურის პასუხად, რომ მუშათა დეპუტატები ცოტას ლაპარაკობენ თემთა პალატაში სოციალიზმზეო, რ. მაკდონალდმა უმანკო ოპორტუნისტული გულუბრყვილობით განაცხადა, პარლამენტში უადგილოა «პროპაგანდისტული სიტყვებიო». «თემთა პალატის დიადი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, — განაცხადა მაკდონალდმა, — რომ

* — «მუშათა ბელადი». რ ე დ.

** — «წინ». რ ე დ.

*** — «ყოველდღიური ფოსტა». რ ე დ.

კანონმდებლობად გადააქციოს ის სოციალიზმი, რომელსაც ვქადაგებთ ჩვენს ქვეყანაშიო». ის კი, თუ რა განსხვავებაა ბურჟუაზიულ სოციალურ რეფორმასა და სოციალიზმს შორის, ორატორს დაავიწყდა! ბურჟუაზიული პარლამენტისაგან მოელის იგი სოციალიზმს...

ლეონარდ ჰოლმა (Hall) თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ «1892 წელს დამოუკიდებელი მუშათა პარტია შეიქმნა იმ სპეციალური მიზნით, რომ სახელი გაეტეხა «შრომის საარჩევნო ლიგის» («Labour Electoral League»), რომელიც პირდაპირ ლიბერალიზმის ფრთას წარმოადგენდა, პოლიტიკისთვის, რომ ებრძოლნა ამ პოლიტიკის წინააღმდეგ და მოესპო იგი. ჩვენ ცხედარი დავასაფლავეთ (როცა ეს ლიგა მოვსპეთ), მაგრამ მისი სული, როგორც ჩანს, გაცოცხლდა თანამედროვე «მუშათა პარტიაში». სწორედ ლიგის პოლიტიკას ატარებდა თავის სიტყვებში, წერილებში, წიგნებში ამ პარტიის ლიდერი».

I. L. P.-ის * მეორე წევრმა, პარლამენტის წევრმა ჯორჯ ლენსბერიმ (Lansbury) მკაცრად გააკრიტიკა პარლამენტის «მუშათა» ჯგუფის პოლიტიკა იმის გამო, რომ იგი დამოკიდებულია ლიბერალებზე, იმის გამო, რომ მას ეშინია — არაფერი «ავნოს» ლიბერალურ მთავრობას. «არა ერთხელ ვგრძნობდი თავს, — ამბობდა ლენსბერი, — ისე შერცხვენილად მუშათა დეპუტატების მოქმედებით, რომ ვფიქრობდი მანდატის დატოვებას. ლიბერალები ცდილობენ პალატები მუდამ წვრილმანი საკითხებით გაართონ, და მუშათა დეპუტატები ვერ ახერხებენ მოიპოვონ დამოუკიდებლობა». «არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, — ამბობდა ლენსბერი, — როდესაც ლიბერალებსაც და ტორიებსაც რომელიმე «მნიშვნელოვანი» საკითხი არ წამოეყენებინოთ იმისათვის, რათა გადაედოთ მასების სიღატაკის, მათი სიღარიბის საკითხი. ვზივარ თემთა პალატაში და მელანდება სახეები მუშების, მამაკაცებისა და ქალებისა, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობდნენ ბოუს და

* — Independent Labour Party — დამოუკიდებელი მუშათა პარტიის. რ ე დ.

ბრომლის (ოლქებია ლონდონში, ისტენდში, ღატაკთა უბნები) ჯურღმულებში, როდესაც მე მირჩევდნენ პარლამენტში. ისინი მუშაობდნენ, როცა მირჩევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მე არა ვგევარ ლიბერალებსა და ტორიებს. მათ გამგზავნეს იმისათვის, რომ დამეყენებინა საკითხი სიღარიბის, სიღარიბის და კიდევ სიღარიბის შესახებ... მე მოგიწოდებთ, — მიმართავდა ორატორი ყრილობას, — შეჰქმნათ მტკიცე პარტია თემთა პალატაში, პარტია, რომელიც აბსოლუტურად წინააღმდეგი იქნება ყოველგვარი დათმობისა ლიბერალებისა და ტორიების მიმართ. ჩვენ არ უნდა დავზოგოთ ლიბერალები კონსერვატორებზე (ტორიებზე) უფრო მეტად, როდესაც ლიბერალები ცუდად იქცევიან. მუშები, რომლებიც შრომობენ და გაჭირვებაში იმყოფებიან, არაფერს მოელიან არც ლიბერალებისაგან და არც ტორიებისაგან; მათი ერთადერთი იმედი, მათი ერთადერთი ხსნა — მათივე საკუთარი ორგანიზებული ღონისძიებებია... ჩვენ უნდა დავანახვოთ ლონდონის ჯურღმულების მუშებს, რომ პარლამენტშიც კი არ ვღალატობთ იმას, რასაც პარლამენტს გარეთ ვამბობთ, სახელდობრ იმას, რომ ლიბერალები და ტორიები ხალხის მტრები არიან, რომ სოციალიზმი ხალხის ერთადერთი იმედია».

ლენსბერის მქუხარე ტაშით აწყვეტინებდა სიტყვას ყრილობა, რომელმაც ორატორს ნამდვილი ოვაცია გაუმართა, როდესაც მან სიტყვა დაამთავრა. გერმანიაში ასეთი სიტყვები ჩვეულებრივია. ინგლისში კი ეს — ახალი ამბავია. და როდესაც უკვე გაისმის ასეთი სიტყვები, როდესაც «დამოუკიდებელი (ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, სოციალიზმზე დამოუკიდებელი, ლიბერალებზე დამოკიდებული) მუშათა პარტიის» ყრილობის მუშა დელეგატები ტაშს უკრავენ ამგვარ სიტყვებს, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ პროლეტარული ბრძოლის სული ი ნ გ ლ ი ს შ ი ც იმარჯვებს მაკდონალდის მსგავსი ოპორტუნისტ-პარლამენტარიების დიპლომატიაზე. (ამ მაკდონალდმა, ვიტყვით ფრჩხილებში, ამას წინათ იტალიელ რეფორმისტებს, რომელნიც მზად იყვნენ ბურჟუაზიულ სამინისტროში შესასვლელად, სრული თანა-

გრძნობა გამოუცხადა და გამოთქვა თავისი სიძულვილი «მშრალი თეორიისადმი».)

ჰოლის, ლენსბერისა და სხვათა სიტყვებმა ვერ შესცვალეს «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» პოლიტიკა. ამ პარტიის სათავეში დარჩა მაკდონალდი, და მისი პოლიტიკა წინანდებურად ოპორტუნისტული იქნება. პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენა ძლიერია — განსაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში. მაგრამ ასეთი სიტყვები უკვალოდ არ იკარგება, ისინი ძირს უთხრიან ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების გავლენას. როდესაც ინგლისელებს ექნებათ ყოველდღიური გაზეთი (ამაზე ამჟამად ძლიერ ფიქრობს ო რ ი ვ ე პარტია), — ასეთი და მხოლოდ ასეთი სიტყვები მონახავენ გზას მუშათა კლასის ჭკუისა და გულისაკენ. ყველა ქვეყნის, და მათ შორის რუსეთის ლიბერალებიც, ხარობენ და იცინიან დღეს, როცა ხედავენ ინგლისის მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ბატონობას. მაგრამ — «კარგად გაიცინებს ის, ვინც ბოლოს გაიცინებს».

«ზვეზდა» № 18, 1911 წ. 16 აპრილი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ლეგალისტის საუბარი ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგესთან[65]

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. მე მგონია, სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ლიკვიდატორებთან ბრძოლისა და კამათის უკიდურესად გამწვავებამ მეტისმეტად გააღვივა ენებათა ღელვა და რამდენადმე დაჩრდილა უთანხმოების დედაარსი.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. თუ პირიქით? ბრძოლის გამწვავება გამოწვეული ხომ არ არის იდეური უთანხმოების სიღრმით? ან იქნებ თქვენც გადახვედით იმ «მერყეევთა» — სხვანაირად რომ ვთქვათ, «შემარიგებელთა» — ბანაკში, რომელნიც ცდილობენ ამოავსონ უფსკრული უშინაარსო ფრაზებითა და მრავლისაღმთქმელი ბანალობით?

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. ოჰ, არა, მე სრულიადაც არა მსურს ვიკისრო «შერიგება». პირიქით. ჩემი აზრი ისაა, რომ ლიკვიდატორები საკმაოდ შეგნებული არ არიან და ამიტომ მათ აკლიათ გამბედაობა. ისინი ჯერ ისევ ხელის ცეცებით დადიან, იზრდებიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტიქიურად. მათ ჯერ კიდევ ეშინიათ ბოლომდე მიიყვანონ თავიანთი აზრები. აქედანაა მათი არათანამიმდევრობა, აბნეულობა, მერყეობა, რომელსაც მოწინააღმდეგენი თვლიან თვალთმაქცობად, არალეგალურ პარტიასთან ბრძოლის თაღლითურ ხერხებად და სხვა. გამოდის არევ-დარევა, და ფართო საზოგადოებას, რომლის გულისთვისაც წარმოებს დავა, აღარ ესმის რაშია საქმე. ლიკვიდატორებს რომ უფრო ცოტა უაღრესად დახელოვნებული დიპლომატები ჰყავდეთ და მეტი რწმენა ჰქონდეთ

თავიანთი თავისა, ისინი უფრო ჩქარა დაამტკიცებდნენ თავიანთ სიმართლეს და სასტიკადაც დაგამარცხებდნენ თქვენ.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. საშინელება იქნებოდა, მაგრამ... საინტერესოა მოვისმინოთ თქვენი დამამტკიცებელი საბუთები.

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. ლიკვიდატორები, ჩემი რწმენით, მართალი არიან. ლიკვიდატორებმა უნდა ჩასჭიდონ ხელი მათს საწინააღმდეგოდ წამოსროლილს ლეგალისტთა სახელწოდებას. ჩვენ მივიღებთ მას და ცხადვყოფთ, რომ სწორედ ლეგალისტები იძლევიან, მარქსიზმის თვალსაზრისით, ერთადერთ სწორ პასუხს რუსეთის თანამედროვე მუშათა მოძრაობის საჭირბოროტო კითხვებზე. აღიარებთ თუ არა თქვენ, რომ ახლანდელი ჩვენი ეპოქა წარმოადგენს რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ერთგვარ თავისებურ ეტაპს?

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. აღვიარებ.

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. აღიარებთ მხოლოდ სიტყვიერად, ისე როგორც თქვენი ყბადაღებული (1908 წლის) «დეკემბრის» რეზოლუციები. თუ სერიოზულად ჩავუფიქრდებით ასეთ აღიარებას, იგი იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აშკარა არსებობა შემთხვევით კი არ არის, არამედ «მიმდინარე მომენტის» განუყრელი შემადგენელი ნაწილია. დღევანდელი პოლიტიკური პირობების მთელი ერთობლიობა, მუშათა მოძრაობის პირობების მთელი ერთობლიობა ისეთია, რომ შესაძლებელი და აუცილებელია სათათბიროს აშკარა ლ ე გ ა ლ უ რ ი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, შესაძლებელი და აუცილებელია აშკარა ლ ე გ ა ლ უ რ ი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. განა ეს სახიფათო ნახტომი არ არის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაკენ?

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. სრულიადაც არ არის სახიფათო. საქმე მხოლოდ ისაა, რომ III სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის არსებობის ფორმები მოცემული გვაქვს გარედან, ჩვენ მხოლოდ მივიღეთ ისინი, შევედით, ასე ვთქვათ, მზამზარეულ

შენობაში, ხოლო ლეგალური მუშათა პარტიის არსებობის ფორმები ჩვენ თვითონვე უნდა მოვნახოთ. აქ საჭიროა თაოსნობა, ბრძოლა ახალი ფორმებისათვის. მათ, ვისაც თქვენ ზიზღით უწოდებთ ლიკვიდატორებს, უკვე დაიწყეს ეს ბრძოლა, ისინი შედგნენ ახალ გზაზე — მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ცალი ფეხით. სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ გაუბედაობას იჩენენ, უკან იხედებიან, სანახევრო ზომებს სჯერდებიან. ახალი გზის დასაწყისში ეს აუცილებელია, — ეს ცხადია, — მაგრამ დასაწყისს გაგრძელება მოჰყვება. პირველ ნაბიჯთა გაუბედაობა გაჰქრება, და შეცდომები გამოსწორდება.

ანტილიკვიდატორი. კეთილი. მაგრამ იქნებ გაიხარჯოთ და აგვიხსნათ, როგორია ეს შეცდომები და რაში უნდა გამოიხატოს გამოსწორება?

ლეგალისტი. სიამოვნებით აგიხსნით. არ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, სახელდობრ როგორი იქნება ხვალინდელი ლეგალური მუშათა პარტია, მაგრამ შეუძლებელია არ დავინახოთ ზოგადი მიმართულება მუშათა მოძრაობის განვითარებაში. აღვიარებ რა მოცემულად ამ მიმართულებას, თამამად შემიძლია დავხატო ლეგალური პარტიის სურათი, თუმცა ვიცი, რომ სინამდვილე არ იქნება ზუსტად ასეთი, მაგრამ იგი ამგვარი იქნება. და თქვენთვის ამ სურათის დასახატავად სრულებით არ მჭირდება «მთხზველობა» დავიწყო. ჩემთვის საჭიროა მხოლოდ დავუკვირდე ცხოვრების გაკვეთილებს, მუშაობის გამოცდილებას ახალს, რევოლუციისშემდგომ პირობებში. ჩემთვის საკმაოა შევაჯამო ეს გამოცდილება, უკუვაგდო წვრილმანები, ავიღო ძირითადი გეზი. არსებობს ლეგალური მუშათა წარმომადგენლობა სათათბიროში. არსებობს ლეგალური სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. მას სდევნიან, მას უთვალთვალებენ ჯაშუშები, უკრძალავენ კრებებს, ართმევენ მცოდნე პირებს, იგი, შეიძლება, ხვალ დაქსაქსონ საპყრობილეებსა და გადასახლების ადგილებში, — ლეგალური პარტია სრულიადაც არ გამორიცხავს სასამართლო და საპოლიციო დევნას, როგორც თქვენს ბეც მომხრეებს ჰგონიათ. მაგრამ ლეგალური ფრაქცია, მიუხე-

დავად ამ დევნისა, მაინც არსებობს. არსებობენ ლეგალური მუშათა კავშირები, კლუბები, ლეგალური მარქსისტული ჟურნალები და ყოველკვირეული ჟურნალები, — მათ კიდევ უფრო მეტად სდევნიან, ხურავენ, ახრჩობენ ჯარიმებით, მათს რედაქტორებს ერთი თვის რედაქტორობისათვის ხშირად თვენახევრის პატიმრობას უსჯიან, კავშირებს განუწყვეტლივ შლიან, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ. ჩაუფიქრდით ამ ფაქტს. ერთია ის, რომ ჩვენ არ გვქონდა ლეგალური მუშათა კავშირები, ლეგალური მარქსისტული პრესა, არ გვყავდა ლეგალური სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. ასე იყო 1905 წლამდე. მეორეა — მათი არსებობა, მიუხედავად განუწყვეტელი დევნისა, მიუხედავად მუდმივი დახურვისა და დაშლისა. ასეთია საქმის ვითარება 1907 წლის შემდეგ. სწორედ ესაა მდგომარეობის სიახლე. უნარი უნდა გვქონდეს ამ «ახლის» ხელის ჩაჭიდებისა, რათა იგი გავაფართოოთ, გავამაგროთ და განვამტკიცოთ.

ანტილიკვიდატორი. თქვენ თავიდანვე დაგვპირდით, რომ უფრო გაბედული, უფრო თანამიმდევარი ლეგალისტი იქნებოდით, ვიდრე ისინი, ვინც აქამდე გამოდიოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით თქვენ მხოლოდ იმ სიტყვებს იმეორებთ, რომლებიც უკვე დიდი ხანია ნათქვამი აქვს ყველა ლიკვიდატორს.

ლეგალისტი. მე უკვე ვთქვი, რომ თანამიმდევარი, მტკიცე ლეგალიზმის სურათი თავისთავად გამომდინარეობს ცხოვრების გამოცდილების ბეჯითი დაკვირვებიდან. სინამდვილეში უკვე არსებობს ლეგალური მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ცალკეული ელემენტი. ხმამაღლა და პირდაპირ უნდა ითქვას ის, რაც არის. უნდა აღვიაროთ უშიშრად, რომ დღეს თუ არა, ხვალ ეს დაქსაქსული ელემენტები შეიკრიბებიან ერთად, უნდა შეიკრიბნენ ერთად, და ასეთი პარტია წარმოიშობა. ის უნდა დაარსდეს, და იგი დაარსდება. მას დაუწყებენ დევნას, მაგრამ ის იარსებებს, — იმ წლებს, როდესაც ლეგალური მუშათა პარტია არ იყო, მოჰყვება ლეგალური მუშათა პარტიის არამტკიცე, მრავალი

დევნით შეწყვეტილი არსებობის წლები, — შემდეგ კი რუსეთში დადგება წლები წმინდა ევროპული ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობის წლები უკვე დადგა, ის უკვე უ ფ რ ო რ ე ა ლ უ რ ი ა, ვიდრე თქვენი ოთხმოცდაცხრამეტი მეასედით დანგრეული იატაკქვეშეთი. ლეგალისტები რომ საბოლოოდ შეკავშირდნენ, მათი მოღვაწეობა რომ უფრო გაბედული, სისტემატური, მტკიცე გახდეს, არ უნდა გვაშინებდეს იმის თქმა, რაც არის, არ უნდა შეგვეშინდეს ვუწოდოთ ამ რეალობას ნამდვილი სახელი, არ უნდა შეგვეშინდეს წამოვისროლოთ ლოზუნგი, აღვმართოთ დროშა. დაე იგი გამოგვგლიჯონ ხელიდან სასამართლოებმა და პოლიციამ, დაე გამოგვგლიჯონ ათეულჯერ, — მისი მოსპობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, მას დიდი ხნით ვერ გამოგვგლეჯენ, ვინაიდან ის აზოგადებს იმას, რაც არის, რაც იზრდება, რაც არ შეიძლება არ იზრდებოდეს.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. საქმეზე, საქმეზე ილაპარაკეთ. თორემ მოგაგონებთ ანდაზას: ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო. თქვენ დაგვპირდით პირდაპირ ვილაპარაკებო. აბა, რაც შეიძლება პირდაპირ, რაც შეიძლება უფრო კონკრეტულად: რას წააწერთ თქვენს დროშას?

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. მეც სწორედ ამის თქმა მინდოდა. ჩვენ ვაარსებთ მუშათა მოძრაობის ხელშემწყობ ლეგალურ საზოგადოებას. ამ საზოგადოების პრინციპული ბაზაა მარქსიზმი. საზოგადოების მიზანია — ცხოვრების საზოგადოებრივი პირობების გარდაქმნა მარქსიზმის საფუძვლების მიხედვით, კლასების მოსპობა, წარმოებაში ანარქიის მოსპობა და სხვა. ლეგალური პარტიის, ე. ი. ჩვენი საზოგადოების უახლოესი მიზანია — სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სრული დემოკრატიზაცია; აგრარული საკითხის დემოკრატიული მიმართულებით, მარქსისტულ შეხედულებათა საფუძვლებზე გადაჭრის ხელისშეწყობა; უფართოესი მუშათა კანონმდებლობა. ბოლოს, ახალი საზოგადოების საქმიანობის საშუალებანია —

პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის ყველა კანონიერი საშუალება.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი მთავრობა ნებას დართავს ასეთი საზოგადოების რეგისტრაციას?

ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი. ნუ სწუხართ, მე სულაც არა ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომ ეს ვიფიქრო. რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოება არ იქნება რეგისტრირებული, მაგრამ არალეგალურად მაინც ვერ აღიარებენ მას, — და ჩვენი ამოცანაც სწორედ ეს არის. ყოველ გუბერნიაში მუშები ერთიმეორეზე მიყოლებით შეადგენენ ამგვარი საზოგადოების წესდებას და წარუდგენენ მას ხელისუფალთ დასამტკიცებლად. ეს იქნება თანამიმდევარი, შეუდრეკელი ბრძოლა ლეგალობისათვის. ასეთი საზოგადოების დამფუძნებელთა და წევრთა დევნა შეუძლებელი იქნება ჩვენი ახლანდელი ვითომდა პარტიის პროგრამის «საშინელი» მუხლებისათვის, ვინაიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დღეს მხოლოდ ვითომდა პარტიაა, და მისი პროგრამის «საშინელი» მუხლები, როგორც, მაგალითად, რესპუბლიკა, პროლეტარიატის დიქტატურა, — რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალრიცხოვანი რეზოლუციების «საშინელ» მუხლებზე შეიარაღებული აჯანყებისა და სხვათა შესახებ — აღარავის აშინებენ, მოკლებული არიან ყოველგვარ მნიშვნელობას, არავითარ როლს არ ასრულებენ, თუ არ ჩავთვლით იმ «რ ო ლ ს», რომელიც კატორღაში გზავნის ადამიანებს, რომელთაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩაუდენიათ. აი სწორედ ესაა მთავარი, სწორედ ამაშია ახლანდელი პარტიული მდგომარეობის ტრაგიკომედია. მკვდარი ცოცხალს იჭერს. სხვადასხვა რეზოლუციისა და ძველი პარტიული პროგრამის მოძველებული, ცხოვრების მიერ საქმით უარყოფილი, ხმარებიდან გამოსული, ფაქტიურად არქივში გადაცემული «მუხლები» სამსახურს უწევენ მხოლოდ ჩვენს მტრებს, ხელს უწყობენ ჩვენს დახრჩობას, და სრულიად არავითარი, აბსოლუტურად არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ თანამედროვე რეალური მოძრაობი-

სათვის, იმ ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის, რომელიც ახლა წარმოებს, წარმოებს III საათათბიროშიც, ლეგალურ ჟურნალ-გაზეთებშიც, ლეგალურ კავშირებშიც, ლეგალურ ყრილობებზედაც და სხვა და სხვა. აი ამიტომ ჩვენთვის, ლეგალისტებისთვის, საკითხის არსი ის კი არ არის, რომ თავი ვიხსნათ ყველაზე საშიშარი დევნისა და სასჯელისაგან (როგორც მზად არიან დაასკვნან თქვენმა, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, ლიკვიდატორთა დევნაში დაგეშილმა მომხრეებმა), არამედ, საკითხის არსია, პრინციპული მნიშვნელობა, ჯერ-ერთი, მუშათა აშკარა მოძრაობისა და, მეორეც, თანამედროვე რეჟიმის წინააღმდეგურობათა გამოყენებისა. დიახ, დიახ, ბატონო ძველის თაყვანისმცემელო, მარქსიზმის პრინციპები მდგომარეობს არა დაზეპირებულ სიტყვებში, არა ერთხელ და სამუდამოდ სავალდებულო «მართლმორწმუნეთა» ფორმულებში, არამედ მუშათა ფართო მოძრაობის ხელის შეწყობაში, მასების ორგანიზაციისა და თვითმოქმედების ხელის შეწყობაში. დაე «ბოლომდე ნუ ითქვას» ესა თუ ის სიტყვები, — მე მშვენივრად ვიცი, რომ თქვენ და თქვენი მომხრენი სპეციალდებით იმაში, რომ «ბოლომდე ამბობთ» იმას, რაც მთლად არ გამოუთქვამს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, ლეგალურ ჟურნალს და სხვა, — დაე «ბოლომდე ნუ ითქვას» სიტყვები, სამაგიეროდ საქმე წინ წავა. მუშების უფრო ფართო ფენები ჩაებმიან მოძრაობაში. გადაიდგმება გადამწყვეტი ნაბიჯი აშკარა გამოსვლების განსაზოგადებლად. ყოველი შეგნებული მუშა თავის დამჩაგვრელ რეჟიმს დაიჭერს სწორედ იმ წინააღმდეგურობაში, რომელიც მას ყველაზე უფრო მოსდგამს, რომელიც მისთვის ამჟამად ყველაზე უფრო დამახასიათებელია, — წინააღმდეგურობაში კანონიერების ფორმალურ აღიარებასა და მის ფაქტიურ უარყოფას შორის, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის «დაშვებასა» და სოციალ-დემოკრატიული პარტიის «დაუშვებლობის» ცდას შორის, ოფიციალურ განცხადებებში მუშათა კავშირების აღიარებასა და სინამდვილეში მათ დევნას შორის. პროლეტარიატის დამ-

ჩაგვრელი რეჟიმის დაჭერა ამ რეჟიმის წინააღმდეგურობა-ში — სწორედ ეს არის მარქსიზმის ცოცხალი სული, და არა გაქვავებული ფორმულები. გერმანიის სოციალ-დემოკ-რატიის წარმატებათა ერთ-ერთი მთავარი, მეტს ვიტყვი: ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ის არის, რომ იგი ყოველთვის იმეტებდა ფორმულას მოძრაობის გულის-თვის. მან 1871 წლის შემდეგ შესძლო შეექმნა პარტია, რომლის პროგრამაში აღიარებული იყო პოლიტიკური მოღვაწეობის მხოლოდ «კანონიერი» საშუალებები. მან შესძლო განევითა-რებინა მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სოციალ-დემოკ-რატიული მოძრაობა ისეთი სოციალ-დემოკრატიული პროგ-რამით, რომელიც ჩვენსაზე გაცილებით «უფრო ლეგა-ლურია», ვინაიდან მასში არ არის და არც არასოდეს ყოფი-ლა რესპუბლიკა. თქვენ კი — თქვენ მზადა ხართ ქვეყანას ნიმუშად აჩვენოთ «სანიმუშო-რადიკალური» სოციალ-დემოკ-რატიული პროგრამა მასობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მასობრივი სოციალ-დემოკრატიული მოძ-რაობის სანიმუშო-რადიკალური არარსებობის დროს.

ანტილიკვიდატორი. აქამდე თქვენი გეგმიდან ნამ-დვილად გამომდინარეობს მხოლოდ შემოსული და გასული ქაღალდების «მასობრივი მოძრაობა» საზოგადოებათა და კავშირთა საქმეების საკრებულოებში, თუ ყოველ გუბერნია-ში თვითეული შეგნებული მუშა გადასწერს და დასამტკიცებ-ლად შეიტანს ლეგალური მარქსისტული «საზოგადოების» თქვენს პროექტს. რადგან თქვენ თვითონვე ამბობთ, რომ ამ საზოგადოების დაარსების ნებას არ დართავენ, ამიტომ არავი-თარი აშკარა მოძრაობა, არავითარი «აშკარა» საზოგადოებაც კი არსად, გარდა თქვენი ლეგალისტური ფანტაზიისა, არ იხსნე-ბა. მაგრამ ვიდრე დაწვრილებით გიპასუხებდეთ, მინდა კიდევ გკითხოთ: თქვენი წარმოდგენით ეს ლეგალური მარქსისტული «საზოგადოება» იარსებებს ძველი, ე. ი. ახლანდელი, პარტიის ნაცვლად, თუ მასთან ერთად?

ლეგალისტი. დიახ, დიახ. თქვენ მეტად საინტერესო საკითხს შეეხეთ! სწორედ აქაა ლიკვიდატორობის ოფიციალური

ბელადების ერთ-ერთი სავალალო შეცდომა. მათ ეშინიათ დიდი ნაბიჯი გადადგან წინ უეჭველად სწორ გზაზე — და ამავე დროს მთელ რიგ მეტად სახიფათო, საქმისთვის სრულიად გამოუსადეგარ ნაბიჯებს სდგამენ ოპორტუნიზმისაკენ, სწორედ ოპორტუნიზმისაკენ. მე კი ვიტყოდი: შეიძლება ლეგალისტი იყო და არ იყო ლიკვიდატორი. უნდა იყოთ ლეგალისტი და არ იყოთ ოპორტუნისტი. აუცილებლად უნდა ვიცნოთ მოძრაობის ლეგალური ფ ო რ მ ე ბ ი, უნდა ვიცნოთ ისინი არა სანახევროდ, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ სერიოზულად და საქმით, ე. ი. დაუყოვნებლივ უნდა დავაარსოთ ლეგალური მარქსისტული მუშათა პარტია, მაგრამ რევოლუციის უარყოფა შეუწყნარებელი ოპორტუნიზმია, ხოლო ასეთ უარყოფას ეხედავთ ძალიან და ძალიან ბევრი ჩვენებური ლიკვიდატორის, თუ მათი უმრავლესობის მხრივ არა. ჰეგემონიაზე ხელის აღება ოპორტუნიზმია, რომელსაც მე გადაჭრით ვგმობ. ჩვენ არაფერზე არ უნდა ავიღოთ ხელი და არც არაფერი უნდა გავაუქმოთ. ახალი, ლეგალური პარტია უნდა არსებობდეს ძ ვ ე ლ თ ა ნ ერთად, მის გ ვ ე რ დ ი თ. ისინი ერთმანეთს შეავსებენ.

თქვენ იღიმებით? მაგრამ აქ სასაცილო არაფერია. თქვენ იტყვით: «ორმაგი ბუხჰალტერია» არისო. მე კი შეგეკითხებით: განა ლეგალური და არალეგალური პრესის ერთად არსებობა არ წარმოადგენს ჩემი გეგმის სრულ ანალოგიას, უფრო სწორად: თანამედროვე გამოცდილების ყველა გაკვეთილიდან გამოყვანილი ჩემი დასკვნის ანალოგიას? თუ 1905 წლამდე ემიგრანტებს არ შეეძლოთ ეწერათ ლეგალურ პრესაში, თუ მაშინ ხურავდნენ ორგანოებს ემიგრანტთა სტატიების მოთავსებისათვის ფსევდონიმითაც კი, განა ჩვენი წინააღმდეგური ეპოქისათვის დამახასიათებელი არ არის, რომ ყველასათვის ცნობილი ემიგრანტები თ ა ვ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი თ წერენ არალეგალურ პრესაშიც და ლ ე გ ა ლ უ რ შ ი ც? ამ «ორმაგ ბუხჰალტერიას» თქვენ ურიგდებით! ეს არავითარ «შფოთს» არ ჰბადებს. მხოლოდ რუტინა და მარტოოდენ რუტინა გიშლით ხელს გაიგოთ, რომ ამ «ორმაგ ბუხჰალტერიას» გვიკარნახე-

ბენ ჩვენი ეპოქის მთელი პირობები, რომ უნდა დავეუფლოთ ეპოქის წინააღმდეგურობას, უნდა გვეხერხებოდეს დავდგეთ იმ ნიადაგზე, — ი მ ნ ი ა დ ა გ ზ ე დ ა ც, — რომელზედაც ხდება თანამედროვეობის უდიდესი ამბები. ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ თქვენ ყველანი აღიარებთ «არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამებას». მაშ აღიარეთ იგი საქმითაც. რაკი ანი თქვით, ნულარ გეშინიათ თქვათ ბანიც. რაკი აღიარეთ ძირითადი თეზისი საერთოდ ტაქტიკასა და ორგანიზაციაში, ნულარ გეშინიათ აღიაროთ იგი პ ა რ ტ ი ი ს ორგანიზაციაშიც. გამოეთხოვეთ, ბოლოს და ბოლოს, გადაჭრით, სერიოზულად, გულწრფელად ამ უაზრო ანარქისტულ ცრურწმენას ლეგალობის წინააღმდეგ.

ა ნ ტ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ი. თქვენი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ თქვენ ლეგალობას თამაშობთ, თქვენ «ლეგალურობთ», მაშინ როდესაც გერმანელები ემყარებოდნენ ნამდვილად არსებულ ლეგალობას. ლეგალური და არალეგალური პრესის მაგალითი განსაკუთრებული სიცხადით მეტყველებს თქვენს წინააღმდეგ. როდესაც არალეგალური ესდეკი ლეგალურ პრესაში იწყებს წერას იმაზე, რაზედაც ნებადართულია წერა ლეგალურ პრესაში, ის ლეგალობას კი არ თამაშობს, არამედ ნამდვილად სარგებლობს ამა თუ იმ ვიწრო ფარგლებში ნამდვილად არსებული ლეგალობით. ხოლო თქვენი ლეგალური მუშათა პარტია, თუ მარქსისტული საზოგადოება (ისე როგორც «ღია მუშათა პარტია» ლიკვიდატორებისა, რომელთაგანაც თქვენ ა რ ს ე ბ ი თ ა დ სრულიად არაფერით განირჩევით) ლეგალისტური ფანტაზიაა და მეტი არაფერი, ვინაიდან თქვენ თვითონვე აღიარებთ, რომ მათი დაარსების ნებას არავინ დართავს, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ეს ვითომდა «ლეგალური» საზოგადოებანი ლეგალურად არ იარსებებენ. როგორც ანარქისტ-სინდიკალისტებში მეფობს «რევოლუციური გიმნასტიკა», ისევე თქვენ გამოგიდით «ლეგალისტური გიმნასტიკა». თუ კადეტებს ლეგალურად აქვთ ლეგალურად არარსებული პარტია, ამის მიზეზი ის კი არაა, რომ კადეტები დაეუფლნენ წინააღმდეგურ ფორმას, არამედ ის, რომ მათი

მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი არაფერს რევოლუციურს არ შეიცავს, არ შეიცავს არავითარ დემოკრატიულ ორგანიზაციულ მოქმედებას მასებში. მათი მუშაობის შინაარსი ლიბერალურ-მონარქისტულია, და თვითმპყრობელობას შეუძლია ნება დართოს, შეუძლია შეურიგდეს ასეთ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მარქსისტების მუშაობას კი მუშათა კლასში თვითმპყრობელობა ვერ შეურიგდება, და ტანისამოსის გამოცვლით საქმის შველის ცდა გულუბრყვილობაა. ხოლო თქვენი «ლეგალური საზოგადოება», ისე როგორც ლიკვიდატორთა «ღია მუშათა პარტია», სწორედ ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ უ რ ი საზოგადოებაა, ნიღაბის გამოცვლის თამაშია, ვინაიდან ნამდვილად თქვენ სოციალ-დემოკრატების იმედი გაქვთ. ბუნდოვანი, უსახო ფორმულები, რომელთაც თქვენ ირჩევთ თქვენი «საზოგადოების» მიზნის, პლატფორმის, ტაქტიკის განსაზღვრისათვის, — სიტყვიერი საფარია, ფორმალური დაცვაა, იგივე ლეგალისტური გიმნასტიკაა. ჩვენი პარტია უნდა გამოდიოდეს სათათბიროში, უნდა ქმნიდეს ლ ე გ ა ლ უ რ პროფესიულ კავშირებს, უნდა მოქმედებდეს ლეგალურ ყრილობებზე, ამის უარყოფა არის ანარქიზმი ან ინტელიგენტური ნიჰილიზმი, და ა მ გ ვ ა რ ი მოღვაწეობის აღიარება წარმოადგენს ახალი ეპოქის ახალი პირობების გათვალისწინებას. მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ლ ე გ ა ლ ო ბ ა ჯერ კიდევ შეუძლებელია (შესაძლებელია მხოლოდ ინტელიგენტი ოპორტუნისტებისათვის), ვინაიდან მოპოვებული არ არის პირობები ასეთი ლეგალობისათვის, ხოლო მასში «შეცოცვის» ცდა ამაოცნებაა. გერმანიაში 1871 წელს სავსებით შეიქმნა ასეთი ლეგალობა, სავსებით დამთავრდა ქვეყნის ბურჟუაზიული გარდაქმნა, სავსებით გაქრა პირობები უშუალო-რევოლუციური მოძრაობისათვის: ამ ო ბ ი ე ქ ტ უ რ პირობებში, და არა გერმანელი ესდეკების ოსტატობაში, იმალება იმის მიზეზი, თუ რატომ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა შექმნილიყო ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც არ თამაშობს ლეგალობას და არ აკეთებს «ლეგალისტურ გიმნასტიკას».

ასეთი ლეგალური პარტიის პროგრამის, რეზოლუციისა და სხვა ამისთანათა ამა თუ იმ ლეგალური მუხლის გ ა დ მ ო წ ე რ ა და ასეთი «ლეგალობის» რუსეთში გადმოტანა — გულუბრყვილო ოცნებაა, უშინაარსო თავისშექცევაა, ვინაიდან თქვენ ვერ გ ა დ მ ო ი ტ ა ნ თ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის გერმანულად დამთავრებას, თავისი თავის ამომწურავი დემოკრატიზმის გერმანულ ისტორიას, 60-იანი წლების გერმანიის «ზევიდან მომხდარ რევოლუციას», გერმანიის ფ ა ქ ტ ი უ რ ლეგალობას. არის ისეთი მონარქიული ქვეყნები, სადაც ლეგალურად არსებობენ რესპუბლიკური პარტიები, და როგორი იქნება ნამდვილად რუსული ლეგალობა, როდესაც დამთავრდება ბურჟუაზიული რევოლუციები რუსეთში, როდესაც ჩამოყალიბდება ჩვენში ისეთივე ბურჟუაზიული წყობილება, როგორც ევროპაში, ამას ჩვენ დავინახავთ მომავალი ბრძოლების შემდეგ, ამას განსაზღვრავს ამ ბრძოლების შედეგი. ხოლო სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ამოცანაა — შესძლოს ემზადოს და ამზადოს მასები რევოლუციისათვის სამი ივნისის რეჟიმის ეპოქის განსაკუთრებულ პირობებში.

მუშათა კლასის ლეგალური პარტია, აშკარა მუშათა პარტია ამ პირობებში — ცარიელი ფრაზაა, რომელსაც სარჩულად უდევს ლ ე გ ა ლ ი ზ ა ც ი ა... ოპორტუნისტ-ლეგალისტთა ჯგუფისა. ა ს ე თ ი ლეგალიზაცია «სახალხო სოციალისტებისა» ფაქტია. ა ს ე თ ი ლეგალიზაცია ჩვენი ლეგალური, ლიკვიდატორი ჟურნალისტების ჯგუფისა ფაქტია. არა შემთხვევით, არამედ აუცილებლად, არა ამა თუ იმ ლიკვიდატორის «შეცდომით», არამედ ინტელიგენტ-ლიკვიდატორთა ყველა ჯგუფის სოციალური შემადგენლობის გამო, მათკენ ილტვიან და უნდა ილტვოდნენ ოპორტუნისტული ელემენტები, რომელნიც ასაზრდოებენ რევოლუციის უარყოფის, ჰეგემონიაზე ხელის აღების იდეებს. ამ ადამიანებისაგან ლეგალისტის გამოყოფა შეიძლება მხოლოდ კ ე თ ი ლ ი ს უ რ ვ ი ლ ე ბ ი თ, — სინამდვილეში ისინი განუყოფელნი არიან. დღევანდელი ეპოქის ობიექტური პირობები ისეთია, რომ «ენესების» ლეგალი-

ზაცია, ლიკვიდატორ ლიტერატორთა ჯგუფის ლეგალიზაცია შესაძლებელი და აუცილებელია, ხოლო მუშათა პარტიის ლეგალიზაცია — ლიტონი სიტყვებია.

მუშათა კლასის არალეგალური პარტია არსებობს, და მის არსებობას ძირს ვერ უთხრის ახლანდელი მისი უკიდურესი დასუსტებაც კი, უაღრესად უკიდურესი დასუსტება და მის ორგანიზაციათა უმეტესობის დაშლა. წრეები და ჯგუფები ისევ და ისევ აღორძინებენ რევოლუციურ იატაკქვეშეთს. საკითხი ისაა, რომელ ორგანიზებულ ძალას, რა იდეურ ტრადიციას, რომელ პარტიას შეუძლია იმოქმედოს და იმოქმედებს სათათბიროს მუშათა დეპუტატების, მუშათა პროფესიული კავშირების, მუშათა კლუბების, სხვადასხვა ლეგალური ყრილობის მუშათა დელეგატების აშკარა გამოსვლებზე: რევოლუციურ — პროლეტარულ პარტიას, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას თუ ლიკვიდატორ ლიტერატორთა ოპორტუნისტულ ჯგუფს. აი «ლიკვიდატორობასთან ბრძოლის» რ ე ა ლ უ რ ი შინაარსი, აი ობიექტური ნიადაგი, რომელიც ამ კონფლიქტში ქმნის უფსკრულს ამ ორ მოწინააღმდეგეს შორის. და ვერავითარი კეთილი სურვილები, ლეგალიზმისა და ლიკვიდატორობის ვერავითარი სიტყვიერი განსხვავებანი ვერ ამოავსებენ ამ უფსკრულს.

«დისკუსსიონნი ლისტოკ» № 3,
1911 წ. 29 აპრილი (12 მაისი)
ხელმოწერა: ბ. ვ. კ უ პ რ ი ა ნ ო ვ ი

იბეჭდება
«დისკუსსიონნი ლისტოკის»
ტექსტის მიხედვით

«სინანული» და «სირცხვილი»

ყოველგვარი კრიზისი ამჟღავნებს მოვლენების ან პროცესების დედაარსს, უკუაგდებს ზერელეს, წვრილმანს, გარეგნულს, ააშკარავებს მომხდარი ამბების უფრო ღრმა საფუძვლებს. აიღეთ, მაგალითად, ისეთი ყველაზე უფრო ჩვეულებრივი და ყველაზე ნაკლებ რთული კრიზისი ეკონომიურ მოვლენათა სფეროში, როგორიც არის ყოველი გაფიცვა. არაფერი ასე არ ააშკარავებს კლასთა ნამდვილ ურთიერთობას, თანამედროვე საზოგადოების ნამდვილ ბუნებას, იმას, რომ მოსახლეობის უდიდესი მასა ემორჩილება შიმშილის ძალას, რომ შეძლებული უმცირესობა თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად მიმართავს ორგანიზებულ ძალმომრეობას. აიღეთ სავაჭრო და სამრეწველო კრიზისები: არაფერი არ აბათილებს ასე თვალსაჩინოდ «ინტერესთა ჰარმონიის» აპოლოგეტებისა და მოციქულების ყოველგვარ სიტყვებს, არაფერი არ ააშკარავებს ასე მკაფიოდ თანამედროვე, კაპიტალისტური, წყობის მთელ მექანიზმს, «წარმოების» მთელ «ანარქიას», მწარმოებლების მთელ დაქსაქსულობას, თვითეულის მთელ ომს ყველას წინააღმდეგ და ყველას ომს — თვითეულის წინააღმდეგ. ბოლოს, აიღეთ ისეთი კრიზისი, როგორიცაა ომი: ყველა პოლიტიკური და სოციალური დაწესებულების შემოწმება და გამოცდა ხდება «ცეცხლითა და მახვილით». ყოველი ხალხის დაწესებულებებისა და წესწყობილების ძალასა და სისუსტეს განსაზღვრავს ომის დასასრული და მისი შედეგები. კაპიტალიზმის დროს საერთაშორისო ურთი-

ერთობის დედაარსი: სუსტის აშკარა ძარცვა — სრული სიცხადით აშკარავდება.

ჩვენი ყბადაღებული «საპარლამენტო» კრიზისის მნიშვნელობა აგრეთვე ისაა, რომ მან გამოააშკარავა რუსეთის მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის ღ რ მ ა წინააღმდეგურობა. სამწუხაროდ, კრიზისის მონაწილეთა და მოქმედ პირთა უმრავლესობა — ზოგი შეგნებულად, ზოგი მოუაზრებლობით, ან რუტინისა და ტრადიციის აყოლით — არათუ მიზნად არ ისახავს ა ხ ს ნ ა ს კრიზისი, აღნიშნოს მისი ნამდვილი მიზეზები და მნიშვნელობა, არამედ, პირიქით, მთელი ძალღონით აბუნდოვანებს მას ფრაზით, ფრაზით და ფრაზით. «დიდი ამბების დღე» III სათათბიროში, სტოლიპინთან კამათის დღე, 27 აპრილი, წარმოადგენდა «პარლამენტური» უქმი მეტყველების დიდ დღეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ასე ზომიერებას გადასული იყო თვით სტოლიპინის, მისი მეგობრებისა და მისი მოწინააღმდეგეების ფრაზების ნაკადი, ამ ნაკადმა მაინც ვერ შესძლო საქმის დედაარსის წ ა ლ ე კ ვ ა. და რაც უფრო მეტად აცდენენ ჩვენი ყოველდღიური პრესის ორგანოები მკითხველის ყურადღებას ლიბერალური ფრაზების განმეორებით, დეტალებითა და იურიდიული ფორმალობით, მით უფრო საჭიროა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ზოგადად კრიზისის 27 აპრილს გამოაშკარავებულ სურათს.

სტოლიპინის სიტყვის ძირითადი მოტივია — «ტახტის უფლებების» დაცვა ყოველგვარი «შებღალვისაგან». «87-ე მუხლის მნიშვნელობა — ამბობდა სტოლიპინი — განსაზღვრავს ტახტის უფლებებს, და შეუძლებელია იგი შეიბღალოს არასასურველი პრეცედენტის შეუქმნელად». სტოლიპინი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ «შებღალულ იქნას უზენაესი ხელისუფლების უფლება — გამოიყენოს 87-ე მუხლი პალატების დათხოვნამდე წარმოშობილ არაჩვეულებრივ გარემოებათა დროს». «ეს უფლება ურღვევია», — განაცხადა სტოლიპინმა, — «იგი ეყრდნობა, ემყარება სასიცოცხლო პირობებს». «ამ უფლების ყოველგვარი სხვა განმარტება მიუ-

ღებელია, იგი დაარღვევდა კანონის აზრსა და გონიერებას, იგი არარაობად აქცევდა მონარქის უფლებასაც — საგანგებო ბრძანებულებათა გამოყენების უფლებას».

ყოველივე ეს მეტად ნათელია და ყოველივე ეს ფრაზა როდია. საკითხი ისმება ცინიკურად — «რეალისტურად». ტახტი და შებღალვის ცდა... თუ წამოიჭრა დავა, საბოლოო ანგარიშით ვინ უნდა განმარტოს უფლების აზრიო, — ამ დავას წყვეტს ძალა. ყოველივე ეს მეტად ნათელია და ყოველივე ეს ფრაზა როდია.

პირიქით, წმინდა წყლის ფრაზა და ჯამბაზობა, იურიდიული ფიქცია იყო მაკლაკოვის «ცხარე, მხურვალე, მგზნებარე, დაჯერებული» საყვედურები: «დიდი სინანულითა და დიდი სირცხვილით» (28 აპრ. «რ ე ჩ ი ს» ანგარიში, გვ. 4) მოვისმინეო ტახტის რამდენჯერმე დამოწმებაო. მაკლაკოვი მთელი ეგრეთწოდებული «კონსტიტუციური ცენტრის» სახელით (ე. ი. კადეტებისა და ოქტიაბრისტების სახელით) იცავს კონსტიტუციური მონარქიის ჩვეულებრივ ფიქციას. მაგრამ კადეტური თუ კადეტურ-ოქტიაბრისტული «დაცვა» წარმოადგენს ცარიელ ფრაზას. რა შუაშია აქ სინანული და სირცხვილი, როცა საკითხი ძალას ეხება? კონსტიტუციის მიღების მოსურნე ბურჟუაზია სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ტახტი არ იძლევა კონსტიტუციას, და «რცხვენია» ამისი. ტახტს «რცხვენია» იმისა, რომ მას თავს მოახვიონ კონსტიტუცია, იგი ამას უყურებს, როგორც «შებღალვას», «ნანობს» «შებღალვისაკენ» მიმართული ყოველი კანონის ყველა და ყოველგვარი განმარტების შესახებ.

ორი მხარე. უფლების ორი განმარტება. სინანული და სირცხვილი ორივე მხრივ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთი მხარე მ ხ ო ლ ო დ «სინანულსა და სირცხვილს» განიცდის; მეორე მხარე კი ა რ ლ ა პ ა რ ა კ ობ ს არც სინანულზე და არც სირცხვილზე, არამედ ლაპარაკობს იმაზე, რომ შებღალვა «მიუღებელიაო».

განა ცხადი არ არის, რომ ნამდვილად ამგვარი მდგომარეობისა უნდა «რცხვენოდეთ», თავისი უძლურებისა უნდა

რცხვენოდეთ სწორედ ბატონ მაკლაკოვებს, სწორედ მთელ ჩვენს კადეტურ და ოქტიაბრისტულ ბურჟუაზიას? გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს რწმუნებული ცინიკურად ლაპარაკობს მის მიერ ცინიკურად შექმნილ კრიზისზე, იგი საომრად იწვევს, სასწორზე იარაღს აგდებს. ლიბერალური ბურჟუაზია კი, როგორც გოროდნიჩის მიერ შეშინებული ვაჭრუკანა, ლაჩრულად უკან-უკან იხევს და უკანდახევისას ბუზღუნებს: მე ვნანობ, მე მრცხვენია... რომ თქვენ ასე აბუჩად მიგდებთო!

«ვიტყვი, — ფიცულობს მაკლაკოვი, — რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე უფრო კონსტიტუციონალისტი ვარო» (წარმოდგენილი მაქვს, როგორ იცინოდა სტოლიპინი გულში და შინ ამ სიტყვების გამო: ჩემო ძვირფასო, საქმე ის კი არ არის, თავი კონსტიტუციონალისტად გამოაცხადო, არამედ ის, თუ ვისა აქვს ძალა განსაზღვროს, არის თუ არა კონსტიტუცია და როგორია ეს კონსტიტუცია!), «მაგრამ არც მასზე ნაკლები მონარქისტი ვარო». (სტოლიპინი უფრო მეტი კმაყოფილებით იღიმება: აი ასე, ჯერ დაგვემუქრა, შემდეგ კი პატიებას ითხოვსო! კარგი მეომარი კი ყოფილა ეს მაკლაკოვი.) «მე უგუნურებად მიმაჩნია შეიქმნას მონარქია იქ, სადაც მისთვის ფესვები არ არსებობს, მაგრამ სწორედ ასეთივე უგუნურებად ვთვლი უარვყოთ მონარქია იქ, სადაც მისი ისტორიული ფესვები მაგარიაო»...

ჯერ დაემუქრა, შემდეგ პატიება ითხოვა, ახლა კი იწყებს საბუთის მოყვანას სტოლიპინის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. ო, ჩინებულო პარლამენტარო ლიბერალიზმისა! ო, სწორუპოვარო ბელადო «კონსტიტუციური» (**lucus a non lucendo** *: «კონსტიტუციურისა» კონსტიტუციის უქონლობის გამო) ცენტრისა, კადეტურ-ოქტიაბრისტული ცენტრისა!

«მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს — ჰქუხს ჩვენი ტრიბუნი «სახალხო თავისუფლებისა» (წაიკითხე: ჩვენი ისტო-

* — ძნელად სათარგმნი ირონიული გამოთქმა, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: «სიტყვა ჭალა წარმოსდგება სიტყვისგან — არ ანათებს» (ლათინურად სიტყვა «ჭალა» თანხმიერია სიტყვისა «სინათლე»). რ ე დ.

რიული სახალხო მონობისა) — კიდევ შეუძლია დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მას ხელისუფლების სათავეში დასტოვებს იმ რევოლუციის შიშიც, რომელსაც მისივე აგენტები ქმნიან (ხმები მარჯვნიდან: «სირცხვილია»; ხმაური)... დასტოვებს აგრეთვე პრეცედენტის შექმნის საფრთხეც»!!

ამბავი იმისა, თუ როგორ არცხვენდა ივანე ივანეს-ძე ივანე ნიკიფორეს-ძეს, ხოლო ივანე ნიკიფორეს-ძე — ივანე ივანეს-ძეს. სირცხვილია არ დაიცვა კონსტიტუციონალიზმის ჩვეულებრივი ნორმები, — ეუბნება ივანე ივანეს-ძე ივანე ნიკიფორეს-ძეს. სირცხვილია იმუქრებოდე რევოლუციით, რომლისაც თვითონ გეშინია, რომელიც არა გწამს, რომელსაც არ ეხმარები, — ეუბნება ივანე ნიკიფორეს-ძე ივანე ივანეს-ძეს.

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ამ ორ მოდავეს შორის რომელმა უფრო მეტად «შეარცხვინა» მეორე?

«კონსტიტუციური ცენტრის» წარმომადგენელი ლვოვი 1-ლი ლაპარაკობს გეგეჭკორის შემდეგ, რომელმაც სავსებით სწორად განმარტა, რომ ლიბერალურ პრესას არა სწორად აქვს წარმოდგენილი კრიზისი როგორც «კონსტიტუციური» კრიზისი, რომ კადეტები «თავიანთი ორატორების პირით ემხრობოდნენ დანაშაულებრივ ილუზიას კონსტიტუციური ცენტრის შესახებ», რომ კონსტიტუციისათვის კიდევ საჭიროა ერთგვარი მოძრაობა (გეგეჭკორის სიტყვის ბოლოში უხერხული იყო მხოლოდ «ანარქიის» გახსენება: ეს სიტყვა არ უნდა თქმულიყო აქ).

ლვოვი 1-ლის სიტყვის მიხედვით შეიძლებოდა პირველად გვეფიქრა, თითქოს ზოგიერთმა მემამულემაც კი რაღაც გაიგო გეგეჭკორის განმარტებიდან. «ის, რაც მოხდა, — ამბობს ლვოვი 1-ლი, — მართლაც გვიჩვენებს, რომ ჩვენში კონსტიტუცია არ არის, პარლამენტარიზმი არ არის, მაგრამ ჩვენში არც ძირითადი კანონებია და საერთოდ არავითარი მოწესრიგებული წყობილება არ არისო» (ერიჰაა! განა მემამულეების არსებობა არ ნიშნავს ორგანიზებულ მემამულურ

წყობილებას? ენა თქვენი — მტერია თქვენი, «კონსტიტუციურ ცენტრში» მოკალათებულო ბატონებო), «არის მხოლოდ თვითნებობა» (სწორედ ეს არის ორგანიზებული მემამულური წყობილების ერთ-ერთი ძირითადი და უაღრესად არსებითი ნიშანი) «და დემაგოგია».

«პროგრესულ» მემამულეს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ლვოვ 1-ლს დემაგოგია ესმის როგორც რაღაც მეტად არასასიამოვნო რამ. მოუსმინეთ ქვევით:

«და ამ დემაგოგიით სარგებლობენ ხელისუფლების სათავეში მდგომი პირები იმისათვის, რომ გააძლიერონ თავიანთი საკუთარი გავლენა და თავიანთი ძალაუფლება. ამ დემაგოგიით ისარგებლებენ სხვები, რომელთაც უნდათ ეს ძალაუფლება დაიპყრონ»... (უჰ... რა აღმაშფოთებელი, რა უზნეო მისწრაფებაა! აი სწორედ რუსეთის ლიბერალური ბურჟუები, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე შორს არიან ასეთი მისწრაფებისაგან. ეს მხოლოდ დამპალ დასავლეთში ისწრაფის ზნედაცემული ბურჟუაზია ძალაუფლების დასაპყრობად, და მან კიდეც წარმოშვა უკუღმართი მოძღვრებანი, თითქოს მხოლოდ ბურჟუაზიული ხელისუფლება უზრუნველყოფდეს ბურჟუაზიულ კონსტიტუციას. ჩვენ, რუსეთის ლიბერალები, განათლებული ვართ სტრუვეს, ბერდიაევისა და კომპანიის მორალური, იდეალისტური ქადაგებით, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალაუფლება უნდა დარჩეს ტოლმაჩევებს, ხოლო განაწესებს ამ ძალაუფლების ჭეშმარიტად კონსტიტუციური გამოყენების შესახებ უნდა სწერდნენ მაკლაკოვები)... «რომელთათვის დემაგოგია გაცილებით უფრო მახლობელი ინსტრუმენტია. გეშინოდეთ ამ დემაგოგიისა, ვინაიდან მას ყველაფერი შეეწირება მსხვერპლად: თქვენი ღირსებაც, თქვენი სამკვიდრებელიც, თქვენი პატიოსნებაც და რუსეთის მოქალაქეობრიობაც».

კარგად ლაპარაკობს «პროგრესისტი» ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ლვოვი 1-ლი. «სამკვიდრებელის» შესახებ ის საკმაოდ ნათლადაც ლაპარაკობს: მაგალითად, თუ გუშინ მემამულეს 10 000 დესეტინა ჰქონდა, ხოლო დღეს 50 დეს. დარჩა, ეს

იმას ნიშნავს, რომ 9 950 დესეტინა «მსხვერპლად შეეწირა» «დემაგოგიას». ეს გასაგებია. ეს ფრაზები არაა. მაგრამ აი რაც შეეხება «ღირსებას» და «პატიოსნებას», აქ ყველაფერი ასე აშკარა არაა; ხომ არ უნდა ჩვენს პროგრესისტს თქვას, რომ მემამულე მხოლოდ მაშინ იქნება «ღირსეული» და «პატიოსანი» კაცი, თუ 10 000 დესეტინა მიწას ფლობს და რომ ის აუცილებლად უღირსი და უპატიოსნო გახდება, თუ აქედან 9 950 დესეტინას დაჰკარგავს? ან შეიძლება ლვოვ 1-ლს სურს თქვას, რომ ღირსება და პატიოსნება დემაგოგიას შეეწირება მსხვერპლად, უკეთუ არ იქნება სამართლიანი შეფასება, — ვთქვათ, მაგალითად, ასე, 500 მანეთად დესეტინა?

«რუსეთის მოქალაქობრიობის» შესახებ «პროგრესისტ» ლვოვ 1-ლს სრულიად აებნა თავი და ბოლო. თუ მან სიმართლე თქვა, რომ ჩვენ არა გვაქვს არც კონსტიტუცია, არც პარლამენტარიზმი და არც ძირითადი კანონები, — მაშ ჩვენ არც მოქალაქობრიობა გვქონია, ხოლო რაც არა გვაქვს, იმის მსხვერპლად შეწირვაც არ შეიძლება. თუ ლვოვ 1-ლმა სიმართლე თქვა, მაშ ჩვენი მოქალაქობრიობა მსხვერპლად ყოფილა შეწირული ჩვენი «ორგანიზებული (მემამულური) წყობილებისათვის». იქნებ წამოსცდა ჩვენს «პროგრესისტს»? ხომ არ უნდოდა ეთქვა, რომ ჩვენი ორგანიზებული მემამულური წყობილება მსხვერპლად შეეწირება რუსეთის მოქალაქობრიობას? ხომ არ სურდა მას მოვლენების სწორედ ასეთი, ჰიპოთეზური მსვლელობისათვის დემაგოგია ეწოდებინა? ხომ არ უნდოდა მას ეთქვა, როდესაც ამბობდა: «გეშინოდეთ ამ დემაგოგიისაო», რომ მესამე სათათბიროს უმრავლესობას უნდა ეშინოდეს მოვლენათა ამ ჰიპოთეზური მსვლელობისა?

ამბავი იმისა, თუ როგორ აბრალებდა დემაგოგიას ივანე ივანეს-ძე ივანე ნიკიფორეს-ძეს, ხოლო ივანე ნიკიფორეს-ძე — ივანე ივანეს-ძეს. თქვენ დემაგოგი ხართ, უთხრა ივანე ივანეს-ძემ ივანე ნიკიფორეს-ძეს, ვინაიდან თქვენ ხელისუფლების სათავეში დგახართ და სარგებლობთ ამით თქვენი საკუთარი გავლენისა და თქვენი ძალაუფლების გასაძლიერებლად, ამასთან იმოწმებთ მოსახლეობის ნაციონალურ

ინტერესებს. არა, თქვენა ხართ დემაგოგი, უპასუხა ივანე ნიკიფორეს-ძემ ივანე ივანეს-ძეს, ვინაიდან თქვენ ჰყვირით ხმამაღლა საჯარო ადგილას, თითქოს ჩვენში მხოლოდ თვითნებობა იყოს და არ გვქონდეს არც კონსტიტუცია, არც ძირითადი კანონები, ამასთან საკმაოდ უზრდელად ლაპარაკობთ გადაკვრით ჩვენი სამკვიდრებელის რაღაც მსხვერპლად შეწირვაზე.

ბოლოს და ბოლოს ვინ ვისი დემაგოგია ამხილა, — არ ვიცით. მაგრამ ვიცით, რომ, როდესაც ორი ქურდი ეჩხუბება ერთმანეთს, ამას ყოველთვის ერთგვარი სარგებლობა მოაქვს.

«ზვეზდა» № 21, 1911 წ. 7 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

მასალები რსდმპ ცკ-ის წევრთა თათბირისათვის[66]

1911 წ. 28 მაისი — 4 ივნისი (10 — 17 ივნისი)

პირველად დაიბეჭდა
1933 წელს
ლენინის კრებულში XXV

•ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1
წერილი რსდმპ ცკ-ის წევრთა თათბირს საზღვარგარეთ[67]

იგორევის ბარათი 1911 წ. 1 ივნისის თარიღით კიდევ და კიდევ ცხადყოფს იმ აღმაშფოთებელ თ ა მ ა შ ს ცენტრალური კომიტეტის მოწვევის საქმეში, — მისი მოწვევის გაჭიანურებისა და ჩაშლის იმ პოლიტიკას, რასაც უკვე დიდი ხანია, მთელი რიგი თვეების განმავლობაში, ამხელს ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო.

სრული სიცრუეა იგორევის მტკიცება, თითქოს იუდინი და კოსტროვი[68] ამჟამად შეადგენენ დროებითს ბიუროს ან თუნდაც მის ნაწილს, მაშინ როდესაც მაკარი და ლინდოვი[69] (ინოკენტის შემდეგ) მ რ ა ვ ა ლ ი თ ვ ი ს განმავლობაში **შეადგენდნენ** ბიუროს ორგანიზაციას, **იყვანდნენ** აგენტებს, **აწყობდნენ** მთელ რიგ შემოვლებს ცენტრალური ორგანიზაციის საქმეებზე, აწყობდნენ თათბირებს აგენტებთან და კოოპტაციის კანდიდატებთან (მაკარი კაცაპთან[70] და სხვა, მილიუტინთან და სხვ.), მიწერ-მოწერა ჰქონდათ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საერთო-პარტიულ ცენტრთან, დედაქალაქთა სოციალ-დემოკრატიულ წრეებთან არჩევნების დროს (მოსკოვი) და სხვა და სხვა.

არც იუდინი და არც კოსტროვი ა რ ა ვ ი თ ა რ ასეთ მუშაობას არ ეწეოდნენ. არც ერთ მათგანს ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ ე რ ი, აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია ასეთ საქმეში.

ბიუროში იუდინისა და კოსტროვის «კოოპტაციის» შესახებ პარტიის ა რ ც ე რ თ ოფიციალურ დაწესებულებას

საზღვარგარეთ (არც ცენტრალურ ორგანოს და არც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს) არ ცერთი ფორმალური ცნობა არ მიუღია.

მაკარისა და ლინდოვის ჩავარდნის შემდეგ, **2 თვეზე მეტი** ხნის განმავლობაში არც ერთი ნაჭერი ქაღალდი, არც ერთი წერილი არ მოსულა, იუდინსა და კოსტროვზე, მათ მუშაობაზე ბიუროში ერთი სიტყვაც არავის გაუგონია. იუდინსა და კოსტროვს არათუ არავინ არ სცნობდა ბიუროდ (როგორც სცნობდნენ ყველანი და სცნობდნენ უდავოდ მაკარსა და ლინდოვს), არამედ იუდინსა და კოსტროვს ერთი კაპიკი ფულიც კი არ მოუთხოვიათ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროსთვის არც კი უცნობებიათ (როგორც ეს აცნობეს მაკარმა და ლინდოვმა) ბიურო შევადგინეთო.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს იგორევის დამოწმება იმისა, რომ კოსტროვი და იუდინი «ბიუროს» შეადგენენო, ეს არის პარტიის აბუჩად აგდება, პარტიის მოტყუება. და ჩვენ ვამხელთ ამ ტყუილს.

შემდეგ. ახლა, ინოკის, მაკარისა და სხვათა გამოცდილების შემდეგ, ოლგინის[71] მხილებათა შემდეგ და სხვა, ცენტრალური კომიტეტის აღდგენა რუსეთში ძველი ლონდონელი ცეკისტების შემადგენლობით პირდაპირ სტოლიპინისთვის მუშაობად მიგვაჩნია. ჩვენ ვაფრთხილებთ პარტიას მოერიდონ იმათ, ვინც საქმის ვითარების არმცოდნე ადამიანებს ანკეტაზე აგებს, ცეკისტებს გზავნის შეუძლებელ პირობებში სამუშაოდ, განუხორციელებელი ამოცანების შესასრულებლად, პირდაპირ პოლიციას უგდებს კლანჭებში.

დასასრულ, რაც შეეხება ერთი თვის შემდეგ პლენუმის მოწვევის «გეგმას», რომელიც იგორევს **არ განუცხადებია** ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში, მაგრამ ამის შესახებ თქვა მან 1911 წლის 1 ივნისის ბარათში, პარტიის ყურადღებას მივაქცევთ ლიკვიდატორე-

ბის ახალ ინტრიგას ცენტრალური კომიტეტის მოწვევის საქმეში.

ერთი თვის შემდეგ შესაძლებელია არა ცენტრალური კომიტეტის მოწვევა, არამედ მხოლოდ ფიქციური ცეკისტების «თავის მოყრა» — აი დედაარსი გოლოსელების ამ ინტრიგისა!

ბეკებმა პლენუმის შემდეგ ცენტრალურ სამუშაოზე დაკარგეს ცენტრალური კომიტეტის **ოთხი** წევრი (მეშკოვსკი + ინოკენტი + მაკარი + ლინდოვი). მეკებმა — **არც ერთი,** რადგან არც ერთი არ მუშაობდა!!

და აი ახლა გოლოსელები ბედავენ და **ერთი თვის** ვადას გვთავაზობენ, იმ ვარაუდით, რომ თავს მოუყრიან ისეთ ვაჟბატონებს, როგორიცაა «პეტრე» [72], რომელსაც მთელი წლინახევრის განმავლობაში (პლენუმის შემდეგ) ერთხელაც აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია სამუშაოსთვის, ერთხელაც კი არ მოსულა ბიუროში. გოლოსელებმა იციან, რომ ერთ თვეში იმ ბეკების «მოწვევა», რომელნიც გადასახლებულნი არიან სასამართლოს თუ ადმინისტრაციული წესით, შეუძლებელია!!

ისინი ცენტრალურ კომიტეტს რუსეთში იმიტომ გზავნიდნენ, «რომ ის იქ ჩავარდნილიყო»!

ისინი ეღირსნენ ყველა ბეკის ჩავარდნას.

მათ შეინარჩუნეს ყველა არ მომუშავე და ფიქციური მეკი.

მათ სურთ დანიშნონ ერთი თვის ვადა, რათა შესძლონ პეტრეს მსგავსი ფიქციური ცეკისტების ჩამოყვანა, ხოლო მომუშავე ბეკებისთვის კი შეტყობინებაც **ვერ მოხერხდეს!**

ამაოდ ჰგონიათ, რომ ლიკვიდატორების ეს თამაშობა პლენუმის მოწვევის საქმეში მხილებული არ იქნება პარტიის წინაშე!

დაწერილია 1911 წ.
19 და 23 მაისს (1 და
5 ივნისს) შუა

2

კონსპექტი (ბეგმა) სამი ცეკისტი ბეკის მოსხენებისა ცენტრალური კომიტეტის ცხრა წევრის კერძო თათბირისათვის

1. რუსეთში ცენტრალური კომიტეტის აღდგენის ცდის ისტორია.

ორი პერიოდი:

(ა) I. 1910 — VIII (ან IX). 1910.

ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი — ბეკები — დააპატიმრეს ცენტრალური კომიტეტის მოწვევის ცდისას. მათ ბ ე ვ რ ჯ ე რ დაუნიშნავთ ცენტრალური კომიტეტის კრებები. ა რ ც ე რ თ ხ ე ლ არ გამოცხადებულან არც მიხეილი + იური + რომანი, ა რ ც ე რ თ ი მეკი საერთოდ.

(ბ) 1910 წლის დამლევი — 1911 წლის გაზაფხული.

ახალი ბიურო შექმნა ცენტრალური კომიტეტის ორმა წევრმა ბეკმა. მათს მ უ შ ა ო ბ ა შ ი (ურთიერთობა აგენტებთან, სათათბიროს ფრაქციასთან, მოსკოველ სოციალ-დემოკრატებთან არჩევნების დროს და სხვ.) ა რ ა ვ ი თ ა რ ი მონაწილეობა არ მიუღია ა რ ც ე რ თ მეკს.

ე რ თ ი მეკი (კოსტროვი) ერთხელ თუ ორჯერ გამოცხადდა ბიუროში ხმის «მისაცემად»!

ორივე ბეკი დააპატიმრეს.

შედეგი: ყ ვ ე ლ ა ბეკი, ცენტრალური კომიტეტის წევრები, დაპატიმრებული არიან ცენტრალური მ უ შ ა ო ბ ი ს თ ვ ი ს და **ამ** სამუშაოზე.

მეკებიდან ერთმა ნაწილმა (მიხეილი + იური + რომანი) უარი თქვა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მონაწილეობაზე, ერთს (პეტრეს) 1½ წლის განმავლობაში ა რ ა ვ ი თ ა რ ი მონაწილეობა არ მიუღია, ერთი (კოსტროვი) 1½ წლის განმავლობაში ორჯერ გამოცხადდა (1911 წელს!) ბიუროში, ცენტრალურ მუშაობაში კი არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ბეკების ჩავარდნის შემდეგ, 2½ თვის განმავლობაში ამ მეკს ე რ თ ი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ე რ თ ი წ ე რ ი ლ ი ც კი არ დაუწერია იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის აღდგენაზე ვმუშაობო.

ამიტომ იგორევის განცხადება, ეს მეკი + ბუნდელი ამჟამად ბ ი უ რ ო ს შეადგენენო (რომლის შესახებ ფორმალურად ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში არც კი განუცხადებიათ და იგი ა რ ა ვ ი ს მიერ არ არის ცნობილი!), პირდაპირ აბუჩად აგდებად მიგვაჩნია.

2. შესაძლებელია თუ არა ახლა საზღვარგარეთული პლენუმის აღდგენა?

იურიდიულად: არის 9 კაცი 15-დან. ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ მათ შეუძლიათ (ა) გამოაცხადონ თავი პლენუმად. როგორც ფორმალურად უდავო, ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ა ლ ბ ა თ, შესაძლებელია მხოლოდ ერთი ხმის უმეტესობით, ე. ი. ამ 9-დან 5-ის გადაწყვეტილებით, 4-ის წინააღმდეგ. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ასეთი ფორმალურად უნაკლო ნაბიჯის გადადგმა უმნიშვნელოა: ეჭვს გარეშეა, რომ ასეთ პირობებში ცენტრალური კომიტეტის რ ო ლ ი ს შესრულება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

(ბ). ფორმალურად შესაძლებელია აგრეთვე, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს დარჩენილი 9 წევრი რუსეთიდან ჩამოიყვანენ უფლებამოსილ კანდიდატებს. რა მნიშვნელობა ექნება ამას სინამდვილეში? მეკებს შეუძლიათ «ჩამოიყვანონ» ან თავიანთივე ლიკვიდატორები (მიხეილი + იური + რომანი და სხვ.), რომელთაც ცენტრალური კომიტეტის წევრებად, მიხეილის + იურის + რომანის ცნობილი გამოსვლის შემდეგ, არც ერთი პატიოსანი პარტიელი არა სცნობს; — ან

ორი ცეკისტი, რომელნიც პლენუმს დაესწრნენ 1910 წლის იანვარში და მას შემდეგ, 1½ წლის განმავლობაში, არავითარ ცენტრალურ მუშაობას არ ეწეოდნენ. მათი ჩამოყვანის ვადა არ არის გარკვეული.

ბეკებს შეუძლიათ ჩამოიყვანონ კიდევ ორი თავიანთი კანდიდატი სამი უკვე ადგილზე მყოფი ბეკის დამატებით. ამ კანდიდატების ჩამოყვანას დასჭირდება მრავალი თვის მუშაობა გადასახლებულებთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად, გაქცევათა მოსაწყობად, მათი ოჯახების საარსებო საშუალებათა მოსაგვარებლად და სხვა და სხვა. რამდენი თვე დასჭირდება ასეთ «მუშაობას», — ამის თქმა შეუძლებელია.

«ფორმალური» კანდიდატების ჩამოყვანის ამ გაურკვევლად ხანგრძლივი მუშაობის რეალური მნიშვნელობა პარტიისათვის, იმ კანდიდატებისა, რომელთაც ახლა სინამდვილეში არ შეუძლიათ ცენტრალური მუშაობა აწარმოონ რუსეთში, არა მარტო ნოლი იქნება. ეს მნიშვნელობა ნოლზე უარესი იქნება, რადგან ადგილების ზემოთ განაწილების თამაში ადგილობრივ პარტიულ ჯგუფებს დაუჩრდილავს სავალალო სინამდვილეს, რომელიც მოითხოვს ენერგიულ ინიციატივას.

1½ წლის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის უშედეგო აღდგენის შემდეგ პარტიის გამასპინძლება «დღესხვალეობით»: ხვალ «გეყოლებათ» ცენტრალური კომიტეტიო — ეს იქნებოდა პარტიის დაცინვა. ასეთ დაცინვაში ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

3. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ახლა რუსეთში კანდიდატების შეკრების ცდა იქ ცენტრალური კომიტეტის აღსადგენად, შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ სტოლიპინის მომხრეებისგან. პოლიციამ იცის ყველა კანდიდატის ვინაობა და უდარაჯებს მათ, როგორც ეს დაამტკიცა ინოკენტისა და მაკარის ორჯერ და სამჯერ ჩავარდნამ. ეს არის პირველი და მთავარი. მეორეც, ასეთი მოწვევის ნამდვილი მიზანი — რუსეთში მყოფთა კოოპტაცია ამჟამად განუხორციე-

ლებელია, რადგან არ მოიპოვება კანდიდატები (დაპატიმრებული არიან ამ ბოლო დროს მაკარისთან ერთად) და არც წესდებით გათვალისწინებული ერთხმადობის მიღწევა შეიძლება მეკების კოოპტაციის დროს, რადგან არც ერთი ბოლშევიკი (ეს უკვე განუცხადა სვერჩკოვს ინოკმა) არც ერთ ლიკვიდატორს (ი მ ა ვ ე გ ო ლ ო ს ე ლ ს) არ გაიყვანს.

4. ამჟამად პარტიის რ ე ა ლ უ რ ი მდგომარეობა ისეთია, რომ ადგილობრივ თითქმის ყველგან მოიპოვებიან სრულიად არაფორმალური, მეტად პატარა და წვრილ-წვრილი მუშათა პარტიული ჯგუფები და უჯრედები, რომლებიც არარეგულარულად იკრიბებიან ხოლმე. ყველგან ეომებიან ისინი ლიკვიდატორ-ლეგალისტებს — კავშირებში, კლუბებში და სხვა. ერთმანეთთან ისინი არ არიან დაკავშირებული. ლიტერატურას ძალიან იშვიათად ხედავენ. მუშებში პრესტიჟი აქვთ. ამ პატარა ჯგუფებში ირაზმებიან ბ ე კ ე ბ ი + პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ე ლ ე ბ ი და ნაწილობრივ ის «ვპერიოდელები», რომელთაც წაუკითხავთ «ვპერიოდული» ლიტერატურა ან მოუსმენიათ ვპერიოდელი ორატორები, მაგრამ რომელნიც ჯერ არ ჩაბმულან საზღვარგარეთ შექმნილ ვპერიოდელთა განცალკევებულ ფრაქციაში.

ერთგვარი, თუმცა მცირე, გავლენა პიტერელი მუშების ნაწილში ამ ანტიპარტიულ ფრაქციას უსათუოდ აქვს. სავსებით დამტკიცებულია, რომ ეს ფრაქცია არავითარ ცენტრალურ კომიტეტს არ ემორჩილება და შეძლებისდაგვარად ხელს უშლის სოციალ-დემოკრატიის მუშაობას (მას დღემდე პირდაპირი მოწოდებით არავისთვის მიუმართავს IV სათათბიროს არჩევნებისაკენ და განაგრძობს ოტზოვისტებთან ლაქუცს).

ბევრად უფრო სერიოზულ ანტიპარტიულ და ანტისოციალ-დემოკრატიულ ძალას წარმოადგენს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ლ ე გ ა ლ ი ს ტ თ ა ფრაქცია («ნაშა ზარია»+«დელო ჟიზნი» + «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა»). სავსებით დამტკიცებულია, რომ ისინი არავითარ ცენტრალურ კომიტეტს არ ემორჩილებიან და საჯაროდ დასცინიან მის

გადაწყვეტილებებს. გატარება პლენუმის რეზოლუციებისა («არ უნდა დავამციროთ» არალეგალური პარტიის მნიშვნელობა და სხვ.) მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ, რადგან არა სურთ. მათ არ შეუძლიათ პ ი რ ი ქ ი თ ი ხაზი არ გაატარონ.

არც ერთ კეთილსინდისიერ სოციალ-დემოკრატს არ შეუძლია დაეჭვდეს იმაში, რომ «დამოუკიდებელი ლეგალისტები» ამზადებენ IV სათათბიროს არჩევნებს და ამ არჩევნებს ჩაატარებენ პარტიის გ ვ ე რ დ ი ს ა ქ ც ე ვ ი თ დ ა მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

პარტიელთა ამოცანა ცხადია: აღარ დაუშვან ამიერიდან არავითარი გაჭიანურება, არ გადასდონ არც ერთი დღით პ ი რ დ ა პ ი რ ი გალაშქრება დამოუკიდებელი ლეგალისტების წინააღმდეგ, აშკარად და გადაჭრით მოუწოდონ მუშათა პარტიულ წრეებს რუსეთში იმისაკენ, რომ დაიწყონ მზადება არჩევნებისთვის და ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს დ რ ო ს გააფრთხილონ მუშები არ დაუჯერონ «დამოუკიდებელ ლეგალისტებს», ებრძოლონ მათ, გაიყვანონ მ ხ ო ლ ო დ სავსებით პარტიული მუშები, მ ხ ო ლ ო დ ისინი, რომელთაც შეგნებული აქვთ ამ მიმდინარეობის მავნებლობა.

ასეთია ჩვენი პარტიის სადღეისო ამოცანა. ყოველგვარი გადახვევა ცხოვრების მიერ (და დამოუკიდებელი ლეგალისტების მიერ) რეალურად დაყენებული საკითხის ასეთი დაყენებიდან, ყოველგვარი თავდაძვრენა, გაჭიანურება, ყოველგვარი ცდა გაიმეორონ ლეგალისტების «დაპირებათა» და «დარწმუნებათა» თამაში — უდიდეს საფრთხეს უქმნის პარტიას.

5. ჩვენი პრაქტიკული დასკვნა ასეთია: 9-ის კრებას წინადადება უნდა მიეცეს უსათუოდ და დაუყოვნებლივ მიმართოს პარტიას მოწოდებით, რომელშიც სიმართლით და სრულად იქნება გადმოცემული რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მოწვევის წარუმატებლობა, და რომელიც მოუწოდებს ადგილობრივ წრეებს, რომ მათ გამოიჩინონ ინიციატივა და შექმნან საოლქო, ხ ო ლ ო შ ე მ დ გ ო მ ცენტრალური ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ს ი ე ბ ი, და აწარმოონ გაბე-

დული, პირდაპირი, მედგარი ბრძოლა «დამოუკიდებელი ლეგალისტების» წინააღმდეგ.

ამ მოწოდებას ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ფორმალური ვოტუმით მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გავუმაგროთ ზურგი, თუ ცენტრალური კომიტეტის არა ხუთი წევრი ცხრიდან, არამედ ცხრა წევრის დიდი უმრავლესობა დათანხმდება თავი აღიაროს პლენუმად და დაადგება დამოუკიდებელ ლეგალისტთა ჯგუფთან (ფრაქციასთან) გაბედული ბრძოლის გზას. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ბრძოლა შეუთავსებელია ამ ლეგალისტების მონაწილეობასთან ცენტრალურ დაწესებულებებში, რომელთაც ისინი შლიდნენ, აფერხებდნენ, აუძლურებდნენ და «ავადმყოფურ მდგომარეობაში ამყოფებდნენ» წელიწადნახევრის განმავლობაში.

დაწერილია 1911 წ.
19 და 28 მაისს (1 და
10 ივნისს) შუა

3
პროექტი რეზოლუციისა კონსტიტუირების შესახებ [73]

კრება, აღნიშნავს რა, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა წევრი მოწვეულია ამ კრებაზე და გამოცხადდა ყველა, ერთის გარდა, თავს თვლის საზღვარგარეთ მყოფ ცეკისტთა თათბირად და პარტიის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით თავის დღისწესრიგში აყენებს ცენტრალური კომიტეტის აღდგენის საკითხს.

დაწერილია 1911 წ.
28 მაისს (10 ივნისს)

სათათბიროს სესიის შედეგებისათვის

«ერთად ვაკეთებდით»

სათათბიროს 27 აპრილის «ისტორიულ» სხდომაზე ბ-ნი ტესლენკო, სხვათა შორის, შემდეგნაირად უპასუხებდა ბ-ნ სტოლიპინს:

«მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეუბნებოდა სახელმწიფო სათათბიროს, — დიახ, ბატონებო, მე მოგეშველებით სულ ახლო ხანში. აი თქვენ, ალბათ, ისე მოექცევით კანონს სტაროობრიადელთა შესახებ, რომ მუშაობის შეწყვეტის წინ იგი უარყოფილ იქნება და ვაშინ შესვენების დროს გატარდებაო. მე აქ მომეჩვენა რაღაცნაირი ფამილიარული კილო, რაღაც ისეთნაირი კილო, თითქოს აქ გვეუბნებოდნენ: ჩვენ ხომ ამას თქვენთან ერთად ვაკეთებდითო. და, ბატონებო, მაპატიეთ, თუ უნებლიეთ მომაგონდა ის სცენა «რევიზორიდან», სადაც გოროდნიჩი ამბობს: «ჰა! თქვენ მიჩივით?! აბა, მოიგონეთ, როგორ ვაკეთებდით ჩვენ ერთად ამასა და ამასაო». და, ბატონებო, მე ვფიქრობ, რომ, შეიძლება, მათ, ვისაც წინათ იმედი ჰქონდა ამ დახმარებისა, ვისაც, შეიძლება, მომავალშიც აქვს ამის იმედი, მე მგონია, მათ თავი უხერხულად უნდა ეგრძნოთ და, შეიძლება, მათ იფიქრეს, და კარგია, თუ იფიქრეს: ღმერთო, გვაშორე ასეთ მეგობრებს, მტრებს კი თვითონვე გავუსწორდებითო».

როგორც სტენოგრაფიული ანგარიში აღნიშნავს, ბ-მა ტესლენკომ ამ ტირადებისთვის დაიმსახურა «ტაში მარცხნიდან», — ცხადია, სახალხო თავისუფლების ფრაქციის რიგებიდან. კადეტებმა აქ დაინახეს მოსწრებული ირონია ოქტიაბრისტების მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა მრავალში, ისინი ტაშს კი უკრავდნენ, მაგრამ იმ სიტყვების ღრმა აზრს, რომლებიც წამოსცდა მათს ორატორს, არ

უფიქრდებოდნენ. ისინი ტაშს უკრავდნენ, რადგან ეგონათ, რომ ეს სიტყვები გესლავდა მხოლოდ ოქტიაბრისტებს, სახელს უტეხდა მხოლოდ მათს ამ განსაკუთრებით საძულველ მოქიშპეს. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ბ-ნ ტესლენკოს მოსწრებული სიტყვა, თუ სერიოზულად განვიხილავთ მის მნიშვნელობას, სიმართლეა, რომელიც გესლავს ოქტიაბრისტებსაც და კადეტებსაც. ამ სიმართლეზე ღირს შევჩერდეთ, იმიტომ რომ იგი ეხება რუსეთის პოლიტიკური ისტორიის უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის — და მერე როგორი წლების — ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს.

«ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო», — კარგადაა ნათქვამი, ბ-ნო ტესლენკო. მაგრამ, შეიძლება, უფრო სწორი იყოს თქმა: კარგადაა გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ის, რაც მრავალჯერ თქმულა «მემარცხენეთა» «მიტინგებზე», რომელთაც ჩვეულებრივ ასე ათვალწუნებით ეპყრობიან ბატონი კადეტები. «ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო» — ეს სიტყვები მარტო მესამე სათათბიროს კანონპროექტებს, მარტო ყბადაღებულ «ვერმიშელს» როდი ეხება. ეს სიტყვები ეხება ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ი მ ა ს, რასაც «ერთად» «აკეთებდნენ» 1905 წლის დამლევიდან ბატონი სტოლიპინები და რუსეთის მთელი ლიბერალური ან მოლიბერალო ბურჟუაზია. ბ-ნ სტოლიპინის «ფ ა მ ი ლ ი ა რ უ ლ ი კილო» არათუ «მოეჩვენა» კადეტ ორატორს: ეს კილო ნამდვილად ახასიათებს სტოლიპინის ყველა სიტყვას, სტოლიპინების მთელ პოლიტიკას ბურჟუაზიის მიმართ (რომელიც, სხვათა შორის, ოქტიაბრისტ და კადეტ დეპუტატთა სახით, იძლევა მესამე სათათბიროს დეპუტატების უმრავლესობას).

ფამილიარული კილო — რომელიც მოვლენების ყოველი სერიოზული ვითარების დროს უხეშ გაბიაბრუებად და ძალმომრეობადაც კი იქცევა — გამოწვეულია იმით, რომ არა მარტო ოქტიაბრისტები, არამედ კადეტებიც მხოლოდ ლამაზი სიტყვისთვის, მარტოოდენ ტაშის გამოსაწვევად (ეს მშვენივრად იციან სტოლიპინებმა) ისვრიან ასეთ ფრაზებს: «ღმერთო, გვაშორე ასეთ მეგობრებს» (ე. ი. სტოლიპინებს),

«მტრებს კი» (ე. ი., ალბათ, მემარჯვენე რეაქციასაც და მემარცხენე... როგორ ვთქვათ უფრო რბილად?.. «მომთხოვნელობასაც») «თვითონვე გავუსწორდებითო».

ეს ფრაზები რომ მარტო ფრაზა არ იყოს, რუსეთი უკვე სავსებით და საბოლოოდ განთავისუფლებული იქნებოდა «ასეთი მეგობრებისაგან». მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ კადეტები ამგვარ ფრაზებს ისვრიან მხოლოდ გახურებული «ოპოზიციური» გამოსვლების დროს, — საერთო-სახელმწიფოებრივი ტრიბუნიდან ოპოზიციურად გამოსვლა შეუძლებელია დემოკრატიზმის რაიმე, თუნდაც ოდნავი ნიშანწყლის გარეშე. და აი წამოისვრიან ხოლმე დემოკრატიულ განცხადებებს, რომლებიც ძალიან სასარგებლო იქნება დავუპირისპიროთ იმავე კადეტების ს ა ქ მ ე ე ბ ს. დემოკრატიზმის მოთამაშე (ან დემოკრატიზმით მემარჯვენე მტრის დამმუქრებელი) ბურჟუაზიის ისტორიული როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის დაბალი ფენების ზოგიერთ პირებს ეს სიტყვიერი «თამაში» ხანდახან სერიოზულ სამსახურს უწევს, გულწრფელ და ღრმა დემოკრატიულ აზრს უღვიძებს. «როდესაც ზევით ჭიანურს უკრავენ, ქვევით ცეკვის სურვილი იბადებაო». ლათინური ანდაზა ამბობს: **littera scripta manent** — დაწერილი არ იკარგებაო. ნათქვამიც არ იკარგება ყოველთვის, მარტო ფრაზისა და ეფექტის გულისთვისაც რომ იყოს იგი თქმული.

აქედან, რა თქმა უნდა, ის კი არ გამომდინარეობს, რომ კადეტების ფარისევლური ფრაზა ხალას ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, დემოკრატიზმად გამოვაცხადოთ ან მივიჩნიოთ. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ კადეტების ყოველი დემოკრატიული ყაიდის ფარისევლური ფრაზით უნდა ვისარგებლოთ, ჯერ-ერთი, იმისთვის, რომ ცხადვყოთ მოლაპარაკის სიტყვისა და საქმის ერთმანეთისგან დაშორება, ხოლო მეორეც, იმისთვის, რომ ცხადვყოთ დემოკრატიზმის ნამდვილი, საარსებო, უშუალო მნიშვნელობა იმ «ქვედა ფენებისთვის», რომელთა ყურამდისაც აღწევს თავრიდის სასახლის ორატორების ეფექტური ფრაზები.

ბ-ნ ტესლენკოს ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ფარისევლური იმიტომ როდია, რომ ბ-ნი ტესლენკო პირადად ფარისევლობდეს: იგი, შესაძლოა, უბრალოდ გაიტაცა თავისი ოპოზიციური მჭევრმეტყველების ნაკადმა. ფარისევლობა აქ იმაშია, რომ კადეტების პარტიის წარმომადგენლის სიტყვები არ ეთანხმება ამ პარტიის საქმეებს რუსეთის უახლესი ისტორიის არც ერთ სერიოზულ მომენტში.

მოიგონეთ 1905 წლის აგვისტოს ამბები. რას აკეთებდა ამ დროს ბ-ნ სტოლიპინის წინამორბედი? ბულიგინის სათათბიროს და მის არჩევნებს აგვარებდა. რას აკეთებდნენ ბ-ნი ტესლენკო და მისი თანამოაზრენი? აგვარებდნენ იმავე არჩევნებს თავიანთი ძალღონის ფარგლებში და საზოგადოებრივი მუშაობის თავიანთი «სპეციალობის» მიხედვით. «ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო», შეუძლია ბ-ნ ბულიგინს (და ბ-ნ სტოლიპინს) უთხრას ბ-ნ ტესლენკოს. და ბ-ნი ტესლენკო «ერთად აკეთებდა» სწორედ იმიტომ, რომ ეშინოდა დაეკარგა ის თავისი «მეგობრები», რომელთა შესახებ ახლა ასე ზავთიანად, ასე რაინდულ-მამაცურად ამბობს: «ღმერთო, გვაშორე ასეთ მეგობრებსაო»...

მოიგონეთ ამბები, რომლებიც დატრიალდა სამი თვის შემდეგ ბულიგინის სათათბიროს შესახებ კანონის გამოცემის დღიდან. რას აკეთებდა მაშინ ბ-ნი სტოლიპინის წინამორბედი? ის ეწინააღმდეგებოდა, მაგალითად, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მოძრაობას და ანალოგიურ მოძრაობათა მრავალრიცხოვან განშტოებას. ბ-ნი ტესლენკო ან, ყოველ შემთხვევაში, მისი პარტია ბ-ნ სტრუვეს, კარაულოვისა და სხვების სახით, ეწინააღმდეგებოდა იმავე მოძრაობას თავისებურად. «ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო», შეუძლია ბ-ნ ვიტეს (და ბ-ნ სტოლიპინს) უთხრას ბატონ ტესლენკოებს. იგივე მოხდა 1906 წლის 1 მაისს მუშათა დღესასწაულის მიმართ, ცოტა უფრო გვიან — «ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების» მიმართ, 1907 წელს სისტემატურად და განუხრელად — მეორე სათათბიროს მუშათა და გლეხთა დეპუტატების მიმართ და **სხვა და სხვა.**

კადეტების ცნობილმა მწერალმა ბ-მა იზგოევმა «ვეხი»-ში სწორად შეაჯამა თავისი პარტიის ეს მრავალი წლის პოლიტიკა, როცა დაწერა: «ბოლოს და ბოლოს უნდა გვქონდეს გამბედაობა გამოვტყდეთ, რომ ჩვენს სახელმწიფო სათათბიროებში დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ, გარდა სამოოთხი ათეული კადეტისა და ოქტიაბრისტისა, ვერ გამოიჩინა ის ცოდნა, რომლითაც შეიძლებოდაო შევდგომოდით რუსეთის მართვა-გამგეობას და გარდაქმნას».

ბ-ნ იზგოევის «გაბედული აღიარება» გაბედულია იმიტომ, რომ აქ ავტორს, რომელმაც უკუაგდო ყოველგვარი აპარანსი და ყოველგვარი დიპლომატია, ს ი მ ა რ თ ლ ე წამოსცდა. კადეტები «ჩვენს სახელმწიფო სათათბიროებში» მართლაც ხელმძღვანელობდნენ იმ მემამულური, ბურჟუაზიული, ლიბერალურ-მონარქისტული «ცოდნით», რომლითაც შეუძლებელი იყო დაეკმაყოფილებინათ «დეპუტატთა დიდი უმრავლესობა», განსაკუთრებით მარცხნივ. და, რაღა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია, რომ სტოლიპინი ებრძოდა ამ უკანასკნელ დეპუტატებს და ამ ბრძოლაში ეყრდნობოდა სწორედ «სამი-ოთხი ათეული კადეტისა და ოქტიაბრისტის ცოდნას» (უფრო სწორად — ინტერესებსა და თვალსაზრისს). «ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო», ვებრძოდით გლეხებისა და მუშების უცოდინარობას, გამოუცდელობას, უმეცრებას, — ბ-ნ სტოლიპინს უფლება აქვს უთხრას მთელ კადეტურ პარტიას.

მიმდინარე წლის სათათბიროს სესიის მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სტოლიპინის მეტისმეტი «ფამილიარობა» III სათათბიროს უმრავლესობასთან — ისიც სწორედ მის ბურჟუაზიულ, ოქტიაბრისტულ-კადეტურ უმრავლესობასთან — აუტანელი მოეჩვენა თვით ამ დიდად მომთმენ უმრავლესობასაც კი. ძველი ხელისუფლება ფამილიარულად აბიაბრუებს ბურჟუაზიას, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს თავის მნიშვნელობას ახალ, თანამედროვე ეკონომიურ პირობებში და ოხვრით ნატრობს დამოუკიდებლობას, ძალაუფლებასაც კი. 87-ე მუხლის ეპიზოდმა ეს ფამილია-

რობა ისე მკვეთრად გამოააშკარავა და ამასთან ისე უზრდელად შეეხო ამა ქვეყნის ზოგიერთ ძლიერთაგანს, რომ ყველაზე დიდად მომთმენმა ადამიანებმაც კი ბუზღუნი დაიწყეს. მაგრამ მათ არ ძალუძთ ბუზღუნს გასცილდნენ. ისინი ხელფეხშეკრულნი არიან და ამიტომ არ შეუძლიათ გასცილდნენ. ხელფეხშეკრული არიან იმით, რომ მთელი უკანასკნელი წლების განმავლობაში, რუსეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში ისინი შიშით ზურგს აქცევდნენ ფართო სახალხო მოძრაობას, მტრულად უვლიდნენ გვერდს დემოკრატიას — ნამდვილ, ცოცხალ, მოქმედ, მასობრივ დემოკრატიას — თავს ესხმოდნენ მას ზურგიდან, როგორც თავს ესხმოდა მას სტოლიპინი. და ამით ხელფეხშეკრულმა ოქტიაბრისტებმა და კადეტებმა ღირსეულად დაიმსახურეს სასჯელი; არსებითად მათ საპასუხო ა რ ა ფ ე რ ი აქვთ, როდესაც მათი ფამილიარულად გამაბიაბრუებელი სტოლიპინი ეუბნება მათ: თუ მე დემოკრატიის მტერი ვარ, თქვენც კი შეგეშინდათ მისი, მეგობრებო, «ჩვენ ამას ერთად ვაკეთებდითო».

«ზვეზდა» № 24, 1911 წ. 28 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

ძველ, მაგრამ მუდამ ახალ ჭეშმარიტებათა შესახებ

ის ამბები, რომლებმაც გამოიწვიეს მოსკოვის საფაბრიკო ექიმთა მეორე ყრილობაზე მუშათა დელეგატების დაუსწრებლობა, მკითხველებმა უკვე იციან გაზეთებიდან[74]. ჩვენ არ შეგვიძლია აქ შევჩერდეთ ამ ამბების დაწვრილებით გადმოცემასა და მათი მნიშვნელობის გაშუქებაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ «რ ე ჩ ი ს» საგულისხმო მსჯელობას 14 აპრილს, ე. ი. ყრილობის გახსნის დღეს — მოწინავე სტატიაში, რომელიც დაწერილია ამ ამბების წინადღეებში.

«სამწუხაროდ, — წერდა კადეტების პარტიის ორგანო, — ამ მონაწილეობას (მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობას) ეღობება გარეშე დაბრკოლებანი. კარგად ვიცით, რა ბედი ხვდება ხოლმე წილად ზოგიერთ მეტად მგზნებარე ორატორს. ამის გამო მუშათა წარმომადგენლებს უნდათ ილაპარაკონ, თუ რა ძნელია მათთვის შეეხონ სპეციალურ საკითხებს, როგორ შეუძლებელია მოაწყონ ყრილობის სწორი წარმომადგენლობა, რა დაბრკოლებებს უქმნიან მათს ორგანიზაციებს, და ბევრ ისეთ რამეზე, რაც ასევე ძალიან დაშორებულია ყრილობის პროგრამას და რისი განხილვაც აშორებს ყრილობას დასახულ საკითხებს, ხოლო ხანდახან არასასურველ შედეგებსაც იწვევს. დამძიმებული ატმოსფეროთი აიხსნება ის შეუწყნარებლობაც, რომელსაც იჩენდნენ მუშათა წარმომადგენელნი «ბურჟუაზიული» ორატორებისადმი, მთავრობის ყველა ღონისძიებისადმი და სხვა საზოგადოებ-

რივ ჯგუფთა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შესაძ-ლებლობისადმი».

მთელი ეს ტირადა — დამახასიათებელი ნიმუშია უძლუ-რი ოხვრისა. რომლის უძლურება აიხსნება ამა თუ იმ ლიბე-რალური პარტიის არა შემთხვევითი შემადგენლობით, ან ამა თუ იმ ლიბერალური პარტიის, ამა თუ იმ საკითხის არა რაიმე განსაკუთრებული თვისებებით, არამედ გაცილებით უფრო ღრმა მიზეზებით: ობიექტური პირობებით, რომლებ-შიც ჩაყენებულია საერთოდ XX საუკუნის რუსეთის ლიბე-რალური ბურჟუაზია. ლიბერალური ბურჟუაზია ნატრობს ისეთ «წესებს», როდესაც მას შეეძლება საქმე ჰქონდეს ისეთ მუშებთან, რომელთაც არ ექნებათ მიდრეკილება «მეტად მგზნებარე ორატორობისა» და რომელნიც საკმაოდ «შემწყნა-რებელი» იქნებიან ბურჟუაზიისადმი, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს-თ ან თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს იდეისადმი, «მთავრობის ყ ვ ე ლ ა ღონისძიებისადმი». იგი ნატრობს ისეთ წესებს, რო-ცა ამ თავმდაბალ, მასთან «თანამშრომელ» მუშებს შეეძლე-ბათ «შეეხონ» სოციალური პოლიტიკის «სპეციალურ საკით-ხებს და თავმდაბლად დათანხმდებიან — იჩხირკედელაონ «უმცროს ძმაზე» ბურჟუაზიული მზრუნველობის შესახებ. ერთი სიტყვით, რუსეთის ლიბერალები ნატრობენ, დაახ-ლოებით, ისეთ წესწყობილებას, როგორსაც ჩვენ ახლა ვხე-დავთ ინგლისში ან საფრანგეთში პრუსიისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა-ვ ე ბ ი თ. ინგლისსა და საფრანგეთში ბურჟუაზია ბატონობს სრულუფლებიანად და თითქმის (მცირე გამონაკლისს გარდა) უშუალოდ, მაშინ როდესაც პრუსიაში პირველობა ეკუთვნით ფეოდალებს, იუნკრებს, მონარქისტულ მილიტარიზმს. ინგ-ლისსა და საფრანგეთში ბურჟუაზია განსაკუთრებით ხშირად, თავისუფლად და ფართოდ სარგებლობს იმ მეთოდით, რომ-ლის მიხედვით იმხრობს პროლეტარიატის წრიდან გამოსუ-ლებს ან მისი საქმის მოღალატეებს (ჯონ ბერნსი, ბრიანი) როგორც ისეთ «თანამშრომლებს», რომელნიც მშვიდად «ეხებიან სპეციალურ საკითხებს» და ასწავლიან მუშათა კლასს კაპიტალის ბატონობის «შემწყნარებლობას».

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის წესწყობილება გაცილებით უფრო დემოკრატიულია პრუსიისაზე, გაცილებით უფრო ხელსაყრელია მუშათა კლასის ბრძოლისათვის, გაცილებით უფრო მაღლა დგას იმ ძველ შუასაუკუნებრივ დროთა დაწესებულებების კვდომის მხრივ, რომელნიც უჩრდილავენ მუშათა კლასს მთავარ და ნამდვილ მოწინააღმდეგეს. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რუსი მუშების ინტერესები მოითხოვს მხარი დაუჭირონ ყველა მისწრაფებას, მიმართულს ჩვენი სამშობლოს გარდაქმნისაკენ უფრო ინგლისურ-ფრანგული ტიპის მიხედვით, ვიდრე პრუსიულისა. მაგრამ შეუძლებელია ამ უდავო დასკვნას დავჯერდეთ, როგორც ამას ძალიან ხშირად შვრებიან. სადავო საკითხი თუ სადავო საკითხები (სხვადასხვა ჯურის დემოკრატებთან) აქ მხოლოდ იწყება.

მისწრაფებას მხარი უნდა დაეუჭიროთ, მაგრამ სუსტისა და მერყევის მხარის დასაჭერად საჭიროა იგი ეყრდნობოდეს რაღაც უფრო მტკიცეს, საჭიროა გავფანტოთ ილუზიები, რომლებიც ხელს უშლიან სისუსტის დანახვას, ხელს უშლიან სისუსტის მიზეზების გაგებას. ვინც ასეთ ილუზიებს ამაგრებს, ვინც უერთდება დემოკრატიის უძლურ, არათანამიმდევარ, მერყევ მომხრეთა უძლურ ოხვრას, ის მხარს კი არ უჭერს ბურჟუაზიული დემოკრატიზმისადმი მისწრაფებას, არამედ ასუსტებს ამ მისწრაფებას. ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია თავის დროზე, XVII საუკუნის შუა ხანებში ან XVIII საუკუნის დასასრულს, კი არ ოხრავდა უმცროსი ძმის «შეუწყნარებლობის» გამო. შეწუხებულ სახეს კი არ იღებდა ამ უმცროსი ძმების «მეტისმეტად მგზნებარე ორატორების» გამო, არამედ თვითონ იძლეოდა უ ა ღ რ ე ს ა დ მგზნებარე ორატორებს (და არა მარტო ორატორებს), რომელნიც აღვიძებდნენ ზიზღის გრძნობას «შემწყნარებლობის» ქადაგებისადმი, უძლური ო ხ ვ რ ი ს ა დ მ ი, მერყეობისა და გაუბედაობისადმი. და ამ მგზნებარე ორატორთა შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც საუკუნეთა და საუკუნეთა მანძილზე მნათობებად, მასწავლებლებად დარჩ-

ნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მაშინ ისტორიულად მეტად ვიწრო, ხშირად გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდათ ყოველგვარი უბედურებისაგან განთავისუფლების საშუალებებზე.

რუსეთის ბურჟუაზიასავით გერმანიის ბურჟუაზიაც ოხრავდა იმის გამო, რომ «უმცროსი ძმის» ორატორები «მეტად მგზნებარე» იყვნენ, — და კაცობრიობის ისტორიაში იგი გვიჩვენებს სიმდაბლის, სისაძაგლის, ლაქიობის ნიმუშს, რაც «იუნკერთა» ჩექმების პანღურით იქნა დაჯილდოებული. ამა თუ იმ ბურჟუაზიის განსხვავება აიხსნება, რა თქმა უნდა, არა სხვადასხვა «რასის» «თვისებებით», არამედ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დონით, რაც აიძულებს ბურჟუაზიას შიში ჰქონდეს «უმცროსი ძმისა», — აიძულებს ბურჟუაზიას უძლურად იქანაოს ფეოდალიზმის ძალმომრეობის გმობასა და მუშების «შეუწყნარებლობის» გმობას შორის.

ყოველივე ეს ძველი ჭეშმარიტებაა. მაგრამ იგი მუდამ ახალია და ახალი რჩება, როდესაც ასეთი სტრიქონების წაკითხვა გვიხდება მარქსისტობის მოსურნე ადამიანთა გამოცემაში:

«1905 — 1906 წლების მოძრაობის წარუმატებლობა შეპირობებული იყო არა მემარცხენეთა «უკიდურესობით», ვინაიდან თვით ეს «უკიდურესობა», თავის მხრივ, შეპირობებული იყო მთელ რიგ მიზეზთა ერთობლიობით, არა ბურჟუაზიის «გამცემლობით», რომელიც დასავლეთში ყველგან «ღალატობდა» სათანადო ჟამს, არამედ იმით, რომ არ არსებობდა ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული პარტია, რომელიც შესძლებდა სათავეში ჩასდგომოდა მართვა-გამგეობას ბიუროკრატიის დრომოჭმული ხელისუფლების ნაცვლად და რომელიც ეკონომიურად ძლიერი და საკმაოდ დემოკრატიული იქნებოდა, რომ ზურგი გამაგრებული ჰქონებოდა ხალხის მხარის დაჭერით». და რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ: ...«სისუსტე ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელიც უნდა გამხდარიყო დემოკ-

რატიული გლეხობის მიმზიდველი პოლიტიკური ცენტრი»... («ნაშა ზარია» № 3, გვ. 62, ბ-ნ ვ. ლევიცკის სტატია).

ბ-ნ ვ. ლევიცკის უფრო ბოლომდე მოუფიქრებია უარყოფა «ჰეგემონიის» იდეისა («მიმზიდველი ცენტრი უ ნ დ ა გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატია» და არა სხვა ვინმე!) ან ის უფრო გაბედულად, უფრო გარკვევით ამბობს ამას ბოლომდე, ვიდრე ბ-ნი პოტრესოვი, რომელმაც შეაკეთა თავისი სტატია «საზოგადოებრივ მოძრაობაში» პლეხანოვის ულტიმატუმების გავლენით.

ბ-ნი ვ. ლევიცკი სავსებით ისე მსჯელობს, როგორც ლიბერალი. ის არათანამიმდევარი ლიბერალია, რამდენი მარქსისტული სიტყვაც უნდა იხმაროს. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ «დემოკრატიული გლეხობის მიმზიდველი ცენტრი» უ ნ დ ა გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო სრულიად სხვა სოციალური კატეგორია, ვიდრე ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატიაა. მას ავიწყდება, რომ ეს «უნდა» სინამდვილე ი ყ ო როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთისა და რუსეთის დიდი ისტორიული პერიოდების განმავლობაში, — ამასთან უკანასკნელ ქვეყანაში ეს პერიოდები დიდი იყო მნიშვნელობით, მაგრამ მცირე იყო დროის მიხედვით, ხოლო პირველ ორ ქვეყანაში უმეტეს ნაწილად დემოკრატიული, ულტრა-დემოკრატიული, «მეტისმეტად მგზნებარე» პლებეობა აერთიანებდა «ქვედა ფენების» სხვადასხვაგვარ ელემენტებს.

ბ-ნ ვ. ლევიცკის ავიწყდება, რომ ეს «ქვედა ფენები» იმ ხანმოკლე პერიოდებშიც კი, როცა მათ უხდებოდათ ისტორიაში შეესრულებინათ «დემოკრატიული გლეხობის მიმზიდველი ცენტრების» როლი, როცა ისინი ახერხებდნენ ამ როლის გ ა მ ო გ ლ ე ჯ ა ს ლიბერალური ბურჟუაზიის ხელიდან, გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ იმაზე, თუ რ ა მ დ ე ნ ა დ დემოკრატიული ხდებოდა ქვეყანა ეგრეთწოდებული მშვიდობიანი განვითარების შემდგომი ათეული წლების განმავლობაში. ეს «ქვედა ფენები» თ ა ვ ი ს ი ჰეგემონიის ხანმოკლე პერიოდებში ზრდიდნენ თავის ბურჟუაზიას, გარდაჰქმნიდნენ მას ისე, რომ იგი შემდეგ ცდილობდა დაეხია უკან, მაგრამ

არ შეეძლო ამ უკუსვლითს მოძრაობაში გასცილებოდა, ვთქვათ, საფრანგეთის მეორე პალატას ან არჩევნების დემოკრატიზმიდან გადახვევას და სხვა და სხვ.

რაი ეს, ყველა ევროპული ქვეყნის ისტორიული გამოცდილებით დადასტურებული იდეა, რომ ბურჟუაზიულ გარდაქმნათა (ან უფრო სწორად: ბურჟუაზიულ რევოლუციათა) ეპოქებში ყოველი ქვეყნის ბურჟუაზიული დემოკრატია ყალიბდება ასე თუ ისე, ღებულობს ამა თუ იმ სახეს, აღიზრდება ამა თუ იმ ტრადიციით, აღიარებს დემოკრატიზმის ამა თუ იმ მინიმუმს, იმისდა მიხედვით, თუ ნაციონალური ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში რამდენად გადადის ჰეგემონია არა ბურჟუაზიის ხელში, არამედ XVIII საუკუნის «ქვედა ფენების», «პლებეობის» ხელში, XIX და XX საუკუნეების პროლეტარიატის ხელში, — აი ეს იდეა სრულიად უცხოა ბ-ნ ვ. ლევიცკისათვის. სწორედ ჰეგემონიის ეს იდეა შეადგენს მარქსიზმის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის უარყოფა (ან რომლისადმი გულგრილობაც კი) ლიკვიდატორთა მხრივ წარმოადგენს ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეებთან მრავალი შეურიგებელი პრინციპული უთანხმოების უღრმეს წყაროს.

ყოველი კაპიტალისტური ქვეყანა განიცდის ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქას, როცა ყალიბდება დემოკრატიზმის ესა თუ ის დონე, კონსტიტუციონალიზმის თუ პარლამენტარიზმის ესა თუ ის წყობა, საერთოდ «დაბალი ფენებისა» და კერძოდ პროლეტარიატის თავისთავადობის, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისმოყვარულობისა და თაოსნობის ესა თუ ის დონე, ესა თუ ის ტრადიცია მთელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორი იქნება დემოკრატიზმის ეს დონე და ეს ტრადიცია, — დამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ ვის ხელში იქნება ჰეგემონია გადამწყვეტ მომენტებში, ბურჟუაზიის ხელში თუ მისი ანტიპოდის ხელში, პირველი იქნება თუ უკანასკნელი (ისევ ამ გადამწყვეტ მომენტებში) «დემოკრატიული გლეხო-

ბის» და საერთოდ ყველა დემოკრატიული შუათანა ჯგუფისა და ფენის «მიმზიდველი ცენტრი».

ბ-ნი ვ. ლევიცკი ოსტატია ბრწყინვალე ფორმულირებისა, რომელიც ერთბაშად მკვეთრად და ნათლად ააშკარავებს ლიკვიდატორობის იდეურ საფუძვლებს. ასეთია მისი განთქმული ფორმულა: «ა რ ა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია», რაც ჩვენებურ ენაზე ნიშნავს: არა მარქსიზმი, არამედ ბრენტანიზმი (სოციალ-ლიბერალიზმი). ალბათ, ასეთივე შესანიშნავი შეიქნება ორი აქ აღნიშნული ფორმულაც: «დემოკრატიული გლეხობის მიმზიდველი ცენტრი უ ნ დ ა გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატია» და «წარუმატებლობა შეპირობებული იყო იმით, რომ არ არსებობდა ჩამოყალიბებული ბურჟუაზიული პარტია».

«ზვეზდა» № 25. 1911 წ. 11 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდას» ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის პარიზის II ჯგუფის რეზოლუცია პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ[75]

წინასიტყვაობა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პარიზის II ჯგუფის, — ეს ჯგუფი შედგება უმთავრესად ბოლშევიკებისა, მცირერიცხოვანი «ვპერიოდელებისა» და «შემარიგებლებისაგან», — ქვემოთ დაბეჭდილი რეზოლუცია სახავს ყველა ბოლშევიკის პლატფორმის ძირითად დებულებებს. ისეთ დროს, როცა მწვავდება შინაპარტიული ბრძოლა, განსაკუთრებით საჭიროა ა რ ს ე ბ ი თ ა დ განვმარტოთ ჩვენი შეხედულებები პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ძირითად საკითხებზე. ტროცკის მსგავსი ადამიანები ტროცკის დამახასიათებელი გაბერილი ფრაზებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესახებ და მისი მონური ქედის მოხრით ლიკვიდატორების წინაშე, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, დღეს «დროების სენს» წარმოადგენენ. მათ უნდათ კარიერა გაიკეთონ «შეთანხმების» იაფფასიანი ქადაგებით — ყველასთან, «შეთანხმებისა», ვისთანაც გნებავთ, თვით ბ-ნ პოტრესოვამდე და ოტზოვისტებამდე! ამასთან, ძალაუნებურად, სრულიად სდუმან ამ გასაკვირველი ვითომდა-«შეთანხმების» პოლიტიკური პირობების შესახებ. ნამდვილად ესენი არიან მქადაგებელნი კ ა პ ი ტ უ ლ ა ც ი ი ს ა ლიკვიდატორების, სტოლიპინური მუშათა პარტიის მშენებლების წინაშე.

ახლა ყველა ბოლშევიკი უფრო მჭიდროდ უნდა დაირაზმოს, მათ უნდა განამტკიცონ თავიანთი ფრაქცია, განსაზღვრონ უფრო ზუსტად და ნათლად ამ ფრაქციის პარტიული ხაზი, — იმ ფრაქციებისგან განსხვავებით, რომელნიც ასე თუ ისე მალავენ თავიანთ «სახეს», — თავი მოუყარონ დაქსაქსულ ძალებს და ჩაებან ბრძოლაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის, რომელიც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებისაგან გაწმენდილი იქნება.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

I

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პარიზის II ჯგუფის კრება, განიხილა რა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში არსებული მდგომარეობა საერთოდ და სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატიისადმი მიკუთვნების მოსურნეთა შორის საზღვარგარეთ გაჩაღებული ბრძოლის უკანასკნელი გამოხატულება,

საჭიროდ თვლის უწინარეს ყოვლისა მოგვაგონოს ძირითადი პრინციპული დებულება, რომელიც ერთხმად დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა (1910 წ. იანვრის) პლენუმმა და რომელიც განსაზღვრავს ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ხასიათს. ეს ძირითადი დებულება ამბობს, რომ «არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფა, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირება, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდა» წარმოადგენს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა ს. მხოლოდ შეგნება ამ გადახვევის საფრთხისა, ისე როგორც ყოველგვარი «ოტზოვისტური» ან ოტზოვიზმის გამამართლებელი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის საფრთხისა, მხოლოდ ისეთი მუშაობა, რომელიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სძლევს ამ გადახვევას, წარმოადგენს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მუშაობას.

კრება შემდეგ აღნიშნავს, რომ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» საზღვარგარეთული რედაქცია და მისი მომხრეების, გოლოსელების ჯგუფი, მიუხედავად პლენუმის აღნიშნული ერთხმად მიღებული რეზოლუციისა, მიუხედავად პლენუმზე «გოლოსის» წარმომადგენელთა დიდის ამბით დაპირებისა — ხელს ავიღებთ ლიკვიდატორობაზე და შევებრძოლებითო მას, — პლენუმის შემდეგ მთელ წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ატარებდა ლიკვიდატორობის სწორედ ამ ბურჟუაზიულ პოლიტიკას, მხარს უჭერდა, ამართლებდა და იცავდა სოციალ-დემოკრატიისა და სოციალიზმისაგან დამოუკიდებელ რუს ლეგალისტთა ისეთ ორგანოებს, როგორიცაა «ნაშა ზარია», «ვოზროჟდენიე», «დელო ჟიზნი» და სხვა. ამ ორგანოების მოღვაწეებს, როგორც არა ერთხელ აღიარა პარტიის სახელით პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, როგორც აღიარეს აგრეთვე ამხ. პლეხანოვის მეთაურობით პარტიელმა მენშევიკებმა, საერთო არაფერი აქვთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. ამ ორგანოების მოღვაწენი არათუ ამცირებენ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლსა და მნიშვნელობას, არამედ პირდაპირ უარყოფენ მას, რენეგატულად ჰგმობენ «იატაკქვეშ» მუშაობას, უარყოფენ მუშაობის რევოლუციურ ხასიათს და რუსეთის თანამედროვე მუშათა მოძრაობის რევოლუციურ ამოცანებს, ატყუებენ მუშებს, ავრცელებენ რა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ იდეებს მოახლოებული კრიზისის «კონსტიტუციური» ხასიათის შესახებ, უკუაგდებენ (და არა მარტო ჰკვეცენ) რევოლუციური მარქსიზმის ისეთ ძირითად ლოზუნგებს, როგორიცაა მუშათა კლასის ჰეგემონიის აღიარება სოციალიზმისა და დემოკრატიული რევოლუციისათვის ბრძოლაში. როცა ეს ადამიანები ქადაგებენ და აშენებენ მათ მიერ ეგრეთწოდებულ ლეგალურ ანუ «აშკარა» მუშათა პარტიას, ისინი ნამდვილად არიან სტოლიპინური «მუშათა» პარტიის მშენებელნი და პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელნი, ვინაიდან სინამდვილეში ამ ადამიანთა ქადაგება

სავსეა ბურჟუაზიული შინაარსით, ხოლო «აშკარა» მუშათა პარტია სტოლიპინის დროს ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მათს აშკარა რენეგატობას, ვინც ხელს იღებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მესამე სათათბიროსი და მთელი სტოლიპინობის წინააღმდეგ მასების რევოლუციური ბრძოლის ამოცანაზე.

კრება აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო, რომელიც მისი ტექნიკური ორგანო უნდა ყოფილიყო, მთლიანად ლიკვიდატორების გავლენის ქვეშ მოექცა *.

წელიწადნახევრის განმავლობაში საზღვარგარეთულ ბიუროს არ შეუსრულებია ცენტრალური კომიტეტის არც ერთი დავალება (მაგალითად, საზღვარგარეთული ჯგუფების გაერთიანება პლენუმის გადაწყვეტილებათა აღიარებისა და განხორციელების საფუძველზე, ან ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოჩენა, ან «გოლოსის» დახურვის დავალება და «ვპერიოდის» ჯგუფის ფრაქციული განკერძოებულობის შეწყვეტა), იგი პირდაპირ უწყობდა ხელს სოციალ-დემოკრატიის მტრებს, ლიკვიდატორებს.

პარტიის აბუჩად ასაგდებად ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს უმრავლესობა, 1910 წ. დეკემბრიდან დაწყებული, სისტემატურად ჰ ფ უ შ ა ვ დ ა პლენუმის მოწვევას (წესდებით სავალდებულოს). ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ შვიდი კვირა მოანდომა მარტო პლენუმის საკითხის «კენჭისყრას», როცა ბოლშევიკებმა პირველად მოითხოვეს მოეწვიათ ეს პლენუმი. შვიდი კვირით გაჭიანურებული კენჭისყრის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ აღიარა, რომ

* გოლოსელი იგორევი (რომელიც საკმარისად ამხილა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა პარტიელმა მენშევიკმა პლეხანოვმა) და ბუნდელი ლიბერი[76], რომელიც აშკარა პროპაგანდას ეწევა ბ-ნ პოტრესოვისა და სტოლიპინური მუშათა პარტიის სხვა მოღვაწეების დასაცავად, ცენტრალური კომიტეტის ამ საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელები არიან.

ბოლშევიკების მხრივ პლენუმის მოწვევის მოთხოვნა «კანონიერია», მაგრამ — ამავე დროს მან პლენუმი პრაქტიკულად ჩაშალა, როგორც ჩაშალა იგი მეორედ 1911 წლის მაისის დამლევს. ცენტრალური კომიტეტის ამგვარი საზღვარგარეთული ბიუროს ფაქტიური როლი იმაში მდგომარეობდა, რომ საზღვარგარეთიდან და პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შიგნიდან იგი ეხმარებოდა ლეგალისტთა ისეთ ბელადებსა და სტოლიპინური მუშათა პარტიის მოღვაწეებს, როგორიც არიან მიხეილი, იური და რომანი, რომელთაც მავნებლად გამოაცხადეს ცენტრალური კომიტეტის არსებობაც კი (პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» * №№ 12 და 21 — 22). კრება აღნიშნავს, რომ ლიკვიდატორების მიერ პარტიულ თანამდებობათა დაკავება პარტიის პირდაპირი მოტყუებაა, ვინაიდან პლენუმის გადაწყვეტილებანი ნათლად და აშკარად აღიარებენ ამ თანამდებობებზე ისეთი მენშევიკების დაშვებას, რომელნიც კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ დაპირებას ლიკვიდატორობაზე ხელისაღებისა და მასთან ბრძოლის შესახებ **.

ამიტომ კრება ფიქრობს, რომ ბოლშევიკების მიერ სრული კავშირის გაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან, როგორც ისეთ დაწესებულებასთან, რომელმაც თავისი თავი კანონისა და პარტიის გარეშე დააყენა, აუცილებლად საჭირო იყო, და რომ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა (იხ. მისი «ცნობა»), რომელიც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 196 და ეს ტომი, გვ. 137 — 142.

** რაც შეეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წინააღმდეგ საზღვარგარეთელ ლიკვიდატორთა ბრძოლის ისეთ ხერხებს, როგორიცაა პოლიტიკური შანტაჟი და ინფორმაციის მიწოდება ოხრანკისთვის, — რასაც ხელი მოჰკიდა ბ-მა მარტოვმა «გოლოსის» რედაქციის საშუალებით, — კრება სამარცხვინო დაღს ასვამს ამგვარ ნაწარმოებებს, რომლებიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ზიზღი გამოიწვიოს ყველა რიგიან ადამიანში.

რუსეთში ნამდვილად მომუშავე პარტიულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა, ჯგუფთა და წრეთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა, სავსებით სამართლიანად აღიარა, რომ «ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო დაადგა ანტიპარტიული ფრაქციული პოლიტიკის გზას და ამასთან არღვევს 1910 წლის პლენუმის ნათელ და ზუსტ დადგენილებებს».

კრება ადგენს ხელი აიღოს ყოველგვარ ურთიერთობაზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან და მხარი დაუჭიროს ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელთაც მთელი რიგი მინიმალურად აუცილებელი ღონისძიებანი დასახეს მთელი პარტიული მუშაობის შემაფერხებელი ლიკვიდატორთა საქმიანობის გასაქარწყლებლად, პარტიული კონფერენციის მოსაწვევად და ადგილობრივ მუშაკთა ძალებით პარტიის არალეგალური ორგანიზაციებისა და უჯრედების აღსადგენად. კრება მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგს, რათა ადგილობრივ **დაუყოვნებლივ** (თათბირის გადაწყვეტილების თანახმად) შეუდგნენ კონფერენციის მზადებას და მის არჩევნებს და ამ მიზნით რეგულარული ურთიერთობა დაამყარონ საორგანიზაციო კომისიასთან [77], ცენტრალურ ორგანოსა და «რაბოჩაია გაზეტასთან».

II

კრება ფრაქციის განურჩევლად სოციალ-დემოკრატ მუშების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ «ვპერიოდის» ჯგუფის საზღვარგარეთელი ბელადები და «პრავდის» რედაქტორი ტროცკი ეწევიან ლიკვიდატორების მხარის დაჭერისა და მათთან კავშირის პოლიტიკას პარტიისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ამ პოლიტიკას მით უფრო მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, რომ იგი, დიდად ვნებს რა პროლეტარიატის ინტერესებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის იმ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მოქმედებას, რომელნიც, თუმცა დაკავშირებული

ბოლშევიკების მხრივ პლენუმის მოწვევის მოთხოვნა «კანონიერია», მაგრამ — ამავე დროს მან პლენუმი პრაქტიკულად ჩაშალა, როგორც ჩაშალა იგი მეორედ 1911 წლის მაისის დამლევს. ცენტრალური კომიტეტის ამგვარი საზღვარგარეთული ბიუროს ფაქტიური როლი იმაში მდგომარეობდა, რომ საზღვარგარეთიდან და პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შიგნიდან იგი ეხმარებოდა ლეგალისტთა ისეთ ბელადებსა და სტოლიპინური მუშათა პარტიის მოღვაწეებს, როგორიც არიან მიხეილი, იური და რომანი, რომელთაც მავნებლად გამოაცხადეს ცენტრალური კომიტეტის არსებობაც კი (პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» * №№ 12 და 21 — 22). კრება აღნიშნავს, რომ ლიკვიდატორების მიერ პარტიულ თანამდებობათა დაკავება პარტიის პირდაპირი მოტყუებაა, ვინაიდან პლენუმის გადაწყვეტილებანი ნათლად და აშკარად აღიარებენ ამ თანამდებობებზე ისეთი მენშევიკების დაშვებას, რომელნიც კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ დაპირებას ლიკვიდატორობაზე ხელისაღებისა და მასთან ბრძოლის შესახებ **.

ამიტომ კრება ფიქრობს, რომ ბოლშევიკების მიერ სრული კავშირის გაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან, როგორც ისეთ დაწესებულებასთან, რომელმაც თავისი თავი კანონისა და პარტიის გარეშე დააყენა, აუცილებლად საჭირო იყო, და რომ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა (იხ. მისი «ცნობა»), რომელიც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 196 და ეს ტომი, გვ. 137 — 142.

** რაც შეეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წინაალმდეგ საზღვარგარეთელ ლიკვიდატორთა ბრძოლის ისეთ ხერხებს, როგორიცაა პოლიტიკური შანტაჟი და ინფორმაციის მიწოდება ოხრანკისთვის, — რასაც ხელი მოჰკიდა ბ-მა მარტოვმა «გოლოსის» რედაქციის საშუალებით, — კრება სამარცხვინო დაღს ასვამს ამგვარ ნაწარმოებებს, რომლებიც საკმარისია აღინიშნოს, რომ ზიზღი გამოიწვიოს ყველა რიგიან ადამიანში.

რუსეთში ნამდვილად მომუშავე პარტიულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა, ჯგუფთა და წრეთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა, სავსებით სამართლიანად აღიარა, რომ «ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო დაადგა ანტიპარტიული ფრაქციული პოლიტიკის გზას და ამასთან არღვევს 1910 წლის პლენუმის ნათელ და ზუსტ დადგენილებებს».

კრება ადგენს ხელი აიღოს ყოველგვარ ურთიერთობაზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან და მხარი დაუჭიროს ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელთაც მთელი რიგი მინიმალურად აუცილებელი ღონისძიებანი დასახეს მთელი პარტიული მუშაობის შემაფერხებელი ლიკვიდატორთა საქმიანობის გასაქარწყლებლად, პარტიული კონფერენციის მოსაწვევად და ადგილობრივ მუშაკთა ძალებით პარტიის არალეგალური ორგანიზაციებისა და უჯრედების აღსადგენად. კრება მოუწოდებს ყველა პარტიულ ამხანაგს, რათა ადგილობრივ **დაუყოვნებლივ** (თათბირის გადაწყვეტილების თანახმად) შეუდგნენ კონფერენციის მზადებას და მის არჩევნებს და ამ მიზნით რეგულარული ურთიერთობა დაამყარონ საორგანიზაციო კომისიასთან [77], ცენტრალურ ორგანოსა და «რაბოჩაია გაზეტასთან».

II

კრება ფრაქციის განურჩევლად სოციალ-დემოკრატ მუშების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ «ვპერიოდის» ჯგუფის საზღვარგარეთელი ბელადები და «პრავდის» რედაქტორი ტროცკი ეწევიან ლიკვიდატორების მხარის დაჭერისა და მათთან კავშირის პოლიტიკას პარტიისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ამ პოლიტიკას მით უფრო მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, რომ იგი, დიდად ვნებს რა პროლეტარიატის ინტერესებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება **რ უ ს ე თ ი ს** **იმ** **არალეგალური** სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მოქმედებას, რომელნიც, თუმცა დაკავშირებული

არიან «პრავდასა» თუ «ვპერიოდთან», მაგრამ უსათუოდ ლოიალურად ეპყრობიან პარტიის გადაწყვეტილებებს და ყველგან იცავენ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით არალეგალურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას რევოლუციური პროგრამითურთ.

კრება განსაკუთრებით აფრთხილებს სოციალ-დემოკრატ მუშებს არ აჰყვნენ ტ ყ უ ი ლ ს, რომელსაც გოლოსელები სისტემატურად მიმართავენ და ლეგალური მოძრაობის ყველა მოღვაწე ძველი პარტიის მოწინააღმდეგედ და პოტრესოვის ახალი «აშკარა» პარტიის მომხრედ გამოჰყავთ. ასე, მაგალითად, «გოლოსის» მიერ 25 ივნისს გამოშვებულ უკანასკნელ ფურცელში (განცხადებით ლეგალური მოძრაობის მოღვაწეთა «თათბირის» შესახებ) «გოლოსის» რედაქციამ დ ა მ ა ლ ა, რომ თათბირმა უ ა რ ყ ო ლიკვიდატორთა წინადადება — ბოიკოტი გამოეცხადოს ერთს ლეგალურ გაზეთს მისი ანტილიკვიდატორული მიმართულებისთვისაო [78]. ასევე «გოლოსის» რედაქციამ დ ა მ ა ლ ა, რომ იმავე თათბირზე უ ა რ ყ ო ფ ი ლ იქნა აშკარა-ლეგალისტური და აშკარა-რენეგატული რეზოლუციები, რომლებიც «გოლოსის» მომხრეებმა წამოაყენეს. თათბირის ერთ-ერთი მონაწილე ბუნდელიც კი იძულებული იყო ეღიარებინა იქ «პოტრესოველების» წინადადებათა ანტიპარტიული ხასიათი. აშკარა მოძრაობის მთელი რიგი მოღვაწეები უ კ ვ ე დაადგნენ სტოლიპინური «მუშათა» პარტიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გზას. ხოლო ყველა პარტიელის ერთსულოვანი ღონისძიებით ასეთ მოღვაწეთა რიცხვი უეჭველად გაიზრდება.

III

ისეთ დროს, როდესაც მწვავდება სოციალ-დემოკრატების ბრძოლა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებთან, ყველა უპრინციპო ელემენტი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ დიდი პრინციპული საკითხები მიჩქმალოს იაფფასიანი სენსაციითა და სკანდალით, რასაც ასე გულმოდგინედ სთავაზობენ საზღვარგარეთელი გოლოსე-

ლები გაფუჭებულ სულიერ საზრდოზე სულწასულ ლიკვიდატორული კრებების აუდიტორიას.

ასეთ დროს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, რევოლუციურ მარქსისტთა მოვალეობაა მოაგონონ ყველას და თვითეულს ძ ვ ე ლ ი, ლიკვიდატორების მიერ დ ა ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ჭეშმარიტებანი, რომელნიც ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საფუძველს შეადგენენ.

ამიტომ კრება მოაგონებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყველა წევრს ჩვენი პარტიის პ რ ო გ რ ა მ ა ს, რომელმაც საერთაშორისო ოპორტუნიზმის გაძლიერებისა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან მისი გადამწყვეტი ბრძოლის მომწიფების ხანაში მოგვცა ზუსტი, ნათელი, ურყევი და მტკიცე ფორმულირება სოციალიზმის რევოლუციური ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ნ ი ს ა, რაც განხორციელდება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, — და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი რევოლუციური მიზნებისა, ცარიზმის დამხობის და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებისა. ჩვენებური ლეგალისტებისა და ჩვენებური გოლოსელების მ თ ე ლ ი ქადაგება ცხადყოფს, რომ ს ა ქ მ ი თ ისინი არათუ არ იზიარებენ და არ ახორციელებენ ჩვენს პროგრამას, არამედ პირდაპირ იცავენ რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ს — ეს პარტიელმა მენშევიკებმაც აღიარეს (იხ. პლეხანოვის «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა» [79] და «დისკუსსიონნი ლისტოკის» № 3), — ჩვენებური ლეგალისტები და გოლოსელები პირდაპირ უარყოფენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რევოლუციურ უახლოეს მიზნებს.

კრება მოაგონებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყველა წევრს, რომ იმისათვის, რათა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იყო პარტიელი, არ კმარა თავს პარტიელს უ წ ო დ ე ბ დ ე, არ კმარა პროპაგანდას ეწეოდე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის «მ ი ხ ე დ ვ ი თ», — საჭიროა აგრეთვე ეწეოდე მ თ ე ლ პრაქტიკულ მუშაობას პარტიის ტ ა ქ ტ ი კ უ რ გადაწყვეტილე-

ბათა თანახმად. ჩვენს კონტრრევოლუციურ ეპოქაში, საყოველთაო რენეგატობის, განდგომის, სასოწარკვეთილების დროს, — განსაკუთრებით ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, — პარტიის მარტოოდენ ტაქტიკური გადაწყვეტილებანი აყალიბებენ დღევანდელი მომენტის შეფასებას, მოქმედების პრაქტიკული ხაზის შეფასებას რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების თვალსაზრისით. ნამდვილ რსდმ პარტიას, — და არა იმას, რომლის სახელით ლიკვიდატორობის დასაფარავად სარგებლობენ გოლოსელები, — ა რ ა ა ქ ვ თ სოციალ-დემოკრატიის ამოცანათა სხვაგვარი პარტიული განსაზღვრა ჩვენს ეპოქაში, გარდა 1 9 0 8 წ. დ ე კ ე მ ბ რ ი ს ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი ს ა.

ლიკვიდატორები, და ნაწილობრივ «ვპერიოდელებიც», ხმას არ იღებენ ამ რეზოლუციებზე ან სჯერდებიან ზერელე შენიშვნებს და წამოძახილებს მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ამ რეზოლუციებში გრძნობენ მუშაობის იმ ხ ა ზ ს, რომელიც სავსებით უარყოფს როგორც ოპორტუნისტულ, ისე ნახევრად ანარქისტულ მერყეობას, — აფრიალებს რევოლუციის დროშას ყველა და ყოველგვარი კონტრრევოლუციური მიმდინარეობის წინააღმდეგ, — გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ ს მიმდინარე მომენტის, როგორც რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ახალი ხანის, ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისებურებებს, — ხანისა, რასაც მივყავართ რევოლუციისაკენ, რომელმაც უნდა გადაჭრას ძველი ამოცანები. პარტიელი ისაა, ვინც ს ა ქ მ ი თ ატარებს პარტიის ტაქტიკურ ხაზს. ხოლო პარტიის ტაქტიკა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტაქტიკა, არის ის ტაქტიკა და მხოლოდ ის ტაქტიკა, რომელიც განმარტებულია 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებში, სადაც რევოლუციური დროშისადმი ერთგულება შეხამებულია ჩვენი ეპოქის ახალი პირობების გათვალისწინებასთან. პირდაპირსა და უშუალო დასკვნას, ბუნებრივ გაგრძელებასა და დაგვირგვინებას 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებისას, რომელნიც ჰგმობენ ლიკვიდატორობას და უცილობლად მოითხოვენ სათათბირო-

ში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის აღიარებას, აგრეთვე ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, წარმოადგენენ 1910 წლის იანვრის პლენუმის რეზოლუციები, მიმართულნი პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელთა წინააღმდეგ. დაბნეულობისა და რღვევის ახლანდელ დროში ხშირად ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომელნიც პროლეტარული არმიის ერთიანობის დიადი პრინციპის დამოწმებით ამართლებენ პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებთან «გაერთიანების» თუ «დაახლოების» უპრინციპო ან უბადრუკ-დიპლომატიურ ცდებს. კრება უაღრესად კატეგორიულად გმობს და უარყოფს ყოველგვარ ასეთ ცდას, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, და აცხადებს, რომ რევოლუციური პროლეტარიატის მებრძოლი არმიის გაერთიანებისა და განმტკიცების დიადი საქმე შეუძლებელია შესრულდეს, თუ სავსებით არ გავემიჯნეთ, დაუნდობელი ბრძოლა არ გამოვუცხადეთ იმათ, ვინც პროლეტარიატზე ბურჟუაზიულ გავლენას ატარებს.

პარტიელია ის, ვინც მართლა უწყობს ხელს სოციალ-დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი ორგანიზაციის შენებას. პარტიას, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არა აქვს ორგანიზაციული მუშაობის ხასიათისა და ამოცანების სხვა, პარტიული, განსაზღვრა, გარდა იმისა, რომელიც მოცემულია 1908 წ. დეკემბრის რეზოლუციაში ორგანიზაციული საკითხის შესახებ, 1910 წლის იანვრის პლენუმის რეზოლუციაში იმავე საკითხზე, ცენტრალური კომიტეტის წერილში, რომელიც გამოიცა პლენუმის დამთავრებისთანავე. მხოლოდ არალეგალური ორგანიზაციის აღდგენისა და განმტკიცებისადმი ყოველმხრივი დახმარება არის პარტიული მუშაობა, და მხოლოდ არალეგალურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუძლია და უნდა შემოივლოს გარს ლეგალურ ორგანიზაციათა ქსელი, გამოიყენოს ყოველგვარი ლეგალური ორგანიზაციები, წარმართოს ჩვენი რევოლუ-

ციური პრინციპების მიხედვით ამ ორგანიზაციების მთელი მუშაობა. ვინც საქმით არ ეწევა ასეთ მუშაობას, ვინც მონაწილეობას იღებს საერთოდ კონტრრევოლუციურ და კერძოდ ლიბერალურ ლაშქრობაში «იატაკქვეშ» მუშაობის წინააღმდეგ, არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ, — ის ა ტ ყ უ ე ბ ს მუშებს, როდესაც ლაპარაკობს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ვეკუთვნიო.

ახლოვდება IV სათათბიროს არჩევნები. რაც უფრო მწვავეა საზღვარგარეთული პარტიული ზედა ფენების კრიზისი, მით უფრო გადაუდებლად აუცილებელი ხდება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატ მუშაკთა თაოსნობა, მით უფრო მკაცრად უნდა მოითხოვონ და გ ა ნ ა ხ ო რ ც ი ე ლ ო ნ მათ, რომ საარჩევნო მუშაობას მ ა რ თ ლ ა პარტიული გზით ეწეოდეს მუშათა თვითეული ჯგუფი, თვითეული უჯრედი, თვითეული წრე. ვინც დღემდე «ოტზოვიზმს» «ჩვენი პარტიის კანონიერ მიმდინარეობად» თვლის, ის ამაოდ იჩემებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელს. შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა IV სათათბიროს არჩევნების პარტიული მუშაობა აწარმოო, თუ გადაჭრით არ გაემიჯნე ასეთ ადამიანებს. ვინც აქამდე IV სათათბიროს არჩევნების ჩატარებას ფიქრობს «ლეგალურ ორგანიზაციათა» ძალებითა და საშუალებებით, «აშკარა მუშათა პარტიის» ძალებითა და საშუალებებით, ვინც ამასთანავე ნამდვილად ანგარიშს არ უწევს, არ ახორციელებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გადაწყვეტილებებს არალეგალური ორგანიზაციის, ტაქტიკის შესახებ, გადმოცემულს პარტიის რეზოლუციებში, — ის ამაოდ იჩემებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელს. ვინც საარჩევნო მუშაობას აწარმოებს და ამავე დროს ანგარიშს უწევს არა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილებებს, არამედ «ნაშა ზარიას», «გოლოს სოციალ-დემოკრატას», «დელო ჟიზნის» სტატიებს, — ის სტოლიპინური «მუშათა» პარტიის მშენებელია და არა პროლეტარიატის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

IV სათათბიროს მომავალ არჩევნებში ჩვენი პარტია ისახავს, უწინარეს ყოვლისა, მასების სოციალისტური განათლების ამოცანებს და ემსახურება მასობრივი აგიტაციის ინტერესებს პროლეტარიატისა და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის (უწინარეს ყოვლისა — რევოლუციური გლეხობის) ძალებით რევოლუციურ-დემოკრატიული გადატრიალების განსახორციელებლად.

ამ პროპაგანდისა და აგიტაციის ინტერესების გულისთვის ჩვენმა პარტიამ უნდა მოაწყოს სოციალ-დემოკრატიის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი გამოსვლა არჩევნებში და წამოაყენოს თავისი პარტიული კანდიდატები არა მარტო მუშათა კურიაში, არამედ ყველგან ქალაქისა და სოფლის ამომრჩეველთა შორის.

არჩევნებში პარტიის მთელი აგიტაცია უნდა წარმოებდეს ორ ფრონტზე, ე. ი.: რ ო გ ო რ ც მთავრობისა და მისი აშკარად მხარის დამჭერი პარტიების, ი ს ე კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის კადეტური პარტიის წინააღმდეგ.

პარტიის კანდიდატებად შეიძლება წამოყენებულ იქნან მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომელნიც ნამდვილად სავსებით ატარებენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პოლიტიკას, იცავენ არა მარტო მის პროგრამას, არამედ მის ტაქტიკურ რეზოლუციებსაც და იბრძვიან ახალი სტოლიპინური «მუშათა» პარტიის წინააღმდეგ.

საარჩევნო შეთანხმებათა საკითხზე ძალაში უნდა დარჩეს პარტიის ლონდონის ყრილობისა და 1907 წლის ივლისის პარტიული კონფერენციის ძირითადი პრინციპული მითითებანი [80].

IV სათათბიროს არჩევნები უნდა ჩაატარონ მუშათა პარტიულმა ჯგუფებმა, ჩაატარონ პარტიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით და ზუსტად მათ შესაბამისად.

დაწერილია 1911 წ. 18 იკრისს (1 ივლისს)
დაბეჭდა 1911 წ. ივლისში
ცალკე ფურცლად და 1911 წ.
11 აგვისტოს საზღვარგარეთული ტექნიკური
კომისიის «საინფორმაციო
ბიულეტენის» № 1-ში

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
«საინფორმაციო ბიულეტენის»
ტექსტთან

წინასიტყვაობა ბროშურისა «ორი პარტია»

კამენევის ბროშურა წარმოადგენს იმ მასალის სისტემატურ შეჯამებას, რომელიც ეხება ლიკვიდატორობასთან ბრძოლას, ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა კონტრრევოლუციურ ეპოქაში ბოლშევიზმი და ბოლშევიზმის კვალდაკვალ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც. სრულიად ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატიისა და ლიკვიდატორობის პრინციპული უთანხმოების გარკვევას დათმობილი აქვს უდიდესი ადგილი კამენევის ბროშურაში, ისევე როგორც ყველაზე მეტად ეხებოდნენ ამას 1908 — 1911 წლებში «პროლეტარი» [81] და პარტიის ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატი».

კამენევმა სავსებით დაამტკიცა, რომ ლიკვიდატორთა ჯგუფი ნამდვილად არის განსაკუთრებული პარტია, ეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არ არის. მისი დამამტკიცებელი საბუთები აჯამებენ უმთავრესად 1909 — 1911 წლების გამოცდილებას, რომელმაც დაადასტურა 1908 წლის დეკემბრის რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში, რომელიც ბოლშევიკებმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით წამოაყენეს და გაატარეს, უკვე განცხადებული იყო, რომ ლიკვიდატორები ცდილობენ «შესცვალონ» რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია «უსახო» ლეგალური გაერთიანებით. დღეს ბატონების პოტრესოვის, ლარინის, ლევიცკისა და კომპანიის ამ უსახო ლეგალურმა გაერთიანებამ (საზღვარგარეთ ბატონთ მარტოვისა და გოლოსელთაგან შეკოწიწებულ კუდთან ერთად)

უკვე სავსებით გამოააშკარავა თავი. ეს არის ლიტერატორთა ჯგუფი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან და რომელიც აწარმოებს არა სოციალ-დემოკრატიულ, არამედ ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას. ესენი არიან ს ტ ო ლ ი პ ი ნ უ რ ი «მუშათა» პარტიის მოღვაწენი.

მარქსიზმიდან ლიბერალიზმზე გადასვლა, ამასთან მეტად სწრაფი, ხანდახან სრულიად «მოულოდნელი» გადასვლა — სპეციფიკური თავისებურებაა XIX საუკუნის დამლევის და XX საუკუნის დამდეგის რუსეთისა. «ეკონომისტები» და «Credo» *—ბატონი სტრუვე და კომპანია—ბატონი ლიკვიდატორები, ეს ყველა ერთი კიბის საფეხურებია, ერთი ევოლუციის ეტაპებია, ერთნაირი ტენდენციის გამოხატულებანია. რუსეთში მუშათა პარტიამ ჩამოყალიბება დაიწყო 1905 წლის რევოლუციის ცოტა ხნის წინ; კონტრრევოლუციის ეპოქაში ხდება ამ პარტიის გარდაქმნა — ნაწილობრივ ის ახლად შენდება, უფრო მტკიცე საძირკველზე. ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელსაც რევოლუცია იზიდავდა იმ შეგნებით, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ განეცადა დემოკრატიულ გადატრიალებათა ეპოქა, ჯგუფ-ჯგუფად ეკედლება პროლეტარიატს — და ჯგუფ-ჯგუფადვე შორდება ისევ მას, როცა გამოცდილებით რწმუნდება, რომ რევოლუციური მარქსიზმი მის ძალღონეს აღემატება, რომ მისი ნამდვილი ადგილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გ ა რ ე თ ა ა. ასეთნი არიან ჩვენი ლიკვიდატორებიც, რომელთა ერთი ნაწილი უკვე სავსებით აშკარად, პირდაპირ და გულახდილად ლაპარაკობს, ა ხ ა ლ პარტიას ვქმნითო.

ოტზოვიზმიც და ლიკვიდატორობაც, როგორც ერთმანეთის მსგავსნი იმით, რომ ორივენი არასოციალ-დემოკრატიულ, ბურჟუაზიულ მიმდინარეობებს წარმოადგენენ, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან თავისი პოლიტიკური განვითარების ბედით. ოტზოვიზმი დროზე დააუძლურ-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ბოლშევიზმმა და ვერ მივიდა თავისი პარტიის შექმნის ცდამდე; ის ახლა დარჩა უმნიშვნელო საზღვარგარეთულ პატარა ჯგუფად, რომლის მოღვაწეობას შეადგენს მხოლოდ ლიკვიდატორთა დახმარება ინტრიგებსა და ბრძოლაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წინააღმდეგ. პირიქით, ლიკვიდატორობას თავისი ცენტრი (უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური აზრით, შემდგომ კი ორგანიზაციული აზრით) ჰყავს რუსეთში; მან შექმნა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი, თუმცა უსახო (ჯერჯერობით უსახო) პარტია — აი ამიტომ ლაპარაკობს კამენევი ასე დაწვრილებით ლიკვიდატორობაზე და მხოლოდ გაკვრით — ოტზოვიზმზე.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მომხრეთა შორის ისეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ლიკვიდატორობის გულწრფელად დაცვა, ცოტანი არიან *. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრნი არიან კიდევ ისეთი ადამიანები, რომელნიც გულწრფელად მტრობენ ლიკვიდატორობას და და რომელთაც ამავე დროს ა რ ე ს მ ი თ მასთან ბრძოლის პირობები. რა თქმა უნდა, — ამბობენ ასეთი ადამიანები, — ლიკვიდატორობა ბურჟუაზიული მიმდინარეობაა სოციალ-დემოკრატიაში, მაგრამ რატომ არ შეიძლება მას ვებრძოლოთ ერთიანი პარტიის რიგებში, როგორც გერმანელები ებრძვიან

* ცხადია, საზღვარგარეთელ გოლოსელთა გულწრფელობაზე ლაპარაკი სასაცილო იქნებოდა. ისინი შანტაჟისა და ცილისწამების სპეციალისტები არიან და მათ ბატონი მარტოვები ხელმძღვანელობენ. კაუტსკის, მერინგისა და ცეტკინის გადაწყვეტილება — სადავო ფული გადაეცეს ა რ ა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს, ა რ ა მ ე დ ტექნიკურ კომისიასაო [82] (იხ. საორგანიზაციო კომისიის ფურცელი 1911 წ. 1 აგვისტოს თარიღით) — სრული გამართლებაა ამხ. ალექსანდროვისა და ყველა ბოლშევიკისა (რომელნიც ს ა ვ ს ე ბ ი თ ეთანხმებიან ალექსანდროვს), სრული დაგმობაა ბატონების მარტოვის, დანის, მარტინოვისა და აქსელროდის ბინძური ცილისმწამებლობისა. მივაქცევთ აგრეთვე მკითხველთა ყურადღებას «დამატებაში» დაბეჭდილ ამხ. ვიქტორის [83] წერილზე, რომელიც ცხადყოფს, თუ რა საზიზღარ ხერხებს კადრულობენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ბ-ნი მარტოვი და მისი დამქაშები.

ბერნშტეინიადას? რატომ არ შეიძლება ვცადოთ ლიკვიდატორებთან «შეთანხმება»?

ჩვენს «შემთანხმებლებს» არ ესმით ერთი მეტად მნიშვნელოვანი და მეტად უბრალო რამ: ლიკვიდატორები მარტო ოპორტუნისტები როდი არიან (ბერნშტეინისა და კომპანიის მსგავსად), ისინი ამავე დროს აშენებენ განსაკუთრებულ პარტიას, მათ თავის ლოზუნგად გამოაცხადეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არარსებობა, ისინი სრულიად არ უწევენ ანგარიშს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გადაწყვეტილებებს. აი რა განსხვავებაა «ევროპისაგან», რომლის დამოწმება შეუძლიათ მხოლოდ საკითხში ჩაუხედავ ან რუსეთის პირობების არმცოდნე ადამიანებს. ევროპაში პარტიის რიგებში ერთ თვესაც არ გააჩერებდნენ არც ერთს ოპორტუნისტს, რომელიც თავისი პარტიისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ჩაიდენდა იმის მეათედსაც, რაც ჩაიდინეს და რასაც სჩადიან ბატონნი პოტრესოვები, იგორევები, ბერები, მარტოვები, დანები და კომპანია. ევროპაში პარტიები აშკარად არსებობენ, და იქ უცბად დაინახავ — ეკუთვნის კაცი ორგანიზაციას და ემორჩილება მას თუ არა.

ჩვენი პარტია არალეგალურია. ვერ «დაინახავ» და (თუ ოხრანკის თანაშემწე არა ხარ) აშკარად ვერ ილაპარაკებ იმაზე, ეკუთვნის თუ არა ორგანიზაციას X, Y, Z. მაგრამ ბატონი პოტრესოვები და კომპანია რომ ორგანიზაციას არ ეკუთვნიან და ყველა მისი გადაწყვეტილება მათ ფეხებზე ჰკიდიათ, — სწორედ ისე, როგორც გოლოსელებს, — ეს ფაქტია. როგორ შეიძლება «შეუთანხმდე» ბატონ პოტრესოვებს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მათთვის პარტია არ არსებობს? — ბატონთ მარტოვებსა და დანებს, რომლებმაც იგივე დაამტკიცეს? რაში უნდა შეუთანხმდე ლიკვიდატორებს, თუ არა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოსპობაში?

დაე სინჯონ «შემთანხმებლებმა» და გვიჩვენონ ლიკვიდატორებთან შეთანხმების პირობები, ამ პირობების შე-

სრულების კონტროლის საშუალებანი, მათი შესრულების დამამტკიცებელი ფაქტები. ვერც ერთს, ვერც მეორეს და ვერც მესამეს ვერ გვიჩვენებენ. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ სიტყვები «შეთანხმების» შესახებ — ცარიელი და უგუნური სიტყვებია. ეს სიტყვები ხელს უწყობენ მხოლოდ ინტრიგებს საზღვარგარეთული წრეებისას (მაგალითად, ვპერიოდელთა, გოლოსელთა, ტროცკისტთა წრეებისას), რომლებმაც სავსებით დაამტკიცეს, რომ პარტიის გადაწყვეტილებები მათ ფეხებზე ჰკიდიათ, და რომლებიც სრულიად არ იზღუდავენ «თავისუფლებას» ლიკვიდატორთა მხარის დაჭერაში.

რუსეთში კი მუშათა არალეგალური წრეები გაემიჯნენ და დღითი-დღე უფრო და უფრო ემიჯნებიან ლიკვიდატორებს, ნელ-ნელა, დიდი სიძნელით აშენებენ რევოლუციურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ამ წრეებისათვის დახმარების გაწევა, საქმით განხორციელება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გადაწყვეტილებებისა, ხელის აღება საზღვარგარეთელ ქარაფშუტებთან (გოლოსელები — საზღვარგარეთულ ჯგუფებში ყველაზე ძლიერი ჯგუფია, და ისინიც ერთიანად ქარაფშუტები არიან) შეთანხმების თამაშზე — ასეთია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მომხრეთა ამოცანა: პარტიისათვის ბრძოლა — პარტიულობაა. ლაპარაკი «შეთანხმებაზე» არასოციალ-დემოკრატიული პარტიის მშენებელ ლიკვიდატორებთან — დანაშაულია პარტიულობის მოვალეობის წინააღმდეგ.

ნ. ლენინი

1911 წ. 2 აგვისტო

P. S. * საჭიროა დავძინოთ, რომ «დამატებაში» მოცემული განხილვა ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ წამოყენებული «ბრალდებებისა» ჩვენი კოლექტიური აზრია და დამუშავე-

* — **Postscriptum** — მინაწერი. რედ.

ბულია იმ მასალებისა და საბუთების საფუძველზე, რომლებიც ბოლშევიკური ცენტრის განკარგულებაშია, — აგრეთვე ბოლშევიკურ ცენტრში მომუშავე იმ ამხანაგთა ცნობების საფუძველზე, რომელნიც პირადად აწარმოებდნენ ბოლშევიკური ცენტრის ამა თუ იმ საქმეს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1911 წ. აგვისტოს ბროშურაში: «ორი პარტია».
ბაკიზი, «რაბოჩაია გაზეტას» რედაქციის გამოცემა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში

კაპიტალიზმის უდიდესმა პროგრესმა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში და მუშათა მოძრაობის სწრაფმა ზრდამ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში დიდი ძვრა მოახდინეს ბურჟუაზიის წინანდელ დამოკიდებულებაში პროლეტარიატისადმი. კერძო საკუთრების სრული ხელუხლებლობისა და კონკურენციის თავისუფლების გულისთვის სოციალიზმის ყველა ძირითად დებულებასთან აშკარა, პრინციპული, პირდაპირი ბრძოლის ნაცვლად, — ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია, თავისი იდეოლოგებისა და პოლიტიკური მოღვაწეების სახით, სულ უფრო და უფრო ხშირად გამოდის ეგრეთწოდებული სოციალური რეფორმების დამცველად სოციალური რევოლუციის იდეის წინააღმდეგ. არა ლიბერალიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ, არამედ რეფორმიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ — აი თანამედროვე «მოწინავე», განათლებული ბურჟუაზიის ფორმულა. და რაც უფრო მაღალია კაპიტალიზმის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, რაც უფრო სრულია ბურჟუაზიის ბატონობა, რაც უფრო მეტია პოლიტიკური თავისუფლება, მით უფრო ფართოა «უახლესი» ბურჟუაზიული ლოზუნგის გამოყენების სფერო: რეფორმები რევოლუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, დაღუპვის გზაზე დამდგარი რეჟიმის ნაწილობრივი შეკეთება მუშათა კლასის დაქსაქსვისა და დასუსტების მიზნით, ბურჟუაზიის ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ამ ძალაუფლების რევოლუციური დამხობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

სოციალიზმის მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით აღნიშნულ ძვრაში შეუძლებელია არ დავინახოთ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი. თავდაპირველად სოციალიზმი იბრძოდა არსებობისათვის, და მის წინააღმდეგ იდგა თავისი ძალღონის მოიმედე ბურჟუაზია, რომელიც გაბედულად და თანამიმდევრად იცავდა ლიბერალიზმს, როგორც ეკონომიურ და პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიან სისტემას. სოციალიზმი გაიზარდა, მან უკვე მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მოიპოვა არსებობის უფლება; ახლა ის იბრძვის ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, და ბურჟუაზია, რომელიც იხრწნება, რომელიც ხედავს თავისი დაღუპვის აუცილებლობას, იკრებს მთელ ძალღონეს, რათა ორჭოფ და თვალთმაქცურ დათმობათა საშუალებით დროებით აიშოროს ეს დაღუპვა და შეინარჩუნოს ძალაუფლება ახალ პირობებშიც.

რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან რეფორმიზმის ბრძოლის გამწვავება მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი თ — სრულიად აუცილებელი შედეგია მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის მთელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარი ზემოხსენებული ცვლილებებისა. მუშათა მოძრაობის ზრდა გარდუვალად იზიდავს მის მომხრეთა ბანაკში განსაზღვრულ რაოდენობას ბურჟუაზიული იდეოლოგიით დამონებული წვრილბურჟუაზიული ელემენტებისას, რომელნიც ძლივძლივობით თავისუფლდებიან მისგან, მაგრამ მუდამ ისევ და ისევ ვარდებიან ამ იდეოლოგიის მონობაში. პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წარმოდგენა არც კი შეიძლება ისე, თუ არ იქნება ეს ბრძოლა, თუ ერთმანეთს აშკარად პრინციპულად არ გაემიჯნებიან სოციალისტური «მთა» და სოციალისტური «ჟირონდა» ამ რევოლუციის წ ი ნ, — თუ საკვლევით არ გაეთიშნენ ერთმანეთს ოპორტუნისტული, წვრილბურჟუაზიული და ახალი ისტორიული ძალის პროლეტარული, რევოლუციური ელემენტები ამ რევოლუციის დ რ ო ს.

რუსეთში საქმე არსებითად არ იცვლება, მაგრამ რთულდება, იჩქმალება, მოდიფიცირდება იმის გამო, რომ ჩვენ

ჩამოვრჩით ევროპას (და აზიის მოწინავე ნაწილსაც კი), ჩვენ ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქას განვიცდით. ამის გამო რუსეთის რეფორმიზმი განსხვავდება განსაკუთრებული შეუპოვარი ხასიათით, წარმოადგენს, ასე ვთქვათ, უფრო ავთვისებიან ავადმყოფობას, გაცილებით მეტ ზიანს აყენებს პროლეტარიატისა და რევოლუციის საქმეს. ჩვენში რეფორმიზმი ერთსა და იმავე დროს ორი სათავიდან მომდინარეობს. ჯერ-ერთი, რუსეთი ბევრად უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ამიტომაც ჩვენში განსაკუთრებით ხშირად ჩნდებიან ადამიანები, ჯგუფები, მიმდინარეობანი, რომელთაც ახასიათებს ის წინააღმდეგური, ორჭოფული, მერყევი დამოკიდებულება სოციალიზმისადმი (ხან «მხურვალე სიყვარული», ხან მუხთალი ღალატი), რაც ყოველ წვრილ ბურჟუაზიას მოსდგამს. მეორე, ჩვენში წვრილი ბურჟუაზიის მასა ყველაზე ადვილად, ყველაზე მალე ეცემა სულით და იმსჭვალება რენეგატული სულისკვეთებით ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი ფაზის ყოველი მარცხის დროს, ყველაზე უწინ უარყოფს სრული დემოკრატიული გადატრიალების ამოცანას, იმ გადატრიალებისა, რომელიც სავსებით გასწმენდს რუსეთს შუა საუკუნეებისა და ბატონყმობის ყველა ნაშთისაგან.

დაწვრილებით არ შევჩერდებით პირველ სათავეზე. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ, ალბათ, მსოფლიოში არ მოინახება არც ერთი ქვეყანა, სადაც ასე ჩქარა ხდებოდეს «შებრუნება» სოციალიზმისადმი თანაგრძნობიდან კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმისადმი თანაგრძნობისაკენ, როგორც ეს სჭირთ ჩვენს ბატონ სტრუვეებს, იზგოევებს, კარაულოვებს და სხვებსა და სხვებს. ხოლო ეს ვაჟბატონები გამონაკლისნი, ერთეულები კი არა, ფართოდ გავრცელებულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები არიან! გულკეთილი ადამიანები, რომლებიც ბლომად არიან სოციალ-დემოკრატიის რიგებს გარეთ და ამავე დროს ცოტანი არ არიან მის შიგნითაც, რომლებსაც უყვართ ქადაგება «გადაჭარბებული» პოლემიკის, «გამიჯვნით გატაცების» წინააღმდეგ და სხვა, — იჩენენ იმის სრულ შეუგნებლო-

ბას, თუ რა ისტორიული პირობები ჰბადებენ რუსეთში «გადაჭარბებულ» «გატაცებას» სოციალიზმიდან ლიბერალიზმისაკენ გაკეთებული ნახტომით.

გადავიდეთ რუსეთის რეფორმიზმის მეორე სათავეზე.

ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვენში დამთავრებული არ არის. თვითმპყრობელობა ცდილობს ახლებურად გადაწყვიტოს ამ რევოლუციის მიერ ნაანდერძევი და ეკონომიური განვითარების მთელი ობიექტური მსვლელობით თავსმოხვეული ამოცანები, მაგრამ მას არ შეუძლია მათი გადაწყვეტა. არც ახალი ნაბიჯი ძველი ცარიზმის განახლებულ ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე, არც ნაციონალური მასშტაბით თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ზედაფენების ორგანიზაცია (III სათათბირო), არც ბურჟუაზიული აგრარული პოლიტიკა, რომელსაც საეროო უფროსები ატარებენ, — ცარიზმის ყველა ეს «უკიდურესი» ღონისძიება, ყველა ეს «უკანასკნელი» ცდა მისთვის დარჩენილ უკანასკნელ სარბიელზე, ბურჟუაზიული განვითარებისადმი შეგუების სარბიელზე, საკმარისი აღარაა. ასედაც არაფერი გამოდის! არათუ იაპონიას ვერ დასწევია ამგვარად «განახლებული» რუსეთი, არამედ, მგონი, ჩინეთსაც რჩება უკან. გადაუჭრელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების ნიადაგზე რევოლუციური კრიზისი გარდუვალი რჩება. იგი ისევ მწიფდება, ჩვენ კვლავ მისკენ მივდივართ, მივდივართ ახლებურად, არა ისე, როგორც წინათ, არა იმ ტემპით, არა მარტო ძველი ფორმებით, მაგრამ მივდივართ უეჭველად.

პროლეტარიატის ამოცანები ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარეობს სრული, განუხრელი გარკვეულობით. როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ოლომდე რევოლუციური კლასი, ის უნდა იყოს ხელმძღვანელი, ჰეგემონი მთელი ხალხის ბრძოლაში სრული დემოკრატიული გადატრიალებისათვის, ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბრძოლაში მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ. პროლეტარიატი რევოლუციურია მხოლოდ იმდენად,

რამდენადაც მას შეგნებული აქვს და ახორციელებს ჰეგემონიის ამ იდეას. პროლეტარი, რომელმაც ეს ამოცანა შეიგნო, მონაა, რომელიც მონობის წინააღმდეგ ამხედრებულა. პროლეტარი, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი კლასის ჰეგემონიის იდეა, ან უარყოფს ამ იდეას, მონაა, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მონური მდგომარეობა; უკეთეს შემთხვევაში იგი მონაა, რომელიც იბრძვის თავისი მონური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ა რ ა მონობის დასამხობად.

აქედან გასაგებია, რომ განთქმული ფორმულა ჩვენებური რეფორმიზმის ერთ-ერთი ახალგაზრდა მეთაურის, «ნაშა ზარია»-ელის ბ-ნ ლევიცკისა, რომელმაც განაცხადა, რუსეთის სოციალ-დემოკრატია უნდა იყოს «ა რ ა ჰეგემონი, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტიაო», არის ფორმულა უაღრესად თანამიმდევარი რეფორმიზმისა. ეგ კიდევ არაფერი. ეს არის სრული რენეგატობის ფორმულა. თქმა: «ა რ ა ჰეგემონი, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია», ეს არის გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, ლიბერალის მხარეზე, რომელიც ეუბნება ჩვენი ეპოქის მონას, დაქირავებულ მუშას: იბრძოლე შენი, როგორც მონის, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მავნე უტოპიად ჩათვალე მონობის დამხობის აზრიო! შეადარეთ ბერნშტეინის განთქმული ფორმულა: «მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არაფერი» ლევიცკის ფორმულას, და დაინახავთ, რომ ეს ერთი და იმავე იდეის ვარიანტებია. ორივე შემთხვევაში ეს არის მ ხ ო ლ ო დ რეფორმების აღიარება და რევოლუციის უარყოფა. ბერნშტეინის ფორმულა უფრო ფართოა, ვინაიდან მას მხედველობაში აქვს სოციალისტური რევოლუცია (= საბოლოო მიზანი სოციალ-დემოკრატიისა, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების პარტიისა). ლევიცკის ფორმულა უფრო ვიწროა, ვინაიდან იგი, როგორც საერთოდ რევოლუციის უარყოფა, სპეციალურად ნავარაუდევია იმის უარსაყოფად, რაც ყველაზე უფრო სძულდათ 1905 — 1907 წლებში ლიბერალებს, სახელდობრ ის, რომ პროლეტარიატმა ლიბერალებს ხ ე ლ ი დ ა ნ გ ა მ ო გ ლ ი ჯ ა ხალხის მასების (და განსა-

კუთრებით გლეხობის) ხელმძღვანელობა სრული დემოკრატიული გადატრიალებისათვის ბრძოლაში.

მუშებისთვის იმის ქადაგება, რომ მათ ესაჭიროებათ «ა რ ა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია», იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატის საქმე ლიბერალებს ჩაუგდო ხელში, იმას ნიშნავს, რომ იქადაგო ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა-ტ ი უ ლ ი მუშათა პოლიტიკის შეცვლა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მუშათა პოლიტიკით.

მაგრამ ჰეგემონიის იდეაზე ხელის აღება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული რეფორმიზმის ყველაზე უხეში სახეა, და ამიტომ ყველა ლიკვიდატორი ვერ ბედავს პირდაპირ ასე გარკვეულად გამოთქვას თავისი აზრები. ზოგი მათგანი (როგორც ბ-ნი მარტოვი) იმასაც კი ცდილობს, რომ, ჭეშმარიტების დასაცინად, უარყოს კავშირი ჰეგემონიაზე ხელის აღებასა და ლიკვიდატორობას შორის.

რეფორმისტულ შეხედულებათა «დასაბუთების» უფრო «დახვეწილ» ცდას წარმოადგენს ასეთი მსჯელობა: ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში დამთავრებულია; 1905 წლის შემდეგ მეორე ბურჟუაზიული რევოლუცია, მეორე საერთონაციონალური ბრძოლა დემოკრატიული გადატრიალებისათვის შეუძლებელია; ამიტომ რუსეთს მოელის ა რ ა რევოლუციური, არამედ «კონსტიტუციური» კრიზისი, და მუშათა კლასს მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ იზრუნოს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის ამ «კონსტიტუციური კრიზისის» ნიადაგზე. ასე მსჯელობს ლიკვიდატორი ი. ლარინი «დელო ჟიზნში» (წინათ კი «ვოზროჟდენიეში»).

«1905 წ. ოქტომბერი დღის წესრიგში არა დგას», — წერდა ბ-ნი ლარინი. «სათათბირო რომ გაეუქმებინათ, მას კიდევ უფრო მალე აღადგენდნენ, ვიდრე ეს მოხდა რევოლუციის შემდეგდროინდელ ავსტრიაში, რომელმაც 1851 წელს გააუქმა კონსტიტუცია, რათა კვლავ ეღიარებინა იგი 1860 წელს, 9 წლის შემდეგ, სრულიად ურევოლუციოდ» (დაიხსომეთ ეს!), «მხოლოდ გაბატონებულ კლასთა იმ უაღ-

რესად გავლენიანი ნაწილის ინტერესების გულისთვის, რომელმაც თავისი მეურნეობა კაპიტალისტურად გარდაქმნა». «ახლანდელ სტადიაზე შეუძლებელია საერთო-ნაციონალური რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს».

ბ-ნ ლარინის მთელი ეს მსჯელობა წარმოადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე ბ-ნ დანის მიერ ნათქვამი სიტყვების მხოლოდ ვრცელ განმეორებას. იმ რეზოლუციის წინააღმდეგ, სადაც ნათქვამია, რომ «ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვიეს, განაგრძობენ მოქმედებას», რომ კვლავ მწიფდება სწორედ რევოლუციური და არა «კონსტიტუციური» კრიზისი, — ამ რეზოლუციის წინააღმდეგ ლიკვიდატორთა «გოლოსის» რედაქტორმა წამოიძახა: «მათ» (ე. ი. რსდმ პარტიას) «სურთ მივაწვეთ იქით, სადაც ერთხელ დავმარცხდითო».

ისევ «მიწოლა» რევოლუციისაკენ, განუწყვეტლივ მუშაობა, შეცვლილ ვითარებაშიც, რევოლუციის საქადაგებლად, მუშათა კლასის ძალების რევოლუციისათვის მოსამზადებლად, — აი რა ყოფილა მთავარი დანაშაული რსდმ პარტიისა, აი რა ბრალი მიუძღვის რევოლუციურ პროლეტარიატს რეფორმისტების თვალსაზრისით. რა საჭიროა «მივაწვეთ იქით, სადაც ერთხელ დავმარცხდით» — აი სიბრძნე რენეგატებისა და იმ ადამიანებისა, რომლებიც სულიერად ეცემიან ყოველი დამარცხების შემდეგ.

მაგრამ რევოლუციური პროლეტარიატი რუსეთზე უფრო ძველ და უფრო «გამოცდილ» ქვეყნებში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ «მისწოლია იქით, სადაც ერთხელ დამარცხდა»; მან (როგორც, მაგალითად, საფრანგეთში) 1789-დან 1871 წლამდე ოთხჯერ მოახდინა რევოლუცია, კვლავ და კვლავ იწყებდა ბრძოლას უმძიმეს დამარცხებათა შემდეგ და ბოლოს მოიპოვა რესპუბლიკა, სადაც ის პირისპირ დგას თავისი უკანასკნელი მტრის — მოწინავე ბურჟუაზიის წინა-

შე; — მოიპოვა რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფოს ერთადერთი შესაძლებელი ფორმა, რომელიც შეესაბამება სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბოლოო ბრძოლის პირობებს.

ასეთია განსხვავება სოციალისტებსა და ლიბერალებს, ე. ი. ბურჟუაზიის მომხრეებს შორის. სოციალისტები ქადაგებენ, რომ რევოლუცია აუცილებელია და რომ პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყ ვ ე ლ ა წინააღმდეგურობა, თავისი მტრების თუ შუალედი ფენების ყოველგვარი სისუსტე ახალი რევოლუციური ბრძოლის მოსამზადებლად, რევოლუციის გასამეორებლად უფრო გაფართოებულ ასპარეზზე, მოსახლეობის უფრო მეტი განვითარებულობის პირობებში. ბურჟუაზია და ლიბერალები ქადაგებენ, რევოლუციები საჭირო .არ არის და მავნებელიაო მუშებისათვის, რომელნიც რევოლუციისაკენ კი არ უნდა «აწვებოდნენ», არამედ დამჯერი ბავშვებივით წყნარად უნდა მუშაობდნენ რეფორმებისათვის.

ამიტომაც რეფორმისტები — ბურჟუაზიული იდეების ტყვეები — მ უ დ ა მ იმოწმებენ ს წ ო რ ე დ 60-იანი წლების ავსტრიის (და აგრეთვე პრუსიის) მაგალითს, რათა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს ჩამოაშორონ რუსეთის მუშები. რატომ გახდა მათთვის სანუკვარი ეს მაგალითები? ი. ლარინმა წამოაყრანტალა საიდუმლოება: იმიტომაო, რომ ამ ქვეყნებში, 1848 წლის რევოლუციის «დამარცხების» შემდეგ, ქვეყნის ბურჟუაზიული გარდაქმნა დამთავრდა «ს რ უ ლ ი ა დ უ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო დ ო».

აი რაში ყოფილა საქმე! აი რა ახარებს მათს გულს. მაშასადმე, ბურჟუაზიული გარდაქმნა შესაძლებელია უ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო დ!! ხოლო თუ ეს ასეა, ჩვენ, რუსებმა, რატომღა შევიწუხოთ თავი რევოლუციაზე ფიქრით? რატომ ჩვენც არ უნდა მივანებოთ მემამულეებსა და მეფაბრიკეებს «სრულიად ურევოლუციოდ» მოახდინონ რუსეთის ბურჟუაზიული გარდაქმნა!?

პრუსიისა და ავსტრიის პროლეტარიატის სისუსტე იყო იმის მიზეზი, რომ მან ხელი ვერ შეუშალა აგრარიებს და

ბურჟუაზიას მოეხდინათ გარდაქმნა მუშათა ინტერესების წინააღმდეგ, მუშებისათვის უაღრესად არახელსაყრელი ფორმით, როგორც მონარქიის, ისე თავადაზნაურობის პრივილეგიების, აგრეთვე სოფლად უუფლებობისა და შუასაუკუნეების სხვა მრავალი ნაშთის შენარჩუნებით.

რუსეთის რეფორმისტები — მას შემდეგ, რაც ჩვენმა პროლეტარიატმა 1905 წელს გამოიჩინა ისეთი ძალა, რაც ჯერ დასავლეთის არც ერთ ბურჟუაზიულ რევოლუციაში არ ნახულა — თავიანთი რენეგატობის გასამართლებლად, თავიანთი რენეგატული ქადაგების «დასასაბუთებლად» მიმართავენ სხვა ქვეყნების 40 და 50 წლის წინადროის მუშათა კლასის სისუსტის მაგალითებს!

60-იანი წლების ავსტრიისა და პრუსიის დამოწმება, რაც ასე უყვართ ჩვენს რეფორმისტებს, საუკეთესო მაგალითია, რომელიც ამტკიცებს მათი მსჯელობის თეორიულ უმწეობას და მათს პრაქტიკულ-პოლიტიკურ გადასვლას ბურჟუაზიის მხარეზე.

მართლაც, თუ ავსტრიამ აღადგინა 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაუქმებული კონსტიტუცია, თუ პრუსიაში დადგა «კრიზისის ერა» 60-იან წლებში, რას ამტკიცებს ეს? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ამ ქვეყნების ბურჟუაზიული გარდაქმნა არ იყო დამთავრებული. იმის თქმა, რომ რუსეთში ხელისუფლება უკვე გარდაიქმნა ბურჟუაზიულ ხელისუფლებად (როგორც ამბობს ლარინი), რომ ხელისუფლების ბატონყმურ ხასიათზე ლაპარაკი ახლა ჩვენში ზედმეტია (იხ. იგივე ლარინი) — და ამავე დროს ავსტრიისა და პრუსიის დამოწმება — ნიშნავს საკუთარი თავის გამათრახებას! საერთოდ, იმის უარყოფა, რომ რუსეთის ბურჟუაზიული გარდაქმნა დამთავრებული ბრაალ, სასაცილო იქნებოდა: ამას კადეტთა და ოქტიაბრისტთა ბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკაც კი ცხადზე უცხადესად ამტკიცებს, და ლარინი თვითონ (როგორც ქვემოთ დავინახავთ) სთმობს თავის პოზიციას. უეჭველია, მონარქია კიდევ სდგამს ნაბიჯს

ბურჟუაზიულ განვითარებასთან შეგუების გზაზე, როგორც უკვე ვთქვით და როგორც პარტიის რეზოლუციამ აღიარა (1908 წ. დეკემბერი), — მაგრამ კიდევ უფრო უეჭველია, რომ ეს შეგუებაც კი, ბურჟუაზიული რეაქციაც კი, III სათათბიროც, 1906 წლის 9 ნოემბრის (1910 წლის 14 ივნისის) აგრარული კანონიც ვერ სწყვეტენ რუსეთის ბურჟუაზიული გარდაქმნის ამოცანებს.

განვაგრძოთ. რატომ იყო «კონსტიტუციური», და არა რევოლუციური, ავსტრიისა და პრუსიის «კრიზისები» 60-იან წლებში? იმიტომ, რომ მთელმა რიგმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა მძიმე მდგომარეობა შეუმსუბუქა მონარქიას («რევოლუცია ზევიდან» გერმანიაში, მისი გაერთიანება «სისხლითა და მახვილით»), იმიტომ, რომ დასახელებული ქვეყნების პროლეტარიატი მაშინ ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან სუსტი და განუვითარებელი იყო, ხოლო ლიბერალურ ბურჟუაზიას ისეთივე საზიზღარი სიმხდალე და ღალატი ახასიათებდა, როგორც რუსეთის კადეტებს.

თვით ამ ეპოქის მომსწრე გერმანელი სოციალ-დემოკრატების მიერ ასეთი მდგომარეობის შეფასების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ შენიშვნას ბებელისას, რომელმაც შარშან გამოაქვეყნა თავის «მოგონებათა» პირველი ნაწილი. 1862 წლის, პრუსიის «კონსტიტუციური» კრიზისის წლის შესახებ ბისმარკი ამბობდა, — როგორც შემდეგ გამოირკვა, — რომ მეფე მაშინ ძალიან შეწუხებული იყო და შესჩივლა მას, ბისმარკს, ორივეს ეშაფოტი მოგველისო. ბისმარკმა შეარცხვინა ლაჩარი და დაარწმუნა — არ შეშინებოდა ბრძოლისა.

«ეს ამბები ცხადყოფენ, — ამბობს ბებელი ამის გამო, — თუ რას მიაღწევდნენ ლიბერალები, მათ რომ მარჯვედ გამოეყენებინათ მდგომარეობა. მაგრამ მათ უკვე ეშინოდათ მუშებისა, რომლებიც მათს უკან იდგნენ. ბისმარკის სიტყვებმა: «თუ უკიდურესობამდე მიმიყვანენ, ფეხზე დავაყენებ აქერონსაო» (ე. ი. ფეხზე დავაყენებ და სახალხო მოძრაობაში

ჩავაბამ დაბალ ფენებს, მასებსაო), — «ლიბერალებში უსაზღვრო შიში გამოიწვია».

გერმანიის სოციალ-დემოკრატების ბელადი, ნახევარი საუკუნის შემდეგ იმ «კონსტიტუციური» კრიზისისა, რომელმაც «სრულიად ურევოლუციოდ» დაამთავრა მისი ქვეყნის გარდაქმნა ბურჟუაზიულ-იუნკრულ მონარქიად, აღნიშნავს მაშინდელი მდგომარეობის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო ბ ა ს, რაც ვერ გამოიყენეს ლიბერალებმა მუშების შიშით. რუსეთის რეფორმისტთა ბელადები ეუბნებიან რუსეთის მუშებს: თუ გერმანიის ბურჟუაზია ისე მუხთალი იყო, რომ დაფრთხა დამფრთხალი მეფის წინაშე, რატომ ჩ ვ ე ნ ც არ უნდა ვცადოთ გავიმეოროთ გერმანიის ბურჟუაზიის ეს საუცხოო ტაქტიკა? ბებელი ამტყუნებს ბურჟუაზიას, მის ექსპლოატატორულ შიშს სახალხო მოძრაობის წინაშე, — იმაში, რომ მან «კონსტიტუციური» კრიზისი ვერ «გამოიყენა» რევოლუციისათვის. ლარინი და კომპანია ამტყუნებენ რუსეთის მუშებს იმაში, რომ ისინი ისწრაფოდნენ ჰეგემონიისაკენ (ე. ი. რევოლუციაში მასების ჩაბმისაკენ, წინააღმდეგ ლიბერალებისა), და ურჩევენ მათ დაირაზმონ «ა რ ა რევოლუციისათვის», ა რ ა მ ე დ «თავიანთი ინტერესების დასაცავად რუსეთის მომავალი კონსტიტუციური განახლებისას». გერმანული დამპალი ლიბერალიზმის დამპალ შეხედულებებს ლიკვიდატორები სთავაზობენ რუსეთის მუშებს ვითომდა «სოციალ-დემოკრატიული» შეხედულებების სახით! აბა, როგორ არ ვუწოდოთ ამის შემდეგ ასეთ სოციალ-დემოკრატებს სტოლიპინის სოციალ-დემოკრატები?

პრუსიის 60-იანი წლების «კონსტიტუციური» კრიზისის შეფასებისას ბებელი არ სჯერდება იმის აღნიშვნას, რომ ბურჟუაზიას მუშების შიშით მონარქიასთან ბრძოლისა ეშინოდა. ის მიუთითებს აგრეთვე იმაზედაც, თუ რა ხდებოდა მაშინ მუშებში. «პოლიტიკური მდგომარეობის აუტანლობა, — ამბობს ის, — რაც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა მუშებისათვის, ბუნებრივად მათს სულისკვეთებაშიც იხატებოდა. ყველა მოითხოვდა ცვლილებებს. მაგრამ ვინაიდან

არ იყვნენ სავსებით გაცნობიერებული ხელმძღვანელი ელემენტები, რომელთაც ნათლად ექნებოდათ შეგნებული მიზანი, საითკენაც უნდა წასულიყვნენ, და რომელთაც მოპოვებული ექნებოდათ ნდობა, ვინაიდან არ იყო მტკიცე, ძალთა შემაკავშირებელი ორგანიზაცია, ამიტომ სულიერმა განწყობილებამ ამაოდ ჩაიარა (**verpuffte**). არასოდეს მოძრაობა, ჩინებული თავისი დედაარსით (**in Kern vortreffliche**), არ დამთავრებულა ამაზე უფრო უშედეგოდ. ყველა კრებას უამრავი ხალხი ესწრებოდა, და ვინც ყველაზე მკვეთრად ლაპარაკობდა, ის ხდებოდა დროის გმირი. ეს სულიერი განწყობილება განსაკუთრებით ლაიფციგის მუშათა თვითგანათლების საზოგადოებაში ბატონობდა». ლაიფციგის 1866 წ. 8 მაისის კრებაზე, რომელსაც 5 000 კაცი დაესწრო, ერთხმად მიიღეს ლიბკნეხტისა და ბებელის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით ზურგგამაგრებული პარლამენტის მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით; რეზოლუცია გამოთქვამდა «იმედს, რომ გერმანელი ხალხი დეპუტატებად აირჩევდა მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც უარყოფენ ყოველგვარ მემკვიდრეობითს ცენტრალურ ხელისუფლებას». მაშასადამე, ლიბკნეხტისა და ბებელის რეზოლუციას სავსებით გარკვეული რესპუბლიკური და რევოლუციური ხასიათი ჰქონდა.

ამრიგად, გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ბ ე ლ ა დ ს «კონსტიტუციური» კრიზისის დროს მასობრივ კრებებზე გაჰყავს რესპუბლიკური და რევოლუციური ხასიათის რეზოლუციები. ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა თავის სიჭაბუკეს იგონებს და ახალ თაობას შორეული წარსულის ამბებს მოუთხრობს, ის ყველაზე მეტად იმაზე სწუხს, რომ არ იყვნენ საკმაოდ გაცნობიერებული ხელმძღვანელი ელემენტები, რომელთაც შეგნებული ექნებოდათ რევოლუციური ამოცანები (ე. ი. ა რ ი ყ ო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა, რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი ე ქ ნ ე ბ ო დ ა **ჰეგემონიის** ა მ ო ც ა ნ ე ბ ი), რომ არ იყო ძლიერი ორგანიზაცია, რომ «ამაოდ

ჩაიარა» რევოლუციურმა სულიერმა განწყობილებამ. რუსეთის რეფორმისტთა ბელადები კი, ნაცარქექიების ღრმააზროვნებით, 60-იანი წლების ავსტრიასა და პრუსიას იმოწმებენ იმის დასამტკიცებლად, რომ, აი, შეიძლება «არავითარი რევოლუცია» არ დაგვჭირდესო! და ეს, კონტრრევოლუციურ გაბრუებას აყოლილი და ლიბერალიზმის მიერ იდეურად დამონებული ფილისტერი კაცუნები კიდევ ბედავენ სახელი გაუტეხონ რსდმ პარტიას!

რასაკვირველია, იმ რეფორმისტთა შორის, რომელნიც კავშირს წყვეტენ სოციალიზმთან, არიან ადამიანები, რომელნიც ლარინის გულწრფელ ოპორტუნიზმს სცვლიან მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხების გარშემო დიპლომატიური ტრიალით. ასეთი ადამიანები რევენ საქმის დედაარსს, აბუნდოვანებენ, აჭუჭყიანებენ იდეურ დავას, როგორც, მაგალითად, ბ-ნი მარტოვი, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა ლეგალურ პრესაში (ე. ი. სტოლიპინის მიერ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა უშუალო გამოსვლისაგან დაცული), თითქოს ლარინი და «მართლმორწმუნე ბოლშევიკები 1908 წლის რეზოლუციებში» ერთნაირ «სქემას» იძლევიან. ეს მხოლოდ ჭეშმარიტების დამახინჯებაა, რომელიც შეეფერება ბინძურ ნაწარმოებთა ავტორს. იმავე მარტოვმა, ვითომ ლარინს ვედავებიო, პრესაში განაცხადა, «მე, რასაკვირველია, ლარინს არ ვწამებ რეფორმისტულ ტენდენციებსაო». ლარინს, რომელიც წმინდა რეფორმისტულ შეხედულებებს გადმოსცემს, მარტოვი არ სწამებს რეფორმიზმს!! — ეს ხომ რეფორმიზმის დიპლომატთა ხრიკების ნიმუშია.* იგივე მარტოვი, რომელსაც ზოგიერთი მიამიტი ლარინზე უფრო «მემარცხენედ», უფრო საიმედო რევოლუციონერად

* შეად. პარტიელი მენშევიკის დნევნიცკის სამართლიანი შენიშვნები ლარინის რეფორმიზმისა და მარტოვის ხრიკების შესახებ «დისკუსიონნი ლისტოკის» მე-3 ნომერში (ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს დამატება).

თვლის, შემდეგნაირად ასკვნის თავის «უთანხმოებას» ლარინთან:

«დავასკვნი. იმის თეორიული დასაბუთებისა და პოლიტიკური გამართლებისათვის, რასაც ახლა სჩადიან ის მენშევიკები, რომელნიც მარქსიზმის ერთგული დარჩნენ, სავსებით საკმარისია ის ფაქტი, რომ თანამედროვე რეჟიმი წარმოადგენს აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის შინაგანად წინააღმდეგურ შეერთებას და რომ რუსეთის მუშათა კლასი მომწიფდა იმისათვის, რომ, დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მუშების მსგავსად, ჩასჭიდოს ხელი ამ რეჟიმს აღნიშნულ წინააღმდეგობათა აქილევსის ტერფში».

თუმცა მარტოვი ძალიან იძვრენდა თავს, მაგრამ დასკვნის გამოყვანის პირველივე ცდას მოჰყვა ის, რომ ყოველგვარი თავდაძვრენა თავისთავად იფუშებოდა. ჩვენს მიერ მოყვანილი სიტყვები სრული უარყოფაა სოციალიზმისა და მისი შეცვლაა ლიბერალიზმით. «სავსებით საკმარისად» აცხადებს მარტოვი იმას, რაც საკმარისია მ ხ ო ლ ო დ ლიბერალებისათვის, მ ხ ო ლ ო დ ბურჟუაზიისათვის. პროლეტარი, რომელიც «სავსებით საკმარისად» თვლის აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის შეერთების წინააღმდეგურობის აღიარებას, ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მ უ შ ა თ ა პოლიტიკის თვალსაზრისზე დგას. ის ა რ ა რ ი ს სოციალისტი, მას ვ ე რ შეუგნია თავისი კ ლ ა ს ი ს ამოცანები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი სახის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ აამხედრო ხალხის მასები, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასები, რათა ისინი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ჩაერიონ ქვეყნის ისტორიულ ბედის ტრიალში მიუხედავად ბურჟუაზიის მერყეობისა ან წინააღმდეგობისა. ხოლო დამოუკიდებელი ისტორიული მოქმედება მასებისა, რომელნიც თავს აღწევენ ბურჟუაზიის ჰეგემონიას, «კონსტიტუციურ» კრიზისს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა დ აქცევს. ბურჟუაზიას (განსაკუთრებით 1905 წლის შემდეგ) ეშინია რევოლუციისა და სძულს იგი; პროლეტარიატი ასწავლის ხალხის მასებს რევოლუციის იდეის ერთგულებას, განმარტავს მის ამოცანებს, ამზადებს მასებს ახალ-ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. მოდის თუ არა რევოლუცია, როდის, რა

ვითარებაში, — ეს დამოკიდებული არ არის ამა თუ იმ კლასის ნებაზე, მაგრამ მასებში რევოლუციური მუშაობა უკვალოდ არასდროს არ იკარგება. მხოლოდ ამგვარი მუშაობა არის ისეთი მოღვაწეობა, რომელიც ამზადებს მასებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის. სოციალიზმის ამ საანბანო ელემენტარულ ჭეშმარიტებას ივიწყებენ ბატონი ლარინები და მარტოვები.

პირველი მათგანი გამოხატავს რუსეთის იმ ლიკვიდატორული ჯგუფის შეხედულებებს, რომელიც სრულიად მოსწყდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, და მოურიდებლად ბოლომდე ავითარებს თავის რეფორმიზმს. აი მისი სიტყვები «დელო ჟიზნიდან» (1911 წ., № 2); ეს სიტყვები უნდა დაიხსომოს ყველამ, ვინც კი პატივსა სცემს სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს:

«დაბნეულობისა და გაურკვევლობის მდგომარეობა, როდესაც ადამიანებმა პირდაპირ არ იციან, რას უნდა მოელოდნენ ხვალინდელი დღისაგან, რა ამოცანები უნდა დაისახონ, — აი რას ნიშნავს გაურკვეველი ლოდინის განწყობილება, ბუნდოვანი იმედი რევოლუციის განმეორებისა თუ «მერე ვნახოთ»-ისა. მორიგი ამოცანაა არა ზღვის პირას ამინდის უმიზნო ლოდინი, არამედ ფართო წრეების გამსჭვალვა იმ ხელმძღვანელი იდეით, რომ რუსეთის ცხოვრების დაწყებულ ახალ ისტორიულ პერიოდში მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს არა «რევოლუციისათვის», არა «რევოლუციის მოლოდინში», არამედ მხოლოდ»... (დაიხსომეთ ეს: მ ხ ო ლ ო დ...) «თავისი განსაკუთრებული ინტერესების მტკიცე და გეგმაზომიერი დაცვისათვის ცხოვრების ყოველ სფეროში; თავისი ძალების დაგროვებისა და სწავლებისათვის ამ მრავალმხრივი და რთული მოღვაწეობით; საერთოდ ამ გზით სოციალისტური შეგნების აღზრდისა და დაგროვებისათვის; კერძოდ, რუსეთის საზოგადოებრივი კლასების რთული ურთიერთდამოკიდებულებაში ორიენტირების (გარკვევის) — და თავისი თავის დაცვის! — უნარისათვის რუსეთის მომავალი კონსტიტუციური განახლების დრის, მას შემდეგ, რაც ფეოდალური რეაქცია ეკონომიური აუცილებლობით თავის თავს ამოსწურავს».

აი ეს არის დასრულებული, გულახდილი, თვითკმაყოფილი წმინდა წყლის რეფორმისტი. ომი—რევოლუციის იდეას, რევოლუციის «იმედს» (რეფორმისტს ეს «იმედი» ბ უ ნ დ ო-

ვ ა ნ ა დ ეჩვენება, ვინაიდან მას არ ესმის თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სიღრმე), ომი — ყოველგვარ მოღვაწეობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აკავშირებს ძალებს და ამზადებს ადამიანებს რევოლუციისათვის, ომი ლეგალურ პრესაში, რომელსაც იცავს სტოლიპინი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პირდაპირი გამოსვლისაგან, ომი იმ ლეგალისტთა ჯგუფის სახელით, რომელნიც სავსებით მოსწყდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, — აი ეს არის ბატონების პოტრესოვის, ლევიცკის, ლარინისა და კომპანიის მიერ შექმნილი მუშათა სტოლიპინური პარტიის პროგრამა და ტაქტიკა. ამ ადამიანთა ნამდვილი პროგრამა, ნამდვილი ტაქტიკა მოყვანილ ციტატაში ზუსტადაა გამოთქმული — წინააღმდეგ მათი ფარისევლური გაცვეთილი რწმუნებისა, «ჩ ვ ე ნ ც სოციალ-დემოკრატები» ვართ, «ჩვენც» «შეურიგებელ ინტერნაციონალს» ვეკუთვნითო. ეს რწმუნება — თვალთმაქცობაა. ეს პროგრამა, რომელიც სოციალიზმს სავსებით სცვლის მუშათა ლიბერალური პოლიტიკით — მათი საქმეები, მათი რეალური საზოგადოებრივი რაობაა.

აბა, დაუკვირდით იმ სასაცილო წინააღმდეგობას, რომელშიც იხლართებიან რეფორმისტები. თუ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია დამთავრებულია (როგორც ლარინი ამბობდა), მაშინ დღის წესრიგში დგება სოციალისტური რევოლუცია. ეს თავისთავად ცხადია, ეს აშკარაა ყველასთვის, ვინც თავს სოციალისტად თვლის არა მუშების მოსატყუებლად პოპულარული სახელწოდებით. მ ა შ ი ნ ჩვენ უნდა დავირაზმოთ ს წ ო რ ე დ (სოციალისტური) «რევოლუციისათვის», სწორედ მის «მოლოდინში», სწორედ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციის «იმედით» (არა ბუნდოვანი, არამედ მეცნიერების ზუსტ და მზარდ მონაცემებზე დამყარებული «იმედით»-რ წ მ ე ნ ი თ).

მაგრამ საქმეც ისაა, რომ რეფორმისტისათვის დამთავრებულ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე ყბედობა (როგორც მარტოვისთვის ყბედობა აქილევსის ტერფზე და სხვ.) ყ ო ვ ე ლ-

გვარი რევოლუციის უარყოფის სიტყვიერი საფარია მხოლოდ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ის უარყოფს იმ საბაბით, რომ იგი დამთავრებულიაო, — ან იმ საბაბით, რომ «საკმარისია» აღვიაროთ აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგურობაო, — ხოლო სოციალისტურ რევოლუციას ის უარყოფს იმ საბაბით, რომ ჩვენ «ჯერჯერობით» «მხოლოდ» უნდა შევკავშირდეთ «რუსეთის მომავალ კონსტიტუციურ განახლებაში» მონაწილეობის მისაღებადაო!

მაგრამ თუ თქვენ, სოციალისტური ფრთით შემოსილო პატივცემულო კადეტო, გარდუვალად აღიარებთ რუსეთის «მომავალ კონსტიტუციურ განახლებას», ცხადია, თავს იმათრახებთ, ვინაიდან ამით აღიარებთ, რომ ჩვენში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ დაუმთავრებელია. თქვენ კვლავ და კვლავ ააშკარავებთ თქვენს ბურჟუაზიულ ბუნებას, როცა ლაპარაკობთ «ფეოდალური რეაქციის» გარდუვალ «თვითამოწურვაზე» და ლაფში სვრით სახალხო რევოლუციური მოძრაობის გზით არა მარტო ფეოდალური რეაქციის, არამედ ფეოდალიზმის ყოველგვარი ნაშთების მოსპობის პროლეტარულ იდეას.

სტოლიპინური მუშათა პარტიის ამ გმირთა ლიბერალური ქადაგების მიუხედავად — რუსეთის პროლეტარიატი მთელ თავის მძიმე, ძნელ, ყოველდღიურ, წვრილმან, უჩინარ მუშაობას, რომელიც განუმზადა მას კონტრრევოლუციის ეპოქამ, ყოველთვის და ურყევად გამსჭვალავს დემოკრატიული რევოლუციისა და სოციალისტური რევოლუციისადმი ერთგულების სულისკვეთებით, იგი დაირაზმება და ძალღონეს მოიკრებს რევოლუციისათვის, დაუნდობელ წინააღმდეგობას გაუწევს მოღალატეებსა და რენეგატებს, იხელმძღვანელებს არა «ბუნდოვანი იმედით», არამედ რევოლუციის განმეორების მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით.

«სოციალ-დემოკრატი» № 23,
1911 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან

(ძლვნად ჩვენებურ «შემარიგებლებს» და «შემთანხმებლებს»)

ამხ. კ.-ის [84] კორესპონდენცია უდიდესი ყურადღების ღირსია ყველა იმათ მხრივ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პარტია. «გოლოსელთა» პოლიტიკის (და გოლოსელთა დიპლომატიის) უკეთესი მხილება, ჩვენებურ «შემარიგებელთა და შემთანხმებელთა» შეხედულებებისა და იმედების უკეთესი გაქარწყლება ძნელი წარმოსადგენია.

განსაკუთრებულია თუ არა ამხ. კ.-ის მიერ აწერილი შემთხვევა? არა, ეს სტოლიპინური მუშათა პარტიის მოღვაწეთა ტ ი პ ი უ რ ი შემთხვევაა, ვინაიდან ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ «ნაშა ზარიას», «დელო ჟიზნისა» და სხვათა მ თ ე ლ ი რ ი გ ი ლიტერატორები უ კ ვ ე რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ე ლ ი წ ა დ ი ა სისტემატურად ატარებენ ს წ ო რ ე დ ა მ ლიკვიდატორულ იდეებს. ეს ლიკვიდატორები ყოველთვის როდი ხვდებიან პარტიელ მუშებს, ძალიან იშვიათად ღებულობს პარტია მათი სამარცხვინო გამოსვლების ასეთ ზუსტ ცნობებს, რომლებისთვისაც ჩვენ ამხ. კ.-ის მადლობელი უნდა ვიყოთ, მაგრამ ლეგალისტ-დამოუკიდებელთა ჯ გ უ ფ ი მ უ დ ა მ დ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ სწორედ ასეთ ქადაგებას ეწევა. როცა «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ტიპის ჟურნალები არსებობენ, ამ ფაქტში დაეჭვება შეუძლებელია. ამ ფაქტის მიჩქმალვა ხელსაყრელია მხოლოდ ლიკვიდატორთა განსა-

კუთრებით მშიშარა და განსაკუთრებით უსინდისო დამცველებისთვის.

შეადარეთ ამ ფაქტს ის ხერხები, რომლებსაც ხმარობენ ტროცკის მსგავსი ადამიანები და გაჰყვირიან «შეთანხმებაზე» და ლიკვიდატორობისადმი მტრობაზე. ამ ხერხებს ყველა ძალიან კარგად იცნობს: რაც შეიძლება ხმამაღლა ყვირილი, ჩვენ «არც ბოლშევიკები ვართ და არც მენშევიკები, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ვართო», გულმოდგინედ ფიცი ღმერთსა და ხატზე, ჩვენ ლიკვიდატორობის მტრები ვართ და თავგამოდებით ვიცავთ არალეგალურ რსდმ პარტიასაო, უ ს ა ზ ღ ვ რ ო დ ლ ა ნ ძ ღ ვ ა ი მ ა თ ი, ვ ი ნ ც ა მ ხ ე ლ ს ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ს — ბ ა ტ ო ნ პ ო ტ რ ე ს ო ვ ს ა დ ა კ ო მ პ ა ნ ი ა ს, ანტილიკვიდატორების დარქმევა საკითხის «გამზვიადებლებად», კ რ ი ნ ტ ი ს ა რ დ ა ძ ვ რ ა გარკვეული ლიკვიდატორების — ბატონ პოტრესოვის, მარტოვის, ლევიცკის, დანის, ლარინისა და სხვათა წინააღმდეგ.

ამგვარ ხერხთა რეალური მნიშვნელობა აშკარაა. ფ რ ა ზ ი ს შემწეობით ჰფარავენ ნ ა მ დ ვ ი ლ ლიკვიდატორებს და ყოველნაირად ცდილობენ ხ ე ლ ი შ ე უ შ ა ლ ო ნ ანტილიკვიდატორების მუშაობას. სწორედ ამგვარ პოლიტიკას ატარებდა რსდმ პარტიის ისტორიაში თავისი უპრინციპობით ცნობილი «რაბოჩეე დელო» [85]: იგი ღმერთსა და ხატს ფიცულობდა, სულაც არა ვართ ეკონომისტები, სავსებით ვემხრობით პოლიტიკურ ბრძოლასაო, ნამდვილად კი ხ ე ლ ს ა ფ ა რ ე ბ დ ა «რაბოჩაია მისლსა» [86] და ეკონომისტებს, ებრძოდა მხოლოდ იმათ, ვინც ააშკარავებდა და უარყოფდა ეკონომისტებს.

აქედან ცხადია, რომ ტროცკი და მისი მსგავსი «ტროცკისტები და შემთანხმებლები» ყოველგვარ ლიკვიდატორზე მავნენი არიან, ვინაიდან დაჯერებული ლიკვიდატორები პირდაპირ გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, და მუშებისთვის ადვილია მათი მცდარობის გარკვევა, ხოლო ბატონი ტროცკები ა ტ ყ უ ე ბ ე ნ მუშებს, ჰ ფ ა რ ა ვ ე ნ ბოროტებას, შეუძლებელს ხდიან მის გამოაშკარავებას და მისგან გან-

კურნებას. ვინც ტროცკის პატარა ჯგუფს უჭერს მხარს, ის მხარს უჭერს სიცრუისა და მუშების მოტყუების პოლიტიკას, ლიკვიდატორობის დაფარვის პოლიტიკას. რუსეთში ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიისათვის მოქმედების სრული თავისუფლება, საზღვარგარეთ მათი საქმეების «რევოლუციური» ფრაზით დაფარვა — აი «ტროცკიზმის» პოლიტიკის არსი.

აქედან ცხადია, აგრეთვე, რომ ყოველგვარი «შეთანხმება» გოლოსელებთან და ამ შეთანხმებით რუსეთში ლიკვიდატორული ცენტრის, ე. ი. «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» მოღვაწეების საკითხის მიფუჩეჩება მხოლოდ მუშების იმავე მოტყუების, ბოროტების იმავე დაფარვის გაგრძელება იქნებოდა. გოლოსელებმა 1910 წ. იანვრის პლენუმიდან დაწყებული სავსებით დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ «ხელი მოაწერონ» ყოველგვარ რეზოლუციას და ამავე დროს არავითარი რეზოლუციებით «არ შეიზღუდონ» თავიანთი ლიკვიდატორული საქმიანობის «თავისუფლება». საზღვარგარეთ ხელს აწერენ რეზოლუციებს იმის შესახებ, რომ არალეგალური პარტიის მნიშვნელობის ყოველგვარი დამცირება წარმოადგენს პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებას, ხოლო რუსეთში ეხმარებიან ბატონ პოტრესოვებს, ლარინებს, ლევიცკებს, რომელნიც არათუ არ მონაწილეობენ არალეგალურ მუშაობაში, არამედ აბუჩად იგდებენ მას და არღვევენ არალეგალურ პარტიას.

ამჟამად ტროცკი ბ-ნ ლიბერის (— უკიდურესი ლიკვიდატორის, რომელიც რეფერატებზე საჯაროდ იცავდა ბ-ნ პოტრესოვს, ახლა კი, ამ ფაქტის მისაფუჩეჩებლად, კინკლაობასა და შუღლს აღვივებს) ტიპის ბუნდელებთან, შვარცის[87] ტიპის ლატვიელებთან და სხვებთან ერთად თხზავს სწორედ ამგვარ «შეთანხმებას» გოლოსელებთან. მაგრამ ნურავინ მოტყუვდება ამაში: მათი შეთანხმება იქნება შეთანხმება ლიკვიდატორთა დაფარვის შესახებ.

P. S. * ეს სტრიქონები უკვე აწყობილი იყო, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ცნობა გოლოსელების «შეთანხმებაზე» ტროცკისთან, ბუნდელთან და ლიკვიდატორ-ლატვიელთან. ჩვენი სიტყვები სავსებით დადასტურდა: ეს არის შეთანხმება რუსეთში ლიკვიდატორების დ ა ფ ა რ ვ ი ს შესახებ, შეთანხმება ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის დამქაშებისა.

«სოციალ-დემოკრატი» № 23,
1911 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

შენიშვნა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისაგან რსდმპ ც. კ.-ის პლენუმის მოამწვევი კომისიის განცხადების გამო[38]

ცენტრალური ორგანოს რედაქციამ უკვე დიდი ხანია, 1910 წლის დეკემბრიდან, გააფრთხილა პარტია — გოლოსელები პლენუმს შ ლ ი ა ნ ო *. ახლა ეს აშკარა ფაქტია: გოლოსელებმა ჩაშალეს ჯერ რუსეთისა და შემდეგ საზღვარგარეთის პლენუმი.

რუსეთის პლენუმი ჩაშალეს ბატონმა მიხეილმა, იურიმ და რომანმა. თავიანთი «ნიჭიერად დაწერილი უარყოფით» მათ მხოლოდ დაადასტურეს ის ფაქტი, რომ ისინი მიიწვიეს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, მიიწვიეს თუნდაც მხოლოდ კოოპტაციისათვის, მიიწვიეს არა ბოროტმა «ფრაქციულმა», «ლენინელმა» ბოლშევიკებმა, არამედ შ ე მ ა რ ი გ ე ბ ლ ე ბ მ ა, და მაინც ამ ვაჟბატონებმა უარი განაცხადეს. სწორედ მათმა უარმა ჩაშალა რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, რადგან პლენუმის წევრი ყ ვ ე ლ ა ბოლშევიკი-ცეკისტი, რომელნიც რუსეთში წავიდნენ (ხოლო წავიდა ყ ვ ე ლ ა პრაქტიკოსი), «იზოლირებულ» იქნენ, სანამ სრული შემადგენლობის მოწვევას მოასწრებდნენ ამ სამეულის უარისთქმის შემდეგ.

რამდენიც უნდა ილაყბონ, გვარწმუნონ და იფიცონ ახლა გოლოსელებმა, რამდენიც უნდა ეცადონ ლანძღვით, კინკლაობით, შანტაჟით მიჩქმალონ და გააუგვანონ საკითხი, ფაქტი

* იხ. ეს ტომი, გვ. 8 — 27. რ ე დ.

ფაქტად რჩება. ლეგალისტების მთავარ ბელადთა «საშეულმა», მიხეილმა + იურიმ + რომანმა, ბატონ პოტრესოვებისა და სტოლიპინური მუშათა პარტიის სხვა გმირთა უახლოესმა კოლეგებმა ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტი რუსეთში.

ახლა გოლოსელებმა საზღვარგარეთაც ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტი. მის მოწვევას ბოლშევიკები მოითხოვდნენ 1910 წ. დეკემბერში — ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდატორულმა საზღვარგარეთულმა ბიურომ უარი უთხრა და დაიმოწმა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო (დამოწმება ყალბი იყო, რადგან საზღვარგარეთის პლენუმი არ გამორიცხავდა რუსეთისას).

მეორედ, ჩავარდნის შემდეგ, ბოლშევიკებმა საზღვარგარეთის პლენუმის მოწვევა მოითხოვეს 1911 წლის აპრილ-მაისისათვის. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ მეორედაც უარი უთხრა და დაიმოწმა ის, რომ «რუსეთის ბიუროს» ნახევარი უვნებლადაა.

მას შემდეგ 4 — 5 თვე გავიდა, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ცრუ დამოწმება სავსებით მხილებულია: წლის მესამედის მანძილზე არც ერთი წერილი «ბიუროს» «ნახევრისგან», არც ერთი ნაბიჯის გადადგმა ამ ნახევრის მხრივ, სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი!! ლიბერებმა, იგორევებმა და შვარცებმა მოატყუეს პარტია: ისინი იმოწმებდნენ რუსეთში არარსებულ ბიუროს და უარს ამბობდნენ საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის მოწვევაზე. ხოლო ცეკისტების ივნისის თათბირმა დაამტკიცა, რომ ცენტრალური კომიტეტის ცხრა წევრი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ვისაც უნარი შესწევს ჩაფიქრებისა და თავს არ გამოაყრუებინებს ყვირილს, ლანძღვას, კინკლაობას, შანტაჟს, მას არ

შეუძლია არ დაინახოს, რომ გოლოსელებმა საბოლოოდ ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტი.

გოლოსელებმა ყველაფერი ჩაიდინეს, რაც კი შეეძლოთ, რათა მოესპოთ პარტია. პარტია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოსპოს გოლოსელები.

«სოციალ-დემოკრატი» № 23,
1911 წ. 14 (1) სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტოლიპინი და რევოლუცია

ობერ-ჩამომხრჩობ სტოლიპინის მოკვლა დაემთხვა იმ მომენტს, როდესაც მთელი რიგი ნიშნები ადასტურებენ რუსეთის კონტრრევოლუციის ისტორიის პირველი ხანის დამთავრებას. ამიტომ პირველი სექტემბრის, თავისთავად მეტად ნაკლებმნიშვნელოვანი, ამბავი კვლავ აყენებს ჩვენი კონტრრევოლუციის შინაარსისა და მნიშვნელობის ფრიად საყურადღებო საკითხს. იმ რეაქციონერთა ხმებში, რომელნიც ლაქიურად ადიდებენ სტოლიპინს ან ჩხირკედელობენ რუსეთის მბრძანებელ შავრაზმელთა ბრბოს ინტრიგების ისტორიაში, — იმ ლიბერალთა ხმებში, რომელნიც თავს აქნევენ «ველური და უგუნური» გასროლის გამო (რა თქმა უნდა, ლიბერალებს ეკუთვნიან «დელო ჟიზნის» ყოფილი სოციალ-დემოკრატებიც, რომელთაც იხმარეს ბრჭყალებში მოყვანილი გაცვეთილი გამოთქმა), აქა-იქ გაისმის მართლაც და სერიოზული პრინციპული შინაარსის კილო. ცდილობენ რუსეთის ისტორიის «სტოლიპინური პერიოდი» განიხილონ, როგორც ერთი მთლიანი რამ.

სტოლიპინი კონტრრევოლუციის მთავრობას მეთაურობდა დაახლოებით ხუთი წლის მანძილზე, 1906-დან 1911 წლამდე. ეს მართლაც თავისებური პერიოდია და მდიდარია საგულისხმო ამბებით. გარეგნულად იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც 1907 წ. 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების მომზადებისა და განხორციელების პერიოდი. სწორედ 1906 წ. ზაფხულში, როდესაც სტოლიპინი გამოვიდა I სათათბიროს წინაშე შინაგან საქმეთა მინისტრის როლში,

დაიწყო მზადება ამ გადატრიალებისა, რომელმაც ახლა უკვე გამოააშკარავა მთელი თავისი 'მედეგები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იბადება კითხვა: რა საზოგადოებრივ ძალებს ეყრდნობოდნენ ამ გადატრიალების მოღვაწენი ან რა ძალები წარმართავდნენ ამ მოღვაწეთ? როგორი იყო «სამი ივნისის» პერიოდის სოციალურ-ეკონომიური შინაარსი? — ამ საკითხზე საგულისხმო მასალას და საინტერესო ილუსტრაციებს იძლევა სტოლიპინის პირადი «კარიერა».

მემამულე და თავადაზნაურობის წინამძღოლი სტოლიპინი გუბერნატორი ხდება 1902 წელს, პლევეს დროს, — «სახელს იხვეჭს» მეფისა და მისი შავრაზმული კამარილიის თვალში გლეხებთან მხეცური ანგარის გასწორებით, მათი წამებით (სარატოვის გუბერნიაში), — იგი აწყობს შავრაზმულ ბანდებსა და დარბევებს 1905 წელს (ბალაშევის დარბევა), — შინაგან საქმეთა მინისტრი ხდება 1906 წელს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პირველი სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის დღიდან. ასეთია, სულ მოკლედ, სტოლიპინის პოლიტიკური ბიოგრაფია. და კონტრრევოლუციური მთავრობის მეთაურის ეს ბიოგრაფია ამავე დროს არის ბიოგრაფია იმ კლასისა, რომელმაც მოახდინა ჩვენი კონტრრევოლუცია, სტოლიპინი კი მხოლოდ მისი რწმუნებული თუ ნოქარი იყო. ეს კლასია რუსეთის კეთილშობილი თავადაზნაურობა, პირველი აზნაურისა და უდიდესი მემამულის ნიკოლოზ რომანოვის მეთაურობით. ეს კლასია ის ოცდაათი ათასი მებატონე-მიწათმფლობელი, რომელთა ხელშია ევროპული რუსეთის 70 მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. იმდენივე, რამდენიც აქვს ათ მილიონ კომლ გლეხს. მიწის ლატიფუნდიები ამ კლასის ხელში საფუძველია იმ ბატონყმური ექსპლოატაციისა, რომელიც სხვადასხვა სახით და სახელწოდებით (შრომამიგება, კაბალა და სხვ.) გამეფებულია რუსეთის ძველთაძველ რუსულ ცენტრში. რუსი გლეხის «მცირემიწიანობა» (თუ ვიხმართ ჩვეულებრივ ლიბერალურ და ნაროდ-

ნიკულ გამოთქმას) მხოლოდ უკუღმა მხარეა ამ კლასის მრავალმიწიანობისა. აგრარული საკითხი, რომელიც ჩვენი 1905 წლის რევოლუციის ცენტრში იდგა, ნიშნავდა იმას, შენარჩუნებული იქნებოდა მემამულური მიწათმფლობელობა — ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა დიდი ხნით შენარჩუნება გაღატაკებული, საცოდავი, მშიერი, დამცირებული და დაბეჩავებული გლეხობისა, როგორც მოსახლეობის მასისა, — თუ მოსახლეობის მასა მოიპოვებდა ცხოვრების რამდენადმე ადამიანურ, რამდენადმე ევროპულის მსგავს თავისუფალ პირობებს, — ეს კი განუხორციელებელი იქნებოდა, თუ რევოლუციური გზით არ მოისპობოდა მემამულური მიწათმფლობელობა და მასთან განუყრელად დაკავშირებული მემამულური მონარქია.

სტოლიპინის პოლიტიკური ბიოგრაფია ზედმიწევნით ასახავს და გამოხატავს მეფის მონარქიის ცხოვრების პირობებს. სტოლიპინს არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, ვიდრე ის იქცეოდა, იმ მდგომარეობაში, რომელშიც მონარქია აღმოჩნდა რევოლუციის დროს. მონარქიას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, როდესაც სრული სიცხადით გამოირკვა, და გამოირკვა გამოცდილებით, სათათბირომდეც, 1905 წელს, და სათათბიროს დროსაც, 1906 წელს, რომ მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ უკვე შეიგნო თავისი ინტერესების შეურიგებლობა მემამულეთა კლასის შენარჩუნებასთან და იგი მიისწრაფის ამ კლასის მოსპობისაკენ. უაღრესად ზერელე და ყალბია კადეტურ მწერალთა მტკიცება, თითქოს მონარქიაზე თავდასხმა ჩვენში «ინტელიგენტური» რევოლუციონარიზმის გამოხატულება ყოფილიყოს. პირიქით, ობიექტური პირობები ისეთი იყო, რომ გლეხების ბრძოლა მემამულურ მიწათმფლობელობასთან გარდუვალად აყენებდა ჩვენი მემამულური მონარქიის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ცარიზმს მოუხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოება, მოუხდა ძებნა თავდაცვის სხვა საშუალებებისა, გარდა სრულიად დაუძლურებული ბიუროკრატიისა და სამხედრო დამარცხებებით

და შინაური რღვევით დასუსტებული არმიისა. ასეთ მდგომარეობაში მეფის მონარქიას დარჩენოდა ერთადერთი გამოსავალი: მოსახლეობის შავრაზმული ელემენტების დარაზმვა და დარბევების მოწყობა. მაღალზნეობრივ აღშფოთებას, რასაც ჩვენი ლიბერალები გამოთქვამენ დარბევების გამო, არ შეუძლია არ მოახდინოს ყოველ რევოლუციონერზე რაღაც უაღრესად უბადრუკისა და ლაჩრულის შთაბეჭდილება, — განსაკუთრებით მაშინ, როცა დარბევის ეს მაღალზნეობრივი დაგმობა უერთდება დამრბევებთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების აზრის სრულ შესაძლებლობას. მონარქიას არ შეეძლო თავი არ დაეცვა რევოლუციისაგან, ხოლო რომანოვების ნახევრად აზიურ, ბატონყმურ, რ უ ს უ ლ მონარქიას არ შეეძლო თავის დაცვა სხვა გზით, თუ არ უაღრესად ბინძური, საზიზღარი, ფლიდი და სასტიკი საშუალებებით: არა მაღალზნეობრივი დაგმობა, არამედ რევოლუციის ყოველმხრივი და თავდადებული ხელისშეწყობა, რევოლუციის მოწყობა ასეთი მონარქიის დ ა ს ა მ ხ ო ბ ა დ — აი დარბევებთან ბრძოლის ერთადერთი ღირსეული, ერთადერთი გონივრული ხერხი ყოველი სოციალისტისა და ყოველი დემოკრატისათვის.

დამრბევი სტოლიპინი მოემზადა მინისტრის თანამდებობისათვის სწორედ ისე, როგორც კი შეეძლოთ მეფის გუბერნატორებს მომზადებულიყვნენ: გლეხების ტანჯვა-წამებით, დარბევათა მოწყობით, ამ აზიური «პრაქტიკის» მიჩქმალვით — «ევროპულს» მიმსგავსებული ელვარებითა და ფრაზით, პოზითა და ჟესტებით.

და ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადები, რომელნიც მაღალზნეობრივად ჰგმობენ დარბევებს, მოლაპარაკებას მართავდნენ დამრბევებთან, აღიარებდნენ არა მარტო მათს არსებობის უფლებას, არამედ მათს ჰეგემონიასაც ახალი რუსეთის მოწყობისა და მისი მართვა-გამგეობის საქმეში! სტოლიპინის მოკვლამ გამოიწვია მთელი რიგი საინტერესო მხილებანი და აღსარებანი, რომელნიც ამ საკითხს ეხებიან. აი, მაგალითად, ვიტეს და გუჩკოვის წერილები პირველის მო-

ლაპარაკებაზე «საზოგადო მოღვაწეებთან» (იგულისხმე: ზომიერ-ლიბერალური მონარქისტული ბურჟუაზიის ბელადებთან) 1905 წ. 17 ოქტომბრის შემდეგ სამინისტროს შედგენის შესახებ. ვიტეს მოლაპარაკებაში, — ეს მოლაპარაკება, ეტყობა, დიდხანს გრძელდებოდა, ვინაიდან გუჩკოვი წერს «გაჭიანურებული მოლაპარაკების გულისგამწვრილებელი დღეების» შესახებ, — მონაწილეობას იღებდნენ შიპოვი, ტრუბეცკოი, ურუსოვი, მ. სტახოვიჩი, ე. ი. როგორც კადეტთა, ისე «მშვიდობიან განმაახლებელთა» და ოქტიაბრისტთა პარტიების მომავალი მოღვაწენი. ვერ შეთანხმდნენ, თურმე, დურნოვოს გამო: მას «ლიბერალები» არ იწყნარებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის როლში, ხოლო ვიტე ულტიმატურად იცავდა მას. ამასთან ურუსოვი, I სათათბიროს კადეტთა მნათობი, «დურნოვოს კანდიდატურის მხურვალე დამცველად» გამოსულა. როდესაც თავად ობოლენსკის სტოლიპინის კანდიდატურა წამოუყენებია, «ზოგს დაუდასტურებია, ზოგს განუცხადებია — არ ვიცნობთო». «კარგად მახსოვს, — წერს გუჩკოვი, — უარყოფითი შეფასება, რაზედაც გრ. ვიტე წერს, არავის მოუციაო».

ახლა კადეტური პრესა, რომელიც მოწადინებულია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნოს თავისი «დემოკრატიზმი» (ხუმრობა ხომ არ არის!), შეიძლება, პეტერბურგის პირველ კურიაში არჩევნების გამო, სადაც კადეტი ებრძოდა ოქტიაბრისტს, ცდილობს დაგესლოს გუჩკოვი მაშინდელი მოლაპარაკების გახსენებით. «რა ხშირად ხდებოდნენ ბატონი ოქტიაბრისტები გუჩკოვის მეთაურობით, — წერს — «რეჩი» 28 სექტემბერს, — უფროსების გულის მოსაგებად ბ-ნ დურნოვოს თანამოაზრეთა კოლეგები! უფროსთა თვალებში შემყურენი, რა ხშირად აქცევდნენ ისინი ზურგს საზოგადოებრივ აზრს!» იმავე თარიღის «რუსსკიე ვედომოსტის» მოწინავე სტატია სხვადასხვა ჰანგზე იმეორებს იმავე კადეტურ საყვედურს ოქტიაბრისტების მიმართ.

მაგრამ, მოითმინეთ, ბატონო კადეტებო: თქვენ რაღა უფლება გაქვთ უსაყვედუროთ ოქტიაბრისტებს, თუ იმავე

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ თ ქ ვ ე ნ ი წარმომადგენლებიც და დურნოვოსაც კი იცავდნენ? განა ურუსოვს გარდა ყ ვ ე ლ ა კადეტი არ იყო მაშინ, 1905 წლის ნოემბერში, იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომელნიც «უფროსებს შეჰყურებდნენ თვალებში» და «ზურგს აქცევდნენ საზოგადოებრივ აზრს»? ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო; პრინციპული ბრძოლა კი არა, არამედ ერთნაირად უპრინციპო პარტიების კონკურენცია — აი რა უ ნ დ ა ვთქვათ ოქტიაბრისტებისადმი კადეტების ახლანდელი საყვედურების გამო 1905 წლის დამლევის «მოლაპარაკებასთან» დაკავშირებით. ამგვარი კინკლაობა მხოლოდ აფუჩეჩებს მართლა მნიშვნელოვან, ისტორიულად უდავო ფაქტს, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის ყ ვ ე ლ ა სახეობა, ოქტიაბრისტებით დაწყებული კადეტებამდე, «მ თ ა ვ რ ო ბ ა ს შ ე ჰ ყ უ რ ე ბ დ ნ ე ნ თ ვ ა ლ ებ შ ი» და «ზურგს» აქცევდნენ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს მას შემდეგ, რაც ჩვენმა რევოლუციამ ნამდვილი სახალხო ხასიათი მიიღო, ე. ი. დემოკრატიული გახდა მის აქტიურ მონაწილეთა შემადგენლობით. რუსეთის კონტრრევოლუციის სტოლიპინური პერიოდი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ზურგს აქცევდა დემოკრატიას, რომ ამიტომ სტოლიპინს შ ე ე ძ ლ ო დახმარებისთვის, თანაგრძნობისთვის, რჩევისთვის მ ი ე-მ ა რ თ ნ ა ამ ბურჟუაზიის ხან ერთი და ხან მეორე წარმომადგენლისათვის. ასეთი მდგომარეობა რომ არ ყოფილიყო, სტოლიპინი ვერ განახორციელებდა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს ჰეგემონიას კონტრრევოლუციურად განწყობილ ბურჟუაზიაზე ამ ბურჟუაზიის დახმარების, თანაგრძნობის, აქტიური თუ პასიური მხარის დაჭერის პირობებში.

საქმის ეს მხარე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან სწორედ მას ივიწყებს — ან განზრახ უგულებელყოფს — ჩვენი ლიბერალური პრესა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ისეთი ორგანოები, როგორიცაა «დელო ჟიზნი». სტოლიპინი მარტო მებატონე-მემამულეების დიქტატუ-

რის წარმომადგენელი როდია; ამგვარი დახასიათებით დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ სრულიად ვერ გაიგო «სტოლიპინური პერიოდის» თავისებურება და მნიშვნელობა. სტოლიპინი მინისტრია ისეთი ეპოქისა, როდესაც მთელ ლიბერალურ ბურჟუაზიაში, კადეტური ბურჟუაზიის ჩათვლით, ბატონობდა კონტრრევოლუციური სულისკვეთება, როდესაც მებატონეთ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ და კიდევაც ეყრდნობოდნენ ასეთ სულისკვეთებას, შეეძლოთ (ხელი და გული) «შეეთავაზებინათ» და კიდევაც შესთავაზეს ამ ბურჟუაზიის ბელადებს, შეეძლოთ ასეთ ბელადთა ყველაზე «მემარცხენე» წარმომადგენლები «მისი უდიდებულესობის ოპოზიციადაც» კი დაესახათ, შეეძლოთ დაემოწმებინათ და კიდევაც იმოწმებდნენ ლიბერალიზმის იდეური ბელადების შებრუნებას მათკენ, რეაქციისაკენ, დემოკრატიასთან ბრძოლისა და დემოკრატიის შელანძღვისაკენ. სტოლიპინი მინისტრია ისეთი ეპოქისა, როდესაც მებატონე-მემამულენი მთელი ძალღონით, მეტად აჩქარებული ტემპით აწარმოებდნენ ბურჟუაზიულ პოლიტიკას გლეხის აგრარული ყოფის მიმართ, გამოეთხოვნენ გლეხის «პატრიარქალობის» ყოველგვარ რომანტიკულ ილუზიებსა და იმედებს, ეძებდნენ მოკავშირეებს საერთოდ რუსეთის და კერძოდ სოფლური რუსეთის ახალ, ბურჟუაზიულ ელემენტებში. სტოლიპინი ცდილობდა ძველ ტიკებში ახალი ღვინო ჩაესხა, ძველი თვითმპყრობელობა ბურჟუაზიულ მონარქიად გადაეკეთებინა, — და სტოლიპინის პოლიტიკის კრახი — ეს არის ცარიზმის კრახი ამ უკანასკნელ, ცარიზმისთვის უკანასკნელ შესაძლებელ გზაზე. ალექსანდრე III-ის მემამულური მონარქია ცდილობდა დაყრდნობოდა «პატრიარქალურ» სოფელს და საერთოდ რუსეთის ცხოვრების «პატრიარქალობას»; რევოლუციამ საბოლოოდ დაამსხვრია ასეთი პოლიტიკა. ნიკოლოზ II-ის მემამულური მონარქია რევოლუციის შემდეგ ცდილობდა დაყრდნობოდა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ სულისკვეთებას და ბურჟუაზიულ აგრარულ პოლიტიკას, რომელსაც იგივე მემამულენი ატარებდნენ;

ამ ცდების კრახი, რაც ახლა ეჭვს გარეშეა კადეტებისთვისაც კი, ოქტიაბრისტებისთვისაც კი, — ეს არის კრახი ცარიზმის უკანასკნელი შესაძლებელი პოლიტიკისა.

მეგატონე-მემამულის დიქტატურა სტოლიპინის დროს არ იყო მიმართული მთელი ხალხის წინააღმდეგ, მთელი «მესამე წოდების», მთელი ბურჟუაზიის ჩათვლით. არა, ეს დიქტატურა ჩაყენებული იყო მისთვის საუკეთესო პირობებში, როდესაც ოქტიაბრისტული ბურჟუაზია ემსახურებოდა მას სინდისის კარნახით და არა შიშით; როდესაც მემამულეებსა და ბურჟუაზიას ჰქონდათ წარმომადგენლობითი დაწესებულება, სადაც მათს ბლოკს უზრუნველყოფილი ჰქონდა უმრავლესობა, და შექმნილი იყო შესაძლებლობა ტახტთან მოლაპარაკებისა და შეთანხმებისა; როდესაც ბატონი სტრუვეები და სხვა ვეხელები ისტერიკულად იჭაჭებოდნენ, ლაფს ასხამდნენ რევოლუციას და ანტონ ვოლინსკის გულის გასახარებელ იდეოლოგიას ჰქმნიდნენ; როდესაც ბ-ნი მილიუკოვი კადეტურ ოპოზიციას «მისი უდიდებულესობის» (მისი უდიდებულესობის მეგატონე ნაბოლარას) «ოპოზიციად» აცხადებდა. და მაინც, მიუხედავად ბატონ რომანოვებისათვის ამ უფრო ხელსაყრელი პირობებისა, მიუხედავად ამ უაღრესად ხელსაყრელი პირობებისა, როგორიც კი წარმოსადგენია XX საუკუნის კაპიტალისტური რუსეთის საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა, სტოლიპინის პოლიტიკა დამარცხდა; სტოლიპინი მოკლეს მაშინ, როდესაც კარს აკაკუნებს მეფის თვითმპყრობელობის ახალი მესაფლავე — უფრო სწორად, ახალი ძალების შემომკრები მესაფლავე.

* * *

სტოლიპინის დამოკიდებულებას ბურჟუაზიის ბელადებისადმი, და პირიქით, განსაკუთრებით რელიეფურად ახასიათებს I სათათბიროს ეპოქა. «1906 წლის მაისიდან ივლისამდე განვლილი პერიოდი, — წერს «რეჩი», — გადამწყვეტი

იყო სტოლიპინის კარიერისა». რაში მდგომარეობდა ამ დროის სიმძიმის ცენტრი?

«იმ დროის სიმძიმის ცენტრი — აცხადებს კადეტური პარტიის ოფიციალური ორგანო — რა თქმა უნდა, სათათბიროს გამოსვლებში არ მდგომარეობდა».

ეს ხომ ჭეშმარიტად საგულისხმო აღსარებაა! იმ დროს რამდენი შუბი გადატეხილა კადეტებთან ბრძოლაში იმ საკითხის გამო, შეიძლება თუ არა იმ ეპოქის «სიმძიმის ცენტრის» დანახვა «სათათბიროს გამოსვლებში»! რამდენი გახელებული ლანძღვა-გინება, რამდენი ქედმაღლური დოქტრინიორული ჭკუისსწავლება იყო მაშინ კადეტურ პრესაში სოციალ-დემოკრატების მიმართ, რომელნიც 1906 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ამტკიცებდნენ, იმ დროის სიმძიმის ცენტრი სათათბიროს გამოსვლებში ა რ მდგომარეობსო! რამდენს უსაყვედურებდნენ მაშინ მთელ რუს «საზოგადოებას» «რეჩი» და «დუმა» იმისათვის, რომ საზოგადოება «კონვენტზე» ოცნებობს და საკმარისად აღტაცებული არ არის კადეტების გამარჯვებით პირველი სათათბიროს «პარლამენტურ» ასპარეზზეო! განვლო ხუთმა წელმა, საჭირო ხდება საერთო შეფასება მივცეთ პირველი სათათბიროს ეპოქას, და კადეტები, თითქოს ხელთათმანებს იცვლიანო, ისე ოლად აცხადებენ: «იმ დროის სიმძიმის ცენტრი, რა თქმა უნდა, სათათბიროს გამოსვლებში არ მდგომარეობდაო».

რა თქმა უნდა, არა, ბატონებო! მაშ, სად იყო სიმძიმის ცენტრი?

...«კულისებში, — ვკითხულობთ «რეჩში», — გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა ორი მიმდინარეობის წარმომადგენელთა შორის. ერთი იცავდა შეთანხმებას სახალხო წარმომადგენლობასთან და «კადეტური სამინისტროს» შედგენაზედაც არ ამბობდა უარს. მეორე მოითხოვდა მკაცრი ნაბიჯის გადადგმას, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას და საარჩევნო კანონის შეცვლას. ასეთ პროგრამას ატარებდა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო, რომელიც უძლიერეს გავლენებს ეყრდნობოდა»... «სტოლიპინი ერთხანს ყოყმა-

ნობდა. არის ცნობა, რომ მან კრიჟანოვსკის საშუალებით ორჯერ მისცა წინადადება მურომცევს განეხილათ კადეტური სამინისტროს შესაძლებლობა, იმ პირობით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად სტოლიპინი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამავე დროს სტოლიპინს, უეჭველია, ურთიერთობა ჰქონდა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოსთან».

ასე სწერენ ისტორიას ბატონი განათლებული, სწავლული, ნაკითხი ბელადები ლიბერალებისა! გამოდის, რომ «სიმძიმის ცენტრი» იყო ა რ ა გამოსვლებში, ა რ ა მ ე დ ორი მიმდინარეობის ბრძოლაში მეფის შავრაზმული კამარილიის შიგნით! ერთბაშად და გადაუდებლად «შეტევის» პოლიტიკას აწარმოებდა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო. — ე. ი. არა პიროვნებანი, არა ნიკოლოზ რომანოვი, არა «ერთი მიმდინარეობა» «ს ფ ე რ ო ებ შ ი», არამედ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი კ ლ ა ს ი. თავის მეტოქეებს მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ კადეტები ნათლად და ფხიზლად ხედავენ. მაგრამ რაც კადეტების მ ა რ ცხ ნ ი ვ იყო, ის გაჰქრა მათი მხედველობის არედან. ისტორიას ქმნიდნენ «სფეროები», გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო და კადეტები, — უბრალო ხალხი, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, ისტორიის შექმნაში მონაწილეობას არ იღებდა! განსაზღვრულ კლასს (თავადაზნაურობას) უპირისპირდებოდა «სახალხო თავისუფლების» ზეკლასობრივი პარტია, ხოლო სფეროები (ე. ი. მამა-მეფე) ყოყმანობდნენ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო ანგარებიანი კლასობრივი სიბეცე? ისტორიის ამაზე მეტი დამახინჯება და ისტორიული მეცნიერების საანბანო ჭეშმარიტებათა ამაზე მეტად დავიწყება? ამაზე უფრო საცოდავი დაბნეულობა, კლასის, პარტიისა და პიროვნებების აღრევა?

ყოველნაირ ბრმაზე უარესია ის, ვისაც ა რ ა ს უ რ ს დაინახოს დემოკრატია და მისი ძალები.

პირველი სათათბიროს ეპოქის სიმძიმის ცენტრი, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, სათათბიროს გამოსვლებში არ მდგომარეობდა. ის მდგომარეობდა კლასთა ბრძოლაში, სათათბიროს გარეთ, მემამულე-მებატონეებისა და მ ა თ ი მონარქიის ბრძო-

ლაში ხალხის მასის, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მასების რევოლუციურმა მოძრაობამ სწორედ ამ დროს დაიწყო ისევ აზვირთება: საერთოდ გაფიცვებიც, პოლიტიკური გაფიცვებიც, გლეხთა მღელვარებაც, სამხედრო ამბოხებანიც მრისხანედ აზვირთდა 1906 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. აი, ბატონო კადეტო ისტორიკოსებო, რატომ ყოყმანობდნენ «სფეროები»: მიმდინარეობათა ბრძოლა მეფის ხროვის შიგნით იმის გამო წარმოებდა, ერთბაშად მოვახდინოთ სახელმწიფო გადატრიალება რევოლუციის ახლანდელი ძლიერების დროს, თუ კიდევ დავიცადოთ, კიდევ გავაბრიყვოთ ბურჟუაზიაო.

პირველმა სათათბირომ მემამულენი (რომანოვი, სტოლიპინი და კომპ.) სავსებით დაარწმუნა იმაში, რომ მათი მშვიდობიანად ყოფნა გლეხობის მასასა და მუშებთან შეუძლებელია. და მათი ეს რწმენა შეესაბამებოდა ობიექტურ სინამდვილეს. გადასაწყვეტი რჩებოდა მეორეხარისხოვანი საკითხი: როდის და როგორ, ერთბაშად თუ თანდათან შეეცვალათ საარჩევნო კანონი. ბურჟუაზია ყოყმანობდა, მაგრამ მთელი მისი მოქმედება — კადეტური ბურჟუაზიისაც კი — ცხადყოფდა, რომ მას ასწილ უფრო ეშინია რევოლუციისა, ვიდრე რეაქციისა. ამიტომ იყო, რომ მემამულენი ლამობდნენ მიეხმოთ თათბირებზე ბურჟუაზიის ბელადები (მურომცევი, გეიდენი, გუჩკოვი და კომპ.), იქნებ ერთად შევადგინოთ სამინისტროო. და მთელი ბურჟუაზიაც, კადეტების გამოუკლებლივ, მიდიოდა სათათბიროდ მეფესთან, დამრბევებთან, შავი რაზმის ბელადებთან, თუ რა საშუალებებით ებრძოლნათ რევოლუციის წინააღმდეგ, — მაგრამ 1905 წლის დასასრულიდან ბურჟუაზიას არასდროს არც ერთი თავისი პარტია არ გაუგზავნია სათათბიროდ რევოლუციის ბელადებთან იმის შესახებ, თუ როგორ დაემხოთ თვითმპყრობელობა და მონარქია.

აი რუსეთის ისტორიის «სტოლიპინური» პერიოდის ძირითადი გაკვეთილი. ცარიზმი ბურჟუაზიას სათათბიროდ იწვევდა, როდესაც რევოლუცია ჯერ კიდევ ძალად მიაჩნდა, — და

თანდათან იშორებდა თავიდან სალდათის ჩექმის პანღურით ბურჟუაზიის ყ ვ ე ლ ა ბელადს, ჯერ მურომცევსა და მილიუკოვს, შემდეგ გეიდენსა და ლვოვს, ბოლოს, გუჩკოვს, როდესაც რევოლუცია აღარ ახდენდა ზეგავლენას ქვევიდან. განსხვავება მილიუკოვებსა, ლვოვებსა და გუჩკოვებს შორის სრულიად არ არის არსებითი — ეს არის საკითხი რიგისა, როცა ბურჟუაზიის ეს ბელადები... «საკოცნელად» უშვერდნენ ლოყას რომანოვ-პურიშკევიჩ-სტოლიპინს და ღებულობდნენ ასეთ... «კოცნას».

სტოლიპინი ასპარეზს ჩამოსცილდა სწორედ მაშინ, როცა შავრაზმულმა მონარქიამ წაიღო ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა მის სასარგებლოდ მთელი რუსეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური სულისკვეთებისაგან. ახლა ეს ბურჟუაზია, რომელიც უკუგდებულია, თავლაფდასხმულია, როცა მან თავი წაიბილწა დემოკრატიის, მასების ბრძოლის, რევოლუციის უარყოფით, — დაბნეული და გაცბუნებული დგას ახალი რევოლუციის აზვირთების სიმპტომების წინაშე. სტოლიპინმა რუს ხალხს კარგი გაკვეთილი მისცა: თავისუფლება მოიპოვოს მეფის მონარქიის დამხობის გზით, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, თუ — დაემონოს პურიშკევიჩებს, მარკოვებს, ტოლმაჩოვებს, მილიუკოვებისა და გუჩკოვების იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობით.

«სოციალ-დემოკრატი» № 24,
1911 წ. 18 (31) ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ᲨᲔᲛᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲜᲣ ᲡᲐᲗᲜᲝᲚᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის «საინფორმაციო ბიულეტენი»[89] (№ 1, 1911 წ. 11 აგვისტო) და თითქმის იმავე დროს პარიზშივე გამოცემული ფურცელი «რსდმპ ყველა წევრს», რომელსაც ხელს აწერს «ბოლშევიკ-პარტიელთა ჯგუფი», წარმოადგენენ შინაარსით ერთნაირ გამოსვლებს «ოფიციალური ბოლშევიზმის» ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, «ბოლშევიკ-ლენინელების» წინააღმდეგ. ეს გამოსვლები ძალიან მრისხანეა, — მათში მეტი მრისხანე წამოძახილები და დეკლამაციაა, ვიდრე შინაარსი, — მაგრამ მათზე მაინც საჭიროა შევჩერდეთ, ვინაიდან ის ეხება ჩვენი პარტიის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ჩემთვისაც მით უფრო ბუნებრივია შევუდგე ახალი ფრაქციის შეფასებას, რომ მე, ჯერ-ერთი, სწორედ იმავე საკითხებზე და სწორედ ყ ვ ე ლ ა ბოლშევიკის სახელით ვწერდი ს რ უ ლ ი წ ე ლ ი წ ა დ ნ ა ხ ე ვ რ ი ს წინათ (იხ. «დისკუსსიონნი ლისტოკ» № 2 *), ხოლო, მეორეც, საკუთრივ ვგრძნობ პასუხისმგებლობას «ოფიციალური ბოლშევიზმისათვის». რაც შეეხება გამოთქმას «ლენინელები», იგი დაგესვლის უხეირო ცდაა — ვითომდა მხოლოდ ე რ თ ი პირის მომხრეებზე იყოს აქ ლაპარაკი! — ნამდვილად კი ყველამ კარგად იცის, რომ საქმე სუ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323. რ ე დ.

ლაც არ ეხება ბოლშევიზმის ამა თუ იმ მხარეზე პირადად ჩემი შეხედულებების გამზიარებლებს.

ფურცლის ავტორები, ხელს აწერენ რა «პარტიული ბოლშევიკებიო», თავიანთ თავს უწოდებენ აგრეთვე «არაფრაქციულ ბოლშევიკებს» და განმარტავენ, რომ «აქ» (ე. ი. პარიზში) ჩვენ «საკმაოდ შეუფერებლად» შემარიგებლებს გვიწოდებენო. ნამდვილად კი სწორედ ასეთი სახელწოდება, რაც უკვე 1¼ წელიწადია დამკვიდრდა, — და არა მარტო პარიზში, არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ რუსეთშიც, — ერთადერთი სახელწოდებაა, რომელიც სწორად გვიჩვენებს ახალი ფრაქციის პოლიტიკურ დედაარსს, როგორც ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს.

შემარიგებლობა ჯამია იმ სულისკვეთებათა, მისწრაფებათა და შეხედულებათა, რომლებიც გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ დაკავშირებულია 1908 — 1911 წლების კონტრრევოლუციის ხანაში რსდმ პარტიის წინაშე დასმული ისტორიული ამოცანის თვით დ ე დ ა ა რ ს თ ა ნ. ამიტომ სულ სხვადასხვა წანამძღვარზე დაყრდნობილი მთელი რიგი სოციალ-დემოკრატები ამ პერიოდის მანძილზე «ვარდებოდნენ» შემარიგებლობაში. შემარიგებლობა ყველაზე თანამიმდევრად გამოხატა ტროცკიმ, რომელიც თითქმის მარტოდმარტო ცდილობდა თეორიული საძირკველი ჩაეყარა ამ მიმართულებისთვის. ეს საძირკველი ასეთია: ფრაქციები და ფრაქციულობა — ეს იყო ინტელიგენციის ბრძოლა «მოუმწიფებელ პროლეტარიატზე გავლენის მოსაპოვებლად». პროლეტარიატი მწიფდება და ფრაქციულობაც თავისთავად იღუპება. ფრაქციათა შედუღების პროცესს საფუძვლად უდევს არა კლასთა ურთიერთობის ცვლილება, არა ორი მთავარი ფრაქციის ძირითად იდეათა ევოლუცია, არამედ ის გარემოება, თუ რამდენად სრულდება ან არ სრულდება ყ ვ ე ლ ა «ინტელიგენტური» ფრაქციის შეთანხმებანი. და ტროცკიც უკვე დიდი ხანია დაჟინებით ქადაგებს ასეთ შეთანხმებას (ან კომპრომისს) ყ ვ ე ლ ა და ყოველგვარ ფრაქციებს შორის, ამასთან ის ხან უფრო ბოლშევიკებისაკენ იხრება, — ხან უფრო — მენშევიკებისაკენ.

ამის საწინააღმდეგო შეხედულება (იხ. «დისკუსსიონნი ლისტოკის» №№ 2 და 3 *) იმაში მდგომარეობს, რომ ფრაქციები წარმოშვა კლასთა ურთიერთობამ რუსეთის რევოლუციაში. ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა მხოლოდ ჩამოაყალიბეს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც დააყენა პროლეტარიატის წინაშე 1905 — 1907 წლების ობიექტურმა სინამდვილემ. ამიტომ მხოლოდ შინაგან ევოლუციას ა მ ფრაქციებისას «ძლიერი» ფრაქციებისას, ძლიერისა თავისი ფესვების სიღრმით, ძლიერისა ობიექტური სინამდვილის განსაზღვრულ მხარეებთან მათი იდეების შესაბამისობით, — სწორედ ამ ფრაქციების მხოლოდ და მხოლოდ შინაგან ევოლუციას შეუძლია უზრუნველყოს ფრაქციების რ ე ა ლ უ რ ი შედუღება, ე. ი. პროლეტარული, მარქსისტული სოციალიზმის მართლაც სავსებით ერთიანი პარტიის შექმნა რუსეთში. აქედან პრაქტიკული დასკვნა: მხოლოდ ამ ორი ძლიერი ფრაქციის დაახლოება მუშაობაში, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი იწმინდებიან ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის არასოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათაგან, — არის პოლიტიკა ნამდვილად პარტიული, ნამდვილად ერთიანობის განმახორციელებელი — არა იოლად, არა დაუბრკოლებლივ, სრულიადაც არა სწრაფად, მაგრამ რეალურად, წინააღმდეგ მრავალი თაღლითური დაპირებისა «ყველა» ფრაქციის იოლად, დაუბრკოლებლივ, სწრაფად შეერთების შესახებ.

ეს ორი შეხედულება გამოისახა ჯერ კიდევ პლენუმამდე, როდესაც საუბარში წამოვაყენე ლოზუნგი: «ორი ძლიერი ფრაქციის დაახლოება და არა წუწუნი ფრაქციების დაშლის შესახებ», — რაც პლენუმის შემდეგ მაშინვე აუწყა საზოგადოებას «გოლოს სოციალ-დემოკრატამ». ეს ორი შეხედულება მე პირდაპირ, გარკვევით და სისტემატურად განვმარტე 1 9 1 0 წ ლ ი ს მ ა ი ს შ ი, ე. ი. 1½ წლის წინათ,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 260 — 263, 486 — 488. რ ე დ.

და ისიც «საერთო-პარტიულ» ასპარეზზე «დისკუსსიონნი ლისტოკში» (№ 2). თუ «შემარიგებლებმა», რომელთაც ვეკამათებოდით ამ თემებზე 1909 წლის ნოემბრიდან, აქამდე ერთხელაც ვერ მოახერხეს ეპასუხნათ ამ სტატიაზე, საერთოდ ერთხელაც არ სცადეს განეხილათ ეს საკითხი რამდენადმე სისტემატურად, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებანი რამდენადმე აშკარად და მთლიანად, — ამაში ერთიანად მათ მიუძღვით ბრალი. ისინი თავიანთ ფრაქციულ გამოსვლას ფურცელში განსაკუთრებული ჯგუფის სახელით «საჯარო პასუხს» უწოდებენ: ეს საჯარო პასუხი იმ ადამიანებისა, რომელნიც წელიწადზე მეტია სდუმდნენ, არ არის პასუხი იმ კითხვაზე, თუ რამდენი ხანია, რაც იგი აღძრულია, რამდენი ხანია, რაც განხილულია, რამდენი ხანია, რაც გადაწყვეტილია ორი პრინციპულად სხვადასხვა მიმართულებით, არამედ ეს არის ყოვლად უნუგეშო დომხალი, ყოვლად წარმოუდგენელი არევა ორი შეურიგებელი პასუხისა. ფურცლის ავტორებს არ წამოუყენებიათ არც ერთი დებულება, რომელიც იქვე არ გაებათილებინოთ. არ წამოუყენებიათ არც ერთი დებულება, რომლის შესახებაც ვითომდა ბოლშევიკებს (ნამდვილად კი არა თანამიმდევარ ტროცკისტებს) ტროცკის შეცდომები არ გაემეორებინოთ.

მართლაცდა, ჩაუკვირდით ფურცლის ძირითად აზრებს.

ვინ არიან მისი ავტორები? მათი თქმით, ესენი არიან ის ბოლშევიკები, რომლებიც «არ იზიარებენ ოფიციალური ბოლშევიზმის ორგანიზაციულ შეხედულებებს». თითქოს «ოპოზიცია» მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხშია, არა? წაიკითხეთ შემდეგი ფრაზა: «...სწორედ ორგანიზაციული საკითხები, პარტიის მშენებლობისა და აღდგენის საკითხები, წინა რიგში დგება ახლა, ისევე როგორც $1^1/_2$ წლის წინათ». ეს სრულიად არ არის სწორი, ეს ტროცკის სწორედ ის პრინციპული შეცდომაა, რომელიც მე ვამხილე $1^1/_2$ წლის წინათ. პლენუმზე ორგანიზაციული საკითხი შეიძლება მოსჩვენებოდათ პირველხარისხოვან საკითხად მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ყველა მიმდინარეობის მიერ ხე-

ლ ი ს ა ღ ე ბ ა ს ლიკვიდატორობაზე რეალობად თვლიდნენ იმის გამო, რომ გოლოსელებმაც და ვპერიოდელებმაც «ხელი მოაწერეს», პარტიის «სანუგეშებლად», რეზოლუციებს ლიკვიდატორობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ოტზოვიზმის წინააღმდეგ. ტროცკის შეცდომაც სწორედ ის იყო, რომ ის ამ მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ო ბ ა ს კვლავ რეალობად ასაღებდა მას შ ე მ დ ე გ, რაც «ნაშა ზარიამ» 1910 წ. თებერვლიდან საბოლოოდ ააფრიალა ლიკვიდატორობის დროშა, ხოლო ვპერიოდელებმა თავიანთ ყბადაღებულ N-ის სკოლაში[90] — ოტზოვიზმის დაცვის დროშა. პლენუმზე მოჩვენებითობის მიღება რეალობად შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა თავისმოტყუების შედეგი ყოფილიყო. პლენუმის შემდეგ, 1910 წ. გაზაფხულიდან, ტროცკი ყოვლად უპრინციპოდ და უსინდისოდ ა ტ ყ უ ე ბ დ ა მუშებს, როცა არწმუნებდა, რომ გაერთიანების დაბრკოლებანი უმთავრესად (თუ მარტო არა) ორგანიზაციული ხასიათისაა. ამ მოტყუებას განაგრძობენ 1911 წელს პარიზელი შემარიგებლები, ვინაიდან ახლა იმის ლაპარაკი, თითქოს პირველ რიგში ორგანიზაციული საკითხები იდგეს, ჭეშმარიტების აბუჩად აგდებაა. ნამდვილად ახლა პირველ რიგში დგას არა ორგანიზაციული საკითხი, არამედ პარტიის მთელი პროგრამის, მთელი ტაქტიკის, მთელი ხასიათის საკითხი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ო რ ი პარტიის, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მუშათა პარტიის, და ბატონ პოტრესოვების, სმირნოვების, ლარინების, ლევიცკებისა და კომპანიის ს ტ ო ლ ი პ ი ნ უ რ ი მუშათა პარტიის საკითხი. პარიზელ შემარიგებლებს თითქოს გამოპარვიათ 1½ წელი პლენუმის შემდეგ, რომლის განმავლობაში მ თ ე ლ ი ბრძოლა ლიკვიდატორებთან რ ო გ ო რ ც ჩვენ მიერ, ი ს ე პარტიელი მენშევიკების მიერ გადატანილ იქნა ორგანიზაციული საკითხებიდან ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი — და არა ლიბერალური — მუშათა პარტიის ყ ო ფ ნ ა-არყოფნის საკითხებზე, ახლა დავა, ვთქვათ, «ნაშაზარიელ» ვაჟბატონებთან ორგანიზაციულ საკითხებზე, ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციის ურთიერთობაზე, ნიშნავს კომედიის თამაშს, ვინაი-

დან ამ ვაჟბატონებს სავსებით შეუძლიათ აღიარონ ისეთი «არალეგალური» ორგანიზაცია, როგორიცაა «გოლოსი», რომელიც ლიკვიდატორებს ემსახურება! უკვე დიდი ხანია ითქვა, რომ ისეთ არალეგალურ ორგანიზაციას, რომელიც სამსახურს გაუწევდა მონარქისტულ ლიბერალიზმს, აღიარებენ და იყენებენ ჩვენი კადეტები. შემარიგებლები თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებენ, რათა 1½ წლის შემდეგ გაიმეორონ ბოლშევიკების მიერ მხილებული (და ისიც სპეციალური განცხადებით, რომ ეს ხდება მთელი ბოლშევიზმის სახელით!) ტროცკის შეცდომები. განა ეს შემოღებულ პარტიულ სახელწოდებათა ბოროტად გამოყენება არ არის? განა ჩვენ ამის შემდეგ ვალდებული არა ვართ განვუცხადოთ ყველას და თვითეულს, რომ შემარიგებლები სრულებითაც არ არიან ბოლშევიკები, რომ მათ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიზმთან, რომ ისინი მხოლოდ არათანამიმდევარი ტროცკისტები არიან?

წაიკითხეთ ცოტა ქვემოთ: «შეიძლება არ დაეთანხმოთ იმას, თუ როგორ ესმოდა ოფიციალურ ბოლშევიზმს და ცენტრალური ორგანოს რედაქციის უმრავლესობას ლიკვიდატორობასთან ბრძოლის ამოცანა»... ნუთუ შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ «ლიკვიდატორობასთან ბრძოლის ამოცანა» ორგანიზაციული ამოცანაა? შემარიგებლები თვითონვე აცხადებენ, რომ არ ეთანხმებიან ბოლშევიკებს არა მარტო ორგანიზაციულ საკითხებში! სახელდობრ რაში? ისინი სდუმან, მათი «საჯარო პასუხი» რჩება მუნჯ... თუ უზრუნველ?.. ადამიანთა პასუხად. წელიწადნახევრის განმავლობაში ისინი ერთხელაც არ ცდილან შეესწორებინათ «ოფიციალური ბოლშევიზმი» ან განემარტათ ლიკვიდატორობასთან ბრძოლის ამოცანის თავიანთი გაგება! ხოლო ამ ბრძოლას ოფიციალური ბოლშევიზმი აწარმოებს სრული სამი წელიწადია, 1908 წლის აგვისტოდან. როცა ერთმანეთს ვადარებთ ამ საყოველთაოდ ცნობილ თარიღებს, უნებლიეთ ვეძებთ შემარიგებლების უცნაური «დუმილის» ახსნას, და ეს ძიება უნებლიეთ მოგვაგონებს

ტროცკის და იონოვს[91], რომელნიც ირწმუნებოდნენ, ჩ ვ ე ნ ც წინააღმდეგი ვართ ლიკვიდატორებისა, ოღონდ ს ხ ვ ა ნ ა ი-რ ა დ გვესმის მათთან ბრძოლის ამოცანაო. ეს ხომ სასაცილოა, ამხანაგებო: ბრძოლის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ განაცხადო, სხვანაირად გვესმის ესაო. ა ს ე თ ი სხვანაირი გაგება, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე ჰგავს სრულ გაუგებლობას!

განვაგრძოთ. ახლანდელი პარტიული კრიზისის დედააზრი, უეჭველად, შემდეგ კითხვაში მდგომარეობს: ჩვენი პარტიის, რსდმ პარტიის სრული გამოყოფა ლიკვიდატორებისაგან (მათ შორის გოლოსელებისგანაც), თუ მათთან შეთანხმების პოლიტიკის განგრძობა. ძნელად მოიძებნება თუნდაც ერთი, ცოტად თუ ბევრად საქმეში ჩახედული, სოციალ-დემოკრატი, რომელიც უარყოფდეს, რომ სწორედ ამ კითხვაშია მთელი ახლანდელი პარტიული მდგომარეობის დ ე დ ა-ა რ ს ი. რა პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე შემარიგებლები?

«გვეუბნებიან, — წერენ ისინი ფურცელში, — რომ ჩვენ ამით (თათბირის მხარის დაჭერით) ვარღვევთ პარტიულ ფორმებს და ვახდენთ გათიშვას. ჩვენ ამას არ ვფიქრობთ (sic! *). მაგრამ ასეც რომ იყოს, ჩვენ ეს არ შეგვაშინებდა». (ამას მოსდევს მითითება პლენუმის ჩაშლაზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მიერ, იმაზე, რომ «ცენტრალური კომიტეტის გარშემო იწყებენ აზარტულ თამაშს», რომ «პარტიული ფორმები ივსება ფრაქციული შინაარსით» და სხვა).

ჭეშმარიტად, ამ პასუხს იდეური და პოლიტიკური უმწეობის «კლასიკური» ნიმუში შეიძლება ვუწოდოთ! წარმოიდგინეთ მხოლოდ: წამოყენებულია გათიშვის ბრალდებაო. და აი ახალი ფრაქცია ჩემულობს პარტიის გზის ჩვენებას და აცხადებს პრესაში და საჯაროდ: «ჩვენ ამას არ ვფიქრობთო» (ე. ი. არ ფიქრობთ, რომ გათიშვა არის და იქნება?), «მაგრამ»... მაგრამ «ჩვენ ეს არ შეგვაშინებდაო».

* — ასეა! რ ე დ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პარტიათა ისტორიაში ასეთი დაბნეულობის მაგალითი არ მოინახება. თუ თქვენ «არ ფიქრობთ», რომ გათიშვა არის და იქნება, მაშ აგვიხსენით ეს! აგვიხსენით, რატომ შეიძლება ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა! თქვით პირდაპირ, რომ მათთან შეიძლება — და, მაშასადამე, კიდევაც უნდა — ვიმუშაოთ!

ჩვენი შემარიგებლები არათუ არ ამბობენ ამას, არამედ— ამბობენ საწინააღმდეგოს. «ბიულეტენის» 1-ლი ნომრის სარედაქციო სტატიაში (შენიშვნა პირდაპირ განმარტავს, რომ ამ სტატიის წინააღმდეგი იყო ბოლშევიკი, ბოლშევიკური პლატფორმის = პარიზის II ჯგუფის რეზოლუციის მომხრე) ვკითხულობთ:

...«ფაქტია, რომ ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა რუსეთში შეუძლებელია», ხოლო ცოტა ზემოთ აღიარებულია, რომ გოლოსელთა და ლიკვიდატორთა შორის «თანდათან უფრო ძნელდება სრულიად მცირედი მიჯნის გავლებაც კი».

გაიგე, ვისაც გაგება შეგიძლია! ერთი მხრივ, უაღრესად ოფიციალური განცხადება ტექნიკური კომისიის სახელით (სადაც შემარიგებლები და ახლა მათი მომხრე პოლონელები უმრავლესობას შეადგენენ ჩვენს წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ), რომ ერთად მუშაობა შეუძლებელია. ჩვენს ენაზე სწორედ ამას ეწოდება გათიშვის გამოცხადება. სიტყვა გათიშვას არავითარი სხვა აზრი არა აქვს. მეორე მხრივ, «ბიულეტენის» იგივე 1-ლი ნომერი იუწყება, რომ ტექნიკური კომისია შექმნილი იყო «არა გათიშვისათვის, არამედ მის თავიდან ასაცილებლად», და იგივე შემარიგებლები წერენ, რომ ისინი «არ ფიქრობენ ამას» (რომ გათიშვა არის და იქნება).

განა შეიძლება ამაზე მეტი დომხალის წარმოდგენა?

თუ ერთად მუშაობა შეუძლებელია, ეს გასაგებია სოციალ-დემოკრატებისათვის, ეს შეიძლება გამართლდეს სოციალ-დემოკრატების თვალში ან პარტიულ გადაწყვეტილებათა და ვალდებულებათა აშკარა დარღვევით განსაზღ-

ვრულ პირთა ჯგუფის მიერ (და მაშინ ამ პირთა ჯგუფთან გათიშვა აუცილებელია), ან ძირითადი პრინციპული უთანხმოებით, რომელიც განსაზღვრული მიმდინარეობის მთელ მუშაობას აშორებს სოციალ-დემოკრატიზმს (და მაშინ გათიშვა აუცილებელია მთელ მიმდინარეობასთან). როგორც ვიცით, ჩვენს თვალწინ ორივე ეს შემთხვევაა: ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან ერთად მუშაობა შეუძლებლად აღიარა 1910 წლის პლენუმმა, ხოლო გოლოსელთა ჯგუფთან, რომელმაც დაარღვია ყველა ვალდებულება და საბოლოოდ გადაბარგდა ლიკვიდატორებთან, გათიშვა ახლა ხდება.

ვინც შეგნებულად ამბობს: «ერთად მუშაობა შეუძლებელიაო», ვინც ცოტად თუ ბევრად ჩაფიქრებია ამ განცხადებას და შეუგნია მისი პრინციპული საფუძვლები, ის აუცილებლად იქით მიმართავდა მთელ ყურადღებას და მთელ ძალღონეს, რომ განემარტა ეს საფუძვლები უაღრესად ფართო მასისთვის და რაც შეიძლება მალე და სავსებით ეხსნა იგი უაზრო და მავნე ცდისაგან — განაგრძოს რაიმე ურთიერთობა იმასთან, ვისთანაც მუშაობა შეუძლებელია. ხოლო ვინც ამას აცხადებს და ამავე დროს დასძენს: «ჩვენ არ ვფიქრობთ», რომ გათიშვა იქნება, «მაგრამ ჩვენ ეს არ შეგვაშინებსო», ის ამ აბნეული და ლაჩრული ენით ამქილავნებს, რომ მას ეშინია თავისი თავის, ეშინია მის მიერ გადადგმული ნაბიჯის, ეშინია შექმნილი მდგომარეობისა! სწორედ ასეთი შთაბეჭდილება არ შეიძლება არ მოახდინოს შემარიგებლების ფურცელმა, — შემარიგებლებისა, რომელთაც სურთ რაღაცაში თავი იმართლონ, ვიღაცას «კეთილ ადამიანებად» აჩვენონ თავი, ვიღაცას თვალს უკრავენ... ჩვენ ახლავე დავინახავთ, რა მნიშვნელობა აქვს მათს თვალის ჩაკვრას «ვპერიოდისა» და «პრავდის» მიმართ. ჩვენ ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ ესმით შემარიგებლებს «ჯამი იმ პერიოდისა, რომელმაც განვლო პლენუმის შემდეგ», ჯამი, რომელიც ცეკისტების თათბირმა გამოიყვანა.

მართლაც საჭიროა გ ა ვ ი გ ო თ ეს ჯამი, გავიგოთ, რატომ გახდა იგი აუცილებელი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მონაწილეობა მოვლენებში სტიქიური, უმწეო და შემთხვევითი იქნება. ახლა დაუკვირდით, როგორია შემარიგებლების ეს გ ა გ ე ბ ა. როგორ უპასუხებენ ისინი კითხვაზე, თუ პლენუმის საქმეებიდან, მისი, უმთავრესად გამაერთიანებელი, გადაწყვეტილებებიდან რატომ წარმოიშვა გათიშვა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსა (= ლიკვიდატორებსა) და ანტილიკვიდატორებს შორის? ამ კითხვის პასუხი ჩვენს არათანამიმდევარ ტროცკისტებს პირდაპირ გადმოწერილი აქვთ ტროცკისა და იონოვისაგან, და მე უნდა გავიმეორო ის, რაც ვთქვი გასული წლის მაისში * ამ თანამიმდევარი შემარიგებლების წინააღმდეგ.

შემარიგებლების პასუხი: დამნაშავეა ფრაქციულობა, მენშევიკების, ვპერიოდელების, «პრავდის» ფრაქციულობა — ფრაქციულ ჯგუფებს ვასახელებთ ფურცლის მიხედვით — და, ბოლოს, ფრაქციულობა «ბოლშევიზმის ოფიციალური წარმომადგენლებისა», რომელთაც, «შეიძლება ითქვას, ყველა ამ ჯგუფს გადააჭარბეს ფრაქციულ მისწრაფებებში». უ ფ რ ა ქ ც ი ო ე ბ ს ფურცლის ავტორები პირდაპირ და გარკვევით მხოლოდ თავიანთ თავს, პარიზელ შემარიგებლებს უწოდებენ. ყველა ბიწიერია — ჩვენა ვართ სათნოიანნიო. ამ მოვლენის გამომწვევი არავითარი იდეური მიზეზები შემარიგებლებს არ მოჰყავთ. ჯგუფების არავითარ ორგანიზაციულ ან სხვა რაიმე თავისებურებას, რამაც ეს მოვლენა გამოიწვია, ისინი არ ასახელებენ. არაფერს, სრულიად არაფერს არ იძლევიან ამის ა ს ა ხ ს ნ ე ლ ა დ, გარდა ფრაქციულობა = ბიწიერების, არაფრაქციულობა = სათნოების დამოწმებისა. განსხვავება პარიზელ შემარიგებლებსა და ტროცკის შორის მხოლოდ ისაა, რომ პირველნი ტროცკის ფრაქციონერად თვლიან, თავიანთ თავს კი არა, მხოლოდ მეორე — პირიქით.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323. რ ე დ.

არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ საკითხის ამგვარად დაყენება, როდესაც პოლიტიკურ მოვლენათა ასახსნელად მ ხ ო ლ ო დ ერთის ბიწიერება და მეორის სათნოება მოჰ-ყავთ, ყოველთვის მომაგონებს იმ აფიშირებულ-კეთილ-სახიერ ფიზიონომიებს, რომელთა დანახვაზე უნებლიეთ გებადება აზრი: «ალბათ, ეს შულერია».

დაუფიქრდით შემდეგს დაპირისპირებას: ჩვენი შემარიგებლები უფრაქციო, სათნოიანნი არიან. ჩვენ, ბოლშევიკებმა, გადავაჭარბეთ ყველა ჯგუფს ფრაქციულ მისწრაფებებში, ე. ი. ჩვენ ყველაზე ბიწიერნი ვართ. ა მ ი ტ ო მ სათნოიანმა ფრაქციამ მხარი დაუჭირა ყველაზე ბიწიერ, ბოლშევიკურ ფრაქციას ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან ბრძოლაში!! რაღაც უხერხულად გამოგიდით, ამხანაგებო! რაც უფრო მეტ განცხადებას აკეთებთ, მით უფრო და უფრო მეტად იბნევით.

თქვენ სასაცილოდ იხდით თავს, როცა თქვენ და ტროცკი ერთმანეთს ესვრით — თითქოს ბურთს თამაშობდეთ — ფრაქციულობის ბრალდებას: თქვენ არ გინდათ გაისარჯოთ და ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ე თ იმას, თუ რა არის ფრაქცია? აბა სცადეთ განსაზღვროთ იგი, და ჩვენ გიწინასწარმეტყველებთ, რომ კიდევ უფრო მეტად დაიბნევით, ვინაიდან თქვენ თვითონ ფრაქცია ხართ, მერყევი, უპრინციპო ფრაქცია, რომელსაც ვერ გაუგია, რა იყო პლენუმზე და პლენუმის შემდეგ.

ფრაქცია არის პარტიის შიგნით არსებული ორგანიზაცია, გაერთიანებული არა მუშაობის ადგილით, არა ენით ან სხვა ობიექტური პირობებით, არამედ პარტიულ საკითხებზე შეხედულებათა განსაკუთრებული პლატფორმით. ფურცლის ავტორები — ფრაქციაა, ვინაიდან ფურცელი მათი პლატფორმაა (ფრიად ცუდი პლატფორმა, მაგრამ არის მცდარი პლატფორმის მქონე ფრაქციებიც). ისინი ფრაქციაა, ვინაიდან, როგორც ყოველი ორგანიზაცია, შეკავშირებული არიან შინაგანი დისციპლინით: ტექნიკურ კომისიასა და საორგანიზაციო კომისიაში მათს წარმომადგენელს ნიშნავს მათი ჯგუფი ხმის უმრავლესობით, იგივე ჯგუფი ადგენს და სცემს ფურ-

ცელს-პლატფორმას და ს ხ ვ ა. ასეთია ობიექტური ფაქტები, რომლებიც თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ა დ ხდის ყვირილს ფრაქციულობის წინააღმდეგ. ტროცკიც და «არათანამიმდევარი ტროცკისტებიც», გვარწმუნებენ, ფრაქცია არა გვაქვსო, ვ ი ნ ა ი დ ა ნ... (ფრაქციად) შეკავშირების «ერთადერთი» მიზანია ფრაქციების მოსპობა, მათი შედუღების ქადაგება და სხვა, მაგრამ ყველა ამგვარი რწმუნება მხოლოდ თავის ქება და კეკემალულობას ლაჩრული თამაშია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფრაქციის არსებობის ფ ა ქ ტ ს არ ეხება ფრაქციის რაიმე (თუნდაც არქისათნოიანი) მ ი ზ ა ნ ი. ყ ო ვ ე ლ ი ფრაქცია დარწმუნებულია იმაში, რომ მ ი ს ი პლატფორმა და პოლიტიკა ს ა უ კ ე თ ე ს ო გზაა ფრაქციათა მოსასპობად, ვინაიდან ფრაქციების არსებობას იდეალად არავინ არა თვლის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნათელი, თანამიმდევარი, მთლიანი პლატფორმის მქონე ფრაქციები პ ი რ დ ა პ ი რ იცავენ თ ა ვ ი ა ნ თ პლატფორმას, ხოლო უპრინციპო ფრაქციები ე ფ ა რ ე ბ ი ა ნ იაფფასიან ყვირილს თავიანთი სათნოიანობის, თავიანთი არაფრაქციულობის შესახებ.

რა არის მიზეზი რსდმ პარტიაში ფრაქციების არსებობისა? მიზეზი ისაა, რომ ისინი გაგრძელებაა 1903 — 1905 წლების გათიშვისა. ისინი შედეგია ადგილობრივი ორგანიზაციების სისუსტისა, რომელნიც უ ძ ლ უ რ ნ ი არიან ხელი შეუშალონ ახალ მიმდინარეობათა და პაწაწა მიმდინარეობათა გამომხატველ ლიტერატურულ ჯგუფებს გადაიქცნენ ახალ «ფრაქციებად», ე. ი. ორგანიზაციებად, რომელნიც პირველ რიგში აყენებენ შინაგან დისციპლინას. რა არის ფრაქციების მოსპობის საწინდარი? მ ხ ო ლ ო დ რევოლუციისდროინდელი გათიშვის სრული აღმოფხვრა (აქეთკენ კი მივყავართ ორი მთავარი ფრაქციის მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ გაწმენდას ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან), ისეთი ძლიერი პროლეტარული ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც შეუძლია აიძულოს უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობას. ვიდრე ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს, მ ხ ო ლ ო დ

ყველა ფრაქციის შეთანხმება დ ა ა ჩ ქ ა რ ე ბ დ ა მათი გაქრობის პროცესს. აქედან აშკარაა პლენუმის იდეური დამსახურებაც და მისი შ ე მ ა რ ი გ ე ბ ლ უ რ ი შ ე ც დ ო მ ა ც: დამსახურება — ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის იდეების უკუგდება; შეცდომა — შეთანხმება ადამიანებსა და ჯგუფებთან მათ განურჩევლად, მათი დაპირებისა («ხელი მოაწერეს რეზოლუციას») და მათი საქმეების შეუსაბამოდ. იდეური დაახლოება ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან ბრძოლის ნიადაგზე წინ მიდის — მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და სიძნელეებისა. პლენუმის შემარიგებლურმა შეცდომამ * სრულიად გარდუვალად გამოიწვია მის შემარიგებლურ გადაწყვეტილებათა კრახი, ე. ი. გოლოსელებთან კ ა ვ შ ი რ ი ს კრახი. ბოლშევიკების (და შემდეგ აგრეთვე ცეკისტების თათბირის) მხრივ კავშირის გაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსთან არის პლენუმის შემარიგებლური შეცდომის გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა: ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან **მებრძოლი** ფრაქციების დაახლოება იწარმოებს ახლა პლენუმის ფორმების დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ, ვინაიდან ეს ფორმები შინაარსს არ შეესაბამებოდა. საერთოდ მთელი შემარიგებლობა და პლენუმის შემარიგებლობა დამარცხდა, ვინაიდან ლიკვიდატორებს და სოციალ-დემოკრატებს ს თ ი შ ა ვ დ ა მუშაობის შინაარსი, და ამ გამთიშველი პროცესის დაძლევა ა რ შ ე ე ძ ლ ო არავითარ ფორმას, შემარიგებელთა არავითარ დიპლომატიას და თამაშს.

ამ — და მხოლოდ ამ, 1910 წ. მაისში ჩემს მიერ განვითარებული თვალსაზრისით ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რაც კი მოხდა პლენუმის შემდეგ ხდება გასაგები, გარდუვალი, გამომდინარეობს არა ერთის «ბიწიერებიდან» და მეორის «სათნოიანობიდან», არამედ მოვლენათა ობიექტური მსვლელობიდან, რაც აცალკევებს ლიკვიდატორულ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს

* შად. «დისკუსსიონნი ლისტოკ» № 2 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323. რ ე დ.)

და უკუაგდებს შუალედ ჯგუფებს და პაწაწა შუალედ ჯგუფებს.

შემარიგებლობის სრული კრახის ეს უდავო პოლიტიკური ფაქტი რომ მიჩქმალონ, შემარიგებლები იძულებული არიან პირდაპირ ფაქტების დამახინჯების გზას დაადგნენ. მოუსმინეთ: «ბოლშევიკ-ლენინელთა ფრაქციულმა პოლიტიკამ მით უფრო მეტი ზიანი მოიტანა, რომ მათ უმრავლესობა ჰყავდათ უმთავრეს პარტიულ დაწესებულებებში, რის მეოხებითაც მათი ფრაქციული პოლიტიკა ამართლებდა სხვა მიმდინარეობათა საკუთარ ორგანიზაციულ განკერძოებულობას და ამხედრებდა მათ ოფიციალური პარტიული დაწესებულებების წინააღმდეგ».

ეს ტირადა მხოლოდ ლაჩრული და დაგვიანებული «გამართლებაა»... ლიკვიდატორობისა, ვინაიდან სწორედ ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ყოველთვის იმოწმებდნენ ბოლშევიკების «ფრაქციულობას». ეს გამართლება დაგვიანებულია, ვინაიდან ყოველი ნამდვილი პარტიელის მოვალეობას შეადგენდა (განსხვავებით იმ ადამიანებისაგან, რომელნიც პარტიულობის ლოზუნგს იყენებენ, როგორც რეკლამას) ხმა ამოეღო მაშინ, როცა დაიწყო ეს «ფრაქციულობა», და არა წელიწადნახევრის შემდეგ! შემარიგებლებს — ლიკვიდატორობის დამცველთ — არ შეეძლოთ გამოსულიყვნენ და არც გამოსულან ადრე, ვინაიდან მათ ფაქტები არა აქვთ. ისინი სარგებლობენ ახლანდელი «მშფოთვარე დროით», რათა, ლიკვიდატორთა ლიტონი ფრაზები წამოაყენონ. ფაქტები კი ნათლად და აშკარად მეტყველებენ: პლენუმის დამთავრებისთანავე, 1910 წ. თებერვალში, ბ-მა პოტრესოვმა ლიკვიდატორობის დროშა ააფრიალა. მაშინვე, თებერვალსა თუ მარტში, პარტია გასცეს ბატონებმა მიხეილმა, რომანმა და იურიმ. მაშინვე გოლოსელებმა გააჩაღეს აგიტაცია «გოლოსის» სასარგებლოდ (იხ. ამის შესახებ პლეხანოვის «დნევნიკში» მეორე დღეს პლენუმის შემდეგ) და განაახლეს «გოლოსი». მაშინვე ვპერიოდელები შეუდგნენ თავიანთი «სკოლის» შენებას.

პირიქით, ბოლშევიკების პ ი რ ვ ე ლ ი ფრაქციული ნაბიჯი იყო «რაბოჩაია გაზეტას» დაარსება 1910 წლის ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ შ ი, მას შ ე მ დ ე გ, როცა ტროცკიმ კავშირი გაწყვიტა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან.

რისთვის დასჭირდათ შემარიგებლებს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების ეს დამახინჯება? იმისთვის, რომ თვალი ჩაუკრან ლიკვიდატორებს, აამონ მათ. ერთი მხრივ, «ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა შეუძლებელია». მეორე მხრივ, მათ «ა მ ა რ თ ლ ე ბ ს» ბოლშევიკების ფრაქციულობა!! ვეკითხებით ყოველ სოციალ-დემოკრატს, რომელსაც საზღვარგარეთული დიპლომატია არ გადასდებია: რა პოლიტიკური ნდობის ღირსი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომელნიც ასეთ წინააღმდეგურობაში იბნევიან? მათ დაიმსახურეს ის კოცნა, რომლითაც საჯაროდ აჯილდოებდა მათ «გოლოსი», და მეტი არაფერი.

შემარიგებლები ჩვენს «ფრაქციულობას» უწოდებენ ჩვენი პოლემიკის დ ა უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ა ს (რისთვისაც მათ სიტყვიერად ათასჯერ გავუკიცხივართ საერთო კრებებზე პარიზში) და ლიკვიდატორთა მ ხ ი ლ ე ბ ი ს დაუნდობლობას (ისინი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყვნენ მიხეილის, იურისა და რომანის მხილებისა). შემარიგებლები მუდამ იცავდნენ და ჰფარავდნენ ლიკვიდატორებს და ამავე დროს მათ ერთხელაც ა რ გ ა უ ბ ე დ ნ ი ა თ აშკარად გამოეთქვათ ეს დაცვა «დისკუსსიონნი ლისტოკში» ან რომელიმე ნაბეჭდ, საჯარო მოწოდებაში. და ახლა თავიანთ უძლურებას, თავიანთ სილაჩრეს ისინი თავს ახვევენ პარტიას, რომელმაც დაიწყო გადაჭრით გამიჯვნა ლიკვიდატორებისაგან. ლიკვიდატორები ამბობენ: ლიკვიდატორობა არ არსებობს, ის «გაბერეს» ბოლშევიკებმაო (იხ. კავკასიელი ლიკვიდატორების რეზოლუცია[92] და ტროცკის სიტყვები). შემარიგებლები ამბობენ: ლიკვიდატორებთან მუშაობა შეუძლებელია, მ ა გ რ ა მ... მ ა გ რ ა მ მათ «ამართლებს» ბოლშევიკების ფრაქციულობაო. ნუთუ ცხადი არ არის, რომ სუბიექტურ მსჯელობათა ამ სასაცილო წინააღმდეგურობის ნამდვილი აზრი ერთია, და მხოლოდ ერთი:

ლიკვიდატორობის ლაჩრული დაცვა, მისწრაფება — ფარულად გამოსდონ ფეხი ბოლშევიკებს და მხარი დაუჭირონ ლიკვიდატორებს?

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ფაქტების უარეს და უბოროტეს დამახინჯებას წარმოადგენს იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ «უმრავლესობა» გვყავდა «უმთავრეს პარტიულ დაწესებულებებში». ამ აშკარა სიყალბეს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: დაჰფაროს შემარიგებლობის პოლიტიკური კრახი. ვინაიდან ნამდვილად არცერთს «უმთავრეს პარტიულ დაწესებულებაში» ბოლშევიკებს პლენუმის შემდეგ უმრავლესობა არ ჰყოლიათ, უმრავლესობა იქ სწორედ შემარიგებლებს ჰყავდათ. აბა გამოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელიც გაბედავს შემდეგი ფაქტების უარყოფას. პლენუმის შემდეგ იყო მხოლოდ სამი «უმთავრესი პარტიული დაწესებულება»: 1) ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთში — უმთავრესად შემარიგებლები*; 2) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო — 1910 წ. იანვრიდან 1910 წ. ნოემბრამდე აქ ბოლშევიკების წარმომადგენელი იყო შემარიგებელი; რადგან ოფიციალურად შემარიგებლურ თვალსაზრისზე იდგნენ ბუნდელიც და ლატვიელიც, მაშასადამე, უმრავლესობა პლენუმის შემდეგ 11 თვის განმავლობაში შემარიგებლური იყო; 3) ცენტრალური ორგანოს რედაქცია — აქ ორი «ბოლშევიკი-ფრაქციონერი» უპირისპირდებოდა ორ გოლოსელს: უმრავლესობა არ იყო უპოლონელოდ.

რისთვის დასჭირდათ შემარიგებლებს ეს აშკარა სიცრუე? სწორედ იმისთვის, რომ თავი ფრთის ქვეშ დამალონ, რომ დაჰფარონ შემარიგებლობის პოლიტიკური კრახი. შემარიგებლობა ბატონობდა პლენუმზე, მას უმრავლე-

* რა თქმა უნდა, შემარიგებელიც არის და შემარიგებელიც. რუსეთის ბიუროს ყველა ყოფილ წევრს როდი შეუძლია (და არცა სურს) იკისროს პასუხისმგებლობა პარიზელ შემარიგებელთა — ტროცკის უბრალო ავანჩავანთა — ყოველგვარი სისულელისათვის.

სობა ჰყავდა პლენუმის შემდეგ პარტიის ყველა უმთავრეს პრაქტიკულ ცენტრში, და მან წელიწადნახევრის განმავლობაში სრული კრახი განიცადა: მას არავინ «შეურიგებია», არსად არაფერი შეუქმნია, იგი უმწეოდ ქანაობდა ერთი მხრიდან მეორე მხრისაკენ, რითაც სავსებით დაიმსახურა გოლოსელების სიყვარული.

განსაკუთრებით სრული კრახი განიცადეს შემარიგებლებმა რუსეთში — ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რაც უფრო გულმოდგინედ და დემაგოგიურად იმოწმებენ პარიზელი შემარიგებლები რუსეთს. რუსეთი — შემარიგებლურია, წინააღმდეგ უცხოეთისა, ასეთია შემარიგებელთა ძირითადი მოტივი. შეადარეთ ეს სიტყვები ფაქტებს — და მიხვდებით, რომ ეს ყოვლად ფუქსავატური და ყოვლად იაფფასიანი დემაგოგიაა. ფაქტები მეტყველებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროში პლენუმის შემდეგ წელიწადზე მეტი მხოლოდ შემარიგებლები იყვნენ, მხოლოდ ისინი აკეთებდნენ ოფიციალურ მოხსენებებს პლენუმის შესახებ, ოფიციალურად თათბირობდნენ ლეგალისტებთან, მხოლოდ ისინი ნიშნავდნენ აგენტებს და გზავნიდნენ მათ სხვადასხვა დაწესებულებაში, მხოლოდ ისინი განაგებდნენ მთელ იმ ფულს, რომელიც უსიტყვოდ ეგზავნებოდათ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროდან, მხოლოდ ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას «რუსეთელ» ლიტერატორებთან, რომელნიც იმედებს იძლეოდნენ დაბნეულობის მხრივ (ე. ი. შემარიგებლობის მხრივ) და სხვ.

შედეგი?

შედეგი — ნულია. არც ერთი ფურცელი, არც ერთი გამოსვლა, არც ერთი ორგანო, არც ერთი «შერიგება». ბოლშევიკ-«ფრაქციონერებს» კი (იმაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რაზედაც აშკარად ლაპარაკობს მხოლოდ ოხრანკის დამხმარე ბ-ნი მარტოვი) აქვთ საზღვარგარეთული «რაბოჩაია გაზეტა», რომელიც ფეხზე დაიგა ორი ნომრის შემდეგ. შემარიგებლობა = ნული, სიტყვები, ცარიელი სურვილები (და ბოლშე-

ვიზმისთვის ფეხის გამოდება ამ «შემარიგებლური» სურვილების ნიადაგზე); «ოფიციალურმა» ბოლშევიზმმა საქმით დაამტკიცა თავისი სრული უპირატესობა სწორედ რუსეთში.

რა არის ეს — შემთხვევითია? დაპატიმრებათა შედეგია? მაგრამ დაპატიმრებას შეეძლო «დაენდო» ლიკვიდატორები, რომლებიც პარტიაში ა რ მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ, ხოლო ბოლშევიკებსა და შემარიგებლებს ისინი ერთნაირად სცელავდნენ.

არა, ეს არ არის შემთხვევითი რამ და არც ამა თუ იმ პ ი რ თ ა წარმატების შედეგი. ეს არის შედეგი იმ პოლიტიკური მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს კრახისა, რომელიც ყალბია თავის გამოსავალ პუნქტებშივე. შემარიგებლობაში ყალბია ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი — მისწრაფება პროლეტარიატის პარტიის ერთიანობის შექმნისა ყ ვ ე ლ ა, მათ შორის ანტისოციალ-დემოკრატიული, არაპროლეტარული ფრაქციების კავშირის ნიადაგზე; ყალბია უპრინციპობა მისი «გამაერთიანებელი» პროექტიორობისა, რომელსაც უაზრობამდე მივყევართ; ყალბია ფრაზები «ფრაქციების» წინააღმდეგ (ს ა ქ მ ი თ ახალი ფრაქციის შექმნისას), — ფრაზები, რომლებიც უძლური არიან დაშალონ ანტიპარტიული ფრაქციები და ასუსტებენ ბოლშევიკების ფრაქციას, რომელმაც ჩაატარა ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან ბრძოლის ცხრა მეათედი.

უპრინციპო «გამაერთიანებელი» პროექტიორობის მაგალითებს ბლომად გვაძლევს ტროცკი. მოიგონეთ თუნდაც (ვიღებ ერთ-ერთ უახლეს მაგალითს), როგორ აქებდა ის პარიზულ «რაბოჩაია ჟიზნს» [93], რომელსაც ხელმძღვანელობენ პარიზელი შემარიგებლები და გოლოსელები თანაბრად. რა დიდებული რამაა! — წერდა ტროცკი, — «არც ბოლშევიკი, არც მენშევიკი, არამედ რევოლუციური სოციალ-დემოკრატი». ფრაზის საბრალო გმირს ერთი წვრილმანი ვერ შეუმჩნევია: რევოლუციონერი მხოლოდ ის სოციალ-დემოკრატია, ვინც შეიგნო ამა თუ იმ ქვეყნის, ამა თუ იმ დროის ანტირევოლუციური ვითომდა სოციალ-დემოკრატიზმის მ ა ვ ნ ე ბ ლ ო ბ ა, ე. ი. ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის მავნებლობა 1908 — 1911 წლების რუსეთში, ვისაც შ ე უ ძ ლ ი ა

ბრძოლა ამგვარ არა სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან. როცა ტროცკი ეალერსებოდა «რაბოჩაია ჟიზნს», რომელიც არავითარ ბრძოლას არ ეწეოდა რუსეთში არა-რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან, ის ამით მხოლოდ ამხელდა ლიკვიდატორების გეგმას, რომელთაც იგი სულითა და გულით ემსახურება: ცენტრალურ ორგანოში თანასწორობა ნიშნავს ლიკვიდატორებთან ბრძოლის შეწყვეტას; ლიკვიდატორებს სინამდვილეში სრულიად თავისუფლად შეუძლიათ ებრძოლონ პარტიას, ხოლო პარტიას დაე ხელფეხი შეუკრას გოლოსელთა და პარტიელთა «თანასწორობამ» ცენტრალურ ორგანოში (და ცენტრალურ კომიტეტში). მაშინ ლიკვიდატორების გამარჯვება სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა, და მხოლოდ ლიკვიდატორების ლაქიებს შეუძლიათ გაატარონ ან დაიცვან ასეთი გეგმა.

იონოვმა, ინოკენტიმ და სხვა შემარიგებლებმა პლენუმზე მოგვცეს მაგალითები უპრინციპო «გამაერთიანებელი» პროექტიორობისა, რაც მშვიდობასა და სიკეთეს გვპირდება ლიკვიდატორებთან ხანგრძლივი, შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლის გარეშე. ასეთივე მაგალითი ვნახეთ ჩვენი შემარიგებლების ფურცელში, სადაც ისინი ლიკვიდატორობას ბოლშევიზმის «ფრაქციულობით» ამართლებენ. კიდევ მაგალითი: მათი სიტყვები ბოლშევიკების «იზოლაციის» შესახებ «არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნიადაგზე მდგარ სხვა მიმდინარეობათაგან («ვპერიოდ», «პრავდა»)».

ამ შესანიშნავი ტირადის ხაზგასმა ჩვენ გვეკუთვნის. ამ ტირადაში — როგორც მზე წყლის პატარა წვეთში — აისახა შემარიგებლობის მთელი უპრინციპობა — მისი პოლიტიკური უძლურების საფუძველი.

ჯერ-ერთი, წარმოადგენენ თუ არა «პრავდა» და «ვპერიოდი» სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს? არა, არ წარმოადგენენ, ვინაიდან «ვპერიოდი» წარმოადგენს არასოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობას (ოტზოვიზმი და მახიზმი), «პრავდა» კი წარმოად-

გენს პატარა ჯგუფს, რომელსაც რევოლუციისა და კონტრ-
რევოლუციის ა რ ც ე რ თ მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხ-
ში არ მ ო უ ც ი ა დამოუკიდებელი და მთლიანი პასუხი.
ხოლო მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა შეიძლება ეწოდოს მხოლოდ
ისეთ პოლიტიკურ იდეათა ჯამს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ
რ ო გ ო რ ც რევოლუციის (ვინაიდან ჩვენ რევოლუციას ძა-
ლიან ცოტათი დავშორდით და ყოველმხრივ მასზე ვართ და-
მოკიდებული), ი ს ე კონტრრევოლუციის ყ ვ ე ლ ა უმნიშ-
ვნელოვანეს საკითხში, და რომლებმაც, გარდა ამისა, თავისი
არსებობის უფლება, როგორც მიმდინარეობამ, დაამტკიცეს
მუშათა კლასის ფართო ფენებში გავრცელებით. მენშევიზ-
მიც და ბოლშევიზმიც სოციალ-დემოკრატიული მიმდინა-
რეობებია, ეს დამტკიცებულია რევოლუციის გამოცდილე-
ბით, რვა წლის განმავლობაში მუშათა მოძრაობის ისტო-
რიით. ისეთი პატარ-პატარა ჯგუფები, რომელნიც არავითარ
მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს არ წარმოადგენდნენ, ამ ხნის განმავ-
ლობაში, ისე როგორც წინათ, ბევრი იყო. მიმდინარეობის
არევა მცირე ჯგუფებთან ნიშნავს პარტიულ პოლიტიკაში
ი ნ ტ რ ი გ ა ნ ო ბ ი ს გაწევას, ვინაიდან უპრინციპო პატარ-
პატარა ჯგუფების გაჩენა, მათი ეფემერული არსებობა, მათი
ჭაპანწყვეტა «საკუთარი სიტყვის» სათქმელად, მათი, რო-
გორც განსაკუთრებული სახელმწიფოების, «ურთიერთო-
ბა» — ეს არის სწორედ ნიადაგი საზღვარგარეთული ი ნ ტ-
რ ი გ ა ნ ო ბ ი ს ა, რომლისაგან თავის ხსნა შესაძლებელია
მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი, მტკიცე, მუშათა მოძრაობის
ხანგრძლივი ისტორიის გამოცდილებით შემოწმებული პრინ-
ციპულობით.

მეორეც — და აქ ჩვენ ერთბაშად ვხედავთ შემარიგებელ-
თა უპრინციპობის პრაქტიკულ გადაქცევას ინტრიგანობად —
პარიზელთა ფურცელი პირდაპირ და აშკარად ტყუის, როცა
აცხადებს: «ოტზოვიზმი უკვე ვერ პოულობს ჩვენს პარტიაში
აშკარა მომხრეებსა და დამცველებსაო». ეს, როგორც ყვე-
ლამ და თვითეულმა იცის, სიცრუეა. ამ სიცრუეს დოკუმენ-
ტურად უარყოფს «ეპერიოდის» მე-3 ნომერი (1 9 1 1 წ.

მ ა ი ს ი), სადაც ნათქვამია ა შ კ ა რ ა დ, რომ ოტზოვიზმი «ს ა ვ ს ე ბ ი თ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ა ჩვენს პარტიაშიო» (გვ. 78). ან იქნებ ჩვენი ბრძენთა-ბრძენი შემარიგებლები დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ასეთი განცხადება ოტზოვიზმის დ ა ც ვ ა ა რ ა რ ი ს ო?

როდესაც ადამიანებს აღარ შეუძლიათ პრინციპულად გაამართლონ თავიანთი დაახლოება ამა თუ იმ პატარა ჯგუფთან, მათ რჩებათ მხოლოდ პატარა სიცრუის, წვრილმანი მლიქვნელობის, თავის ქნევისა და თვალის ჩაკვრის პოლიტიკა, ე. ი. სწორედ ის, რაც საბოლოო ანგარიშით იძლევა ინტრიგანობის ცნებას. «ვპერიოდი» აქებს შემარიგებლებს — შემარიგებლები აქებენ «ვპერიოდს» და ცრუპენტელურად ამშვიდებენ პარტიას ოტზოვიზმის მიმართ. ხოლო ამის შედეგია დაუსრულებელი ვაჭრობა დიდი და პატარა ადგილების გამო ოტზოვიზმის დ ა მ ც ვ ე ლ ე ბ თ ა ნ, პლენუმის **ყველა** გადაწყვეტილების დ ა მ რ ღ ვ ე ვ ლ ე ბ თ ა ნ. ფარულად ეხმარებიან ლიკვიდატორებს, ფარულად ეხმარებიან ოტზოვისტებს — აი შემარიგებლობის ხვედრი, აი რა არის უძლური და უბადრუკი ინტრიგანობა.

მესამე. «რუსეთში ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა შეუძლებელია». შემარიგებლებიც იძულებული იყვნენ ეღიარებინათ ეს ჭეშმარიტება. იბადება კითხვა: აღიარებენ თუ არა ამ ჭეშმარიტებას «ვ პ ე რ ი ო დ ი ს ა» და «პ რ ა ვ დ ი ს» პატარა ჯგუფები? არათუ არ აღიარებენ, არამედ პირდაპირ აცხადებენ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს, პირდაპირ მოითხოვენ ლიკვიდატორებთან «ერთად მუშაობას», პირდაპირ ე წ ე ვ ი ა ნ ა მ მ უ შ ა ო ბ ა ს. — (იხ. თუნდ ვპერიოდელთა მეორე სკოლის ანგარიში). ისმის საკითხი: არის თუ არა რაიმე პრინციპულობისა და პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი ს ნატამალი იმ ჯგუფებთან დაახლოების პოლიტიკის აღიარებაში, რომელნიც პ ი რ დ ა პ ი რ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო პასუხს იძლევიან ძირითად საკითხებზე? — ვინაიდან ლიკვიდატორობის საკითხი პლენუმის პირდაპირი და ერთხმად მიღებული რეზოლუციით ერთ-ერთ ძირითად საკითხადაა აღიარებული. ცხადია,

არა; აქ ჩვენს წინაშეა იდეური უფსკრული, ხოლო მასზე სიტყვიერი ხიდის, დიპლომატიური ხიდის გადების ცდა აუცილებლად, ივანე ივანეს-ძისა და ივანე ნიკიფორეს-ძის ყოვლად კეთილი სურვილების დამოუკიდებლად, მათს ინტრიგანობას იწვევს.

და სანამ ჩვენ არ გვიჩვენებენ და არ დაგვიმტკიცებენ სერიოზული მონაცემებისა და უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმოხილვის საფუძველზე, რომ «ვ პ ე რ ი ო დ ი» და «პ რ ა ვ დ ა» ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ნ ი ა (არავის უცდია წელიწადნახევრის განმავლობაში პლენუმის შემდეგ დაემტკიცებინა ეს და არც შეიძლება ამის დამტკიცება), მანამდე ჩვენ მუდამ განვუმარტავთ მუშებს იმ უპრინციპო ხრიკების, იმ ინტრიგანული ხრიკების მთელ მავნებლობას, რასაც წარმოადგენს შემარიგებლების ქადაგება «ვპერიოდსა» და «პრავდასთან» დაახლოების შესახებ. ამ ა რ ასოციალ-დემოკრატიული და უპრინციპო, ლიკვიდატორთა დამხმარე პატარა ჯგუფთაგან ი ზ ო ლ ა ც ი ა რევოლუციური სოციალ-დემოკრატების უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა. მიმართვა «ვპერიოდსა» და «პრავდასთან» დაკავშირებულ რუსეთის მუშებისადმი, ამ პატარა ჯგუფების გვერდის ავლით და მათ წინააღმდეგ — ასეთია ის პოლიტიკა, რომელსაც ბოლშევიზმი ატარებდა, ატარებს და გააატარებს მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა.

მე ვთქვი, რომ შემარიგებლობამ სრული პოლიტიკური კრახი განიცადა პარტიის ცენტრებში წელიწადნახევრის მანძილზე ბ ა ტ ო ნ ო ბ ი ს დროს-მეთქი. ამაზე ჩვეულებრივ გვიპასუხებენ: დიახ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თქვენ, ფრაქციონერები, ხელს გვიშლიდითო (იხ. შემარიგებლების — და ა რ ა ბოლშევიკების — გერმანისა და არკადის[94] წერილი «პრავდის» მე-20 ნომერში).

აი სწორედ იმაში მდგომარეობს მიმართულებისა და პატარა ჯგუფის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი კრახი, რომ მას ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი «ხელს უშლის», ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მის წინააღმდეგაა მიმართული, — ვინაიდან მას სწორად არ გაუთვალის-

წინებია ეს «ყველაფერი», ვინაიდან მან თავის ბაზად გაიხადა ლიტონი სიტყვები, ოხვრა, წუხილი, წუწუნი.

ჩვენ კი, ბატონებო, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დ ა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ხელს გვიწყობდა, და ამაშია ჩვენი წარმატების საწინდარიც. ჩვენ ხელს გვიწყობდნენ ბატონი პოტრესოვები, ლარინები, ლევიცკები, ვინაიდან მათ კრინტის დაძვრაც ა რ შ ე ე ძ ლ ო თ ისე, რომ არ დაედასტურებინათ ჩ ვ ე ნ ი შეხედულება ლიკვიდატორობაზე. ჩვენ ხელს გვიწყობდნენ ბატონი მარტოვები და დანები, ვინაიდან მათ ა ი ძ უ ლ ე ს ყველანი დათანხმებოდნენ ჩვენს შეხედულებას, რომ გოლოსელები და ლიკვიდატორები ერთნი არიან. ჩვენ ხელს გვიწყობდა პლეხანოვი ს წ ო რ ე დ ი მ დ ე ნ ა დ, რამდენადაც ის ამხელდა ლიკვიდატორებს, აღნიშნავდა პლენუმის რეზოლუციებში დატოვებულ (შ ე მ ა რ ი გ ე ბ ლ ე ბ ი ს მ ი ე რ) «ხვრელებს ლიკვიდატორებისთვის», სასაცილოდ იგდებდა (შ ე მ ა რ ი- გ ე ბ ლ ე ბ ი ს მ ი ე რ ჩ ვ ე ნ ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გ ა ყ ვ ა- ნ ი ლ) «გაბერილ» და «ინტეგრალისტურ» ადგილებს ამ რეზოლუციებში. ჩვენ ხელს გვიწყობდნენ რუსეთის შემარიგებლები, რომლებიც «ეპატიჟებოდნენ» მიხეილს, იურის და რომანს ლანძღვა-გინებით გამოსულიყვნენ ლენინის წინააღმდეგ (იხ. «გოლოსი») და მით ადასტურებდნენ, რომ ლიკვიდატორთა უარი დამოკიდებული ა რ იყო «ფრაქციონერთა» მზაკვრობაზე. რატომ მოხდა ეს ასე, პატივცემულო შემარიგებლებო, რომ თქვენ ყველანი ხელს გიშლიდნენ, მიუხედავად თქვენი სათნოებისა, ჩვენ კი ყველანი ხელს გვიწყობდნენ, მიუხედავად ჩვენი ფრაქციული ბიწიერებისა?

იმიტომ, რომ თქვენი პატარა ჯგუფის პოლიტიკა ეყრდნობოდა მხოლოდ ფრაზას — ხშირად ძალიან კეთილმოსურნე და კეთილგანზრახულ — მაგრამ მაინც ლიტონ ფრაზას. ხოლო ერთიანობა ნამდვილად ახლოვდება მ ხ ო ლ ო დ ძ ლ ი ე- რ ი ფ რ ა ქ ც ი ე ბ ი ს, თავისი იდეური მთლიანობითა და მ ა ს ე ბ ზ ე რევოლუციის გამოცდილებით შემოწმებული გავლენის მხრივ ძლიერი ფრაქციების დაახლოებით.

დღესაც ფრაზად რჩება თქვენი წამოძახილი ფრაქციულობის წინააღმდეგ, ვინაიდან თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ ფ რ ა ქ ც ი ა ხ ა რ თ, ამასთან ერთ-ერთი უცუდესი, ფრიად არასაიმედო და უპრინციპო ფრაქცია. ფრაზაა თქვენი ხმამაღალი, მაღალფარდოვანი განცხადება («საინფორმაციო ბიულეტენში») — «არც ერთი სანტიმი ფრაქციებსაო». თქვენ რომ ამას სერიოზულად ამბობდეთ, განა «ს ა ნ ტ ი მ ე ბ ს» დახარჯავდით ახალი პატარა ჯგუფის პლატფორმის — ფურცლის გამოსაცემად? თქვენ რომ ამას სერიოზულად ამბობდეთ, განა ჩუმად იქნებოდით ფ რ ა ქ ც ი უ ლ ი ორგანოების — «რაბოჩაია გაზეტას» და «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» დანახვაზე? — განა საჯაროდ არ მოითხოვდით მათ დახურვას? * თქვენ რომ ეს მოგეთხოვათ, სერიოზულად წამოგეყენებინათ ასეთი პირობა, თქვენ პირდაპირ სასაცილოდ აგიგდებდნენ. ხოლო თუ თქვენ ამას კარგად გრძნობთ და თვალმიბნედილი ოხრავთ მხოლოდ, განა ეს კვლავ და კვლავ იმას არ ამტკიცებს, რომ თქვენი შემარიგებლობა ჰაერშია გამოკიდებული?

ფრაქციების განიარაღება შეიძლება მხოლოდ ურთიერთშეთანხმების ნიადაგზე. — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არის რეაქციული ლოზუნგი, დიდად მავნე პროლეტარიატის საქმისათვის, დემაგოგიური ლოზუნგი, ვინაიდან ის მხოლოდ ა ა დ ვ ი ლ ე ბ ს ლიკვიდატორების შეურიგებელ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ. ვინც ამ ლოზუნგს აყენებს ახლა, პლენუმის მიერ მისი გამოყენების მარცხით დამთავრების შ ე მ დ ე გ, გოლოსელთა და ვპერიოდელთა ფრაქციების მიერ (ფრაქციათა) შეერთების ჩაშლის შ ე მ დ ე გ, ვინც ამას სჩადის და ამავე დროს არც კი ცდილობს და ვერც ბე-

* სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ პარიზელი შემარიგებლები, რომელთაც ახლა თავიანთი ფურცელი გამოუშვეს, «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყვნენ და დ ა ს ტ ო ვ ე ს პ ი რ ვ ე ლ ი კ რ ე პ ა, რომელზედაც ისინი მიიწვია მისმა რედაქციამ. ვწუხვართ, რომ ისინი არ დაგვეხმარნენ (დაგვეხმარნენ შემარიგებლობის სიცარიელის მხილებაში) აშკარა გამოსვლით «რაბოჩაია გაზეტას» წინააღმდეგ.

დავს გაიმეოროს საერთიერთო პირობა, ნათლად დააყენოს იგი, განსაზღვროს მისი რ ე ა ლ უ რ ი შესრულების კონტროლის საშუალებანი, — ის პირდაპირ იბრუნებს თავს მოთაფლული სიტყვებით.

ბოლშევიკებო, შემჭიდროვდით, თქვენა ხართ ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან თანამიმდევარი და გადამწყვეტი ბრძოლის ერთადერთი ბურჯი.

აწარმოეთ საქმით ნაცადი, გამოცდილებით დადასტურებული პოლიტიკა ა ნ ტ ი ლიკვიდატორულ მენშევიზმთან დაახლოებისა, — აი ჩვენი ლოზუნგი. აი პოლიტიკა, რომელიც დაშლისა და რღვევის ხანაში განუხორციელებელი «საყოველთაო მშვიდობის» ოცნების განხორციელებას არავის ჰპირდება, მაგრამ საქმით წინ სწევს მუშაობის პროცესში იმ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა დაახლოებას, რომელნიც წარმოადგენენ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს, რაც კი ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლისუნარიანია პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ მოძრაობაში.

კონტრრევოლუციის ეპოქაში შემარიგებელთა როლი შეიძლება დახასიათდეს ასეთი სურათით. ბოლშევიკებს დიდი სიძნელით მიჰყავთ ზევით, ციცაბო კლდეზე ჩვენი პარტიული ურემი. ლიკვიდატორი-გოლოსელები მთელი ძალღონით ეწევიან მას უკან თავქვე. უ რ ე მ ზ ე ზის შემარიგებელი. მას მეტად საამური გამომეტყველება აქვს; სახე — ნეტარი, ნეტარი, იესო ქრისტესავით. მთელი ფიგურა განსახიერებული სათნოებაა. და შემარიგებელი, მოკრძალებით თვალმიბნედილი და ხელაპყრობილი, ამბობს: «გმადლობ შენ, უფალო, რომ არ ვგევარ ა მ — თავს იქნევს ბოლშევიკებისა და მენშევიკებისკენ — მზაკვარ ფრაქციონერებს, რომელნიც ხელს უშლიან ყოველგვარ წინსვლას». ურემი კი ნელ-ნელა მიდის წინ, ხოლო ურემზე შემარიგებელი ზის. როდესაც ბოლშევიკმა ფრაქციონერებმა დ ა ა ნ გ რ ი ე ს ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდატორული საზღვარგარეთული ბიურო და ამით ნიადაგი გასწმინდეს ახალი სახლის ასაშენებლად, პ ა რ ტ ი უ ლ ფრაქციათა ბლოკის (ან თუნდაც დროებითი კავშირის) შესაკრავად მაშინ ამ სახლში (ბოლშევიკ-ფრაქციონე-

რების გინებით) შევიდნენ შემარიგებლები და ახალი ბინა მოასხურეს... არაფრაქციულობის შესახებ მოთაფლული სიტყვების ნათლის წყლით!

რა დაემართებოდა ძველი «ისკრის» ისტორიულ ღირსსახსოვარ საქმეს, მას რომ ეკონომიზმისა და «სტრუვიზმის» წინააღმდეგ თანამიმდევარი, შეურიგებელი პრინციპული კამპანიის ნაცვლად რაიმე ბლოკი, კავშირი შეეკრა ან «შეეერთებინა» ყ ვ ე ლ ა დიდი და პატარა ჯგუფი, რომელთა რიცხვი მაშინ საზღვარგარეთ ახლანდელზე ნაკლები როდი იყო?

ხოლო ჩვენი ეპოქისა და ძველი «ისკრის» ეპოქის განსხვავება ბევრად უფრო აძლიერებს უპრინციპო და ფრაზის მოტრფიალე შემარიგებლობის მავნებლობას.

პირველი განსხვავება ისაა, რომ ჩვენ რუსეთში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის განვითარების მხრივ, კლასობრივი ბრძოლის სიცხადის მხრივ ბევრად უფრო ავმაღლდით. ბატონ პოტრესოვების, ლევიცკების, ლარინებისა და კომპანიის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მუშათა პოლიტიკისათვის უკვე ა რ ს ებ ობ ს (და რუსეთში პ ი რ ვ ე ლ ა დ არსებობს) ერთგვარი ობიექტური ნიადაგი. კადეტების სტოლიპინური ლიბერალიზმი და სტოლიპინური მუშათა პარტია უკვე ყალიბდებიან. მით უფრო მავნებელია სინამდვილეში შემარიგებელი ფრაზები და ინტრიგები საზღვარგარეთულ პატარა ჯგუფებთან, რომლებიც ლიკვიდატორებს უჭერენ მხარს.

მეორე განსხვავებაა — პროლეტარიატის განვითარების, მისი შეგნებულობისა და კლასობრივი შემჭიდროების განუზომლად უფრო მაღალი საფეხური. მით უფრო მავნებელია შემარიგებლების მიერ ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ მხარის დაჭერა ეფემერული საზღვარგარეთული პატარა ჯგუფებისა («ვპერიოდ», «პრავდა» დ ა ს ხ ვ.), რომელთაც არ შეუქმნიათ და არც შეუძლიათ შეჰქმნან არავითარი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა სოციალ-დემოკრატიაში.

მესამე განსხვავება: რუსეთში, «ისკრის» ეპოქაში არსებობდნენ ეკონომისტების არალეგალური ორგანიზაციები,

რომელთა დანაწილება, გათიშვა საჭირო ხდებოდა, რათა მათ წინააღმდეგ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები გაგვეერთიანებინა. ახლა პარალელური არალეგალური ორგანიზაციები აღარაა, ლაპარაკია მხოლოდ გამოცალკევებულ ლ ე გ ა ლ უ რ ჯგუფებთან ბრძოლაზე. და გამოცალკევების ამ პროცესს (შემარიგებლებიც კი იძულებული არიან აღიარონ ეს) ისინი ა ფ ე რ ხ ე ბ ე ნ პოლიტიკური თ ა მ ა შ ი თ საზღვარგარეთულ ფრაქციებთან, რომელთაც ა რ ა ს უ რ თ. და არც შეუძლიათ იმუშაონ ასეთი გამიჯვნის ხაზით.

ბოლშევიზმმა «მოიხადა» ოტზოვისტური სენი, რევოლუციური ფრაზა, «მემარცხენობის» თამაში, სოციალ-დემოკრატიზმისაგან მარცხნივ ქანაობა. ოტზოვისტები გამოვიდნენ როგორც ფრაქცია, როდესაც უ კ ვ ე აღარ შეიძლებოდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატების «უკან გაწვევა».

ბოლშევიზმი მოიხდის «შემარიგებლობის» სენსაც, ლიკვიდატორობისკენ ქანაობას (ვინაიდან ს ა ქ მ ი თ შემარიგებლები ყოველთვის სათამაშოდ იყვნენ გადაქცეულნი ლიკვიდატორების ხელში). შემარიგებლებმაც საშინლად დაიგვიანეს, — ისინი გამოვიდნენ როგორც ფრაქცია მაშინ, როდესაც პლენუმის შემდეგ შემარიგებლობის წელიწადნახევრის ბ ა ტ ო ნ ო ბ ა უკვე ამოიწურა და შესარიგებელი აღარავინ იყო.

P. S. * ეს ფელეტონი ერთ თვეზე მეტია რაც დაიწერა. ის აკრიტიკებს შემარიგებლების «თეორიას». რაც შეეხება შემარიგებელთა «პრაქტიკას», რამაც გამოხატულება ჰპოვა გამოუვალ, უაზრო, უმაქნისო, სამარცხვინო კინკლაობაში, რომელიც გამეფებულია შემარიგებლებისა და პოლონელების «ბიულეტენის» მე-2 ნომერში, — ამაზე ერთი სიტყვის დაძვრაც კი არა ღირს.

«სოციალ-დემოკრატი» № 24,
1911 წ. 18 (31) ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ

მომავალ წელს უნდა მოხდეს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. სოციალ-დემოკრატიამ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ უნდა დაიწყოს საარჩევნო კამპანია. მომავალი არჩევნების გამო ერთგვარი «გამოცოცხლება» უკვე დაეტყო ყ ვ ე ლ ა პარტიას. კონტრრევოლუციის პერიოდის პირველი ხანა აშკარად დამთავრდა: შარშანდელი დემონსტრაციები, სტუდენტთა მოძრაობა, შიმშილობა სოფლად და — უკანასკნელი სათვალავით და არა მნიშვნელობით! — გაფიცვათა ტალღა, — ყოველივე ეს აშკარა მაჩვენებელია შემობრუნების დასაწყისისა, კონტრრევოლუციის პერიოდის ახალი ხანის დასაწყისისა. გაძლიერებული პროპაგანდა, აგიტაცია და ორგანიზაცია დღის წესრიგში დგას, და ასეთ მუშაობაში ბუნებრივ, აუცილებელ, საჭირვარამო «ხელჩასაჭიდს» წარმოადგენს მომავალი არჩევნები. (უნდა შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ვინც, სოციალ-დემოკრატებს შორის, «ვპერიოდელთა» პატარა ჯგუფის მსგავსად, დღემდე მერყეობს ამ ელემენტარულ, ცხოვრების, გამოცდილების, პარტიის მიერ სავსებით დადასტურებულ ჭეშმარიტებათა შესახებ, ვინც ფიქრობს, რომ «ოტზოვიზმი» არის «კანონიერი ელფერი» («ვპერიოდ», № 3, 1 9 1 1 წ. მ ა ი ს ი, გვ. 78), — ის პირდაპირ შლის თავის სახელს სოციალ-დემოკრატიის რამდენადმე სერიოზულ მიმართულებათა თუ მიმდინარეობათა რიცხვიდან).

ჯერ რამდენიმე შენიშვნა საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციის, დაყენებისა და გაძღოლის შესახებ. მის დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დასაწყებად საჭიროა, რომ რსდმ პარტიის არალეგალურმა პარტიულმა უ ჯ რ ე დ ე ბ მ ა გამოიჩინონ ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა და დაუყოვნებლივ გააჩაღონ მუშაობა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყველა და ყოველგვარ ლეგალურ და ნახევრადლეგალურ ორგანიზაციაში, ყველა დიდ ფაბრიკასა და ქარხანაში, მოსახლეობის ყველა ფენასა და ჯგუფში. დუხჭირ სინამდვილეს პირდაპირ უნდა გავუსწოროთ თვალი. სავსებით ჩამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციები ბევრგან სრულიად არ არის. არის სოციალ-დემოკრატიის ერთგული მუშათა ავანგარდი. არიან ცალკეული პირები, პატარა ჯგუფები. ამიტომ ინიციატიური შექმნა უჯრედებისა (— სიტყვა, რომელიც კარგად გამოხატავს იმ აზრს, რომ გარეგანი პირობები გვიკარნახებენ პატარ-პატარა, ძალიან მოქნილ ჯგუფთა, წრეთა და ორგანიზაციათა შექმნას) უნდა შეადგენდეს ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატის უპირველეს ამოცანას, თუნდაც ორი-სამი სოციალ-დემოკრატისაც, რომლებიც შესძლებენ რაიმე «ხელჩასაჭიდი» გამონახონ, ესა თუ ის კავშირი გააბან, დაიწყონ თუნდაც სულ მცირე, მაგრამ სისტემატური მუშაობა.

ჩვენი პარტიის ახლანდელ მდგომარეობაში ყველაზე უფრო საშიშია იმ დროის «ლოდინის» ტაქტიკა, როდესაც ჩამოყალიბდება რუსეთის გავლენიანი ცენტრი. ყველა სოციალ-დემოკრატმა იცის, რომ მუშაობა მის შესაქმნელად წ ა რ მ ო ე ბ ს, რომ საამისოდ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი გააკეთეს მათ, ვისაც უპირველეს ყოვლისა ეკისრება ასეთი მოვალეობა, მაგრამ ყველა სოციალ-დემოკრატმა უნდა იცოდეს აგრეთვე, რომ პოლიცია უზომო სიძნელეებს ქმნის — სულით არ უნდა დავეცეთ პირველი, მეორე და მესამე მარცხისთანავე! — ყველამ უნდა იცოდეს, რომ, როდესაც ასეთი ცენტრი შეიქმნება, მას დიდხანს მოუხდება ყველა ადგილებთან მტკიცე კავშირის ქსელის მოგვარება, იგი კარგა ხანს უნდა დასჯერდეს მხოლოდ ს ა ე რ თ ო პოლიტიკურ

ხელმძღვანელობას. გადადება რსდმ პარტიის ადგილობრივი, მტკიცე პარტიული, არალეგალური ინიციატიური უ ჯ რ ე-
დ ე ბ ი ს შექმნისა, რომელნიც მაშინვე იწყებენ არჩევნების მოსამზადებელ მუშაობას, მყისვე სდგამენ ყოველგვარ ნაბიჯებს პროპაგანდისა და აგიტაციის გასაჩაღებლად (არალეგალური სტამბები, ფურცლები, ლეგალური ორგანოები, «ლეგალური» სოციალ-დემოკრატი პარტიელების პატარ-პატარა ჯგუფები, სატრანსპორტო კავშირი დ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ.), — ამ მუშაობის გადადება ნიშნავს საქმის დაღუპვას.

სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც არჩევნებს ყველაზე მეტად იმ მხრივ აფასებს, როგორც ხალხის პოლიტიკური განათლების საქმეს, რა თქმა უნდა, ძირითადი საკითხია არჩევნებთან დაკავშირებული მთელი პროპაგანდისა და აგიტაციის იდეურ-პოლიტიკური შინაარსის საკითხი. ეს არის სწორედ საარჩევნო პლატფორმის საკითხი. ყოველი პარტიისათვის, რომელიც რამდენადმე მაინც ღირსია ამ სახელისა, პლატფორმა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არჩევნების დაწყებამდე უკვე წარმოადგენს ისეთ მონაცემ რამეს, რაც განგებ გამოგონილი კი არ არის «არჩევნებისათვის», არამედ აუცილებლად გამომდინარეობს პარტიის ყველა ს ა ქ მ ი-
დ ა ნ, მთელი მისი მუშაობის დაყენებიდან, მთელი მისი მიმართულებიდან ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში. და რსდმ პარტიას პლატფორმა უკვე აქვს, პლატფორმა უკვე არსებობს, იგი ბუნებრივად და აუცილებლად განსაზღვრულია პარტიის პრინციპებით და იმ ტაქტიკით, რომელიც პარტიამ
უ კ ვ ე შეიმუშავა, უ კ ვ ე გაატარა და ატარებს ხალხის პოლიტიკური ცხოვრების მთელ იმ ეპოქაში, რომელსაც არჩევნები ერთგვარად ყოველთვის «აჯამებს». რსდმ პარტიის პლატფორმა იმ მუშაობის შ ე ჯ ა მ ე ბ ა ა, რომელიც რევოლუციურმა მარქსიზმმა და მოწინავე მუშების მისდამი ერთგულმა ფენებმა ჩაატარეს 1908 — 1911 წლების ეპოქაში, კონტრრევოლუციის თარეშის ეპოქაში, «სამი ივნისის» «სტოლიპინური» რეჟიმის ეპოქაში.

ამ ჯამში შედის სამი უმთავრესი ელემენტი: 1) პარტიის პროგრამა; 2) მისი ტაქტიკა; 3) მის მიერ შეფასება ამა თუ იმ ხანის გაბატონებული თუ ყველაზე უფრო გავრცელებული ან დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველაზე უფრო მავნებელი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობებისა. უპროგრამოდ შეუძლებელია პარტია, როგორც რამდენადმე მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის შესძლებს შეინარჩუნოს ხაზი მოვლენათა ყველა და ყოველგვარი შებრუნების დროს. გარეშე ტაქტიკური ხაზისა, რომელიც ემყარება მიმდინარე პოლიტიკური მომენტის შეფასებას და იძლევა სწორ პასუხს თანამედროვეობის «წყეულ კითხვებზე», შესაძლებელია არსებობდეს თეორეტიკოსთა წრე და არა მოქმედი პოლიტიკური ერთეული. «აქტიურ», საჭირბოროტო თუ «მოდურ» იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა შეუფასებლად პროგრამა და ტაქტიკა შეიძლება გადაიქცეს მკვდარ «მუხლებად», რომელთა განხორციელება, პრაქტიკის ათასნაირი დეტალური, კონკრეტული და უაღრესად კონკრეტული საკითხებისადმი მომარჯვება წარმოუდგენელია საქმის ვითარების გაგებით, იმის გაგებით, თუ «რა გამოვა რისაგან».

რაც შეეხება იმ იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს, რომლებიც დამახასიათებელია 1908 — 1911 წლების პერიოდისათვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატიის ამოცანების გასაგებად, აქ პირველ რიგში დგება «ვეხელობა», როგორც კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბურჟუაზიის იდეოლოგია (იდეოლოგია, რომელიც სავსებით შეეფერება კ.-დ. პარტიის პოლიტიკას, რაც უნდა ილაპარაკონ მისმა დიპლომატებმა) და ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა, როგორც მუშათა მოძრაობასთან დაახლოებულ წრეებში იმავე დაცემულობისა და ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულება. ჩამოშორდი დემოკრატიას, შორს მასების მოძრაობისაგან, შორს რევოლუციისაგან — ასეთია «საზოგადოებაში» გაბატონებულ პოლიტიკური აზროვნების მიმართულებათა ლეიტმოტივი. შორს არალეგალური პარ-

ტიისაგან, განმათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ამოცანებისაგან, რევოლუციის დაცვის ამოცანისაგან — ასეთია ლეიტმოტივი მარქსისტებში გავრცელებული «ვეხელობისა», რომელიც დაბუდებულია ორგანოებში — «ნაშა ზარია» და «დელო ჟიზნი». რაც უნდა თქვან ვიწრო პრაქტიცისტებმა ან იმ ადამიანებმა, რომელნიც დაღლილობის გამო თავს არიდებენ მძიმე ბრძოლას რევოლუციური მარქსიზმისათვის ჩვენს მძიმე ეპოქაში, — არ არის «პრაქტიკის» ა რ ც ე რ თ ი საკითხი, სოციალ-დემოკრატიის არალეგალური და ლეგალური მუშაობის რომელიმე დარგის ა რ ც ე რ თ ი საკითხი, რომელზედაც პროპაგანდისტს და აგიტატორს შეეძლოს ზუსტი და სრული პასუხის გაცემა სტოლიპინური პერიოდის აღნიშნულ «აზროვნების მიმართულებათა» მთელი სიღრმისა და მთელი მნიშვნელობის შეუგნებლად.

ძალიან ხშირად სასარგებლოა, ხანდახან კი აუცილებელიც, რომ სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო პლატფორმას ამთავრებდეს წამოყენება არჩევნების მოკლე ზოგადი ლოზუნგისა, არჩევნების პაროლისა, სადაც აღნიშნული იქნება უახლოესი პოლიტიკური პრაქტიკის უძირითადესი საკითხები, მოცემული იქნება უაღრესად მარჯვე, უაღრესად ახლობელი საბაბი და მასალა ყოველმხრივი სოციალისტური ქადაგების გასაჩაღებლად. ჩვენი ეპოქისათვის ასეთი პაროლი, ასეთი ზოგადი ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ შემდეგი სამი მუხლი: 1) რესპუბლიკა, 2) მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, 3) რვა საათის სამუშაო დღე.

პირველი მუხლი შეიცავს პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნათა კვინტ-ესენციას. ამგვარ საკითხებში ჩვენი პარტიული პოზიციის გამოსახატავად ამ ტერმინით ან სხვა რომელიმე ტერმინით, მაგალითად «დემოკრატიზაციით» და სხვა, დაკმაყოფილება სწორი არ იქნებოდა იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენ პროპაგანდასა და აგიტაციაში რევოლუციის გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ. ორი სათათბიროს გარეკვა, დარბევების ორგანიზაცია, შავრაზმული ბრბოების

მხარის დაჭერა და შავრაზმელი გმირების შეწყალება, «ლიახოვის» საგმირო საქმეები სპარსეთში[95], 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება, მთელი რიგი შემდგომი «პატარ-პატარა coups d'état»-ები * ამ ნიადაგზე (87-ე მუხლი და სხვ.), — ასეთია ჩვენი რომანოვ — პურიშკევიჩ — სტოლიპინისა და კომპანიის მონარქიის საქმეთა სულ მოკლე ნუსხა. შეიძლება იყოს და ყოფილა ისეთი ისტორიული პირობები, როდესაც მონარქია ძალაუნებურად შერიგებია სერიოზულ დემოკრატიულ რეფორმებს, როგორიცაა, მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლება. მონარქია საერთოდ არის არა ერთგვაროვანი და უცვლელი, არამედ ძალიან მოქნილი და ბატონობის სხვადასხვა კლასობრივ ურთიერთობასთან შემგუებელი დაწესებულება. მაგრამ ამ უდავო აბსტრაქტული მოსაზრებებიდან XX საუკუნის რუსეთის კონკრეტული მონარქიის შესახებ დასკვნის გამოყვანა ისტორიული კრიტიკის მოთხოვნათა აბუჩად აგდება და დემოკრატიის საქმის ღალატი იქნებოდა.

ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი სახელმწიფო ძალაუფლების ისტორია — განსაკუთრებით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში — ცხადყოფს, რომ სწორედ მეფის მონარქია წარმოადგენს შავრაზმელი მემამულეების (მათ შორის პირველია — რომანოვი) იმ ბანდის ცენტრს, რომელმაც რუსეთი საშინელ საფრთხობელად გადააქცია არა მარტო ევროპისთვის, არამედ ახლა აზიისთვისაც, — ბანდისა, რომელმაც დღეს მოხელეების თვითნებობა, ძარცვა და ხაზინის ქურდვა, «უბრალო ხალხის» მიმართ სისტემატური ძალმომრეობა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ტანჯვა და წამება და სხვა სრულიად განსაკუთრებულ ზომამდე მიიყვანა. როცა ასეთია ჩ ვ ე ნ ი მონარქიის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი სახე, კონკრეტული ეკონომიური საფუძველი და პოლიტიკური ფიზიონომია, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ცენტრში, მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლების

* — სახელმწიფო გადატრიალებანი. რ ე დ.

მოთხოვნის დაყენება იქნებოდა არა იმდენად ოპორტუნიზმი, რამდენადაც საერთოდ უაზრობა. თუ ლაპარაკია მოთხოვნათა ცენტრალური მუხლის, როგორც საარჩევნო კამპანიის საერთო ლოზუნგის არჩევაზე, საჭიროა სხვადასხვა დემოკრატიული მოთხოვნები ჩამოვაყალიბოთ რამდენადმე სარწმუნო პერსპექტივისა და თანაზომიერების მიხედვით; მართლაცდა, შეუძლებელია მოსთხოვო პურიშკევიჩს ქალებისადმი ზრდილობიანი დამოკიდებულებისა და «უცენზურო» სიტყვების ხმარების უხერხულობის აღიარება, ილიოდორს — შემწყნარებლობა, გურკოსა და რეინბოტს — უანგარობა და პატიოსნება, ტოლმაჩოვსა და დუმბაძეს — კანონიერება და უფლებრივი რეჟიმი, ნიკოლოზ რომანოვს — დემოკრატიული რეფორმები, — შეუძლებელია ყოველივე ეს მოსთხოვო მათ ისე, რომ სიცილი არ გამოიწვიო მცოდნე ადამიანების მხრივ და არევდარევა არ შეიტანო უცოდინართა გონებაში!

დააყენეთ საკითხი, ასე ვთქვათ, ზოგად-ისტორიული თვალსაზრისით. უდავოა (ყველასთვის, გარდა ლარინისა და ერთი მუჭა ლიკვიდატორებისა), რომ ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში არ არის დამთავრებული. რუსეთი უახლოვდება რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ კრიზისს. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ რევოლუციის აუცილებლობა, უნდა ვიქადაგოთ მისი კანონიერება და «სარგებლიანობა». თუ ასეა, იმგვარად უნდა ვაწარმოოთ აგიტაცია პოლიტიკური თავისუფლებისთვის, რომ საკითხი დავსვათ მთელი თავისი სიფართოვით, მიზანი დავუსახოთ ძლევამოსილ, და არა შუა-გზაზე შეჩერებულ (როგორც 1905 წ.), მოძრაობას, წამოვაყენოთ ლოზუნგი, რომელსაც შეუძლია ენთუზიაზმი გამოიწვიოს რუსეთის ცხოვრებით დატანჯულთა, რუსად ყოფნის სირცხვილით განაწამებთა მასაში, ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად განახლებული რუსეთისაკენ რომ მიისწრაფიან. — დააყენეთ საკითხი პროპაგანდისტულ-პრაქტიკული თვალსაზრისით. ხომ არ შეიძლება არ განუმარტო უაღრესად უმეცარ გლეხსაც

კი, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს «სათათბირო», უფრო თავისუფლად და საყოველთაო-სახალხოდ არჩეული, ვიდრე პირველი სათათბირო. და როგორ მოვიქცეთ, რომ შეუძლებელი იყოს «სათათბიროს» გარეკვა? ეს შეუძლებელია მეფის მონარქიის დაუმხობლად.

შეიძლება გვიპასუხონ: რესპუბლიკის ლოზუნგის მთელი საარჩევნო კამპანიის პაროლად წამოყენება იმას ნიშნავს, რომ მოსპო ამ კამპანიის ლეგალურად წარმოების შესაძლებლობა, ნიშნავს იმას, რომ სერიოზულად არ მოეკიდო ლეგალური მუშაობის მნიშვნელობისა და აუცილებლობის აღიარებას. ასეთი პასუხი ლიკვიდატორების საკადრისი სოფიზმი იქნებოდა. შეუძლებელია რესპუბლიკაზე ლეგალურად ლაპარაკი (გარდა სათათბიროს ტრიბუნისა, საიდანაც შეიძლება და სავალდებულოა რესპუბლიკური პროპაგანდის წარმოება ს ა ვ ს ე ბ ი თ ლეგალობის ნიადაგზე დარჩენით), — მაგრამ შეიძლება წერა და ლაპარაკი დემოკრატიზმის დასაცავად ი ს ე, რომ არაფერი დაუთმო მონარქიასთან დემოკრატიზმის შემარიგებლობის იდეებს, — ი ს ე, რომ გავაწბილოთ და სასაცილოდ ავიგდოთ ლიბერალური და ნაროდნიკული მონარქისტები, — ი ს ე, რომ მკითხველმა და მსმენელმა ნათლად დაინახონ სწორედ მონარქიის, როგორც მონარქიის, კავშირი რუსეთში არსებულ უუფლებობასა და თვითნებობასთან. დიახაც, რუს ადამიანს მონობის მრავალსაუკუნოვანი სკოლა აქვს გავლილი: მას შეუძლია წაიკითხოს სტრიქონსა და სტრიქონს შუა და დაასრულოს ის, რაც ორატორს ბოლომდე არ უთქვამს. «ნუ იტყვი: არ შემიძლია, თქვი: არ მინდა» — აი როგორ უნდა ვუპასუხოთ სოციალ-დემოკრატიის ლეგალურ მოღვაწეებს, რომლებიც იტყვიან: ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის ცენტრში რესპუბლიკის მოთხოვნის წამოყენება «შეუძლებელიაო».

არა გვგონია საჭირო იყოს დიდხანს შევჩერდეთ მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის მოთხოვნის მნიშვნელობაზე. ისეთ დროს, როდესაც რუსეთის სოფლებში სტოლიპინის «რეფორმით» გამოწვეული გაუჩუმებელი კვნესაა, რო-

დესაც გამძაფრებული ბრძოლა წარმოებს, ერთი მხრივ, «ახალ მემამულეებსა», ჩაფრებსა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის მასას შორის, როდესაც — თვით კონსერვატიულ და რევოლუციის მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანთა მოწმობით — ძლიერდება წინათ არნახული გაბოროტება, — ასეთ დროს მთელი დემოკრატიული საარჩევნო პლატფორმის ცენტრში უნდა იდგეს აღნიშნული მოთხოვნა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ სწორედ ეს მოთხოვნა ნათლად გამიჯნავს თანამიმდევარ პროლეტარულ დემოკრატიას არა მარტო კადეტების მემამულური ლიბერალიზმისაგან, არამედ იმ ინტელიგენტ მოხელეთა მხრივ «ნორმებზე», «სამომხმარებლო ნორმებზე», «საწარმოო ნორმებზე», «გამთანაბრებელ განაწილებასა» და სხვა სისულელეზე ლაპარაკისგანაც, რაც ასე მოსწონთ ნაროდნიკებს და რასაც დასცინის ყველა გონიერი გლეხი. ჩვენთვის სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ «რამდენი მიწა ესაჭიროება გლეხს»: რუსმა ხალხმა უნდა მოახდინოს მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, რათა კისრიდან გადაიგდოს ბატონყმური ჩაგვრის უღელი ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთი ზომის მიუღებლად რუსეთი ვერასოდეს ვერ გახდება თავისუფალი, რუსი გლეხი ვერასოდეს ვერ იქნება ცოტად თუ ბევრად მაძღარი და გაცნობიერებული.

კიდევ უფრო ნაკლებ კომენტარს საჭიროებს მე-3 მუხლი: 8 საათის სამუშაო დღე. გაცოფებული კონტრრევოლუცია ართმევს მუშებს ცხრაას ხუთი წლის მონაპოვარს, და მით უფრო ძლიერდება მუშათა ბრძოლა შრომისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად; ამ გაუმჯობესებათა შორის კი პირველი ადგილი უჭირავს 8 საათის სამუშაო დღეს.

ნათქვამის შესაჯამებლად, შეიძლება ერთი სიტყვით გამოვთქვათ სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო პლატფორმის დედაარსი და სასიცოცხლო ნერვი: რევოლუციისათვის! ლევ ტოლსტოიმ სიკვდილის წინახანებში თქვა, და თქვა «ტოლსტოელობის» უარესი მხარეების დამა-

ხასიათებელი წუხილით, რუსმა ხალხმა არაჩვეულებრივ ჩქარა «ისწავლა რევოლუციის კეთებაო». ჩვენ ვწუხვართ მხოლოდ იმას, რომ რუსმა ხალხმა ბ ო ლ ო მ დ ე ვერ შეისწავლა ეს მეცნიერება, ურომლისოდაც იგი შეიძლება პურიშკევიჩების მონად დარჩეს მთელი საუკუნეების განმავლობაში. მაგრამ მართალია ის, რომ რუსეთის პროლეტარიატმა, თავისი მისწრაფებით საზოგადოების სრული სოციალისტური გარდაქმნისაკენ, საერთოდ რუს ხალხს და განსაკუთრებით რუს გლეხებს შეუდარებელი გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი მისცა ამ მეცნიერებაში. სტოლიპინის ვერაევითარი სახრჩობელები, «ვეხელების» ვერავითარი ჭაპანწყვეტა ვერ დაავიწყებინებს ხალხს ამ გაკვეთილებს. გაკვეთილი მოცემულია. გაკვეთილს ითვისებენ. გაკვეთილი განმეორდება.

რსდმ პარტიის პროგრამა, ჩვენი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძველი პროგრამა — ჩვენი საარჩევნო პლატფორმის საფუძველია. ჩვენი პროგრამა იძლევა ჩვენი სოციალისტური ამოცანების, სოციალიზმის საბოლოო მიზნის ზუსტ ფორმულირებას, ამასთან ისეთ ფორმულირებას, რომელიც განსაკუთრებით გამახვილებულია ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ. ისეთ ეპოქაში, როდესაც რეფორმიზმი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, თავს სწევს მაღლა, — და როდესაც, მეორე მხრივ, მრავლდება იმის მაჩვენებელი ნიშნები, რომ ყველაზე მოწინავე ქვეყნებში თავდება ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი პარლამენტარიზმის» პერიოდი და იწყება მასების რევოლუციური მღელვარების პერიოდი, — ასეთ ეპოქაში ჩვენს ძველ პროგრამას კიდევ უფრო მეტი (თუ შესაძლებელია აქ შედარებითი ხარისხი) მნიშვნელობა ეძლევა. რუსეთის მიმართ რსდმ პარტიის პროგრამა პარტიას უსახავს უახლოეს მიზანს: «მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით». პროგრამის სპეციალური განყოფილებანი, რომლებიც ეხება სახელმწიფო მართვა-გამგეობის საკითხებს, ფინანსებს, მუშათა კანონმდებლობას,

აგრარულ საკითხს, იძლევა ზუსტსა და გარკვეულ სახელმძღვანელო მასალას ყოველი პროპაგანდისტისა და აგიტატორის მ თ ე ლ ი ყოველმხრივი მუშაობისათვის, ჩვენი საარჩევნო პლატფორმის კონკრეტიზაციისათვის ამა თუ იმ აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს, ამა თუ იმ გარემოებისა და ამა თუ იმ თემის გამო.

რსდმ პარტიის ტაქტიკა 1908 — 1911 წლების ეპოქაში განსაზღვრულია 1 9 0 8 წ ლ ი ს დ ე კ ე მ ბ რ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი თ. ეს რეზოლუციები დადასტურებულია 1910 წლის იანვრის პლენუმის მიერ, შემოწმებულია მთელი «სტოლიპინური» პერიოდის გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ და იძლევიან მომენტისა და მისგან გამომდინარე ამოცანების ზუსტ შეფასებას. ძველი თვითმპყრობელობა კვლავინდებურად მთავარ მტრად რჩება, წინანდებურად მეორდება გარდუვალობა რევოლუციური კრიზისისა, რომლისკენაც ისევ მიექანება რუსეთი. მაგრამ ვითარება უკვე აღარ არის ძველებური, თვითმპყრობელობამ გადადგა «ნაბიჯი ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე», იგი ცდილობს გაამაგროს მებატონეთა მიწათმფლობელობა ახალი, ბურჟუაზიული აგრარული პოლიტიკით; იგი აგვარებს კავშირს მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის შავ-ყვითელ სათათბიროში; იგი იყენებს ლიბერალური ბურჟუაზიის ფართო კონტრრევოლუციურ (=«ვეხურ») სულისკვეთებას. კაპიტალიზმმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, კლასობრივი წინააღმდეგობა გამწვავდა, გათიშვა დემოკრატიულ ელემენტებსა და კადეტთა «ვეხურ» ლიბერალიზმს შორის უფრო აშკარა გახდა, სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობა მოედო ახალ სფეროებს (სათათბირო და «ლეგალური შესაძლებლობანი»), რაც საშუალებას იძლევა, მიუხედავად კონტრრევოლუციის მძვინვარებისა, გავაფართოოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მოქმედების სფერო არალეგალური ორგანიზაციების დიდი «განადგურების» პირობებშიც კი. ძველი რევოლუციური ამოცანები, რევოლუციური მასობრივი ბრძოლის ძველი, ნაცადი მეთოდე-

ბი — აი რას იცავს ჩვენი პარტია დაშლისა და რღვევის ეპოქაში, როდესაც ხშირად გვიხდება «თავიდან დაწყება», გვიხდება არა მარტო ძველებურად, არამედ ახლებურადაც, ახალი ხერხებით, შეცვლილ ვითარებაში ვაწარმოოთ მოსამზადებელი მუშაობა და ძალთა შეკრება ახალი ბრძოლების ეპოქისათვის.

«სოციალ-დემოკრატი» № 24,
1911 წ. 18 (31) ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან

«ნაშა ზარიას» მე-6, მე-7 და მე-8 ნომრების საგანია, უმთავრესად, საარჩევნო კამპანია და საარჩევნო პლატფორმა. ლიკვიდატორთა შეხედულების დედაარსი ამ თემაზე დაწერილ სტატიებში მიჩქმალულია არაჩვეულებრივ მრავალი ფრაზით — უზომოდ გაბერილი, ნაცოდვილარი, მაღალფარდოვანი ფრაზებით «პროლეტარიატის საბრძოლო მობილიზაციაზე», «მასების ფართო და აშკარა მობილიზაციაზე», «თვითმოქმედ მუშათა მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე», «თვითმმართველ კოლექტივებზე», «თვითცნობიერ მუშებზე» და სხვა და სხვა. იური ჩაცკი იქამდეც კი მივიდა, რომ ლაპარაკობს: პლატფორმას არათუ უნდა «ჩავუფიქრდეთ», არამედ უნდა «შევიგრძნოთ» კიდეცაო... ეს ფრაზები, რომელთაც, ალბათ, აღტაცებაში მოჰყავთ გიმნაზიელი ქალ-ვაჟნი, მკითხველს აყრუებენ და «ბურუსში ახვევენ», რის შემდეგ უკვე ადვილია კონტრაბანდის გაპარება.

აი, მაგალითად, ბ-ნი იური ჩაცკი აქებ-ადიდებს პლატფორმის მნიშვნელობას და ერთიანი პლატფორმის საჭიროებას. «ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ, — წერს ის, — სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის (პლატფორმის) სანქციას, იმ აუცილებელი პირობით კი, რომ ფრაქცია უმცირესი წინააღმდეგობის ხაზს არ გაჰყვება და საზღვარგარეთული წრეების მიერ თავსმოხვეულ პლატფორმას სანქციას არ მისცემს».

სწორედ ასეა დაბეჭდილი. და ამას წერს არა შავრაზმული ორგანო, რომელიც «ურიაზე» და ემიგრანტზე უსისიანებს,

არამედ «სოციალ-დემოკრატიული» ორგანო! რამდენად დაცემული უნდა იყვნენ ეს ვაჟბატონები, რომ თავიანთი პლატფორმისა და «საზღვარგარეთული წრეების» პლატფორმის პრინციპული განსხვავების განმარტების ნაცვლად საზღვარგარეთის წინააღმდეგ იყვირონ!

ამასთან იური ჩაცკი იმდენად მოუხერხებელია, რომ წამოროშავს, თუ რომელი წრის სახელით ატარებს ის თავის ლიკვიდატორულ ხაზს: «შესაძლებელი ცენტრალიზაციის ელემენტს წარმოადგენს — წერს ის — ჯგუფი სოციალ-დემოკრატი (??) მუშაკებისა, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მუშათა აშკარა მოძრაობასთან («ნაშა ზარიას» საშუალებით, არა?) და თანდათან უფრო მეტ სიმტკიცეს იძენენ»... (და თანდათან უფრო მეტ ლიბერალურ სახეს)... «ჩვენ ვგულისხმობთ მეტადრე პეტერბურგს»...

პირდაპირ უნდა ილაპარაკოთ, ბატონებო! კეკემალულობას თამაში არც გეკადრებათ და არც ჭკვიანურია: «ცენტრალიზაციის ელემენტად», პირდაპირ (ლიკვიდატორობის) ცენტრად თქვენ მიგაჩნიათ — და კანონიერადაც — პეტერბურგის «ნაშა ზარიას» თანამშრომელთა პატარა ჯგუფი. შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ლ. მარტოვი ცდილობს შუბი დამალოს, როცა თავისი სიტყვებით გადმოგვცემს სოციალ-დემოკრატიული პროგრამის, როგორც საარჩევნო პლატფორმის საფუძვლის, ლეგალურ დებულებებს. ამასთან ის ამბობს კარგ სიტყვებს, არც არაფერი უნდა «უარვყოთ» და არც არაფერი «შევკვეცოთო». ეს ნათქვამია მე-7 — 8 ნომრის 48-ე გვერდზე. ხოლო 54-ე გვერდზე, სტატიის ბოლო აბზაცში, ვკითხულობთ:

«მთელი საარჩევნო კამპანია ჩვენ (? ცხადია, «ნაშა ზარიამ» და «დელო ჟიზნიმ») უნდა ვაწარმოოთ პროლეტარიატის ბრძოლის დროშით (sic! *) თავისი პოლიტიკური თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის, ბრძოლისა—თავისი კლასობრივი პარტიის ყოლის უფლებისათვის და თავისი მოღვაწეობის

* — ასეა! რედ.

თავისუფლად განვითარების უფლებისათვის, პოლიტიკურ ცხოვრებაში დამოუკიდებელი ორგანიზებული ძალის სახით მონაწილეობისათვის. ამ პრინციპს უნდა დაემორჩილოს როგორც საარჩევნო აგიტაციის შინაარსი, ისე საარჩევნო ტაქტიკისა და საორგანიზაციო წინასაარჩევნო მუშაობის მეთოდები».

ჩინებული გადმოცემაა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მუშათა პლატფორმისა! მუშა სოციალ-დემოკრატი «კამპანიას აწარმოებს» მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს თავისუფლებისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბრძოლის «დროშით». მუშა ლიბერალი იბრძვის «თავისი კლასობრივი პარტიის (ბრენტანული, სოციალ-ლიბერალური აზრით) ყოლის უფლებისათვის». ასეთი პრინციპისადმი დამორჩილება ნიშნავს სწორედ დემოკრატიის საქმის ღალატს. ლიბერალურ ბურჟუებსაც და მთავრობის გაქნილ საქმოსნებსაც სწორედ ის უნდათ, რომ მუშები იბრძოდნენ «თავისი პოლიტიკური თვითგამორკვევის» თავისუფლებისათვის და არა მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის, — მარტოვი თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ლევიცკის ფორმულას: «ა რ ა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია»! მარტოვმა მოგვცა წმინდა წყლის «ნეოეკონომიზმის» ლოზუნგი. ეკონომისტები ამბობდნენ: მუშებს — ეკონომიური ბრძოლა, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლაო. ნეოეკონომისტები, ლიკვიდატორები, ამბობენ: საარჩევნო აგიტაციის მთელი შინაარსი დავუმორჩილოთ პრინციპს: მუშების ბრძოლა თავისი კლასობრივი პარტიის ყოლის უფლებისათვის.

შეგნებული აქვს თუ არა მარტოვს ამ სიტყვების აზრი? შეგნებული აქვს თუ არა მას, რომ ეს ნიშნავს პროლეტარიატის მიერ რევოლუციაზე უარისთქმას? «ბატონო ლიბერალებო, 1905 წელს ჩვენ თქვენს წინააღმდეგ რევოლუციაში ვაბამდით საერთოდ მასებს, კერძოდ გლეხებს, ჩვენ ვიბრძოდით ხალხის თავისუფლებისათვის წინააღმდეგ ლიბერალური ცდებისა — შეეჩერებინათ საქმე ნახევართავისუფლებაზე; ამიერიდან ჩვენ არ ავყვებით «გატაცებას» და ვიბრძოლებთ

ჩვენი კლასობრივი პარტიის თავისუფლებისათვის». «ვეხელი», კონტრრევოლუციური ლიბერალები (შეად. მეტადრე იზგოევის ნაწერები) სხვა რამეს არც მოითხოვენ მუშებისაგან. მუშების უფლებას — იყოლიონ თავისი კლასობრივი პარტია, ლიბერალები არ უარყოფენ. ისინი უარყოფენ პროლეტარიატის, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის, «უფლებას» — ბრძოლაში ჩაობას დ ა ბ ა ლ ი ფ ე ნ ე ბ ი ლიბერალების სურვილის მიუხედავად და ლიბერალების წინააღმდეგაც კი.

თავისი დაპირების შემდეგ — არც უნდა «უარვყოთ» და «არც შევკვეცოთო», მარტოვმა სწორედ ისე შ ე ჰ კ ვ ე ც ა სოციალ-დემოკრატიული პლატფორმა, რომ მას სავსებით დაეკმაყოფილებინა ლარინი, პოტრესოვი, პროკოპოვიჩი, იზგოევი.

ნახეთ, როგორ აკრიტიკებს მარტოვი პარტიის (1908 წლის დეკემბრის) ტაქტიკურ რეზოლუციას. «უხერხული ფორმულაოო», — ამბობს ის «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე ნაბიჯის გადადგმის» შესახებ, ვინაიდან «მასში ჰქრება რეალობა უ კ ა ნ გადადგმული ნაბიჯისა, ნაბიჯისა ძალაუფლების გაზიარებისაკენ აბსოლუტიზმის მატარებელთა და მიწათმფლობელ თავადაზნაურობას შორის», «მასში არა ჩანს კლასების გადამწყვეტი შეტაკების მომენტი» — ალბათ, ბურჟუა ლიბერალებსა და მებატონეებს შორის! ის კი ავიწყდება მარტოვს (ისე როგორც ავიწყდებათ ეს ლიბერალებს, რომელნიც მუშებს აბრალებენ «ექსცესებს»), რომ ლიბერალურ ბურჟუებს 1905 — 1907 წლებში შ ე ე შ ი ნ დ ა თ ფეოდალებთან «გადამწყვეტი შეტაკებისა», და მათ არჩიეს «გადაჭრით შეტაკებოდნენ» მუშებსა და გლეხებს. მარტოვი ხედავს თვითმპყრობელობის «უკან გადადგმულ ნაბიჯს» მებატონეებისაკენ (პარტიის რეზოლუციაში ზ უ ს ტ ა დ ა ა ნაჩვენები ეს ნაბიჯი: «შეუნარჩუნოს მებატონეებს მათი ძალაუფლება და მათი შემოსავალი»). მაგრამ მარტოვი ვერ ხ ე დ ა ვ ს ლიბერალური ბურჟუების «უკან გადადგმულ ნაბიჯს» დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი-დ ა ნ «წესიერებისაკენ», მონარქიისაკენ, მემამულეებთან

დაახლოებისაკენ. მარტოვი ვერ ხედავს ბურჟუაზიული მონარ-ქიისაკენ «გადადგმული ნაბიჯის» კავშირს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობასთან, ვეხელობასთან. ვერ ხედავს იმიტომ, რომ ის თვითონ «ვეხელია — მარქსისტებს შორის». ის ლიბერალურად ოცნებობს მებატონეებთან ლიბერალური ბურჟუების «გადამწყვეტ შეტაკებაზე» და უკუაგდებს მებატონეებთან მუშებისა და გლეხების რევოლუციური შეტაკების ისტორიულ რეალობას. მიუხედავად ლიბერალების მერყეობისა, მეტიც — მიუხედავად მათი გადასვლისაც კი წესრიგის პარტიაში.

შედეგი აქაც იგივეა: პარტიის რეზოლუციას მარტოვი უარყოფს ლიბერალური მუშათა პოლიტიკის თვალსაზრისით და არავითარ თავის ტაქტიკურ რეზოლუციას, სამწუხაროდ, არ უპირისპირებს მას (თუმცა მარტოვი იძულებულია აღიაროს — ტაქტიკა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს «სამი ივნისის პერიოდის ისტორიული აზრის» შეფასებასაო!).

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მარტოვი წერს: ...«მუშათა პარტიის მისწრაფება უნდა იყოს... აიძულოს შეძლებული კლასები გადადგან ესა თუ ის ნაბიჯი კანონმდებლობის დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციური გარანტიების გაფართოებისაკენ»... ყოველ ლიბერალს სავსებით კანონიერად მიაჩნია მუშათა მისწრაფება «აიძულონ შეძლებული კლასები» გადადგან ესა თუ ის ნაბიჯი — ლიბერალის პირობაა: მუშებმა არ გაბედონ აიძულონ ღარიბნი გადადგან ისეთი «ნაბიჯები», რომელნიც ლიბერალებს არ მოსწონთ. მთელი პოლიტიკა ინგლისელი ლიბერალებისა, რომლებმაც ასე საშინლად გარყვნეს ინგლისელი მუშები, იმაში მდგომარეობს, რომ ნება მიეცეთ მუშებს — «აიძულონ შეძლებული კლასები» და ნება არ მიეცეთ მუშებს — ჰეგემონია მოიპოვონ საერთო-სახალხო მოძრაობაში.

სავსებით გასაგებია აგრეთვე ჩაცკის, მარტოვის, დანის სიძულვილი «მემარცხენე ბლოკისტური» ტაქტიკის მიმართ. უკანასკნელი მათ ესმით არა როგორც «მემარცხენე ბლოკი»

არჩევნებში, არამედ როგორც ლონდონის ყრილობის მიერ დადგენილი ზოგადი ტაქტიკა: გ ა ვ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო თ გლეხები (და საერთოდ წვრილი ბურჟუები) კადეტების გავლენისაგან; ვ ა ი ძ უ ლ ო თ ნაროდნიკული ჯგუფები ა რ ჩ ე ვ ა ნ ი მ ო ა ხ დ ი ნ ო ნ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ამ ტაქტიკაზე ხელისაღება უ ა რ ყ ო ფ ა ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა: ამის არდანახვა ა ხ ლ ა, «სტოლიპინური პერიოდის» შემდეგ, «კადეტების სტოლიპინური ლიბერალიზმის» საგმირო საქმეების შემდეგ (მილიუკოვის ლონდონში წამოსროლილი ლოზუნგი: «მისი უდიდებულესობის ოპოზიცია»!), «ვ ე ხ ე ბ ი ს» შ ე მ დ ე გ შეუძლიათ მხოლოდ სტოლიპინურ სოციალ-დემოკრატებს.

არ უნდა შევქმნათ ილუზია: ჩვენ ო რ ი საარჩევნო პლატფორმა გვაქვს, — ეს ფაქტია. ამას ფრაზით, ჩივილით და სურვილებით ვერ აიცილებ თავიდან. ერთია — ზემოთ განმარტებული, პარტიის გადაწყვეტილებებზე დამყარებული პლატფორმა. მეორეა — პოტრესოვ-ლარინის პლატფორმა, განვითარებული და შევსებული ლევიცკის, იური ჩაცკისა და კომპანიის მიერ და შელამაზებული მარტოვის მიერ. ეს უკანასკნელი, ვ ი თ ო მ დ ა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი, პლატფორმა ნამდვილად ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მ უ შ ა თ ა პ ო ლ ი ტ ი კ ი ს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა ა.

ვისაც ვერ გაუგია მუშათა პოლიტიკის ამ ო რ ი პლატფორმის განსხვავება, შეურიგებელი განსხვავება, მას არ შეუძლია შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ გაუძღვეს საარჩევნო კამპანიას. მას ყოველ ფეხის გადადგმაზე მოელის იმედის გაცრუება, «გაუგებრობა», კომიკური თუ ტრაგიკული შეცდომები.

«სოციალ-დემოკრატი» № 24,
1911 წ. 18 (31) ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

შედეგი

ვიტეს და გუჩკოვის პოლემიკას გულმოდგინედ ჩასჭიდა ხელი საარჩევნო აგიტაციის მიზნით როგორც «რეჩმა», ისე «რუსსკიე ვედომოსტიმ». პოლემიკის ხასიათი ნათლად ჩანს «რეჩის» შემდეგი ტირადიდან:

«რა ხშირად ხდებოდნენ ბატონი ოქტიაბრისტები გუჩკოვის წინამძღოლობით და უფროსების გულის მოსაგებად ბ-ნ დურნოვოს თანამოაზრეთა კოლეგებად! უფროსთა თვალში შემყურენი, რა ხშირად აქცევდნენ ზურგს საზოგადოებრივ აზრს!».

ეს ნათქვამია იმის გამო, რომ ვიტე 1905 წ. ოქტომბერ-ნოემბერში ეთათბირებოდა ბატონებს ურუსოვს, ტრუბეცკოის, გუჩკოვს, მ. სტახოვიჩს სამინისტროს შედგენის შესახებ, — ამასთან უკანასკნელი სამი გადაჭრით წინააღმდეგი იყო დურნოვოს დანიშვნისა შინაგან საქმეთა მინისტრად.

ბატონი კადეტები ოქტიაბრისტებს უსაყვედურებენ, მაგრამ ამავე დროს საოცარ გულმავიწყობას იჩენენ თავიანთი საკუთარი წარსულის მიმართ. «ოქტიაბრისტები ხდებოდნენ დურნოვოს თანამოაზრეთა კოლეგებად». ეს მართალია. და ეს უეჭველად ამტკიცებს, რომ სასაცილო იქნებოდა გველაპარაკნა ოქტიაბრისტების დემოკრატიზმზე. მაგრამ ოქტიაბრისტები არც ჩემულობენ დემოკრატიზმს. კადეტები კი თავის თავს «კონსტიტუციურ დემოკრატებს» უწოდებენ. მაგრამ განა ეს «დემოკრატები», მაგალითად, ურუსოვის სახით, რომელიც დურნოვოს კანდიდატურას იცავდა ვიტესთან თათბირებზე, «დურნოვოს თანამოაზრეთა კოლეგები» არ აღმოჩნდნენ? განა ორივე პირველ სათათბიროში კადეტები, რო-

გორც პარტია, «უფროსთა თვალში შემყურენი» არ იყვნენ და «ზურგს» არ «აქცევდნენ საზოგადოებრივ აზრს»?

ხომ არ შეიძლება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების დავიწყება ან დამახინჯება. მოიგონეთ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების ისტორია I სათათბიროში. კადეტები წინააღმდეგი იყვნენ სწორედ «უფროსთა გულის მოსაგებად». კადეტები ამ საკითხში (I სათათბიროს ეპოქისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხში) უეჭველად «თვალში შეჰყურებდნენ უფროსებს» და «ზურგს აქცევდნენ საზოგადოებრივ აზრს», ვინაიდან ტრუდოვიკები და მუშათა დეპუტატები, რომელნიც წარმოადგენდნენ რუსეთის მოსახლეობის 9/10-ს, მაშინ ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებს უჭერდნენ მხარს. სხვა საკითხებშიც მრავალჯერ ყოფილა პარტიათა ასეთივე თანაფარდობა როგორც I, ისე II სათათბიროში.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლოთ კადეტებს ამ ფაქტების უარყოფა. ნუთუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ტრუდოვიკებს და მუშათა დეპუტატებს პირველ ორ სათათბიროში, რომ ამასთან ისინი გეიდენებთან, ოქტიაბრისტებთან და უფროსებთან ხელიხელჩაკიდებულნი არ იყვნენ? რომ ტრუდოვიკები და მუშათა დეპუტატები არ წარმოადგენდნენ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას საარჩევნო სისტემის გამო? ან იქნებ ჩვენი «დემოკრატები» საზოგადოებრივ აზრს უწოდებენ «განათლებული» (სახელმწიფო დიპლომების თვალსაზრისით) «საზოგადოების» აზრს და არა მოსახლეობის უმრავლესობის აზრს?

თუ ისტორიულად შევაფასებთ იმ პერიოდს, როდესაც სტოლიპინი პრემიერი იყო, ე. ი. 1906 — 1911 წლების ხუთწლეულს, მაშინ შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ არც ოქტიაბრისტები და არც კადეტები არ ყოფილან დემოკრატები. და რადგან მხოლოდ კადეტები ჩემულობენ ამ სახელწოდებას, ამიტომ სწორედ აქ კადეტების თავისმოტყუება და მათ მიერ «საზოგადოებრივი აზრის», მასების აზრის მოტყუე-

ბა განსაკუთრებით საგრძნობი და განსაკუთრებით მავნებელია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვინდა ვთქვათ, რომ ოქტიაბრისტები და კადეტები «ერთი რეაქციული მასაა», რომ ოქტიაბრისტები კადეტებზე არა ნაკლები ლიბერალები არიან. ჩვენ გვინდა ვუთხრათ მათ, რომ ლიბერალიზმი და დემოკრატია სხვადასხვა რამაა. ლიბერალებისთვის ბუნებრივია «საზოგადოებრივ აზრად» მიიჩნიონ ბურჟუაზიის აზრი და არა გლეხებისა და მუშების აზრი. დემოკრატი ვერ მიიღებს ასეთ თვალსაზრისს, და როგორი ილუზიაც უნდა ჰქონდეს მას ზოგჯერ მასის ინტერესებისა და მისწრაფებათა შესახებ, დემოკრატს ს წ ა მ ს მასა, მასების მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, მასის სულისკვეთების კანონიერება, მასის ბრძოლის მეთოდების მიზანშეწონილობა.

დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის ამ განსხვავების გახსენება მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო ბოროტად იყენებენ დემოკრატის სახელს. ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში არჩევნები ბურჟუაზიული პარტიებისათვის რეკლამის მიზნებს ემსახურება. მუშათა კლასისათვის არჩევნები და საარჩევნო ბრძოლა უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკური განათლებისა და პარტიათა ნ ა მ დ ვ ი ლ ი ბუნების გარკვევის მიზნებს. პოლიტიკურ პარტიებს ვერ შევაფასებთ მათი სახელწოდების, განცხადებების, პროგრამების მიხედვით, — ისინი უნდა შევაფასოთ მათი ს ა ქ მ ი ს მიხედვით.

მაგრამ ვიტეს და გუჩკოვის პოლემიკა, რომელიც შეეხო სტოლიპინის მინისტრობის კარიერის დაწყების საკითხს (გუჩკოვი, სხვათა შორის, ადასტურებს, რომ 1 9 0 5 წ ლ ი ს შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე სტოლიპინის კანდიდატურის წინააღმდეგ «საზოგადო მოღვაწეთაგან» ა რ ა ვ ი ს არ ამოუღია ხმაო), აყენებს კიდევ სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს.

პირველად, როცა (1905 წ. შემოდგომაზე) წამოაყენეს სტოლიპინის კანდიდატურა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, იგი წამოაყენეს ვიტეს და ლიბერალური ბურ-

ჟუაზიის წარმომადგენლების თათბირზე. I სათათბიროს ეპოქაშიც კი სტოლიპინმა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა, «კრიჟანოვსკის მეშვეობით ორჯერ მისცა წინადადება მურომცევს — განეხილათ კადეტური სამინისტროს შესაძლებლობა»; — ასე წერს გაზეთი «რეჩი» 6 სექტემბრის სარედაქციო სტატიაში და ამასთანავე დასძენს ფრთხილად და მორიდებით: «არის ცნობა», რომ სტოლიპინი ამგვარად იქცეოდაო. საკმარისია ძოვიგონოთ, რომ კადეტები წინათ ამგვარი «ცნობის» საპასუხოდ სიჩუმეს ან ლანძღვა-გინებას არჩევდნენ. ახლა კი თვითონვე მოჰყავთ ეს ცნობა და ამით, ცხადია, ადასტურებენ მის სისწორეს.

განვაგრძოთ. I სათათბიროს განადგურების შემდეგ, როდესაც სტოლიპინი პრემიერი გახდა, სამინისტროში შესვლის პირდაპირი წინადადება მიეცათ გეიდენს, ლევეს, მ. სტახოვიჩს. ამ «კომბინაციის» ჩაფუშვის შემდეგ, — «პირველ სათათბიროსა და მეორე სათათბიროს შუა სტოლიპინმა მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა გააბა გუჩკოვთან», და ეს ურთიერთობა, როგორც ვიცით, 1911 წლამდე გაგრძელდა.

რა შედეგი მოჰყვა ამას? სტოლიპინის კანდიდატურას მინისტრის თანამდებობაზე იხილავენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად, და მთელი თავისი მინისტრობის კარიერის განმავლობაში, 1906-დან 1911 წლამდე, სტოლიპინი ზედიზედ «წინადადებას» აძლევს ბურჟუაზიის სხვადასხვა წარმომადგენლებს, აბამს ან ცდილობს გააბას პოლიტიკური ურთიერთობა ჯერ კადეტებთან, შემდეგ მშვიდობიან განმაახლებლებთან და, ბოლოს, ოქტიაბრისტებთან. ჯერ სტოლიპინს, როგორც მინისტრობის კანდიდატს, «სთავაზობენ» «საზოგადო მოღვაწეებს», ე. ი. ბურჟუაზიის ბელადებს, შემდეგ კი სტოლიპინი, უკვე როგორც მინისტრი, მ თ ე ლ ი თ ა ვ ი ს ი კ ა რ ი ე რ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი, «წინადადებას» აძლევს მურომცევებს, გეიდენებს, გუჩკოვებს. სტოლიპინი ამთავრებს თავის კარიერას (ცნობილია, რომ სტოლიპინის გადადგომა უკვე გადაწყვეტილი იყო), როდესაც ა მ ო ი წ უ რ ა ბურ-

ჟუაზიის ყოველგვარ პარტიათა და ელფერთა მთელი წრე, რომელთათვისაც შეიძლებოდა «წინადადება» მიეცათ.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე დასკვნა აშკარაა. თუ ამჟამად კადეტები და ოქტიაბრისტები ერთმანეთს ედავებიან იმის შესახებ, თუ მათგან ვის უფრო მონურად ეჭირა თავი მინისტრების შესახებ თუ მინისტრებთან მოლაპარაკების დროს, ურუსოვს თუ გუჩკოვს, მურომცევს თუ გეიდენს, მილიუკოვს თუ სტახოვიჩს და სხვა და სხვა, — ამგვარი დავა წვრილმანია და მას შეუძლია მხოლოდ საზოგადოების ყურადღება ჩამოაშოროს სერიოზულ პოლიტიკურ საკითხს. ეს სერიოზული საკითხი კი აშკარად ის არის, რომ გავიგოთ პირობები და მნიშვნელობა რუსეთის სახელმწიფო წყობილების ისტორიის იმ განსაკუთრებული ეპოქისა, როდესაც მინისტრები იძულებული ხდებოდნენ სისტემატური «წინადადება» ეძლიათ ბურჟუაზიის ბელადებისათვის, როდესაც მინისტრებს შ ე ე ძ ლ ო თ ეპოვათ თუნდაც ერთგვარი საერთო ნიადაგი ამ ბელადებთან, საერთო ნიადაგი მოლაპარაკების წარმოებისა და განახლებისათვის. იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის უფრო ცუდად ეჭირა თავი ამ დროს, კარპს თუ ისიდორეს, — მნიშვნელობა აქვს იმას, რომ, ჯერ-ერთი, მემამულეთა ძველ კლასს უკვე აღარ შეეძლო მბრძანებლობა ბურჟუაზიის ბელადთათვის «წინადადების» მიუცემლად; მეორე, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახა მოლაპარაკების ს ა ე რ თ ო ნ ი ა დ ა გ ი ველურ მემამულესა და ბურჟუას შორის, და ეს ნიადაგი იყო კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო ბ ა.

სტოლიპინი მარტო იმ მემამულეების მინისტრი როდია, რომელთაც 1905 წელი განიცადეს; არა, ის ამავე დროს მინისტრია კონტრრევოლუციური სულისკვეთების ეპოქისა ბურჟუაზიაში, რომლისთვისაც მემამულეებს უნდა მიეცათ და შეეძლოთ მიეცათ წინადადება «მეხუთე წლისადმი» საერთო მტრობის გამო. ბურჟუაზიის ეს სულისკვეთება — თუნდაც ამჟამად მარტო კადეტებზე, ყველაზე მემარცხენე «ლიბერალურ» პარტიაზე რომ ვილაპარაკოთ — გამოიხატა როგორც «ვეხის» ქადაგებით, რომელიც ლაფს ასხამდა დემოკ-

რატიას და მასების მოძრაობას, ისე მილიუკოვის «ლონდონის» ლოზუნგითაც, კარაულოვის მრავალრიცხოვანი მოთაფლული სიტყვებითაც, ბერეზოვსკი მე-2-ის სიტყვითაც აგრარულ საკითხზე და სხვ.

აი საქმის ამ მხარეს ძალიან ხშირად ივიწყებენ ყველა ჩვენი ლიბერალები, მთელი ლიბერალური პრესა, ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსების ჩათვლით. ნამდვილად კი სწორედ საქმის ეს მხარეა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გვიხსნის იმ პირობების ისტორიულ განსხვავებას, როცა მემამულეები გუბერნატორებად და მინისტრებად ხდებოდნენ XIX საუკუნეში თუ XX საუკუნის დამდეგს და 1905 წლის შემდეგაც. კადეტური «რეჩი» ედავება გუჩკოვს და წერს (30 სექტემბრის «რეჩი»): «რუსეთის საზოგადოებას კარგად ახსოვს ოქტიაბრიზმის ფორმულარიო».

რა თქმა უნდა! ლიბერალურ საზოგადოებას კარგად ახსოვს «თავისი კაცების», ურუსოვებისა და მილიუკოვების წალაპარაკება გეიდენებთან, ლვოვებთან, გუჩკოვებთან, მაგრამ საერთოდ რუსეთის დემოკრატიას — და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიას — კარგად ახსოვს «ფორმულარი» მთელი ლიბერალური ბურჟუაზიისა, კადეტების ჩათვლით; მას კარგად ახსოვს, რომ 1905 წლის დიდმა ძვრამ აიძულა მემამულეები და მემამულური ბიუროკრატია ბურჟუაზიის მხარის დაჭერა ეძებნათ, ამ ბურჟუაზიამ კი თავისი მდგომარეობა ფრიად ღირსეულად გამოიყენა. იგი სავსებით ეთანხმებოდა მემამულეებს იმაში, რომ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტები ზედმეტი და მავნებელია, ის არ ეთანხმებოდა მათ მხოლოდ არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან, ჭეშმარიტად პრინციპულ საკითხში: დურნოვო თუ სტოლიპინი!

«ზვეზდა» № 26, 1911 წ. 23 ოქტომბერი
ხელმოწერა: ვ. ფ.

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ორი ცენტრი

მესამე სათათბიროს უკანასკნელი სესიის დასაწყისშივე ერთბაშად დაისვა საკითხი ამ დაწესებულების მუშაობის შედეგების შესახებ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ «რეჩის» სიტყვებით.

ამას წინათ ამ გაზეთის მოწინავე წერდა: «არის მთელი რიგი კენჭისყრანი, რომელნიც ფაქტიურად ასახავენ სათათბიროში «მემარცხენე ცენტრის» ბატონობას... სათათბიროს ნამდვილი მოღვაწეობა, რომელიც ცხოვრების ცოცხალ საჭიროებებსა და მოთხოვნებს ეხება, სესიის დაწყებიდანვე ურყევად და სისტემატურად მიიმართება — რა თქმა უნდა, არარსებული — მემარცხენე ცენტრის გეზით».

და, თითქოს «თვითონ» პრემიერი დაიჭირა წინააღმდეგობაშიო, გაზეთი სიხარულით აცხადებს: «ბ-მა კოკოვცოვმა (თავის პირველ გამოსვლაში) წარბშეუხრელად სამჯერ გამოუცხადა სრული სოლიდარობა (კადეტ) სტეპანოვის მოსაზრებებს».

უდავო ფაქტია: «მემარცხენე ცენტრი» არსებობს. ოღონდ საკითხავია, «სიცოცხლეს» მოწმობს თუ უძრაობას ამ ფაქტის არსებობა?

III სათათბიროში თავიდანვე ორი უმრავლესობა იყო. მარქსისტებმა ჯერ კიდევ 1907 წლის დამლევს, ამ სათათბიროს «მუშაობის» დაწყებამდე, მომენტისა და III სათათბი-

როს შეფასების ცენტრალურ პუნქტად წამოაყენეს «ორი უმრავლესობის» აღიარება და მათი დახასიათება.

პირველი უმრავლესობა — შავრაზმულ-მემარჯვენე ოქტიაბრისტული, მეორე — ოქტიაბრისტულ-კადეტური. III სათათბიროს საარჩევნო კანონიც სწორედ ისე ხრიკიანადაა შედგენილი, რომ ეს ორი უმრავლესობა გამოვიდეს. ჩვენი ლიბერალები ტყუილად იკატუნებენ თავს, თითქოს ვერ ხედავენ ამას.

არა შემთხვევამ და არა ცალკეულ პირთა რაიმე ვერაგულმა ანგარიშმა, არამედ 1905 — 1907 წლების კლასობრივი ბრძოლის მთელმა მსვლელობამ აიძულა მთავრობა სწორედ ამ გზას დასდგომოდა. უკანასკნელმა ამბებმა ცხადყვეს, რომ მოსახლეობის მასაზე «იმედის დამყარება» შეუძლებელია. წინათ, ამ «ამბებამდე», გაცვეთილი «სახალხო პოლიტიკის» ილუზიას შეიძლებოდა კიდევ ჰქონოდა გასავალი; ამ ამბებმა იგი დაამსხვრიეს. მთელი იმედი აშკარად, გაშიშვლებულად, ცინიკურად დამყარებულ იქნა ერთ მბრძანებელ კლასზე, პურიშკევიჩებისა და მარკოვების კლასზე, და ბურჟუაზიის თანაგრძნობასა თუ შეშინებაზე. ბურჟუაზიის ზოგიერთ თანრიგში სჭარბობდა მისწრაფება სისტემატური მხარის დაჭერისადმი (ოქტიაბრისტები), ზოგში კი — თანაგრძნობა ეგრეთწოდებული წესიერებისადმი ან შიში (კადეტები), — ეს განსხვავება სერიოზულ როლს არ ასრულებდა.

რუსეთის მ თ ე ლ ი პოლიტიკური სისტემის აღნიშნული ძვრა ჯერ კიდევ იმ საუბრებში დაისახა, რომელთაც 1905 წლის დამლევიდან ვიტე, ტრეპოვი, სტოლიპინი აწარმოებდნენ ურუსოვთან, ტრუბეცკოისთან, გუჩკოვთან, მურომცევთან, მილიუკოვთან. ეს ძვრა საბოლოოდ გამოირკვა და სახელმწიფოებრივ-დამფუძნებელ ფორმებად ჩამოყალიბდა მესამე სათათბიროში მისი ორი უმრავლესობით.

თუ რისთვის ესაჭიროება ახლანდელ პოლიტიკურ წყობილებას პირველი უმრავლესობა, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. ჰაგრამ ჩვეულებრივ ივიწყებენ, რომ მეორე, ოქტიაბრისტულ-კადეტური, უმრავლესობაც აუცილებელია მისთვის: თუ

«ბურჟუაზიული მოსარჩელე» არ ეყოლება, მთავრობა ვერ იქნება ის, რაც იგი არის; ბურჟუაზიასთან შეუთანხმებლად იგი ვერ იარსებებს; თუ არ ეცადნენ, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ წყობილებას და ბურჟუაზიულ განვითარებას შეარიგონ პურიშკევიჩები და მარკოვები, ისე ვერც ფინანსთა სამინისტრო და ვერც დანარჩენი სამინისტროები ვერ იარსებებენ.

და ახლა, თუ «მემარცხენე ცენტრი» დაუკმაყოფილებელია, მიუხედავად მისი მცირედი მოთხოვნებისა, ეს, რა თქმა უნდა, იმის მომასწავებელია, რომ იზრდება მ თ ე ლ ი ბურჟუაზიის რწმენა პურიშკევიჩთა საკურთხეველზე მიტანილი ბურჟუაზიის მსხვერპლის ამაოებისა.

მაგრამ «ცხოვრების ცოცხალი საჭიროება და მოთხოვნები» შეიძლება დაკმაყოფილდეს არა «მემარცხენე ცენტრის» ამ ოხვრითა და წუწუნით, არამედ მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი დემოკრატია შეიგნებს ცენტრის უძლურებისა და უბადრუკი მდგომარეობის მიზეზებს. ვინაიდან მთელი ცენტრი, აგრეთვე მემარცხენე ცენტრიც, კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგას: ისინი გმინავენ პურიშკევიჩებისაგან, მაგრამ მათ ა რ უ ნ დ ა თ დ ა ა რ ც შ ე უ ძ ლ ი ა თ გასძლონ უპურიშკევიჩებოდ. ამიტომ არის მწარე მათი ხვედრი, ამიტომ არის, რომ ამ მემარცხენე ცენტრს არ რგებია არც ერთი გამარჯვება, გამარჯვების არც ერთი ნამცეციც კი.

«მემარცხენე ცენტრი», რომელზედაც «რეჩი» ლაპარაკობს, არის სიკვდილი და არა სიცოცხლე, ვინაიდან მთელ ამ ცენტრს რუსეთის ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში შეეშინდა დემოკრატიისა და ზურგი აქცია მას. დემოკრატიის საქმე კი ცოცხალი საქმეა, ყველაზე ცოცხალი საქმეა რუსეთში.

ცხოვრების ცოცხალი საჭიროება და მოთხოვნები იკაფავს გზას ისეთ სფეროებში, რომლებიც დაშორებულია კადეტთა მთელი ყურადღების შთანმთქმელი «მემარცხენე ცენტრისაგან». რა თქმა უნდა, დაკვირვებულ მკითხველს არ შეეძლო არ შეენიშნა, როცა წაიკითხა, მაგალითად, «დამცველი განყო-

ფილების» გამო სათათბიროში გამართული კამათის ანგარიშები, — რომ საკითხის დაყენება პოკროვსკი მეორისა და განსაკუთრებით გეგეჭკორის სიტყვებში, როგორც ცა დედამიწისაგან, როგორც სიცოცხლე სიკვდილისაგან, ისე განსხვავდებოდა როდიჩევისა და მისი კომპანიის მიერ იმავე საკითხის დაყენებისაგან.

«ზვეზდა» № 28,
1911 წ. 5 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ძველი და ახალი

(გაზეთის მკითხველის შენიშვნებიდან)

როგორც კი აიღებ გაზეთებს ხელში — მყისვე ყოველ-მხრივ «ძველი» რუსეთის ატმოსფერო შემოგაწვება. ავიღოთ არმავირის დარბევის საქმე. ხოცვა-ყლეტა ხელისუფალთა ნებართვით და თანხმობით, უფროსთა მიერ დაგებული მახე, «ვილაცის მიერ შთაგონებული და ნაბრძანები» (სამოქალაქო მაძიებლის სიტყვები) «ხოცვა-ყლეტა რუსი ინტელიგენციისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით». რუსეთის ცხოვრების ძველი, მაგრამ მუდამ ახალი სინამდვილე, — «კონსტიტუციური» ილუზიების მწარე დაცინვა.

მწარე, მაგრამ სასარგებლო დაცინვა! ვინაიდან აშკარაა, — და რუსეთის ახალგაზრდა თაობისათვის სულ უფრო აშკარა ხდება, — რომ აქ ვერავითარი დაგმობა, ვერავითარი რეზოლუცია საქმეს ვერ უშველის. აქ საკითხი ეხება მთელ პოლიტიკურ სისტემას საერთოდ, აქ ისტორიული სიმართლე გზას იკვლევს ნაოცნებარი ტყუილის ბურუსში, თითქოს შესაძლებელი იყოს ახალი ღვინის ძველ ტიკში ჩასხმა.

შიმშილი... პირუტყვის გაყიდვა, ქალიშვილების გაყიდვა, მათხოვართა ბრბოები, სახადი, შიმშილით სიკვდილი, «მოსახლეობას მხოლოდ ერთი პრივილეგია აქვს — მოკვდეს წყნარად და შეუმჩნევლადო», — წერს ერთი კორესპონდენტი.

«ერობის მოღვაწეებს, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეეშინდათ, ვაითუ მთელი ჩვენი მამულებით მშიერ, გაბოროტებულ, სრულიად იმედდაკარგულ ადამიანთა შორის აღმოვჩნდეთო» (ყაზანის გუბერნიიდან).

თითქოს, ახლანდელ ერობაზე უფრო კეთილსაიმედო რა უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილად ერობასა და მთავრობას შორის დავაა გამართული სესხის რაოდენობის გამო. თხოულობენ 6 მილიონ მანეთს (ყაზანის გუბერნია) — ხაზინა იძლევა ერთ მილიონს. თხოულობდნენ 600 ათასს (სამარა) — გადაეგზავნათ 25 ათასი მანეთი.

ძველებურად!

ფსკოვის გუბერნიის ხოლმის მაზრაში საერობო კრებაზე საერობო აგრონომიის წინააღმდეგ, — მხოლოდ ხუტორელთათვის! — გაილაშქრეს საერობო უფროსებმაც კი. ყუბანში შესდგა სტანიცების ატამანთა ყრილობა — ყველამ ერთსულოვნად უარყო III სათათბიროს მიერ მიღებული გეგმა ნადელების პირად საკუთრებად განმტკიცების შესახებ.

ცარიცინში სამაზრო ყრილობამ დაადგინა — არ მისცეს სამართალში მამასახლისი, რომელმაც ქალი აწამა («დამნაშავის მოძებნის მიზნით»). საგუბერნიო საკრებულომ დადგენილება გააუქმა.

პეტერბურგის მიდამოებში მუშებმა ტომარა ჩამოაცვეს ფაბრიკის მმართველს ბ-ნ იაკოვლევს და წაათრიეს ნევისკენ. ჩაფრებმა გაჰფანტეს მუშები. დაპატიმრებულია თვრამეტი.

რაღა გასაკვირველია, რომ ცხოვრების ამგვარი სურათების შემხედვარე გაზეთი «რ ე ჩ ი ც» იძულებულია აღიაროს «დიდი საზოგადოებრივი სიბეჩავე». ხოლო ბ-ნი კონდუ· რუშკინი სამარიდან გამოგზავნილ წერილებში ჩივის შიმშილის შესახებ *: «ის, რუსეთის ეს საზოგადოება, წარმოდგენილი მყავს რეზინივით, ცომივით რბილ რამედ. შეიძლება დაზილო იგი და მოსრისო სიტყვითა და საქმით. მაგრამ მოშორდები თუ არა — კვლავ ძველ სახეს მიიღებს».

«ის, ეს რუსი ობივატელი და ინტელიგენტი, მდიდარი და ღარიბი, დამშვიდებულია. აი, როდესაც დაიწყებენ შიმშილისაგან «გასივებას», ის ხარობს და ცრემლმორეული ზეიმობს. ის აუცილებლად ცრემლმორეული, «კეთილშობილი» გრძნობებით უნდა წავიდეს დასახმარებლად.

* შეპყრობილი «საერთო-რუსეთის უმყუდროობის დარდით».

ამასთან მას კარგი შემთხვევა ეძლევა თავის სულზე იზრუნოს. ხოლო უგრძნობოდ, უცრემლოდ მუშაობა მუშაობას არა ჰგავს, და დახმარებაც დახმარება არაა. უცრემლოდ ის საქმესაც მნიშვნელოვნად არ ჩათვლის და ადგილიდანაც არ დაიძვრის. არა, ჯერ მას გული აუჩუყე, აატირე და სუფთა ცხვირსახოცით ცხვირი მოახოცინე. ხოლო მკაცრი ანგარიშიანობა, საღი და ფხიზელი შეგნება ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ა — ეს მოსაწყენია, აქ არაა გულჩვილობის განწყობილება».

დიახ, დიახ, «სიმკაცრის» ქადაგება ძალიან სასარგებლოა «ცომისა» და «რეზინის» სამეფოში. ოღონდ ჩვენს ლიბერალს ვერ შეუმჩნევია, რ ა მ ხ რ ი ვ ეწევა ის ასეთ ქადაგებას; «სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საღი და ფხიზელი შეგნება», — ეს თქვენ მენშიკოვისგან ხომ არ გადმოგიწერიათ, ბ-ნო კონდურუშკინ? რადგან სწორედ «ცომისა» და «რეზინის» ნიადაგზე, სწორედ გულჩვილი და ცრემლიანი განწყობილების ნიადაგზეა შესაძლებელი ამგვარი სიტყვები სახელმწიფოებრიობაზე. სწორედ იმიტომ გრძნობენ თავს მაგრად «საღი და ფხიზელი სახელმწიფოებრიობის» მქადაგებელნი, რომ მოიპოვებიან ცომისმაგვარი ადამიანები.

«რუსეთის საზოგადოება რეზინივით რბილია», — ამბობს ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ა დ ბ-ნი კონდურუშკინი. საზოგადოებაც არის და საზოგადოებაც. იყო დრო, როდესაც სიტყვა «საზოგადოება» ყველაფერს მოიცავდა, ყველაფერს ჰფარავდა, გამოხატავდა მოსახლეობის სხვადასხვაგვარ ელემენტებს, რომლებიც შეგნებული ცხოვრებისთვის იღვიძებდნენ, ან უბრალოდ — ეგრეთწოდებულ «განათლებულ» ადამიანებს.

მაგრამ სწორედ ამ მხრივ საქმის ვითარება რუსეთში უკვე ძველებური აღარაა. როდესაც შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ საზოგადოებაზე, მაშინ მისი საუკეთესო შვილნი მკაცრ ბრძოლას ქადაგებდნენ და არა «სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საღსა და ფხიზელ შეგნებას».

ახლა კი «საზოგადოებაზე» საერთოდ ლაპარაკი არ შეიძლება. ძველ რუსეთში გამოაშკარავდა ახალი ძალების განსხვავება. ძველი უბედურება, შიმშილისა და სხვათა სახით

რომ ძველებურად ევლინება რუსეთს, ძველ საკითხებს რომ ამწვავებს, — მოითხოვს იმის გათვალისწინებას, თუ როგორ გამოაშკარავდნენ ეს ახალი ძალები XX საუკუნის პირველ ათწლეულში.

«საზოგადოება» გულჩვილია და თვალცრემლიანი იმის გამო, რომ უძლური და მერყევია ის კლასი, რომელსაც იგი ემხრობა და 9/10-ით ეკუთვნის. «მკაცრი ანგარიშიანობის, სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საღი და ფხიზელი შეგნების» ქადაგება მხოლოდ გამართლებაა «უფროსების» ბატონობისა ამ ძაბუნ საზოგადოებაზე.

განვლილმა ათწლეულმა კი გვიჩვენა მოსახლეობის ის ელემენტები, რომელნიც «საზოგადოებას» არ ეკუთვნიან და გულჩვილობითა და თვალცრემლიანობით არ ხასიათდებიან...

რუსეთში ზემოთ ყველაფერი «ძველებურადაა», მაგრამ არის ცოტა რამ ახალი — ქვემოთ. ვისაც «საერთო-რუსეთის უმყუდროობის დარდი» დაანახვებს, აგრძნობინებს, მოაძებნინებს ამ მტკიცე, არა თვალცრემლიან, არა ცომისმაგვარ ახალს, ის შესძლებს მონახოს ძველისაგან ხსნის გზა.

ხოლო ვინც ამ დარდზე წუწუნებს და თანაც წარმოთქვამს სიტყვებს «სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საღი და ფხიზელი შეგნების» შესახებ, ის არა მგონია სამუდამოდ არ დარჩეს ისეთი «ცომის» შემადგენელ ნაწილად, რომელიც თავს «აზელინებს და ასრესინებს». ასეთ ადამიანებს სწორედ «საღი და ფხიზელი» სახელმწიფოებრიობის გულისათვის «ზელენ და სრესენ», — და ახიცაა.

თუ ასეთი ოპერაციის შემდეგ «საზოგადოების» ასი კაციდან ერთი მაინც გამაგრდება, ეს უკვე სასარგებლო შედეგი იქნება. გაუმიჯნავად არაფერი სიკეთე არ იქნება.

«ზვეზდა» № 28, 1911 წ. 5 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ფ.

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის სახელით წარმოთქმული სიტყვა პოლ და ლაურა ლაფარგების დაკრძალვაზე 1911 წ. 20 ნოემბერს (3 დეკემბერს)

ამხანაგებო!

ვიღებ სიტყვას, რათა რსდმ პარტიის სახელით გამოვთქვა ღრმა მწუხარების გრძნობა პოლ და ლაურა ლაფარგების სიკვდილის გამო. რუსეთის შეგნებულმა მუშებმა და ყველა სოციალ-დემოკრატმა ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციის მომზადების პერიოდში ისწავლეს ლაფარგის, როგორც მარქსიზმის იდეების ერთ-ერთი უნიჭიერესი და უდიდესი გამავრცელებლის ღრმა პატივისცემა. ეს იდეები ბრწყინვალედ დადასტურებულია კლასთა ბრძოლის გამოცდილებით რუსეთის რევოლუციასა და კონტრრევოლუციაში. ამ იდეების დროშით შეკავშირდა რუსეთის მუშათა მოწინავე რაზმი, თავისი ორგანიზებული მასობრივი ბრძოლით მან ლახვარი ჩასცა აბსოლუტიზმს და იცავდა და იცავს სოციალიზმის საქმეს, რევოლუციის საქმეს, დემოკრატიის საქმეს მიუხედავად ლიბერალური ბურჟუაზიის მთელი ღალატისა, ორჭოფობისა და მერყეობისა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატ მუშების გონებაში ლაფარგის სახით შეერთებულია ორი ეპოქა: ის ეპოქა, როდესაც საფრანგეთის რევოლუციურ ახალგაზრდობას ღრანგ მუშებთან ერთად იერიში მიჰქონდა იმპერიაზე რესპუბლიკური იდეების გულისათვის, — და ის ეპოქა, როდესაც საფრანგე-

თის პროლეტარიატი, მარქსისტების ხელმძღვანელობით, მტკიცე კლასობრივ ბრძოლას ეწეოდა მთელი ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ და ბურჟუაზიასთან უკანასკნელი ბრძოლისათვის ემზადებოდა სოციალიზმის დასამყარებლად.

ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატები, რომელნიც საშინელ ჩაგვრას განვიცდით აზიური ბარბაროსობით გაჟღენთილი აბსოლუტიზმის მხრივ და რომლებსაც ბედნიერება გვქონდა ლაფარგისა და მისი მეგობრების თხზულებებით უშუალოდ გავცნობოდით ევროპის მუშათა რევოლუციურ გამოცდილებას და რევოლუციურ აზროვნებას, — ჩვენ განსაკუთრებით აშკარად ვხედავთ დღეს, თუ რა სისწრაფით ახლოვდება იმ საქმის გამარჯვების ჟამი, რომლის დაცვას შესწირა ლაფარგმა მთელი თავისი სიცოცხლე. რუსეთის რევოლუციამ დაიწყო დემოკრატიულ რევოლუციათა ეპოქა მთელ აზიაში, და 800 მილიონი ადამიანი ახლა უშუალო მონაწილედ ებმება მთელი ცივილიზებული მსოფლიოს დემოკრატიულ მოძრაობაში. ევროპაში კი უფრო და უფრო მრავლდება იმის ნიშნები, რომ ბოლო ეღება ეგრეთწოდებული მშვიდობიანი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ბატონობის ეპოქას, რათა ადგილი დაუთმოს ორგანიზებული და მარქსიზმის იდეების სულისკვეთებით აღზრდილი პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლათა ეპოქას, პროლეტარიატისა, რომელიც დაამხობს ბურჟუაზიის ბატონობას და დაამყარებს კომუნისტურ წყობილებას.

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ჰაინდმანი მარქსის შესახებ

ამას წინათ გამოვიდა ინგლისის «სოციალ-დემოკრატიული პარტიის» ერთ-ერთი დამაარსებლისა და ბელადის ჰენრი მაიერს ჰაინდმანის ვრცელი მემუარები. თითქმის ხუთასგვერდიან წიგნს ეწოდება: «წერილები თავგადასავლით სავსე ცხოვრების შესახებ» *; იგი წარმოადგენს ცოცხლად დაწერილს მოგონებებს ავტორის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და «შესანიშნავ» ადამიანებზე, რომლებსაც ის იცნობდა. ჰაინდმანის წიგნი ბევრ საინტერესო მასალას იძლევა ინგლისის სოციალიზმის დასახასიათებლად და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესაფასებლად.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, დროული იქნება რამდენიმე პატარა სტატია მივუძღვნათ ჰაინდმანის წიგნს, განსაკუთრებით ლიბერალ დიონეოს სტატიით მემარჯვენე კადეტთა «რუსსკიე ვედომოსტის» (14 ოქტომბრის) «გალაშქრების» გამო; დიონეო იძლევა ამ საკითხების ლიბერალური გაშუქების ან, უფრო სწორად, დაბნელების საუცხოო ნიმუშს.

დავიწყოთ ჰაინდმანის მოგონებებით მარქსის შესახებ. ჰ. ჰაინდმანი მას მხოლოდ 1880 წელს გასცნობია; ეტყობა, ჰაინდმანს ძალიან ცოტა რამ სცოდნია მისი მოძღვრებისა და საერთოდ სოციალიზმის შესახებ. დამახასიათებელია ინგლისელთა ურთიერთობისათვის, რომ მანამდე ჰაინდმანი, რომელიც 1842 წელს დაიბადა, გაურკვეველი ელფერის «დემოკრატი» იყო, მას კონსერვატიულ პარტიაში (ტორიები) ჰქონდა

* «The Record of an Adventurous Life», by Henry Mayers Hyndman. London (Macmillan and C°). 1911.

ნაცნობობა და სიმპათიები. ჰაინდმანმა სოციალიზმისაკენ პირი იბრუნა «კაპიტალის» (ფრანგული თარგმანის) წაკითხვის შემდეგ, ამერიკაში თავისი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მოგზაურობის დროს 1874 და 1880 წლებს შუა.

როდესაც ჰაინდმანი, კარლ ჰირშის თანხლებით, მარქსთან გასაცნობად მიდიოდა, თავის გულში მას ადარებდა... მაძინის!

როგორი ხასიათისა იყო ჰაინდმანის ეს შედარება, ჩანს იქიდან, რომ მაძინის გავლენას ახლომახლო ადამიანებზე ის უწოდებს «პირადსა და ინდივიდუალურ-ეთიკურს», ხოლო მარქსის გავლენას — «თითქმის მთლიანად ინტელექტუალურსა და მეცნიერულს». მარქსთან ჰაინდმანი მიდიოდა, როგორც «დიდ ანალიტიკურ გენიოსთან», და ესწრაფოდა ესწავლა მისგან, — მაძინისა კი მას იზიდავდა ხასიათი, «აზრებისა და მოქმედების სიდიადე». მარქსი იყო, «უცილობლად, უფრო მძლავრი ჭკუა». ჰაინდმანს, უცილობლად, ძალიან ცუდად ესმოდა 1880 წელს (და სავსებით ვერც ახლა გაუგია — ამის შესახებ ქვემოთ) განსხვავება ბურჟუაზიულ დემოკრატსა და სოციალისტს შორის.

«როდესაც დავინახე მარქსი, — წერს ჰაინდმანი, — ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო: ძლიერი, გაბურძგნილი, დაუცხრომელი მოხუცი, რომელიც მზადაა — რომ არა ვთქვათ: ისწრაფის — ასტეჯოს კონფლიქტი და განწყობილია ერთგვარი ეჭვიანობით, თითქოს თავდასხმის დაუყოვნებლივი გამკლავების მოლოდინში იყოსო. მაგრამ ის თავაზიანად მომესალმა, და ასევე თავაზიანი იყო მისი პირველი სიტყვები. მე ვუთხარი. ჩემთვის დიდად სასიამოვნო და სასახელოა ხელი ჩამოვართვა «კაპიტალის» ავტორს-მეთქი; მან მიპასუხა, სიამოვნებით ვკითხულობდი თქვენს სტატიებს ინდოეთზე * და ქებით ვიხსენიებდი მათ გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულ ჩემს კორესპონდენციებშიო».

«როდესაც მარქსი გააფთრებული აღშფოთებით ლაპარაკობდა ლიბერალური პარტიის პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ირლანდიის მიმართ, — ძველი მებრძოლის პატარა, ღრმად ჩამჯდარი თვალები ინთებოდნენ, სქელი წარბები იჭმუხნებოდნენ, ფართო დიდი ცხვირი და სახე მოძრაო-

* ჰაინდმანი, ვიღრე ამ ბოლო ხანებში შოვინიზმისკენ იბრუნებდა პირს, მედგარი მტერი იყო ინგლისის იმპერიალიზმისა და 1878 წლიდან ეწეოდა მხილებათა კეთილშობილურ კამპანიას იმ სამარცხვინო ძალმომრეობის, უმსგავსობის, ძარცვისა და შეურაცხყოფის (პოლიტიკურ

ბას იწყებდნენ, და მისი ბაგიდან ნაკადივით მოდიოდა მხურვალე, მღელვარე ბრალდებანი, რომელთაც დამანახვეს მისი ტემპერამენტის მთელი მგზნებარებაც და ინგლისური ენის საუცხოოდ ცოდნაც. გასაოცარი კონტრასტი იყო მისი ლაპარაკის მანერასა, როდესაც მას დიდად აღელვებდა გულისწყრომა, და მთელ მის შესახედაობას შორის, როდესაც ის გამოსთქვამდა თავის შეხედულებებს განსაზღვრული პერიოდის ეკონომიურ მოვლენებზე. სრულიად თავისუფლად გადადიოდა ის წინასწარმეტყველისა და ძლიერი ტრიბუნის როლიდან მშვიდი ფილოსოფოსის როლზე, და მეც მეცხვე მივხვდი, რომ გაივლიდა მრავალი ხანგრძლივი წელი, ვიდრე ამ უკანასკნელი საკითხების სფეროში აღარ ვიგრძნობდი მის წინაშე თავს, როგორც მოწაფე მასწავლებლის წინაშე.

როდესაც ვკითხულობდი «კაპიტალს» და განსაკუთრებით მის მომცრო თხზულებებს, პარიზის კომუნისა და «18 ბრიუმერის» შესახებ, მე მაოცებდა ის, თუ როგორ აერთებდა ეკონომიურ მიზეზთა და სოციალურ შედეგთა უაღრესად ზუსტსა და ცივ გამოკვლევას უაღრესად მხურვალე სიძულვილთან კლასებისა და ცალკეული პირებისადმიც კი, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ნაპოლეონ III ან ტიერი, რომელნიც, მისივე საკუთარი თეორიით, მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების ჯაგერნაუტის ეტლის ბორბლებზე დასკუპებულ ბუზებს წარმოადგენდნენ. არ უნდა დაივიწყოთ, რომ მარქსი ებრაელი იყო, და მე მეგონა, რომ ის აერთებდა თავის პიროვნებაში, თავის ხასიათში, მთელ თავის ფიგურაში — შთამაგონებელი შუბლით, დიდი დაშვებული წარბებით, ფიცხი, მოელვარე თვალებით, ფართო გრძნობიერი ცხვირით, მოძრავი პირით, აწეწილი ბალნით ყოველმხრივ შემოსილი სახით, — მისი რასის დიდებულ წინასწარმეტყველთა მართალ რისხვას და სპინოზას და ებრაელ სწავლულთა ცივს ანალიტიკურ ჭკუას. ეს იყო სხვადასხვა ნიჭთა არაჩვეულებრივი შეხამება, რომლის მსგავსს არც ერთ ადამიანში არ შევხვედრივარ.

როდესაც მე და ჰირში გამოვემშვიდობეთ მარქსს, და ამ დიდი ადამიანის პიროვნების ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, ჰირში შემეკითხა, რა აზრისა ხარ მარქსზეო. «ვფიქრობ, — მივუგე მე, — ეს XIX საუკუნის არისტოტელეა». მაგრამ, ვთქვი თუ არა ეს, მაშინვე ვიგრძენი, რომ ასეთი განსაზღვრა არ მოიცავდა მთელ «სიგანეს». ავიღოთ უწინარეს ყოვლისა ის, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მარქსი, რომელიც თავის პიროვნებაში აერთებდეს კარისკაცის ფუნქციებს ალექსანდრე მაკედონელის მიმართ და ღრმა მეცნიერულ ღვაწლს, რამაც ასე ძლიერ დიდი გაკვლენა მოახდინა მრავალ თაობაზე. გარდა ამისა,

«დამნაშავეთა» გაწკეპლვის) წინააღმდეგ, რომლითაც დიდი ხანია სახელი გაითქვეს ინდოეთში ყველა პარტიის ინგლისელებმა — «განათლებული» და «რადიკალური» მწერლის ჯონ მორლის (Morley) ჩათვლით.

მარქსი, — მიუხედავად იმისა, რომ ეს ბევრჯერ უთქვამთ მასზე, — არასოდეს არ ეთიშებოდა ისე სრულად უშუალო ადამიანურ ინტერესებს, რათა ფაქტები და მათი ვითარება განეხილა იმ ცივი, მშრალი გაშუქებით, რაც დამახასიათებელია ძველი დროის უდიდესი ფილოსოფოსისათვის. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მარქსის აძულებელი გარემომცველი ექსპლოატაციისა და დაქირავებული მონობის სისტემისადმი● იყო არა მარტო ინტელექტუალური და ფილოსოფიური, არამედ უაღრესად პიროვნულიც.

მახსოვს, ერთხელ ვუთხარი მარქსს: რაც უფრო ხანში შევდივარ, მგონია, მით უფრო შემწყნარებელი ვხდები-მეთქი. «უფრო შემწყნარებელი? — მიპასუხა მარქსმა, — უ ფ რ ო შემწყნარებელი?» აშკარა იყო, რომ ის არ ხდება უფრო შემწყნარებელი. მე ვფიქრობ, მარქსის სწორედ ამ ღრმა სიძულვილმა არსებული ვითარებისადმი და მოწინააღმდეგეების მისმა გამანადგურებელმა კრიტიკამ შეუშალა ხელი შეძლებულ● კლასიდან გამოსულ მრავალ განათლებულ ადამიანს დაეფასებინათ მისი დიდებული ნაწარმოებების მთელი მნიშვნელობა და ესოდენ გმირებად გადააქცია მათ თვალში ბემბავერკისთანა მესამეხარისხოვანი ცრუმცოდნენი და ლოგომახები მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ამახინჯებდნენ მარქსს და ცდილობდნენ «გაებათილებინათ» იგი. ჩვენ ახლა მივეჩვიეთ, განსაკუთრებით ინგლისში, ვიბრძოლოთ ყოველთვის ისეთი ღაშნით, რომელსაც ბოლოზე დიდი და რბილი ბურთულები აქვს. ხმალამოღებული მარქსის გაშმაგებული თავდასხმა მოწინააღმდეგეებზე უმართებულობად ეჩვენებათ ჩვენებურ ჯენტლმენურად პირმოთნე სწავლულ დუელანტებს, მათ არ შეუძლიათ დაიჯერონ, რომ კაპიტალისა და კაპიტალისტების ასეთი მძვინვარე მტერი და ულმობელი პოლემისტი ნამდვილად იყო ჩვენი ეპოქის ყველაზე ღრმა მოაზროვნე».

1880 წელს მარქსს თითქმის არ იცნობდა ინგლისის საზოგადოება. მისი ჯანმრთელობა იმ დროს უკვე საგრძნობლად დასუსტდა, გაძლიერებულმა მეცადინეობამ (დღეღამეში 16 საათი და მეტი გონებრივი შრომა!) შეარყია მისი ორგანიზმი, ექიმებმა აუკრძალეს მას საღამოობით მუშაობა, და მე ვსარგებლობდიო, — მოგვითხრობს ჰაინდმანი, — მისი თავისუფალი საათებით და ვსაუბრობდი მასთან 1880 წლის დამლევიდან 1881 წლის დამდეგამდეო.

«ჩვენი საუბრის წესი საკმაოდ ორიგინალური იყო, მარქსს ჩვეულებად ჰქონდა ოთახში აჩქარებით ბოლთისცემა, როდესაც გახალისებდა კამათით, — თითქოს ზღვის ხომალდის ბანზე სეირნობსო. მეც

(ამერიკაში, ავსტრალიაში და სხვ.) ხანგრძლივი მოგზაურობის განმავლობაში ბოლთისცემის ასეთივე ჩვეულება დამჩემდა, როდესაც განსაკუთრებულ რამეზე ვფიქრობდი. და აი, დაინახავდით სურათს, როდესაც მასწავლებელი და მოწაფე ორ-სამ საათობით ბოლთასა ვცემდით ოთახში მაგიდის გარშემო და ვარკვევდით თანამედროვე ეპოქის საკითხებს და წარსული დროის საქმეებს».

თუ როგორი იყო მარქსის პოზიცია სხვადასხვა საკითხში, რომელთაც ის ჰაინდმანთან ერთად არკვევდა, ამას უკანასკნელი ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით არ გადმოგვცემს ა რ ც ე რ თ ს ა კ ი თ ხ ზ ე. ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ჰაინდმანი ყველაზე უფრო და თითქმის განსაკუთრებით ჩერდება საქმის ა ნ ე გ დ ო ტ უ რ მხარეზე: ეს შეესაბამება მისი წიგნის მთელ დანარჩენ შინაარსს. ჰაინდმანის ავტობიოგრაფია— ეს არის ბიოგრაფია ინგლისელი ბურჟუაზიული ფილისტერისა, რომელიც, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესო ადამიანი თავისი კლასისა, ბოლოს და ბოლოს გზას იკაფავს სოციალიზმისაკენ და სავსებით არასდროს არ თავისუფლდება ბურჟუაზიული ტრადიციებისა, ბურჟუაზიული შეხედულებისა და ცრურწმენისაგან.

ჰაინდმანი იმეორებს ფილისტერულ საყვედურებს მარქსისა და ენგელსის მიმართ, თითქოს ისინი იყვნენ «თვითმპყრობელნი» «ვითომდა დემოკრატიულ» ინტერნაციონალში, თითქოს მათ არ ესმოდათ პრაქტიკა, არ იცნობდნენ ადამიანებსაო და სხვა, და არც ერთხელ არ ცდილობს ერთი ასეთი საყვედური მაინც შეაფასოს სათანადო მომენტების ვითარების ზუსტი, კონკრეტული განმარტების მიხედვით.

გამოდის ანეგდოტი და არა მარქსისტის ისტორიული ანალიზი. მარქსი და ენგელსი ებრძოდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანების (ლასალიანელებთან) საქმეს, გაერთიანება კი საჭირო იყოო! ეს არის ყველაფერი, რასაც ჰაინდმანი ამბობს. იმის შესახებ, რომ მარქსი და ენგელსი პრინციპულად ათასჯერ მართალნი იყვნენ ლასალისა და ლასალიანელთა წინააღმდეგ, ჰაინდმანი კრინტსაც არა ძრავს. ჰაინდმანი ამ საკითხს არც კი აყენებს. იმის შესახებ, იყო თუ

არა ინტერნაციონალის ეპოქაში (ორგანიზაციული) «დემოკ-რატიზმი» საფარი ბურჟუაზიული სექტებისა, რომელნიც ხრწნიდნენ პროლეტარული სოციალ-დემოკრატიის მშენებ-ლობას, ჰაინდმანი არც კი ეკითხება თავის თავს.

ამიტომ მარქსთან ჰაინდმანის განხეთქილების ისტორიაც იმგვარადაა მოთხრობილი, რომ გარდა ჭორისა (ბატონ დიო-ნეოს მსგავსად) არაფერი გამოდის. ენგელსი, თურმე, ყოფილა «შარიანი, ეჭვიანი, უნდო» ადამიანი, მარქსის ცოლს ვითომ უთქვამს ჰაინდმანის ცოლისთვის, ენგელსი მარქსის «ბოროტი სული» (!!) იყოო; ენგელსი, რომელიც ჰაინდმანს თვალითაც არ უნახავს (წინააღმდეგ იმისა, რაც ბ-მა დიონეომ დაწერა «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი»-ში), ვითომ ცდილობდა «იმ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომელთაც ის ეხმარებოდა (ფულით; ენგელსი ძალიან მდიდარი იყო, მარქსი — ძალიან ღარიბი), აენაზღაურებინა თავისი ფულის სრული საცვლელი ღირებულება»: ვითომ მარქსი ჰაინდმანს წააჩხუბა სწორედ ენგელსმა, იმის შიშით, რომ ჰაინდმანს, რომელიც მაშინ მდი-დარი იყო, მისი, ენგელსის, როგორც მარქსის მდიდარი მე-გობრის, ადგილი არ დაეკავებინა!!

რა თქმა უნდა, ბატონ ლიბერალებს სიამოვნებას ჰგვრის სწორედ ამგვარი წარმოუდგენელი უგვანობის გადმოწერა. გაცნობა თუნდაც ზორგესადმი მიწერილი (მარქსისა და ენგელსის) იმ წერილებისა [96], რომლებსაც თვითონ ჰაინდმანი აღნიშნავს, და ყოველივე ამის გ ა რ კ ვ ე ვ ა, ეს, რასაკვირვე-ლია, სრულიადაც არ შეადგენს ლიბერალურ მჯღაბნელთა ინ-ტერესს! ამაზე ისინი არ ზრუნავენ! ნამდვილად კი ამ წერი-ლების გაცნობა, მათი შედარება ჰაინდმანის «მემუარებთან» ერთბაშად წყვეტს საქმეს.

1881 წელს ჰაინდმანმა გამოაქვეყნა ბროშურა — «ინგლი-სი ყველასათვის», სადაც ის სოციალიზმს ემხრობა, მაგრამ მეტისმეტად დაბნეულ ბურჟუაზიულ დემოკრატად რჩება. ბროშურა დაწერილია მაშინ ახლად აღმოცენებული (არა სო-ციალისტური) «დემოკრატიული ფედერაციისთვის», სადაც უამრავი ანტისოციალისტური ელემენტი იყო. და აი ჰაინდ-

მანმა თავისი ბროშურის ორ თავში თავისი სიტყვებით გადმოსცა და გადმოიწერა «კაპიტალი» მ ა რ ქ ს ი ს დ ა უ ს ა ხ ე ლ ე ბ ლ ა დ, მხოლოდ წინასიტყვაობაში ყრუდ ილაპარაკა, ერთ «დიდ მოაზროვნესა და ორიგინალურ მწერალზე», რომელმაც მას ბევრი რამ შესძინა და სხვა. სწორედ ამის გამო «წამაჩხუბა» მე მარქსს ენგელსმაო, — მოგვითხრობს ჰაინდმანი, — და ამავე დროს მოჰყავს მარქსის ერთი წერილი მისდამი (1880 წ. 8 დეკემბრისა [97]), სადაც მარქსი წერს, როგორც ჰაინდმანი ამბობს, რომ ის, ჰაინდმანი, «არ იზიარებს ჩემი (მარქსის) პარტიის შეხედულებას ინგლისის შესახებაო».

ცხადია, რაში იყო უთანხმოება, რაც ვერ გაიგო, ვერ შეამჩნია და ვერ შეაფასა ჰაინდმანმა: იმაში, რომ ჰაინდმანი მაშინ იყო (როგორც პირდაპირ სწერს კიდევაც მარქსი ზორგეს 1881 წლის 15 დეკემბერს) «გულკეთილი წვრილბურჟუაზიული მწერალი», «ნახევრად ბურჟუა, ნახევრად პროლეტარი». ცხადია, რომ, თუ ადამიანი, რომელიც მარქსს ეცნობა, რომელიც მას უახლოვდება, რომელიც მის მოწაფედ თვლის თავს, შემდეგ აარსებს «დემოკრატიულ» ფედერაციას და წერს მისთვის ბროშურას, სადაც ამახინჯებს მარქსიზმს და მარქსს არ იხსენიებს, — მარქსს არ შეეძლო «გაშმაგებული» პროტესტი არ განეცხადებინა ამის გამო. და, ჩანს, პროტესტი იყო, ვინაიდან მარქსს ზორგესთან მიწერილ იმავე წერილში მოჰყავს ადგილები ჰაინდმანის საბოდიშო წერილებიდან: ჰაინდმანი თავს იმართლებს იმით, რომ «ინგლისელებს არ უყვართ სწავლა უცხოელებისაგან», რომ «მარქსის სახელი ასე საძულველიაო» (!!) და სხვა. (თვითონ ჰაინდმანი ამბობს, რომ მას მოუსპია მარქსის თითქმის ყველა წერილი მისდამი, ასე რომ ამ მხრივ სიმართლის გაგებას არ უნდა მოველოდეთ).

კარგი ბოდიშის მოხდა კია, სწორედ მოგახსენოთ! და აი, როდესაც ჰაინდმანისა და მარქსის მაშინდელი უთანხმოების საკითხი სრული სიცხადით ირკვევა, როდესაც ჰაინდმანის მთელი ახლანდელი წიგნაკიც კი ამტკიცებს, რომ მის შეხედულებებში ბევრი რამ არის ფილისტერული და ბურჟუაზიული (მაგალითად, რა საბუთით იცავს ჰაინდმანი სიკვდილით დას-

ჯას სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის!), — მარქსთან განხეთქილების ასახსნელად გვთავაზობენ ენგელსის «ინტრიგებს», იმ ენგელსისა, რომელიც მარქსთან ერთად ორმოცი წლის განმავლობაში ერთ პრინციპულ ხაზს ატარებდა. დიახ, ჰაინდმანის მთელი დანარჩენი წიგნი რომ პირდაპირ ერთ კასრ თაფლს წარმოადგენდეს, ეს ერთი კოვზი კუპრიც საკმარისი იქნებოდა...

მეტად დამახასიათებლად აშკარავდება მარქსისა და ჰაინდმანის მაშინდელი უთანხმოება იმით, რასაც გადმოგვცემს ჰაინდმანი მარქსის მიერ ჰენრი ჯორჯის შეფასების შესახებ. ეს შეფასება ცნობილია მარქსის 1881 წლის 20 ივნისის წერილით ზორგესადმი. ჰაინდმანი იცავდა ჰ. ჯორჯს მარქსის წინაშე ისეთი საბუთებით, რომ «ჯორჯი უფრო მეტს ასწავლის შეცდომის ჩიჩინით, ვიდრე სხვა ადამიანები ასწავლიან ჰეშმარიტების სრული გადმოცემითო».

«მარქსს — წერს ჰაინდმანი — ამგვარი საბუთების შეწყნარების მოსმენაც არ უნდა. შეცდომის გავრცელება არასდროს არ იქნებოდა ხალხისთვის სასარგებლოო, ასეთი იყო მისი აზრი. «შეცდომის გაუბათილებლად დატოვება ნიშნავს ინტელექტუალური უპატიოსნების წაქეზებას. ათ კაცზე, რომელნიც ჯორჯზე შორს წავლენ, შეიძლება მოდიოდეს ასი ისეთი ადამიანი, რომელნიც ჯორჯის შეხედულებების ამარა დარჩებიან, ეს საფრთხე კი მეტად დიდია, რომ რისკი გავწიოთო»». ასე ამბობდა მარქსი!!

ჰაინდმანი კი გვეუბნება, რომ, ერთი მხრივ, ის ამჟამადაც იცავს თავის წინანდელ აზრს ჯორჯის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ჯორჯი იყო ბიჭუნა, რომელსაც კაპიკიანი სანთელი ეჭირა ხელში და ცელქობდა იმ ადამიანის გვერდით, რომელსაც ელექტრონის პროექტორი ჰქონდაო.

შედარება საუცხოოა, ოღონდ... ოღონდ ჰაინდმანის მხრივ სარისკო იყო ამ საუცხოო შედარების მოყვანა ენგელსის შესახებ თავისი უბადრუკი ჭორის გვერდით.

«ზვეზდა» № 31, 1911 წ. 26 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი

I

სწორედ ამგვარი სახელწოდების ღირსია ნ. რ-კოვის სტატია ჟურნალ «ნაშა ზარიას» მე-9 — 10 ნომერში[98].

რაც უნდა სამძიმო იყოს მარქსისტებისათვის ნ. რ-კოვის სახით ისეთი ადამიანის დაკარგვა, რომელიც აღმავლობის წლებში ერთგულებითა და ენერგიით ემსახურებოდა მუშათა პარტიას, საქმის ინტერესები მაინც მაღლა უნდა იდგეს ყოველგვარ პირად ან ფრაქციულ ურთიერთობაზე, ყოველგვარ «კარგ» მოგონებაზე. საქმის ინტერესები გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ახალი ლიკვიდატორის მანიფესტს დიდი სარგებლობა მოაქვს მის შეხედულებათა პირდაპირობით, სიცხადითა და სისრულით. ნ. რ-კოვი საშუალებას იძლევა და გვაიძულებს დავაყენოთ უმნიშვნელოვანესი და ძირითადი საკითხი «ორი პარტიის» შესახებ ყოველგვარი «საკონფლიქტო» მასალის გ ა რ ე შ ე, წმინდა იდეურ ნიადაგზე, მეტწილად ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაყოფის გარეშეც კი. რ-კოვის შემდეგ შეუძლებელია ლაპარაკი ლიკვიდატორობაზე მ ხ ო ლ ო დ ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ა დ, ვინაიდან მან საკითხი საბოლოოდ დააყენა უფრო მაღალ ნიადაგზე. და რ-კოვის შემდეგ შეუძლებელია ლიკვიდატორობაზე მ ხ ო ლ ო დ ლ ა პ ა რ ა კ ი, ვინაიდან ჩვენს წინაშეა უშუალო პრაქტიკულ მოქმედებათა უაღრესად მთლიანი პროექტი, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ნ. რ-კოვი იწყებს იმით, რომ განმარტავს «ძირითად ობიექტურ ამოცანას რუსეთში», შემდეგ გადადის რევოლუციის შეფასებაზე, მერე არკვევს მიმდინარე მომენტს, ნათლად და ზუსტად ახასიათებს თვითეულ კლასს, და ამთავრებს იმით,

რომ მკაფიოდ აგვიწერს ახალი «აშკარა პოლიტიკური მუშათა საზოგადოების» მთელ ფიზიონომიას, საზოგადოებისა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაარსდეს და «ფაქტიურად განხორციელდესო». ერთი სიტყვით, რ-კოვი იწყებს თავიდან და თანამიმდევრად მიდის ბოლომდე. როგორც შეეფერება ისეთ ადამიანს, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული აქვს თავისი სიტყვებისა და მოქმედების სერიოზული პოლიტიკური პასუხისმგებლობა. და რ-კოვის შესახებ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ის უაღრესი თანამიმდევრობით, თავიდან ბოლომდე, სცვლის მარქსიზმს ლიბერალიზმით.

აიღეთ მისი მსჯელობის გამოსავალი წერტილი. მას «სრულებით უეჭველად და უდავოდ» მიაჩნია, რომ «დღევანდელ მომენტში რუსეთის ძირითად ობიექტურ ამოცანას წარმოადგენს საბოლოოდ დამთავრება უხეში მტაცებლური, ნახევრად ბატონყმური სამეურნეო საქმიანობის შეცვლისა კულტურული კაპიტალიზმით». სადავოა, მისი აზრით, ის, მიაღწია თუ არა რუსეთმა ისეთ მდგომარეობას, როდესაც, «თუმცა გამორიცხული არ არის საზოგადოებრივი ქარიშხლის შესაძლებლობა, მაგრამ ახლო მომავალში ეს ქარიშხალი არ არის აუცილებელი და გარდუვალი».

ჩვენ სრულიად უეჭველად და უდავოდ მიგვაჩნია, რომ ეს არის საკითხის წმინდა ლიბერალური დაყენება. ლიბერალები იმას სჯერდებიან, იქნება თუ არა «კულტურული კაპიტალიზმი», იქნება თუ არა «ქარიშხლებიო». მარქსისტი ნებას არ გვაძლევს ამას დავჯერდეთ და მოითხოვს იმის განხილვას, თუ გასათავისუფლებელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში *რომელი კლასები, ან კლასთა ფენები* ატარებენ ამ განთავისუფლების, მაგალითად, ეგრეთწოდებული «კულტურული კაპიტალიზმის» ამა თუ იმ პოლიტიკური ფორმის შექმნის ამა თუ იმ, კონკრეტულად განსაზღვრულ ხაზს. მარქსისტები «ქარიშხლების» დროსაც და მაშინაც, როცა არავითარი ქარიშხალი არ არის, ატარებენ არა საერთოდ ცხოვრების «კულტურული», არამედ ჭეშმარიტად დემოკრატიული ფორმების შექმნის ხაზს, რომელიც ლიბერალიზმისაგან პრინცი-

პულად განსხვავდება. ჩვენ ყველანი ვისწრაფით «კულტურული კაპიტალიზმისკენაო», ამბობენ ლიბერალები, რომელთაც თავი მოაქვთ ზეკლასობრივ პარტიად. ჩვენ «კულტურად» ის არ უნდა გვესმოდეს, რასაც ლიბერალები ფიქრობენო, — ეუბნებიან მუშებს და მთელ დემოკრატიას მარქსისტები.

კიდევ უფრო რელიეფურია მარქსიზმის ტიპიურ-«პროფესორული» დამახინჯება რ-კოვის მიერ; ის აკრიტიკებს «ზერელე მეთვალყურეებს», რომელთაც «ჰგონიათ, რომ რევოლუცია არ გამოგვივიდა». «სუსტნერვებიანი ინტელიგენცია, — წერს რ-კოვი, — ყოველთვის და ყველგან ეძლეოდა ოხვრასა და წუწუნს, შემდეგ მორალურ პროსტრაციას, რენეგატობას, მისტიციზმს». «დაკვირვებულმა მეთვალყურემ კი» იცის, რომ «რეაქციის მძვინვარებაში ხშირად იხატება უღრმესი სოციალური ცვლილებები», რომ «რეაქციის ეპოქაში ყალიბდებიან და მწიფდებიან ახალი სოციალური ჯგუფები და ძალები».

ასე მსჯელობს რ-კოვი. მან «რენეგატობის» საკითხი იმდენად ფილისტერულად (თუმცა მეცნიერული სიტყვებით) დააყენა, რომ რუსეთში კონტრრევოლუციური სულისკვეთების კავშირი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ კლასთა მდგომარეობასა და ინტერესებთან სრულიად გაჰქრა. არც ერთი ვეხელი, ე. ი. თავგამოდებული კონტრრევოლუციური ლიბერალი, არ იდავებს იმაზე, რომ რეაქციის დროს მწიფდებიან ახალი ძალები, არც ერთი თანამშრომელი ლიკვიდატორული ხუთტომეულისა, რომელსაც ზურგი შეაქციეს საუკეთესო მენშევიკებმა, არ იტყვის უარს ამაზე. ჩვენი ისტორიკოსის სტატიაში ჩვენი კონტრრევოლუციის კონკრეტული სახე და კლასობრივი ხასიათი გაჰქრა, დარჩა გაცვეთილი და უშინაარსო ფრაზები ზოგი ინტელიგენტის სუსტნერვიანობისა და ზოგის — დინჯი დამკვირვებლობის შესახებ. მარქსისტისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, თუ როგორ გამოააშკარავა ჩვენმა რევოლუციამ სხვადასხვა კლასის მოქმედების სხვადასხვა მეთოდები და სხვადასხვა მისწრაფებანი და რატომ გამოიწვია ამან სხვა ბურჟუაზიული კლასების «რენეგატული» დამოკიდებულება «კულტურისათვის» ბრძოლისადმი, რ-კოვს შეუმჩნეველი დარჩა.

გადავიდეთ უმთავრესზე: რ-კოვის მხრივ მომენტის შეფასებაზე, რომელიც ემყარება ყველა კლასის მდგომარეობის შეფასებას. ავტორი იწყებს «ჩვენი მსხვილი მიწათმფლობელობის წარმომადგენლებით» და ამბობს: «ამ ცოტა ხნის წინათ ისინი მასობრივად ნამდვილი მებატონენი, ტიპიური თავადაზნაური მემამულეები იყვნენ (იყვნენ!). ამჟამად ცოტანილა დარჩნენ ეს უკანასკნელი მოჰიკანები. მათი მცირერიცხოვანი ჯგუფი კიდევ შემოკრებილა ბატონ პურიშკევიჩისა და მარკოვ მეორის ირგვლივ და უძლურად (!) ჰყრის პირიდან სასოწარკვეთილებით მოშხამულ დორბლს... ჩვენებურ მსხვილ მიწათმფლობელთა — თავადაზნაურთა და არათავადაზნაურთა უმრავლესობა, რომელსაც სათათბიროში ნაციონალისტები და მემარჯვენე ოქტიაბრისტები წარმოადგენენ, თანდათან და განუხრელად გარდაიქმნება ხოლმე სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიად».

ასეთია «მომენტის შეფასება» რ-კოვის სტატიაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს შეფასება სინამდვილის აბუჩად აგდებაა. ნამდვილად ის «მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც შემოკრებილა ბატონ პურიშკევიჩისა და მარკოვ მეორის ირგვლივ», უძლური კი არა, ყოვლად ძლიერია. სწორედ მის ბატონობას და მის შემოსავალს უზრუნველყოფენ რუსეთის თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებანი, სწორედ მისი ნება წყვეტს საკითხს საბოლოო ანგარიშით, სწორედ იგი შეადგენს იმ ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს თავიდან ბოლომდე ეგრეთწოდებული ბიუროკრატიის მოქმედების მთელ მიმართულებასა და მთელ ხასიათს. ყოველივე ეს იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, რუსეთში სწორედ ამ ჯგუფის ბატონობის ფაქტები იმდენად აშკარა და ყოველდღიურია, რომ ჭეშმარიტად უსაზღვრო ლიბერალური თვითკმაყოფილებაა საჭირო მათ დასავიწყებლად. რ-კოვის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის სასაცილოდ აზვიადებს ბატონყმური მეურნეობის «გარდაქმნას» ბურჟუაზიულ მეურნეობად, — ეს ერთი; მეორეც, ის ივიწყებს «წვრილმანს», — სწორედ ისეთს «წვრილმანს», რომელიც განასხვავებს

მარქსისტს ლიბერალისაგან, — სახელდობრ: მეურნეობის გარდაქმნასთან პოლიტიკური ზედნაშენის შეგუების პროცესის სირთულეს და ნახტომისებურობას. რ-კოვის ორივე ამ შეცდომის ასახსნელად საკმარისია მივუთითოთ პრუსიის მაგალითზე, სადაც, მიუხედავად საერთოდ კაპიტალიზმის განვითარებისა და კერძოდ ძველი მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიულ მეურნეობად გარდაქმნის გაცილებით უფრო მაღალი დონისა, ოლდენბურგები და ჰეიდებრანდები დღემდე ყოვლად ძლიერნი რჩებიან, ხელთ უპყრიათ სახელმწიფო ძალაუფლება — და თავისი, ასე ვთქვათ, სოციალური შინაარსით ავსებენ მთელ პრუსიის მონარქიას, მთელ პრუსიის ბიუროკრატიას! პრუსიაში დღემდე, 1848 წლიდან 63 წლის შემდეგ, მიუხედავად კაპიტალიზმის უმაგალითო სწრაფი განვითარებისა, ლანდტაგის საარჩევნო უფლება ისეთი რჩება, რომ უზრუნველყოფილია პრუსიელი პურიშკევიჩების ყოვლად ძლიერება. რ-კოვი კი რუსეთისათვის, 1905 წლიდან ექვსი წლის შემდეგ, პურიშკევიჩების «უძლურების» არკადიულ იდილიას გვიხატავს!

მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ არკადიული იდილიის დახატვა — პურიშკევიჩული გარდაქმნისა და «ფრიად ზომიერი ბურჟუაზიული პროგრესიზმის გამარჯვების» «განუხრელობის» შესახებ — ძირითადი მოტივია რ-კოვის ყ ვ ე ლ ა მსჯელობისა. აიღეთ მისი მსჯელობა თანამედროვე აგრარული პოლიტიკის შესახებ. (ბატონყმური მეურნეობის ბურჟუაზიულ მეურნეობად) გარდაქმნის იმაზე «უფრო მკაფიო და ფართო ილუსტრაცია არ არსებობს», ვიდრე ეს პოლიტიკაო, აცხადებს რ-კოვი. ისპობა მიწის ხარვეზიანობა, ხოლო «მცირემიწიანობის მოსპობა 20 შავნიადაგიან სამიწათმოქმედო გუბერნიაში არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს და შეადგენს ამ დროის ერთ-ერთ უახლოეს მორიგ ამოცანას, რომელიც კიდეც გადაწყდება, ალბათ, კომპრომისით ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფს შორის».

«ამ აუცილებელ კომპრომისს, რომელიც წინ გვეხატება აგრარულ საკითხში, დღეს უკვე მთელი რიგი პრეცედენტები აქვს»...

აი რ-კოვის პოლიტიკური მსჯელობის მეთოდის სრული ნიმუში. ის იწყებს იმით, რომ ჰკვეთს უკიდურესობებს — ყოველგვარი მონაცემების გარეშე, პირდაპირ თავისი ლიბერალური გულკეთილობის გამო! განაგრძობს იმით, რომ კომპრომისი ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფს შორის ძნელი არ არის და მოსალოდნელიაო. ამთავრებს იმით, რომ ამგვარი კომპრომისი «აუცილებელიაო». ამგვარი მეთოდით შეიძლებოდა დამტკიცებულიყო «ქარიშხლის» შეუძლებლობა და არა აუცილებლობა როგორც 1788 წლის საფრანგეთში, ისე 1910 წლის ჩინეთში. რა თქმა უნდა, კომპრომისი ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფს შორის ძნელი არ არის, თუ მივიღებთ, რომ მარკოვი მე-2 მოკვეთილია არა მარტო რ-კოვის გულმოწყალე ფანტაზიაში. მაგრამ ამის მიღება ნიშნავს სწორედ ლიბერალის თვალსაზრისზე გადასვლას, ლიბერალისა, რომელიც შიშობს შეელიოს მარკოვ მეორეებს და ფიქრობს, რომ ყველანი ყოველთვის შიშში იქნებიანო.

რა თქმა უნდა, კომპრომისი «აუცილებელია», თუ (პირველი «თუ») მარკოვები არ არიან; თუ (მეორე «თუ») მუდმივი პოლიტიკური ძილით სძინავთ მუშებს და გაჩანაგებულ გლეხებს. მაგრამ კვლავ ასეთი ვარაუდის დაშვება, მეორე «თუ»-ს მიღება, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ (ლიბერალისთვის) სასურველი სინამდვილედ მიიღო?

II

რადგან ლიბერალური სურვილებისა ან ლიბერალური ვარაუდების სინამდვილედ მიღებას არ ვაპირებთ, ამიტომ სხვანაირი დასკვნა გამოგვყავს: უეჭველია, თანამედროვე აგრარულ პოლიტიკას ბურჟუაზიული ხასიათი აქვს. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ ბურჟუაზიულ პოლიტიკას წარმართავენ პურიშკევიჩები, რომელნიც მდგომარეობის ბატონ-პატრონნი რჩებიან, სწორედ ამიტომ ისე დიდად მწვავდება წინააღმდეგურობანი, რომ კომპრომისის შესაძლებლობა, ყოველ შემთხვევაში უახლოესი დროისათვის, პირდაპირ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

მეორე მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი — განაგრძობს თავის ანალიზს რ-კოვი — ეს არის მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის კონსოლიდაციის პროცესი. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს კადეტებისა და ოქტიაბრისტების «ურთიერთ დათმობას» და ასეთ დასკვნას აკეთებს: «ნუ მივეცემით ილუზიებს: მზადდება მეტად ზომიერი ბურჟუაზიული «პროგრესიზმის» გამარჯვება».

გამარჯვება სად? ვისზე? IV სათათბიროს არჩევნებში, რაზედაც ეს-არის ახლა ლაპარაკობდა რ-კოვი? თუ ჰო, ეს იქნება «გამარჯვება» იმ ვიწრო ფარგლებში, რომელთაც წარმოადგენს 1907 წ. 3 ივნისის საარჩევნო კანონი. აქედან კი აუცილებლად ორში ერთი გამომდინარეობს: ან ეს «გამარჯვება» არავითარ ტალღას არ შეჰქმნის და სრულიად არაფერს შესცვლის პურიშკევიჩთა ფაქტიურ ბატონობაში, ანდა ეს «გამარჯვება» არაპირდაპირ გამოხატავს დემოკრატიულ აღმავლობას, რომელიც არ შეიძლება მძაფრად არ შეეჯახოს აღნიშნულ «ვიწრო ფარგლებს» და პურიშკევიჩთა ბატონობას.

ორივე შემთხვევაში ზომიერების გამარჯვებით ზომიერ ფარგლებში ჩაყენებულ არჩევნებში ზომიერების არავითარ გამარჯვებას არ ვღებულობთ ცხოვრებაში. მაგრამ საქმეც ისაა, რომ რ-კოვს უკვე ისეთი «საპარლამენტო კრეტინიზმი» დასჩემდა, რომლის გამო ის ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევს სამი ივნისის არჩევნებს და ცხოვრებას! მკითხველს რომ ეს წარმოუდგენელი ფაქტი დავუმტკიცოთ, ძალაუნებურად გვიხდება რ-კოვის სტატიიდან ამ ადგილის სრულად მოყვანა:

«და ეს გამარჯვება მით უფრო მოსალოდნელია, რომ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მასა, რომელიც «გატეხილი ვარცლის» აჩრდილის ჭვრეტით ობივატელურად ნაღვლობს, უმწეოდ აჰყვება ზომიერ პროგრესიზმს. გლეხობა კი მეტად სუსტია არჩევნებში, ჩვენი საარჩევნო სისტემის თავისებურების გამო, რაც საშუალებას აძლევს საგუბერნიო ამრჩეველთა კოლეგიაში გაბატონებულ მიწათმფლობელებს გლეხებისაგან დეპუტატებად «მემარჯვენენი» აირჩიონ. ასეთია იმ სოციალურ ცვლილებათა სურათი, რაც ამჟამად ხდება რუსეთში, თუ ჯერჯერობით განზე დავტოვებთ მუშათა კლასს. ეს სურათი სრულიადაც არ გამოხატავს შეფერ-

ხებას ან უკუსვლითს მოძრაობას. ახალი ბურჟუაზიული რუსეთი, უეჭველია, მაგრდება და წინ მიდის. კონსერვატიულ სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიასთან ერთად (ინგლისი, ეს არის და ეს!) ზომიერ-პროგრესული სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის მომავალი ბატონობის პოლიტიკურ სანქციას წარმოადგენს სახელმწიფო სათათბირო, რომელიც ემყარება 1907 წ. 3 იუნისს დადგენილ საარჩევნო ნორმებს. (ვტოვებთ შედარებას საფრანგეთსა და პრუსიასთან, რის შესახებაც ქვემოთ.) ამრიგად, ვაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს და უნდა აღვიაროთ, რომ არსებობს ყველა წანამძღვარი რუსეთის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ნელი, მასებისათვის უაღრესად მტკივნეული, მაგრამ ჰაერივ აშკარა წინსვლისა. ქარიშხლებისა და ძვრების შესაძლებლობა, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, მაგრამ იგი არ ხდება აუცილებლობად, გარდუვალობად, როგორც ეს რევოლუციამდე იყო».

ფრიად ბრძნული ფილოსოფიაა, თქმა არ უნდა. თუ გლეხობას განზე დავტოვებთ, იმიტომ რომ იგი «სუსტია არჩევნებში», ხოლო მუშათა კლასს «ჯერჯერობით» პირდაპირ «განზე დავტოვებთ», მაშინ, ცხადია, ქარიშხლების შესაძლებლობა სავსებით გამორიცხულია! მაგრამ ეს იმასა ჰგავს, რომ, თუ ლიბერალურად შევხედავთ რუსეთს, მაშინ გარდა ლიბერალური «პროგრესიზმისა» ვერაფერსაც ვერ დავინახავთ. მოიხსენით ლიბერალური სათვალეები, და სურათიც შეიცვლება. რადგან გლეხობა ცხოვრებაში სულაც არ ასრულებს იმ როლს, რასაც სამი ივნისის არჩევნების სისტემა აკუთვნებს მას, ამიტომ «არჩევნებში სისუსტე» ამწვავებს წინააღმდეგობას მთელ გლეხობასა და მთელ სისტემას შორის და სრულიადაც არ უღებს კარს «ზომიერ პროგრესიზმს». რადგან მუშათა კლასს ვ ე რ «დავტოვებთ განზე» ვერც საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ვერც განსაკუთრებით XX საუკუნის პირველი ათი წლის გადამტან რუსეთში, ამიტომ რ-კოვის მსჯელობა არაფრად არ ვარგა. რადგან ჩვენში ბატონობს (III სათათბიროშიც და მასზედაც) გუჩკოვებისა და მილიუკოვების ბუზღუნით გაზომიერებული პურიშკევიჩობა, ამიტომ ფრაზები ზომიერ-პროგრესული ბურჟუაზიის «მომავალ ბატონობაზე» უბრალო ლიბერალური ნანინაა. რადგან გუჩკოვებს და მილიუკოვებს მათი კლასობრივი მდგომარეობის გამო არ ძალუძთ პურიშკევიჩთა ბატონობას, გარდა ბუზღუნისა, რამე

დაუპირისპირონ, ამიტომ ახალი ბურჟუაზიული რუსეთის კონფლიქტი პურიშკევიჩებთან აუცილებელია, ხოლო კონფლიქტის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ ისინი. ვინც რ-კოვმა, ლიბერალების აყოლით, «განზე დასტოვა». სწორედ იმიტომ, რომ მილიუკოვები და გუჩკოვები «ერთმანეთს უთმობენ» პურიშკევიჩების საამებლად, მუშების მოვალეობაა უფრო მკვეთრად გამიჯნონ დემოკრატია ლიბერალიზმისაგან. ნ. რ-კოვს ვერ გაუგია ვერც ქარიშხალთა წარმოშობის პირობები რუსეთში და ვერც აქ აღნიშნული ამოცანა, რომელიც სავალდებულოა მაშინაც, როცა არავითარი ქარიშხალი არ არის.

ვულგარულ დემოკრატს შეუძლია საქმის მთელი ვითარება დაუქვემდებაროს საკითხს, ქარიშხალი არის თუ არა. მარქსისტისათვის უწინარეს ყოვლისა ისმება საკითხი კლასთა პოლიტიკური გამიჯვნის იმ ხაზის შესახებ, რომელიც ე რ თ ნ ა ი რ ი ა ქარიშხლის დროსაც და უქარიშხლოდაც. თუ რ-კოვი აცხადებს, «მუშებმა უნდა იკისრონ პოლიტიკური ჰეგემონიის ამოცანა დემოკრატიული წყობილებისათვის ბრძოლაშიო», ეს პირდაპირ კურიოზია ყოველივე იმის შემდეგ, რასაც ის წერს თავის მანიფესტში. ეს ნიშნავს: რ-კოვი ხელწერილს ართმევს ბურჟუაზიას მუშების ჰეგემონიის აღიარების შესახებ, ხოლო თვითონ ბურჟუაზიას აძლევს ხელწერილს, რომ მუშები ხელს იღებენ იმ ამოცანებზე, რაც ჰეგემონიის შინაარსს შეადგენს! რ-კოვმა პირწმინდად დააცარიელა ეს შინაარსი და შემდეგ გულუბრყვილოდ იმეორებს უშინაარსო სიტყვას. რ-კოვი ჯერ იძლევა მომენტის შეფასებას, საიდანაც ჩანს, რომ მისთვის ლიბერალების ჰეგემონია მომხდარი ფაქტია, უცილობელი და გარდუვალი, შემდეგ კი გვარწმუნებს, მუშათა კლასის ჰეგემონიას აღვიარებო!

«რეალურად» სათათბიროს მნიშვნელობა, — მსჯელობს რ-კოვი, — «ნაკლები არაა, ვიდრე მნიშვნელობა საფრანგეთის საკანონმდებლო კორპუსისა მეორე იმპერიის უკანასკნელ წლებში, ან მნიშვნელობა იმ საშუალო პროპორციულისა გერმანიის რეიხსტაგსა და პრუსიის ლანდტაგს შორის, რომელიც

დამახასიათებელია გასული საუკუნის 80-იანი წლების პრუსიისათვის».

ამგვარი შედარება ნიმუშია ისტორიული პარალელობის თამაშისა, იმდენად არასერიოზულია იგი. 60-იანი წლების საფრანგეთში უკვე დიდი ხანია სავსებით დამთავრებული იყო ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქა, უკვე კარს იყო მომდგარი პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის პირდაპირი შეტაკების ჟამი, ბონაპარტიზმი გამოხატავდა ხელისუფლების წაჯექ-უკუჯექობას ამ ორ კლასს შორის. სასაცილოა ამის შედარება თანამედროვე რუსეთთან. III სათათბირო უფრო ჰგავს 1815 წლის Chambre introuvable-ს [99]! 80-იანი წლების პრუსიაშიც ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ სავსებით დამთავრებულია ეპოქა ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელმაც თავისი საქმე მოათავა 1870 წლისათვის: მთელი ბურჟუაზია, ქალაქის წვრილ და გლეხურ ბურჟუაზიამდე გამოუკლებლივ, დაკმაყოფილებული და რეაქციულია.

შესაძლოა, რ-კოვს ელანდებოდა შედარება საკანონმდებლო კორპუსსა და რეიხსტაგში დემოკრატიისა და პროლეტარიატის დეპუტატების როლისა III სათათბიროს სათანადო დეპუტატების როლთან? ასეთი შედარება შესაძლებელია, მაგრამ იგი სწორედ რ-კოვის წინააღმდეგ მეტყველებს, ვინაიდან გეგეჭკორისა, და რაოდენადმე პეტროვ მე-3-ის, მოქმედება მოწმობს ისეთ ძალას, თავისი თავის რწმენასა და იმ კლასების საბრძოლო მზადყოფნას, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, რომ პურიშკევიჩებთან «კომპრომისი» არათუ დაუჯერებელია, არამედ პირდაპირ გამორიცხულია.

III

რ-კოვის მიერ კლასთა როლის შეფასებაზე განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა შევჩერებულიყავით, ვინაიდან სწორედ აქ არის ჩვენი უეჭველი დაშორების იდეური ფესვები. პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც რ-კოვს გამოჰყავს — სიმართლე უნდა ითქვას — იშვიათი უშიშროებითა და პირდაპირობით, ყველაზე უფრო საინტერესოა როგორც ავტორის

«თეორიის» აბსურდამდე მიყვანა. რა თქმა უნდა, რ-კოვი ათასჯერ მართალია, როდესაც მუშათა აშკარა პოლიტიკური ორგანიზაციის შესაძლებლობის საკითხს უკავშირებს მომენტის შეფასებას, პოლიტიკური წყობილების ძირითადი ცვლილებების შეფასებას. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ნაცვლად ასეთი ცვლილებებისა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი — მას შეუძლია მხოლოდ გულკეთილი პროფესორული სილოგიზმები შემოგვთავაზოს: «კულტურულ კაპიტალიზმზე» გადასვლა «გულისხმობს» მუშათა აშკარა პოლიტიკური ორგანიზაციის აუცილებლობასაო. ქაღალდზე ასეთი რამის დაწერა ადვილი საქმეა, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის პოლიტიკური წყობილება ამით ოდნავადაც არ გახდება «კულტურული».

«პროგრესიზმი, თუნდაც უზომიერესი, უეჭველია, გააფართოებს არსებულ მეტად ვიწრო ფარგლებსაო». კადეტთა პროგრესიზმი IV სათათბიროში, — ვუპასუხებთ ჩვენ ამაზე, — ვერაფერს «გააფართოებს» და ვერც შესძლებს «გააფართოოს», სანამ არ ამოძრავდებიან სრულიადაც არა სათათბიროსავით და სრულიადაც არა კადეტური ელემენტები.

«უამორგანიზაციოდ, — ამბობს რ-კოვი მუშათა აშკარა და ფართო პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, — ბრძოლა აუცილებლად მიიღებს ანარქიულ ხასიათს, რაც მავნებელია არა მარტო მუშათა კლასისთვის, არამედ კულტურული ბურჟუაზიისთვისაც».

ფრაზის უკანასკნელ ნაწილზე ჩვენ არ შევჩერდებით, რომ კომენტარებით არ შევასუსტოთ «საგოგმანებელი მარგალიტი». პირველი ნაწილი კი ისტორიულად არ არის სწორი: 1878 — 1890 წლების გერმანიაში არ ყოფილა ანარქიზმი, თუმცა არ იყო «აშკარა და ფართო» პოლიტიკური ორგანიზაცია.

შემდეგ, რ-კოვი ათასჯერ მართალია, როცა წინ აყენებს მუშათა აშკარა პოლიტიკური «ორგანიზაციის» კონკრეტულ გეგმას და გვირჩევს საქმე დავიწყოთ «მუშათა კლასის ინტერესების დაცვის პოლიტიკური საზოგადოების» დაარსებით, — მართალია იმ აზრით, რომ მთელი თვეობით და წლობით

«აშკარა» პარტიის შესაძლებლობაზე ილაყბო და ამავე დროს მის შესაქმნელად უბრალო და ბუნებრივი ნაბიჯი არ გადადგა, ეს შეუძლიათ მხოლოდ ქარაფშუტა ყბედებს. რ-კოვი იწყებს თავიდან და მიდის ბოლომდე, როგორც საქმის და არა ფრაზის კაცი.

მაგრამ მისი «საქმე» ხომ ლიბერალური საქმეა, «დროშა», რომელსაც ის «აფრიალებს» (ციტირებული სტატია, გვ. 35), ლიბერალური მუშათა პოლიტიკის დროშაა. რა ვუყოთ, რომ იმ საზოგადოების პროგრამაში, რომელსაც რ-კოვი აარსებს, აღნიშნულია «ახალი საზოგადოების დამყარება წარმოების საშუალებათა საზოგადო საკუთრების საფუძველზე» და სხვა. ნამდვილად ამ დიადი პრინციპის აღიარებას 60-იან წლებში გერმანელი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილისათვის ხელი არ შეუშლია ეწარმოებინა «მეფურ-პრუსიული მუშათა პოლიტიკა», იგი ხელს არ უშლის რამსეი მაკდონალდს (სოციალიზმისაგან «დამოუკიდებელი» ინგლისის მუშათა პარტიის ბელადს) აწარმოოს ლიბერალური მუშათა პოლიტიკა. ხოლო რ-კოვი, როდესაც უახლოესი, ჩვენი, ახლანდელი ეპოქის პოლიტიკურ ამოცანებზე ლაპარაკობს, იძლევა სწორედ ლიბერალური პრინციპების სისტემატურ განმარტებას. «დროშა», რომელსაც რ-კოვი «აფრიალებს», უკვე დიდი ხანია აფრიალებული აქვთ ბატონ პროკოპოვიჩებს, პოტრესოვებს, ლარინებსა და სხვებს, და, რაც უფრო მეტად «ფრიალდება» ეს დროშა, მით უფრო ნათელი ხდება თვითეულისა და ყველასათვის, რომ ჩვენს წინ დაძონძილი, ჭუჭყიანი ლიბერალური ჩვარია და მეტი არაფერი.

«აქ უტოპიის ნატამალიც არ არისო», — გვარწმუნებს რ-კოვი. ავტორს უნდა ვუპასუხოთ ცნობილი ნაკვესის გადასხვაფერებით: დიდი უტოპისტი ხარ, ოღონდ შენი უტოპია პატარაა. მართლაც, აშკარად არასერიოზულ ამბავზე სხვანაირად, თუ არ ხუმრობით, პასუხის გაცემა არასერიოზულობა იქნებოდა. ისეთ ეპოქაში, როდესაც ხურავენ აბსოლუტურად მშვიდობიან, წესიერ, არა პოლიტიკურ პროფესიულ კავშირებს, არა უტოპიურად მიიჩნიო მუშათა აშკარა პოლიტი-

კური საზოგადოების დაარსება! დაუსრულებლივ ილაპარაკო კლასთა როლის ლიბერალურ შეფასებაზე — და ამავე დროს ირწმუნებოდე, რომ აქ არ არის შეტოპვა განახლებული ტოლ-მაჩევობის რეჟიმში! «აქ არ არის არავითარი ძალმომრეობის ქადაგება, — გულმოდგინეობს კეთილი რ-კოვი, — არ არის არც სიტყვა, არც აზრი ძალდატანებითი გადატრიალების აუცილებლობის შესახებ, რადგან ეს აუცილებლობა შეიძლება სინამდვილეში არც იყოს. ვინმემ, რეაქციული უგუნურებით დაბრმავებულმა, ასეთი «საზოგადოების» წევრებს ძალდატანებითი გადატრიალებისადმი მისწრაფება რომ დააბრალოს, ამგვარი უაზრო, უსაფუძვლო, იურიდიულად უმნიშვნელო ბრალდების მთელი სიმძიმე თვით ბრალმდებელს დაატყდებოდა თავს»!

მჭევრმეტყველურად წერს ნ. რ-კოვი! სავსებით ისევე, როგორც ბ-ნი პ. ბ. სტრუვე 1901 წელს ამგვარივე საშინელებას ატეხდა «თავს» ერობის მდევნელებს[100]. სურათი: ნ. რ-კოვი უმტკიცებს დუმბაძეებს, რომელნიც მას ბრალს სდებენ, რომ ვინაიდან მას ახლა არავითარი «აზრები» არა აქვს, ამიტომ იურიდიულად უმნიშვნელო ბრალდებათა სიმძიმე თავს დაატყდებათ თვით დუმბაძეებსაო. დიახ, დიახ, პარლამენტი ჯერ კიდევ არა გვაქვს, პარლამენტური კრეტინიზმი კი რამდენიც გნებავთ. ცხადია, ახალი საზოგადოებიდან ისეთ წევრებს, როგორიცაა მარქსისტი გეგეჭკორი ანდა არა მარქსისტი, მაგრამ პატიოსანი დემოკრატი პეტროვი მე-3, დაუყოვნებლივ გამორიცხავდნენ პირველ საერთო კრებაზევე... თუ შეკრებილთ, კრების გახსნამდე, არ გაგზავნიდნენ შეცდომით სხვადასხვა გრილ ადგილებში.

«ნაშა ზარიას» «ლიკვიდატორებს» გაეხარდათ, რომ რ-კოვი მათთან მივიდა. აღტაცებულმა ლიკვიდატორებმა საკმაოდ ვერ დააფასეს იმ მოხვევნის სიმხურვალე, რომლითაც მიმართავს მათ გალიკვიდატორებული ნ. რ-კოვი. ეს მოხვევნა კი ისეთი მხურვალე და ისეთი ძლიერია, რომ შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ლიკვიდატორობა გაიგუდება რ-კოვის მხურვალე მოხვევნით, ისე როგორც მუშათა ყრი-

ლობა გაიგუდა ი. ლარინის მხურვალე მოხვევნით. ი. ლარინმა ეს უსისხლო მკვლელობა გაგუდვის საშუალებით ჩაიდინა იმით, რომ მისი ბროშურის შემდეგ სათანადო პირები — კაცმა რომ თქვას, კონფუზის შიშით — ერიდებოდნენ მუშათა ყრილობის იდეის დაცვას. რ-კოვის მიერ «ნაშა ზარიაში» გამოქვეყნებული ლიკვიდატორობის ახალი «მანიფესტის» შემდეგ სათანადო პირები მოერიდებიან — კაცმა რომ თქვას, კონფუზის შიშით — დაიცვან აშკარა ლიკვიდატორული პარტიის იდეა.

ხოლო ამ იდეაში — ბოლოს და ბოლოს რამეში ხომ უნდა დავეთანხმოთ რ-კოვს! — «ერთი ციცქნა» არაუტოპია არის. ჩამოიხსენით პროფესორის სათვალეები, პატივცემულო, და დაინახავთ, რომ ის «საზოგადოება», რომლის «განხორციელებას ფაქტიურად» თქვენ აპირებთ (მას შემდეგ, რაც თქვენი შეგონების სიმძიმე «დაატყდება თავს» მიმრეცოვებს) [101], უკვე ორი წელიწადია განხორციელებულია. და თქვენ უკვე იმყოფებით ამ საზოგადოებაში! ეს «მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საზოგადოება» არის სწორედ ჟურნალი (როგორც იდეური კოლექტივი და არა როგორც სტამბური შემკრებელობითი ცნება) «ნაშა ზარია». უტოპიურია მუშათა აშკარა და ფართო ორგანიზაცია, მაგრამ სრულიადაც, სრულიადაც არაა უტოპიური ოპორტუნისტული ინტელიგენტების «აშკარა» და გულაჩდილი ჟურნალები. ისინი რომ თავისებურად იცავენ მუშათა კლასის ინტერესებს, ეს უდავოა, მაგრამ ის, ვინც მარქსისტობას არ გამომშვიდობებია, თვალნათლივ ხედავს, რომ მათი «საზოგადოება» არის მუშათა კლასის ლიბერალურად გაგებულ ინტერესთა ლიბერალური დაცვის საზოგადოება.

«ზვეზდა» № 32, 1911 წ. 3 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ლენინი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით. რომელიც შედარებულია ტექსტთან კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», 1914 წ.

II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ [102]

მთელი საქმის ვითარების გადმოცემა

უკვე ოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მეორე სათათბიროს მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, მსხვერპლი ჩვენი მთავრობის საზიზღარი შეთქმულებისა, პასუხისგებაში მისცეს და, თითქოს მძიმე დამნაშავენი, კატორღაში გაგზავნეს. რუსეთის პროლეტარიატს კარგად ესმოდა, რომ მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სიყალბეზე იყო აგებული; მაგრამ ეს იყო რეაქციის თარეშის ხანა, ამასთან განაჩენი გამოიტანეს დახურულ სხდომაზე, ასე რომ ხელთ არ გვქონდა ცარიზმის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკმაო დამამტკიცებელი საბუთები. მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ გამომქღავნებულმა დამაჯერებელმა ფაქტებმა, რომლებშიც გამოტყდა დაცვის განყოფილების აგენტი ბროდსკი, სავსებით გააშუქეს ჩვენ ხელისუფალთა საზიზღარი ოინები.

აი როგორ მოხდა ყოველივე ეს:

მიუხედავად ფრიად შეკვეცილი საარჩევნო უფლებისა, რუსეთის პროლეტარიატმა მეორე სათათბიროში გაგზავნა 55 სოციალ-დემოკრატი.

ეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია არა მარტო მრავალრიცხოვანი იყო, არამედ ფრიად თვალსაჩინოც იდეურად. იგი წარმოშვა რევოლუციამ და ამიტომაც მისი ბეჭედი ჰქონდა დასმული; მისი გამოსვლები, რომლებშიც ჯერ კიდევ ისმოდა მთელ ჩვენს ქვეყანას მოდებული დიადი ბრძოლის გამოხმაურება, ღრმად და ფრიად დასაბუთებულად აკრიტიკებდნენ არა მარტო სათათბიროში განსახილველად შეტანილ კანონპროექტებს, არამედ აგრეთვე მართვა-გამგეობის მთელ მეფურ და კაპიტალისტურ სისტემას საერთოდ.

ეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, აღჭურვილი თანამედროვე სოციალიზმის უძლეველი იარაღით, მემარცხენეთა ყველა ფრაქციიდან ყველაზე რევოლუციური, ყველაზე თანამიმდევარი და ყველაზე უფრო გამსჭვალული იყო კლასობრივი შეგნებით. იგი უძღვებოდა მემარცხენეებს და სათათბიროს თავის რევოლუციურ ბეჭედს ასვამდა. ჩვენი ხელისუფალნი ფრაქციას თვლიდნენ რევოლუციის უკანასკნელ კერად, მის უკანასკნელ სიმბოლოდ, პროლეტარულ მასებზე სოციალ-დემოკრატიის ძლიერი გავლენის ცოცხალ მაგალითად, ამიტომ იგი წარმოადგენდა მუდმივ საფრთხეს რეაქციისთვის, მისი საზეიმო მსვლელობის უკანასკნელ დაბრკოლებას. ამიტომ მთავრობა საჭიროდ თვლიდა არათუ თავიდან მოეშორებინა მეტისმეტად რევოლუციური სათათბირო, არამედ, გარდა ამისა, მინიმუმამდე შეეზღუდა პროლეტარიატისა და დემოკრატიულად განწყობილი გლეხობის საარჩევნო უფლება, ხელი შეეშალა იმისთვის, რომ მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი სათათბიროს არჩევა. ამ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელების საუკეთესო საშუალება იყო სახელი გაეტეხათ სოციალისტური ფრაქციისათვის ჩვენი ქვეყნის თვალში და ამით თავიდან მოეშორებინათ იგი: თავი მოეკვეთათ და ამრიგად მთელი სხეულისათვის სიცოცხლე მოესპოთ.

ოღონდ საამისოდ საჭირო იყო საბაბი: მაგალითად, რაიმე მძიმე პოლიტიკური დანაშაულის დაბრალება ფრაქციისთვის. პოლიციისა და დაცვის განყოფილების დახელოვნების წყა-

ლობით სწრაფად იპოვეს ასეთი საბაბი. გადაწყვიტეს სახელი გაეტეხათ სოციალისტური საპარლამენტო ფრაქციისათვის იმით, რომ დაებრალებინათ მისთვის მჭიდრო კავშირი სოციალ-დემოკრატიულ საბრძოლო ორგანიზაციასთან და სოციალ-დემოკრატიულ სამხედრო ორგანიზაციასთან. ამ მიზნით გენერალმა გერასიმოვმა, დაცვის განყოფილების უფროსმა (ყველა ეს ცნობა ამოღებულია გაზეთ «მომავლის» («L'Avenir») [103] პირველი ნომრიდან, ბურცევის რედაქციით რომ გამოდიოდა პარიზში, 50, boulevard Saint-Jacques), წინადადება მისცა თავის აგენტს ბროდსკის შესულიყო აღნიშნულ ორგანიზაციებში. ბროდსკიმ შესძლო შიგ შეძრომა ჯერ უბრალო წევრად, შემდგომ კი მდივანი გახდა. სამხედრო ორგანიზაციის ზოგიერთ წევრს აზრი დაებადა — პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციაში გაეგზავნათ ჯარისკაცთა დელეგაცია. დაცვის განყოფილებამ გადაწყვიტა თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა ეს, და ბროდსკიმ, რომელმაც შესძლო სამხედრო ორგანიზაციის ნდობა მოეპოვებინა, იკისრა ამ გეგმის განხორციელება. აირჩიეს რამდენიმე ჯარისკაცი, შეადგინეს განაწესი ჯარისკაცთა მოთხოვნილებებისა და სოციალისტური ფრაქციის გაუფრთხილებლად დანიშნეს დღე, როცა დელეგაცია უნდა სწვეოდა ფრაქციას მის ოფიციალურ სადგომში. რადგან სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებს არ შეეძლოთ იქ წასვლა, ამიტომ მათ გამოუცვალეს ტანსაცმელი, ამასთან ეს მოხდა დაცვის განყოფილების ერთი აგენტის ბინაზე, სადაც მათ გადაიცვეს ოხრანკის მიერ ნაყიდი და მათთვის მომზადებული ტანსაცმელი. გერასიმოვის საზიზღარი გეგმის თანახმად, ბროდსკი ჯარისკაცებთან ერთად უნდა მისულიყო სოციალისტური ფრაქციის შენობაში და იქ უნდა მიეტანა რევოლუციური დოკუმენტები, რომ ამრიგად კიდევ უფრო მეტად გაეტეხათ სახელი ჩვენი დეპუტატებისთვის. შემდეგ დათქმული იყო, რომ ბროდსკის დააპატიმრებდნენ სხვებთან ერთად, ხოლო შემდეგ, ოხრანკის დახმარებით, რომელსაც მისთვის უნდა მოეწყო ვითომდა გაქცევა, ის განთა-

ვისუფლდებოდა. მაგრამ ბროდსკი მეტად დაგვიანებით მივიდა და როცა მოინდომა სახელისგამტეხი დოკუმენტებით შესულიყო ფრაქციის შენობაში, იქ უკვე ჩხრეკა იყო დაწყებული და აღარ შეუშვეს.

ასეთი იყო დაცვის განყოფილების მიერ უაღრესი გულმოდგინებით მომზადებული ინსცენირება, რამაც საშუალება მისცა რეაქციას არა მარტო მსჯავრი დაედო და კატორღაში გაეგზავნა პროლეტარიატის წარმომადგენლები, არამედ მეორე სათათბიროც დაეთხოვა და სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა 1907 წლის 3 (16) ივნისს. მართლაც, მთავრობამ იმავე რიცხვით გამოცემულ მანიფესტში (ეს მანიფესტი, როგორც მეფის ყველა მანიფესტი, გვაოცებს უსირცხვილო თვალთმაქცობით) გამოაცხადა — იძულებული ვართ დავითხოვოთ სათათბირო, რადგან, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყო და დახმარებოდა მთავრობას ჩვენს ქვეყანაში კვლავ სიწყნარის დამყარების მისწრაფებაში, სათათბირო, პირიქით, წინააღმდეგობას უწევდა მთავრობის ყოველგვარ წინადადებასა და განზრახვას და, სხვათა შორის, მან თავისი ხელმოწერით არ დაადასტურა რეპრესიული ღონისძიებები ქვეყნის რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ. უფრო მეტიც (სიტყვასიტყვით მომყავს ტექსტი): «აღსრულდა ისტორიის მატიანეში გაუგონარი საქმე. სასამართლო ხელისუფლებამ აღმოაჩინა სახელმწიფო სათათბიროს ერთი ნაწილის შეთქმულება სახელმწიფოს და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა დროებით, სასამართლო პროცესის დამთავრებამდე, ამ დანაშაულობაში ბრალდებულ სათათბიროს ორმოცდათხუთმეტი წევრის დათხოვნა და მათგან ყველაზე მეტად მხილებულ პირთა დატუსაღება, სახელმწიფო სათათბირომ არ შეასრულა დაუყოვნებლივ ხელისუფალთა კანონიერი მოთხოვნა, რაც სრულიად გადაუდებელი იყო».

სხვათა შორის, მეფე რომ დანაშაულს სჩადიოდა, ეს იცოდა არა მარტო მთავრობამ და მისმა უახლოესმა მეგობრებმა,

ამ ბინძური საქმის მთელი ფარული საზიზღარი წვრილმანები ოთხი წლის განმავლობაში იცოდნენ აგრეთვე ჩვენმა ძვირფასმა კონსტიტუციურმა დემოკრატებმა, რომელნიც შეუსვენებლივ ლაყბობენ კანონიერებაზე, სამართლიანობასა და სიმართლეზე და სხვა და სხვა, და რომლებმაც თავიანთი პარტია შეალამაზეს მაღალფარდოვანი სახელწოდებით: «სახალხო თავისუფლების პარტია». მთელი ოთხი წლის განმავლობაში ისინი გულგრილი მოწმეებივით უყურებდნენ იმას, თუ როგორ სრულიად უსამართლოდ დასაჯეს ჩვენი დეპუტატები, როგორ იტანჯებოდნენ ისინი საკატორღო ციხეებში, როგორ იხოცებოდა და ჭკუაზე იშლებოდა ზოგიერთი მათგანი, და... ფრთხილად სდუმდნენ. ამავე დროს მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ხმა ამოეღოთ, რადგან დეპუტატები ჰყავდათ სათათბიროში და მათს განკარგულებაში მრავალი ყოველდღიური გაზეთი იყო. ისინი მოშწყვდეული იყვნენ რეაქციასა და რევოლუციას შუა, მაგრამ ყველაზე უფრო რევოლუციისა ეშინოდათ. ამიტომ ისინი ეკეკლუცებოდნენ მთავრობას და მთელი ოთხი წლის განმავლობაში ჰფარავდნენ მას თავიანთი დუმილით და ამრიგად მისი დანაშაულის თანამონაწილედ გადაიქცნენ. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს (სათათბიროს 1911 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე) დაცვის განყოფილების შესახებ შეკითხვის განხილვისას ერთმა მათგანმა, დეპუტატმა ტესლენკომ, როგორც იქნა გაბედა და გადმოალაგა ასე გულმოდგინედ შენახული საიდუმლოება. აი მისი გამოსვლის ნაწილი (ტექსტი მოგვყავს სიტყვასიტყვით ოფიციალური სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით): «როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ საქმე აღეძრათ მეორე სახელმწიფო სათათბიროს 53 წევრის[104] წინააღმდეგ, სათათბიროში შეიქმნა კომისია. ამ კომისიას წარუდგინეს ყოველგვარი დოკუმენტები, რომელთაც უნდა დაემოწმებინათ, რომ სახელმწიფო სათათბიროს 53 წევრმა შეთქმულება მოაწყეს რუსეთში შეიარაღებული აჯანყების გზით რესპუბლიკის დასაარსებლად. მეორე სახელმწიფო სათათბიროს კომისია —

მისი მომხსენებელი მე ვიყავი — დარწმუნდა, ერთსულოვნად დარწმუნდა, რომ საქმე ეხებოდა არა სოციალ-დემოკრატების შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ პეტერბურგული დაცვის განყოფილების შეთქმულებას მეორე სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ. როდესაც კომისიის მოხსენება, დოკუმენტებზე დამყარებული, მზად იყო, იმის წინდღით, როდესაც მთელი ეს მონაცემები უნდა გადმოელაგებინათ ამ ტრიბუნიდან, სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს და ამ ტრიბუნიდან აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი იმის შესახებ, რაც გამოაშკარავდა. როდესაც პროცესი დაიწყო, ბრალდებულნი, სახელმწიფო სათათბიროს ეს 53 წევრი, მოითხოვდნენ საქმე განეხილათ საჯაროდ, რათა საზოგადოებრივ აზრს გაეგო, რომ დამნაშავენი არიან არა ისინი, არამედ დამნაშავეა პეტერბურგის დაცვის განყოფილება, მაგრამ საქმე დახურულ სხდომაზე გაირჩა, და საზოგადოებამ ეს ვერასდროს ვერ გაიგო».

ასეთია ფაქტები. ოთხი წელიწადია ჩვენი დეპუტატები იტანჯებიან ბორკილგაყრილნი, რუსეთის საძაგელ საპყრობილეებში, რომელთა სასტიკ და მკაცრ რეჟიმს თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ. ბევრი მათგანი უკვე მოკვდა იქ. ერთ-ერთი დეპუტატი ჭკუაზე შეირყა, ბევრს ცხოვრების აუტანელი პირობების გამო ჯანი გაუტყდა და ისინი დღეს-ხვალ შეიძლება დაიღუპონ. რუსეთის პროლეტარიატს აღარ შეუძლია გულდამშვიდებით უყუროს, როგორ იღუპებიან მეფის საპყრობილეებში მისი წარმომადგენლები, რომელთა ერთადერთი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ მედგრად იბრძოდნენ პროლეტარიატის ინტერესებისათვის. მას მით უფრო არ შეუძლია გულდამშვიდებით უყუროს ამას, რომ ბროდსკის გამოტეხის გამო გამოაშკარავებული ფაქტები იურიდიული თვალსაზრისით სრულ საფუძველს იძლევიან საქმის გადასინჯვა მოვითხოვოთ. და რუსეთში დაიწყო უკვე კამპანია ჩვენი დეპუტატების განთავისუფლებისათვის.

მუშათა გაზეთი «ზვეზდა», რომელიც პეტერბურგში გამოდის, ამ საკითხს მიუძღვნის 1911 წლის 29 ოქტომბრის ნომ-

რის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი მოწოდებით მიმართავს პრესას, ლიბერალ-დეპუტატებს და მემარცხენეთა დეპუტატებს, საზოგადოებებსა და კავშირებს და უმთავრესად პროლეტარიატს. «არ არის და არც შეიძლება იყოს, — ამბობს გაზეთი, — სიწყნარე, სულიერი წონასწორობა იქ, სადაც ყველას ყოველ წუთს ესმის ბორკილების ჩხარა-ჩხური განმარტოებით ჩამწყვდეული, თავისუფლებას და ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას მოკლებული ადამიანებისა, რომელთაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღვით, რომ ამ ადამიანებმა გაბედეს და მთელი ქვეყნის წინაშე შეასრულეს ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობა. საზოგადოებრივი სინდისი არ შეიძლება და არც უნდა დამშვიდდეს ამ შემაძრწუნებელი სიმართლის გამოაშკარავების შემდეგ. რაც უნდა დიდი სიძნელეები გადაგვეღობოს წინ, — ისინი უნდა დავძლიოთ და მოვითხოვოთ მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების სასამართლო პროცესის გადასინჯვა!.. მაგრამ პირველ რიგში პროლეტარიატმა უნდა აღიმაღლოს თავისი მძლავრი ხმა: ეს ხომ მისი წარმომადგენლები დასაჯეს უდანაშაულოდ და ამჟამად ისინი საკატორღო ციხეებში იტანჯებიან».

რუსეთის პროლეტარიატი იწყებს ამ ბრძოლას და სთხოვს ყველა ქვეყნის სოციალისტებს მხარი დაუჭირონ მას და მასთან ერთად მთელი ქვეყნიერების გასაგონად განაცხადონ, რომ აღშფოთებული არიან ჩვენი აბსოლუტიზმის, ამჟამად გაბატონებული აბსოლუტიზმის სისასტიკითა და საძაგლობით, აბსოლუტიზმისა, რომელიც, უბადრუკი პირმოთნეობის ნიღაბაფარებული, აზიურ მთავრობებსაც კი აჭარბებს ბარბაროსობასა და უკულტურობაში.

საფრანგეთში ამხანაგმა შარლ დიუმამ უკვე დაიწყო კამპანია და სტატიაში, რომელიც გაზეთ «L'Avenir»-ში დაიბეჭდა, წინადადებას იძლევა ენერგიული დახმარება აღმოვუჩინოთ რუსეთის პროლეტარიატს ამ მძიმე მომენტში. დაე

მიბაძონ ამ მაგალითს ყველა ქვეყნის სოციალისტებმა; დაე მათ პარლამენტში, თავიანთ პრესაში, თავიანთ სახალხო კრებებზე, ყველგან გამოთქვან აღშფოთება და მოითხოვონ მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმის გადასინჯვა.

დაიბეჭდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე 1911 წ. დეკემბერს «Bulletin Périodique du Bureau Socialiste International»-ის მე-8 ნომერში

ბეჭდება «Bulletin»-ის ტექსტის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1940 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» მე-4 ნომერში ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ლოზუნგების შესახებ და სათათბიროში და სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაყენების შესახებ

III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილი შეკითხვა იმ საზიზღარი პროვოკაციის შესახებ, რომლითაც დაცვის განყოფილების აგენტებმა მოაწყეს II სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების საკატორღო პროცესი[105], როგორც ჩანს, მოასწავებს ერთგვარ შემობრუნებას მთელ ჩვენს პარტიულ მუშაობაშიც, საერთოდ დემოკრატიის მდგომარეობაშიც და მუშათა მასების სულისკვეთებაშიც.

III სათათბიროს ტრიბუნიდან თითქმის პირველად გაისმის ასეთი გაბედული, კილოთი და შინაარსით რევოლუციური, პროტესტი «3 ივნისის მესვეურთა» წინააღმდეგ, პროტესტი, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელმა ოპოზიციამ თვით უზომიერესი, ლიბერალურ-მონარქისტული, ვეხური, «მისი უდიდებულესობის ოპოზიციის», ე. ი. კადეტთა პარტიის ჩათვლით, თვით «პროგრესისტების» ჩათვლით. შავბნელი დროის განმავლობაში, 1908 წლიდან, ჩვენი ქვეყანა თითქმის პირველად ხედავს, გრძნობს, განიცდის, თუ შავ სათათბიროში რევოლუციური პროლეტარიატის დეპუტატთა რევოლუციურ პროტესტთან დაკავშირებით როგორ ამოძრავდა მუშათა მასა, იწყება მღელვარება დედაქალაქის მუშათა უბნებში, მუშები აწყობენ მიტინგებს (ისევ მიტინგები!) სადაც

წარმოთქვამენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ სიტყვებს (მიტინგები პუტილოვის, კაბელის და სხვ. ქარხნებში), ხმა დადის, და მითქმა-მოთქმა იწყება პოლიტიკურ მასობრივ გაფიცვაზე (იხ. ცნობა პეტერბურგიდან 19 ნოემბრის ოქტიაბრისტულ «გოლოს მოსკვი»-ში).

უეჭველია, III სათათბიროში სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა რევოლუციური გამოსვლები არა ერთხელ ყოფილა წინათაც: ჩვენს ამხანაგებს — სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს არა ერთხელ შეუსრულებიათ ჩინებულად თავიანთი მოვალეობა, პირდაპირ, აშკარად, მკვეთრად ულაპარაკნიათ შავ-ყვითელი პურიშკევიჩული «პარლამენტის» ტრიბუნიდან მონარქიის კრახის, რესპუბლიკის, მეორე რევოლუციის შესახებ. III სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა ეს დამსახურება მით უფრო გარკვევით საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რაც უფრო ხშირად გაისმის სამარცხვინო ოპორტუნისტული სიტყვები ასეთი გამოსვლებით უკმაყოფილო ცრუსოციალ-დემოკრატებისა «გოლოს სოციალ-დემოკრატადან» თუ «დელო ჟიზნიდან».

მაგრამ შემობრუნების პოლიტიკური სიმპტომების ასეთი შეხამება: სოციალ-დემოკრატებისთვის მხარის დაჭერა მთელი ოპოზიციის მიერ, განცხადება ლიბერალურ-მონარქისტულ, «ლოიალურ», «პასუხისმგებელ» და ლაჩრულ «რეჩში» საკონფლიქტო მდგომარეობის შესახებ, მასების დრტვინვა სათათბიროში შეტანილ შეკითხვასთან დაკავშირებით, საცენზურო პრესის ცნობები სოფლის «მშფოთვარე სულისკვეთების» შესახებ, — ასეთი შეხამება ჯერ არ ყოფილა. «მურომცევისა» და «ტოლსტოის» გამო გამართული შარშანდელი დემონსტრაციების შემდეგ — 1910 და 1911 წლების გაფიცვების შემდეგ — სტუდენტთა შარშანდელი «ისტორიის» შემდეგ, აღნიშნული მოვლენა, უეჭველია, კიდევ უფრო განამტკიცებს იმის რწმენას, რომ რუსეთის კონტრრევოლუციის პირველი პერიოდი, სრული მყუდროების, სამარისებური სიწყნარის, სახრჩობელებისა და თვითმკვლელობის, რეაქციის თავაშვებულობისა და ყოველგვარი, განსა-

კუთრებით ლიბერალური, რენეგატობის თავაშვებულობის პერიოდი დ ა მ თ ა ვ რ დ ა. დაიწყო მეორე პერიოდი კონტრრევოლუციის ისტორიაში: პერიოდი, როდესაც სრული სასოწარკვეთილება და ხშირად «ველური» შიში ჰქრება, როდესაც სულ სხვადასხვაგვარ და უაღრესად ფართო ფენებში საგრძნობლად ძლიერდება შეგნება — ან, თუ შეგნება არა, შეგრძნება, რომ «ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს», რომ «ცვლილება» საჭიროა, აუცილებელია, გარდუვალია, როდესაც იწყება ლტოლვა, ნახევრად ინსტინქტური, ხშირად ჯერ კიდევ გაურკვეველი ლტოლვა პროტესტისა და ბრძოლის მხარის დაჭერისადმი.

რასაკვირველია, ფუქსავატობა იქნებოდა გაგვეზვიადებინა ამ სიმპტომების მნიშვნელობა და წარმოგვედგინა, რომ აღმავლობა უკვე არსებობს. ეს ჯერ კიდევ არ არის. კონტრრევოლუციაში ი ს ნიშნები ა ღ ა რ იგრძნობა, რომლებიც ახასიათებენ მის პირველ პერიოდს, მაგრამ კონტრრევოლუცია კიდევ მეფობს, თავისი თავი ურყევი ჰგონია. დღის წესრიგში წინანდებურად დგას, რსდმ პარტიის 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციის სიტყვებით რომ ვთქვათ, პროლეტარიატის «აღზრდის, სწავლებისა და ორგანიზაციის ხანგრძლივი ამოცანა» [106]. მაგრამ შემობრუნების დასაწყისი გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღებით შევჩერდეთ სხვა პარტიებისადმი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულებაზე და მუშათა მოძრაობის უახლოეს ამოცანებზე.

«მისი უდიდებულესობის ოპოზიციამ», კადეტებისა და პროგრესისტების ჩათვლით, თითქოს ერთი წუთით აღიარა სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონია და მუშათა დეპუტატების კვალდაკვალ გავიდა მემამულეთა და ოქტიაბრისტთა სათათბიროდან, ნიკოლოზ რომანოვის შავრაზმულ-დამრბევი მონარქიის მიერ შექმნილი სათათბიროდან, — გავიდა უმრავლესობის დამცინავი ოინების დროს, უმრავლესობისა, რომელსაც ეშინოდა პროვოკაციის საქმის გახმაურებისა.

მერე რას ნიშნავს ეს? აღარ წარმოადგენენ კადეტები კონტრრევოლუციურ პარტიას ან შეიძლება ისინი არასოდეს

არ ყოფილან ასეთ პარტიად, როგორც ირწმუნებიან ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები? უნდა დავისახოთ თუ არა ამოცანად კადეტების «მხარის დაჭერა» და ვიფიქროთ «საერთონაციონალური ოპოზიციის» რაიმე ლოზუნგზე?

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგენი, შეიძლება ითქვას, დიდი ხანია მიმართავდნენ ხერხს — აბსურდამდე მიეყვანათ სოციალ-დემოკრატიის შეხედულებანი და პოლემიკის გასაადვილებლად დაეხატათ კარიკატურული მარქსიზმი. ასე მაგალითად, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთში სოციალ-დემოკრატია იბადებოდა, როგორც მასობრივი მოძრაობა, ნაროდნიკები გვიხატავდნენ კარიკატურულ მარქსიზმს «გაფიცვიზმის» სახით. და ისტორიის ირონიამ ისე ინება, რომ გამოიძებნენ კარიკატურული მარქსისტები — «ეკონომისტების» სახით. სოციალ-დემოკრატიის ღირსებისა და უმწიკვლო სახელის ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ «ეკონომიზმთან» დაუნდობელი ბრძოლით. ასე მაგალითად, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ბოლშევიზმმა, როგორც რევოლუციური მარქსიზმის გამოყენებამ ეპოქის განსაკუთრებულ პირობებში, დიდი გამარჯვება მოიპოვა მუშათა მოძრაობაში, გამარჯვება, რომელსაც ახლა მისი მტრებიც კი აღიარებენ, — ჩვენი მოწინააღმდეგენი ხატავდნენ კარიკატურულ ბოლშევიზმს «ბოიკოტიზმის», «მებრძოლიზმისა» და სხვათა სახით. და ისტორიის ირონიამ კვლავ ისე ინება, რომ გამოიძებნენ კარიკატურული ბოლშევიკები — «ვპერიოდელების» სახით.

ისტორიის ამ გაკვეთილებმა უნდა გაგვაფრთხილოს, რათა კარიკატურულად არ დავამახინჯოთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატების შეხედულებანი კადეტებთან დამოკიდებულებაზე (იხ., მაგალითად, «ვპერიოდ» № 2). კადეტები, უეჭველად, კონტრრევოლუციური პარტიაა, ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ სრულიად უმეცარ ან არაკეთილსინდისიერ ადამიანებს; ამის განმარტება ყველგან, სხვათა შორის სათათბიროს ტრიბუნიდანაც, სოციალ-დემოკრატების უცი-

ლობელი მოვალეობაა. მაგრამ კადეტები კონტრრევოლუციური ლიბერალების პარტიაა, და მათი ეს ლიბერალური ბუნება, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობაზე (1907 წ.) მიღებულ რეზოლუციაში არაპროლეტარული პარტიების შესახებ[107], გვავალდებულებს «გამოვიყენოთ» მის მიერ გამოწვეული თავისებური მდგომარეობა, თავისებური კონფლიქტები თუ შეხლა-შემოხლა, გამოვიყენოთ, მაგალითად, მათი ყალბი დემოკრატიზმი ჭეშმარიტი, თანამიმდევარი, თავდადებული დემოკრატიზმის საქადაგებლად.

რაკი ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა კონტრრევოლუციური ლიბერალიზმი, საერთოდ დემოკრატიას, განსაკუთრებით კი პროლეტარულ დემოკრატიას არ შეუძლია არ გაემიჯნოს მას; მან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს თავისსა და ამ ლიბერალიზმს შორის არსებული მიჯნა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შესაწყნარებელი იყოს კონტრრევოლუციური ლიბერალიზმისა და, ვთქვათ, კონტრრევოლუციური ფეოდალიზმის ერთმანეთში არევა, — რომ შესაწყნარებელი იყოს მათ შორის არსებული კონფლიქტების უგულებელყოფა, მათგან განდგომა, მათი თავიდან მოცილება. კონტრრევოლუციური ლიბერალიზმი სწორედ იმიტომ, რომ ის კონტრრევოლუციურია, ვერასდროს ვერ შეასრულებს ჰეგემონის როლს ძლევამოსილ რევოლუციაში; მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის ლიბერალიზმია, ის აუცილებლად ჩავარდება «საკონფლიქტო» მდგომარეობაში ტახტის, ფეოდალიზმის, არალიბერალური ბურჟუაზიის მიმართ და ხანდახან თავისი მოქმედებით არაპირდაპირ ასახავს ქვეყნის «მემარცხენე», დემოკრატიულ სულისკვეთებას ან აღმავლობის დასაწყისს და სხვ.

მოვიგონოთ საფრანგეთის ისტორია. ბურჟუაზიულმა ლიბერალიზმმა უკვე დიდი რევოლუციის დროს გამოააშკარავა თავისი კონტრრევოლუციურობა, — იხ., მაგალითად, ამაზე კუნოვის ჩინებული წიგნი საფრანგეთის რევოლუციური საგაზეთო ლიტერატურის შესახებ. მაგრამ არათუ დიდი ბურ-

ქუაზიული რევოლუციის შემდეგ, არამედ 1848 წლის რევოლუციის შემდეგაც კი, როდესაც ლიბერალების კონტრრევოლუციურობამ საქმე რესპუბლიკელების მიერ მუშების დახვრეტამდე მიიყვანა, — ამ ლიბერალებმა მეორე იმპერიის დასასრულის ხანაში, 1868 — 1870 წლებში, თავიანთი ოპოზიციით გამოხატეს სულისკვეთების ცვლილება და დემოკრატიული, რევოლუციური რესპუბლიკური აღმავლობის დასაწყისი.

თუ ახლა კადეტები «მარცხნივ სწორებას» თამაშობენ, როგორც მათ ოქტიაბრისტები აბრაზებენ, ეს იმის ერთ-ერთი ნიშანი და ერთ-ერთი შედეგია, რომ «მემარცხენდება» ჩვენი ქვეყანა, რომ დედის მუცელში იძვრის და ხელახლა დაბადებას ესწრაფის რევოლუციური დემოკრატია. პურიშკევიჩ-რომანოვთან რუსეთის მუცელი კი ისეთია, რომ მას არ შეუძლია რევოლუციური დემოკრატია არ დაჰბადოს!

რა პრაქტიკული დასკვნა გამოდის აქედან? დასკვნა ისაა, რომ უდიდესი ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური ამ ახალი რევოლუციური დემოკრატიის ზრდას. სწორედ იმიტომ, რომ იგი ახალია, რომ იგი იბადება 1905 წლისა და კონტრრევოლუციის შემდეგ, და არა მანამდე, უეჭველია, ის ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ დაიწყებს ზრდას, — ხოლო ამ ახალს რომ მივუდგეთ, მასზე გავლენა რომ მოვახდინოთ, ხელი რომ შევუწყოთ მის წარმატებითს ზრდას, არ უნდა დავჯერდეთ ძველ მეთოდებს, უნდა ვეძებოთ ახალი მეთოდებიც, უნდა ჩავერიოთ ხალხში, უნდა გავეცნოთ ცხოვრების მაჯისცემას, ხანდახან გზა უნდა გავიკვლიოთ არა მარტო ხალხში, არამედ ლიბერალურ სასტუმრო ოთახშიც კი.

აი, მაგალითად, ბ-ნ ბურცევის პატარა გაზეთი «მომავალი» ძალიან მოგვაგონებს ლიბერალურ სასტუმრო ოთახს: იქ ლიბერალურად იცავენ «3 ივნისის დებულების გადასინჯვის» ლიბერალურ-სულელურ, ოქტიაბრისტულ-კადეტურ ლოზუნგს, იქ სიამოვნებით ლაყბობენ ჯაშუშებზე, პოლიციაზე, პროვოკატორებზე, ბურცევზე, ყუმბარებზე. მაგრამ მაინც, როდესაც ბ-ნი მარტოვი გაეშურა იქ შესაძრომად, მისი და-

ძრახვა შეიძლებოდა მხოლოდ უტაქტო აჩქარების და არა პრინციპული სიყალბის გამო, რომ... რომ მას იქ ლიბერალურად არ დაეჭირა თავი. ვინაიდან შეიძლება გაამართლო — და ხანდახან კიდეც შეაქო — სოციალ-დემოკრატი ლიბერალურ სასტუმრო ოთახში გამოსვლისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ის გამოდის როგორც სოციალ-დემოკრატი. ბ-მა მარტოვმა კი ლიბერალურ სასტუმრო ოთახში გაბა ლიბერალური აბდა-უბდის როშვა «არჩევნების დროს» დამყარებულ რაღაც «სოლიდარობაზე თვით არჩევნებისა და საარჩევნო აგიტაციის თავისუფლებისათვის ბრძოლაში» («მომავალი» № 5)!!

ახალ ვითარებაში ახლებურად იზრდება ახალი დემოკრატია; უნდა ვისწავლოთ, როგორ მივიდეთ მასთან, — ეს უდავოა. მაგრამ მასთან უნდა მივიდეთ იმისათვის, რომ დავიცვათ და ვიქადაგოთ ნამდვილი დემოკრატიის ლოზუნგები, და არა იმისათვის, რომ ლიბერალურად ვეჩიფჩიფოთ მას. ახალ დემოკრატიას სოციალ-დემოკრატიამ სამი ლოზუნგი უნდა უქადაგოს; მხოლოდ ეს ლოზუნგებია ღირსი ჩვენი დიადი საქმისა, მხოლოდ ისინი შეეფერებიან რუსეთში თავისუფლების მიღწევის რეალურ პირობებს. ეს ლოზუნგებია: რესპუბლიკა; 8 საათიანი სამუშაო დღე; მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია.

ასეთია თავისუფალი რუსეთისათვის ბრძოლის ერთადერთი სწორი საერთონაციონალური პროგრამა. ვინც ეს პროგრამა ვერ გაიგო, ის კიდევ არ არის დემოკრატი. ვინც ამ პროგრამას უარყოფს და თავის თავს დემოკრატს უწოდებს, მას ძალიან კარგად ესმის ხალხის მოტყუების საჭიროება თავისი ანტიდემოკრატიული (ე. ი. კონტრრევოლუციური) მიზნების განსახორციელებლად.

რატომ არის რუსეთში თავისუფლების მიღწევის რეალური პირობა 8 საათიანი სამუშაო დღისათვის ბრძოლა? იმიტომ, რომ გამოცდილებამ ცხადყო თავისუფლების შეუძლებლობა, თუ პროლეტარიატი თავდადებულად არ იბრძვის, ასეთი ბრძოლა კი განუყრელად დაკავშირებულია მუშათა ცხოვრე-

ბის პირობების გაუმჯობესებასთან. ამ გაუმჯობესებათა ნიმუში, მათი დროშა კი სწორედ 8 საათის სამუშაო დღეა.

რატომ არის რუსეთში თავისუფლების მიღწევის რეალური პირობა მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციისათვის ბრძოლა? იმიტომ, რომ თუ მიღებული არ იქნება საფუძვლიანი ზომები იმ მრავალი მილიონი გლეხის დასახმარებლად, რომელნიც პურიშკევიჩებმა, რომანოვებმა და მარკოვებმა გაუგონარ გაღატაკებამდე, ტანჯვამდე და შიმშილით სიკვდილამდე მიიყვანეს, — ისე უაზროა, ერთიანად ყალბია ყოველგვარი სიტყვა დემოკრატიაზე, «ხალხის თავისუფლებაზე». ხოლო გლეხთა სასარგებლოდ მემამულეთა მიწების უკონფისკაციოდ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე სერიოზულ ზომებზე გლეხის დასახმარებლად, რაიმე სერიოზულ გაბედულ ნაბიჯზე — ბოლო მოეღოს «ტეტიათა» რუსეთს, ე. ი. ბატონყმურ რუსეთს, და შეიქმნას თავისუფალ მიწათმოქმედთა რუსეთი, დემოკრატიული ბურჟუაზიული რუსეთი.

რატომ არის რუსეთში თავისუფლების მიღწევის რეალური პირობა რესპუბლიკისათვის ბრძოლა? იმიტომ, რომ რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი ათწლეულის, სახელდობრ: XX საუკუნის პირველი ათწლეულის გამოცდილება, დიადი, დაუვიწყარი გამოცდილება უცილობელი სიცხადით და სიაშკარავით მეტყველებს, რომ შეუძლებელია ჩვენი მონარქიის შეთავსება პოლიტიკური თავისუფლების რაიმე ელემენტარულ გარანტიასთან. რუსეთის ისტორიამ, ცარიზმის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ისა ჰქნა, რომ XX საუკუნის დამდეგს ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს სხვანაირი მონარქია, გარდა შავრაზმულ-დამრბევი მონარქიისა. დღევანდელ სოციალურ, დღევანდელ კლასობრივ ვითარებაში რუსეთის მონარქიას არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, თუ არ მოაწყო კაცისმკვლელთა ბანდები, რათა მიპარვით დახოცოს ჩვენი ლიბერალური და დემოკრატიული დეპუტატები ან გადასწვას ის სახლები, სადაც დემოკრატები იკრიბებიან. რუსეთის მონარქიას არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად, თუ თავისუფლების

სასარგებლოდ გამართულ სახალხო დემონსტრაციებს არ უპასუხა იმ ადამიანთა რაზმების მოწყობით, რომელნიც ფეხებში სწვდებიან ებრაელ ბავშვებს და ქვებზე თავით ანარცხებენ მათ, იმ ადამიანთა, რომელნიც აუპატიურებენ ებრაელ, ქართველ ქალებს და მუცელს უღადრავენ მოხუცებს.

ლიბერალური რეგვნები ლაყბობენ ინგლისისებური კონსტიტუციური მონარქიის მაგალითზე. თუ ისეთ კულტურულ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, რომელსაც არასოდეს არ განუცდია არც მონღოლთა უღელი, არც ბიუროკრატიის მხრიც ჩაგვრა და არც სამხედრო პირთა პარპაში, თუ ასეთ ქვეყანაში საჭირო გახდა თავი მოეკვეთათ ერთი გვირგვინოსანი ყაჩაღისათვის, რომ მეფეებს ესწავლათ «კონსტიტუციურ» მონარქებად ყოფნა, — მაშინ რუსეთში საჭიროა თავი მოეკვეთოს, სულ ცოტა, ასეულ რომანოვს მაინც, რათა მათმა მემკვიდრეებმა თავი დაანებონ შავრაზმულ მკვლელობათა და ებრაელების დარბევათა მოწყობას.

თუ სოციალ-დემოკრატიამ რაიმე ისწავლა რუსეთის პირველი რევოლუციით, მან ახლა უნდა მიაღწიოს იმას, რომ არც ერთ ჩვენს სიტყვაში, არც ერთ ფურცელში არ იყოს წამოყენებული ლოზუნგი, რომელმაც დაამტკიცა თავისი უვარგისობა, თავისი გაურკვევლობა: «ძირს თვითმპყრობელობა», არამედ წამოყენებულ უნდა იქნას მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ლოზუნგი: «ძირს მეფის მ ო ნ ა რ ქ ი ა, გაუმარჯოს რესპუბლიკას».

დაე ნურავინ გვეტყვის, რომ რესპუბლიკის ლოზუნგი არ შეეფერება მუშათა და გლეხთა პოლიტიკური განვითარების სტადიას. ათი-თორმეტი წლის წინათ არათუ. იყვნენ ისეთი «ნაროდნიკები», რომელნიც ფიქრსაც ვერ ბედავდნენ ლოზუნგზე «ძირს თვითმპყრობელობა», არამედ ისეთი სოციალ-დემოკრატებიც კი იყვნენ, — ეგრეთწოდებული «ეკონომისტები», — რომელნიც ილაშქრებდნენ ამ ლოზუნგის დროულობის წინააღმდეგ. ხოლო 1903 — 1904 წლებში ლოზუნგი «ძირს თვითმპყრობელობა» გადაიქცა «ცნობილ ხალხურ გამოთქმად»! არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში,

რომ სისტემატური, შეუპოვარი რესპუბლიკური პროპაგანდა მოიპოვებს ახლა რუსეთში მეტად მადლიან ნიადაგს, ვინაიდან უფართოეს მასებს და, კერძოდ, გლეხთა მასებს, უეჭველია, დიდად და ღრმად აფიქრებთ ორი სათათბიროს გარეკვის მნიშვნელობა, მეფის ხელისუფლების კავშირი ბატონთა III სათათბიროსთან და მარკოვებისა და კომპანიის მიერ სოფლის აოხრებასთან. რა სისწრაფით აღმოცენდება მიწაში ჩაგდებული თესლი რესპუბლიკური პროპაგანდისა, ამას ახლა ვერავინ გაარკვევს, — მაგრამ საქმე ეს კი არაა, საქმე ისაა, რომ დაითესოს წესიერად, მართლაც დემოკრატიულად.

IV სათათბიროს მომავალი საარჩევნო კამპანიის ლოზუნგებისა და სათათბიროს გარეთ მთელი ჩვენი მუშაობის ლოზუნგების საკითხის განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ სოციალ-დემოკრატი დეპუტატის კუზნეცოვის ერთ მეტად მნიშვნელოვან და მეტად არასწორ გამოსვლას III სათათბიროში. რუსეთის რევოლუციის პირველი გამარჯვების ექვსი წლის თავზე, 1911 წ. 17 ოქტომბერს, კუზნეცოვი სათათბიროში გამოვიდა მუშათა დაზღვევის პროექტის საკითხზე. საერთოდ ის, სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან კარგად გამოვიდა, ენერგიულად იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, მოურიდებლად პირში ახლიდა სიმართლეს არა მარტო შავი სათათბიროს უმეტესობას, არამედ კადეტებსაც. სავსებით აღვიარებთ კუზნეცოვის ამ დამსახურებას, მაგრამ მოურიდებლად უნდა აღვნიშნოთ მისი შეცდომაც.

«მე ვფიქრობ, — თქვა კუზნეცოვმა, — რომ მუშები, თუ ყურადღებით მოისმენენ იმ კამათს, რომელიც გაიშალა როგორც მთლიანად ამ საკითხების, ისე წარმოდგენილი კანონ-პროექტის ცალკეული მუხლების განხილვის დროს, იმ დასკვნამდე მივლენ, რომ ახლა, ამჟამად, მათი მორიგი ლოზუნგი უნდა იყოს: «ძირს 3 ივნისის სათათბირო, გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებას». რატომ? ვიტყვი: იმიტომ, რომ მუშათა კლასის ინტერესები სწორად მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს, თუ მუშათა კლასი საყოველთაო საარჩევნო უფლების გზით გამოგზავნის საკა-

ნონმდებლო დაწესებულებაში თავის დეპუტატთა საკმაო რაოდენობას; მხოლოდ და მხოლოდ მარტო მათ შეუძლიათ სწორად გადაწყვიტონ დაზღვევის საკითხები მუშათა კლასისთვის».

კუზნეცოვს აქ უბედურება შეემთხვა, რომელსაც ის, ალბათ, არ მოელოდა, და რომელიც ჩვენ დიდი ხანია ვიწინასწარმეტყველეთ; ეს უბედურებაა — იმ შეცდომების დამთხვევა, რომელთაც ხშირად სჩადიან ლიკვიდატორები და ოტზოვისტები.

კუზნეცოვმა რომ სათათბიროს ტრიბუნიდან წამოაყენა ლიკვიდატორული ჟურნალების — «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» გავლენით ლოზუნგი, ვერ შეამჩნია, რომ ამ ლოზუნგის პირველი (და უაღრესად არსებითი) ნაწილი («ძირს III სათათბირო») მ თ ლ ი ა ნ ა დ იმეორებს იმ ლოზუნგს, რომელიც აშკარად წამოაყენეს სამი წლის წინათ ოტზოვისტებმა და რომელსაც მას შემდეგ — მალულად და ფარულად — იცავდნენ მხოლოდ «ვპერიოდელები», ე. ი. მშიშარა ოტზოვისტები.

სამი წლის წინათ «პროლეტარი» № 38 1908 წლის 1 (14) ნოემბერს ოტზოვისტების მიერ წამოყენებული ამ ლოზუნგის შესახებ წერდა:

«რა პირობებში შეიძლებოდა მოეპოვებინა მნიშვნელობა იმგვარ ლოზუნგს, როგორიცაა «ძირს სათათბირო»? ვთქვათ, ჩვენს წინაშეა ლიბერალური, რეფორმატორული, შემთანხმებელი სათათბირო იმ უაღრესად მწვავე რევოლუციური კრიზისის ეპოქაში, რომელიც უკვე მომწიფდა პირდაპირ სამოქალაქო ომად. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ მომენტში ლოზუნგად შეიძლებოდა გამხდარიყო «ძირს სათათბირო», ე. ი. ძირს მშვიდობიანი მოლაპარაკება მეფესთან, ძირს მაცთური «სამშვიდობო» დაწესებულება, მოვუწოდოთ უშუალო იერიშისაკენ. ვთქვათ, პირიქით, რომ ჩვენს წინაშეა არქირეაქციული სათათბირო, არჩეული დრომოჭმული საარჩევნო უფლების საფუძველზე, ამასთან ქვეყანაში არ არის მწვავე რევოლუციური კრიზისი; ლოზუნგი «ძირს სა-

თათბირო» მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლის ლოზუნგად. არც ერთი, არც მეორე შემთხვევის მსგავს რამეს ვერ ვხედავთ ჩვენში» *.

«პროლეტარის» 44-ე ნომრის (1909 წ. 4 (17) აპრილი) დამატებაში მოყვანილი იყო პეტერბურგელი ოტზოვისტების რეზოლუცია, სადაც პირდაპირაა ნათქვამი: «დაწყებულ იქნას ფართო აგიტაცია მასებში ლოზუნგისათვის: ძირს III სახელმწიფო სათათბირო». ამ წინადადების წინააღმდეგ «პროლეტარი» წერდა იქვე: «ეს ლოზუნგი, რომელმაც ერთ ხანს გაიტაცა ზოგიერთი ანტიოტზოვისტი მუშა, — სწორი არ არის. ეს არის ან კადეტური ლოზუნგი საარჩევნო რეფორმისა თვითმპყრობელობის დროს» (ისე მოხდა, რომ ეს დაიწერა 1909 წლის დამდეგს, სწორედ კუზნეცოვის მიერ საკითხის დაყენების წინააღმდეგ 1911 წლის დამლევს!)... «ან გაზეპირებული სიტყვის გამეორება იმ ეპოქიდან, როდესაც ლიბერალური სათათბიროები კალთას აფარებდნენ კონტრრევოლუციურ ცარიზმს და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ხალხისათვის, რომ მას ნათლად არ დაენახა თავისი ნამდვილი მტერი» **.

აქედან ცხადია, თუ რაშია კუზნეცოვის შეცდომა. მან განზოგადებული ლოზუნგის სახით წამოაყენა საარჩევნო რეფორმის კადეტური ლოზუნგი, რომელსაც არავითარი აზრი არა აქვს, თუ შენარჩუნებული იქნება რომანოვების მონარქიის ყველა დანარჩენი სამკაული — სახელმწიფო საბჭო. მოხელეთა ყოვლისშემძლებლობა, მეფის ბრბოს შავრაზმულ-დამრბევი ორგანიზაციები და სხვა. კუზნეცოვს უნდა ეთქვა — თუ ვიგულისხმებთ, რომ სწორედ ისე ვუდგებით საკითხს, როგორც ეს მან ჰქნა და უცვლელად დავტოვებთ მისი სიტყვის საერთო კილოს, — დაახლოებით შემდეგი:

* შემდეგ «პროლეტარი» იცავდა ლოზუნგს «ძირს თვითმპყრობელობა», — ეს ლოზუნგი, როგორც უკვე ცხადვყავით, ახლა უნდა შეიცვალოს ლოზუნგით: «ძირს მეფის მონარქია, გაუმარჯოს რესპუბლიკას». (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 15, გვ. 329 — 330. რ ე დ.).

** იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 15, გვ. 478 — 479. რ ე დ.

«სწორედ დაზღვევის კანონპროექტის მაგალითით მუშები კიდევ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ არ შეიძლება დაცულ იქნას არც თავისი კლასის უშუალო ინტერესები, არც მთელი ხალხის უფლებები და საჭიროებანი, თუ არ მოხდა ისეთი გარდაქმნები, როგორიცაა საყოველთაო საარჩევნო უფლება, კოალიციის, ბეჭდვითი სიტყვისა და სხვათა სრული თავისუფლება. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ასეთი გარდაქმნების განხორციელებას არ უნდა მოველოდეთ, ვიდრე უცვლელი რჩება რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური წყობილება, — არ უნდა მოველოდეთ, ვიდრე შესაძლებელი იქნება გაუქმება ყოველგვარი სათათბიროს ყოველგვარი გადაწყვეტილებისა, — არ უნდა მოველოდეთ, ვიდრე სახელმწიფოში რჩება თუნდაც ერთი არაარჩევითი ხელისუფლება».

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ III სათათბიროს ტრიბუნიდან სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ახერხებდნენ — და ესაა მათი დამსახურება — გაცილებით უფრო პირდაპირი და შკარა რესპუბლიკური განცხადებების გაკეთებას. სათათბიროს დეპუტატებს შეუძლიათ სრულიად ლეგალურად აწარმოონ სათათბიროდან რესპუბლიკური პროპაგანდა, — და მათ ეს უნდა გააკეთონ. კუზნეცოვის სიტყვის ჩვენი მაგალითებრივი შესწორებით ჩვენ გვინდა მხოლოდ დავასურათოთ, თუ როგორ შეეძლო მას თავიდან აეცილებინა შეცდომები, დაეცვა სიტყვის საერთო გეზი, ხაზგასმით აღენიშნა უდიდესი მნიშვნელობა ისეთი აუცილებლად საჭირო გარდაქმნებისა, როგორიცაა საყოველთაო საარჩევნო უფლება, კოალიციების თავისუფლება და სხვ.

რესპუბლიკაზე მუდამ უნდა ილაპარაკოს ყოველმა სოციალ-დემოკრატმა, რომელიც კი წარმოთქვამს სადმე პოლიტიკურ სიტყვას. მაგრამ რესპუბლიკაზე ლაპარაკი უნდა იცოდე: მასზე არ შეიძლება ერთნაირად ილაპარაკო საქარხნო მიტინგზე და კაზაკთა სოფელში, სტუდენტთა კრებაზე და გლეხის ქოხში, III სათათბიროს ტრიბუნიდან და საზღვარგარეთული ორგანოს ფურცლებზე. ყოველი პროპაგან-

დისტანსა და ყოველი აგიტატორის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახადოს რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, რაც შეიძლება ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ და უფრო მტკიცედ დასახსომებელი.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ უმთავრესი: რუსეთში ახალი ცხოვრებისა და ახალი ბრძოლისათვის იღვიძებს ახალი დემოკრატია. შეგნებული მუშების — რუსეთის რევოლუციის ამ ავანგარდისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხის მასების ამ ხელმძღვანელის მოვალეობაა განმარტონ თანამიმდევარი დემოკრატიის ამოცანები: რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია.

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურა

ეს ნომერი თითქმის უკვე სავსებით დამთავრებული იყო, როდესაც მივიღეთ «მომავლის» მე-9 ნომერი. ამ გაზეთს ჩვენ ლიბერალური სასტუმრო ოთახი ვუწოდეთ. თურმე, ამ სასტუმრო ოთახში ხანდახან გამოდიან რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტები და ცდილობენ აიყოლიონ რევოლუციონერები. ასეთი აგენტის დაწერილია მე-9 ნომრის მოწინავე სტატია, რომელიც მიესალმება კადეტების გადაწყვეტილებას ოქტიაბრისტებთან ბლოკის შეკვრის შესახებ!! «ჩვენი სურვილი იქნებოდა, — წერენ ბომბიანი ლიბერალები, — რომ ასევე მსჯელობდნენ და ამავე საწყისებით ხელმძღვანელობდნენ... ყველა მემარცხენე პარტიები, სოციალისტური და რევოლუციური პარტიების ჩათვლით!!»

ოღონდაც რომ უნდა სურდეს ეს კონტრრევოლუციურ ლიბერალს! მხოლოდ საჭიროა, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რაშია აქ საქმე: როდესაც «მომავლის» მოწინავე სტატია ამბობს: «ჩვენ სოციალისტები ვართ», «ჩვენ რევოლუციონერები ვართო», — უნდა წაიკითხო: «ჩვენ ლიბერალები ვართ».

ეს-არის მივიღეთ გაზეთები, სადაც იუწყებიან, ვოილოშნიკოვი 15 სხდომიდან გარიცხესო[108]. კადეტები მხარს უჭერდნენ ხუთი სხდომიდან გარიცხვას!! გაუმარჯოს კადეტ-ოქტიაბრისტთა ბლოკს — დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების გასარიცხავად ათი სხდომიდან!!

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

პარტიული კრიზისის დასასრული

ამ ორი წლის წინათ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში შეხვდებოდით სიტყვებს პარტიის «გამაერთიანებელი კრიზისის» შესახებ *. კონტრრევოლუციური ეპოქის რღვევამ და დაშლამ გამოიწვია ახალ-ახალი გადაჯგუფებანი და გათიშვები, საზღვარგარეთული ბრძოლის ახალი გამწვავება, და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მძიმე შინაური მდგომარეობის შემყურე მრავალი მცირედ მორწმუნე ან სუსტნერვებიანი ადამიანი ეცემოდა სულით. ამჟამად, როდესაც რუსეთის საორგანიზაციო კომისია (რსკ) [109] დაარსდა, აშკარად ახლოვდება თუ კრიზისის ბოლო არა, ყოველ შემთხვევაში, ახალი და გადამწყვეტი გარდატეხა უკეთესობისაკენ პარტიის განვითარებაში. ამიტომ დროული იქნება ვეცადოთ, რომ საერთოდ თვალი გადავავლოთ შინაპარტიული ევოლუციის განვლილ ეტაპს და უახლოესი მომავლის პერსპექტივებს.

რევოლუციის შემდეგ რსდმ პარტია დარჩა სამი ცალკეული, ავტონომიური, ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და ორი, ვიწრო გაგებით, რუსული ფრაქციის სახით. ამ ფრაქციებს რომ ღრმად აქვს გადგმული ფესვები პროლეტარიატის განვითარების ტენდენციებში, მისი ცხოვრების ვითარებაში ბურჟუაზიული რევოლუციის ახლანდელ ეპოქის მანძილზე, ეს დამტკიცებულია 1905, 1906 და 1907 წლების თავისი სიმდიდრით უდიდესი ამბების გამოცდილებით. კონტრრევოლუციამ კვლავ დაბ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323. რ ე დ.

ლობში ჩამოგვყარა მთიდან, რომელზედაც ჩვენ კარგა მაღლა ავედით. პროლეტარიატს უნდა გადაეჯგუფებინა თავისი რიგები და ხელახლა მოეკრიბა ძალები სტოლიპინური სახრჩობელებისა და ვეხური იერემიადების ვითარებაში.

ახალმა ვითარებამ გამოიწვია ტენდენციების ახალი დაჯგუფება სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით. ორივე ახალ ფრაქციას — ჟამთა სიავის მძიმე გავლენით — თანდათან გამოეყვნენ ყველაზე ნაკლებ მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ელემენტები, პროლეტარიატის ყოველგვარი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი. სოციალ-დემოკრატიისაგან ეს ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ორმა მიმდინარეობამ: ლიკვიდატორობამ და ოტზოვიზმმა. მათვე გარდუვალად წარმოშვეს ორივე ფრაქციის იმ ძირითად ბირთვთა დაახლოების ტენდენცია, რომლებიც მარქსიზმის ერთგულნი დარჩნენ. ასეთი იყო საქმის ვითარება, რომელმაც წარმოშვა 1910 წ. იანვრის პლენუმი — გამოსავალი პუნქტი პლუსებისა და მინუსებისა, წინ გადადგმული ნაბიჯებისა და უკან ხეტიალისა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემდგომ განვითარებაში.

ბევრმა დღემდე კარგად ვერ გაიგო პლენუმის მიერ შესრულებული საქმის უცილობელი იდეური დამსახურება და მისი უდიდესი «შემარიგებლური» შეცდომა. ხოლო ამის გაუგებლად არაფრის გაგება არ შეიძლება პარტიის ახლანდელ მდგომარეობაშიც. ამიტომ კიდევ და კიდევ უნდა შევჩერდეთ ახლანდელი კრიზისის გამოსავალი პუნქტის გარკვევაზე.

ამ გარკვევას უფრო მეტად შეუწყობს ხელს «შემარიგებლის» მიერ პლენუმის წინ დაწერილი და მაშინვე მის შემდეგ დაბეჭდილი სტატიიდან ამოღებული შემდეგი ციტატი, ვიდრე გრძელ-გრძელი მსჯელობანი ან ციტატები უფრო უშუალო და უფრო მრავალრიცხოვანი «დოკუმენტებიდან». პლენუმზე გაბატონებული «შემარიგებლობის» ერთ-ერთი მეთაური, ამხ. იონოვი, ბუნდელი, შემდეგს წერდა სტატიაში: «შესაძლებელია თუ არა პარტიული ერთიანობა?»,

«დისკუსსიონნი ლისტოკ» № 1 (1910 წ. 19 მარტი; მე-6 გვ. რედაქციის შენიშვნაა: «სტატია დაწერილია პლენუმამდე»):

«რაც უნდა მავნებელი იყოს პარტიისათვის თავისთავად ოტზოვიზმი და ლიკვიდატორობა, მათი კეთილმყოფელი გავლენა ფრაქციებზე, მგონი, ეჭვს გარეშეა. პათოლოგიამ ორგვარი მუწუკი იცის: ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი. კეთილთვისებიანი მუწუკი ორგანიზმისთვის სასარგებლო ავადმყოფობად ითვლება. დამწიფების პროცესში ის თავისკენ იზიდავს მთელი ორგანიზმიდან ყოველგვარ მავნე ელემენტებს და ამნაირად ხელს უწყობს მის გაჯანსაღებას. მე ვფიქრობ, ასეთივე როლი შეასრულა ლიკვიდატორობამ მენშევიზმის მიმართ და ოტზოვიზმ-ულტიმატიზმმა — ბოლშევიზმის მიმართ».

აი საქმის ვითარების შეფასება, რომელიც მოგვცა «შემარიგებელმა» პლენუმის დროს და რომელიც ზუსტად გვისურათებს პლენუმზე გამარჯვებული შემარიგებლობის ფსიქოლოგიასა და იდეებს. მოყვანილ ციტატში სწორია, ათასჯერ სწორია ძირითადი აზრი, — და სწორედ იმიტომ, რომ ის სწორია, ბოლშევიკებს (რომლებმაც ჯერ კიდევ პლენუმამდე ფართოდ გაშალეს ბრძოლა როგორც ლიკვიდატორობასთან, ისე ოტზოვიზმთან) არ შეეძლოთ გაჰყოლოდნენ შემარიგებლებს პლენუმზე. არ შეეძლოთ იმიტომ, რომ ძირითად აზრში თანხმობა იყო; უთანხმოება ეხებოდა მისი განხორციელების ფორმას; ფორმა დაემორჩილება შინაარსს — ფიქრობდნენ ბოლშევიკები, და ისინი მართალნი აღმოჩნდნენ, თუმცა ამ «ფორმის შეგუებამ შინაარსთან», პარტიას, შემარიგებლების შეცდომის გამო, თითქმის «ტყუილუბრალოდ» წაართვა სიცოცხლის ორი წელიწადი.

რაში მდგომარეობდა ეს შეცდომა? იმაში, რომ ნაცვლად იმ და მხოლოდ იმ მიმდინარეობათა დაკანონებისა, რომელნიც იწმინდებიან (და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი იწმინდებიან) «მუწუკებისაგან», შემარიგებლებმა დააკანონეს ყველა და ყოველგვარი მიმდინარეობა გაწმენდის ცარიელი დაპირების საფუძველზე. ვპერიოდელებმაც, გოლოსელებმაც, და ტროცკიმაც «მოაწერეს ხელი» რეზოლუციას ოტზოვიზმისა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, — მაშასადამე,

აღუთქვეს, რომ «გაიწმინდებიან», — მორჩა და გათავდა. შემარიგებლებმა «დაიჯერეს» დაპირება და აურიეს პარტია არ ა-პარტიულ, მათივე აღიარებით, «მუწუკებიან» პატარა ჯგუფებთან. ეს იყო ბავშვობა პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით და უიდეობა, უპრინციპობა, ინტრიგანობა უფრო ღრმა თვალსაზრისით: მართლაც, ვინც სერიოზულად იყო დარწმუნებული, რომ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი მუწუკებია, მას არ შეეძლო არ გაეგო, რომ მუწუკებმა დამწიფებისას უნდა მ ი ი ზ ი დ ო ნ ორგანიზმის მავნე ელემენტები, უნდა გააძევონ ისინი ორგანიზმიდან. ის ვერ შეუწყობდა ხელს ორგანიზმის მოწამვლას «მუწუკის» შხამის შიგნით შედენის ცდით.

პლენუმის შემდეგ გასულმა პირველმა წელმა საქმით გამოააშკარავა შემარიგებელთა უიდეობა. ფაქტიურად პარტიულ მუშაობას (— მუწუკებისაგან გაწმენდა, გაჯანსაღება) ეწეოდნენ ბოლშევიკები და პლეხანოველები მთელი ამ წლის განმავლობაში. «სოციალ-დემოკრატიც» და «რაბოჩაია გაზეტაც» (ტროცკის მიერ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის განდევნის შემდეგ) ამტკიცებენ ამ ფაქტს. 1910 წლის ზოგიერთი, ყველასათვის ცნობილი, ლეგალური გამოცემაც [110] ამტკიცებს ამ ფაქტს. აქ სიტყვები კი არა, სწორედ ფაქტებია: ერთად მუშაობა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში.

გოლოსელებიც, «ვპერიოდელებიც» და ტროცკიც ამ წლის (1910) განმავლობაში ფაქტიურად ჩამოშორდნენ პარტიას და სწორედ ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმ-ულტიმატიზმს მიემხრნენ. «კეთილთვისებიანი მუწუკები» დარჩნენ მუწუკებად, რომლებსაც არაკეთილთვისებიანი საქციელი ჰქონდათ იმდენად, რამდენადაც ისინი «მავნე ელემენტებს» კი არ სდევნიდნენ პარტიის ორგანიზმიდან, არამედ განაგრძობდნენ ამ ორგანიზმის მოწამვლას, ავადმყოფურ მდგომარეობაში ამყოფებდნენ, პარტიული მუშაობის უნარს ართმევდნენ მას. ამ პარტიულ მუშაობას (ყველასათვის მისაწვდომ ლიტერატურაში) ეწეოდნენ ბოლშევიკები და პლეხანოვე-

ლები მიუხედავად «შემარიგებლური» რეზოლუციებისა და კოლეგიებისა, რომლებიც შეჰქმნა პლენუმმა, გოლოსელებისა და ვპერიოდელების წინააღმდეგ, და არა მათთან ერთად (ვინაიდან შეუძლებელი იყო მუშაობა ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტ-ულტიმატისტებთან ერთად).

რუსეთში მუშაობა? მთელი წლის განმავლობაში ცენტრალურ კომიტეტს არც ერთი კრება არ ჰქონია! რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის ცეკისტები (შემარიგებლები, რომელთაც ღირსეულად დაიმსახურეს ლიკვიდატორთა «გოლოსის» ალერსი) სულ «იწვევდნენ» ლიკვიდატორებს და მთელი წლის განმავლობაში, წელიწადსა და სამი თვის განმავლობაში, ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს მათი «მოწვევა»! ცენტრალურ კომიტეტში «იძულებითი მიყვანის» ინსტიტუტი, სამწუხაროდ, არ იყო გათვალისწინებული პლენუმზე ჩვენი გულკეთილი შემარიგებლების მიერ. მივიღეთ სწორედ ის აბსურდული, პარტიისათვის სამარცხვინო მდგომარეობა, რომელსაც წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკები პლენუმზე, როდესაც იბრძოდნენ შემარიგებელთა გულმინდობილობისა და გულუბრყვილობის წინააღმდეგ: რუსეთში მუშაობა შეჩერებულია, პარტია ხელფეხშეკრულია, ხოლო «ნაშა ზარიას» და «ვპერიოდის» ფურცლებიდან პარტიას საზიზღრად თავს ესხმიან ლიბერალები და ანარქისტები! ერთი მხრივ, მიხეილი, რომანი და იური, მეორე მხრივ, ოტზოვისტები და ღვთისმშენებლები მთელი ძალღონით აჩანაგებენ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას, ცეკისტი-შემარიგებლები კი ლიკვიდატორებს «იწვევენ» და «ელოდებიან» მათ!

1910 წლის 5 დეკემბრის «განაცხადით» ბოლშევიკებმა აშკარად და ფორმალურად თქვეს, რომ ისინი აუქმებენ ხელშეკრულებას ყველა დანარჩენ ფრაქციასთან. პლენუმზე დადებული «ზავის» ჩაშლა, მისი ჩაშლა «გოლოსის», «ვპერიოდის», ტროცკის მიერ, საბოლოოდ აღიარებული ფაქტი გახდა.

დაახლოებით ნახევარი წელიწადი (1911 წ. ივნისამდე) გავიდა იმის ცდაში, რომ მოეწვიათ საზღვარგარეთული პლე-

ნუმი, რომელიც ხელშეკრულებით სამ თვეში მაინც უნდა მოწვეულიყო. ლიკვიდატორებმა (გოლოსელებმა — ბუნდელებმა — შვარცმა) ჩაფუშეს საზღვარგარეთული პლენუმიც. მაშინ სამი ჯგუფის — ბოლშევიკების, პოლონელებისა და «შემარიგებლების» ბლოკი უკანასკნელად ცდილობს იხსნას საქმე: მოიწვიოს კონფერენცია, შეჰქმნას რუსეთის საორგანიზაციო კომისია. ბოლშევიკები ისევ უმცირესობაში არიან: 1910 წ. იანვრიდან 1911 წ. ივნისამდე სჭარბობენ ლიკვიდატორები (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში — გოლოსელები — ბუნდელი — შვარცი; რუსეთში — ლიკვიდატორთა «მიმწვევი» «შემარიგებლები»); 1911 წ. ივნისიდან 1911 წ. 1 ნოემბრამდე (ვადა, რომელიც მფლობელთა სამედიატორო სასამართლომ დააწესა)[111] სჭარბობენ შემარიგებლები, რომლებთანაც გადავიდნენ პოლონელები.

საკითხი ასე დაისვა: ფულიც და აგენტების გაგზავნაც ტიშკოს და მარკის (პარიზელ შემარიგებელთა ბელადი)[112] ხელშია; ბოლშევიკებისათვის უზრუნველყოფილია მხოლოდ ის, რომ თანახმანი არიან ისინიც გაგზავნონ სამუშაოდ. პლენუმით გამოწვეული უთანხმოებანი ეხებოდა მარტო უკანასკნელ მუხლს, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო: ვიმუშაოთ მთელი ძალღონით, არავის «დავუცადოთ», არავინ «მოვიწვიოთ» (ვისაც სურს და შეუძლია სოციალ-დემოკრატიულად მუშაობა, მას მოწვევაც არ სჭირდება!), თუ განვაგრძოთ ვაჭრობა ტროცკისთან, «ვპერიოდთან» და სხვა. ბოლშევიკებმა აირჩიეს პირველი გზა, რაც პირდაპირ და აშკარად განაცხადეს უკვე ცეკისტების თათბირზე პარიზში. ტიშკომ და კომპანიამ აირჩიეს (და თავს მოახვიეს ტექნიკურ კომისიასაც და საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიასაც) მეორე გზა, რაც ობიექტურად — როგორც დაწვრილებითაა ნაჩვენები «სოციალ-დემოკრატის» 24-ე ნომრის ფელეტონში * — წარმოადგენს ცარიელ და უბადრუკ ინტრიგანობას.

შედეგი ახლა ყველასათვის აშკარაა. 1 ნოემბრისათვის შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია.

* იხ. ეს ტომი, გვ. 302 — 328. რ ე დ.

სინამდვილეში იგი შეჰქმნეს ბოლშევიკებმა და რუსეთის პარტიელმა მენშევიკებმა. «ორი ძლიერი (ძლიერი თავისი იდეური სიმტკიცით, «მუწუკებისაგან» გამწმენდი მუშაობით) ფრაქციის კავშირი», რომლის წინააღმდეგ ასე ბრაზობდნენ ჭკუასუსტი ადამიანები პლენუმზე და პლენუმის შემდეგ (იხ. «გოლოს», «ვპერიოდ», «ოტკლიკი ბუნდა»[113], «პრავდა» და ს ხ ვ.), ფაქტი აღმოჩნდა. 1910 და 1911 წლების რუსეთისათვის ისეთ სანიმუშო და მოწინავე სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, როგორიც ბაქოს და კიევის ორგანიზაციებია[114], ეს კავშირი, ბოლშევიკებისათვის დიდად სასიხარულოდ, იქცეოდა თითქმის სრულ შეერთებად, სოციალ-დემოკრატი პარტიელების ერთიან განუყოფელ ორგანიზმად.

ორი წლის გამოცდილებით შემოწმების შემდეგ წუწუნი «ყველა» ფრაქციის დათხოვნის შესახებ იმ თავცარიელ ადამიანთა უბადრუკი ფრაზა აღმოჩნდა, რომელთაც აბრიყვებდნენ ბატონი პოტრესოვები და ბატონი ოტზოვისტები. «ორი ძლიერი ფრაქციის კავშირმა» თავისი საქმე შეასრულა და — ღონიშნული მოწინავე კოლექტივების სახით — პირდაპირ დაიწყო სრული შეერთება ერთიან პარტიად. საზღვარგარეთელი პარტიელი მენშევიკების მერყეობა ვეღარ შესცვლის ამ მომხდარ ფაქტს.

პლენუმის შემდგომ განვლილი ორი წელი, რაც მრავალ მცირედ მორწმუნეს ან დილეტანტებს სოციალ-დემოკრატიაში, რომელთაც არ სურთ გაიგონ ამოცანის უსაშინელესი სიძნელე, ფუჭი, გამოუვალი და უაზრო კინკლაობის, დაშლისა და რღვევის წლებად ეჩვენებათ, ნამდვილად იყო წლები ლიკვიდატორული და ოტზოვისტური მერყეობის ჭაობიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოყვანისა და სწორ გზაზე დაყენებისა. 1910 წელმა მოგვცა ბოლშევიკებისა და პარტიელი მენშევიკების ერთად მუშაობა პარტიის ყ ვ ე ლ ა ხელმძღვანელ (ოფიციალურ და არაოფიციალურ, ლეგალურ და არალეგალურ) ორგანოში: ეს იყო პირველი ნაბიჯი «ორი ძლიერი ფრაქციის კავშირისა», ნაბიჯი იდეური მომზადებისა, ძალთა მოგროვებისა ერთი ანტილიკვიდატორული და ანტი-

ოტზოვისტური დროშის ქვეშ. 1911 წელმა მოგვცა მეორე ნაბიჯი: შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია. მის პირველ კრებაზე პარტიელ-მენშევიკების თავმჯდომარეობა საგულისხმო ფაქტია: მეორე ნაბიჯი უკვე გადაიდგა, — შეიქმნა რუსეთის პრაქტიკულად მოქმედი ცენტრი. ორთქლმავალი წამოყენებულია და დადგმულია რელსებზე.

ოთხი წლის რღვევისა და დაქსაქსულობის შემდეგ პირველად შეიკრიბა — მიუხედავად წარმოუდგენელი დევნისა პოლიციის მხრივ და გოლოსელთა, ვპერიოდელთა, შემარიგებელთა, პოლონელთა და **tutti quanti**-ის * გაუგონარი «ფეხის გამოდებისა», რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ცენტრი. პირველად გამოვიდა რუსეთში ამ ცენტრის ფურცელი პარტიისადმი [115]. პირველად მოიცვა სისტემატურად და მთლიანად მუშაობამ ადგილობრივი არალეგალური ორგანიზაციების აღსადგენად (რაღაც სამი თვის განმავლობაში, 1911 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე) ორივე დედაქალაქი, ვოლგისპირეთი, ურალი, კავკასია, კიევი, ეკატერინოსლავი, როსტოვი, ნიკოლაევი, — ვინაიდან რუსეთის საორგანიზაციო კომისია შეიკრიბა ყველა ამ ადგილის შემოვლის შ ე მ დ ე გ, ვინაიდან მას პირველი კრება ჰქონდა პეტერბურგის კომიტეტის აღდგენისა და მის მიერ მთელი რიგი მუშათა მიტინგების მოწყობის დ რ ო ს, მოსკოვის რაიონების მიერ პარტიისათვის მხარის დაჭერის რეზოლუციების გამოტანის დროს და სხვ.

რა თქმა უნდა, შეუწყნარებელი გულუბრყვილობა იქნებოდა ზერელე ოპტიმიზმს ავყოლოდით; ჯერ კიდევ უდიდესი სიძნელენი მოგველის; პოლიციური დევნა გაათკეცდა სოციალ-დემოკრატიული ცენტრის პირველი რუსული ფურცლის გამოქვეყნების შემდეგ; მოსალოდნელია ხანგრძლივი და ძნელი თვეები, ახალი ჩავარდნები, მუშაობის ახალი შეწყვეტანი. მაგრამ მთავარი გაკეთებულია. დროშა აღმართულია; მუშათა წრეები მთელ რუსეთში ხელს უწვდიან მას, და ახლა მას ვერავითარი კონტრრევოლუციური იერიში ვერ ჩამოაგდებს!

* — ყველა დანარჩენის. რ ე დ.

რით უპასუხეს საზღვარგარეთელმა «შემარიგებლებმა» და ტიშკო — ლედერმა რუსეთში მუშაობის ამ გიგანტურ წინგადადგმულ ნაბიჯს? უბადრუკი ინტრიგანობის უკანასკნელი აფეთქებით: პლენუმის წინ იონოვის მიერ ასე გულთმისნურად ნაწინასწარმეტყველევი «დამუწუკების პროცესი» სასიამოვნო არაა, რაღა თქმა უნდა. მაგრამ ვისაც არ ესმის, რომ ეს არასასიამოვნო პროცესი აჯანსაღებს სოციალ-დემოკრატიას, მან არც უნდა მოჰკიდოს ხელი რევოლუციურ მუშაობას! ტექნიკურ კომისიას და საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიას არ სურთ დაემორჩილონ რუსეთის საორგანიზაციო კომისიას. — ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, ზიზღით ზურგს აქცევენ საზღვარგარეთელ ინტრიგანებს. — მაშინ იწყება მერყეობა: ნოემბრის დამდეგს საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ნამსხვრევებს (ორი პოლონელი პლუს შემარიგებელი) გადაეცა მოხსენება რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მოწვევის შესახებ. მოხსენება იმდენად დაწვრილებით გვისურათებს მთელ მუშაობას, რომ ბოლშევიკთა მოწინააღმდეგენი, «გოლოსის» მიერ ნაქებნადიდები შემარიგებლები იძულებულნი არიან იცნონ რუსეთის საორგანიზაციო კომისია. — იღებენ საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის 1911 წ. 13 ნოემბრის რეზოლუციას: «ვიხელმძღვანელოთ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებებით». საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ფულის 4/5 გადაეცეს რუსეთის საორგანიზაციო კომისიის სალაროს, — მაშასადამე, თვით პოლონელებს, თვით შემარიგებლებს აღარ ძალუძთ ეჭვი შეიტანონ მთელი საქმის დაყენების სერიოზულობაში.

მიუხედავად ამისა — კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ არც ტექნიკური კომისია და არც საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია არ ემორჩილებიან რუსეთის საორგანიზაციო კომისიას!! სად ვეძიოთ ამ თამაშის ახსნა?

ცენტრალური ორგანოს რედაქციას ხელთა აქვს დოკუმენტი [116], რომელიც წარედგინება კონფერენციას და რომლიდანაც ჩანს, რომ ტიშკო აგიტაციას ეწევა რუსეთის საორგა-

ნიზაციო კომისიასა და კონფერენციაში მონაწილეობის მიუღებლობის სასარგებლოდ.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო საზიზღარი ინტრიგანობა? ტექნიკურ კომისიასა და საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიაში გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ კონფერენციის მოწვევას და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნას — დაიწყეს ტრაბახი, «ყველას» მოვიწვევთო, და არავინ მოუწვევიათ (თუმცა, როგორც უმრავლესობას, უფლება ჰქონდათ მოეწვიათ და წამოეყენებინათ ყოველგვარი პირობები), — ვერ გამოძებნეს ვერც ერთი მუშაკი, გარდა ბოლშევიკებისა და პარტიელი მენშევიკებისა, — სრულიად დამარცხდნენ მათ მიერვე არჩეულ სარბიელზე, — და იქამდე დაეცნენ, რომ «ფეხი გამოსდეს» იმავე რუსეთის საორგანიზაციო კომისიას, რომელსაც ნებაყოფლობით მისცეს, როგორც სრულუფლებიან ცენტრს, სახსრების $^4/_5$ კონფერენციისათვის!!

დიახ, მუწუკი — არასასიამოვნო რამაა, განსაკუთრებით «მომწიფების პროცესში». რატომ მოხდა, რომ ყველა და ყოველგვარ საზღვარგარეთულ ჯგუფთა კავშირის თეორეტიკოსებს ინტრიგანობის გარდა აღარაფერი დარჩათ, ეს უკვე ნაჩვენები იყო ცენტრალური ორგანოს 24-ე ნომერში. ახლა რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები ორში ერთს ადვილად აირჩევენ: დაიცვან თავიანთი რუსეთის საორგანიზაციო კომისია და თავიანთი კონფერენცია თუ ნება მისცენ ტიშკოს, ლედერს და კომპანიას ინტრიგების საშუალებით შეაფერხონ მათი კონფერენცია. ინტრიგანებმა დაიღუპეს თავი, ეს ფაქტია, — ტიშკო და ლედერი უკვე ყვითელი განმასხვავებელი ნიშნებით შევიდნენ რსდმ პარტიის ისტორიაში, — ხოლო კონფერენციას ისინი ვერ შეაფერხებენ, რუსეთის საორგანიზაციო კომისიას ისინი ვერ გამოუთხრიან ძირს.

ლიკვიდატორები? მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში, 1910 წ. იანვრიდან 1911 წ. ივნისამდე, როდესაც მათ ჰყავდათ უმრავლესობა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში და ერთგული «მეგობრები» ცენტრალური

კომიტეტის რუსეთის ბიუროს შემარიგებლების სახით, მათ სრულიად, სრულიად არაფერი გაუკეთებიათ რუსეთში მუშაობისათვის! როდესაც მათ უმრავლესობა ჰყავდათ, მუშაობა შეჩერებული იყო. ხოლო როდესაც ბოლშევიკებმა დაარღვიეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ლიკვიდატორული ბიურო და შეუდგნენ კონფერენციის მოწვევას, მაშინ ლიკვიდატორები ამოძრავდნენ. და მეტად დამახასიათებელია იმის დანახვა, თუ რაში გამოიხატა ეს «ამოძრავება». ბუნდელებმა, რომლებიც მუდამ ფრიად ერთგულად ემსახურებიან ლიკვიდატორებს, — ამას წინათ მოინდომეს ესარგებლნათ ახლანდელი «არეული დროით» (ლატვიელებში, მაგალითად, ორი მიმდინარეობის — ლიკვიდატორული და პარტიული მიმდინარეობის ბრძოლის შედეგი ჯერ კიდევ არ გამორკვეულა), სადღაც იშოვნეს ერთი კავკასიელი, და მთელი კომპანია წავიდა ქალაქ Z.-ში [117], რათა ხელისმოწერა გამოეგლიჯათ Café Bubenberg-ში (ქალაქი ბერნი, 1911 წ. აგვისტო) ტროცკისა და დანის მიერ შედგენილი რეზოლუციებისათვის. მაგრამ ლატვიელთა ხელმძღვანელი ორგანიზაცია ვერ იპოვეს, ხელი ვერ მოაწერინეს და ვერ შეთხზეს ვერავითარი ქაღალდი მყვირალა ფირმით: «სამი უძლიერესი ორგანიზაციის საორგანიზაციო კომისია». ესეთია ფაქტები *.

დაე გაეცნონ რუსი მუშები იმას, თუ როგორ ცდილობენ ბუნდელები რუსეთში რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ჩაშლას! აბა დაუფიქრდით: მაშინ როდესაც კონფერენციის მოწვევაზე მომუშავეებმა შემოიარეს ურალი, ვოლგისპირეთი,

* გულგაუტეხელი ბუნდელების გარდა რეზოლუციების შესაკრებად გაქანდნენ ვპერიოდელებიც. ამ პატარა ჯგუფიდან, — რომელიც სრულიადაც არ არის ოტზოვისტური, ღმერთმა დაგვიფაროს! — გაქანდა ერთი ცნობილი ოტზოვისტი [118], იგი «მივარდნილა» კიევში, მოსკოვში, ნიჟინ-ნოვგოროდში, «ურიგდებოდა» თურმე შემარიგებლებს და უკანვე დაბრუნებულა სრულიად გაწბილებული. ამბობენ, «ვპერიოდის» ჯგუფი წარუმატებლობას აბრალებს ლუნაჩარსკის მიერ შეთხზულ ცუდ ღმერთსაო; ჯგუფს ერთხმად მიუღია დადგენილება უკეთესი ღმერთის გამოგონების შესახებ.

პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, ეკატერინოსლავი, როსტოვი, თბილისი, ბაქო, — ბუნდელები «შოულობენ» «კავკასიელს» (ალბათ, იმათ რიცხვიდან, რომელთაც აქვთ კავკასიის საოლქო კომიტეტის «ბეჭედი» და რომლებმაც რსდმ პარტიის კონფერენციაზე 1908 წ. დეკემბერში წარმომადგენლებად დანი და აქსელროდი გაგზავნეს!) და მიდიან, რათა ლატვიელებს «წაგლიჯონ ხელმოწერა». ცოტა დააკლდა, რომ ინტრიგანთა ეს ბრბო, რომელიც ლიკვიდატორებს ემსახურება და აბსოლუტურად გაურბის ყოველგვარ მუშაობას რუსეთში, ნამდვილად გამოსულიყო, როგორც «სამი ორგანიზაციის», მათ შორის ბეჭდის ორი «უძლიერესი» მფლობელის, «საორგანიზაციო კომისია»! ან, შეიძლება, ბატონი ბუნდელები და კავკასიელი უამბობენ პარტიას, რუსეთის რომელი ორგანიზაციები და სახელდობრ როდის შემოიარეს, სად აღადგინეს მუშაობა, სად აკეთებდნენ მოხსენებებს? აბა, სცადეთ და გვიამბეთ, პატივცემულნო!

დიპლომატიურ საქმეთა საზღვარგარეთელი ოსტატები კი მცოდნის სერიოზული სახით ჭორიკანობენ: «იზოლირება შეუძლებელია», «უნდა მოველაპარაკოთ ბუნდსა და კავკასიის საოლქო კომიტეტსაო».

ოჰ, კომედიანტებო! —

დაე ისწავლონ, ჩაუფიქრდნენ პარტიის ისტორიის მნიშვნელობას ამ ორი წლის განმავლობაში ისინი, ვინც დღეს მერყეობს და წუხს ბოლშევიკების «იზოლაციის» შესახებ. ოჰ, ჩვენ უფრო კარგად ვგრძნობთ თავს, ვიდრე როდისმე, ასეთი იზოლაციით, როდესაც მოვკვეთეთ ნულების საზღვარგარეთელ ინტრიგანთა კოლექციები და ხელი შევუწყეთ პეტერბურგის, მოსკოვის, ურალის, ვოლგისპირეთის, კავკასიისა და სამხრეთის რუსი სოციალ-დემოკრატი მუშების დარაზმვას!

ვინც იზოლაციის გამო წუწუნებს, მას სრულიად ვერაფერი გაუგია ვერც პლენუმის დიადი იდეური საქმისა და ვერც მისი შემარიგებლური შეცდომისა. პლენუმიდან წელიწადნახევრის შემდეგ საზღვარგარეთ იყო მოჩვენებითი ერთიანობა

და რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სრული შეჩერება. 1911 წელს ნახევარმა თუ მესამედმა წელიწადმა ისა ჰქნა, რომ ბოლშევიკების მაქსიმალურმა მოჩვენებითმა იზოლაციამ პირველად დასძრა ადგილიდან სოციალ-დემოკრატიული მუშაობა რუსეთში, პირველად აღადგინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ცენტრი.

ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია იდეური სიდამპლე და სიდამბლე ისეთი «მუწუკებისა», როგორიცაა ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი, იმას ახლა დამატებით ასწავლის ისტორია უძლური კინკლაობისა და უბადრუკი ინტრიგანობისა, სადამდისაც ჩამოქვეითდნენ «გოლოსის» და «ვპერიოდის» ჯგუფები, თავიანთი დაცემის უფსკრულში რომ ითრევენ ყველას, ვინც კი ცდილობდა მათ დაცვას.

მაშ შეუდექით მუშაობას, ამხანაგო სოციალ-დემოკრატო პარტიელებო! თავიდან მოიშორეთ უკანასკნელი ნაშთები კავშირისა არასოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან და იმ პატარა ჯგუფებთან, რომლებიც, წინააღმდეგ პარტიის გადაწყვეტილებებისა, ასაზრდოებენ ამ მიმდინარეობებს. შემოკრბით რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გარშემო, დაეხმარეთ მას კონფერენციის მოწვევაში და ადგილობრივ მუშაობის განმტკიცებაში. რსდმ პარტიამ გადაიტანა მძიმე ავადმყოფობა: კრიზისი თავდება.

გაუმარჯოს ერთიან, არალეგალურ, რევოლუციურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის განაკიდან

ამ განაკში ყველაზე დიდ მოვლენას წარმოადგენს ნ. რ-კოვის სტატია ლიკვიდატორულ «ნაშა ზარიას» მე-9 — 10 ნომერში. ეს არის ნამდვილი «Credo» ანუ მანიფესტი ლიბერალური მუშათა პარტიისა. რ-კოვი იწყებს თავიდან, რევოლუციისა და ყველა კლასის როლის შეფასებით, და შესანიშნავი თანამიმდევრობით მიდის ბოლომდე, ლეგალური მუშათა (?) პარტიის პროექტამდე; ის მთელ თავის მსჯელობაში მარქსიზმს ლიბერალიზმით ცვლის.

როგორია ობიექტური ამოცანა, რომელიც რუსეთის წინაშე დგას? დამთავრება ნახევრადბატონყმური მეურნეობის შეცვლისა «კულტურული კაპიტალიზმით». — ეს მარქსისტული კი არა, სტრუვესებური ან ლიბერალურია, ვინაიდან მარქსისტი განასხვავებს კლასებს იმის სხვადასხვა — ოქტიაბრისტული, კადეტური, ტრუდოვიკული, პროლეტარული გაგებით, თუ რა არის «კულტურული» კაპიტალიზმი.

რა არის უმთავრესი რევოლუციის შეფასების საკითხში? რ-კოვი ჰგმობს რევოლუციის «წარუმატებლობაზე» მყვირალთა წუწუნსა და რენეგატობას და უპირისპირებს მათ... დიად პროფესორულ ჭეშმარიტებას, რომ «რეაქციების» დროსაც მწიფდებიან ახალი სოციალური ძალებიო. ცხადია, რ-კოვის ამგვარი პასუხი საქმის დ ე დ ა ა რ ს ს ჰფარავს სწორედ ისე, როგორც ეს ხელსაყრელია კონტრრევოლუციური ლიბერალებისათვის, რომელნიც სავსებით აღიარებენ რ-კოვის მიერ ხელახლა აღმოჩენილ ჭეშმარიტებას. საქმე ისაა, თუ რომელ

კლასებს აღმოაჩნდათ უნარი რევოლუციაში უშუალო, მასობრივი, რევოლუციური ბრძოლისა და რომელმა კლასებმა უღალატეს მას და პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიემხრნენ კონტრრევოლუციას. აი ეს დედაარსი რ-კოვმა დამალა და მით მოამზადა მიფუჩეჩება განსხვავებისა რევოლუციურ დემოკრატიასა და ლიბერალურ-მონარქისტულ «პროგრესულ» ოპოზიციას შორის.

მემამულეთა კლასის როლის საკითხში რ-კოვი ერთბაშად და მშვიდობიანად მივიდა აბსურდამდე. დიდი ხანი არ არის, რაც ამ კლასის წარმომადგენლები ნამდვილი მებატონეები «იყვნენ», ახლა კი «ისინი კიდევ თავს იყრიან მცირერიცხოვან ჯგუფად პურიშკევიჩისა და მარკოვ მეორის გარშემო და უძლურად (!!) ჰყრიან სასოწარკვეთილების შხამით მოწამლულ დორბლს». თავადაზნაურ-მემამულეთა უმრავლესობა «თანდათან და განუხრელად იქცევა სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიადაო».

ნამდვილად, როგორც ყველამ იცის, მარკოვ მეორენი და პურიშკევიჩები ჩვენში ყ ო ვ ლ ა დ ძლიერნი არიან სათათბიროშიც, კიდევ უფრო — სახელმწიფო საბჭოში, კიდევ უფრო — მეფის შავრაზმულ ბრბოში და კიდევ უფრო — რუსეთის მართვა-გამგეობაში. სწორედ «მათი ბატონობა და მათი შემოსავალი» (1908 წ. დეკემბრის კონფერენციის რეზოლუცია) უზრუნველყოფს ბურჟუაზიულ მონარქიად ცარიზმის ა ს ე თ ი გარდაქმნის გზაზე გადადგმულ ნაბიჯს. მებატონეთა მეურნეობის გადაქცევა ბურჟუაზიულ მეურნეობად სრულიადაც არ სპობს ამ შავრაზმელთა უშუალო პოლიტიკურ ძალაუფლებას: ეს აშკარაა მარქსიზმის ანბანის თვალსაზრისითაც, ეს ჩანს თუნდაც პრუსიის გამოცდილებით 60 წლის «გარდაქმნის» შემდეგ (1848 წლიდან). რ-კოვს ისე გამოუდის, თითქოს რუსეთში არც აბსოლუტიზმი იყოს და არც მონარქია! რ-კოვი ხმარობს სასკოლო ლიბერალურ მეთოდს: სოციალურ უკიდურესობათა გულკეთილ მოკვეთას (ქაღალდზე) იყენებს «კომპრომისის აუცილებლობის» «დამამტკიცებელ» საბუთად.

რ-კოვის აზრით, თანამედროვე აგრარული პოლიტიკა ნიშნავს «წინ გამოსახულ აუცილებელ (!) კომპრომისს» — ვის შორის? «ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის». ვკითხოთ ერთი ჩვენს «მარქსისტს»: რა სოციალური ძალა აიძულებს პურიშკევიჩებს, რომელთაც მთელი ძალაუფლება ხელთ უპყრიათ, კომპრომისზე წავიდნენ? რ-კოვი ამ კითხვაზე არ უპასუხებს. მაგრამ რადგან ის იქვე აღნიშნავს მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის კონსოლიდაციის პროცესს, «ზომიერ-პროგრესული» ბურჟუაზიის «მომავალ ბატონობას», ამიტომ დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: რ-კოვი იმედოვნებს, რომ ზომიერ-პროგრესული ბურჟუაზია ძალაუფლებას მშვიდობიანად ჩამოართმევს პურიშკევიჩებსა და რომანოვებს.

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. სწორედ ასეთი უალრესად უგვანო ლიბერალური უტოპია უდევს საფუძვლად რ-კოვის კონცეფციებს, — რ-კოვისა, რომელიც ტრაბახობს, ჩემს შეხედულებაში «უტოპიის ნატამალიც» არ არისო. ნამდვილად არავითარი განსხვავება არ არის ნ. რ-კოვსა და უკიდურეს ლიკვიდატორებს შორის, რომელნიც ყველანი—ლარინით დაწყებული ჩერევანინამდე, დანამდე და მარტოვამდე — ოდნავ შეცვლილი ფორმებითა და ფრაზებით გვთავაზობენ ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების მშვიდობიანი დაპყრობის (სულ დიდი-დიდი: «ქვემოდან» ზეგავლენით) ს წ ო რ ე დ ა მ ძ ი რ ი თ ა დ ა ზ რ ს.

მაგრამ სინამდვილეში, და არა ლიბერალურ უტოპიაში, ჩვენ ვხედავთ გუჩკოვებისა და მილიუკოვების ბუზღუნით გაზომიერებული პურიშკევიჩობის ბატონობას. «ზომიერ-პროგრესული» ოქტიაბრისტები და კადეტები ძირს კი არ უთხრიან ამ ბატონობას, არამედ ამარადისებენ მას. წინააღმდეგობა ამ ბატონობასა და რუსეთის უცილობლად წინმიმავალ ბურჟუაზიულ განვითარებას შორის თანდათან უფრო მწვავდება (და კი არ სუსტდება, როგორც ფიქრობენ «აუცილებელი კომპრომისის» თეორეტიკოსები). ამ წინააღმდეგობის გადაჭრის მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს მხოლოდ

მასები, ე. ი. პროლეტარიატი, რომელიც წინ მიუძღვება გლეხობას.

ყოფილი ბოლშევიკი და ახლანდელი ლიკვიდატორი ამ მასებს ისე ადვილად იშორებს თავიდან, თითქოს სტოლიპინის სახრჩობელებს და ვეხელთა სიბინძურის მდინარეს გაეძევებინოს ისინი არა მარტო აშკარა პოლიტიკის ასპარეზიდან, არა მარტო ლიბერალურ გამოცემათა ფურცლებიდან, არამედ ცხოვრებიდანაც. გლეხობა სუსტია არჩევნებშიო, — ამბობს ჩვენი ლიბერალი თავის «ანალიზში», — ხოლო მუშათა კლასს ის პირობით «განზე სტოვებს»!!

რ-კოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთში რევოლუცია («ქარიშხალი») თუმცა შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელი არ არისო. თუ «განზე დავტოვებთ» — თუნდაც პირობით, თუნდაც «ჯერჯერობით», თუნდაც «არჩევნებში სისუსტის» გამო მუშათა კლასს და გლეხობას, — მაშინ, ცხადია, რევოლუცია არათუ აუცილებელი არ ყრის, არამედ შეუძლებელიცაა. მაგრამ ლიბერალური გულკეთილობა ცხოვრებიდან ვერ გააქრობს ვერც პურიშკევიჩისა და რომანოვის ყოვლისშემძლებლობას და ვერც რევოლუციურ წინააღმდეგობას, რომელიც იზრდება მომწიფების პროცესში მყოფ პროლეტარიატში და მშიერ, წამებულ გლეხობაში. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ხ ა ზ ი მარქსისტისა, ე. ი. რევოლუციური სოციალ-დემოკრატისა, რომელიც ყოველ გარემოებაში, სულ სხვადასხვაგვარი ფორმით, მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაშიც, III სათათბიროს ტრიბუნიდანაც, მუშათა დეპუტატების საბჭოშიც, უმშვიდობიანეს, ლეგალურ მუშათა საზოგადოებაშიც იცავს ამ წინააღმდეგობის გაწევის მხარის დაჭერას, მის განმტკიცებას, განვითარებას, სწორ გეზს სრული გამარჯვებისაკენ, — ეს ხაზი რ-კოვმა თავის მსჯელობაში ყველგან შეცვალა იმ ლიბერალის ხაზით, რომელსაც არ სურს დაინახოს ის, რაც იატაკქვეშაა შედევნილი, არ სურს შეხედოს არაფერს, გარდა «კულტურულ იუნკრებად» «გარდაქმნის» პროცესში მყოფი პურიშკევიჩებისა ან «ზომიერ-პროგრესული» მილიუკოვებისა.

ეს არის სწორედ ის სპეციფიკური სიბრმავე, რომელიც ახასიათებს მთელ «ნაშა ზარიას», მთელ სტოლიპინურ მუშათა პარტიას. ამ ლიბერალური ბისტით დაბრმავებულ კონცეფციასთან განუყრელად დაკავშირებულია განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა მუშათა პარტიის ლეგალიზაციაზე. თუ «კომპრომისი აუცილებელია», მაშინ აუცილებლობის წინააღმდეგ ბრძოლა ამაოა, მუშათა კლასს — მსგავსად სავსებით დამკვიდრებული ბურჟუაზიული წყობილების დანარჩენი კლასებისა — ის დარჩენია, რომ გაიკეთოს უბრალო მეშჩანური ბუდე სადმე ამ წყობილების კუთხეში. ასეთია ლეგალისტთა ქადაგების რეალური მნიშვნელობა, როგორც არ უნდა დაჰფაროს იგი «რევოლუციური» ფრაზებით მარტოვმა, რომელსაც ეს ამპლუა დააკისრეს ბატონმა პოტრესოვებმა, იური ჩაცკებმა, ლარინებმა, დანებმა და კომპანიამ.

რ-კოვისთვის ლეგალური «მუშათა კლასის ინტერესთა დაცვის საზოგადოების» ე ს რ ე ა ლ უ რ ი მნიშვნელობა ცხადზე უცხადესია. რომ «უფროსები» ამგვარი საზოგადოების — მასში პროკოპოვიჩების ჰეგემონიის დროსაც კი — დაარსების ნებას არ დართავენ და მის «ფაქტიურ არსებობას» არ დაუშვებენ, ეს აშკარაა. მხოლოდ ლიბერალურ ბრმებს შეუძლიათ არ დაინახონ ეს. მაგრამ იმ ინტელიგენტთა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, რომელნიც სოციალიზმის სახით ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ქადაგებას ეწევიან მუშათა მასაში, ფაქტიურად უკვე არსებობს. ეს «საზოგადოება» არის სწორედ «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» თანამშრომელთა წრე; მათს «დროშას», ლიბერალიზმის იდეურ დროშას, «აფრიალებს» ნ. რ-კოვი, როდესაც გვარწმუნებს, რომ აშკარა ორგანიზაციის შეუქმნელად ბრძოლა აუცილებლად (!!) მიიღებს ანარქიულ ხასიათს, — რომ ძველი ლოზუნგები გადაიქცნენ მკვდარ სიტყვებად, — რომ ტაქტიკა არ შეიძლება «ჩხუბს» გავუთანაბროთ, — რომ ახალ «საზოგადოებაში» «ფ ი ქ რ ი ც კ ი არ შეიძლება (!) ძალდატანებითი გადატრიალების აუცილებლობის შესახებ» და სხვა. ინტელიგენტთა სწორედ ეს ლიბერალური, რენეგატული ქადაგება არის რეალობა, ხოლო მუშათა აშკარა საზოგადოება —

ფრაზაა. მუშათა კლასის ლიბერალურად გაგებული ინტერესების ლიბერალური დაცვის საზოგადოება არის რეალობა, ეს «საზოგადოებაა» სწორედ «ნაშა ზარია», ხოლო მუშათა «აშკარა და ფართო პოლიტიკური ორგანიზაცია» თანამედროვე რუსეთში — გულუბრყვილო, უშინაარსო, ყალბი ლიბერალური ოცნებაა.

ლეგალური პროფ. კავშირების მოწყობა — როცა იცი, რომ ისინი ამჟამად ვერ მიიღებენ ვერც ფართო, ვერც «პოლიტიკურ» და ვერც მტკიცე ხასიათს, — სასარგებლო საქმეა. ლიბერალური ქადაგება მუშათა პოლიტიკური საზოგადოების შესახებ ისე, რომ ფიქრადაც კი არ გაივლონ ძალდატანება, — ფუჭი და მავნე საქმეა.

დასასრულ ორი კურიოზი. პირველი კურიოზი. «ვინმემ რომ განიზრახოს, — წერს რ-კოვი, — და რეაქციული უგუნურებით დაბრმავებულმა ასეთი საზოგადოების წევრებს ბრალი დასდოს ძალდატანებითი გადატრიალების მისწრაფებაში, ამგვარი უაზრო, უსაფუძვლო, იურიდიულად სრულიად უმნიშვნელო ბრალდების მთელი სიმძიმე ბრალმდებელს დაატყდებოდა თავს». სურათი: შჩეგლოვიტოვსა და კომპანიას თავს ატყდება იურიდიულად სრულიად უმნიშვნელო ბრალდებათა სიმძიმე, და ამ «სიმძიმით» მათ ჰკლავს ნ. რ-კოვი — და არა როდიჩევი...

მეორე კურიოზი. მუშებმაო, — წერს რ-კოვი, — «უნდა იკისრონ პოლიტიკური ჰეგემონიის ამოცანა დემოკრატიული წყობილებისათვის ბრძოლაში». რ-კოვი აღიარებს ჰეგემონიას მას შემდეგ, რაც მან მთელი შ ი ნ ა ა რ ს ი გამოაცალა ჰეგემონიას. მუშებო, ამბობს რ-კოვი, თქვენ არ უნდა ებრძოლოთ «აუცილებელ» კომპრომისს, მაგრამ თქვენ ჰეგემონები უნდა უწოდოთ თქვენს თავს, — ხოლო ჰეგემონობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ განმარტო კომპრომისის «აუცილებლობის» იდეის ფიქციურობა და ებრძოლო ბურჟუაზიულ არადემოკრატიულ კომპრომისებს პროლეტარული და პროლეტარულ-გლეხური წინააღმდეგობის ხაზით.

ნ. რ-კოვი ისეთსავე სარგებლობას მოუტანს ლიკვიდატორებთან ბრძოლის საქმეს, როგორც ი. ლარინმა მოუტანა მუშათა ყრილობის ყალბ იდეასთან ბრძოლის საქმეს. ნ. რ-კოვს და ი. ლარინს სითამამე შესწევდათ... შიშვლები გამოჩენილიყვნენ. რ-კოვი პატიოსანი ლიკვიდატორია. თავისი უშიშრობით ის აიძულებს სხვებს ი ფ ი ქ რ ო ნ ლიკვიდატორობის იდეური ფესვების შესახებ. ის კიდევ და კიდევ დაადასტურებს რსდმ პარტიის 1908 წ. დეკემბრის რეზოლუციების სისწორეს, ვინაიდან სისტემატურად აყენებს (და მუდამ ყალბად წყვეტს) სწორედ იმ საკითხებს, რომლებიც ამ რეზოლუციებშია გარჩეული და სწორად გადაწყვეტილი. რ-კოვი განსაკუთრებით უბადრუკად გახდის, მუშების თვალში, ლიკვიდატორობის იმ დიპლომატებს, რომელნიც, «ნაშა ზარიას» (ან «გოლოსის») რედაქტორების მსგავსად, წრიალებენ და მელაკუდობენ, ღობე-ყორეს ედებიან, იხსნიან პასუხისმგებლობას რ-კოვის სტატიის «ცალკეული ადგილებისათვის» ან მისი გეგმის «კონკრეტიზაციისათვის». თითქოს საქმე ეხებოდეს ცალკეულ ადგილებს და სხვა, და არა ერთიან, სრულ, მთლიან ხაზს — ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ხაზს!

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ტროცკის დიპლომატიისა და პარტიელების ერთი პლატფორმის შესახებ

იმ საზღვარგარეთული პატარა ჯგუფების კვდომის პროცესს, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი არსებობა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის არასოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან დიპლომატიურ თამაშზე აეგოთ, თვალსაჩინოდ ასურათებს ამას წინათ გამოსული, დიდი ხნის შეჩერების შემდეგ, ტროცკის გაზეთის «პრავდის» 22-ე ნომერი.

გაზეთი გამოვიდა 29 ნოემბერს ახ. სტ. — თითქმის ერთი თვის შემდეგ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის განცხადების გამოსვლიდან. ტ რ ო ც კ ი მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ რ ი ნ ტ ს ა ც ა რ ა ძ რ ა ვ ს!

რუსეთის საორგანიზაციო კომისია ტროცკისთვის არ არსებობს. ტროცკი თავის თავს პარტიელს უწოდებს იმ საბუთით, რომ მისთვის რუსეთის პარტიული ცენტრი, შექმნილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობის მიერ, ნოლია! იქნებ, პირიქით, ამხანაგებო, ტროცკი თავისი საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფით ნოლს წარმოადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის?

ტროცკი გვარწმუნებს და ამას მსხვილი შრიფტით ბეჭდავს — ფიციც რომ არ ეზარება? — რომ მისი გაზეთი «პარტიულია და არა ფრაქციული». დაუკვირდით ოდნავი ყურადღებით 22-ე ნომრის შინაარსს და თქვენ ერთბაშად დაინახავთ ვპერიოდელთა და ლიკვიდატორთა ა რ ა-პარტიულ ფრაქციებთან თამაშის მარტივ მექანიკას.

აი პეტერბურგიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც ხელმოწერილია ს. ვ-ის მიერ და რეკლამას უკეთებს «ვპერიოდის» ჯგუფს. ს. ვ. უსაყვედურებს ტროცკის, რომ მან არ დაბეჭდა პიტერელთა დიდი ხნის წინათ გამოგზავნილი რეზოლუცია საპეტიციო კამპანიის წინააღმდეგ. ტროცკი, რომელსაც ვპერიოდელები «ვიწრო ფრაქციულობას» აბრალებენ (რა საშინელი უმადურობაა!), წრიალებს და ღობე-ყორეს ედება, იმოწმებს იმას, რომ მისი გაზეთი ღარიბია და იშვიათად გამოდის. თამაში ნათლად ჩანს: ჩვენ — თქვენთვის, თქვენ — ჩვენთვის; ჩვენ (ტროცკი) გავჩუმდებით ოტზოვისტებთან პარტიელების ბრძოლაზე და, პირიქით; ჩვენ (ტროცკი) დაგეხმარებით «ვპერიოდის» რეკლამირებაში, თქვენ (ს. ვ.) კი როგორმე დაუთმეთ ლიკვიდატორებს «საპეტიციო კამპანია». ორივე არაპარტიული ფრაქციის დიპლომატიური დაცვა — განა ეს ჭეშმარიტი პარტიულობა არ არის?

აი მაღალფარდოვანი მეთაური მყვირალა სათაურით: «წინ!». «შეგნებულო მუშებო! — ვკითხულობთ აქ, — ამჟამად თქვენ არა გაქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი» (დახეთ!) «და ყოვლისშემცველი» (დაიბნა საწყალი) «ლოზუნგი, როგორც კავშირების, კრებებისა და გაფიცვის თავისუფლება». «სოციალ-დემოკრატია, — ვკითხულობთ ქვევით, — მოუწოდებს პროლეტარიატს რესპუბლიკისათვის ბრძოლისაკენ. მაგრამ რესპუბლიკისათვის ბრძოლა ზოგიერთ რჩეულთა შიშველ (!!) ლოზუნგად რომ არ დარჩეს, საჭიროა, თქვენ, შეგნებულო მუშებო, ასწავლოთ მასებს გამოცდილებით შეიგნონ კოალიციის თავისუფლების საჭიროება და იბრძოლონ ამ საარსებო კლასობრივი მოთხოვნისათვის».

რევოლუციური ფრაზა იმისთვის დასჭირდათ, რომ დაჰფარონ და გაამართლონ ლიკვიდატორობის სიყალბე და მით გააბუნდოვანონ მუშათა შეგნება. რატომაა რესპუბლიკის ლოზუნგი შ ი შ ვ ე ლ ი ლოზუნგი ზ ო გ ი ე რ თ თ ა თ ვ ი ს, როდესაც რესპუბლიკა ნიშნავს სათათბიროს გარეკვის შეუძლებლობას? — კოალიციისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას? — გლეხთა თავისუფლებას მარკოვების, რომანოვებისა

და პურიშკევიჩების ძალმომრეობისა და ძარცვისაგან? განა ცხადი არ არის, რომ საქმე სწორედ პირიქითაა: რომ «შიშველი» და უაზროა, როგორც «ყოვლისშემცველი» ლოზუნგი, «კავშირების თავისუფლების» ლოზუნგი რესპუბლიკის ლოზუნგთან დ ა უ კ ა ვ შ ი რ ე ბ ლ ა დ?

უაზრობაა მეფის მონარქიას მოსთხოვო «კავშირების თავისუფლება», თუ მასებს არ განუმარტავ ასეთი თავისუფლების შეუთავსებლობას ცარიზმთან და ასეთი თავისუფლებისათვის — რესპუბლიკის აუცილებლობას. სათათბიროში კავშირების თავისუფლების კანონპროექტების შეტანა, შეკითხვები და სიტყვები ამგვარ თემებზე ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, სწორედ საბაბს და მასალას უნდა გვაძლევდეს აგიტაციისათვის რესპუბლიკის სასარგებლოდ.

«შეგნებულმა მუშებმა უნდა ასწავლონ მასებს გამოცდილებით შეიგნონ კოალიციის თავისუფლების საჭიროებაო»! ძველი სიმღერაა ძველი, ჯერ კიდევ «ეკონომისტების» მიერ ვაცვეთილი, რუსული ოპორტუნიზმისა! მასების გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა არის ის, როდესაც მინისტრები ხურავენ მათს კავშირებს, გუბერნატორები და ურიადნიკები ყოველდღე ძალმომრეობენ — აი ეს მართლაც მ ა ს ე ბ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ა. ხოლო რესპუბლიკის საპირდაპიროდ «კავშირების **თავისუფლების»** ლოზუნგის ქება-დიდება — მასებისთვის უცხო, ოპორტუნისტული ინტელიგენტის ფრაზაა. ეს არის ფრაზა ინტელიგენტისა, რომელსაც წარმოუდგენია, რომ (1 300-ის მიერ ხელმოწერილი) «პეტიციის» ან მაუდქვეშ ამოდებული კანონპროექტის «გამოცდილება» ისეთი რამაა, რაც «მასებს» ზრდის. ნამდვილად მათ ზრდის სხვა, ცოცხალი, და არა ქაღალდის, გამოცდილება, მათ ანათლებს შეგნებული მუშების აგიტაცია სწორედ რესპუბლიკის სასარგებლოდ, რაც ერთადერთი ყოვლისშემცველი ლოზუნგია პოლიტიკური დემოკრატიზმის აზრით.

ტროცკიმ ჩინებულად იცის, რომ ლიკვიდატორები ლეგალურ გამოცემებში სწორედ ა ე რ თ ე ბ ე ნ «კოალიციების თავისუფლების» ლოზუნგს ლოზუნგთან: ძირს არალეგალური

პარტია, ძირს რესპუბლიკისათვის ბრძოლა. ტროცკის ამოცანაც სწორედ ის არის, რომ ლიკვიდატორობა დაჰფაროს და მუშებს თვალები აუხვიოს.

ტროცკისთან არსებითი დავა შეუძლებელია, ვინაიდან მას არავითარი შეხედულება არა აქვს. შეიძლება და უნდა ვედავოთ კიდეც დაჯერებულ ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს, ხოლო იმ ადამიანთან, რომელიც როგორც ლიკვიდატორების, ისე ოტზოვისტების შეცდომების დაფარვითაა გართული, არ დავობენ: მას ამხელენ, როგორც... მდარე ხარისხის დიპლომატს.

კამათი საჭიროა «პრავდის» 22-ე ნომერში მოხვედრილი პლატფორმის თეზისების ავტორებთან. მათი შეცდომა აიხსნება ან იმით, რომ ისინი არ იცნობენ რსდმ პარტიის დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციებს, ანდა იმით, რომ ისინი სავსებით არ განთავისუფლებულან აზროვნების ზოგიერთი ლიკვიდატორული და «ვპერიოდული» მერყეობისაგან.

პირველი თეზისი ამბობს, რომ სამი ივნისის რეჟიმი არის «ფეოდალური ტიპის თავადაზნაურ-მემამულეთა ფაქტიური შეუზღუდველი ბატონობა», ამასთან ქვევით აღნიშნულია, რომ ისინი «ჰფარავენ თავისი ბატონობის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ ხასიათს ფაქტიურად უუფლებო სახელმწიფო სათათბიროს ცრუ-კონსტიტუციური ნიღაბით».

თუ მემამულური სათათბირო «ფაქტიურად უუფლებოა», — ეს კი მართალია, — მაშინ როგორღა შეიძლება «შეუზღუდველი» იყოს მემამულეთა ბატონობა?

ავტორებს ავიწყდებათ, რომ მეფის მონარქიის კლასობრივი ხასიათი სრულიადაც არ სპობს, ნიკოლოზ II-ით დაწყებული უბრალო ურიადნიკით გათავებული, მეფის ხელისუფლებისა და «ბიუროკრატიის» დიდ დამოუკიდებლობასა და თვითმყოფობას. ეს შეცდომა — თვითმპყრობელობისა და მონარქიის დავიწყება, მისი გათანაბრება უშუალოდ ზედა კლასების «წმინდა» ბატონობასთან — ჩაიდინეს ოტზოვისტებმა 1908 — 1909 წელს (იხ. «პროლეტარის» 44-ე ნომრის

დამატება) [119], ჩაიდინა ლარინმა 1910 წელს, ასეთივე შეცდომას სჩადიან ზოგიერთი ცალკეული მწერლები (მაგალითად, მ. ალექსანდროვი [120]), სჩადის ლიკვიდატორებთან გადაბარგებული ნ. რ-კოვი.

დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციებში მოცემულია სწორედ ისეთი ანალიზი ფეოდალების ბატონობისა ბურჟუაზიის დახმარებით, რომელიც ძირშივე სპობს ამ შეცდომას.

მეორე თეზისი შეიცავს რსდმ პარტიის პროგრამა-მინიმუმზე მითითებას, ამასთან «განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი» ეთმობა მრავალ მოთხოვნას, მაგალითად, კოალიციის თავისუფლებას და მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მაგრამ ნახსენები არაა რესპუბლიკა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის სწორი. სავსებით აღვიარებთ კოალიციის თავისუფლებისათვის აგიტაციის უდავო აუცილებლობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რესპუბლიკის ლოზუნგი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას უნდა დავაყენოთ.

მესამე თეზისი: «საჭიროა ხალხის ფართო მასების ახალი რევოლუციური გამოსვლები», ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი მოთხოვნების განხორციელებაო.

უკანასკნელი არქიმართალია, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი ჭეშმარიტებაა. მარქსისტები ვერ დასჯერდებიან მასების ახალი გამოსვლების «საჭიროების» დამოწმებას, მათ ჯერ უნდა გვიჩვენონ, რა მიზეზები იწვევენ (თუ კი იწვევენ) ახალი რევოლუციური კრიზისის დადგომას. უამკრიზისოდ «გამოსვლები», — ისინი, თუ გნებავთ, ყოველთვის «საჭიროა»! — შეუძლებელია.

ავტორებს საუკეთესო რევოლუციური განზრახვები აქვთ, მაგრამ მათს აზროვნებაში ერთგვარი ხარვეზია. დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციებს ახალი გამოსვლების «საჭიროება» ასე მარტივად არა, მაგრამ უფრო სწორად გამოჰყავთ.

მეოთხე თეზისი: «მასების ასეთი ახალი რევოლუციური გამოსვლის შესაძლებლობა ცოტად თუ ბევრად უახლოეს მომავალში და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური როლის... დაუნდობელი კრიტიკა» და სხვ.

კრიტიკა ყოველთვის საჭიროა. «გამოსვლების შესაძლებლობის» **დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ**, ისეთ დროსაც კი, როდესაც მასების გამოსვლები აშკარად შეუძლებელია. გამოსვლების შესაძლებლობისა და კრიტიკის დაკავშირება ნიშნავს ერთმანეთში აურიოთ მარქსიზმის **მ უ დ ა მ** **სავალდებულო ხ ა ზ ი** და ბრძოლის **ე რ თ-ე რ თ ი** (განსაკუთრებით მაღალი) სახე. ეს პირველი შეცდომაა. მეორე კი ისაა, რომ «ლაშქრად წასვლას ნუ იქადი, დაბრუნება დაიქადე»: გამოსვლების შესაძლებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, საჭიროა დაამტკიცოთ იგი საქმით. პლატფორმაში საკმარისია აღინიშნოს აღმავლობის დასაწყისი და ხაზი გაესვას მასების გამოსვლის აგიტაციისა და მომზადების მნიშვნელობას. მასების გამოსვლა უახლოეს თუ არაუახლოეს მომავალში დაიწყება, ამას თვით მოვლენები გვიჩვენებენ.

მეხუთე თეზისი საუცხოოა, ვინაიდან ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფო სათათბიროს, როგორც სააგიტაციო ტრიბუნის, უდიდეს მნიშვნელობას.

ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ არიან ფურცლის ავტორები. მაგრამ თუ ისინი რუსეთის ვპერიოდელები არიან (როგორც შეიძლება ვიფიქროთ ზოგიერთი ნიშნეულობით), მათ მხურვალედ უნდა მივესალმოთ, რომ განთავისუფლებულან «ვპერიოდის» პაწაწა ჯგუფის ერთი შეცდომისაგან. ასეთ ვპერიოდელებს პარტიელების სინდისი აქვთ, ვინაიდან ისინი პირდაპირს, ნათელ პასუხს იძლევიან ერთ-ერთ «საჭირბოროტო» საკითხზე. «ვპერიოდის» ჯგუფი კი ატყუებს პარტიას ყოვლად უსინდისოდ, როცა იცავს და ჰფარავს ოტზოვიზმს, და დღემდე, 1911 წლის დეკემბრამდე, არ იძლევა პირდაპირ პასუხს IV სათათბიროში მონაწილეობის საკითხზე. ასეთი ჯგუფის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფად აღიარება ნიშნავს სოციალ-დემოკრატიზმის აბუჩად აგდებას.

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 9 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

«შემნახველთა» სამედიატორო სასამართლოს შედეგები

ცენტრალური კომიტეტის 1910 წ. იანვრის პლენუმზე ბოლშევიკების ფრაქციის წარმომადგენლებმა (რომელნიც ერთხმად აღიარა ამ ფრაქციის წარმომადგენლებად პლენუმის ყველა წევრმა), როგორც ვიცით, ხელშეკრულება დასდეს ჩვენი პარტიის ყველა დანარჩენ ფრაქციასთან. ეს ხელშეკრულება გამოქვეყნებულია ცენტრალური ორგანოს მე-11 ნომერში და შეიცავს იმას, რომ ბოლშევიკები თავის ფრაქციას შლიდნენ და მის ქონებას აძლევდნენ ცენტრალურ კომიტეტს ი მ პ ი რ ო ბ ი თ, თუ დაშლიდნენ ყველა დანარჩენ ფრაქციას და პარტიულ, ე. ი. ანტილიკვიდატორულ და ანტიოტზოვისტურ, ხაზს გაატარებდნენ. თუ ვინიცობაა ეს პირობა დაირღვეოდა, ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებდა ბოლშევიკებისათვის ფულის დაბრუნებას (იხ. ცენტრალური ორგანოს მე-11 ნომერში გამოქვეყნებული რეზოლუცია).

დანარჩენი ფრაქციების მიერ ამ ხელშეკრულების დარღვევის ყველასთვის ცნობილმა ფაქტებმა აიძულა ბოლშევიკები ერთი წლის წინათ, 1910 წ. 5 დეკემბერს, შეეტანათ განცხადება ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და მოეთხოვათ ფულის დაბრუნება.

ეს მოთხოვნა უნდა განეხილა «შემნახველების»: კაუცკის, მერინგისა და ცეტკინის სამედიატორო სასამართლოს. სამედიატორო სასამართლომ დაადგინა: წინასწარ, 1911 წლის 1 ნოემბრამდე, ფულის ნაწილი საქვეანგარიშო სახარჯავად

გადაეცეთ ტექნიკურ კომისიასა და საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიას, რომლებიც შესდგებიან ბოლშევიკების, შემარიგებლებისა და პოლონელების წარმომადგენლებისაგან.

1911 წ. ოქტომბრის განმავლობაში ორმა მედიატორემ — მერინგმა და კაუცკიმ მოიხსნეს თანამდებობა. მესამე მედიატორეს ამის შემდეგ უფლება აღარ ჰქონდა მარტო დარჩენილიყო მედიატორედ და, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, იმანაც მოიხსნა თანამდებობა.

ამრიგად, ბოლშევიკური ფრაქცია, რომელმაც 1910 წლის 5 დეკემბერს გააუქმა ხელშეკრულება დანარჩენ ფრაქციებთან, 1911 წლის 2 ნოემბრიდან აღმოჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის გარეშე ყოფილ შემნახველებთან. ამიტომ იგი დაეუფლა თავის სტამბას და ეუფლება დანარჩენ ფრაქციულ ქონებასაც.

თავისთავად ცხადია, რომ ბოლშევიკური ფრაქცია, რაკი განთავისუფლდა ლიკვიდატორულ, ოტზოვისტურ და პირდაპირ ინტრიგანულ საზღვარგარეთულ ჯგუფებთან «კავშირისაგან», მთელ ძალღონეს იხმარს, — როგორც უკვე დაამტკიცა მისი წევრების მუშაობამ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესაქმნელად, — რომ დარაზმოს ყველა პარტიული ელემენტი რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა და მის მიერ მოწვეული საერთო-პარტიული კონფერენციის გარშემო.

ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენლები, რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს პლენუმზე. 1910 წ. იანვარში [121].

P. S. * ეს განცხადება უკვე გადაცემული იყო ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, როდესაც წავიკითხეთ ცენტრალური კომიტეტის ეგრეთწოდებული საზღვარგარეთული ბიუროს ფურცელი ორი ყოფილი მედიატორის 1911 წლის 18 ნოემბრის წერილითურთ. ვის ატყუებენ იგორევი და ლიბერი, თავის თავს რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარ-

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

გარეთულ ბიუროდ ასაღებენ, როდესაც იქიდან ლატვიელები და ტიშკოც კი წავიდნენ? რატომ სდუმან ისინი მათი წასვლის შესახებ? რატომ კრინტს არ სძრავენ, რომ 18 ნოემბრიდან უკვე 2½ კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სასამართლო აღარ არსებობს? რომ ამიტომ 1911 წ. 18 ნოემბრის წერილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს? ან, იქნებ, ბატონები იგორევი და მარტოვი ა რ სცნობდნენ სამედიატორო სასამართლოს 1911 წლის 1 ნ ო ე მ ბ რ ა მ დ ე? თქვით და დაამტკიცეთ ეს, ბატონებო! შეიძლება თქვენ სამედიატორო სასამართლოს სცნობთ 1911 წლის 1 ნოემბრის შ ე მ დ ე გ? 1911 წ. 1 ნოემბრამდე ყველას მიერ ცნობილმა სამედიატორო სასამართლომ დ ა გ გ მ ო თ თ ქ ვ ე ნ, ვინაიდან არც ერთი სანტიმი არ მოგეცათ არც თქვენ და არც ტროცკის, მიუხედავად თქვენი თხოვნისა, მოთხოვნისა და «პროტესტებისა». ეს ვაჟბატონები, რომელთაც უკვე მსჯავრი დასდო კანონიერმა, ყველას მიერ ცნობილმა, სამედიატორო სასამართლომ, ცდილობენ ახლა ამოეფარონ ყოფილ მედიატორეთა პირად აზრს, რაც არავისთვის სავალდებულო არ არის. 1911 წ. 1 ნოემბრის შემდეგ სამედიატორო სასამართლო აღარაა, — და ამ მხრივ ჩვენ ყველანი დავუბრუნდით იმ მდგომარეობას, რაც პლენუმამდე იყო. ბოლშევიკების ფულის დაკავება ყოფილი შემნახველის მიერ უკანონო დაკავება იქნებოდა.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბატონები იგორევი და ლიბერი «სენსაციას» მისდევენ, ნამდვილი დოკუმენტების მიხედვით სასამართლოს ისტორიის გადმოცემისა კი ეშინიათ. თუ არ მოატყუებ — ვერ გაჰყიდიო, აი მათი დევიზი.

«სოციალ-დემოკრატი» № 25,
1911 წ. 8 (21) დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია

I. ძირითადი პრინციპული საკითხები

კადეტურმა პარტიამ, რომელიც ეგრეთწოდებულ ოპოზიციურ პარტიებში ყველაზე უკეთაა მოწყობილი ლეგალურად არსებობის მხრივ, ეს-ეს არის გადადგა მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი თავისი პოლიტიკის განსაზღვრისათვის საარჩევნო კამპანიაში. კადეტების პოლიტიკა, როგორც მოწმობენ საუკეთესო, ჩვენთვის ხელმისაწვდომი და კადეტთა თანამგრძნობი წყაროები, შემდეგნაირად ისაზღვრება:

1) კადეტებს თავისი კანდიდატები გაჰყავთ იქ, სადაც მათი არჩევა უზრუნველყოფილია.

2) იქ, სადაც კადეტთა კანდიდატის სასარგებლოდ ხმის აბსოლუტური უმრავლესობის მიღების იმედი არ არის, — კადეტები მხარს უჭერენ იმ პ რ ო გ რ ე ს უ ლ კანდიდატს, პარტიათა მიუხედავად, რომელსაც შეუძლია შეკრიბოს ყველაზე მეტი ხმა.

3) იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის კანდიდატს არავითარი შანსი არა აქვს და შავრაზმული საფრთხე არსებობს, ოქტიაბრისტთა კანდიდატისთვის მხარის დაჭერა შესაწყნარებელია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ნამდვილი კონსტიტუციონალისტია, რაც ხანდახან, ჩვენდა განსაცვიფრებლად, ხდება ხოლმე.

4) კადეტები არც მემარჯვენე ოქტიაბრისტებთან და არც ნაციონალისტებსა და მონარქისტებთან არავითარ საარჩევნო

შეთანხმებას არ სდებენ. საერთოდ კი ისინი არ ივიწყებენ პარტიის ინტერესებს, მაგრამ მათ არ ანაცვლებენ ოპოზიციის უმაღლეს ინტერესებს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ასეთია კადეტების პოლიტიკა. მუშათა დემოკრატია უდიდესი ყურადღებით უნდა მოეპყრას მას, მან უნდა გაარკვიოს მისი ნამდვილი კლასობრივი რაობა და ნამდვილი მნიშვნელობა, რაც მიფუჩეჩებულია ჩვეულებრივი პირობითი ფრაზებით. ეს ფრაზები «ოპოზიციის უმაღლესი ინტერესების» შესახებ და სხვა მყისვე გვხვდება თვალში კადეტთა გადაწყვეტილებების კითხვის დროს. საქმის არსი კი ისაა, რომ კადეტური პოლიტიკა ამჟამად სავსებით და საბოლოოდ გარკვეულია, როგორც ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ უ ლ-კ ა დ ე ტ უ რ ი ბლოკის პოლიტიკა. ეს არსი უნდა გავიგოთ, ნათლად უნდა გავათავისუფლოთ იგი გაცვეთილ-ლიბერალურ სიტყვათა ჩენჩოსაგან.

1) არც ერთი სიტყვა მემარცხენეებთან, დემოკრატებთან ბლოკის შესახებ. 2) აკრძალულია ბლოკი მხოლოდ მემარჯვენე ოქტიაბრისტებთან, — ეს ოქტიაბრისტთა სულ უმნიშვნელო უმცირესობაა, «შუბლშიშველნი». 3) ფრაზა: «ოპოზიციის უმაღლეს ინტერესებს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით» ნამდვილად შეიძლება ნიშნავდეს მ ხ ო ლ ო დ ერთს: ოქტიაბრისტებთან ბლოკის ფაქტიურ ნებართვას (და რეკომენდაციას!), როგორც საერთო წესს.

ეს სამი დასკვნა კადეტების ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოლიტიკის შესახებ მტკიცედ უნდა შევითვისოთ.

როგორია მათი მნიშვნელობა? ბურჟუაზიული ლიბერალიზმის «მემარცხენე ცენტრმა» თავისი პოლიტიკა განსაზღვრა, როგორც ბურჟუაზიული, უკაცრავად პასუხია, ლიბერალიზმის მემარჯვენე ცენტრთან ბლოკის პოლიტიკა, — იგი აშკარად ლაპარაკობს, რომ მტრულადაა განწყობილი შავრაზმელებისადმი, ხოლო თავის მტრობას მემარცხენეებისადმი, დემოკრატიისადმი გამოთქვამს ტრუდოვიკებთან, უპარტიო

მემარცხენეებთან და მუშათა კანდიდატებთან ყოველგვარ ბლოკზე გაჩუმების საშუალებით.

ის, რაც ჩვენ ვთქვით «ზვეზდას» 28-ე ნომრის სტატიაში «ორი ცენტრი» *, სავსებით დადასტურდა.

რუსეთში არის სამი ძირითადი პოლიტიკური ძალა და, მაშასადამე, პოლიტიკური ხაზი: შავრაზმელები (მებატონე-მემამულეთა კლასობრივი ინტერესები) და «ბიუროკრატია» მათთან ერთად და მათ ზევით; შემდეგ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, «ცენტრი» — მემარცხენე (კ.-დ.) და მემარჯვენე (ოქტიაბრისტები); ბოლოს, დემოკრატია ბურჟუაზიული (ტრუდოვიკები, ნაროდნიკები, უპარტიო მემარცხენენი) და პროლეტარული. სწორედ ამგვარი და მხოლოდ ამგვარი დაყოფის სისწორე დადასტურებულია XX საუკუნის პირველი ათწლეულის მთელი გამოცდილებით, ეს ათწლეული კი არაჩვეულებრივ მნიშვნელოვანი და მდიდარი იყო ამბებით.

რასაკვირველია, ყოველგვარი მიჯნა ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც მოძრავია, ერთგვარად პირობითია, ცვალებადია და არა უძრავი. ძირითად დაყოფათა «საზღვარზე» მდგარ პარტიათა და ჯგუფთა გარდამავალი ფორმები და მერყეობა აუცილებელია, მაგრამ საქმის დედაარსი, წარმოშობილი XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, უეჭველია, სწორედ აღნიშნული «სამგვარი» დაყოფით ისაზღვრება. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის (კადეტების მეთაურობით) და ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთმანეთში არევამ საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დიადი ათწლეულის (1900 — 1910) გამოცდილება დაეხმაროს მთელ დემოკრატიას საბოლოოდ შეითვისოს ასეთი არევის მცდარობა და დამღუპველობა. ამიტომ ჩვენი ეპოქის მუშათა დემოკრატიის წინაშე დგას ორი, ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებული, ამოცანა:

* იხ. ეს ტომი, გვ. 353 — 356. რ ე დ.

ჯერ-ერთი, დაქირავებულ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, განცალკევებული ყველა, თუნდაც უაღრესად დემოკრატიულ, პატარა და დიდ მეპატრონეთაგან, და დაქვემდებარებული აღნიშნული კლასის მთელი საერთაშორისო, მსოფლიო მოძრაობისადმი; მეორე, განვითარება და განმტკიცება რუსეთის დემოკრატიის ძალებისა (მის სათავეშიც აუცილებლივ დგანან მუშები, როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმის სათავეში აუცილებლივ დგანან კადეტების ტიპის სოციალური ელემენტები). ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულება შეუძლებელია, თუ განუხრელად არ განემარტა უფართოეს მასებს ბურჟუაზიულ ლიბერალიზმსა (კ.-დ.) და ბურჟუაზიულ დემოკრატიას (ტრუდოვიკები და სხვ.) შორის არსებული მიჯნის კლასობრივი ფესვები და პოლიტიკური მნიშვნელობა.

ლიბერალურ ბურჟუაზიას არ უნდა და არც შეუძლია შეელიოს მარკოვებსა და პურიშკევიჩებს, რომელთა ბატონობა მას სურს მხოლოდ შეანელოს. ბურჟუაზიულ დემოკრატიას და მუშებს არ შეუძლიათ, მეტი თუ ნაკლები თანამიმდევრობით და შეგნებულობით, არ ესწრაფოდნენ ამ ბატონობის ყველა ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლის მოსპობას.

ასეთია IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის ძირითადი შინაარსი მუშათა დემოკრატიის თვალსაზრისით. სწორედ ეს შინაარსი უნდა წამოვაყენოთ წინ, წინააღმდეგ კადეტური პოლიტიკისა, რომელიც განზრახ აბუნდოვანებს ყველა ძირითად პრინციპულ საკითხს ზოგადი ფრაზებით «პროგრესულობისა» და «ოპოზიციურობის» შესახებ.

კადეტურ-ოქტიაბრისტული ბლოკი ახალი ამბავი როდია. მას დიდი ხანია ითვალისწინებდნენ მარქსისტები, როცა ჯერ კიდევ 1905 — 1907 წლებში აღნიშნავდნენ ამ ბლოკის ორივე შემადგენელი ნაწილის შინაგან, კლასობრივ ნათესაობას. III სათათბიროში ერთბაშად გამოირკვა ორი უმრავლესობა, და უკვე 1907 წლის დამლევს მარქსისტებმა ეს დასკვნა თა-

ვისი პოლიტიკის ქვაკუთხედად გაიხადეს. III სათათბიროს ხუთწლეულმა ეს დასკვნა დაადასტურა. საერთოდ ამ სათათბიროს შემადგენლობა ასეთია * :

მემარჯვენენი	160	284 — პირველი უმრავლესობა
ოქტიაბრისტები	124	
ლიბერალები	127	251 — მეორე უმრავლესობა
დემოკრატია	29	
ს უ ლ	440	

III სათათბირო მუდამ ემყარებოდა ამ ორ უმრავლესობას, რომელნიც მთელი სამი ივნისის სისტემის აუცილებელ შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდნენ: პირველი უმრავლესობა ხელისუფლების სათავეში «ძველის» სრული შენარჩუნებაა, — მეორე მოასწავებს ბურჟუაზიული მონარქიის «გზისაკენ» გადადგმულ «ნაბიჯს». პირველი ესაჭიროება სამი ივნისის სისტემას იმისათვის, რომ მარკოვებს, პურიშკევიჩებსა და კომპანიას შეუნარჩუნოს «ძალაუფლება და შემოსავალი», მეორე — იმისათვის, რომ შეანელოს ეს ბატონობა და წინ წავიდეს ბურჟუაზიულად (თანახმად ფორმულისა: ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან). გამოცდილებამ ახლა ნათლად დაგვანახა, რომ ასეთი წინსვლა შეჩერებას უდრის, ხოლო პურიშკევიჩობის «შენელება» აღარ გამოდის.

III სათათბიროს მთელი რიგი კენჭისყრა «მეორე უმრავლესობის» კენჭისყრა იყო; ამას წინათ ეს «რეჟმა» აშკარად აღიარა, როცა თქვა, რომ უკანასკნელი სესიის დასაწყისში «მთელი რიგი კენჭისყრა ფაქტიურად მოასწავებს სათათბიროში მემარცხენე ცენტრის» (იგულისხმე: კადეტურ-ოქტიაბრისტული ბლოკის) «ბატონობასაო». ასეთი კენჭისყრა შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ პირველის მსგავსად მ ე ო რ ე

* გამოანგარიშებულია 1910 წლის ოფიციალური «ცნობარის» მონაცემების მიხედვით (ნაკვეთი II). მემარჯვენენი — საკუთრივ მემარჯვენენი — 51; ნაციონალისტები — 89; მემარჯვენე ოქტიაბრისტები — 11; და 1/2 უპარტიონი — 9; ლიბერალ-პროგრესისტები — 39; კ.-დ. — 52; ყველა ნაციონალური ჯგუფი — 27; და 1/2 უპარტიონი — 9; დემოკრატია — ტრუდოვიკები — 14 და ს.-დ. — 15.

უმრავლესობაც კონტრრევოლუციურ ნიადაგზე დგას: ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ «ვეხი», ან კარაულოვის ღვთისმავედრებელი სიტყვები, ანდა «ლონდონის» ლოზუნგები.

მერე სადაა მეორე უმრავლესობის ამ «გამარჯვებათა» შედეგები? სადაა ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ კადეტური პარტიის იმ ჭეშმარიტად საკვირველ აღმოჩენას, რომ ოქტიაბრისტებში «ნამდვილი კონსტიტუციონალისტები» არიანო? განა ეს აღმოჩენა არ მოწმობს კადეტთა შეგნებაში «ნამდვილი კონსტიტუციონალიზმის» ცნების უზომო დამცირებას?

საარჩევნო კამპანიის პირველი და ძირითადი საკითხია მისი პოლიტიკური შინაარსის, მასში გამოხატული იდეური ხაზის საკითხი. კადეტური პარტიის გადაწყვეტილება კიდევ და კიდევ გვიჩვენებს მის ანტიდემოკრატიულ ბუნებას, ვინაიდან კადეტების საარჩევნო კამპანიის შინაარსს შეადგენს «კონსტიტუციონალიზმის» ცნების შემდგომი დამცირება მასების შეგნებაში. ხალხს ასწავლოს ის, რომ «მემარცხენე» ოქტიაბრისტებში მოინახებიან ნამდვილი კონსტიტუციონალისტებიო, — აი რა სურს გააკეთოს კადეტურ პარტიას, აი მისი საარჩევნო პოლიტიკის აზრი.

დემოკრატიის ამოცანა სხვანაირია: არა დამცირება კონსტიტუციონალიზმის ცნებისა, არამედ განმარტება მთელი მისი ფიქციურობისა, ვიდრე ძალაუფლება და შემოსავალი მარკოვებისა და კომპანიის ხელში რჩება. მუშა დემოკრატების საარჩევნო კამპანიის შინაარსი ისაზღვრება ამოცანით — გამოარკვიონ ლიბერალიზმის განსხვავება დემოკრატიისაგან, დააჯგუფონ ამ უკანასკნელის ძალები, დარაზმონ დაქირავებულ მუშათა რიგები მთელ მსოფლიოში.

კადეტები თავიანთი კონფერენციის გადაწყვეტილებებით კიდევ უფრო შორდებიან დემოკრატიას. ჩვენი ამოცანაა — თავი მოვუყაროთ დემოკრატიის ძალებს ყოველგვარი შუასაუკუნეობის წინააღმდეგ და კადეტურ-ოქტიაბრისტული ბლოკის საპირისპიროდ.

II. მუშა ამრჩევლების როლი საარჩევნო კამპანიაში

IV სათათბიროს საარჩევნო კამპანია დაწყებულია. იგი დაიწყო მთავრობამ თავისი ცირკულარებით «ნაციონალური» პარტიისთვის ხელშეწყობის შესახებ, თავისი «ღონისძიებებით» მთავრობის კანდიდატთა ცენზის შესახებ და საერთოდ ოპოზიციისა და განსაკუთრებით დემოკრატიის კანდიდატების ჩამოცილების შესახებ.

საარჩევნო კამპანია ოპოზიციურმა პრესამაც დაიწყო. ეს კამპანია დაიწყო კადეტურმა პარტიამაც თავისი გადაწყვეტილებებით «მემარცხენე» ოქტიაბრისტებთან ბლოკის შესახებ.

ამიტომ მუშათა დემოკრატიამ დაუყოვნებლივ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს არჩევნების საკითხს, საქმე არ უნდა გადასდოს არც ერთი კვირით და წინასწარ სისტემატურად განიხილოს თავისი ტაქტიკა, წინასწარ მოამზადოს დემოკრატიის ყველა და ყოველგვარი მომხრენი მნიშვნელოვანი და პასუხსაგები როლის შესასრულებლად.

ამ სტატიაში ჩვენ ვფიქრობთ შევჩერდეთ მუშა ამრჩევლების როლის საკითხზე. რასაკვირველია, აქაც, როგორც ყოველთვის, პირველ რიგში დგება მუშაობის შინაარსი, ე. ი. კამპანიის იდეურ-პოლიტიკური ხაზი. მუშათა კლასის განათლება და ორგანიზაცია, მისი შეკავშირება დამოუკიდებელ პარტიად, დასავლეთ-ევროპული პარტიების სოლიდარულ პარტიად, მისთვის მისი ისტორიული მიზნების გარკვევა საასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ძირითადი პირობების გარდაქმნის საქმეში, მისი პარტიის განუხრელი გამიჯვნა ბურჟუაზიული დემოკრატიის ყ ვ ე ლ ა, თუნდაც «მემარცხენე», ნაროდნიკული და სხვა მიმართულებისაგან, — ასეთია ძირითადი ამოცანა.

ეს ძირითადი ამოცანა ერთნაირია ყველა ქვეყნის მუშათა დემოკრატიისათვის. და სწორედ ამიტომ მისი შეფარდება თანამედროვე ეპოქასთან ერთ-ერთ ქვეყანაში, რუსეთში, მოითხოვს — ამ საერთო ამოცანის გ უ ლ ი ს თ ვ ი ს — ჩვენი

დროის განსაკუთრებული, კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებას. რუსეთის მუშათა დემოკრატიის ამ ამოცანების სფეროდან ამჟამად — ობიექტური პირობების ძალით — წინ დგება ორი, ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებული ამოცანა. ეს ამოცანები შემდეგია: ჯერ-ერთი, ნათლად შეგნება ლიკვიდატორული მიმდინარეობის (მას, როგორც ვიცით, წარმოადგენენ ჟურნალები «ნაშა ზარია» და «დელო ჟიზნი») კავშირისა ფართოდ გავრცელებულ ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციურ მიმდინარეობასთან — «ვეხელობასთან». ნათლად შეგნება პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის მავნებლობისა აუცილებელია ამ გავლენის დასაძლევად და იმ მორიგი, უახლოესი მიზნების გადასაწყვეტად, რომლებიც ეხება თვით მუშათა დემოკრატიის ა რ ს ე ბ ო ბ ა ს და რომლებსაც უ ა რ ყ ო ფ ე ნ ლიკვიდატორები. მეორე, ეს არის მემარცხენე დემოკრატიის ორგანიზაციის ამოცანა, ბურჟუაზიული ლიბერალიზმისაგან დემოკრატიის (ბურჟუაზიულის) აშკარა გამიჯვნის პირობით. უამისოდ განუხორციელებელია მუშათა დემოკრატიის ჰეგემონია, რაც საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე ყოველი წინგადადგმული ნაბიჯის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ლიბერალიზმის (კ.-დ. პარტია) და დემოკრატიის (ტრუდოვიკები, მემარცხენე ყაიდის «ნაროდნიკები») ერთმანეთში არევა პრინციპულად ძირფესვიანად ყალბია და პრაქტიკულად დემოკრატიის ინტერესების ღალატს იწვევს. მუშა ამრჩევლების მოვალეობაა დაიცვან განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი გაგება, განმარტონ პარტიების კლასობრივი დედაარსი (არ მოატყუებინონ თავი «აბრებს», მალალფარდოვან სიტყვებსა და ეფექტურ სახელწოდებებს), ნათლად გაარჩიონ ერთმანეთისაგან მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ნ ი (შავი რაზმიდან ოქტიაბრისტებამდე), ბურჟუაზიული ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი (კადეტები და ყველა მათთან მყოფნი) და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა (ბურჟუაზიული დემოკრატები არიან ტრუდოვიკები და მათი

მონათესავე მიმდინარეობანი; შემდეგ მარქსისტები წარმოადგენენ პროლეტარულ დემოკრატიას).

მუშა ამრჩევლები, 1907 წლის 3 ივნისის კანონის არჩევნების სისტემის მიხედვით, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საგუბერნიო საარჩევნო კრებებში. მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ეს ამრჩეველი მუშათა დემოკრატიის ერთგული და საიმედო წარმომადგენელი იყოს, — ასეთია უახლოესი პრაქტიკული ამოცანა.

როგორც ვიცით, ექვს გუბერნიაში მუშა ამრჩევლების შემადგენლობიდან უზრუნველყოფილია თითო დეპუტატის არჩევა სათათბიროში. ეს გუბერნიებია: პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, ეკატერინოსლავის, კოსტრომისა და ხარკოვის. მაგრამ თვით დეპუტატს ირჩევს საგუბერნიო საარჩევნო კრება მთელი შემადგენლობით, ე. ი. თითქმის ყოველთვის მემარჯვენე ამრჩევლები, მიწათმფლობელები და მსხვილი ბურჟუები, ოქტიაბრისტები. რათა უზრუნველვყოთ მუშა დემოკრატების დეპუტატებად არჩევა სათათბიროში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოუკლებლივ ყველა მუშათა ამრჩეველი მუშათა დემოკრატიას ეკუთვნოდეს და მტკიცედ იცავდეს ერთს განსაზღვრულ კანდიდატს თავისი წრიდან. საკმარისია ერთი «გადასული» ან ერთი ლიბერალური, «მემარჯვენე» ამრჩეველი, რომ ოქტიაბრისტებმა სწორედ ის გაიყვანონ, მიუხედავად მუშა ამრჩევლების უმრავლესობისა!

მაგრამ მუშა ამრჩევლები საგუბერნიო საარჩევნო კრებების შემადგენლობაში შედიან არა მარტო ამ ექვს გუბერნიაში. სულ არის 112 მუშა ამრჩეველი 44 გუბერნიაში (53 გუბერნიიდან).

როგორია ამ ამრჩევლების როლი? ჯერ-ერთი, ისინი ყოველთვის უნდა ატარებდნენ იდეურ ხაზს, რაზმავდნენ დემოკრატიას (განსაკუთრებით გლეხურს) და ათავისუფლებდნენ მას ლიბერალთა გავლენისაგან. აქ მოქმედების ასპარეზი მეტად მნიშვნელოვანია. მეორე, მუშა ამრჩევლებს შეუძ-

ლიათ (და უნდა ესწრაფოდნენ ამას) გავიდნენ სათათბიროში მემარჯვენეთა და ლიბერალთა ხმების გაყოფის დროს.

განვმარტოთ ეს უკანასკნელი ამოცანა მაგალითით. ვიატკის გუბერნიიდან III სათათბიროში ორი სოციალ-დემოკრატი დეპუტატია: ასტრახანცევი და პუტიატინი. ნამდვილად კი ვიატკის გუბერნიაში, კანონით, დეპუტატი მუშათა კურიიდან არ არის. ვიატკის საგუბერნიო საარჩევნო კრებაში 109 ამრჩეველია, მათ შორის 4 — მუშებისგან. როგორ მოხდა, რომ ოთხმა მუშამ (109-დან) ორი დეპუტატი გაიყვანა სათათბიროში? ალბათ, ხმები საგუბერნიო საარჩევნო კრებაში გაიყო, და ლიბერალებს არ შეეძლოთ დაემარცხებინათ მემარჯვენენი მუშების დაუხმარებლად. ლიბერალები იძულებული გახდნენ ბლოკი შეეკრათ მუშებთან და გაენაწილებინათ მათთვის ადგილები, და მათ ორი სოციალ-დემოკრატი გაიყვანეს სათათბიროში. სათათბიროს დეპუტატთა შემადგენლობა ვიატკის გუბერნიიდან ასეთი გამოვიდა: 1 პროგრესისტი, 3 კადეტი, 2 ტრუდოვიკი, 2 სოციალ-დემოკრატი — 4 ლიბერალი და 4 დემოკრატი. ამ გუბერნიაში მუშებს შეეძლოთ სამი ადგილიც მოეპოვებინათ, რომ მოეხერხებინათ გამოეყოთ დემოკრატი ამრჩევლები ლიბერალ ამრჩეველთაგან იმ პირობით, რომ პირველთ ექნებოდათ უმრავლესობა მეორეთა მიმართ. ვთქვათ, 109 ამრჩეველიდან 54 მემარჯვენეა (53 მიწათმფლობელ ამომრჩევლიდან 50 და ქალაქის ამომრჩეველთა პირველი ყრილობის 17 ამრჩევლიდან 4). შემდეგ, ვთქვათ, დანარჩენი 55-დან — ლიბერალია 20 (სამი მიწათმფლობელი, 13 პირველი თანრიგის ქალაქელი და 4 მეორე თანრიგის ქალაქელი); დემოკრატი 35-ია (23 გლეხი ამრჩეველი, 8 — მეორე თანრიგის ქალაქელი და 4 — მუშა). ასეთ პირობებში დემოკრატებს უნდა მიეღოთ 5 ადგილი რვიდან, და მუშებს შეეძლოთ მოეპოვებინათ სამი ადგილი თუ გლეხურ დემოკრატიას მათი ნდობა ექნებოდა.

უფის გუბერნიაში ყველა სადეპუტატო ადგილი ლიბერალებმა (მუსლიმანების ჩათვლით) ჩაიგდეს ხელში. არც ერთი დემოკრატი არაა. ნამდვილად კი უფის გუბერნიის სამს

მუშათა ამრჩეველს, 30 გლეხთა ამრჩეველთან ერთად, უეჭველად შეეძლოთ მოეპოვებინათ ადგილები ტრუდოვიკებისთვისაც და თავისთვისაც, თუ მეტ უნარს გამოიჩენდნენ და დარაზმავდნენ დემოკრატიას.

პერმის გუბერნიიდან III სათათბიროში 6 ლიბერალია და 3 დემოკრატი, მათგან მხოლოდ ერთია სოციალ-დემოკრატი. ამავე დროს აქ გლეხთა ამრჩევლებია 26, — მათგან ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ მ ა, რომელთაც უმრავლესობა ჰქონდათ საგუბერნიო საარჩევნო კრებაში, აირჩიეს ტრუდოვიკი, მაშასადამე, გლეხთა კურია მთლიანად ტრუდოვიკულად უნდა ჩაითვალოს (თუნდაც ერთი გლეხიც რომ გადასულიყო დემოკრატებისგან ლიბერალებისკენ, ლიბერალები უსათუოდ მას აირჩევდნენ!). იგივე ითქმის მეორე თანრიგის კურიის შესახებ (13 ამრჩეველი), ვინაიდან იქიდანაც ტრუდოვიკი აირჩიეს ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ მ ა. სულ, მაშასადამე, დემოკრატების რიცხვი ამრჩეველთა შორის შეიძლება მივიღოთ 26 + 13 + 5 მუშა = 44. სულ ამრჩეველია 120, მათ რიცხვში 59 — მიწათმფლობელთაგან და 17 — პირველი თანრიგის ქალაქელთაგან. იმ შემთხვევაშიც კი, დემოკრატებს გარდა ყველა ლიბერალი რომ იყოს, მათი რიცხვი = 76, ე. ი. ორ მესამედზე ნაკლებია. უნდა ვიფიქროთ, რა თქმა უნდა, რომ ამრჩევლების ნაწილი მემარჯვენეები იყვნენ. მაშასადამე, ლიბერალებს ამრჩეველთა ორი მესამედიც არ ჰყავდათ და მაინც ხელში ჩაიგდეს სათათბიროს ადგილების ორი მესამედი. აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა: დემოკრატია რომ უფრო შეგნებული და უკეთ ორგანიზებული ყოფილიყო (ამაზე კი პირველ ყოვლისა მუშებმა უნდა იზრუნონ!), ლიბერალებს თავს არ დააჩაგვრინებდა. სოციალ-დემოკრატი ეგოროვი არჩეულია პერმის გუბერნიიდან ამრჩეველთა საერთო ყრილობის, ე. ი. ლიბერალების მიერ, მაშასადამე, ლიბერალებს ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ო დ ა თ მუშების დახმარება, და მუშები პირდაპირ შეცდომას სჩადიოდნენ, პირდაპირ არღვევდნენ დემოკრატიის ინტერესებს, როცა ამ დახმარებას უწევდნენ მათ დემოკრატიისათვის

სადეპუტატო ადგილების პროპორციული წილის მიუღებლად.

მოგვყავს ეს ვარაუდები და ხაზგასმით აღვნიშნავთ მათს მაგალითებრივს, განმმარტებელ მნიშვნელობას, ვინაიდან ზუსტი მონაცემები საერთოდ ამრჩეველთა და კერძოდ თვითეული კურიის ამრჩეველთა პარტიული შემადგენლობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. სინამდვილეში მდგომარეობა უფრო რთულია, უფრო ჭრელია, ვიდრე ეს ჩვენი სანიმუშო მონაცემებიდან ჩანს. მაგრამ მუშებმა უნდა შეითვისონ ძალთა ძირითადი თანაფარდობა სამი ევნისის კანონის მიხედვით არჩევნების «ეშმაკურ მექანიკაში», ხოლო როცა უმთავრესს შეითვისებენ, ისინი წვრილმანებშიც გაერკვევიან.

ორი კურიაა ყველაზე უფრო დემოკრატიული (რა თქმა უნდა, მუშათა კურიის შემდეგ, რომელიც შეიძლება და უნდა იყოს მთლიანად მარქსისტული, მთლიანად ანტილიკვიდატორული), ეს არის გლეხთა კურია და მეორე თანრიგის, საქალაქო კურია. ამათში პირველი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მეორე, — მიუხედავად იმისა, რომ სოფლად არჩევნების თავისუფლება გაცილებით უფრო შეზღუდულია და გლეხებში ქალაქელებთან შედარებით აგიტაციისა და ორგანიზაციის პირობები გაცილებით უარესია.

მართლაც, ქალაქის ამომრჩეველთა მეორე ყრილობის განსაკუთრებული დეპუტატები არიან არჩეული III სათათბიროში 28 გუბერნიიდან. არჩეულია 16 მემარჯვენე, 10 ლიბერალი და 2 დემოკრატი (როზანოვი, სარატოვის გუბერნიიდან, და პეტროვი მე-3, პერმის გუბერნიიდან). გლეხთა განსაკუთრებული დეპუტატები ყველა 53 გუბერნიიდან არიან: არჩეულია 23 მემარჯვენე, 17 ლიბერალი, 5 დემოკრატი და 8 უპარტიო. თუ უპარტიოებს თანაბრად გავყოფთ მემარჯვენეებსა და ოპოზიციას შორის, მივიღებთ შემდეგს შედარებითს მონაცემებს:

III სათათბიროს დეპუტატები:	მეორე თანრიგის საქალაქო კურია	გლეხთა კურია
მემარჯვენე	16	27
ოპოზიცია.....	12=43 პროც.	26=49 პროც.

მეორე თანრიგის საქალაქო კურიიდან გავიდნენ ოპოზიციის დეპუტატები—43 პროცენტი, ხოლო გლეხთა კურიიდან—49 პროცენტი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ III სათათბიროს გლეხმა დეპუტატებმა, როგორც ვიცით, შეიტანეს აგრარული კანონპროექტი, რომელიც თავისი შინაარსით კადეტებისაზე უფრო დემოკრატიულია, ამასთან ამ კანონპროექტს ხელი მოაწერეს როგორც უპარტიო, ისე მემარჯვენე გლეხებმა, მაშინ ცხადი იქნება, რომ გლეხთა კურიის დემოკრატიზმი სინამდვილეში კიდევ უფრო აღემატება მეორე თანრიგის საქალაქო კურიის დემოკრატიზმს, ვიდრე ეს ჩვენი მონაცემებიდან ჩანს.

მაშასადამე, საერთოდ მუშებმა და განსაკუთრებით მუშათა ამრჩევლებმა ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სწორედ გლეხთა კურიას და გლეხთა ამრჩევლებს. როგორც დემოკრატიის ორგანიზატორები, მუშები უწინარეს ყოვლისა უნდა მოქმედებდნენ გლეხებში, შემდეგ — მეორე თანრიგის ქალაქელებში. ორივე ამ კურიაში ლიბერალებისა და დემოკრატების ერთმანეთში არევა განსაკუთრებით ძლიერია, მას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ, განსაკუთრებით გულმოდგინედ ნერგავენ კადეტები, რომელნიც სარგებლობენ თავიანთი «საქმოსნური» «საპარლამენტო» გამოცდილებით და თავიანთი «დემოკრატიული» სახელწოდებით («კონსტიტუციური დემოკრატები», «სახალხო თავისუფლების პარტია»), რითაც ჰფარავენ ანტიდემოკრატიულ, ვეხურ, კონტრრევოლუციურ დედაარსს და პირდაპირ ატყუებენ პოლიტიკურად განუვითარებელ ხალხს.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ მომენტში მუშების იდეურ-პოლიტიკური ამოცანაა დემოკრატიის ორგანიზაცია. ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს საარჩევნო-ტექნიკური საქმიანობა. აქედან — მთავარი ყურადღება გლეხთა კურიას, შემდეგ — მეორე თანრიგის საქალაქო კურიას. საგუბერნიო საარჩევნო კრებაში მუშა ამრჩევლის პირველი ამოცანაა — დემოკრატების დარაზმვა. კანდიდატურის წამოსაყენებლად საჭიროა სამი ხმა: უნდა იშოვო ორი

დემოკრატი გლეხი, უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაარწმუნო ორი ლიბერალი, რომელნიც არაფერს ჰკარგავენ მუშის კანდიდატურის წამოყენებით. დემოკრატებმა საგუბერნიო საარჩევნო კრებებში ბლოკი უნდა შეჰკრან ლიბერალებთან მემარჯვენეების წინააღმდეგ. თუ ასეთი ბლოკი ერთბაშად ვერ მოხერხდა (უმეტეს შემთხვევაში, ალბათ, სწორედ ასე ხდება, რადგან ამრჩევლები ერთმანეთს არ იცნობენ), მაშინ დემოკრატებმა ჯერ ლიბერალებთან ერთად უნდა დაამარცხონ მემარჯვენეები, მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ თ ა ნ — ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი. მაშინ ვერც ერთნი ვერ გავლენ (იმ პირობით, რომ არც მემარჯვენეებს და არც ლიბერალებს ცალ-ცალკე არა აქვთ აბსოლუტური უმრავლესობა; თუ ეს პირობა არაა, დემოკრატები სათათბიროში ვერ მოხვდებიან). საარჩევნო დებულების 119-ე მუხლის თანახმად ხდება შესვენება. დემოკრატები კენჭისყრის შედეგების გამოანგარიშების შემდეგ ბლოკს ჰკრავენ ლიბერალებთან, მათ უკვე აქვთ ზუსტი ცნობები და ცდილობენ სადეპუტატო ადგილების პროპორციულად განაწილებას. ა მ ა ს თ ა ნ ს ა ჭ ი რ ო ა, რ ო მ ჯ ე რ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ მ ა ა ი რ ჩ ი ო ნ დ ე მ ო კ რ ა ტ ი დ ა ა რ ა პ ი რ ი ქ ი თ, რადგან ევროპის მთელი ისტორია და მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ ლიბერალები ხშირად ატყუებდნენ დემოკრატებს, დემოკრატებს კი არასდროს არ მოუტყუებიათ ლიბერალები.

თუ მუშა ამრჩევლებმა იციან რომელი კურიები იძლევიან დემოკრატებს, თუ მათ ეხერხებათ დემოკრატების გამოცალკევება ლიბერალებისაგან, 44 გ უ ბ ე რ ნ ი ა შ ი მათ შეუძლიათ უ დ ი დ ე ს ი როლი შეასრულონ როგორც საერთოდ დემოკრატიის ორგანიზაციის საქმეში, ისე სათათბიროში მუშა დემოკრატებისა და ბურჟუაზიული დემოკრატების (ტრუდოვიკების) მეტი რიცხვის გაყვანის საქმეში. ახლა პირველნი — 15 არიან, მეორენი — 14. თუ მუშები სწორ ტაქტიკას დაადგებიან, ხელსაყრელ შემთხვევაში შეიძლება ორთავეთა რიცხვის გაორკეცება. ლიბერალებს IV სათათბიროში უზრუნველყოფილი აქვთ ძლიერი, «პასუხისმგებელი» (ლონდონის

ტიპის) «ოპოზიციის» ჯგუფი 100 და მეტი დეპუტატის შემადგენლობით, რომელსაც შეუძლია ბლოკი შეჰკრას ოქტიაბრისტებთან. უნდა ვეცადოთ, რომ ოპოზიციამ, ნამდვილად დემოკრატიულმა და არა ვეხურმა, შეადგინოს რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარი ჯგუფი; ამის მიღწევა შეიძლება.

კანონი მუშებს აძლევს უფლებას აირჩიონ ამრჩევლები 44 გუბერნიაში. შეგნებული მუშები ყოველ ფაბრიკაში დაუყოვნებლივ უნდა გაეცნონ ამ კანონს, აწონ-დაწონონ თავიანთი ამოცანები და თავიანთი მდგომარეობა, იზრუნონ იმაზე, რომ მათი ამრჩევლები იყვნენ ნამდვილი მუშა დემოკრატები და არა ლიკვიდატორები.

ეს თორმეტ მუშა ამრჩეველს, თუ მათ სწორედ ამგვარად, შეგნებულად, მზრუნველობით და სისტემატურად გავიყვანთ, შეუძლიათ უდიდესი სარგებლობა მოუტანონ როგორც მუშათა კლასის დარაზმვის საქმეს, რომელიც ყველგან ევროპაში დიადი, მსოფლიო მიზნებისაკენ ისწრაფის, ისე დემოკრატიის ორგანიზაციის საქმეს რუსეთში.

დრო არ იცდის. ყოველ შეგნებულ მუშას ეკისრება ძნელი, მაგრამ მეტად მადლიერი ამოცანა.

III. გლეხობა და გლეხი ამრჩევლები საარჩევნო კამპანიაში

წინა სტატიაში («ზვეზდა» № 34) * ჩვენ შევეხეთ მუშა ამრჩევლების როლს საარჩევნო კამპანიაში. ჩვენი მსჯელობის ჯამი ის იყო, რომ მუშათა დემოკრატიის მთავარი ამოცანა ორნაირია: დაქირავებულ მუშათა კლასის დარაზმვა და მისი შეგნების, მისი დიადი ისტორიული მიზნების გაგების განვითარება, შემდეგ კი დემოკრატიის ორგანიზაცია.

ახლა განვიხილოთ არაპროლეტარული, ე. ი. ბურჟუაზიული, დემოკრატიის საკითხი. როგორია მისი მთავარი კლასობრივი დასაყრდენი რუსეთში? რა არის მისი თავისებურებანი?

* იხ. ეს ტომი, გვ. 443. რ ე დ.

მისი უახლოესი ამოცანები? როგორია მისი როლი არჩევნებში?

რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის მთავარი კლასობრივი დასაყრდენი გლეხობაა. მისი უდიდესი მასის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, მემამულური მიწათმფლობელობა ისე ძლიერ ჩაგრავს მას, ეკონომიური პირობები ისე საშინლად ცუდია, უუფლებობა ისე არაჩვეულებრივ დიდია, რომ ამ წრეში დემოკრატიული სულისკვეთება და მისწრაფება შეუმჩნეველი, სტიქიური აუცილებლობით იბადება. ისეთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, როგორიც წარმოუდგენია ლიბერალურ ბურჟუაზიას (კადეტთა პარტიის მეთაურობით), სახელდობრ: ძალაუფლების გაზიარება პურიშკევიჩებთან, მასებზე პურიშკევიჩებისა და გუჩკოვების (ან მილიუკოვების) ერთად ბატონობა, — ასეთი გამოსავალი მილიონობით გლეხისათვის შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა. აი ამიტომ სწორედ კლასობრივი მდგომარეობა, ერთი მხრივ, გლეხობისა, მეორე მხრივ, მსხვილი ბურჟუაზიისა — აუცილებლივ ჰბადებს დიდ განსხვავებას დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის.

ორივე ამ პოლიტიკური მიმართულების სრული გარკვეულობა, სრული შეგნებულობა ჩვეულებრივ არ არის ხოლმე, მაგრამ გლეხების მ ი დ რ ე კ ი ლ ებ ა დემოკრატიზმისადმი, ბურჟუაზიისა — მონარქისტული ლიბერალიზმისადმი ფაქტია, რომელიც საბოლოოდ დამტკიცებულია რუსეთის XX საუკუნის პირველი ათწლეულით, ამბებით ესოდენ მდიდარი ათწლეულით. გლეხობის მასამ თავისი დემოკრატიულობა გამოააშკარავა არა მარტო 1905 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არა მარტო ამ პირველ ორ სათათბიროში, არამედ მეგატონეთა III სათათბიროშიც კ ი ო რ მ ო ც დ ა ს ა მ მ ა გლეხმა დეპუტატმა, მათ შორის მემარჯვენეებმა და უპარტიოებმა, უფრო დემოკრატიული მიწის პროექტი შეიტანეს, ვიდრე კადეტებმა.

საერთოდ მიწის საკითხი რუსეთის თანამედროვე გლეხობის მთავარი საკითხია. ევროპულ რუსეთში 30 000-ზე ნაკლები მემამულე ჰფლობს 70 მილიონ დესეტინა მიწას, და თით-

ქმის იმდენივე აქვს 10 მილიონ უღარიბეს გლეხურ კომლს. ერთი მხრივ, საშუალოდ მეურნეობაზე მოდის 2 300 დესეტინა, მეორე მხრივ — შვიდი. რუსეთის ისტორიული განვითარების ახლანდელ დონეზე ეკონომიური შედეგი არ შეიძლება სხვანაირი იყოს, თუ არა ფრიად ფართო გავრცელება ყოველგვარი სახის «შრომამიგების» მეურნეობისა, ე. ი. ძველი საბატონო მეურნეობის ნაშთებისა. გლეხთა კაბალა, სიღატაკე, რომელიც დიდი ხანია ევროპაში აღარსად არის, და შუასაუკუნური შიმშილობანი — აი ამის შედეგები.

კადეტურ ბურჟუაზიას სურს აგრარული საკითხი გადაჭრას ლიბერალურად, ხელუხლებლად დატოვოს მემამულური მიწათმფლობელობა, გამოიყიდოს მიწების ნაწილი «სამართლიანი შეფასებით», უპირატესობა მიანიჭოს მემამულეებს გლეხების მიმართ «რეფორმის» განმახორციელებელ დაწესებულებებში. გლეხებს არ შეუძლიათ არ გადაიხარონ აგრარული საკითხის დემოკრატიული გადაჭრისაკენ. ეს დემოკრატიული გადაჭრა სრულიადაც არ ეხება და არც შეიძლება შეეხოს — მთელი მიწა სავსებით და გამოუყიდველადაც რომ გადაეცეს გლეხობას — კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებს, ფულის ბატონობას, სასაქონლო წარმოებას, ბაზრის ბატონობას. გლეხებს უმეტეს ნაწილად ეს საქმე ეჩვენებათ საკმაოდ ბუნდოვანად, და ნაროდნიკებმა შეჰქმნეს მთელი იდეოლოგია, მთელი მოძღვრება, რომელსაც ეს ბუნდოვანება რაღაც «სოციალისტური» სახით წარმოუდგენია, — მაშინ როდესაც არაფერი სოციალისტური არაა ყველაზე უფრო რადიკალურ აგრარულ გადატრიალებაშიც კი.

მაგრამ რაც უფრო ფართოვდება და ძლიერდება გლეხთა მოძრაობა, მით უფრო ნაკლებია ამ ბუნდოვანების მნიშვნელობა სინამდვილეში, მით უფრო მეტად აშკარავდება გლეხთა აგრარულ მისწრაფებათა და მოთხოვნათა ნამდვილი, დემოკრატიული, შინაარსი. ამ სფეროშიც, და უფრო მეტად პოლიტიკურ საკითხთა სფეროში, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მუშათა დემოკრატიის როლი, მისი ბრძოლა ლიბერალური ხელმძღვანელობისადმი გლეხთა დამორჩილების წინა-

აღმდეგ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საერთოდ რუსეთის დემოკრატიის მთელი წარმატება — წარსულშიც და მომავალშიც — განუყრელად უკავშირდება გლეხობის მიმართ პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადასვლას ლიბერალებისგან მუშათა დემოკრატიის ხელში. თუ ეს გადასვლა არ მოხდა, შეუძლებელია დემოკრატიის რაოდენადმე სერიოზული წარმატება რუსეთში.

1907 წ. 3 ივნისის საარჩევნო კანონმა, როგორც ვიცით, ყველაზე მეტად სწორედ გლეხთა საარჩევნო უფლებები «გაანადგურა». საკმარისია გავიხსენოთ, რომ მიწათმფლობელ ამრჩევლების რიცხვი ამ კანონმა გაადიდა 1 952-დან 2 594-მდე, ე. ი. 32,9%-ით, ხოლო გლეხ და კაზაკ ამრჩევლების რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად შეამცირა: 2 659-დან 1 168-მდე, ე. ი. 56,1%-ით. გარდა ამისა, 3 ივნისის კანონით, სათათბიროს დეპუტატებს გლეხთა კურიიდან (ოფიციალური სახელწოდება: «ვოლოსტების რწმუნებულთა ყრილობებიდან») ირჩევენ არა მარტო გლეხი ამრჩევლები, როგორც წინათ, არამედ საგუბერნიო საარჩევნო კრებების მთელი შემადგენლობა, ე. ი. მემამულეთა და მსხვილ კაპიტალისტთა უმრავლესობა.

ასეთი წესის დროს გლეხთა დემოკრატებს (ტრუდოვიკებს) შეუძლიათ მოიპოვონ ადგილები სათათბიროში მხოლოდ იმ პირობით, თუ გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა გლეხი ამრჩეველი ტრუდოვიკები იქნებიან. მაშინ მემარჯვენე მემამულეები იძულებული გახდებიან გლეხთა კურიიდან გაიყვანონ ტრუდოვიკები, — ისე, როგორც მუშათა კურიიდან ისინი იძულებული იყვნენ გაეყვანათ სოციალ-დემოკრატები. მაგრამ, რასაკვირველია, გლეხების დარაზმულობა, ორგანიზებულობა და შეგნებულობა გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე მუშებისა. ამ სფეროში პოლიტიკური აღზრდის ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული და მადლიანი სამუშაოა შესასრულებელი. სწორედ ამ სფეროს უნდა მიექცეს ყველა დემოკრატის და «მოსახლეობის სხვა კლასებში წამსვლელი» * ყველა მარქსის-

* იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 5, გვ. 595. რ ე დ.

ტის მთავარი ყურადღება, და არა კონტრრევოლუციურ ლიბერალებთან (კადეტებთან) თვალის ჩაკვრისა და ლაქუცის სფეროს, რაც ასე მოსწონთ «ნაშაზარიელ» ლიკვიდატორებსა და სხვ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, რომ III სათათბიროს არჩევნებში გლეხთა კურია არაპროლეტარულ კურიათაგან ყველაზე უფრო დემოკრატიული აღმოჩნდა. გლეხთა კურიიდან III სათათბიროში გავიდა ოპოზიციის 26 დეპუტატი 53-დან, ე. ი. 49%, მაშინ როდესაც მეორე თანრიგის საქალაქო კურიიდან («ქალაქის ამომრჩეველთა მეორე ყრილობიდან») მხოლოდ 12 გავიდა 28-დან, ე. ი. გავიდა 43%. III სათათბიროში გლეხთა კურიიდან გავიდა 5 დემოკრატი 53-დან, ე. ი. 10%, ხოლო მეორე თანრიგის საქალაქო კურიიდან 2 დემოკრატი 28-დან, ე. ი. 7%.

საინტერესოა განვიხილოთ, რამდენი გუბერნიიდან და მთელ გუბერნიაში დეპუტატთა რა შემადგენლობით გავიდნენ III სათათბიროში ოპოზიციის წარმომადგენლები გლეხთა კურიიდან. 53 გუბერნიიდან, რომელნიც სათათბიროში აუცილებლად თითო დეპუტატს გზავნიან გლეხთა კურიიდან, 23-მა გაგზავნა ამ კურიიდან მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ი (ოქტიაბრისტების ჩათვლით), შემდეგ 17 გუბერნიამ აირჩია ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი (კ.-დ., პროგრესისტები და მუსლიმანები) და მხოლოდ ხუთმა გუბერნიამ აირჩია დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი (ტრუდოვიკები). 8 გუბერნიიდან გავიდნენ უპარტიო გლეხები.

თუ უფრო ახლოს გავეცნობით საქმეს, დავინახავთ, რომ ა რ ც ე რ თ ს გუბერნიას, სადაც მემარჯვენე დეპუტატები სჭარბობენ, III სათათბიროში არ გაუჭაჭანებია გლეხთა კურიიდან არც ერთი დემოკრატი. დემოკრატები (ტრუდოვიკები) გავიდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ გუბერნიებში, სადაც არც ერთი მემარჯვენე დეპუტატი არაა. ამ ხუთმა გუბერნიამ, არხანგელსკის, ვიატკის, პერმის, სტავროპოლისა და ტომსკისამ, სულ III სათათბიროში გაიყვანა 15 ლიბერალი, 8 ტრუდოვიკი და 3 სოციალ-დემოკრატი. ეჭვს გარეშეა, გლეხები და მუშები რომ უფრო შეგნებული და ორგანიზებული

ყოფილიყვნენ, ამ გუბერნიებში შეიძლებოდა გაგვეზარდა დემოკრატთა რიცხვი ლიბერალების ხარჯზე.

აქ, მგონია, უადგილო არ იქნება აღინიშნოს, რომ სულ ჩვენ დავითვალეთ 24 გუბერნია, საიდანაც ოპოზიციის დეპუტატები სჭარბობენ III სათათბიროში მემარჯვენეებს; ამ 24-დან 18 გუბერნიაში გავიდნენ სათათბიროში მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის დეპუტატები. ამ 24 გუბერნიამ სათათბიროში გაგზავნა 9 მემარჯვენე დეპუტატი, 2 უპარტიო, 55 ლიბერალი, 14 ტრუდოვიკი და 8 სოციალ-დემოკრატი. როგორც მკითხველი ხედავს, ასპარეზი საკმაოდ ფართოა ლიბერალების ხარჯზე დემოკრატი დეპუტატების რაოდენობის გასადიდებლად და საერთოდ ლიბერალების გავლენისაგან წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის გასათავისუფლებლად.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს, რომ 17 გუბერნიიდან, რომელთაც სათათბიროში გლეხთა კურიიდან ლიბერალები აირჩიეს, ათ გუბერნიაში მემარჯვენე დეპუტატები სჭარბობენ ოპოზიციონერ დეპუტატებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გუბერნიების გლეხ ამრჩევლებს შორის, საერთოდ, ს რ უ ლ ი ა დ ა რ ყ ო ფ ი ლ ა ნ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ ი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სწორედ მათ აირჩევდა საგუბერნიო საარჩევნო კრებების მემარჯვენე უმრავლესობა...

მუშათა დემოკრატიის ამოცანები გლეხობის მიმართ არჩევნებში აშკარაა. საჭიროა წმინდა კლასობრივი ქადაგება გავაჩაღოთ პროლეტარიზაციის გზაზე დამდგარ გლეხობაში. საჭიროა ხელი შევუწყოთ არჩევნებში გლეხთა დარაზმვას, რათა მათ 3 ივნისის საარჩევნო კანონის ნიადაგზედაც შესძლონ IV სათათბიროში ს ა კ უ თ ა რ ი — რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი — წარმომადგენლობის შექმნა, მიუხედავად დაბრკოლებებისა როგორც ძველი წყობილების მომხრეების, ისე ლიბერალების მხრივ. საჭიროა განვამტკიცოთ მუშათა დემოკრატიის ჰეგემონია და განვმარტოთ ლიბერალიზმისაკენ გლეხთა დემოკრატიის ქანაობის მთელი მავნებლობა.

IV. დასკვნები მესამე სათათბიროს არჩევნების პრაქტიკიდან

საარჩევნო კამპანიის დროს მუშათა დემოკრატიის ამოცანების კონკრეტულად განსაზღვრისათვის სასარგებლოდ მიგვაჩნია რაც შეიძლება დაწვრილებით განვიხილოთ მონაცემები III სათათბიროს არჩევნების შესახებ რამდენიმე ცალკეული გუბერნიის მიხედვით. ასეთი განხილვა ხელს შეგვიწყობს, ჯერ-ერთი, უფრო ნათლად გავიგოთ და მტკიცედ შევითვისოთ 3 ივნისის რთული და დახლართული საარჩევნო სისტემა, ხოლო, მეორეც, — იგი საარჩევნო კამპანიის ყველა მუშაკს მისცემს ფრიად კონკრეტულ წარმოდგენას მათი, როგორც დემოკრატების, მდგომარეობისა და იმ «ვითარების» შესახებ, რომელშიც მოქმედება გვიხდება. თვითეული გუბერნიის მონაცემების შესწავლა ადგილობრივი დემოკრატების მიერ შეავსებს ჩვენს მასალებს, შეასწორებს მათ და მაშინვე დააინტერესებს ყველას და თვითეულს, ვინც კი გრძნობს არჩევნებში მონაწილეობის მოვალეობას დაქირავებულ მუშათა პოლიტიკური განათლებისა და დემოკრატიის ორგანიზაციისათვის.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ყაზანის გუბერნია. III სათათბიროში მისი წარმომადგენელია 10 დეპუტატი, რომელნიც თანასწორად იყოფიან მემარჯვენეებად და ოპოზიციად: 5 მემარჯვენე (მათში 4 ოქტიაბრისტი და 1 ნაციონალისტი) და 5 ლიბერალი (მათში 1 პროგრესისტი, 2 კადეტი და 2 მუსლიმანი). არ არიან არც ტრუდოვიკები და არც სოციალ-დემოკრატები.

ამავე დროს ყაზანის გუბერნიის მონაცემები ისეთია, რომ მათი მიხედვით აქ დემოკრატიის შანსები საკმაოდ სერიოზულად უნდა მივიჩნიოთ. მემარჯვენეები არჩეულია: ერთი — მიწათმფლობელთა ყრილობიდან (საზონოვი), სამი ოქტიაბრისტი — ქალაქელ ამომრჩეველთა 1-ლი და მე-2 ყრილობიდან (მათ შორის ერთი გაქანებული კონტრრევოლუციონერი ბ-ნი კაპუსტინი ქალაქელ ამომრჩეველთა მე-2 ყრილობიდან)

და ერთი ოქტიაბრისტი — ამრჩეველთა საერთო ყრილობიდან. ლიბერალები არჩეულია: 1 — მიწათმფლობელთა ყრილობიდან, 1 — გლეხებისგან (კადეტი ლუნინი) და სამი — ამრჩეველთა საერთო ყრილობიდან.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ამრჩეველთა საერთო ყრილობიდან გავიდა სამი ლიბერალი და ერთი მემარჯვენე, ლიბერალები საგუბერნიო საარჩევნო კრებაში უმრავლესობა ყოფილან, მაგრამ ეს უმრავლესობა არ იყო მტკიცე: წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაიყვანდნენ არც ერთ მემარჯვენეს ამრჩეველთა საერთო ყრილობიდან. ლიბერალური უმრავლესობა რომ მტკიცე არ იყო, ამის მაჩვენებელია, როგორც ჩანს, ის გარემოებაც, რომ მიწათმფლობელთაგან არჩეულია ერთი პროგრესისტი და ერთი მემარჯვენე: უკანასკნელი არ უნდა გაეყვანათ, ლიბერალური უმრავლესობა რომ მტკიცე ყოფილიყო.

ყაზანის გუბერნიის ამრჩეველთა შემადგენლობა კურიების მიხედვით ასეთია: სულ არის 117; მათ შორის გლეხებისგან — 33, მიწათმფლობელთაგან — 50, ქალაქელ ამომრჩეველთა 1-ლი ყრილობიდან—18, მე-2-დან—14 და მუშებისგან — 2. მაშასადამე მიწათმფლობელები პირველი კურიის ქალაქელებთან ერთად შეადგენენ უმრავლესობას (50+18=68 ასჩვიდმეტიდან); — ცნობილია, რომ 3 ივნისის კანონით ყველა გუბერნიაში უზრუნველყოფილია ან ასეთი უმრავლესობა, ან კიდევ უფრო «საიმედო», ე. ი. მარტო მიწათმფლობელებისაგან შემდგარი უმრავლესობა (მარტო მიწათმფლობელთა კურიას ჰყავს ამრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა საგუბერნიო საარჩევნო კრებაში).

ლიბერალებმა მოიპოვეს ადგილების ნახევარი სათათბიროში იმის გამო, რომ ისინი, ეტყობა, ძალიან ძლიერად არიან წარმოდგენილნი მიწათმფლობელთა შორის. ქალაქელთა შორის, პირიქით, თითქმის მთლიანად მემარჯვენენი უნდა ბატონობდნენ; უამისოდ ძნელი ასახსნელია, თუ როგორ გავიდნენ მემარჯვენენი ქალაქის ორივე ყრილობიდან, როცა საგუბერნიო საარჩევნო კრებაში ლიბერალთა უმრავლესობა

იყო. კადეტები იძულებული იყვნენ გაეყვანათ მემარჯვენეები. ამრჩეველთა შორის ზემოთ აღნიშნული არამტკიცე ლიბერალური უმრავლესობის დროს მუშათა დემოკრატიას ეძლევა მოქმედების ხელსაყრელი ასპარეზი: გამოიყენოს განხეთქილება მემამულეთა და კაპიტალისტთა შორის საერთოდ დემოკრატიის ძალების დასარაზმავად და კერძოდ სათათბიროში სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების გასაყვანად.

მაგალითად, ამრჩეველთა შორის რომ 57 მემარჯვენე, ამდენივე ლიბერალი და 3 დემოკრატი იყოს (მათ შორის ორი მუშა სოციალ-დემოკრატი და ერთი გლეხი ტრუდოვიკი), ეს სამეულიც კი საკმარისი იქნებოდა სათათბიროში სოციალ-დემოკრატების გასაყვანად, — იმაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, თუ ძალთა დემოკრატიული დარაზმვის რა მადლიანი ამოცანა გადაიშლებოდა ამ სამეულის წინაშე გლეხთა 33 ამრჩევლის დროს. ჩვენ სამეული ავიღეთ, როგორც მინიმუმი, რაც კანონით აუცილებელია (არჩევნების დებულების 125-ე მუხ.) ბარათების საშუალებით კანდიდატთა წამოყენებისას: იმ კანდიდატებს, რომელნიც ბარათებით სამზე ნაკლებ ხმას მიიღებენ, კენჭი არ ეყრებათ. თავისთავად ცხადია, კანონით გათვალისწინებული ეს სამეული შეიძლება შესდგეს, თუ დემოკრატს შევუერთებთ ლიბერალებს, რა თქმა უნდა, თუ უკანასკნელი იმდენად არ «წავლენ წინ» («ვეხური» მიმართულებით), რომ საგუბერნიო საარჩევნო კრებაშიც კი ოქტიაბრისტი არჩიონ სოციალ-დემოკრატს.

მემარჯვენეთა და ლიბერალთა ძალების თანასწორობისას ერთი დემოკრატიც საკმარისია, რომ, მემარჯვენეებთან ერთად ლიბერალების წინააღმდეგ და ლიბერალებთან ერთად მემარჯვენეების წინააღმდეგ ხმის მიცემით არავინ გაიყვანოს სათათბიროში, გამოიწვიოს ამით (არჩევნების დებულების 119-ე მუხ. მიხედვით) შესვენება, — რომლის ხანგრძლიობა, აღნიშნული მუხლით, განისაზღვრება თვით კრების მიერ, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, — და მერე მოაწყოს

შეთანხმება ლიბერალებისა და დემოკრატებისა სათათბიროში უკანასკნელთა გაყვანის პირობით.

ყაზანის გუბერნიის მაგალითით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ IV სათათბიროს არჩევნებში მუშათა პოლიტიკის ორი შესაძლებელი ხაზი (მაშასადამე, საერთოდ მუშათა პოლიტიკის ხაზიც, ვინაიდან არჩევნების პოლიტიკა — ეს არის მხოლოდ საერთო პოლიტიკის გაშოყენება კერძო შემთხვევის მიმართ). პირველი ხაზი: ხმისმიცემა, საერთო წესისამებრ, უფრო პროგრესული კანდიდატისათვის, ყოველგვარი შემდგომი განსაზღვრის გარეშე. მეორე ხაზი: დემოკრატიის დარაზმვა და ამისათვის მემარჯვენეთა და ლიბერალთა ანტაგონიზმის გამოყენება. პირველი ხაზის იდეური მნიშვნელობაა — პასიური დამორჩილება კადეტების ჰეგემონიისადმი; ამ ხაზის პრაქტიკული შედეგი წარმატების შემთხვევაში: IV სათათბიროში ოქტიაბრისტულ-კადეტური უმრავლესობის გადიდება მემარჯვენე-ოქტიაბრისტული უმრავლესობის ხარჯზე (დემოკრატიული უმცირესობის შესაძლებელი შემცირების დროს). მეორე ხაზის იდეური მნიშვნელობა: საერთოდ გლეხებისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ კადეტების ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლა; ამ ხაზის პრაქტიკული შედეგი წარმატების შემთხვევაში: IV სათათბიროში დემოკრატთა ჯგუფის გადიდება, დარაზმვა და განმტკიცება.

პირველი ხაზი პრაქტიკულად იქნებოდა ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ხაზი. მეორეა მარქსისტული მუშათა პოლიტიკა. ორივე ამ ხაზის მნიშვნელობის უფრო დაწვრილებით გარკვევას ჩვენ კიდევ არა ერთხელ დავუბრუნდებით.

«ზვეზდა» №№ 33, 34, 36 და 1 (37);
1911 წ. 10, 17, 31 დეკემბერი და
1912 წ. 6 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ხელმოწერა: ვილიამ ფრეი და ვ. ფრეი

ძველი და ახალი

ნიკ. ნიკოლინის სტატია «ზვეზდის» 29-ე ნომერში დამახასიათებელი სათაურით: «ახალი ძველში» მთელ რიგ მეტისმეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან საკითხებს აყენებს. დისკუსია ამ საკითხებზე, უეჭველად, სასურველია რუსეთის მუშათა დემოკრატიის მომხრეთა მოქმედების ზუსტი, ნათელი და გარკვეული ხაზის შესამუშავებლად.

ნიკ. ნიკოლინის სტატიის უმთავრესი ნაკლია მრავალი მისი დებულების მეტისმეტი გაურკვევლობა. თუ ავტორი, თავისი სიტყვების განუმარტებლად, ლაპარაკობს, რომ ის, «შესაძლოა, ბევრ რამეში არ დამეთანხმებოდაო», მე, ჩემდა თავად, უნდა ვთქვა, რომ ნ. ნიკოლინს არა აქვს ისეთი დებულებანი, რომელიც უთანხმოებას იწვევდნენ, ვინაიდან მას საერთოდ არა აქვს ბოლომდე ნათქვამი დებულებანი.

მაგალითად, ნ. ნიკოლინი გადაჭრით ილაშქრებს იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ «ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა... დაახლოებით ისეთივეა, როგორიც 1900-იანი წლების დასაწყისში იყოო». იგი ამგვარ შეხედულებას განმარტავს იმ აზრით, რომ ეს პირები უარყოფენ ა ხ ა ლ ს ძველშიო. რასაკვირველია, ისინი მართალნი არ არიან, თუ ამას უარყოფენ. რასაკვირველია, ნ. ნიკოლინი ათასჯერ მართალია, რომ ძველში არის ახალი, რომლის გათვალისწინება და გამოყენება უნდა ვიცოდეთ. მაგრამ სახელდობრ როგორია ეს ახალი, სახელდობრ როგორ უნდა გავითვალისწინოთ იგი და სხვა, ამას ნიკოლინი არ ამბობს, — ხოლო, მეორე მხრივ, მისი ციტატიდან არა ჩანს, სახელდობრ როგორ ესმით მის ოპო-

ნენტებს სიტყვა «დაახლოებით». თუ ახალს ძველში ისე გავითვალისწინებთ, როგორც ის გაითვალისწინეს რუსმა მარქსისტებმა სწორედ სამი წლის წინათ ქარიშხლისა და შეტევის სამწლეულის (ე. ი. 1905 — 1907 წლების) შემდეგ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებისას, მაშინ, ჩემი აზრით, უმართებულო არ იქნებოდა გვეთქვა: «ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ისეთივეა, როგორიც ცხრაასიანი წლების დასაწყისში იყო». ხოლო თუ ამგვარი დებულება წამოყენებულია მომენტისა და ამოცანების წინასწარი, ზუსტი, ნათელი, გარკვეული შეფასების მოუცემლად, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ძველი ამოცანები, მათი გადაწყვეტის ძველი მეთოდები, ახალი ხერხები გადაწყვეტის მოსამზადებლად, — აი როგორ შეიძლებოდა, ჩემი აზრით, დაახლოებით გადმოგვეცა სამი წლის წინათ გაცემული პასუხი. III სათათბიროში მონაწილეობა, რასაც ასე მხურვალედ და ასე სამართლიანად იცავს ნიკ. ნიკოლინი, ამ პასუხის თვალსაზრისით, უ ე ჭ ვ ე ლ ა დ აუცილებელია. ის «მიმდინარეობა», რომელიც უარყოფს ამ მონაწილეობას, ანდა დღემდე მერყეობს პირდაპირ, ნათლად, მიუკიბ-მოუკიბავად დაუჭიროს მხარი III სათათბიროში მონაწილეობას, ამაოდ ირქმევს მუშათა დემოკრატიის სახელს. სინამდვილეში ეს მიმდინარეობა ამ დემოკრატიის გარეშე დგას, იგი წარმოადგენს ანარქისტული — და არა მარქსისტული — იდეების რგოლის «კანონიერ ელფერს».

ავიღოთ «ზედნაშენის» საკითხი. «წინათ შეიძლებოდა ეფიქრნათ, — წერს ნიკ. ნიკოლინი, — რომ ბიუროკრატია ერთადერთი და უმთავრესი მტერია «მთელი რუსეთისა», — ახლა ამას უკვე არავინ ფიქრობს... ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცით, რომ მარკოვები, კრესტოვნიკოვები, ვოლკონსკები, პურიშკევიჩები, გუჩკოვები, ხომიაკოვები, ავდაკოვები და სხვ. — ყველა ესენი წარმომადგენლები არიან იმ სოციალური წრისა, საიდანაც ბიუროკრატია ძალას იძენს და მოტივებს ღებულობს თავისი საქმიანობისათვის».

სავსებით სწორი და მეტისმეტად საგულისხმო აქ ის არის, რომ ნიკ. ნიკოლინი ხაზგასმით აღნიშნავს «ბიუროკრატიის» კავშირს სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ზედა ფენებთან. ამ კავშირის უარყოფა, თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ბურჟუაზიული ხასიათის უარყოფა, საერთოდ უარყოფა «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე გადადგმული ნაბიჯისა» შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც სრულიად არ უფიქრდებიან იმ ახალს, რაც მოიტანა XX საუკუნის პირველმა ათწლეულმა, რომელთაც სრულებით არ ესმით რუსეთში არსებული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ერთმანეთთან დამოკიდებულება და III საათბიროს მნიშვნელობა.

მაგრამ არ კმარა აღიარო კავშირი, საჭიროა ზუსტად აღნიშნო ამ კავშირის კონკრეტული ხასიათი. ახალ რამედ გადაქცევის გზაზე გადადგმული ნაბიჯი სრულიადაც არა სპობს ძველს, ვთქვათ, «ბიუროკრატიულ» წყობილებას მისი უდიდესი თვითმყოფობით და დამოუკიდებლობით, მისი ტოლმაჩევ-რეინბოტული (და სხვ. და სხვ.) «თავისებურებით», მისი ფინანსური უკონტროლობით. ბიუროკრატია «ძალას იძენს» ბურჟუაზიის ზედა ფენების მხარის დაჭერით, მაგრამ თვითონ ის ივსება ა რ ა ამ ფენებიდან, არამედ ძველი, ძველისძველი, არა მარტო რევოლუციამდელი (1905 წლამდე), არამედ აგრეთვე რეფორმის წინადროინდელი (1861 წლამდე) მემამულე და მოსამსახურე თავადაზნაურობიდან. ბიუროკრატია საგრძნობლად «ღებულობს მოტივებს თავისი საქმიანობისათვის» ბურჟუაზიის ზედა ფენებიდან, მაგრამ ის ბურჟუაზიულ საქმიანობას წმინდა ბატონყმურ, მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმურ მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ა ს ა და ს ა ხ ე ს აძლევს. ვინაიდან, თუ არსებობს განსხვავება პრუსიელი იუნკრისა და ამერიკელი ფერმერის ბურჟუაზიულობას შორის (თუმცა ისინი ორივენი, უეჭველად, ბურჟუები არიან), არა ნაკლებ ცხადია და არა ნაკლებ დიდია განსხვავება პრუსიელი იუნკრის ბურჟუაზიულობასა და მარკოვის და პურიშკევიჩის «ბურჟუა-

ზიულობას» შორის. ამ უკანასკნელებთან შედარებით პრუსიელი იუნკერი პირდაპირ «ევროპელია»!

«ბიუროკრატიის» უდიდესი დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის დავიწყება — მთავარი, ძირითადი და საბედისწერო შეცდომაა, მაგალითად, მ. ალექსანდროვისა მის ცნობილ წიგნში, ხოლო ნ. რ-კოვს ლიკვიდატორულ «ნაშა ზარიას» მე-9 — 10 ნომერში ეს შეცდომა აბსურდამდე მიჰყავს. ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ ეგრეთწოდებული «ბიუროკრატიული» წყობილების სფეროში რამდენად დარჩა ძველი და სახელდობრ რა ცვლილება, უფრო სწორად: სახეცვლილება შეიტანა «ახალმა», მოცემულია მხოლოდ ზემოაღნიშნულ, სამი წლის წინათ გაცემულ, პასუხში.

მე სრულიად არ უარვყოფ «სხვა ვზებისა და საშუალებების ძიებას», უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ წყეულ კითხვებზე პირდაპირი პასუხის განხილვას, მეორედ და განმეორებულ განხილვას, მაგრამ არ შემიძლია პროტესტი არ განვაცხადო იმ კონტრაბანდის წინააღმდეგ, რომელსაც აპარებენ, მაგალითად, ლიკვიდატორები «ძიების» დროშით. აშკარაა, უთანხმოება «მაძიებელ» ნ. რ-კოვსა და «მაძიებელ» პოტრესოვებსა, ეჟოვებსა, ჩაცკებს შორის ისეთი უთანხმოებაა, რომელიც ლიბერალური მუშათა პოლიტიკის წ ვ რ ი ლ მ ა ნ ებ ს ეხება. ყველა ეს «მაძიებელნი» დგანან სწორედ ლიბერალური და არა მარქსისტული მუშათა პოლიტიკის ნიადაგზე! ერთია «გზების ძიება» და მათი განხილვა, მარქსიზმის თვალსაზრისით, წიგნებში, ჟურნალებში და სხვ., — სულ სხვაა გამოსვლა გარკვეული პასუხით პრაქტიკულად ხელმძღვანელ ორგანოებში.

ავიღოთ «რომანტიზმის» საკითხი. ნიკ. ნიკოლინს, რომელიც ჰგმობს რომანტიზმს, როგორც სამუდამოდ დრომოჭმულ «ძველს», მოჰყავს მაგალითი: «ლიბერალს ეგონა, რომ ის გამოდის ყველა ჩაგრულის დამცველის როლში, ხოლო სოციალისტს — რომ მას ზურგს უმაგრებს მთელი მოაზროვნე და მშრომელი რუსეთი». მაგალითი ეხება კლასობრივი ბრძოლის გაუგებლობას, და, რა თქმა უნდა, ნიკოლინი სავსე-

ბით მართალი იქნებოდა, რომ ეთქვა: ასეთი «სოციალისტი» — ალბათ, ნაროდნიკი — ნამდვილად სულაც არ არის სოციალისტი, არამედ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა, რომელიც თავის დემოკრატიზმს ფსევდო-სოციალისტურ ფრაზეოლოგიაში ახვევს. მაგრამ როცა რომანტიზმზეა ლაპარაკი, შეუძლებელია გვერდი აუარო ამ ტერმინის ყველაზე გავრცელებულ, სახელდობრ: ლიბერალურ პრესაში გაბატონებულ, ვეხურ, ე. ი. კონტრრევოლუციურ განმარტებას. შეუძლებელია არ გაილაშქრო ასეთი განმარტების წინააღმდეგ. შეუძლებელია არ აღნიშნო ის «ახალი», რომ ლიბერალიზმმა შეჰქმნა რუსეთში ლიბერალური ვეხური მიმართულება, რომელსაც ბატონი მილიუკოვები უარყოფენ მხოლოდ სიტყვიერად, მხოლოდ დიპლომატიურად, ნამდვილად კი ვეხურ პოლიტიკას აწარმოებენ.

აქედან — უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული დასკვნა: ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის მიჯნა უნდა გატარდეს უფრო აშკარად, XX საუკუნის პირველი ათი წლის «ახალი» გამოცდილების მიხედვით. «ლიბერალური ოპოზიციისა და რეაქციის ერთმანეთში არევა», რა თქმა უნდა, აბსურდია, მაგრამ (ნიკოლინის მიერ) გამოყვანილი ეს დასკვნა. ჩემ მიერ აი ახლა აღნიშნული დასკვნის მიუღებლად, სრულიად არ არის საკმარისი.

საერთოდ, ნიკ. ნიკოლინის გაურკვევლობისა და ბოლომდე უთქმელობის ძირითადი ნაკლი სწორედ მის დასკვნებში გამომჟღავნდა. აიღეთ მისი პირველი დასკვნა: «ერთნაირად მავნებელია როგორც უგუნური გატაცება მოქმედების ძველი წესებით, ისე მათდამი მკაცრი უარყოფითი დამოკიდებულება». ჩემი აზრით, ეს დასკვნა ეკლექტიკურია და არა დიალექტიკური. უგუნური უგუნურია, ამიტომ ყოველთვის და უცილობლად მავნებელია; ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. დასკვნის ამ ნაწილს რომ ცოცხალი, დიალექტიკური, მნიშვნელობა მისცემოდა, უნდა გვეთქვა დაახლოებით შემდეგი: III თუ IV სათათბიროში მონაწილეობაზე უარისთქმის გამართლების ცდა მოქმედების ძველ წესებზე მითითებით უდიდესი შეც-

დომა, ცარიელი ფრაზა, უშინაარსო წამოძახილი იქნებოდა, — მიუხედავად იმისა, და უფრო სწორედ იმიტომ, რომ საჭიროა ამ წესებისადმი მკაცრი დადებითი დამოკიდებულება.

ამრიგად, რადგან საშუალება არ მქონდა უფრო დიდხანს შევჩერებულიყავი ამ საკითხზე, მე გაკვრით აღვნიშნე, თუ როგორ უნდა შესწორდეს, ჩემი აზრით, ჩემ მიერ ციტირებული დასკვნის მეორე ნაწილი.

«ზვეზდა» № 33, 1911 წ. 10 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირი[122]

1911 წლის 14 — 17 (27 — 30) დეკემბერი

1

პროექტი რეზოლუციისა პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

ორგანიზაცია პარტიული სოციალ-დემოკრატიული ძალებისა საზღვარგარეთ და ბოლშევიკების ამოცანები

საზღვარგარეთ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შდგომარეობა ამჟამად მეტისმეტად არანორმალურია.

1908 წლიდან დაწყებული, როცა სოციალ-დემოკრატიული გამომცემლობა სულ უფრო და უფრო გადადიოდა საზღვარგარეთ, და პლენუმამდე, საზღვარგარეთ ყველა დიდმნიშვნელოვან ცენტრში სრული ორგანიზაციული გათიშვა სუფევდა პარტიისაგან მენშევიკური ჯგუფების სრული გამოყოფის გამო.

პლენუმმა (1910 წლის იანვარში) სცადა შეექმნა ერთიანობა მის მიერ ერთხმად დამტკიცებული ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური ხაზის საფუძველზე, ამასთან განსაკუთრებით ენერგიულად მოუწოდებდა სრული ერთიანობა დაემყარებინათ საზღვარგარეთ.

მაგრამ სინამდვილეში, იმის გამო, რომ ლიკვიდატორებმა და ოტზოვისტებმა არ შეასრულეს პლენუმის პირობები, პლენუმის შემდეგ საზღვარგარეთული ჯგუფების გაერთიანება

არსად არ მომხდარა. პირიქით, მოხდა კიდევ უფრო მეტი რღვევა, რადგან ფაქტიურად ვპერიოდელები გამოეცალკევნენ ბოლშევიკებს, პლეხანოველები — მენშევიკებს. პარალელური, — «პირველი» და «მეორე» ანუ მენშევიკური და ბოლშევიკური, — ჯგუფები კვლავ არსებობდნენ ტრადიციულად, ნამდვილად კი სრულიად არ აერთიანებდნენ რამდენადმე სოლიდარულ და სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ერთად წარმართვის უნარის მქონე ელემენტებს.

ამჟამად საზღვარგარეთ ფაქტიურად არსებობენ ფრაქციულად განცალკევებული — ერთმანეთთან მხოლოდ ფორმალურად დაკავშირებული, ხშირად კი სრულიად დაუკავშირებელი — ბოლშევიკთა, «შემარიგებელთა», ვპერიოდელთა, «გოლოსელთა» და «პლეხანოველთა» ჯგუფები, სრულიად დამოუკიდებელნი ერთმანეთისაგან, რომელნიც სხვადასხვა იდეურ ხაზს ატარებენ და განცალკევებულად არიან დაკავშირებული ამა თუ იმ სოციალ-დემოკრატიულ ელემენტებთან რუსეთში.

რუსეთში ბოლშევიკებისა და პარტიელი მენშევიკების ძალებით რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნა და რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ამ კოლეგიის მხრივ ენერგიულად ხელის მოკიდება რსდმ პარტიის საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმისათვის გადამწყვეტ გარდატეხას ახდენს პარტიის ისტორიაში და გვიჩვენებს ერთადერთ შესაძლებელ და ცხოვრების მიერ დასახულ გამოსავალს დეზორგანიზაციისა და რღვევის მდგომარეობიდან.

ფაქტიურად ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ეწეოდნენ პლენუმის შემდეგ — განსაკუთრებით ერთსულოვნად 1910 წლის განმავლობაში — მხოლოდ ბოლშევიკები და პარტიელი მენშევიკები. გოლოსელები პარტიის გარეთ დარჩენილი **«დელო ჟიზნისა»** და **«ნაშა ზარიას»** რუსეთის ლიკვიდატორული ჯგუფის მხოლოდ საზღვარგარეთულ განყოფილებას წარმოადგენენ და მეტს არაფერს, ხოლო საზღვარგარეთული ჯგუფი **«ვპერიოდი»**, განაგრძობს რა ოტზოვიზმის

მფარველობას და თავისი ლიდერის ლუნაჩარსკის შემწეობით რელიგიურ პროპაგანდას, სრულიად არ ეწევა სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას.

ამჟამად ბოლშევიკებისა და პარტიელი მენშევიკების მიერ შექმნილი რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც მხარს უჭერენ რუსეთის თითქმის ყველა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ერთადერთი და საკვანძოთ უფლებამოსილი ცენტრია.

ერთიანდება რა ბოლშევიკების ერთიან საზღვარგარეთულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად, თათბირი პასუხისმგებლობას საზღვარგარეთ არსებული გათიშვის გაგრძელებისათვის აკისრებს იმ ჯგუფებს, რომელთაც არა სურთ მხარი დაუჭირონ რუსეთის ცენტრს, რუსეთის საორგანიზაციო კომისიას, ანდა განაგრძობენ «შეთანხმების თამაშს» რუსეთს მოწყვეტილ ჯგუფებთან, რითაც ხელს უწყობენ არ ასოციალ-დემოკრატიულ, რუსეთში მუშაობას მოწყვეტილ ჯგუფებს.

საზღვარგარეთის ბოლშევიკური ორგანიზაცია კვლავაც ყოველნაირად ეცდება მიიზიდოს, მიმდინარეობათა განურჩევლად, ყველა ის სოციალ-დემოკრატი, ვინც მზადაა მხარი დაუჭიროს რუსეთის საორგანიზაციო კომისიას და გაატაროს პარტიული, ე. ი. ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური (აგრეთვე ანტიღვთაებრივი) ხაზი, [რათა ისინი] შეუერთდნენ საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას და გაერთიანდნენ ერთიან პარტიულ ორგანიზაციად.

ბრძოლა ლიკვიდატორულ და ოტზოვისტურ მიმდინარეობებთან, — ბრძოლა უიდეო საზღვარგარეთული ჯგუფების რღვევასთან—ხელისშეწყობა ყველა ნამდვილი სოციალ-დემოკრატი პარტიელებისა და განსაკუთრებით პარტიელი მეკების დარაზმვისათვის — ხელისშეწყობა რუსეთის საორგანიზაციო კომისიისათვის, — ასეთია საზღვარგარეთის პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკული ამოცანა. იმ ორგანოებად, რომლებსაც მხარი უნდა დაუჭირონ პარტიელებმა, ჩვენ ვთვლით

ერთ და იმავე დროს ცენტრალურ ორგანოს და «რაბოჩაია გაზეტას», რადგან (საზღვარგარეთელი) პარტიელი მეკების ჩამოცილების გამართლება არაფრით არ შეიძლება და აღნიშნული ორგანოები არაფრით არ სცვლიან პარტიულ გადაწყვეტილებათა შესაბამ ხ ა ზ ს.

დაწერილია 1911 წ.
დეკემბრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა
1933 წელს ლენინის კრებულში XXV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

რეზოლუცია კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ [123]

თათბირი აღნიშნავს, რომ პარტია უკვე დიდი ხანია, არა ნაკლებ ორი წელიწადია, აღიარებს პარტიული კონფერენციის მოწვევის გადაუდებელ საჭიროებას. ამჟამად, როგორც იქნა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯი ამ საქმის განსახორციელებლად. რუსეთში შექმნილია რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც მხარს უჭერს ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია (კიევის, ბაქოს, თბილისის, ეკატერინოსლავის, ეკატერინბურგის, ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, ნიკოლაევის, სარატოვის, ყაზანის, ვილნოს, დვინსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, სორმოვოს, სამარის, ტიუმენის, როსტოვისა და სხვა).

თათბირი მიესალმება რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნას და აცხადებს, რომ ყოველი პარტიელის მოვალეობაა მთელი ძალღონით დაუჭიროს მას მხარი.

დაწერილია 1911 წლის
დეკემბრის პირველ ნახევარში
დაიბეჭდა 1912 წ. 12 იანვარს
საზღვარგარეთის ორგანიზაციის
კომიტეტის «უწყებაში»

იბეჭდება
«უწყების» ტექსტის მიხედვით

საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები

I

უკვე ახლოვდება IV სათათბიროს არჩევნები, და საარჩევნო კამპანიის საკითხი ბუნებრივად ისმება დღის წესრიგში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ რაიმე მერყეობა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მარქსიზმის თვალსაზრისით არჩევნებში მონაწილეობა, სრულიად შეუწყნარებელია: არა მარქსიზმისა და მუშათა პარტიის ფარგლების შიგნით, არამედ მხოლოდ პირველისა და მეორის ფარგლებს გ ა რ ე თ შეიძლება «კანონიერად» იქნას აღიარებული იმ შეხედულებათა ელფერი, რომლებიც უარყოფით ან გაურკვევლად, ანდა გულგრილადაც კი უყურებენ ამ მონაწილეობას. როგორღაც უხერხულია განმეორება ამ ელემენტარული ჭეშმარიტებისა, რომელიც უკვე მრავალი წლის წინათ (1907 წლის დამლევიდან) დამტკიცებული და დადასტურებულია გამოცდილებით, მაგრამ მისი განმეორება საჭირო ხდება, რადგან ჩვენთვის ახლა ყველაზე უარესი ბოროტებაა რღვევა და დაქსაქსულობა. ხოლო ამ დაქსაქსულობასა და რღვევას მხარს უჭერენ არა მარტო ისინი, ვინც გაურკვეველ ან მიკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლევა 'ელემენტარულ საკითხებზე', არამედ ისინიც, ვინც დიპლომატიის, უიდეობისა და სხვათა გამო იცავს გაურკვევლობასა და ორჭოფობას.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ბუნებრივად აიძულებს ყველა მარქსისტს, მუშათა მოძრაობის ყველა მონაწი-

ლეს დაძაბონ ძალღონე უაღრესად ენერგიული, შეუპოვარი, თაოსანი მუშაობისათვის ამ მოძრაობის ყველა სფეროში. ყველა ის პასუხი ამ მუშაობის პრინციპულ-პროგრამული, პოლიტიკური, ორგანიზაციული შინაარსისა და მიმართულების კითხვებზე, რაც შემუშავებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში, ახლა უშუალოდ და პრაქტიკულად გამოყენებულ უნდა იქნას «საარჩევნო» მუშაობის სპეციალურ სფეროში.

ჩვენ განგებ ვლაპარაკობთ უკვე შემუშავებულ პასუხზე. მართლაც, სასაცილო იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ახლა, როცა რამდენიმე თვე ან თუნდ ერთი წელიწადია დარჩენილი არჩევნებამდე, შეიძლება მოვასწროთ პასუხის «მონახვა», თუ ის ჯერ კიდევ ნახული, მოფიქრებული, შემოწმებული არ არის რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილებით. ლაპარაკი ხომ ყ ვ ე ლ ა იმ «წყეული საკითხის» პასუხზეა, რომლებიც ეხება საერთო მსოფლმხედველობასაც, რუსეთის ისტორიის წინანდელი, ამბებით არაჩვეულებრივ მდიდარი პერიოდის შეფასებასაც, ახლანდელი პერიოდის (რომელიც ძირითადად გამოისახა არა უგვიანეს 1908 წ.) შეფასებასაც და პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ამოცანებსაც, რომელთაც ასე თუ ისე წყვეტდა მუშათა მოძრაობის ყოველი მონაწილე, ვთქვათ, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ახლა ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ შემუშავებული პასუხისა და მოქმედების ხერხების გამოყენებაზე მუშაობის ამ განსაკუთრებულ სფეროში, IV სათათბიროს არჩევნებში; ლაპარაკი იმაზე, რომ «საარჩევნო კამპანიის, ე. ი. მუშაობის ერთ-ერთი სფეროს პროცესში, შესაძლებელია შემუშავდეს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ეხება მუშაობის ყ ვ ე ლ ა სფეროს, რომლებიც ეხება არა მარტო 1912 წელს, არამედ მთელ პერიოდს, 1908 წლიდან დაწყებულს», — ამაზე ლაპარაკი ნიშნავს თავი ინუგეშო ილუზიებით ან მიჩქმალო, გაამართლო გაბატონებული დაქსაქსულობა და რღვევა.

ლაპარაკია უწინარეს ყოვლისა პროგრამული საკითხების პასუხზე. რა მოგვცა ამ მხრივ რუსეთის ცხოვრების უკანასკ-

ნელმა ოთხმა წელმა? ყველამ და თვითეულმა უნდა აღიაროს, რომ ამ ოთხ წელს არ მოუცია არავითარი ცდა მარქსისტთა ძველი პროგრამის პრინციპული ნაწილის გადასინჯვისა, ან შესწორებისა, ანდა შემდგომი დამუშავებისა. «მიმდინარე მომენტის», — მრავალმხრივ უფრო სწორი იქნებოდა მისთვის «დამყაყებული» ანუ «დამპალი» მომენტი გვეწოდებინა, — დამახასიათებელია ათვალწუნებით ხელის ჩაქნევა პროგრამაზე და მისწრაფება მისი ყოველნაირად შემოკლებისა და შეკვეცისა ისე, რომ მისი პირდაპირი და საფუძვლიანი გადაშინჯვის არავითარი ცდაც კი არ ყოფილა. «რევიზიონიზმი», მარქსისტულ ჭეშმარიტებათა ბურჟუაზიული დასაჭურისების მნიშვნელობით, დამახასიათებელია ახლანდელი ეპოქისათვის არა როგორც მებრძოლი რევიზიონიზმი, რომელიც «აჯანყების დროშას» აფრიალებს (თუნდაც ისე, როგორც ამას სჩადიოდა ბერნშტეინი გერმანიაში დაახლოებით 10 წლის წინათ, ხოლო რუსეთში სტრუვე 15 წლის წინათ ან პროკოპოვიჩი ცოტა უფრო გვიან), არამედ როგორც ლაჩრული, მალული განდგომა, რასაც ხშირად ამართლებენ, უმთავრესად, «პრაქტიკული», ვითომ პრაქტიკული მოსაზრებებით. სტრუვეს და პროკოპოვიჩის «საქმის» მემკვიდრენი და განმგრძობნი, ბატონნი პოტრესოვები, მასლოვები, ლევიცკები და კომპანია, «მონაწილეობას იღებდნენ» გაბატონებულ დაქსაქსულობაში და მხარს უჭერდნენ მას (როგორც მეორე მხრივ იუშკევიჩი, ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვ.) მეტწილად გაუბედავი და არასისტემატური ცდით — უკუეგდოთ «ძველი» მარქსიზმი და შეეცვალათ იგი «ახალი» ბურჟუაზიული მოძღვრებით. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში თეორიულ საკითხებს შემთხვევით, «ჯგუფთა» ჟინიანობით როდი დაუკავებიათ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი. ამ საკითხებს, ან თუნდაც მათს ამა თუ იმ ნაწილს, «უბრალო რამეების» რიცხვს აკუთვნებდნენ მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებიც გაუბედავად უარყოფდნენ ძველს. და ახლა, თუ ვილაპარაკებთ პროგრამისა და მარქსიზმის მსოფლმხედველობის დაცვაზე საარჩე-

ვნო კამპანიასთან დაკავშირებით, საარჩევნო კამპანიის «პროცესში» და სხვა, — თუ ვილაპარაკებთ ამაზე არა მარტო «კაზიონური» მოვალეობის შესასრულებლად და არა იმისათვის, რომ არაფერი ვთქვათ, მაშინ ანგარიში უნდა გავუწიოთ არა სიტყვებს, არა დაპირებებს, არა დარწმუნებას, არამედ სწორედ განვლილი ოთხი წლის გამოცდილებას. მან ფაქტიურად კიდევ და კიდევ გვიჩვენა მარქსიზმის მთელი რიგი «არასაიმედო თანამგზავრნი» ჩვენს ინტელიგენციაში (რომელსაც ხშირად სურს მარქსისტული იყოს), მან გვასწავლა უნდობლობა ასეთი თანამგზავრებისადმი მან აამაღლა მოაზროვნე მუშების გონებაში მარქსისტული თეორიისა და შეუკვეცელი მარქსისტული პროგრამის მნიშვნელობა.

არის საკითხების სფერო, სადაც პროგრამა უახლოვდება ტაქტიკას და გადადის მასში. რასაკვირველია, ამ საკითხებს საარჩევნო კამპანიის დროს გაცილებით უფრო მეტი უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევათ. ამ საკითხებში განდგომისა და დაქსაქსულობის სულისკვეთებამ ბევრად უფრო ძლიერად იჩინა თავი. ძველი ამოცანები იხსნება, ამბობდნენ ერთნი, ვინაიდან რუსეთში უკვე, არსებითად, ხელისუფლება ბურჟუაზიული გახდაო. ამიერიდან რუსეთის განვითარება, აცხადებდნენ მეორენი, შეიძლება წავიდეს, მსგავსად გერმანიის ან ავსტრიისა 1848 წლის შემდეგ, სრულიად «უნახტომოდო». მუშათა კლასის ჰეგემონიის იდეა მოძველდა, ამბობდნენ მესამენი, მარქსისტები უნდა ესწრაფოდნენ «არა ჰეგემონიას, არამედ კლასობრივ პარტიასაო» და სხვ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტაქტიკის არც ერთი, პირდაპირ არც ერთი საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას, არ შეიძლება გაშუქდეს რაოდენადმე მთლიანად, სრულად, დალაგებულად ამ იდეების განუხილველად, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ «ლიკვიდატორულს» და რომელნიც განუყრელად არიან დაკავშირებულნი დემოკრატიზმის ზურგშემაქცევარი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის ფართო ნაკადთან. ვინც რაოდენადმე დაჰკვირვებია პრაქტიკულ ცხოვრებას, მან იცის, რომ არევ-დარევა ამ საკითხთა სფე-

როში ასწილ უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ჩანს ლიტერატურის მიხედვით. სხვანაირად, რა თქმა უნდა, არც შეიძლება იყოს იმ წლებში, რომლებიც მოსდევენ 1905 წლის დამლევისა და 1906 — 1907 წლების ამბებს. მაგრამ რაც უფრო «ბუნებრივია» (ბურჟუაზიულ ვითარებაში) ეს რღვევა, მით უფრო აუცილებელი და არსებითია მარქსისტებისათვის მასთან ყოველმხრივი და შეუპოვარი ბრძოლის ამოცანა.

ისეთ პერიოდებში, როგორიცაა უკანასკნელი ოთხი წელი რუსეთში, რღვევა და განდგომა ახასიათებდა ყველა ქვეყანას: ისიც ხდებოდა, რომ აღარ რჩებოდნენ ჯგუფებიც კი, იყვნენ მხოლოდ ცალკეული პირნი, რომელნიც ახერხებდნენ ათი და მეტი წლით ამგვარ ვითარებაში «მაღლა სჭეროდათ დროშა», დაეცვათ თანამომდევნოობის იდეები, გამოეყენებინათ ეს იდეები შემდეგში ძალიან შეცვლილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. რუსეთში საქმე კიდევ არაა ისე ცუდად, ვინაიდან «მემკვიდრეობად» დაგვრჩა როგორც პროგრამა, ისე «მომენტის» ძირითადი ტაქტიკური და ორგანიზაციული საკითხების ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი პასუხი. ლიკვიდატორულ მიმდინარეობას, რომელიც ამ პასუხს უარყოფს, არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ შეუძლია დაუპირისპიროს მას ისეთი, რაც ოდნავ მაინც მოგვაგონებდეს ზუსტსა და ნათელ პასუხს.

საარჩევნო კამპანია არის პოლიტიკური საკითხების განსაზღვრული გადაწყვეტის მიყენება რთულ პროპაგანდისტულ, სააგიტაციო, ორგანიზაციულ და სხვა მუშაობასთან. ამ კამპანიას ვერ შეუდგები, თუ განსაზღვრული გადაწყვეტილება არა გაქვს. და ის ჩამოყალიბებული პასუხი, რომელიც 1908 წლიდან მოგვცა მარქსიზმმა, საგანგებოდ დადასტურებულია ოთხი წლის გამოცდილებით. მთავრობის აგრარული პოლიტიკის ახალი, ბურჟუაზიული შინაარსი; მემამულეებისა და ბურჟუაზიის ორგანიზაცია III სათათბიროში; თვით ყველაზე «მემარცხენე» ბურჟუაზიული პარტიის — კადეტური პარტიის — მოქმედებაც კი, ესოდენ ნათლად გაშუქებული «ლონდონში» წასვლით, და არა მარტო ამით; «ვეხური»

ტიპის იდეური მიმდინარეობანი, რომელთაც უდიდესი წარმატება ჰქონდათ «განათლებულ» საზოგადოებაში, — ყოველივე ეს მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ძველი ამოცანები გადაუწყვეტელია, მაგრამ მიდგომა მათი გადაწყვეტისადმი ხდება ახალ, უფრო ბურჟუაზიულ ვითარებაში, როდესაც ბურჟუაზია სისტემატურად ზ უ რ გ ს აქცევს დემოკრატიზმს და პ ი რ ს იბრუნებს პასუხისმგებელი, პარტიული, «ლოიალური» და სხვა «ოპოზიციისაკენ». ახალი ვითარება, ახალი ხერხები ძველი პრობლემების ძველებურად გადაჭრის მოსამზადებლად; მეტი სიცხადე გათიშვისა დემოკრატიასა და ანტიდემოკრატიულ ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის, — აი მთავარი ნიშნები მარქსისტთა ჩამოყალიბებული პასუხისა თანამედროვეობის ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე.

მარქსისტთა საერთო მსოფლმხედველობასთან, მათი მხრივ «სამი ივნისის» პერიოდის პოლიტიკური აზრისა და მნიშვნელობის შეფასებასთან განუყრელად დაკავშირებულია ორგანიზაციული საკითხების პასუხი. საფუძვლად ძველის შენარჩუნება და ახალ ვითარებასთან მისი შეგუება, — ყოველგვარი ეგრეთწოდებული «შესაძლებლობანი»: ლეგალური საზოგადოებანი, კავშირები და სხვა. უჯრედები და ქსელი მათ გარშემო, მათთან დაკავშირებით, მათ მიერ წარმართული. «უჯრედების» მეტი მოქნილობა, მათ მიერ მიღება უფრო მოძრავი ფორმებისა, რომლებიც ყველაფერში როდი ჰგვანან ძველს, — და აუცილებელი გამოყენება არა მარტო სათათბიროს ტრიბუნისა, არამედ ყოველგვარი ანალოგიური «შესაძლებლობისაც». ეს პასუხი სრულიად არ იბოჭავს თავს არავითარი ერთფეროვანი ნორმით, არავითარი სავალდებულო ფორმებით, იგი ფართო ასპარეზს სტოვებს შეხამების მიზანშეწონილი ხერხებისა და მეთოდების შესამუშავებლად და ამავე დროს ურყევად «მტკიცეა» პრინციპულად — სახელდობრ, იგი გაბატონებულ დაქსაქსულობას, განდგომილობას, დაბნეულობას უპირისპირებს ძველისადმი ერთგულების არა მარტო სიტყვიერად აღიარებას, არამედ ძირითად ორგანიზაციულ პრინციპსაც, რაც საშუალებას იძლევა გავ-

ხორციელოთ იდეური სიმტკიცე. ისინი, თუნდაც ცოტანი, ვინც «მარაგი დააგროვეს», ერთიანდებიან და სისტემატურად უფრთხილდებიან «იერარქიას»: მის სულს, მის მოძღვრებას, მის პრინციპებს, მის ტრადიციებს და არა მის ფორმებს, რა თქმა უნდა.

ლიკვიდატორობა, პირიქით, ქედს იხრის გაბატონებული (სრულიადაც არა მარტო ჩვენთან, სრულიადაც არა მარტო მუშათა კლასში, არამედ კიდევ უფრო ძლიერად სხვა კლასებსა და პარტიებში) უსახურობის წინაშე, თავს ანებებს ძველზე მუშაობას, «ახლის» ძიებას დაქსაქსულობის დაკანონებად აქცევს. ბურჟუაზიული საზოგადოების ფართო იდეურ მიმდინარეობაში, რომელიც მიმართულია საერთოდ დემოკრატიის, კერძოდ მასების მოძრაობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ამ მოძრაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის გუშინდელი ფორმების წინააღმდეგ, — ლიკვიდატორობა მარქსისტებში მხოლოდ ერთს ნაკადულს წარმოადგენს.

ასეთია მარქსიზმის ზოგადი დებულებანი, მისი დამოკიდებულება თანამედროვეობის ამოცანებისა და საკითხებისადმი, დამოკიდებულება, რომელიც შემუშავებულია, ვიმეორებთ, არა გუშინდლიდან, და რომელიც ახლა უნდა განხორციელდეს «საარჩევნო კამპანიაში» მთლიანი შინაარსით — იდეური, პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შინაარსით.

II

შევუდგეთ საარჩევნო კამპანიის საკითხში იმ პოზიციის განხილვას, რომელიც უკავია ლიკვიდატორული მიმდინარეობის მთავარ ორგანოს, «ნაშა ზარიას».

არაფერი ისე არა სძაგს მარქსიზმის სულს, როგორც ფრაზა. და ყველაზე უფრო არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს «ნაშა ზარიას» მე-6 და 7 — 8 ნომრებში პირწავარდნილი ტარტარენისებური ფრაზის წარმოუდგენელი ნავარდი. ყველა ქვეყნის მარქსისტებისათვის ისეთი ჩვეულებრივი,

რუსეთში კი ორჯერ ფართო მასშტაბით ჩატარებული კამპანია, როგორიცაა საარჩევნო კამპანია, ჩვენი ლიკვიდატორობის ტარტარენებმა გადააქციეს რაღაც საგნად, რომელიც გაჭედილია ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით, სიტყვებით და სიტყვებით, რომ პირდაპირ აუტანელი ხდება.

ბ-ნი იური ჩაცკი სტატიაში «დროა დავიწყოთ» იწყებს ლიკვიდატორთა შეხედულებების გადმოცემას და, არსებითად, ამ გადმოცემას ამთავრებს, როგორც ბატონ-პატრონი, ხოლო ბ-ნ ლ. მარტოვს უტოვებს მორთვას, შელამაზებას, ლიტერატურულ მოჩუქურთმებას.

აი იური-ტარტარენის წერის ნიმუში:

...«არა მგონია მტკიცე იმედი არსებობდეს იმისა, რომ საარჩევნო კამპანია, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჩატარდება სავსებით ცენტრალიზებულად. ოუმცა აქეთ უნდა ვისწრაფოდეთ ყველა იმ გზით, რომლებზედაც ვლაპარაკობდით..., და ორგანიზაციულად უნდა განვამტიცოთ პოლიტიკური კამპანიის მსვლელობაში სოციალ-დემოკრატი მუშების პოლიტიკური გაერთიანების შედეგები»...

იწამეთ ღმერთი, პატივცემულო ტროცკის მეტოქევ! რათ აბრუებთ საერთოდ მკითხველს, განსაკუთრებით კი მუშას, ამ სიტყვების რახარუხით პოლიტიკური კამპანიის მსვლელობაში პოლიტიკური გაერთიანების შედეგების შესახებ! ამ შედეგების განმტკიცების შესახებ! ეს ხომ სიტყვების რახარუხია, ყოყოჩობაა სულ უბრალო რამის მრავალჯერ მძიმე განმეორებით. ორგანიზაციული «განმტკიცება» საჭიროა ყოველთვის, არჩევნებამდეც და შემდეგაც. როცა არჩევნებს პოლიტიკურ კამპანიას უწოდებთ და, «მეტი წონისათვის», კიდევ «მთელ რიგ (!) სრულიად რუსეთის (!) პოლიტიკურ კამპანიებზე» ლაპარაკობთ, ამ სიტყვების ხმაურით და რიხით ჰფარავთ ნამდვილად საარსებო, სასიცოცხლო, პრაქტიკულ საკითხს: როგორ დავირაზმოთ. საჭიროა თუ არა «უჯრედები» და მათ გარშემო ცოტად თუ ბევრად აშკარა არამტკიცე კავშირების ქსელი? ჰო თუ არა? თუ — ჰო, ეს საჭიროა არჩევნებამდეც და შემდეგაც; არჩევნები ერთ-ერთი სამუშაოა, ერთი მრავალთაგანი. თუ დიდი ხნიდან

სისტემატური მუშაობა არ წარმოებდა, თქვენ ვ ე რ ა ფ ე რ ს «განამტკიცებთ» საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. ყოველმა პრაქტიკოსმა იცის, რომ ეს უბრალო რამაა. აქ წკრიალა ფრაზებით იფარება უქონლობა ზუსტი პასუხისა იმ ძ ი რ ი თ ა დ საკითხზე, თუ როგორ უნდა დავირაზმოთ ყოველგვარი, და არა მარტო საარჩევნო, საქმიანობისათვის.

არჩევნების გამო ლაპარაკი «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ხ ა ბ რ ძ ო ლ ო მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა ზ ე» (sic! * გვ. 49), «მუშათა მასების ფართო და აშკარა მობილიზაციაზე» (54) და სხვა და სხვა, — ნიშნავს არათუ დაკარგო ყოველგვარი ზომიერება, არამედ პირდაპირ ზიანი მიაყენო მცირედს, აუცილებლობის გამო მცირედს მუშაობას, დანერგო ს რ უ ლ ი ა დ ი ს ე თ ი ვ ე თ ვ ი ს ე ბ ი ს ფრაზიორობა, როგორიც მოსდგამთ «ოტზოვისტებს», «ულტიმატისტებს» და სხვ.. ამათ ისე გამოუდით, რომ ბოიკოტით განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ «სული» არაა დამარხული (ხოლო მუშაობის «სულით» უნდა იმსჭვალებოდეს ყოველი მისი სფერო, მათ შორის საარჩევნო სფეროც), — ლიკვიდატორობის მყვირალებს გამოუდით, რომ არჩევნები მოგვცემენ ყველაფერს, «საბრძოლო მობილიზაციასაც» (როგორ არა რცხვენია რუს ვითომდა «მარქსისტს» ასეთი რამეების ამოწერისა!) და «პოლიტიკური კამპანიის მსვლელობაში პოლიტიკური გაერთიანების შედეგების ორგანიზაციულ განმტკიცებასაც»! ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ 1912 წლის არჩევნები (თუ არ დადგა ისეთი პირობები, რაც ძირფესვიანად შესცვლის 1908 და 1911 წლების ვითარებას) ვ ე რ ც «ფართო» და ვ ე რ ც «აშკარა» «მასების მობილიზაციას» ვერ მოგვცემს და არც შეუძლია მოგვცეს. ის მოგვცემს არა ფართო და არც ძალიან აშკარა მუშაობის მცირედს შესაძლებლობას, და ამ შესაძლებლობით უნდა ვისარგებლოთ, ხოლო გაბერილი ფრაზებით ტროცკის წაბაძვა არ გვარგია.

---

* — ასეა! რ ე დ.

არჩევნების გამო «აშკარა» ორგანიზაციებზე ყვირილი პირდაპირ უჭკუობაა: უმჯობესია ვიმუშაოთ არც თუ ძალიან აშკარად, კოლეგა-მუშებო, ვიტყვით ჩვენ, — ეს იქნება უფრო საიმედო, შესაფერისი, გონივრული, სასარგებლო უფრო ფართო ფენებზე გავლენის მოსახდენად, ვიდრე ლაყბობა «აშკარად» არსებობის შესახებ. ისეთ ხანაში, როგორიც ჩვენი ხანაა, ყვირილი და ტრაბახი: «ყველაფრის საააშკარაოზე გამოტანა შემიძლიაო», შეუძლიათ მხოლოდ ან სულ ცუდს, ან სულ ფუქსავატ ადამიანებს.

...«პარტია (კლასობრივი) გაჩნდება მხოლოდ როგორც პროდუქტი თვითმოქმედი მუშათა ავანგარდის ორგანიზაციული შემოქმედებისა» (41).

უჰ! შეგვიბრალეთ! ამ ქვეყნად პარტიას აწყობდნენ და ზრდიდნენ ათეული წლების განმავლობაში მოწინავე მუშებიც და მართლა მარქსისტი, სავსებით მუშების მხარეზე გადასული «ინტელიგენტებიც». და ჩვენშიც არ შეიძლება სხვანაირად იყოს, და საჭიროც არ არის რუსი მუშამკითხველის ეს დაშინება მაღალფარდოვანი ჩმახვით «შემოქმედებაზე» (როდესაც გვიხდება ანაბანას დაზეპირება და პატარ-პატარა, უბრალო ქვების ზიდვა საძირკვლის ჩასაყრელად), «თვითმოქმედ» ავანგარდზე და სხვა. ბ-ნი მარტოვიც გატაცებულია ჩაცკი-ტარტარენით და იქამდე მიდის, რომ ლაპარაკობს «მუშათა კლასის თვითგაცნობიერებულ ელემენტებზე» (№ 7 — 8, გვ. 42), რომელნიც მოდიან ძველი პერსონალის «თვითლიკვიდაციის» შესაცვლელად (იქვე).

რა მაგარ-მაგარი სიტყვებია! «თვითმოქმედი», «თვითგაცნობიერებული», «შემოქმედებითი», «საბრძოლო მობილიზაცია», «ყველაზე ფართო», «ყველაზე აშკარა»... ნუთუ გული არ ერევათ ამ — ვხმარობ შჩედრინის გამოთქმას — ენამრუშობით?

საქმე კი ისაა, რომ ღვლარჭნილი, ნაძალადევი, მუშის (კიდევ უფრო მეტად ინტელიგენტისა, ვინაიდან მუშები დას-

ცინიან სტილს à la* იური ჩაცკი, ეს სტილი უფრო გიმნაზიელებს «ი ტ ა ც ე ბ ს») გამაბრუებელი და გამომყეყეჩებელი ფრაზების გამოყენება უ ხ დ ე ბ ა თ, როდესაც მწერალს უბრალო, ნათელ, მახლობელ საკითხებზე ა რ მ ო ე პ ო ვ ე ბ ა უბრალო, პირდაპირი, ნათელი პასუხი. საარჩევნო პლატფორმის საკითხის მაგალითით ჩვენ შეგვიძლია განსაკუთრებული სიცხადით დავასურათოთ ეს ჭეშმარიტება ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ი აზრის ბუნდოვან, მაღალფარდოვან, მყვირალა ფრაზებად გადაქცევის შესახებ.

III

ბ-ნი იური ჩაცკი ძალიან დიდი, ძალიან დიდი პათოსით ლაპარაკობს აგრეთვე საარჩევნო პლატფორმის დიდმნიშვნელოვანობის შესახებ. პლატფორმის საკითხი — «ერთ-ერთი ფრიად კარდინალური საკითხია». ძალიან კარგი! «მუშა სოციალ-დემოკრატებმა უნდა შეიგრძნონ (!!) იგი (პლატფორმა), ჩაუფიქრდნენ მას, თ ა ვ ი ს ა დ მიიჩნიონ» (ხაზგასმა იური ჩაცკისაა).

მუშები რომ უნდა ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ნ ე ნ პლატფორმას, ეს სწორია. აგრეთვე ძალიან კარგი იქნებოდა პლატფორმას ჩაფიქრებოდნენ ის ინტელიგენტებიც, რომლებიც თითქმის-მარქსისტულ ჟურნალებში წერენ. მაგრამ აი ეს კი ძალიან ძნელი გასაგებია, თუ რას ნიშნავს პლატფორმის «შეგრძნობა». იქნებ ბატონებმა ნევედომსკიმ და ლუნაჩარსკიმ «ნაშა ზარიას» შემდეგ ნომერში დაწერონ «შემგრძნობი» სტატიები თვითგაცნობიერებული მობილიზებული მასების თვითმოქმედი ავანგარდის მიერ საარჩევნო პლატფორმის «შეგრძნობის» შესახებ?

ან იქნებ ინებოთ შემდეგი ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტი ბ-ნ ფ. დანის სტატიიდან: ...«საარჩევნო ტაქტიკა სავსებით იცვლის თავის აზრსა და პოლიტიკურ შინაარსს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი შემოქმედი და მატარებელი: მუშათა სოციალ-დემოკრატიული ავანგარდის თვით-

* — მსგავსი. რ ე დ.

მმართველი კოლექტივი მთელი მისი პროლეტარული და ინტელიგენტური ძალებით, თუ ინტელიგენციის ესა თუ ის პატარა ჯგუფები, თუნდაც «სოციალ-დემოკრატიული» ინტელიგენციისა, მაგრამ ისეთის, რომელიც წამოყენებული არ არის ასეთი კოლექტივის მიერ, არ მოქმედებს მისი კონტროლით და გავლენით»... მართლაც, ვის შეუძლია დაეჭვდეს, რომ პოტრესოვი და დანი «ინტელიგენციის პაწაწა ჯგუფი» კი არაა, ა რ ა მ ე დ «ავანგარდის თვითმმართველი კოლექტივის მიერ წამოყენებული» და «მისი კონტროლით მოქმედი» პირნი არიან! ოჰ, ლიკვიდატორობის ტარტარენებო!

ჩაუფიქრდნენ თუ არა იური ჩაცკი, ლ. მარტოვი და ფ. დანი პლატფორმას? «ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო, — წერს პირველი მათგანი, — ჩვენში ისედაც ხდებოდა ხოლმე, რომ პლატფორმა თავისთავად იყო, ხოლო წინასაარჩევნო სიტყვებსა და სტატიებში სხვას ლაპარაკობდნენ, ზოგი ალთას, ზოგი ბალთას».

რაც მართალია, მართალია. «ჩვენში» ეს ძალიან ხშირად ხდებოდა.

მაგალითად, იური ჩაცკი, შეგრძნობილ პლატფორმაზე მგრძნობიარე სიტყვების წარმოთქმის შემდეგ იწყებს მეტად გრძლად და არა ნაკლებ მგრძნობიარედ ლაპარაკს ე რ თ ი ა ნ ი პლატფორმის დიდმნიშვნელოვანობისა და საჭიროების შესახებ. მგრძნობიარე სიტყვებით განზრახ იჩრდილება უბრალო საკითხი: შეიძლება თუ არა ე რ თ ი ა ნ ი პლატფორმა იყოს, თუ არ არის პოლიტიკურ შეხედულებათა ერთიანობა? ხოლო თუ არის შეხედულებათა ერთიანობა, მაშინ რაღა საჭიროა ტყუილ-უბრალოდ სიტყვების ხარჯვა და ღია კარების მტვრევა: პლატფორმა ხომ შეხედულებათა გადმოცემაა!

იური ჩაცკი კი იმეორებს «ერთსა და იმავეს» «ერთიანი» პლატფორმის შესახებ და ძალიან უშნოდ ამჟღავნებს თავის «საიდუმლოებას». ის წერს: «სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სანქციას (პლატფორმას) უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევდ, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით,

რომ ფრაქცია არ დაადგება უმცირესი წინააღმდეგობის გზას და არ დაადასტურებს საზღვარგარეთული წრეების მიერ მისთვის თავსმოხვეულ პლატფორმას» (50)...

ამას ჰქვია: **der König absolut, wenn er unseren Willen tut,** — მეფე თვითმპყრობელია, თუ ჩ ვ ე ნ ს ნებას ასრულებსო. ერთიანი პლატფორმა სასურველია, თუ «საზღვარგარეთული წრეების მიერ თავსმოხვეული» პლატფორმა არ იქნება დადასტურებულიო. მაშასადამე, ა რ ს ე ბ ო ბ ს ორი პლატფორმა? ერთია, რომელსაც თქვენ აგინებთ და «საზღვარგარეთიდან თავსმოხვეულად» თვლით (პურიშკევიჩის საკადრისი ტერმინოლოგია! წარმოიდგინეთ მხოლოდ: იური ჩაცკი, პოტრესოვის ჟურნალში, წერს, მარტოვსა და დანთან ხელიხელჩაკიდებული, საზღვარგარეთიდან თავსმოხვევაზე! როგორ უნდა დაეცეს ადამიანი ისე, რომ ამგვარი ფანდებით მიუსიოს განუვითარებელი ადამიანები «საზღვარგარეთს»!). მეორე პლატფორმა, ცხადია, ისაა, რომელიც მოდის არა საზღვარგარეთიდან, არამედ მობილიზებული მასის ფართო და აშკარა ორგანიზაციების თვითმმართველი კოლექტივიდან. უბრალოდ და მიუკიბ-მოუკიბავად რომ ვთქვათ: «შესაძლებელი ცენტრალიზაციის სხვა ელემენტებს წარმოადგენს ჯგუფი სოციალ-დემოკრატი (?) მუშაკებისა, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მუშათა აშკარა მოძრაობასთან და სულ მეტსა და მეტს სიმტკიცესა და ავტორიტეტს იძენენ პოლიტიკური კამპანიების ჩატარების პროცესში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით პეტერბურგი და მისი ხელმძღვანელი როლი უკანასკნელი წლის პოლიტიკურ კამპანიებშიო». ასე წერს იური ჩაცკი.

თავსამტვრევი არაფერია: ბ-ნ პოტრესოვის ჟურნალის წყალობით ყველასთვის კარგად ცნობილი პეტერბურგელი ლიკვიდატორების «ჯგუფი», აი ესაა «ცენტრალიზაციის ელემენტი». გასაგებია, ფრიად გასაგებია, საყვარელო იური ჩაცკი!

პლატფორმა უნდა იყოს ერთიანი, მ ა გ რ ა მ... ისე, რომ მას «თავს არ გვახვევდნენ საზღვარგარეთული წრეე-

ბი» და აკმაყოფილებდეს პეტერბურგელ ლიკვიდატორთა «ჯგუფს»... «ერთიანობის» მხურვალე მომხრეა ეს იური ჩაცკი!

IV

ვნახოთ ლ. მარტოვის «პლატფორმის ძირითადი დებულებანი»... პლატფორმას ის საფუძვლად უდებს, — როგორც მოსალოდნელიც იყო, რა თქმა უნდა, — პროგრამას. ამ პროგრამას მარტოვი გადმოგვცემს ნაწილ-ნაწილ და თავისი სიტყვებით. გაურკვეველი რჩება მხოლოდ, ი მ პროგრამას ჰქადაგებს მარტოვი, რომელიც მ ა ნ გადმოგვცა «ნაშა ზარიას» მე-7 — 8 ნომერში: ძველი პროგრამის ე ს პატარა ნაწილი მისაღებია ლარინისთვისაც, ლევიცკისთვისაც და, ალბათ, პროკოპოვიჩისთვისაც. თუ მარტოვი ღებულობს მ თ ე ლ ძ ვ ე ლ პროგრამას?

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მარტოვის სტატიის ერთი ადგილი მიუთითებს უკანასკნელზე; სახელდობრ: ეს ადგილია 48-ე გვერდზე, სადაც ნათქვამია, რომ ხანდახან ყველაფრის «ბოლომდე ნათლად თქმა» არ შეიძლება (ეს მართალია), მაგრამ უ ა რ ი არ უნდა ვ თ ქ ვ ა თ ო. «ჩვენ ვერ გვაიძულებენ» — შ ე ვ კ ვ ე ც ო თ ჩვენი მოთხოვნების შინაარსი». ეს ძალიან კარგი სიტყვებია. სამწუხაროდ, ამ სიტყვებს ს ა ქ მ ე არ შეესაბამება, ვინაიდან ჩვენ მშვენივრად ვიცით, მაგალითად, რომ ლარინი, რომელსაც (მარტოვი) «რეფორმიზმს არ სწამებს», ჰ კ ვ ე ც ს დ ა უ ა რ ს ა მ ბ ო ბ ს. ჩვენ ძალიან მალე დავრწმუნდებით, რომ მარტოვიც თავის იმავე სტატიაში თუმცა გვპირდება — «არ შევკვეც» და «უარს არ ვიტყვიო», მაგრამ ნამდვილად ჰკვეცს და უარს ამბობს.

მაშასადამე, ფაქტიური მდგომარეობა ისეთია, რომ პროგრამის, როგორც პლატფორმის შემადგენელი ნაწილისა და ბაზისის საკითხში არსებობს არა ერთი, არამედ ორი პლატფორმა: ერთი — სადაც ა რ ა რ ი ს შეკვეცა და უარი, და მეორე — ი მ შეკვეცით და უარისთქმით, რომლის მიმართუ-

ლება ნათლად ჩანს ლარინის, ლევიცკისა და პოტრესოვის ქადაგების ხასიათით.

შემდეგი საკითხია ტაქტიკის საკითხი. სამი ივნისის პერიოდის ისტორიული აზრი უნდა შევაფასოთ და ამ შეფასებაზე უნდა დავამყაროთ ჩვენი ამოცანების მთელი განსაზღვრა, მთელი ჩვენ მიერ «გამოთქმული აზრი» თანამედროვე პოლიტიკის ამა თუ იმ ზოგად და კერძო საკითხზე. მარტოვი იძულებულია თვითონაც აღიაროს, — მიუხედავად ლიკვიდატორების ჩვეულებრივი და ლიკვიდატორობის დამახასიათებელი «მიმდინარე მომენტის შეფასების» დაცინვისა, — რომ ეს საკითხი კარდინალურია. და აი ამ საკითხის «ძველი», ჩამოყალიბებული პასუხის გამო მარტოვი აცხადებს:

««სამი ივნისის» პერიოდის ისტორიული აზრის განსაზღვრას ცდილობდნენ უხეირო, ან შეცდომაში შემყვანი ფორმულით, როცა ლაპარაკობდნენ «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე («გადაქცევის გზით» უფრო ზუსტი ციტატი იქნებოდა) გადადგმული ნაბიჯის» შესახებ»...

«უხეირო» ფორმულა... რა რბილადაა ნათქვამი! მერე დიდი ხანია მას აქეთ, რაც მარტოვის კოლეგები ამ ფორმულაში ხედავდნენ იმ თვალსაზრისის სრულ პრინციპულ უარყოფას, რომელიც მათ ერთადერთ მხსნელად ეჩვენებათ? დიდი ხანია განა მას აქეთ, რაც ფ. დანი ამბობდა: «უნდათ იქით მიაწვნენ, სადაც ერთხელ დავმარცხდითო»? მაშ რაშია საქმე? არის თუ არა ძირითადი შეუთანხმებლობა სამი ივნისის პერიოდის ისტორიული აზრის შეფასების საკითხში?

მოისმინეთ ქვევით:

...«ასეთ ფორმულირებაში ჰქრება რეალობა აბსოლუტიზმის მატარებლებსა და მიწათმფლობელ თავადაზნაურობას შორის ძალაუფლების გაზიარებისაკენ უკან გადადგმული ნაბიჯისა. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ იმ ფორმებმა, რომლებშიც 1905 წლის აპვლის შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ მომხდარიყო ეს გაზიარება, შეჰქმნეს ხელსაყრელი პირობები იმ სოციალურ ძალთა მობილიზაციისა და ორგანიზაციისათვის, რომელთა ისტორიულ მისიას წარმოადგენს «ბურჟუაზიული მონარქიის» შექმნაზე მუშაობა»...

ეს სოციალური ძალები, მარტოვის აზრით, ბურჟუაზიაა, რომელსაც სამი ივნისის პერიოდმა «მიანიჭა ლეგალურ ან მოსათმენ ოპოზიციად ყოფნის უფლება».

აბა დაუკვირდით მარტოვის მსჯელობას. ის «უხეირო ფორმულას» უსაყვედურებს თითქოს მხოლოდ იმას, რომ იგი ივიწყებს ხელისუფლების მიერ უკან გადადგმულ ნაბიჯს. ჯერ-ერთი, ეს ფაქტიურად არ არის სწორი. მარტოვს პირდაპირ არ სწყალობს ბედი 1908 წლის «ფორმულის» საკითხში: როგორც კი დაიწყებს მასზე ლაპარაკს, მაშინვე იჩენს თავს ის უცნაური გარემოება, რომ იგი ვერ ახერხებს (თუ არა სურს?) ზუსტად გადმოგვცეს მისთვის ძალიან კარგად ცნობილი «ფორმულა». «ფორმულაში» პირდაპირ და ზუსტადაა ნათქვამი მებატონე-მიწათმფლობელთათვის (და არა ბურჟუაზიულ მიწათმფლობელთათვის, როგორც უნდა გვეთქვა ლარინის მიხედვით) «მათი ბატონობისა და მათი შემოსავლის» შენარჩუნების შესახებ! მაშასადამე, თუ ძალაუფლების ასეთ გაზიარებას «უკან გადადგმულ ნაბიჯს» დავარქმევთ, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი არათუ არ ჰქრება ჩვენს ფორმულაში, არამედ, პირიქით, ფრიად ზუსტადაა აღიარებული. მეორე, და ეს მთავარია, როდესაც მარტოვი ხელისუფლების მიერ უკან გადადგმულ ნაბიჯზე ლაპარაკობს, ამით ის ჰფარავს, აფუჩეჩებს ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ უკან გადადგმულ ნაბიჯს. აი სად მარხია ძაღლის თავი! აი რაშია მარტოვის მიერ დაბნელებული მსჯელობის არსი.

ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ უკან გადადგმული ნაბიჯი — ეს არის ამ ბურჟუაზიის ვეხელობა, მისი უარყოფა დემოკრატიზმისა, მისი მიახლოება «წესიერების პარტიებთან», მისგან მხარის დაჭერა (პირდაპირი და არაპირდაპირი, იდეური და პოლიტიკური) ძველი რეჟიმის ცდებისა — შეინარჩუნოს არსებობა «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე გადადგმული» მინიმალური «ნაბიჯების» ფასად. ბურჟუაზიული მონარქია არათუ ვერ

ჩამოყალიბდება, არამედ ჩამოყალიბებასაც ვერ დაიწყებს კონტრრევოლუციური — (ვეხური) ლიბერალური ბურჟუაზიის მხარის დაუჭერლად. მარტოვი «ივიწყებს» ამას უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის თვითონ «ვეხელია»... მარქსისტებში.

სამი ივნისის პერიოდის შეფასებისას ლიბერალი მთელ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ხელისუფლებამ გადადგა «ნაბიჯი უკან», პურიშკევიჩებისაკენ: იმავე ხელისუფლებას რომ რეჟიმის (და დემოკრატიის შევიწროების) იმავე მთავარ თვისებათა შენარჩუნების პირობებში გადაედგა «ნაბიჯი» მისკენ, ლიბერალისკენ, მეტი მას არაფერი უნდოდა. მე «ვეხითა», ვეხური პოლიტიკით დავამტკიცეო (მილიუკოვის «ლონდონი»), რომ მე, ლიბერალი, გულწრფელი, სერიოზული, დაუნდობელი მტერი ვარ «ანტისახელმწიფოებრივი», განდგომილი, ბავშვური, დანაშაულებრივი, «ქურდული», უზნეო, უღმერთო და «ვეხში» კიდევ ათასგვარად მონათლული დემოკრატიისა. და, მიუხედავად ამისა, ძალაუფლებას მე კი არ მიზიარებენ, არამედ პურიშკევიჩსაო! — აი როგორია სამი ივნისის პერიოდის ლიბერალური პოლიტიკის ა ზ რ ი, აი როგორია ბატონ სტრუვეებისა და მილიუკოვების «სტოლიპინური ლიბერალიზმის» აზრი. მე მთელი არსებით შენკენ მოვილტვი, — ამბობს ლიბერალი და ხელისუფლებას თვალებს აპყრობს, — შენ კი ჩემს თავს პურიშკევიჩს ამჯობინებო!

პირიქით, პროლეტარული დემოკრატიის თვალსაზრისი სამი ივნისის პერიოდის მიმართ პრინციპულად, ძირეულად სხვანაირია. ხელისუფლებამ «ნაბიჯი უკან», პურიშკევიჩებისაკენ, გადადგა განვითარების სხვა, გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე წინათ. 80-იან წლებშიც გადაიდგა «ნაბიჯი უკან» თავადაზნაურობისაკენ, მაგრამ ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი რეფორმის შემდგომდროინდელი რუსეთის საფეხურზე, რუსეთისა, რომელიც შორს იყო წასული ნიკოლოზის ეპოქის დროიდან, როდესაც აზნაური მემამულე ბრძანებლობდა «უპლუტოკრატიოდ», ურკინიგზოდ, მზარდი

მესამე ელემენტის ჩაურევლად. ისეა ახლაც, «ნაბიჯი უკან», პურიშკევიჩებისაკენ, იდგმება ბურჟუაზიული აგრარული პოლიტიკის ნიადაგზე, წარმომადგენლობაში ბურჟუაზიის მოწესრიგებული და მტკიცე მონაწილეობის ნიადაგზე: ეს არის პურიშკევიჩის ჰეგემონია საერთო შებრუნებაში, პურიშ-კევიჩულ და მილიუკოვურ შებრუნებაში დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მასების მოძრაობის წინააღმდეგ, ეგრეთწოდებული «ექსცესების» წინააღმდეგ, ეგრეთწოდებული «ინტელიგენტური («ვეხი») რევოლუციისა» და სხვ. წინააღმდეგ.

ლიბერალის ამოცანაა — «დააშინოს» პურიშკევიჩი ისე, რომ ცოტა «მიიწიოს», მეტი ადგილი დაუთმოს ლიბერალიზმს, მაგრამ ისე, რომ ამასთან დედამიწის პირიდან ვერ აღგავონ სავსებით პურიშკევიჩობის ყველა ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი. საერთოდ დემოკრატის და განსაკუთრებით პროლეტარული დემოკრატიის წარმომადგენლის, მარქსისტის, ამოცანაა — გამოიყენოს მძაფრი კონფლიქტი, რათა სარბიელზე გამოიყვანოს ქვედა ფენები სწორედ ამ საფუძველთა აღსაგველად. საერთოდ რუსეთის გარდაქმნის ამოცანის თვალსაზრისით, სამი ივნისის პერიოდის ისტორიული აზრი სწორედ ისაა, რომ ეს ახალი ნაბიჯი ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე — ნაბიჯია კლასთა მეტი გამიჯვნისაკენ ყოველი მხრივ, კერძოდ — ნაბიჯია ლიბერალიზმისა («პასუხისმგებელი» ოპოზიცია პურიშკევიჩების მიმართ) და დემოკრატიის (პურიშკევიჩობის ყველა საფუძვლის აღგვა) მეტი ურთიერთ გამიჯვნისაკენ.

აქედან ცხადია, რომ მარტოვი, რომელიც ვითომ მხოლოდ «უხეირო ფორმულირებას» აკრიტიკებს, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მ უ შ ა თ ა პ ო ლ ი ტ ი კ ი ს პლატფორმას იძლევა. ის ხედავს ძველი ხელისუფლების მიერ «უკან», პურიშკევიჩებისაკენ, გადადგმულ «ნაბიჯს» და ვერ ხედავს ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ უკან, ძველი ხელისუფლებისაკენ, გადადგმულ ნაბიჯს. ის ხედავს, რომ 1905 წლის ამბებმა შეჰქმნეს ხელსაყრელი პირობები ლიბერალური ბურჟუების «მობილიზაციისა და ორგანიზაციისათვის»

პურიშკევიჩების წინააღმდეგ და პურიშკევიჩების გვერდით, მაგრამ ის ვერ ხედავს, რომ ამ ამბებმა შეჰქმნეს «ხელსაყრელი პირობები» ვეხური, კონტრრევოლუციური, ლიბერალური ბურჟუაზიის მობილიზაციისა და ორგანიზაციისათვის დემოკრატიის წინააღმდეგ, მასების მოძრაობის წინააღმდეგ. ამიტომ მარტოვის ციტატიდან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ მუშებმა უნდა «დაუჭირონ მხარი» ლიბერალებს მათს ბრძოლაში პურიშკევიჩებთან, უნდა დაუთმონ ჰეგემონია ლიბერალებს, — და სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მუშებმა, მიუხედავად ლიბერალების ვეხელობისა, მიუხედავად მილიუკოვების მისწრაფებისა პურიშკევიჩების გვერდით მოიკალათონ, უნდა აამოძრაონ ქვედა ფენები პურიშკევიჩობის უღრმესი ფესვების (და უმაღლესი მწვერვალების) სრულიად მოსასპობად.

შემდეგ, აქედან ცხადია, რატომ შეუძლია და რატომ უნდა დაეთანხმოს მარტოვი ლარინს ძირითადში და არ დაეთანხმოს მას მხოლოდ წვრილმანებში, მხოლოდ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ამოცანების ფორმულირების ხერხებში. ჩვენში უკვე არსებობს ბურჟუაზიული მონარქია, ამბობს ლარინი, ჩვენში ამჟამად მიწათმფლობელები «მებატონეები» კი აღარ არიან, არამედ აგრარიები, ე. ი. ბურჟუაზიული, სოფლის მეწარმეები. ამიტომ ჩვენში ისტორიული «ნახტომები» რიგში არა დგას, ჩვენში უნდა იყოს «არა ჰეგემონია, არამედ კლასობრივი პარტია» (ლევიცკი), ჩვენი ამოცანაა მხარი დავუჭიროთ ლიბერალ-კონსტიტუციონალისტებს და შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობაო *. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ბურჟუაზიული მონარქია, უპასუხებს მარტოვი, მაგრამ ჩვენთვის «სავსებით საკმარისია» ვიცოდეთ, რომ აბსოლუტიზმისა და კონსტიტუციონალიზმის შეერთება წინააღმდეგურობას შეიცავს და რომ ჩვენ «ძველ რეჟიმს წინააღმდეგურობათა აქილევსის

* «დავიცვათ თავი მომავალი კონსტიტუციური განახლების დროსაო», წერდა ლარინი.

ტერფში უნდა ჩავჭიდოთ ხელიო». მოკამათენი ვერ ხედავენ უკვე წარმოშობილი თუ წარმოშობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიული მონარქიის კავშირს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობასთან, ორივეს შეხედულებით ასპარეზიდან ჰქრება «ჰეგემონის» მოქმედება რუსეთის ბურჟუაზიული გარდაქმნის არა მარტო მოცულობის, არამედ მისი ტიპის განსაზღვრის საქმეშიც; ორივეს შეხედულებით — ამბობენ ისინი ამას თუ არ ამბობენ — მუშათა კლასი «ეწყობა» ახალ, ბურჟუაზიულ რუსეთში და თვითონ კი არ ა წ ყ ო ბ ს მას, არამედ წინ უძღვება დემოკრატიას, რომელსაც შეუძლია ძირფესვიანად უარყოს მთელი პურიშკევიჩობა.

V

საინტერესოა, რომ მარტოვის შემდგომი მსჯელობა კიდევ უფრო აშკარად ამათრახებს მას.

...«ასე, მაგალითად, — განაგრძობს მარტოვი, — 1815 წელს აღდგენილმა ბურბონებმა ვერ შეჰქმნეს ბურჟუაზიული მონარქია, მაგრამ ისინი იძულებული იყვნენ თავისი და მათ უკან მდგომი თავადაზნაურობის ბატონობა გაეხვიათ ისეთ პოლიტიკურ ფორმებში, რომლებმაც დააჩქარეს ბურჟუაზიული კლასის ორგანიზაცია და საშუალება მისცეს მას გადაქცეულიყო 1830 წლის ბურჟუაზიული მონარქიის შემქმნელ ძალად»...

კარგი და პატიოსანი. 1815 წლის ბურბონებამდე, 1789 წლამდე საფრანგეთში იყო ფეოდალური, პატრიარქალური მონარქია. 1830 წლის შემდეგ იყო ბურჟუაზიული მონარქია. როგორიღა იყო ის მონარქია, რომელზედაც (თავის საუბედუროდ) ჩამოაგდო ლაპარაკი მარტოვმა, ე. ი. 1815 — 1830 წლების მონარქია? ცხადია, იგი იყო «ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე გადადგმული ნაბიჯი». მარტოვის მაგალითი ჩინებულად მეტყველებს მისივე წინააღმდეგ! შემდეგ. საფრანგეთში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ თავისი მტრობის გამოააშკარავება თანამიმდევარი დემოკრატიის მიმართ დაიწყო ჯერ კიდევ 1789 — 1793 წლების მოძრაობაში. დემოკრატიის ამოცანა იყო არა ბურჟუაზიული მ ო ნ ა რ ქ ი ი ს შექმნა, როგორც ეს მშვენივრად იცის მარტოვმა. და საფრანგეთის დემოკრატიამ, მუშათა კლასის მეთაურობით,

მიუხედავად ლიბერალური ბურჟუაზიის მერყეობისა, ღალატისა, კონტრრევოლუციური სულისკვეთებისა, მრავალი მძიმე «კამპანიის» შემდეგ, შეჰქმნა ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც განმტკიცდა 1871 წლიდან. ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქის დასაწყისში საფრანგეთის ლიბერალური ბურჟუაზია მონარქისტული იყო; ბურჟუაზიული რევოლუციების ხანგრძლივი პერიოდის დასასრულს, — რამდენადაც ძლიერდებოდა პროლეტარიატისა და დემოკრატიულ-ბურჟუაზიული («მემარცხენე-ბლოკისტური», ნუ გაგვირისხდება ლ. მარტოვი!) ელემენტების გამოსვლების გაბედულება და დამოუკიდებლობა, — მთელი საფრანგეთის ბურჟუაზია რესპუბლიკური გახდა, ხელახლა აღიზარდა, გაიწვრთნა, გარდაიქმნა. პრუსიაში, და საერთოდ გერმანიაში, მემამულე ხელიდან არ უშვებდა ჰეგემონიას მთელი ბურჟუაზიული რევოლუციების განმავლობაში და მან «აღზარდა» ბურჟუაზია თავის მსგავსად და ხატად. საფრანგეთში ჰეგემონია ბურჟუაზიული რევოლუციების მთელი ოთხმოცი წლის განმავლობაში ოთხჯერ მაინც მოიპოვა პროლეტარიატმა წვრილი ბურჟუაზიის «მემარცხენე-ბლოკისტურ» ელემენტებთან სხვადასხვაგვარი შეერთებით, და ამას ის მოჰყვა, რომ ბურჟუაზიას უნდა შეექმნა ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც უფრო სასურველია მისი ანტიპოდისათვის.

ბურჟუაზიაც არის და ბურჟუაზიაც. ბურჟუაზიული რევოლუციები გვიჩვენებენ როგორც თვით ბურჟუაზიის, ისე მუშათა კლასის სხვადასხვა ჯგუფის, ფენის, ელემენტის კომბინაციების დიდ მრავალგვარობას. XX საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კონკრეტულ საკითხებზე პასუხის «გამოწოვა» ვიწროდ გაგებული ბურჟუაზიული რევოლუციის «ზოგადი ცნებიდან» ნიშნავს მარქსიზმის გაუხამსებას და ლიბერალიზმამდე მიყვანას.

«ასე, მაგალითად, — განაგრძობს მარტოვი, — 1848 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ პრუსიის ხელისუფლება იძულებული გახდა შემოღო კონსტიტუცია და საკანონმდებლო წარმომადგენლობა, მოწყობილი მიწათმფლობელობის ინტერესების შესაბამისად. ხოლო კონსტიტუციურ-პარ-

ლამენტური წყობილების ამ უბადრუკ ჩანასახთა ნიადაგზე პოლიტიკურად დაირაზმა ბურჟუაზია, რომელსაც, მიუხედავად ამისა, აქამდეც ვერ დაუსრულებია სახელმწიფოს «ბურჟუაზიულ მონარქიად» გარდაქმნა.

ამრიგად, ზემოხსენებულ ფორმულას ის ნაკლი აქვს, რომ მასში არ არის კლასთა გადამწყვეტი შეტაკების მომენტი, ურომლისოდაც სამი ივნისის ტიპის აქტებში გამოსახული ობიექტური ტენდენცია არ შეიძლება განხორციელდეს ცხოვრებაში!»

რა ჩინებულად არის ნათქვამი, არა? მარტოვი პირდაპირ ვირტუოზია რეფორმისტული მსჯელობების, თეორიების, პლატფორმების ეფექტურ-მარქსისტული და ეფექტურ-რევოლუციური სახის სიტყვებში გახვევის მხრივ! სწორედ იმ «ფორმულის» გამო, რომელსაც მარტოვი აკრიტიკებს, ფ. დანი მუსრს ავლებდა იმათ, ვისაც უნდოდა «იქით მისწოლოდა, სადაც ერთხელ დავმარცხდით». ი. ლარინი წერდა, რომ მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს არა «რევოლუციის მოლოდინში», არამედ ისე, «თავისი განსაკუთრებული ინტერესების მტკიცე და გეგმაშეწონილი დაცვისათვის». ახლა კი მარტოვმა აღმოაჩინა: ფორმულას ის ნაკლი აქვს, რომ მასში *არ არის კლასთა გადამწყვეტი შეტაკების მომენტი*. პირდაპირ დიდებულია!

მაგრამ მარტოვის ამ ფრაზაში, გარდა კომიკურისა არის კიდევ რაღაც. მარტოვი ლაპარაკობს ვირტუოზული ორჭოფობით. მან არა თქვა, სახელდობრ *რომელ* კლასებზე ლაპარაკობს. წინ ლაპარაკი იყო მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარტოვი აქ ლაპარაკობს გადამწყვეტ შეტაკებაზე *მხოლოდ* მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიას შორის. მხოლოდ *ასეთი* ვარაუდის თვალსაზრისით შეიძლება «სერიოზულად მივიჩნიოთ» მარტოვის მოყვანილი სიტყვები. მაგრამ სამაგიეროდ *ასეთი* ვარაუდი განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებს მას, როგორც ლიბერალური მუშათა პოლიტიკის მქადაგებელს ან დამცველს.

ჩვენს ფორმულაში «არ არის გადამწყვეტი შეტაკების მომენტი» მიწათმფლობელ და ბურჟუაზიულ კლასთა შორის! უკაცრავად: ჩვენს ფორმულაში პირდაპირ, გარკვევით და

ზუსტად არის ლაპარაკი ამ კლასების «წვრილმან უთანხმოებაზე». ჩვენი თვალსაზრისით, უთანხმოება ამ კლასებს შორის წვრილმანია. დიდი მნიშვნელობა აქვს არა ამ კლასების, არამედ სხვა კლასების შეტაკებას, რომლებზედაც «ფორმულაში» ლაპარაკია ქვემოთ ასევე პირდაპირ და ასევე გარკვევით.

მაშასადამე, საკითხი ასე დგას. ვინც მარქსისტულ თვალსაზრისზე დგას, ის რუსეთის ხსნას «სამი ივნისის პერიოდისაგან» უნდა მოელოდეს მხოლოდ «კლასთა გადამწყვეტი შეტაკებით». უნდა გავერკვეთ «სამი ივნისის პერიოდის» ისტორიულ აზრში, რომ ვიცოდეთ, თუ რომელ კლასებს შეუძლიათ და უნდა შეეტაკონ (ობიექტური აუცილებლობისა და არა სუბიექტური მოვალეობის აზრით) ერთმანეთს გადაჭრით თანამედროვე რუსეთში. მარტოვი, ეტყობა, ფიქრობს, — როგორც ფიქრობს ყველა ლიკვიდატორი, — რომ რუსეთში გადამწყვეტი შეტაკება მოხდება მემამულე თავადაზნაურობასა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის. (ფრჩხილებში უნდა შევნიშნოთ, რომ თუ «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» პლატფორმის პროექტში ეს შეხედულება პირდაპირ იქნება გამოთქმული, ლიკვიდატორები დიდ სამსახურს გაუწევენ მუშათა მოძრაობას, როცა განუმარტავენ მუშებს, თუ რაშია აქ საქმე; ხოლო თუ ამ ლიტერატურული ორგანოების პლატფორმაში არ იქნება პირდაპირ გამოთქმული ეს შეხედულება, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ პლატფორმა იწერება შეხედულებათა დასამალავად, რომ პლატფორმა არ შეესაბამება ორივე ჟურნალის ქადაგების ნამდვილ იდეურ შინაარსს).

ჩვენ ვფიქრობთ — და ჩვენს «ფორმულაში» ეს პირდაპირაა ნათქვამი, — რომ გადამწყვეტი შეტაკება ძველი ტიპის მემამულურ მიწათმფლობელობასა და რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის არ მოხდება; ამ კლასებს შორის შეტაკება აუცილებელია, მაგრამ «წვრილმანი უთანხმოების» სახით, რაც არ აფერს «არ წყვეტს» რუსეთის

ბედის საკითხში და ვერავითარ გადამწყვეტ, სერიოზულ ცვლილებას უკეთესობისაკენ ვერ მოიტანს *.

ნამდვილი გადამწყვეტი შეტაკება მოხდება სხვა კლასებს შორის — შეტაკება ბურჟუაზიული საზოგადოების, ე. ი. სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის ნიადაგსა და ფარგლებში.

რაზეა დამყარებული ასეთი აზრი? თეორიულ მოსაზრებებზედაც და 1905 — 1907 წლების გამოცდილებაზედაც. ამ სამი წლის მანძილზე რუსეთმა განიცადა კლასთა ისეთი მძაფრი შეტაკება, რომელსაც ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია კლასთა შორის მძაფრ შეტაკებათა მსოფლიო ისტორიაში. მიუხედავად ამისა, ამ სამ წელიწადსაც კი, იმ ბურჟუაზიული საზოგადოების გარემოში, რომელსაც მაშინ არ ჰქონდა ბურჟუაზიული თავისუფლების სრულიად ელემენტარული პირობები და გარანტიები, შეტაკება მემამულურ მიწათმფლობელობასა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის, ამ უკანასკნელსა და ძველ ხელისუფლებას შორის არ ყოფილა არც მძაფრი და არც გადამწყვეტი. პირიქით, მძაფრი და გადამწყვეტი — რაოდენადმე მძაფრი და გადამწყვეტი შეტაკება იყო გლე-

* რა თქმა უნდა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მემამულურ მიწათმფლობელობასთან ერთად «ერთ რეაქციულ მასას» შეადგენს, რომ კონფლიქტები მათ შორის არავითარ როლს არ ასრულებენ პოლიტიკაში, რომ ამ კონფლიქტებს არ შეუძლია საბაბი მოგვცეს დემოკრატიული მოძრაობისათვის, რომ შესაწყნარებელია ამ კონფლიქტების უგულებელყოფა. ამგვარი დასკვნები იქნებოდა სწორი დებულების აბსურდამდე მიყვანა, იქნებოდა გაუგებლობა იმისა, თუ რა ფარგლებშია სწორი ეს დებულება. ხომ ცნობილია, რომ «უდიდესი სამართლიანობა», აბსურდამდე მიყვანილი, როცა სამართლიანისა და უსამართლოს ფარგლები და პირობები არ გვესმის, «უდიდეს უსამართლობად» იქცევა: **summum jus — summa injuria**. გავიხსენოთ ის ფაქტი რუსეთის მარქსიზმის ისტორიიდან, რომ ცნობილ ლონდონის კონგრესზე რუსეთის ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიების (კადეტების პარტიის მეთაურობით) სწორედ ისეთი შეფასებაა მოცემული, როგორიც ტექსტშია გადმოცემული, ამასთან საჭიროდ არის აღიარებული «ხალხის პოლიტიკური აღზრდის მიზნით გამოყენებულ იქნას ამ პარტიების საქმიანობა».

ხებსა და მემამულეებს შორის, მუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

რით აიხსნება ეს მოვლენა? პირველ ყოვლისა იმით, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მეტად მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობითაა დაკავშირებული მემამულურ მიწათმფლობელობასთან, მათი ინტერესები მეტად გადახლართულია ერთმანეთში, ასე რომ პირველისთვის უშიშარი და სასურველია მხოლოდ უკანასკნელის რეფორმირება და არა მისი მოსპობა. უკეთესია სულ ნელი, შეუმჩნევლად ნელი რეფორმირება, ვიდრე მოსპობა, — ასე მსჯელობს ლიბერალური ბურჟუების უდიდესი უმრავლესობა, და რუსეთის დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ამ კლასს სხვანაირად მსჯელობა არ შეუძლია.

შემდეგ, თუ ავიღებთ, მაგალითად, საგაფიცვო მოძრაობას, აღმოჩნდება, რომ რუსეთმა აღნიშნულ სამ წელიწადში იგი განავითარა იმ სიმაღლემდე, რაც არ ნახულა მსოფლიოს არც ერთ უაღრესად მოწინავე, ყველაზე უფრო კაპიტალისტურ ქვეყანაში. აქედან — აუცილებლობა ლიბერალური ბურჟუაზიის ისეთი მსჯელობისა, რომ უკეთესია შრომის მოძველებული პირობების სულ ნელი, შეუმჩნევლად ნელი რეფორმირება, ვიდრე ძველის გადაჭრით უარყოფა; უკეთესია ძველის შენარჩუნება, ვიდრე მისი გადაჭრით უარყოფა. პირიქით, გლეხობისა და მუშებისათვის მათი ეკონომიური მდგომარეობა შეუძლებლად ხდიდა ამგვარ მსჯელობას; აქ ეკონომიური მდგომარეობა ჰბადებდა მართლაც მძაფრს, მართლაც გადამწყვეტ შეტაკებას. შეცდომაა იმის ფიქრი, როგორც ფიქრობენ ნაროდნიკები გლეხობის შესახებ, ტროცკი მუშების შესახებ, რომ ეს შეტაკებანი თითქოს სცილდებოდეს ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყოველივე ძველი, დახავსებული, წინაბურჟუაზიული ამ შეტაკებებით და მხოლოდ ამით შეიძლება (შეტაკებათა განსაზღვრული შედეგის დროს) აღგვილ იქნას პირწმინდად, მოისპოს სრულიად.

რუსეთის მემამულენი, პურიშკევიჩით დაწყებული დოლგორუკოვამდე, ზრდიდნენ და ზრდიან ჩვენს ლიბერალურ ბურჟუაზიას ისტორიაში ჯერ გაუგონარი სერვილიზმის, უძრაობისა და ცვლილებათა შიშის სულისკვეთებით. რუსი გლეხები—რუსეთის ახლანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში — წარმოადგენენ მოსახლეობის ბურჟუაზიულ ფენას, რომელსაც «შეტაკებათა» ეპოქა, ბურჟუაზიული რევოლუციების (ამ სიტყვის ისტორიულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობით) ეპოქა ზრდის, მუშების მხრივ ხელმძღვანელი მონაწილეობის პირობით, ისეთ ბურჟუაზიად, რომელიც ზემოაღნიშნული სასიამოვნო თვისებებით არ ხასიათდება. აღზრდის კი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთში დამთავრდება ბურჟუაზიულ მოძრაობათა ეპოქა. მანამდე კი რუსეთის პოლიტიკური აზროვნების ყველა პროგრესული მიმართულება აუცილებლად ორ უმთავრეს ტიპად გაიყოფა, იმისდა მიხედვით, პურიშკევიჩებისათვის უწყინარი წესით რუსეთის გადაკეთების, განახლების მნდომელი ლიბერალიზმის ჰეგემონიას ესწრაფიან ისინი, თუ გლეხობის საუკეთესო ელემენტების გამძღოლი მუშათა კლასის ჰეგემონიას.

მე ვთქვი: «ესწრაფიან», ვინაიდან არ შეგვიძლია ყველა პროგრესულ მიმართულებაში ვიგულისხმოთ შეგნებულობა ამა თუ იმ პოლიტიკის კლასობრივი ფესვების გაგების აზრით. მაგრამ მარქსისტები ვერ იქნებიან მარქსისტები, თუ ისინი არ ჩასწვდებიან ამ ფესვებს, თუ ვერ გაიგებენ, რომ მუშათა კლასის განსაკუთრებული ინტერესების დაცვაც და მისი მომზადებაც ბურჟუაზიულ რუსეთში მომავალი როლისათვის აუცილებლად, საზოგადოებრივ ძალთა ობიექტური თანაფარდობის ძალით, მიიმართება იმავე ორი მთავარი კალაპოტით: გაჰყვნენ ლიბერალიზმს (რომელიც პურიშკევიჩებს მიჰყვება ან მათ გვერდით მიდის), თუ გაუძღვნენ დემოკრატიულ ელემენტებს მიუხედავად ლიბერალიზმის მერყეობისა, წაჯექუკუჯექობისა და ვეხელობისა.

VI

ამრიგად, ჩვენ პირდაპირ მივადექით ყბადაღებული «მემარცხენე ბლოკიზმის» საკითხს. იური ჩაცკი და ფ. დანი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ცოფსა ყრიან მემარცხენე ბლოკიზმის წინააღმდეგ; უკანასკნელი დასახელებული პოლიტიკოსის მხრივ ეს მით უფრო ბუნებრივია, რომ მან რითიმე ხომ უნდა დაფაროს თავისი ღალატი მუშათა საქმისა და მუშათა ორგანიზაციის გათიშვა 1907 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში კადეტებთან ბლოკის გულისთვის! მაგრამ მემარცხენე ბლოკიზმის საკითხი საინტერესო და მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხია, თუ ვილაპარაკებთ არა მარტო და არა იმდენად საარჩევნო შეთანხმებაზე (ახლანდელი საარჩევნო კანონის დროს «მემარცხენე ბლოკი» ფრიად იშვიათად იქმნებოდა სინამდვილეში), არამედ მთელი საარჩევნო პროპაგანდისა და აგიტაციის საერთო ხასიათსა და შინაარსზე. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანი დემოკრატიული მასა (გლეხობა და არამიწათმოქმედი წვრილი ბურჟუაზიის მონათესავე ფენები) «აიძულო არჩევანი მოახდინოს კადეტებსა და მარქსისტებს შორის»; გაატარო მუშათა და გლეხური დემოკრატიის «შეთანხმებული მოქმედების» ხაზი როგორც ძველი რეჟიმის, ისე მერყევი კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — აი საფუძველი და დედაარსი «მემარცხენე-ბლოკისტური» ტაქტიკისა, რომელიც განმტკიცებულია 1905 წლის ამბების მსვლელობითაც (მუშათა და გლეხთა მოძრაობა), ორივე პირველ სათათბიროში «შრომისა» და მუშათა ჯგუფების ხმისმიცემითაც, დემოკრატიის ძირითადი საკითხებისადმი სხვადასხვა პარტიის პრესის დამოკიდებულებითაც, მ ე ს ა მ ე სათათბიროს «გლეხთა ჯგუფის» პოზიციითაც კი (ამ ჯგუფში მემარჯვენე ელემენტების სიმრავლის დროს!) აგრარულ საკითხში. ცნობილია, რომ მ ე ს ა მ ე სათათბიროს 43 გლეხის მიწის პროექტი [124] გაცილებით უფრო დემოკრატიულია კადეტურ, ლიბერალურ პროექტზე, როგორც ეს თვით კადეტებმაც აღიარეს!

უეჭველია, ლიკვიდატორები სწორედ ამ, ზოგად-პრინციპული, აზრით უარყოფენ «მემარცხენე ბლოკიზმს». ასევე უეჭველია, რომ მათი მხრივ მემარცხენე ბლოკიზმის უარყოფა ღალატია დემოკრატიის საქმისა. არ ყოფილა ქვეყნად ა რ ც ე რ თ ი ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც «მემარცხენე-ბლოკისტური» ტაქტიკის მაგალითს და ნიმუშს არ იძლეოდეს, ამასთან ამ მოძრაობათა ყ ვ ე ლ ა ძლევამოსილი მომენტი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დაკავშირებულია ამ ტაქტიკის წარმატებასთან, ამ გზით ბრძოლის წარმართვასთან მიუხედავად ლიბერალიზმის მერყეობისა და ღალატისა. სწორედ «მემარცხენე-ბლოკისტური ტაქტიკა», სწორედ ქალაქის «პლებსის» (= თანამედროვე პროლეტარიატის) და დემოკრატიული გლეხობის კავშირი აძლევდა ძალასა და გაქანებას ინგლისის XVII საუკუნის და საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუციებს. ეს არა ერთხელ უთქვამთ მარქსსა და ენგელსს არა მარტო 1848 წელს, არამედ გაცილებით უფრო გვიანაც. რომ აღარ გავიმეოროთ მრავალჯერ მოყვანილი ციტატები, მოვიგონოთ მარქსისა და ლასალის მიწერ-მოწერა 1859 წელს. ლასალის ტრაგედიის — «ზიკინგენის» გამო მარქსი წერდა, რომ დრამაში გატარებული კოლიზია «არა მარტო ტრაგიკულია, არამედ ის სწორედ იგივე ტრაგიკული კოლიზიაა, რომელმაც სრულიად საფუძვლიანად გამოიწვია 1848 და 1849 წლების რევოლუციური პარტიის დანგრევაო». და მარქსი უკვე ითვალისწინებს ზოგადად ლასალიანელებისა და ეიზენახელების მომავალ უთანხმოებათა მ თ ე ლ ხაზს და უსაყვედურებს ლასალს, რომ ის შეცდომაში ვარდება «იმით, რომ ლ უ თ ე რ უ ლ-რ ა ი ნ დ უ ლ ოპოზიციას პ ლ ე ბ ე უ რ-მ ი უ ნ ც ე რ უ ლ ოპოზიციაზე მაღლა აყენებს»[125].

ჩვენ აქ არ გვეხება საკითხი, თუ რამდენად მართებული ან უმართებულოა მარქსის საყვედური: ჩვენ ვფიქრობთ, რომ მართებულია, თუმცა ლასალი ენერგიულად იცავდა თავს ამ საყვედურისაგან. საქმე ისაა, რომ «ლუთერულ-რაინდული» (ჩვენებურად, მე-XX საუკუნის დამდეგს ლიბერალურ-მემამულური) ოპოზიციის მ ი ღ ლ ი დაყენება «პლებეურ-მიუნ-

ცერულ» (პროლეტარულ-გლეხურ — ჩვენებურადვე) ოპოზიციაზე მარქსსაც და ენგელსსაც მიაჩნდათ აშკარა შეცდომად, მიაჩნდათ ყოვლად შეუწყნარებლად სოციალ-დემოკრატისათვის!

ლიკვიდატორები ლანძღავენ და აგინებენ მემარცხენე-ბლოკისტურ ტაქტიკას და ცდილობენ სიტყვების რახარუხით დაფარონ ამასთან წამოჭრილი ძირითადი პრინციპული საკითხი «მემარცხენე ბლოკიზმის» აუცილებლობისა ყოველი მუშათა პარტიისათვის ყოველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში. მათ არ შეუძლიათ საკითხი დააყენონ პრინციპულად, ამიტომ სასაცილო წინააღმდეგობაში ვარდებიან და თავიანთ თავსვე იმათრახებენ. მაგალითი: იგივე ლ. მარტოვი, რომელსაც ჭირივით ეშინია «მემარცხენე ბლოკისა», როდესაც აგრარულ პროგრამას აყალიბებს «პლატფორმის ძირითად დებულებებად», წერს: «კულტურული განვითარებისათვის წინანდებურად ყველაზე სწორი, ყველაზე უმტკივნეულო და ყველაზე ხელსაყრელია მემამულეთა მიწის ჩამორთმევა მის ახლანდელ მფლობელთაგან და მისი გადაცემა ხალხისათვის». უნებლიეთ წამოსცდა — ჰოი, საშინელებავ! — ნაციონალიზაცია! ეს ერთი. მეორე ის, რომ სწორი აზრის გამოთქმით მარტოვმა გამოთქვა (წინააღმდეგ თავისი კოლეგის ჩერევანინისა: იხ. მისი ვ ე ხ უ რ ი წიგნი «თანამედროვე მდგომარეობის» შესახებ 1908 წლისა) მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე-ბ ლ ო კ ი ს ტ უ რ ი აზრი, ვინაიდან მის მიერ დასახული აგრარული პროგრამა არის მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე-ბ ლ ო კ ი ს ტ უ რ ი მოქმედების პროგრამა როგორც ძველი რეჟიმის, ისე კ ა დ ე ტ ე ბ ი ს მ ა გ ვ ა რ ი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!! «ბუნებას ვერსად გაექცევი»!!

ლ. მარტოვის მიერ ფორმულირებული აგრარული პროგრამა ისეთია, რომ მის ნიადაგზე ერთიანდებიან (ფაქტიურად ერთიანდებიან, ე. ი. ერთდებიან რაიმე «შეთანხმების» დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ) მუშებიც და ტრუდოვიკი-გლეხებიც თავიანთი იდეოლოგიური ბელადებითურთ ნაროდნიკების სახით. პირიქით, ასეთი აგრარული პროგრამა ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ს

ერთად აღებულ მუშებსაც და ტრუდოვიკ-გლეხებსაც კადეტებისაგან (და საერთოდ ლიბერალური ბურჟუაზიისაგან). თუ ამ სრულიად უდავო პოლიტიკურ დასკვნასთან ერთად მხედველობაში მიიღებთ, რომ აგრარული საკითხი (დემოკრატიული აგრარული გარდაქმნის საკითხი) ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხების ცენტრში დგას, დაინახავთ, რომ მარტოვი იძულებული იყო ჩამოეყალიბებინა «მემარცხენე-ბლოკისტური» ტაქტიკა ჩვენი ეპოქის ცენტრალურ საკითხში!

როგორ და რატომ შეემთხვა «მემარცხენე ბლოკიზმის» ჩვენს მოწინააღმდეგეს ასეთი უბედურება? სულ უბრალოდ. მას ან პირდაპირ და აშკარად უნდა უარეყო ძველი პროგრამა — ეს მან ვერ გაბედა; ის ჯერ კიდევ ვერ «დაეწია» გაბედულ (რენეგატობაში) ჩერევანინსა და ლარინს. ანდა უნდა განემარტა, თუნდაც დაახლოებითი სისწორით, ძველი პროგრამა, ხოლო უკანასკნელიდან «მემარცხენე ბლოკიზმი» აუცილებლად გამომდინარეობს. ასეთია ჩვენი ლიკვიდატორების მწარე ბედი.

VII

ჩვენ აღსანიშნავი დაგვრჩა კიდევ ორი მნიშვნელოვანი ადგილი მარტოვის სტატიაში. ის წერს: «სამი ივნისის სისტემის შიგნით ყოველი ასეთი კონფლიქტის წარმოშობის დროს» (ლაპარაკია იმ კონფლიქტებსა და შეხლა-შემოხლაზე, რომელნიც ხრწნიან და ძირს უთხრიან ამ სისტემას) «მუშათა პარტიის მისწრაფება უნდა იყოს — აიძულოს შეძლებული კლასები გადადგან ესა თუ ის ნაბიჯი კანონმდებლობის დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციური გარანტიების გაფართოებისაკენ და, რაც ჩვენთვის ყველაზე დამოუკიდებელ ღირებულებას წარმოადგენს, ხალხის ძალების შეუზღუდავი ორგანიზაციის სფეროს გაფართოებისაკენ» (გვ. 50, «ნაშა ზარია» № 7 — 8).

მარტოვის მიერ აქ მოცემული ფორმულირება მეტად მარჯვე ფორმულირებაა. მაგრამ ეს სწორედ ლიბერალური

მუშათა პოლიტიკის ამოცანებისა და ხაზის ფორმულირებაა. «აიძულოს შეძლებული კლასები გადადგან ნაბიჯი», «გააფართოონ შრომის შეუზღუდავი ორგანიზაციის სფერო» — მარტოვის ამ ფრაზებს სიტყვასიტყვით იმეორებს მთელი მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა, ცოტად თუ ბევრად განათლებული, ცოტად თუ ბევრად «ევროპული» სულით გამსჭვალული ლიბერალური ბურჟუა. ლიბერალური მუშათა პოლიტიკის განსხვავება მარქსისტული მუშათა პოლიტიკისაგან იწყება მ ხ ო ლ ო დ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ მუშებს უმარტავენ აქ მოყვანილი ლიბერალური ფორმულირების უკმარისობას, არადამაკმაყოფილებლობას და სიყალბეს. ვაიძულოთ უქონელი კლასები გადადგან ნაბიჯი თ ვ ი თ ი მ «სფეროს» შესაცვლელად, რომლის «გაფართოებასაც» გვპირდებიან ლიბერალები, მისი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ სხვა «სფეროთი» შესაცვლელად — აი (დაახლოებით) როგორ უნდა განისაზღვროს მუშათა პარტიის ამოცანები და მისწრაფებანი, თუ ლიბერალური მუშათა პარტიის შექმნა არ გვინდა.

აღვნიშნავთ, როგორც კურიოზს, რომ ლ. მარტოვი თვითონვე ამბობს თავისი ფორმულირების გამო ციტირებული ადგილის შენიშვნაში: «ეს ფორმულირება, რა თქმა უნდა, უთუოდ გამოიწვევს ოპორტუნიზმისა და უცილობელი ლეგალიზმის ბრალდებას». მერე როგორ ფიქრობთ, რით აბათილებს ის ამ ბრალდებას? «ობსკაია ჟიზნის»[126] № 171-ში მოთავსებული ნ. როჟკოვის სტატიის დამოწმებით. ამ სტატიიდან მარტოვს მოჰყავს მეტად უხეიროდ ფორმულირებული ბუნდოვანი ხუთი სტრიქონი «აშკარა პოლიტიკური კავშირების» შესახებ. ჩვენ ეს სტატია არ წაგვიკითხავს. ვთქვათ, როჟკოვი მხარს უჭერს «აშკარა პარტიას». მაგრამ რა შუაშია ეს, როცა ლაპარაკია მ ა რ ტ ო ვ ი ს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მუშათა პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ფორმულირებაზე?? როდის აქეთაა, რომ ე რ თ ი თავისი შეცდომის გასამართლებლად მ ე ო რ ე მწერლის მ ე ო რ ე შეცდომას იმოწმებენ?

მაგრამ მარტოვის სტატიის მთელ ს უ ლ ს ყველაზე რელიეფურად, ყველაზე უკეთ გადმოგვცემს ამ სტატიის ბოლო პარაგრაფის ბოლო აბზაცის შემდეგი ტირადა:

«მთელი საარჩევნო კამპანია უნდა ვაწარმოოთ პროლეტარიატის ბრძოლის დროშით თავისი პოლიტიკური თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის, თავისი კლასობრივი პარტიის არსებობისა და თავისი მოქმედების თავისუფალი განვითარების უფლებისათვის, დამოუკიდებელი ორგანიზებული ძალის სახით პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამ პრინციპს (ისმინეთ!) უნდა დაემორჩილოს როგორც საარჩევნო აგიტაციის შინაარსი, ისე საარჩევნო ტაქტიკისა და საორგანიზაციო წინასაარჩევნო მუშაობის მეთოდები».

აი სიტყვები, რომლებიც ს წ ო რ ა დ გამოხატავენ ლიკვიდატორთა მთელი საარჩევნო აგიტაციის (და მთელი პოლიტიკის) «შინაარსის» განმსაზღვრელ «პრინციპს»! კარგი სიტყვები — «ნურაფერს შევკვეცავთ, ნურაფერზე უარს ნუ ვიტყვით», რითაც მარტოვი ანუგეშებდა მარქსისტ მკითხველს, მხოლოდ სიტყვები, ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა «პრინციპის» ა მ გ ვ ა რ ი ფორმულირებისას. საქმე ისაა, რომ თვით პრინციპი ლიბერალური მუშათა პოლიტიკის პრინციპი აღმოჩნდა.

ლიბერალური ბურჟუა ეუბნება მუშებს: თქვენ უფლება გაქვთ იბრძოლოთ, თქვენ აუცილებლად უნდა იბრძოლოთ თ ქ ვ ე ნ ი პოლიტიკური თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ უფლება გქონდეთ ს ა კ უ თ ა რ ი კლასობრივი პარტია შექმნათ და თავისუფლად განავითაროთ მოქმედება, მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო თ პოლიტიკურ ცხოვრებაში როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზებულმა ძალამ. სწორედ ამ ლიბერალური, განათლებული, რადიკალური — თუ ვიხმართ ინგლისურ თუ ფრანგულ ტერმინს — ბურჟუაზიის პრინციპებს სთავაზობს მარტოვი მუშებს მარქსიზმის სახელწოდებით.

მარქსისტი ეუბნება მუშებს: რომ მართლა და წარმატებით იბრძოლოთ «საკუთარი» პოლიტიკური თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის, თქვენ უნდა იბრძოლოთ

მთელი ხალხის პოლიტიკური თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის, უნდა უჩვენოთ მას მისი სახელმწიფოებრივი არსებობის თანამიმდევრული დემოკრატიული ფორმები, უნდა გაათავისუფლოთ მასები და მშრომელთა განუვითარებელი ფენები ლიბერალების გავლენისაგან. თქვენი პარტია რომ მართლა იდგეს კლასის ამოცანების შეგნების სიმაღლეზე, მისი მოქმედება რომ ნამდვილად კლასობრივი იყოს და არა ამქრული, საჭიროა იგი არათუ მონაწილეობას იღებდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ წარმართავდეს — მიუხედავად ლიბერალების მთელი მერყეობისა — ფართო ფენების პოლიტიკურ ცხოვრებას და თვითმოქმედებას უფრო მაღალ სარბიელზე, ვიდრე ის, რომელსაც ლიბერალები მიუთითებენ, წარმართავდეს მათ უფრო არსებითი, უფრო ძირითადი მიზნებისაკენ. კლასის ამოცანები არ ესმის იმას, ვინც მას მიუჩენს «მოქმედების» «დამოუკიდებელ» კუთხეს იმ სარბიელზე, რომლის ფარგლებს, ფორმასა და სახეს საზღვრავენ თუ იწყნარებენ ლიბერალები. კლასის ამოცანები ესმის მხოლოდ იმას, ვინც ყურადღებას (შეგნებას, პრაქტიკულ მუშაობას და სხვ.) მიმართავს თვით ამ სარბიელის, მთელი მისი ფორმის, მთელი მისი სახის ისეთი გარდაქმნისკენ, რომელიც არ დასჯერდებოდა ლიბერალიზმის ნორმებს.

რა განსხვავებაა ამ ორ ფორმულირებას შორის? სწორედ ის, *სხვათა შორის*, რომ პირველი *გამორიცხავს* მუშათა კლასის «ჰეგემონიის» იდეას, ხოლო მეორე საგანგებოდ განსაზღვრავს სწორედ ამ იდეას; პირველი არის თანამედროვე, უახლესი ვარიანტი ძველი ეკონომიზმისა («მუშების ბრძოლა — ეკონომიური, ლიბერალებისა — პოლიტიკური»), მეორე ცდილობს ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალოს გონებაში როგორც ძველ ეკონომიზმს, ისე ნეოეკონომიზმს.

ახლა დაგვრჩენია დასკვნითი კითხვა დავსვათ: რა განსხვავებაა ლევიცკისა და მარტოვს შორის? განსხვავება ისაა, რომ პირველი ახალგაზრდა, ახალი თაობის ლიკვიდატორია, თავის-

უფალი ძველის ტრადიციებისა და მოგონებებისაგან. ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სითამამითა და პირდაპირობით, ის მიუკიბ-მოუკიბავად ლაპარაკობს: «ა რ ა ჰეგემონია, ა რ ა მ ე დ კლასობრივი პარტია»! მარტოვი კი «დიდად გამოქნილია»; ოდესღაც ძველი ისკრელი იყო, მასში არეულია ძველი, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ტრადიციები * და ახალი, ჯერ კიდევ გაუბედავი ლიკვიდატორობა; ამიტომ ის გულმოდგინედ ფიცულობს ღმერთსა და ხატს: «ნურაფერს შევკვეცავთ, ნურაფერზე უარს ნუ ვიტყვითო», მერე კი, დიდი და გრძელი მიხვეულ-მოხვეული მსჯელობის შემდეგ წამოსცდება ხოლმე, მთელი საარჩევნო აგიტაციის «პრინციპი» ლიკვიდატორული უნდა იყოსო.

საქმე კი სწორედ საარჩევნო კამპანიის «პრინციპია».

«პროსვეშჩენიე №№ 1 და 2,
1911 წ. დეკემბერი და 1912 წ. იანვარი
ხელმოწერა: კ. ტ უ ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

---

* უფრო სწორად: ამ ტრადიციების შინაარსი, მათი იდეური ბირთვი უკვე საკუთრებით გაუქრა მარტოვს, მაგრამ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი დარჩა, თავს იჩენს «შეურიგებელი ინტერნაციონალისტის» ჩვეული მიდრეკილება «საკადრისი აბრისადმი».

მხილებათა დასაწყისი
კადეტთა პარტიის მოლაპარაკების შესახებ მინისტრებთან

მათ, ვინც ექვსი წლისა და ხუთწელიწადნახევრის წინათ განგაშს სტეხდა საერთოდ მინისტრებთან კადეტების მოლაპარაკებისა და განსაკუთრებით მინისტრთა პორტფელების გამო, არ შეუძლიათ ახლა ღრმა კმაყოფილების გრძნობა არ განიცადონ. ისტორიულ სიმართლეს თავისი გააქვს და თავს იჩენს ხანდახან ისეთი მხრიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი სიმართლე. ახლა მხილება დაწყებულია და, მიუხედავად «დაინტერესებულ» პირთა (და პარტიათა) ყოველგვარი ღონისძიებისა, რომ იგი მიაფუჩეჩონ, მხილება არ შეწყდება. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ეს მხილება სავსებით დაადასტურებს კადეტებზე ჩვენი მაშინდელი თავდასხმის სისწორეს.

მხილება დაიწყო ვიტემ თავისი პოლემიკით გუჩკოვთან. ვიტეს გამოსვლის მიზანი და მისი გამოსვლის ხასიათი — მეტად მდაბალია; უმდარესი ხარისხის ინტრიგა, ფეხის გამოდებისა და პორტფელთან მიჩოჩების სურვილი — აი მისი მოტივები. მაგრამ ცნობილია, როდესაც ორი ქურდი ჩხუბობს, ამით ერთგვარად ყოველთვის მოგებული არიან პატიოსანი ადამიანები, ხოლო თუ სამი ქურდი ჩხუბობს, მოგება, ალბათ, გადიდდება.

ვიტეს წერილში ყველაზე არსებითი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ მას ძალაუნებურად უნდა დაედგინა ზოგიერთი

ფ ა ქ ტ ი, — შესაძლებლობა შეექმნა (და საჭიროება გამოეწვია) ამ ფაქტების შემოწმებისა საქმის ყველა მონაწილის დაკითხვით. ვიტეს წერილიდან გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი ფაქტები:

1) ვიტესთან თათბირში მონაწილეობას იღებდნენ შიპოვი, გუჩკოვი, ურუსოვი, ე. ტრუბეცკოი და მ. სტახოვიჩი, ე. ი. კადეტების, მშვიდობიანი განმაახლებლებისა და ოქტიაბრისტების პარტიათა მოღვაწენი.

2) «თათბირის პირველ სხდომაზე გრაფ ვიტესა (ციტატები მოგვყავს მისი წერილიდან) და ზემოხსენებულ საზოგადო მოღვაწეებს შორის მოხდა პრინციპული შეთანხმება ყველა მთავარ საკითხში, გარდა შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნის საკითხისა».

3) «გრაფი ვიტე მოითხოვდა დურნოვოს დანიშვნას, ხოლო საზოგადო მოღვაწენი, თავად ურუსოვის გარდა, წინააღმდეგნი იყვნენ ამ დანიშვნისა. თავადი ურუსოვი კი თათბირის მონაწილე კოლეგებს, მძიმე მომენტისა და დაყოვნების შეუძლებლობის გამო, არწმუნებდა დათანხმებულიყვნენ დურნოვოს დანიშვნაზე და, თავის მხრივ, მაგალითი რომ ეჩვენებინა, განაცხადა, მზადა ვარ დავიკავო დურნოვოს ამხანაგის პოსტი სამინისტროშიო... შემდგომ სხდომაზე შიპოვმა, გუჩკოვმა და თავ. ტრუბეცკოიმ განაცხადეს, ვერ შევალთ იმ სამინისტროში, სადაც დურნოვო იქნებაო»...

4) სტოლიპინის კანდიდატურა წამოყენებული იყო, მაგრამ მასზე ვერ შეთანხმდნენ, — ზოგი მომხრე იყო, ზოგიც წინააღმდეგი.

ახლა ვიკითხოთ, რა შესწორება შეიტანა ამ განმარტებაში გუჩკოვმა? მან დაადასტურა, რომ «დურნოვოს კანდიდატურის მხურვალე დამცველად გამოვიდა თავ. ურუსოვი, შემდეგში I სახელმწიფო სათათბიროს წევრი». ვიტე, გუჩკოვის თქმით, ყოყმანობდა და ერთხანს მზად იყო უარი ეთქვა დურნოვოზე, ვინაიდან პრესაში მზადდებოდა მხილება და გამანადგურებელი სტატიები მის წინააღმდეგ. «მთელი ეს ამბავი — დასძენდა გუჩკოვი — მოხდა მაშინვე, როგორც კი გა-

მოქვეყნდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, როდესაც გაბატონებული იყო უაღრესად ფართო, მე ვიტყოდი, თავაშვებული თავისუფლება პრესისა».

მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა: გუჩკოვი წერს «გაჭიანურებული მოლაპარაკების გულის გამწვრილებელი დღეების» შესახებ. სტოლიპინის შესახებაო «არავის არ გამოუთქვამს უარყოფითი აზრი, რაზედაც გრ. ვიტე წერსო». გუჩკოვი ახასიათებს მაშინდელ მდგომარეობას საერთოდ და ამბობს: «ახლა ბევრი გამოჩნდა სამშობლოს «მხსნელი»... მაგრამ სად იყვნენ ისინი მაშინ?.. ბევრ მათგანს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ბარიკადის რომელ მხარეზე დამდგარიყვნენ».

ასეთია ვიტეს და გუჩკოვის მხილებათა არსებითი პუნქტები; წვრილმანებს, რა თქმა უნდა, განზე ვტოვებთ. ისტორიული სიმართლე სრულიად გარკვევით აშკარავდება: 1) არ ა ვ ი თ ა რ ი ს ე რ ი ო ზ უ ლ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა კ ა დ ე ტ ე ბ ს ა დ ა ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ს შ ო რ ი ს რ უ ს ე თ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა მ უ ა ღ რ ე ს ა დ ს ე რ ი ო ზ უ ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი ა რ ყ ო ფ ი ლ ა; 2) «ბევრს» (ბურჟუაზიულ მოღვაწეს და, გუჩკოვის «ფრთხილი» გადაკვრით, შეიძლება, მინისტრსაც კი) «მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ბარიკადის რომელ მხარეზე დამდგარიყვნენ». მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად იკრიბებოდნენ თათბირზე «ბ ა რ ი კ ა დ ი ს» ე რ თ ი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი «მ ხ ა რ ი ს» ადამიანები. თათბირებში მინისტრებიც, ოქტიაბრისტებიც და კადეტებიც ბარიკადის ერთ მხარეზე იდგნენ. ისტორიული სიმართლე არ იწყნარებს არც ეჭვებს და არც გადასხვაფერებას: ეს იყო თათბირები, მთავრობის მოლაპარაკება კონტრრევოლუციურ, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან.

ახლა ნახეთ როგორ იქცეოდნენ კადეტები. ვიტეს და გუჩკოვის მხილებათა შემდეგ (მათი წერილები დაიბეჭდა პეტერბურგში 26 და მოსკოვში 27 სექტემბერს ძვ. სტ.) კადეტები კ რ ი ნ ტ ს ა ც ა რ ა ს ძ რ ა ვ ე ნ იმაზე, რომ **თვითონაც** იღებდნენ მონაწილეობას და მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ

გუჩკოვი «გააღიზიანონ». როგორც 28 სექტემბრის «რ ე ჩ ი», ისე იმავე რიცხვის «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» სწორედ «აღიზიანებენ» გუჩკოვს, იგი შემდეგ დურნოვოს თანამოაზრეთა კოლეგა იყოო, მაგრამ ა რ ბ ე დ ა ვ ე ნ ა რ ც შ ე ს წ ო რ ე ბ ე ბ ს დ ა ა რ ც უ ა რ ყ ო ფ ა ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. მესამე ქურდს იმედი აქვს, რომ ვიტეს და გუჩკოვის კამათის გამო მას ვერ შენიშნავენ!

მაშინ ოქტიაბრისტები იწყებენ «შურისძიებას» ერთბაშად როგორც ვიტეს, ისე კადეტების მიმართ. 1 4 ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს «გოლოს მოსკვიში» (ორი კვირა ზვერავდნენ ოქტიაბრისტები, ლაჩრულად და საზიზღრად სდუმდნენ კადეტები!) იბეჭდება «ცნობა» სათაურით: «გრაფ ვიტეს და პ. ნ. დურნოვოს კავშირი კადეტებთან». ახალი მხილება შეიცავს შემდეგს: 1) ე. ტრუბეცკოი იმ დროს იყო კადეტთა პარტიის წევრი. 2) «თავად ტრუბეცკოის არ უნდოდა გრაფი ვიტე რაიმე შეცდომაში შეეყვანა და ამიტომ სავალდებულოდ მიიჩნია გაეფრთხილებინა იგი, რომ საზოგადო მოღვაწეებთან» (ცხადია, მუშა და გლეხ დემოკრატებს «საზოგადო მოღვაწეთ» არ აკუთვნებენ არც ოქტიაბრისტები და არც კადეტები: 1905 წლის ოქტომბერში მუშები და გლეხები, ალბათ, გ ა რ ე-საზოგადოებრივი «მოღვაწენი» იყვნენ!) «მისი ყოველგვარი მოლაპარაკების შესახებ ის, თავ. ტრუბეცკოი, შეატყობინებდა თავისი პარტიის ბიუროს, რომელიც ყოველდღე იკრიბებოდა მიმდინარე საკითხების განსახილველად პროფ. პეტრაჟიცკის ბინაზე». 3) სტოლიპინის კანდიდატურის წინააღმდეგ განსაკუთრებით ცხარედ გაილაშქრა ბ-მა პეტრუნკევიჩმა, რომლის აზრით «უკიდურეს შემთხვევაში (sic! *) უნდა ვურჩიოთ გრაფ ვიტეს შინაგან საქმეთა მინისტრად უფრო დურნოვო დანიშნოს, ვიდრე სტოლიპინი. კადეტთა პარტიის დანარჩენი მოღვაწენი სავსებით დაეთანხმნენ პეტრუნკევიჩს, და თავად ტრუბეცკოის დაევალა გადაეცა გრაფ ვიტესთვის პეტრაჟიცკის ბინაზე შეკრებილ საზოგადო მოღვაწეთა დასკვნა». ტრუბეცკოი მეორე დღეს

* — ასეა! რ ე დ.

დილით წავიდა გრაფ ვიტესთან და ზუსტად გადასცა კადეტთა პარტიის ბიუროს აზრი ორივე კანდიდატის შესახებ.

დაადასტურა თუ არა ე. ტრუბეცკოიმ ეს ამბავი? სავსებით დაადასტურა, როდესაც «ნოვოე ვრემიას» (15 ოქტომბრის ნომერი) კორესპონდენტსაც და «რ ე ჩ ი ს» (19 ოქტომბრის ნომერი) კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ს ა ც დაუმოწმა, «გოლოს მოსკვის» ცნობა «ს ა ვ ს ე ბ ი თ ს წ ო რ ი ა ო». «შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ა რ ვ ა რ გ ო დ ე ს სიტყვა «ბიურო»», — ამბობდა ტრუბეცკოი, — «უნდა ყოფილიყო ნათქვამი: პარტიის» (კ.-დ.) «ხელმძღვანელებიო»; ტრუბეცკოის მეორე, ასეთივე არაარსებითი, «შესწორება» ეხება იმას, რომ მან ინახულა ვიტე «შეიძლება, არა მეორე დღეს დილით, არამედ 2 — 3 დღის შემდეგაო». ბოლოს, «რეჩის» კორესპონდენტს ტრუბეცკოიმ უთხრა:

«საჭიროა უარყოფილ იქნას გუჩკოვის ერთი მტკიცება. ის ამბობდა, საზოგადო მოღვაწენი კაბინეტში მხოლოდ დურნოვოს გულისთვის არ შევიდნენო. ეს მთლად ასე არაა (მთლად ასე არაა!) ჩემს და, თუ არ ვცდები, შიპოვის მიმართ. მე და შიპოვი თანახმანი ვიყავით კაბინეტის შემადგენლობაში შესვლისა იმ პირობით, თუ წინასწარ იქნებოდა შემუშავებული პროგრამა, მაგრამ ვიტე გვარწმუნებდა შევსულიყავით კაბინეტში ამ პირობის წამოუყენებლად. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი განსხვავება გუჩკოვისაგან, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, ასეთ პირობას არ აყენებდა». ფრთხილად ლაპარაკობს ამ პუნქტის გამო ბ-ნი ტრუბეცკოი: «მთლად ასე არაა», «რამდენადაც მახსოვს»!

ბ-ნი პეტრუნკევიჩი გამოდის «რ ე ჩ შ ი» 19 ოქტომბერს — ს ა მ ი კ ვ ი რ ი ს შემდეგ მხილების დაწყებიდან!! და ნახეთ, რ ო გ ო რ გამოდის.

ის იწყებს გრძელი მსჯელობით (27 სტრიქონი) იმის შესახებ, რომ მეხსიერებაზე დაყრდნობა შეუძლებელია, ხოლო მემუარებს მარტო შიპოვი წერდაო.

რა საჭიროა ეს მსჯელობა? თქვენ გინდათ ჭეშმარიტების გამოაშკარავება დაუყოვნებლივ და სრულად? მაშინ ყველაზე ადვილია დ ა ა ს ა ხ ე ლ ო თ ყ ვ ე ლ ა მონაწილე და შეეკით-

ხოთ მათ. ხოლო თუ თქვენ არა გსურთ ჭეშმარიტების გამომჟღავნება საკუთარი პარტიის შესახებ, მაშინ ზედმეტია კეკემალულობას თამაში და შიპოვის დამოწმება.

შემდეგ, 27 სტრიქონში მსჯელობაა იმაზე, რომ ოქტიაბრისტებს მოსდგამთ «ტყუილი ხმებისადმი» მიდრეკილებაო. — რაღა საჭიროა ეს მსჯელობა, როდესაც «გოლოს მოსკვი» ასახელებს ცნობის დამადასტურებელ პირს?? ბ-ნი პეტრუნკევიჩი აშკარად ცდილობს დააბნელოს უბრალო და ნათელი საკითხი ლიტერატურული და დიპლომატიური ნაგავით. ეს არ არის პატიოსანი ხერხი.

ამას მოსდევს 20 სტრიქონი გესლიანი სიტყვები ბ-ნი ტრუბეცკოის მიმართ: «პირადი მოგონებააო» — არავითარი სხვა მოგონება, გარდა პირადისა, არ არსებობს! — თავადს ამის შესახებ «არავისთან კრინტი არ დაუძრავსო», — ხაზგასმა პეტრუნკევიჩისაა, რომელიც ამით აშკარად უსაყვედურებს ტრუბეცკოის მოკრძალების უქონლობას. იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ უპასუხონ კითხვაზე, კადეტები ერთმანეთს უსაყვედურებენ მოუკრძალებლობას! რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ამგვარ ხერხს, გარდა იმისა, რომ ის ააშკარავებს კადეტების წყენას მხილებათა გამო? ააშკარავებს მათს ცდას მიაფუჩეჩონ საქმე (თავადო, შემდეგში ნუ იქნებით მოუკრძალებელიო!).

ბოლოს, 74 სტრიქონ წინასიტყვაობას მოსდევს უარყოფა არსებითად: 1) კადეტთა პარტიის ბიურო მოსკოვში იყო და ამიტომ არ შეეძლო პეტრაჟიცკისთან შეკრება; 2) პეტრაჟიცკი «იმ დროს არ შედიოდა პარტიის საქმეების ხელმძღვანელ პირთა შემადგენლობაში»; 3) «ზოგიერთ წევრს (კადეტთა პარტიის ბიუროსი), რომელნიც პეტერბურგში იმყოფებოდნენ, არ ჰქონდათ დავალებული რაიმე მოლაპარაკება გაემართათ, მით უფრო კავშირი შეეკრათ გრაფ ვიტესთან, დურნოვოსთან ან სხვა ვინმესთან»; 4) «პირადად მე (ბ-ნი პეტრუნკევიჩი) ვიყავი პეტრაჟიცკისთან ერთხელ (ხაზგასმა ბ-ნ პეტრუნკევიჩისაა), და მაშინ მართლაც იყო საუბარი სახალხო განათლების მინისტრად თავ. ჟ. ტრუბეცკოის კანდიდატურის შე-

საძლებლობის შესახებ, ამასთან ყველა დამსწრემ ის აზრი გამოთქვა, რომ თავადს ეს პოსტი შეუძლია დაიკავოს მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელ სამინისტროს ექნება ნათელი და გარკვეული პროგრამა, სავსებით შესაფერისი პოლიტიკური მომენტის პირობებისა, სამინისტრო კი ისეთი უნდა იყოს, რომელსაც «საზოგადოება» (მოიგონეთ, რას გულისხმობენ «საზოგადოებად» ყველა მოკამათენი: მუშები და გლეხები — «საზოგადოება» არ არისო) უნდა ენდობოდესო. ადვილი შესაძლებელია, ამ დროს ხდებოდა სხვადასხვა კანდიდატების, მათ შორის დურნოვოს და სტოლიპინის პირადი და პოლიტიკური თვისებების შეფასება, მაგრამ არც მე დამამახსოვრდა ის მხურვალე სიტყვა, რომელსაც თურმე დაურწმუნებია ყველა დამსწრენი, არ დახსომებია ის არც უკანასკნელთ, რომელთა მოგონებას მე მივმართე».

აი მთელი საქმიანი «უარყოფა» ბ-ნ პეტრუნკევიჩისა, რომელიც 48 სტრიქონში კიდევ უმატებს გესლიან სიტყვებს ტრუბეცკოის მიმართ, რომ მას მახსოვრობა ღალატობსო, რომ კადეტთა პარტიას დურნოვოსთან კავშირი არ შეუკრავსო და «არც თავისი პარტიის წევრის თავ. ტრუბეცკოისთვის მიუცია ნება შესულიყო სამინისტროში, რომლის მხარის დაჭერა პარტიას არ შეეძლო».

ტრუბეცკოის და პეტრუნკევიჩის წერილები 27 ოქტომბრის «რეჩში» არაფერს ახალს არ იძლევიან: პირველი ამტკიცებს, რომ სწორედ პეტრუნკევიჩი «გვირჩევდა დურნოვო გვემჯობინებინა სტოლიპინისთვისაო», მეორე უარყოფს ამას.

რა გამოდის ბოლოს?

ბ-მა პეტრუნკევიჩმა განაცხადა, რომ ბიუროს ზოგიერთ წევრს, რომელნიც პეტერბურგში იმყოფებოდნენ, არ ჰქონდათ დავალებული რაიმე მოლაპარაკება ეწარმოებინათო, მაგრამ მოლაპარაკების ფაქტს ის ძალაუნებურად ადასტურებს! «თათბირზე პეტრაჟიცკისთან — წერს თვითონ ბ-ნი პეტრუნკევიჩი («რე-

ჩი» 27. X) — ჩვენ ვმსჯელობდით თავ. ტრუბეცკოის კანდიდატურაზე».

მაშასადამე, მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ყ ო ფ ი ლ ა. თუ «პარტიას», როგორც იგივე ბ-ნი პეტრუნკევიჩი წერს, «ნება არ მიუცია» ტრუბეცკოისთვის, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, მოლაპარაკება წ ა რ მ ო ე ბ დ ა პ ა რ ტ ი ი ს ს ა ხ ე ლ ი თ!

ბ-ნი პეტრუნკევიჩი შესანიშნავი ოსტატობით იმათრახებს თავს. მოლაპარაკება არ ყოფილა, მაგრამ... მაგრამ იყო «თათბირი კანდიდატურის შესახებ». არ ყოფილა პარტიის ბიუროს სხდომები, მაგრამ... მაგრამ იყო პარტიის გადაწყვეტილება. ამგვარი უბადრუკი ხრიკები ახასიათებენ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ამაოდ ცდილობენ დ ა მ ა ლ ვ ა ს. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, რომ დაასახელო თათბირის ყ ვ ე ლ ა მონაწილე? მოიყვანო «ბიუროს» ან პარტიის, ან ხელმძღვანელ პირთა ზუსტი გადაწყვეტილება? გადმოსცე ვითომ ნათელი, ვითომ გარკვეული პროგრამა, რომელსაც (ვითომ) მოითხოვდნენ კადეტები ვიტეს სამინისტროსაგან? მაგრამ ჩვენი ლიბერალების უბედურებაც ისაა, რომ მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ სიმართლის თქმა, რომ მათ ე შ ი ნ ი ა თ ამ სიმართლისა, რომ სიმართლე მათ ღ უ პ ა ვ ს.

და აი გვევლინება წვრილმანი, უბადრუკი ხერხები, ხრიკები, გადათქმა, რაც აძნელებს (ყოველ შემთხვევაში უგულისყურო მკითხველისათვის) დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხის გარკვევას მთავრობისადმი ლიბერალების დამოკიდებულების შესახებ 1905 წლის ოქტომბერში.

რატომ ღუპავს სიმართლე კადეტებს? იმიტომ, რომ მოლაპარაკების ფაქტი, ამ მოლაპარაკების ვითარება და პირობები უარყოფს კადეტების «დემოკრატიზმის» ზღაპარს და ამტკიცებს მათი ლიბერალიზმის კონტრრევოლუციურობას.

საერთოდ შეეძლო თუ არა ნამდვილად დემოკრატიულ პარტიას მოლაპარაკება გაემართა ისეთ ადამიანთან, როგორიც ვიტეა, ისეთ დროს, როგორიც 1905 წლის ოქტომბერი იყო? არა, არ შეეძლო; ამგვარი მოლაპარაკებისათვის აუცი-

ლებელი იყო ერთგვარი საერთო ნიადაგი, სახელდობრ კონტრრევოლუციური მისწრაფების, სულისკვეთების, განზრახვის საერთო ნიადაგი *. ვიტესთან მოლაპარაკების გამართვა შეიძლებოდა მხოლოდ დემოკრატიული, მასობრივი მოძრაობის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ. კიდეც რომ დავუშვათ ერთი წუთით, რომ კადეტების მოლაპარაკება დემოკრატიულ მიზნებს ისახავდა, განა შეეძლო დემოკრატიულ პარტიას დაემალა ხალხისათვის ეს მოლაპარაკება, როდესაც იგი შეწყდა? არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო. აი აქ იჩენს თავს განსხვავება კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის, რომელსაც ამგვარი დახასიათება არ დაუმსახურებია. ლიბერალს სურს თავისუფლების გაფართოება, მაგრამ ისეკი, რომ ამით დემოკრატია არ გაძლიერდეს, რომ მოლაპარაკება და ძველ ხელისუფლებასთან დაახლოება გაგრძელდეს, გამაგრდეს, განმტკიცდეს; ამიტომ ლიბერალს არ შეუძლია მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ ამ მოლაპარაკების ამბავი გამოაქვეყნოს, ვინაიდან ამით ის გააძნელებს მოლაპარაკების განახლებას, «თავისთავს გამოააშკარავებს» დემოკრატიის წინაშე, კავშირს გაწყვეტს ხელისუფლებასთან, ლიბერალს კი სწორედ მასთან კავშირის გაწყვეტა არ შეუძლია. პირიქით, დემოკრატი, კიდეც რომ ჩავარდნილიყო ვიტესთან მომლაპარაკებლის მდგომარეობაში და დაენახა მოლაპარაკების ამაოება, მაშინვე გამოაქვეყნებდა ამას, რითაც შეარცხვენდა ბატონ ვიტეებს, გამოამჟღავნებდა

* იხ. ამ საერთო ნიადაგის მშვენიერი გარკვევა თვით ბ-ნ მილიუკოვის სტატიების («ერთი წლის ბრძოლა») მიხედვით ი. კ.-ის სტატიაში: «რუსული ლიბერალიზმის ისტორიიდან» კრებულში «ზარნიცი», სპბ., 1907. «გრაფ ვიტეს გადადგომა უდრის შეთანხმების უკანასკნელი შანსის დაკარგვას», წერდა ბ-ნი მილიუკოვი 1906 წლის 18 აპრილს. და ამით ის აღიარებდა სავსებით აშკარად და გარკვევით, რომ მოლაპარაკება იყო და იყო შანსიც, «ზრი ჰქონდა» შეთანხმების ცდის განმეორებას.

მათს თამაშს, გააძლიერებდა დემოკრატიის შემდგომ წინსვლას.

მიაქციეთ აგრეთვე ყურადღება სამინისტროს პროგრამისა და სამინისტროს შემადგენლობის საკითხს. მეორე საკითხზე ლაპარაკობენ ყველა მონაწილენი და ლაპარაკობენ ზუსტად, ნათლად: ესა და ეს პორტფელი ამას და ამას შესთავაზესო. ხოლო პირველ საკითხზე, ე. ი. პროგრამაზე, არც ერთი ნათელი და ზუსტი სიტყვა არ თქმულა! ვინ იყვნენ პორტფელების პრეტენდენტები, ეს კარგად ახსოვს ტრუბეცკოისაც და პეტრუნკევიჩსაც, ამაზე ლაპარაკობს ერთიც და მეორეც. ხოლო როგორი იყო «პროგრამა», ამაზე არც ერთი მათგანი არ ლაპარაკობს!! ნუთუ ეს შემთხვევითი მოვლენაა? რა თქმა უნდა, არა. ეს იმის შედეგია (და იმის უეჭველი დამამტკიცებელი საბუთია), რომ ბატონ ლიბერალებს «პროგრამა» უკანასკნელ ადგილზე ჰქონდათ დაყენებული, ის უბრალო აბრა იყო, «ლაყბობა», — ნამდვილად არავითარი სხვა პროგრამა, გარდა ხელისუფლების განმტკიცებისა და დემოკრატიის დასუსტებისა, ვიტეს არ შეეძლო ჰქონოდა, და რა აღთქმა და დაპირებაც უნდა მოეცა, რა განცხადებაც უნდა გაეკეთებინა, მას მხოლოდ ასეთი პოლიტიკის წარმოება შეეძლო, — «ცოცხალი» საქმე კი მათთვის იყო პორტფელების განაწილება. მხოლოდ ამიტომ შეეძლო, მაგალითად, ვიტეს სავსებით დავიწყებოდა პროგრამა (ვიტეს თქმით, სრული პრინციპული თანხმობაც კი ყოფილა!), ხოლო ის, თუ ვინ უკეთესია (ან ვინ უარესია?), დურნოვო თუ სტოლიპინი, ეს დავა ყველას ახსოვს, ყველა ამაზე ლაპარაკობს, ყველა იმოწმებს ამა თუ იმ პირის სიტყვას ან საბუთს.

შუბი ხალთაში არ დაიმალება. ისტორიული სიმართლე სამი-ოთხი პირის განზრახ შელამაზებული ნაამბობიდანაც საკმაო გარკვეულობით აშკარავდება.

რუსეთის მთელმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, გუჩკოვიდან მილიუკოვამდე, — რომელიც, უეჭველად, პოლიტიკურად პასუხისმგებელია ტრუბეცკოისთვის, — მაშინვე 17 ოქტომბ-

რის შემდეგ ზურგი აქცია დემოკრატიას და პირი იბრუნა ვიტესკენ. და ეს შემთხვევითი ამბავი როდია, არც ცალკეულ პირთა ღალატია, ეს არის კლასის გადასვლა მისი ეკონომიური ინტერესების შესაფერის კონტრრევოლუციურ პოზიციაზე. კადეტებს მხოლოდ ამ პოზიციიდან შეეძლოთ მოლაპარაკება გაემართათ ვიტესთან 1905 წელს ტრუბეცკოის საშუალებით, ტრეპოვთან 1906 წელს მურომცევის საშუალებით და სხვა. თუ ვერ გაიგე რა განსხვავებაა კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის, ვერც ამ უკანასკნელის ისტორიას გაიგებ და ვერც მის ამოცანებს.

«პროსვეშჩენიე» № 1,
1911 წ. დეკემბერი
ხელმოწერა: ჰ.

იბეჭდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» ტექსტის მიხედვით

სამი შეკითხვა

სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშები — III სათათბიროსიც კი — მეტისმეტად საინტერესო და საგულისხმო პოლიტიკურ მასალას წარმოადგენს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბუტერბროდულ გაზეთ «როსსიას» დამატება ყველა ლიბერალურ გაზეთზე ძვირფასია, რადგან ლიბერალური გაზეთები ალამაზებენ ლიბერალებს, არბილებენ მწვავე ადგილებს საკითხების დაყენებაში, ერთი მხრივ, «მემარჯვენეების» და, მეორე მხრივ, მოსახლეობის ნამდვილი მასების წარმომადგენლების მიერ, ყოველთვის სიყალბე შეაქვთ ჩვენი «შინაური პოლიტიკის» დ ე დ ა ა რ ს ი ს შეფასებაში. ხოლო თანამედროვეობის ყველა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს სწორედ სათანადო საკითხების დ ა ყ ე ნ ე ბ ა შ ი, სწორედ საქმის დ ე დ ა ა რ ს ი ს შეფასებაში.

ვეცდებით ნათქვამი, რამდენადაც შესაძლებელია, განვმარტოთ სამი შეკითხვის: დაცვის, შიმშილობისა და 1881 წლის «დროებითი» დებულების გამო გამართული კამათის მიხედვით [127].

სათათბიროს მიმდინარე სესიის პირველი სხდომა გაიხსნა თავმჯდომარის-ოქტიაბრისტის სიტყვით სტოლიპინის შესახებ. აქ საინტერესო ის იყო, რომ ოქტიაბრისტების ბელადის თქმით, «მისი (სტოლიპინის) დაუცხრომელი ზრუნვა იყო განუხრელი, თუმცა ფრთხილი, წინდახედული წინსვლა რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზაზე». კარგი რამაა, არა? სტოლიპინი — «პროგრესისტი»! რატომ არის შეუძლებელი ს ხ ვ ა ნ ა ი ი რ ი

«პროგრესი», გარდა ახლანდელისა, არსებულისა, — ოქტიაბრისტებსაც რომ არ აკმაყოფილებს, — მართვა-გამგეობის მთელი იმ სისტემის დროს, იმ სახელმწიფო წყობილების, იმ კლასის შენარჩუნების პირობებში, რომლის პოლიტიკასაც ახორციელებდა სტოლიპინი, ამას, ალბათ, როძიანკოს სიტყვის არა ერთი დემოკრატი მკითხველი დაუფიქრებია. სამწუხაროდ, სათათბიროს იმ დეპუტატთაგან, რომლებიც ამ სიტყვის წარმოთქმას დაესწრნენ * და თავიანთ თავს დემოკრატიას აკუთვნებენ, არავინ მოისურვა შეჩერებულიყო «პროგრესის» სტოლიპინური ფორმის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ფესვების გარკვევაზე.

საამისოდ ხელსაყრელი საბაბი კი იყო დაცვის შესახებ კამათის დროს.

სტოლიპინი «ენდობოდა დიდად პატივცემულ ა. ი. გუჩკოვს, — ჰქუხდა მარკოვი მეორე, — და მის არა ნაკლებ დიდად პატივცემულ მეგობრებს სათათბიროს ცენტრიდან. ის დაისაჯა სიკვდილით თავისი გულმინდობილობისათვის. სიმშვიდე, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ეს არის სამარის სიმშვიდე. სხვანაირი სიმშვიდე არ არსებობს (ხმები მარცხნიდან: სწორია). არის რევოლუციის აღმავლობა... არ არის სიმშვიდე, და მოდის რევოლუცია. რევოლუციას უნდა ვებრძოლოთ, გულდაგულ, პირისპირ უნდა ვებრძოლოთ (სიცილი მარცხნივ), უნდა ჩამოვახრჩოთ ეს არამზადები, ურჯულკები

* მარკოვ მეორის სიტყვიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მუშათა დეპუტატები არ დასწრებიან. «თქვენ... — მიმართავს მათ მარკოვ მეორე — გულახდილად გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება... როდესაც ახლა თქვენი სკამები დაცარიელებული იყო... თქვენ წახვედით... ამისთვის მე, თუ პატივს არა გცემთ, ყოველ შემთხვევაში მესმის თქვენი ვულისთქმა». მარკოვ მეორეს სათათბიროში ძალიან ხშირად სრულიად ხულიგნურად უჭირავს თავი. მაგრამ მის აქ ძოყვანილ სიტყვებში, ისე როგორც მისი კოლეგების მრავალ განცხადებაში, ჩანს საკითხის პირდაპირი დაყენება განსაზღვრული კლასის თვალსაზრისით. ეს პირდაპირობა ხშირად ათასჯერ უფრო სასარგებლოა მასების პოლიტიკური შეგნების განვითარებისთვის, ვიდრე გაცვეთილი ფრაზები ლიბერალებისა, რომელნიც «ზეკლასობრივ» პოზიციაზე დგომას ჩემულობენ.

და საზიზღრები. აი რა მინდა ვთქვა ამ შეკითხვის სასწრაფოდ განხილვის წინააღმდეგ».

ასე დააყენა საკითხი მემამულეების წარმომადგენელმა.

მარკოვ მეორის შემდეგ ილაპარაკა — უკვე არსებითად შეკითხვის შესახებ — როდიჩევმა. ის, როგორც ყოველთვის, ლამაზად ლაპარაკობდა. მაგრამ ეს მჭევრმეტყველი ლიბერალი საკითხს მეტისმეტად უბადრუკად აყენებს. ლიბერალური ფრაზები, ფრაზები და მეტი არაფერი. «როდესაც ცენტრალური კომიტეტი (ოქტიაბრისტებისა) — ამბობდა ბ-ნი როდიჩევი — აცხადებს ოპოზიციის მიმართ, რომ იგი ცდილობს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოკვლასაო, ეს სამარცხვინო სიცრუეა. და მე მზადა ვარ გაპატიოთ ეს სიცრუე, თუ დაიფიცებთ, რომ ბოლოს მოუღებთ იმ გველს, რომელიც დაეუფლა რუსეთის ძალაუფლებას, ბოლოს მოუღებთ შპიონოკრატიას» (იხ. «როსსიას» სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 23, იგივე მეორდება, ისიც «ფიცით», 24-ე გვ.).

ეფექტურად, «საშინლად» ეფექტურადაა ნათქვამი! როდიჩევი ძზადაა აპატიოს ოქტიაბრისტებს, თუ ისინი «დაიფიცებენ», რომ ბოლოს მოუღებენ! გეყოფათ სიცრუე, ბ-ნო მოლაყბევ: არათუ ოქტიაბრისტებს, არამედ თ ქ ვ ე ნ, კადეტებსაც, რამდენიც უნდა «იფიცოთ», — არ შეგიძლიათ ბ ო ლ ო მ ო უ ღ ო თ რაიმე სერიოზულ ბოროტებას. «ფიცის» ფრაზებით ასეთ სერიოზულ საკითხში თქვენ ა ბ ნ ე ლ ე ბ თ მასების პოლიტიკურ შეგნებას ნაცვლად იმისა, რომ გაანათლოთ იგი, თქვენ ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ე ბ თ გონებას სიტყვების რახარუხით ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად, უბრალოდ, ნათლად განმარტოთ, თუ რ ა ტ ო მ დაეუფლა ეს «გველი» ამ ძალაუფლებას, რატომ შეეძლო დაუფლება და რატომ უნდა დაუფლებოდა მას.

ბ-ნი როდიჩევი ამას არა ხსნის, მას ეშინია უბრალოდ და პირდაპირ შეხედოს საკითხის ფესვს, მის არსს, ამიტომ ის ოქტიაბრისტებისაგან განსხვავდება სწორედ არა საკითხის დაყენებით, არა პრინციპულად, არამედ მხოლოდ მჭერმეტყველების გაქანებით. თუ ოდნავი ყურადღებით დაუკვირდებით

მის სიტყვას, თუ დაუფიქრდებით მას თუნდაც ზერელედ, — ბ-ნი როდიჩევი, არსებითად, დგას ოქტიაბრისტების თვალსაზრისზე: მ ხ ო ლ ო დ ამიტომ შეუძლია მას დაჰპირდეს «პატიებას», თუ ისინი «დაიფიცებენ». მთელი ეს პატიება, მთელი ეს ფიცი — თავიდან ბოლომდე კომედიაა და ამ კომედიას თამაშობენ ლიბერალები, რომლებსაც ეშინიათ ცოტად თუ ბევრად თანამიმდევარი დემოკრატიისა. აქედანაა საკითხის ის დაყენება, რომელსაც ვხედავთ როდიჩევის სიტყვებში «პროპორციის» შესახებ, ლოპუხინის დაცვაში და სხვა. არსებითი განსხვავება ოქტიაბრისტთა და ლიბერალთა პოზიციაში ა რ ა რ ი ს.

პირიქით, ჩაუფიქრდით პოკროვსკი მეორის სიტყვას. ის იწყებს იმის აღნიშვნით, რომ მისი და მისი კოლეგების შეკითხვა «არსებითად სრულიად განსხვავდება» ოქტიაბრისტების შეკითხვისაგან. და თუმცა პოკროვსკი მეორისა და მისი კოლეგების შეკითხვაში მოიპოვება ერთგვარად სუსტი ადგილები, მაგრამ ა რ ს ე ბ ი თ ი განსხვავება სწორად იყო აღნიშნული. «ჩვენ გვაწუხებს არა ის, — ამბობდა პოკროვსკი მეორე, — რომ დაცვა დამღუპველია მთავრობისათვის, რაც თქვენ გაწუხებთ; ჩვენ გვაწუხებს ის, რომ დაცვა, რომელსაც ნერგავს მთავრობა თქვენი ხელშეწყობით, ეს დაცვა დაღუპვას უქადის ჩვენს ქვეყანას»...

პოკროვსკი მეორე ცდილობს ა ხ ს ნ ა ს, — კი არ განაცხადოს, არამედ ახსნას, — თუ რატომ ესაჭიროება ხელისუფლებას დაცვა, როგორია ამგვარი დაწესებულების კლასობრივი ფესვები (კლასობრივ ფესვებს «ფიცი» და «პატიება» არ ეხება). «მთავრობას, — ამბობდა პოკროვსკი მეორე, — რომელიც საზოგადოებისათვის სრულიად უცხო გახდა, რომელსაც საზოგადოებაში არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა, რადგან დემოკრატიის მტერი გახდა, ემხრობოდნენ მხოლოდ თავადაზნაურობის გადაშენებული კლასის საცოდავი ნაშთები, იგი უ ნ დ ა (ხაზგასმა ჩვენია) შემოსანგრეულიყო, გამოჰყოფოდა და განმარტოებოდა საზოგადოებას — და აი მან შეჰქმნა დაცვა... და აი, რამდენადაც იზრდება ფართო საზო-

გადოებრივი მოძრაობა, რამდენადაც დემოკრატიის სულ უფრო ფართო ფენებს ედება ეს მოძრაობა, იმდენად იზრდება დაცვის მნიშვნელობა და გავლენა».

პოკროვსკი მეორე, ეტყობა, თვითონ გრძნობდა, რომ აქ სიტყვა «საზოგადოება» ზუსტი არ არის, ამიტომ ცვლის მას სწორი სიტყვით: დემოკრატია. ყოველ შემთხვევაში მან სცადა — და ამაშია მისი უდიდესი დამსახურება — აეხსნა დაცვის დედაარსი, მისი კლასობრივი ფესვები, მისი კავშირი მთელ სახელმწიფო წყობილებასთან.

ყურადღებაც რომ არ მივაქციოთ ბ-ნ როდიჩევის თავშეუკავებელ და უშნო ფრაზიორობას, ნუთუ ცხადი არაა, რომ პოკროვსკი მეორისა და გეგეჭკორის მიერ საკითხის დაყენება, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განსხვავდება როდიჩევების მიერ საკითხის დაყენებისაგან? მუშათა დეპუტატების მიერ საკითხის დაყენებაში კი არსებითი იყო დემოკრატიზმისა და მხოლოდ დემოკრატიზმის თანამიმდევრად გატარება. საერთოდ III სათათბიროში, კერძოდ 1906 — 1911 წლების პერიოდის შემდეგ, განსაკუთრებით IV სათათბიროს არჩევნების წინ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს იმ დიდი განსხვავების გარკვევა, რომელიც არსებობს ნამდვილ დემოკრატიზმსა და კადეტურ ლიბერალიზმს («საზოგადოების» ლიბერალიზმს) შორის, ამაოდ რომ იჩემებს დემოკრატიის სახელს.

გადავიდეთ მეორე შეკითხვაზე, შიმშილობის შესახებ. პირველად ილაპარაკა ბ-მა ძიუბინსკიმ და ილაპარაკა ძალიან ცუდად. იმის თქმა არ შეიძლება, რომ სწორი ფაქტები არ ჰქონდა, — არა, მან უსათუოდ სწორი ფაქტები შეარჩია და უბრალოდ, ნათლად, მართლად განმარტა ისინი. იმის თქმა არ შეიძლება, რომ თანაგრძნობა არ გამოუჩენია დამშეულთადმი, — არა, ასეთი თანაგრძნობა მას უეჭველად აქვს. იმის თქმა არ შეიძლება, რომ მთავრობის კრიტიკა დაივიწყა, — ის მას სულ აკრიტიკებდა. მაგრამ ის ლაპარაკობდა არა როგორც დემოკრატი, არამედ როგორც ლიბერალი მოხელე;

ესაა მისი სიტყვის ძირითადი ნაკლი, ესაა შრომის ჯგუფის «ინტელიგენტთა» მთელი პოზიციის ძირითადი ნაკლი, რაც კიდევ უფრო ნათლად აშკარავდება, მაგალითად, პირველი და მეორე სათათბიროს ოქმებიდან. ძიუბინსკი კადეტებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მას არ ჰქონდა კონტრრევოლუციური კილო, რომელსაც ყოველი დაკვირვებული ადამიანი ყოველთვის შეამჩნევს კადეტებს; საკითხის დაყენების მხრივ ძიუბინსკი ლიბერალური მოხელის თვალსაზრისს არ გასცილებია. ამიტომ მისი სიტყვა ასე უსაზღვროდ სუსტია, ასე საშინლად მოსაწყენია, ასე უბადრუკია — განსაკუთრებით მისი პარტიული ამხანაგის, გლეხ პეტროვ მესამის სიტყვასთან შედარებით, რომელშიც გრძნობთ (ისე როგორც პირველი და მეორე სათათბიროს თითქმის ყველა ტრუდოვიკ გ ლ ე ხ შ ი) ნამდვილ, შინაგან, «ნიადაგიან» დემოკრატს.

შეხედეთ, როგორ იწყებს ბ-ნი ძიუბინსკი. შიმშილობაზე ლაპარაკის დროს ის ქვაკუთხედად აყენებს... თქვენ რა გგონიათ?.. «1900 წლის 12 ივნისის დროებითი წესების» სასურსათო წესდებას!! თქვენ ერთბაშად გრძნობთ, რომ ამ კაცს, ამ პოლიტიკურ მოღვაწეს მთელი ცოცხალი შთაბეჭდილება შიმშილობის შესახებ მიუღია არა პირადი გამოცდილებით, არა მასების ცხოვრების დაკვირვებით, არა ამ ცხოვრების ნათელი წარმოდგენით, არამედ საპოლიციო სამართლის სახელმძღვანელოდან, ამასთან, ცხადია, მას აუღია ყველაზე, ყველაზე ლიბერალური პროფესორის უახლესი და საუკეთესო სახელმძღვანელო.

ბ-ნი ძიუბინსკი აკრიტიკებს 1900 წლის 12 ივნისის წესებს. აბა, შეხედეთ, რ ო გ ო რ აკრიტიკებს: «1900 წლის 12 ივნისის წესები, თითქმის მათი გამოცემის დროიდან, როგორც თვით მთავრობის, ისე საზოგადოების მიერ არადამაკმაყოფილებლად იყო აღიარებული»... თვით მთავრობის მიერ იყო არადამაკმაყოფილებლად აღიარებული — მაშასადამე, დემოკრატიის ამოცანაა შეასწოროს 1900 წლის 12 ივნისის წესები, რათა თვით მთავრობას შეეძლოს მათი «აღიარება დამაკმაყოფილებლად»! პირდაპირ გადადიხარ გონებით რუსე-

თის პროვინციულ საკრებულოში. დახშული ჰაერი. კანცელარიის სუნი დგას. საკრებულოში არიან გუბერნატორი, პროკურორი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი, მუდმივი წევრი, ერობის ორი ლიბერალი მოღვაწე. ერობის ლიბერალი მოღვაწე ამტკიცებს, რომ საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა 1900 წლის 12 ივნისის წესების შესწორების შესახებ, ვინაიდან ისინი «თვით მთავრობის მიერ აღიარებულია არადამაკმაყოფილებლად»... მოიღეთ მოწყალება, ბ-ნო ძიუბინსკი! რაღად გვინდა ჩვენ, დემოკრატიას, სათათბირო, თუ ი ქ ა ც გადავიტანთ იმ ენასა და ქცევას, «პოლიტიკური» აზროვნების სახეს და საკითხების დაყენებას, რაც შესაწყნარებელი იყო (თუ კი იყო შესაწყნარებელი) 30 წლის წინათ პროვინციულ კანცელარიაში, მყუდრო მეშჩანურ «ბუდეში» — ლიბერალური ინჟინრის, ვექილის, პროფესორის თუ ერობის მოღვაწის კაბინეტში? ამისთვის არავითარი სათათბირო არაა საჭირო!

ანდაზა ამბობს: «მითხარი, ვის იცნობ, და გეტყვი, ვინა ხარო». როდესაც კითხულობ სათათბიროს სტენოგრაფიულ ანგარიშებს, გინდა გადააკეთო ეს ანდაზა ამა თუ იმ დეპუტატის მიმართ შემდეგნაირად: «მიჩვენე, ვ ი ს ელაპარაკები, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე გამოდიხარ, და გეტყვი, ვინა ხარ».

ბ-ნი როდიჩევი, მაგალითად, ყოველთვის ელაპარაკება, როგორც ყველა კადეტი, მთავრობასა და ოქტიაბრისტებს. ბ-ნი როდიჩევი, როგორც ყველა კადეტი, სთხოვს მათ «დაიფიცონ» და ამ პირობით თანხმდება «აპატიოს» მათ. არსებითად, როდიჩევის ეს გენიალური ფრაზა — (უნებურად სიმართლე წამოსცდა!) — საუცხოოდ გადმოსცემს საერთოდ კადეტური პოლიტიკური პოზიციის მთელ სულს, ყ ვ ე ლ ა სათათბიროში, კადეტთა პარტიის ყველა უმნიშვნელოვანეს გამოსვლაში როგორც პარლამენტსა და პრესაში, ისე მინისტრის მოსაცდელ ოთახში. «მზადა ვარ სიცრუე გაპატიოთ, თუ დაიფიცებთ, რომ ბოლოს მოუღებთ იმ გველს, რომელიც დაუფლებია რუსეთის ძალაუფლებას», — ეს

სიტყვები უნდა ამოიჭრას ძეგლზე, რომელიც უკვე დროა დაედგას ბ-ნ როდიჩევს.

მაგრამ ბ-ნი ძიუბინსკი კადეტი არ არის; ის არ ეკუთვნის იმ პოლიტიკურად უმეცარ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც კადეტებს დემოკრატიულ პარტიად თვლიან; ის თავს უწოდებს ტრუდოვიკს, ნაროდნიკს. და მას იმდენი დემოკრატიული ალღო არა აქვს, რომ, როცა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე ადის, მოხელეებთან განაგრძობს ლაპარაკს. მას იმდენი ალღო არა აქვს, რომ მიმართავს — ეს კი რუსეთში შესაძლებელია სწორედ სათათბიროდან და ჯერჯერობით თითქმის მხოლოდ სათათბიროდან — არა მრავალ მილიონ გლეხს, რომელნიც შიმშილობენ, არამედ რამდენიმე ასეულ მოხელეს, რომელნიც იცნობენ 1900 წლის 12 ივნისის წესებს.

«12 ივნისის წესებს — ამბობს ბ-ნი ძიუბინსკი — წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა; მათ უნდა გაეუქმებინათ საერობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოსახლეობის სასურსათო დახმარების ეს საქმე მთლიანად მთავრობისთვის გადაეცათო».

«12 ივნისის წესებს წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა»... ეს რა ენაა? რა სიძველის შმორის სუნი უდის მას! 25 — 30 წლის წინათ, გასული საუკუნის წყევლა-კრულვით მოსაგონარ 80-იან წლებში, «რუსსკიე ვედომოსტი» სწორედ ასეთი ენით წერდა, როცა მთავრობას ერობის თვალსაზრისით აკრიტიკებდა. გაიღვიძეთ, ბ-ნო ძიუბინსკი! თქვენ გამოგეპარათ XX საუკუნის პირველი ათწლეული. იმ ხნის განმავლობაში, რაც თქვენ ისვენებდით, ძველი რუსეთი მოკვდა, წარმოიშვა ახალი რუსეთი. შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ამ ახალ რუსეთს ისეთი ენით ელაპარაკოთ, რომ მთავრობას უსაყვედუროთ — მის წესებს რატომა აქვს «წმინდა პოლიტიკური» მნიშვნელობა. ეს ენა, მიუხედავად მისი კეთილგანზრახულობისა, მართებულობისა და წესიერი კეთილსასურველობისა, გაცილებით უფრო რეაქციულია, ვიდრე III სათათბიროს რეაქციონერების ენა. ეს არის ენა ისეთი ხალხისა, — ან ისეთი ყოველგვარი პოლიტიკით დამფრთხალი პროვინ-

ციელი მოხელისა, რომელიც «პოლიტიკას» რაღაც ჯადოქრულ ძალად თვლის და «უპოლიტიკო» სასურსათო კამპანიაზე ოცნებობს. თანამედროვე რუსეთთან ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ერთი პოლიტიკიდან მიმართავთ მეორე პოლიტიკას, ერთი კლასის პოლიტიკიდან სხვა კლასის თუ სხვა კლასთა პოლიტიკას, ერთი პოლიტიკური წყობილებიდან მეორე წყობილებას: ეს ანბანია არა მარტო დემოკრატიზმისა, არამედ უაღრესად ვიწრო ლიბერალიზმისაც კი, თუ ამ პოლიტიკურ ტერმინებს სერიოზულ მნიშვნელობას მივცემთ.

ძიუბინსკის მთელი სიტყვა იმავე სულითაა გამსჭვალული, როგორითაც მისი დასაწყისი. ის ლაპარაკობს გადასახადთა აკრეფის ცირკულარებზე, საგადასახადო ხრახნზე, შეღავათიან ტარიფებზე მთიბავთათვის და გლეხების წარმომადგენელთათვის, იმაზე, რომ თესლს თესვის შემდეგ ღებულობენ, ძროხის საწინდრით სესხის გაცემაზე — ვინაიდან მთავრობას უფრო ესაჭიროება პირუტყვის გამოკვება, ვიდრე ადამიანების გამოკვება, — იმაზე, რომ გლეხები ამჯობინებენ კერძო ბანკიდან ისესხონ 75 000 მანეთი 12 პროცენტად, ვიდრე წ ვ ა ლ ე ბ ი თ მიიღონ 70 000 მან. უპროცენტო სესხი ხაზინიდან, დასასრულ, ის აქვეყნებს მეტად საგულისხმო წერილებს ადგილებიდან, სადაც აწერილია საშინელი გაჭირვება. მაგრამ მთელ ამ უაღრესად კეთილგანზრახულ სიტყვაში არ არის არც ერთი ნატამალი დემოკრატიული გრძნობისა, არც ერთი ნამცეცი დემოკრატიული «პ ო ლ ი ტ ი კ ი ს» ამოცანების გაგებისა. სიტყვიდან უეჭველად გამომდინარეობს, — და ეს უნდოდა დაემტკიცებინა კეთილგანმზრახველ ბ-ნ ძიუბინსკისაც, — რომ ჩვენი წესწყობილება დამპალია, მაგრამ სამწუხარო ისაა, ორატორი ვერც კი ამჩნევს, რომ მისი სიტყვიდან ამავე დროს «გამომდინარეობს» დამპალი ლიბერალი მოხელის დამპალი მორალი.

ძიუბინსკის შემდეგ გამოვიდა ერთი ორატორი, მის მერე კი ილაპარაკა გრაფმა ტოლსტოიმ, უფის გუბერნიის დეპუტატმა, რომელიც ძალიან დაშორებულია შრომის ჯგუფს,

მაგრამ იგი სწორედ ისე ლაპარაკობდა, როგორც ძიუბინსკი: «მთავრობა ხელმძღვანელობს რაღაც პოლიტიკური მოსაზრებებით, როცა სისტემატურად უკრძალავს ერობას მონაწილეობა მიიღოს სასურსათო საქმეში, რითაც ზარალდება უბრალო ხალხის დიდი ნაწილი»... ძიუბინსკისა და გრ. ტოლსტოის სიტყვები შეიძლებოდა თქმულიყო ოცი, ორმოცდაათი წლის წინათაც. ამ სიტყვებში კიდევ ცოცხლობს ძველი, საბედნიეროდ უკვე გარდაცვლილი, რუსეთი, სადაც არ იყო კლასები, რომელთაც შეგნებული ექნებოდათ ან დაეწყოთ შეგნება მოსახლეობის სხვადასხვა ელემენტების «პოლიტიკის» განსხვავებისა, რომელთაც შესწავლილი ექნებოდათ ან დაეწყოთ შესწავლა აშკარა და პირდაპირი ბრძოლისა თავიანთი წინააღმდეგური ინტერესებისათვის, — რუსეთი «უბრალო ხალხისა» ქვევით და ერობის ლიბერალი მოღვაწისა, როცა უმეტეს შემთხვევაში არალიბერალი მოხელე იყო ზევით. მაშინ «უბრალო ხალხსაც» და ერობის ლიბერალურ მოღვაწესაც საშინლად ეშინოდათ «რაღაც პოლიტიკური მოსაზრებებისა».

გადაშალეთ სტენოგრაფიული ანგარიშის ორიოდე ფურცელი. თქვენს წინაშეა ისეთი სიტყვები, რომლებიც არ შეიძლებოდა თქმულიყო რუსეთში არც ორმოცდაათი, არც ოცი, არც შვიდი წლის წინათაც კი, თუ ამ სიტყვებს ავიღებთ ერთობლივად. დუელი მარკოვ მეორისა და პეტროვ მესამისა — ეს ადამიანები, თითქოს განზრახ, დანომრილი არიან იმის დასანახვებლად, რომ ჩვენს წინაშეა სათანადო კლასების ტიპიური წარმომადგენლები, ისეთები, როგორიც ბლომად მოიპოვებიან. მარკოვ მეორე თავს ესხმის ძველებურად, პეტროვ მესამე თავს იცავს და თავდაცვიდან შეტევაზე გადადის ა რ ა ძველებურად.

მარკოვ მეორე: ...«უსაბუთო და საქმის ფაქტიური მდგომარეობით გამოუწვეველი თავდასხმა აიხსნება, რა თქმა უნდა,... იმით, რომ, რაც უნდა გააკეთოს რუსეთის მთავრობამ, საჭიროა ჩვენი ხალხის აჯანყებაო». ...«დასავლეთ გუბერნიებში... ხალხი შრომობს მიწაზე და აკეთებს იმას, რაც თქვენს ვოლ-

გაზე არ უნდათ გააკეთონო» — (ვის მიმართავს ორატორი სიტყვებით: «თქვენს ვოლგაზე», ნათლად არა ჩანს, ვინაიდან იმაზე ადრე ლაპარაკობდა მხოლოდ ტრუდოვიკი კროპოტოვი ვიატკის გუბერნიიდან; ცხადია, «თქვენს ვოლგაზე», — ეს ნათქვამია ა რ ა სათათბიროს დეპუტატებზე, ა რ ა იმაზე, რაც არის ან იყო სათათბიროში, არამედ რაღაც სხვა რამეზე), — «ვინაიდან ვოლგაზე ძალიან ბევრი უსაქმურია, და ეს უნდა გვახსოვდეს... ჩვენ ვიცით, რომ თქვენში დამშეულთა შორის ბევრია ისეთი, ვინც მართლა უნდა აშიმშილო, რომ მან იმუშაოს და უსაქმოდ არ იყიალოს».

პეტროვ მესამე, თუმცა ის პერმის გუბერნიიდან არის და არა ვოლგიდან, უპასუხებს: «კვლავ მოგაგონებთ, ბატონებო, თუ მარკოვ მეორე უქნარა არ არის, მან უნდა მოიგონოს 1905 და 1906 წლები, რომელთა შემდეგ ბატონმა მემამულეებმა სახელმწიფო ხაზინიდან მილიონობით მიიღეს დახმარება. რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა ეს უნდა გაგხსენებოდათ, გლეხების წიხააღმდეგ ლაპარაკის უფლება კი თქვენ არ გქონდათ».

მარკოვ მეორე (ადგილიდან): «წყნარად, მეგობარო».

— რა უხეშად უჭირავთ თავი ამ «მეორეებს» და «მესამეებს», — ხომ ასეა?

რა თავაშვებულობაა — შედარებით იმ წესიერ, ღირსეულ, სახელმწიფო ენასთან, რომლითაც ძიუბინსკები უმტკიცებდნენ თავადაზნაურობის წინამძღოლთ 1850... უკაცრავად, 1900 წლის სასურსათო წესების ნაკლოვანებას! — თითქოს ზრდილობიანი «საზოგადო მოღვაწის» შესაფერისი კაბინეტიდან მოვხვდით სადღაც მოედანზე, ქუჩაში, ჭედვაში, აურზაურში. რა უზრდელობაა, რა მოუსვენრობაა! მაგრამ ჩვენ ახლავე დავინახავთ, როგორ დაამყარა «წესრიგი» — არ იფიქროთ: თავმჯდომარემ, არა — ზრდილობიანმა საზოგადო მოღვაწემ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ბ-მა შინგარიოვმა. მაგრამ ჯერ დავამთავროთ თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სურათი.

პეტროვ მესამე: «...ამბობენ, თუ თქვენ გაიღებთ სახსრებს სურსათისათვის, სამიკიტნოში შესჭამენო. ბატონებო, ეს მართალი არ არის. ვისზეა დამოკიდებული ამის თავიდან აშორება? დღეს ხომ მრავალი გუბერნიის მოსახლეობა თხოულობს სამიკიტნოების დახურვას, მათ კი არ ხურავენ. შესაძლებელია, მოსახლეობა მართლაც ლოთობაში სჭამდეს განსაზღვრულ ნაწილს. მაგრამ მარკოვ მეორემ და სხვებმა თავიანთ თავსაც შეხედონ, რამდენს ხარჯავთ თქვენ, ბატონო თავადაზნაურნო, ლოთობაში? შეიძლება, თუ ერთეულებზე გავანაწილებთ, გამოვიდეს, რომ თქვენ გაცილებით მეტს ხარჯავთ ლოთობაში, ვიდრე გლეხები... სანამ ის მიწა, რომელიც გლეხებს უნდა ეკუთვნოდეთ, ასეთი მარკოვების, პურიშკევიჩებისა და კომპანიის ხელშია, თავისთავად ცხადია, შიმშილობა განუწყვეტლივ გაგრძელდება. ეს ვაჟბატონები კი გამოვლენ და ილაპარაკებენ, შიმშილობა იმიტომ არის, რომ გლეხები უქნარნი არიანო.

მარკოვ მეორე (ადგილიდან): ჩვენები არ შიმშილობენ.

პეტროვ მესამე. მე ვფიქრობ, ბატონებო, ძირითადი საკითხი, თუ როგორ მოისპოს ყოველგვარი შიმშილობა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მიწა ჩამოერთვას იმათ, ვინც მას არ ამუშავებს, ამ ბატონ «არა უქნარებს», და გადაეცეს იმათ, ვინც მას ამუშავებს; მანამდე კი, სანამ არ გადასცემთ, — თქვენ კი მას არ გადასცემთ, ეს ნამდვილად ვიცი, — გლეხი მოსახლეობა მუდამ იშიმშილებს. თავისთავად ცხადია, ის ომი, რომელიც იყო 1905 წელს, გარდუვალია, ამას იწვევთ თქვენ, იმიტომ რომ მშიერი კაცი მხეცივით არის, და ამ მხრივ თქვენ ბრძოლაში იწვევთ მოსახლეობას, რომ მან მოახდინოს რევოლუცია და ძალით წაიღოს ის, რაც მას უფლებით ეკუთვნის».

III სათათბიროს თავმჯდომარე რომ მურომცევი ყოფილიყო, ის, ალბათ, შეაწყვეტინებდა ორატორს: პირველ სათათბიროში ის აწყვეტინებდა ასეთი უადგილო სიტყვებისათვის. რაკი მურომცევი არ იყო, «წესრიგი» აღადგინა შემდგომმა ორატორმა, შინგარიოვმა. მარკოვ მეორე მან პირდაპირ

შეარცხვინა «ბალაგანური კილოს» გულისთვის, ხოლო პეტროვ მესამე დაარიგა, რ ო გ ო რ უნდა ეკამათოს მარკოვებს. მარკოვის ფრაქციელი ამხანაგი ვიშნევსკი, — თქვა ბ-მა შინგარიოვმა, — «ლაპარაკობდა გულწრფელად» და ლაპარაკობდა შეკითხვის მიღების სასარგებლოდ. ის, შინგარიოვი, «იმედოვნებს, რომ მთავრობა უფრო გონიერი იქნება, ვიდრე დეპუტატ მარკოვის სიტყვა... რუსი სახალხო წარმომადგენლის მოვალეობაა უთხრას ასეთ ვაუბატონებს: გრცხვენოდეთ».

როდიჩევმა და შინგარიოვმა საბოლოოდ შეარცხვინეს მარკოვი, ხოლო მარკოვთან სანიმუშო პოლემიკით შინგარიოვმა სრულიად მოსპო «მესამე».

იმ შეკითხვებიდან, რომელთაც ეხება ეს შენიშვნები, უკანასკნელი იყო შეკითხვა 1881 წლის 14 აგვისტოს «დროებითი» წესების, ე. ი. დაცვის ცნობილი დებულების შესახებ; ეს დებულება ურყევად ახლდება ოცდაათი წლის განმავლობაში და რუსეთის ფაქტიურ კონსტიტუციას წარმოადგენს. მთავარი სიტყვები ამ შეკითხვის შესახებ წარმოთქვეს ტესლენკომ და მილიუკოვმა, ამასთან საბოლოო ეპიზოდი იყო «იელინეკის გამორიცხვა», ე. ი. ტესლენკოს გამორიცხვა 15 სხდომიდან იელინეკის[128] ციტატის მოყვანისათვის, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ტესლენკოს განცხადებისა, რომ მის სიტყვებს «სრულიად არ ჰქონდა ის აზრი, რომელიც, ალბათ, უნდათ მიაწერონ ახლა იმ პირებმა, ვისაც სურს ხმა მისცეს» გამორიცხვას.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ საინტერესო ეპიზოდის დაწვრილებით შეფასებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ — პოლიტიკურად ასე უბრალო და ნათელ — საკითხშიც 1881 წლის 14 აგვისტოს დებულების შესახებ კადეტთა პარტიის ლიდერმა ბ-მა მილიუკოვმა შესძლო მთელი «ბრწყინვალებით» გამოეჩინა საკითხის დაყენების სპეციფიკური კადეტური შეზღუდულობა და სიყალბე. «ბატონებო, — თქვა მილიუკოვმა, — არ არის იმ საკითხზე უფრო მწვავე საკითხი, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ, ვინაიდან ეს არის რუსეთის ცხოვრების

მთავარი, ძირითადი წინააღმდეგურობა (შეიძლება განა ქალაქსა და რუსეთის ცხოვრებას შორის არსებულ წინააღმდეგურობას რუსეთის ცხოვრების წინააღმდეგურობა ეწოდოს?), ეს არის წინააღმდეგურობა სახელმწიფო წყობილების არსებულ ფორმასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებს შორის»...

ტყუილია, ბ-ნო მილიუკოვ. სწორედ 1881 წლის 14 აგვისტოს დებულება, სწორედ მისი ოცდაათი წლის იუბილე, სწორედ მისი «თავისებური» «იურიდიული ბუნება» ამტკიცებს, რომ «სახელმწიფო წყობილების არსებულ ფორმასა» და მართვა-გამგეობის წესებს შორის ს რ უ ლ ი შესატყვისობაა და არა «წინააღმდეგურობა». როცა ბ-ნი მილიუკოვი აქ ხედავს წინააღმდეგურობას და ცდილობს უფსკრული შეჰქმნას «წყობილებასა» და «მართვა-გამგეობას» შორის, მას ა მ ი თ თავისი კრიტიკა ბოროტებისა დემოკრატიული ბრძოლის დონიდან ჩამოჰყავს ლიბერალური კეთილი სურვილების დონემდე. როცა მილიუკოვი სიტყვიერად, ფიქციურად ქმნის უფსკრულს იმას შორის, რაც ცხოვრებაში გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ შეკავშირებულია, ის სწორედ ამით იცავს იურიდიულ და სახელმწიფო-უფლებრივ ფიქციებს, რომელნიც ა ა დ ვ ი ლ ე ბ ენ ბოროტების გამართლებას, აბნელებენ მის ნამდვილ ფესვებს. მილიუკოვი სწორედ ამით დგება ო ქ ტ ი ა ბ რ ი ზ მ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე, ოქტიაბრიზმისა, რომელიც აგრეთვე არ უარყოფს ბოროტებას, მაგრამ ცდილობს მოსპოს ფ ო რ მ ა ლ უ რ ი წინააღმდეგობანი ისე, რომ არ სპობს ბიუროკრატიის რ ე ა ლ უ რ ყოვლისშემძლებლობას თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე.

როგორც ნამდვილი კადეტი, მილიუკოვი არათუ ვერ ამჩნევს იმას, რომ ის უიმედოდ დაიბნა, როგორც «დემოკრატი», რომ ის მსჯელობს ოქტიაბრისტულად, — ეს კიდევ არაფერი, ის კიდეც ა მ ა ყ ო ბ ს იმით, რომ საკითხი «სახელმწიფო» ნიადაგზე დააყენა. მოყვანილი სიტყვების შემდგომ იქვე ვკითხულობთ:

...«ეს წინააღმდეგურობა, ბატონებო, იმდენად ცხადია, რომ თქვენი წრიდანაც კი (ბ-ნი მილიუკოვი, რა თქმა უნდა, მხოლოდ «III სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიას», ოქტიაბრისტებს, ელაპარაკება) არა ერთხელ და საკმაოდ ხშირად აღნიშნავდნენ მას, მაგრამ ძალიან იშვიათად ეხებოდნენ არსს, იმ ფესვს, იმ პირველმიზეზს, რომელზედაც დღეს ვლაპარაკობთ. ჩვეულებრივ, როგორ გესმოდათ თქვენ ეს საკითხი წყობილებისა და მართვა-გამგეობის წინააღმდეგურობის შესახებ? თქვენ აღნიშნავდით იმას, რომ ადმინისტრაციის ზნეჩვეულებათა ერთბაშად მოსპობა შეუძლებელიაო»... (სწორი მითითებაა, — თუ... თუ არ მოსპობთ მთელს «ადმინისტრაციას», რაც არც კადეტებს უნდათ) ...«თქვენ აღნიშნავდით იმას, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ემორჩილება ცენტრალურ მითითებას, ცენტრის მითითებას, სულ დიდიდიდი, რაც თქვენ გაბედეთ, — თქვენ ცენტრს ბრალი დასდეთ იმაში, რომ ის სათანადო მითითებებს არ იძლევაო. თქვენ ყოველთვის აყენებდით ამ საკითხს, როგორც ფაქტის საკითხს, ჩვენ მას ვაყენებთ, როგორც უფლების საკითხს».

ჩინებულად იმათრახებთ თავს, ბ-ნო მილიუკოვ! ოქტიაბრისტები მ ა რ თ ა ლ ნ ი, სავსებით და სრულიად მართალნი არიან, როდესაც აღნიშნავენ ცენტრისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მჭიდრო, განუყრელ, უაღრესად მჭიდრო, უაღრესად განუყრელ კავშირს. აქედან უნდა გამოვიტანოთ დემოკრატიული დასკვნა, ვინაიდან ამ კავშირის უარყოფა — ყოველივე იმის შემდეგ, რაც იცის რუსეთმა ტოლმაჩევის, დუმბაძის, რეინბოტის, ილიოდორის შესახებ, გერცენშტეინის მკვლელებისა და სხვათა შესახებ — პირდაპირ სასაცილო იქნებოდა. თქვენ კი აქედან გამოგყავთ თავისი ორჭოფობით გულუბრყვილო «უფლების საკითხი». მერე ვინ უნდა განსაზღვროს ამ უფლების ფარგლები? როგორ მიაღწევთ თქვენ აქ «შეთანხმებას»? რა არის პოლიტიკური უფლება, თუ არა ფორმულირება, რეგისტრაცია ძალის ურთიერთობისა? თქვენ გადმოიწერეთ უფლების განსაზღვრა დასავლეთ-ევროპული სახელმძღვანელოებიდან, სადაც ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ა ის, რაც

შედეგია დასავლეთის ხანგრძლივი ბრძოლების მთელი პერიოდისა, შედეგია ძალის დამყარებული ურთიერთობისა (მუშათა კლასის პრინციპულად სხვა მოძრაობამდე) დასავლეთის ბურჟუაზიის, დასავლეთის გლეხობის, დასავლეთის მემამულე-ფეოდალების, ხელისუფლებისა და სხვათა ნაირნაირ ელემენტებს შორის. რუსეთში ეს პერიოდი მხოლოდ ახლა დაიწყო, საკითხი ჩვენში დ გ ა ს — ასეთია დღევანდელი ისტორიული ვითარება, — სწორედ, როგორც «ფაქტის» საკითხი, თქვენ კი თავს არიდებთ საკითხის პირდაპირსა და ნათელ დაყენებას, თავს ფრთებქვეშ იმალავთ, «უფლების» ფიქციათა უჩინ-მაჩინის ქუდს იხურავთ. თქვენ დგახართ ლიბერალური მოხელის თვალსაზრისზე და არა დემოკრატის თვალსაზრისზე.

«პროსვეშჩენიე» № 1,
1911 წ. დეკემბერი
ხელმოწერა. პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ე ლ ი

იბეჭდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» ტექსტის მიხედვით

შიმშილობა და შავი სათათბირო

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მოსყიდული მჯღაბნელები შარშანდელი მოსავლის შთაბეჭდილებით ამაყად გვიქადაგებდნენ «ახალი აგრარული კურსის» კეთილი შედეგების შესახებ, ხოლო მათ შემდეგ ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი აცხადებდა — დაიწყო გარდატეხა ჩვენს სოფლის მეურნეობაში, მისი აღმავლობა საერთოდ მთელ რუსეთშიო.

ახლა, სწორედ 1906 წ. 9 ნოემბრის ბრძანებულების მეხუთე წლისთავზე, შიმშილობა და მოუსავლობა, რომელიც მოედვა თითქმის ნახევარ რუსეთს, ცხადად და ურყევად ამტკიცებს, თუ რამდენი აშკარა სიცრუე თუ ბავშვური გაუგებლობა იმალებოდა სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის ამ იმედებში.

მთავრობის გამოანგარიშებითაც კი, რომლის სიზუსტე და «ზომიერება» დაამტკიცა წინა წლების შიმშილობამ, მოუსავლობის უბედურება მოედვა 20 გუბერნიას; მოსახლეობის 20 მილიონ სულს «სასურსათო დახმარების მიღების უფლება აქვს», ე. ი. ისინი სივდებიან შიმშილით და ანადგურებენ თავიანთ მეურნეობას.

კოკოვცოვი ფინანსთა მინისტრი და კონტრრევოლუციური მთავრობის მეთაური არ იქნებოდა, რომ არ «გვამხნევებდეს»: მოუსავლობა კი არ არის, მხოლოდ «ნაკლები მოსავალიაო»; შიმშილი «არ იწვევს ავადმყოფობას», პირიქით, «ხანდახან» მის «განკურნებას შველის», დამშეულთა გაჭირვებაზე ლაპარაკი — მხოლოდ გაზეთების მოგონილი ჭორია— ამას მჭერმეტყველად ამტკიცებენ გუბერნატორები; პირიქით,

«მოუსავლობით დაზარალებული ადგილების ეკონომიური პირობები არც ისე ცუდია»; «მოსახლეობის მუქთად კვების იდეა მავნებელია»; დასასრულ, მთავრობის მიერ მიღებული ზომები «საკმარისი და დროულია».

კონსტიტუციური მთავრობის მეთაურს დაავიწყდა კიდევ აღენიშნა თავისი გენიალური გამოგონება შიმშილობასთან ბრძოლაში: ჯაშუშებისათვის რწმუნების მიცემა «დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის» მოსაწყობად.

ახლა «საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენა» ლეგალურ ლიბერალურ საზოგადოებათა მიერაც კი აკრძალულია, და სარატოველ ჯაშუშს, როგორც დამშეულებზე მონოპოლიურ მზრუნველს, დაუბრკოლებლივ შეუძლია ჰფლანგოს სამიკიტნოებში დამშეულთა დასახმარებლად ჩაბარებული თანხები.

რასაკვირველია, მემარჯვენე მებატონენი აღტაცებული არიან «ბ-ნ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საფუძვლიანი და, ასე ვთქვათ, ყოვლისშემცველი სიტყვით» (დეპუტატი ვიშნევსკი, 9 ნოემბრის სხდომა); რასაკვირველია, ყურმოჭრილ მონებად გადაქცეულმა ოქტიაბრისტებმა საჩქაროდ დაადასტურეს სათათბიროს გადასვლის ფორმულაში, რომ «მთავრობამ თავის დროზე მიიღო ზომები მოუსავლობის შედეგებთან საბრძოლველად»; ხოლო ერთ-ერთი მათი ლიდერი (უბრალო მომაკვდავი კი არა!) ღრმაზროვნად მსჯელობდა «თევზის კონსერვების თავისუფალ ცირკულაციაზე მიზანშეწონილი საჭმლით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად».

შიმშილით გამოწვეული სახადი, სურავანდი, კვება ძაღლებისათვის წართმეული ლეშით ან ნაცარ-ნეხვის პურით, რასაც სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე აჩვენებდნენ, — ყოველივე ეს ოქტიაბრისტებისთვის არ არსებობს. მათთვის მინისტრის სიტყვა — კანონია.

კადეტები? მათ ასეთ საკითხშიც კი მთავრობის საზიზღარი საქციელის პატიოსანი შეფასების ნაცვლად იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონეს, რომ თავიანთი ორატორის კუტლერის პირით «დამამშვიდებელი დასკვნები გამოეტანათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვრცელი სიტყვიდან» (9 ნოემბრის

სხდომა); ხოლო თავიანთ გადასვლის ფორმულაში მთავრობის მოქმედებას ნაზად უწოდეს მხოლოდ «ნაკლებად (!) გეგმაშეწონილი, არასაკმარისი და სრულიადაც არა ყოველთვის (!) დროული»...

სასურსათო დახმარების საშუალებათა და მისი მოწყობის საკითხი, როგორც სამართლიანად შენიშნა თავის სიტყვაში სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა, ამხანაგმა ბელოუსოვმა, საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ძირითადი საკითხი, რომელიც ყოველთვის წამოიჭრება ხოლმე, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება შიმშილობაზე, — შიმშილობის მიზეზებისა და მოუსავლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხი.

მემარჯვენე მებატონეთათვის საკითხი «სულ უბრალოდ» წყდება: უნდა ვაიძულოთ «უქნარა» გლეხი კიდევ უფრო მეტი იმუშაოს და მაშინ — «თავს გაიტანს». კურსკელ ზუბრს მარკოვ მეორეს «საშინლად» ეჩვენება, რომ «265 დღიდან გლეხი 55 — 70 დღე მუშაობს, 300 დღე კი არაფერს აკეთებს» და მხართეძოზე წამოწოლილი «სახაზინო ულუფას მოითხოვსო».

ნახევრად-მებატონე ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები «უფრო ღრმად» უყურებენ საკითხს: ისინი, ვალდებულების თანახმად ხელისუფალთა მადიდებელნი, იმასაც ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ «შიმშილობის საკითხი რადიკალურად გადაიჭრება მაშინ, როდესაც მიწა სუსტებისა და ლოთების ხელიდან გადავა ძლიერთა და ფხიზელთა ხელში», «როდესაც განხორციელდება განსვენებულ პ. ა. სტოლიპინის მიერ დასახული რეფორმა, როდესაც შეძლებულებზე დაყრდნობის გეზი გაიმარჯვებს» (კელეპოვსკის სიტყვა სათათბიროს 9 ნოემბრის სხდომაზე).

მაგრამ 9 ნოემბრის ბრძანებულების ამასწინანდელ დამცველთაგან უფრო გამჭრიახნი უკვე გრძნობენ, რომ ამ «დიად რეფორმას» სიკვდილის ცელი დასტრიალებს. სარატოველი დეპუტატი ნ. ლვოვი, რომელიც იცავდა და «იცავს 9 ნოემბრის კანონს», სათათბიროს უზიარებს შემდეგს შთაბეჭდი-

ლებას, რაც მას მიუღია «სინამდვილესთან დაახლოების გამო»: — «როგორღაც საშინლად დაშორებულია ყოველივე ის, რასაც თქვენ აქ სახელმწიფო სათათბიროში ლაპარაკობთ, იმ უშუალო მახლობელ გაჭირვებისაგან, რასაც საკუთარი თვალით ხედავ». «საჭიროა დიდი სიფრთხილე და უნდა შეიბრალო ის მოსახლეობა, რომელიც ზოგიერთებს უნდათ უგულებელყონ. 9 ნოემბრის კანონის მეოხებით, ზოგიერთ გუბერნიაში, და მათ შორის სარატოვისაშიც, გაჩნდა ბევრი ახალი ხალხი, მიწის ფასი გაიზარდა, და უღარიბესი მოსახლეობის მდგომარეობა მეტად სამძიმო გახდა... გლეხ მოსახლეობაში იზრდება ღარიბთა საშინელი მძულვარება და წყევა-კრულვა, რის წინააღმდეგაც საჭიროა რაიმე ზომების მიღება... შეძლებულებზე დაყრდნობის გეზი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უღარიბესთ სული ამოვართვათ და სიღატაკეში დასაღუპად გავწიროთ» და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, «სინამდვილესთან სიახლოვით გამოტანილი» შთაბეჭდილება უკვე თვალებს აფშვნეტინებს ამ მემამულეს, რომელიც «9 ნოემბრის კანონს იცავდა».

გაცილებით უფრო ღრმა ეჭვები სტოლიპინის «მიწის რეფორმის» მხსნელი ხასიათის შესახებ წლევანდელმა შიმშილობამ მემარჯვენე გლეხებში აღძრა; მემარჯვენე გლეხის ანდრეიჩუკის წინადადება, «რომ მთავრობამ მოკლე ხანში შემოიტანოს სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი მსხვილი მიწათმფლობელობის მიწის რაოდენობის ზღვრული ნორმის დაწესების შესახებ», — ეს წინადადება, რომელსაც მხარი დაუჭირეს ყველა მემარჯვენე გლეხმა და სოფლის მღვდლებმაც კი, ყველაზე უკეთ ააშკარავებს, თუ როგორ ესმით გლეხებს, თუნდაც მემარჯვენეებს, «შიმშილობასთან ბრძოლა».

ანდრეიჩუკის «გულის სიღრმიდან ამოხეთქილი» გლეხური მოთხოვნა კიდევ და კიდევ ერთხელ (მოვიგონოთ მემარჯვენე და მემარცხენე გლეხთა განცხადება მცირემიწიანთათვის მიწის მიცემის შესახებ მემამულეთა მიწების იძულებითი გასხვისების საშუალებით, მოვიგონოთ გლეხების გამოსვლა 9 ნოემ-

ბრის ბრძანებულების შესახებ გამართულ კამათში და სხვ.) მოწმობს იმას, თუ რამდენად იჭრება მემარჯვენე გლეხთა შეგნებაშიც კი საადგილმამულო რევოლუციის აუცილებლობა, რამდენად გ ა ნ უ ყ რ ე ლ ი ა მათს წარმოდგენაშიც კი შიმშილობასთან ბრძოლა და «მ ი წ ი ს ა თ ვ ი ს» ბ რ ძ ო ლ ა.

შიმშილობასთან ნამდვილი ბრძოლა შეუძლებელია გლეხთა მცირემიწიანობის მოუსპობლად, გლეხთა გადასახადების სიმძიმის შეუმსუბუქებლად, მათი კულტურული დონის აუმაღლებლად, მათი უფლებრივი მდგომარეობის გადაჭრით შეუცვლელად, მემამულეთა მიწების უკონფისკაციოდ — უ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო დ.

და ამ მხრივ წლევანდელი მოუსავლობა სიკვდილის ახალი გახსენებაა მთელი დღევანდელი წყობილებისათვის, მთელი სამი ივნისის მონარქიისათვის.

«რაბოჩაია გაზეტა» № 7,
1911 წ. 22 დეკემბერი
(1912 წ. 4 იანვარი)

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

რსდმპ სრულიად რუსეთის VI («პრალის») კონფერენცია[129]

1912 წ. 5 — 17 (18 — 30) იანვარი

1

პროექტი რეზოლუციისა კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ [130]

რეზოლუცია კონსტიტუირების შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ კონტრრევოლუციური სულისკვეთების ფართო ნაკადითა და ცარიზმის მხრივ საშინელი დევნით გამოწვეულმა პარტიის ორგანიზაციათა უმრავლესობის რღვევამ და დაშლამ პარტიული პრაქტიკული ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, ხანგრძლივი უყოლობის დროს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუქმნა მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა;

2) რომ ამჟამად მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით ყველგან ჩანს მოწინავე მუშების გაძლიერებული მისწრაფება პარტიის არალეგალურ ორგანიზაციათა აღდგენისადმი და რომ ამ ნიადაგზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა უმრავლესობამ დიდი და წარმატებული თაოსნობა გამოიჩინა პარტიის აღორძინებისა და საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში;

3) რომ მუშათა მოძრაობისა და ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის ფრიად გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები (ხელმძღვანელობა ეკონომიური ბრძოლისა, პოლიტიკური აგიტაციისა და პროლეტარული მიტინგებისა, IV სათათბიროს არჩევნები და სხვ.) ყოვლად აუცილებელს ხდიან დაუყოვნებლივი და უაღრესად ენერგიული ზომების მიღებას იმისათ-

ვის, რომ აღდგენილ იქნას უფლებამოსილი და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკული პარტიული ცენტრი;

4) რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელი კონფერენციის დროიდან სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რომ ორ წელიწადზე მეტია, რაც მრავალჯერ ვცადეთ პარტიის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრების მოწვევა და როგორც იქნა ამჟამად მოხერხდა რუსეთის ოცი ორგანიზაციის დარაზმვა ამ კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ირგვლივ, რომელმაც კონფერენციის შესახებ უკვე რამდენიმე თვეა შეატყობინა ყველა სოციალ-დემოკრატს და კონფერენციაზე მოიწვია ჩვენი პარტიის გამოუკლებლივ ყველა ორგანიზაცია, ამასთან ყველა ორგანიზაციას მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში;

5) რომ ამ კონფერენციაზე, მიუხედავად მისი დაგვიანებისა და მთელი რიგი მძიმე ჩავარდნებისა, წარმოდგენილია, მხოლოდ ერთეულ გამონაკლისთა გარდა, რუსეთში მოქმედი ყველა ორგანიზაცია, —

— კონფერენცია კონსტიტუირდება როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საერთო-პარტიული კონფერენცია, რომელიც წარმოადგენს პარტიის უმაღლეს ორგანოს და ვალდებულია შექმნას უფლებამოსილი ცენტრალური დაწესებულებანი.

დაწერილია არა უგვიანეს
1912 წ. 5 (18) იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1937 წ. 18 იანვარს
გაზეთ «პრავდის» № 18-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

2

პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე

კონფერენცია უწინარეს ყოვლისა ადასტურებს იმ რეზოლუციას «თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე», რომელიც მიიღო პარტიულმა კონფერენციამ 1908 წლის დეკემბერში. კონფერენცია აღნიშნავს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ამ რეზოლუციისას, რომლის დებულებანი, ერთი მხრივ, მთელი სამი იენისის რეჟიმის ისტორიული მნიშვნელობისა და კლასობრივი დედაარსის შესახებ და, მეორე მხრივ, რევოლუციური კრიზისის ზრდის შესახებ სავსებით დაადასტურა განვლილი სამი წლის ამბებმა.

ამ ამბებიდან კონფერენცია კერძოდ აღნიშნავს შემდეგს:

ა) ცარიზმის აგრარულმა პოლიტიკამ, რომელსაც თავისი კონტრრევოლუციური ინტერესები დაუკავშირეს როგორც მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის მმართველმა პარტიებმა, ისე კონტრრევოლუციურმა ლიბერალიზმმა, არათუ ცოტად თუ ბევრად მტკიცე ბურჟუაზიული ურთიერთობა ვერ დაამყარა სოფლად, არამედ ვერ იხსნა გლეხური მოსახლეობა მასობრივი შიმშილობისაგან, რაც ნიშნავს მოსახლეობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებას და საწარმოო ძალთა უდიდეს დანაკლისს.

ბ) რადგან თვითმპყრობელობა უძლური რჩება თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მსოფლიო კონკურენციის ნიადაგზე და მას უფრო და უფრო უკან სწევენ ევროპაში, იგი, დაკავშირებული შავრაზმულ თავადაზნაურობასა

და გაძლიერების პროცესში მყოფ სამრეწველო ბურჟუაზიასთან, ამჟამად ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი მტაცებლური ინტერესები უხეში «ნაციონალისტური» პოლიტიკით, რომელიც მიმართულია უფრო კულტურული ოლქების წინააღმდეგ (ფინეთი, პოლონეთი, ჩრდილო-დასავლეთი მხარე), და კოლონიურ დაპყრობათა გზით, რაც მიმართულია თავისუფლებისათვის რევოლუციურად მებრძოლი აზიელი ხალხების წინააღმდეგ (სპარსეთი, მონღოლეთი).

გ) დაწყებულ ეკონომიურ აღმავლობას დიდად აქარწყლებს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის სრული მოშლა, თვითმპყრობელობის მტაცებლური საბიუჯეტო პოლიტიკა და ბიუროკრატიული აპარატის სრული რღვევა, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების სიძვირის მატება ამწვავებს მუშათა კლასისა და მოსახლეობის ფართო მასების გაჭირვებას.

დ) ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის ფართო მასები III სათათბიროს ხუთი წლის არსებობის მანძილზე სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მას არა სურს, უნარი და ძალა არ შესწევს რამე გააკეთოს ხალხის ფართო მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რწმუნდებიან, რომ ამ სათათბიროში გაბატონებულ პარტიებს ანტიხალხური ხასიათი აქვთ.

ე) დემოკრატიის ფართო წრეებში და პირველ ყოვლისა პროლეტარიატში აღინიშნება პოლიტიკური გამოცოცხლების დაწყება. 1910 — 1911 წლების მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციებისა და პროლეტარული მიტინგების დაწყება, ქალაქის ბურჟუაზიულ დემოკრატიაში მოძრაობის დაწყება (სტუდენტთა გაფიცვები) და სხვა — ყოველივე ეს ნიშნებია მასების მზარდი რევოლუციური სულისკვეთებისა 3 ივნისის რეჟიმის წინააღმდეგ.

კონფერენცია გამოდის ყველა ამ მონაცემიდან და ადასტურებს პარტიის წინაშე დასახულ ამოცანებს, რომლებიც დაწვრილებითაა აღნიშნული 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციაში; კონფერენცია ამხანაგების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას,

1) რომ დღის წესრიგში, როგორც წინათ, უწინარეს ყოვლისა დგას პროლეტარიატის შეგნებული მასების სოციალისტური აღზრდის, ორგანიზაციისა და შემჭიდროების ხანგრძლივი მუშაობა;

2) რომ აუცილებელია გაძლიერებული მუშაობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აღსადგენად, რომელიც კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებს, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა, ყველა და ყოველგვარ ლეგალურ შესაძლებლობას, შესძლებს უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას და ერთადერთს შეუძლია უხელმძღვანელოს მის სულ უფრო და უფრო გახშირებულ პოლიტიკურ გამოსვლებს;

3) რომ აუცილებელია მოეწყოს და გაფართოვდეს სისტემატური პოლიტიკური აგიტაცია, ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინოს მასების დაწყებულ მოძრაობას და მის გაფართოებას პარტიის სავსებით გასატარებელი ლოზუნგების დროშით.

რესპუბლიკური პროპაგანდა მეფის მონარქიის პოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით უნდა იყოს წინ წამოწეული, სხვათა შორის, ლოზუნგების შეკვეცისა და არსებულ «ლეგალობასთან» შეგუების ფართოდ წარმოებული პროპაგანდის საწინააღმდეგოდაც.

დაწერილია 1912 წ.
იანვრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციას» № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

3

პროექტი რეზოლუციისა ს.-დ. ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში [131]

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რუსეთის 20 მილიონი გლეხის შიმშილობა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ცარიზმისა და მებატონე-მემამულეთა კლასის მიერ დაჩაგრული გლეხობის მასების ყოვლად აუტანელ, მსოფლიოს რომელიმე ცივილიზებულ სახელმწიფოში წარმოუდგენელ დაბეჩავებულ მდგომარეობას;

2) რომ ახლანდელი შიმშილობა ერთხელ კიდევ ადასტურებს მთავრობის აგრარული პოლიტიკის დამარცხებას და რუსეთის ცოტად თუ ბევრად ნორმალური ბურჟუაზიული განვითარების უზრუნველყოფის შეუძლებლობას, თუ საერთოდ მის პოლიტიკას და კერძოდ აგრარულ პოლიტიკას წარმართავს კლასი მებატონე-მემამულეებისა, რომლებიც მემარჯვენე პარტიების სახით ბატონობენ III სათათბიროშიც, სახელმწიფო საბჭოშიც და ნიკოლოზ მეორის სამეფო კარის სფეროებშიც;

3) რომ შავრაზმულმა პარტიებმა (ბატონ მარკოვებისა და სხვ. მეთაურობით) სათათბიროში თავიანთი განცხადებებით და პასუხისმგებლობის «უქნარა გლეხებზე» დაკისრებით რუსეთის მძარცველი მეფისა და მემამულეთა ბრბოს ურცხვობა იქამდე მიიყვანეს, რომ ყველაზე გონებადახშულთ ეხილებათ თვალი და ყველაზე გულგრილნი ღელავენ;

4) რომ მთავრობის დაბრკოლებანი დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, პოლიციის მხრივ შარის მოდება

ერობებისა, ფულის შემგროვებელი და სასადილოების მომწყობი კომიტეტებისა და სხვებისათვის უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს ბურჟუაზიაშიც კი და პროტესტს იწვევს ისეთ ჩამორჩენილ და კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიაშიც კი, როგორიცაა ოქტიაბრისტული ბურჟუაზია;

5) რომ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, ერთი მხრივ, თავისი პრესით ცნობებს აწოდებს საზოგადოებას შიმშილობისა და მთავრობის მოქმედების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, კადეტ კუტლერის სახით III სათათბიროში მან ისეთი ზომიერ-ოპოზიციური პოზიცია დაიკავა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დააკმაყოფილოს დემოკრატია, ისე როგორც შეუძლებელია შევურიგდეთ ლიბერალების უმრავლესობის მიერ დამშეულთა დახმარების საკითხის ფილანთროპიულ დაყენებას;

6) რომ მუშათა კლასში, მიუხედავად მისი ეკონომიური მდგომარეობის იმ გაუარესებისა, რაც დამშეულთა და უმუშევართა რიცხვის გადიდებიდან გამომდინარეობს, ვხედავთ სტიქიურ მისწრაფებას დამშეულთა სასარგებლოდ ფულის შეგროვებისა და სხვაგვარი დახმარების აღმოჩენისადმი და რომ ამ მისწრაფებას, რომელიც ბუნებრივია ყოველი დემოკრატისათვის, სოციალისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველა სოციალ-დემოკრატმა მხარი უნდა დაუჭიროს და წარმართოს კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით;

— კონფერენცია ადგენს, რომ

ა) საჭიროა დავძაბოთ მთელი ძალღონე მოსახლეობისა და განსაკუთრებით გლეხობის ფართო მასებში პროპაგანდა-აგიტაციის გასაფართოებლად, განვმარტოთ შიმშილის კავშირი ცარიზმთან და მთელ მის პოლიტიკასთან, სოფლად აგიტაციის მიზნით გავავრცელოთ არა მარტო სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების მიერ სათათბიროში წარმოთქმული სიტყვები, არამედ მეფის ისეთი მეგობრების სიტყვებიც, როგორიცაა მარკოვ მეორე, და გავავრცელოთ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მოთხოვნები, პირველ რიგში, მეფის

მონარქიის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, შემდეგ კი მემამულეთა მიწების კონფისკაცია;

(ბ) მხარი დავუჭიროთ მუშათა მისწრაფებას, რამდენადაც შესაძლებელია დაეხმარონ დამშეულებს, ვურჩიოთ მათ შემოწირულება უგზავნონ მხოლოდ და მხოლოდ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, მუშათა პრესას ან მუშათა კულტურულ-განმანათლებელ და სხვა საზოგადოებებს და ა. შ. და შეადგინონ სოციალ-დემოკრატთა და დემოკრატთა საგანგებო უჯრედები დამშეულთა დამხმარე ჯგუფებსა, კომიტეტებსა თუ კომისიებში შესვლისას;

(გ) ვეცადოთ შიმშილობით გამოწვეული დემოკრატიული მღელვარება მივმართოთ დემონსტრაციების, მიტინგების, მასობრივი კრებებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მასების რევოლუციური ბრძოლის დაწყების სხვა ფორმებისაკენ.

დაწერილია 1912 წ.
იანვრის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
18 იანვარს გაზეთ «პრავდის» № 18-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

4

პროექტი რეზოლუციისა ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ

ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია უკვე დაახლოებით ოთხი წელიწადია გადამწყვეტ ბრძოლას ეწევა ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან, რომელიც პარტიის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე განსაზღვრული იყო როგორც

«პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შესცვალოს იგი უფორმო გაერთიანებით უეჭველი ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ეს ლეგალობა მოითხოვდეს პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ტრადიციების აშკარა უარყოფას»;

2) რომ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა, განაგრძობდა რა ბრძოლას ამ მიმდინარეობასთან, ერთხმად აღიარა იგი «პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულებად» და ბოლშევიკებისა და მენშევიკების წინანდელი ფრაქციების ნამდვილი პარტიული ერთიანობისა და გაერთიანების პირობად წამოაყენა ლიკვიდატორობის სრული უარყოფა და სოციალიზმიდან ამ ბურჟუაზიული გადახრის საბოლოოდ დაძლევა;

3) რომ მიუხედავად პარტიის ყველა გადაწყვეტილებისა და მენშევიზმის წარმომადგენლების მიერ 1910 წ. იანვრის პლენუმზე ნაკისრი ვალდებულებისა, უბადრუკი ჟურნალების «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ირგვლივ დაჯგუფებულმა მენშევიკების ნაწილმა უარი თქვა დახმარებოდა ცენტრალური კომიტეტის აღდგენას (მიხეილის, იურისა და რომანის უარი — არათუ შესულიყვნენ ცენტრალურ კომიტეტში 1910 წლის გაზაფხულზე, არამედ გამოცხადებულიყვნენ ერთ სხდომაზე მაინც ახალი წევრების საკოოპტაციოდ);

4) რომ ხსენებული გამოცემანი სწორედ 1910 წლის პლენუმის შემდეგ გადაჭრით და მთელი ხაზით ჰიემხრნენ ლიკვიდატორობას, და არათუ «ამცირებენ» (მიუხედავად პლენუმის გადაწყვეტილებისა) «არალეგალური პარტიის მნიშვნელობას», არამედ პირდაპირ უარყოფენ მას, აცხადებენ უკვე გაუქმებულად, «რეაქციულ უტოპიად» აცხადებენ არალეგალური პარტიის აღდგენას, დასცინიან და ლანძღავენ მას ცენზურიანი ჟურნალების ფურცლებიდან, მოუწოდებენ მუშებს «მოსპობილად» აღიარონ პარტიის უჯრედები და მისი იერარქია და სხვ.;

5) რომ მცირერიცხოვანი, უმთავრესად ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, ლიკვიდატორთა ადგილობრივი პატარა ჯგუფები, განაგრძობდნენ რა პარტიის დამანგრეველ მუშაობას, არათუ უარს ამბობდნენ 1911 წელს განმეორებულ მოწოდებაზე — ხელი შეეწყოთ არალეგალური პარტიის აღდგენისა და მისი კონფერენციის მოწვევისათვის, არამედ, სრულიად დამოუკიდებელ პატარ-პატარა ჯგუფებად დარაზმულები ეწეოდნენ აშკარა აგიტაციას მუშებში არალეგალური პარტიის წინააღმდეგ და აშკარა ბრძოლას მისი აღდგენის წინააღმდეგ, — აგრეთვე იქაც, სადაც პარტიელი მენშევიკები სჭარბობდნენ (მაგალითად, ეკატერინოსლავში, ბაქოში, კიევში და სხვ.);

— კონფერენცია აცხადებს, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა თავისი მოქმედებით საბოლოოდ დაიყენა თავი პარტიის გარეთ.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა პარტიელს, მიმდინარეობათა და ელფერთა განურჩევლად, ებრძოლონ ლიკვიდატორობას, განმარტონ მთელი მისი მავნებლობა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის და დაძაბონ მთელი ძალღონე არალეგალური რსდმ პარტიის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

დაწერილია 1912 წ. იანვრის
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1929 — 1930 წლებში
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

5

კონფერენციის რეზოლუციები

კონფერენციის მოგვწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლის ანგარიში კომისიის მუშაობის შესახებ საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში, —

კონფერენცია თავის მოვალეობად თვლის აღნიშნოს რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის ყველა პარტიული ორგანიზაციის შემჭიდროებისათვის ფრაქციების განურჩევლად და ჩვენი პარტიის, როგორც საერთო-რუსეთის ორგანიზაციის, აღდგენისათვის.

საქმიანობა რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა, რომელშიც ერთსულოვნად მუშაობდნენ ბოლშევიკები და რუსეთის მენშევიკი-პარტიელები, მით უფრო ღირსია მოწონებისა, რომ რუსეთის საორგანიზაციო კომისიას მუშაობა მოუხდა საშინლად მძიმე პოლიციურ პირობებში და შინაპარტიული მდგომარეობით გამოწვეულ მთელ რიგ დაბრკოლებათა და სიძნელეთა პირობებში.

კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ კონტრრევოლუციური სულისკვეთების ფართო ნაკადით და ცარიზმის მხრივ საშინელი დევნით გამოწვეულმა პარტიის ორგანიზაციათა უმრავლესობის რღვევამ და დაშ-

ლამ პარტიული პრაქტიკული ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, ხანგრძლივი უყოლობის დროს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუქმნა მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა 1908—1911 წლების პერიოდში;

2) რომ ამჟამად მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით ყველგან ჩანს მოწინავე მუშების გაძლიერებული მისწრაფება პარტიის არალეგალურ ორგანიზაციათა აღდგენისა და სისტემატური ლეგალური და არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მოგვარებისადმი, და რომ ამ ნიადაგზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა უმრავლესობამ დიდი და წარმატებული თაოსნობა გამოიჩინა პარტიის აღორძინებისა და საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში;

3) რომ მუშათა მოძრაობისა და ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის ფრიად გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები (ხელმძღვანელობა ეკონომიური ბრძოლისა, საერთო-პოლიტიკური აგიტაციისა, პროლეტარული მიტინგებისა, IV სათათბიროს საარჩევნო კამპანიისა და სხვ.) ყოვლად აუცილებელს ხდიან დაუყოვნებლივი და უაღრესად ენერგიული ზომების მიღებას უფლებამოსილი და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკული პარტიული ცენტრის აღსადგენად;

4) რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელი კონფერენციის დროიდან სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რომ ორ წელიწადზე მეტია ვცდილობთ პარტიის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრების მოწვევას და როგორც იქნა ამჟამად მოხერხდა რუსეთის ოცზე მეტი ორგანიზაციის (ს.-პეტერბურგი, მოსკოვი, სარატოვი, ყაზანი, სამარა, ნიჟნი, სორმოვო, როსტოვი, ეკატერინოსლავი, კიევი, ნიკოლაევი, ლუგანსკი, ბაქო, თბილისის ჯგუფი, ვილნოს ჯგუფი, დვინსკის ჯგუფი, ეკატერინბურგი, უფა, ტიუმენი, მთელი რიგი პუნქტები ცენტრალურ ოლქში და სხვ.) დარაზმვა ამ კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ირგვლივ, რომელმაც კონფერენციის შესახებ უკვე რამდე-

5

კონფერენციის რეზოლუციები

კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლის ანგარიში კომისიის მუშაობის შესახებ საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში, —

კონფერენცია თავის მოვალეობად თვლის აღნიშნოს რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის ყველა პარტიული ორგანიზაციის შემჭიდროებისათვის ფრაქციების განურჩევლად და ჩვენი პარტიის, როგორც საერთო-რუსეთის ორგანიზაციის, აღდგენისათვის.

საქმიანობა რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა, რომელშიც ერთსულოვნად მუშაობდნენ ბოლშევიკები და რუსეთის მენშევიკი-პარტიელები, მით უფრო ღირსია მოწონებისა, რომ რუსეთის საორგანიზაციო კომისიას მუშაობა მოუხდა საშინლად მძიმე პოლიციურ პირობებში და შინაპარტიული მდგომარეობით გამოწვეულ მთელ რიგ დაბრკოლებათა და სიძნელეთა პირობებში.

კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ კონტრრევოლუციური სულისკვეთების ფართო ნაკადით და ცარიზმის მხრივ საშინელი დევნით გამოწვეულმა პარტიის ორგანიზაციათა უმრავლესობის რღვევამ და დაშ-

ლამ პარტიული პრაქტიკული ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, ხანგრძლივი უყოლობის დროს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუქმნა მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა 1908—1911 წლების პერიოდში;

2) რომ ამჟამად მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით ყველგან ჩანს მოწინავე მუშების გაძლიერებული მისწრაფება პარტიის არალეგალურ ორგანიზაციათა აღდგენისა და სისტემატური ლეგალური და არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მოგვარებისადმი, და რომ ამ ნიადაგზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა უმრავლესობამ დიდი და წარმატებული თაოსნობა გამოიჩინა პარტიის აღორძინებისა და საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში;

3) რომ მუშათა მოძრაობისა და ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის ფრიად გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები (ხელმძღვანელობა ეკონომიური ბრძოლისა, საერთო-პოლიტიკური აგიტაციისა, პროლეტარული მიტინგებისა, IV სათათბიროს საარჩევნო კამპანიისა და სხვ.) ყოვლად აუცილებელს ხდიან დაუყოვნებლივი და უაღრესად ენერგიული ზომების მიღებას უფლებამოსილი და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკული პარტიული ცენტრის აღსადგენად;

4) რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელი კონფერენციის დროიდან სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რომ ორ წელიწადზე მეტია ვცდილობთ პარტიის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრების მოწვევას და როგორც იქნა ამჟამად მოხერხდა რუსეთის ოცზე მეტი ორგანიზაციის (ს.-პეტერბურგი, მოსკოვი, სარატოვი, ყაზანი, სამარა, ნიჟნი, სორმოვო, როსტოვი, ეკატერინოსლავი, კიევი, ნიკოლაევი, ლუგანსკი, ბაქო, თბილისის ჯგუფი, ვილნოს ჯგუფი, დვინსკის ჯგუფი, ეკატერინბურგი, უფა, ტიუმენი, მთელი რიგი პუნქტები ცენტრალურ ოლქში და სხვ.) დარაზმვა ამ კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ირგვლივ, რომელმაც კონფერენციის შესახებ უკვე რამდე-

ნიმე თვეა შეატყობინა ყველა სოციალ-დემოკრატს და კონფერენციაზე მოიწვია ჩვენი პარტიის გამოუკლებლივ ყველა ორგანიზაცია, ამასთან ყველა ორგანიზაციას მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში;

5) რომ ამ კონფერენციაზე, მიუხედავად მთელი რიგი მძიმე პოლიციური ჩავარდნებისა, წარმოდგენილია, მხოლოდ ერთეულ გამონაკლისთა გარდა, რუსეთში მოქმედი ყველა პარტიული ორგანიზაცია;

6) რომ კონფერენციაზე მოწვეულია რუსეთის მთელი რიგი დიდი ქალაქების (პეტერბურგი, მოსკოვი, კავკასია) ლეგალური მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს კონფერენციას; —

კონფერენცია კონსტიტუირდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საერთო-პარტიულ კონფერენციად და ის წარმოადგენს პარტიის უმაღლეს ორგანოს.

საერთო-პარტიულ კონფერენციაზე ნაციონალური ცენტრების დელეგატთა დაუსწრებლობის შესახებ

კონფერენცია უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ აღიარებს რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატი მუშების ერთიანობის განმტკიცებას, ყოვლად აუცილებლად თვლის «ნაციონალებთან» ერთიანობის დამყარებას ადგილობრივ და საერთო-რუსეთის ცენტრთან ნაციონალური ორგანიზაციების კავშირის განმტკიცებას; ამასთანავე კონფერენცია იძულებულია განაცხადოს შემდეგი:

1) გამოცდილებამ საბოლოოდ დაამტკიცა პარტიაში ისეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობა, როცა რუსეთის ორგანიზაციათაგან სრულიად განცალკევებით მომუშავე «ნაციონალები» უცუდესი ტიპის ფედერაციას ახორციელებდნენ და — ხშირად თავისი სურვილის დამოუკიდებლად — რუსეთის უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებს ისეთ მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ იმ ნაციონალური ცენტრების გარეშე, რომელნიც პრაქტიკულად რუსეთის მუშაობაში აბსოლუტურად

არ მონაწილეობდნენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ შეეძლო განეხორციელებინა უაღრესად საჭირო და დიდმნიშვნელოვანი პარტიული წამოწყებანი.

2) ერთ-ერთი ნაციონალური ცენტრი (ბუნდისა) უკანასკნელი წლის განმავლობაში აშკარად ეხმარებოდა ლიკვიდატორებს და ცდილობდა გათიშვა მოეხდინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, ხოლო სხვები (ლატვიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ცენტრები) გადამწყვეტ მომენტში ჩამოშორდნენ ბრძოლას პარტიის დამარღვევლების — ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

3) ნაციონალური ორგანიზაციების პარტიული ელემენტები და უწინარეს ყოვლისა ყველა მუშა პარტიელი, რამდენადაც მათ ყურამდე აღწევს რ უ ს ე თ ი ს ორგანიზაციათა ცხოვრების ამბები, გადაჭრით უ ჭ ე რ ე ნ მ ხ ა რ ს რუსეთის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთიანობას, რუსეთის საორგანიზაციო კომისიას და ლიკვიდატორობასთან ბრძოლას.

4) სამივე ნაციონალური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტები სამჯერ იყვნენ მოწვეულნი პარტიულ კონფერენციაზე (საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის, რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა და კონფერენციის დელეგატების მიერ) და მათ უზრუნველყოფილი აქვთ სრული შესაძლებლობა გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები.

ყოველივე ამის გამო, და რადგან შეუძლებლად მიაჩნია გადასდოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუშაობა იმ მიზეზით, რომ ნაციონალურ ცენტრებს არა სურთ გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები საერთო-პარტიულ კონფერენციაზე, — კონფერენცია მთელ პასუხისმგებლობას «ნაციონალთა» გამოუცხადებლობისათვის აკისრებს მათს ცენტრებს და ავალებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განუწყვეტლივ ეცადოს ერთიანობა და ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რსდმ პარტიაში შემავალ ნაციონალურ ორგანიზაციებთან.

კონფერენცია გამოთქვამს რწმენას, რომ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, რუსეთის ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატი მუშები ერთსულოვნად და ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოლებენ პროლეტარული საქმისათვის და მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ.

ადგილებიდან მოსმენილი ანგარიშების შესახებ

ადგილებიდან მოსმენილი ანგარიშების გამო კონფერენცია აღნიშნავს:

1) ადგილებზე ყველგან წარმოებს ენერგიული მუშაობა სოციალ-დემოკრატ მუშათა შორის ადგილობრივი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების განსამტკიცებლად;

2) ყველგან აღიარებულია არალეგალური და ლეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის შეხამების აუცილებლობა, ყველგან აღიარებენ სოციალ-დემოკრატები, რომ ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს მასებში მუშაობის დასაყრდენ პუნქტებად უნდა ჰქონდეთ ყველა და ყოველგვარი ლეგალური მუშათა საზოგადოება. მაგრამ პროფესიულ კავშირებში, კოოპერატივებში, კლუბებში და სხვაგან პრაქტიკული სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გასაჩაღებლად, მარქსისტული ლიტერატურის გასავრცელებლად, სათათბიროში სოციალ-დემოკრატების გამოსვლების გამოსაყენებლად და სხვა — მაინც კიდევ ცოტაა გაკეთებული, და ამ სფეროში აუცილებლად საჭიროა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ენერგიის გაძლიერება;

3) ადგილებზე ყველგან, გამოუკლებლივ, პარტიულ მუშაობას ერთად და თანხმობით აწარმოებენ უმთავრესად ბოლშევიკები და პარტიელი მენშევიკები, აგრეთვე რუსეთის ვპერიოდელები, სადაც კი ისინი არიან, და ყველა სხვა სოციალ-დემოკრატები, რომელნიც აღიარებენ არალეგალური რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აუცილებლობას, — ამასთან მთელი მუშაობა წარმოებს პარტიულობის

დაცვისა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით.

კონფერენცია რწმენას გამოთქვამს, რომ მუშათა მოძრაობის დაწყებულ გამოცოცხლებასთან დაკავშირებით გაგრძელდება ენერგიული მუშაობა, რათა განვამტკიცოთ ძველი და შევქმნათ ახალი, საკმაოდ მოქნილი, ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც დაეხმარებიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას ა ხ ა ლ ვითარებაში ძ ვ ე ლ ი რევოლუციური მიზნებისა და რევოლუციური მეთოდებისათვის.

თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე

კონფერენცია უწინარეს ყოვლისა ადასტურებს იმ რეზოლუციას 3 ივნისის რეჟიმისა და პარტიის ამოცანების შესახებ, რომელიც მიიღო პარტიულმა კონფერენციამ 1908 წ. დეკემბერში. კონფერენცია აღნიშნავს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ამ რეზოლუციისას, რომლის დებულებანი, ერთი მხრივ, მთელი სამი ივნისის რეჟიმის ისტორიული მნიშვნელობისა და კლასობრივი დედაარსის შესახებ და, მეორე მხრივ, რევოლუციური კრიზისის ზრდის შესახებ სავსებით დაადასტურა განვლილი სამი წლის ამბებმა.

ამ ამბებიდან კონფერენცია კერძოდ აღნიშნავს შემდეგს:

ა) ცარიზმის აგრარულმა პოლიტიკამ, რომელსაც თავისი კონტრრევოლუციური ინტერესები დაუკავშირეს როგორც მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის მმართველმა პარტიებმა, ისე, საქმით, კონტრრევოლუციურმა ლიბერალიზმმაც, არათუ ცოტად თუ ბევრად მტკიცე ბურჟუაზიული ურთიერთობა ვერ დაამყარა სოფლად, არამედ ვერ იხსნა გლეხობა მასობრივი შიმშილობისაგან, რაც ნიშნავს მოსახლეობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებას და ქვეყნის საწარმოო ძალთა უდიდეს გაფლანგვას.

ბ) რადგან ცარიზმი უძლური რჩება თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მსოფლიო კონკურენციის ნიადაგზე და მას უფრო და უფრო უკან სწევენ ევროპაში, იგი,

დაკავშირებული შავრაზმულ თავადაზნაურობასა და გაძლიერების პროცესში მყოფ სამრეწველო ბურჟუაზიასთან, ამჟამად ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი მტაცებლური ინტერესები უხეში «ნაციონალისტური» პოლიტიკით, რომელიც მიმართულია განაპირა მხარეების წინააღმდეგ, ყველა ჩაგრული ეროვნების, კერძოდ უფრო კულტურული ოლქების წინააღმდეგ (ფინეთი, პოლონეთი, ჩრდილო-დასავლეთი მხარე), და კოლონიურ დაპყრობათა გზით, რაც მიმართულია თავისუფლებისათვის რევოლუციურად მებრძოლი აზიელი ხალხების წინააღმდეგ (სპარსეთი, ჩინეთი).

გ) ეკონომიურ აღმავლობას დიდად აქარწყლებს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის სრული მოშლა, თვითმპყრობელობის მტაცებლური საბიუჯეტო პოლიტიკა და ბიუროკრატიული აპარატის რღვევა, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების სიძვირის მატება ამწვავებს მუშათა კლასისა და მოსახლეობის ფართო მასების გაჭირვებას.

დ) ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის ფართო მასები III სათათბიროს ხუთი წლის არსებობის მანძილზე სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მას არა სურს, უნარი და ძალა არ შესწევს რამე გააკეთოს ხალხის ფართო მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რწმუნდებიან, რომ ამ სათათბიროში გაბატონებულ პარტიებს ანტიხალხური ხასიათი აქვთ.

ე) დემოკრატიის ფართო წრეებში და პირველ ყოვლისა პროლეტარიატში აღინიშნება პოლიტიკური გამოცოცხლების დაწყება. 1910 — 1911 წლების მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციებისა და პროლეტარული მიტინგების დაწყება, ქალაქის ბურჟუაზიულ დემოკრატიაში მოძრაობის დაწყება (სტუდენტთა გაფიცვები) და სხვა — ყოველივე ეს გამოხატულებაა მასების მზარდი რევოლუციური სულისკვეთებისა 3 ივნისის რეჟიმის წინააღმდეგ.

კონფერენცია გამოდის ყველა ამ მონაცემიდან და ადასტურებს პარტიის წინაშე დასახულ ამოცანებს, რომლებიც დაწვრილებითაა აღნიშნული 1908 წლის დეკემბრის კონ-

ფერენციის რეზოლუციაში; კონფერენცია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ამოცანა ძალაუფლების დაპყრობისა პროლეტარიატის მიერ, რომელიც წინ მიუძღვის გლეხობას, ისევ რჩება რუსეთის დემოკრატიული გადატრიალების ამოცანად. კონფერენცია განსაკუთრებით მიაქცევს ამხანაგების ყურადღებას იმას,

1) რომ დღის წესრიგში, როგორც წინათ, უწინარეს ყოვლისა დგას პროლეტარიატის მოწინავე მასების სოციალისტური აღზრდის, ორგანიზაციისა და შემჭიდროების ხანგრძლივი მუშაობა;

2) რომ აუცილებელია გაძლიერებული მუშაობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ორგანიზაციის აღსადგენად, რომელიც კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებს, ვიდრე ეს დღემდე ხდებოდა, ყველა და ყოველგვარ ლეგალურ შესაძლებლობას, შესძლებს უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას და ერთადერთს შეუძლია უხელმძღვანელოს მის სულ უფრო და უფრო გახშირებულ პოლიტიკურ გამოსვლებს;

3) რომ აუცილებელია მოეწყოს და გაფართოვდეს სისტემატური პოლიტიკური აგიტაცია, ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინოს მასების დაწყებულ მოძრაობას და მის გაფართოებას პარტიის სავსებით გასატარებელი ლოზუნგების დროშით. რესპუბლიკური პროპაგანდა მეფის მონარქიის პოლიტიკის წინააღმდეგ განსაკუთრებით უნდა იყოს წინ წამოყენებული, სხვათა შორის, ლოზუნგების შეკვეცისა და არსებული «ლეგალობის» ფარგლებით მუშაობის შეზღუდვის ფართოდ წარმოებული პროპაგანდის საწინააღმდეგოდაც.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ

I

კონფერენცია აუცილებელ საჭიროებად თვლის IV სათათბიროს მომავალ საარჩევნო კამპანიაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მონაწილეობას, ჩვენი პარტიის დამოუკიდებელი კანდიდატების წამოყენებას და IV სა-

თათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შექმნას, რომელიც, როგორც ნაწილი, უნდა ემორჩილებოდეს მთელ ჩვენს პარტიას.

არჩევნების დროს პარტიის მთავარ ამოცანას და აგრეთვე თვით სათათბიროში მომავალი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მთავარ ამოცანას, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ყველა დანარჩენი ამოცანა, წარმოადგენს სოციალისტური კლასობრივი პროპაგანდა და მუშათა კლასის ორგანიზაცია.

მომავალ არჩევნებში ჩვენი პარტიის მთავარი საარჩევნო ლოზუნგები უნდა იყოს:

1) დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა

2) 8 ს ა ა თ ი ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე

3) მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მ თ ე ლ ი მ ი წ ი ს კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა.

მთელ ჩვენს წინასაარჩევნო აგიტაციაში საჭიროა რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ იქნას განმარტებული ეს მოთხოვნები III საათბიროს გამოცდილების საფუძველზე და, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მართვა-გამგეობის სფეროში მთავრობის მთელი მოქმედების გამოცდილების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ სამ მოთხოვნასთან განუყრელად უნდა იყოს დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის ყველა დანარჩენი მოთხოვნის პროპაგანდა, როგორც, მაგალითად: საყოველთაო-საარჩევნო უფლება, კოალიციის თავისუფლება, ხალხის მიერ მოსამართლეებისა და მოხელეების არჩევა, მუშების სახელმწიფო დაზღვევა, მუდმივი არმიის შეცვლა ხალხის შეიარაღებით და სხვ.

II

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საერთო ტაქტიკური ხაზი არჩევნებში შემდეგი უნდა იყოს: პარტიამ დაუნდობელი ომი უნდა აწარმოოს მეფის მონარქიისა და მისი მხარის დამჭერი მემამულეთა და კაპიტალისტთა

პარტიების წინააღმდეგ, ამასთან განუხრელად უნდა ამხილოს ბურჟუაზიული ლიბერალების (კადეტთა პარტიის მეთაურობით) კონტრრევოლუციური შეხედულებანი და მათი ყალბი დემოკრატიზმი.

წინასაარჩევნო ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პროლეტარიატის პარტიის პოზიცია გაიმიჯნოს ყ ვ ე ლ ა არაპროლეტარული პარტიისაგან და განმარტებულ იქნას როგორც დემოკრატიული (უმთავრესად ტრუდოვიკული, ნაროდნიკული, ესერული) ჯგუფების მოჩვენებითი სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული დედაარსი, ისე ის ზიანი, რომელსაც აყენებს დემოკრატიის საქმეს მათი მერყეობა თანამიმდევარი და მასობრივი რევოლუციური ბრძოლის საკითხებში.

რაც შეეხება საარჩევნო შეთანხმებას, პარტიამ, რჩება რა იგი ლონდონის ყრილობის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე:

1) მუშათა კურიაში ყველგან უნდა წამოაყენოს თავისი კანდიდატები და აქ არ დაუშვას ა რ ა ვ ი თ ა რ ი შეთანხმება სხვა პარტიებთან ან ჯგუფებთან (ლიკვიდატორებთან);

2) ვინაიდან დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვს უკვე მარტო დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი კანდიდატურების წამოყენების ფაქტს, საჭიროა იზრუნოს იმაზე, რომ ქალაქის ამომრჩეველთა მეორე ყრილობებშიც, ხოლო რამდენადაც შესაძლებელია გლეხთა კურიაშიც პარტიას ჰყავდეს თავისი საკუთარი კანდიდატები;

3) ხელახალი კენჭისყრის დროს (არჩევნების დებულების 106-ე მუხ.) ქალაქის ამომრჩეველთა მეორე ყრილობაზე ამრჩევლების არჩევისას შესაწყნარებელია შეთანხმება ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ლიბერალების წინააღმდეგ, შემდეგ კი ლიბერალებთანაც მთავრობის ყველა პარტიის წინააღმდეგ. შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს ამრჩეველთა საერთო სიების შედგენა ერთ ან რამდენიმე ქალაქში, პირვანდელ არჩევნებში მიცემული ხმების რაოდენობის პროპორციულად;

4) იმ ხუთ ქალაქში (პეტერბურგი, მოსკოვი, რიგა, ოდესა, კიევი), სადაც არსებობს პირდაპირი არჩევნები ხელახალი კენჭისყრით, პირვანდელი არჩევნების დროს აუცილებლად წამოყენებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი კანდიდატურები ქალაქელ ამომრჩეველთა მეორე თანრიგში. აქ ხელახალი კენჭისყრის შემთხვევაში, შავრაზმული საფრთხის აშკარად არარსებობის გამო, შეთანხმება შესაწყნარებელია მხოლოდ დემოკრატიულ ჯგუფებთან ლიბერალების წინააღმდეგ;

5) არავითარი საარჩევნო შეთანხმება არ შეიძლება შეეხოს საერთო პლატფორმის წამოყენებას; იგი არ უნდა ბოჭავდეს სოციალ-დემოკრატ კანდიდატებს რაიმე პოლიტიკური ვალდებულებით და არ უნდა ზღუდავდეს სოციალ-დემოკრატებს ლიბერალების კონტრრევოლუციურობისა და ბურჟუაზიული დემოკრატების ორჭოფობის და არათანამიმდევრობის გაბედული კრიტიკის საქმეში;

6) არჩევნების მეორე სტადიაში (რწმუნებულთა სამაზრო კრებებზე, საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე და სხვ.) ყველგან, სადაც კი საჭირო იქნება ოქტიაბრისტულ-შავრაზმული ან საერთოდ მთავრობის სიის ჩაშლა, აუცილებელია შეთანხმება სადეპუტატო ადგილების განაწილებაზე პირველ ყოვლისა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები და სხვ.), შემდეგ კი ლიბერალებთანაც (კადეტები), უპარტიოებთან, პროგრესისტებთან და სხვ.

III

საარჩევნო კამპანიის მზადება ყველა სოციალ-დემოკრატმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

1) საჭიროა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული უჯრედების დაუყოვნებლივ შექმნა ყველგან, იმ პირობით, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ სოციალ-დემოკრატიულ საარჩევნო კამპანიის მზადებას;

2) სათანადო ყურადღება მიექცეს ლეგალური მუშათა პრესის განმტკიცებასა და გაფართოებას;

3) მთელი საარჩევნო მუშაობა უნდა წარმოებდეს მუშათა პროფესიულ კავშირებსა და ყველა სხვა მუშათა საზოგადოებასთან მჭიდროდ დაკავშირებით, — ამასთან ამ საზოგადოებათა მონაწილეობის ფორმების შერჩევისას საჭიროა ანგარიში გაეწიოს მათს ლეგალობას;

4) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა კურიაში არჩევნების ორგანიზაციულ და სააგიტაციო მომზადებას იმ ექვს გუბერნიაში, სადაც უზრუნველყოფილია მუშათა კურიიდან დეპუტატის არჩევა სათათბიროში (პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის, კოსტრომის, ხარკოვისა და ეკატერინოსლავის გუბერნიები). გამოუკლებლივ ყველა მუშა-ამრჩეველი — აქაც და სხვა გუბერნიებშიც — უნდა იყვნენ პარტიელი სოციალ-დემოკრატები;

5) მუშათა რწმუნებულების კრებებმა უნდა იხელმძღვანელონ პარტიული, არალეგალური ორგანიზაციების გადაწყვეტილებით და დაადგინონ, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ ვ ი ნ უნდა იქნას არჩეული სათათბიროში მუშებისაგან, და ვალდებული გახადონ ყველა ამრჩეველი, ღალატის გამო ბოიკოტისა და გასამართლების შიშით, მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული კანდიდატის სასარგებლოდ;

6) მთავრობის მხრივ დევნის, სოციალ-დემოკრატი კანდიდატების დაპატიმრებისა და სხვათა გამო საჭიროა განსაკუთრებით მტკიცე, სისტემატური და ფრთხილი მუშაობა, რათა ყოველგვარი საშუალებით და პოლიციური ტაქტიკის სხვადასხვა ფანდებთან სწრაფად შეფარდებით გავაქარწყლოთ მეფის მთავრობის მთელი ხრიკები და ძალმომრეობა და გავიყვანოთ სოციალ-დემოკრატები IV სახელმწიფო სათათბიროში, შემდეგ კი საერთოდ გავამაგროთ დემოკრატიული დეპუტატების ჯგუფი ამ სათათბიროში;

7) სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს ამტკიცებენ და საარჩევნო დირექტივებს იძლევიან პარტიის ადგილობრივი არალეგალური ორგანიზაციები და ჯგუფები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო კონტროლითა და ხელმძღვანელობით;

8) უკეთუ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, IV სათათბიროს არჩევნებამდე ვერ მოხერხდა პარტიული ყრილობის ან ახალი კონფერენციის მოწვევა, — კონფერენცია რწმუნებულებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს ან იმ დაწესებულებას, რომელსაც უკანასკნელი დანიშნავს, კონკრეტული მითითებები მისცეს ცალკე ადგილებში საარჩევნო კამპანიის ჩატარების საკითხებზე ან იმისდა მიხედვით, თუ რა განსაკუთრებული პირობები წარმოიშობა და სხვ.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ

კონფერენცია აღიარებს, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროს ტრიბუნა გამოიყენა იმ ხაზის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრა პარტიის დეკემბრის (1908 წ.) კონფერენციამ და რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა დარჩეს სათათბიროში პარტიის მუშაობის წარმართვისათვის.

კონფერენცია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, როგორც პროლეტარიატის ამოცანების შესაფერისს, იმ თვისებას ფრაქციის მოღვაწეობაში, რომ იგი უაღრესად ენერგიულად იცავდა მუშათა ინტერესებს და ყოველ ღონისძიებას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (მაგალითად, მუშათა კანონპროექტებში), ამავე დროს ცდილობდა ყველა კერძო ამოცანა გაეშუქებინა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ამოცანების თვალსაზრისით, მიუთითებდა მასების მოძრაობას, როგორც ერთადერთ გზას რუსეთის სახსნელად იმ გაჭირვებისა და შერცხვენისაგან, სადამდისაც მიიყვანა იგი ცარიზმმა.

კონფერენცია მიესალმება მუშათა აშკარა გამოსვლების დასაწყისს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ღირსეულ მოქმედებასთან დაკავშირებით, ფრაქციისა, რომელმაც შავ სათათბიროში აღმართა მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა დროშა და მთელი მსოფლიოს

მუშების წინაშე გამოააშკარავა 1907 წლის სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი მეფის შავრაზმული ბრბოს მთელი პროვოკაციული სიბინძურე. კონფერენცია მოუწოდებს რუსეთის ყველა შეგნებულ მუშას — ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სოციალ-დემოკრატების აღნიშნულ გამოსვლებს III სათათბიროში და პეტერბურგელი მუშების მიერ დაწყებულ პროლეტარული მიტინგების კამპანიას.

კონფერენცია აღიარებს, რომ IV სათათბიროს მომავალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა არაპროლეტარული პარტიის კლასობრივი დედაარსის გარკვევას ხალხისათვის (კერძოდ კადეტთა პარტიის კონტრრევოლუციური და გამცემლური დედაარსის მხილებას), ამასთან უნდა იხელმძღვანელოს ლონდონის (1907 წ.) ყრილობის რეზოლუციით, რომლის ყველა არსებითი ნაწილი დადასტურებულია კონტრრევოლუციის გამოცდილებით. ამასთან ცენტრალური ლოზუნგები, რომლებიც უნდა აერთიანებდეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გამოსვლებს, წარმართავდეს მისი მუშაობის ხასიათს, თავს უყრიდეს მთავარ მუხლებში ყველა კერძო მოთხოვნასა და ცვლილებას, უნდა იყოს სამი შემდეგი ლოზუნგი: 1) დემოკრატიული რესპუბლიკა; 2) 8 საათის სამუშაო დღე; 3) მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია გლეხების სასარგებლოდ.

პარტიული მუშაობის ხასიათისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ

კონფერენცია აღიარებს, რომ სამი უკანასკნელი წლის გამოცდილებამ უცილობლად დაადასტურა დეკემბრის (1908 წ.) კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლუციის ძირითადი დებულებები ორგანიზაციულ საკითხში და ფიქრობს, რომ მუშათა მოძრაობაში დაწყებული გამოცოცხლების ნიადაგზე შესაძლებელი ხდება პარტიული მუშაობის ორგანიზაციული ფორმების შემდგომი განვითარება იმავე გზით, — ე. ი. მუშათა ყოველგვარ ლეგალურ საზოგადოებათა რაც შეიძლება

უფრო განშტოებული ქსელით გარშემორტყმული არალეგალური სოციალ-დემოკრატიული უჯრედების შექმნის გზით, —

კონფერენცია თვლის, რომ:

1) საჭიროა არალეგალური პარტიული ორგანიზაციების უაღრესად აქტიური მონაწილეობა ეკონომიური ბრძოლის (გაფიცვები, საგაფიცვო კომიტეტები და სხვ.) ხელმძღვანელობაში და ამ სფეროში არალეგალურ პარტიულ უჯრედთა თანამშრომლობის დამყარება პროფესიულ კავშირებთან, განსაკუთრებით — პროფესიული კავშირების სოციალ-დემოკრატიულ უჯრედებთან, აგრეთვე პროფესიული მოძრაობის ცალკეულ მოღვაწეებთან;

2) სასურველია პროფესიულ კავშირებში არსებული, პროფესიული ნიშნეულობით მოწყობილი სოციალ-დემოკრატიული უჯრედები — ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით — შეეხამოს ტერიტორიული ნიშნეულობით აგებულ პარტიულ უჯრედებს;

3) საჭიროა რაც შეიძლება მეტი თაოსნობა სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დასაყენებლად ლეგალურ საზოგადოებებში: კავშირები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, სხვადასხვაგვარი გასართობი მუშათა საზოგადოებანი, პროფესიული ორგანოების გავრცელება და პროფესიული პრესის მარქსიზმის სულისკვეთებით წარმართვა, სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა სიტყვების გამოყენება, მუშებისაგან ლეგალური ლექტორების მომზადება, მუშათა და სხვა საარჩევნო კომიტეტების შექმნა (IV სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით) რაიონების, ქუჩებისა და სხვათა მიხედვით, სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით და სხვ.;

4) საჭიროა ენერგიული ღონისძიებანი არალეგალური პარტიული უჯრედების განსამტკიცებლად და გასამრავლებლად, ამ უჯრედთა ახალი, რაც შეიძლება უფრო მოქნილი, ორგანიზაციული ფორმების შესარჩევად, ყოველ ქალაქში ხელმძღვანელი არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად და განსამტკიცებლად და მასობრივი არალეგალური

ორგანიზაციის ისეთი ფორმების საპროპაგანდოდ, როგორიცაა «ბირჟები», საქარხნო პარტიული კრებები და სხვ.;

5) სასურველია საპროპაგანდო წრეების ჩაბმა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში: არალეგალური სოციალ-დემოკრატიული და ლეგალური მარქსისტული ლიტერატურის გავრცელება და სხვ.;

6) საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სისტემატურ ლიტერატურულ სოციალ-დემოკრატიულ აგიტაციას და განსაკუთრებით წესიერად და ხშირად გამომავალი არალეგალური პარტიული გაზეთის რეგულარულ გავრცელებას დიდი მნიშვნელობა ექნება ორგანიზაციული კავშირის დამყარების საქმეშიც როგორც არალეგალურ უჯრედებს შორის, ისე ლეგალური მუშათა საზოგადოებების სოციალ-დემოკრატიულ უჯრედებს შორის.

სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში

1) რუსეთის 20 მილიონი გლეხის შიმშილობა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ცარიზმისა და მებატონე-მემამულეთა კლასის მიერ დაჩაგრული ღარიბი გლეხობის მასების სრულიად აუტანელ, მსოფლიოს რომელიმე ცივილიზებულ სახელმწიფოში ყოვლად წარმოუდგენელ დაბეჩავებულ მდგომარეობას;

2) ახლანდელი შიმშილობა ერთხელ კიდევ ადასტურებს მთავრობის აგრარული პოლიტიკის დამარცხებას და რუსეთის ცოტად თუ ბევრად ნორმალური ბურჟუაზიული განვითარების უზრუნველყოფის შეუძლებლობას, თუ საერთოდ მის პოლიტიკას და კერძოდ აგრარულ პოლიტიკას წარმართავს კლასი მებატონე-მემამულეებისა, რომელნიც, მემარჯვენე პარტიების სახით, ბატონობენ 3 ივნისის სათათბიროშიც, სახელმწიფო საბჭოშიც და ნიკოლოზ მეორის სამეფო კარის სფეროებშიც;

3) შავრაზმულმა პარტიებმა (ბატონ მარკოვებისა და სხვ. მეთაურობით) სათათბიროში თავიანთი განცხადებებით და პასუხისმგებლობის დაკისრებით «უქნარა გლეხებზე» რუსეთის

მძარცველი მეფისა და მემამულეთა ბრბოს ურცხვობა იქამდე მიიყვანეს, რომ ყველაზე გონებადახშულთ თვალი ეხილებათ და ყველაზე გულგრილნი ღელავენ;

4) მთავრობის დაბრკოლებანი დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, პოლიციის მხრივ შარის მოდება ერობებისა, ფულის შემგროვებელი და სასადილოების მომწყობი კომიტეტებისა და სხვებისათვის უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს ერობებისა და ქალაქის ბურჟუაზიის წრეებშიც კი;

5) ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია, ერთი მხრივ, თავისი პრესით ცნობებს აწოდებს საზოგადოებას შიმშილობისა და მთავრობის მოქმედების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, კადეტური ფრაქციის სახით III სათათბიროში გამოდის ისეთ ზომიერ ოპოზიციად, რომ მის მოქმედებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დააკმაყოფილოს დემოკრატია, ისე როგორც შეუძლებელია შევურიგდეთ ლიბერალების უმრავლესობის მიერ დამშეულთა დახმარების საკითხის ფილანთროპიულ დაყენებას;

6) მუშათა კლასში, სრულიად დამოუკიდებლად მისი ეკონომიური მდგომარეობის იმ გაუარესებისა, რაც დამშეულთა და უმუშევართა რიცხვის გადიდებიდან გამომდინარეობს, ვხედავთ სტიქიურ მისწრაფებას დამშეულთა სასარგებლოდ ფულის შეგროვებისა და სხვაგვარი დახმარების აღმოჩენისადმი. ამ მისწრაფებას, რომელიც ბუნებრივია ყოველი დემოკრატისათვის, სოციალისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველა სოციალ-დემოკრატმა მხარი უნდა დაუჭიროს და წარმართოს კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით.

იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში —

კონფერენცია ადგენს, რომ საჭიროა:

ა) დავძაბოთ ყველა სოციალ-დემოკრატიული ძალები მოსახლეობისა და განსაკუთრებით გლეხობის ფართო მასებში პროპაგანდა-აგიტაციის გასაფართოებლად, განვმარტოთ შიმშილის კავშირი ცარიზმთან და მთელ მის პოლიტიკასთან, სოფლად აგიტაციის მიზნით გავავრცელოთ არა მარტო სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების მიერ სათათბიროში წარ-

მოთქმული სიტყვები, არამედ მეფის ისეთი მეგობრების სიტყვებიც, როგორიცაა მარკოვ მეორე, და გავავრცელოთ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მოთხოვნები: მეფის მონარქიის დამხობა, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, მემამულეთა მიწების კონფისკაცია;

ბ) მხარი დავუჭიროთ მუშათა მისწრაფებას, რამდენადაც შესაძლებელია, დაეხმარონ ისინი დამშეულებს, ვურჩიოთ მათ შემოწირულება უგზავნონ მხოლოდ და მხოლოდ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, მუშათა პრესას ან მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებებს და ა. შ. და შეადგინონ სოციალ-დემოკრატთა და დემოკრატთა საგანგებო უჯრედები დამშეულთა დამხმარე ჯგუფებსა, კომიტეტებსა და კომისიებში შესვლისას;

გ) ვეცადოთ შიმშილობით გამოწვეული დემოკრატიული აღელვება მივმართოთ დემონსტრაციების, მიტინგების, მასობრივი კრებებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მასების ბრძოლის სხვა ფორმებისაკენ.

მუშათა სახელმწიფო დაზღვევის სათათბიროს კანონპროექტისადმი დამოკიდებულების შესახებ

I

1. დაქირავებული მუშის მიერ შექმნილი სიმდიდრის ის ნაწილი, რომელსაც ის ღებულობს ხელფასის სახით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ძლივს ჰყოფნის ყველაზე საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; ამრიგად, პროლეტარი მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას თავისი ხელფასიდან რაიმე დანაზოგი დააგროვოს დასახიჩრების, ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის გამო შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევისათვის, აგრეთვე უმუშევრობის შემთხვევისათვის, რაც განუყრელად დაკავშირებულია წარმოების კაპიტალისტურ წესთან. ამიტომ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მუშათა დაზღვევა წარმოადგენს ისეთ რეფორმას, რომელ-

საც ძალუმად გვიკარნახებს კაპიტალისტური განვითარების მთელი მსვლელობა.

2. მუშათა დაზღვევის საუკეთესო ფორმაა მათი სახელმწიფო დაზღვევა, აგებული შემდეგს საფუძვლებზე: a) მან უნდა უზრუნველყოს მუშები შრომისუნარიანობის დაკარგვის ყველა შემთხვევაში (დასახიჩრება, ავადმყოფობა, მოხუცებულობა, ინვალიდობა; მუშა-ქალები, გარდა ამისა, ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში; ქვრივ-ობლებისათვის საზღაურის მიცემა მარჩენალი მუშების სიკვდილის შემდეგ) ან უმუშევრობის გამო ხელფასის დაკარგვის შემთხვევაში; b) დაზღვეულ უნდა იქნან ყველა დაქირავებული და მისი ოჯახის წევრები; c) ყველა დაზღვეული ფულს უნდა ღებულობდეს სრული ხელფასის ანაზღაურების პრინციპის მიხედვით, ამასთან დაზღვევის მთელი ხარჯები უნდა დაეკისროს მეწარმეებს და სახელმწიფოს; d) დაზღვევის ყველა სახეს უნდა განაგებდნენ ერთიანი დამზღვევი ორგანიზაციები, მოწყობილნი ტერიტორიული ტიპის მიხედვით და დაზღვეულთა სრული თვითმმართველობის საფუძველზე.

3. რაციონალურად მოწყობილი დაზღვევის ყველა ამ მთავარ მოთხოვნას ძირიანფესვიანად ეწინააღმდეგება სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული მთავრობის კანონპროექტი; იგი a) ეხება დაზღვევის მხოლოდ ორ სახეს — უბედურ შემთხვევასა და ავადმყოფობას; b) მოიცავს რუსეთის პროლეტარიატის მხოლოდ მცირე (სულ იოლად რომ ვიანგარიშოთ — მეექვსედს) ნაწილს, დაუზღვევლად სტოვებს მთელ ოლქებს (ციმბირს, მთავრობის რედაქციით კიდევ — კავკასიას) და მუშათა მთელ კატეგორიებს, რომელთაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ დაზღვევა (სასოფლო-სამეურნეო მუშები, მშენებლები, რკინიგზელები, ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები, ნოქრები და სხვ.); c) აწესებს საზღაურის მათხოვრულ რაოდენობას (მაქსიმალური საზღაური სრული დასახიჩრებისას — ორი მესამედი ხელფასისა, რომელსაც ამასთან ანგარიშობენ ნამდვილზე ნაკლები რაოდენობით) და ამავე დროს

მუშებს აკისრებს დაზღვევის ხარჯების უდიდეს ნაწილს: მუშების ხარჯზე განზრახულია დაზღვევა არა მარტო ავადმყოფობის, არამედ «მცირე» — სინამდვილეში ყველაზე ხშირი — დასახიჩრების შემთხვევაშიც. ეს ახალი წესი გაუარესებაა ახლანდელ კანონთან შედარებითაც კი, რომელიც დასახიჩრების საზღაურს მხოლოდ მეწარმეთ აკისრებს; d) უსპობს დამზღვევ დაწესებულებებს ყოველგვარ დამოუკიდებლობას, აყენებს მათ მრავალმხრივი ზედამხედველობის ქვეშ, რასაც ახორციელებენ («საკრებულოებისა» და «დაზღვევის საქმეთა საბჭოს») მოხელენი, ჟანდარმერია, პოლიცია (რომელთაც, გარდა საერთო ზედამხედველობისა, უფლება ეძლევათ — წარმართონ არსებითად მათი მოქმედება, გავლენა მოახდინონ მათს პირად შემადგენლობაზე და სხვ.), მეპატრონენი (უბედურ შემთხვევათა დამზღვევი ამხანაგობების მხოლოდ მეწარმული შემადგენლობა; ავადმყოფობისაგან დამზღვევი საავადმყოფო სალაროების საფაბრიკო ტიპი; მათზე მეწარმეთა გავლენა, რაც წესდებით უზრუნველყოფილია და სხვ.).

4. მხოლოდ ასეთი კანონი, რომელიც ყოვლად უხეშად იგდებს აბუჩად მუშათა უაღრესად არსებითს ინტერესებს, შეიძლებოდა დაბადებულიყო გააფთრებული რეაქციის დღევანდელ მომენტში, კონტრრევოლუციის ბატონობის პერიოდში, მთავრობისა და კაპიტალის წარმომადგენლების მრავალი წლის წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად. პროლეტარიატის ინტერესების ნამდვილად შესატყვისი დაზღვევის რეფორმის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცარიზმის საბოლოო დამხობა და პირობების მოპოვება პროლეტარიატის თავისუფალი კლასობრივი ბრძოლისათვის.

II

ყოველივე ამის მიხედვით კონფერენცია ადგენს, რომ:

1) როგორც არალეგალური პარტიული ორგანიზაციების, ისე ლეგალურ ორგანიზაციებში (პროფესიულ კავშირებში, კლუბებში, კოოპერატივებში და სხვ.) მომუშავე ამხანაგების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს უფართოესი აგიტაციის გა-

ჩაღება სათათბიროს სადაზღვევო პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთელი რუსეთის პროლეტარიატის, როგორც კლასის, ინტერესებს ეხება და რომელიც ყოვლად უხეშად ლახავს ამ ინტერესებს.

2) კონფერენცია საჭიროდ თვლის ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მთელი სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია დაზღვევის კანონპროექტის გამო უნდა უკავშირდებოდეს პროლეტარიატის კლასობრივ მდგომარეობას თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, იმ ბურჟუაზიულ ილუზიათა კრიტიკას, რომელთაც სოციალ-რეფორმატორები ავრცელებენ, და საერთოდ ჩვენს ძირითად სოციალისტურ ამოცანებს; მეორე მხრივ, ამ აგიტაციაში სათათბიროსეული «რეფორმის» ხასიათი უნდა უკავშირდებოდეს მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს და საერთოდ ჩვენს რევოლუციურ-დემოკრატიულ ამოცანებსა და ლოზუნგებს.

3) სავსებით იწონებს რა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხმისმიცემას სათათბიროს კანონპროექტის წინააღმდეგ, კონფერენცია ამხანაგების ყურადღებას მიაქცევს იმ უდიდეს და საგულისხმო მასალას, რომელსაც იძლევა ამ საკითხის შესახებ სათათბიროში გამართული კამათი მუშათა რეფორმებისადმი სხვადასხვა კლასის დამოკიდებულების გასარკვევად; კონფერენცია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს მუშების მიმართ აშკარად მტრულ მისწრაფებებს, რაც დებატებში მკაფიოდ გამოხატეს ჩამორჩენილი კაპიტალის ოქტიაბრისტულმა წარმომადგენლებმა, აგრეთვე კადეტთა პარტიის ფარისეევლურ, «სოციალური მშვიდობის» შესახებ სოციალ-რეფორმატორული ფრაზებით დაფარულ გამოსვლებს; კადეტები სათათბიროში არსებითად გამოდიოდნენ მუშათა კლასის თვითმოქმედების წინააღმდეგ და გაბოროტებით ებრძოდნენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ძირითად შესწორებებს პროექტის მიმართ.

4) კონფერენცია გადაჭრით აფრთხილებს მუშებს — არ დაუშვან სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის შეკვეცისა და სრულიად დამახინჯების არაეითარი ცდა, არ შეზღუდონ იგი

კონტრრევოლუციის ბატონობის პერიოდში ლეგალურად დასაშვები ფარგლებით; პირიქით, კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ აგიტაციაში ძირითადი მომენტი უნდა იყოს პროლეტარიატის ფართო მასებისათვის იმ ჭეშმარიტების განმარტება, რომ ახალი რევოლუციური აღმავლობის გარეშე შეუძლებელია მუშის მდგომარეობის რაიმე ნამდვილი გაუმჯობესება; რომ ყველა, ვისაც კი სურს ნამდვილი მუშათა რეფორმის მოპოვება, უნდა იბრძოდეს უწინარეს ყოვლისა ახალი ძლევამოსილი რევოლუციისათვის.

5) თუ ვინიცობაა, სათათბიროს კანონპროექტი, მიუხედავად შეგნებული პროლეტარიატის პროტესტისა, განხორციელდა, — კონფერენცია მოუწოდებს ამხანაგებს გამოიყენონ ის ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომლებსაც ის ჰქმნის (მუშათა საავადმყოფო სალაროები), იმისათვის, რომ ამ ორგანიზაციულ უჯრედებშიც აწარმოონ სოციალ-დემოკრატიული იდეების ენერგიული პროპაგანდა და ამრიგად ეს კანონიც, პროლეტარიატის ახალი დამონებისა და დაჩაგვრის მიზნით მოფიქრებული, გადააქციონ მისი კლასობრივი შეგნების განვითარების, მისი ორგანიზებულობის განმტკიცების და სრული პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის მისი ბრძოლის გაძლიერების იარაღად.

«საპეტიციო კამპანიის» შესახებ [132]

1. ვინაიდან კონტრრევოლუცია მთავრობისა და III სათათბიროს სახით თავის უმთავრეს მტერს მუშათა მოძრაობაში ხედავს, იგი სდევნის ყოველ მის ფორმას და სისტემატურად არღვევს იმ «ლეგალურ შესაძლებლობებსაც» კი, რაც მუშათა კლასს დარჩა რევოლუციის შედეგად.

2. ეს რეჟიმი მუდამ აყენებს მუშათა ფართო მასებს იმ ფაქტის წინაშე, რომ მათი ელემენტარული უფლებებიც კი (პირველ ყოვლისა: კოალიციის თავისუფლება) არ შეიძლება განხორციელდეს, თუ სრულიად არ დაემხობა მეფის მონარქია.

3. ს.-პეტერბურგელ ლიკვიდატორთა ჯგუფის მიერ 1910 წლის ზამთარში გამოშვებული პეტიცია და ის აგიტაცია, რო-

ჭელსაც ისინი ეწეოდნენ მასთან დაკავშირებით, კოალიციის თავისუფლების მოთხოვნას გამოყოფდა მუშათა კლასის რევოლუციურ მოთხოვნათა მთელი ჯამიდან. იმის ნაცვლად, რომ მუშებისათვის მიეთითებინათ — რუსეთში კოალიციის სრული თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელია მასების რევოლუციური ბრძოლა დემოკრატიის ძირითადი მოთხოვნებისთვისაო, — ლიკვიდატორები სინამდვილეში ქადაგებდნენ ეგრეთწოდებულ «უფლებისათვის ბრძოლას», ე. ი. ლიბერალურ ბრძოლას სამი ივნისის რეჟიმის «გასაახლებლად» ნაწილობრივ გაუმჯობესებათა საშუალებით.

4. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და მუშათა მასების მდგომარეობის კონკრეტული პირობების გამო აღნიშნული კამპანია აუცილებლივ ქაღალდის წმინდა-ფორმალურ და უსიცოცხლო ხელმოწერად გადაიქცა, მას არავითარი გამოხმაურება არ გამოუწვევია და პოლიტიკური ინტერესი არ აღუძრავს მასებში.

5. ამ საპეტიციო კამპანიის ბედი ნათლად ადასტურებს მთელი ამ წამოწყების უმართებულობას და მუშათა მასისაგან მოწყვეტას: პეტიციას ხელი მოაწერა სულ 1 300 კაცმა, ამასთან არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში, ფრაქციათა და მიმდინარეობათა განურჩევლად, საპეტიციო კამპანიას სრულიად არავინ დაუჭირა მხარი, აგრეთვე არც სათათბიროს ჩვენმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ცნო შესაძლებლად მონაწილეობა მიეღო ამ კამპანიაში.

6. მეორე სათათბიროს დეპუტატების ბედთან დაკავშირებით გამართული მუშათა მიტინგების კამპანია და 1912 წლის 9 იანვრის მუშათა დემონსტრაციები ცალკეულ ქალაქებში ცხადყოფს, რომ მუშათა მასების თვითმოქმედება მიიმართება სრულიადაც არა ისეთი საშუალებების გზით, როგორიცაა საპეტიციო კამპანია, და სრულიადაც არა «ნაწილობრივ უფლებათა» დროშით.

კონფერენცია, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით,

1) მოუწოდებს ყველა სოციალ-დემოკრატს განუმარტონ მუშებს პროლეტარიატისათვის კოალიციის თავისუფლების

აუცილებელი საჭიროება, ამასთან საჭიროა ეს მოთხოვნა ყოველთვის განუყრელად იყოს დაკავშირებული ჩვენს საერთო პოლიტიკურ მოთხოვნებსა და მასებში რევოლუციურ აგიტაციასთან;

2) აღნიშნავს, რომ განსაზღვრულ პირობებში მუშათა მასობრივი პეტიცია შეიძლება იყოს პროტესტის ფრიად გამოსადეგი ფორმა, მაგრამ ფიქრობს, რომ რუსეთში ახლანდელ ხანაში პეტიცია წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად გამოსადეგ საშუალებას.

ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რსდმპ უკვე თითქმის ოთხი წელიწადია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან, რომელიც პარტიის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე დახასიათებული იყო როგორც

«პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს რსდმ პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შესცვალოს იგი უფორმო გაერთიანებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ეს ლეგალობა მოითხოვდეს პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ტრადიციების აშკარა უარყოფას»;

2) რომ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა, განაგრძობდა რა ბრძოლას ამ მიმდინარეობასთან, ერთხმად აღიარა იგი პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულებად და ნამდვილი პარტიული ერთიანობისა და ბოლშევიკების და მენშევიკების წინანდელი ფრაქციების შეერთების პირობად წამოაყენა ლიკვიდატორობის სრული უარყოფა და სოციალიზმიდან ამ ბურჟუაზიული გადახრის საბოლოო დაძლევა;

3) რომ მიუხედავად პარტიის ყველა გადაწყვეტილებისა და ყველა ფრაქციის წარმომადგენლების მიერ 1910 წლის იანვრის პლენუმზე ნაკისრი ვალდებულებისა, ჟურნალების «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ირგვლივ სოციალ-დემოკ-

რატთა დაჯგუფებული ნაწილი აშკარად დაადგა იმ მიმდინარეობის დაცვის გზას, რომელიც მთელმა პარტიამ აღიარა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის ნაყოფად;

4) რომ ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრებმა, მ — ლმა, იურიმ და რომანმა არათუ უარი თქვეს ცენტრალურ კომიტეტში შესვლაზე 1910 წლის გაზაფხულზე, არამედ არც კი მოისურვეს გამოცხადებულიყვნენ თუნდაც ერთ სხდომაზე ახალი წევრების კოოპტაციისთვის და აშკარად განაცხადეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის არსებობაც კი «მავნებლად» მიგვაჩნიაო;

5) რომ ლიკვიდატორების ხსენებული მთავარი გამოცემანი — «ნაშა ზარია» და «დელო ჟიზნი» სწორედ 1910 წლის პლენუმის შემდეგ გადაჭრით და მთელი ხაზით მიუბრუნდნენ ლიკვიდატორობას, ისინი არათუ «ამცირებენ» (მიუხედავად პლენუმის გადაწყვეტილებებისა) «არალეგალური პარტიის მნიშვნელობას», არამედ პირდაპირ უარყოფენ მას, აცხადებენ პარტიას «ლეშად», აცხადებენ პარტიას უკვე ლიკვიდირებულად, აცხადებენ «რეაქციულ უტოპიად» არალეგალური პარტიის აღდგენას, ცილს სწამებენ და ლანძღავენ ლეგალური ჟურნალების ფურცლებზე არალეგალურ პარტიას, მოუწოდებენ მუშებს «მოსპობილად» აღიარონ პარტიის უჯრედები და მისი იერარქია და სხვ.;

6) რომ იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში პარტიელები, ფრაქციათა განურჩევლად, გაერთიანდნენ პარტიული კონფერენციის მოწვევის მორიგი საქმისათვის, ლიკვიდატორები გამოიყვნენ სრულიად დამოუკიდებელ პატარ-პატარა ჯგუფებად, გამოითიშნენ ადგილობრივ აგრეთვე იქ, სადაც პარტიელი მენშევიკები სჭარბობენ (ეკატერინოსლავი, კიევი); მათ საბოლოოდ უარყვეს ყოველგვარი პარტიული კავშირი რსდმ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან; —

კონფერენცია აცხადებს, რომ «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ჯგუფმა თავისი მოქმედებით საბოლოოდ დაიყენა თავი პარტიის გარეთ.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა პარტიელს, მიმდინარეობათა და ელფერთა განურჩევლად, ებრძოლონ ლიკვიდატორობას, განმარტონ მთელი მისი მავნებლობა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის და დაძაბონ მთელი ძალღონე არალეგალური რსდმ პარტიის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

ცენტრალური ორგანოს შესახებ

მოისმინა და განიხილა რა ცენტრალური ორგანოს წარმომადგენლის მოხსენება, კონფერენცია, იწონებს ცენტრალური ორგანოს პრინციპულ ხაზს და —

გამოთქვამს სურვილს, რომ ცენტრალურ ორგანოში მეტი ყურადღება მიექცეს საპროპაგანდო ხასიათის სტატიებს და სტატიები იწერებოდეს უფრო პოპულარულად და მუშებისთვის გასაგებად.

«რაბოჩაია გაზეტას» შესახებ

აღიარებს რა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» გადაჭრით და თანამიმდევრობით იცავს პარტიასა და პარტიულობას და სრულ თანაგრძნობას იმსახურებს ადგილობრივი პარტიული მუშაკების მხრივ ფრაქციების განურჩევლად,

კონფერენცია

1) მოუწოდებს ყველა ადგილობრივ ამხანაგს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ «რაბოჩაია გაზეტას».

2) «რაბოჩაია გაზეტას» აღიარებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ.

გაზეთ «პრავდის» შესახებ [133]

კონფერენცია აუქმებს იმ შეთანხმებას «პრავდის» რედაქციასთან, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასდო 1910 წლის იანვარში.

პარტიის საორგანიზაციო წესდების ცვლილებანი

მეორე პარაგრაფს ემატება:

კოოპტაცია დასაშვებია — თანახმად დეკემბრის (1908 წ.) კონფერენციის გადაწყვეტილებებისა.

მერვე პარაგრაფი ამოიშლება და მის ნაცვლად ჩაერთვის:

ცენტრალური კომიტეტი იწვევს რამდენადაც შესაძლებელია უფრო ხშირად პარტიის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენციებს.

მეცხრე პარაგრაფი, მესამე აბზაცი, ყრილობაზე წარმომადგენლობის შესახებ, იცვლება ასე:

პარტიის მომავალ ყრილობებზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივ ორგანიზაციებთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ.

ყოფილი შემნახველის ხელში არსებული ქონებისა და ფულადი ანგარიშების შესახებ

იღებს რა მხედველობაში ბოლშევიკების იმ უფლებამოსილ წარმომადგენელთა განცხადებას, რომლებთანაც 1910 წ. იანვარში ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხელშეკრულება დასდო ბოლშევიკების მიერ თავიანთი ფრაქციული ქონების ცენტრალური კომიტეტის სალაროში პირობითი გადაცემის შესახებ, კონფერენცია

1) აღიარებს, რომ ბოლშევიკების წარმომადგენლებს, ლიკვიდატორების მხრივ ხელშეკრულების დარღვევისა და შემნახველების მიერ მედიატორობაზე უარისთქმის გამო, ყველა ფორმალური უფლება აქვთ განაგონ როგორც მათს განკარგულებაში, ისე ყოფილი შემნახველის, ამხ. ცეტკინის ხელში არსებული ქონება;

2) ბოლშევიკთა წარმომადგენლების განცხადების შემდეგ კონფერენცია აღიარებს, რომ ამხ. ცეტკინის ხელში არსებული თანხები უცილობლად ეკუთვნის პარტიას კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის სახით და

3) ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები ამხ. ცეტკინისაგან პარტიული ქონების დაუყოვნებლივ მისაღებად.

* * *

სარევიზიო კომისიამ, განიხილა რა ფულადი ანგარიშები და გასამართლებელი საბუთები ამჟამად კონფერენციის მიერ ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ დამტკიცებული «რაბოჩაია გაზეტას» რედაქციისა, აგრეთვე იმ ბოლშევიკთა ჯგუფისა, რომელთაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მისცა თანხები სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამოსაცემად, — ანგარიშები სწორად სცნო და წინადადებას აძლევს კონფერენციას დაამტკიცოს ისინი.

«წითელი ჯვრის» შესახებ

კონფერენცია წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ამხანაგს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება «წითელი ჯვრის» აღსადგენად, რაც ესოდენ აუცილებელია დაპატიმრებულთა და გადასახლებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საზღვარგარეთ პარტიული ორგანიზაციის შესახებ

კონფერენცია აღიარებს, რომ აუცილებლად საჭიროა საზღვარგარეთ არსებობდეს ერთიანი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც უნდა აწარმოებდეს პარტიის ხელშემწყობ მუშაობას ცენტრალური კომიტეტის კონტროლითა და ხელმძღვანელობით.

კონფერენცია ამტკიცებს საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტს [134], როგორც ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციას საზღვარგარეთ და მოუწოდებს ყველა იმ პარტიულ ელემენტებს, ფრაქციათა და მიმდინარეობათა განურჩევლად, რომელნიც არალეგალურ პარტიას ემხრობიან და შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან ანტიპარტიულ მიმდინარეობათა (ლიკვიდატორობა) წინააღმდეგ, — შემჭიდროვდნენ ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ რუსეთში პარტიული მუშაობის ხელშესაწყობად და საზღვარგარეთ ერთიანი ორგანიზაციის შესაქმნელად.

ყველა საზღვარგარეთულ ჯგუფს, გამოუკლებლივ, შეუძლია დაუკავშირდეს რუსეთის ორგანიზაციებს მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით.

კონფერენცია აღიარებს, რომ საზღვარგარეთულ ჯგუფებს, რომელნიც არ ემორჩილებიან სოციალ-დემოკრატიული მუშაობის რუსეთის ცენტრს, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტს, და დეზორგანიზაციას იწვევენ ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად რუსეთთან ცალკე კავშირის დამყარებით, არ შეუძლიათ ისარგებლონ რსდმ პარტიის სახელით.

რუსეთის მთავრობის სპარსეთზე თავდასხმის შესახებ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია პროტესტს აცხადებს მეფის იმ ბრბოს ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც განუზრახავს ჩაახშოს სპარსელი ხალხის თავისუფლება და რომელიც ამისათვის უაღრესად ბარბაროსული და საზიზღარი აქტების ჩადენას არ ერიდება.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ რუსეთისა და ინგლისის მთავრობათა კავშირი, რომელსაც ყოველნაირად ადიდებენ და მხარს უჭერენ რუსი ლიბერალები, მიმართულია უწინარეს ყოვლისა აზიის დემოკრატიის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და რომ ამ კავშირით ინგლისის ლიბერალური მთავრობა ცარიზმის სისხლისმღვრელი მხეცობის თანამონაწილე ხდება.

კონფერენცია სრულ თანაგრძნობას უცხადებს სპარსელი ხალხის ბრძოლას და, კერძოდ, სპარსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო მეფის მოძალადეებთან ბრძოლაში.

ჩინეთის რევოლუციის შესახებ

იმის გამო, რომ მთავრობისა და ლიბერალური («რეჩ») გაზეთები რუსეთის კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის კამპანიას ეწევიან და ქადაგებენ რუსეთთან მოსაზღვრე ჩინეთის ოლქების ჩამოშორებას, სარგებლობენ რა ჩინეთის რევოლუციური მოძრაობით, — კონფერენცია აღნიშნავს ჩინეთის ხალხის რევოლუციური ბრძოლის მსოფლიო მნიშვნელობას, იმ ბრძოლისა, რომელიც გაათავისუფლებს აზიას და ძირს გამოუთხრის ევროპის ბურჟუაზიის ბატონობას, მიესალმება ჩინეთის რევოლუციონერ-რესპუბლიკელებს, ადასტურებს იმ დიდ აღფრთოვანებას და სრულ სიმპათიას, რომლითაც რუსე-

თის პროლეტარიატი თვალყურს ადევნებს ჩინეთის რევოლუციური ხალხის წარმატებებს, და სამარცხვინო ბოძზე აკრავს რუსეთის ლიბერალიზმს, რომელიც თავისი მოქმედებით მხარს უჭერს ცარიზმის დაპყრობითს პოლიტიკას.

ფინეთის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის შესახებ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენცია, პირველად შეკრებილი რუსეთის ცარიზმისა და კონტრრევოლუციის სათათბიროს მიერ იმ კანონების გატარების შემდეგ, რომელნიც სპობენ ფინელი ხალხის უფლებებს და თავისუფლებას, სრულ სოლიდარობას უცხადებს ფინეთის მოძმე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხაზგასმით აღნიშნავს ფინეთისა და რუსეთის მუშების ამოცანათა ერთიანობას ხალხის უფლებათა შემლახველი რუსეთის კონტრრევოლუციური მთავრობისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მხოლოდ რუსეთისა და ფინეთის მუშების შეერთებული ძალღონით შეიძლება ცარიზმის დამხობა და რუსეთისა და ფინეთის ხალხთა თავისუფლების მოპოვება.

მისალმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიას

კონფერენციის დავალებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა:

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა და პარტიის ცენტრალური ორგანოს სახით მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის მოძმე სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა მთელ ბურჟუაზიულ სამყაროზე [135].

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, გაუმარჯოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას!

დაწერილია 1912 წ. იანვარში
დაიბეჭდა 1912 წ. თებერვალს
ბროშურაში: «რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია».
გამოც. ც. კ-ისა, პარიზი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ორგანო

წინ მიდევს სამი ნომერი პეტერბურგის ყოველკვირეული გაზეთის «ჟივოე დელოსი» [136], რომელიც გამოდის მიმდინარე წლის იანვრიდან.

ვურჩევ მკითხველებს ჩაუკვირდნენ ქადაგების შინაარსს.

დღის მთავარი პოლიტიკური საკითხია IV სათათბიროს არჩევნები. ამ საკითხს ეძღვნება მარტოვის სტატია მე-2 ნომერში. მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი ამბობს: «უნდა ვეცადოთ რეაქცია გავდევნოთ სათათბიროს პოზიციებიდან». ხოლო დანი ბანს აძლევს მე-3 ნომერში: «მისი (სახელმწიფო საბჭოს) დამღუპველი გავლენის შესუსტების საუკეთესო საშუალება არის სათათბიროს გამოგლეჯა რეაქციის ხელიდან».

ნათელი ლოზუნგია. და, რა თქმა უნდა, ყოველი შეგნებული მუშა ადვილად მიხვდება, რომ ეს ლოზუნგი არის არა მარქსისტული, არა პროლეტარული, არა დემოკრატიულიც კი, არამედ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი. ეს არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ლოზუნგი.

აი როგორ იცავს მარტოვი ამ ლოზუნგს: «შესაძლებელია თუ არა ამ ამოცანის მიღწევა ახლანდელი საარჩევნო კანონის დროს? უეჭველად შესაძლებელია. მართალია, ეს საარჩევნო კანონი წინდაწინვე უზრუნველყოფს საგუბერნიო კრებების მნიშვნელოვან (?) ნაწილში მიწათმფლობელებისა და ქალაქის პირველი (კაპიტალისტური) კურიის ამრჩეველთა უმრავლესობას»...

ცუდი საქმის დაცვა მარტოვს ერთბაშად აშკარად უმართებულო მტკიცების გზაზე აყენებს. არა საგუბერნიო კრებების «მნიშვნელოვან ნაწილში», არამედ (ევროპული რუსეთის)

უეჭველად ყველა საგუბერნიო კრებაში მიწათმფლობელი ამრჩევლები პლუს ქალაქის პირველი კურია იძლევიან აბსოლუტურ უმრავლესობას. ეგ კიდევ არაფერი. 28 გუბერნიაში 53-დან მარტო მიწათმფლობელი ამრჩევლები შეადგენენ საგუბერნიო კრებების აბსოლუტურ უმრავლესობას. და ეს 28 გუბერნია იძლევა 255 დეპუტატს სათათბიროს დეპუტატთა მთელი რიცხვიდან — 442, ე. ი. კვლავ აბსოლუტურ უმრავლესობას!

ლიბერალური ლოზუნგის დასაცავად — «რეაქციის განდევნა სათათბიროს პოზიციებიდან» — მარტოვი იძულებულია რუსეთის მიწათმფლობელთა ლიბერალური შელამაზებით დაიწყოს. დასაწყისი ცუდი არაა!

«მაგრამ — განაგრძობს მარტოვი — წარსულმა არჩევნებმა ცხადყო, რომ როგორც მიწათმფლობელებში, ისე ქალაქის მსხვილ ბურჟუაზიაში არიან ელემენტები, რომელნიც მტრობენ შავრაზმულ, ნაციონალისტურ და ოქტიაბრისტულ რეაქციას».

უეჭველია. ამრჩეველთა ნაწილი მიწათმფლობელთაგანაც კი — ოპოზიციაა, კადეტებია. მაგრამ რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? მხოლოდ ის, რომ 1907 წ. 3 ივნისის კანონის მიხედვით ასარჩევი სათათბიროს უმრავლესობის წაწევა მემამულურ «ლიბერალურ» ოპოზიციაზე შორს შეუძლებელია. მემამულე წყვეტს. ეს ფაქტი, რომლის გვერდის ავლას ცდილობდა მარტოვი, ფაქტად რჩება. მაშასადამე, მხოლოდ მემამულის გადასვლას ოპოზიციაში შეუძლია უპირატესობა მისცეს (მემამულურ) «ოპოზიციას». მაგრამ სწორედ აქაა საკითხის დედაარსი: შეიძლება თუ არა ითქვას, — თუ ლიბერალი არ გახდი, — რომ (მემამულურ) «ლიბერალურ ოპოზიციას შეუძლია განდევნოს რეაქცია სათათბიროს პოზიციებიდან»?

ჯერ-ერთი, არ უნდა შევალამაზოთ ჩვენი საარჩევნო კანონის მემამულური ხასიათი. მეორე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მემამულურ «ოპოზიციას» ახასიათებს ყველა თვისება ეგრეთ-

წოდებული «მემარცხენე ოქტიაბრიზმისა» (რომელთანაც ბლოკი კადეტებმა შესაძლებლად აღიარეს თავიანთ უკანასკნელ კონფერენციაზე! — ამასაც ტყუილად აფუჩეჩებს მარტოვი). ლაპარაკი «მემარცხენე ოქტიაბრისტების» შესაძლებელი გამარჯვების გამო «რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯის» ან «სათათბიროს პოზიციებიდან რეაქციის განდევნის შესახებ» — მხოლოდ კომიკურ ლიბერალურ პოლიტიკოსებს შეუძლიათ.

მუშათა დემოკრატიის ამოცანაა გამოიყენოს ლიბერალების კონფლიქტები სათათბიროს ახლანდელ უმრავლესობასთან დემოკრატიის გასაძლიერებლად სათათბიროში, და არა მხარი დაუჭიროს ლიბერალურ ილუზიას, თითქოს შეიძლებოდეს «რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯა».

კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარდება ჩვენი ავტორი, როდესაც გადადის იმ პრინციპულ საკითხზე, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ ««მთელ ოპოზიციას» შავრაზმულ-ოქტიაბრისტული უმრავლესობა დაემარცხებინა სათათბიროში».

«მუშები დაინტერესებული არიან იმით, — მსჯელობს მარტოვი, — რომ კლასობრივ სახელმწიფოში ძალაუფლება ველური მემამულის ხელიდან უფრო კულტურული ბურჟუას ხელში გადავიდესო».

ჩინებული მსჯელობაა! მხოლოდ დავიწყებულია წვრილმანი... სულ პატარა წვრილმანი: რუსეთის «უფრო კულტურული ბურჟუები», ლიბერალები, კადეტები, «დაინტერესებული არიან იმით», რომ ძირი არ გამოეთხაროს ველური მემამულის ძალაუფლებას. ლიბერალები «დაინტერესებული არიან იმით», რომ გაიზიარონ ძალაუფლება მასთან ერთად ისე, რომ ძირი არ გამოუთხარონ მის ძალაუფლებას და არავითარი იარაღი არ მისცენ ხელში დემოკრატიას.

აი დედაარსი! ტყუილად ცდილობთ გვერდი აუხვიოთ სერიოზულ საკითხს და დიდის ამბით ღეჭოთ უშინაარსო ბანალობა.

«სათათბიროში თავისი წარმომადგენლობის გაძლიერებით კადეტები და პროგრესისტები — ამბობს მარტოვი — კიდევ ვერ მოექცევიან ძალაუფლებას სათავეში, მაგრამ გაიადვილებენ მასთან მისვლას». დიახ. დიახ. რატომ მოხდა, რომ გერმანელ კადეტებს და პროგრესისტებს, 1848 წლიდან, ბევრჯერ «გაუძლიერებიათ თავიანთი წარმომადგენლობა» პარლამენტში, მაგრამ დღემდეც კი ვერ «მოქცევიან სათავეში ძალაუფლებას»? რატომ სტოვებდნენ 64 წლის განმავლობაში და ა ხ ლ ა ც ს ტ ო ვ ე ბ ე ნ ისინი ძალაუფლებას იუნკრის ხელში? რატომ მოხდა, რომ რუსეთის კადეტებმა I და II «სათათბიროში თავიანთი წარმომადგენლობის გაძლიერებით» ვერ «გაიადვილეს ძალაუფლებასთან მისვლა»?

მარტოვი მხოლოდ იმდენად აღიარებს მარქსიზმს, რამდენადაც ის მ ი ს ა ღ ე ბ ი ა ყ ო ვ ე ლ ი განათლებული ლიბერალისათვის. მუშები დაინტერესებული არიან, რომ ძალაუფლება მემამულის ხელიდან უფრო კულტურული ბურჟუას ხელში გადავიდესო, — ყველა ლიბერალი მთელ ქვეყნიერებაზე მოაწერს ხელს «მ უ შ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს» ასეთ «გაგებას». მაგრამ ეს კიდევ არ არის მარქსიზმი. მარქსიზმი შემდეგ ამბობს: 1) ლიბერალები დაინტერესებული არიან იმით, რომ ძირი არ გამოუთხარონ მემამულის ძალაუფლებას და გვერდით მიუსხდნენ მას; 2) ლიბერალები დაინტერესებული არიან მემამულესთან ძალაუფლების ისეთი გაზიარებით, რომ არც მუშასა და არც დემოკრატიას სრულიად არაფერი ერგოს; 3) ძალაუფლება ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ «უვარდება» ხელიდან მემამულეს და «გადადის» ლიბერალის «ხელში» მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ, როდესაც დემოკრატია იმარჯვებს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიბერალისა. დამამტკიცებელი საბუთები? საფრანგეთის მთელი ისტორია და ჩინეთის უახლესი ისტორია: ჩინეთის დემოკრატიას რომ არ გაემარჯვნა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ იუანშიკაისა, ძალაუფლება ვერასდროს ვერ გადავიდოდა, დროებითაც კი, პირობითაც კი, ლიბერალ იუანშიკაის ხელში.

მაგრამ თუ გაცვეთილი ჭეშმარიტება: ლიბერალი შავრაზ-მელზე უკეთესიაო — შეადგენს მ თ ე ლ «მარქსიზმს», რომელიც მისაღებია ბატონთ სტრუვეს, იზგოევისა და კომპანიისათვის, სამაგიეროდ კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკა ცხრაკლიტულშია მოქცეული ლიბერალისთვისაც და მარტოვისთვისაც.

დავასკვნი: სწორედ იმისათვის, რომ რუსეთში ძალაუფლება ნამდვილად «გადავიდეს» მემამულის ხელიდან ბურჟუას ხ ე ლ შ ი, არ უნდა მოვატყუოთ და დავაუძლუროთ საერთოდ დემოკრატია, განსაკუთრებით მუშები, ყ ა ლ ბ ი ლოზუნგით «რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯის» შესახებ. არჩევნებში ჩვენი პრაქტიკული ამოცანაა სრულიადაც არა «რეაქციის განდევნა სათათბიროს პოზიციებიდან», არამედ საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის გაძლიერება. ეს ამოცანა ხანდახან შეეჯახება ლიბერალთა რიცხვის გადიდების «ამოცანას»: ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, — და პროლეტარიატისათვის უფრო სასარგებლოა, — ხუთი ზედმეტი დემოკრატი, ვიდრე 50 ზედმეტი ლიბერალი.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა, რომელიც მარტოვს არა სურს, თუმცა კი ვითომ აღიარებს, რომ კადეტები— ლიბერალები არიან და ა რ ა დემოკრატები: 1) ხუთ დიდ ქალაქში[137] ხელახალი კენჭისყრის დროს დასაშვებია შეთანხმება მ ხ ო ლ ო დ დემოკრატებთან ლიბერალების წინააღმდეგ; 2) ყ ვ ე ლ ა კენჭისყრისა და ყ ვ ე ლ ა შეთანხმების დროს მეორე საფეხურზე პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი უნდა მოხდეს შეთანხმება დემოკრატებთან ლიბერალების წინააღმდეგ, და მხოლოდ შემდეგ — ლიბერალებთან მემარჯვენეების წინააღმდეგ.

«ზვეზდა» № 11 (47), 1912 წ. 19 თებერვალი
ხელმოწერა ფ. ლ — კ ო

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორებთან — გაერთიანების წინააღმდეგ

ლიკვიდატორულ გაზეთ «ჟივოე დელოს» მე-7 ნომერში მოთავსებულია სარედაქციო სტატია «გაერთიანებისათვის — გათიშვის წინააღმდეგ». ეს სტატია ეხება უეჭველად მეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელზედაც ფიქრობს ყველა და თვითეული მოაზროვნე მუშა. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, თუნდაც არასრულად, თუნდაც მოკლედ, გამოვთქვათ ჩვენი აზრი იმ პუნქტების შესახებ, რომლებზედაც «ჟივოე დელო» თავის მკითხველებს აწვდის აშკარად და პირდაპირ არასწორ ცნობებს.

გაზეთების — «გოლოს ზემლის», «რუსსკოე სლოვოს» და «კიევსკაია მისლის»[138] ცნობების მიხედვით, — ცნობებისა, რომლებიც «ეთანხმება «ჟ ი ვ ო ე დ ე ლ ო ს» ცნობებს», — «ჟივოე დელო» აღიარებს იმ ფაქტს, რომ საზღვარგარეთ შესდგა საერთო-პარტიული კონფერენცია, რომელმაც თურმე «თავს მოახვია რუსეთის ყველა მარქსისტს განსაზღვრული ტაქტიკა საარჩევნო კამპანიაში» და, სხვათა შორის, პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე თ (ხაზგასმა «ჟივოე დელოსია») გამოაცხადა «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ჯგუფი. ამის გამო «ჟივოე დელო» (რომელიც თავის სტატიას ამკობს ჩვეულებრივი ცილისწამებით და ინსინუაციებით ანტილიკვიდატორების მიმართ) ყოველნაირად ცდილობს, ჯერ-ერთი, სახელი გაუტეხოს კონფერენციას და, მეორე, დაიცვას «ნაშა ზარია და კომპანია» იმის თქმით, რომ ისინი არ შეიძლება «გარეთ» იქნან დაყენე-

ბულნი, რომ ამ მიმართულების «ლიტერატორები» «ამგვარ დადგენილებას ზიზღით უპასუხებენო» და სხვ.

უწინარეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ «ჟივოე დელოს» სტატიის მთელი შინაარსი, მთელი მისი ისტერიული კილო, მთელი ყვირილი «გაერთიანებისათვის» თვალნათლივ მოწმობს იმას, რომ ლიკვიდატორები ძალიან გაწიწმატებულან და მეტად უშნოდ ცდილობენ საქმის დედაარსის მიჩქმალვას. ჩვენც სწორედ საქმის ამ დედაარსს შევეხებით.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია არც კონფერენციის დაცვა და არც დასახელებულ გაზეთებში (მათ უნდა მიემატოს ახლა «გოლოს მოსკვი») გამოქვეყნებული ცნობების შევსება ან შესწორება. ეს არც შეადგენს ჩვენს ამოცანას. საკმარისია სიტყვასიტყვით მოვიყვანოთ «ჟივოე დელოს» თუნდაც ეს ერთი ფრაზა: «გეკითხებით, — ბრძანებენ ლიკვიდატორები, — ვინ აირჩია ისინი (კონფერენციის დელეგატები), ვინ დაავალა მათ ილაპარაკონ და გადაწყვიტონ რამე მოსკოვის, პეტერბურგისა და სხვა მარქსისტების სახელით?» სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, ეს რომ აშკარად «ეკითხა», მაგალითად, ბ-ნ პურიშკევიჩს ან ბ-ნ ზამისლოვსკის. ხოლო თუ ლიკვიდატორები ეკითხებიან ამას საზოგადოებას «ჟივოე დელოს» ფურცლებიდან, ისინი მარტო ამ ერთი კითხვით ისე საუცხოოდ ამჟღავნებენ თავიანთ ლიკვიდატორულ ბუნებას, ისე ჩინებულად ამხელენ თავიანთ თავს, რომ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივუთითოთ ლიკვიდატორების ფანდებზე და დავსვათ წერტილი.

ჩვენ აქ აღძრულ საკითხებს ვეხებით, ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენი მოვალეობაა — გამოვეხმაუროთ პრესას და აღვნიშნოთ ის, რაც შეეხება მუშათა საარჩევნო კამპანიას. საჭიროა მკითხველებმა სიმართლე იცოდნენ. თუ ლიკვიდატორები ამბობენ: «გაერთიანებისათვის — გათიშვის წინააღმდეგაო», ჩვენი ვალია გამოვააშკარაოთ აქ გამოთქმული სიყალბე. პირველი: საჭირო არაა ქეკემალულობას თამაში და ლაპარაკი საერთოდ «გაერთიანებაზე», როდესაც არსებითად ლაპარაკია მხოლოდ ლიკ-

ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ზ ე. რად იმალება «ჟივოე დელო»? რატომ არ ლაპარაკობს ის პირდაპირ, ეთანხმება იგი თუ არ ეთანხმება «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» თვალსაზრისს? მეორე: ნაადრევია გ ა თ ი შ ვ ა ზ ე ლაპარაკი, ვიდრე არ არსებობს ორი ორგანიზებული, ერთ წრეში მოქმედი მთლიანი პოლიტიკური კოლექტივი.

ს ა ქ მ ი ს ა მ დ ე დ ა ა რ ს ზ ე უნდა ეთქვა რამე «ჟივოე დელოს», თორემ ყვირილი და ლანძღვა-გინება ადვილი საქმეა.

ლიკვიდატორებთან გაერთიანება ახალი კი არა, არამედ ძალიან ძველი საკითხია. ორ წელზე მეტი ხნის წინათ, 1910 წ. იანვარში, მოხდა ასეთი გაერთიანების მეტად გაბედული, გაფორმებული ცდა, რომელიც განმტკიცებული იყო ხელშეკრულებითაც და ერთსულოვანი გადაწყვეტილებითაც. ცდა ჩაიშალა — ამას აღიარებს ყ ვ ე ლ ა, მათ შორის ლიკვიდატორებიც (იხ. «ნაშა ზარია», 1911 წ., № 11, გვ. 130). რატომ ჩაიშალა? ისინი, ვისაც სერიოზულად აინტერესებთ საქმე, ამ საკითხში დამოუკიდებლად უნდა გაერკვნენ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე — მაგრამ გადამწყვეტ — დოკუმენტს.

ლიკვიდატორებთან გაერთიანების ცდის ცნობილი მონაწილე და «გამაერთიანებელი» ანუ «შემარიგებელი» ბ-ნი იონოვი წერდა ს წ ო რ ე დ ამ ცდის დ რ ო ს:

«თავისთავად რაც უნდა მავნებელი იყოს პარტიისათვის ოტზოვიზმი და ლიკვიდატორობა, მათი სასიკეთო გავლენა ფრაქციებზე (ლაპარაკია მენშევიკებისა და ბოლშევიკების ფრაქციებზე) ეჭვს გარეშე უნდა იყოს. პათოლოგიამ იცის ორნაირი იარა: ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი. კეთილთვისებიანი იარა ორგანიზმისათვის სასარგებლო ავადმყოფობად ითვლება. დამწიფების პროცესში მას მთელი ორგანიზმიდან გამოაქვს ყოველგვარი მავნე ელემენტი და ამრიგად ხელს უწყობს მის გაჯანსაღებას. მე ვფიქრობ, ასეთივე როლი შეასრულა ლიკვიდატორობამ მენშევიზმის მიმართ და ოტზოვიზმ-ულტიმატიზმმა ბოლშევიზმის მიმართ».

აი ერთ-ერთი დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ ლიკვიდატორებთან გაერთიანების პირობად გამოცხადებული იყო მათ მიერ ლიკვიდატორობის სრული უარყოფა. ეს იყო 1910 წ. იანვარში. 1910 წ. თებერვალში «ნაშა ზარიას» მე-2 ნომერში ბ-ნი პოტრესოვი სიტყვასიტყვით შემდეგს წერდა:

«შეიძლება თუ არა 1909 წლის ზაფხულში არსებობდეს არა როგორც დაავადებული წარმოსახვის ფანტომი, არამედ როგორც ნამდვილი რეალობა, ლიკვიდაციური მიმდინარეობა, რომელიც ლიკვიდაციას უშვრება იმას, რაც სალიკვიდაციო აღარ არის, რაც ნამდვილად, როგორც ორგანიზებული მთელი, აღარ არსებობს» («ნაშა ზარია», 1910 წ., № 2, გვ. 61).

ყველა პრაქტიკოსმა იცის, რომ ლიკვიდატორები სინამდვილეში სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც ასწავლიდა მათ ბ-ნი პოტრესოვი. ლიკვიდატორთა მეორე ცნობილი ორგანო «ვოზროჟდენიე», სადაც მონაწილეობდნენ იგივე ბატონი მარტოვები, ლარინები, ლევიცკები და კომპანია, 1910 წ. 30 მარტს რედაქციის სახელით წერდა, მოჰყავდა რა თანაგრძნობით ბ-ნ პოტრესოვის ზემოთ ამოწერილი სიტყვები: «სალიკვიდაციო აღარაფერია — და, დავძენთ ჩვენ ჩვენდათავად (ე. ი. «ვოზროჟდენიეს» რედაქცია), რომ ოცნება ამ იერარქიის აღდგენაზე მისი ძველი, არალეგალური სახით პირდაპირ მავნებელი, რეაქციული უტოპიაა»... («ვოზროჟდენიე», 1910 წ., № 5, გვ. 51).

ჩვენს გარდა სხვა პირებმა და მიმართულებებმა შეაფასეს თუ არა ეს განცხადებანი, როგორც ლიკვიდატორების გათიშვა ძველ, წინანდელ პოლიტიკურ კოლექტივთან? დიახ, უეჭველად. დამამტკიცებელი საბუთები: 1) ბ-ნ იზგოევის სტატია «რუსკაია მისლში» 1910 წელს, № 8: «ვეხელი — მარქსისტთა შორის». ბ-ნი იზგოევი მარქსისტებში მომხდარ ამბებს ყოველთვის აფასებს თანამიმდევარი «ვეხური» თვალსაზრისით. «პასუხი (ბ-ნ პოტრესოვისა მუშათა მოძრაობის საკითხებზე) საკვებით ეთანხმება იმას, — წერდა ბ-ნი იზგოევი, — რაც იწერებოდა მის მიერ გაკიცხულ

«ვეხი»-ში, რასაც ლაპარაკობენ «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ ი ს» პუბლიცისტები» («რუსსკაია მისლ», 1910, № 8, გვ. 67). 2) მენშევიკი პლეხანოვი 1910 წ. მაისში წერდა ბ-ნ პოტრესოვის ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამო: «მაგრამ უეჭველია ის, რომ ა დ ა მ ი ა ნ ი, რ ო მ ლ ი ს თ ვ ი ს ა ც ა რ ა რ ს ებ ო ბ ს ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ა, თ ვ ი თ ო ნ ა ღ ა რ ა რ ს ებ ო ბ ს ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს (ხაზგასმა პლეხანოვისაა). ახლა პარტიის ყველა წევრმა უნდა თქვას, რომ ბ-ნი პოტრესოვი მათი ამხანაგი არ არის, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა, შეიძლება, აღარ გამამტყუნოს იმაში, რომ მე უკვე დიდი ხანია აღარ ვთვლი მას ასეთად».

ეს ფაქტია. ამას ვერავითარი ხრიკი და გადათქმა ვერ უშველის. ლიკვიდატორებმა ჯერ კიდევ 1910 წელს გაწყვიტეს კავშირი წინანდელ პოლიტიკურ კოლექტივთან. რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების არც ერთს ისტორიკოსს არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ ფაქტს, თუ ჭეშმარიტებას არ უღალატებს. ხოლო 1911 წელს ბატონებს ლევიცკის, მარტოვს, დანს, ლარინს, ჩაცკის და კომპანიას არა ერთხელ განუმეორებიათ სავსებით «პოტრესოვული» შინაარსის განცხადებანი. გავიხსენოთ თუნდაც, როგორ არიგებდა ჭკუას «დ ე ლ ო ჟ ი ზ ნ ი»-ში (1911 წ., № 6, გვ. 15) ლარინი მუშებს, რომ «თვითეულ ქალაქში... ორასიოდე კაცისაგან წრეების შეკოწიწება» ადვილი, მაგრამ «სამასკარადო» წამოწყებაო!

ჩვენი ღრმა რწმენით, აქედან, ორ წელიწადზე მეტი ხნის გამოცდილებიდან, აუცილებლად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ არავითარი გაერთიანება არ შეიძლება. აქ არავითარი შეთანხმებაც არ შეიძლება. აქ წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა შეთანხმება, ვინაიდან საკითხი ეხება იმის არსებობას თუ არარსებობას, რაც ლიკვიდატორებმა ათვალწუნებით «იერარქიად» მონათლეს. და «ჟივოე დელოს» — ი მ ა ვ ე მიმართულების ი მ ა ვ ე ლიკვიდატორების ორგანოს — ვერავითარი ლანძღვა-გინება ვერაფერს შეცვლის. ლიკვიდატორები გ ა რ ე თ დგანან... — ეს საბოლოო ფაქტია.

შეიძლება გვიპასუხონ: სწორედ ეს ფაქტი მოასწავებს გათიშვასაო. არა. გათიშვა ჰქვია ერთის მაგიერ ორი პოლიტიკური კოლექტივის შექმნას. ამჟამად კი, 1912 წლის მარტში, ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მეთვალყურეს, საუკეთესო ტელესკოპით შეიარაღებულსა და პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, ნიუ-იორკიდან თუ სხვა რომელიმე ადგილიდან მომზირალს, — შეუძლია დაინახოს მხოლოდ ერთი ორგანიზებული, მთლიანი პოლიტიკური კოლექტივი, რომელსაც ლიკვიდატორების ლანძღვა-გინება მხოლოდ აძლიერებს მუშებში.

ლიკვიდატორების უბედურებაც სწორედ ისაა, რომ ძველთან მათ მართლაც გაწყვიტეს ურთიერთობა, ხოლო ახალი არ შეუქმნიათ. როდესაც შეჰქმნიან, მაშინ ვნახოთ და, როგორც ეს პოლიტიკურ მიმომხილველს ევალება, ვაცნობებთ მკითხველებს. ჯერჯერობით კი ფაქტი ფაქტად რჩება: რაკი არაა მეორე მთლიანი პოლიტიკური კოლექტივი, მაშასადამე, არც გათიშვაა.

ლიკვიდატორები დიდი ხანია გვპირდებიან «აშკარა» პოლიტიკური საზოგადოების შექმნას. მაგრამ დაპირება ფაქტი როდია. «თვით» ბ-ნი ლევიცკი, პოტრესოვისა და მარტოვის უახლოესი თანამოაზრე, «ნაშა ზარიას» (1911 წ.) მე-11 ნომრის მოწინავე სტატიაში გულდაწყვეტილი წერდა, რომ «ჩვენ ვერ ვხედავთ ლეგალური პოლიტიკური (ხაზგასმა ბ-ნ ლევიცკისაა) საზოგადოების შექმნის ვერც ერთ რამდენადმე მნიშვნელოვან ცდას». ბ-ნი ლევიცკი ამას აბრალებს როგორც «მასებს», ისე «ხელმძღვანელთ». მაგრამ ამჟამად საქმე ბრალდება კი არა, ფაქტის დადგენაა. თუ ბ-ნი ლევიცკი და მისი მეგობრები შეჰქმნიან ლეგალურ პოლიტიკურ საზოგადოებას, თუ უკანასკნელი გაატარებს ნამდვილად მარქსისტულ (და არა ლიბერალურ) მუშათა პოლიტიკას, მაშინ... მაშინ ვნახოთ. ოღონდ იჩქარეთ, ბატონებო, არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა, და საჭიროა ჰერკულესის ძალღონე, რომ წლობით გაცდენილი თვეობით აინაზღაუროთ (ან

გადააკეთოთ პირდაპირ იმის საწინააღმდეგოდ, რაც წინათ კეთდებოდა).

ლიკვიდატორებმა თვითონვე მოიჭრეს თავი. ხოლო კაცს რომ თავს სჭრიან, ის ქოჩორს აღარ მისტირის.

რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მეთვალყურეს შეუძლია იპოვოს მხოლოდ ერთი პოლიტიკური კოლექტივი ჩვენთვის საინტერესო სფეროში. მის გარშემო შემოკრებილი არიან ცალკეული პირნი და დაურაზმავი პატარა-პატარა ჯგუფები, რომელთაც უაღრესად არსებითს პოლიტიკურ საკითხებზე მთლიანი პასუხიც კი არ გააჩნიათ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ირგვლივ — რღვევაა. როგორც ყოველი რღვევის დროს, აქ არიან მერყეევნიც და ისეთებიც, რომელთაც იმედი აქვთ (ვაი რომ ამაოდ!) აიძულონ ლიკვიდატორები უარყონ საქმით ლიკვიდატორობა. მაგრამ იმედებით კვება, როდესაც არჩევნებამდე რაღაც ნახევარი წელიწადი დარჩენილა, მხოლოდ უიმედო პოლიტიკოსებს თუ შეუძლიათ.

აიღეთ თუნდ საარჩევნო კამპანიის ლოზუნგების, ტაქტიკის, შეთანხმების საკითხი. არის მხოლოდ ერთი ჩამოყალიბებული, ნათელი, ზუსტი, სრული, ახლა უკვე რუსეთის ყოველ კუთხეში ყველა ხელმძღვანელი მუშისთვის ცნობილი პასუხი. სხვა პასუხი არ არსებობს. კიდევ ერთხელ, ბატონო ლიკვიდატორებო: კაცს რომ თავს სჭრიან, ის ქოჩორს აღარ მისტირის.

P. S. * ალბათ, ლიკვიდატორების გამოსწორების «მოიმედეთა» რიცხვს აკუთვნებს თავისთავს ტროცკიც, რომელიც «ყივოე დელოში» პოპულარულად მოგვითხრობს დასაწყისს 1908 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებისას სამი ივნისის რეჟიმის დედაარსის შესახებ. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ ტროცკი შესძლებს დაარწმუნოს, თუნდაც, მაგალითად, ლარინი და მარტოვი, ისე, რომ ყველა ისინი ერთ გარკვეულ, ზუსტ, ნათელ პასუხზე შეთანხმდნენ ჩვენი ახლან-

* — Postscriptum — მინაწერი. რედ.

დელი «კონსტიტუციის» დედაარსის საკითხის შესახებ. გაჰყვირიან «გაერთიანების» სარგებლობაზე, «წრეობანას» მავნებლობაზე, ხოლო თვით «საკუთარი» წრის გაერთიანებული აზრიც კი ვერ შეუმუშავებიათ მთელი ჩვენი მუშაობის ვერც პრინციპულ და ვერც პრაქტიკულ საკითხებზე! სამაგიეროდ ფრაზა უხვადაა: «სოციალ-დემოკრატიას — წერს ტროცკი — თავისი დიადი ამოცანები შეუძლია არა მარტო ფორმულის სახით მოხაზოს თავის ქალას კოლოფის შიგა ზედაპირზე»... ლამაზად წერს ტროცკი, პოტრესოვსა და ნევედომსკიზე უარესად არა!

«პროსვეშჩენიე» № 3 — 4, 1912 წ. თებერვალ-მარტი
ხელმოწერა: ვ. ბ.

იბეჭდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური პარტიები მესამე სათათბიროს 5 წლის მანძილზე

I

გაზეთ «რ ე ჩ ი ს» 1912 წლის «წელიწდეულში» — ლიბერალიზმის ამ პატარა პოლიტიკურ ენციკლოპედიაში — დაბეჭდილია ბ-ნ მილიუკოვის სტატია: «პოლიტიკური პარტიები ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო შ ი ხუთი წლის მანძილზე». ეს სტატია, რომელიც ლიბერალიზმის აღიარებული ბელადისა და გამოჩენილი ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის, მით უფრო მეტი ყურადღების ღირსია, რომ იგი ეხება, შეიძლება ითქვას, მ თ ა ვ ა რ, წ ი ნ ა ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო თ ე მ ა ს. პარტიათა მოღვაწეობის პოლიტიკური შედეგები, მათი მნიშვნელობის საკითხები, საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის მეცნიერული განზოგადება, მომავალი საარჩევნო კამპანიის ლოზუნგები — ყოველივე ეს უნებურად ადგება კალმის წვერს, რაკი აღებულია ასეთი თემა; ბ-ნი მილიუკოვიც ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი იყო ყოველივე ამას შეხებოდა, თუმცა იგი ძალიან ცდილობდა დასჯერებოდა სათათბიროს «გარეგანი ისტორიის» ფაქტების უბრალო გადმოცემას.

გამოვიდა საინტერესო სურათი, რომელიც გვიხატავს ძველს, მაგრამ მუდამ ახალ სიუჟეტს: როგორ ისახება რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება ლიბერალის თვალში?

«სახალხო თავისუფლების პარტია, რომელიც I სათათბიროში ბატონობდა რიცხვობრივად, ხოლო II-ში — მორალურად, წერს ბ-ნი მილიუკოვი, III სათათბიროში წარმოდგე-

ნილი იყო მხოლოდ 56 — 53 დეპუტატით. ხელმძღვანელი უმრავლესობის მდგომარეობიდან ის გადავიდა ოპოზიციის მდგომარეობაში, მაგრამ ოპოზიციის რიგებში შეინარჩუნა უპირატესი მნიშვნელობა როგორც რაოდენობით, ისე თავის წევრთა თვისებრივი შემადგენლობით, თავის გამოსვლათა და ხმისმიცემათა მტკიცე ფრაქციული დისციპლინით».

პარტიის ბელადი სტატიაში პოლიტიკური პარტიების შესახებ თავის პარტიას აცხადებს «უპირატეს» პარტიად «წევრთა თვისებრივი შემადგენლობით». ეს ცუდი არ არის. ოღონდ რეკლამა შეიძლებოდა უფრო მოკრძალებული ყოფილიყო... მერე და სწორია ის, რომ კადეტებს უპირატესობა ჰქონდათ მტკიცე ფრაქციული დისციპლინით? არა, არ არის სწორი, ვინაიდან ყველას ახსოვს არა ერთი გამოსვლა, მაგალითად, ბ-ნ მაკლაკოვისა, რომელიც კადეტური ფრაქციის მარჯვნივ ცალკევდებოდა. ფრთხილად ვერ მოიქცა ბ-ნი მილიუკოვი: თუ საკუთარი პარტიის «თვისებების» რეკლამა საშიში არ არის იმ მხრივ, რომ ეს შეფასება სავსებით სუბიექტურია, პარტიული დისციპლინის მხრივ ფაქტები ერთბაშად აბათილებენ ამ რეკლამას. დამახასიათებელია, რომ სწორედ კადეტების მარჯვენა ფრთა როგორც სათათბიროში — მაკლაკოვის სახით — ისე პრესაში — ბ-ნ სტრუვეს და «რუსსკაია მისლის» კომპანიის სახით — ცალკევდებოდა, რითაც არღვევდა კადეტური პარტიის არათუ მტკიცე, არამედ ყოველგვარ დისციპლინას.

«მარცხნივ — განაგრძობს ბ-ნი მილიუკოვი — სახალხო თავისუფლების ფრაქციას უსხდნენ მხოლოდ 14 ტრუდოვიკი და 15 სოციალ-დემოკრატი. ტრუდოვიკების ჯგუფს მხოლოდ აჩრდილილა შერჩა იმ მნიშვნელობისა, რომელიც მას ჰქონდა პირველ ორ სათათბიროში. რამდენადმე უკეთ ორგანიზებული სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი დროგამოშვებით თავის გამოსვლებში მკაცრად ამხელდა «კლასობრივ წინააღმდეგობას», მაგრამ, არსებითად, მას არ შეეძლო არავითარი სხვა ტაქტიკა ეწარმოებინა, გარდა იმ ტაქტიკისა, რომელსაც ადგა «ბურჟუაზიული» ოპოზიციაც».

ეს არის სიტყვასიტყვით ყველაფერი ის, რასაც გვიამბობს გამოჩენილი ისტორიკოსი თავისი სტატიის ოც გვერდზე კადეტების მარცხნივ მდგომი პარტიების შესახებ. მაგრამ სტატიის საგანი ხომ პოლიტიკური პარტიებია სახელმწიფო სათათბიროში, — სტატიაში მეტად დაწვრილებითაა განხილული მემამულეთა შიგნით მომხდარი სულ მცირედი გადაჯგუფებანი, სხვადასხვა «ზომიერ-მემარჯვენე» თუ «მემარჯვენე-ოქტიაბრისტული ფრაქციები», განხილულია ამ ფრაქციების ცალკეული ნაბიჯები. რატომ არიან არარაობამდე ჩამოყვანილნი ტრუდოვიკები და სოციალ-დემოკრატები? — ვინაიდან მათი ი ს ე დახასიათება, როგორც ბ-ნი მილიუკოვი ახასიათებს, აშკარად მათ არარაობამდე დაყვანას ნიშნავს.

ერთადერთი შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: იმიტომ, რომ ეს პარტიები ბ-ნ მილიუკოვს განსაკუთრებით არ მოსწონს, და ამ პარტიების შესახებ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების სულ უბრალო აღნიშვნაც კი ეწინააღმდეგება ლიბერალიზმის ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს. მართლაცდა, ბ-მა მილიუკოვმა ხომ მშვენივრად იცის, ამრჩეველთა შემადგენლობის რა გადაჯგუფება-გადმოჯგუფებამ ჩამოაქვეითა ტრუდოვიკები სათათბიროებში «წინანდელი მნიშვნელობის აჩრდილამდე». ამ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებამ, რაც მოახდინეს ბ-მა კრიჟანოვსკიმ და 1907 წლის 3 ივნისის სხვა გმირებმა, ჩაჰფუშა კადეტების უმრავლესობა. მაგრამ განა ეს ამართლებს მონაცემების უგულებელყოფას და, კიდევ მეტიც, მონაცემების დამახინჯებას მემამულურ სათათბიროში მეტად სუსტად წარმოდგენილი პარტიების მნიშვნელობის შესახებ? ტრუდოვიკები ძალიან, ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილნი III სათათბიროში, მაგრამ მათი როლი ხუთი წლის მანძილზე დიდია, ვინაიდან ისინი წარმომადგენლობდნენ მრავალ მილიონ გლეხობას. მემამულეთა ინტერესებმა იძულებით გამოიწვიეს სწორედ გლეხთა წარმომადგენლობის შეკვეცა. ახლა ვიკითხოთ, რა ინტერესები აიძულებს ლიბერალებს თავიდან მოიშორონ ტრუდოვიკები??

ანდა აიღეთ ბ-ნ მილიუკოვის ბრაზმორეული სიტყვები სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ნუთუ მან არ იცის, რომ ამ უკანასკნელთა «ტაქტიკა» კადეტთა ტაქტიკისაგან განსხვავდება არა მარტო იმით, რითაც პროლეტარული ოპოზიცია განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან, არამედ იმითაც, რითაც დემოკრატიზმი განსხვავდება ლიბერალიზმისაგან? რა თქმა უნდა, ბ-მა მილიუკოვმა ძალიან კარგად იცის ეს, და ევროპის ყველა ქვეყნის უახლესი ისტორიის მაგალითებით მას შეეძლო განემარტა დემოკრატების განსხვავება ლიბერალებისაგან. საკითხის მთელი დედაარსი ისაა, რომ რაკი საქმე რუსეთს ეხება, რუს ლიბერალს ა რ ს უ რ ს დაინახოს თავისი განსხვავება რუს დემოკრატთაგან. რუსი ლიბერალისათვის ხ ე ლ-ს ა ყ რ ე ლ ი ა თავისი თავი რუს მკითხველს დაუსახოს საერთოდ მთელი «დემოკრატიული ოპოზიციის» წარმომადგენლად. მაგრამ ჭეშმარიტებას ამ ხელსაყრელობასთან საერთო არაფერი აქვს.

ნამდვილად ყველამ იცის, რომ III სათათბიროში სოციალ-დემოკრატები აწარმოებდნენ ს რ უ ლ ი ა დ სხვა ტაქტიკას, ვიდრე საერთოდ ბურჟუაზიული ოპოზიცია და კერძოდ კადეტური (ლიბერალური) ოპოზიცია. ბ-ნ მილიუკოვს რომ მკითხველის წინაშე დაეყენებინა პოლიტიკის რაიმე კონკრეტული საკითხები, თამამად შეიძლება ითქვას, ის ვერ იპოვიდა ვ ე რ ც ე რ თ ს, რომლის გამოც სოციალ-დემოკრატებს პრინციპულად ს ხ ვ ა ტაქტიკა არ ეწარმოებინათ. ბ-მა მილიუკოვმა თემად აიღო III სათათბიროს პოლიტიკური პარტიები და დაამახინჯა მთავარი და ძირითადი: პოლიტიკურ პარტიათა სამი ძირითადი ჯგუფი — მთავრობის პარტიები (პურიშკევიჩიდან გუჩკოვამდე), ლიბერალიზმის პარტიები (კადეტები, ნაციონალისტები და პროგრესისტები), დემოკრატიული პარტიები (ტრუდოვიკები — ბურჟუაზიული დემოკრატია, და მუშათა დემოკრატია) აწარმოებდნენ სამ სხვადასხვა ტაქტიკას. ბ-ნ მილიუკოვისთვის ორი პირველი განზოგადება ნათელია, ის კარგად ხედავს საქმის იმ დედაარსს, რომელიც ანათესავებს, ერთი მხრივ, პურიშკევიჩსა და გუჩკოვს, მეორე მხრივ,

ყველა ლიბერალს. მაგრამ ამ უკანასკნელთა განსხვავებას დემოკრატებისაგან ის ვერ ხედავს, იმიტომ, რომ ა რ ა ს უ რ ს დაინახოს.

II

იგივე მეორდება სხვადასხვა პარტიების კლასობრივი საფუძვლის საკითხშიც. მარჯვნივ ბ-ნი მილიუკოვი ხედავს და კიდეც ააშკარავებს ამ საფუძველს, მარცხნივ ის ერთბაშად ბრმავდება. «უკვე თვით 3 ივნისის კანონი — წერს ის — ნაკარნახევი იყო გაერთიანებული თავადაზნაურობის მიერ. და სწორედ თავადაზნაურთა ინტერესების დაცვა იკისრა სათათბიროს უმრავლესობის მარჯვენა ფრთამ. ამ უმრავლესობის მარცხენა ფრთამ ამას მიუმატა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა». მართლაცდა, ეს საგულისხმოა, არა? როდესაც კადეტი მარჯვნივ იხედება, ის მკვეთრად მიჯნავს «კლასობრივ წინააღმდეგობებს»: იქ თავადაზნაურებია, იქ — მსხვილი ბურჟუებიო. როგორც კი მარცხნივ გაიხედავს ლიბერალი, — მაშინვე ირონიულ ბრჭყალებში ისმება სიტყვები — «კლასობრივი წინააღმდეგობა». კლასობრივი განსხვავება ჰქრება: ლიბერალები წარმოადგენენ გლეხებსაც, მუშებსაც, ქალაქის დემოკრატიასაც, როგორც საერთო-«დემოკრატიულ ოპოზიციას»!

არა, ბატონებო, ეს არ არის მეცნიერული ისტორია, ეს არ არის სერიოზული პოლიტიკა, ეს პოლიტიკანობა და რეკლამაა.

არც გლეხებს და არც მუშებს ლიბერალები არ წარმოადგენენ, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ბურჟუაზიის — ქალაქის, მიწათმფლობელი და სხვა ბურჟუაზიის ნაწილს.

III სათათბიროს ისტორიის ფაქტები იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, ბ-ნ მილიუკოვსაც არ შეუძლია უარყოს, რომ ხშირად ოქტიაბრისტები და ლიბერალები ერთად აძლევენ ხმას არა მარტო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (მთავრობის წინააღმდეგ), არამედ განსაზღვრულ დადებით ღონისძიებათა ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ა ც. ეს ფაქტები, ოქტიაბრიზმისა და კადე-

ტიზმის (რომელნიც გაერთიანებული იყვნენ 1904 — 1905 წელს, 17 ოქტომბრამდე) საერთო ისტორიასთან დაკავშირებით, უმტკიცებენ ყველას, ვინც ოდნავ მაინც ანგარიშს უწევს ისტორიულ სინამდვილეს, რომ ოქტიაბრისტები და კადეტები — ერთი კლასის ორი ფრთაა, ორი ფრთაა ბურჟუაზიული ცენტრისა, რომელიც მერყეობს, ერთი მხრივ, მთავრობასა და მემამულეებს და, მეორე მხრივ, დემოკრატიას (მუშებსა და გლეხობას) შორის. «III სათათბიროს პოლიტიკური პარტიების» ისტორიის ამ ძირითად დასკვნას ბ-ნი მილიუკოვი ვერ ხედავს მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის სასარგებლო არ არის მისი დანახვა.

მესამე სათათბირომ ახალი მხრიდან, ახალ ვითარებაში დაადასტურა რუსეთის პოლიტიკური ძალებისა და რუსეთის პოლიტიკური პარტიების ის ძირითადი დაყოფა, რომელიც სრულიად გარკვევით გამოისახა XIX საუკუნის ნახევრიდან, სულ უფრო და უფრო ყალიბდებოდა 1861 — 1904 წლებში, გამოაშკარავდა და განმტკიცდა მასების ბრძოლის აშკარა ასპარეზზე 1905 — 1907 წლებში და ასეთივე დარჩა 1908 — 1912 წლებშიც. რატომ რჩება ძალაში დღემდისაც ეს დაყოფა? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გადაუჭრელია რუსეთის ისტორიული განვითარების ის ობიექტური ამოცანები, რომლებიც შეადგენენ დემოკრატიულ გარდაქმნათა და დემოკრატიულ გადატრიალებათა შინაარსს ყველგან, 1789 წლის საფრანგეთით დაწყებული, ვიდრე 1911 წლის ჩინეთამდე.

ამ ნიადაგზე აუცილებელია «ბიუროკრატიისა» და მემამულეების შეუპოვარი წინააღმდეგობა, აგრეთვე მერყეობა ბურჟუაზიისა, რომლისთვისაც გარდაქმნანი აუცილებელია, მაგრამ რომელსაც ეშინია, რომ მათ გამოიყენებს საერთოდ დემოკრატია და განსაკუთრებით მუშები. ეს შიში განსაკუთრებით ნათლად ემჩნეოდათ — სათათბიროს პოლიტიკის სფეროში — I და II სათათბიროს კადეტებს, III სათათბიროს ოქტიაბრისტებს, ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც ეს პარტიები «ხელმძღვანელ» უმრავლესობას შეადგენდნენ. კადეტები ებრძვიან ოქტიაბრისტებს, თუმცა მათივე პრინციპულ პოზი-

ციაზე რჩებიან, ისინი უფრო მეტოქეობას უწევენ ოქტიაბრისტებს, ვიდრე ებრძვიან. ისინი მათთან ერთად იყოფენ ადგილს ხელისუფლების ახლოს მემამულეების გ ვ ე რ დ ი თ, — აქედანაა ძალაუფლების პატრონთა მოჩვენებითი სიმწვავე კონფლიქტისა კადეტებთან, როგორც უახლოეს კონკურენტებთან.

ბ-ნი მილიუკოვი უგულებელყოფს განსხვავებას დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის და არაჩვეულებრივ დაწვრილებით, დეტალურად, შეიძლება ითქვას სიამოვნებით იხილავს დაჯგუფებებს მემამულეების შიგნით: მემარჯვენენი, ზომიერ-მემარჯვენენი, ნაციონალისტები საერთოდ, დამოუკიდებელი ნაციონალისტები, მემარჯვენე ოქტიაბრისტები, ჩვეულებრივი ოქტიაბრისტები, მემარცხენე ოქტიაბრისტები. ამ დაყოფას და ამ ფარგლებში გადაჯგუფებას არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს; ის დაკავშირებულია, სულ დიდი-დიდი, რომელიმე ტვერდოონტოს რომელიმე უგრიუმ-ბურჩეევით შეცვლასთან ადმინისტრაციაში, პიროვნებათა შეცვლასთან, წრეებისა თუ კოტერიების გამარჯვებასთან. ყოველივე ცოტად თუ ბევრად არსებითი რამ პოლიტიკური ხაზის მხრივ აქ სრულიად ერთნაირია.

(IV სათათბიროს არჩევნებში) «იბრძოლებს ორი ბანაკიო», იმეორებს ბ-ნი მილიუკოვი, როგორც განუწყვეტლივ იმეორებს ამას მთელი კადეტური პრესაც. ეს სწორი არ არის, ბატონებო. ი ბ რ ძ ვ ი ს და იბრძოლებს ს ა მ ი მთავარი ბანაკი: მთავრობის ბანაკი, ლიბერალური ბანაკი და მუშათა დემოკრატია, როგორც საერთოდ მთელი დემოკრატიის მიმზიდველი ცენტრი. ორ ბანაკად დაყოფა ლიბერალური პოლიტიკის ფანდია, რომელიც ხანდახან, სამწუხაროდ, თავგზას უბნევს მუშათა კლასის ზოგიერთ მომხრეს. როცა მუშათა კლასი შეიგნებს სამ ძირითად ბანაკად დაყოფის აუცილებლობას, მხოლოდ მაშინ შეუძლია მას აწარმოოს ნამდვილად თ ა ვ ი ს ი და არა ლიბერალური მუშათა პოლიტიკა, გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს კონფლიქტები პირველ და მეორე ბანაკს შორის და ერთი წუთითაც არ მოატყუებინოს თავი ლიბერალების ვი-

თომდა-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას. და არათუ თავი არ მოატყუებინოს, არამედ არ მოატყუებინოს არც გლეხები, როგორც ბურჟუაზიული დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მთავარი დასაყრდენი, — ასეთია მუშების ამოცანები. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს III სათათბიროს პოლიტიკურ პარტიათა ისტორიიდანაც.

«ზვეზდა» № 14 (50),
1912 წ. 4 მარტი
ხელმოწერა: კ. ტ.

იბეჭდება ვაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ [139]

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის უკანასკნელი წლები მერყეობისა და დეზორგანიზაციის წლები იყო. სამი წლის განმავლობაში პარტიამ ვერ შესძლო ვერც კონფერენციისა და ვერც ყრილობის მოწვევა, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ცენტრალურმა კომიტეტმა ვერავითარი მუშაობა ვერ გააჩაღა. მართალია, პარტია განაგრძობდა არსებობას, მაგრამ მხოლოდ ცალკეული ჯგუფების სახით ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქში, — ჯგუფებისა, რომელნიც, ცენტრალური კომიტეტის უყოლობის გამო, რამდენადმე განცალკევებული საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

ბოლო ხანებში, რუსეთის პროლეტარიატის ახალი გამოღვიძების გავლენით, პარტიამ კვლავ დაიწყო განმტკიცება, და სულ ახლახან, როგორც იქნა, საშუალება მოგვეცა მოგვეწვია კონფერენცია (რაც შეუძლებელი იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში 1908 წლიდან), რომელზედაც წარმოდგენილი იყვნენ ორივე სატახტო ქალაქის, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთის, კავკასიისა და ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის ორგანიზაციები. საერთოდ, ოცი ორგანიზაცია მჭიდროდ დაუკავშირდა საორგანიზაციო კომისიას, რომელმაც ეს კონფერენცია მოიწვია, ე. ი. თითქმის ყველა, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური, ორგანიზაცია, რომელნიც ამჟამად არსებობენ რუსეთში.

თავის 23 სხდომაზე კონფერენციამ, რომელმაც თავი უმაღლესი პარტიული ორგანოს უფლებებითა და მოვალეობით აღჭურვილად აღიარა, განიხილა დღის წესრიგის ყველა საკითხი, რომელთა შორის მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხები იყო. კონფერენციამ, მაგალითად, ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეაფასა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის პოლიტიკა, და ეს შეფასება სავსებით შეესაბამება 1908 წლის კონფერენციის რეზოლუციებს და ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის პლენუმის გადაწყვეტილებებს. კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სათათბიროს არჩევნებს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ მოხდება, და ამის შესახებ მიიღო სამი ნაწილისაგან შემდგარი რეზოლუცია, რომელიც ფრიად მკაფიოდ და ვრცლად აშუქებს ჩვენს დახლართულ საარჩევნო კანონს, არჩევს სხვა პარტიებთან საარჩევნო შეთანხმების საკითხს და ყოველმხრივ არკვევს პარტიის პოზიციას და ტაქტიკას მომავალი საარჩევნო კამპანიის დროსათვის. აგრეთვე განხილულ იქნა შიმშილობასთან ბრძოლის, მუშათა დაზღვევის, პროფესიული კავშირების, გაფიცვებისა და სხვა საკითხები და მათ შესახებ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი.

კონფერენციამ განიხილა აგრეთვე «ლიკვიდატორების» საკითხი. ეს მიმდინარეობა უარყოფს არალეგალური პარტიის არსებობას, აცხადებს ამ პარტიას უკვე ლიკვიდირებულად, რეაქციულ უტოპიად აცხადებს არალეგალური პარტიის აღდგენას და ირწმუნება, რომ პარტიის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ლეგალური ფორმითო. მიუხედავად ამისა, ამ მიმდინარეობას, რომელმაც კავშირი გაწყვიტა არალეგალურ პარტიასთან, დღემდე არავითარი ლეგალური პარტია არ შეუქმნია. კონფერენციამ აღნიშნა, რომ პარტია უკვე ოთხი წელია ებრძვის ამ მიმდინარეობას, რომ 1908 წლის კონფერენციამ და ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის პლენუმმა დაგმეს ლიკვიდატორები, რომ მიუხედავად პარტიის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომებისა ეს მიმდინარეობა წინანდებურად ინარჩუნებს ფრაქციულ განცალკევებულობას და ებრძვის

პარტიას ლეგალური პრესის ფურცლებზე. ამიტომ კონფერენციამ განაცხადა, რომ ლიკვიდატორებმა, რომელნიც ჯგუფდებიან ჟურნალების «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ირგვლივ (მათ ახლა უნდა დაემატოს «ჟივოე დელოც»), თავი დაიყენეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გარეთ.

ბოლოს, კონფერენციამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია. გარდა ამისა, კონფერენციამ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ არის მრავალი ჯგუფი, რომელნიც მეტ-ნაკლებად სოციალისტური არიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სრულიად მოწყვეტილი არიან რუსეთის პროლეტარიატს და მის სოციალისტურ მუშაობას და, მაშასადამე, სრულიად უპასუხისმგებლონი არიან; რომ ამ ჯგუფებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ არც წარმოადგინონ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და არც გამოვიდნენ მისი სახელით; რომ პარტია არ კისრულობს არავითარ პასუხისმგებლობას თუ თავდებობას ამ ჯგუფების გამო და რომ რსდმ პარტიასთან ყოველგვარი კავშირურთიერთობის დამყარება შეიძლება მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის საშუალებით, რომლის საზღვარგარეთულ მისამართს აქვე ვიძლევით: ვლადიმერ ულიანოვი, 4 Rue Marie Rose, პარიზი XIV (ცენტრალური კომიტეტისთვის).

დაწერილია 1912 წ. 12 მარტის დამდეგს
დაიბეჭდა 1912 წ. 18 მარტს (ახ. სტ.)
საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს
ცირკულარში № 4

იბეჭდება ცირკულარის
ტექსტის მიხედვით.
თარგმანი გერმანულიდან

რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა[140]

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო!

სულ უახლოეს ხანში მოხდება IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიცა და თვით მთავრობაც უკვე მთელი ძალღონით ემზადებიან არჩევნებისთვის. შეგნებული პროლეტარიატის პარტია, რომელმაც 1905 წლის სახელოვანი ბრძოლით პირველი სერიოზული ლახვარი ჩასცა ცარიზმს და ხელიდან გამოგლიჯა მას წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოუწოდებს ყველას და თვითეულს, როგორც საარჩევნო უფლებათა მქონეთ, ისე «უუფლებოთა» უდიდეს უმრავლესობას — უაღრესად ენერგიული მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ყველა, ვინც მიისწრაფის დაქირავებული მონობისაგან მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის თავისუფლების საქმე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქმეს, რათა მეოთხე, მემამულური, სათათბიროს არჩევნებშიც შეამჭიდროს და გაასალკლდეოს თავისუფლებისათვის მებრძოლნი, წინ წასწიოს რუსეთის დემოკრატიის შეგნებულობა და ორგანიზებულობა.

ხუთმა წელმა განვლო 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების დროიდან, როცა ნიკოლოზ სისხლისმსმელმა, ხოდინკის მეფემ, პირველი და მეორე სათათბიროს «დამმარცხებელმა და გამანადგურებელმა», უკუაგდო თავისი ფიცი, დაპირებანი და მანიფესტები, რათა მემამულეთა შავ რაზმთან

ერთად, ოქტიაბრისტ ვაჭრებთან ერთად, შესდგომოდა შურისძიებას რუსეთის მუშათა კლასზე და ყველა რევოლუციურ ელემენტზე, ე. ი. ხალხის უდიდეს უმრავლესობაზე, 1905 წლის გამო.

რევოლუციის გამო შურისძიებითაა აღნიშნული III სათათბიროს მთელი ეპოქა. რუსეთში ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი თავაშვებული დევნა ცარიზმის მხრივ. სახრჩობელებმა ამ ხუთი წლის მანძილზე რუსეთის ისტორიის სამი საუკუნის რეკორდს გადააჭარბეს. გადასახლების ადგილები, კატორღა და საპყრობილეები გაიესო პოლიტიკურებით, როგორც არასოდეს, და დამარცხებულთადმი არასდროს არ გამოუყენებიათ ისეთი ტანჯვა-წამება, როგორც ნიკოლოზ II-ის დროს. არასდროს არ ყოფილა ხაზინის ასეთი აღვირახსნილი ქურდობა, მოხელეების ასეთი უხამსობა და თვითნებობა, — ნოხელეებისა, რომელთაც ყველაფერი გაუდით «კრამოლასთან» გულმოდგინე ბრძოლის გამო, — ასეთი აბუჩად აგდება საერთოდ ობივატელისა და განსაკუთრებით გლეხისა ხელისუფლების რომელიც გინდა წარმომადგენლის მხრივ. ჯერ კიდევ არასდროს არ უდევნიათ ასეთი თავდავიწყებით, ასეთი გაბოროტებით, ასე თავზეხელაღებულად ებრაელები და მათი მიყოლებით სხვა ეროვნებანიც, რომელნიც გაბატონებულ ერს არ ეკუთვნიან.

მთავრობის პარტიების ერთადერთი პოლიტიკური პლატფორმა გახდა ანტისემიტიზმი და ყოვლად უხეში ნაციონალიზმი, ხოლო პურიშკევიჩის ფიგურა გახდა ახლანდელი მეფის მონარქიის მართვა-გამგეობის ყველა წესის ერთადერთი სრული, მთლიანი, სწორი გამოხატულება.

მერე და, რა შედეგი მოიტანა კონტრრევოლუციის ასეთმა გაშმაგებამ?

საზოგადოების თვით «უმაღლეს», ექსპლოატატორულ კლასებშიც კი იჭრება იმის შეგნება, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. თვით ოქტიაბრისტები, — III სათათბიროში გაბატონებული პარტია, რევოლუციით შეშინებული და უფროსთა

მიმართ მლიქვნელი მემამულისა და ვაჭრის პარტია, — თავის საკუთარ პრესაში სულ უფრო და უფრო გამოთქვამენ იმის რწმენას, რომ მეფემ და თავადაზნაურებმა, რომელთაც ოქტიაბრისტები რწმენითა და ალალმართლად ემსახურებოდნენ, რუსეთი ჩიხში მოამწყვდიეს.

იყო დრო, როდესაც მეფის მონარქია ევროპის ჟანდარმს წარმოადგენდა, რუსეთში რეაქციას იცავდა, ხოლო ევროპაში ხელს უწყობდა თავისუფლებისადმი ყოველგვარი მისწრაფების ძალით ჩახშობას. ნიკოლოზ II-მ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ახლა მეფე არის არა მარტო ევროპის, არამედ აზიის ჟანდარმიც, რომელიც ინტრიგებით, ფულით და უაღრესად მხეცური ძალმომრეობით ცდილობს ჩაახშოს ყოველგვარი მისწრაფება თავისუფლებისადმი თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში.

მაგრამ ცარიზმის ვერავითარი სიმხეცე ვერ შეაჩერებს რუსეთის განვითარებას. თუმცა პურიშკევიჩები, რომანოვები, შარკოვები, ეს ნაბოლარა-მებატონენი საშინლად ამახინჯებენ და ახეიბრებენ რუსეთს, მაგრამ ის მაინც წინ მიდის. და რაც უფრო წინ მიდის მისი განვითარება, მით უფრო უცილობელი ხდება პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა. პოლიტიკური თავისუფლების გარეშე რუსეთს, ისე როგორც XX საუკუნის არც ერთ ქვეყანას, ცხოვრება არ შეუძლია. და განა შესაძლებელია პოლიტიკურ რეფორმებს მოველოდეთ მეფის მონარქიისაგან, როდესაც მეფემ გარეკა პირველი ორივე სათათბირო და ფეხქვეშ გათელა 1905 წლის 17 ოქტომბრის თავისივე მანიფესტი? განა თანამედროვე რუსეთში შესაძლებელია პოლიტიკური რეფორმები, როცა ყოველ კანონს აბუჩად იგდებს მოხელეთა ხროვა, რადგან იცის, რომ მეფე და მისი დამქაშები ყველაფერს მიაფუჩეჩებენ? განა არა ვხედავთ, როგორ სარგებლობენ თვით მეფისა ან მის ნათესავთა მფარველობით და როგორ სთელავდნენ და სთელავენ ფეხქვეშ ყველა და ყოველგვარ კანონს გუშინ ილიოდორი, დღეს რასპუტინი, გუშინ ტოლმაჩევი, დღეს ხვოსტოვი, გუშინ სტოლიპინი, დღეს მაკაროვი? განა არა ვხედავთ, რომ მემამულური სათათ-

ბიროს წვრილმან, სასაცილო უბადრუკ «რეფორმებსაც» კი, მიმართულს მეფის ძალაუფლების გადახალისებისა და განმტკიცებისაკენ, უარყოფს და ამახინჯებს სახელმწიფო საბჭო ანდა ნიკოლოზ სისხლისმსმელის პირადი ბრძანება? განა არ ვიცით, რომ კაცისმკვლელთა შავრაზმული ბრბო, საფრიდან რომ ტყვიას ესვრის ხელისუფლებისთვის არასასიამოვნო დეპუტატებს, კატორღაში რომ გზავნის II სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს, მუდამ რომ ამზადებს დარბევებს, ყველგან თავხედურად რომ ძარცვავს ხაზინას, — მეფის საგანგებო თანაგრძნობით სარგებლობს და მისგან ღებულობს ცუდად დაფარულ დახმარებას, მიმართულებას, ხელმძღვანელობას? შეხედეთ, რა ბედი ეწია ნიკოლოზ რომანოვის დროს რუსი ხალხის ძირითად პოლიტიკურ მოთხოვნებს, რომელთა გულისთვის ³/₄ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გმირულად იბრძოდნენ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები და რომელთა გულისთვის 1905 წელს მილიონები ამხედრდნენ. განა რომანოვების მონარქიას შეეთავსება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება, როცა ცარიზმმა ფეხქვეშ გათელა პირველი და მეორე სათათბიროს თვით არასაყოველთაო, არათანასწორი, არაპირდაპირი საარჩევნო უფლებაც კი? შეეთავსება განა მეფის მონარქიას კავშირების, კოალიციის, გაფიცვების თავისუფლება, როცა გუბერნატორებმა და მინისტრებმა 1906 წლის 4 მარტის რეაქციული, მახინჯი კანონიც კი[141] სრულ არარაობად აქციეს? განა დაცინვად არ გაისმის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის სიტყვები «სამოქალაქო თავისუფლების ურყევ საფუძვლებზე», «პიროვნების ნამდვილ ხელუხლებლობაზე», «სინდისის, სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლებაზე»? მეფის ყოველი «ქვეშევრდომი» ყოველ დღე ხედავს ამ დაცინვას.

არა! კმარა ლიბერალური სიცრუე, თითქოს შესაძლებელი იყოს თავისუფლებისა და ძველი ხელისუფლების შეთავსება, თითქოს წარმოსადგენი იყოს პოლიტიკური რეფორმები მეფის მონარქიის დროს. კონტრრევოლუციის მძიმე გაკვეთილებით

დაისაჯა რუსეთის ხალხი ამ ბავშვური ილუზიების გამო! ვისაც სერიოზულად და გულწრფელად სურს პოლიტიკური თავისუფლება, მან ამაყად და გაბედულად უნდა ააფრიალოს რესპუბლიკის დროშა, და მეფე-მემამულეთა ხროვის პოლიტიკა განუხრელად მოუყრის თავს ამ დროშის ქვეშ რუსეთის დემოკრატიის მთელ ცოცხალ ძალებს.

იყო დრო — და ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია — როცა ძახილი: ძირს თვითმპყრობელობა! მეტისმეტად ნაადრევად ეჩვენებოდათ რუსეთისათვის. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ წამოისროლა ეს ლოზუნგი, მოწინავე რაზმების მუშებმა ხელი ჩასჭიდეს მას და მთელ ჩვენს ქვეყანას მოჰფინეს; 2 — 3 წლის განმავლობაში ეს ლოზუნგი «ხალხურ გამოთქმად» იქცა. მაშ შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგო-მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო, ვისაც არა სურს, რომ ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ ჩაეფლოს ათობით მილიონთა უმოძრაობაში, ველურობაში, უუფლებობასა და საშინელ გაჭირვებაში! რუსეთის სოციალ-დემოკრატები, რუსეთის მუშები მიაღწევენ იმას, რომ რუსეთში ხალხურ გამოთქმად გახდეს: ძირს მეფის მონარქია! გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

მუშებო! მოიგონეთ 1905 წელი: საგაფიცვო ბრძოლით თქვენ ახალი ცხოვრებისათვის, შეგნებულობისა და თავისუფლებისათვის აამხედრეთ მილიონობით მშრომელნი. და მეფის რეფორმათა ათეულ წლებს არ მოუციათ და ვერც მოგვცემენ თქვენი ცხოვრების იმ გაუმჯობესებათა მეათედსაც კი, რაც თქვენ მაშინ მოიპოვეთ მასების ბრძოლით. მემამულური სათათბიროს მიერ კადეტების მონაწილეობით დამახინჯებული მუშათა დაზღვევის კანონპროექტის ბედმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რას უნდა მოელოდნენ მუშები «ზევიდან».

კონტრრევოლუციამ წაგვართვა თითქმის მთელი ჩვენი მონაპოვარი, მაგრამ მან მუშათა ახალგაზრდობას, სრულიად რუსეთის მზარდ და განმტკიცების გზაზე დამდგარ პროლეტარიატს ვერ წაართვა და ვერც წაართმევს ძალას, სიმხნევეს, თავისი საქმის რწმენას.

გაუმარჯოს ახალ ბრძოლას მუშების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მუშებისა, რომელთაც არა სურთ დარჩნენ მონებად ფაბრიკა-ქარხნების კატორღაში! გ ა უ მ ა რ ჯ ო ს 8 ს ა ა თ ი ს ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე ს! ვისაც სურს თავისუფლება რუსეთისათვის, ის უნდა დაეხმაროს იმ კლასს, რომელმაც 1905 წელს საფლავი გაუთხარა მეფის მონარქიას და რომელიც რუსეთის მომავალი რევოლუციის დროს ამ საფლავში გადაუძახებს რუსეთის ყველა ხალხის უდიდეს მტერს.

გლეხებო! თქვენ ტრუდოვიკ დეპუტატებს გზავნიდით I და II სათათბიროში, რადგან გწამდათ მეფე და იმედი გქონდათ მშვიდობიანად დაითანხმებდით მას მემამულეთა მიწები გადაეცა ხალხისთვის. თქვენ ახლა დარწმუნდით, რომ მეფე — რუსეთის ყველაზე დიდი მემამულე — მემამულეთა და მოხელეთა დაცვის საქმეში არ ერიდება არავითარ ფიცის გატეხას, არავითარ უკანონობას, არავითარ ძალადობას და სისხლისღვრას. მოვითმინოთ ნაბოლარა-მებატონეთა უღელი, უსიტყვოდ ავიტანოთ მოხელეთა დაცინვა და აბუჩად აგდება და ასი ათასობით და მილიონობით დავიხოცოთ შიმშილით განწამებნი, დავიხოცოთ შიმშილით და უკიდურესი სიღატაკით გამოწვეული სხვადასხვა ავადმყოფობით, — თუ დავიხოცოთ ბრძოლაში მეფის მონარქიისა და მეფე-მემამულეთა სათათბიროს წინააღმდეგ, რათა ჩვენს შვილებს მოვუპოვოთ ცოტად თუ ბევრად წესიერი ადამიანური ცხოვრება?

აი საკითხი, რომელიც კარს მოსდგომია რუსეთის გლეხებს. და მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს გლეხებს იბრძოლონ სრული თავისუფლებისათვის, მემამულეთა მთელი მიწის გლეხების ხელში გადასვლისათვის სრულიად გამოუყიდველად. ნასუფრალი ვერ უშველის გლეხთა სიღატაკეს, ვერ იხსნის გლეხებს შიმშილისაგან. მოწყალებას კი არ მოითხოვენ გლეხები, არამედ იმ მიწას, რომელსაც საუკუნეობით რწყავდნენ ისინი თავიანთი ოფლითა და სისხლით. გლეხებს ესაჭიროებათ არა ხელისუფალთა და მეფის ზრუნვა, არამედ თავისუფლება მოხელეებისა და მეფისაგან, თავისუფლება იმისა, რომ თვითონვე მოაწყონ თავიანთი საქმე.

მაშ დაე IV სათათბიროს არჩევნებმა ხელი შეუწყოს მასების პოლიტიკური შეგნების გათვითცნობიერებას, გადამწყვეტ ბრძოლაში მათს ხელახლა ჩაბმას. არჩევნებში იბრძვის სამი მთავარი პარტია: 1) შავრაზმელები, 2) ლიბერალები, 3) სოციალ-დემოკრატები.

შავრაზმელებს ეკუთვნიან მემარჯვენეებიც, «ნაციონალისტებიც» და ოქტიაბრისტებიც. ისინი მხარს უჭერენ მთავრობას — მაშასადამე, განსხვავებას მათ შორის რაიმე სერიოზული მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს. ულმობელი ბრძოლა ყველა ამ შავრაზმული პარტიის წინააღმდეგ — აი ჩვენი ლოზუნგი.

ლიბერალები — ეს არის კადეტთა პარტია («კონსტიტუციურ-დემოკრატიული» ანუ «სახალხო თავისუფლებისა»). ეს არის პარტია ლიბერალური ბურჟუაზიისა, რომელსაც სურს გაიზიაროს მეფისა და მებატონე-მემამულეების ძალაუფლება, ისე, რომ ძირფესვიანად არ დაანგრიოს მათი ძალაუფლება, ისე, რომ ძალაუფლება არ ჩაუგდოს ხალხს ხელში. ლიბერალებს სძულთ მთავრობა, რომელიც მათ ძალაუფლებასთან არ უშვებს, ისინი ხელს უწყობენ მთავრობის მხილებას, მერყეობასა და რღვევას იწვევენ მის რიგებში, მაგრამ მათ განუზომლად უფრო მეტად სძულთ რევოლუცია, ეშინიათ მასების ყოველგვარი ბრძოლისა; ისინი კიდევ უფრო მეტად ორჭოფად და გაუბედავად ეკიდებიან ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას და გადამწყვეტ მომენტებში მოღალატურად გადადიან მონარქიის მხარეზე. კონტრრევოლუციის პერიოდში ლიბერალები აჰყვნენ ცარიზმის «სლავურ» ოცნებებს და «პასუხისმგებელ ოპოზიციად» მოჰქონდათ თავი, ფეხქვეშ ეგებოდნენ მეფეს როგორც «მისი უდიდებულესობის ოპოზიცია» და ლაფს ასხამდნენ რევოლუციონერებს და მასების რევოლუციურ ბრძოლას, სულ უფრო და უფრო მეტად აქცევდნენ ზურგს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ III შავ სათათბიროშიც შესძლო რევოლუციის დროშის აფრიალება, იქიდანაც შესძლო დახმარებოდა მუშების დარაზმვისა

და რევოლუციური განათლების საქმეს, მემამულეების წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლის საქმეს. პროლეტარიატის პარტია — ერთადერთი პარტიაა მოწინავე კლასისა, რომელსაც შეუძლია თავისუფლება მოუპოვოს რუსეთს. და ახლა ჩვენი პარტია სათათბიროში მიდის არა იმიტომ, რომ «რეფორმობა» გაითამაშოს იქ, არა იმიტომ, რომ «დაიცვას კონსტიტუცია», «დაარწმუნოს» ოქტიაბრისტები ან «განდევნოს რეაქცია» სათათბიროდან, როგორც ამბობენ ხალხის მატყუარა ლიბერალები, არამედ იმისათვის, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან მოუწოდოს მასებს ბრძოლისაკენ, განმარტოს სოციალიზმის მოძღვრება, გამოააშკარაოს მთავრობისა და ლიბერალების ყოველგვარი მატყუარობა, ამხილოს ხალხის ჩამორჩენილი ფენების მონარქისტული ცრურწმენანი და ბურჟუაზიული პარტიების კლასობრივი ფესვები, — ერთი სიტყვით იმისათვის, რომ მოამზადოს რუსეთის ახალი რევოლუციის შეგნებულ მებრძოლთა არმია.

მეფის მთავრობამ და შავრაზმელმა მემამულეებმა სავსებით შეაფასეს, თუ რევოლუციის რა ძალას წარმოადგენდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ახლა პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი ძალღონე იქითკენაა მიმართული, რომ IV სათათბიროში არ გაეპაროთ სოციალ-დემოკრატები. მაშ გაერთიანდით, მუშებო და მოქალაქენო! შემჭიდროვდით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ირგვლივ, რომელმაც ამას წინათ თავის კონფერენციაზე, შავბნელი დროის რღვევის შემდეგ წელგამართულმა, კვლავ ძალა მოიკრიბა და თავისი დროშა ააფრიალა! დაე ყველამ და თვითეულმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და საარჩევნო აგიტაციაში — და მთავრობის ღონისძიებებიც ჩაიფუშება, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშა სათათბიროს ტრიბუნიდან აფრიალდება პოლიციურ, უუფლებო, სისხლით მორწყულ, დაბეჩავებულ და დამშეულ რუსეთშიც!

გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!

გაუმარჯოს მემამულეთა მიწის კონფისკაციას!

მუშებო და მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო აგიტაციას! აირჩიეთ რსდმ პარტიის კანდიდატები!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის ცენტრალური
კომიტეტი

დაწერილია 1912 წ. მარტის დამდეგს
დაიბეჭდა ცალკე ფურცლად
1912 წ. მარტში

იბეჭდება
ფურცლის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებულ
ხელნაწერ ასლის ტექსტთან

გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას

(მინაწერი «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმაზე») [142]

ეს პლატფორმა * გეგზავნებათ მხოლოდ იმისთვის, რომ ყველას გააცნოთ, განსაკუთრებით პლატფორმის შემთხზველებს. დროა თავი დაანებონ პლატფორმის შეთხზვას, როდესაც არსებობს ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული და გამოცემული პლატფორმა (რუსეთში **უკვე გამოვიდა** ფურცელი ამის შესახებ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი გვაქვს და მისი გამოგზავნა არ შეგვიძლია; ამიტომ გადავწერეთ და გიგზავნით ასლს). განსაკუთრებით დიდი სისულელე იქნებოდა ლეგალური პლატფორმების შეთხზვა. **ყველა** და **ყოველგვარი** სტატია პლატფორმის შესახებ და «პლატფორმის საფუძვლების» შესახებ უნდა დაიბეჭდოს უსათუოდ ავტორის ხელმოწერით და შენიშვნით: კომენტარის ცდა.

კერძოდ **ძალიან, ძალიან** ვურჩევდი თქვენთვის ცნობილ კოლეგიას **არ** დაამტკიცოს არავითარი პლატფორმა. ეს ლიკვიდატორული წამოწყებაა, რომ პლატფორმას ამტკიცებდეს ვინმე გარდა ცენტრალური კომიტეტისა! გარდა ამისა კოლეგიის მიერ პლატფორმის დამტკიცება კარგს არაფერს მოიტანს არსებითადაც. კოლეგიამ ან უნდა მოიწონოს ეს ანდა კრინტიც არ დასძრას.

დაწერილია 1912 წ.
13 (26) მარტს

იბეჭდება
პირველად, ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 606. რ ე დ.

გადმოშალეთ თქვენი ბანქო[143]

მონაკოს სამთავროს ენა[144] — ეს არის ენა, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი დიდკაცობა, ბატონი მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვები. ყველამ იცის, ვინ შემოიღო ამ ენის ხმარება ჩვენს სახელმწიფო საბჭოში! ამიტომ ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, როცა გაზეთ «ჟივოე დელოს» მე-8 ნომერში წავაწყდით იმ გამოთქმას, რომელიც სათაურად აქვს ამ სტატიას.

მაგრამ საქმე ის კი არაა, თუ როგორ გამოთქმას ხმარობ. ლიკვიდატორთა შორის იმ პირის ავტორიტეტობა, რომელმაც ეს გამოთქმა იხმარა (ლ. მარტოვი), აღძრული თემის დიდი მნიშვნელობა («გადმოშალეთ თქვენი ბანქო» საარჩევნო კამპანიის, მისი პრინციპების, მისი ტაქტიკისა და სხვა საკითხებში), ყოველივე ეს გვაიძულებს გამოვეხმაუროთ წამოყენებულ ლოზუნგს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ არის იგი გამოთქმული.

«გადმოშალეთ თქვენი ბანქო» — ჩინებული ლოზუნგია. და ჩვენთვის უწინარეს ყოვლისა სასურველია, რომ იგი მივუყენოთ გაზეთ «ჟივოე დელოს». გადმოშალეთ თქვენი ბანქო, ბატონებო!

ლიტერატურულ საქმეებში გამოცდილი ადამიანები ერთბაშად არკვევენ გამოცემის ხასიათს თანამშრომელთა შემადგენლობის მიხედვით, იმ ცალკეული გამოთქმების მიხედვითაც კი, რომელნიც მიგვითითებენ ორგანოს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს, თუ ეს მიმართულება რამდენადმე დამკვიდრებული და ცნობილია. ასეთი ადამიანებისთვის საკმარისი იყო გაზეთ

(1)

Карты на стол.

Языка кадетства можно изучать, хорошо зная основной канон эпохи, господин министр, имена гг. Совета и т. д. Чувствую, что вам в употребление этот язык в устах гг. Советов! Поэтому мы можем удивиться, встретив в газете „Живое Дело", № 8, то выражение, которое находится в заголовке статьи.

Но это не в стиле выражения. Авторитетность — среди интеллигентов — вещь, употреблявшаяся его (А. Мартов), вождем рабочей партии. Уже „карты на стол" в вопросах об избирательной кампании, об группах, об фракциях и т. д. Не это детский язык кадетских вождей, называемый „Дело", как от Бранского.

„Карты на стол", это — чрезвычайный вопрос. И как нужно было [illegible]

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «გადმოშალეთ თქვენი ბანქო». — 1912 წ. მარტი

დაპატარავებულია

«ჟივოე დელოს» ერთი თვალის გადავლება, რომ ცხადი გამხდარიყო მისი ლიკვიდატორული მიმართულება.

მაგრამ ფართო საზოგადოება ასე ადვილად როდი ერკვევა ორგანოების მიმართულებაში, განსაკუთრებით როცა ლაპარაკია არა თეორიულ დასაბუთებაზე, არამედ ცოცხალ პოლიტიკაზე. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით მართებულია მოგაგონოთ ლ. მარტოვის მიერ ასე მარჯვედ წამოყენებული ლოზუნგი: «გადმოშალეთ თქვენი ბანქო». ვინაიდან სწორედ «ჟივოე დელოს» თავისი ბანქო მაგიდის ქვეშა აქვს დამალული!

ის იდეები, რომელთა გატარებასაც «ჟივოე დელო» იწყებს, ცოტად თუ ბევრად თანამიმდევრად და სისტემატურად მუშავდებოდა მ ხ ო ლ ო დ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში «ნაშა ზარიას», «ჟიზნის», «ვოზროჟდენიეს» და «დელო ჟიზნის» ფურცლებზე. ორი წლის მანძილზე აქ საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა. აკლია მხოლოდ შ ე ჯ ა მ ე ბ ა და შეჯამება მეტადრე სწორედ იმათ მხრივ, ვინც ორ წელიწადს ეწეოდა ასეთ დამუშავებას. აკლია ლიკვიდატორული იდეების მქადაგებელთაგან ა შ კ ა რ ა განმარტება იმ შედეგებისა, სადამდისაც მიიყვანა ისინი «ნაშა ზარიას» ორი წლის «მუშაობამ».

და სწორედ აქ «მუშათა ა შ კ ა რ ა პარტიაზე» ლაპარაკის მოყვარულნი ფ ა რ უ ლ ი თამაშის მოყვარულნი აღმოჩნდნენ! მაგალითად, მე-8 ნომრის მოწინავე სტატიაში, თქვენ კითხულობთ, რომ «საერთო საქმისათვის, შრომისა და ცხოვრების პირობების საერთო გაუმჯობესებისა და ძ ი რ ფ ე ს ვ ი ა ნ ა დ შეცვლისათვის ბრძოლის გზამ» «ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი (ხაზგასმა სტატიის ავტორისაა) უფლებების დაცვა» უნდა გ ა ნ ვ ლ ო ს ო. იმავე ნომრის შენიშვნაში თქვენ კითხულობთ «მუშათა აშკარა მოძრაობის» ვიღაც «პეტერბურგელ მოღვაწეებზე», რომ ისინი, «რ ო გ ო რ ც ა ქ ა მ დ ე ც ხ დ ე ბ ო დ ა», დაიწყებენ «სოციალ-დემოკრატიაში პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენისა და შექმნის იმ მეთოდების პოპულარიზაციას, რომელთაც აქამდე იცავდნენო».

გადმოშალეთ თქვენი ბანქო! ნაწილობრივ უფლებათა დაცვის რა თეორიაა ეს? არც ერთ ჩამოყალიბებულ, ოფიციალურ, მუშათა ჯგუფებისა თუ ჯგუფთა წარმომადგენლების მიერ აღიარებულ, ა შ კ ა რ ა დ გამოცხადებულ დებულებაში ამ თეორიაზე არაფერია ნათქვამი. ეს ის თეორია ხომ არ არის, რომლის შესახებ ჩვენ გვიამბო, მაგალითად, ბ-მა ვ. ლევიცკიმ 1911 წლის «ნაშა ზარიას» მე-11 ნომერში? შემდეგ, საიდან ეცოდინებათ გაზეთის მკითხველთ, რ ა მეთოდებს იცავდნენ — ცხადია, შეუქმნელი, ე. ი. არარსებული, — «პარტიის აღდგენისა და შ ე ქ მ ნ ი ს ა თ ვ ი ს» აშკარა მოძრაობის ვიღაც დაუსახელებელი მოღვაწეები? რატომ არ უნდა დავასახელოთ ეს მოღვაწეები, თუ ისინი მართლა მოღვაწეები არიან «აშკარა» მოძრაობისა, თუ ეს სიტყვები მარტო პ ი რ ო ბ ი თ ი ფრაზა არ არის?

«პარტიის აღდგენისა და შ ე ქ მ ნ ი ს მეთოდების» საკითხი რაღაც კერძო საკითხი ხომ არ არის, რომელიც შეიძლება აღიძრას და გადაიჭრას გზადაგზა, ყოველი გაზეთისთვის საინტერესო სხვა პოლიტიკურ საკითხთა შორის. არა. ეს ძირითადი საკითხია. ვიდრე ეს საკითხი არ გადაწყვეტილა, შეუძლებელია ლაპარაკი როგორც პარტიის საარჩევნო კამპანიაზე, ისე პარტიის საარჩევნო ტაქტიკასა და პარტიის კანდიდატებზე. და იგი უნდა გადაწყდეს სრულიად არაორაზროვნად, დადებითად, რადგან აქ გარდა ნათელი თეორიული პასუხისა საჭიროა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გადაწყვეტაც.

სოფიზმებს — და უცუდესი ხარისხის სოფიზმებს — წარმოადგენს საკმაოდ ხშირი მსჯელობა, საარჩევნო კამპანიის პროცესში გაჩნდებიან ან დაირაზმებიან პარტიის აღდგენისა და შექმნის ელემენტებიო და სხვა და ა. შ. ეს სოფიზმია, რადგან პარტია — ეს ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი რამ არის. მუშათა კ ლ ა ს ი ს საარჩევნო კამპანია არ არის და არც შეიძლება იყოს, თუ არ არის მთელი კლასის ან ყოველ შემთხვევაში მისი მოწინავე ფენის ე რ თ ი ა ნ ი გადაწყვეტილებანი, ერთიანი ტ ა ქ ტ ი კ ა, ერთიანი პლატფორმა, ერთიანი კანდიდატურები.

ამგვარი სოფიზმები, ბუნდოვანი განცხადებანი ანონიმური, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს თ ვ ი ს უცნობი და უჩინარი აშკარა მოღვაწეების სახელით — (ვინ არ უწოდებს თავის თავს მუშათა «აშკარა მოძრაობის მოღვაწეს»! რა ჯურის ბურჟუები არ ეფარებიან ამ სახელს!) — ყოველივე ეს გვიქადის უდიდეს საშიშროებას, რომლის შესახებ არ შეიძლება არ გავაფრთხილოთ მუშები. საშიშროება ისაა, რომ «აშკარა» გამოსვლაზე ლაპარაკია მ ხ ო ლ ო დ თ ვ ა ლ ი ს ა ს ა ხ ვ ე ვ ა დ, ნამდვილად კი გამოდის უცუდესი სახე წრის ფარული დიეტატურისა!

გაჰყვირიან «არალეგალობის» წინააღმდეგ, თუმცა იქ ვხედავთ აშკარა გადაწყვეტილებებს — ახლა ისინი საკმაოდ ცნობილი გახდნენ ბურჟუაზიული პრესის მეოხებით («გოლოს ზემლი», «კიევსკაია მისლ», «რუსსკოე სლოვო», «გოლოს მოსკვი», «ნოვოე ვრემია» — რამდენ ა ს ე უ ლ ა თ ა ს მკითხველს ეუწყა ა შ კ ა რ ა დ ახლა სრულიად გარკვეული გადაწყვეტილებანი, რაც მომასწავებელია საარჩევნო კამპანიის ნამდვილი ერთიანობისა). მაგრამ ისინი, ვინც არალეგალობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ან «აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის» ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ გაჰყვირიან, სწორედ იმის ნიმუშს გვიჩვენებენ, რომ ისინი ერთ ნაპირს დაშორდნენ, მეორეს კი ვერ მიადგნენ. ძველი მიტოვებულია, ახალზე კი მხოლოდ ლაყბობენ.

«აღდგენისა და შექმნის მეთოდები», რომლებზედაც «ჟივოე დელო» ლაპარაკობს, ჩვენ ვიცით — და ყველას ა შ კ ა რ ა დ მოეხსენება — მხოლოდ ის მეთოდებია, რომელთაც «ნაშა ზარიაში» ავითარებდნენ და იცავდნენ. სხვა მეთოდები ჩვენ არ ვიცით არც აშკარად, არც სხვაგვარად. ჯგუფთა წარმომადგენლები არც ერთხელ არ ცდილან განეხილათ ეს მეთოდები — აშკარად ან სხვაგვარად, ამ მეთოდების არც ერთი ფორმალური და გაფორმებული, ოფიციალური გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა არ ა რ ს ე ბ ო ბ ს. სიტყვების — აშკარა, აშკარამ, აშკარის საფარით — გამოდის რაღაც სრულიად დაფარული

და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით წრეობრივი, ლიტერატურულ-წრეობრივი.

ჩვენ ვიცნობთ ცალკეულ ლიტერატორებს, რომელნიც არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებელნი, არაფრით არ განსხვავდებიან ბურჟუაზიული პრესის მეომრებისაგან. მ ა თ ი სიტყვები «მეთოდებზე», ძველის ლიკვიდაციაზე ჩვენ გვსმენია.

მეტი ჩვენ არაფერი ვიცით და არც არავინ იცის ა შ კ ა რ ა პოლიტიკურ მოღვაწეობაში. აი პარადოქსი, — მოჩვენებითი პარადოქსი, ნამდვილად კი რუსეთის ცხოვრების ყ ვ ე ლ ა პირობის პირდაპირი და ბუნებრივი პროდუქტი, — რომ ზემოთ დასახელებულმა დიდად გავრცელებული ბურჟუაზიული ორგანოების სერიამ უფრო ზუსტად, სწრაფად, პირდაპირ აუწყა მასებს «არააშკარა» პოლიტიკური მოღვაწეობა, გადაწყვეტილებები, ლოზუნგები, ტაქტიკა და სხვა, ვიდრე «აშკარა მოძრაობის მოღვაწეთა» ა რ ა რ ს ე ბ უ ლ ი გადაწყვეტილებანი!

ან იქნებ ვინმემ დაიწყოს მტკიცება, რომ საარჩევნო კამპანია შესაძლებელია გაუფორმებელ გადაწყვეტილებათა გარეშეც?? გაუფორმებელ გადაწყვეტილებათა გარეშე შეიძლება განსაზღვრა — ათეულ და ასეულ ათას ამომრჩევლის მხრივ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში — როგორც ტაქტიკისა და პლატფორმის, ისე შეთანხმებებისა და კანდიდატურებისა??

როცა მარტოვმა ლაპარაკი ჩამოაგდო თემაზე «გადმოშალეთ თქვენი ბანქოო», ის შეეხო ლიკვიდატორთა უაღრესად საჭირბოროტო საკითხს და საჭიროა უდიდესი ენერგია მუშების გასაფრთხილებლად. გაუფორმებელ გადაწყვეტილებათა გარეშე, პრაქტიკულ საკითხებზე ყოველგვარი გარკვეული პასუხის გარეშე, დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა თვითეული ფრაზის, თვითეული სიტყვის განხილვაში თუნდაც ათეული თუ ასეული მოწინავე ადამიანის მონაწილეობის მიუღებლად მუშათა მასას აწვდიან... აზრსა და მონახაზს «აშკარა მოძრაობის» ა შ კ ა რ ა დ ა უ ს ა ხ ე ლ ე ბ ე ლ ი «მოღვა-

წეებისას», ე. ი. ბატონ პოტრესოვების, ლევიცკების, ჩაცკების, ეჟოვების, ლარინებისას.

ბანქოს მალავენ, რადგან მუშების წინაშე მათი გადმოშლის მცირედი ცდაც კი ცხადზე უცხადესად დაანახვებს მუშებს, რომ აქ ლაპარაკია არა მუშათა პარტიაზე, არა მუშათა პოლიტიკაზე, არამედ იმ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი პუბლიცისტების ქადაგებაზე, რომელნიც ლიბერალურად ზრუნავენ მუშებზე, ლიკვიდაციას უშვრებიან ძველს და უმწეონი არიან სანაცვლოდ ცოტა ახალი რამ მაინც მოგვცენ.

საშიშროება დიდია. ფრაზებით «აშკარას» შესახებ... ხვალინდელი დღის შესახებ მუშებს სტოვებენ დღევანდელი საარჩევნო კამპანიის, დღევანდელი პარტიული ცხოვრების ფრიად გადაუდებელი პრაქტიკული საკითხების ა რ ა თ უ აშკარად, არამედ ს რ უ ლ ი ა დ გადაუწყვეტლად.

დაე კარგად ჩაუფიქრდნენ შეგნებული მუშები ამ საშიშ მდგომარეობას.

P. S. *

(1) უსათუოდ გამოგზავნეთ რაც შეიძლება ჩქარა წიგნები 1907 წ. 3 ივნისის საარჩევნო კანონის შესახებ. თან 1910 წლის ცნობარის ეგზემპლარიც[145]. გარდა ამისა (საარჩევნო) კ ა ნ ო ნ ი ი უ რ ი ს ტ ი ს კომენტარებით. მოიკითხეთ «თქვენიანებთან» და დაჩქარებით გამოგზავნეთ. უამისოდ ამომრჩევლის თანამგზავრის[146] შედგენა შეუძლებელია. (2) «ზვეზდას» ახლაც ვერ ვღებულობ წესიერად. გაუმეორეთ ექსპედიციას. მიეცით ჩემი მისამართი (ძველი). შეუწყნარებელია ასე დაუდევრად გზავნა. (3) სტატია «პლატფორმის საფუძვლები» **საჭირო არ არის** კოლეგიაში გატარდეს; დაბეჭდეთ იგი ხელმოწერით და ქვესათაურით (კომენტარის ცდა); კოლეგია ა რ ა ვ ი თ ა რ პლატფორმას **არ** უნდა ამტკიცებდეს: ნუ დაივიწყებთ, რომ აქ საკმაოა ერთი უმართებულო ნაბიჯის გადადგმა და აურზაურს თავს ვერ გაართმევთ. სჯობს კოლეგიამ თავი შეიკავოს და არაფერი თქვას. პლატფორმის

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

დამტკიცება სულ სხვა ინსტანციის საქმეა. (4) გამოგზავნეთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. უამისოდ ძნელია. (5) მოიწერეთ ზუსტად, როდის ვეღირსებით ყოველდღიურ გაზეთს, რა ფორმატისა იქნება და სხვ. (6) «ᲔᲘᲕᲝᲔ ᲓᲔᲚᲝᲡ» უფრო ცოცხლად ეომეთ — მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. უამისოდ არ ივარგებს. პოლემიკას ნუ შეუშინდებით. კვირაში 2 — 3 პოლემიკური სტატია უეჭველად უნდა მოათავსოთ.

დაწერილია 1912 წლის
12 თუ 13 (25 თუ 26) მარტს

პირველად დაიბეჭდა
1935 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციიდან დეპუტატ ტ. ო. ბელოუსოვის გასვლის გამო

დიდი გაკვირვებით წავიკითხეთ «ჟივოე დელოს» მე-7 ნომერში «რ ე ჩ ი დ ა ნ» გადმობეჭდილი სალანძღავი განცხადება ბ-ნ ბელოუსოვისა[147]. «რ ე ჩ მ ა» რომ დაბეჭდა ახალი დეზერტირის ეს განცხადება, აქ გასაკვირველი არაფერია. «რ ე ჩ ი ს თ ვ ი ს» ბუნებრივია დაბეჭდოს ყოფილი სოციალ-დემოკრატის წამოძახილი, თითქოს «შურისძიების გრძნობით» იყოს ნაკარნახევი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ მისი გაქცევის შეფასება. მაგრამ რა მოსაზრებით ბეჭდავს ამას «ჟივოე დელო»? და განა უცნაური არ არის, როცა იმავე «ჟივოე დელოში» ხედავ სტატიას «დეპუტატ ბელოუსოვის გასვლის გამო», სადაც მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკია გამართული იმაზე, რომ «ჩვენ არ უნდა შეგვაშფოთოს დეზერტირობის იმ შემთხვევებმა, რომლებიც მოხდაო»?

ერთი მხრივ, «ჟივოე დელო» «უფლებას არ აძლევს თავს შეჩერდეს ბელოუსოვის ნაბიჯის შეფასებაზე, სანამ არ გამოქვეყნებულა მოტივები, რომლებითაც ის ხელმძღვანელობდა». მეორე მხრივ, ის მაინც ჩ ე რ დ ე ბ ა... შუაგზაზე და პრანჭვა-გრეხით ლაპარაკობს «ამგვარ დეზერტირობაზე»!

რა საჭიროა ეს თამაში? განა დრო არ არის პრესამ შეასრულოს თავისი მოვალეობა და აშკარად განიხილოს პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტები?

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ე რ თ ხ მ ა დ გამოთქვა ის აზრი, რომ ბ-მა ბელოუსოვმა დ ა უ ყ ო ვ-

ნებლივ უნდა აიღოს ხელი დეპუტატის რწმუნებულებაზე, ვინაიდან ის სათათბიროში გავიდა ესდეკების ხმებით და ოთხწელიწადნახევარი იყო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაშიო.

ბ-ნი ბელოუსოვი «რეჩში» ბეჭდავს პასუხს, სადაც სრულებით გვერდს უვლის საქმის ამ დედაარსს. მაგრამ შეგნებულ მუშათა საზოგადოებრივმა აზრმა არ უნდა მისცეს მას ნება დუმილით აუაროს გვერდი ამ საკითხს. თუ ბ-ნ ბელოუსოვს სურს წყალი დაიგუბოს პირში, ჩვენ უფლება არა გვაქვს გავჩუმდეთ. რაღა საჭიროა მაშინ მუშათა პრესა, თუ იგი არ განიხილავს იმ ფაქტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასის სათათბიროს წარმომადგენლობისათვის?

განა შესაწყნარებელია ეს ყოველი დემოკრატის მოვალეობის თვალსაზრისით, როცა დეპუტატი, რომელიც აირჩიეს როგორც სოციალ-დემოკრატი და ოთხწელიწადნახევარი იყო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში, ფრაქციიდან გადის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, და ამავე დროს სათათბიროდან არ გადის? აი საკითხი, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ვერც ერთი დემოკრატი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა ამომრჩეველთა წინაშე — არა ადგილობრივი ინტერესებისათვის «შუამდგომლის» მოვალეობის აზრით, არამედ იმ პოლიტიკური მოღვაწის მოვალეობის აზრით, რომელიც მთელი ხალხის წინაშე გამოდიოდა არჩევნებში განსაზღვრული დროშით, — ვერც ერთი დემოკრატი ვერ უარყოფს, რომ ეს პრინციპული და დიდმნიშვნელოვანი საკითხია.

მუშათა პრესის მკითხველი მუშები, რომელთაც აინტერესებთ სახელმწიფო სათათბიროში მუშათა წარმომადგენლობის საკითხი, უდიდესი ყურადღებით უნდა მოეპყრან ბ-ნ ბელოუსოვის ფრაქციიდან გასვლას, ჩაუფიქრდნენ და განიხილონ ეს საკითხი. გაჩუმება შეუძლებელია. შეგნებულ მუშას არ შეჰფერის დუმილი ასეთ შემთხვევებში. უნდა შე-

გვეძლოს ჩ ვ ე ნ ი უ ფ ლ ე ბ ი ს, ყოველი ამომრჩევლის უფლების დაცვა, რათა მათ მიერ არჩეული დეპუტატები ერთგულნი დარჩნენ თავისი დროშისა, რათა მათ ვ ე რ გ ა ბ ე დ ო ნ დეზერტირობა დაუსჯელად.

მართალია თუ არა სათათბიროს ფრაქცია, რომ დეპუტატი, რომელმაც ოთხწელიწადნახევარი დაჰყო მასში და რომელიც სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ხმებით გავიდა, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ა ხ ლ ა, როცა ფრაქციიდან გადის, სათათბიროდანაც გავიდეს? დიახ! სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სავსებით მართალია! თუ ჩვენ არა მარტო სიტყვიერად, არამედ ს ა ქ მ ი თ ა ც ვიცავთ მუშათა წარმომადგენლობის ერთიანობას, დარაზმულობას, მთლიანობას, პრინციპულ სიმტკიცეს, ჩვენი აზრი უნდა გამოვთქვათ, ყველამ და თვითეულმა, ცალკ-ცალკე და ერთად, უნდა მივმართოთ «ზვეზდასაც», სათათბიროს ფრაქციასაც წერილებით (რომლებიც ადგილობრივ პრესასაც უნდა ეცნობოს), რომ ბ-ნ ბელოუსოვის საქციელს ჩვენ გადაჭრით და უცილობლად ვგმობთ, რომ არა მარტო მუშათა კლასის ყოველმა მომხრემ, არამედ ყოველმა დ ე მ ო კ რ ა ტ მ ა ც უნდა გაჰკიცხოს ამგვარი საქციელი. წარმოიდგინეთ მხოლოდ, ეს რა «ს ა ხ ა ლ ხ ო წარმომადგენლობა» იქნება, თუ განსაზღვრული დროშით არჩეული დეპუტატები, რომელთაც ამ დროშის ქვეშ გაუტარებიათ სათათბიროს სესიის ცხრა მეათედი, ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ განაცხადებენ: გავდივარ ფრაქციიდან, მ ა გ რ ა მ ვრჩები დეპუტატად, მსურს «სახალხო» წარმომადგენლად დავრჩეო!

უკაცრავად, ბატონო დეზერტირო! რომელ ხ ა ლ ხ ს წარმოადგენთ თქვენ ამჟამად? ა რ ა იმას, რომელმაც თქვენ აგირჩიათ, როგორც ესდეკი! ა რ ა იმას, რომელიც თქვენ სათათბიროს სესიის 9/10 დროის განმავლობაში გხედავდათ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის რიგებში! თქვენ ხალხის წარმომადგენელი კი არა, ხალხის მომტყუებელი ხართ, ვინაიდან არჩევნებამდე დარჩენილი დროის განმავლობაში შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ფიზიკურად შეუძლებელია ამ ხალხმა (სრული პოლიტიკური თავისუფლებითაც რომ

სარგებლობდეს ეს ხალხი) შეისწავლოს ახლა ნამდვილად, თქვენი მოქმედების მიხედვით, ვ ი ნ ა ხართ თქვენ, რ ა გახდით, ს ა ი თ დაექანეთ, ვ ი ს კ ე ნ ა ნ ე რ ი ს კ ე ნ გადაიხარეთ. თქვენ სათათბიროდან უნდა გახვიდეთ, თორემ ყველას და თვითეულს უფლება ექნებათ აბუჩად აგიგდონ როგორც პოლიტიკური ავანტიურისტი და მატყუარა!

გასვლაც არის და გასვლაც. არის ხოლმე ისეთი აშკარა, გარკვეული, დაუფარავი, ყველასათვის ცნობილი ფაქტებით დასაბუთებული შეცვლა შეხედულებისა, რომ ზოგიერთი გასვლის შეფასებისას უთანხმოება არ იბადება, ზოგიერთი გასვლა დასაძრახისი და უპატიოსნო არ არის. მაგრამ ეს ხომ შემთხვევითი არაა, რომ სათათბიროს ფრაქცია ახლა და მ ხ ო ლ ო დ ახლა, მ ხ ო ლ ო დ ამ შემთხვევაში გამოვიდა პრესაში პროტესტით! სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პირდაპირ ამბობს, რომ ბ-მა ბელოუსოვმა «გამოთქვა სურვილი, საჯაროდ არ გამოეცხადებინათ ფრაქციიდან მისი გასვლის ფაქტი». ბ-ნი ბელოუსოვი ილანძღება თავის პასუხში, რომელიც «ჟივოე დელომ» გადაბეჭდა, მაგრამ ფაქტს ვერ უარყოფს. გეკითხებით: რა უნდა იფიქროს ყოველმა მუშამ იმ ადამიანზე, რომელიც ფრაქციიდან გადის და ამავე დროს სურვილს გამოთქვამს დაფარონ მისი გასვლა? თუ ეს მოტყუება არაა, მაშინ რაღას ეწოდება მოტყუება ამ ქვეყნად?

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პირდაპირ ამბობს, რომ «მას სრულიად ვერ გაურკვევია თავისი ყოფილი თანაწევრის შემდგომი ევოლუციის საზღვრები». ჩაუფიქრდეს მკითხველი ამ ბევრის მთქმელ სიტყვებს! სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ასეთ სერიოზულ რამეებს ლაპარაკობს არა ყველა გადაბარგებულზე, არამედ მხოლოდ ამ ერთ გადაბარგებულზე. ეს არის სრული უნდობლობის ვოტუმი (გადაწყვეტილება კენჭისყრითაა მიღებული). კიდევ მეტი. ეს არის გაფრთხილება ყველა ამომრჩევლისა, მთელი ხალხისა, რომ ამა და ამ დეპუტატს სრულიად ნუ ენდობითო. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ერთხმად აფრთხილებს ამის შესახებ ყველას და თვითეულს. ყოველმა შეგნებულმა

მუშამ უნდა გვიპასუხოს ახლა, რომ მან ეს გაფრთხილება მიიღო, რომ მან იგი გაიგო, რომ ის მას იზიარებს, რომ ის მდუმარედ ვერ შეხვდება რუსეთში, იმ ადამიანთა წრეში, რომელნიც თავს დემოკრატიას აკუთვნებენ, ისეთი საპარლამენტო ზნის (უფრო სწორად: ისეთი საპარლამენტო უზნეობის) შემოღებას, როდესაც დეპუტატები მანდატებს ნადავლივით შოულობენ, რათა ამ ნადავლით შემდეგ «თავისუფლად» აჭახრაკონ საქმე. ასე ყოფილა, ასე ხდება ყველა ბურჟუაზიულ პარლამენტში, და ყველგან მუშები, რომელთაც შეუგნიათ თავისი ისტორიული როლი, ებრძვიან ამას, ბ რ ძ ო ლ ი თ წვრთნიან თავიანთ, მუშათა, დეპუტატებს, არა მანდატის მაძიებელთ, არა საპარლამენტო აფიორების საქმოსნებს, არამედ მუშათა კლასის რწმუნებულთ.

მუშებმა არავის არ უნდა მოატყუებინონ თავი სოფიზმებით. ასეთი სოფიზმია «ყივოე დელოს» მსჯელობა: «ჩვენ უფლება არა გვაქვს შევჩერდეთ ტ. ო. ბელოუსოვის ნაბიჯის შეფასებაზე, სანამ არ გამოქვეყნებულა ის მოტივები, რომლებითაც ის ხელმძღვანელობდა».

ჯერ-ერთი, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის განცხადებაში ვკითხულობთ: «ბ-მა ბელოუსოვმა ფრაქციიდან გასვლა დაასაბუთა იმით, რომ ფრაქცია ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჩემთვის სრულიად უცხო გარემო შეიქნაო». განა ეს მოტივების გამოქვეყნება არ არის? განა ეს ნათელი სიტყვები არ არის? თუ «ყივოე დელო» არ უჯერის ფრაქციის განცხადებას, თქვას ეს პირდაპირ და არა მიკიბულ-მოკიბულად, კუდს ნუ იქნევს, ნუ ამბობს, რომ მას «უფლება არა აქვს შეჩერდეს», როდესაც ფრაქცია უ კ ვ ე შეჩერდა, უკვე გამოაქვეყნა მოტივები თუ მოტივი, რომელიც ფრაქციამ უმთავრეს მოტივად მიიჩნია.

მეორე, ბ-ნ ბელოუსოვის პასუხში, რომელიც დაიბეჭდა კადეტურ «რ ე ჩ შ ი» და ლიკვიდატორულ «ყ ი ვ ო ე დ ე ლ ო შ ი», ვკითხულობთ: «ვაცხადებ, რომ ფრაქციამ თავის განცხადებაში სრულიად არაფერი (??!) თქვა მასთან ჩემი გათიშვის ნამდვილი მოტივების შესახებ. მე ვიცი, რომ დამო-

უკიდებელი გარემოებანი საშუალებას არ აძლევენ ფრაქციას გამოაქვეყნოს ჩემი უთანხმოება მასთან, რაც გადმოცემულია როგორც სიტყვიერ, ისე წერილობით განმარტებაში».

აბა დაუკვირდით, ეს რა გამოდის. ფრაქცია ოფიციალურად აქვეყნებს ბ-ნ ბელოუსოვის მოტივს. ბ-ნი ბელოუსოვი ილანძღება («ინსინუაცია, დაბეზღება» და სხვ.), მაგრამ ვერ უარყოფს ამ მოტივს. ის აცხადებს, რომ დამოუკიდებელი გარემოებანი საშუალებას არ აძლევენ ფრაქციას «გამოაქვეყნოს» კიდევ რაღაცაო. (თუ მართლა გარემოებანი არ იძლევიან გამოქვეყნების საშუალებას, თქვენ რატომ აქვეყნებთ, მოწყალეო ხელმწიფევ, გადაკრულ სიტყვას იმაზე, რისი გამოქვეყნებაც არ შეიძლება? თქვენი ფანდი ინსინუაციას ხომ არ უახლოვდება?). «ჟივოე დელო» კი ბეჭდავს ბ-ნ ბელოუსოვის აშკარა სიყალბეს, რომელიც თვალში გხვდება, და იქვე ამბობს თავის მხრივ: «ჩვენ უფლება არა გვაქვს შევჩერდეთ, სანამ არ გამოქვეყნებულა მოტივები»... რომელთა გამოქვეყნების «საშუალებას», თურმე, დამოუკიდებელი გარემოებანი «არ იძლევიან»!! სხვანაირად: ბ-ნ ბელოუსოვის ფრაქციიდან გასვლის შესაფასებლად «ჟივოე დელო» დაუცდის იმის გამოქვეყნებას, რისი გამოქვეყნებაც (თვით ბ-ნ ბელოუსოვის განცხადებით) არ შეიძლება.

ნუთუ ცხადი არ არის, რომ «ჟივოე დელო» იმის მაგიერ, რომ ამხილოს მის მიერ გადაბეჭდილი სიყალბე ბ-ნ ბელოუსოვისა, თვითონვე ჰფარავს ამ სიყალბეს?

დასამატებელი ცოტაღა დაგვრჩენია. მითითება იმის გამოუქვეყნებლობაზე, რისი გამოქვეყნებაც არ შეიძლება, თავისი თავის მხილებას ნიშნავს. ხოლო შეფასება იმისა, რაც უკვე გამოქვეყნებულია, რაც უკვე ცნობილია, აუცილებელი და სავალდებულო არის ყველასთვის, ვინც კი უფრთხილდება მუშათა კლასის წარმომადგენლობას სათათბიროში. ბ-ნი ბელოუსოვი გვარწმუნებს: «ფრაქციიდან ჩემს გასვლას ოდნავადაც არ შეუცვლია ჩემი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმართულებაო». ეს ლიტონი სიტყვებია, რომელთაც ყველა რენეგატი იმეორებს. ეს სიტყვები ეწინააღმ-

დეგება ფრაქციის განცხადებას. ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ვუჯერით და არა დეზერტირს. ბ-ნ ბელოუსოვის «მიმართულების» შესახებ ჩვენ, ისე როგორც მარქსისტების უმრავლესობამ, ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ეს იყო მკვეთრი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი მიმართულება. ბ-ნი ბელოუსოვი ლიკვიდატორობის მხრივ იქამდე მივიდა, რომ ფრაქციამ საბოლოოდ «ლიკვიდაცია» უყო მის კავშირს სოციალ-დემოკრატიასთან. მით უკეთესია სოციალ-დემოკრატიისათვის, მუშებისათვის, მუშათა საქმისათვის.

ხოლო ბ-ნ ბელოუსოვის სათათბიროდან გასვლა უნდა მოითხოვოს არა მარტო ყველა მუშამ, არამედ ყველა დემოკრატმაც.

«ზვეზდა» № 17 (53), 1912 წ. 13 მარტი
ხელმოწერა: ტ.

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

შიმშილობა

ისევ შიმშილობა — როგორც წინათ, ძველ რუსეთში, 1905 წლამდე. მოუსავლობა ყველგან იცის, მაგრამ ის მ ხ ო ლ ო დ რუსეთში იწვევს საშინელ უბედურებას, მილიონობით გლეხთა შიმშილობას. ხოლო ახლანდელი უბედურება, როგორც იძულებული არიან აღიარონ თვით მთავრობისა და მემამულეების მომხრეებმაც კი, უფრო დიდია, ვიდრე 1891 წლის შიმშილობა.

30 მილიონი მოსახლეობა საშინლად დაზარალდა. გლეხები ჩალის ფასად ჰყიდიან მიწას, პირუტყვს და ყველაფერს, რისი გაყიდვაც კი შეიძლება. ჰყიდიან ქალიშვილებს, — ბრუნდება მონობის უცუდესი ხანა. სახალხო უბედურება ერთბაშად ააშკარავებს მთელი ჩვენი ვითომ «ცივილიზებული» საზოგადოებრივი წყობილების ნამდვილ არსს: სხვა ფორმით, სხვა გარსით, სხვა «კულტურით» ეს წყობილება იგივე ძ ვ ე ლ ი მ ო ნ ო ბ ა ა, მილიონობით მშრომელის მონობა ათეული ათასი «ზედა ფენის» სიმდიდრის, ფუფუნებისა და მუქთახორობის გულისათვის. მონების საკატორღო მუშაობა, როგორც ყოველთვის ყოფილა, და მდიდართა სრული უზრუნველობა მონების ბედზე: წინათ პირდაპირ შიმშილით ჰკლავდნენ მონებს, პირდაპირ მიჰყავდათ ქალები ბატონის ჰარამხანაში, პირდაპირ ტანჯავდნენ და აწამებდნენ მონებს. ახლა გლეხები გაძარცვეს — ცივილიზაციის ყოველგვარი ყალთაბანდობის, მონაპოვრისა და პროგრესის საშუალებით — გაძარცვეს ისე, რომ ისინი შიმშილისაგან სივდებიან, სჭამენ თათაბოს, სჭამენ მოზელილ ტალახს პურის მაგიერ,

ავადდებიან სურავანდით და იხოცებიან საშინელ ტანჯვაში. ხოლო რუსეთის მემამულენი, ნიკოლოზ II-ის მეთაურობით, და რუსეთის კაპიტალისტები მილიონობით ხვეტავენ ფულს: სატახტო ქალაქების გასართობ დაწესებულებათა პატრონები ამბობენ, ასეთი გაცხოველებული ვაჭრობა დიდი ხანია არა გვქონიაო. დიდი ხანია არ ყოფილა ფუფუნების ასეთი ურცხვი, თავაშვებული გამოფენა, როგორც დღეს არის დიდ ქალაქებში.

რატომ რუსეთში და მხოლოდ რუსეთში დარჩა ეს შუასაუკუნებრივი შიმშილობა ცივილიზაციის უახლესი პროგრესის გვერდით? იმიტომ, რომ ახალი მტარვალი — კაპიტალი — რუსეთის გლეხებს ევლინება ისეთ პირობებში, როდესაც გლეხები ხელფეხშეკრული არიან მებატონე-მემამულეების მიერ, ბატონყმური, მემამულური, მეფური თვითმპყრობელობის მიერ. მემამულეების მიერ გაძარცული, მოხელეთა თვითნებობით დაბეჩავებული, პოლიციური აკრძალვის, შარისა და ძალმომრეობის ქსელში გახვეული, ჩაფრების, ხუცების, საერობო უფროსების უახლესი დაცვით შებოჭილი გლეხები ისევე უმწეონი არიან სტიქიურ უბედურებათა და კაპიტალის წინაშე, როგორც აფრიკის ველურები. მხოლოდ ველურ ქვეყნებში შეიძლება ახლა შეხვდეს კაცი ასეთ საერთო გადაშენებას შიმშილით, როგორც ეს XX საუკუნის რუსეთშია.

მაგრამ შიმშილობა თანამედროვე რუსეთში, მეფის მთავრობის ამდენი ბაქიბუქის შემდეგ ახალი მიწათმოწყობის სიკეთის, ხუტორის მეურნეობის პროგრესისა და სხვათა შესახებ ისე არ ჩაივლის, რომ ბევრი რამ არ ასწავლოს გლეხებს. შიმშილობა დაღუპავს მილიონობით სიცოცხლეს, მაგრამ იგი დაღუპავს აგრეთვე მეფისადმი ველური, ბარბაროსული, მონური რწმენის ნაშთებს, რაც ხელს უშლის მეფის მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობისა და გარდუვალობის გაგებას. გლეხები გამოსავალს ნახავენ მხოლოდ მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობით. მხოლოდ მეფის მონარქიის, მემამულეთა ამ ბურჯის დამხობაა გამოსავალი ცოტად თუ

ბევრად ადამიანური ცხოვრების მოსაპოვებლად, შიმშილობისა და საშინელი სიღატაკისაგან თავის დასახსნელად.

ამის ახსნა-განმარტება თვითეული შეგნებული მუშის, თვითეული შეგნებული გლეხის მოვალეობაა. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა შიმშილობასთან დაკავშირებით. სადაც შესაძლებელია მუშებისაგან შეწირულების მოწყობა დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ და შეგროვილი ფულის გადაგზავნა სოციალ-დემოკრატი დეპუტატების საშუალებით — ესეც, რასაკვირველია, ერთ-ერთი აუცილებლად საჭირო საქმეა.

«რაბოჩაია გაზეტა» № 8,
1912 წ. 17 (30) მარტი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

გლეხობა და IV სათათბიროს არჩევნები

მთავრობამ უკვე დაიწყო «მზადება» IV სათათბიროს არჩევნებისათვის. ძალღონეს არ იშურებენ საერობო უფროსები, რომელთაც აჩქარებენ გუბერნატორებისა და მინისტრის ცირკულარები, ჭაპანწყვეტაში არიან ბოქაულები და შავრაზმელები, წელებზე ფეხს იდგამენ «მამაო» ხუცები, რომელთაც ნაბრძანები აქვთ ყოველნაირად იზრუნონ «მემარჯვენე» პარტიებისათვის. დროა გლეხებმაც იფიქრონ არჩევნებზე.

გლეხებისათვის არჩევნებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო გლეხების მდგომარეობა არჩევნებში მეტად ძნელია. გლეხობა პოლიტიკურად ყველაზე სუსტადაა ორგანიზებული — როგორც მუშებთან, ისე ლიბერალურ, კადეტურ პარტიასთან შედარებით. ხოლო პოლიტიკური ორგანიზაციის გარეშე გლეხებს, რომელნიც მოსახლეობის ყველა ფენიდან ყველაზე დაქსაქსულნი არიან თავიანთი ცხოვრების პირობებით, სრულიად არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ მემამულეებსა და მოხელეებს, რომელნიც ახლა ჩაგრავენ, აბუჩად იგდებენ გლეხებს ისე, როგორც არასოდეს ყოფილა წინათ. IV სათათბიროს გლეხთა დეპუტატების ჯგუფს, ნამდვილად თავდადებულს გლეხთა საქმისათვის, შეგნებულს და ყველა საკითხში გლეხობის ინტერესთა დაცვის უნარის მქონეს, პოლიტიკურად ორგანიზებულს და ადგილობრივ გლეხებთან კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებაზე ურყევად მომუშავეს, — ამგვარ ჯგუფს შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს გლეხთა მასების შემჭიდროების საქმეს მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და არსებობისათვის.

შესაძლებელია თუ არა ასეთი ჯგუფის შექმნა IV სათათბიროში? III სათათბიროში იყო 14 კაცისაგან შემდგარი ტრუდოვიკთა ჯგუფი, რომელიც იცავდა გლეხური დემოკრატიის ინტერესებს, — მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯგუფი ძალიან ხშირად ხდებოდა დამოკიდებული ლიბერალებისაგან, კადეტებისაგან, რომელნიც აბრიყვებენ გლეხებს, ატყუებენ მემამულეებთან და მეფის მემამულურ მონარქიასთან გლეხების «მშვიდობიანი» ურთიერთობის აჩრდილით. გარდა ამისა ცნობილია, რომ III სათათბიროს «მემარჯვენე» გლეხებიც კი მიწის საკითხში უფრო დემოკრატიულად გამოდიან, ვიდრე კადეტები. მესამე სათათბიროს გლეხთა 43 დეპუტატის მიწის პროექტი ამას ურყევად ადასტურებს, ხოლო ამას წინათ პურიშკევიჩის «გამოსვლა» მემარჯვენე გლეხი დეპუტატების წინააღმდეგ ცხადყოფს, რომ შავრაზმელებს საბუთი აქვთ საერთოდ უკმაყოფილონი იყვნენ «მემარჯვენე» გლეხი დეპუტატებით.

ამრიგად, თავისი სულისკვეთებით გლეხობას, — რომელსაც III სათათბიროს არსებობის მანძილზე მკაცრი გაკვეთილები მისცა როგორც მიწის ახალმა პოლიტიკამ, «მიწათმოშლილობამ», ისე უდიდესმა უბედურებამ: შიმშილობამ, — ამ გლეხობას სავსებით შეუძლია დემოკრატიული წარმომადგენლები მოგვცეს IV სათათბიროში. მთელი დაბრკოლება საარჩევნო კანონია! ეს კანონი, შედგენილი მემამულეების მიერ მემამულეთა სასარგებლოდ და დამტკიცებული მემამულეთა მეფის მიერ, სათათბიროს გლეხთა დეპუტატის არჩევას ანდობს არა გლეხთა ამრჩევლებს, არამედ მემამულეებს. მემამულეებს ვინც უნდათ, იმას აირჩევენ სათათბიროში გლეხთა სახელით გლეხთა ამრჩევლებიდან! ცხადია, მემამულენი ყოველთვის შავრაზმელ გლეხებს აირჩევენ.

მაშასადამე, გლეხებმა თავიანთი დეპუტატები, გლეხთა ინტერესების მართლა საიმედო და მტკიცე დამცველები რომ აირჩიონ სათათბიროში, ამისათვის მათ მხოლოდ ერთი საშუალება აქვთ. ეს საშუალებაა — ისე მოიქცე-

ნენ, როგორც მუშები მოიქცნენ, ე. ი. ამრჩევლად არ გაიყვანონ არავინ, გარდა პარტიული, შეგნებული, გლეხობის სავსებით ერთგული და საიმედო ადამიანებისა.

მუშათა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის კონფერენციაზე დაადგინა: მუშებმა უკვე რწმუნებულთა (ამრჩეველთა ამომრჩევლების) კრებაზე უნდა დაადგინონ, სახელდობრ ვინ უნდა იყოს არჩეული მუშებისგან სათათბიროში. ყველა დანარჩენმა ამრჩეველმა უარი უნდა თქვას, ღალატისათვის ბოიკოტისა და გასამართლების მუქარით.

ასევე უნდა მოიქცნენ გლეხებიც. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ არჩევნებისათვის მზადება, განვუმარტოთ გლეხებს მათი მდგომარეობა, დავრაზმოთ სოფლად, სადაც კი შესაძლებელია, არჩევნების სახელმძღვანელოდ შეგნებული გლეხების თუნდაც პატარ-პატარა ჯგუფები. გლეხებმა თავიანთ რწმუნებულთა კრებაზე, ვიდრე ამრჩევლებს აირჩევდნენ, უნდა დაადგინონ, სახელდობრ ვინ უნდა გავიდეს გლეხებისგან სათათბიროში, მოსთხოვონ ყველა დანარჩენ გლეხთა ამრჩევლებს, ღალატისათვის ბოიკოტისა და გასამართლების მუქარით, რომ მათ არ მიიღონ მემამულეთა წინადადებანი და აუცილებლად უარი თქვან გლეხთა კანდიდატის სასარგებლოდ.

ყველა შეგნებული მუშა, ყველა სოციალ-დემოკრატი, ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი უნდა დაეხმაროს გლეხობას IV სათათბიროს არჩევნებში. შიმშილობისა და გლეხთა მიწების დატაცების მძიმე გაკვეთილებმა ამაოდ არ უნდა ჩაიაროს. უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს გლეხობის ერთგული, ნამდვილად დემოკრატიული გლეხთა დეპუტატების ჯგუფი IV სათათბიროში.

«რაბოჩაია გაზეტა» № 8,
1912 წ. 17 (30) მარტი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

«Vorwärts»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში[148]

დაწერილია 1912 წ. მარტში
დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1912 წ. პარიზში
ცალკე ბროშურად
ხელმოწერა: რსდმ პარტიის
ცენტრალური ორგანოს
«სოციალ-დემოკრატის» რედაქცია

იბეჭდება
ბროშურის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

წინასიტყვაობა

26 მარტის «Vorwärts»-ში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის შესახებ და ანონიმური სტატია, სადაც ავტორი, რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული ჯგუფების რეზოლუციის მაგალითის მსგავსად [149], ლანძღვა-გინებით ამკობს კონფერენციას. ეს კონფერენცია წარმოადგენს ლიკვიდატორებთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ოთხი წლის ბრძოლის დაგვირგვინებას და შესდგა მიუხედავად ლიკვიდატორების ყოველგვარი ინტრიგებისა, რომელთაც სურდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ ხელი შეეშალათ პარტიის აღდგენისათვის. კონფერენციამ ლიკვიდატორები პარტიის გარეთ გამოაცხადა. ბუნებრივია, რომ ლიკვიდატორები და ყველა მათი მომხრენი ახლა თავს ესხმიან კონფერენციას.

რადგან «Vorwärts»-ი არ ათავსებს ჩვენს პასუხს ანონიმის სიცრუით და ცილისწამებით სავსე სტატიაზე და განაგრძობს კამპანიას ლიკვიდატორების სასარგებლოდ, ამიტომ ამ პასუხს ვაქვეყნებთ ცალკე ბროშურის სახით გერმანელი ამხანაგების საინფორმაციოდ. იგი ეძღვნება, უმთავრესად, ლიკვიდატორებთან ბრძოლის მნიშვნელობის, მსვლელობისა და შედეგების მოკლე განმარტებას.

რსდმ პარტიის ცენტრალური
ორგანოს «სოციალ-დემოკრატის»
რედაქცია

P. S. * ჩვენი ბროშურა უკვე დასაბეჭდად იყო გადაცემული, როდესაც გამოვიდა პლეხანოვის «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-16 ნომერი (1912 წ. აპრილი). ეს ნომერი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ანონიმმა მოატყუა «**Vorwärts**»-ი, რომელსაც თავის მხრივ შეცდომაში შეჰყავდა გერმანელი მუშები.

პლეხანოვი, აცხადებს რა გარკვევით, რომ არც ახლა არის მომხრე 1912 წ. იანვრის კონფერენციისა, პირდაპირ ამტკიცებს, რომ ბუნდი იწვევს არა ა რ ს ე ბ უ ლ პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციას, არამედ «დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ» კონფერენციას, ე. ი. ისეთს, რომელმაც უნდა დააარსოს ახალი პარტია; რომ ამ კონფერენციის ორგანიზატორები მას საფუძვლად უდებენ «ტ ი პ ი უ რ-ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ პ რ ი ნ ც ი პ ს»; რომ მათ მიიღეს «ლიკვიდატორული რეზოლუცია»; რომ ამ ახალ კონფერენციას «იწვევენ ლიკვიდატორები».

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

გაკვირვებული ვართ, როგორი გულუბრყვილობით მიიღო სერიოზულ ნათქვამად ზოგიერთმა გერმანელმა ამხანაგმა ყველა საშინელი სიტყვები, მაგალითად: «უზურპაცია», «სახელმწიფო გადატრიალება» და სხვა, რომლებსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფები ხმარობენ, როცა თავს ესხმიან რსდმ პარტიის რუსეთის ორგანიზაციათა კონფერენციას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ანდაზა, რომ ყოველ მსჯავრდადებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ლანძღოს თავისი მსაჯულები.

26 მარტის «**Vorwärts**»-ის სტატიაში, რომლის სათაურია: «რუსეთის პარტიის ცხოვრებიდან», მოყვანილია კონფერენციის ოფიციალური ცნობა, სადაც ლაპარაკია პარტიიდან ლიკვიდატორების გარიცხვის შესახებ. მდგომარეობა სავსებით ნათელია: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რუსეთის ორგანიზაციები იმ თვალსაზრისს დაადგნენ, რომ ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ამ საკითხში შეიძლება სხვა შეხედულებისა იყო, მაგრამ მაშინ საჭიროა ცოტა უფრო დაწვრილებით შეეხო ასეთი გადაწყვეტილების მოტივებს და ლიკვიდატორობასთან ოთხი წლის ბრძოლის მთელ ისტორიას! «**Vorwärts**»-ის ანონიმური სტატიის ავტორი კი არსებითად კრინტსაც არა ძრავს ამ ძირითადი საკითხის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს მოწ-

მობს მკითხველების უპატივცემულობას, როცა საქმის დედაარსს დუმილით გვერდს უვლიან და გულს მხოლოდ მელოდრამატული დეკლამაციებით იფხანენ. რა უმწეოა ჩვენი ანონიმი, როდესაც პარტიისა და ლიკვიდატორობის გათიშვის ფაქტს ლანძღვა-გინების გარდა ვერაფერს უპირისპირებს!

საკმარისია ანონიმის მყვირალა სტატიიდან ამოვიღოთ ალალბედზე რამდენიმე კურიოზი. ის ამბობს, რომ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ «მიმდინარეობებს» თუ «ჯგუფებს»: «ვპერიოდს», «პრავდას», «გოლოს სოციალ-დემოკრატას» და სხვა. რა უნდა გვეთქვა იმ გერმანელ სოციალ-დემოკრატზე, რომელიც დაიწყებდა წუწუნს, რომ პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილნი არ იყვნენ «ფრიდბერგის» ან «Sozialistische Monatshefte»-ის * «ჯგუფი» თუ «მიმდინარეობა»? ჩვენც ჩვენს პარტიაში იმ წესს ვიცავთ, რომ კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობენ რუსეთში მოქმედი ორგანიზაციები და არა ყოველგვარი საზღვარგარეთული «მიმდინარეობანი» თუ «ჯგუფები». თუ ეს «ჯგუფები» არ ეთანხმებიან რუსეთის ორგანიზაციებს, მარტო ეს კმარა მათი სასტიკი დაგმობისათვის, მათი სასიკვდილო განაჩენისათვის, რომელიც მათ სავსებით დაიმსახურეს. რუსეთის ემიგრაციის — ისე როგორც ყველა სხვა ქვეყნის ემიგრაციების — ისტორიას ბევრი შემთხვევა ახსოვს, როდესაც ასეთი «მიმდინარეობანი» თუ «ჯგუფები», რუსეთში სოციალ-დემოკრატი მუშების მუშაობას მოწყვეტილნი, ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ.

განა სასაცილო არ არის ჩვენი ავტორის ყვირილი, რომ კონფერენციის მონაწილე პარტიელ მენშევიკებს (ე. ი. ანტილიკვიდატორებს) პლეხანოვიც კი არ ცნობსო? კიევის ორგანიზაციას, რა თქმა უნდა, შეეძლო არ ეცნო საზღვარგარეთელი «პლეხანოველები» (ე. ი. პლეხანოვის მომხრენი); მაგრამ არც ერთ ცალკეულ ლიტერატორს საზღვარგარეთ არ შეეძლო თავის მხრივ «არ ეცნო» კიევის ორგანიზაცია. პეტერბურგის,

* — «სოციალისტური ყოველთვიური». რ ე დ.

მოსკოვის, მოსკოვის საოლქო, ყაზანის, სარატოვის, თბილისის, ბაქოს, ნიკოლაევის, კიევის, ეკატერინოსლავის, ვილნოს და დვინსკის ორგანიზაციებმა «არ იცნეს» საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფები, რომელნიც ეხმარებოდნენ ლიკვიდატორებს ან ელაქუცებოდნენ მათ. აქ «არ ცნობილთა» ყვირილმა და ლანძღვამ საეჭვოა რაიმე შესცვალოს.

შემდეგ, განა კურიოზული არ არის, როდესაც ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ «ნაციონალური» სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რუსეთში (პოლონეთის, ლატვიის, ბუნდი) და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი «ჩვენი, რუსეთის პარტიის უძველესი, უძლიერესი ორგანიზაციებია, რომელნიც, კაცმა რომ თქვას, მოძრაობის ხერხემალს» წარმოადგენენ? ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის არსებობის პრობლემატურობა ყველამ იცის და იგი მტკიცდება მისი წარმომადგენლობის ხასიათით 1908 წლის კონფერენციაზე. პოლონელები და ლატვიელები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არსებობის პირველი 9 წლის განმავლობაში (1898 — 1907 წწ.) სრულიად განკერძოებულნი იყვნენ მისგან; — ეს განკერძოებულობა ფაქტიურად გრძელდებოდა 1907 — 1911 წლებშიც. ბუნდი 1903 წელს გავიდა პარტიიდან და 1906 (უფრო ზუსტად — 1907) წლამდე მის გარეთ იდგა. მისი გაერთიანება პარტიასთან ადგილებზე დღევანდლამდისაც არ მომხდარა, როგორც ეს ოფიციალურად ცხადყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1908 წლის კონფერენციამ [150]. ლატვიის ორგანიზაციისა და ბუნდის შიგნით ხან ლიკვიდატორული მიმდინარეობა იმარჯვებდა, ხან ანტილიკვიდატორული. რაც შეეხება პოლონელებს, 1903 წელს ისინი ემხრობოდნენ მენშევიკებს, 1905 წელს — ბოლშევიკებს, 1912 წელს მათ სცადეს ლიკვიდატორებთან «შერიგება», მაგრამ ამაოდ.

ამ უკანასკნელ ამაო ცდას ავტორი მორცხვად ჰფარავს შემდეგი ფრაზით: «თავდაპირველად ამ კონფერენციაში მო-

ნაწილეობას იღებდა აგრეთვე პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელიც». რატომ მარტო თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ? საკმარისია წაიკითხოთ ბუნდის ოფიციალური ცნობა ამ კონფერენციის შესახებ, რომ იქ იპოვოთ ამ მორცხვი მიფუჩეჩების ახსნა. სწორედ იქ პირდაპირ ასე წერია: პოლონელთა წარმომადგენელმა დასტოვა კონფერენცია და წარადგინა წერილობითი განმარტება, თუ რატომ გახდა მისთვის შეუძლებელი კონფერენციასთან თანამშრომლობა: იქ თავი იჩინა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა კ ე ნ მიკერძებამ და გადახრამაო.

რა თქმა უნდა, «ერთიანობაზე» (ლიკვიდატორებთან?) ლიტონი, ყოველ შინაარსს მოკლებული ფრაზების რახარუხი, როგორც ეს უყვარს ავტორს, გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე შესწავლა ლიკვიდატორთა მიმართულების ნამდვილი დედაარსისა, მათი უარისთქმისა პარტიის აღდგენის ხელშეწყობაზე, მათი მუშაობისა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დასანგრევად. კიდევ უფრო ადვილია უშინაარსო ფრაზების წამოსროლა, თუ ამასთანავე მიაფუჩეჩებთ ისეთ ფაქტს, როგორიცაა პოლონელთა წარმომადგენლის უარისთქმა ერთად მუშაობაზე — არა ბოლშევიკებსა თუ ლენინელებთან, ღმერთმა დაგვიფაროს! — არამედ ბუნდელებსა და ლატვიელებთან, იმიტომ რომ ასეთი მუშაობა უნაყოფოა.

მაგრამ როგორ წარმოიშვა არსებითად ლიკვიდატორობა, და რატომ შეიქნა იძულებული 1912 წლის კონფერენცია უმაღლეს პარტიულ ორგანოდ გამოეცხადებინა თავი და გაერიცხა ლიკვიდატორები?

რუსეთის კონტრრევოლუციამ დიდი რღვევა შეიტანა ჩვენი პარტიის რიგებში. პროლეტარიატს თავს დაატყდა გაუგონარი, გააფთრებული რეპრესიები. ბურჟუაზიის რიგებში რენეგატობამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ბურჟუაზიულმა თანამგზავრებმა, რომელნიც ბუნებრივად მიეკედლნენ პროლეტარიატს, როგორც ჩვენი 1905 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის ჰეგემონს, ზურგი შეაქციეს სოციალ-დემოკრა-

ტიულ პარტიას. ეს ჩამოშორება ხდებოდა ორი მიმართულებით: ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის მიმართულებით. პირველის ბირთვი შეიქმნა მენშევიკ ლიტერატორთა უმრავლესობისაგან (პოტრესოვი, ლევიცკი, ლარინი, მარტოვი, დანი, მარტინოვი და სხვ.). მათ არალეგალური პარტია უკვე ლიკვიდირებულად გამოაცხადეს, ხოლო მისი აღდგენის ყოველი ცდა—რეაქციულ უტოპიად. მათი ლოზუნგი იყო — ღია მუშათა პარტია. თავისთავად ცხადია, რუსეთის პოლიტიკურ პირობებში, სადაც ლიბერალების — კადეტების პარტიაც კი ლეგალიზებული არ არის, ღია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა მხოლოდ გულუბრყვილო სურვილად უნდა დარჩენილიყო. ლიკვიდატორებმა უარყვეს არალეგალური პარტია, მაგრამ ლეგალურის დაარსების ვალდებულება კი ვერ შეასრულეს. ბოლოს და ბოლოს მთელი საქმე იმით დამთავრდა, რომ ლეგალურ ორგანოებში დასცინოდნენ «არალეგალობას», მარხავდნენ მას ლიბერალებთან შეხმატკბილებით და ადიდებდნენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის იდეებს. აკი პლეხანოვი სრულიად სამართლიანად ადარებდა ლიკვიდატორულ «ნაშა ზარიას» გერმანულ «Sozialistische Monatshefte»-ს! მენშევიკმა პლეხანოვმა (ბოლშევიკებზე, თავისთავად ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი) ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა ლიკვიდატორობას, უარი თქვა ყველა მათ ლიტერატურულ ორგანოში თანამშრომლობაზე და კავშირი გაწყვიტა მარტოვსა და აქსელროდთან. «ადამიანი, რომლისთვისაც ჩვენი პარტია არ არსებობს, — წერდა პლეხანოვი პარტიის ცენტრალურ ორგანოში პოტრესოვის შესახებ, — თვითონ არ არსებობს მისთვის». ჯერ კიდევ 1908 წ. დეკემბერში პარტიულმა კონფერენციამ გადაჭრით დაგმო ლიკვიდატორობა, რომელიც მან დაახასიათა, როგორც «პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს რსდმ პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შეცვალოს იგი (კარგად დაიხსომეთ ეს!) უფორმო გაერთია-

ნებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის ფარგლებში». თავისთავად ცხადია, ყველა ლეგალური შესაძლებლობის გამოყენების საჭიროებას არათუ არ უარყოფდა რსდმ პარტია, არამედ, პირიქით, გადაჭრით იცავს. მაგრამ აშკარა ლეგალური პარტია რუსეთში შეუძლებელია, და ასეთ რამეზე მხოლოდ ოპორტუნისტ-ინტელიგენტებს შეუძლიათ ლაპარაკი. ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ტიპი შეიძლება, — რა თქმა უნდა, მხოლოდ დაახლოებით, — შევადაროთ გერმანულისას სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის არსებობის დროს: ლეგალური საპარლამენტო ფრაქცია, ყოველგვარი ლეგალური მუშათა საზოგადოებანი, როგორც აუცილებელი პირობა, — და მაინც არალეგალური პარტიული ორგანიზაცია, — როგორც საფუძველი.

«ოტზოვისტებს» უნდოდათ გამოეწვიათ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია III სახელმწიფო სათათბიროდან და ლოზუნგად წამოაყენეს სათათბიროს ბოიკოტი. ოტზოვისტებს მიემხრო ბოლშევიკების ნაწილი, რომელსაც ლენინმა და სხვებმა დაუნდობელი ომი გამოუცხადეს. ოტზოვისტებმა და მათმა დამცველებმა შეჰქმნეს ჯგუფი «ვპერიოდი», რომლის ლიტერატორები (მაქსიმოვი, ლუნაჩარსკი, ბოგდანოვი, ალექსინსკი) ქადაგებდნენ იდეალისტური ფილოსოფიის ფრიად სხვადასხვა ფორმებს — «პროლეტარული ფილოსოფიის» მყვირალა სახელწოდებით — და რელიგიისა და სოციალიზმის შეერთებას. ამ ჯგუფის გავლენა ყოველთვის ძალიან უმნიშვნელო იყო, იგი ბოგინობდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს მოწყვეტილ და უძლურ ყოველგვარ საზღვარგარეთულ ჯგუფებთან შემთანხმებლობის მეოხებით. ამგვარი ჯგუფები, რომელნიც აუცილებლად ჩნდებიან ყოველი გათიშვის დროს, ქანაობენ ხან იქით, ხან აქეთ, ეწევიან ყოველგვარ პოლიტიკანობას, მაგრამ არავითარ მიმართულებას არ წარმოადგენენ, და მათი მოღვაწეობა თავს იჩენს უწინარეს ყოვლისა წვრილ-

მანი ინტრიგებით: ასეთ ჯგუფებს ეკუთვნის აგრეთვე ტროცკის «პრავდაც».

რა თქმა უნდა, ყოველი მარქსისტისათვის ცხადია, რომ როგორც ლიკვიდატორობა, ისე ოტზოვიზმი — წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანია, რომელნიც იზიდავენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბურჟუაზიულ თანამგზავრებს. ამ მიმდინარეობებთან «ზავი» ან «შერიგება» წინდაწინვე გამორიცხული იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტია ან თვითონ უნდა დაღუპულიყო, ანდა სრულიად განთავისუფლებულიყო ამ მიმდინარეობათაგან.

ასეთი თეორიული დასკვნის სისწორე დაამტკიცა შერიგების ცდამ 1910 წ. იანვარში, როდესაც ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ერთხმად, ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების მონაწილეობით, გამოაცხადა თეზისი, რომ არც ერთი და არც მეორე მიმართულება სოციალ-დემოკრატიული არ არისო. მაგრამ საქმე ამ უწყინარ სურვილს არ გამორებია: მართალია, როგორც ლიკვიდატორებმა, ისე ოტზოვისტებმა «ხელი მოაწერეს» სათანადო რეზოლუციას, მაგრამ მთელი ძალღონით განაგრძობდნენ თავიანთ ანტიპარტიულ პროპაგანდას და შეინარჩუნეს თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაცია. მთელი 1910 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მწვავდებოდა ბრძოლა ორივე მიმდინარეობასთან. პლეხანოვის ზემოთ მოყვანილი სიტყვები ითქვა 1910 წ. მაისს, ხოლო მაისში ლენინმა ყველა ბოლშევიკის სახელით განაცხადა, რომ ლიკვიდატორების მიერ იანვრის რეზოლუციის ყოველმხრივი დარღვევის შემდეგ მათთან შერიგებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო *.

რუსეთში ცენტრალური კომიტეტის აღდგენის ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან ლიკვიდატორებმა უარი თქვეს ამის ხელის შეწყობაზე. «ერთიანობის» ხსნის უკანასკნელ საშუალებად რჩებოდა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 255 — 323. რ ე დ.

პლენუმის საზღვარგარეთ მოწვევა. ეს ცდა მოხდა 1911 წლის მაისში. ცენტრალური კომიტეტის 15 წევრიდან ცხრა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, სხდომაზე გამოცხადდა რვა... და ორმა ლიკვიდატორმა — «გოლოსელმა» («გოლოსის» მომხრე) იგორევმა და ბუნდელმა (ბერი) — მაშინვე დასტოვეს იგი და ამრიგად საბოლოოდ დაშალეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ლიკვიდატორების უარი ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობის მიღებაზე ნიშნავდა მათს საბოლოო ჩამოშორებას და ცენტრალური კომიტეტის დაშლას. საზღვარგარეთ მაშინ რჩებოდა კიდევ ერთი ცენტრალური დაწესებულება—ეგრეთწოდებული ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო. ბოლშევიკები იქიდან გავიდნენ, როდესაც ცენტრალური კომიტეტი დაიშალა. იქ დარჩნენ პოლონელები, ლატვიელები, ბუნდელები და «გოლოსელები» (=საზღვარგარეთელი ლიკვიდატორები), ე. ი.—როგორც შეუძლია დარწმუნდეს მკითხველს, რომელიც «Vorwärts»-ის სტატიას იცნობს, — იგივე შემადგენლობა, როგორიც იყო ბუნდის ცნობილი კონფერენციის შემადგენლობა, რადგან ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა ჯერ კიდევ 1908 წელს გადასცა თავისი მანდატები «გოლოსელებს». მაგრამ ვნახოთ ახლა, როგორ მოიქცნენ — როგორც ამბობს ჩვენი ანონიმის უახლესი აღმოჩენა — «რუსეთის უძველესი და ყველაზე მტკიცე ორგანიზაციები». მათ ვერ შესძლეს გაერთიანება და თვით საზღვარგარეთული ბიუროც კი დაშალეს! უკვე 1911 წ. შემოდგომაზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ ის იშლება, და პლეხანოვმა მას თავის «დნევნიკში» უძღვნა შემდეგი გამოსათხოვარი სტრიქონები: «საუკუნო ხსენება! ამ პარტიულ დაწესებულებას, რომელიც იარაღი გახდა იმ ვაჟბატონების ხელში, პარტიის ლიკვიდაციას რომ ლამობდნენ, და ამიტომ დიდ ზიანს უქადდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საქმეს, შეეძლო რევოლუციური პროლეტარიატისათვის მხოლოდ ერთი სამსახური გაეწია: დროზე მომკვდარიყო». («დნევნიკ სოციალ-

დემოკრატა», 2. მე-15 ნომრის დამატება, გვ. 1). ასეთი შეფასება პლეხანოვის მხრივ, რომელზედაც არასგზით არ შეიძლება ითქვას, რომ ის კონფერენციის მომხრეა, საკმაოდ ცხადყოფს, თუ რამდენად სასაცილოა იმათი თვალთმაქცობა, ვინც «უზურპაციასა» და სხვა ამგვარ რამეებზე ყვირის!

დარჩენილი იყო კიდევ ერთი გზა პარტიის ერთიანობის განსახორციელებლად, — რუსეთის ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევა. ნაციონალურ ორგანიზაციებს (პოლონელებს, ლატვიელებს, ბუნდელებს) სრულიად არაფერი არ შეეძლოთ გაეკეთებინათ ამ კონფერენციისათვის, რადგან ისინი სავსებით მოწყვეტილი არიან რუსეთის მუშაობას.

1910 წ. 26 ნოემბერს გამოქვეყნდა ტროცკის მოწოდება კონფერენციის მოწვევის შესახებ. მას მხარი დაუჭირეს (სიტყვიერად) «ვპერიოდელებმა» და «გოლოსელებმა» (=საზღვარგარეთელი ლიკვიდატორები). მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ჯგუფების უძლურების გამო, მთელმა მათმა ცდამ სრულიად არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

1911 წ. ივნისში გამოქვეყნდა ბოლშევიკების, «შემარიგებლების» (სხვანაირად «ბოლშევიკ-პარტიელების») და პოლონელების მოწოდება. მუშაობა დაიწყო მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაციის—კიევის ორგანიზაციის თაოსნობით. 1911 წ. ოქტომბერში შეიქმნა «კონფერენციის მომწვევი რუსეთის (ე. ი. რუსეთში მომუშავე, რუსეთის ორგანიზაციების მიერ შექმნილი) საორგანიზაციო კომისია». ეს კომისია შეჰქმნეს კიევის, ეკატერინოსლავის, თბილისის, ბაქოს და ეკატერინბურგის ორგანიზაციებმა, რომელთაც მალე შეუერთდა კიდევ 20 ორგანიზაცია. საქმეში რუსეთის ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩაბმამ მყისვე გამოააშკარავა ბოლშევიკების (ეგრეთწოდებული «ლენინელების») და მენშევიკ-პარტიელების აშკარა უპირატესობა. **Inde ira** * საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფებისა, რომელნიც «არ იცნეს», იმიტომ რომ მათ მომხრენი არ აღმოაჩნდათ რუსეთში.

---

* — აქედან განრისხება. რ ე დ.

1912 წლის იანვარში რუსეთის საორგანიზაციო კომისიამ, როგორც იქნა, შეჰკრიბა კონფერენცია, რომელზედაც მოწვეული იყო რუსეთის ყ ვ ე ლ ა ორგანიზაცია გამოუკლებლივ. არ გამოცხადდნენ არც ლიკვიდატორები, და არც «ნაციონალები» (პოლონელები, ლატვიელები, ბუნდი) და ყველა მერყეევი საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფები. რაკი კონფერენცია დარწმუნდა, რომ რ უ ს ე თ ი ს ორგანიზაციები წარმოდგენილი იყვნენ პარტიის საშინლად მძიმე მდგომარეობის პირობებში მაქსიმალური სისრულით, რაკი დარწმუნდა, რომ პარტია რუსეთში, თუ ცენტრალური ორგანო არ ეყოლება, — დაიღუპება, ხოლო საზღვარგარეთ სულ უფრო და უფრო ძლიერდება რღვევა, და რომ IV სათათბიროს მოახლოებული არჩევნები მოითხოვს პარტიის დაუყოვნებლივ აღდგენას, — კონფერენცია ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ა თავი გამოეცხადებინა უ მ ა ღ ლ ე ს პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ო დ და აერჩია ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ლიკვიდატორები პარტიის გარეთ გამოეცხადებინა.

ასეთია მრავალი წლის ბრძოლის მსვლელობა და შედეგი. შესძლებენ ლიკვიდატორები «აშკარა» პარტიის შექმნას, თუ შეხანხლავენ ფიქციურ პარტიას რაიმე დამპალი კომპრომისის საფუძველზე, — ამის პასუხს მომავალი გვეტყვის.

არსებობს თუ არა აშკარა, შესამოწმებლად ხელმისაწვდომი მონაცემები ლიკვიდატორებისა და პარტიელების, — კონფერენციის მომხრეთა, ძალის შესახებ თ ვ ი თ რუსეთში? არსებობს. რუსეთში არსებობს ო რ ი — და მხოლოდ ორი სრულიად რუსეთის პოლიტიკური ორგანო, სადაც თანამშრომლობენ მარქსისტი-ლიტერატორები და სათათბიროს ფრაქციის წევრები. ეს ორგანოები წარმოადგენენ «მიმდინარეობებს», მაგრამ არა ისე, როგორც საზღვარგარეთული, ლანძღვა-გინებით აღსავსე ფურცლები, არამედ ისინი აშკარა, სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას ეწევიან მთელი რიგი წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, ესენი არ არიან პარტიული ორგანოები; ისინი ნამდვილი ლეგალური ორგანოებია და არ სცილდებიან რუსეთში არსებული რეჟიმით დაწესებულ ფარგლებს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიის თეორიული აზროვნების ყ ვ ე ლ ა ცოტად თუ ბევრად სერიოზული ელფერი იქ პოულობს საერთოდ და მთლიანად უეჭველად სწორ გამოხატულებას. გარდა ო რ ი «მიმდინარეობისა» — ლიკვიდატორობისა და ანტილიკვიდატორობისა (კონფერენციის მომხრეებისა) — არავითარი სხვა მიმდინარეობა წარმოდგენილი არაა, რადგან სხვა რომელიმე ცოტად თუ ბევრად სერიოზული «მიმდინარეობა» ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ს ე ბ ო ბ ს. ყველა ეს პაწაწა ჯგუფები, — მაგალითად, «პრავდა», «ვპერიოდ», «ბოლშევიკი-პარტიელები» (ანუ «შემარიგებლები», შემარიგებლურად განწყობილნი) და სხვ. — ნულს უდრიან. ლიკვიდატორების შეხედულებები რუსეთში გამოხატულებას პოულობენ ყოველთვიურ ჟურნალ «ნაშა ზარიაში» (გამოდის 1910 წლიდან) და ყოველკვირეულ «ჟივოე დელოში» (უკანასკნელი № 8). პარტიელების (ბოლშევიკები და მენშევიკი-პარტიელები) შეხედულებებს გამოხატავენ ყოველთვიური «პროსვეშჩენიე»[151] (გამოდის 1911 წლიდან — წინათ «მისლ») და გაზეთი «ზვეზდა» (უკანასკნელი № 53). უაღრესად მცდარია ის აზრი, თითქოს პარტიელი სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ «ლეგალურ» მუშაობას: პირიქით, ისინი ამ მ უ შ ა ო ბ ა შ ი ც ლიკვიდატორებზე უფრო ძლიერნი არიან. ლეგალურ სოციალ-დემოკრატთა ერთადერთი უდავო, სრულიად რუსეთის აშკარა ორგანიზაცია — ეს არის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. იგი ნამდვილი ლეგალურია და არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს პარტიასთან. მაგრამ ყველა მისი წევრი ცნობილია, და ცნობილია ისიც, თუ თვითეული მათგანი რომელ მიმართულებას წარმოადგენს.

ლიკვიდატორულ «ჟივოე დელოში» მუდმივ თანამშრომლად არის სათათბიროს ფრაქციის ო რ ი წევრი — ასტრახანცევი და კუზნეცოვი *. ანტილიკვიდატორულ «ზვეზდაში»

* ცოტა ხნის წინათ იყო კიდევ მესამე — ბელოუსოვი. ახლა ეს უკიდურესი ლიკვიდატორი — რუსეთის ბისოლატი! — გამოვიდა სათათბიროს ფრაქციიდან. ფრაქცია საჯაროდ აფრთხილებს ყველა ამომრჩეველს და მოითხოვს მის გასვლას სათათბიროდან. პატარა ნიმუში იმისა, თუ ზოგჯერ ხადამდის შეუძლია მიყვანა თანამიმდევარ ლიკვიდატორობას!

ვნახულობთ სათათბიროს რვა წევრს: ვორონინს, ვოილოშნიკოვს, ეგოროვს, ზახაროვს, პოკროვსკის, პრედკალნს, პოლეტაევს და სურკოვს. სათათბიროს ორი დეპუტატი, ჩხეიძე და გეგეჭკორი, არ თანამშრომლობენ არც აქ, არც იქ. ერთი (შურკანოვი) — ორივე ორგანოს თანამშრომელია.

ვხედავთ შეფარდებას: ორი რვისადმი! ეს მართლაც უდავო, შესამოწმებლად ხელმისაწვდომი, აშკარა მონაცემებია, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ლიკვიდატორთა და ანტილიკვიდატორთა ძალების თანაფარდობის შესახებ. ასეთ პირობებში აღარა ღირს ლაპარაკი უცნობი ავტორის მკვეხარა მტკიცების გამო, თითქოს უდიდესი უმრავლესობა ლიკვიდატორებს ემხრობოდეს და სხვა. ეს ფრაზები à la* ტარტარენ ტარასკონელი ძალიან მოგვაგონებს ტროცკის**, რომ ღირდეს სერიოზული კამათი ამაზე.

ბრძოლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შიგნით ხშირად მეტად მძაფრ ფორმას იღებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს ემიგრანტული ცხოვრების პირობებში, სხვანაირად არ ყოფილა არც ერთ სხვა ქვეყანაში, რომელსაც თავს დასტყდომია კონტრრევოლუცია და ემიგრანტობა.

ბრძოლის ამ ფორმების მაღალფარდოვანი ფრაზებით «გაკიცხვა», მათი უარყოფა, დაკმაყოფილება ფილისტერულ-ფარისევლური მსჯელობით «ერთიანობის სარგებლობის» შესახებ — მხოლოდ ფუქსავატობის დამამტკიცებელია. ვისაც სერიოზულად უნდა შეისწავლოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორია მძიმე 1908 — 1911 წლებში, მის განკარგულებაშია დიდძალი არალეგალური და კიდევ უფრო მეტი — ლეგალური ლიტერატურა. ეს

* — მსგავსად. რ ე დ.

** კოპენჰაგენის კონგრესის დროს ტროცკიმ გამოაქვეყნა «Vorwärts»-ში ანონიმური სტატია, რომელიც სავსე იყო ისეთი უმსგავსო თავდასხმებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წინააღმდეგ, რომ არა მარტო ლენინი, არამედ პლეხანოვიც და ვარსკიც, რუსეთის დელეგაციის წევრები, იძულებული იყვნენ გამგეობისთვის წერილობითი პროტესტი გაეგზავნათ.

ლიტერატურა მეტად საგულისხმო მასალას შეიცავს მიმდინარეობათა ხასიათის, უთანხმოების პრინციპული მნიშვნელობის, ბრძოლის ფესვების, მისი განვითარების გარემოებისა და პირობების და სხვათა შესახებ.

არც ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია ქვეყნად არ შექმნილა — განსაკუთრებით ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში — მძიმე ბრძოლისა და პროლეტარიატის ბურჟუაზიულ თანამგზავრებთან მთელ რიგ გათიშვათა გარეშე. ასეთ თანამგზავრთა წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში ყალიბდება 1898 წლიდან, იზრდება, მაგრდება და იწრთობა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც.

წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰუისმანსს[152]

ძვირფასო ამხანაგო!

ზოგიერთი საზღვარგარეთული ჯგუფისა და აგრეთვე ორი საზღვარგარეთული გაზეთის რედაქციის წევრების მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელნიც თავს აკუთვნებენ რსდმ პარტიას, მე, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, ვაცხადებ შემდეგს:

1) მაშინ როდესაც რამდენიმე წლის განმავლობაში არ ხერხდებოდა არც რუსეთის ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევა და არც შექმნა ან აღდგენა ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც შეეძლო გაეერთიანებინა ეს ორგანიზაციები, ახლახან დასრულებულმა პარტიულმა კონფერენციამ გააერთიანა 23 პარტიული ორგანიზაცია, რომელნიც მუშაობას ეწევიან რუსეთში.

ყველა მოხსენებას ამ კონფერენციის შესახებ, რომლებიც უკვე მოისმინა რუსეთის პარტიულ ორგანიზაციათა უმრავლესობამ, ყველგან მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ, და ყველა ამ ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერენ კონფერენციის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო «რაბოჩაია გაზეტას» (პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო) 1912 წ. 30 მარტის ნომერში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებიც მიიღეს პეტერბურგის (ვასილის კუნძულის რაიონი), მოსკოვის, კიევის, სამარის, ნიკოლაევის ორგანიზაციებმა, — ეს რეზოლუციები მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ კონფერენციას

და დახმარებას აღუთქვამენ მას და ცენტრალურ კომიტეტს. (ამ ნომრის გამოსვლის შემდეგ კიდევ ერთი ამგვარივე რეზოლუცია მივიღეთ თბილისიდან). ამრიგად, ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე მნიშვნელობა მივცეთ იმ წვრილი საზღვარგარეთული ჯგუფების პროტესტებს, რომელნიც არავითარ პარტიულ ორგანიზაციებს არ ეყრდნობიან რუსეთში.

2) რუსეთში მომუშავე პარტიის წევრთა ამ კონფერენციამ, რომელმაც ყველა ამ წვრილი საზღვარგარეთული ჯგუფების პროტესტი გამოიწვია, სპეციალურად შეისწავლა საკითხი საზღვარგარეთული ჯგუფების დეზორგანიზატორული მოქმედებისა და იმ არევ-დარევის შესახებ, რაც ამ ჯგუფებს ხშირად შეაქვთ რუსეთის პარტიულ მუშაობაში. ეს ჯგუფები, რომელნიც რუსეთის არც ერთ ორგანიზაციასთან არ არიან დაკავშირებულნი, სარგებლობენ თავიანთი სრული უპასუხისმგებლობით და ნებას აძლევენ თავს ილაპარაკონ პარტიის სახელით. ეს სენი, რომელიც დიდი ხანია ღრღნის ჩვენს პარტიას, შედეგია რუსეთის პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც, ერთი მხრივ, აიძულებს ჩვენს პარტიას არალეგალურად იარსებოს, ხოლო, მეორე მხრივ, მრავალ პარტიულ მომუშავეს აიძულებს საზღვარგარეთ გადასახლდეს და იქ დარჩეს.

კონფერენციამ სასტიკად დაჰგმო დეზორგანიზატორული მოქმედება ამ ჯგუფებისა, რომლებიც ყველა საზღვარგარეთული არიან და არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ამიტომ პარტიისათვის მოულოდნელი არ არის ყველა ის თავდასხმა, რითაც ეს ჯგუფები ცდილობენ სახელი გაუტეხონ კონფერენციას, რომელმაც დაჰგმო მათი საქციელი.

3) რეზოლუციის ხელმომწერთა შორის ჩვენ ვხედავთ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» ჯგუფს. ეს ხელმოწერა ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება და გვიხსნის ნამდვილ აზრს მთელი იმ მტრული კამპანიისას, რომელიც ასტეხა კონფერენციის წინააღმდეგ რუსეთის ლიკვიდატორულმა და ბურჟუაზიულმა პრესამ და საზღვარგარეთული პრესის ზოგიერთმა ორგანომაც კი.

საქმე ისაა, რომ იმ რეზოლუციაში, რომელიც აჯამებს ჩვენი პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობის ბრძოლას უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, კონფერენციამ სპეციალურად გაილაშქრა იმ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენს «გოლოს სოციალ-დემოკრატა». ამ საკითხის რაც შეიძლება სრულად გასაშუქებლად სასარგებლოდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ ეს რეზოლუცია.

აი ეს რეზოლუცია:

«იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რსდმ პარტია უკვე თითქმის ოთხი წელიწადია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან, რომელიც პარტიის 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე დახასიათებული იყო როგორც

«პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს რსდმ პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შეცვალოს იგი უფორმო გაერთიანებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ეს ლეგალობა მოითხოვდეს პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ტრადიციების აშკარა უარყოფას»;

2) რომ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა, განაგრძობდა რა ბრძოლას ამ მიმდინარეობასთან, ერთხმად აღიარა იგი პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულებად და ნამდვილი პარტიული ერთიანობისა და ბოლშევიკების და მენშევიკების წინანდელი ფრაქციების შეერთების პირობად წამოაყენა ლიკვიდატორობის სრული უარყოფა და სოციალიზმიდან ამ ბურჟუაზიული გადახრის საბოლოო დაძლევა;

3) რომ მიუხედავად პარტიის ყველა გადაწყვეტილებისა და ყველა ფრაქციის წარმომადგენლების მიერ 1910 წლის იანვრის პლენუმზე ნაკისრი ვალდებულებისა, ჟურნალების «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ირგვლივ დაჯგუფებულ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი აშკარად დაადგა იმ მიმდინარეობის დაცვის გზას, რომელიც მთელმა პარტიამ აღიარა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის ნაყოფად;

4) რომ ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრებმა, მ-ლმა, იურიმ და რომანმა არათუ უარი თქვეს ცენტრალურ კომიტეტში შესვლაზე 1910 წლის გაზაფხულზე, არამედ არც კი მოისურვეს გამოცხადებულიყვნენ თუნდაც ერთ სხდომაზე ახალი წევრების კოოპტაციისთვის და აშკარად განაცხადეს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის არსებობაც კი «მავნებლად» მიგვაჩნიაო;

5) რომ ლიკვიდატორების ხსენებულმა მთავარმა გამოცემებმა «ნაშა ზარიამ» და «დელო ჟიზნიმ» სწორედ 1910 წლის პლენუმის შემდეგ გადაჭრით და მთელი ხაზით იბრუნეს პირი ლიკვიდატორობისაკენ, და ისინი არათუ «ამცირებენ» (მიუხედავად პლენუმის გადაწყვეტილებებისა) «არალეგალური პარტიის მნიშვნელობას», არამედ პირდაპირ უარყოფენ მას, აცხადებენ პარტიას «ლეშად», აცხადებენ პარტიას უკვე ლიკვიდირებულად, აცხადებენ «რეაქციულ უტოპიად» არალეგალური პარტიის აღდგენას, ცილს სწამებენ და ლანძღავენ ლეგალური ჟურნალების ფურცლებზე არალეგალურ პარტიას, მოუწოდებენ მუშებს «მოსპობილად» აღიარონ პარტიის უჯრედები და მისი იერარქია და სხვ.;

6) რომ იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში პარტიელები, ფრაქციათა განურჩევლად, გაერთიანდნენ პარტიული კონფერენციის მოწვევის მორიგი საქმისათვის, ლიკვიდატორები გამოიყვნენ სრულიად დამოუკიდებელ პატარა-პატარა ჯგუფებად, გამოითიშნენ ადგილობრივ აგრეთვე იქ, სადაც პარტიელი მენშევიკები სჭარბობენ (ეკატერინოსლავი, კიევი); მათ საბოლოოდ უარყვეს ყოველგვარი პარტიული კავშირი რსდმ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან; —

კონფერენცია აცხადებს, რომ «ნაშა ზარიას» და «დელო ჟიზნის» ჯგუფმა თავისი მოქმედებით ს ა ბ ო ლ ო ო დ პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე თ დ ა ი ყ ე ნ ა თ ა ვ ი.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა პარტიელს, მიმდინარეობათა და ელფერთა განურჩევლად, ებრძოლონ ლიკვიდატორობას, განმარტონ მთელი მისი მავნებლობა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის და დაძაბონ მთელი

ძალღონე არალეგალური რსდმ პარტიის აღსადგენად და განსამტკიცებლად».

4) ყოველივე ამის შემდეგ სავსებით ცხადია, რომ საქმე აქ «უზურპაცია», «გათიშვა» და სხვა კი არ არის, და ეს სრულიადაც არ არის ლიკვიდატორების გაბოროტების მიზეზი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციამ გაილაშქრა იმ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელმაც ნამდვილად დიდი ხანია სრულიად შეწყვიტა ყოველგვარი პარტიული მუშაობა და რომელიც მთელი ძალღონით ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური კომიტეტის აღდგენას და უკანასკნელ ჯერ კიდევ შენარჩუნებულ პარტიულ დაწესებულებას (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს) ხდიდა «იარაღად პარტიის ლიკვიდაციის მოსურნე ვაჟბატონთა ხელში» (ეს სიტყვები ეკუთვნის ამხ. პლეხანოვს, რომელიც არ არის კონფერენციის მომხრე).

5) რაც შეეხება ნაციონალურ ორგანიზაციებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რსდმ პარტია არსებობდა როგორც რსდმ პარტია 1906 წლამდე (ან უფრო სწორად — 1907 წლამდე), ე. ი. იმ დრომდე, როდესაც ნაციონალური ორგანიზაციები შემოვიდნენ ჩვენს პარტიაში (ბუნდი პარტიიდან გავიდა 1903 წელს და კვლავ დაბრუნდა მასში აგრეთვე 1907 წელს). კონფერენციაზე მათი დაუსწრებლობის გამო კონფერენციამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს მოლაპარაკება გამართოს ნაციონალურ ორგანიზაციებთან მათთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად.

დაწერილია 1912 წ. მარტის
მეორე ნახევარში

დაიბეჭდა 1912 წ. 12 აპრილს (ახ. სტ.)
საერთაშორისო სოციალისტური
ბიუროს ცირკულარში № 7
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ცირკულარის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

კადეტების ბლოკი პროგრესისტებთან და მისი მნიშვნელობა

გაზეთებმა უკვე რამდენიმე დღის წინათ გვაცნობეს, რომ მოსკოვში 18 მარტს შესდგა, ერთი მხრივ, «უპარტიო პროგრესისტებისა» და, მეორე მხრივ, კადეტების თათბირი.

ოფიციოზური «რეჩის» (21 მარტისა) ოფიციოზური მოწინავე თათბირის ფაქტს ადასტურებს და შეფასებას აძლევს მას. ამ შეფასებაში, ოდნავი ყურადღებით თუ წაიკითხავთ, ადვილად გაარჩევთ გულმოდგინედ დაფარულ საქმის დედაარსს და იმ საბურავს, რომელიც აპარანსების დასაცავადაა ნახმარი.

საქმის დედაარსი ისაა, რომ პროგრესისტებიც და კადეტებიც, როგორც ოპოზიციური ჯგუფები, «ეკუთვნიან ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ხასიათდება «პასუხისმგებლის» სახელწოდებით». ასე ლაპარაკობს «რ ე ჩ ი». მაშასადამე, კადეტებს არ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ ოპოზიციის შიგნით არის ორი «ნაწილი»: ერთი, რომელიც ღირსია «პასუხისმგებლის» სახელწოდებისა და მეორე, რომელიც ამ სახელწოდების ღირსი არ არის. კადეტების ამ აღსარებას ერთბაშად მივყავართ საკითხის ცენტრალურ პუნქტთან.

როდესაც კადეტები ლაპარაკობენ «პასუხისმგებელ» ოპოზიციაზე, — რომელიც კიდევ უფრო ხშირად და უკეთესად ხასიათდება მილიუკოვის ცნობილი «ლონდონის» ლოზუნგებით ოპოზიციის შესახებ ნათესაობითს ბრუნვაში, — ამით ისინი თავიანთ თავს და მათ მსგავს ჯგუფებს აცალკევებენ დემოკრატიისაგან, ე. ი. ტრუდოვიკებისა და მუშებისაგან. ნამდვი-

ლად «პასუხისმგებელი» ოპოზიცია უნდა გავიგოთ როგორც ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიული ცენტრი, რომელიც დგას, ერთი მხრივ, დემოკრატიასა და, მეორე მხრივ, აბსოლუტიზმსა და მასთან გაერთიანებულ ბატონყმურ მიწათმფლობელობას შუა. ეს ბურჟუაზიული ლიბერალურ-მონარქისტული ცენტრი, რომელსაც კიდევ უფრო მეტად ეშინია თანამიმდევარი დემოკრატიისა, ვიდრე ეგრეთწოდებული «რეაქციისა», დიდი ხანია გაჩნდა რუსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე. მან უკვე ისეთი ხანგრძლივი და საგულისხმო ისტორია განიცადა, რომ თავის მოტყუება მისი ნამდვილი დედაარსის შესახებ — კიდევ უფრო მეტად კი არცოდნით საკითხის მიჩქმალვა ან თავიდან აშორება — ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა.

ეს ცენტრი სრულიად ნათლად გამოისახა ბატონყმობის გადავარდნის ეპოქაში. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომელიც იმ ეპოქას ჰყოფს 1905 წლისაგან, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია ერობაშიც, ქალაქის წარმომადგენლობაშიც, სკოლაშიც, პრესაშიც გაიზარდა და საკმაოდ გარკვეულ ძალად იქცა. 1905 წელს ძველი რეჟიმის კრიზისმა და რუსეთის ყველა კლასის აშკარა გამოსვლამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა და პარტიულად განამტკიცა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიული ცენტრი მისი მემარჯვენე (ოქტიაბრისტები) და მემარცხენე (კადეტები) ფლანგითურთ. ამ ცენტრის გამოყოფა დემოკრატიისაგან მეტად მკვეთრი იყო და მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სარბიელზე, 1905 — 1907 წლების ყველა «მძაფრი შებრუნების» დროს, თუმცა ყველა დემოკრატს და ყველა მუშა დემოკრატსაც კი როდი ესმოდა ამ გამოყოფის დედაარსი და მნიშვნელობა.

რუსეთის ბურჟუაზია ათასნაირი ეკონომიური ძაფებითაა დაკავშირებული როგორც ძველ მემამულურ მიწათმფლობელობასთან, ისე ძველ ბიუროკრატიასთან. გარდა ამისა, რუსეთის მუშათა კლასმა საკმაოდ ცხადყო თავისი დამოუკიდებ-

ლობა და თავდაცვის უნარი, — ეს კიდევ ცოტაა: ცხადყო, რომ მას შესწევს დემოკრატიის ხელმძღვანელობის უნარი, წინააღმდეგ ლიბერალიზმისა. აი რატომ გახდა ჩვენი ბურჟუაზია ლიბერალურ-მონარქისტული და ანტიდემოკრატიული, ანტიხალხური. აი რატომ ეშინია მას რეაქციაზე უფრო მეტად დემოკრატიისა. აი რატომ მერყეობს ის მუდამ, წაჯექ-უკუჯექობს, ღალატობს მეორეს პირველის სასარგებლოდ. აი რატომ გახდა ის კონტრრევოლუციური 1905 წლის შემდეგ და მიიღო «მცირე ადგილი» სამი ივნისის სისტემაში. თუ ოქტიაბრისტები მთავრობის პარტია გახდნენ (პურიშკევიჩების ნებართვით და მეთვალყურეობით), კადეტები მოსათმენ ოპოზიციად გადაიქცნენ.

კადეტების კონფერენციის გადაწყვეტილება — დაუშვან ბლოკი «მემარცხენე» (ნუ იცინით!) ოქტიაბრისტებთან და კადეტებისა და «უპარტიო პროგრესისტების» ახლანდელი «არაფორმალური» გაერთიანება, — ყოველივე ეს მხოლოდ ერთი გრძელი ჯაჭვის რგოლებია, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიული ცენტრის კონცენტრაციის საფეხურია.

მაგრამ არჩევნების წინ ოპოზიციას არ შეუძლია «დემოკრატიული» სამოსელი არ წამოისხას. კადეტი, რომელიც ემზადება მოიხვეჭოს არა მარტო მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის, არამედ წვრილი დემოკრატიული ბურჟუაზიის, ნოქრებისა და სხვათა ხმებიც, — იძულებულია ხაზგასმით განაცხადოს, რომ ის «სახალხო თავისუფლების პარტიის» წევრია, «კონსტიტუციური დემოკრატია», ხუმრობა არ გეგონოთ! კადეტთა პარტია, რომელიც ნამდვილად ზომიერი მონარქისტული ლიბერალიზმის პარტიაა, არჩევნების წინ და არჩევნებისათვის დემოკრატიულად ირთვება, ფარავს თავის დაახლოებას «უპარტიო პროგრესისტებთან» და «მემარცხენე» ოქტიაბრისტებთან.

აქედან — «რეჩის» დაუსრულებელი პრანჭვა-გრეხა და დიპლომატიური ფანდები, მისი მაღალფარდოვანი განცხადებანი, «სახალხო თავისუფლების პარტია გარემოებებს არ შეე-

გუებაო» და სხვა და ა. შ. რასაკვირველია, ეს სასაცილოა მხოლოდ. კადეტთა პარტიის მთელი ისტორია ერთი დაუსრულებელი დაცინვაა მისი საკუთარი პროგრამისა, დაუსრულებელი «შეგუებაა» გარემოებასთან ამ სიტყვის უცუდესი მნიშვნელობით. «სხვა პოლიტიკურ პირობებში, — წერს «რ ე ჩ ი», — როდესაც სახალხო თავისუფლების პარტიას შეეძლებოდა გაეშალა საკანონმდებლო დაწესებულებაში მთელი თავისი პროგრამა, რა თქმა უნდა, ეგრეთწოდებული «პროგრესისტები» მისი მოწინააღმდეგენი იქნებოდნენ, როგორიც იყვნენ ისინი ახლო წარსულის უფრო მწვავე მომენტებში».

მეორე სათათბიროს ეპოქა რომ უფრო მწვავე მომენტი იყო, — ეს არა მგონია უარყონ ბატონმა კადეტებმა. მაგრამ მაშინ არათუ პროგრესისტები, გაცილებით უფრო მემარჯვენე ელემენტებიც კი იყვნენ არა კადეტების მოწინააღმდეგენი, არამედ მათი მოკავშირენი დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. შემდეგ კი, III სათათბიროში დემოკრატები აკეთებდნენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც კადეტთა პროგრამის ყოველ მუხლზე ბევრად შორს მიდიოდა, — მაშასადამე, კადეტთა პარტიას სავსებით «შ ე ე ძ ლ ო გ ა ე შ ა ლ ა მ თ ე ლ ი თ ა ვ ი ს ი პ რ ო გ რ ა მ ა» ისეთ «ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი ც» კი, როგორიც III სათათბირო იყო! თუ კადეტთა პარტია ამას არ აკეთებდა, ამის მიზეზია სრულიადაც არა «პოლიტიკური პირობები», — ნუ იტყვი: არ შემიძლია, თქვი, არ მინდა! — არამედ დემოკრატიისაგან კადეტების სრული განმარტოებულობა. კადეტებს ს ა ვ ს ე ბ ი თ შ ე ე ძ ლ ო თ მთელი თავიანთი პროგრამის გაშლა, მაგრამ დემოკრატიისაგან მ ა თ ი ჩამოშორება, მ ა თ ი საკუთარი გ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ბ ა ამის ნებას არ აძლევდა მათ.

«რ ე ჩ ი ს» მოწინავე სტატიის მსჯელობა პროგრესისტებთან ბლოკის შესახებ — ერთი მრავალ ნიმუშთაგანია იმისა, თუ რა ადვილად აბრიყვებენ მცირერიცხოვან «მემარცხენე» კადეტებს ამ პარტიის ბელადები, როგორც, მაგალითად, მილიუკოვი და სხვები. მემარცხენე კადეტებს ისინი ფრაზით

ჰკვებენ, კოლიუბაკინებს ისინი აშოშმინებენ საზეიმო სიტყვებით «დემოკრატიზმის» შესახებ, ხოლო სინამდვილეში თავიანთ პოლიტიკას წარმართავენ სავსებით ანტიდემოკრატიულად, პროგრესისტებთან და მემარცხენე ოქტიაბრისტებთან დაახლოებისა და შეერთების მიმართულებით. კადეტებს სავსებით ისეთივე «შრომის დანაწილება» აქვთ შემოღებული, როგორც ყველა დასავლეთ-ევროპელ ბურჟუაზიულ პარლამენტარიებს: ხალხის წინაშე «თავისუფლებაზე» დაე კოლიუბაკინებმა და სხვა «მემარცხენე კადეტებმა» ილაპარაკონ, ხოლო პარლამენტში, საქმიან პოლიტიკაში კადეტთა პარტია უზომიერეს ლიბერალებთან ერთადაა.

«ახალი ჯგუფი — წერენ ლიკვიდატორები პროგრესისტების შესახებ — მხოლოდ განამტკიცებს, მხოლოდ აძლიერებს იმ პოლიტიკურ უსახობას, იმ პოლიტიკურ არეულ-დარეულობას, რომელშიც იმყოფება ბურჟუაზიული ამომრჩეველი და *რომლითაც შეპირობებულია კიდეც რუსეთის ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკური უმწეობა*».

რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური უმწეობა აიხსნება სრულიადაც არა «ბურჟუაზიული ამომრჩევლის» «უსახობით», — ასე შეუძლიათ იფიქრონ მხოლოდ მემარცხენე კადეტთა ილუზიონისტებს, — არამედ ეკონომიური პირობებით, რაც ბურჟუაზიას ხდის მუშების მტრად და პურიშკევიჩების მონად, მონად, რომელიც ბუზღუნსა და კეთილ სურვილებს ვერ გასცილებია.

მემარცხენე კადეტთა პარლამენტარიებს, გამოდიან ისინი პოლიტიკის იდეალისტური თეორიიდან თუ ვულგარული შიშიდან — არ დავკარგოთ პურიშკევიჩების მიერ გამემარცხენებული და გაბოროტებული ამომრჩევლის ხმებიო, შეუძლიათ ებრძოლონ კადეტთა ოფიციალურ პარტიას ისეთი საბუთებით, რომ დროა გონს მოვიდეთ, მოვიგონოთ ჩვენი პროგრამა, გავილაშქროთ უსახობის, ობივატელობის, უპრინციპობის წინააღმდეგაო და სხვა ამისთანა ჩვეულებრივი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზებით.

მარქსისტები ებრძვიან ყველა ელფერის კადეტებს, ისინი გამოდიან პოლიტიკის მატერიალისტური თეორიიდან, განმარტავენ მთელი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, რომლებიც მას უბიძგებენ ლიბერალურ-მონარქისტული პროგრამისაკენ, პროგრესისტებთან და «მემარცხენე» ოქტიაბრისტებთან დაახლოებისაკენ. ამიტომ ჩვენი დასკვნა იქნება არა მიმართვა კადეტის «გონებისადმი», კადეტის «მახსოვრობისადმი», კადეტის «პრინციპებისადმი», არამედ ხალხისათვის განმარტება იმისა, თუ რ ა ტ ო მ ხდება ლიბერალიზმი კონტრრევოლუციური და. რადა წყვეტს კავშირს დემოკრატიასთან. ჩვენ არ წამოვიძახებთ: ბოლოს და ბოლოს, მოვლენ თუ არა გონს კადეტები, გაიხსენებენ თუ არა ისინი თავიანთ პროგრამასაო? ჩვენ ვიტყვით: ბოლოს და ბოლოს, შეიგნებენ თუ არა დემოკრატები, თუ რა დიდად განსხვავდებიან ისინი კონტრრევოლუციური ლიბერალების — კადეტებისაგან? ბოლოს და ბოლოს, შეიგნებენ თუ არა ისინი, ვისი ეკონომიური ინტერესებიც მიჯაჭვული არ არის არც მემამულურ მიწათმფლობელობაზე, არც ბიუროკრატიის, ადვოკატურისა და სხვათა ადგილებსა და შემოსავალზე, რომ ნაბდვილი სახალხო თავისუფლების ინტერესები მოითხოვენ მუშათა დემოკრატიასთან შეერთებას მემარჯვენეების წინააღმდეგ და კადეტთა პარტიის წინააღმდეგ?

«ზვეზდა» № 23 (59),
1912 წ. 29 მარტი
ხელმოწერა: ბ. კ.

იბეჭდება ვაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ცუდი დაცვა

«ჟივოე დელოს» მე-8 ნომერში მარტოვი მიპასუხებს «ზვეზდას» მე-11 ნომერში მოთავსებულ ჩემს სტატიაზე: «ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ორგანო» *. საკითხი ეხება მუშების ძირითად ხაზს საარჩევნო კამპანიაში და ამიტომ იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

«ჟივოე დელოს» მე ვუწოდე ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ორგანო და ეს შემდეგნაირად დავასაბუთე: 1) მარტოვისა და დანის ლოზუნგი სათათბიროს პოზიციებიდან რეაქციის განდევნის, რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯის შესახებ არის არა დემოკრატიული, არამედ ლიბერალური ლოზუნგი. რუსეთში «რეაქციასთან» ბრძოლას არათუ არ განსაზღვრავს რეაქციის ხელიდან სათათბიროს გამოგლეჯა, არამედ იგი არც არის აქეთკენ მიმართული. 2) მის მიერ დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობაზე ლაპარაკი მარტოვმა დაიწყო ჩვენი საარჩევნო კანონის შელამაზებით. მარტოვმა განაცხადა, რომ «საგუბერნიო კრებების მნიშვნელოვან ნაწილში მიწათმფლობელთა და ქალაქის პირველი კურიის ამრჩეველთა უმრავლესობა» უზრუნველყოფილიაო. მე მოვაგონე ფაქტები: ეს უმრავლესობა ყველა საგუბერნიო კრებაშია უზრუნველყოფილი — 53 გუბერნიიდან 28-ში უმრავლესობა

* იხ. ეს ტომი, გვ. 582 — 586. რედ.

(საგუბერნიო კრებებში) მ ა რ ტ ო მიწათმფლობელებს ეკუთვნით, და ეს გუბერნიები სათათბიროში გზავნიან 255 დეპუტატს 440-დან. 3) როცა მარტოვი ლაპარაკობს სათათბიროს პოზიციებიდან რეაქციის განდევნაზე, მას ავიწყდება, რომ მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ლიბერალურ ოპოზიციაზე შორს გადაწევა სათათბიროსი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. მარტოვისა და დანის ლოზუნგი არის რეაქციის ხელიდან მ ე მ ა მ უ ლ ი ს გამოგლეჯის ლოზუნგი. 4) როცა მარტოვი ლაპარაკობს, მუშები დაინტერესებული არიან ძალაუფლების «კულტურული ბურჟუას» ხელში გადასვლითაო, მას «ავიწყდება» ერთი რამ. სახელდობრ: ლიბერალები დაინტერესებული არიან პურიშკევიჩებთან იმნაირად გაინაწილონ ძალაუფლება, რომ «არც ერთი იარაღი» არ ერგოს დემოკრატიას! 5) როცა მარტოვი ლაპარაკობს, სათათბიროში გაძლიერებით კადეტები «იადვილებენ ძალაუფლებასთან მისვლასაო», მას ავიწყდება რუსეთის 1905 — 1906 წლების, საფრანგეთის 1789 და შემდგომი წლების, ჩინეთის 1911 წლის გამოცდილება. ეს გამოცდილება გვეუბნება: ძალაუფლება მხოლოდ მაშინ გადადის ლიბერალის (ან უფრო მემარცხენის) ხელში, როდესაც იმარჯვებს დემოკრატია წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიბერალებისა. 6) მაშასადამე, მარტოვი მარქსიზმს აღიარებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მისაღებია ყოველი განათლებული ლიბერალისათვის.

რას გვიპასუხებს მარტოვი ამ ექვს მუხლზე? სრულიად არაფერს. აბსოლუტური დუმილი. რა საჭირო იყო პოლემიკის დაწყება, თუ დუმილი გქონდათ გადაწყვეტილი?

მარტოვი დუმილით გვერდს უვლის ყველა ჩემს საბუთს და ცდილობს «დამიჭიროს» ჩემს შემდეგ ფრაზაში:

«არჩევნებში ჩვენი პრაქტიკული ამოცანაა სრულიადაც არა «რეაქციის განდევნა სათათბიროს პოზიციებიდან», არამედ საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის გაძლიერება. ეს ამოცანა ხანდახან შეეჯახება ლიბერალთა რიცხვის გადიდების «ამოცანას»: ჩვენთვის უფ-

რო მნიშვნელოვანია — და პროლეტარიატისათვის უფრო სასარგებლოა — ხუთი ზედმეტი * დემოკრატი, ვიდრე 50 ზედმეტი ლიბერალი».

მარტოვს მოჰყავს ეს ფრაზა და გახარებული (ხომ დავიჭირე «რეაქციის მომხრეო»!) გაიძახის: «მკითხველებს ვთხოვ ჩაუფიქრდნენ ამ ფრაზას». სულით და გულით მხარს ვუჭერ ამ წინადადებას — ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ნ ე ნ.

მარტოვი იწყებს ჩაფიქრებას და — ამგვარ სილოგიზმამდე მიდის. ხელახალი კენჭისყრა ახლა კანონში ყველგანაა. მაშასადამე, «შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა», როდესაც ჩვენ უკუვაგდებთ 50 ლიბერალს და გაგვყავს 5 დემოკრატი. ეს არის «შემთხვევა» შავრაზმელთათვის დემოკრატების ხმების მ ი ყ ი დ ვ ი ს ა სათათბიროში ადგილების მოსაპოვებლადო.

და მარტოვი ზეიმობს და ხტის მთელი ორმოცდაათი სტრიქონის მანძილზე: ხომ ხედავთ, დავამარცხე შავრაზმელთა ხელშემწყობი, ამასთან, როცა ფ. ლ — კოს ვამარცხებდი, «დავჭერი» ვ. ფრეიც [153], რომელიც «იქითკენვე იხრებაო».

ძალიან გულუბრყვილოდ კი თვლის მარტოვი თავის მკითხველებს! და რა წინდაუხედაობა იყო ავტორის მხრივ მკითხველთა მოწოდება — ჩ ა უ ფ ი ქ რ დ ი თ ო, როცა თვითონ ის დ ა უ ფ ი ქ რ ე ბ ლ ა დ წერს.

ჩემი ფრაზა, რომელიც მარტოვს ძალიან არ მოსწონებია, ჩაფიქრების უნარიან ადამიანებს უყენებს ო რ კითხვას: 1) სათათბიროში მართლა ხუთი დემოკრატი უფრო სასარგებლოა მუშებისთვის, ვიდრე 50 ლიბერალი? 2) შეიძლება თუ არა ისეთი შემთხვევა იყოს პრაქტიკაში, როდესაც ეს ამოცანები «შეეჯახებიან» ერთმანეთს?

პირველ კითხვას ჩაფიქრების მოყვარულმა მარტოვმა ს რ უ ლ ი ა დ გვერდი აუარა. ამაოდ. თქვენ, ბატონო ლიკვი-

* სტატიაში ბეჭდვითი შეცდომაა: ძლიერი — ზედმეტის ნაცვლად. მარტოვს ადვილად უნდა შეენიშნა, რომ დაპირისპირება «ძლიერი» დემოკრატებისა და «ზედმეტი» (ე. ი. დამატებითი) ლიბერალებისა შეუსაბამობაა. მაგრამ დავის დედაარსი ეს როდია.

დატორებო, თვითონ უკლით გვერდს პოლიტიკას, რომ ჩვენ დაგვწამოთ არითმეტიკისადმი მიკერძება. 50 ლიბერალი სათათბიროში ხალხს მიმართავს უამრავი ყალბი დემოკრატიული სიტყვით, რითაც რყვნის ხალხს, და მისცემს ერთ მუჭა «რეფორმებს», რომლებიც, ჯერ-ერთი, არ გასცილდება პირისაბნებს და, მეორე, გაეხირება სახელმწიფო საბჭოში და ასე შემდეგ. ხუთი დემოკრატი სათათბიროს ტრიბუნიდან ხალხს განუმარტავს დემოკრატიის ჭეშმარიტებას (ხოლო მუშები — სოციალიზმის ჭეშმარიტებებსაც). რა უფრო სასარგებლოა პროლეტარიატისათვის?

მეორე კითხვა. განა მართალია მარტოვი, რომ ხუთი («ზედმეტი», ე. ი. ახლანდელთა დამატებით) დემოკრატის გაყვანის ამოცანა შეიძლება შეეჯახოს 50 ლიბერალის გაყვანის ამოცანას მხოლოდ მის მიერ აღნიშნულ შემთხვევაში? ვინაიდან მარტოვმა, მას შემდეგ რაც მოუწოდა ჩაფიქრდითო, პირდაპირ განაცხადა: «ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი შემთხვევაო».

თუ მარტოვი მართალია, მაშინ მკითხველმა მე, ფ. ლ—კოს, უნდა დამწამოს ან შეუძლებელი შემთხვევის აღნიშვნა, ანდა სათათბიროს ადგილების გამო შავრაზმელებისთვის დემოკრატების ხმების მიყიდვის ფარული სურვილი (საიდუმლოდ დავძენ: ფარული და სულელური სურვილი: პურიშკევიჩი, რომელიც პეტროვ მესამის და ვოილოშნიკოვის მეგობრების ხმებს ყიდულობს IV სათათბიროში ვოილოშნიკოვის გასაყვანად, — მეტისმეტად მართებულად წერს «ჩაფიქრების» მოყვარული მარტოვი).

თუ კი შეიძლება იყოს ორივე ამოცანის შეჯახების სხვა შემთხვევა, მაშინ მარტოვი მართალი არ არის.

ამრიგად: შესაძლებელია თუ არა ამგვარი შეჯახების სხვა შემთხვევა? უეჭველად: ეს არის შემთხვევა, როდესაც ხელახალი კენჭისყრის დროს დემოკრატები ლიბერალებთან შეთანხმების დაუდებლად იბრძვიან მემარჯვენეების წინააღმდეგაც და ლიბერალების წინააღმდეგაც.

ეს არის და ეს *.

ჩაფიქრების მოყვარული მარტოვი, როგორც ყველა ლიკვიდატორი, მოხიბლულია ორი ბანაკის იდეით და ველარ ხედავს მესამე ბანაკის ბრძოლას პირველის წინააღმდეგაც და მეორის წინააღმდეგაც!

იქვე ჩემი ფრაზის შემდეგ, რომელსაც ასე აუშფოთებია მარტოვი, მე ვამბობ:

«აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა («აქედან», ძვირფასო მარტოვ!), რომელიც მარტოვს არა სურს, თუმცა კი თითქოს აღიარებს, რომ კადეტები — ლიბერალები არიან და არა დემოკრატები: 1) 5 დიდ ქალაქში ხელახალი კენჭისყრის დროს დასაშვებია შეთანხმება მხოლოდ დემოკრატებთან ლიბერალების წინააღმდეგ; 2) ყველა კენჭისყრისა და ყველა შეთანხმების დროს მეორე საფეხურზე პირველ რიგში უნდა მოხდეს შეთანხმება დემოკრატებთან ლიბერალების წინააღმდეგ და მხოლოდ შემდეგ — ლიბერალებთან მემარჯვენეების წინააღმდეგ».

მარტოვი იხსენიებს მხოლოდ მეორე მუხლს და აცხადებს, რომ მე მართალს არ ვლაპარაკობ, ვინაიდან მარტოვი მას ეთანხმებაო (ვნახოთ, დაეთანხმება თუ არა ყველა ლიკვიდატორი!), პირველ მუხლზე კი მარტოვი ხმას არ იღებს!

კიდევ ერთხელ: ან დუმილი, ან პოლემიკა.

ხელახალი კენჭისყრა 5 ქალაქში. საერთო ხაზი: დემოკრატებთან ერთად ლიბერალების წინააღმდეგ. ლიბერალებთან შეთანხმება აკრძალულია (ვინაიდან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საერთოდ აქ შავრაზმული საფრთხე არ მოგველის).

---

* ერთი «საშინელი» აზრი მებადება: ნუთუ მარტოვის მთელი სტატია დამყარებულია იმის არცოდნაზე, რომ ჩვენი კანონის მიხედვით ხელახალი კენჭისყრა ახალი არჩევნებია და არა ორი კანდიდატის ბრძოლა? მაშინ, ვიდრე «რეაქციას შევებრძოლებოდეთ» არჩევნებში, არჩევნების კანონის არცოდნას უნდა შევებრძოლოთ!

თქვენ ემხრობით თუ არ ემხრობით ასეთ აკრძალვას? თქვით პირდაპირ.

შემდეგ. რა პრაქტიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ხელახალ კენჭისყრას? ხმები შეიძლება გაიყოს თითქმის თანასწორად სამ ბანაკს შორის. გადამწყვეტია შედარებითი უმრავლესობა. ავიღოთ უმარტივესი მაგალითი: 100 ხმიდან 33 აქვთ მემარჯვენეებს, 33 — ლიბერალებს და 34 — დემოკრატებს. არჩეულია დემოკრატი. თუ ერთი ხმა აკლია სოციალ-დემოკრატს, ერთი მეტი აქვს შავს, შეიძლება გავიდეს შავი!

მუშათა პოლიტიკის ორი ხაზია: ლიბერალური — ყველაზე უფრო გეშინოდეს შავის გასვლისა, ამიტომ ლიბერალს დაუთმე ჰეგემონია უბრძოლველად! მარქსისტული — ნუ შეაშინებინებ თავს ლიბერალურ აურზაურს შავრაზმული საფრთხის შესახებ და გაბედულად ჩაები «სამკუთხოვან» (ინგლისური თქმით) ბრძოლაში. საერთოდ შავრაზმული საფრთხე არ არსებობს, ხოლო თუ, გამონაკლისის სახით, შავი გავა, სამაგიეროდ აქა-იქ გავა დემოკრატი!..

ცურვა რომ ისწავლო, წყალში უნდა შეხვიდე. ისეთი ბრძოლა, სადაც წინდაწინვე ცნობილია ყველა შანსი, ქვეყნად არ არსებობს. თუ თავს შეაშინებინებ ლიბერალურ აურზაურს შავრაზმული საფრთხის შესახებ, მუშები ვერასდროს ვერ ისწავლიან «სამკუთხოვან» ბრძოლას. ყველგან ამ ქვეყნად რეაქციისა და ლიბერალების ბანაკები უფრო ადრე კავშირდებოდნენ და უკეთ ირაზმებოდნენ (რა თქმა უნდა, რეაქციული კანონების საშუალებით), ვიდრე მუშები. ყველგან ამ ქვეყნად ლიბერალები მუშებს სწორედ იმ სიტყვებს უჩიჩინებენ, რომლებსაც მარტოვი იმეორებს.

ჩვენ დაგვრჩენია გადავდგათ კიდევ ერთი უკანასკნელი ნაბიჯი, რათა «მოფიქრალ» მარტოვს ვუჩვენოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას: ფიქრი.

ხელახალი კენჭისყრის დროს 5 ქალაქში ლიბერალებთან შეთანხმება აკრძალულია. სხვაგან ხელახალი კენჭისყრისას

ეს აკრძალული არ არის. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს შეთანხმება ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მოხდება? თითქოს არ უნდა ნიშნავდეს, არა?

თუ შეთანხმება ა რ ა რ ი ს, ხომ არ შეიძლება ყ ო ვ ე ლ ი ხელახალი კენჭისყრის დროს გაიყოს ხმები თითქმის თანასწორად ხამ ბანაკს შორის?

თითქოს შეიძლება, თუ მართლა «ჩაუფიქრდები»!

აქედან დასკვნა. მუშათა პოლიტიკის ორი ხაზია.

ლიბერალური მუშათა პოლიტიკა: ქვეყანა მემარცხენდება; «ამიტომ»... ყველაზე უფრო გეშინოდეთ შავრაზმული საფრთხისა; ლოზუნგი — განვდევნოთ რეაქცია სათათბიროს პოზიციებიდან; ხოლო სათათბიროს პოზიციებიდან განდევნა შეუძლიათ მხოლოდ ლიბერალებს; ამიტომ ნუ «დავემუქრებით» ლიბერალებს, ნუ «გამოვძალავთ» მათ ადგილებს — ეკადრება განა «კულტურულ» მუშას გამოსძალოს ისეთ პატიოსან ადამიანებს, როგორიც ლიბერალები არიან? — ე. ი. წავიდეთ ყოველგვარ დათმობაზე ლიბერალებთან შეთანხმების დროს და მოვერიდოთ «სამკუთხოვან» ბრძოლას.

მარქსისტული მუშათა პოლიტიკა: ქვეყანა მემარცხენდება; ამიტომ, არ დაუჯეროთ ლიბერალურ ზღაპრებს შავრაზმული საფრთხის შესახებ; ლიბერალებთან შეთანხმების დროს მთელი ძალღონით დ ა ე მ უ ქ რ ე თ მ ა თ დ ა გ ა მ ო ს ძ ა ლ ე თ ადგილები სათათბიროში; ხოლო თქვენი მუქარა რომ სერიოზული იყოს, ამხანაგო მუშებო, არ შეუშინდეთ «სამკუთხოვან» ბრძოლას; გაბედულად ჩაებით ასეთ ბრძოლაში და ამხილეთ ხალხის წინაშე ლიბერალების კონტრრევოლუციურობა; რა თქმა უნდა, არ არის ისეთი ბრძოლა, რომ დამარცხების შესაძლებლობა არ იყოს, — აქა-იქ გავა შავი, ს ა მ ა გ ი ე რ ო დ ა ქ ა-ი ქ გ ა ვ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი; უმჯობესია სათათბიროში ხუთი დემოკრატი მოემატოს, ვიდრე 50 ლიბერალი; საერთოდ შავები ვერ გავლენ, ვინაიდან პურიშკევიჩებს ძალიან კარგად იცნობენ, და ლიბერალები ხალხს გ ა ნ ზ რ ა ხ აშინებენ შავრაზმული საფრთხით, რომ თავისი ჰეგემონია უზ-

რუნველყონ (თუმცა მაკლაკოვები თითქმის ისეთივე შავები არიან) და «მემარცხენე» საფრთხე აიცილონ თავიდან.

შედეგი. ჩემს მიერ წამოყენებული ექვსი მუხლიდან ლიბერალური მუშათა პოლიტიკის შესახებ მას არცერთზე არაფერი უპასუხნია. 5 ქალაქში ლიბერალებთან ბლოკის აკრძალვის საკითხი მან «დაფარა». ხელახალი კენჭისყრის დროს სამკუთხოვან არჩევნებზე, — თუმცა შეგვპირდა, დავფიქრდებიო, — არ უფიქრნია. სამაგიეროდ ორი საქმე გააკეთა: 1) ლიბერალები დაიცვა «მუქარისაგან» და 2) ვოილოშნიკოვის მეგობრები ამხილა პურიშკევიჩთან შეთქმულებაში პურიშკევიჩისთვის ხმების მიყიდვის შესახებ პურიშკევიჩის მიერ ვოილოშნიკოვების გასაყვანად IV სათათბიროში!!

«ზვეზდა» № 24 (60), 1912 წ. 1 აპრილი
ხელმოწერილია: ფ. ლ — კ ო

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის» ტექსტის მიხედვით

ხელახალი კენჭისყრა რუსეთში და მუშათა კლასის ამოცანები

თანდათან უფრო ხშირად გვხვდება იმის მაგალითები, თუ რამდენად გავრცელებულია შეცდომა ჩვენს საარჩევნო კანონში გათვალისწინებული ხელახალი კენჭისყრის შესახებ. დანი «ნაშა ზარიას» 1 — 2 ნომერში წერდა, რომ ჩვენი ტაქტიკა ხელახალი კენჭისყრის დროს იგივეა, რაც დასავლეთ-ევროპული ტაქტიკაო. მარტოვი «ჟივოე დელოს» №-8 ნომერში პირდაპირ იმოწმებდა «გერმანელ მუშებს», როგორც ნიმუშს რუსეთის მუშებისათვის ხელახალი კენჭისყრის დროს ტაქტიკის საკითხში. ტროცკიმ სულ ბოლო ხანებში დასწერა ხელახალი კენჭისყრის შესახებ განსაკუთრებული შენიშვნა, რომელიც ერთიანად იმავე შეცდომით არის გამსჭვალული.

შეცდომა ისე ხშირად მეორდება, რომ ძალაუნებურად გებადება აზრი: ზოგიერთი წრის «საყოველთაო მიდრეკილება» ფაქტიური შეცდომის ჩადენისადმი იმის შედეგი ხომ არ არის, რომ ა რ ს უ რ თ გაიგონ მუშათა დემოკრატიის ამოცანები კადეტებთან ბრძოლაში?

რუსეთში, 1907 წლის 3 ივნისის კანონის მიხედვით, ა რ ა რ ი ს გერმანული ტიპის ხელახალი კენჭისყრა, ა რ ა რ ი ს საერთოდ «ხელახალი კენჭისყრა» სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, — არის მხოლოდ დამატებითი ანუ ახალი არჩევნები. გერმანიაში ხელახალი კენჭისყრის დროს კენჭს უყრიან მხოლოდ იმ ორ კანდიდატს, ვინც ყველაზე მეტი ხმა მიიღო თავდაპირველ არჩევნებში. ხელახალი კენჭისყრა გერმანიაში წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხს, თუ ვინ უნდა იქნას

არჩეული იმ ორ კანდიდატს შორის, ვინც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

ჩვენში ამის მსგავსი არაფერია. ჩვენი კანონით, ხელახალი კენჭისყრის დროს შეიძლება წამოყენებულ იქნას რამდენი და როგორი კანდიდატებიც გნებავთ. არსებითად, ეს არის არა ხელახალი კენჭისყრა, არამედ ახალი არჩევნები ანუ გადარჩევა. ამიტომ გერმანული ნიმუშის ყოველგვარი დამოწმება ყოვლად უმართებულოა!

ჩვენი კანონის ძირითადი მუხლი ხელახალი კენჭისყრის შესახებ არის «საარჩევნო დებულების» 106-ე მუხლი. იგი ამბობს «წინასწარი ყრილობების რწმუნებულებად, აგრეთვე საარჩევნო ყრილობების ამრჩევლებად ის პირები ჩაითვლებიან, ვინც მიიღო ყრილობის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი»...

აქ ნათლად გამოთქმულია აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნა თავდაპირველ არჩევნებში. შემდეგ, იმავე მუხლში ნათქვამია, რომ თუ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის მიღებული, «ხდება დამატებითი არჩევნები ამრჩეველთა დანაკლისი რიცხვისა» (ე. ი. ყველასი, გარდა აბსოლუტური უმრავლესობით არჩეულებისა).

ვინ ითვლება არჩეულად «დამატებითს არჩევნებში»? «არჩეულად ითვლება ის, — ამბობს იმავე მუხლის ბოლო, — ვინც მიიღო ხმების შედარებითი უმრავლესობა».

იგივეა ნათქვამი 1907 წლის 3 ივნისის კანონში ხელახალი კენჭისყრის შესახებ პირდაპირი არჩევნების დროს, ე. ი. ქალაქ პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, კიევსა და რიგაში. მხოლოდ «ხმების შედარებითი უმრავლესობის» ნაცვლად 140-ე მუხლი ლაპარაკობს «ხმების უდიდეს რაოდენობაზე». ბოლოს, სათათბიროს წევრების არჩევნების დროსაც საგუბერნიო საარჩევნო კრებები ასევე აწესებენ ხელახალ კენჭისყრას, — თუ კანდიდატებმა ვერ მიიღეს «ხმების ნახევარზე მეტი», ე. ი. აბსოლუტური უმრავლესობა, — ამასთან «არჩეულად ითვლება ის, ვინც ხმების შედარებითი უმრავლესობა მიიღო» (მუხ. 350).

ამრიგად: ჩვენს საარჩევნო კანონში გერმანული ხელახალი კენჭისყრის მსგავსი არა არის რა. უაღრესად მცდარია მითითება გერმანელი მუშების მაგალითსა და მათს მოქმედებაზე. «სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულების» ოფიციალურ გამოცემაში (შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცემა, სპბ, 1912 წ.) 106-ე მუხლის განმარტებათა მე-14 პუნქტში ნათქვამია: «დამატებითს არჩევნებში შეიძლება დაშვებულ იქნან ისეთი პირნიც, რომელთაც თავდაპირველ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ». ცხადია, აქ ლაპარაკია არა მარტო ახალ ამომრჩევლებზე, არამედ ახალ კანდიდატებზედაც. კანონის თვალსაზრისით, ხელახალი კენჭისყრის დროს დასაშვებია ისეთი კანდიდატის წამოყენება, რომელიც თავდაპირველ არჩევნებში არ იყო წამოყენებული.

იბადება კითხვა, რა პოლიტიკური დასკვნები გამომდინარეობს საარჩევნო ტაქტიკის მიმართ სამი ივნისის საარჩევნო დებულების ამ თავისებურებიდან?

პირველი, ძირითადი და ყველაზე ზოგადი დასკვნა შემდეგია: ჩვენი კანონი ხელახალი კენჭისყრის დროს საარჩევნო შეთანხმებისათვის უ ფ რ ო ფ ა რ თ ო ასპარეზს სტოვებს, ვიდრე გერმანული კანონი. გერმანიაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ნ ა კ ლ ე ბ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს არჩევაზე: თავდაპირველ არჩევნებში დამარცხებულთ სხვა ამოცანის დასახვა არ შეუძლიათ (ამასთან დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც ხელახალ კენჭისყრაში არ მოხვდა). რუსეთში კი, თუ თავდაპირველ არჩევნებში გამარჯვებული არავინ აღმოჩნდა, მაშინ არსებითად, დამარცხებულადაც არავინ ითვლება, ვინაიდან სხვადასხვაგვარი შეთანხმებით ამა თუ იმ მოკავშირესთან ყ ვ ე ლ ა ს შეუძლია მეორედ სცადოს ბედი ახალ შებრძოლებაში.

კერძოდ გერმანიაში მუშათა კანდიდატს არ შეუძლია ხელახალი კენჭისყრის დროს გამოიყენოს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს, ე. ი. უშუალოდ, ბრძოლა მემარჯვენე და ოპოზიციურ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის: მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ლიბერალების ოპოზიციას მემარჯვენის წინააღმდეგ, თუ

ისინი თითქმის თანაბრად ძლიერნი არიან, მაგრამ მას არ შეუძლია თვითონ გაიმარჯვოს, თუ მისი ლიბერალური და რეაქციული მოწინააღმდეგე თანაბრად ძლიერია. რუსეთში ეს უკანასკნელი შესაძლებელია.

აქედან მეორე დასკვნა. რუსეთის საარჩევნო კანონი ხელახალი კენჭისყრის დროს მუშათა დემოკრატიას უფრო ფართო ასპარეზს უტოვებს ლიბერალებთან საბრძოლველად, ვიდრე გერმანული კანონი. რუსეთში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში, არჩევნებში სჭარბობს გაბატონებულ შეძლებულ კლასთა ორი ფრაქცია (ანუ პარტიათა ორი ჯგუფი): «კონსერვატორები» და ლიბერალები, შავრაზმელები და «ოპოზიცია». მუშები ებრძვიან ერთსაც და მეორესაც. ამასთან ხალხის ჩამორჩენილი ფენები თავდაპირველად ბრძოლას უმართავენ ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს, ჯერ მათ შეგნებული არა აქვთ კაპიტალთან ბრძოლის ამოცანები და ჩვეულებრივ კარგა ხნის განმავლობაში მიჰყვებიან ლიბერალებს. ამიტომ მუშათა პარტიები აძლიერებენ თავიანთ გავლენას და ხშირად მომხრეებს იძენენ უფრო ლიბერალებში, ვიდრე მემარჯვენეებში. აქედანაა ყველა ქვეყნის «კადეტების» ჩვეულებრივი ფარისევლური ღაღადი: მუშათა პარტიები რეაქციას უწყობენ ხელს, ასუსტებენ «პროგრესის საერთო ძალასაო» და სხვა და ასე შემდეგ.

გერმანიაში მუშათა კანდიდატს ხელახალი კენჭისყრის დროს შეუძლია ლიბერალს შეებრძოლოს მხოლოდ მაშინ, როცა მემარჯვენენი, თავდაპირველ არჩევნებში დამარცხებულნი, ხელახალ კენჭისყრაში სრულიად აღარ ხვდებიან. რუსეთში მუშათა კანდიდატს ხელახალი კენჭისყრის დროს შეუძლია შეებრძოლოს — და, მაშასადამე, კიდევაც უნდა შეებრძოლოს ლიბერალს ყოველთვის, როდესაც მემარჯვენე თავდაპირველ არჩევნებში ნაკლებ ხმას ღებულობს, ვიდრე ლიბერალი. სხვანაირად რომ ვთქვათ: გერმანიაში ხელახალი კენჭისყრის დროს მუშას შეუძლია ებრძოლოს ლიბერალს მხოლოდ «პირისპირ»; რუსეთში კი ხელ-

ახალი კენჭისყრის დროსაც შესაძლებელია «სამკუთხოვანი ბრძოლა», ე. ი. ისეთი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ მემარჯვენენიც, ლიბერალებიც და მუშათა კანდიდატებიც. მაშასადამე, ხელახალი კენჭისყრის დროს რუსეთში შეიძლება მ ე ტ ი შემთხვევა იყოს, როდესაც მუშათა მასა დაინტერესებული აღმოჩნდება თავისი კანდიდატის გაყვანით.

ჩვენ მივადექით მესამე დასკვნას. რუსეთში, თანამედროვე პოლიტიკური დაყოფის დროს, ხელახალი კენჭისყრისას განსაკუთრებით ფართო ასპარეზი ეძლევა ეგრეთწოდებულ მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ბ ლ ოკ ს ყველა იმ კურიასა და ყველა იმ სტადიაში, სადაც ლიბერალები შავებზე უფრო ძლიერნი არიან (შავებს ვაკუთვნებთ, რაღა თქმა უნდა, ყველა მემარჯვენეს, როგორც ნაციონალისტებს, ისე ოქტიაბრისტებს, ე. ი. მთავრობის გამოუკლებლივ ყველა პარტიას). რაკი ლიბერალები თავდაპირველ არჩევნებში შავებზე ძლიერი აღმოჩნდნენ, ხოლო მუშათა კანდიდატები ლიბერალებზე სუსტი, ცხადია, ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა — როგორც საერთოდ დემოკრატიის ორგანიზაციის პოლიტიკური ამოცანების თვალსაზრისით, ისე სათათბიროში მუშათა კანდიდატების გაყვანის თვალსაზრისით — მუშების შეერთება ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან (ნაროდნიკები, ტრუდოვიკები და სხვ.) ლიბერალების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

მერედა, ხშირად იქნება ასეთი შემთხვევა?

საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე ძალიან ხშირად არა; აქ უსათუოდ უფრო ხშირი იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც ლიბერალები შავებზე უფრო სუსტი არიან და როდესაც, მაშასადამე, საჭირო იქნება საერთო-ოპოზიციური ბლოკი შავების დასამარცხებლად.

გლეხთა კურიაში პოლიტიკური დაყოფა ყველაზე უფრო გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელია; აქ პოლიციური ჩაგვრა ყველაზე უფრო ძლიერია; აქ რწმუნებულს, ამრჩეველს, სათათბიროს კანდიდატსაც კი განსაკუთრებით ესაჭიროება «დამალოს» თავისი ნამდვილი «სახე»; პარტიული მუშათა კანდიდატები აქ ცოტანი არიან. ამ კურიაში, უეჭველია, პოლიტი-

კურ ამოცანას წარმოადგენს დემოკრატიის ორგანიზაცია, ბრძოლა ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის. გავლენასა და ცრურწმენასთან. რაც შეეხება ხელახალ კენჭისყრას, ძნელია გარკვეული დასკვნების გამოტანა ამა თუ იმ შემთხვევათა სიხშირეზე, საერთოდ ხელახალი კენჭისყრის (ფაქტიურ) გავრცელებულობაზედაც კი.

მიწათმფლობელთა და პირველ საქალაქო კურიაში საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის როლი მეტისმეტად უმნიშვნელოა, რომ ღირდეს მასზე ლაპარაკი.

რჩება მეორე საქალაქო კურია. აქ ბლომად არიან მუშა და მუშათა მახლობელი ამომრჩევლები: ნოქრები, ბინის დამქირავებელი მუშები, პენსიონერები და სხვები. აქ არსებობს რაღაც პოლიტიკური პრესის მსგავსი და რაღაც კრებების მაგვარი მაინც. ერთი სიტყვით, — ეს ხელახალი კენჭისყრის მთავარი ასპარეზია თვით ამომრჩევლების მონაწილეობით. როგორია აქ ამომრჩეველთა პარტიული დაჯგუფება?

ამ კითხვაზე საკმაოდ ზუსტ, თუმცა არაპირდაპირ პასუხს იძლევა ცნობები III სახელმწიფო სათათბიროს მე-2 საქალაქო კურიის ამრჩეველთა პარტიული შემადგენლობის შესახებ. კადეტური «რეჩის» (1907, № 241) შეჯამების მიხედვით, რომელიც ეხება ევროპული რუსეთის 51 გუბერნიის 4 897 ამრჩეველს მთელი 5 161 რიცხვიდან, — მეორე საქალაქო კურიის 533 ამრჩეველი პარტიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ოპოზიციას ეკუთვნის 405 (100 «მემარცხენე», 209 კადეტი და 96 პროგრესისტი), მემარჯვენეთ — 101 (17 ზომიერი, 19 ოქტიაბრისტი და 65 მემარჯვენე), 21 უპარტიოა და 6 გამოურკვეველი პარტიისა. აქ აშკარად ჩანს პარტიათა სამი მთავარი ჯგუფი, რომელნიც იბრძვიან ახლანდელ არჩევნებში: 100 დემოკრატი, 305 ლიბერალი, 101 მემარჯვენე.

ლიბერალები სამჯერ და უფრო მეტადაც ძლიერნი არიან მემარჯვენეებზე, რომელნიც თითქმის უთანასწორდებიან დემოკრატებს. ცხადია, ს ა ე რ თ ო დ აქ არავითარ შავრაზმულ

საფრთხეზე არ შეიძლება ლაპარაკი. შემდეგ, აშკარაა, რომ მუშათა დემოკრატიის მ თ ა ვ ა რ ი ამოცანა აქ არის სწორედ ლიბერალებთან ბრძოლა; ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა საერთოდ უეჭველად გამემარცხენებულია, რასაც აღიარებენ ლიბერალებიც, ოქტიაბრისტებიც და პურიშკევიჩებიც, ასეთი ბრძოლა განსაკუთრებით პირველ რიგში დგება. რასაკვირველია, პირველ სტადიაზე მუშათა კანდიდატებმა მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლად უნდა იბრძოლონ, წმინდა სიებით. მეორე სტადიაზე კი, ხელახალი კენჭისყრის დროს, უ მ ე ტ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ბრძოლა იქნება დემოკრატებსა და ლიბერალებს შორის.

ა მ ბრძოლის ჩასატარებლად მარქსისტები ხელახალი კენჭისყრის დროს უნდა შეუერთდნენ ყ ვ ე ლ ა დემოკრატს (ე. ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიასაც, ნაროდნიკებს, ტრუდოვიკებს და სხვ.) ლიბერალების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ყბადაღებული «პასუხისმგებელი ოპოზიციის», კადეტების, მთელი მოქმედება III სათათბიროში, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკა და ტაქტიკა, ხოლო შემდეგ ნოქრების ახლანდელი მოძრაობა განსაკუთრებით ხელსაყრელ ნიადაგს იძლევა მუშების მიერ ორგანიზებული დემოკრატების ბრძოლისათვის ლიბერალების წინააღმდეგ, ე. ი. კადეტთა პარტიის წინააღმდეგ. რამდენადაც მეორე საქალაქო კურია მთავარი კურიაა, სადაც ხელახალი კენჭისყრა ხდება, — მუშების მ თ ა ვ ა რ ი ხაზი ხელახალი კენჭისყრის დროს სახელდობრ იქნება: დემოკრატებთან ერთად მემარჯვენეების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ლიბერალების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

შედეგად ვღებულობთ იმ დასკვნას, რომ ლიკვიდატორები და მათი დამცველები ხელახალი კენჭისყრის შესახებ სჩადიან «ტექნიკურსაც» და პოლიტიკურ შეცდომასაც. «ტექნიკურად» ისინი ცდებიან, როცა ერთმანეთში ურევენ გერმანულ ხელახალ კენჭისყრას და რუსულ «დამატებითს» ანუ ახალ არჩევნებს. პოლიტიკურად ისინი ცდებიან და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის გზაზე დგებიან, როდესაც სჯერდებიან ზოგად ფრაზებს მემარჯვენეთა წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციის

მხარისდაჭერის შესახებ. ნამდვილად კი მარქსისტების საერთო ამოცანაც თანამედროვე რუსეთში — მუშების ორგანიზება დემოკრატიის მოწინავე რაზმად რ ო გ ო რ ც მემარჯვენეების, ი ს ე კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის წინააღმდეგ — და ჩვენი თავისებური მდგომარეობაც «ხელახალი კენჭისყრის» მთავარ კურიაში გვაიძულებს სხვა ლოზუნგი წამოვაყენოთ. ხელახალი კენჭისყრის დროს პირველ რიგში, უწინარეს ყოვლისა, მეორე საქალაქო კურიაში, უფრო ხშირად ყველა დემოკრატთან ერთად ლიბერალების წინააღმდეგ და მემარჯვენეების წინააღმდეგ; მხოლოდ შემდეგ მოგვიხდება ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება საერთოოპოზიციურ ბლოკში შავების წინააღმდეგ.

«ზვეზდა» № 25 (61), 1912 წ. 3 აპრილი
ხელმოწერა: მ. შ.

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალიზმი და დემოკრატია

I

ტრუდოვიკების კონფერენცია, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და რომლის შესახებაც რამდენიმე გაზეთში (სხვათა შორის, 28 მარტის «რეჩში») იყო ცნობები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია IV სათათბიროს მთელი საარჩევნო კამპანიის პარტიული გარკვეულობის თვალსაზრისით. ზომიერი ლიბერალების (კადეტებისა და «უპარტიო პროგრესისტების») ბლოკისა და მუშათა დემოკრატიის გადაწყვეტილებათა შემდეგ არჩევნებში გასატარებელი ტაქტიკის შესახებ მხოლოდ ტრუდოვიკები უნდა «გამორკვეულიყვნენ», და სურათი სრული იქნებოდა.

ახლა რუსეთის საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასმა ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული და საყურადღებო პოლიტიკური პარტიის სახით უკვე გამოარკვია თავისი პოზიცია საარჩევნო კამპანიაში. და თუ ბურჟუაზიულ პარტიათათვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომელნიც «მტკიცედ» მოეწყვნენ სამი ივნისის რეჟიმის შენობაში, არჩევნები უმთავრესად გაძლიერებული რეკლამის ხანას წარმოადგენს, მუშათა დემოკრატიისათვის, მარქსისტებისათვის, საარჩევნო კამპანიის მთავარი ამოცანაა გ ა ნ უ მ ა რ ტ ო ნ ხალხს ის, თუ რა არის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დ ე დ ა ა რ ს ი, ვ ი ნ რ ა ს ი ც ა ვ ს, რომელი ნამდვილი, სასიცოცხლო ინტერესებით ხელმძღვანელობს ესა თუ ის პარტია, საზოგადოების რომელი კ ლ ა ს ებ ი ეფარებიან ამა თუ იმ აბრას.

ამ თვალსაზრისით ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება შეჩერება ტრუდოვიკების კონფერენციაზე; და, მუშათა კლასის ინ-

ტერესების გულისთვის, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ ზემოთ აღნიშნულ პრინციპულ საკითხს. შავრაზმული, მემარჯვენე პარტიებიც და ლიბერალებიც (კადეტები) მხოლოდ აფუჩეჩებენ ამ საკითხს, ან ათასნაირად ამახინჯებენ მის დაყენებას და გადაწყვეტას, ამასთან ეს ხდება არა ცალკეულ პირთა უგნურებით ან ბოროტი განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები აიძულებენ მათ დაამახინჯონ გლეხთა და მუშათა პარტიების დედაარსი.

თავის მხრივ ტრუდოვიკები, უმთავრესად გლეხური პარტია, არ არიან დაინტერესებულნი თუნდაც იმ საკითხის მიჩქმალვით, თუ რით განირჩევა ლიბერალიზმი დემოკრატიისაგან, მაგრამ ამ საკითხს სწორად ვერ წყვეტენ. გლეხის, ე. ი. წვრილი მესაკუთრის, თვალსაზრისით არც შეიძლება მისი გადაწყვეტა სწორად; მხოლოდ დაქირავებული მუშის თვალსაზრისით არის ეს საკითხი გადაწყვეტილი — ამას მოწმობს არა მარტო თეორია, მეცნიერება, არამედ ევროპის ყველა ქვეყნის გამოცდილებაც, ევროპის პარტიების მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ისტორია განსაკუთრებით XIX საუკუნის განმავლობაში.

შეხედეთ თუნდაც იმას, თუ რას ლაპარაკობენ ლიბერალები ტრუდოვიკებზე და ტრუდოვიკები — თავიანთ თავზე. კადეტთა პარტიის მთავარი ორგანო, ლიბერალური «რეჩი», ამბობს, ტრუდოვიკები ყველაზე უფრო დაზარალდნენ 1907 წლის 3 ივნისს საარჩევნო კანონის შეცვლითაო, რომ მათი ტაქტიკა «არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად შესამჩნევად განსხვავდებოდეს» კადეტთა ტაქტიკისაგან, — ვინაიდან კადეტებს, თურმე ნუ იტყვით, შეუძლიათ «გაიმეორონ» და იმეორებენ თითქმის ყოველივე იმას, რასაც ტრუდოვიკები ამბობენო. «ბოლოს, არჩევნებში ტრუდოვიკებთან შეთანხმება შეიძლება დაგვჭირდეს — წერს «რეჩი» — მხოლოდ ზოგიერთ, ამასთან ფრიად მცირერიცხოვან, ადგილას».

ჩაუფიქრდით ამ შეფასებას და დაინახავთ, რომ ეს არის შეფასება ლიბერალური ბურჟუასი, რომლისთვისაც 3 ივნისის

კანონს ჩამოურთმევია მეთაურობა (რაც მას 1905 წლის 11 დეკემბრის კანონით ჰქონდა მინიჭებული), მაგრამ ამასთანავე მიუცია მისთვის დემოკრატიისაგან დ ა ც უ ლ ი საგრძნობი ოპოზიციური ადგილი. ჩვენთვის თქვენ დიდად საჭირონი არა ხართ, ბატონო ტრუდოვიკებო, და სერიოზულ ანგარიშს არ გიწევთ, — ასეთია «რეჩის» განცხადების ნამდვილი აზრი. რატომ არა ხართ საჭირონი? იმიტომ, რომ 3 ივნისის კანონმა დაგასუსტათ არჩევნებშიო.

ყოველი დემოკრატისა და განსაკუთრებით ყოველი მუშისათვის მნიშვნელობა აქვთ არა იმ პარტიებს, რომელთაც მონოპოლიას ან პრივილეგიას აძლევს ესა თუ ის საარჩევნო კანონი, არამედ იმ პარტიებს, რომელნიც წარმოადგენენ მოსახლეობის, კერძოდ მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის ფართო მასებს. ლიბერალურ ბურჟუას კი 3 ივნისის კანონი სწორედ ამ მასებისაგან ი ფ ა რ ა ვ ს, ამიტომაც მას ეს მასები არ ესაჭიროება. ლიბერალურ ვექილებს და ჟურნალისტებს ესაჭიროებათ ადგილები სათათბიროში, ლიბერალურ ბურჟუებს ესაჭიროებათ პურიშკევიჩებთან ძალაუფლების გაზიარება, — აი რა უნდათ მათ, ხოლო გლეხთა მასების დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნების განვითარება, მათი, როგორც კლასის, თვითმოქმედების განვითარება ლიბერალს არათუ არ ესაჭიროება, არამედ პირდაპირ საშიშიცაა. ლიბერალს ესაჭიროება ამომრჩეველი, ლიბერალებს ესაჭიროებათ მათზე მინდობილი და მათი ამყოლი ბრბო (რათა პურიშკევიჩები აიძულონ განზე გაიწონ), მაგრამ ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა ლიბერალს ეშინია.

რატომ არ ეშინია მას ტრუდოვიკებისა, რომელნიც, როგორც «დამოუკიდებელი», გლეხობასთან, ე. ი. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობასთან განსაკუთრებით დაახლოებული პარტია, წარმოადგენენ ა რ ა ლიბერალიზმს, არამედ ბურჟუაზიულ დემოკრატიას? სწორედ იმიტომ, რომ ტრუდოვიკები არიან დემოკრატები, რომელნიც ს ა კ მ ა რ ი ს დამოუკიდებლობას ვ ე რ იჩენენ ლიბერალების მიმართ, რომელთაც ა რ

შეუძლიათ ბრძოლა ლიბერალებთან მასებზე გავლენის მოსაპოვებლად! შეუძლებელია ასჯერ და ათასჯერ არ შევჩერდეთ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, თუ ამ პოლიტიკას განვიხილავთ სერიოზულად, კეთილსინდისიერად, პრინციპულად და არა მანდატების გამოდევნების შარლატანური (ანუ ლიბერალური) აზრით. ვიდრე რუსეთში ეპოქის ისტორიულ ამოცანად დარჩება მისი პოლიტიკური გარდაქმნა დემოკრატიული მიმართულებით, მანამდე ამ გარდაქმნის საკითხის მთელი დედააზრი აუცილებლივ ის იქნება, რომ მოსახლეობის ძალიან ფართო, უაღრესად ფართო მასები შეგნებულად გახდნენ დემოკრატები, ე. ი. ლიბერალიზმის ყოველგვარი სივიწროვის, შეზღუდულობის, ორჭოფობის, სილაჩრის სავსებით გარკვეული, თანამიმდევარი, მედგარი მოწინააღმდეგენი. და ის მუშა ჯერ კიდევ არ არის შეგნებული მუშა, რომელსაც ვერ გაუგია, რომ არ შეიძლება თანამიმდევარი მებრძოლი იყოს დაქირავებული მონობის მოსპობისათვის უიმისოდ, თუ არ შეითვისებს და არ განახორციელებს ჩვენი დროის ამ პოლიტიკურ ამოცანას.

როდესაც ლიბერალები, კადეტები, ამბობენ, ჩვენი «ტაქტიკა» არ განირჩევა «ცოტად თუ ბევრად შესამჩნევად» ტრუდოვიკთა ტაქტიკისაგანაო, ეს ყოვლად აშკარა უმეცრება ან უაღრესად უტიფარი სიცრუეა. რუსეთის პოლიტიკური ისტორიის ყოველი ფურცელი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ასჯერ და ათასჯერ აბათილებს ამ სიცრუეს. რუსეთის უახლესი ისტორია გვიჩვენებს რუსული გამოცდილებით, რომ განსხვავება ლიბერალიზმსა და გლეხურ დემოკრატიას შორის განუზომლად უფრო ღრმაა, ვიდრე «ტაქტიკის» ყოველგვარი საკითხი, — ვინაიდან ეს განსხვავება თავს იჩენდა, ყოველთვის და უგამონაკლისოდ, უკანასკნელი, ვთქვათ, რვა წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენათა მსვლელობას არა ერთხელ გამოუწვევია «ტაქტიკის» შძაფრი გარდატეხა, — ეს განსხვავება განუზომლად უფრო ღრმა არის, ვიდრე ყოველგვარი «პროგრამა», ვინაიდან პროგ-

რამა გამოხატავს მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობენ კლასის მოწინავე ადამიანები მისი ამოცანებისა და მდგომარეობის შესახებ. არა მოწინავე ადამიანთა აზრებმა, არამედ მილიონობით მასების მოქმედებამ გვიჩვენა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ლიბერალური ბურჟუაზიისა და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გლეხობის თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში. აქედან — კლასობრივი ინტერესების ძირითადი განსხვავება ახლანდელი რუსეთის «მბრძანებელი ძალების» მიმართ. აქედან — ძირითადი განსხვავება პოლიტიკური აქტივობის ყველა გამოსავალ პუნქტში და მთელ გაქანებაში.

ლიბერალსაც და ტრუდოვიკსაც შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ისინი პოლიტიკური თანამოაზრეები არიან, ვინაიდან ორივე — «პურიშკევიჩის წინაალმდეგია». მაგრამ პოლიტიკურ მოღვაწეთა ამ აზრებიდან ოდნავ დაეშვით ძირს მასების კლასობრივი მდგომარეობისაკენ, და დაინახავთ, რომ სინამდვილეში ლიბერალური ბურჟუაზია პურიშკევიჩებთან ერთად იზიარებს პოლიტიკურ პრივილეგიებს და ისინი დავობენ მხოლოდ იმის გამო — პურიშკევიჩებს ჰქონდეთ ამ პრივილეგიების ორი მესამედი და მილიუკოვს — ერთი მესამედი, თუ პირიქით. აიღეთ «ცხოვრება», აიღეთ თანამედროვე რუსეთის გლეხობის, როგორც მიწათმოქმედ წვრილ მესაკუთრეთა ფენის, ეკონომიური მდგომარეობა, და დაინახავთ, რომ ლაპარაკია სრულიადაც არა პოლიტიკური პრივილეგიების გაყოფაზე, სრულიადაც არა პოლიტიკურ პრივილეგიებზე, რომ აქ გვიხდება სიტყვა «ცხოვრება» ბრჭყალებში ჩავსვათ, ვინაიდან თვით პურიშკევიჩების არსებობა ნიშნავს მილიონი ასეთი წვრილი მესაკუთრის შიმშილით სიკვდილს.

თანამედროვე რუსეთში არის ორი ბურჟუაზია. ერთი — ძალიან ვიწრო ფენა მომწიფებული და გადამწიფებული კაპიტალისტებისა, რომელნიც ოქტიაბრისტისა და კადეტის სახით საქმით მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ თავისსა და პურიშ-

კევიჩებს შორის იყოფენ ახლანდელ პოლიტიკურ ძალაუფლებას, ახლანდელ პოლიტიკურ პრივილეგიებს. სიტყვა ახლანდელი უნდა გავიგოთ საკმაოდ ფართოდ, უნდა ვიგულისხმოთ, მაგალითად, ის პრივილეგიებიც, რომელთაც იცავს დღეს 1907 წ. 3 ივნისის კანონი, და ისიც, რომელთაც იცავდა გუშინ 1905 წ. 11 დეკემბრის კანონი.

მეორე ბურჟუაზია არის ძალიან ფართო ფენა სრულიად მოუმწიფებელი, მაგრამ მომწიფების ენერგიულად მოსურნე წვრილი და ნაწილობრივ საშუალო მესაკუთრეებისა, უმთავრესად გლეხებისა, რომელთაც სინამდვილეში უხდებათ საკითხის გადაჭრა არა პრივილეგიების შესახებ რუსეთის ისტორიული ცხოვრების ახლანდელ ეპოქაში, არამედ იმის შესახებ, რომ შიმშილით არ მოკვდნენ პურიშკევიჩების მიზეზით. ეს კი სწორედ ის საკითხია, რომელიც ეხება საერთოდ თვით პურიშკევიჩთა ძალაუფლების საფუძვლებს, პურიშკევიჩთა ყოველნაირი ძალაუფლების წყაროებს.

რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მთელი ისტორია — ეს არის ისტორია პირველი და მეორე ბურჟუაზიული ტენდენციის ბრძოლისა. თავისუფლებისა და თანასწორობის, მიწის «გათანაბრებითი» განაწილებისა და «ნაროდნიკობის» შესახებ ათასნაირი ლამაზი სიტყვების მთელი აზრი ამ ბურჟუაზიული ტენდენციების ბრძოლაა. ბრძოლის შედეგად აუცილებლად მივიღებთ სავსებით ბურჟუაზიულ რუსეთს, შეღებილს ამ ორი «ფერიდან» მთლიანად ან უმთავრესად ერთ-ერთი ფერით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დაქირავებულ მუშას ეს ბრძოლა არ აინტერესებდეს; პირიქით, თუ ის შეგნებულია, უაღრესად ენერგიულად ჩაერევა მასში და ეცდება, რომ გლეხი გაჰყვეს მას და არა ლიბერალს.

სწორედ ამასვე შეიცავს ის საკითხებიც, რომელთაც არ შეიძლებოდა არ შეხებოდა ტრუდოვიკების კონფერენცია. ამ საკითხებზე ჩვენ დაწვრილებით ვილაპარაკებთ შემდგომ სტატიებში. ახლა კი მოკლედ შევაჯამოთ ზემონათქვამი. ტრუდოვიკებისა და კადეტების საკითხი რუსეთის მთელი პოლიტიკური განთავისუფლების ერთ-ერთი უდიდესი საკითხია. ყვე-

ლაზე დიდი უგვანობა ისაა, როცა ამ საკითხს აქცევენ 3 ივნისის სისტემაში მოქმედი ამა თუ იმ პარტიის «ძალის» საკითხად, ამ სისტემის მიხედვით ჩატარებულ არჩევნებში ამა თუ იმ შეთანხმების «ანგარიშიანობის» საკითხად. პირიქით, დაქირავებული მუშის თვალსაზრისით კერძო საკითხი შეთანხმების, ხელახალი კენჭისყრისა და სხვათა შესახებ შეიძლება სწორად გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაგებულია ამა თუ იმ პარტიის, ბურჟუაზიული დემოკრატების (ტრუდოვიკები) და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის (კადეტები, «პროგრესისტები» და სხვ.) კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ფესვები.

II

ტრუდოვიკების კონფერენციამ დააყენა მთელი რიგი მეტად საინტერესო და საგულისხმო პოლიტიკური საკითხები. ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება მის გადაწყვეტილებათა საუცხოო კომენტარი — ბ-ნ ვ. ვოდოვოზოვის სტატია «შრომის ჯგუფის საარჩევნო პროგრამის» შესახებ პეტერბურგის ყოველკვირეულ «ზაპროსი ჟიზნის» მე-13 ნომერში, რომელიც გამოდის ბატონების კოვალევსკისა და ბლანკის უახლოესი მონაწილეობით. ბ-ნ ვოდოვოზოვის კომენტარი «საუცხოოა», რა თქმა უნდა, არა ჩვენი თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ იგი სწორად გადმოგვცემს ტრუდოვიკების შეხედულებებსა და მისწრაფებებს. ყველამ, ვისაც კი აინტერესებს რუსეთის დემოკრატიული საზოგადოებრივი ძალების მნიშვნელობა, უდიდესი ყურადღებით უნდა წაიკითხოს ბ-ნ ვოდოვოზოვის სტატია.

«შრომის ჯგუფი — წერს ის — გამოდის იმ რწმენიდან, რომ დღევანდელ ისტორიულ მომენტში გლეხობის, მუშათა კლასისა და მშრომელი ინტელიგენციის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ თითქმის გაიგივებულია; ამიტომ ერთ პარტიას სავსებით შეუძლია მოემსახუროს ამ სამი საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს. მაგრამ, ისტორიული პირობების ძალით, მუშათა კლასმა თავისი წარმომადგენლობა ჰპოვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახით, და ამიტომ შრომის ჯგუფი ბუნებრივად უნდა გამხდარიყო უმთავრესად გლეხობის პოლიტიკური წარმომადგენელი. იგი სწორედ ასეთი იყო».

აქ ერთბაშად ჩანს ის ძირითადი შეცდომა, რომელსაც იზიარებს ყველა ნაროდნიკი, თვით უკიდურეს «მემარცხენეებამდე». ისინი გამოდიან იმ «რწმენიდან», რომელიც ეწინააღმდეგება ეკონომიური მეცნიერების ყველა ჭეშმარიტებას და იმ ქვეყნების მთელ გამოცდილებას, რომელთაც განვლეს რუსეთის თანამედროვე ეპოქის მსგავსი ეპოქები. ისინი ამ «რწმენას» მაშინაც კი ადგანან, როდესაც რუსეთის ისტორიის გამოცდილება აიძულებს მათ გამოტყდნენ, რომ ამ რწმენას ჩვენს ნიადაგზედაც აბათილებს მოვლენათა მსვლელობა.

ტრუდოვიკების მეორე ფრაზა აქარწყლებს პირველს. ერთ პარტიას რომ შესძლებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესების მომსახურება, საიდანღა გაჩნდებოდა მუშათა კლასის განსაკუთრებული პარტია? ხოლო თუ იგი შეიქმნა და განმტკიცდა რუსეთის ისტორიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან, განსაკუთრებით კრიტიკულ პერიოდში (1905 წ.), თუ ტრუდოვიკებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ «ისტორიული პირობების ძალით» მუშათა კლასმა «ჰპოვა» თავისი პარტია, მაშასადამე, ტრუდოვიკების «რწმენა» გ ა უ ბ ა თ ი ლ ე ბ ი ა «ისტორიული პირობების ძალას».

თუ ტრუდოვიკები გლეხობის პარტია ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ, ხოლო მათი რწმენით ისინი არ უნდა იყვნენ მარტო გლეხური პარტია, მაშასადამე, მათი რწმენა მცდარია, ილუზიაა. და ეს ილუზია სწორედ ისეთია, როგორიც იყო ევროპის ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიის ილუზია ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმთან ბრძოლის პერიოდში. ამა თუ იმ სახით სჭარბობდა «კლასთგარეშე პარტიების» იდეა, ამასთან «ისტორიული პირობების ძალა» მუდამ აბათილებდა ამ იდეას, არღვევდა ამ ილუზიას. სხვადასხვა კლასის «ერთი პარტიით» მოცვის ცდა ან მეცადინეობა მოსდგამს სწორედ ამ ეპოქის ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, როდესაც მას თავისი მთავარი მტერი უნდა დაენახა უკან და არა წინ, მებატონეებისა და არა პროლეტარიატის სახით.

სხვადასხვა კლასის «მოცვის» პრეტენზია ტრუდოვიკებს აახლოებს კადეტებთან: მათაც სურთ ზ ე კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი

პარტია იყვნენ, ისინიც ირწმუნებიან, რომ მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის «ინტერესები თითქმის ერთი და იგივეაო». მშრომელ ინტელიგენციად ისინი ბატონ მაკლაკოვებსაც თვლიან! შეგნებული მუშა ყოველთვის იბრძოლებს ზეკლასობრივ პარტიათა ყოველგვარი იდეის წინააღმდეგ, დაქირავებულ მუშებსა და წვრილ მესაკუთრეს შორის არსებული კლასობრივი უფსკრულის ყოველგვარი მიჩქმალვის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ტრუდოვიკებისა და კადეტების მსგავსება ისაა, რომ ერთნიც და მეორენიც იზიარებენ სხვადასხვა კლასის შეერთების შესაძლებლობის ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, განსხვავება მათ შორის ისაა, თუ რ ო მ ე ლ ი კლასისაკენ იზიდავს მოვლენათა მსვლელობა ამა თუ იმ პარტიას წინააღმდეგ მისი სურვილებისა, ხანდახან წინააღმდეგ მის ცალკეულ წევრთა შეგნებისა. ტრუდოვიკებს ისტორიამ ასწავლა სიმართლესთან უფრო ახლოს ყოფნა, თქმა იმისა, რომ ისინი გლეხური პარტიაა. კადეტები კვლავ დემოკრატებს უწოდებენ თავის თავს, როცა ნამდვილად კონტრრევოლუციური ლიბერალები არიან.

სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება ნათლად არა აქვთ შეგნებული ტრუდოვიკებს, იმდენად არა აქვთ ნათლად შეგნებული, რომ მათი კონფერენციის ოფიციალურ გადაწყვეტილებებში სრულებით ა რ ა რ ი ს მოცემული კადეტების დახასიათება. ოფიციალურ გადაწყვეტილებებში ნათქვამია მხოლოდ შეთანხმებაზე «პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი სოციალ-დემოკრატებთან, ხ ო ლ ო შ ე მ დ ე გ კადეტებთან». ეს არ კმარა. საარჩევნო შეთანხმების საკითხი მართებულად, თანაშიმდევრად, პრინციპულად შეიძლება გადაწყდეს მ ხ ო ლ ო დ მაშინ, როცა საკუთარი გამოირკვევა, თუ როგორია შესათანხმებელი პარტიების კლასობრივი ბუნება, რა ძირითადი უთანხმოება და ინტერესთა დროებითი თანხმობაა მათ შორის.

ამაზე ლაპარაკია მხოლოდ ბ-ნ ვოდოვოზოვის კომენტარში. «რეჩი», როდესაც მის სტატიას აღნიშნავდა და არჩევდა, შეეცადა ს წ ო რ ე დ ე ს პუნქტები სრულიად დ ა ე მ ა ლ ა

მკითხველებისთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პუნქტებზე აუცილებელია ყურადღებით შეჩერება.

«შრომის ჯგუფს — წერს ბ-ნი ვოდოვოზოვი — კარგად ესმოდა, რომ რუსეთის თანამედროვე წყობილება აბსოლუტიზმისა და თვითნებობის წყობილებაა, ამიტომ ის გადაჭრით კიცხავდა ყველა იმ გამოსვლას, რომლითაც კადეტთა პარტიას უნდოდა ეცნობებინა **urbi et orbi** * რუსეთში კონსტიტუციური წყობილების არსებობა, და უარყოფით უყურებდა იმ საზეიმო შეხვედრებს, რომლებიც მოუწყეს ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტების წარმომადგენლებს რუსეთის კონსტიტუციონალიზმის მანიფესტირებისათვის. შრომის ჯგუფისათვის ეჭვს გარეშე იყო, რომ მხოლოდ მთელი სახელმწიფო და სოციალური წყობის ძირითად და ღრმა გადატრიალებას შეუძლია დააყენოს რუსეთი სწორი და ჯანსაღი განვითარების გზაზე; ამიტომ იგი თანაგრძნობით ეგებებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი რწმენის ყოველ გამოხატულებას. სწორედ ეს რწმენა სთხრიდა ღრმა უფსკრულს მასსა და კადეტთა პარტიას შორის»... და ცოტა ქვევით მეორდება იგივე აზრი «კადეტების მშვიდობიანი ევოლუციონიზმისა და ამ ევოლუციონიზმით შექმნილი კადეტთა ტაქტიკის» შესახებ, რაც «ყოველთვის უფრო აშორებდა ტრუდოვიკებს კადეტებისაგან, ვიდრე სოციალ-დემოკრატებისაგან».

გასაგებია, თუ რატომ უნდა ეზრუნა კადეტურ «რ ე ჩ ს», რომ ეს მსჯელობა დაემალა თავისი მკითხველებისთვის. აქ აშკარად გამოთქმულია სურვილი დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის მიჯნის გავლებისა. მიჯნა, უეჭველია, არის, მაგრამ ბ-ნ ვოდოვოზოვს მეტად ზერელედ ესმის ეს მიჯნა, თუმცა «ღრმა უფსკრულზე» კი ლაპარაკობს. მას გამოუდის, რომ განსხვავება, არსებითად, ტაქტიკურია და მომენტის შეფასებაში მდგომარეობს: ტრუდოვიკები ემხრობიან ძირეულ გადატრიალებას, კადეტები — მშვიდობიანი ევოლუციონისტები არიან; ტრუდოვიკების აზრით ჩვენში აბსოლუტიზმის

* — მთელი ქვეყნიერებისათვის. რ ე დ.

წყობილებაა, ხოლო კადეტების აზრით — მადლობა ღმერთს, კონსტიტუცია გვაქვს. ამგვარი განსხვავება შესაძლებელია ერთი და იმავე კლასის მარჯვენა და მარცხენა ფრთას შორის!

ამით ისაზღვრება თუ არა განსხვავება ტრუდოვიკებსა და კადეტებს შორის? აღიარა თუ არა თვითონ ბ-მა ვოდოვოზოვმა, რომ ტრუდოვიკები გლეხობის პარტიაა? ხომ არ არსებობს გლეხობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ში თუნდაც პურიშკევიჩისა და პურიშკევიჩობის მიმართ განსხვავების ნიშნები ლიბერალური ბურჟუაზიის მდგომარეობასთან შედარებით?

თუ არ არსებობს, მაშინ განსხვავება ტრუდოვიკებსა და კადეტებს შორის ღრმა არ ყოფილა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც კი. თუ არსებობს, მაშინ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ სწორედ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინ ტ ე რ ე ს ებ ი ს განსხვავება და არა «შეხედულებათა» განსხვავება აბსოლუტიზმსა და კონსტიტუციაზე თუ მშვიდობიან ევოლუციაზე.

ტრუდოვიკებს სურთ კადეტებზე უფრო რადიკალური იყვნენ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ მათი რადიკალიზმი უფრო თანამიმდევარი და ღრმა იქნებოდა, რომ ნათლად ესმოდეთ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის კლასობრივი დედაარსი, თავიანთ პლატფორმაში რომ პირდაპირ ლაპარაკობდნენ კადეტების კონტრრევოლუციურ ლიბერალიზმზე.

ამიტომ ამაოდ «იმართლებს თავს» ბ-ნი ვოდოვოზოვი გარე დაბრკოლებათა დამოწმებით, რის გამოც ტრუდოვიკებს «მოუხდათ ისეთი რეზოლუციის შემუშავება, სადაც ყველაზე არსებითი პუნქტები დაფარული იყო მკითხველთა უმრავლესობისათვის ნაკლებად მისაწვდომი «შრომის ჯგუფის პლატფორმის» არც თუ სავსებით ნათელი დამოწმებით». ჯერ-ერთი, ტრუდოვიკები ვალდებული არ იყვნენ დასჯერებოდნენ ამ დაბრკოლებებით შემოზღუდულ სარბიელს; როცა ამ სარბიელს სჯერდებიან, ტრუდოვიკები, სწორედ ისე, როგორც ჩვენი ლიკვიდატორები, ააშკარავებენ იმას, რომ დიდად არ განსხვავდებიან კადეტებისაგან. მეორე, სრული შესაძლებ-

ლობა არსებობდა იმისა, რომ ყოველგვარ სარბიელზე გამოემჟღავნებინათ კადეტური ლიბერალიზმის კლასობრივი დედაარსი და მისი კონტრრევოლუციურობა.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ტრუდოვიკების მერყეობა კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის შემთხვევითი კი არაა, არამედ გამომდინარეობს იმ ფრიად ღრმა და ძირითადი პირობებიდან, რომლებშიც ჩაყენებულია გლეხობა. გაურკვეველი მდგომარეობა, როდესაც ბურჟუის და პროლეტარის უშუალო ბრძოლას განზე გასდგომიან, ასაზრდოებს ილუზიებს კლასთგარეშე ან ზეკლასობრივი პარტიის შესახებ. საერთო ბურჟუაზიული ცრურწმენანი, რაც მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთ მოსდგამთ, აახლოებენ ტრუდოვიკებსა და კადეტებს. აქედანაა ტრუდოვიკების, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატების, არასაკმარისი თანამიმდევრობა პურიშკევიჩთა ძალაუფლების საფუძვლებთან ბრძოლაშიც კი.

შეგნებული მუშების ამოცანაა დარაზმვაში დაეხმარონ გლეხურ დემოკრატიას, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებ დამოკიდებულია ლიბერალებისაგან და რაც შეიძლება ნაკლებად ემორჩილება მათს გავლენას, რაც შეიძლება უფრო თანამიმდევარია და გაბედული. გლეხობის უდიდესი მასების მდგომარეობა ისეთია, რომ ბ-ნ ვოდოვოზოვის მიერ ფორმულირებულ მისწრაფებას «ძირეული და ღრმა გადატრიალებისადმი» მეტისმეტად საფუძვლიანი, ფართოდ განშტოებული და ნიადაგში ღრმად გადგმული ფესვები აქვს.

«ზვეზდა» №№ 27 (63) და 32 (68);
1912 წ. 8 და 19 აპრილი
ხელმოწერა: ბ. ბ.

იბეჭდება
გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგია («ცენტრალური კომიტეტის შემცირებული შემადგენლობა», «ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მოქმედი კოლეგია»), დამტკიცებული რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმის მიერ, არსებობდა 1910 წლამდე. მის პირველ შემადგენლობაში შედიოდა თითო წარმომადგენელი ბოლშევიკებისა, მენშევიკებისა, პოლონელი და ლატვიელი სოციალ-დემოკრატებისა და ბუნდისაგან.

1910 წელს ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მიღებული წესდების მიხედვით ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიის შემადგენლობა ფართოვდებოდა 7 კაცამდე; მასში უნდა შესულიყვნენ: ცენტრალური კომიტეტის 4 წევრი, არჩეული V (ლონდონის) ყრილობაზე, და ნაციონალური ორგანიზაციების 3 წარმომადგენელი. მაგრამ იანვრის პლენუმის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიის მუშაობის მოწყობა არ მოხერხდა; მენშევიკმა ლიკვიდატორებმა უარი განაცხადეს მასში მონაწილეობის მიღებაზე. ლენინის მითითება — ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიის შემადგენლობაში ლიკვიდატორების ნაცვლად შეეყვანათ პარტიელი მენშევიკები — ცენტრალური კომიტეტის წევრებმა — შემარიგებლებმა (ნოგინი, გოლდენბერგი, ლეიტეიზენი და სხვ.) არ შეასრულეს.

1910 წლისა და 1911 წლის დამდეგის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მომუშავე ყველა ბოლშევიკი წევრი დააპატიმრეს.

წერილი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიის მიმართ იბეჭდება პოლიციის დეპარტამენტის საქმეებში აღმოჩენილი ასლის მიხედვით. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — 1.

2 «გოლოს სოციალ-დემოკრატა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში, შემდეგ პარიზში 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე.

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» დახასიათება იხ. ლენინის სტატიაში «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 188 — 199). — 1.

3 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ცნობილია «გამაერთიანებლის» სახელწოდებით, შესდგა პარიზში 1910 წლის 2 — 23 იანვარს (15 იანვარს — 5 თებერვალს). პლენუმი მოწვეულ იქნა ლენინის სურვილის წინააღმდეგ, ტროცკის ფარულ მოკავშირეთა — ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის ხელშეწყობით. ბოლშევიკებს გარდა მას დაესწრნენ ყველა ფრაქციისა და ფრაქციულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები, აგრეთვე ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინააღმდეგ ლენინის გეგმისა, რომ ლიკვიდატორობასთან საბრძოლველად დაახლოება მომხდარიყო პარტიელ-მენშევიკებთან (პლეხანოველებთან), შემარიგებლები, ფარული ტროცკისტები, მოითხოვდნენ ყველა ფრაქციის დაშლას და ბოლშევიკების გაერთიანებას ლიკვიდატორებთან და ტროცკისტებთან. პლენუმზე უმეტესობა შემარიგებელ ელემენტებს ხვდათ. ლენინი უმცირესობაში აღმოჩნდა. მხოლოდ ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით მიიღო პლენუმმა დადგენილება ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის დაგმობის შესახებ. მიუხედავად ლენინის წინააღმედეგობისა, პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ბოლშევიკური ორგანოს «პროლეტარის» დახურვისა, ბოლშევიკური ცენტრის დაშლისა და მისი ჭონების ცენტრალური კომიტეტისთვის, ხოლო ნაღდი ფულის — საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებისთვის («შემნახველთათვის») — ფ. მერინგის, კ. ცეტკინისა და კ. კაუტსკისთვის გადაცემის შესახებ. ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით პლენუმის დადგენილებაში შეტანილ იქნა პირობა, რომ ბოლშევიკური ცენტრის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმებულიყო «გოლოსელებისა» და «ვპერიოდელების» ფრაქციული ცენტრებიც. პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება ფულადი დახმარება აღმოეჩინათ ტროცკის ვენური «პრავდისთვის», რომლის ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ გადაქცევას ცდილობდნენ ტროცკის აგენტები — ზინოვიევი და კამენევი.

მიუხედავად ლენინის პროტესტისა, ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობაში აირჩიეს მენშევიკ-ლიკვიდატორებიც. პლენუმზე ლიკვიდატორებთან, ტროცკისტებთან და შემარიგებლებთან ლენინის ბრძოლის შესახებ იხ. მისი სტატია «პუბლიცისტის შენიშვნები» (თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 16, გვ. 239 — 323). — 1.

4 მიხეილი (ი. ა. ისუკი), რომანი (კ. მ. ერმოლაევი) და იური (ბ. ა. ბრონშტეინი)—მენშევიკი-ლიკვიდატორები, რსდმ პარტიის ცენტ-

რალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, არჩეულნი რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის მიერ. — 1.

5 «ვ პ ე რ ი ო დ ე ლ ე ბ ი» (ჯგუფი «ვპერიოდ») — ოტზოვისტების, ულტიმატისტების, ღვთისმშენებლებისა და ემპირიომონისტების (მახისა და ავენარიუსის რეაქციული, იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეთა) ანტიპარტიული ჯგუფი; ჩამოყალიბდა 1909 წლის დეკემბერს ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის თაოსნობით; ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო იმავე სახელწოდებისა. 1912 წელს «ვპერიოდელები» და მენშევიკ-ლიკვიდატორები გაერთიანდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ანტიპარტიულ (აგვისტოს) ბლოკში, რომელიც მოაწყო ტროცკიმ.

რადგან მუშები ამ ჯგუფს მხარს არ უჭერდნენ, ის ფაქტიურად დაიშალა ჯერ კიდევ 1913 წელს. საბოლოოდ ის დაიშალა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — 1.

6 რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო — «სოციალ-დემოკრატ» — არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლადან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოკიდა რუსეთში, შემდეგ მისი გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, შემდეგ ჟენევაში. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად ცენტრალური ორგანოს რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი იბრძოდა თანამიმდევარი ბოლშევიკური ხაზის გატარებისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეჭცეოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, საბოტაჟს ეწეოდნენ და არ მუშაობდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, ამავე დროს კი აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «ბოლოს სოციალ-დემოკრატაში». ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ ლიკვიდატორების წინააღმდეგ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან 1911 წლის ივნისში. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — 2.

7 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკების დეკლარაცია («ხელშეკრულება»), ხელმოწერილი და გამოქვეყნებული რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის («გამაერთიანებელ») პლენუმზე 1910 წლის იანვარში. იხ. ეს ტომი, გვ. 434 — 436. — 2.

8 ი გ ო რ ი (იგორევი, გორევი) — მენშეკიკი-ლიკვიდატორი ბ. ი. გოლდმანი. — 2.

9 რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ბ ი უ რ ო შექმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1908 წლის აგვისტოში როგორც საერთო-პარტიული წარმომადგენლობა საზღვარგარეთ; იგი ემორჩილებოდა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიას და ანგარიშვალდებული იყო მის მიმართ. ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ ცოტა ხანი იყო გასული, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ლიკვიდატორული უმრავლესობა და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო გახდა ანტიპარტიულ ძალთა თავმოყრის ცენტრი. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორულმა ტაქტიკამ ბოლშევიკ-ლენინელები აიძულა 1911 წლის მაისში მისი შემადგენლობიდან გამოეწვიათ თავისი წარმომადგენელი ალექსანდროვი (ნ. ა. სემაშკო). რამდენიმე ხნის შემდეგ გამოწვეულ იქნენ პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებიც. 1912 წლის იანვარში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო დაიშალა. — 2.

10 ლაპარაკია პარტიელ-მენშევიკებზე, რომელნიც ამ პერიოდში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკებთან ცენტრალურ ორგანოში «სოციალ-დემოკრატ», ბოლშევიკურ გაზეთებში «ზვეზდა» და «რაბოჩაია გაზეტა» და ადგილობრივ კომიტეტებში. 1911 წელს პარტიელი-მენშევიკები შევიდნენ საერთო-პარტიული კონფერენციის მომწვევ რუსეთის საორგანიზაციო კომისიაში. ი. ბ. სტალინი, რომელიც იმ დროს გადასახლებული იყო, სავსებით უჭერდა მხარს პარტიელ-მენშევიკებთან ბოლშევიკების ბლოკის ლენინურ ხაზს (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 222 — 223). — 3.

11 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ბოლშევიკების პოპულარული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე პარტიელი-მენშევიკებიც.

«რაბოჩაია გაზეტას» დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. ლენინმა გაზეთში დაბეჭდა 10-ზე მეტი სტატია.

რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციამ (1912 წლის იანვარი) აღნიშნა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» გადაჭრით და თანამიმდევრად იცავდა პარტიას და პარტიულობას, და გამოაცხადა იგი რსდმ პარტიის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ. — **4.**

12 ფრაქციული სკოლა საზღვარგარეთ — ფრაქციული ცენტრი ოტზოვისტებისა, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლებისა, რომელნიც გაერთიანდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; 1909 წელს დააარსეს ა. ბოგდანოვმა (მაქსიმოვმა), გ. ალექსინსკიმ და ა. ლუნაჩარსკიმ ა. მ. გორკის მონაწილეობით კუნძულ კაპრიზე (იტალია) ბოგდანოველებმა, რომელნიც პარტიულობის დროშით ინიღბებოდნენ, რამდენიმე ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას სკოლაში გააგზავნინეს 13 მსმენელი. სკოლამ იარსება დაახლოებით 4 თვეს (1909 წლის აგვისტო — დეკემბერი). ნოემბერში მსმენელთა შორის მოხდა გათიშვა: მათი ნაწილი, მუშა ნ. ე. ვილონოვის მეთაურობით, გადაჭრით გაემიჯნა ბოგდანოველებს. ლენინელმა მსმენელებმა გაზეთ «პროლეტარის» რედაქციაში გაგზავნეს პროტესტი ლექტორთა ანტიპარტიული მოქმედების წინააღმდეგ, რის გამო გარიცხულ იქნენ სკოლიდან. 1909 წლის ნოემბრის დამლევს ვ. ი. ლენინის მიწვევით ისინი ჩავიდნენ პარიზში, მოისმინეს ლექციების ციკლი, მათ შორის ლენინის ლექციები «თანამედროვე მომენტი და ჩვენი ამოცანები» და «სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა». კაპრიზე დარჩენილმა მსმენელთა ნაწილმა ლექტორებთან ერთად 1909 წლის დეკემბერს შექმნა ანტიპარტიული ჯგუფი «ვპერიოდ».

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაგმო კაპრის სკოლა როგორც «ბოლშევიკებისგან გამოთიშული ფრაქციის ახალი ცენტრი». — **4.**

13 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკებისა და გ. ვ. პლეხანოვის ერთად მუშაობა რსდმ პარტიის დელეგაციაში კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე 1910 წლის 28 აგვისტოს — 3 სექტემბერს (ახ. სტ.). კონგრესის დროს ვ. ი. ლენინმა და გ. ვ. პლეხანოვმა პროტესტი შეიტანეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში, «Vorwärts»-ში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ ანონიმური ცილისმწამებლური სტატიის დაბეჭდვის გამო; სტატიის ავტორი იყო ტროცკი. — **4.**

14 «პრავდა» (ვენისა) — მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი, ტროცკის ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1908 — 1912 წლებში.

გაზეთი ინიღბებოდა «გარეფრაქციულობით» და ყველა ძირითად საკითხში ლიკვიდატორულ პოზიციაზე იდგა, აგრეთვე მხარს უჭერდა ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს. 1912 წელს ტროცკი და მისი «პრავდა» ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკის ორგანიზატორები გახდნენ. — **5.**

15 16-ის წ ე რ ი ლ ი — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ღია წერილი, რომელიც წარმოადგენდა პასუხს გ. ვ. პლეხანოვის გამოსვლაზე «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» მე-9 ნომერში (1909 წლის აგვისტო) ლიკვიდატორებისა და მათი ლიდერის ა. ნ. პოტრესოვის წინააღმდეგ.

16-ის წერილს ლენინი უწოდებდა «ჰეროსტრატესებურად სახელგანთქმულ» დოკუმენტს (იხ. სტატია «ლიკვიდატორების «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ», თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 188.— 199). — **9.**

16 «ვ ე ხ ე ლ ე ბ ი» — მონაწილენი კადეტური კრებულის «ვეხისა», რომელიც გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენელთა სტატიებით. სტატიებში რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; მიწასთან ასწორებდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უხდიდნენ მეფეს მთავრობას იმისათვის, რომ მან «ხიშტებით და საპყრობილეებით» იხსნა ბურჟუაზია «ხალხის მძვინვარებისაგან». კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას ჩამდგარიყო თვითმპყრობელობის სამსახურში. ლენინი «ვეხის» პროგრამას როგორც ფილოსოფიაში, ისე პუბლიცისტიკაში ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკია ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა ს», იმ «რეაქციული სიბინძურის მთელ ნიაღვარს, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს». — **10.**

17 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905-დან 1914 წლამდე. — **11.**

18 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **25.**

10 სტატია «მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «ზვეზდაში».

«ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი, «პრავდას» წინამორბედი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე) (თავდაპირველად ყოველ-კვირეულად, 1912 წ. იანვრიდან — კვირაში ორჯერ, ხოლო მარტიდან — კვირაში სამჯერ). 1912 წლის 26 თებერვალს (10 მარტს), «ზვეზდასთან» ერთად, გამოვიდა «ნევსკაია ზვეზდას» № 1, რომელიც «ზვეზდას» დახურვის შემდეგ მის გაგრძელებას წარმოადგენდა. «ნევსკაია ზვეზდას» უკანასკნელი, 27-ე, ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს.

გაზეთ «ზვეზდაში» თანამშრომლობდნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი, აგრეთვე ა. მ. გორკი. 1911 წლის შემოდგომამდე «ზვეზდაში» მონაწილეობას იღებდნენ პარტიელი-მენშევიკები (პლეხანოველები). გაზეთს იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა (საზღვარგარეთიდან) ვ. ი. ლენინი. «ზვეზდასა» და «ნევსკაია ზვეზდაში» გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის დაახლოებით 50 სტატია.

1912 წლის გაზაფხულზე «ზვეზდას» რედაქტორობდა ი. ბ. სტალინი. იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც ი. ბ. სტალინმა «თავისუფლად» დაჰყო, მან გაზეთის 30, 31, 32 და 33 ნომრებში დაბეჭდა 8 სტატია. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ლეგალური «ზვეზდა» წარმოადგენდა მებრძოლ ბოლშევიკურ გაზეთს, რომელიც იცავდა არალეგალური პარტიის პროგრამას. «ზვეზდამ» ფართოდ დააყენა მუშათა კორესპონდენციების განყოფილება, მუდმივი, მტკიცე ურთიერთობა გააბა მუშებთან. გაზეთის ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

გაზეთი მთავრობის მუდმივ რეპრესიებს განიცდიდა: «ზვეზდას» და «ნევსკაია ზვეზდას» 96 ნომრიდან 39 კონფისკებული იქნა, 10 დაჯარიმეს. «ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდას» გამოცემა; დახურა მთავრობამ «პრავდას» 1-ლი ნომრის გამოსვლის დღეს. — **28.**

20 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში. «ნაშა ზარიას» ირგვლივ რუსეთში ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი. — **35.**

21 «V o r w ä r t s» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და

სხვათა რედაქციით. გაზეთში ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — **35.**

22 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დააარსა ჟ. ჟორესმა 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ კომუნისტური პარტიის ორგანო გახდა; გამოდის პარიზში ამჟამადაც როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **36.**

23 «ვესტნიკ ნაროდნოი ვოლი» — გამოდიოდა ჟენევაში 1883 — 1886 წლებში როგორც «ნაროდნაია ვოლიას» პარტიის საზღვარგარეთული ორგანო პ. ლ. ლავროვისა და ლ. ა. ტიხომიროვის რედაქციით; გამოვიდა ხუთი ნომერი. — **36.**

24 «ბირჟევიე ვედომოსტი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და სინდისგარეცხილობის გამოსახატავად. გაზეთი დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის დამლევს. — **37.**

25 აქ და ქვემოთ ლენინს მხედველობაში აქვს «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», საიდანაც მას მოჰყავს ციტატები (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 81 — 84 და 97). — **43.**

26 სტატია «მარქსიზმი და «ნაშა ზარია»» დაიბეჭდა ჟურნალ «სოვრემენნაია ჟიზნის» მე-3 ნომერში.

«სოვრემენნაია ჟიზნ» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა ბაქოში 1911 წლის 26 მარტიდან (8 აპრილიდან) 22 აპრილამდე (5 მაისამდე) ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით. გამოვიდა სამი ნომერი. მესამე ნომრის კონფისკაციის შემდეგ ჟურნალი დახურა მთავრობამ. — **45.**

27 «ვოზროჟდენიე» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1908 წლის დეკემბრიდან 1910 წლის

ივლისამდე; მის მაგივრად გამოდიოდა ჟურნალები «ჟიზნ» (1910) და «დელო ჟიზნი» (1911). — **46.**

28 მ ა ე ვ ს კ ი — მენშევიკი ვ. ა. გუტოვსკი. — **50.**

29 ლენინს მხედველობაში აქვს ჩერევანინის ბროშურა «რსდმ პარტიის ლონდონის 1907 წლის ყრილობა», რომლის ბოლო ნაწილში ავტორი ლიკვიდატორული თვალსაზრისით აკრიტიკებს რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის გადაწყვეტილებებს მუშათა ყრილობისა და მუშათა უპარტიო ორგანიზაციების საკითხზე. — **50.**

30 სტატია «ჩ ვ ე ნ ი გ ა მ ა უ ქ მ ე ბ ე ლ ნ ი» დაიბეჭდა ჟურნალში «მისლ».

«მ ი ს ლ» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი შეიქმნა ლენინის წინადადებით ლიკვიდატორული ჟურნალების საპირისპიროდ და მათთან საბრძოლველად. ლენინი ჟურნალს ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან.

«მისლის» პირველ ოთხ გამოსულ წიგნში ლენინმა მოათავსა 6 სტატია, მათ შორის დიდი ნაშრომი «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ». ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ: ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრეთვე პარტიელი-მენშევიკები (გ. ვ. პლეხანოვი და სხვები). ჟურნალი გამოდიოდა 1911 წლის აპრილამდე; გამოვიდა 5 ნომერი. უკანასკნელი, მე-5, ნომერი კონფისკებულ იქნა. — **52.**

31 «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე» — ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. 1904 წლის იანვრიდან — ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების კავშირის» ორგანო. უფრო გვიან «ოსვობოჟდენიელებმა» შეადგინეს კადეტთა პარტიის — რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის ბირთვი. — **53.**

32 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები», დაწერილი მარტში და გამოქვეყნებული ცალკე ბროშურად 1906 წლის აპრილში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 10, გვ. 227 — 329). — **54.**

33 1 0 4-ი ს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა (მიწის კანონპროექტი) I და II სათათბიროს დეპუტატ ტრუდოვიკებისა ემყარებოდა მიწათსარგებლობის გამთანაბრებლობის ნაროდნიკულ პრინციპებს: საერთო-სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და აგრეთვე კერ-

ძომფლობელობის მიწებიდან, თუ მფლობელობის ოდენობა აღემატებოდა დაწესებულ შრომითს ნორმას; განსხვისებული კერძომფლობელობის მიწისთვის გათვალისწინებული იყო საზღაური. საადგილმამულო რეფორმის განხორციელება ეკისრებოდა გლეხთა ადგილობრივ კომიტეტებს. (104-ის პლატფორმის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 12, გვ. 231 — 233 და ტომი 13, გვ. 285 — 290). — **60.**

34 «ე ი ზ ნ» — ჟურნალი, მენშევიკ-ლიკვიდატორთა ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში; გამოვიდა ორი ნომერი (1910 წლის აგვისტოსა და სექტემბერს). — **66.**

35 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალური ბურჟუაზიის ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ამ პერიოდში «რუსსკაია მისლს» ლენინი უწოდებდა «ჩერნოსოტენნაია მისლს». ჟურნალი დახურეს 1918 წლის შუახანებში. — **66.**

36 ლენინს ციტატი მოჰყავს ნ. ა. ნეკრასოვის ლირიკული კომედიიდან «დათვზე ნადირობა» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. ლექსების სრული კრებული, ტ. II, წიგნი I, 1937, გვ. 173). — **67.**

37 ნ. ბ ე ლ ტ ო ვ ი — გ. ვ. პლეხანოვის ლიტერატურული ფსევდონიმი, რომლითაც 1895 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის». — **69.**

38 «ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა რ უ ს ე თ შ ი XX ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა მ დ ე გ ს» — მენშევიკური ხუთტომეული (გამოვიდა ოთხი ტომი) ლ. მარტოვის, პ. მასლოვის, ა. ნ. პოტრესოვის რედაქციით. რედაქციის თავდაპირველ შემადგენლობაში შედიოდა გ. ვ. პლეხანოვი, მაგრამ 1908 წლის დამლევს გავიდა იქიდან იმის გამო, რომ არ დათანხმდა ამ გამოცემის პირველ ტომში ა. ნ. პოტრესოვის ლიკვიდატორული სტატიის შეტანაზე. — **75.**

39 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; მოსკოვში სცემდნენ 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და საერობო მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო. დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — **80.**

40 «პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ ებ ს» II და III სათათბიროს არჩევნებში უწოდებდნენ თავიანთ თავს უმთავრესად ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ნაწილობრივ გლეხთა წარმომადგენლები. — **81.**

41 გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო—მემამულეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წლის მაისში; დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შედიოდა სახელმწიფო საბჭოში და შავრაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში. — **84**.

42 ტოლმაჩევი, ი. ნ. — ოდესის ქალაქის უფროსი, უკიდურესი შავრაზმელი. — **85**.

43 გრომობოი — ოქტიაბრისტთა გაზეთის «გოლოს მოსკვის» თანამშრომელი. იზგოევი — კადეტი პუბლიცისტი, მონაწილე კრებულისა «ვეხი», გაზეთ «რეჩის» თანამშრომელი». — **95**.

44 ლენინს მხედველობაში აქვს 66 მოსკოველი მრეწველის განცხადება, დაბეჭდილი გაზეთ «რუსსკიე ვედომოსტი»-ში 1911 წლის 11 (24) თებერვალს. მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს სტუდენტობის დევნის წინააღმდეგ, რამდენადაც ეს დევნა ეხებოდა ბურჟუაზიულ ახალგაზრდობას და ფუშავდა სპეციალისტების მომზადებას რუსეთის მრეწველობისათვის. — **95**.

45 «გოლოს მოსკვი» — ყოველდღიური გაზეთი; ოქტიაბრისტების — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და დიდ მემამულეთა კონტრრევოლუციური პარტიის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის დეკემბრიდან 1915 წლის ივნისამდე. — **96**.

46 «ზემშჩინა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლის ივლისიდან 1917 წლის თებერვალამდე; სახელმწიფო სათათბიროს უკიდურეს მემარჯვენე დეპუტატთა ორგანო. — **100**.

47 მეშკოვსკი (ი. პ. გოლდენბერგი) — რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბოლშევიკი-შემარიგებელი. — **108**.

48 ინოკენტი (ინოკენტიევი, ინოკი) — ი. ფ. დუბროვინსკი, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბოლშევიკი; 1910 — 1911 წლებში შემარიგებლური პოზიცია ეკავა. — **109**.

49 ოლგინი — ვ. პ. ფომინი, პარტიელი-მენშევიკი. — **110**.

50 შემდგომ მოსდევს ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის ორი სხვა წევრის ხელმოწერა. — **112**.

51 «ნოვოე ვრემია» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს იგი გადაიქცა რეაქციონერ თავადაზნაურთა და მოხელე-ბიუროკრატთა წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო რევოლუციურ, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი «ნოვოე ვრემიას» უწოდებდა სინდისგარეცხილ გაზეთთა ნიმუშს.—**120.**

52 «ვესტნიკ ევროპი» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის გაზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დამდეგიდან სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — **124.**

53 ბრძანებულება «მოქმედი კანონის ზოგიერთი იმ დადგენილების შევსების შესახებ, რომელიც შეეხება გლეხთა მიწათმფლობელობას და მიწათსარგებლობას», გამოცემული 1906 წლის 9 (22) ნოემბერს, და 1910 წლის 14 (27) ივნისის კანონი «გლეხთა მიწათმფლობელობის თაობაზე ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ» განსაზღვრავდნენ თემიდან გლეხთა გამოსვლისა და მათთვის სანადელო მიწის საკუთრებად განმტკიცების წესებს. — **126.**

54 ლენინს მოჰყავს ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანის «პროლოგის» გმირის ვოლგინის სიტყვები (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1932, გვ. 412). — **130.**

55 ა. მოსკოვსკი — მენშევიკი გ. ი. ხუნდაძე. — **140.**

56 ლაპარაკია ი. ფ. დუბროვინსკიზე, რომელიც დააპატიმრეს 1910 წლის ივნისში. — **141.**

57 ლენინს მხედველობაში აქვს 1911 წლის მარტში დატრიალებული ამბები იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო საბჭომ უარყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. ა. სტოლიპინის მიერ შეტანილი კანონპროექტები დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ.

ამის პასუხად სტოლიპინმა ითხოვა გადადგომა, მაგრამ ნიკოლოზ II-ემ გადადგომის თხოვნა არ შეიწყნარა. სტოლიპინმა შესძლო სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს დათხოვნა სამი დღით (12-დან 14 (25-27) მარტამდე) და გაატარა კანონი დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ 87-ე მუხლით, რომელიც უფლებას

ანიჭებდა მთავრობას გამოეცა კანონები საკანონმდებლო ორგანოების დაუკითხავად მათი მუშაობის შეწყვეტის დროს, «თუ საგანგებო გარეგმოებანი გამოიწვევენ ასეთი ღონისძიების საჭიროებას».

87-ე მუხლის გამოყენებამ საკანონმდებლო დაწესებულებათა» გვერდის ავლის მიზნით, გამოიწვია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის პოსტიდან ა. ი. გუჩკოვის დემონსტრაციული გადადგომა და სათათბიროს ახალი თავმჯდომარის — მემარჯვენე ოქტიაბრისტ მ. ვ. როძიანკოს არჩევა. — **148.**

58 ლენინს მხედველობაში აქვს ლოთობასთან ბრძოლის სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა, რომელიც შესდგა პეტერბურგში 1909 წლის 28 დეკემბერს — 1910 წლის 6 იანვარს (1910 წლის 10 — 19 იანვარს), და ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა, რომელიც შესდგა მოსკოვში 1909 წლის 1 — 6 (14 — 19) აპრილს. — **160.**

59 ლენინს მოჰყავს სიტყვები მენშევიკ-ლიკვიდატორ დანისა, რომელმაც რსდმ პარტიის მეხუთე («1908 წლის საერთო-რუსეთის») კონფერენციაზე, როცა იხილავდნენ საკითხს «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», განაცხადა, ბოლშევიკები «გვირჩევენ მივაწვეთ იქით, სადაც ერთხელ დავმარცხდითო». — **162.**

60 «პ ა რ ე ნ ი ნ ი ს ე ბ ა რ ი ა ნ მ ე ნ შ ი კ ო ვ ი ს ე ბ ა რ ი მ ო ხ ე რ ხ ე ბ ა ლ ო ბ ა» — პოლემიკის უსინდისო მეთოდი, რაც ახასიათებდათ ბურენინსა და მენშიკოვს, შავრაზმულ-მონარქისტული გაზეთის «ნოვოე ვრემიას» თანამშრომლებს. — **166.**

61 ე რ ფ ა ს ტ ი ს **profession de foi** — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, მიღებული 1891 წელს ერფურტის ყრილობაზე. — **179.**

62 ლენინს მხედველობაში აქვს მუხლი რეზოლუციისა «თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე», მიღებული რსდმ პარტიის მეხუთე («1908 წლის საერთო-რუსეთის») კონფერენციაზე; ეს მუხლი ბრძოლას უცხადებდა ლიკვიდატორობას. — **179.**

63 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუა ხანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი იყო ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ხდება ენესების («სახალხო სოციალისტების») ნახევრადკადეტური პარტიის ორგანოდ. — **185.**

64 ინგლისის სოციალ-დემოკრატიის სექტანტური ხასიათის შესახებ არა ერთხელ უთქვამს ფ. ენგელსს წერილებში ფ. ა. ზორგესადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 320 — 321; ტ. XXIX, 1946, გვ. 210, 306; კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 476. — **197**.

65 სტატია «ლ ე გ ა ლ ი ს ტ ი ს ს ა უ ბ ა რ ი ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ი ს მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ვ ე ს თ ა ნ» დაიბეჭდა «დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-3 ნომერში.

«დ ი ს კ უ ს ს ი ო ნ ნ ი ლ ი ს ტ ო კ» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» დამატება; გამოდიოდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებით. გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 6 (19) მარტიდან 1911 წლის 29 აპრილამდე (12 მაისამდე). გამოვიდა სამი ნომერი.

«დისკუსსიონნი ლისტოკში» დაიბეჭდა აგრეთვე ლენინის სტატიები: «პუბლიცისტის შენიშვნები» და «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში». 1910 წლის 25 მაისის (7 ივნისის) «დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-2 ნომერში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის «წერილი კავკასიიდან» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 200 — 208). — **202**.

66 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ მ ც ხ ო ვ რ ე ბ წ ე ვ რ თ ა თ ა თ ბ ი რ ი, მოწყობილი ლენინის თაოსნობით, შესდგა პარიზში 1911 წლის 28 მაისს — 4 ივნისს (10 — 17 ივნისს).

თათბირის მიზანი იყო ლონისძიებათა შემუშავება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და საერთო-პარტიული კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევისათვის. ამ დროისათვის ცენტრალური კომიტეტის რუსეთში მომუშავე ყველა ბოლშევიკი წევრი დააპატიმრეს, ხოლო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ, რომელიც ლიკვიდატორებისგან შესდგებოდა, უარი თქვა პლენუმის მოწვევაზე საზღვარგარეთ. თათბირზე დასწრების მოსაწვევი ბარათები დაიგზავნა 1911 წლის 14 (27) მაისს ბოლშევიკებისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა სახელით.

თათბირს დაესწრო სამი ბოლშევიკი, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ორი წარმომადგენელი და ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთი წარმომადგენელი. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე მენშევიკი-«გოლოსელი» (დასტოვა თათბირი კონსტიტუირების შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ) და ბუნდის წარმომადგენელი (დასტოვა თათბირი მეორე დღეს).

თათბირის დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ; 2) IV სათათბიროს მომავალი არჩევნების საკითხზე თათბირის მოწვევის შესახებ; 3) პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ; 4) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს შესახებ; 5) ტექნიკური კომისიის შექმნის შესახებ. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საზღვარგარეთ მოწვევის შესახებ; შეიქმნა სრულიად რუსეთის კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისია და საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია (სტკ) პარტიული გამომცემლობის, ტრანსპორტისა და სხკათა მომსახურების გასაწევად. საორგანიზაციო კომისიის კანდიდატებად დაინიშნენ ი. ბ. სტალინი, ს. ს. სპანდარიანი, მ. ფ. ვლადიმირსკი და სხვები. თათბირმა დაგმო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ანტიპარტიული საქციელი და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინაშე დააყენა ამ დაწესებულების შემდგომი არსებობის საკითხი. ცალკე ფურცლად გამოშვებული ცნობა თათბირის მოწვევის შესახებ მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს დაკავშირებოდნენ საორგანიზაციო კომისიას და «დაუყოვნებლივ შესგომოდნენ პრაქტიკულ მუშაობას კონფერენციის მოსაწვევად, რადგან მხოლოდ მას შეუძლია დაეხმაროს პარტიას თავისი რიგების შემჭიდროებასა და მომავალი ბრძოლისათვის მომზადებაში». პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოიწონეს თათბირის გადაწყვეტილებები. 1911 წლის 1 (14) სექტემბრისთვის ათამდე უმნიშვნელოვანესმა პარტიულმა ორგანიზაციამ ნდობა გამოუცხადა ცენტრალური კომიტეტის წევრთა საზღვარგარეთულ თათბირს და დაიწყო პრაქტიკული მუშაობა კონფერენციის მოსამზადებლად. — **223**.

67 ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **225**.

68 ი უ დ ი ნ ი (ი. ლ. აიზენშტადტი), კ ო ს ტ რ ო ვ ი (ნ. ნ. ჟორდანია) — რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მენშევიკი-ლიკვიდატორები. — **225**.

69 მ ა კ ა რ ი (ვ. პ. ნოგინი), ლ ი ნ დ ო ვ ი (გ. დ. ლეიტეიზენი) — რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ბოლშევიკი-შემარიგებლები; დააპატიმრეს 1911 წლის მარტის დამლევს. — **225**.

70 კ ა ც ა პ ი — ა. პოლიაკოვი. — **225**.

71 «ო ლ გ ი ნ ი ს **მ ხ ი ლ ე ბ ა თ ა**» (პარტიელ-მენშევიკის ვ. პ. ფომინის) შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 110 — 111. — **226**.

72 პ ე ტ რ ე (ნ. ვ. რამიშვილი) — რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ქართველ მენშევიკ-ლიკვიდატორთა ერთ-ერთი ლიდერი. — 227.

73 ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — 234.

74 ლაპარაკია ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა და საფაბრიკო მრეწველობის წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის მეორე 1911 წლის 13 (26) აპრილის ყრილობის მუშა-დელეგატთა დაპატიმრებაზე ყრილობის გახსნის წინადღით. — 241.

75 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს პ ა რ ი ზ ი ს II ჯ გ უ ფ ი ს კ რ ე ბ ა შესდგა 1911 წლის 18 ივნისს (1 ივლისს). — 248.

76 ლ ი ბ ე რ ი, ბ ე რ ი (მ. ი. გოლდმანი) — ლიკვიდატორი, ბუნდის ერთ-ერთი ლიდერი. — 251.

77 ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ს ი ა (საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია, სსკ) შექმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა 1911 წლის ივნისში, რსდმ პარტიის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად. საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ბოლშევიკები, შემარიგებლები და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები. სხვა ფრაქციებს (პარტიელ-მენშევიკებს, «ვპერიოდელებს» და სხვ.) თავიანთი წარმომადგენლები საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიაში არ გამოუყვიათ.

საზღვარგარეთულმა საორგანიზაციო კომისიამ გამოუშვა «ცნობა» რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირის შესახებ და ფურცელი «ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ ორგანიზაციას, ჯგუფსა და წრეს» კონფერენციის მოწვევის შესახებ, აგრეთვე რუსეთში გაგზავნა სამი რწმუნებული, მათ შორის გ. კ. ორჯონიკიძე, რომელთაც უნდა ჩაეტარებინათ მოსამზადებელი მუშაობა კონფერენციის მოსაწვევად და ჩამოეყალიბებინათ რუსეთის საორგანიზაციო კომისია.

საზღვარგარეთულ საორგანიზაციო კომისიაში მისი შექმნის ღროიდანვე უმრავლესობაში აღმოჩნდნენ შემარიგებლები და მათი მომხრე პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები. 1911 წლის ნოემბერში საზღვარგარეთულმა საორგანიზაციო კომისიამ უარი განაცხადა დამორჩილებოდა უკვე შექმნილი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებებს, რის შემდეგ საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ბოლშევიკმა წევრებმა თავიდან მოიხსნეს პასუხისმგებლობა საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის მოქმე-

დებისათვის და გამოვიდნენ მისი შემადგენლობიდან. შემდეგ საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის შემარიგებლურმა უმრავლესობამ დაიკავა აშკარა ბრძოლის პოზიცია რუსეთის საორგანიზაციო კომისიის წინააღმდეგ. საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ანტიპარტიული მოქმედება ამხილა გ. კ. ორჯონიკიძემ «წერილში რედაქციის მიმართ», რომელიც დაიბეჭდა 1911 წლის დეკემბერს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 25-ე ნომერში. — **253.**

78 ლაპარაკია ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთზე «ზვეზდა». — **254.**

79 «დნევდნიკ სოციალ-დემოკრატა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც სცემდა გ. ვ. პლეხანოვი; გამოდიოდა ჟენევაში დიდი ხანგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი. — **255.**

80 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ხ უ თ ე (ლონდონის) ყ რ ი ლ ო ბ ა მ (1907 წ. 30 აპრილი — 19 მაისი (13 მაისი — 1 ივნისი)) რეზოლუციაში «არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების» საკითხის გამო აღიარა, რომ ნაროდნიკულ პარტიებთან ერთად მუშაობამ «უნდა გამორიცხოს ყოველგვარი შესაძლებლობა სოციალ-დემოკრატიული პროგრამიდან და ტაქტიკიდან რაიმე გადახვევისა და სამსახური უნდა გაუწიოს მხოლოდ საერთო შეტევის მიზნებს როგორც რეაქციის წინააღმდეგ, ისე ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლური ტაქტიკის წინააღმდეგ» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 104).

რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ს ა მ ე კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა მ («მეორე სრულიად რუსეთისა») (1907 წ. 21 — 23 ივლისი (3 — 5 აგვისტო)) რეზოლუციაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ დაადასტურა, რომ «საარჩევნო კამპანიაში და თვით სათათბიროშიც სოციალ-დემოკრატიამ უნდა გაავრცელოს და ხალხის მასების შეგნებაში უნდა განამტკიცოს სოციალიზმის იდეა და რევოლუციური ლოზუნგები და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს როგორც რეაქციის წინააღმდეგ, ისე საერთოდ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და კერძოდ სათათბიროში კადეტების ჰეგემონიის წინააღმდეგ» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 111). — **259.**

81 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური გაზეთი, დაარსებული ბოლშევიკების მიერ რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ;

გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარი» ატარებდა რსდმ პარტიის მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტთა ორგანოს სახელწოდებას, ერთხანს კი — მოსკოვის საოლქო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტებისაც. ფაქტიურად «პროლეტარი» იყო ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო. გამოვიდა გაზეთის 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში (ვიბორგი). 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში; 1909 წლის 8 (21) იანვრიდან 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) — პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარიმ» უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. — **260.**

82 ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი კ ო მ ი ს ი ა (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია, სტკ) შექმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა 1911 წლის ივნისში ტექნიკური ფუნქციების (საგამომცემლო მუშაობა, ტრანსპორტი და სხვ.) შესასრულებლად როგორც დროებითი ორგანო, სანამ მოიწვევდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. სტკ ემორჩილებოდა ცენტრალური კომიტეტის იმ წევრთა ჯგუფს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1911 წლის ივნისის თათბირში. საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ თითო წარმომადგენელი ბოლშევიკებისგან, შემარიგებლებისგან და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისგან. სტკ შემარიგებლური უმრავლესობა ფუშავდა ბოლშევიკების ორგანიზაციულ ღონისძიებებს, არ ემორჩილებოდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებებს, შეწყვიტა სახსრების გაცემა რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» გამოცემისთვის, პრესაში (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის ფურცლებსა და «საინფორმაციო ბიულეტენში») თავს ესხმოდა ლენინსა და ბოლშევიკებს.

1911 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) ბოლშევიკების წარმომადგენელი მ. ფ. ვლადიმირსკი გამოვიდა სტკ შემადგენლობიდან და ბოლშევიკებმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს მასთან. — **262.**

83 ა მ ხ. ვ ი ქ ტ ო რ ი ს წ ე რ ი ლ ი — წერილი ბოლშევიკ ვ. კ. ტარატუტისა, რომლის საქმეს არჩევდა რსდმ პარტიის მოსკოვის კომიტეტი 1906 წლის ოქტომბერში იმასთან დაკავშირებით, რომ ხმები იყო გავრცელებული — იგი პროვოკაციის საქმეშია გარეულიო. მოსკოვის კომიტეტმა აღიარა, რომ ეს ბრალდება ყოვლად უსაფუძვლო იყო. — **262.**

84 ლენინის მიერ მოხსენებულ კორესპონდენციაში, რომელიც დაბეჭდა 1911 წლის 1 (14) სექტემბრის «სოციალ-დემოკრატის» 23-ე ნომერში, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გამოჩენილი პეტერბურგელი ლიკვიდატორი ვიბორგის რაიონის პარტიულ მუშათა კრებაზე გამოვიდა წინადადებით—პარტიული ორგანიზაციის აღდგენის ნაცვლად «საინიციატივო ჯგუფები» შექმნათ ლეგალური საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლადაო. ამ გამოსვლას მთელმა კრებამ გაუწია წინააღმდეგობა, და ლიკვიდატორის წინადადებამ ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო. — 283.

85 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «საზღვარგარეთელი რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» არაპერიოდული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1899 — 1902 წლებში. «რაბოჩეედელოელთა» შეხედულების კრიტიკა ლენინმა მოგვცა გაზეთ «ისკრის» ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 284.

86 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 — 1902 წლებში. «რაბოჩაია მისლის» შეხედულებათა, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის კრიტიკა, ლენინმა მოგვცა გაზეთ «ისკრაში» გამოქვეყნებულ სტატიებში და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 284.

87 შ ვ ა რ ც ი (ი. ელიასი) — ლატვიელი სოციალ-დემოკრატი, ლიკვიდატორი. — 285.

88 შ ე ნ ი შ ვ ნ ა ლენინმა დაწერა იმ კომისიის განცხადების გამო, რომელიც დანიშნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა 1911 წლის ივნისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის მოსამზადებლად. კომისიის განცხადებაში მოყვანილი იყო ფაქტები ლიკვიდატორების დეზორგანიზატორული მოქმედებისა, რაც მიმართული იყო რუსეთსა და საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის მომზადების ჩაშლისაკენ. — 287.

89 «ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ნ ნ ი ბ ი უ ლ ე ტ ე ნ» საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიისა გამოდიოდა პარიზში. გამოვიდა ორი ნომერი (1911 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში). შემარიგებლებმა «ინფორმაციონნი ბიულეტენი» გადააქციეს თავიანთ ფრაქციულ ორგანოდ, სადაც ისინი ეწეოდნენ უპრინციპო ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. — 302.

90 ლენინს მხედველობაში აქვს კუნძულ კაპრის სკოლა, ოტზოვისტების ფრაქციული ცენტრი, მოწყობილი 1909 წელს ა. ა. ბოგდანოვის მიერ. — **806.**

91 ი ო ნ ო ვ ი (ფ. მ. კოიგენი) — ბუნდის ერთ-ერთი ლიდერი. — **808.**

92 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «ლიკვიდატორობის შესახებ», მიღებული ეგრეთწოდებული «ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციის მიერ». ნამდვილად ეს იყო კავკასიელ ლიკვიდატორთა კონფერენცია. «კონფერენციის» ანტიპარტიული ხასიათი მხილებული იყო კორესპონდენციაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 24-ე ნომერში 1911 წლის 18 (31) ოქტომბერს. — **816.**

93 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა ე ი ზ ნ» — ყოველთვიური გაზეთი; მენშევიკ-«გოლოსელების» და შემარიგებლების ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1911 წლის 21 თებერვლიდან (6 მარტიდან) 18 აპრილამდე (1 მაისამდე). გამოვიდა სამი ნომერი. — **319.**

94 გ ე რ მ ა ნ ი—კ. ხ. დანიშევსკი, ა რ კ ა დ ი—ფ. ი. კალინინი. — **328.**

95 ლ ი ა ხ ო ვ ი, ვ. პ. — მეფის არმიის პოლკოვნიკი; სარდლობდა რუსეთის იმ ჯარს, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას ახშობდა სპარსეთში 1908 წელს. — **334.**

96 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის მიერ ქვემოთ ციტირებულ კ. მარქსის 1881 წლის 20 ივნისისა და 15 დეკემბრის წერილებზე ფ. ა. ზორგეესადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. **349 — 351** და კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 171 — 173). — **368.**

97 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 101 — 102. — **369.**

98 ლაპარაკია ნ. როჟკოვის სტატიაზე «რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა მოძრაობის ძირითადი ამოცანა ამჟამად». ნ. როჟკოვის ამავე სტატიის კრიტიკისადმია მიძღვნილი ლენინის მეორე ნაშრომიც: «სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან» (იხ. ეს ტომი, გვ. 421 — 427). — **371.**

99 «C h a m b r e i n t r o u v a b l e» (პალატა, რომლის უკეთესს ვერ იპოვი) — ასე უწოდა ლუი XVIII-ემ საფრანგეთის კონტრრევოლუციურ დეპუტატთა პალატას, არჩეულს ბურბონთა რესტავრაციის

შემდეგ 1815 წლის აგვისტოში. პალატის შემადგენლობა იმდენად რეაქციული იყო, რომ ლუი, ახალი რევოლუციური აფეთქების შიშით, იძულებული გახდა დაეთხოვა იგი. — 380.

100 ლენინს მხედველობაში აქვს პ. ბ. სტრუვეს წინასიტყვაობა (რ. ნ. ს.-ს. ხელმოწერით) ეიტეს ბარათისადმი «თვითმპყრობელობა და ეროობა». ეს წინასიტყვაობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ლენინმა თავის სტატიაში «ეროობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 25 — 89). — 383.

101 მ ი მ რ ე ც ო ვ ი — პერსონაჟი გ. ი. უსპენსკის მოთხრობისა «სადარაჯო», მეფის რუსეთის მიყრუებული ქალაქის უხეში და უმეცარი პოლიციელის ტიპი. — 384.

102 სტატია (მოხსენება) «II ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს შ ე ს ა ხ ებ» დაბეჭდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა როგორც დამატება № 21 ცირკულარისა. სტატია და მასალები II სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა საქმეზე გამოქვეყნდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე «**Bulletin périodique du Bureau Socialiste International**»-ის («საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდული ბიულეტენი») მე-8 ნომერში. ვ. ი. ლენინის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ საზღვარგარეთ გაძლიერდა საგიტაციო კამპანია II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა განთავისუფლებისათვის. ბოლშევიკური «რაბოჩაია გაზეთას» მე-8 ნომრის სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამი იყო: «საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწოდების შემდეგ (სს ბიუროს ყველა პარტიას დაუგზავნა სს ბიუროში ჩვენი პარტიის წარმომადგენლის ამხ. ლენინის მოხსენება ამ საქმეზე) გაძლიერებული აგიტაცია გააჩაღეს. პროტესტით გამოვიდნენ გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, შეეციის, ფინეთის, ავსტრიისა და სხვ. ყველა სოციალ-დემოკრატი დეპუტატები».

დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — 385.

103 «L'A v e n i r» («ბუდუშჩეე») — ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1911 წლის 22 ოქტომბრიდან 1914 წლის 4 იანვრამდე (ახ. სტ.) ვ. ლ. ბურცევის რედაქციით რუსულ ენაზე (ზოგიერთი მასალა იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზედაც). გზეთში თანამშრომლობდნენ მენშევიკები და ესერები. — 387.

104 II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმეზე სასამართლომ მსჯავრი დასდო ფრაქციის 55 წევრს. ორი

მათგანი მალე გარდაიცვალა საპყრობილეში. ამიტომ სათათბიროს 1911 წლის 17 (30) ოქტომბრის სხდომაზე ლაპარაკი იყო 53 დეპუტატზე. — **389.**

105 სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა განხილულ იქნა 1911 წლის 15 (28) ნოემბერს და შემდეგ კიდევ სამჯერ დახურულ სხდომაზე; შეკითხვა გადაეცა კომისიას და იქ უარყვეს. — **393.**

106 ციტატი მოყვანილია რსდმ პარტიის მეხუთე («1908 წლის საერთო-რუსეთის») კონფერენციის რეზოლუციიდან «თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 127). — **395.**

107 იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940. გვ. 104. — **397.**

108 ა. ა. ვ ო ი ლ ო შ ნ ი კ ო ვ ი—III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი, გარიცხული იყო 15 სხდომიდან სათათბიროს 1911 წლის 2 (15) დეკემბრის სხდომაზე სამხედრო ბეგრის წესდების შესახებ წარმოთქმული სიტყვის გამო. — **407.**

109 პარტიული კონფერენციის მომწვევი რ უ ს ე თ ი ს ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ს ი ა (რსკ) ჩამოყალიბდა 1911 წლის სექტემბრის დამლევს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე. თათბირი გაიხსნა ბაქოში გ. კ. ორჯონიკიძის — კონფერენციის მომწვევი საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმუნებულის — ხელმძღვანელობით. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ ბაქოს, თბილისის, ეკატერინბურგის, კიევისა და ეკატერინოსლავის ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგატებს შორის იყვნენ ს. გ. შაუმიანი და ს. ს. სპანდარიანი. პოლიციის დევნისა და ჩავარდნის საფრთხის გამო თათბირის სხდომები გადატანილ იქნა თბილისში. თათბირზე განხილულ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, რუსეთის საორგანიზაციო კომისიის კონსტიტუირების საკითხი, მოხსენებები საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიისადმი დამოკიდებულების შესახებ, კონფერენციის დელეგატთა არჩევნების შესახებ. ლეგალური ორგანიზაციების წარმომადგენლობის შესახებ, ნაციონალური ორგანიზაციების დელეგატთა არჩევნების შესახებ. რუსეთის საორგანიზაციო კომისიის სხდომების ანგარიში გამოაქვეყნა გ. კ. ორჯონიკიძემ გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 25-ე ნომერში 1911 წლის 8 (21) დეკემბერს. თათბირმა

მიიღო ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვის ტექსტი და გამოსცა იგი ცალკე ფურცლად თათბირის რეზოლუციებთან ერთად (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 166 — 169). — **408.**

110 ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკური ორგანოები — გაზეთი «ზვეზდა» და ჟურნალი «მისლ», სადაც თანამშრომლობდნენ აგრეთვე პარტიელი-მენშევიკები. — **411.**

111 უფრო ვრცლად ამაზე იხ. ლენინის სტატია ««შემნახველთა» სამედიატორო სასამართლოს შედეგები» (ეს ტომი, გვ. 434 — 436). — **413.**

112 მ ა რ კ — ა. ი. ლიუბიმოვის ფსევდონიმი. — **413.**

113 «ო ტ კ ლ ი კ ი ბ უ ნ დ ა» — ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის არაპერიოდული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1909 წლის მარტიდან 1911 წლის თებერვლამდე. გამოვიდა ხუთი ნომერი. — **414.**

114 ბ ა ქ ო ს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, რეაქციის წლებში ერთ-ერთი უაღრესად მოწინავე ორგანიზაცია იყო. 1911 წლის დამდეგს ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან ბრძოლის ნიადაგზე მოხდა ბოლშევიკების და პარტიელი-მენშევიკების გაერთიანება. შეიქმნა რსდმ პარტიის ბაქოს გაერთიანებული კომიტეტი. ბაქოს ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებებს სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნაში.

კ ი ე ვ ი ს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რეაქციის წლებში თითქმის განუწყვეტლივ მუშაობდა; 1910 — 1911 წლებში ბოლშევიკები მუშაობდნენ პარტიელ-მენშევიკებთან ერთად. კიევის ორგანიზაციამ პირველმა დაუჭირა მხარი ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირს და პარტიული კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის იდეას, რისთვისაც გამოჰყო კიევის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლის დასახმარებლად. — **414.**

115 იგულისხმება რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ფურცელი, გამოცემული 1911 წლის შემოდგომაზე. — **415.**

116 ლენინს მხედველობაში აქვს გ. კ. ორჯონიკიძის წერილი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მიმართ, გამოქვეყნებული 25-ე ნომერში 1911 წლის 8 (21) დეკემბერს ნ.-ს ხელმოწერით. — **416.**

117 ქალაქი Z — ბრიუხელი, სადაც იმყოფებოდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული კომიტეტი. — **418.**

118 ლაპარაკია ოტზოვისტ სტანისლავ ვოლსკიზე (ფსევდონიმი ა. ვ. სოკოლოვისა). — **418.**

119 ლენინს მხედველობაში აქვს პეტერბურგელი ოტზოვისტების რეზოლუცია, რომელიც მათ წარუდგინეს პეტერბურგის კომიტეტის გაფართოებულ სხდომას 1908 წლის დეკემბრის საერთო-პარტიული კონფერენციის (რსდმ პარტიის მეხუთე კონფერენციის) წინ. რეზოლუცია დაიბეჭდა 1909 წლის 4 (17) აპრილის «პროლეტარის» 44-ე ნომრის დამატებაში. ამ დოკუმენტის კრიტიკული გარჩევა ლენინმა მოგვცა იმავე დამატებაში, სტატიაში «ბოლშევიზმის კარიკატურა» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 15, გვ. 466 — 481). — **432.**

120 მ. ალექსანდროვი — ბოლშევიკი მ. ს. ოლმინსკი. აქ და ქვემოთ ლენინს მხედველობაში აქვს მისი ბროშურა «სახელმწიფო, ბიუროკრატია და აბსოლუტიზმი რუსეთის ისტორიაში». ს.-პეტერბურგი, 1910. — **432.**

121 ხელს აწერენ ლენინი და სხვები. — **435.**

122 საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ჯგუფთა თათბირი შესდგა პარიზში 1911 წლის 14 — 17 (27 — 30) დეკემბერს. თათბირი მოწვეული იყო ბოლშევიკური «რაბოჩაია გაზეტას» დამხმარე პარიზის წრის თაოსნობით. თათბირის მიზანი იყო საზღვარგარეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემჭიდროება და სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის ხელისშეწყობა. თათბირში მონაწილეობა მიიღო პარიზის, ნანსის, ციურიხის, დავოსის, ჟენევის, ლიეჟის, ბერნის, ბრემენისა და ბერლინის ბოლშევიკური ჯგუფების 11 დელეგატმა გადამწყვეტი ხმით. მოხსენებით პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ლენინი. ამ საკითხზე თათბირის მიერ მიღებულ საერთო რეზოლუციას საფუძვლად დაედო რეზოლუციის პროექტი, დაწერილი ლენინის მიერ. «ცნობა» და თათბირის რეზოლუციები ცალკე ფურცლად გამოსცა რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტმა 1912 წლის 12 იანვარს (იხ. სტ.) (იხ. «საკავ-

შირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 170 — 175).

დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **467.**

123 რეზოლუცია მიღებულია 1911 წლის 17 (30) დეკემბერს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ჯგუფთა თათბირის უკანასკნელ სხდომაზე. რეზოლუცია გამოქვეყნდა რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის «ცნობაში» შემდეგი განმარტებით: «საგანგებო რეზოლუციით თათბირმა მიუთითა ყველა პარტიულ ამხანაგს ენერგიულად დაუჭირონ მხარი რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტს და მის მიერ მოსაწვევ კონფერენციას» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 174).

დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **471.**

124 ლაპარაკია გლეხთა (უპარტიო და მემარჯვენე) დეპუტატების მიწის პროექტზე, რომელიც შეიტანეს III სახელმწიფო სათათბიროში 1908 წლის 10 (23) მაისს. პროექტი ითვალისწინებდა საშუალო საბაზრო ფასად მემამულეთა იმ მიწის იძულებითს გასხვისებას, რომელსაც თვით მფლობელი არ ამუშავებდა. მიწის რეფორმის გასატარებლად უნდა შექმნილიყო ადგილობრივი საადგილმამულო კომისიები, არჩეული საყოველთაო ხმისმიცემით. ამ პროექტის შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიებში «ახალი აგრარული პოლიტიკა» და «აგრარული კამათი III სათათბიროში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 572 — 577 და ტომი 15, გვ. 368 — 386. — **498.**

125 ლენინს ციტატი მოჰყავს კ. მარქსის 1859 წლის 19 აპრილის წერილიდან ფ. ლასალისადმი. როდესაც ლენინი ამ სტატიას წერდა, მარქსის წერილი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. ლენინი სარგებლობდა ამ წერილის ამონაწერებით, რომლებიც ლასალს მოყვანილი აქვს 1859 წლის 27 მაისის საპასუხო წერილში მარქსისა და ენგელსისადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 110 — 112). — **499.**

126 «ობსკაია ჟიზნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა ნოვონიკოლაევსკში (ნოვოსიბირსკში) 1909 — 1912 წლებში. — **502.**

127 შეკითხვები განიხილეს III სახელმწიფო სათათბიროს 1911 წლის 15 და 17 (28 და 30) ოქტომბრის სხდომებზე. — 517.

128 ი ე ლ ი ნ ე კ ი — გერმანელი ბურჟუაზიული სამართლის მცოდნე. — 529.

129 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მ ე ე ქ ვ ს ე («პ რ ა ღ ი ს») კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შესდგა 1912 წლის 5 — 17 (18 — 30) იანვარს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი პარტიული ორგანიზაცია. კონფერენციას ფორმალურად პარტიის ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინი კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ, მოხსენებებით თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ, შიმშილობასთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ, ორგანიზაციულ საკითხზე, ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებზე. მომხსენებლად კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე. ლენინის წინადადებით კონფერენციამ აღნიშნა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა.

კონფერენციის ოცდასამი სხდომიდან ხუთი სხდომა მოუნდა ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებათა განხილვას. შენახულია ლენინის ჩანაწერები მოხსენებებისა პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ შემდეგ ორგანიზაციებში: პეტერბურგის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის, თბილისის, ბაქოს, ოდესის, ხარკოვის, დონის-როსტოვისა და კიევის. ლენინის მიერაა დაწერილი რეზოლუციების პროექტები კონფერენციის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. მ. სვერდლოვი, ს. ს. სპანდარიანი და სხვები. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს დაუსწრებლად, რადგან გადასახლებული იყვნენ. ცენტრალური კომიტეტის კანდიდატთა შორის არჩეული იქნა მ. ი. კალინინი. შექმნილ იქნა რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელი პრაქტიკული ცენტრი—ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

კონფერენციის დადგენილებით მენშევიკები განდევნილ იქნენ პარტიიდან, სამუდამოდ მოეღო ბოლო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფორმალურ გაერთიანებას ერთ პარტიაში. პრაღის კონფერენციამ

საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის პარტიას, ლენინიზმის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას. (პრაღის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ. იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 180—188). — **539.**

130 დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **541.**

131 დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **546.**

132 «ს ა პ ე ტ ი ც ი ო კ ა მ პ ა ნ ი ა»—საგიტაციო აურზაური, რაც ლიკვიდატორებმა და ტროცკიმ ასტეხეს 1910 წლის დეკემბერში პეტერბურგელი ლიკვიდატორების მიერ შედგენილი «პეტიციის» გარშემო. განზრახული იყო «პეტიცია» — თხოვნა კავშირების, კრებების, გაფიცვების თავისუფლების შესახებ მუშების სახელით გაეგზავნათ III სახელმწიფო სათათბიროში. «საპეტიციო კამპანიას» მუშათა მასებში წარმატება არ ჰქონია. — **573.**

133 იგულისხმება ტროცკის ფრაქციული მენშევიკურ-ლიკვიდატორული გაზეთი — ვენის «პრავდა». — **577.**

134 ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი (სოკ) შეიქმნა 1911 წლის დეკემბერში საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ჯგუფთა თათბირზე. საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის ამოცანები გაშუქებულია თათბირის მიერ მიღებულ საერთო რეზოლუციაში (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 174). — **579.**

135 1912 წლის იანვარში დამთავრდა გერმანიის რეიხსტაგის საარჩევნო კამპანია. მისალმება რსდმ პარტიის სახელით გერმანიის სოციალ-დემოკრატიისადმი დაიბეჭდა გაზეთ **«Vorwärts»**-ში 1912 წლის 27 იანვარს (იხ. სტ.). — **581.**

136 «ჟ ი ვ ო ე დ ე ლ ო» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 20 იანვრიდან (2 თებერვლიდან) 28 აპრილამდე (11 მაისამდე). გამოვიდა 16 ნომერი. — **582.**

137 ხუთი დიდი ქალაქი, სადაც საარჩევნო კანონის მიხედვით არსებობდა პირდაპირი არჩევნები ხელახალი კენჭისყრით, იყო: პეტერბურგი, მოსკოვი, რიგა, კიევი და ოდესა. — **586.**

138 «გ ო ლ ო ს ზ ე მ ლ ი» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წელს.

«რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან; დაიხურა 1917 წლის ნოემბერში.

«კ ი ე ვ ს კ ა ია მ ი ს ლ» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა კიევში 1906-დან 1918 წლამდე. გაზეთში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები. — **587.**

139 ლენინის მოხსენება როგორც ოფიციალური ცნობა რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის უკვე ჩატარებული კონფერენციის შესახებ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანმა კ. ჰუისმანსმა დაუგზავნა ყველა სოციალისტურ პარტიას. ცნობა იგზავნებოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ცირკულართან ერთად თხოვნით სოციალისტური პარტიების მიმართ — გამოექვეყნებინათ იგი თავიანთ ბეჭდვითს ორგანოებში. ცნობა კონფერენციის შესახებ გამოქვეყნდა ბელგიის მუშათა პარტიის ორგანოში **«Le Peuple»** («ხალხი») 1912 წლის 23 მარტს (ახ. სტ.), გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში **«Vorwärts»** 1912 წლის 26 მარტს (ახ. სტ.) (№ 72, დამატება 1) და სხვა გაზეთებში. გაზეთმა **«Vorwärts»**-მა ცნობას კონფერენციის შესახებ დაურთო ტროცკის ცილისმწამებლური კომენტარები (იხ. ამის შესახებ ლენინის სტატია **««Vorwärts»**-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში» — ეს ტომი, გვ. 639 — 655). — **603.**

140 «რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა» ვ. ი. ლენინმა დაწერა პარიზში მალე პრაღის კონფერენციის შემდეგ. რუსეთში საარჩევნო პლატფორმა გამოიცა ცალკე ფურცლად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და ვრცელდებოდა ფურცელთან ერთად «პარტიისათვის!», რომელიც დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 226 — 232). ფურცლები მიუვიდა 18 პუნქტს, მათ შორის უდიდეს პროლეტარულ ცენტრებს. «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა», გადმობეჭდილი რუსული გამოცემიდან, დამატების სახით დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 26-ე ნომერში. იგი ხელახლა გამოსცა აგრეთვე მრავალმა ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. თბილისში პლატფორმა გადმობეჭდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომატეტის რუსეთის ბიურომ. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ვ. ი. ლენინმა გააშუქა სტატიაში «რეფორმისტების პლატფორმა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პლატფორმა». — **606.**

141 1 9 0 6 წ ლ ი ს 4 მ ა რ ტ ი ს კ ა ნ ო ნ ი — დროებითი წესება საზოგადოებების, კავშირებისა და კრებების შესახებ—ნებას იძლეოდა

მოეწყოთ საზოგადოებები, კავშირები და სხვა, მაგრამ ამასთანავე ქმნიდა მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომელნიც ფაქტიურად არარად აქცევდნენ კანონს. კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას ანიჭებდა, მისი მიხედულებისამებრ, არათუ დაეხურა საზოგადოებანი და კავშირები, არამედ ახალი კავშირების რეგისტრაციაში გატარებაზედაც უარი ეთქვა. — **609.**

142 დოკუმენტი წარმოადგენს მინაწერს ფურცლად გამოცემული «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმის» ავტორიზებული ასლისადმი. ხელნაწერს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **615.**

143 სტატია «გ ა დ მ ო შ ა ლ ე თ თ ქ ვ ე ნ ი ბ ა ნ ქ ო» ლენინმა დაწერა პარიზში 1912 წლის მარტში და განკუთვნილი იყო ბოლშევიკური გაზეთის «ზვეზდისათვის», მაგრამ იმ დროს არ დაბეჭდილა. სტატიას **Postscriptum**-ის სახით დართული ჰქონდა წერილი გაზეთის რედაქციის მიმართ. — **616.**

144 «მ ო ნ ა კ ო ს ს ა მ თ ა ვ რ ო ს ე ნ ა» — ბანქოს აზარტულ მოთამაშეთა ენა. — **616.**

145 იგულისხმება წიგნი «სახელმწიფო სათათბირო. III მოწვევის მე-3 სესია. ცნობარი. 1910. ნაკვ. 2». სპბ, 1910. — **623.**

146 ბროშურა «ა მ ო მ რ ჩ ე ვ ლ ი ს თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი (ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო კ ა ნ ო ნ ი)» გამოვიდა პეტერბურგში 1912 წელს.

ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა «ამომრჩევლის თანამგზავრის» გამოცემას და უშუალოდ ადგენდა და რედაქციას უკეთებდა მასალებს ამ წიგნისათვის. წერილში გაზეთ «ზვეზდის» რედაქციის მიმართ 1912 წლის 9 (22) აპრილს ის ურჩევდა რედაქციას კრებულში მოეთავსებინათ მეორე და მესამე თავი სტატიისა «IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია» (იხ. ეს ტომი, გვ. 443 — 456). ლენინი ურჩევდა რედაქციას გამოეცათ «საფუძვლიანი რამ», რაც «გონივრულ ხელმძღვანელობას გაუწევდა არჩევნებს და სარგებლობას მოიტანდა». მაგრამ «ზვეზდის» რედაქციამ შესძლო წიგნის მხოლოდ პირველი ნაწილის გამოშვება, რომელიც ეხებოდა უშუალოდ საარჩევნო კანონს და სათათბიროს არჩევნების წესს. — **623.**

147 1912 წლის თებერვალში III სათათბიროს ირკუტსკის გუბერნიის დეპუტატმა მენშეევიკ-ლიკვიდატორმა ტ. ო. ბელოუსოვმა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში შეიტანა განცხადება ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ფრაქციის გადაწყვეტილება ამ საქმეზე დაიბეჭდა გაზეთ «ზვეზდაში» 1912 წლის 23 თებერვალს (7 მარტს). როდესაც ლენინი თავის სტატიას წერდა, მან არაფერი

იცოდა ირკუტსკის საბირჟო კომიტეტთან ბელოუსოვის მიწერ-მოწერაზე, სადაც ბელოუსოვი მადლობას უძღვნიდა კომიტეტს «მხარდაჭერისა და ნდობისათვის».

«ზვეზდის» რედაქციამ ვ. ი. ლენინის სტატიის მოთავსებასთან ერთად მკითხველებს გააცნო ამ მიწერ-მოწერის შინაარსი. — **625.**

148 ბროშურა წარმოადგენს პასუხს ტროცკის ანონიმურ ცილისმწამებლურ გამოსვლაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში (**«Vorwärts»**) პრაღის კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. — **639.**

149 იგულისხმება ანტიპარტიული, ცილისმწამებლური რეზოლუცია, მიღებული პარიზში 1912 წლის 12 მარტს (ახ. სტ.) ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის, «ვპერიოდის» ჯგუფის, «გოლოს სოციალ-დემოკრატას», ტროცკის ვენური «პრავდის», პარტიელ-მენშევიკთა და შემარიგებელთა წარმომადგენლების თათბირზე. თათბირის რეზოლუცია მიმართული იყო სრულიად რუსეთის («პრაღის») პარტიული კონფერენციისა და მის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. იგი გამოიცა ცალკე ფურცლად და დაიბეჭდა ვენის «პრავდაში» და ბუნდის «ინფორმაციონნი ლისტოკის» მე-4 ნომერში. ამ რეზოლუციის გამო ლენინმა, როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, ოფიციალური განცხადება და შემდეგ წერილი გაუგზავნა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰუისმანსს (იხ. ეს ტომი, გვ. 655—660). — **641.**

150 ლაპარაკია რსდმ პარტიის მეხუთე კონფერენციის («1908 წლის საერთო-რუსეთისა») რეზოლუციაზე «ადგილებზე ნაციონალურ ორგანიზაციათა გაერთიანების შესახებ» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმთა რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 131). — **645.**

151 «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური ორგანო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის «მისლის» ნაცვლად, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს», რედაქციას უკეთებდა სტატიებს, რეგულარულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან. ჟურნალში გამოქვეყნდა ლენინის ნაშრომები: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «მარქსიზმის სამი

წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვა.

პეტერბურგში ყოფნის დროს 1912 და 1913 წლებში ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ნაშრომი «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც 1914 წელს ცალკე ბროშურად გამოიცა სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი» (იხ. ი. ბ. სტალინი «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395).

ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. სამხატვრო-ლიტერატურულ განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი აღწევდა 5 000 ეგზემპლარს. პირველი მსოფლიო ომის წინახანებში ჟურნალი დახურა მთავრობამ. 1917 წლის შემოდგომაზე «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, სადაც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **653.**

152 ლენინის წერილი საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ 1912 წლის 12 აპრილს (ახ. სტ.) დაუგზავნა ყველა სოციალისტურ პარტიას წინადადებით — გამოექვეყნებინათ იგი პრესაში. — **656.**

153 ფ. ლ — კ ო, ვ. ფ რ ე ი — ვ. ი. ლენინის ფსევდონიმები. — **669.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1910* წლის დეკემბერი—*1912* წლის აპრილი)

1910

შუა დეკემბერი	ლენინი პარიზიდან სწერს წერილს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიას პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.
დეკემბერი, 23 თუ 24 (1911 წლის 5 თუ 6 იანვარი).	ლენინის სტატია «პარტიაში არსებული ვითარების შესახებ» დაიბეჭდა ფურცლად — «რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» მე-19 ნომრის ამონაბეჭდის სახით».
დეკემბერი, 23 (1911 წლის 5 იანვარი).	ლენინის სტატია «მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-2 ნომერში.

1911

წლის დამდეგი.	ლენინი წერს შენიშვნას «იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლის შესახებ».
იანვარი, 5 (18).	ლენინი პარიზში კითხულობს რეფერატს ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ.
იანვარი, 13 (26).	გამოდის «სოციალ-დემოკრატის» მე-19 — 20 ნომერი ლენინის სტატიით «რუსი ტერორისტის კარიერა». გაზეთის ამ ნომრის დამატებაში დაიბეჭდა ლენინის სტატია «პარტიაში არსებული ვითარების შესახებ».
იანვარი, 22 (თებერვალი, 4).	ლენინის სტატია «ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-6 ნომერში.
იანვარი.	ლენინი წერს სტატიას «მარქსიზმი და «ნაშა ზარია»». სტატია დაიბეჭდა ჟურნალ «სოვრემენნაია ჟიზნის» მე-3 ნომერში (ბაქო) 22 აპრილს (5 მაისს).

თებერვალი, 5 (8)-მდე.	გამოდის ჟურნალ «მისლის» მე-2 ნომერი ლენინის სტატიით «ჩვენი გამაუქმებელნი (ბ-ნ პოტრესოვისა» და ვ. ბაზაროვის შესახებ)».
თებერვალი, 5 (18).	ლენინის სტატია «კადეტები «ორი ბანაკისა» და «გონივრული კომპრომისის» შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდა»ს» მე-8 ნომერში.
თებერვალი, 8 (21).	«რაბოჩაია გაზეტას» მე-3 ნომერში დაიბეჭდა ლენინის სტატიები «ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წლისთავი» და «პავლე ზინგერი».
თებერვალი, 20 — 23 (მარტი, 5 — 8).	ლენინი წერს სტატიას «შენიშვნები. მენშიკოვი, გრომობოი, იზგოევი». სტატია გამოქვეყნდა «ზვეზდის» მე-11 ნომერში, 26 თებერვალს (11 მარტს).
თებერვალი, 22 თუ 23 (მარტი, 7 თუ 8).	წერილში «ზვეზდის» რედაქციისადმი ლენინი ააშკარავებს ლიკვიდატორთა შანტაჟისტურ ტაქტიკას და მოითხოვს მედგარ და თანამიმდევარ ბრძოლას მათ წინააღმდეგ.
თებერვალი.	ლენინი სწერს წერილს «ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიას» «გოლოსელთა» (ლიკვიდატორთა), «ვპერიოდელთა» და ტროცკის გამთიშველი მოქმედების შესახებ.
მარტი, 5 (18)-მდე.	გამოდის ჟურნალ «მისლის» მე-3 ნომერი ლენინის სტატიით «იუბილეს გამო» და სტატიის — «ჩვენი გამაუქმებელნი» ბოლო ნაწილით.
მარტი, 19 (აპრილი, 1).	ლენინის სტატიები ««საგლეხო რეფორმა» და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია» და «პარტიის დამრღვევნი «ლეგენდების დამრღვევთა» როლში» გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 21 — 22-ე ნომერში.
მარტი, 26 — 29 (აპრილი, 8 — 11).	ლენინი წერს სტატიას «კადეტები და ოქტიაბრისტები». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-16 ნომერში 2 (15) აპრილს.
აპრილი, 9 — 18 (22 — 26).	ლენინი წერს სტატიას «ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესი». სტატია დაიბეჭდა გაზეთ

«ზვეზდის» მე-18 ნომერში 1911 წლის 16 (29) აპრილს.

აპრილი, 15 (28). ლენინის სტატია «კომუნის ხსოვნას» გამოქვეყნდა «რაბოჩაია გაზეტას» მე-4 — 5 ნომერში.

აპრილი, 16 (29)-მდე. გამოდის ჟურნალ «მისლის» მე-4 ნომერი ლენინის სტატიებით «ძალაუფლების სოციალური სტრუქტურისა, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის შესახებ» და «პოლემიკური შენიშვნები».

აპრილი, 16 (29). ლენინის სტატია «კრიზისის მნიშვნელობის შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «ზვეზდის» მე-18 ნომერში.

აპრილი, 29 (მაისი, 12). ლენინის სტატიები «ლეგალისტის საუბარი ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგესთან» და «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» გამოქვეყნდა «დისკუსსიონნი ლისტოკის» (დამატება ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატისა») მე-3 ნომერში.

მაისი, არა უგვიანეს 4 (17)-ისა. ლენინი წერს სტატიას ««სინანული» და «სირცხვილი»». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-21 ნომერში 7 (20) მაისს.

მაისი, 8 (21). ლენინი და კრუპსკაია ერთი დღით ჩადიან ფონტენბლოში (სენისა და მარნის დეპარტამენტი).

მაისის დამდეგი. ლენინი ატყობინებს ა. მ. გორკის ჟურნალ «მისლის» მე-5 ნომერზე ყადაღის დადებისა და მისი შემდგომი გამოსვლის აკრძალვის შესახებ; სთხოვს დახმარებას გამომცემლის მოძებნაში ახალი ჟურნალის გამოსაცემად პეტერბურგში.

მაისი, 14 (27). ლენინი უგზავნის წერილს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ მცხოვრებ წევრებს და სთხოვს მონაწილეობა მიიღონ თათბირში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის საკითხზე.

19 და 23 მაისს (1 და 5 ივნისს) შუა. ლენინი სწერს წერილს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს საზღვარგარეთ, ამხელს ლიკვიდატორთა ინტრიგანობას, რომლებიც რსდმ პარ-

ტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის ჩაშლას ლამობენ.

19 და 28 მაისს (1 და 10 ივნისს) შუა. ლენინი წერს «კონსპექტს (გეგმას) სამი ცეკისტი ბეკის მოხსენებისა ცენტრალური კომიტეტის ცხრა წევრის კერძო თათბირისათვის».

მაისი, 28 (ივნისი, 10). ლენინის სტატია «სათათბიროს სესიის შედეგებისათვის. «ერთად ვაკეთებდით»» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 24-ე ნომერში.

მაისი, 28—ივნისი, 4 (ივნისი, 10—17). ლენინი ხელმძღვანელობს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირის მუშაობას; თათბირი მისი თაოსნობით პარიზში იყო მოწვეული ზომების შესამუშავებლად რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და საერთო-პარტიული კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევისათვის.

ივნისი, 11 (24). ლენინის სტატია «ძველ, მაგრამ მუდამ ახალ ჭეშმარიტებათა შესახებ» დაიბეჭდა გაზეთ «ზვეზდის» 25-ე ნომერში.

ივნისი, 18 (ივლისი, 1). ლენინი მონაწილეობას იღებს რსდმ პარტიის დამხმარე პარიზის II ჯგუფის კრებაში და შეაქვს პროექტი რეზოლუციისა პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჯგუფი ღებულობს რეზოლუციას და 1911 წლის ივლისში იგი გამოდის ცალკე ფურცლად.

ივლისი, 20 (აგვისტო, 2). ლენინი წერს წინასიტყვაობას ბროშურისათვის «ორი პარტია».

ივლისი. ლენინი ინსტრუქტაჟს უწევს მ. ა. საველიევს, რომელიც დანიშნული იყო ლეგალური ბოლშევიკური ჟურნალის «პროსვეშჩენიეს» რედაქტორად, და უთანხმდება მას რა წესით შეუძლია მონაწილეობის მიღება ჟურნალის რედაქტირებაში საზღვარგარეთიდან.

გაზაფხული და ზაფხული, 17 (30) აგვისტომდე. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ცხოვრობენ ლონჟიუმოში (პარიზის ახლოს).

ლენინი ხელმძღვანელობას უწევს ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მოწყობას.

ლენინი ამ სკოლაში კითხულობს ლექციების კურსს პოლიტიკურ ეკონომიაში (30 ლექცია), აგრარულ საკითხზე (10 ლექცია), სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში (5 ლექცია).

სექტემბერი, 1 (14). «სოციალ-დემოკრატის» 23-ე ნომერში იბეჭდება ლენინის სტატიები «რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», «სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან. ძღვნად ჩვენებურ «შემარიგებლებსა» და «შემთანხმებლებს»» და «შენიშვნა «სოციალ-დემოკრატის» «რედაქციისაგან» რსდმ პარტიის ცკ-ის პლენუმის მომწვევი კომისიის განცხადების გამო».

სექტემბერი, 2 (15). ლენინი წერილით სთხოვს ა. მ. გორკის განაგრძოს თანამშრომლობა გაზეთ «ზვეზდაში».

სექტემბერი, 9—10 (22 — 23). ციურიხს მიმავალი ლენინი ჩერდება ლუცერნში და ადის პილატუსის მთის მწვერვალზე.

სექტემბერი, 10 — 11 (23 — 24). ლენინი ციურიხში მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაში, იცავს როზა ლუქსემბურგის პოზიციას გერმანელი სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

სექტემბერი, 12 (25). ლენინი ციურიხში რსდმ პარტიის ადგილობრივი ჯგუფის კრებაზე აკეთებს მოხსენებას პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სექტემბერი, 13 (26). ლენინი ციურიხში კითხულობს რეფერატს თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია».

სექტემბერი, 15 (28). ლენინი ბერნში კითხულობს რეფერატს თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია».

სექტემბერი, 19 (ოქტომბერი, 2). ლენინი ჟენევაში კითხულობს რეფერატს თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია».

ოქტომბერი, 18 (31). გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 24-ე ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები: «სტოლიპინი და რევოლუცია», «შემარიგებელთა ანუ სათნოიანთა ახალი ფრაქციის შესახებ», «საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ» და «სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან».

ლენინი პარიზში კითხულობს რეფერატს თემაზე «სტოლიპინი და რევოლუცია».

ოქტომბერი, 19 (ნოემბერი, 1). ლენინი შეკითხვას უგზავნის ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, შესაძლებელია თუ არა რსდმ პარტიის კონფერენციის მოწვევა პრაღაში და სთხოვს დახმარებას კონფერენციის მოწყობის საქმეში.

ოქტომბერი, 23 (ნოემბერი, 5). ლენინის სტატია «შედეგი» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 26-ე ნომერში.

ნოემბერი, 5 (18). ლენინის სტატიები «ორი ცენტრი» და «ძველი და ახალი. გაზეთის მკითხველის შენიშვნებიდან» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 28-ე ნომერში.

ნოემბერი, 14 (27). ლენინი პარიზში კითხულობს რეფერატს თემაზე «ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი».

ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3). ლენინი წარმოთქვამს სიტყვას რსდმ პარტიის სახელით პოლ და ლაურა ლაფარგების დაკრძალვაზე. სიტყვა გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 25-ე ნომერში 8 (21) დეკემბერს.

ნოემბერი, 26 (დეკემბერი, 9). ლენინის სტატია «ჰაინდმანი მარქსის შესახებ» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 31-ე ნომერში.

ნოემბრის დამლევი — დეკემბრის დამდეგი. ლენინი წერს სტატიას (მოხსენებას) «II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ». სტატია გამოქვეყნდა «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდული ბიულეტენის» მე-8 ნომერში 1911 წლის დეკემბერს.

დეკემბერი, 3 (16). ლენინის სტატია «ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 32-ე ნომერში.

დეკემბერი, 8 (21). ლენინის სტატიები: „ლოზუნგების შესახებ და სათათბიროში და სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაყენების შესახებ», «ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურა», «პარტიული კრიზი-

სის დასასრული», «სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან», «ტროცკის დიპლომატიისა და პარტიელების ერთი პლატფორმის შესახებ» და ««შემნახველთა» სამედიატორო სასამართლოს შედეგები» გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 25-ე ნომერში.

დეკემბერი, 10 (23). ლენინის სტატია «ძველი და ახალი» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 33-ე ნომერში.

დეკემბერი, 10 (23) —1912 წლის 6 (19) იანვარი. ლენინის სტატიები საერთო სათაურით «IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია» დაიბეჭდა 1911 წლის გაზეთ «ზვეზდის» 33-ე, 34-ე, 36-ე და 1912 წლის 1-ლ ნომრებში.

დეკემბერი, არა უგვიანეს 14 (27)-ისა. ლენინი ემზადება საზღვარგარეთის ბოლშევიკური ჯგუფების თათბირისათვის: მუშაობს მოხსენების თეზისებზე პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, წერს პროექტს რეზოლუციისას «პარტიული სოციალ-დემოკრატიული ძალების ორგანიზაცია საზღვარგარეთ და ბოლშევიკების ამოცანები».

დეკემბერი, 14—17 (27 — 30). ლენინი პარიზში ხელმძღვანელობს საზღვარგარეთის ბოლშევიკური ჯგუფების თათბირს.

დეკემბერი, 14 (27). ლენინი თათბირს ხსნის მისასალმებელი სიტყვით, გამოდის მოხსენებით პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დეკემბერი, 15 (28). ლენინი ხელმძღვანელობს კამათს თათბირზე და საბოლოო სიტყვას ამბობს თავისი მოხსენების გამო.

დეკემბერი, 16 — 17 (29 — 30). ლენინი მონაწილეობას იღებს რეზოლუციის საბოლოო ტექსტის შემუშავების გამო გამართულ კამათში. ლენინის წინადადებით თათბირი ირჩევს საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტს და ავალებს მას წესდების შემუშავებას.

ლენინი გამოდის კამათში რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტისა და მოსაწვევი პარტიული კონფერენციის მხარის დაჭერის საკითხზე. თათბირი ღებულობს ლენინის მიერ შემოტანილ რეზოლუციას.

დეკემბერი, 17 (30)-მდე — გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» 1-ლი ნომერი ლენინის სტატიებით: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები» (სტატიის დასაწყისი), «მხილებათა დასაწყისი კადეტთა პარტიის მოლაპარაკების შესახებ მინისტრებთან» და «სამი შეკითხვა».

დეკემბერი, 22 (1912 წლის 4 იანვარი). — ლენინის სტატია «შიმშილობა და შავი სათათბირო» გამოქვეყნდა «რაბოჩაია გაზეტას» მე-7 ნომერში.

წლის ბოლო. — ლენინი წერს კონსპექტს მოხსენებისას პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

1912

იანვარი, 5 — 17 (18 — 30). — ლენინი ხელმძღვანელობს რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციას; გამოდის სიტყვით კონფერენციის გახსნისას და მოხსენებით თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ; თავმჯდომარეობს სხდომებს; წერს პროექტებს რეზოლუციებისას კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ, თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ, შიმშილობასთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ, საპეტიციო კამპანიის შესახებ; ადგენს პარტიის ორგანიზაციული წესდების ცვლილებათა პროექტს.

იანვარი, 5 (18). — ლენინი კონფერენციაზე გამოდის სიტყვით კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ.

იანვარი, 6 (19). — ლენინი კონფერენციის მესამე სხდომაზე აკეთებს ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა ჩანაწერებს.

იანვარი, 7 (20). — ლენინი კონფერენციის მეხუთე სხდომაზე გამოდის სიტყვით ცენტრალური ორგანოს მუშაობის შესახებ და მოხსენებით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ; უპასუხებს დელეგატთა შეკითხვებზე და გამოდის კამათში ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა გამო წარმოდგენილი რეზოლუციების განხილვის დროს.

ლენინი კონფერენციის მეექვსე სხდომაზე ორჯერ გამოდის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ მის მიერ გაკეთებულ მოხსენების გამო გამართულ კამათში.

იანვარი, 8 (21). ლენინი კონფერენციის მერვე სხდომაზე გამოდის კამათში შიმშილობასთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის ამოცანების საკითხზე.

კონფერენცია ღებულობს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციის პროექტს ამ საკითხზე.

9 და 13 (22 და 26) იანვარს შუა. კონფერენციის დავალებით ლენინი ადგენს მისალმებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიისადმი გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში მისი წარმატების გამო. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «Vorwärts»-ში 1912 წლის 27 იანვარს (ახ. სტ.).

იანვარი, 10 (23). ლენინი კონფერენციის მეთერთმეტე სხდომაზე გამოდის სიტყვით კამათში საზღვარგარეთ პარტიული მუშაობის საკითხზე.

იანვარი, 11 (24). ლენინი კონფერენციის მეთორმეტე სხდომაზე გამოდის სიტყვით ორგანიზაციულ საკითხზე.

იანვარი, 12 (25). ლენინის მიერ დაწერილ პროექტს რეზოლუციისას თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ ღებულობენ კონფერენციის მეთხუთმეტე სხდომაზე.

12 და 17 (25 და 30) იანვარს შუა. პრაღის კონფერენცია ლენინს ირჩევს ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

ვ. ი. ლენინის წინადადებით კონფერენცია ცენტრალურ კომიტეტში დაუსწრებლად ირჩევს ი. ბ. სტალინს და აყენებს მას ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს სათავეში.

იანვარი, 19 (თებერვალი, 1). ლენინი ლეიფციგში ხვდება სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს და აცნობს მათ პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

იანვრის ბოლო. ლენინი ლეიფციგიდან მიდის ბერლინში ყოფილ «შემნახველთაგან» პარტიის კუთვნილი ფულის მისაღებად, პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად.

იანვრის ბოლო — თებერვლის დამდეგი. ვ. ი. ლენინი წერილით აცნობებს ა. მ. გორკის რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის საერთო-პარტიული კონფერენციის ჩატარებას და სთხოვს დასწეროს საპირველმაისო ფურცელი რუსეთში გამოსაცემად.

შუა თებერვალი. ვ. ი. ლენინი ავალებს ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრს გ. კ. ორჯონიკიძეს პირადად გააცნოს ვოლოგდაში მყოფ ი. ბ. სტალინს პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებები.

თებერვალი, 19 (მარტი, 3). ლენინის სტატია «ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ორგანო» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-11 ნომერში.

თებერვალი, 28 (მარტი, 12). ლენინი სწერს წერილს რსდმ პარტიის დამხმარე ბერლინის ჯგუფს პრაღის კონფერენციის მუშაობის, მისი შემადგენლობის, კონფერენციის დელეგატთა მიერ ადგილებზე გაკეთებული მოხსენებების შესახებ; ააშკარავებს ლიკვიდატორების ცდას თავიანთი კონფერენციის მოწვევის შესახებ.

თებერვალი. ლენინი რედაქციას უკეთებს ბროშურას «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად რუსეთის 1912 წლის კონფერენცია». ბროშურა გამოვიდა პარიზში 1912 წლის თებერვალში, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემით.

მარტი, არა უადრეს 2 (15)-ისა. ლენინი წერს სტატიას «ლიკვიდატორებთან გაერთიანების წინააღმდეგ». სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მე-3 — 4 ნომერში 1912 წლის თებერვალ — მარტში.

მარტი, 4 (17). ლენინის სტატია «პოლიტიკური პარტიები მესამე საათბიროს 5 წლის მანძილზე» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-14 ნომერში.

მარტი, 5 (18). ლენინიხ მოხსენებას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსადმი რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანი უგზავნის სოციალისტურ პარტიებს 18 მარტის (ახ. სტ.) № 4 ცირკულართან ერთად პარტიულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.

მარტის დამდეგი. ლენინი წერს «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმას». პლატფორმა გამოვიდა რუსეთში ცალკე ფურცლად 1912 წლის მარტში და საზღვარგარეთ — აპრილში გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 26-ე ნომრის დამატებად.

მარტი, 12 — 13 (25 — 26). ლენინი წერს სტატიას «გადმოშალეთ თქვენი ბანქო».

ლენინი წერილში გაზეთ «ზვეზდის» რედაქციის მიმართ სთხოვს გამოუგზავნონ მას წიგნები 1907 წლის 3 (16) ივნისის საარჩევნო კანონის შესახებ და სხვა მასალები, რაც საჭიროა ბროშურის — «ამომრჩევლის თანამგზავრი (ჩვენებური საარჩევნო კანონი)» შესადგენად და სარედაქციოდ; ეკითხება — გამოვიდა თუ არა ყოველდღიური მუშათა გაზეთი, რა ფორმატისაა ის და სხვ.

მარტი, 13 (26). ლენინი სწერს წერილს გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას საარჩევნო პლატფორმის გამო.

ლენინის სტატია «სათათბიროს ს.-დ. ფრაქციიდან დეპუტატ ტ. ო. ბელოუსოვის გასვლის გამო» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» მე-17 ნომერში.

18 და 19 მარტს (26 მარტსა და 1 აპრილს) შუა. ლენინი წერს ბროშურას «**«Vorwärts»**-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში». ბროშურა გამოვიდა 1912 წელს პარიზში რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის ცალკე გამოცემად.

მარტი, 15 (28). ლენინი წერილით ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს ი. ბ. სტალინის ადგილსამყოფელის შესახებ; მიუთითებს, რომ საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კავშირურთიერთობა სა-

ზღვარგარეთის ცენტრთან, მოითხოვს რაც შეიძლება საჩქაროდ შემოიარონ ორგანიზაციები მოხსენებებით პრაღის კონფერენციის შესახებ.

მარტი, 17 (30). «რაბოჩაია გაზეტას» მე-8 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატიები «შიმშილობა» და «გლეხობა და IV საათათბიროს არჩევნები».

28 და 26 მარტს (5 და 8 აპრილს) შუა. ლენინი წერს სტატიას «კადეტების ბლოკი პროგრესისტებთან და მისი მნიშვნელობა». სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 23-ე ნომერში 29 მარტს (11 აპრილს).

მარტის მეორე ნახევარი. ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია წერილით აცნობებენ გ. კ. ორჯონიკიძეს, რომ მათ თბილისის ორგანიზაციიდან მიიღეს «რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა» და ფურცლები «პარტიისათვის!», დაწერილი ი. ბ. სტალინის მიერ. ლენინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა შეუპოვარი, სისტემატური ბრძოლა ლიკვიდატორთა მხილებისათვის.

ლენინი პარიზში საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის მიერ მოწყობილ კრებაზე გამოდის სიტყვით პრაღის კონფერენციის შედეგების შესახებ.

მარტი, 30-მდე (12 აპრილამდე). ლენინი სწერს განცხადებას და წერილს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰუისმანსს — პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა საზღვარგარეთის ჯგუფების გამოსვლასთან დაკავშირებით.

ლენინის განცხადება საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ 30 მარტს (12 აპრილს) დაუგზავნა ყველა სოციალისტურ პარტიას № 7 ცირკულართან ერთად პარტიულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.

აპრილი, 1 (14). ლენინის სტატია «ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ცუდი დაცვა» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 24-ე ნომერში.

აპრილი, 8 (16). ლენინის სტატია «ხელახალი კენჭისყრა რუსეთში და მუშათა კლასის ამოცანები» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 25-ე ნომერში.

აპრილი, 8 და 19 (აპრილი, 21 და მაისი, 2).	ლენინის სტატია «ლიბერალიზმი და დემოკრატია» გამოქვეყნდა გაზეთ «ზვეზდის» 27-ე და 32-ე ნომრებში.
აპრილი, 9 (22)-მდე.	ლენინი რედაქციას უკეთებს «ამორჩევლის თანამგზავრს» და რედაქტირებულ მასალას უგზავნის გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას.
აპრილი.	ლენინი ხელმძღვანელობას უწევს ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდის» გამოცემის საქმეს.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1910 წ.

წერილი რსდმ პარტიის ცკ.-ის რუსეთის კოლეგიას 1 — 7

პარტიაში არსებული ვითარების შესახებ . . . 8—27

მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ . . . . . 28—34

1911 წ.

იუდუშკა ტროცკის სირცხვილის სიწითლის შესახებ 35

რუსი ტერორისტის ქარიერა . . . . . 36—38

ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა . . . . . 39—44

მარქსიზმი და «ნაშა ზარია» . . . . . 45—51

ჩვენი გამაუქმებელნი (ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის შესახებ) . . . . . 52—79

I 52
II 59
III 61
IV 67
V 74

ქადეტები «ორი ბანაკისა» და «გონივრული კომპრომისის» შესახებ . . . . . 80—85

ბატონყმობის გადავარდნის ორმოცდაათი წლისთავი . . . . . 86—90

პავლე ზინგერი . . . . . 91—94

შენიშვნები. მენშიკოვი, გრომობოი, იზგოევი 95—107

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიას . . 108—112

იუბილეს გამო . . . . . 113—123

«საგლეხო რეფორმა» და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია . . . . . 124—136

პარტიის დამრღვევნი «ლეგენდების დამრღვევთა» როლში . . . . . 137—142

კადეტები და ოქტიაბრისტები . . . . . 143—148

კომუნის ხსოვნას . . . . . 149—155

ძალაუფლების სოციალური სტრუქტურისა, პერსპექტივებისა და ლიკვიდატორობის შესახებ . . 156—182

პოლემიკური შენიშვნები . . . . . 183—187

კრიზისის მნიშვნელობის შესახებ . . . . 188—193

ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესი . . . . . 194—201

ლეგალისტის საუბარი ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგესთან . . . . . 202—214

«სინანული» და «სირცხვილი» . . . . . 215—222

მასალები რსდმპ ცკ-ის წევრთა თათბირისათვის 1911 წ. 28 მაისი—4 ივნისი (10—17 ივნისი) . . . . . 223—234

1. წერილი რსდმ პარტიის ცკ-ის წევრთა თათბირს საზღვარგარეთ 225

2. კონსპექტი (ბეგმა) სამი ცეკისტი ბეკის მოხსენებისა ცენტრალური კომიტეტის ცხრა წევრის კერძო თათბირისათვის 228

3. პროექტი რეზოლუციისა კონსტიტუირების შესახებ 234

სათათბიროს სესიის შედეგებისათვის. «ერთად ვაკეთებდით» . . . . . 235—240

ძველ, მაგრამ მუდამ ახალ ჭეშმარიტებათა შესახებ 241—247

რსდმ პარტიის პარიზის II ჯგუფის რეზოლუცია პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ . . 248—259

წინასიტყვაობა 248
I 249
II 253
III 254

წინასიტყვაობა ბროშურისა «ორი პარტია» . . 260—265

რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში . 266—282

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის განაკიდან (ძველად ჩვენებურ «შემარიგებლებს» და «შემთანხმებლებს») . . . . . 283—286

შენიშვნა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისაგან რსდმპ ც. კ.-ის პლენუმის მომწვევი კომისიის განცხადების გამო . . . . . 287—289

სტოლიპინი და რევოლუცია . . . . . 290—301

შემარიგებელთა ანუ სათნოიანთა ახალი ფრაქციის შესახებ . . . . . 302—328

საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ . . . . . 329—340

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის განაკიდან . . 341—346

შედეგი . . . . . 347—352

ორი ცენტრი . . . . . 353—356

ძველი და ახალი (გაზეთის მკითხველის შენიშვნებიდან) . . . . . 357—360

რსდმ პარტიის სახელით წარმოთქმული სიტყვა პოლ და ლაურა ლაფარგების დაკრძალვაზე 1911 წ. 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) . . . . . 361—362

ჰაინდმანი მარქსის შესახებ . . . . . 363—370

ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი . . 371—384
I 371
II 376
III 380

II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ. მთელი საქმის ვითარების გადმოცემა . . . . . 385—392

ლოზუნგების შესახებ და სათათბიროში და სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაყენების შესახებ . . . . . 393—406

ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურა 407

პარტიული კრიზისის დასასრული . . . . . 408—420

სტოლიპინური «მუშათა» პარტიის ბანაკიდან . . 421—427

ტროცკის დიპლომატიისა და პარტიელების ერთი პლატფორმის შესახებ . . . . . 428—433

«შემნახველთა» სამედიატორო სასამართლოს შედეგები . . . . . 434—436

IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია 437—460

I. ძირითადი პრინციპული საკითხები . . . 437
II. მუშათა ამრჩევლების როლი საარჩევნო კამპანიაში 443
III. გლეხობა და გლეხი ამრჩევლები საარჩევნო კამპანიაში 451
IV. დასკვნები მესამე სათათბიროს არჩევნების პრაქტიკიდან 457

ძველი და ახალი . . . . . 461—466

საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირი 1911 წლის 14 — 17 (27 — 30) დეკემბერი . . . . . 467—471

1. პროექტი რეზოლუციისა პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. ორგანიზაცია პარტიული სოციალ-დემოკრატიული ძა-

ლებისა საზღვარგარეთ და ბოლშევიკების ამოცანები 467

2. რეზოლუცია კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ 471

საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები . . 472—505

I. 472
II. 478
III. 482
IV. 485
V. 491
VI 498
VII 501

ეხილეგათა დასაწყისი კადეტთა პარტიის მოლაპარაკების შესახებ მინისტრებთან . . . . . 506—516

სამი შეკითხვა . . . . . 517—532

შიმშილობა და შავი სათათბირო . . . . 533—537

1912 წ.

რსდმპ სრულიად რუსეთის VI («პრაღის») კონფერენცია 1912 წ. 5—17 (18—30) იანვარი . . . . . 539—581

1. პროექტი რეზოლუციისა კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ. რეზოლუცია კონსტიტუირების შესახებ . . 541—542

2. პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე . . 543—545

3. პროექტი რეზოლუციისა ს.-დ. ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში . 546—548

4. პროექტი რეზოლუციისა ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ. ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ . . . . 549—551

5. კონფერენციის რეზოლუციები . . . 552—580

კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ 552

კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ . . 552

საერთო-პარტიულ კონფერენციაზე ნაციონალური ცენტრების დელეგატთა დაუსწრებლობის შესახებ 554

ადგილებიდან მოსმენილი ანგარიშების შესახებ . 556

თანამედროვე მომენტსა და პარტიის ამოცანებზე . 557

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ 559

I 559

II 560

III 562

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ 564

პარტიული მუშაობის ხასიათისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ 565

სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ შიმშილობასთან ბრძოლაში 567

მუშათა სახელმწიფო დაზღვევის სათათბიროს კანონ-პროექტისადმი დამოკიდებულების შესახებ . . 569

I 569

II 571

«საპეტიციო კამპანიის» შესახებ 573

ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ 575

ცენტრალური ორგანოს შესახებ 577

«რაბოჩაია გაზეტას» შესახებ 577

გაზეთ «პრავდის» შესახებ 577

პარტიის საორგანიზაციო წესდების ცვლილებანი . 577

ყოფილი შემნახველის ხელში არსებული ქონებისა და ფულადი ანგარიშების შესახებ . . . 578

«წითელი ჯვრის» შესახებ 579

საზღვარგარეთ პარტიული ორგანიზაციის შესახებ 579
რუსეთის მთავრობის სპარსეთზე თავდასხმის შესახებ 580

ჩინეთის რევოლუციის შესახებ 580
ფინეთის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის შესახებ . 581
მისალმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიას . . 581

ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ორგანო . . 582—586

ლიკვიდატორებთან—გაერთიანების წინააღმდეგ . 587—594

პოლიტიკური პარტიები მესამე სათათბიროს 5 წლის მანძილზე . . . . . 595—602

I 595
II 599

მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ . . . . . 603—605

რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა . . . 606—614

გაზეთ «ზვეზდის» რედაქციას (მ ი ნ ა წ ე რ ი «რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა ზ ე») . . 615

გადმოშალეთ თქვენი ბანერი . . . . . 616—624

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციიდან დეპუტატ ტ. ო. ბელოუსოვის გასვლის გამო . . . . . 625—631

შიმშილობა . . . . . 632—634

გლეხობა და IV სათათბიროს არჩევნები . . . 635—637

«VORWÄRTS»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში . . . . . 639—655

წინასიტყვაობა 641

წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰუისმანსს . . . . . 656—660

ქადეტების ბლოკი პროგრესისტებთან და მისი მნიშვნელობა . . . . . 661—666

ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ცუდი დაცვა . 667—674
ხელახალი კენჭისყრა რუსეთში და მუშათა კლასის ამოცანები . . . . . 675—682
ლიბერალიზმი და დემოკრატია . . . . . 683—694
I 683
II 689
შენიშვნები . . . . . 695—727
ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 729—743

ილუსტრაციები

გარეკანი ჟურნალისა «ძისლ» № 2, 1911 წ. იანვარი, სადაც დაიბეჭდა: II თავი ვ. ი. ლენინის ნაშრომისა «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» და დასაწყისი სტატიისა «ჩვენი გამაუქმებელნი (ბ-ნ პოტრესოვისა და ვ. ბაზაროვის შესახებ)» 55
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «გადმოშალეთ თქვენი ბანქო». — 1912 წ. მარტი 617

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV — 1951.
უე 01599. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. $47^3/_4$.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 28.